# წერილები

## ლეგენდა

ერთი შემთხვევა უნდა გაგახსენოთ. იგი დოსტოევსკის ცხოვრებაში მოხდა.

მოსკოვში ცხოვრობდა ცნობილი პედაგოგი ლევ ივანეს ძე პოლივანოვი. 1880 წელს იგი იყო რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების დროებითი მდივანი და პუშკინის საიუბილეო ზეიმის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე. ქმარს გვერდით ედგა და ბეჯითად ეხმარებოდა მარია ალექსანდრეს ასული პოლივანოვა.

პუშკინის იუბილე ჩატარდა, როგორც მთელი რუსული კულტურის დღესასწაული. 1880 წლის 8 ივნისს დოსტოევსკიმ წარმოთქვა თავისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა. მან ახლებურად დაანახვა პუშკინი რუსეთს და ისიც ვიცით _ რა გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მან დამსწრე საზოგადოებაზე.

მაგრამ დოსტოევსკის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარია პოლივანოვასათვის. 25 აგვისტოს ამ ქალისაგან დოსტოევსკიმ ბარათი მიიღო. იშვიათი გულწრფელობითა და გულახდილობით ატყობინებდამარია პოლივანოვა მწერალს თავის წუხილს.

წერილის შინაარსი ასეთი იყო:

ცოლ-ქმარ პოლივანოვებს უყვარდათ ერთმანეთი. მათი ცხოვრება მშვიდად და სიამტკბილობაში მიმდინარეობდა. მაგრამ 1874 წლიდან ყველაფერი შეიცვალა. ოჯახში გუვერნანტი მოიყვანეს. თავისებური შეხედულების ქალი იყო გუვერნანტი. მან მარია პოლივანოვას უთხრა, რომ ჰყავდა საქმრო, მაგრამ არ სჯეროდა სიყვარულის, ხოლო ქორწინება მიაჩნდა უზნეობად. ქორწინებაში იგი ძალადობასა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას ხედავდა. სჯეროდა, რომ ქალს ყოველი მამაკაცის გაბრიყვება შეუძლია. მაგრამ მოხდა ისე, რომ გუვერნანტსა და ლევ პოლივანოვს ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს სიყვარული მტკიცე გამოდგა. მარია პოლივანოვას თავდავიწყებით სძულდა გუვერნანტი. მისი დანახვისას გულყრა ემართებოდა. ოცნებობდა მის სიკვდილზე, სურდა მისი დახრჩობა. მაგრამ გასაოცარი რამ მოხდა. 8 ივნისს ორივე ქალმა მოისმინა დოსტოევსკის სიტყვა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ახლა თავად მარია პოლივანოვას დაუგდეთ ყური: «იგი მომვარდა, მომეხვია, მეუბნებოდა, რომ ძალიან უბედურია, მთხოვდა პატიებას თუ რაღაც ამგვარს. ყველა წყენა ერთბაშად გამიქრა. გარდა უსაზღვრო სიბრალულისა მისდამი, აღარაფერი დარჩა ჩემში. ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი».

რაყიფები შერიგდნენ. ორივემ დაიჯერა, რომ ერთად შეუძლიათ ბედნიერნი იყვნენ და ლევ ივანეს ძეც გააბედნიერონ. კაცი ქალების აღტკინებას ეჭვით შეხვდა. უსიამოვნო განწყობილება დაეუფლა მას. მართლაც, როცა შერიგების პირველმა ტალღამ გაიარა, მარია პოლივანოვა მიხვდა, რომ მას პატიება არ შეეძლო. იგი არ იყო თანახმა mariage an trois (სამთა ქორწინების).

მარია პოლივანოვა დოსტოევსკის დახმარებას სთხოვდა, შველას ეხვეწებოდა. მწერალმა არ იცოდა, რა ექნა. იგი არ მოელოდა, მას არ უფიქრია, რომ მის ნათქვამს სიტყვასიტყვით

გაიგებდნენ და მერე ამ მოდელის მიხედვით ცხოვრებას დააპირებდნენ. მან მხოლოდ სიყვარულის, სათნოების, ჰარმონიის ლეგენდა შექმნა. მარია პოლივანოვა კი მას სთხოვდა ლეგენდა სინამდვილედ ექცია. დოსტოევსკის, ცხადია, ეს არ შეეძლო.

დოსტოევსკიმ არ უპასუხა 25 აგვისტოს წერილს. მაგრამ პოლივანოვა არ ეშვებოდა. იგი წერილს წერილზე უგზავნიდა მწერალს და დაჟინებით ითხოვდა პასუხს, რჩევა-დარიგებას, მდგომარეობიდან თავდახსნის გზის სწავლებას. უაღრესად დაბნეულმა დოსტოევსკიმ არ იცოდა, რა ექნა. იგი ბოდიშს უხდიდა მარია პოლივანოვას. არწმუნებდა, რომ მხოლოდ პროზაიკოსია და არ იცის გზა, საშუალება, ხერხი, რომლითაც უშველის ქალს. კარგა ხანს გასტანა ამ მიმოწერამ და, ბოლოს, როგორც იქნა, მარია პოლივანოვა დარწმუნდა, რომ დოსტოევსკი მწერალია. იგი ილუზიურ სინამდვილეს ქმნის და ამის მიხედვით ცხოვრება შეუძლებელია.

8 ივნისს, თავის სიტყვით, დოსტოევსკიმ წამიერი ლეგენდა შექმნა, სადაც სიყვარული, შერიგება, ჰარმონია სუფევდა. ორივე რაყიფმა ქალმა წამით იცხოვრა ლეგენდით. ეს მშვენიერება იყო. მაგრამ, როგორც კი ლეგენდის ხიბლი გაიფანტა, რეალობა დაბრუნდა და მტრები ისევ მტრებად დარჩნენ.

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა «ლეგენდას» იმ არაჩვეულებრივი ემოციური ძალის საზომად ვხმარობ, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები ახდენს პუბლიკუმზე. სწორედ ლეგენდური ძალის საშუალებით ქმნის მწერალი, საერთოდ ხელოვანი, ახალ სინამდვილეს _ ილუზიურ სინამდვილეს.

«პოეტურ ინტეგრალებში» მიხეილ კვესელავამ ფრიად საყურადღებო და დამაფიქრებელი კითხვა დასვა:

«ნეტავი, რომელი სამყარო იქნება უმჯობესი, ის, რაც რეალურად იყო და არის, თუ რაც ხელოვნებასა და ლიტერატურაშია წარმოდგენილი?.. თუ **პირველი** _ მაშინ ხომ სულ ამაოდ დამშვრალან ყველა ქვეყნისა და საუკუნის მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები თუ არქიტექტორები? ან თუ **მეორე** _ მაშინ რატომ ისე არ ვაწყობთ ჩვენს გარემოსა და ცხოვრებას, როგორც იმათ დაუსახავთ იდეალურად?»

ამ კითხვის ჩემი პასუხი ასეთია:

ეს ორი სინამდვილე ერთმანეთს ვერ შეცვლის. არც პირველია მეორეზე უკეთესი და არც მეორე პირველზე უმჯობესი. ორივე სინამდვილეს თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს. ეს ფუნქციები ერთმანეთს კი არ ცვლიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ. ერთიც აუცილებელია და მეორეც. ამდენად არც ვინმე დამაშვრალა ამაოდ.

დააკვირდით,

როცა ადამიანს უანგარო და თავგანწირული მეგობრობა მოენატრება, თხზავს ტარიელისა და ავთანდილის ძმობის ლეგენდას. «მე იგი ვარ, ვინც სიცოცხლეს არ ამოკრეფს კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად».

როცა ადამიანს თავდავიწყებული, უმანკო სიყვარული მოენატრება, იგი ქმნის რომეოსა და ჯულიეტას ლეგენდას.

როცა ადამიანს პატიოსანი, კეთილშობილი, უმწიკვლო კაცი მოენატრება, იგი წერს დონ-კიხოტის ლეგენდას.

როცა ადამიანს სამყაროსთან შერწყმის ოცნება გაიტაცებს და ბუნების საიდუმლოს ამოცნობას მოიწადინებს, იგი იგონებს მინდიას ლეგენდას.

როცა ადამიანს სიმამაცე, ვაჟკაცობა, გამბედაობა მოენატრება. იგი თხზავს როლანდის სიმღერას.

ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რეალური, მეორე _ ილუზიური. თუ რეალური სინამდვილე ბუნების შემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნილია. თუ არ იქნება რეალური სინამდვილე, გაქრება ის მკვებავი ფესვი, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ილუზიური სინამდვილე, გაქრება იმედი, ოცნება, მისწრაფება. რეალურ სინამდვილეში ადამიანს გამოეცლება მამოძრავებელი მუხტი. ადამიანი ობოლივით იგრძნობს თავს. ერთი სიტყვით, ილუზიური სინამდვილე რწმენას ქმნის, ურომლისოდ არსებობა შეუძლებელია.

ამიტომ არ შეიძლება ერთი სინამდვილის მეორეთი შეცვლა. ისინი ერთად უნდა არსებობდნენ, როგორც ერთი მთლიანობის ორი აუცილებელი ნაწილი.

ნურავინ იფიქრებს, რომ არსებობს ადამიანი, ვინც ილუზიური სინამდვილის თვინიერ ცხოვრობს. ზოგისათვის ილუზიურ სინამდვილეს მწერლობა ქმნის, ზოგისათვის _ მუსიკა, ზოგისათვის _ მხატვრობა, ზოგისათვის _ ქორეოგრაფია, ზოგიერთისათვის თეატრი, ზოგისათვის _ კინო...

ილუზიური სინამდვილე ყოველთვის ლეგენდას შეიცავს. თუ მას ლეგენდა აკლია, მაშინ იგი რეალური სინამდვილის პირია. მისით არავინ დაინტერესდება. მის მიმართ გულგრილი დარჩებიან.

თუ გახსოვთ, დონ-კიხოტი ეუბნება სანჩოს _ «იქნება გგონია, ყველა ის ამარილისები, ფილისები, სილვები, დიანები, გალატეები, ფილიდები და სხვანი ამგვარნი, რითაც სავსეა ჩვენი წიგნები, შაირები, რომანსები, სადალაქოთა თაროები და თეატრები, _ ცოცხალი, ძვალ-ხორციანი არსებანი, მათ მაქებარ პოეტთა სატრფონი ყოფილიყვნენ? სულაც არა. ისინი მხოლოდ პოეტთა წარმოდგენაში ცოცხლობდნენ, მათი შაირების საგანს შეადგენდნენ, რომ თავი მიჯნურად გამოეჩინათ ან მიჯნურობის ნიჭის მქონედ მაინც!» ამის მერე დონ-კიხოტი საუბარს ასე ამთავრებს _ «ჩემი მიჯნური ქალი როგორადაც მსურდა, ისეთად წარმოვიდგინე. ისეთი სიმშვენიერე და გარეგნობა მივეცი, რომ მასთან ვერც ელენე, ვერც ლუკრეცია, ვერც ძველი რომისა და საბერძნეთისა და ბარბაროსთა ყველა ქებული ქალი ფეხს ვერ გაიწვდიან. დაე, ამაზე ვისაც რა უნდა, ისა თქვას: «უმეცარნი დამძრახავენ, გონიერმა მაინც იქნებ სხვაგვარად შეხედოს საქმეს».

დონ-კიხოტი მართალია: ყოველი ადამიანი წარმოდგენით ქმნის იდეალურს და ლეგენდურის სამოსელში ხვევს მას.

ადამიანი ეტრფის სრულყოფილს. სრულყოფილი კი ლეგენდით იქმნება და იგი ილუზიურ სინამდვილეში არსებობს. მახსოვს, შალვა ნუცუბიძე გალილეის ცხოვრებას გვიამბობდა. ლექციის დასასრულს მისებურად გაიღიმა და თქვა _ რა თქმა უნდა, ინკვიზიციის სასამართლოში მას არ უთქვამს «მაინც ბრუნავსო». ინკვიზიციის ჯალათები მიამიტი ბალღები არ ყოფილან და მათ დარჯაკში გამოვლილ კაცს იმისთავი აღარ ექნებოდა, ვაჟკაცობის ჩვენების მიზნით, დაეყვირა _ Epur si muove! მაგრამ იტალიელი ხალხის

სინდისმა ინება, რომ გენიალური მეცნიერი სწორუპოვარი ვაჟკაციც ყოფილიყო. ხალხს არ უნდა დაიჯეროს, რომ უზენაესი ძუნწია და ადაიმიანს ერთდროულად რამდენიმე სიქველით არ აჯილდოვებს.

ლეგენდის ფასი კარგად ვლინდება ერთ ამბავში, რომელსაც ჰაინრიხ მანი გვიყვება «მეფე ანრი მეოთხის სიჭაბუკეში».

თვრამეტი წლის უფლისწულმა ანრიმ მთელი ღამე გაატარა მებაღის ასულთან, ჩვიდმეტი წლის ფლორეტასთან. დილით, როცა ისინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ჭაში ჩაიხედეს. «ამ ჭას მაინც ვემახსოვრებით და თვით სიკვდილის შემდეგაც არ დაგვივიწყებს იგი». ამის მეტად ფლორეტა აღარ შეხვედრია საფრანგეთის მომავალ მეფეს. მებაღის ქალიშვილმა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა და მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი ანრი მეოთხეს, როცა იგი, ბედის კარნახით, მშობლიურ ქალაქ ნერაკში ჩამოვიდა. მაგრამ მაშინ ანრი ნავარელი უკვე დიდი ხელმწიფე იყო და ფლორეტა აღარ გახსენებია.

«მაშ, რატომღა ირწმუნებოდნენ ყველანი, _ დასძენს ჰაინრიხ მანი, _ რომ ფლორეტა ანრის გულისათვის მოკვდაო? დრო გავიდა და მისი სიკვდილის ჟამიც კი უკან გადასწიეს. სწორედ იმ დღეს, როცა ანრიმ მიატოვა იგი. და იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჭაში ჩავარდაო. სწორედ იმ ჭაში, რომელსაც ორივენი ჩაჰყურებდნენ, _ როცა ფლორეტა ჩვიდმეტი წლისა იყო, ანრი კი თვრამეტისა. საიდან გავრცელდა ეს ხმა? იმ წუთს ხომ ისინი არავის დაუნახავს!».

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანს უყვარს თანასწორობის ლეგენდა და ოცნებობს მასზე. ამას კი ყველაზე მკაფიოდ უფლისწულისა და გლეხი ქალის ტრფობა გამოხატავს. ჩვენი აბესალომისა და ეთერის თქმულება ხომ ამის უტყუარი საბუთია.

მიჯნურობის ლეგენდაც უყვარს ადამიანს. რა სჯობს _ ჩვიდმეტი წლის ფლორეტას სიკვდილი უფლისწულთან სიყვარულის პირველი ღამის მერე თუ უსიხარულო ცხოვრება, დაბერება, დაჩაჩანაკება და ბოლოს გარდაცვალება? ადამიანის ოცნებას პირველი ურჩევნია, რამეთუ იქ რომანტიკულობაა, მშვენიერებაა და ამაღლებულობა.

ალ.გერცენი მოთხრობაში «ქურდი კაჭკაჭი» გლეხი მსახიობი ქალის ტრაგიკულ თავგადასავალს გვიამბობს. ეს ქალი ბრწყინვალედ ასრულებდა ანეტას როლს ფრანგულ მელოდრამაში, რომელსაც აგრეთვე «ქურდი კაჭკაჭი» ერქვა.

მელოდრამის მიხედვით, ანეტას ბრალად ედებოდა ქურდობა. იგი უნდა დასაჯონ. მაგრამ გაირკვევა, რომ ნივთი, რომლის მოპარვა ანეტას ბრალდებოდა, წაუღია კაჭკაჭს. უდანაშაულო მსახური გოგო სიკვდილს გადაურჩება.

ამ პიესების ავტორებს კენიესა და დ'ობინს სიუჟეტად ნამდვილი ამბავი გამოუყენებიათ, ოღონდ სინამდვილეში უდანაშაულო ქალი სიკვდილით დაუსჯიათ. ამ განსხვავების გამო გერცენის მოთხრობის ერთი პერსონაჟი ირონიულად შენიშნავს: «თქვენ იცით «ქურდი კაჭკაჭის» თქმულება. სინამდვილე არ არის ისე ნერვებდასუსტებული, როგორც დრამატული მწერლები. სინამდვილე ბოლომდე მიდის: ანეტა სიკვდილით დასაჯეს. პიესაში კი აღმოჩნდება, რომ ქურდი კაჭკაჭია და არა ქალი. და აი, ანეტა ბრუნდება ზეიმით». ამ სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის დაცინვა, გამოწვეული იმით, რომ მწერლობას სურს შეალამაზოს, შეამსუბუქოს ცხოვრების სისასტიკე. მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით,

დავინახავთ, რომ მწერლის სუსტი ნერვები არაფერ შუაშია. საერთოდ ადამიანს უნდა კეთილის გამარჯვება და იგი ამის ილუზიას ქმნის. სწორედ ეს ილუზიაა არსებითი სხვაობა, რომელიც ორ სინამდვილეს _ რეალურსა და ლიტერატურულს _ შორის არსებობს.

ილუზიური სინამდვილე მისტიფიკაციით იქმნება.

ადამიანი, რომელსაც არ ჩაუდენია გმირობა და ვერც ვერასოდეს ჩაიდენს, გიყვება გასაოცარი გმირობის ამბავს და თან სრულად გარწმუნებთ.

ადამიანი, რომელსაც შეიძლება არასოდეს ჰყვარებია, გიამბობთ მიჯნურთა მომაჯადოებელ თავგადასავალს და თან ცრემლებს გაღვრევინებს.

ადამიანი, რომელსაც ქათმის დაკვლაც კი არ ძალუძს, მოგითხრობთ შემზარავი მკვლელობის ამბავს და თან ისეთი დამაჯერებლობით, თითქოს თავად სისხლში იყოს ნაბანავები.

მისტიფიკაცია იმდენად მეტად დამაჯერებელი და მართალია, რამდენადაც ნიჭიერია ხელოვანი. ზოგჯერ ეს მიამიტ ადამიანებს ატყუებს. ისინი შემოქმედსა და შექმნილს აიგივებენ. ასე დაემართა მარია პოლივანოვასაც, თუმცა იგი განათლებული და წიგნიერი ქალი იყო. გაიგივების პროცესი განსაკუთრებით საგრძნობია თეატრში. ალბათ იმიტომ, რომ მისტიფიცირების პროცესი მაყურებლის თვალწინ მიმდინარეობს. სიყალბეც უფრო იოლად შეიმჩნევა სცენაზე. ეს გარემოება ცხადად მიანიშნებს ერთ კანონზომიერებას: ლეგენდა არასოდეს იქმნება ტყუილის საფუძველზე. მას ბადებს ან უიშვიათესი ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება.

თუ ცოტნე დადიანის ლეგენდა ფაქტის ნაყოფია, გალილეის ლეგენდა ადამიანის სულის მოთხოვნილების შედეგია. თუ გალილეის ნიჭიერებას დაემატება მამაცობაც, მივიღებთ სრულყოფილების იდეალს, რისკენაც მიისწრაფვის კაცი, რაზეც ოცნებობს იგი.

თუ არ არსებობს ფაქტი ან ადამიანის სულის მოთხოვნილება, როგორც უნდა გაისარჯოს მწერალი, ვერ შექმნის ლეგენდას. არც მის დახატულ ილუზიურ სინამდვილეს დაუჯერებს მკითხველი.

რატომ ვიჯერებთ ოტელოს და დეზდემონას სიყვარულის ლეგენდას? ჩვენ ხომ ვიცით, რომ რასობრივი განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტი ურთულესი კონფლიქტია. იგი დღესაც ვერ დაუძლევია კაცობრიობას, არა თუ მაშინ, როცა «ოტელო» დაიწერა. და მაინც, მაშინაც და დღესაც, ადამიანი ოტელოსა და დეზდემონას სიყვარულის მომხრეა. იმიტომ, რომ რასობრივი თანასწორობა ადამიანის სულის მოთხოვნილებაა. გვინდა ვიწამოთ, დავიჯეროთ, რომ თეთრკანიანი, არისტოკრატი, მდიდარი ქალი ალალად შეიყვარებდა უაზნო მავრს. მაგრამ ის, რაც მკითხველმა თუ მაყურებელმა დაიჯერა, თავად ოტელომ ვერ იწამა. ეს არის მისი ტრაგედიის საფუძველი. ოტელოში ეჭვი იაგოს არ ჩაუნერგავს, ეს ეჭვი ყოველთვის არსებობდა მასში. იაგომ უბრალოდ გააღვივა იგი, ცეცხლად აანთო. ქვეცნობიერად ოტელოს ყოველთვის ეშინოდა, სულ ეეჭვებოდა დეზდემონას სიყვარული. ქვეცნობიერად მას სულ აწამებს კითხვა _ იგი, მავრი, შეიყვარა თეთრკანიანმა ქალმა? იგი, უაზნო და უბირი წარმომავლობის კაცი, მიუხედავად მისი მხედრული დამსახურებისა, შეიყვარა ვენეციელი სენატორის ასულმა? იგი, ხანდაზმული და ომებში ნაწამები ადამიანი, შეიყვარა ახალგაზრდა, მომაჯადოებელმა ქალიშვილმა? მართალია,

ოტელო ამაყად აცხადებს, რომ _ «ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისათვის», _ მაგრამ გულის სიღრმეში მას ამ ბედნიერების არ სჯერა. ჩვენ ქართული ლიტერატურიდანაც ვიცით, რა ძნელია ქალ-ვაჟს შორის უთანასწრობის დაძლევა, იქნება იგი კლასობრივი თუ რასობრივი. ოთარაანთ ქვრივის გიორგიმ კლასობრივი უთანასწრობის გამო ვერ გაუმხილა კესოს სიყვარული. ამ გაუბედაობის მსხვერპლი გახდა იგი. კ.გამსახურდიას არზაყან ზვამბაია, რევოლუციის შემდეგ, ოცნებობს, რომ ზვამბაიებმა ისევე ადვილად წაავლონ შერვაშიძეთა ქალებს ხელი, როგორც ადრე შერვაშიძეები წაავლებდნენ ზვამბაიას ქალებს. თუმცა ეს არ ყოფილა იოლი. არზაყან ზვამბაია თამარ შერვაშიძეს მაინცდამაინც გაბედულად ვერ ექცევა. თუ გიორგისა და არზაყანს კლასობრივი უთანასწორობა ბოჭავდა, ოტელოს საქმე უფრო რთულად იყო: იქ კლასობრივი უთანასწორობაც არსებობდა, რასობრივიც და ასაკობრივიც. ამის გადალახვა ადვილი არ იყო. ამას ისეთი გაბედული, თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი სჭირდებოდა, როგორიც დეზდემონა იყო. ოტელო ასეთი პიროვნება არ გახლდათ. მას არასრულყოფილების კომპლექსი ფლობდა. ქვეცნობიერად ეს კომპლექსი წარმართავდა ოტელოს ქმედებას. იაგოს მზაკვრულმა გონებამ ეს ნათლად დაინახა და მიზანსაც ამით მიაღწია.

აფრიკის ხალხების ლიტერატურაში უამრავი რომანი და პიესაა დაწერილი, რომელიც თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი ვაჟის სიყვარულს გვიამბობს. გავიხსენოთ თუნდაც პიტერ აბრაჰამსის და ჯერალდ გორდონის რომანები. მაგრამ ისინი პუბლიკუმის ცნობიერებაში არ ჩარჩენილან ისე ღრმად და წარუშლელად, როგორც «ოტელო». რატომ? პასუხი იოლია: ისინი არ არიან ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორიც შექსპირი იყო. მაგრამ მაინც რით, რა კონკრეტული ნიშნით არის გამოვლენილი შექსპირის უპირატესო ნიჭიერება? იმით, რომ შექსპირი ქმნის თავისუფალი ქალის ლეგენდას, ვისაც სიყვარულის არ ეშინია. დიახ, დიახ, არის სიყვარული, რომლისაც ეშინიათ. ყველა რომანსა და პიესაში, რომელნიც დღეს იწერება და თეთრკანიანი ქალისა და შავკანიანი ვაჟის სიყვარულს მოგვითხრობენ, ქალებს ეშინიათ თავიანთი სიყვარულის. არც ერთ მათგანს არ გააჩნია დეზდემონას თავისუფლება. ის ქალები გეცოდებათ, თანაუგრძნობთ, მაგრამ პუბლიკუმის ცნობიერებაში კვალს არ ტოვებენ. დეზდემონა, მიუხედავად ტრაგიკული ბედისა, არ გეცოდებათ. განა შეიძლება გეცოდებოდეთ ქალი, რომელსაც შეუძლია დასძლიოს რასობრივი, კლასობრივი, ასაკობრივი უთანასწრობა? იგი სულიერი ვაჟკაცობის, თავისუფლების ლეგენდაა. ეს ერთადერთ გრძნობას _ აღტაცებას _ იწვევს და გასწავლის _ რა არის თავისუფლება.

ხშირია შემთხვევა, როცა ვწერთ თავისუფლებაზე, მაგრამ ვერ ვქმნით თავისუფლების ლეგენდას, ვწერთ სიყვარულზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიყვარულის ლეგენდას, ვწერთ სიძულვილზე, მაგრამ ვერ ვქმნით სიძულვილის ლეგენდას, ვწერთ მზაკვრობაზე, მაგრამ ვერ ვქმნით მზაკვრობის ლეგენდას, ვწერთ დანაშაულზე, მაგრამ ვერ ვქმნით დანაშაულის ლეგენდას... ერთი სიტყვით, ვყვებით ამბავს და მეტი არაფერი.

«უცხო კაცი» იმ ინჟინრის თავგადასავალს გვიამბობს, ვისაც სქამის უკეთ წარმართვა სურს, ვინუ რუტინას ებრძვის. მაგრამ არ ვიცით, რით მთავრდება ინჟინერი ჩეშკოვის ბრძოლა, გაიმარჯვებს იგი თუ დამარცხდება.

«ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი...» იმ კაცს გვიჩვენებს, ვინც სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად იღვწის. ამისათვის ყოველნაირ ხერხსა და საშუალებას მიმართავს, მაგრამ არ ვიცით, რით დამთავრდება მისი საქმიანობა, მიაღწევს თუ არა იგი საწადელს.

დასკვნა მკითხველმა თუ მაყურებელმა თავად უნდა გააკეთოს საკუთარი გუნება-განწყობილების შესაბამისად.

შეიძლებოდა ამგვარ ნაწარმოებთა ჩამოთვლის გაგრძელება, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ამ ორი ნიმუშითაც ნათლად ჩანს ტენდენცია: სათქმელი სრულად არ ითქვას. ვაჩვენოთ პროცესი, მაგრამ მოვერიდოთ შედეგის აღწერას. ეს არ არის უბრალო საკითხი. არც მწერლის ნება-სურვილია, გვიჩვენებს თუ არა რეზულტატს. მწერლობა რებუსის შედგენა არ არის. იგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფციაა. როცა პუბლიკუმმა არ იცის, რით მთავრდება პროტაგონისტის ბრძოლა, მაშინ მან არც ის უწყის, რა კონცეფციით არის იგი დაწერილი. «უცხო კაცი» იქნება თუ «ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი» (და სხვა მათებრი თხზულებანი), ნათლად გვიდასტურებენ მათი ავტორების პოზიციის გაურკვევლობას. მათ არ სწამთ კეთილის გამარჯვება. ეს რომ სჯეროდეთ, უთუოდ გვიჩვენებდნენ ჩეშკოვისა და შინდინის გამარჯვებას. ვერც იმის თქმას ბედავენ, რომ შექმნილ სიტუაციაში კეთილი ვერ გაიმარჯვებს. ასეთი გაბედულება რომ ჰქონდეთ, მაშინ ჩეშკოვისა და შინდინის დამარცხებას ვიხილავდით.

ასეა გაჩხერილი დრამატურში კეთილსა და ბოროტს შორის და ნაბიჯი ვერც ერთი მიმართულებით ვერ გადაუდგამს.

სრულიად მკაფიოდ და ნათლად ვიცით, როგორ მთავრრდება იაგოს მზაკვრობა: დეზდემონას და ოტელოს დაღუპვით, მაგრამ ასევე მკაფიოა შექსპირის კონცეფცია: კეთილი ყოველთვის იმარჯვებს, თუმცა შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების სიცოცხლე შეეწიროს მას. იაგოს მზაკვრობის გამომჟღავნება კეთილის ზეიმია, მართალია, მსხვერპლიანი ზეიმი, მაგრამ მაინც ზეიმი.

ოიდიპოსი ბოლომდე იბრძვის ჭეშმარიტების მისაგნებად. შეიძლება მისი ბრძოლა შემზარავი ამბით _ თვალების დათხრით _ დამთავრდეს, მაგრამ სიმართლე მიგნებული და გამომზეურებული იქნება. ეს არის მთავარი. სიმართლემ უნდა იზეიმოს, თუნდაც ზვარაკის გაღების წყალობით.

კონცეფცია ნათელია და პუბლიკუმის ემოციური დამოკიდებულებაც მკაფიო. ადამიანის ცხოვრებაში სამუდამოდ რჩება ჭეშმარიტების მიგნებისათვის თვალებდათხრილი კაცის სახე. და ლეგენდაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

რა მსხვერპლს გაიღებს ჩეშკოვი ან შინდინი გამარჯვებისათვის? არ ვიცით. ვისაც მსხვერპლის გაღება არ შეუძლია, მას არც კეთილისათვის ბრძოლა ხელეწიფება. მაშასადამე, ჩეშკოვიცა და შინდინიც გვატყუებენ. თავის იმად გვაჩვენებენ, რაც არ არიან.

კაცობრიობას მსხვერპლის არ ეშინია. ეს უთუოდ და უთუმცაოდ დაამტკიცა მსოფლიო ტრაგიკულმა ლიტერატურამ. ყველაზე თავზარდამცემი ტრაგედიის წაკითხვისა თუ ხილვის შემდეგ ადამიანს მხნეობა ემატება. მას სასოწარკვეთილება არ ეუფლება. მხნეობა ემატება იმიტომ, რომ რწმუნდება: არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ რწმენისათვის ეწამონ;

არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მოყვასის სიყვარულისათვის ტანთ თაფლი წაისვან და თაკარა მზის ქვეშ ჭია-ღუასთვის გაიმეტონ თავი.

ისინი ლეგენდას ქმნიან. ლეგენდა კი მხნეობისა და გაუტეხელობის წყაროა.

კაცობრიობას ტყუილის ეშინია. ეშინია იმის, ვინც ლაჩარია და გმირის ნიღბით დადის, ვინც ცრუა და მართლის ნიღბით დადის, ვინც გონჯია და მზეთუნახავის ნიღბით დადის, ვინც ღატაკია და მდიდრის ნიღბით დადის, ვინც უნამუსოა და სინდისიერის ნიღბით დადის.

ამ დროს ლეგენდა არ იქმნება, ულეგენდოდ კაცის სული ჭკნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ხორციელად არსებობს, მაგრამ სულიერად მკვდარია. აი, საფუძველი სასოწარკვეთილებისა.

სასოწარკვეთილების ჟამს ადამიანი ეძებს უცნაურს, გაუგონარს, ლეგენდურს. რეალური სინამდვილიდან ილუზიურში გადასახლდება და ცხოვრების გასაძლებად ახალ ენერგიას, ბრძოლის უნარს იძენს.

კეთილის დასამკვიდრებლად მუდმივი და შეუწყვეტელი ბრძოლაა საჭირო. კეთილისა და ბოროტის ურთიერთობა ჰგავს სიჯანსაღისა და სნეულების დამოკიდებულებას. ერთ ღონემიხდილ ავადმყოფს ცხრა რკინისმკვნეტელა ვაჟკაცი რომ დაადგეს თავზე, ვერც ერთი ვერ გადასდებს ჯანმრთელობას სნეულს. ავადმყოფს კი შეუძლია ცხრავე დაავადოს. ეს გამოწვეულია იმ უბრალო მიზეზით, რომ ავადმყოფობა გადამდებია, ჯანმრთელობა კი _ არა. ასეა კეთილიცა და ბოროტიც. კეთილი არ არის გადამდები, გადამდებია ბოროტება.

კაცობრიობის გრძელი ისტორიის მანძილზე ადამიანმა საზოგადოების მოწყობის უამრავი მოდელი შექმნა, ზოგიერთი განახორციელა კიდეც, მაგრამ უმთავრესი ჯერჯერობით მაინც ვერ მოახერხა: დედამიწის ყოველ მოქალაქეს ვერ მისცა იმდენი პური, რამდენიც საჭიროა, ვერ მოსპო უნამუსობა, ორპირობა, ღალატი, ჩაგვრა, გამცემლობა, სიძულვილი, მტრობა, მრუშობა, ქურდობა და სხვა მანკიერებანი, თუმცა ყოველ დროში თავგამეტებული ებრძოდა ბოროტს.

როგორც ითქვა, ამ ბრძოლაში ყოველგვარი ლეგენდა ადამიანის მოკავშირეა. სულერთია, იქნება იგი ამაღლებულის თუ დაცემულის ლეგენდა. თუ არსენა მარაბდელის ლეგენდა კაცს მხნეობას ანიჭებს, თეიმურაზ ხევისთავის ლეგენდა უსუსურობასა და უხერხემლობას აზიზღებს; თუ თავად მიშკინის ლეგენდა კეთილისმოქმედს აყვარებს, სმერდიაკოვის ლეგენდა საზიზღრობას აძულებს; თუ «მზის ქალაქის» ლეგენდა იდეალური საზოგადოების იმედით ავსებს, ქალაქ გლუპოვოს ლეგენდა საზოგადოების დაცემით თავზარს სცემს.

ლეგენდურობაა ის ხიბლი, რომელიც სამარადოდ რჩება ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებაში, ხოლო მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის ან ხილვის შემდეგ მუცალივით წამოგაძახებინებს _ «გულში მჭირს, გულში, რჯულძაღლო...»

ამ ძალის გამოა, რომ არავის ავიწყდება კოლეგიის ასესორის კოვალიოვის ცხვირი, რომელიც პატრონს მოძვრა, სახელმწიფო მრჩევლის მუნდირში გამოეწყო და კარეტით დასეირნობდა პეტერბურგში (ნ.გოგოლი _ «ცხვირი»).

ანდა წყლის ბინადარი კაპა და მისი ქვეყანა, სადაც უამრავი ობროდი ამბავი ხდება, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებით კი ახირებული წესით იბადებიან. დედის წიაღში წინასწარ ეკითხებიან _ სურს თუ არა დაბადება. ჩვილსაც შეუძლია უპასუხოს ჰო თუ არა. რაკი ასეთი თვისება აქვთ, კაპას ქვეყნსი ბავშვები გაჩენისთანავე დამოუკიდებლად დადიან და ლაპარაკობენ. ხოლო, რაც შეეხება კაპას კულტურას, იგი თურმე არ განსხვავდება სხვა ქვეყნების კულტურისაგან (აკუტაგავა რიუნოსკე «კაპა». იაპონური კაპა შეიძლება შევადაროთ ქართულ მესეფეს).

როგორ შეიძლება დაგავიწყდეთ პაცია ცინობერი და მისი ზღაპრული თავგადასავალი (ჰოფმანი _ «პაწაწა ცახესი»).

და საერთოდ, რამდენი ამგვარი მაგალითის გახსენება შეიძლება. ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ საგანგებოდ შეთხზული ფანტასტიკური სიუჟეტი ატარებს ლეგენდურ ხასიათს. არა. უაღრესად რეალისტურად დაწერილ ნაწარმოებსაც უთუოდ ახლავს და ამშვენებს ლეგენდური ელფერი.

ნასტასია ფილიპოვნა რაგოჟინის მოტანილ ასი ათას მანეთს, გაზეთში გამოხვეულს და შეკრულს, აგიზგიზებულ ცეცხლში შეაგდებს. განა განია ივოლგინს მიუბრუნდება და ეტყვის _ უხელთათმნოდ, სახელოებაკაპიწებული ფულს სახმილიდან თუ გამოიღებ, შენი იყოსო.

ასი ათასი მანეთი აგდია ცეცხლში. ქალმაც და ყველა იქ დამსწრემ კარგად იცით განია ივოლგინის სიხარბე. იგი სულ ცოტა ხნის წინათ მზად იყო სახელგატეხილი ნასტასია ფილიპოვნა შეერთო, თუკი მზითევად სამოცდათხუთმეტი ათასს მისცემდნენ. მანეთისათვის ვასილის კუნძულამდე იხოხებსო, დასცინის ივოლგინს რაგოჟინი. ბუხარში კი ასი ათასი მანეთი იწვის.

ყველა თავზარდაცემული და გაოგნებული მისჩერებია განია ივოლგინს.

მაგრამ ივოლგინმა გაუძლო ცდუნებას. გადაიტანა ტანჯვა. როცა ყველა დარწმუნდა, რომ განია ივოლგინი არ მივარდება ბუხარს ფულის სახმლიდან გამოსატანად, დათრგუნა სიხარბე, იგი მოტრიალდა და კარებისაკენ წავიდა. ივოლგინი ტოვებდა ნასტასია ფილიპოვნას სახლს, მაგრამ, ორი ნაბიჯი გადადგა თუ არა, გულწასულმა იატაკზე მოადინა ზღართანი.

ნასტასია ფილიპოვნამ ასტამი აიღო, ფული ცეცხლიდან გამოიღო და გულშეღონებული ივოლგინის გვერდით დადო. ეს ფული მთლიანად მისია, _ ბრძანა ქალმა, _ იგი არ ეცა მას. მაშასადამე, თავმოყვარეობა მეტი ჰქონია, ვიდრე სიხარბე.

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს «იდიოტი», არ შეიძლება ეს სცენა დაავიწყდეს. როგორც ნასტასია ფილიპოვნას საქციელში, ისე განია ივოლგინის თავშეკავებულობაში არის ხასიათის არაჩვეულებრივობა, განსაკუთრებულობა ანუ ლეგენდურობა. ამ თვისებით ორივე პერსონაჟი მტკიცედ ეუფლება მკითხველის ყურადღებას და ღრმად რჩება მეხსიერებაში.

მინდორში ბაღი ვაშენე, ღობე გავავლე ჯალჯისა,
დავთესე კიტრი ოქროსი, ლობიო მარგალიტისა,
მოვიდა ქალი ლამაზი, გასწია ღობე ეკლისა,
მოსწყვიტა კიტრი ოქროსი, ლობიო მარგალიტისა.

ოქროს კიტრი და მარგალიტის ლობიო უკვე ლეგენდაა, მაგრამ სწორედ ეს აჯადოებს მკითხველს. ჯალჯის ღობესთან შეერთებული ოქროს კიტრი სრულიად სხვა სამყაროს ქმნის და იმ მზეთუნახავსაც თვალნათლივ ხედავთ, ვინც მარგალიტის ლობიოს მოსაკრეფად მოვიდა.

საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და ხალხური ლექსის უცნობი ავტორი ერთნაირად ეძებს უცნაურს, არაჩვეულებრივს, განსაკუთრებულს, რომ ლეგენდურობის განწყობილება შექმნას. ეს ბუნებრივია. ჩვენ, პუბლიკუმს, ლიტერატურისა და ხელოვნების პროტაგონისტი მაშინ გვიზიდავს, გვხიბლავს და გვეუფლება, თუ მის საქციელსა და თვისებაში არის ლეგენდური ძალა.

ამიტომ შემოქმედი მოვალეა ან კალმით შექმნას ლეგენდა ან პირადი ცხოვრებით.

1982 წ.

## არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ

ფილოსოფიური სტატიების იმ ციკლში, რომელსაც არჩილ ჯორჯაძემ, ალფონს დოდეს მიბაძვით «წერილები იტრიის წისქვილიდან» უწოდა, სიყვარულის შესახებ ნათქვამია: «ეს უცნაური წყარო სიხარულისა და სევდისა, წყარო შვებისა და იმავე დროს მწუხარებისა».

მართლაც, იმთავიდან დღესამომდე ყველა სიხარულსა და მწუხარებას კაცობრიობა უკავშირებს სიყვარულს. სასწაულებრივ ძალას ანიჭებს მას. მეტი რაღა გინდათ? «ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია», _ გვასწავლის მოციქული იოანე (ეპისტოლე პირველი, IV, 8).

ძველ შუმერში ფიქრობდნენ, რომ კახპა შამხათთან ერთი ღამის გათევამ აქცია მხეცპირიანი ენქიდუ ადამიანად («გილგამეშიანი»). ქალის შეცნობამ მოახდინა ეს სასწაული (სხვათა შორის, რუსული ენა მამაკაცისა და დედაკაცის თანაყოფას შემეცნებასთან აკავშირებს: познать женщину, познание женщины).

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ფედერიკო ფელინი წიგნში _ «ფილმის კეთება» _ შემდეგს გვიამბობს: ერთხელ ერთმა ახალგაზრდა ქალმა შეკითხვა მომცაო _ თქვენს ფილმებში როსკიპები პატივისცემით და სიყვარულით არიან დახატული. ხომ ვერ აგვიხსნით _ რატომ? მაშინ გამიჭირდა პასუხის გაცემა. მერე დავფიქრდი და მივხვდიო. როსკიპები ჩვენი, მამაკაცების, «მეორე მშობლები» არიანო. თუ ჩვენს დედებს ჩვენს ხორციელ შობას ვუმადლით, როსკიპების მადლობელი იმიტომ უნდა ვიყოთ, რომ ისინი ჩვენგან, მიამიტი ბიჭებისაგან, მამაკაცებს აყალიბებენ. მამაკაცად ქცევა კი დაბადებაზე არანაკლებ რთული პროცესია...

ძველ ეგვიპტეში კი სწამდათ, რომ ისისისა და ოსირისის სიყვარულის წყალობით ნაყოფიერდება მიწა, მსხმოიაროს ხე-ხილი, ყვავის ბაღჩა-ბაღი (პლუტარქე _ «ისისი და ოსირისი»).

ძველი ტროელები ომს, კაცთაკვლას და სისხლისღვრასაც კი ამართლებდნენ მზეთუნახავი ქალის გულისთვის.

მშვენიერი ელენე ხალიჩას ქსოვდა და ზედ ტროელთა და ბერძენთა ომის ეპიზოდები გამოჰყავდა, ქალღმერმა ირისმა რომ შეატყობინა _ პარისისა და მენელაოსის ორთაბრძოლა იწყებაო. აღელვებული ქალი სკაიას ბჭისაკენ გაეშურა. ბჭესთან მოხუცი ტროელები ისხდნენ. მათ ბრძოლის თავი აღარ ჰქონდათ, მაგრამ ქალის სილამაზის ფასი იცოდნენ. როცა მათ ელენემ ჩაუარა, ერთხმად დაასკვნეს: ამ ქალისათვის ღირს ომი და ხოცვა-ჟლეტა. ვერც ბერძნებს გავამტყუნებთო და ვერც ტროელებს («ილიადა», ქება მესამე).

ეს მეცხრამეტე საუკუნეში შებედავენ, თაყვანისცემასთან ერთად, საყვედურს სილამაზეს, თორემ ანტიკურობა მისი მაღმერთებელი იყო.

მოციქული ხარ ჯოჯოხეთის თუ ცის მნათობი,
აღტაცებული ბედი დაგდევს, როგორც ფინია;
უბედურებას და სიხარულს სთეს და ერთობი,
მეფობ და შენთვის ყველაფერი არაფერია.

(შარლ ბოდლერი _ «სილამაზის საგალობელი»)

ყველა ხალხის ზღაპრებში ქალის ცრემლს მკვდრეთით აღმდგენის ძალა აქვს. საკმარისია, გარდაცვლილ მიჯნურს სატრფოს კურცხალი დაეცეს, რომ მაშინვე ფეხზე წამოდგეს. ალბათ, ამიტომაც გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი გიორგის დაღუპვის მერე («ოთარაანთ ქვრივი»).

მართალია, ქალს ღმერთებისათვის ცეცხლი არ მოუპარავს და ადამიანთათვის არ მოუტანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი რამ ისეთი ჩაუდენია, რაიც მამაკაცს არ შესძლებია.

არც ერთი მამაკაცი არ ყოფილა ცოლის ისეთი ერთგული, როგორიც პენელოპე იყო ქმრისა («ოდისეა»). ოცი წელიწადი იხეტიალა ოდისევსმა, სანამ შინ დაბრუნდებოდა. ოცი წელიწადი უცდიდა მას პენელოპე. იგერიებდა საქმროების უხეშ და უნამუსო შეტევას. ოცი წელიწადი იცავდა მარტოხელა ქალი ქმრის სახელსა და ღირსებას (თუმცა ორგულობის მაგალითიც ქალმა აჩვენა. ტროას ომიდან ოჯახში გამარჯვებით დაბრუნებული ელინთა სარდალი აგამემნონი ცოლმა, კლიტემნესტრამ, მოაკვლევინა ეგისთეს, საყვარელს).

ჩვენმა დრომ პენელოპეს ერთგულებასაც უნდა თვალით შეხედა. დედაკაცის ქვეცნობიერ სამყაროში დაიწყო ღალატის ძებნა (ალბერტო მორავია _ «ზიზღი». «Презрение»). ეს ადამიანის ეჭვიანი თვისების ბრალია. იგი, სადაც ერთგულებაა, იქ ანტიერთგულებას ეძებს, სადაც სიყვარულია _ ანტისიყვარულს, სადაც გმირობაა _ ანტიგმირობას... ეს მუდამ ასე იქნება, რადგან ადამიანის მაძიებელი ბუნება არ მოიშლის ძებნა-წვდომას. ადამიანს არა მარტო კოსმოსური საიდუმლოს შეცნობა სწადია, არამედ საკუთარი სულისაც. ეს სული კი ბევრად უფრო ბნელია და შეუცნობადი, ვიდრე ვარსკვლავიერი სამყარო. რაკი ადამიანის სული ღმერთის ნაწილია, იგი ისეთივე მიუწვდომელია, როგორც თავად უფალი. არავის ხელეწიფება, ამოიცნოს _ რა ძალა ამოძრავებს პენელოპეს ერთგულებას ან კლიტემნესტრას ღალატს. ადამიანს მხოლოდ ფაქტის დადასტურება შეუძლია. ამიტომ ქვეცნობიერში ხელისფათური ოდენ ღიმილის მომგვრელია.

არც ერთ ძმას არ გაუკეთებია დისთვის ის, რაც ანტიგონემ გააკეთა ძმისათვის (სოფოკლე _ «ანტიგონე»). თებეს მმართველის კრეონტის განკარგულებით პოლინიკეს დასაფლავება არ შეიძლებოდა. იგი მოღალატედ მიიჩნიეს. მისი ცხედარი უპატრონოდ უნდა გდებულიყო თაკარა მზის ქვეშ. ნადირსა და ფრინველს უნდა გამოეხრა იგი. დამ ვერ აიტანა მკვდარი ძმის ასეთი დამცირება. იმდენი იწვალა და იდავიდარაბა, რომ პოლინიკე მაინც მიაბარა მიწას. ამ «დანაშაულისათვის» ანტიგონე ცოცხლად დამარხეს.

თუ ძველ სამყაროს ოდნავადაც არ ეეჭვებოდა, რატომ უნდა დაკრძალულიყო ანტიგონეს ორი ძმიდან ერთი – ეტეოკლე _ ზარ-ზეიმით, ხოლო მეორეს _ პოლინიკეს _ საფლავიც არ უნდა ღირსებოდა, ჩვენი დრო მოვალეობის გრძნობასაც ურწმუნოდ მოეკიდა. ჟან ანუის «ანტიგონეში» კრეონტი ემდურება ძმის ბედით შეძრწუნებულ დას: თავს ნუ იკლავ შენი ძმებისთვის. ერთიცა და მეორედ არამზადა იყო, არც ერთი არ ღირდა შენს ზრუნვად და ცრემლად. თუ ერთი დიდებით დავასაფლავეთ, ხოლო მეორე მხეცებს მივუგდეთ საჯიჯგნად, ეს ბრბოსთვის არის ასე საჭირო. ბრბოს უნდა ჰყავდეს კერპიც, რომელსაც პირქვედამხობილი თაყვანს სცემს, და განწირულიც, ვისაც დაუფიქრებლად ჩაქოლავს. არც წმინდანი არსებობს და არც ცოდვილი. ამას ლიანგის გასაცუცურაკებლად ვიგონებთო.

კრეონტის ცინიზმმა ვერ შეარყია ანტიგონეს რწმენა.

არც იმის ძალა შესწევს მამაკაცს, რასაც აბიშაგ შუნამელი აკეთებს.

ებრაელთა მეფე დავითი რომ დაბერდა, ვერაფერმა გაათბო, ვერც მზემ და ვერც ცეცხლმა. გოლიათის მძლეველი, სიბერის სიცივით შეწუხებული, უმწეოდ ცახცახებდა. მაშინ ბრძენკაცებმა იმსჯელეს და დაასკვნეს _ მთელ საებრაელოში მოეძებნათ ყმაწვილი ქალი და მეფის საწოლში ჩაეწვინათ. იპოვეს კიდეც ქალწული აბიგშაგ შუნამელი (რუსული ტრანსკრიპციით _ ავისაგა. რაკი ძირითადად რუსული ენის მეშვეობით ვეცნობით უცხოურ მწერლობას აბიშაგ უფრო ავისაგას სახელით არის ჩვენში ცნობილი). იგი ჩაუწვინეს მეფეს სარეცელში. ამ ქალის სხეულმა გაათბო მიხრწნილი მეფე დავით და სიცოცხლე შეუნარჩუნა (წიგნი მესამე მეფეთა, 1, 1-4).

ანტიკურ მწერლობა-მითოლოგიაში ქალი არა მარტო ომის მიზეზია (მშვენიერი ელენე და ტროას ომი), არამედ გამარჯვების წყაროც (მედეა, არიადნე).

კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებად მოსული იაზონი ვერაფერს გააწყობდა, კოლხეთის მეფის, აიეტის ასულ მედეას შემწეობა რომ არ გაეწია.

როგორ შეაბამდა იაზონი უღელში ცეცხლისმფრქვეველ, ბრინჯაოს ჩლიქებიან ხარებს, მედეას ჯადოსნური მალამო რომ არ მიეცა?

როგორ გაჟლეტდა იაზონი იმ ჯონგებს, რომელნიც დრაკონის დათესილი კბილებიდან აღმოცენდნენ, მედეას რომ არ ესწავლებინა ილეთი: ბუმბერაზთა შორის დიდი ლოდი გადააგდე, ისინი ერთმანეთს მიესევიან და ურთიერთს გაჟუჟავენო.

როგორ მოსტაცებდა იაზონი ოქროს საწმისს მოდარაჯე ურჩხულს, მედეას რომ არ დაეძინებინა იგი?

მედეას უგონო სიყვარული რმო არა, თავლაფდასხმული გაილალებოდა კოლხეთიდან ბერძენი გმირი (თუკი საერთოდ გააღწევდა ცოცხალი).

იმ ტრფიალებას, რომლითაც მედეას იაზონი უყვარს, სტენდალი, ალბათ, ვნება-სიყვარულს დაარქმევდა, რაკი ფრანგი რომანისტისათვის იგი სიყვარულის ყველაზე უმაღლესი, სრულყოფილი და ნამდვილი გამოხატულება იყო. საერთოდ, სტენდალი სიყვარულის ოთხ სახეობას ჩამოთვლიდა. ვნება-სიყვარულს მოსდევდა სიყვარული-გატაცება, ფიზიკური სიყვარული და, ბოლოს, სიყვარული-გატაცება, ფიზიკური სიყვარული და, ბოლოს, სიყვარული-პატივმოყვარეობა. რაიც საზიზღარ მოვლენად მიაჩნდა «წითელი და შავის» ავტორს.

ვნება-სიყვარულის დროს, გარდა ტრფობისა, აღარაფერი არსებობს _ არც სამშობლო, არც მშობლები, არც შვილები. ასეთი ვნება-სიყვარულით უყვარდა, მაგალითად, დე გრიეს მანონ-ლესკო (აბატი პრევი _ «მანონ ლესკო»), მაგრამ, რა თქმა უნდა, ფრანგი ჭაბუკის ტრფობა ვერ გაუთანასწორდება კოლხი ქალის ჯოჯოხეთურ სიყვარულს. და საერთოდ, საკაცობრიო სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში არ არსებობს ქალი, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მედეას ვნებების ძალით (ლედი მაკბეტი მორცხვ გოგონად მოჩანს აიეტის ასულის გვერდით): სიყვარულის სახელით სამშობლოს მოღალატე, მამის გამყიდველი, ძმის მკვლელი, რაყიფი ქალის გამანადგურებელი, შვილების ამომხოცველი და მაინც მზის _ ჰელიოსის _ წიაღში ამაღლებული.

არასოდეს განელებულა მედეას მიმართ მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის ყურადღება. არც მომავალში განელდება, რადგან ყველა ეპოქა იხიბლება დაუოკებელი ვნებების ადამიანებით, აღტაცებულია მათით. თუ ახალ დროში ვერ ხედავენ მათ, ძველი დროისას ეთაყვანებიან. თუმცა კალმის სისუსტეს რა ვუთხრა, თორემ არც მეოცე საუკუნეს აკლია ყოვლისწამლეკავი ვნებების ადამიანები.

კლარა პეტაჩი სიკვდილის ბოლომდე დარჩა ბენიტო მუსოლინის ერთგული. ეს ქალი ჯერ ჩამოახრჩეს და მერე ქალაქის ქუჩებში ათრიეს იტალიური რეზისტენცას წევრებმა. რით არის ეს ნაკლები აქილევსის ქვადრიგას გამობმული ჰექტორის გვამის თრევაზე ილიონის გარშემო?

ბერლინი რომ ცეცხლში იწვოდა და დაცემული გერმანია სისხლით იცლებოდა, ჰიტლერი და ევა ბრაუნი ჯვარს იწერდნენ. ამ ქალს გაქცევა და გადარჩენა შეეძლო, მაგრამ იმ კაცთან ერთად სიკვდილი ამჯობინა, ვისაც, გონივრულად თუ უგუნურად, სიცოცხლე შესწირა. მერე მათ თავი მოიწამლეს და, როცა საბჭოთა ჯარისკაცებს რაიხსტაგის გუმბათზე წითელი დროშა აჰქონდათ, ერთგული ადამიანები ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამებს რაიხსკანცელარიის ეზოში წვავდნენ. რით არ არის ეს ანტიკური ან შექსპირული ტრაგედიების დასასრული?

რით არა ჰგავს იაკობ ჯუღაშვილის შეწირვა ომში გამარჯვებისათვის იფიგენიას ზვარაკად მიყვანებას? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იფიგენია ქალღმერთმა არტემიდემ შეიბრალა, მსხვერპლობა აიცილა. ტავრიდაში (დღევანდელ ყირიმში) წაიყვანა და თავის ქურუმად გახადა. იაკობ ჯუღაშვილი კი არც ღმერთს შესცოდებია და არც კაცს.

ადამიანთა ვნებანი არ იცვლებიან. იცვლება ოდენ დრო და ვითარება. ამიტომ არსებობს უწყვეტი და მუდმივი კავშირი უშორეს წარსულსა და დღევანდელობას შორის. დიდი ხნის

გარდასულ ადამიანთა ტკივილსა და სიხარულს ისევე განვიცდით, როგორც თანამედროვისას. ამდენად, არც კოლხი ქალის სიყვარულია უცხო ჩვენთვის.

არ დაუფასდა მედეას სიყვარული. სხვა ქალში მოინდომა იაზონმა მისი გაცვლა. არიადნესაც ასე დაემართა. თეზევსმა, მართალია, ჯერ ცოლად შეირთო იგი, მაგრამ მერე მიატოვა. არადა, იგი ცოცხალი არიადნეს წყალობით გადარჩა. თეზევსს მინოტავრი კიდეც რომ მოეკლა, ლაბირინთში მაინც დაიღუპებოდა, არიადნეს ძაფს რომ არ გამოეყვანა.

მინოტავრს ადამიანის ტანი ჰქონდა და ხარის თავი ება. დედალოსის აგებულ ლაბირინთში ცხოვრობდა და ყველაფერ ცოცხალს ანადგურებდა, რაც მის ახლომახლო გამოჩნდებოდა. მინოტავრის გამოსაკვებად შემზარავი ხარკი ედო ათენს. შვიდი ვაჟი და შვიდი ვაჟი უნდა გაეგზავნათ ათენელებს კრეტაზე. თეზევსმა ითავა მინოტავრის მოკვლა და ათენის ხსნა. ვერც იგი გახდებოდა ვერაფერს, კრეტის მეფის მინოსის ასული არიადნე რომ არ დახმარებოდა. მედეასავით, არიადნეც მაშინვე მოიხიბლა თეზევსით (სხვათა შორის, თეზევსი ახლდა იაზონს კოლხეთში). თავდავიწყებით შეიყვარა იგი. როცა ბერძენი გმირი ლაბირინთში შევიდა და მინოტავრის მოსაკლავად გაემართა, არიადნემ მას წელზე ძაფი გამოაბა. ძაფის მეორე ბოლო კი ლაბირინცის კარს მიამაგრა. თუ თეზევსი მინოტავრს სძლევდა, უკან ამ ძაფის საშუალებით გამოაღწევდა. ასეც მოხდა: მინოტავრიც მოკლა და სამშვიდობოსაც ძაფის საშუალებით გამოვიდა.

პირისგამტეხ და უმადურ ადამიანებად მოჩანან ბერძენი გმირები მედეასა და არიადნეს გვერდით. მაგრამ ზნეობრივ მხარეს თუ თავს დავანებებთ, სხვა რამ ალეგორიული შინაარსი მოჩანს მათ თავგადასავალში.

ბერჟნულ მითოლოგიაში აშკარად იხატება ცივილიზაციის სამი კერა _ თავად საბერძნეთი, კრეტა და კოლხიდა. მათ შორის ბრძოლაა. როცა საბერძნეთი სუსტია, ოქროს საწმისი კოლხეთში მოაქვთ. როცა იგი ძლიერდება, საწმისს იბრუნებს. საწმისის დაკარგვა არა მარტო კოლხეთის დაქვეითების მაუწყებელია, არამედ მისი დაქცევისაც.

როცა კრეტა ძლიერია, იგი ათენს ხარკს ახდევინებს. როგორც კი ბერძნები მოღონიერდნენ, მინოტავრის მოსაკლავად გმირი გაგზავნეს. მინოტავრის სიკვდილი არა მარტო კრეტის დამარცხებას ნიშნავს, არამედ მის დაღუპვასაც.

როგორც ოქროს საწმისია კოლხეთის ძალისა და უძლურების სიმბოლო, ასევეა მინოტავრიც კრეტის ძალისა და უძლურების სიმბოლო.

ბერძნულმა ცივილიზაციამ შეიწოვა და გაითავისა კოლხური ცივილიზაციაც და კრეტულიც. ისინი ერთ მთლიანობად გახადა. ამის მაუწყებელია მედეასა და არიადნეს საბერძნეთში გაქცევა-გათხოვება. ისინი არ იცავენ თავიანთ სამშობლოს, მედეა _ კოლხეთს, არიადნე _ კრეტას. ბერძენ გმირებს ეხმარებიან. საბერძნეთის დრო დამდგარა და კოლხური ცივილიზაციაც და კრეტულიც ბერძნულში უნდა გაითქვიფოს. ქალის ბედი მაჩვენებელია ქვეყნისა და ცივილიზაციის ბედისაც.

კოლხური და კრეტული ცივილიზაციისაგან განსხვავებით ებრაული ცივილიზაცია არ იღუპება. ებრაელი ქალები სამშობლოს იცავენ და მტრებს არ ეხმარებიან (ივდითი), მაშინაც კი, როცა უცხო დამპყრობელის ცოლები არიან (ესთერი). ძველ აღთქმაშიც ქალის საქციელსა და ბედში არეკლილია ქვეყნისა და ცივილიზაციის ბედი.

გააგზავნა ნაბუქოდონოსორმა ებრაელთა დასაპყრობად სარდალი ოლოფერნე. კალიასავით მოეფინა ოლოფერნეს ლაშქარი ისრაელიანთა მიწას. ალყა შემოარტყეს ქალაქ ბეთულიას. გზები ჩაურაზეს და წყაროები მოუჭრეს. ფიქრობდნენ _ უწყლობა გააწამებს მოსახლეობას. იძულებული გახდებიან ებრაელები, დაგვემორჩილონო. შიმშილითა და წყურვილით სიკვდილი ემუქრებოდა ბეთულიას მოქალაქეებს. გოდებდა ქალაქი. ბრბო გაჰკიოდა: უმჯობესია, დავნებდეთ ოლოფერნეს.

მართალია, «მონები ვიქნებით, მაგრამ გადავრჩებით და არ ვიხილავთ ჩვენი თვალებით ჩვენივე წვრილ-შვილის სიკვდილს, ჩვენი ცოლებისა და ბავშვების სულის ამოხდომას» (ივდითი, VII, 27). რაღა უნდა ექნათ: გადაწყვიტეს, კიდევ ხუთი დღე გაეძლოთ და თუ ღმერთი შველას არ გამოუგზავნიდა, დამორჩილებოდნენ ოლოფერნეს ლაშქარს.

მაშინ ივდითი, მენაშეს ქვრივი, გამოცხადდა ქალაქის უხუცესთა შინაშე და უთხრა: ნუ მკითხავთ, რას გავაკეთებ. მომეცით ეს ხუთი დღე ვადად. მე ვიციო და ჩემმა უფალმა. დაყაბულდნენ უხუცესები ივდითის თხოვნას.

გაიხადა ქვრივის ძაძები ქალმა. მოირთო და მოიკაზმა. ფერ-უმარილი იცხო. თვალ-მარგალიტი აისხა. გონისწამღებად და თვალისმომჭრელად გაბრწყინდა მისი სილამაზე. ტაძარში ილოცა. ევედრებოდა უზენაესს: «სიმრავლეში არ არის შენი ძალა, არც ძლიერებაშია შენი ძალა, არამედ მდაბალთა ღმერთი ხარ, დამცირებულთა ქომაგი, უძლურთა შემწე, განწირულთა მფარველი, უსასოთა მხსნელი» (ივდითი, IX, 11).

მოახლე გაიყოლა და ოლოფერნეს ბანაკში გამოცხადდა ივდითი. ასე უთხრა ნაბუქოდონოსორის სარდალს მენაშეს ქვრივმა: შენ ერთადერთი კაცი ხარ მთელ სამეფოში სიბრძნით ძლიერი და საკვირველი საბრძოლო წყობაში. სცოდეს უფალს ისრაელიანთა. განარისხეს თავიანთი ღმერთი. სიკვდილი ეწევა მათ. მოსასპობად ჩაცვივდებიან ისინი შენს ხელში. როგორც კი ეს შევიტყვე, შენთან გამოვიქეცი. შენთან ერთად უნდა აღვასრულო საქმენი, რომელნიც გააოგნებენ მთელს ქვეყანას.

გაიხარა ფრიად ოლოფერნემ ამ ამბით. ქალითაც მოიხიბლა. ვერ გაუძლო ნაბუქოდონოსორის სარდალმა ივდითის სილამაზეს. ნდომამ სძლია. ქალთან ღამის გათევა მოისურვილა. ჩიტის რძე არ აკლდა, ისეთი სუფრა გაიწყო. სვი და იმხიარულე ჩვენთან ერთად, _ მიიპატიჟა ოლოფერნემ ივდითი. თვალთმაქცობდა ებრაელი ასული: _ შევსვამ, უფალო, რადგან ყველაზე მეტად დღეს ამაღლდა ჩემი სიცოცხლე, როგორც არასოდეს ჩემს დღეში. პურობა და ლხინი რომ მოათავეს, მარტოდ დარჩნენ კარავში ივდითი და ოლოფერნე. უგონოდ მთვრალი სარდალი ლოგინზე გაიშხლართა. მკვდარივით ჩაეძინა. ერთხელ კიდევ ევედრა ივდითი უფალს _ გამაძლიერეო. მახვილი აიღო. თმებში წაავლო ხელი ოლოფერნეს და ორლესული მთელი ძალით კისერზე დაჰკრა.

ფეხაკრეფით გამოვიდა ივდითი კარვიდან. კარებთან მოახლე უცდიდა. მოკვეთილი თავი ტომარაში ჩააგდეს. ნიავივით უხმოდ დატოვეს მტრის ბანაკი და ბეთულიასაკენ გაეშურნენ.

როცა დილით ჯარისკაცები კარავში შევიდნენ, თავზარდამცემი სურათი ნახეს: უთავო სარდალი სოხანზე ეგდო. ივდითი სადღაც გამქრალიყო.

ნაბუქოდონოსორის არმია აიყარა. ბეთულიას ალყა მოხსნეს. ქალის სილამაზით დამარცხებულნი, საიდანაც მოვიდნენ, იქით გაბრუნდნენ.

ბეთულია კი ზეიმობდა. მთელი ქალაქი გარეთ გამოფენილიყო და ივდითს ადიდებდა.

ესთერს პირადად მტერი არ მოუკლავს, მაგრამ მაინც ებრაელთა საქმეს ემსახურებოდა.

ას ოცდაშვიდ მხარეს ფლობდა მეფე ახაშვეროში. ბრძანა: ყველა ლამაზ ქალს სატახტოში მოუყარეთო თავი. ვინც მომეწონება, იგი გახდებაო დედოფალი. შეკრიბეს უამრავი ყმაწვილი ქალი და დედაქალაქ შუშანში ჩამოიყვანეს. მათ შორის იყო ესთერიც. ადრედაობლებულ ქალს ბიძაშვილი მარდოქაი პატრონობდა. ესთერიც და მარდოქაიც იმ ებრაელობას ეკუთვნოდნენ, ნაბუქოდონოსორმა რომ იერუსალიმიდან გადაასახლა.

მოეწონა ესთერი ახაშვეროშს. დედოფლად დაისვა.

ახაშვეროშს მინისტრი ჰყავდა ერთი _ ჰამანი, ყველაზე მეტად აღზევებული და ამაღლებული. ყველას მუხლი უნდა მოეყარა და თაყვანი ეცა ჰამანისათვის. ასე ჰქონდა მეფეს ნაბრძანები. ერთადერთი კაცი მარდოქაი იყო, ვინც ბრძანებას არ ემორცილებოდა. რისხვით ივსებოდა ჰამანი, მაგრამ უკადრისობდა, შური ეძია ერთ კაცზე. შეიტყო ჰამანმა, ებრაელი რომ იყო მარდოქაი. მაშინ გადაწყვიტა _ მოესპო მთელი იუდაელობა. მოახსენა მეფეს: არის ერთი ხალხი, გაფანტული სხვა ხალხებს შორის, შენი სამეფოს ყველა კუთხეში. მათი რჯული განსხვავდება ყველა ხალხის რჯულისაგან. ებრაელები უნდა გავანადგუროთო.

დაეთანხმა ახაშვეროში ჰამანს. მისცა იუდაელთა გაჟუჟვის უფლება. აღარავინ უნდა დაეტოვებინათ ცოცხალი.

იყო გლოვა, ვაი-ვიში და მოთქმა ყველა ქალაქში, სოფელში, სადაც კი ებრაელი ცხოვრობდა.

შეუთვალა მარდოქაიმ ესთერს: დედოფალი ხარ. წადი მეფესთან. სთხოვე ჩვენი ტომჯილაგის შეწყალება.

შეშინდა ქალი. აცნობა მარდოქაის: მთელმა სამეფომ იცის, მისმა ყოველმა მოქალაქემ, რომ ყოველ ადამიანს, ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, სიკვდილი ელის, ვინც მეფის დაუძახებლად შევა სასახლის შიდა ეზოში. ოცდაათი დღეა, რაც მეფეს არ უსურვებია ჩემი მიხმობა. არ ამცდება სასჯელი, თუ ახაშვეროშს არ ესიამოვნა ჩემი დანახვა.

_ იქნება ამ ერთი წამისთვის დაგსვა უფალმა დედოფლად. უშველე შენს ხალხს. თუ ყველა დაიხოცა, ვერც შენ გადარჩები, _ გადასცეს ესთერს მარდოქაის პასუხი.

_ თუ დავიღუპები, დავიღუპო, _ დაასკვნა დედოფალმა და სასახლის შიდა ეზოში შევიდა. გაჩერდა მეფის სახლის წინ. ტახტზე იჯდა ახაშვეროში. ესიამოვნა ესთერის დანახვა. მიაშვირა ოქროს კვერთხი და ჰკითხა _ რა მოხდა, დედოფალო ესთერ, რა სათხოვარი გაქვს?

_ თუ ხელმწიფე ინებებს, მობრძანდნენ ხვალ ჩემთან ნადიმზე მეფე და ჰამანი, _ უპასუხა ქალმა.

ორივე ეწვია მეორე დღეს ესთერს. ღვინის სმისას ისევ ჰკითხა მეფემ ესთერს _ რა აწუხებს დედოფალს, რა აქვს სახვეწარი?

_ რადგან განწირული ვართ მე და ჩემი ერი მოსასპობად, მომეცეს ჩემი სიცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ერი ჩემს სახვეწარში, _ შეემუდარა ქალი მეფეს.

_ ვინ არის იგი და სად არის, ვინც ბედავს ამ საქმეს? _ გაიკვირვა ახაშვეროშმა.

_ ჰამანია, ხელმწიფევ, ეს კაცი, _ უპასუხა ესთერმა, _ ორგული და ბოროტია იგი.

განრისხებული მეფე ადგა და ნადიმიდან გავიდა. ჰამანი დარჩა. ებრაელი ქალისათვის პატიების თხოვნა უნდოდა. უკან რომ შემობრუნდა მეფე, ჰამანი ესთერის საწოლზე დამხობილი დაინახა. ეგონა, დედოფალზე ძალადობას აპირებდაო ჰამანი და მთლად გადაირია. სტაცეს ხელი ჰამანს და იმ ძელზე ჩამოჰკიდეს, მარდოქაისათვის რომ ჰქონდა გამზადებული მინისტრს.

ის ბრძანებაც გააუქმეს, ჰამანმა მეფეს რომ გამოსტყუა ებრაელთა წინააღმდეგ.

გაბედა და გამოუტყდა ესთერი მეფეს, მარდოქაი მისი ნათესავი რომ იყო. მაშინ ჰამანის ადგილას დანიშნა ახაშვეროშმა მარდოქაი. ახლა ებრაელებმა იხელთეს დრო და გაჟუჟეს ისინი, ვინც მათ მტრობდა ახაშვეროშის სამეფოში («ესთერის წიგნი»).

თუ მედეას და არიადნეს თავგადასავალი ბერძნული პატრიოტიზმით არის გაჟღენთილი, ივდითისა და ესთერის ცხოვრება სავსეა ებრაული მამულისმოყვარეობით. ივდითისა და ესთერის წიგნებში სამშობლოსა და ებრაელი ხალხის სიყვარული იმდენად ყოვლისმომცველი გრძნობაა, რომ ავიწყდებათ კიდეც მოსეს რჯულის ერთ-ეთრი ძირითადი მცნება _ არა კაც ჰკლა. ესთერის წიგნის ავტორი, მაგალითად, ურცხვად იკვეხნის ამა და ამ ქალაქში ამდენი და ამდენი კაცი გავწყვიტეთლ (IX, 6-10, 15, 16). ამ შურისგებას ებრაელი ხალხის სიყვარული ითხოვდა და კაცისკვლა ბოროტმოქმედებად აღარ მიაჩნდათ. აქ პატრიოტული სიყვარული შეცვალა პატრიოტულმა სიძულვილმა. თუ პატრიოტული სიყვარული ის ძალაა, რომელიც ქვეყნის აღორძინებას უწყობს ხელს, პატრიოტულ სიძულვილს ყოველი ხალხი დაქცევამდე მიჰყავს. პატრიოტული სიძულვილი ატყუებს ადამიანს. მას ჰგონია, თავის ხალხს იცავს და სხვას ებრძვის. ნამდვილად კი ღვიძლი ხალხის საქმეს აფუჭებს, ხშირად საბედისწეროდაც. პატრიოტულმა სიძულვილმა დაღუპა ნაცისტური გერმანია. როგორც კი გერმანიის სიყვარული შემობრუნდა პატრიოტულ სიძულვილად ებრაელთა, ბოშების და სხვა ხალხების მიმართ, მაშინვე გამოეთხარა ძირი გერმანიის სიძლიერეს. ერი არასოდეს არ უნდა მოტყუვდეს და ერთმანეთში აურიოს პატრიოტული სიყვარული და პატრიოტული სიძულვილი. ამის გათვალისწინება განსაკუთრებით სჭირდება მცირერიცხოვან ხალხებს.

ერთი ხალხის სიყვარულმა მეორე ხალხის სიძულვილი დაბადა. აღმოჩნდა, რომ, სადაც სიყვარულია, იქვეა სიძულვილიც. ეს კანონზომიერებაა, თუმცა გვიჭირს ამ საიდუმლოს ამოხსნა.

ყველა რელიგია სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელთ ერთმანეთისათვის სიჟულვილი უფრო ემეტებათ, ვიდრე სიყვარული. ქრისტიანს უჭირს, დაიჯეროს, რომ მაჰმადიანი შეიძლება ისევე გიყვარდეს, როგორც ქრისტიანი. ასევე ფიქრობს მაჰმადიანიც. მასაც ქრისტიანის სიყვარული დანაშაულად მიაჩნია. ეშინიათ ადამიანებს იმისა, რომ სხვა სარწმუნოების კაცის სიყვარული არ ჩაეთვალოთ რწმენის ღალატად. ამგვარადვე იქცევა იუდაისტიც, ბუდისტიც, სინტოისტიც... ერთი სიტყვით, ყოველი რელიგიის წარმომადგენელი. ერთმორწმუნეთა სიყვარულმა და სხვამორწმუნეთა სიძულვილმა წარმოგვა უსასტიკესი რელიგიური ომები კაცობრიობის ისტორიაში. ისინი დაუნდობლად ანადგურებდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანის

დროშას ეწერა _ სიყვარული, სათნოება, თანალმობა, პატიება. ქალ-ვაჟიანშიც ასეა: სიყვარულის გვერდით ყოველთვის სიძულვილია.

ძიძიას უყვარს ონისე, მაგრამ სძულს გუგუა (ალ.ყაზბეგი _ «ხევისბერი გოჩა»).

ანა კარენინას უყვარს ალექსეი ვრონსკი, მაგრამ სძულს ალექსეი კარენინი (ლ.ტოლსტოი _ «ანა კარენინა»).

ემა ბოვარს უყვარს როდოლფი, მაგრამ სძულს შარლ ბოვარი (გ. ფლობერი _ «მადამ ბოვარი»).

არც გუგუას, არც ალექსეი კარენინს, არც შარლ ბოვარის არავითარი ბოროტება არ ჩაუდენიათ, მაგრამ მაინც სიძულვილი დაიმსახურეს. ისინი უნებლიეთ უშლიან ხელს ძიძიას, ანას, ემას იმ სიყვარულით ტკბობაში, რომელიც ამ ქალებს დაეუფლათ. «სიყვარულის სამაია არ იქნება სამთაგანა» (გ.შატბერაშვილი). რაკი არ ხერხდება სამთა მორიგება, ბუნებრივია, რომ ერთის ხვედრი სიყვარულია, მეორესი _ სიძულვილი. თუმცა ზოგჯერ ცდილობენ სამთა ჰარმონიის დახატვას. ფრანსუაზა საგანმა მოსინჯა ეს რომანში «თევზის სისხლი». კინორეჟისორი კონსტანტინე ფონ მეკი ტკბება უმშვენიერესი ქალის ვანდა ბლასენის სიყვარულით, მაგრამ ასევე გატაცებულია ბოშა ჭაბუკის რომანოს ტრფიალებითაც. არც ვანდა და რომანოა ერთმანეთისადმი გულგრილი. მაგრამ ეს სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც ასე სძულდა ვაჟა-ფშაველას.

კაცმა ქალობა დაიწყო,
კოხტაობს სიტყვანაზია,
ფერს და უმარილს ისომს, _
მაშ არ მომივა ბრაზია?!.

(«მოხუთის ნათქვამი»)

სიყვარულის სხვადასხვა სახეობათა შორისაც არსებობს სიძულვილი. დიდი ხნის წინათ, დრო რომ შეიცვალა და ქრისტიანობა გამტკიცდა, სიყვარული-აგაპე დაუპირისპირდა სიყვარულ-ეროსს. თითქოსდა ასე არ უნდა მომხდარიყო. თუ იუდაიზმისა და ქრისტიანობის თვალსაზრისით, ადამიანი ხატად ღმერთისად იყო შექმნილი, ბერძნულ-რომაული წარმართობა საერთოდ ვერ ხედავდა განსხვავებას ღმრთისა და ადამიანის გარეგნობაში. ანტიკურ ეპოქაში შექმნილი ყველა ქანდაკება და კედლის მხატვრობა ღმერთებს წარმოგვიდგენს უმშვენიერეს დედაკაცებად და მამაკაცებად. ღმერთი მშვენიერი იყო და, ცხადია, ადამიანიც მშვენიერი უნდა ყოფილიყო, როგორც უზენაესის მიწიერი და ხორციელი ხატება. ადამიანის სიყვარული ღმრთის სიყვარულსაც გულისხმობდა. და მაინც, სულის სიყვარულის სახელით დაიგმო ხორცის სიყვარული.

ქალწული იუსტა მგზნებარედ უყვარს ჭაბუკ აგლაისს, მაგრამ ქალი უარს ამბობს ტრფობაზე, რაკი ქრისტეს მიუძღვნა თავი. მაშინ აგლაისმა დახმარებისათვის მოგვ კიპრიანეს მიმართა. იქნება დაფარულის მჩხიბავმა ქალის გული ჩემკენ შემოაბრუნოსო, _ ფიქრობდა ყმაწვილი. კიპრიანე შეპირდა აგლაისს შველას.

სამგზის მიუგზავნა კიპრიანემ იუსტას ეშმა. სამგზის შეეცადა ეშმაკი, ეცდუნებინა ქალწული. სამგზის მოედო იუსტას ვნების ცეცხლი და აღენთო დაუოკებელი ხორციელი ლტოლვით. სამგზის ევედრა ქალი ღმერთს _ ეხსნა იგი წაწყმედისაგან. ერთხელ ლამის

დაკრგა თავგზა, როცა ეშმამ ევა გაახსენა: ადამის სარეცელი რომ არ გაეზიარებინა პირველდედას, არ იქნებოდაო ადამიანთა მოდგმა. მაგრამ მაინც სძლია ცდუნება იუსტამ. ლოცვითა და პირჯვრის წერით დათრგუნა ხორცი.

როცა კიპრიანემ დაინახა, რომ შეუძლებელია იუსტას მოტეხა, მაშინ გადაწყვიტა იმ ღმერთის აღიარება, რომელმაც ქალს ეშმაკი დააძლევინა. მან ნათელიღო და ქრისტეს სამსახურს შეუდგა.

კიპრიანეს ამბავს ბიზანტიის იმპერატრისა და პოეტესა ევდოკია გვიყვება.

საუკუნეების განმავლობაში იქნება მწერლობის საგანი აგაპეს და ეროსის ბრძოლა. ცხადია, ქართულ ლიტერატურაშიც დიდი ადგილი უჭირავს მას. გავიხსენოთ თუნდაც «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში» აშოტ კუროპალატისა და მეჭურჭლე ქალის ტრფობა. როცა დედა ფებრონიამ მონასტერში შეიფარა ქალი და იგი მეფემ ვერ დაიბრუნა, გულმკვდარმა აშოტმა წამოიძახა _ «ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს». მიწიერი სიყვარულის დამარცხებით აღტაცებული გიორგი მერჩულე კი დასძენს _ «ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიეს».

ჰაგიოგრაფოსისათვის, უეჭველი და ცხადია, რომ მეფისა და მეჭურჭლე ქალის გადარეული სიყვარული დასაგმობია, «რამეთუ არა ღონითა რითიმე კაცებრივითა მახეთაითა იყო ტრფიალ მისა მიმართ ხელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა...»

ეროსისა და აგაპეს წინააღმდეგობა უფრო ხელოვნური იყო, ვიდრე ბუნებრივი. ადამიანს მიწიერი სიყვარული ისევე სჭირდება, როგორც ზეციერი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიწიერი სიყვარულის თვინიერ კაცობრიობა გადაშენდება. თუ კაცობრიობა გადაშენდა, მაშინ აღარც მიწიერი სიყვარულია საჭირო და აღარც ზეციერი.

როგორც ეტყობა, სიყვარულის ორი სახეობის _ ზეციერისა და მიწიერის _ დაპირისპირება ყოველ დროში აწუხებდათ. ზოგჯერ ამას მწარე ირონიით გამოხატავდნენ (ჯოვანი ბოკაჩო _ «დეკამერონი»), ზოგჯერ ფილოსოფიურ პასუხს ეძებდნენ (ვასილ ბარნოვი _ «ტრფობა წამებული»).

ვნებათა დამორჩილების საკითხი მაკაბელთა მეოთხე წიგნის ავტორმაც დასვა. მან პირდაპირ კითხვით დაიწყო: «განაგებს თუ არა ვნებებს ღვთისმოსავი აზრი?» პასუხიც ცალსახად მოგვცა _ სწორედ «გონებაა ვნებათა გამგებელი». მაგრამ ეს პასუხი უფრო სურვილი იყო, ვიდრე სინამდვილე. ამას თავადაც გრძნობდა, რაკი ესეც თქვა: «გონება ვნებათა აღმომფხვრელი კი არ არის, არამედ მათი წინააღმდგომია». აი, ეს არის სირთულე, რომლის მოგვარება არ ხერხდება. ცხოვრებაც და მწერლობაც ადასტურებს, რომ გონებისა და ვნებების ჭიდილში, როგორც წესი, ვნება იმარჯვებს. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როცა გონება სძლევს ვნებას. ვნების დათრგუნვას არა მარტო დიდი და ღრმა გონება სჭირდება, არამედ უდრეკი ნებისყოფაც. მათი შეერთება ერთ ადამიანში ბედნიერი გამონაკლისია. ეს ერთი მხარეა პრობლემისა. არის მეორეც, არანაკლებ არსებითი. თუ სიყვარულის ვნებას გონებით ჩავკლავთ, მაშინ რაღა ღირებულება და დანიშნულება აქვს ამგვარ ტრფობას? არსებობს კი მაშინ სიყვარული? თუ მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა, მაშინ გონებით დათრგუნული სიყვარული უკვე აღარ არის სიყვარული. შეიძლება ცივი გონება გააღიზიანოს იმ ურთიერთდამოკიდებულებამ, რაც კნუტ ჰამსუნს აქვს აღწერილი

მოთხრობაში _ «სიყვარულის მონები», მაგრამ რას იზამ, რას მოახერხებ? ასეთი მზაკვარია სიყვარული. ვლადიმერისათვის ან რესტორნის ფარეში ქალისათვის რომ გეთქვათ, ასეთი ბრმა სიყვარული ადამიანთა და საზოგადოების თვალში თქვენ გამცირებთ და გაკნინებთო, გონებით დაგეთანხმებოდნენ, მაგრამ გულით? რა დიდი სურვილიც უნდა ჰქონოდა მათ გონებას გულის დაძლევისა, მაინც ვერ მოახერხებდნენ. აკი ვერც მოახერხეს. როცა ადამიანის გული ისე მეტყველებს, როგორადაც ტარიელისა, მაშინ გონება არა მარტო დუმს, არამედ საერთოდ გამოთიშულია.

ამ წრეში შეველ ჩემის ნებით და ცრემლებს ვხარჯავ
ახლა ამაოდ. სიყვარული რომ უდრის სიკვდილს.
ხოლო წამება _ ნეტარებას. მე ამას მივხვდი.
აქვს ერთნაირი ხმოვანება «ვნებას» და «ტანჯვას».

პეტრარკა _ სონეტი CXXXII
გ.გეგეჭკორის თარგმანი

რაკი ადამიანი მონის თვისებას ავლენს სიყვარულში. მაშინ ისიც ბუნებრივია, რომ ამ კეთილშობილ გრძნობას უკავშირდება სიძულვილიც, ძალადობაც, პატივმოყვარეობაც, შურისგებაც, ეგოიზმიც და სხვა ნაირ-ნაირი მანკიერებანი.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობაში დამორჩილების აზრი სჭარბობს თანასწორობის აზრს. ქვეცნობიერად ქალი გახარებულია, თუ ვაჟი დაიმორჩილა, დაიმონა. ვაჟზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იგი ხომ ხარობს და ხარობს ქალის დამორჩილებით. ამ დამორჩილებას პატივმოყვარეობაც ერთვის, ძალადობაც, უპირატესობის განცდაც და შურისგებაც... ნაირ-ნაირი გრძნობა-განცდა ჩახლართულ-ჩაწნულია ერთმანეთში. ერთობ ძნელი ამოსაცნობია _ სად არის წმინდა სიყვარული და სად ქვენაბუნების ქმედება. თუ ოტელოს ალალი სიყვარული ამოძრავებს, იაგოს ქვენაბუნება წარმართავს. ეს იოლი დასანახია, რადგან შექსპირი აშიშვლებს ვნებებს და ღიად წარმოგვიდგენს. მაგრამ ძალიან ძნელი გასაგებია, რატომ დაესხა თავს მოსაკლავად ჟულიენ სორელი მადამ დე რენალს (სტენდალი _ «წითელი და შავი»). იაგოს არც ოტელო უყვარს და არც დეზდემონა. მას სხვისი ბედნიერების დანგრევა უნდა. რა, სორელსაც სხვისი ბედნიერების დანგრევა უნდა? მადამ დე რენალიც სხვისი ცოლია და შვილებიც ჰყავს. რა იფიქრა სორელმა _ რაკი ჩემი ვერ იქნება, ნურც სხვას ეყოლებაო? ნუთუ აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც გიორგი წეერთლის «პირველ ნაბიჯში»? ერემია წარბა კლავს ესმას ერთი განზრახვით _ ქალი არც მე და არც ბახვა ფულავას. «წითელი და შავში» სულის გაცილებით რთული მოძრაობაა. მადამ დე რენალს ბრბოს თვისება აქვს. რაც მეტია ძალადობა, მით მეტია სიყვარული და ერთგულება. ამიტომ უყვარს დუნდგოს დიქტატორი. მადამ დე რენალმა სწორედ თავდასხმის შემდეგ შეიყვარა ჟულიენ სორელი თავდავიწყებით. ეს კი სორელის პატივმოყვარე სულს უდიდესი სიამაყით აღავსებს. იგი არ არის უბრალო მამაკაცი. მას ემორცილებიან. იგი მბრძანებელია. მართალია, იგი ვერ მბრძანებლობს არმიებს, ხალხებს, მაგრამ მბრძანებლობს ადამიანს, პიროვნებას.

თუ ერემია წარბას მარტივი ეგოიზმი ამოქმედებს, ჟულიენ სორელს _ რთული და მრავალფეროვანი პატივმოყვარეობა. მასში განუხორციელებელი დიქტატორი ზის. არსად ისე მკაფიოდ არ ვლინდება მამაკაცის სულში ჩადებული დიქტატორი, როგორც ქალისადმი

დამოკიდებულებაში. შოდერლო დე ლაკლოს ცხოვრებაზე რომ საუბრობს, ფრიად საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს ანდრე მორუა. როცა ლაროშელში ფრანგი ადმირალის ასულს სოლანჟ-მარი დიუპერეს «სახიფათო კავშირნი» წაუკითხავს, უთქვამს _ ამ წიგნის ავტორი ჩემს სახლში ვერ შემოვაო. ეს ყმაწვილი ქალი მაშინ შეიყვარა ორმოცდასამი წლის დე ლაკლომ. ჯერ აცდუნა და მერე ცოლად შეირთო. დე ლაკლოს ენერგიას იმხანად სხვა ასპარეზი არ ჰქონდა და ქალის დამორჩილებაში გამოვლინდა. მაგრამ მერე, როცა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მას არენა მისცა, ქალი აღარ გახსენებია. რევოლუციაში დახარჯა ენერგია.

დამორჩილების ვნებამ და ენერგიის დახარჯვის პრობლემამ გააჩინა მსოფლიო ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი პროტაგონისტი დონ ჟუანი. ანდრე მორუა წერს: «როგორ ყალიბდებოდა დონ ჟუანის ხასიათი?.. ბაირონის მაგალითი ამის ერთგვარ გამოკვლევის საშუალებას გვაძლევს. ბაირონი სათუთი მიჯნური იყო იმ დღემდე, ვიდრე პირველმა სიყვარულმა არ უღალატა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო და, შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე არც შეუწყვეტია ქალის შურისძიება. იმ ერთი ქალის ღალატისათვის ყველა მის წარმატებას წარმართავდა არა იმდენად სურვილი, რამდენადაც პატივმოყვარეობისა და შურისძიებაზე ფიქრი...»

დონ ჟუანის სახეში თავმოყრილია დამორჩილების, პატივმოყვარეობის, შურისგების ვნება-გრძნობანი. იგი ადამიანის სამყაროს მრავალი კუთხით აშუქებს.

ტარკვინიუსს ძალაუფლება არ აკლდა, მაგრამ ლუკრეციას დამორჩილება მის პატივმოყვარეობას განსაკუთრებით ესალბუნებოდა. თუმცა შეეწირა კიდეც ამ ძალადობას.

ანდრეას გარშემო დაბანაკებული ჯარის სარდლები ერთ საღამოს ტარკვინიუსის კარავში შეიკრიბნენ. ცოტა რომ შეთვრნენ, თავიანთი ცოლების კეთილზნეობის ხოტბას შეუდგნენ. განსაკუთრებით კოლატინუსი აქებდა თანამეცხედრეს _ ლუკრეციას. ღვინით გაბრუებულებს ჭკუამ აღარ დაუშალა და ისინი რომში დაბრუნდნენ ცოლების ერთგულების შესამოწმებლად. კოლატინუსს გარდა, ქალი არც ერთს დახვედრია სახლში. მარტო ლუკრეცია იჯდა შინ სართავით გართული. ამ ამბავმა ტარკვინიუსი გააბოროტა. შურით აღავსო. ლუკრეციას დამცირება გადაწყვიტა. როცა სარდლები უკან დაბრუნდნენ ბანაკში, ტარკვინიუსი რომში დარჩა. იგი ღამით კოლატინუსის სახლში შეიპარა და ლუკრეცია ძალდატანებით გააბახა. ლუკრეციამ მამასა და ქმარს შეუთვალა _ დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ რომში. ქალი სამგლოვიარო ტანსაცმელში რომ ნახეს, ორივე _ მამაცა და ქმარიც _ გაოცდა. ლუკრეციამ ყველაფერი უამბო, რაც მოხდა. თან ითხოვა, შური ეძიათ მისი ნამუსის შებილწვისათვის. ეს ამბავი მთელმა რომმა შეიტყო. გამძვინვარებულმა რომაელებმა ტარკვინიუსთა ხელისუფლება დაამხეს. ისინი მარადიული ქალაქიდან გააძევეს და ძალაუფლება კონსულებს გადასცეს.

ამ ძველრომაულ ამბავში, ერთი მხრივ, პატიოსნების და, მეორე მხრივ, შურის, პატივმოყვარეობის, ძალადობის პრობლემები იზიდავდა შექსპირს, როცა იგი თავის «ლუკრეციას» ქმნიდა. ეს უბერებელი საკითხები მწერლის ფანტაზიას ნოყიერ საკვებს აძლევდა. სექსუსი არა მარტო აღაზევებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა (ვინ მოთვლის რამდენ ადამიანს გაუკეთებია პოლიტიკური კარიერა საყვარელთა დახმარებით), არამედ ამხობდა

კიდეც. ერთ-ერთი პირველთაგანი დამხობილთა შორის ტარკვინიუსიც იყო. თუ ოტელოსა და დეზდემონას სიყვარული რასობრივ საკითხსაც ეხებოდა, ლუკრეციას გაუპატიურება ძალაუფლების პრობლემაზეც აფიქრებდა მკითხველს. სექსუსი ბიოლოგიურ ჩარჩოს არღვევდა და საერთო-სააზროვნო განსჯის სსგანი ხდებოდა. შექსპირის შემოქმედებაში განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა, რომ სექსუსი ყველა საქმის მონაწილეა. იქნება ეს რასობრივი ურთიერთობანი («ოტელო»), მამა-შვილთა დამოკიდებულებანი («მეფე ლირი»), ბრძოლა ხელისუფლებისათვის («მაკბეტი»), გვართა ფეოდალური მტრობა («რომეო და ჯულიეტა»), ღალატი და ერთგულება («ჰამლეტი») თუ სხვა ქმედება საქციელი ადამიანისა. საიდუმლო, რომლის ამოცნობისაკენ «ოიდიპოს მეფის» ავტორმა მოუწოდა კაცობრიობას, თანდათანობით ხდებოდა ყველას ფიქრისა და განსჯის საგანი.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობაში სექსუსმა დაჩაგრულობის პრობლემა რომ წამოსწია წინ, ემაპსიპაციის, თანაბარუფლებიანობის, იდეაც გაჩნდა. დაიწყო არა მარტო ფემინისტური მოძრაობა, არამედ ლიტერატურაში გამოჩნდა ქალი-დონ ჟუანი, რომლის ცოცხალი სახეა ტერეზიტა, დახატული კნუტ ჰამსუნის «ცხოვრების დრამაში». ტერეზიტას შეიძლება სძულდეს კიდეც მამაკაცი, მაგრამ მაინც იმაკინტლოს მასთან. ქალისადმი მამაკაცის დაუოკებელ მისწრაფებაში ჰამსუნის გმირი საკუთარ ძალას ხედავს. რამდენადაც დიდია ვაჟის ლტოლვა, იმდენადვე დიდია ტერეზიტას ძალა. ქალს შეუძლია მამაკაცი ტიკინად გადააქციოს, დაიმონოს, დაიმორჩილოს. შურისძიების წმინდათაწმინდა აქტი აღსრულებულია. თუ ადრე მამაკაცი ბატონობდა ქალზე, ახლა დედაკაცსაც შეუძლია იბატონოს ვაჟზე. ტერეზიტას ეს უსაზღვრო სიამაყეს ანიჭებს. იგი ისეთივე ზიზღით უცქერის მის წინაშე მუხლებზე დაჩოქილ მამაკაცებს, როგორითაც ძველი რომაელი მხედართმთავრები უმზერდნენ ტრიუმფების დროს მათ წინ მიმავალ ქედზებორკილდადებულ მონებს.

სექსუსის ყველაფერში მონაწილეობამ, ერთი მხრივ, ზიგმუნდ ფროიდის თეორია წარმოშვა და, მეორე მხრივ, _ სქესობრივი კომუნიზმისა ( ამ ტერმინს არ.ჯორჯაძეს დავესესხე). თუ ფროიდის თეორია ზერელედ, მაგრამ მაინც ცნობილია ქართველი მკითხველისათვის, სქესობრივი კომუნიზმი არსებითად უცნობია. სქესობრივი კომუნიზმი ნაწილია სოციალიზმის თეორიისა. თითქოს საქართველოში, როგორც სოციალისტურ ქვეყანაში, კარგად უნდა სცოდნოდათ, მაგრამ ასე არ არის. როცა სქესობრივი კომუნიზმის რეალურად განხორციელების ცდა მოხდა, კომუნისტები მალე მიხვდნენ, რომ ეს შეუძლებელია და უარი თქვეს მასზე. ამიტომ ლაპარაკიც შეწყვიტეს. ისეთი პოზა დაიჭირეს, თითქოს იგი არც იყო სოციალიზმის თეორიის ნაწილი და ზოგიერთი დამთხვეულის თავში დაბადებულ აბდაუბდად გაასაღეს.

რატომ გაუჩნდათ სოციალისტებს სქესობრივი კომუნიზმის აზრი? მოგეხსენებათ, სოციალისტები ჰარმონიული საზოგადოების შექმნაზე ოცნებობდნენ, ამ საზოგადოებაში ადამიანი არ იქნებოდა ადამიანის მტერი. შუღლი არ გამოხრავდა მათ გულს. ერთმანეთს არ გაანადგურებდნენ. თუ ძმებივით არ ეყვარებოდათ ურთიერთი, ნაცნობებივით მეგობრულად მაინც იცხოვრებდნენ. უნდა მოესპოთ ყველაფერი ის, რაც ადამიანთა მტრობას უწყობს ხელს... შუღლის ხელშემწყობთა შორის სექსუსიც იყო. დედაკაცისა და მამაკაცის

ურთიერთობა, სიყვარული, უკავშირდებოდა ეჭვიანობას, სიძულვილს, მეტოქეობას, ძალადობას, მკვლელობასაც კი. სიყვარულის გულისათვის ადამიანი არა მარტო სხვას კლავს, არამედ თავსაც იკლავს. ამ მანკიერებათა მოსასპობად, ფიქრობდნენ სოციალისტები, საჭიროა სექსუსის გათავისუფლება, ანუ ადამიანთა სამყაროშიც ისეთი ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრება, როგორც ცხოველთა სამყაროშია (ძაღლმა ძაღლთან რომ იმაკინტლოს, ამისათვის აუცილებელი არ არის, მათ ერთმანეთი უყვარდეთ, ოჯახს ქმნიდნენ, შვილების აღზრდაზე ზრუნავდნენ). რაკი სექსუალური ურთიერთობა აუცილებელია ბიოლოგიური ჯიშის გამრავლებისათვის, მოხდეს ეს თავისუფალი სექსუალური ურთიერთობით. სქესობრივი კომუნიზმის აზრით, ყველა ქალი ეკუთვნის ყველა მამაკაცს და ყველა მამაკაცი ეკუთვნის ყველა ქალს. თუ ასეთი თავისუფალი ურთიერთობა დამყარდება ვაჟსა და ქალს შორის, მაშინ, სქესობრივი კომუნიზმის პროპაგანდისტთა აზრით, აღარ იქნება რაყიფების მტრობა, ეჭვიანობა, სასიყვარულო ეგოიზმი და დეპრესია, ძალადობა, ცდუნება და... ერთი სიტყვით, ბევრი მანკიერება, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, სექსუსი იწვევს.

თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის შედეგად დაბადებულ ბავშვებს კი წაიყვანდა სახელმწიფო და აღზრდიდა საგანგებო თავშესაფარში. აქ აღზრდილ ბავშვებს არ ეცოდინებოდათ, ვინ არიან მათი მშობლები, ვინ არიან მათი და-ძმანი, ნათესვები. ამიტომ ისინი თავისუფალი იქნებოდნენ ოჯახური ეგოიზმისაგან _ ჩემი დედა, ჩემი მამა, ჩემი და, ჩემი ძმა... იქნებოდა მხოლოდ «ჩვენი» და ყველას თანაბრად ეყვარებოდა ერთმანეთი. ვენ დაინახავდნენ ურთიერთ განსხვავებას. როგორც კატას არ უყვარს, სხვა კატაზე უფრო მეტად, თავისი და-კატა ან ძმა-კატა, ასევე არ მიანიჭებდა ადამიანი უპირატესობას თავის მშობლებს სხვის მშობლებთან შედარებით ან თავის და-ძმას სხვის და-ძმებთან შედარებით.

ამის კითხვისას უკვე მესმის მკითხველის სიცილი, მაგრამ, საუბედუროდ, სასაცილო არაფერია. სქესობრივ კომუნიზმს სრულიად სერიოზულად ქადაგებდნენ ჭკვიანი, განათლებული ადამიანები, რომელნიც გულწრფელად ფიქრობდნენ კაცობრიობის გაბედნიერებაზე. რას იზამთ, სასაცილო და აბსურდულ ვითარებაში ჭკვიანი კაცი ვარდება, თორემ ბრიყვი და სულელი გამუდმებით ამ მდგომარეობაში იმყოფება. გარდა ამისა, არის ეპოქები, როცა ადამიანებს ტოტალური სიგიჟე დაეუფლებათ.

მადლობა ღმერთს, რა ჭირიც უნდა მიკერძო ადამიანს, ცხოველს ვერ დაამსგავსებ. სქესობრივი კომუნიზმი არა მარტო ზნეობრივად არის ადამიანთათვის მიუღებელი, არამედ _ ბიოლოგიურადაც შეუძლებელი. ადამიანთა სექსუალურ ცხოვრებას და ცხოველთა სექსუალურ ცხოვრებას შორის სწორედ ბიოლოგიურად არ არის საერთო არაფერი (მსგავსება სრულიად მოჩვენებითია). ორივეს უღრმესი და ურთულესი თავისებურებანი ახასიათებს, რაც გაპირობებულია ადამიანის არსის განსხვავებით ცხოველის არსისგან.

სქესობრივი კომუნიზმის თეორიას თავად სოციალისტთა პირადი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა კატეგორიულად. სანიმუშოდ ორი ფართოდ ცნობილი სოციალისტის _ როზა ლუქსემბურგისა და ლეო იოგიჰესის _ ურთიერთობას მოვიშველიებ.

როზა ლუქსემბურგი გარეგნობით გონჯი ქალი იყო: ტანად მეტისმეტად ჩია, კოჭლი და დიდთავა. მაგრამ არაჩვეულებრივად სექსუალური ყოფილა. მამაკაცებს ანდამატივით იზიდავდა. ძნელი სათქმელია, რა ქმნიდა მის სექსუალობას _ ნიჭი, ჭკუა, ორატორული

ტალანტი თუ დაუოკებელი ენერგია. ფაქტი ის არის, რომ მამაკაცები გულგრილი ვერ რჩებოდნენ როზას მიმართ. ლეო იოგიხესსაც უყვარდა იგი. ეს სიყვარული უპასუხოდ არ დარჩენილა. როზაც მთელი არსებით მიეცა მას.

როზა ლუქსემბურგი მზად იყო, ცოლად გაჰყოლოდა ლეო იოგიხესს. ბავშვებიც მრავლად გაეჩინა, მაგრამ ლეო, როგორც სოციალისტი, წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიული ქორწინებისა. არც შვილების ყოლა უნდოდა იოგიხესს, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი ხელს შეუშლიდნენ რევოლუციურ საქმიანობაში. ჯვარდაუწერელი დარჩა მათი სიყვარული, მაგრამ ტრფობა მანამ არ განელებიათ, სანამ ასპარეზზე მესამე პირი არ გამოჩნდა _ კლარა ცეტკინის ვაჟიშვილი კოსტია ცეტკინი.

კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი განუყრელი მეგობრები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასაკობრივად დიდად სხვაობდნენ. კლარა ბევრად უფროსი იყო როზაზე. კოსტია ცეტკინს როზა ბავშვობიდანვე იცნობდა. ქალის თვალწინ ვაჟკაცდებოდა ბიჭი. ოცდაერთი წლის რომ გახდა კოსტია, როზამ მოულოდნელად სულ სხვა თვალით შეხედა მას. უკვე ასაკიან ქალს ჭაბუკი ცეტკინი შეუყვარდა. კოსტიასაც მოეკიდა როზას ტრფობა.

სანამ ლეო იოგიხესი ციხეში იჯდა, როზასა და კოსტიას სიყვარული უღრუბლო ცის ქვეშ მიმდინარეობდა, მაგრამ ლეო ციხიდან გამოვიდა. ბერლინში დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ... სოციალისტებს თურმე სრულიად არ მოსწონთ სქესობრივი კომუნიზმი, როცა იგი მათ პირად ცხოვრებაში ერევა. ლეომ ვერ აიტანა როზასა და კოსტიას ურთიერთობა, დაიწყო გაუთავებელი სკანდალები, მაგრამ რა სკანდალები!.. დაავიწყდათ ყველაფერი: სოციალიზმი, რევოლუცია, მარქსიზმი, ასაკიც (როზა უკვე 36 წლის ქალი იყო)... იყო მიხტომა-მოხტომა, ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპაც კი. ბოლოს ლეო იოგიხესმა მაინც წაართვა როზა კოსტია ცეტკინს.

ეჰ... სიყვარულზე სალაპარაკოს რა გამოლევს. რა ამოწურავს იმას, რაც სიყვარულზე დაწერილა. ვინ გააანალიზებს იმას, რა საქმეც სიყვარულს ჩაუდენია. იგი ყველგან და ყველაფერშია განფენილი.

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსეობბს
უსიყვარულოდ.

(გალაკტიონ ტაბიძე)

თუ ასეა, რატომღაა სიყვარულთან დაკავშირებული სიძულვილი, მტრობა-შუღლი, მკვლელობა და სხვა ბოროტებანი? საქმე ის გახლავთ, რომ სიყვარული შემოქმედია. იგი ქმნის ახალს. იგი ბადებს ყოველივეს. საღ ნაყოფსაც და ჭიამატლიანსაც, მსხმოიარე ხე ისხამს, თორემ უსხმოს არაფერი აბია. ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, ჭკვიანსაც და უჭკუოსაც, ლამაზსაც და მახინჯსაც შვილიერი ქალი შობს, თორემ ბერწი არავის ბადებს. ეს დამბადებელის

თვისებაა. სიყვარულიც დამბადებელია. ბუნებრივია, რომ იგი კარგსაც შობს და ავსაც. ამასთან ერთად, დაბადება ღვთაებრივი საიდუმლობაა. მას ადამიანი ვერ ამოიცნობს. სიყვარულიც ამოუცნობი საიდუმლოებაა.

აპულეუსი «ოქროს ვირში» გვიამბობს:

ულამაზესი ქალი იყო ფსიქეა. სიყვარულის ქალღმერთს, ვენუსს შურდა მისი. ვენუსმა თავისი ვაჟიშვილი ამური მიუგზავნა ფსიქეას საცდუნებლად. მაგრამ სიყვარულის ღმერთი მოიხიბლა ქალით. მათ მგზნებარედ შეუყვარდათ ერთმანეთი. ფსიქეამ არ იცოდა, ვინ იყო მისი ნანდაური. ამური ღამღამობით მიდიოდა მასთან. პირობაც ჰქონდა ფსიქეასათვის ჩამორთმეული: არ დაინტერესებულიყო ვაჟის ვინაობით, თორემ გაქრებოდა მათი სიყვარული. ერთხანს მტკიცედ ასრულებდა ფსიქეა პირობას. მაგრამ იგი ქალი იყო და ცნობისმოყვარეობამ სძლია. ღამით, როცა ამურს ეძინა, სინათლე აანთო და მიჯნურს დახედა. ქალმა იცნო სიყვარულის ღმერთი, მაგრამ ამური გაუჩინარდა.

ასეა: თუ სიყვარულის საიდუმლოების ამოცნობას შეეცადეთ, იგი ხელიდან გამოგეცლებათ. კაცობრიობას კი სურს, რომ აფროდიტე მარად ცოცხლობდეს.

23 აგვისტო, 1991 წ.

## არჩილ ჯორჯაძის ტრიადა

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ბორგავდა საქართველო. ხან აჯანყებით, ხან შეთქმულებით, ხან ერთგულების გამოცხადებით ცდილობდა რუსეთის კოლონიური უღლის შემსუბუქებას. ამაოდ, რუსეთს მტკიცე ხელით ეპყრა კოლონიები და სრულებით არ ფიქრობდა რაიმე შეღავათის მიცემას მათთვის. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ჩრდილო მეზობელი დიადი და ძლიერი სახელმწიფო იყო, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა და მკაფიოდ არ იკვეთებოდა, რა გზას დასდგომოდა.

1555 წლიდან საქართველო აღარც იურიდიულად და აღარც ფაქტობრივად დამოუკიდებელი აღარ ყოფილა. 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად საქართველო შუა გაიყო. აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთ საქართველო _ თურქეთს. ქართველ მეფეებს, სულერთია იმიერ საქართველოსი იქნებოდა თუ ამიერ საქართველოსი, თურქეთის სულთანები და ირანის შაჰები ისევე ნიშნავდნენ, როგორც მოსკოვი ნიშნავდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივნებს კომუნისტური რეჟიმის დროს.

ირან-თურქეთისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველაზე დიდ შედეგს ერეკლე მეორემ და სოლომონ პირველმა მიაღწიეს. მათ ძალიან შეამცირეს ირან-თურქეთის გავლენა, შეზღუდეს მათი ბატონობა, მაგრამ სრული გათავისუფლება მაინც ვერ მოახერხეს. ისინი ისევ დარჩნენ ვასალებად: ერეკლე მეორე _ ირანისა, სოლომონ პირველი _ თურქეთისა. ასეთ ვითარებაში ქართველი მეფეების წინ ალტერნატივა ამგვარად იდგა: საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ იგი ვასალია ისლამური ირან-თურქეთისა. ამ

ვასალობისაგან სრულიად თავის დაღწევას ვერ ახერხებს. ამიტომ რა სჯობს _ დარჩეს ქრისტიანული საქართველო ისლამური ირან-თურქეთის ვასალი თუ გახდეს ქრისტიანული რუსეთის ვასალი? ქართველმა მეფეებმა ამჯობინეს ქრისტიანული რუსეთის ვასალობა. ამდენად, 1801 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა (რაც არ ჰქონია) კი არ უნდოდა, არამედ ბატონის, სუზერენის გამოცვლა. მაგრამ ქართული სამეფო კარის პოლიტიკა მოტყუებული აღმოჩნდა. რუსეთი ბევრად უფრო სასტიკი დამპყრობელი გამოდგა, ვიდრე ირან-თურქეთი. რუსეთმა მოსპო საქართველო, როგორც სამეფო, როგორც სახელმწიფო. გაანადგურა ქართული სამეფო დინასტია. ქართული ეკლესიიდან განდევნა ქართული ენა და რუსული დაამკვიდრა. ეს არ გაუკეთებიათ არც მონღოლებს, არც სპარსელებს, არც თურქებს. ისინი იმითაც კმაყოფილი იყვნენ, რომ საქართველო მათი ვასალი იყო.

შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს _ რა შუაშია ეს ისტორიული ექსკურსი და არჩილ ჯორჯაძე? რაც მოგახსენეთ, ის თუ არ გავითვალისწინეთ, ვერ ავხსნით, რატომ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და არჩილ ჯორჯაძე საქართველოს ავტონომიის მომხრე რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში და არ მოითხოვდნენ მეტს _ საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, საქართველო უნდა ყოფილიყო ერთიანი, განუყოფელი, დემოკრატიული, ავტონომიური რესპუბლიკა, დაკავშირებული რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებთან ფედერაციული წესით.

თერგდალეულებსა და არჩილ ჯორჯაძეს ავტონომიის საფეხურის გავლა აუცილებლად მიაჩნდათ ორი მიზეზით.

პირველი: საქართველოს სახელმწიფო აღარ არსებობდა. არ ჰყავდა ჯარი და პოლიცია. არ არსებობდა არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა. მმართველობის სისტემაში ძირითადად რუსი მოხელეები მუშაობდნენ. საჭირო იყო უმაღლესი სასწავლებელი, თუნდაც ერთი, რომელიც აღზრდიდა კადრებს სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგისათვის. საქართველოს ეკონომიკა იყო ღარიბ-ღატაკი. ამ ვითარებაში სახელმწიფო სისტემა რომ ჩამოეყალიბებინათ და აეშენებინათ, აუცილებელი გახლდათ წესრიგი და დრო. ქაოსში ვერ მოხერხდებოდა ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნა. წესრიგის შენარჩუნება და ქაოსის თავიდან აცილება შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთის საშუალებით.

მეორე: თუ საქართველო მაშინვე დაადგებოდა სრული გამოყოფის, ანუ სეპარატიზმის გზას, ამას რუსეთი არ აპატიებდა. არჩილ ჯორჯაძემ ჩინებულად იცოდა, რას ნიშნავს რუსეთის სადამსჯელო ექსპედიციები. ამის უამრავი მაგალითი არსებობდა მე-19 საუკუნეში. როგორც სხვა ქართველი მოღვაწეები, არჩილ ჯორჯაძეც იცნობდა იმ გეგმას, რომელსაც მე-19 საუკუნეში, დრო და დრ, ამუშავებდა რუსეთის ხელისუფლება _ ქართველთა საერთოდ აყრა კავკასიიდან და ციმბირში გადასახლება. ამ საფრთხის გამო ილია ჭავჭავაძეც აფრთხილებდა ქართველ პოლიტიკოსებს და გიორგი წერეთელიც. სიფრთხილე იყო საჭირო და ბეწვის ხიდზე გავლა. არჩილ ჯორჯაძე იმასაც ითვალისწინებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ახლებური მოწყობა აინტერესებდათ იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებსაც და გარკვეულ ნაწილს თავად რუსი პოლიტიკოსებისაც. თუ საქართველო სეპარატიმზის გზას დაადგებოდა,

მას მხარს არ დაუჭერდნენ არც იმპერიის სხვა ხალხები და არც (მით უმეტეს) რუსი პოლიტიკოსები. ფედერაცლიზმის იდეა კი მათთვის არც უცხო იყო და არც მიუღებელი. იმას თუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ არსებითად ფედერალიზმის იდეას შეიცავდა 1783 წელს დადებული ტრაქტატიც, თერგდალეულებიც ავტონომიის, ანუ ფედერალიზმის პრინციპის მომხრენი იყვნენ, მაშინ ცხადი ხდება, რომ სოციალ-ფედერალისტური პარტია საერთოდ და კერძოდ არჩილ ჯორჯაძე მემკვიდრეობით აგრძელებდა ქართული პოლიტიკური აზრის მიერ არჩეულ გზას.

ერთი სიტყვით, ავტონომიას უნდა აღედგინა რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო სტრუქტურები, შეექმნა ჯარი და პოლიცია, აეღორძინებინა ეკონომიკა, სწავლა-განათლება, კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ეზრუნა და ებრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ამიტომ იყო არჩილ ჯორჯაძის ტრიადის ერთი წევრი ავტონომიის მოთხოვნა, ანუ რუსეთის სახელმწიფოს მოწყობა ფედერალიზმის პრინციპით.

მეორე წევრი ტრიადისა იყო სოციალიზმი. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის სოციალიზმს არაფერი აქვს საერთო ქართველი სოციალ-დემოკრატების სოციალიზმთან. განსხვავება ამ ორ სოციალიზმს შორის ზუსტად ამოიცნო მიხაკო წერეთელმა და აღნიშნა კიდეც. მარქსისტული სოციალიზმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 ასწლეულის დასაწყისში უძლიერესი მოძღვრება იყო. იგი მთელ მსოფლიოს მოედო და, ცხადია, საქართველოშიც მძლავრად მოიკიდა ფეხი. მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობს მ.წერეთელი, «თავისი კლასთა ბრძოლისა და კოსმოპოლიტური იდეებით იგი დამღუპველი იყო ერთა... ერი აქ მეორე ხარისხის მნიშვნელობის მოვლენად სჩანდა, გარდამავლადაც კი... ჯერ განხორციელდეს სოციალიზმი და მერე ყველ პრობლემა კარგად გადაწყდება, ეროვნულიცაო!» ამ აზრს დაუპირისპირდა სწორედ არჩილ ჯორჯაძე. მან უარყო კლასობრივი ბრძოლის გზით ამქვეყნიური სამოთხის დამყარების ოცნება. წამოაყენა «საერთო ნიადაგის» თეორია. აქაც იგი თერგდალეულთა გზას აგრძელებდა. არჩილ ჯორჯაძეს წარმოუდგენლად მიაჩნდა ქართველი ხალხის კლასობრივი თვალსაზრისით დანაკუწება. მისი აზრით, ქართველი ხალხი ერთიანი იყო და სოციალური თანასწორობის იდეებს ყველასათვის თანაბრად უნდა მოეტანა კეთილი. კლასობრივი ბრძოლა ისედაც მცირერიცხოვან ქართველ ხალხს გადაშენებით დაემქურებოდა. სისხლით მორწყავდა საქართველოს. ბოროტს დაამკვიდრებდა.

საქართველოში ის ვითარება არ იყო, რაც რუსეთში. ქართველი არისტოკრატია, 1861 წლის საგლეხო რეფორმის შედეგად, არსებითად დაიშალა (ეს ქართულ მწერლობაში კარგად აისახა, მაგალითად, დავით კლდიაშვილთან). მან დაკარგა ერის მეთაურის ფუნქცია, რაც ფეოდალურ საქართველოში ჰქონდა. კლასობრივი კუთხით გაღატაკებული ქართული არისტოკრატია არავითარ ძალას აღარ წარმოადგენდა. ქართული ბურჟუაზია კი ჯერ ჩამოაყალიბებული არ იყო. თითო-ოროლა ქართველი კაპიტალისტი, რა თქმა უნდა, კლასობრივ ძალად ვერ ჩაითვლებოდა. ამ მხრივ რუსეთში სრულიად სხვა სიტუაცია იყო. იქ არც არისტოკრატია გაღატაკებულა და დაშლილა და ბურჟუაზიაც, ქართულთან შედარებით, ღონივრად იდგა ფეხზე. სამწუხაროდ, საქართველოში ერის მეთაური, წინამძღოლი კლასი,

საზოგადოებრივი ფენა არ არსებობდა. ამ მდგომარეობაში მყოფი ერის წიაღში თუ კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდებოდა, უეჭველად, ეს მთელ ხალხს კატასტროფას უქადდა.

ქართველ ხალხს წინამძღოლი კლასი რომ ჰყოლოდა, არჩილ ჯორჯაძეს აუცილებლად მიაჩნდა ქართული ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. ამის გამო მას ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან კრიტიკაც ბევრი მოუსმენია და დაცინვაც. მაგრამ არჩილ ჯორჯაძე რომ მართალი იყო, ეს მერე ისტორიამ დაადასტურა. 1918-21 წლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობა იმიტომ დამარცხდა, რომ ქართველ ხალხს მეთაური კლასი არ ჰყავდა. დღესაც ქართული ეროვნული მოძრაობის დამარცხებაც ამით არის გამოწვეული. თუ ერს სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვება სურს, მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს მეთაური, წინამძღოლი საზოგადოებრივი ფენა, კლასი, რომელსაც ძალუძს ქვეყნის პატრონობა. ცალკეულ პიროვნებას, თუ გნებავთ პარტიასაც, ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. პიროვნება ანდა პარტია კლასს ვერ შეცვლის. ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის დამარცხება როგორც 1921 წელს, ისე დღეს, ამის ნათელი ნიმუშია.

სოციალური თანასწორობის (აქედან სოციალიზმის) იდეა არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური ნაფიქრისა და ნააზრევის ძირითადი შინაარსია. მაგრამ სოციალიზმი ქართველი ხალხის ყოფნა-არსებობას არ უნდა დამუქრებოდა. სოციალიზმი ქართველი ხალხის თავისუფლების დასამკვიდრებლად და არა ქართველი ხალხი სოციალიზმის მასალად _ ეს არის არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის მიმართულება. ამიტომ გახდა მისი ტრიადის მესამე ნაწილად ეროვნულობა, ანუ ნაციონალიზმი.

მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის მძაფრი ბრძოლის ასპარეზი იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატია ინტერნაციონალიზმს ემხრობოდა და ქართველი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი არ აღელვებდა. სოციალ-დემოკრატიის როგორც ბოლშევიკურ, ისე მენშევიკურ ფრთას მტკიცედ სჯეროდა, რომ თუ სოციალიზმი გაიმარჯვებდა, იგი მსოფლიო მუშათა კლასს, და მათ შორის ქართველ მუშასა და გლეხს, ერთხელ და სამუდამოდ მოუტანდა ბედნიერებას. ხოლო არისტოკრატია და ბურჟუაზია, კლასობრივი ბრძოლის თანახმად, საერთოდ უნდა წასულიყვნენ ისტორიის ასპარეზიდან. სოციალ-დემოკრატიის აზრით, მათ ისტორიამ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და ამ სასჯელისაგან მათ ვერაფერი იხსნიდა. ქართული სოციალ-ფედერალისტური პარტია და მისი მეთაური არჩილ ჯორჯაძე საპირისპიროდ ფიქრობდნენ. ინტერნაციონალიზმისაკენ ნაციონალიზმის გზით უნდა ვიაროთ (არ.ჯორჯაძის ვრცელი ნარკვევის _ «სამშობლო და მამულიშვილობა» _ მეხუთე თავი ასეთ სათაურსაც ატარებს). თუ არ იქნებიან ნაციები, აღარც ინტერნაციონალიზმი იქნება. ერს არჩილ ჯორჯაძისათვის სოციალისტური და ჰუმანური ღირებულება ჰქონდა. ჟან ჟორესის მსგავსად ისიც ფიქრობდა, რომ ერები სოციალისტურ საზოგადოებაშიც იარსებებენ. ამის სიმართლეც დაადასტურა ისტორიამ. მაგრამ საქართველოში, ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში, ინტერნაციონალური სოციალიზმისა და ნაციონალური სოციალიზმის დავა-კამათი ინტერნაციონალური სოციალიზმის გამარჯვებით დამთავრდა. ქართველი ხალხი ინტერნაციონალური სოციალიზმის გზას გაჰყვა, ჯერ მენშევიკურს, მერე ბოლშევიკურს.

გაზ. «კავკასიონი», 19 მაისი, 1994 წ.

## დაბრუნება

მარტო ის, რომ 1878 წელს, იმერეთში, ცხრუკვეთში, დაბადებული კაცი 1965 წელს გერმანიაში, მიუნხენში, გარდაიცვალა, ნათლად მეტყველებს რა ბედი ერგო მიხეილ წერეთელს. ნახევარი ცხოვრება სამშობლოში გაატარა, მეორე ნახევარი _ უცხოეთში. აქაც და იქაც მეცნიერებას ემსახურებოდა. დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ჩვენ მიხეილ წერეთლის მეცნიერულ შემოქმედებაზე დღეისდღეობით ზერელე წარმოდგენა გვაქვს. აქომამდე ყველა კარი დაკეტილი იყო, არ ვიცით, რას აკეთებდნენ ქართველი სწავლულები ემიგრაციაში. ახლა ვითარება შეიცვალა. დაფანტულ სულებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. ყველაფერი შესწავლილი იქნება. ყოველი მოღვაწე საქართველოს ისტორიაში იმ ადგილს დაიჭერს, რაც მათ სამართლიანად დაიმსახურეს. ამის ერთი მოწმობა ისიც არის, რომ ამჟამად მიხ.წერეთლის «ერი და კაცობრიობა» ისევ იბეჭდება და მკითხველთა ახალი თაობა გაეცნობა მას.

«ერი და კაცობრიობა» პირველად 1910 წელს გამოიცა თბილისში, ფსევდონიმით «Bãton». Bãton ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ჯოხს, კვერთხს. ალბათ, ავტორი გულისხმობდა, რომ მოპაექრეებს ჯოხით უმასპინძლდებოდა.

ახალგაზრდობაში მიხ.წერეთელი, მეცნიერებასთან ერთად, პოლიტიკითაც იყო გატაცებული. განსაკუთრებით ანარქიზმით. ამიტომაც მიუძღვნა «ერი და კაცობრიობა» ვარლამ ჩერქეზიშვილს (1846-1925 წ.წ.), საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს. მაგრამ, როცა ამ წიგნს წერდა, იგი არსებითად უკვე აღარ იზიარებდა ორთოდოქსალური ანარქიზმის ძირითად პრინციპებს. თუმცა ვ.ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნით ვალს უხდიდა ყმაწვილკაცობის დროინდელ გატაცებას.

სამწუხაროდ, ქართულ მეცნიერებაში, როგორც პოლიტიკური მოძღვრება, არც ანარქიზმია შესწავლილი. ჩვენს ცნობიერებაში ანარქიზმი იმ კარიკატურული სურათებით არსებობს, საბჭოური კინემატოგრაფია ნესტორ მახნოსა (1889-1934 წ.წ.) და მის ჯარისკაცებს რომ ხატავდა. არადა, ანარქიზმი სოციალიზმის ერთ-ერთი სახეობაა. მიუხედავად ამისა, ანარქიზმს საბჭოურ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში ლანძღვა-გინება არ დაჰკლებია. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ბოლშევიზმი და ანარქიზმი იმთავითვე დაუძინებელი მტრები იყვნენ.

წიგნის წინასიტყვაობაში ვრცელი საუბრისათვის დრო და საშუალება არ არის, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას ანარქიზმზე. თუნდაც იმიტომ, რომ მკითხველს მეტნაკლებად წარმოდგენა ჰქონდეს, რა იდეებით იყო სიჭაბუკეში გატაცებული «ერისა და კაცობრიობის» ავტორი, ანდა რას შესწირა მთელი ცხოვრება ვარლამ ჩერქეზიშვილმა, რომლის მოღვაწეობა-საქმიანობა ჯერჯერობით სრულიად უცნობია ქართველი საზოგადოებისათვის.

ანარქიზმს, კერძოდ, ადამიანის და, საერთოდ, მთელი ხალხის, სულიერი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გათავისუფლება უნდოდა.

სულიერი თავისუფლებისათვის, ანარქიზმის აზრით, რელიგიის უარყოფა იყო აუცილებელი, ხოლო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის _ სახელმწიფოს დანგრევა.

რელიგიის უარყოფა აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც ღმერთის რწმენა, ანარქისტების სიტყვით, ადამიანს ინდივიდუალურ ენერგიას ართმევდა. უზენაესის ძალის იმედად იმყოფებოდა. იმ აქტიურობას უკარგავდა, რაც ბრძოლისათვის სჭირდებოდა. მათ ღრმად სწამდათ, რომ რევოლუციური ბრძოლის თვინიერ არსებული სინამდვილე არ შეიცვლებოდა. თუ ღმერთი გწამს და მისი შიში გბოჭავს, აღარ თავისუფალი ხარო, ფიქრობდნენ ანარქისტები. თავისუფალი რომ გახდე, ყოველგვარ შიშს, მათ შორის, ღმრთისასაც, უნდა დააღწიო თავი. ამიტომ ანარქისტები თეისტობას ათეისტობას ამჯობინებდნენ.

სახელმწიოს დანგრევა აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ადამიანისა და ხალხის დამორჩილების აპარატია. თუ სახელმწიფო იარსებებდა, მათ თავისუფლების მოპოვება ზღაპრად მიაჩნდათ. დაპყრობა, კერძო საკუთრება, მემკვიდრეობის უფლება, მამისა და ქმრის ბატონობა ოჯახში, ძალადობის საშუალებათა (არმია, პოლიცია, ჟანდარმერია) ერთობლიობა წარმოადგენდა სახელმწიფოს არსს. სახელმწიფოსთან ერთად, ისინიც უნდა გამქრალიყვნენ. მაშინ გახდებოდა შესაძლებელი ადამიანის გათავისუფლება.

სახელმწიფო წარმოუდგენელია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული პრივილეგიების თვინიერ. თუ ეს პრივილეგიები იარსებებს, მაშინ როგორღა შეიძლება თავისუფლებაზე ლაპარაკი? _ უკვირდათ ანარქისტებს. ამდენად სახელმწიფოს დანგრევა მათი უმთავრესი მოთხოვნა იყო.

ისეთი საზოგადოების შექმნა უნდოდათ, სადაც ადამიანი ადამიანს კი არ შეებრძოლებოდა, არამედ ბუნებას. ანდა ერთმანეთს რატომ უნდა დაპირისპირებოდნენ, როცა ყოველგვარი ქონება _ მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, შრომის იარაღები _ ყველას თანაბრად გაუნაწილდებოდა. ყოფილი მემამულე მიწას ისევე დაამუშავებდა, როგორც გლეხი. ყოფილი ფაბრიკანტი და მექარხნე ჩვეულებრივ მუშასავით იშრომებდა. ყოველი ადამიანი პირადი შრომის შედეგად მოპოვებულიც იცხოვრებდა. სამტრო და გასაყოფიც არაფერი იქნებოდა.

დედაკაცსაც და მამაკაცსაც თანაბარუფლებიანობას ჰპირდებოდნენ, ოღონდ ქორწინებისა და ოჯახის გაუქმებით. თავისუფალი თანასოფის შედეგად გაჩენილი ბავშვები მთელ საზოგადოებას უნდა აღეზარდა სრულწლოვანებამდე. თავისუფალ საზოგადოებას უნდა შეეცვალა მათთვის ოჯახი და მშობლები. მერე დავაჟკაცებულნი და დაქალებულნი თავად ჩაებმებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მართალია, ანაქისტთა შეხედულებანი აქ მეტად სქემატიურად არის გადმოცემული, მაგრამ მაქს შტირნერის (1806-1856 წ.წ.), პიერ ჟოზეფ პრუდონის (1809-1865 წ.წ.), მიხეილ ბაკუნინის (1814-1876 წ.წ.), პეტრე კროპოტკინის (1842-1921 წ.წ.), ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846-1925 წ.წ.) და სხვათა ნააზრევი გამოწვლილვით შესწავლას და ვრცელ მონოგრაფიებს

მოითხოვს, რაც, ცხადია, იოლი საქმე არ არის. ეს მომავალში გაკეთდება. ახლა ეს სქემა მხოლოდ იმიტომ წარმოვადგინე, რომ მკითხველს მიახლოებით მაინც დაენახა _ რა უკიდურესი აზრის მოტრფიალე იყო ახალგაზრდა მიხაკო წერეთელი (თავადაც და სხვებიც მას უფრო ხშირად მიხაკოდ იხსენიებენ, ვიდრე მიხეილად).

როცა ანარქიზმით გატაცების წლებმა გაიარა, მიხ.წერეთელი მთლიანად სამეცნიერო საქმიანობას მიეცა. გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ასირიოლოგიის სპეციალისტი გახდა. გამოაქვეყნა შრომა «სუმერული და ქართული». დიდხანს მუშაობდა ხეთური და ურარტული ენების და კულტურის საკითხებზე. აკადური ეპოსის «გილგამეშიანის» ქართული თარგმანი გამოაქვეყნა სტამბოლში, 1923 წელს. მერე გერმანელ მკითხველს ს.-ს. ორბელიანის «სიბრძნე სიცრუისა» გააცნო. «ვეფხისტყაოსნის» ტექსტი დაადგინა და გერმანულადაც თარგმნა. დავითისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებანი შეისწავლა და გამოსცა. ერთი სიტყვით, როცა მიხ.წერეთლის შრომები ერთად თავმოყრილი მთლიანად გამოიცემა, დღევანდელი ქართველი მკითხველი თვალნათლივ დაინახავს «ერისა და კაცობრიობის» ავტორის როგორც ნიჭიერებას, ისე შრომისმოყვარეობას. განსაკუთრებით შრომისმოყვარეობას მინდა ყურადღება მიექცეს. ხშირად გაიგონებთ ბუზღუნს _ ქართველებს შრომა არ უყვართ, საქმეს ფუქსავატურად ეკიდებიანო. მიხეილ წერეთლის პიროვნება (ბევრ სხვა ქართველ მოღვაწესთან ერთად) ამ ცრუ აზრის სრული უარყოფაა.

ქართველი კაცი კი არ არის ზარმაცი, არამედ მისი მონური მდგომარეობა იწვევს მცონარეობას. ზარმაცობა მონის თვისებაა. როცა საქართველო თავისუფალი იქნება, მაშინ მთელი მსოფლიო დაინახავს, როგორია ქართველის შრომისმოყვარეობა. თავისუფლება და შრომისმოყვარეობა უერთმანეთოდ არ არსებობენ. ამიტომ, როცა ადამიანის თავისუფლებაზეა ლაპარაკი, შრომის გათავისუფლებაც იგულისხმება და პირიქით, შრომის გათავისუფლება ადამიანის თავისუფლებასაც ითვალისწინებს.

ადამიანისა და შრომის თავისუფლების იდეა მიხ.წერეთლის პუბლიცისტურ მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს. 900-იან წლებში ეს პრობლემები ცხარე სჯა-ბაასის საგანი იყო. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, იცოდა თუ არ იცოდა, შეეძლო თუ არ შეეძლო, მართლა აინტერესებდა თუ არა, ან ტრიბუნაზე იდგა და ცივი ხმით გაჰკიოდა, ან ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში აცოდვილებდა კალამს. გონიერ, ჭკუადამჯდარ კაცს ყურს ნაკლებად უგდებდნენ. სამაგიეროდ დარაფეთები სარგებლობდნენ დიდი პოპულარობით. კაცობრიობის გათავისუფლებლებაზე ოცნებობდნენ და ქართველი ხალხის ბედ-იღბალის მოსაგვარებლად ვერ იცლიდნენ. გურია-იმერეთისა თუ ქართლ-კახეთის დაბა-სოფლებში დაბადებულ-გაზრდილი გოგო-ბიჭები რუსეთის, ინგლისისა თუ საფრანგეთის პროლეტარიატის ხსნაზე ოცნებობდნენ. ჩირად არ უღირდათ კარის მეზობლების ტკივილ-გასაჭირი. ასე ეოცნებებოდათ: თუ კაცობრიობას გაათავისუფლებდნენ, ქართველ ხალხსაც მექანიკურად ეშველებოდა.

ეროვნულ გასაჭირზე ფიქრი და განსჯა ერცხვინებოდათ. საკაცობრიო იდეალებს ებღაუჭებოდნენ.

ამ ვითარებაში ეროვნული პრობლემის მთავარ საკითხად დასმა და კაცობრიობის უარყოფა, როგორც საზოგადოებისა და სოციალური ორგანიზმისა, ცოდნასა და ნიჭიერებასთან ერთად, მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა.

«იგი (კაცობრიობა _ ა.ბ.) არ ატარებს არავითარ სოციალურ შინაარსს, რადგანაც ამ ერთ მთლიანად ნახევარ ადამიანს არა აქვს გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება. იგი არ წარმოადგენს ერთ სოციალურ სუპერორგანიზმს თავის ორგანოებითა და ფუნქციებით მთელ კაცობრიობის ყველა მოთხოვნილებათა მიზანშეწონილ დასაკმაყოფილებლად. უამისოდ კი სოციალური ორგანიზმი არ არსებობს. დიახ, კაცობრიობა არ არის საზოგადოება...»

«კაცობრიობა, როგორც სოციალური არსი, არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ მისი ნაწილები, რომელთაც აქვთ სოციალური ცხოვრება, რომელნიც წარმოადგენენ სოციალურ სუპერ-ორგანიზმებს».

ამგვარი დასკვნა არა მარტო ანარქიზმის უარყოფა იყო, არამედ სოციალიზმის ყოველგვარი სახეობისა.

სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ერთი მთლიანი საზოგადოებრივი სახე და შინაარსი აქვს, მიხ.წერეთლისათვის ერი იყო.

«ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და მედგარი საზოგადოებრივი ორგანიზმი იყო და განსაკუთრებით ეხლა არის ერი».

პრობლემის ასეთი დასმა, ბუნებრივია, ითხოვდა ბევრი საჭირბოროტო კითხვის პასუხს. მიხ.წერეთელმაც მკაფიოდ განსაზღვრა მისი წიგნის მიზანდასახულება.

«არის თუ არა საზოგადოებრივი შინაარსი ერთში (კაცობრიობაში _ ა.ბ.) და მეორეში (ერში _ ა.ბ.)? როგორი ტენდენცია აქვთ ამ მხრით ერსა და კაცობრიობას? როგორი უნდა იყოს სოციოლოგიური დაფასება ჩვენ მიერ კაცობრიობისა და ერისა? რას წარმოადგენს ამ მხრით საქართველოს ერი? როგორი უნდა იყოს ამ ანალიზის შემდეგ იდეალური და პრაქტიკული დასკვნა? _ აი ჩვენი საგანი...»

ყველა ამ საკითხზე პასუხს «ერსა და კაცობრიობაში» იპოვით. ამიტომ არც მე შეგაწყენთ თავს კომენტარებით. მართალი რომ გითხრათ, არც მეშვეობითი აზროვნების ხელშემწყობის როლში მინდა გამოვიდე.

რას ვუწოდებ მეშვეობით აზროვნებას?

სსრკ-ში ერთი წესი არსებობდა (დღესაც არსებობს, ოღონდ თანდათანობით ქრება): წიგნები ორ ნაწილად იყოფოდა _ სასურველად და არასასურველად. სასურველად ის წიგნები იყო მიჩნეული, რომელიც სოციალიზმს უკმევდა გუნდრუკს, ხოლო არასასურველის სიაში ისინი იყვნენ მოხვედრილი, რომელნიც სოციალიზმს აკრიტიკებდნენ ან ავის მოსურნედ ეჩვენებოდათ. ზოგჯერ აუცილებელი ხდებოდა არასასურველი წიგნების გამო საზოგადოებისათვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. რა თქმა უნდა, არასასურველი წიგნის წაკითხვა საბჭოელ მკითხველს ეკრძალებოდა. აი, ამ დროს ასპარეზზე გამოდიოდა სანდო საბჭოელი სწავლული. იგი მკითხველ საზოგადოებას მოუყვებოდა, რა წერია არასასურველ წიგნში. როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მისდამი. ცხადია, სანდო სწავლული არასასურველ წიგნს კი არ აცნობდა მკითხველს, არამედ აძაგებდა მას და ცრუ ინფორმაციას

აწვდიდა. მკითხველმა წიგნის არსებობა იცოდა, მაგრამ შიგ რა ეწერა, ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. სანდო სწავლულის ინსინუაციებით ჰქონდა თავი გამოტენილი. ასე ჩამოყალიბდა ფორმულა: არასასურველი წიგნი → სანდო სწავლული → მკითხველთა საზოგადოება. ამას ვეძახი მეშვეობით აზროვნებას. არა უშუალო კონტაქტი წიგნთან, არამედ სანდო სწავლულის მეოხებით.

მეშვეობით აზროვნებით იწერებოდა დისერტაციები, მონოგრაფიები, ნარკვევები. ამგვარი დისერტაციების, მონოგრაფიების, ნარკვევების ავტორებმა არაფერი იცოდნენ რა ეწერა არასასურველ წიგნში (თვალითაც არ ჰქონდათ ნანახი), მაგრმა რიხიანად იმეორებდნენ სანდო სწავლულის «აზრებს». თავი ისე ეჭირათ, თითქოს ზედმიწევნით ჰქონდათ შესწავლილი ის წიგნები, რომლებზეც ურცხვად მსჯელობდნენ. ასე იჩეკებოდნენ სუტ-მეცნიერები, ვრცელდებოდა ცრუ ცოდნა და კნინდებოდა აზროვნების უნარი.

თუ გვინდა ნამდვილი ცოდნა შევიძინოგთ, საღი აზროვნების უნარი შევინარჩუნოთ, დაუძინებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მეშვეობით აზროვნებას. კონტაქტი უნდა იყოს უშუალო: წიგნი და მკითხველი.

მიხ.წერეთლის «ერი და კაცობრიობაც» არასასურველი წიგნების რიგს ეკუთვნოდა. თუ მასზე რაიმეს გაიგონებდი, ისევ მეშვეობით აზროვნების გზით. ახლა დადგა დრო და მკითხველს შეუძლია უშუალოდ გაეცნოს მას. სხვათა დაუხმარებლად შეაფასოს და განსაჯოს.

ამ წიგნის ბედიც ისეთივე იქნება, როგორიც ყველა სხვა წიგნის: ზოგს მოეწონება და ზოგს _ არა. ღმერთმა ნუ ჰქნას კაცობრიობას ერთი თავი ებას და ერთი აზრი ჰქონდეს. ეს უთვალავფერიანი ქვეყანა იმით არის მიმზიდველი, რომ ნაირნაირი თავია, ნაირნაირი აზრია და მათ ჭიდილში ილევა და ქრება ადამიანის ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება.

1990 წ.

## ხსოვნა

მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ქართველს, თუ ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი არ არის, ქართველად არ მიაჩნია. კათოლიკე ქართველს ფრანგს ეძახის, გრიგორიანელ ქართველს _ სომეხს, მუსლიმ ქართველს _ თათარს. ამას სჩადის არა მარტო წერა-კითხვის უცოდინარი ქართველი, არამედ, ხშირად, ნაირნაირი სამეცნიერო ჩინ-მედლით აღჭულვილიც. ამ კარგა ხნის წინათ, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის მეთაურმა გულწრფელად თქვა _ «ქართველობა და მართლმადიდებლობა ჩვენთვის იდენტური ცნებაა» («ივერია-ექსპრესი», 1992 წ., 23 ოქტომბერი).

ერთი კონკრეტული შემთხვევა მახსენდება: 1975 წლის ივნისში რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ იყო ახალციხეში. მაშინ თეატრში ვმუშაობდი. ერთ საღამოს ახალციხისთვის უჩვეულო ამბავი მოხდა. რესტრანში უცნობმა პირებმა რუსი ოფიცერი გალახეს. ამან ქალაქი ძალიან შეაწუხა. მაშინვე დაიწყეს ხულიგნების ძებნა. მეორე დღეს, თეატრის გვერდით, სკვერში ახალციხის რაიკომის ორ ახალგაზრდა თანამშრომელს შევეჩეხე. ერთი ქართველი

იყო ეროვნებით, მეორე _ სომეხი. ორივეს კარგად ვიცნობდი. გასტროლების ჩატარებაში გვეხმარებოდნენ. იმათ შევეკითხე _ წუხანდელი ჩხუბისთავები თუ იპოვეთ-მეთქი. სომეხმა უცბათ მიპასუხა: როგორ არა, მაშინვე მივხვდი ახალქალაქელი სომხები რომ იქნებოდნენ (და აქ საერთოდ სომხები მეტად აუგად მოიხსენია). ექვსივე დავიჭირეთ და ახლა აქ ყრიანო მილიციაში. სომეხი რომ წავიდა, ქართველს ვკითხე _ შენ რომ გეხსენებია სომეხი ავად, კიდევ გასაგები იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ თავად სომეხმა რატომ ლანძღა ისინი? ქართველი გაოცებული შემომაჩერდა და ცხარედ მიპასუხა _ როგორ გეკადრდებათ!.. არც ის არის სომეხი და არც მე _ ქართველი. ჩვენ ორივე ფრანგი ვართო.

ამგვარმა შეგნებამ ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლა გამოიწვია. ხოლო ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლა რა დიდი უბედურების მომტანია, ამას ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ისედაც ნათელია ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის.

იმათ შორის, ვინც ქართული ეროვნული ცნობიერების გამთლიანებისათვის იბრძოდა, ერთი მეტად საპატიო ადგილი მიქელ თამარაშვილსაც უჭირავს (თამარაშვილს სახელი მიქელ-ის ფორმით ერქვა და არა მიხეილ-ის).

მიქელ თამარაშვილი საყურადღებო პიროვნებაა არა მარტო მეცნიერული შემოქმედებით, არამედ პიროვნული თვისებებითაც. 1858 წლის სექტემბერში (მისი დაბადების დღე უცნობია. ვერცერთი მკვლევარი ამ თარიღს ვერ უთითებს), ახალციხეში. რა თვეშიც დაიბადა, იმავე თვის თხუთმეტში (ახალი სტილით) დაიხრჩო ტირენიის ზღვაში, სოფელ სანტა-მარინელასთან. ეს 1911 წელს მოხდა რომის ახლოს. სხვის გადასარჩენად გადაეშვა აბობოქრებულ ზღვაში. ის უცნობი კი გადაარჩინეს, მაგრამ თვითონ დაიღუპა.

მიქელ თამარაშვილი ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მამით ობოლი. მხოლოდ ოცი წლისამ მოახერხა სწავლას საფუძვლიანად შედგომოდა. კონსტანტინეპოლში, პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ კათოლიკურ სასულიერო სასწავლებელში რომ მიდიოდა, ძმა მისტიროდა – ნუ წახვალ, უშენოდ შიმშილით დავიხოცებითო.

არც მერე შეუწყვეტიათ ჩივილი და წუწუნი ნათესავ-ახლობლებს.

დედა ევედრებოდა _ შვილო, ერთი კაბაც არ მაცვია, იქნებ დამეხმაროო.

და შესჩიოდა _ თუ ძმობა გწამს, როგორმე ეს ორი ქალი გამიზარდე... ისე ხელმოკლედ ვარ, მოჯამაგირეობით ვირჩენო თავს...

მეზობლები ატყობინებდნენ _ შენი ძმა გრიგოლი ლოგინად ჩავარდა. საწყალს წამლის ფულიც არა აქვსო.

სიძე, დის ქმარი, შეიშალა. ოჯახი მიატოვა და სადღაც გადაიხვეწა.

რა ექნათ, უჭირდათ და მზრუნველს ეძებდნენ. რაკი მიქელი საზღვარგარეთ იყო, ეგონათ, მასზე მეტად ვინ დაგვეხმარებაო, და შველას ემუდარებოდნენ. ისიც, რითაც შეეძლო და როგორც შეეძლო ხელს უმართავდა.

სიდუხჭირე და სიღატაკე სიკვდილამდე არ მოსცილებია. და მაინც სამეცნიერო საქმიანობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. იტალიის წიგნთსაცავებსა და არქივებში ეძებდა საბუთებს, მასალას ქართული კათოლიკობის ისტორიისათვის.

მე-19 საუკუნეში (ცხადია, დღესაც) ამ დოკუმენტების შეგროვებას, მით უმეტეს, მის ახსნა-განმარტებას, კომენტირებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ ქართულ

კათოლიკობას ორი მხრიდან უტევდნენ. ერთი მხრივ რუსული მართლმადიდებლობა, რომელსაც საერთოდ კათოლიციზმი თავის დაუძინებელ მტრად მიაჩნდა, ცდილობდა ქართული კათოლიკობის მოსპობას, ხოლო მეორე მხრით, სომხური კათოლიკობა, გულმოდგინედ იბრძოდა იმისათვის, რომ ქართველი კათოლიკეები სომხური კათოლიკური ეკლესიის წიაღში შეეყვანა და სომხებად გამოეცხადებინა. გაუქმებული ქართული ეკლესია ამ ბრძოლაში მეტად უღონოდ და უსუსურად გამოიყურებოდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო ცალკეული ქართველი მოღვაწის თავდადებულობასა, ენერგიასა და გონიერებაზე.

ასეთ ვითარებაში მიქელ თამარაშვილის წიგნის გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის» თავდაცვისა და შეტევის მახვილი იყო არა მარტო ქართველი კათოლიკეების ხელში, არამედ მთელი ქართველი ხალხის ხელში.

ამ წიგნით საფუძველი ეყრებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლას ახალი კუთხით, კათოლიკური ეკლესიის კუთხით. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება დღესაც გრძელდება და ძველს ახალ-ახალი დოკუმენტები ემატება.

ამ წიგნით შევიტყვეთ უთუოდ და უთუმცაოდ, რა საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოსა და სომხეთში, მსოფლიო კათოლიკური ეკლესია. ქართული კათოლიციზმი და სომხური კათოლიციზმი სხვადასხვა მოვლენებია. მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ვინც ამას აკეთებს, იგი შეგნებულად ეწევა ისტორიის ფალსიფიკაციას.

ამ წიგნმა დაგვანახა, რომ პოლიტიკაში ქართული სამეფო კარის დასავლურ ორიენტაციას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ უფრო ადრე არა, ლაშა-გიორგის დროიდან მაინც იწყება იგი. ეს კი იმას მოწმობს, რომ ქართველი პოლიტიკოსები ნათლად ხედავენ ისტორიულ პროცესს _ როგორ იკვრება თანდათან საქართველოს გარშემო ისლამური ჯაჭვი. ეძებენ ამ ჩიხიდან გასასვლელს.

ამ წიგნმა გვაჩვენა ისიც, რომ რომი, ანუ მსოფლიო კათოლიციზმის ცენტრი დაინტერესებულია ამიერკავკასიით, კერძოდ საქართველოთი, და ცდილობს მტკიცედ მოიკიდოს ფეხი აქ. თუ ქართველი პოლიტიკოსები გონივრულად გამოიყენებენ ამ ინტერესს, შესაძლებელია საქართველომ თავი დააღწიოს ბევრ მოსალოდნელ უბედურებას.

ამ წიგნის საშუალებით საქართველოს ისტორიის ბევრი ბუნდოვანი საკითხი გაირკვა. ბევრი ქართული პოლიტიკური თუ სასულიერო მოღვაწის საქმიანობას მოეფინა ნათელი.

ამ წიგნით... თუმცა აღარ გავაგრძელებ, რადგან ქართველთა ცხოვრებით დაინტერესებულმა ყოველმა მოქალაქემ თავად უნდა წაიკითხოს იგი, გულმოდგინედ და გულისყურით. დღევანდელი ვითარებისათვისაც იპოვნის პასუხს, რადგან ძველთა ძველი პრობლემა, ძველთა ძველი თავსატეხი კითხვა _ ევროპა თუ რუსეთი _ ისევ დგას ცოცხლად ქართული სახელმწიფო პოლიტიკის წინ. დარწმუნებული ვარ, ვინც იცნობს კარგად მიქელ თამარაშვილის სამეცნიერო შემოქმედებას, მისთვის კითხვის პასუხი ნათელია. საქართველომ ევროპული გზით უნდა იაროს, თუ სურს თავი დააღწიოს მარადიულ ჩამორჩენილობას, გახდეს თანამედროვე განვითარებული კაცობრიობის სრულუფლებიანი წევრი. თუ უნდა იყოს კულტურული, განათლებული და კეთილმოწყობილ, ზნეობრივად

ამაღლებული და ნივთიერად მდიდარი. სხვა გზა არ არის. სხვა გზა ჩვენ ისევ ჩიხში შეგვიყვანს. თუ ამას დღეს მაინც მივხვდებით, დიდად გასახარელი იქნება.

მიქელ თამარაშვილი არ ყოფილა მხოლოდ აკადემიური მოძღვარი. იგი გულმხურვალე პუბლიცისტიც იყო. საბუთად ერთ ნარკვევს გავიხსენებ, რომელსაც სახელად ეწოდება _ «პასუხი სომხის მწერლებს». იგი 1904 წელს გამოიცა სტეფანე ზუბალაშვილის ხარჯით და პეტრე მირიანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის ხელშეწყობით. «პასუხი სომხის მწერლებს» ისეთივე მნიშვნელობისა და ძალის პუბლიცისტიკაა, როგორიც გახლავთ ილიას «ქვათა ღაღადი».

ამ ნარკვევში, ჯერ ერთი, მიქელ თამარაშვილმა მკვეთრად განსაზღვრა _ რა არის ეროვნება და რა არის სარწმუნოება და მერე დაუნდობლად ამხილა ის სიყალბე და ტყუილი, რასაც ზოგიერთი სომეხი კათოლიკე სასულიერო პირი ქადაგებდა. ისინი კარგად ხედავდნენ ქართველი საზოგადოების უმეცრებას კათოლიკობის საკითხში და ცდილობდნენ მიამიტი ადამიანები, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთშიც კი, დაერწმუნებინათ: ქართველი კათოლიკე არ არსებობს. რაც ამიერკავკასიაში კათოლიკეა, ყველა სომეხიაო. მიქელ თამარაშვილმა ფარდა ახადა თაღლითების საქმიანობას და სამზეოზე გამოიყვანა ისინი.

თუ ჩვენ ასე თუ ისე ვიცნობთ მიქელ თამრაშვილის ქართულად დაწერილ შრომებს, სამაგიეროდ, სპეციალისტების გარდა, ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს მის წიგნზე _ «ქართული ეკლესიის ისტორია», რომელიც ფრანგულად არის დაწერილი. კიდევ კარგი, რომ ეს წიგნი ფართოდ მიმოიხილა შოთა ლომსაძემ მონოგრაფიაში «მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი».

როცა დრო-ჟამი დაწყნარდება, ქვეყანა კალაპოტში ჩადგება, მიქელ თამარაშვილის სრული კრებული უნდა დაისტამბოს. ეს თანამედროვეობას ისევე სჭირდება, როგორც სჭირდებოდა იმ ეპოქას, როცა იგი მოღვაწეობდა. ოცდამეერთე საუკუნეში მაინც უნდა დადგეს დრო, რომელიც ადამიანის თავისუფალ გონებას რელიგიური რწმენის თავისუფალი არჩევანის უფლებას მისცემს. ერთხელ და სამუდამოდ დანერგავს ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთგაგების, ურთიერთშემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის იდეას.

როცა 53 წლის მიქელ თამარაშვილი ადამიანის გადასარჩენად აბობოქრებულ ზღვაში გადაეშვა, მას არ უფიქრია, იგი, ვინც იხრჩობოდა, რა რწმენის კაცი იყო _ კათოლიკე ქრისტიანი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ბუდისტი თუ მუსლიმი. მას ადამიანის შველა უნდოდა. მიქელ თამარაშვილი ღირსეულად ატარებდა კათოლიკე ქრისტიანის სახელს სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს შეუხედავს ათვალწუნებით სხვა რწმენის ადამიანისათვის. მის მეცნიერულ ღვაწლს ეს ზნეობრივი გაკვეთილიც ამშვენებს.

1994. 5. IX.

**იდუმალი ღიმილი**

(შალვა ნუცუბიძე)

1947 წლის სექტემბერი იყო. პირველი კურსის სტუდენტი ვარ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტისა (ისტორიის ფაკულტეტზე მერე გადავედი). შალვა ნუცუბიძე ჩვენ არ გვიკითხავდა ლექციებს, ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების სტუდენტებს ასწავლიდა რენესანსის ეპოქის ევროპული მწერლობის ისტორიას.

მართალია, მეორე მსოფლიო ომი უკვე ორი წელიწადია დამთავრებულია, მაგრამ უნივერსიტეტის თეთრი კედლები ჯერ ისევ შავი ფიგურებით არის მოხატული. ახლა მუშაობენ კომუფლაჟის მოსაცილებლად. გერმანელი ტყვეები ასრულებენ ამ საქმეს. ისინი ჯერ კიდევ სსრკ-ში არიან. უფასო მუშახელია და, რაც მთავარია, რასაც აკეთებენ, საშვილიშვილოდ აკეთებენ.

აუდიტორიუმი სავსეა სტუდენტებით. მერხებს ხანდაზმულებიც უსხედან. მათ დიდი ხნის წინათ გაასრულეს სწავლა, მაგრამ მაინც მოსულან ლექტორის მოსასმენად. როცა შალვა ნუცუბიძეს უსმენთ, მარტო იმ საგანს არ სწავლობთ, რაზეც იგი ლაპარაკობს. მისი მეტყველება ორატორული ხელოვნების ფეიერვერკია, სავსე არტისტიზმით, იმპროვიზაციით, გონებამახვილობით. როცა ლაპარაკობს, აუდიტორიუმს, მსმენელებს არ უყურებს, თვალები ზევით, ზეცისკენ აქვს აპყრობილი. თითქოს ვიღაცას უხილავს ესაუბრებაო. მსმენელებიც სხვა სამყაროში არიან გადასახლებულნი.

ლექცია მიმდინარეობს. აუდიტორიუმი ხმაგაკმენდილი უსმენს. ფართო ფანჯრის გასწვრივ ბადით გერმანელი ტყვე აატარეს. ხელში დიდი, გრძელტარიანი ფუნჯი ეჭირა, კედელს თეთრად ღებავდა. მოულოდნელად დარბაზში ქართულად გაისმა (ბუნებრივია, რუსული მწერლობის სპეციალისტებს შალვა ლექციებს რუსულად უკითხავდა). ამ უბედურებმა თავიანთი სამშობლო გააშავეს და ახლა ჩვენსას ათეთრებენ!.. აუდიტორიუმში სიცილ-კისკისი ატყდა. რენესანსის ეპოქიდან მყისვე 40-იანი წლების თბილისში დავბრუნდით.

შალვა ნუცუბიძე გონებამახვილი და ენაკვიმატი კაცი იყო. ეს თვისება მის საჯარო თუ სასწავლო ლექციებს საგანგებო ხიბლს ანიჭებდა. საერთოდ, დუმდა თუ ლაპარაკობდა, სახეზე მუდამ ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. არსებობისადმი ირონიული დამოკიდებულება, ჩანს, მას ცხოვრებას უადვილებდა. სულიერ თუ ხორციელ ვარამს უმსუბუქებდა.

ურჩი კაცი იყო, მაგრამ არა უგუნურად ურჩი. იცოდა: დროების ბოროტებისათვის ჭკუით უნდა ეჯობნა და აჯობა კიდეც. არც ციხე-დაპატიმრება დაკლებია, არც უნივერსიტეტიდან განდევნა, არც პრესაში ლანძღვა-თათხვა, მაგრამ მაინც შესძლო ქართული ფილოსოფიის ისტორია დაეწერა, ქართული რენესანსის კვლევისათვის საძირკველი ჩაეყარა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლო მიეგნო, «ვეფხისტყაოსანი» ეთარგმნა რუსულად, ქართული ფილოსოფიური სკოლა ჩამოეყალიბებინა და სტუდენტობა აღეზარდა.

არის დრო, როცა ადამიანმა ბეწვის ხიდზე უნდა იაროს, დიდი და კეთილშობილი საქმე რომ გააკეთოს. ასეთ საბედისწერო დროში მოუწია ცხოვრება შალვა ნუცუბიძეს. მასაც ბეწვის

ხიდზე უნდა ევლო. მახსოვს, ერთხელ ჯორდანო ბრუნოზე საუბრისას თქვა: მართალია, ბრუნო ბერი იყო, მაგრამ მისი მოძღვრება ეკლესიური დოგმატის წინააღმდეგ გახლდათ მიმართულიო. მერე მისთვის ჩვეული საიდუმლო ღიმილი გადაეფარა სახეზე და დაამატა: საქმე ის კი არ არის, თავზე რა გახურავს, არამედ თავში რა გაქვს. საქმე ის კი არ არის, ტანზე რა გაცვია, არამედ გულში რა გაქვს.

ადამიანი მარტო იმ დასკვნებით არ ცხოვრობს, რასაც მწარე და უხეში სინამდვილე კარნახობს. იგი ლეგენდითაც არსებობს. ლეგენდა მის სულს აკეთილშობილებს.

გალილეის ცხოვრებას რომ გვიამბობდა, მაშინ თქვა:

ცხადია, ინკვიზიციის სასამართლოში გალილეის არ უთქვამს: «მაინც ბრუნავსო». ინკვიზიციის ჯალათები მიამიტი ბალღები არ ყოფილან. მათ დარხაკში გამოვლილ კაცს იმის თავი აღარ ექნებოდა, გაუტეხელობის ჩვენების მიზნით დაეყვირა _ Epu si muove! მაგრამ იტალიელი ხალხის სინდისმა ინება, რომ გენიალური მეცნიერი სწორუპოვარი ვაჟკაციც ყოფილიყო. ხალხმა არ უნდა დაიჯეროს, რომ უზენაესი ძუნწია და ადამიანს ერთდროულად რამდენიმე სიქველით არ აჯილდოვებს. მარტო იმას არა აქვს მნიშვნელობა, სინამდვილეში როგორ ხდება, არამედ ზოგჯერ უფრო მეტად იმას, პოეტურ ხილვაში როგორ წარმოიდგინება.

_ მე ერთი თავაწყვეტილი პოეტი კაცი ვარო, _ გაგულისებულმა წამოიძახა მაშინ, როცა მისეული ინტერპრეტაცია «ვეფხისტყაოსნის» სტრიქონის _ «ჩემმა ხელმქმნელმა დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები», არ მიიჩნიეს დამარწმუნებლად.

მოხსენება სიმონ ხუნდაძის სახელობის აუდიტორიაში იკითხებოდა. აუარებელი ხალხი ესწრებოდა. სპეციალისტებიც გაფაციცებული უგდებდნენ ყურს, რასაც შალვა ნუცუბიძე ამბობდა.

იგი ამტკიცებდა: ძველ საქართველოში პატარძლის საქორწინო კაბა მორთულ-დამშვენებული იყო ასო მ-ანით. მ-ანებიან კაბას მხოლოდ ქორწინების დღეს იცვამდნენ ასულები. რუსთაველი გვეუბნებაო ამ სტრიქონით _ როგორც მ-ანი ამკობს და ალამაზებს საქორწინო კაბას, ისე დაამშვენოსო ჩემი პოემა იმან, ვისაც იგი მივუძღვენიო, ანუ თამარ მეფემ.

თავის პოეტურობით მოპაექრეებს მოსწონდათ ინტერპრეტაცია, მაგრამ აეჭვებდათ ის, რომ თუ შალვა ნუცუბიძის ინტერპრეტაცია მართალი იყო, მაშინ სტრიქონში ძველი ქართული ენის გრამატიკული წესი ირღვეოდა. რუსთაველი გრამატიკულ წესს არ დაარღვევდაო, _ ირწმუნებოდნენ. მაშინ იყო, რომ აღელდა. პოეტი გრამატიკის მონა არ არის. ხშირია შემთხვევა, როცა პოეტი თავისუფლად და ლაღად ექცევა გრამატიკას, თუ ამას პოეზია მოითხოვს. დაახვავა და დაახვავა ნიმუშები თავად რუსთაველისა და სხვა პოეტების მიერ გრამატიკული წესის დარღვევისა. მაგრამ ამის გამო პოეტური სტრიქონის ხიბლი, ანდამატი და ჯადო არ დაუკარგავთ. გაავებული ბრდღვინავდა. მსმენელს უთუოდ ახსენებდა: «შიგან ასე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი».

მეცნიერთა და მსმენელთა ამავე თავყრილობაზე მეორე სურვილიც გამოთქვა: სტრიქონიდან _ «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები» _ სიტყვა «სპარსული» ამოვიღოთ და ჩავწეროთ სიტყვა «უცხონი». «ესე ამბავი უცხონი, ქართულად ნათარგმანები».

«სპარსული» აქ არაფერ შუაშია. გაუგებარია, რატომ და რისთვის წერიაო. «უცხონი» კი, მშვენიერისა და მომხიბლავის მნიშვნელობით, სტრიქონს სრულიად მკაფიო აზრს ანიჭებსო. ეს ამბავი მშვენიერი, მომხიბლავი ქართულად ნათქვამიაო, გადმოცემულიო.

აქაც შეცბენ მოკამათენი. გაუმართლებლად მოეჩვენათ მოთხოვნა. ერთმა მათგანმა ისიც თქვა: «სპარსული» რომ ამოვიღოთ და «უცხონი» ჩავწეროთ, მაშინ სხვები (არაქართველებს გულისხმობდა) რას იტყვიან? ბრალს ხომ არ დაგვდებენ, ქართველები «ვეფხისტყაოსნის» ამბავს ძალდატანებით აქართულებენო?

ესეც ვერ მოითმინა, წამოვარდა და იყვირა: რას ჰგავს ეს? Что станет говорить княгиня Мария Алексеевна! ქართველი მეცნიერების ფამუსოვშჩინა აღარ უნდა გათავდეს?!

ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ ნათელი და ცხადია, რა მართალი იყო, როცა ქართველი მეცნიერების ჰუმანიტარულ დარგებში ფეხმოკიდებულ ფამუსოვშჩინას ებრძოდა. აშკარად ჩანს, რა შემზარავი როლი შეასრულა გაფამუსოვებულმა ქართულმა ჰუმანიტარიამ ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის დაკნინებაში, ჩვენი ერის გალაჩრებასა და დადედლებაში. ამის შემაძრწუნებელ შედეგს დღეს ვიმკით.

როცა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოს ანდა «რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი» წერდა, მარტო მეცნიერული ინტერესი კი არ ამოძრავებდა, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების პრობლემაც. საუკუნეების მანძილზე სხვის ქვეშევრდომად გადაქცეული, თავზე ნაცარდაყრილი ერის სულის განმტკიცება უნდოდა. ეროვნული ღირსებისა და სიამაყის აღზრდა სურდა.

მეცნიერებაში გამეფებულ ევროპოცენტრიზმსაც ამიტომ ებრძოდა. მიაჩნდა: კაცობრიობის გონების განათებაში აზიას მცირე როლი არ ეკუთვნოდა. მარტო ის რად ღირსო, _ ამბობდა, _ ყველა მსოფლიო რელიგია აზიის ხალხების აზროვნების ნაყოფიაო. შემთხვევას არ გაუშვებდა ევროპოცენტრიზმი არ გაეკენწლა, კრიტიკული კბილი არ გაეკრა. მისთვის დამახასიათებელი რიხით არაერთხელ უთქვამს: სხვა ცივილიზაციების წინაშე, ევროპა ვერ დაიკვეხნის თავისი კულტუროსნობით, სანამ მის ისტორიულ პასპორტში ბართლომეს ღამე სწერიაო.

შალვა ნუცუბიძეს უნდოდა ქართველი კაცის თვალსაწიერი არ შემოფარგლულიყო არც მარტო ევროპით და არც მარტო აზიით. სურდა უფრო შორს გაეხედა. ის სივრცე დაენახა, რასაც მოიცავდა მსოფლიო, კულტურული კაცობრიობა. ამის ნიმუშს თავად იძლეოდა. როცა იგი ლექციას კითხულობდა, საჯარო იქნებოდა ეს ლექცია თუ სასწავლო, სულერთია, ყოველი ადამიანი ნათლად ხედავდა, რა ზღვა ცოდნას ფლობდა ეს კაცი. როგორ ლაღად, მკაფიოდ, გასაგებად გადმოსცემდა თავის ნააზრევს: როგორ მოედინებოდა წყაროსავით მის ბაგეთაგან სიტყვა. როცა ადამიანი საჯაროდ ლაპარაკობს, არშეიძლება ბლუკუნებდეს, იღეჭებოდეს, ბორძიკობდეს და სიტყვა ყელში ეჩხირებოდეს. ორატორული ხელოვნება თანაბრად ითხოვს ორივეს _ რას ამბობ და როგორ ამბობ. ვისაც შალვა ნუცუბიძე მხოლოდ წაუკითხავს და არ მოუსმენია, იგი ნახევარ შალვა ნუცუბიძეს იცნობს. მეორე შალვა მისთვის სამუდამოდ უცნობი დარჩენილა.

ორატორული ხელოვნებით ნერგავდა სტუდენტობაში არა მარტო იმ საგნის სიყვარულს, რასაც ასწავლიდა, არამედ საერთოდ კულტურისადმი ტრფობას. კულტურა

მისთვის განუყოფელი მთლიანობა იყო. ამ მთლიანობას უნდა დაუფლებოდა ადამიანი. აღტაცებული ბავშვივით გვეხვეწებოდა _ კ. მარჯანიშვილის თეატრში აუცილებლად ნახეთო «ანტონიოსი და კლეოპატრა».

1951 წელს დადგა ვახტანგ ტაბლიაშვილმა მარჯანიშვილის თეატრში უ.შექსპირის «ანტონიოსი და კლეოპატრა». კლეოპატრას როლს ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებდა. შალვა ნუცუბიძეს ძალიან მოსწონდა ეს წარმოდგენა. სტუდენტებს ეგვიპტის დედოფლის ტრაგიკულ თავგადასავალს გვიყვებოდა. ამჟამად ბრიტიშ მუზეუმში მოოქროვილ სარკოფაგში წევსო ეგვიპტის მომაჯადოებელი დედოფალი. ერთმა ინლისელმა ეგვიპტოლოგმა იოხუნჯაო _ ამ ქალს ცოტა უფრო გრძელი ცხვირი რომ ჰქონოდა, კაცობრიობის ისტორია სხვა მიმართულებით წავიდოდაო. მე არ ვიცი რა მოხდებოდა და როგორ, მაგრამ ის კი ურყევად მჯერა, რომ ეგვიპტისა და სიყვარულის მბრძანებელი ნამდვილად მაშინ მოკვდება, როცა ამ ქვეყნად ვერიკო ანჯაფარიძე აღარ იქნებაო.

მაშინ ძნელი, ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, რა მოხდებოდა ქართულ თეატრში, როცა ვერიკო ანჯაფარიძე აღარ იქნებოდა, ანდა ქართულ მეცნიერებას აღარ ეყოლებოდა შალვა ნუცუბიძე, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი გუმანით თუ ლოგიკით ხვდებოდა საით მიდიოდა ქართული კულტურული ყოფა. როგორ ისადგურებდა ქართულ საზოგადოებაში კულტურის მიმართ სიძულვილი. თანდათანობით ფეხს იკიდებდა ლაზღანდაროზა, ზერელობა, ფუქსავატობა, გულგრილობა, ღვარძლი და ბოღმა.

შალვა ნუცუბიძის დამალულ სულიერ განწყობა-ტკივილს კარგად გვიხატავს ერთი შემთხვევა, რომელიც ლიტერატურისმცოდნე ნოდარ ალანიამ მიამბო.

1965 წელს შალვა ნუცუბიძის «კრიტიკული ნარკვევები» გამოიცა. რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა აღმოვაჩინე წიგნში. ეტყობა, მეხსიერებას ენდო. არ შეამოწმა და გაეპარა. ავტორს წერილი მივწერე. ფაქტობრივი შეცდომები აღვნუსხე. ამით დახმარება მინდოდა. ვფიქრობდი, ახალი გამოცემის დროს გაასწორებს-მეთქი. სხვა მიზანი არ მქონია. გაკრიტიკების მსგავსი რამ გულშიც არ გამივლია. ამას როგორ გავბედავდი. კარგა ხანი გავიდა. ჩემთან, სამუშაო ოთახში, ლიტერატურის ინსტიტუტში, ერთი ჩვენი თანამშრომელი შემოვიდა და მითხრა: ნოდარ, დირექტორთან შედი კაბინეტში. ბატონი შალვა ნუცუბიძეა მოსული. შენი ნახვა უნდაო. ტანში გამცრა, თავში გამიელვა: ახლა კი ერთს შემახურებს და მეტიჩრობისათვის ყურებსაც ამაგლეჯს. მეტი რა გზა მქონდა. შეცბუნებული და აწურული დირექტორის კაბინეტში შევედი. მივესალმე. მომესალმნენ. ვდგავარ ჩუმად. დგას შალვა ნუცუბიძეც და მიყურებს. ხმას არ იღებს. ამათვალიერებს და ჩამათვალიერებს. მაკვირდება. თქმით კი არაფერს ამბობს. კარგა ხანს მიყურა ასე, მერე კი თქვა: იმ კაცის სანახავად მოვედი, ჩვენს დროში წიგნს რომ კითხულობს. აღარ მეგონა, წიგნებს კიდევ თუ კითხულობდნენ. შევმცდარვარ. დიდად სასიამოვნოა, დიდად. თბილად გამომემშვიდობა, მაგრამ გაკვირვება მის თვალებში არ გამქრალა.

დიდია გულისტკივილი და ძნელი ასატანია, როცა სიცოცხლის მწუხრზე გაგიჩნდება სევდა და ეჭვი მომავალი თაობის მიმართ.

შალვა ნუცუბიძე მთელი ცხოვრების მანძილზე იმეორებდა «ვეფხისტყაოსნის» სტროფებს:

**«ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს,**
**ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს.**
**ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლივ გააკვლადებს,**
**თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ აზადებს».**

თუ «ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს», მაშინ ყველა უბედურებას გაუძლებს ადამიანიც, ხალხიც, ქვეყანაც, მაგრამ იქნებ ამ რწმენისადმი უნდობლობას მალავდა შალვა ნუცუბიძის იდუმალი ირონიული ღიმილი, რომელიც სიკვდილმაც კი ვერ წაშალა მის სახიდან?

1998 წ.

## სიმონ ყაუხჩიშვილი[1]

მე-19 საუკუნის ქუთაისი. ამ ვიწრო ქუჩებს, კოპწია სახლებს, პატარა ბაღებს ახსოვთ სოლომონ მეორე და სოლომონ ლიონიძე; ოქროს ჩარდახი და რუსის ჯარი. ურჩი ივანე აბაშიძე და მისი შვილიშვილი აკაკი წერეთელი, ეშმაკი და ჭკუადამჯდარი ვაჭარი იაკობ ნიკოლაძე და მისი შვილი ნიკო ნიკოლაძე. ბრძენი და დარბაისელი გაბრიელ ეპისკოპოსი და მისი ახალგაზრდა მდივანი ესტატე ბოსლეველი, მოკლული ამ ვიწრო შუკაში უგუნური მტრების მიერ. ილია ჭავჭავაძის გამო ერთმანეთს წაკიდებული მამა-შვილი, ზემოური იმერელი წერეთელი ევფთიმე და ძე მისი გიორგი; ხუმარა და ენაკვიმატი ადვოკატი კალისტრატე ჩიკვაიძე და უტალანტო, მაგრამ თეატრის ფანატიკურად მოყვარული გრიგოლ ჩარკვიანი... ვინ არ ახსოვს ამ ქალაქს!.. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

და აი, მე-19 საუკუნის მიწურულს, 1895 წლის 14 ოქტომბერს ამ ქალაქში დაიბადა ქართული ელინისტიკისა და ბიზანტოლოგიის თავკაცი სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილი.

ბალღობისას ჯერ იოსებ ოცხელის დაარსებულ ორკლასიან სასწავლებელში უვლია, მერე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადასულა. მაგრამ მარტო ეს ორი სასწავლებელი არაა მისი აღმზრდელი. მას ასწავლიდა და ავაჟკაცებდა თავად ქუთაისი.

უცნაური იყო ქუთაისის ბედი, ხასიათი და თვისება. ქუთაისმა იცოდა სიყვარული. ამ სახლში რიონის პირად ცხოვრობდა ანიკო ნიკოლაძე, რომლის ცხოვრება ერთი კაცის სიყვარულში დაილია და, როცა იგი მიიცვალა, არაფერი არ დარჩენია გარდა აკაკი წერეთლის დროჟამისაგან გაცრეცილი წერილებისა.

ქუთაისმა იცოდა ვაჟკაცური კდემამოსილება. ამ სათეატრო დარბაზში მდგარან თავჩაქინდრული ქუთათურები, მაგრამ ტაშს არ უკრავდნენ «სამშობლოში» ლევან ხიმშიაშვილს, რომელიც მოღალატე ქეთევანს ჰკლავდა, რადგან ქალის როლს ნუცა ჩხეიძე თამაშობდა. იმდენად დიდი იყო მოკრძალება და პატივისცემა ნუცა ჩხეიძის ქალობისადმი, რომ არ უნდოდათ მისთვის ტკივილის მიყენება.

[1] დოკუმენტური ფილმის სადიქტორო ტექსტი. 1979 წ.

ქუთაისმა იცოდა შეუპოვარი ბრძოლაც. როცა ალიხანოვ-ავარსკის სისხლიანი ურდოები ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყველაფერს, ბარიკადებზე იდგა არა მარტო მუშა და გლეხი, არამედ არტისტი ლადო მესხიშვილიც.

ასე ასწავლიდა და ავაჟკაცებდა სიმონ ყაუხჩიშვილს ქუთაისი. ასე აყალიბებდა მის ხასიათს. როცა 1913 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა ვერცხლის მედლით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, მან უკვე მტკიცედ იცოდა, როგორ უნდა გაეწია სამსახური ერისა და მამულისათვის.

18 წლის სიმონ ყაუხჩიშვილი პეტერბურგს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. ტოვებდა იგი მშობლიურ ქალაქს. უკვე წარსულში იძირებოდა ერთი შეხედვით, უდარდელი, მხიარული, ოხუნჯი, დროს ტარებასა და ქეიფს გადაყოლილი ქუთათურები, ამოუცნობ და გაუმხელელ სევდას რომ ატარებენ. უკან რჩებოდა ბაღის კიდეს შეჩვეული გუდამშიერი და კოხტაპრუწა აზნაურები... მაგრამ, რაც მთავარია, გულით მიჰქონდა ქალაქი, რომლის ქუჩებში, ბაღებში და სახლებში უვლიათ, უფიქრიათ, უოცნებიათ ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლებს ნიკო მარს, აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს; სადაც ბავშვობა და ყმაწვილკაცობა გაუტარებია ქართული მეტალურგიის პიონერებს და-ძმა რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეებს, სადაც შობილა გალაკტიონ ტაბიძის პოეხია და ქართულისაოპერო მუსიკის შემქმნელი ზაქარია ფალიაშვილი; სადაც დგას, ბაგრატის ტაძრის ჩრდილს შეფარებული, მარჯანიშვილის ორასწლიანი სახლი... ამ სახლიდან დარეკავს ქართული თეატრის განახლების ზარი.

პეტერბურგში ქუთათელი ყმაწვილი კაცი სრულიად სხვა გარემოში მოხვდა. პეტრე პირველის დაუოკებელმა ენერგიამ ამოატივტივა ეს ქალაქი ნევის ჭაობებიდან, როგორც ევროპის შორეული გამოძახილი. აქ ერთმანეთშია არეული პუშკინის პოეზიის სინატიფე და დოსტოევსკის კოშმარული ჩვენებანი, ბელინსკის პათეტიკა და პისარევის ყოვლის უარმყოფელი ნიჰილიზმი, ჩამომხრჩვალი დეკაბრისტების ზმანებანი და ტერორისტების მიერ დახოცილი იმპერატორების სისხლი.

აქ, პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს სიმონ ყაუხჩიშვილი კლასიკურ ფილოლოგიას. აქ ყინულოვან პეტერბურგში უნდა შეიგრძნოს ელადის მზის მცხუნვარება. ბურუსიანი ბალტიკის ნაპირას უნდა დაინახოს ეგეოსის ზღვის ლაჟვარდი. აქაურ ცრუ კლასიცისტურ არქიტექტურაში უნდა ამოიცნოს პართენონის ჰაეროვანი სიმსუბუქე და პირველქმნილი სინატიფე. პეტერბურგის უნივერსიტეტში ეს შესაძლებელი იყო, რამეთუ იქ კლასიკური ფილოლოგიის პირველხარისხოვანი სკოლა არსებობდა. ამ სკოლას ქმნიდა და ამშვენებდა პომიალოვსკი, ნიკიტინი, იერნშტედტი, ლატიშევი, ზელინსკი.

სიმონ ყაუხჩიშვილი საფუძვლიან განათლებას იღებს, მაგრამ იგი უფრო მეტს მიელტვის. ოცნებობს საბერძნეთზე, ევროპის უნივერსიტეტებზე. თუმცა ახლა არავის სცალია კლასიკური ფილოლოგიისათვის. პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებს და ფილოლოგების ნაცვლად გენერლები ლაპარაკობენ. ამ მოლოდინში მიდის დრო და პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული სიმონ ყაუხჩიშვილი უკან სამშობლოში

ბრუნდება. იგი მუშაობას იწყებს ქალთა სამასწავლებლო სემინარიაში, ანტიკური ქვეყნების და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

მალე ქართული განათლების ისტორიაში დიდი ფაქტი მოხდა – დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი. 1918 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ყაუხჩიშვილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მიიწვია და დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად.

სიმონ ყაუხჩიშვილმა პირველი სამეცნიერო დავალებაც მიიღო. უნდა შეესწავლა და სამეცნიერო გამოკვლევა დაეწერა IX საუკუნის ბიზანტიელი მემატიანის გიორგი ამორტოლის «ქრონოგრაფიის» შესახებ. ეს დავალება ახალგაზრდა მეცნიერმა პირნათლად შეასრულა. მალე შესაძლებლობა გაჩნდა და სიმონ ყაუხჩიშვილი საბერძნეთში მიავლინეს. რამდენიმე თვე გაატარა მან ათენში. იქაურ მუზეუმებში, არქივებში, ინსტიტუტებში ძველი საბერძნეთის ისტორიის, კულტურის, მწერლობის ცოდნას იძენდა. საბერძნეთიდან გერმანიაში წავიდა სიმონი და იქ ოთხი სემესტრი დაჰყო.

კლასიკური ფილოლოგიის გერმანული სკოლა მსოფლიოში სახელგანთქმული სკოლა იყო. ვილამოვიცს, ნორდენს, დილსს, შულცეს და სხვებს მთელი წიგნიერი კაცობრიობა იცნობდა. ღრმა განათლება, საქმის ზუსტი ცოდნა, სიბეჯითე და მუყაითობა აითვისა ბერლინის უნივერსიტეტის პედაგოგებისაგან სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ბიზანტინოლოგიას იგი ეუფლებოდა პაულ მაასის სემინარიებში, ეპიგრაფიკას, სიძველეთმცოდნეობას, წყაროთმოცოდნეობას _ ვილკენთან, ბერძნულ პალეოგრაფიას _ შუბარტთან.

უცხოეთიდან სამშობლოში 1923 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა სიმონ ყაუხჩიშვილი. ამ დროს თბილისის უნივერსიტეტში უკვე მოღვაწეობდა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიის დიდი სპეციალისტი გრიგოლ წერეთელი. საფუძველი ეყრება ელინისტიკისა და ბიზანტინოლოგიის ქართულ სკოლას. დღეს საქართველოში არ არის ძველი ბერძნული და ბიზანტიური კულტურის, მწერლობის, ისტორიის სპეციალისტი, რომელსაც სიმონ ყაუხჩიშვილის სკოლა არ გაევლოს, ვისი მასწავლებელიც იგი არ ყოფილა.

მე მახსენდება ტანადი, ლამაზი ვაჟკაცი, ძველი ელინის კლასიკური გარეგნობით, მტკიცედ რომ მოაბიჯებს უნივერსიტეტის დერეფანში, შემოდის აუდიტორიაში და ყოველ ლექციას იწყებს მიმართვით _ **მოქალაქენო**!.. არც ბატონებო და არც ამხანაგებო, არამედ **მოქალაქენო**!.. რამეთუ ვინც უნივერსიტეტის სკოლას გაივლის უპირველესად მოქალაქე უნდა იყოს, მოქალაქე თავისი ერისა და მამულისა. ამ სიტყვის ფასი და ღირებულება ძვალ-რბილში უნდა გაგიჯდეს და მერე გაქვს უფლება სამოქმედო ასპარეზზე გახვიდე.

ძველი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ისტორია წარმოუდგენელია საბერძნეთთან და რომთან ურთიერთობის გარეშე. საქართველო ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურის ქვეყანაა და, ბუნებრივია, ვისაც მისი წარსულის შეცნობა უნდა რომსა და საბერძნეთს კარგად უნდა იცნობდეს. თითქმის ათასი წლის მანძილზე არსებობდა უწყვეტი და გამუდმებული კონტაქტი ბიზანტიის იმპერიასთან. ამიტომ ბერძნული და ლათინური მწერლობა აურაცხელ ცნობას შეიცავს საქართველოს შესახებ. მარცვალ-მარცვალ უნდა ეძებო ლიტერატურის ამ ზღვაში ყოველი ცნობა, გულმოდგინედ ამოკრიფო, შეისწავლო, კომენტარებით აღჭურვო და მკითხველს მიაწოდო. წლების მანძილზე რუდუნებით

სწავლობდა სიმონ ყაუხჩიშვილი ამ ლიტერატურას, აგროვებდა ამ ცნობებს და ჰქმნიდა დღეს ყველასათვის ცნობილ მრავალტომიან «გეორგიკას» _ ძველი ბერძენი და რომაელი მემატიანეების ცნობათა კრებულს საქართველოს შესახებ. ჯერ იგი მარტო ეწეოდა ამ უღელს, მერე _ მოწაფეებთან ერთად. ახლა არ არის ძველი სამყაროთი დაინტერესებული კაცი, სპეციალისტი თუ რიგითი მკითხველი, «გეორგიკით» არ სარგებლობდეს, სამაგიდო წიგნად არ მიაჩნდეს იგი.

თუმცა არცერთი ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული ისტორია არ დაწერილა მარტოოდენ უცხოური წყაროების საშუალებით. ამის პირველი და ურყევი საფუძველი ორიგინალური, ეროვნული საისტორიო მწერლობაა. ამიტომ სიმონ ყაუხჩიშვილი წლების მანძილზე სწავლობს «ქართლის ცხოვრების» ყველა ხელნაწერს, ერთმანეთს უდარებს, აზუსტებს, შენიშვნებს ურთავს და მეცნიერული გამოცემისათვის ამზადებს. რამდენიმე ტომი უკვე გამოცემულია და მათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ყოველი ქართველისათვის.

ბუნებრივია, რომ ამგვარი მეცნიერული მუშაობის პროცესში სიმონ ყაუხჩიშვილის წინაშე ბევრი პრობლემა წამოიჭრებოდა, რომელსაც შესწავლა და პასუხის გაცემა სჭირდებოდა. მართლაც, რა საკითხს არ შეხებია სიმონ ყაუხჩიშვილის კალამი! იქნება ეს კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერები თუ არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები თუ იოანე მოსხის ნოველები, პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის მოღვაწეობა თუ ფაზისის რიტორიკული სკოლა, მეექვსე საუკუნის ბიზანტიური რომანი «ღალაქტიონი და ეპისტიმია» თუ იოანე პეტრიწის ფილოსიფიური შრომები...

როცა ამა თუ იმ ერის განვლილ ისტორიულ გზას გადახედავ არ შეიძლება არ გამოიკვეთოს მისი ზნე, ხასიათი, თვისება. ყველაფერი ეს ყალიბდება არა მარტო საკუთარი მწერლობით და კულტურით, არამედ მეზობელთა გავლენითაც, მით უმეტეს თუ ისეთ მეზობელი გყავდა, როგორიც იყო ძველი საბერძნეთი და ბიზანტია. ჟველი ქართველის ხასიათსა და თვისებაზე უთუოდ არსებით ზეგავლენას ახდენდა ძველი ბერძნული და ბიზანტიური სიტყვაკაზმული მწერლობა. ქართული ბუნების ბევრი საიდუმლოს ამოცნობა შეიძლება ამ ლიტერატურის შესწავლით. ქართული ორიგინალური მწერლობის განვითარების პროცესის წარმოდგენაც შეუძლებელია ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის გათვალისწინების გარეშე.

განა საუკუნეების მანძილზე არ გვაწამებს საკუთარი ჯოჯოხეთური ვნების მსხვერპლის მედეას თავგადასავალი?

განა საკუთარი ქვეყნის ისტორიას არ გვაგონებს გამარჯვებული მტრის ეტლზე გამობმული ჰექტორის გვამი?

განა დღესაც ყურში არ წივის კასანდრას შემზარავი წინასწარმეტყველება?

განა დღესაც არ ველით პატარა ჯიუტ გოგოს, რომელიც არ შეუდრკება არავითარ მეფურ ბრძანებას და დაიტირებს დაღუპულ ძმას?

განა ელექტრას ბოღმა არ ითხოვს შურისგებას?

წარსულთან კავშირი არ გაწყვეტილა და დღესაც ცოცხალია იგი. რადგან ცოცხალია კავკასიის მთებს მიჯაჭვული ღმერთის უკვდავი სული.

ამ ცოცხალ კავშირს ვგრძნობთ და ვხედავთ ჩვენ სიმონ ყაუხჩიშვილის მრავალტომიან «ძველი ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში».

ამ ცოცხალ კავშირს ვხედავთ მის პიროვნებაში.

მიდის დროჟამი... იკეთება ადამიანის ცხოვრების მატიანის ფურცლები... უკან დარჩა რვა ათეული წელიწადი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა ვაჟკაცს ვუყურებ, რომელიც მტკიცედ და დარბაისლურად მოგვმართავს:

**მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო !..**

## კეთილშობილების გაკვეთილი

1971 წლის აგვისტო ილეოდა. შვებულებაში ვიყავი და ინსტიტუტში არ დავდიოდი. 28 აგვისტოს დილით ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე, მაგრამ, სიტყვების მაგიერ, ქალის სასოწარკვეთილი ტირილი მომესმა. ვიღაცას ლაპარაკი უნდოდა და ვერ ახერხებდა. გაოგნებული ვერაფრით ვერ ვხვდებოდი _ რა ხდებოდა. ვერც ხმა ვიცანი. მერე როგორღაც აქვითინებულმა ხმამ მოახერხა ეთქვა _ დოდო ვარო. რეკავდა დოდო ნინუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სწავლული მდივანი. გაოცებულმა ვერც კი მოვახერხე რაიმე მეკითხა, რომ დაუჯერებელი სიტყვები გავიგონე საშა მოკლესო.

სად, როდის, რისთვის, რატომ, ვის უნდა მოეკლა ალექსანდრე გამყრელიძე? _ ანტიკური ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკად. კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თეკერეის, კეროლის, გოლზუორთისა და სხვათა ქართულად მთარგმნელი.

ყველაფერი სრულიად გაუგებარი და აუხსნელი იყო.

მაშინვე ინსტიტუტში გავვარდი და ეს შევიტყვე:

26 აგვისტოს, სამუშაო დღის ბოლოს, ალექსანდრე გამყრელიძე ინსტიტუტიდან გასულა. ჯერ ბუკინისტურ მაღაზიაში შეუვლია და ივანე ჯავახიშვილის «დიპლომატიკა» შეუძენია (როგორც მერე ბუკინისტური წიგნის მაღაზიის საქონელმცოდნე მიხ.კაკაბაძე იხსენებდა, ფრიად გახარებული გასულა საშა მაღაზიიდან _ გარდა ამ წიგნისა, დიდი ივანეს ყველა წიგნი მქონდა და ესეც ვიშოვნეო). მერე კოლმეურნეთა მოედანზე ჩასულა და დახურულ ბაზარში საზამთრო უყიდია. შინმიმავალი, ავტობუსის გაჩერებაზე, ასეთ სურათს წასწყდომია: ასე 20-22 წლის ორ ახალგაზრდას უცნობი ქალი შეუჩერებია. ჯერ ლაპარაკი დაუწყიათ, მერე ხელებით ბღლარძუნზეც გადასულან. გათავხედებულებს პანღურიც კი ამოუკრავთ ქალისთვის. ქალი მოძალადეევს ვერა და ვერ იცილებდა. ალექსანდრე გამყრელიძე უცნობ ქალს გამოსარჩლებია. _ შენ ვინ გეკითხება, სხვის საქმეში რად ეჩრებიო და ერთ-ერთ ხულიგანს საშასთვის სახეში გაურტყამს. დარტყმისთანავე სათვალე დავარდნია საშას (ალ.გამყრელიძეს ძალიან სუსტი მხედველობა ჰქონდა და სათვალეს ატარებდა). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი არსებითად ვეღარ ხედავდა, რა ხდებოდა მის წინ. თან ხელებიც

დაკავებული ჰქონდა: ერთში საზამთრო ეჭირა, მეორეში _ წიგნი. უბრალო თავდაცვაც კი არ შეეძლო.

სათვალე დავარდნია და საშა სათვალის ასაღებად დახრილა. დაიხარაო და ხულიგნებსაც დრო უხელთიათ: საშასათვის წიხლები დაუშენიათ. ასე ცემით საძილე არტერია გაუწყვეტიათ და მოუკლავთ.

კოლმეურენთა მოედანხე, სადაც მილეთის ხალხი ირევა, ბრბო იდგა და გულდამშვიდებული უყურებდა თურმე ამ ამბავს. კაციშვილი არ მიშველებია ალ.გამყრელიძეს. მარტო ერთი გამხდარი და გალეული გოგო ლია თულაშვილი ებრძოდა თავგამეტებით ორ ვაჟკაცს (მერე ერთ-ერთი მკვლელი სპორტსმენი-მოჭიდავე _ აღმოჩნდა, რომელმაც მკვლელობისას პროფესიული ილეთიც გამოიყენა), ხალხს შველას და დახმარებას თხოვდა, მაგრამ ყური არავის გაუბარტყუნებია. მკვლელებმა ბოროტი საქმე მოათავეს და შინ არხეინად წაბრძანდნენ. მიიმალა და აღარსად გამოჩენილა ის ქალიც, ვისაც ალ.გამყრელიძე გამოექომაგა. მილიცია მკვლელებს ვერ იპოვნიდა, ლ.თულაშვილს რომ არ ევაჟკაცნა. ამ გოგონას წყალობით მოხერხდა მათი დაპატიმრება და სამართალში მიცემა.

იმ დღეებში, როცა მკვლელების გასამართლება მიმდინარეობდა, გულდაწყვეტილი საზოგადოება სინანულითა და ეჭვით სვამდა კითხვას _ ღირს კი ადამიანმა სხვისთვის თავი გაწირო თუ იგი, ვისთვისაც საკუთარი სიცოცხლე გაიმეტე, სასამართლოზეც არ მოვა, რომ მოსამართლეს სწორი და ზუსტი ჩვენება მაინც მისცესო? ამ კითხვას ალ.გამყრელიძემ თავის საქციელით უპასუხა _ ღირს, რამეთუ ადამიანის უპირველესი ვალი მოყვასის შველაა, თუნდაც იგი (მოყვასი) სულმდაბალი პიროვნება აღმოჩნდეს.

მე არ ვიცი, მიყვებოდა თუ არა ალ.გამყრელიძის კუბოს ჩუმად, სხვებისაგან შეუმჩნევლად, ის უცნობი ქალი, ვისთვისაც საშამ საკუთარი სიცოცხლე გასწირა, მაგრამ მე ვიცი, რომ ალ.გამყრელიძეს უკანასკნელ სავანემდე გვერდიგვერდ თავჩაქინდრული მიაცილებდა ადამიანის კეთილშობილება და ადამიანის უმადღრება. ალბათ ცხოვრება ამ ორი საწყისის ბრძოლაც არის და ყოველმა კაცმა მათ შორის უნდა აირჩიოს თავისი ადგილი. ალ.გამყრელიძემ თავის საქციელით უბრალოდ გვითხრა _ ადამიანი კეთილშობილების მხარეს უნდა იდგესო.

ეს იყო ალ.გამყრელიძის უკანასკნელი გაკვეთილის აზრი. 50-იან წლებში, უნივერსიტეტში ჩემ თაობას ალექსანდრე გამყრელიძე ლათინურ ენას ასწავლიდა. 70-იან წლებში კი კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგვიტარა _ ვაჟკაცური კეთილშობილების გაკვეთილი. ამიტომ არ მიმაჩნია მისი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე უაზრო სიკვდილად.

ალ.გამყრელიძე ყველაფრის დაინტერესებული მეცნიერი იყო. მაგრამ ახლა მე არ შევუდგები მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ვრცელ დახასიათებას. ამას ჩემზე უკეთ ანტიკური ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალისტები გააკეთებენ. ამასთანავე არც წინამდებარე წიგნი იძლევა სრულ წარმოდგენას მისი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. ამ წიგნის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მკითხველს ზოგადად აცნობს ალ.გამყრელიძის ინტერესთა ვრცელ ასპარეზს. ამ კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები, რომელნიც ეხებიან ანტიკის, ბიზანტიკის, საქართველოს ისტორიის საკითხებს და მე-19 საუკუნის ინგლისურენოვანი მწერლობის სახელოვან წარმომადგენლებს.

ალ.გამყრელიძეს თანაბრად ხელეწიფებოდა მეცნიერისა და მწერლის შრომა-საქმიანობა. შეეძლო «ალისა საოცარ ქვეყანაში» თარგმანების გვერდით პედანტური (ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით) სიზუსტით ეკვლია _ რას ნიშნავს სიტყვა «საბელი» ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში. შეეძლო ამიანე მარცელინეს ცხოვრებითაც გატაცება და უილიამ თეკერეის ბიოგრაფიითაც, თუმცა რომაელი მხედრისა და ისტორიკოსის ცხოვრება არაფრით ჰგავდა ინგლისელი რომანისტის ცხოვრებას. ბუნებით დინჯსა და აუმღვრეველ კაცს ფენიმორ კუპერის ფათერაკებით სავსე რომანებიც აინტერესებდა და იოანე ოქროპირის ჰომილიაც.

დღეს, მეცნიერების (და თქვენ წარმოიდგინეთ, მწერლობისაც) ვიწრო სპეციალიზირების ეპოქაში, როცა ამა თუ იმ დარგის პაწია ნაჭუჭში ჩაკეტვა ღირსებადაც კი არის მიჩნეული, შეიძლება ზოგიერთს ინტერესთა ეს მრავალმხრივობა საქმისადმი ზერელე ან იოლ დამოკიდებულებადაც კი მოეჩვენოს. მაგრამ, ვინც კარგად გაეცნობა ალ.გამყრელიძის სამეცნიერო და სამწერლო მემკვიდრეობას, დარწმუნდება, რომ რასაც აკეთებდა იგი, აკეთებდა ბეჯითად, გულმოდგინედ და საფუძვლიანად. სიბეჯითე და გულმოდგინება მისი ხასიათის თვისება იყო. სხვათა შორის, ამ თვისებების თვინიერ, ძნელად თუ შეათავსებდა ალ.გამყრელიძე მეცნიერულ და მხატვრულ თარგმანის ერთდროულ სამსახურს. პომპონიუს მელა არ შეიძლება ისე ითარგმნოს, როგორც რობერტ სტივენსონი. პირველი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოვიღოთ (ზოგჯერ ქართული ენის ბუნების შელახვითაც), რათა ორიგინალის ტექსტს მეცნიერული მნიშვნელობა და ღირებულება არ დაეკარგოს. მეორე კი ისე უნდა მივაწოდოთ მკითხველს, რომ ორიგინალის აზრი და ემოციური ჟღერადობა სრულად იგრძნობოდეს, თან მშობლიური ენის მთელი მშვენიერებაც ავსახოთ. თქმა არ უნდა, რომ ორივე ურთულესი საქმეა. ალ.გამყრელიძეს ერთიც ეხერხებოდა და მეორეც.

ამიტომ იყო ალექსანდრე გამყრელიძის ცხოვრება, კეთილშობილური საქციელის გაკვეთილის გვერდით, კეთილშობილური შრომის გაკვეთილიც.

## შრომით შენარჩუნებული ღირსება

ლადო ავალიანი არ ხმაურობს მწერლობაში. იგი თავის საქმეს აკეთებს მშვიდად, წყნარად, ერთგულად და პატიოსნად. ეს დასაფასებელი სიქველეა, მით უმეტეს ჩვენში, სადაც ცარიელი თავების ხრიგინით ყურთასმენაა წაღებული.

დიდი ხნის წინათ წავიკითხე პირველად ლადო ავალიანის მოთხრობა _ «ვახტაბუკა». ამ პატარა მოთხრობაში ადამიანის ღირსეული საქციელია აღწერილი. ხეიბარმა კაცმა, რომელიც სოფელს ათვალწუნებული ჰყავდა, ხანძარში დაღუპვისაგან კავკასიური ნაგაზის ლეკვი გადაარჩინა და ცეცხლიდან მიწის საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადების აქტი გამოიტანა. ამ ვაჟკაცურმა ქმედებამ აბუჩადაგდებული ვახტაბუკა მეზობლების თვალში აამაღლა. ღირსება შესძინა.

«ვახტაბუკას» გახსენებით ის მინდა ვთქვა, რომ ღირსების შენარჩუნება, მისი მოფრთხილება და მოვლა-პატრონობა ერთერთი ძირითადი თემაა ლადო ავალიანის შემოქმედებისა.

უღირსებო ადამიანი აღარ არის ადამიანი. არც ხალხია ხალხი უღირსებოდ. ეს ჩვენი საუკუნის დიდი ტკივლია. თითქმის მოურჩენელი. მე-20 საუკუნე, ერთი მხრივ, ადამიანის გონების გამაოგნებელ ძალას ავლენს _ თერმობირთვული ენერგიის გამოყენება, კოსმოსური ტექნიკის შექმნა, ელექრონიკა და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ, მაგრამ ამავე დროს ღირსებისა და ზნეობის დაკარგვა. ადამიანის ხორციელი და სულიერი გაშიშვლება, რის შედეგადაც იგი პირუტყვად უფრო გამოიყურება, ვიდრე «სახედ ღმრთისად» შექმნილ არსებად. ამ ტრაგიკულ წინააღმდეგობაში ღირსების შენარჩუნება დიდ სულიერ ძალას ითხოვს. ლადო ავალიანს დახატული ჰყავს ამგვარი პერსონაჟები შატბია არაბიძისა და თამარელას საჯით («ახალი ჰორიზონტი).

«ახალ ჰორიზონტს» ეპიგრაფად შექსპირის ჰამლეტის სიტყვები უზის: «როგორ? თქვენა გგონიათ, მე ამ პატარა სალამურზე უფრო ადვილი დასაკრავი ვიყო! მიწოდეთ მე რა საკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ შეგიძლიათ გამაწვალოთ, რამდენიცა გსურთ და ჩემზე დაკვრას კი ვერ მოახერხებთ».

ღირსებას ის ინარჩუნებს, ვისზე დაკვრასაც ვერ ახერხებენ. ღირსებას ის კარგავს, ვისზეც როგორც უნდათ ისე უკრავენ. ეს არა მარტო «ახალი ჰორიზონტის» ძირითადი ლაიტმოტივია, არამედ ლადო ავალიანის მთელი შემოქმედებისა. აქ გამოვლინდა მწერლისა და ეპოქის ბრძოლა. გარეგნულად უხმაურო, მაგრამ შინაგანად უაღრესად დაძაბული.

ნებით თუ უნებლიეთ, მე-20 საუკუნე ადამიანის საკრავად გადაქცევას ცდილობდა და ცდილობს. ასწლეულის პირველ ნახევარში ამის დამკვიდრებას იდეოლოგიის (ბოლშევიზმი, ფაშიზმი, ნაციზმი) გზით მიელტვობა, მეორე ნახევარში _ ფულის ტოტალური დიქტატურით. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანი ღირსებას იდეოლოგიის მონობით დაკარგავს თუ ფულის ყურმოჭრილი ყმობით? შედეგი ხომ ერთნაირია.

შემთხვევითი არ გახლავთ ლადო ავალიანის სიყვარული და პატივისცემა ისეთი ადამიანების მიმართ, როგორიც იყვნენ, ვთქვათ ნიკო ფიროსმანი, იგნასიო სულოაგა, ლადო გუდიაშვილი... მათ ყველა ვითარებაში მოახერხეს ღირსების შენარჩუნება. თქვეს ის, რისი თქმაც სურდათ. ვერც იდეოლოგიურმა წნეხმა, ვერც ფულის პრესმა ისინი ვერ გაჭყლიტა. ვერც დრომ, ვერც სახელმწიფომ ვერ მოახერხა მათზე დაკვრა.

გამოგონილ პერსონაჟს შატბია არაბიძესაც ეს თვისება აქვს. მისი ნანდაურიც თამარელა ასეთივე გაუტეხელი ქალია. რეალური პირები და გამოგონილი პერსონაჟები ერთ მთლიანობას ქმნიან. ამ მთლიანობაში იკვეთება ლადო ავალიანის დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ.

სად არის ადამიანის თავშესაფარი პიროვნებისა და სინამდვილის უთანასწორო ბრძოლაში? ეს თავშესაფარი შრომაა. სულერთია როგორია ეს შრომა, რა ხასიათისა. შრომით ავლენს ადამიანი საკუთარ მე-ს ძალას, მე-ს თვისებას, ხასიათს. ამიტომ არაბიძეების ოჯახი ერთნაირი ღირსებით შრომობს შახტშიაც, მხატვრობაშიც და დიასახლისობაშიც.

ლადო ავალიანმაც შრომაში შენარჩუნებული ღირსებით გაიარა 85 წელიწადი.

ერთადერთი ფასეულობა, რომელსაც პატივისცემა და მოკრძალებით მოპყრობა უნდა სიცოცხლეა. სხვა ყველფერი მერყევი და სწრაფწარმავალია.

სიცოცხლე, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი, ღვთის საჩუქარია. ლადო ავალიანი ჰყვარებია უზენაესს, რაკი იგი ხანგრძლივი სიცოცხლით დააჯილდოვა. ამიტომ მას ვულოცავ არა მიწიერი ცხოვრების ოთხმოცდამეხუთე წლისთავს, არამედ ღმრთის მისადმი გამოვლენილ სიყვარულს. ეს ნურასოდეს მოკლებოდეს.

1998 წ. 20 აგვისტო

## დონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატების თვალიერებისას

ქრისტოფორო კასტელი 31 წლის ვაჟკაცი იყო, როცა იგი 1628 წელს საქართველოში ჩამოვიდა და 57 წლის ჭარმაგმა კაცმა დატოვა ჩვენი ქვეყანა. სხვის ქვეყანაში 26 წლის მანძილზე გატარებულ მძიმე ცხოვრებას იგი დაუსნეულებია. თავად გვაუწყებს _ «რადგან სრულიად დასნეულებული ვიყავი, შევეცადე დავბრუნებულიყავი სამშობლოში» (გვ. 99) და დაბრუნებულა კიდეც.

ქრისტოფორო კასტელის საქართველოს ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ დარჩენია შეუმჩნეველი და ჩვენი ისტორიისათვის ფასდაუდებელი განძი დაგვიტოვა. როცა კასტელის ჩანახატებსა და ჩანაწერებს ეცნობით ერთ-ერთი უპირველესი გრძნობა, რომელიც მაშინვე გაგიჩნდებათ, გახლავთ სინანულის გრძნობა: შესწავლილი და დაწერილი არ არის ქართული დიპლომატიის ისტორია.

XVII საუკუნის საქართველოში სამი დიდი სახელმწიფო კაცი მოღვაწეობს:

გიორგი სააკაძე,

ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ანუ როსტომ მეფე

და ლევან მეორე დადიანი.

ქრისტოფორო კასტელიმ დაგვიტოვა სამივე სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტი.

სამივეს ერთი მიზანი ჰქონდა: დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება, მაგრამ ჩვენს მეცნიერებას არ აუხსნია და არ განუმარტავს უმთავრესი: როგორ მოხდა, რომ ამ სამმა კაცმა საერთო ენა ვერ გამოძებნა და ერთი მიზნის მისაღწევად ცალ-ცალკე აწყდებოდნენ ღობე-ყორეს. არ აგვიხსნია, რომ ამ ერთიანობას ხელს უშლიდა არა მარტო პოლიტიკური და სოციალური სიტუაცია, არამედ ქართველი კაცის პიროვნული და ეროვნული ფსიქოლოგია. სწორედ ეს უკანასკნელი _ ქართველი კაცის პიროვნული და ეროვნული ფსიქოლოგია _ ისტორიული ასპექტით და თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებ (თუ სულ არა) გვაქვს შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფსიქოლოგიის ასახსნელად არჩილმა და დავით გურამიშვილმა უტყუარი გასაღები დაგვიტოვეს.

არჩილი ბრძანებს:

ასრე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებია, იტყვიან:
«უჩემოთ ვინ იმღერეთა?»

დავითი დასძენს:

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ,
მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა,
იქმოდა, რასაც ინებდა!

სხვათა შორის, ეს მწარე სიტყვები ვახტანგ მეექვსის მისამართით არის ნათქვამი.

როგორც ხედავთ, პირად პატივმოყვარეობას დაუძლევია საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნული ინტერესი.

კასტელის გიორგი სააკაძის სურათისათვის წაუწერია _ «ქართველთა ჯარის სარდალი, არაჩვეულებრივად ძლიერი და ყველაზე უფრო მტკიცე კაცი, მრავალ ომში სახელგანთქმული დიდი მოურავი» (გვ. 81). ძუნწი წარწერაა, თუმცა არსებითი ნათქვამია. ჩვენ სხვა გრძნობას აღგვიძრავს მისი სურათი, კამეჩის ქედივით ღონიერი კისრით და ცეცხლისმფრქვეველი თვალებით. გვახსენდება მარტყოფის გმირი, რომელმაც სასიკვდილოდ განწირული აღმოსავლეთ საქართველო ისევ სიცოცხლისკენ შემოაბრუნა და ბაზალეთის სამარცხვინო ომის ინიციატორი, როცა იღვრებოდა ძმების სისხლი დაუნდობლად და გამეტებულად და, რაც მთავარია, მტრის გასახარად. გვახსენდება კაცი, რომელიც შვილს იმეტებდა მამულისათვის, მაგრამ ამასთანავე ხან სპარსეთსა და ხან თურქეთში უაზროდ ფლანგავდა ნიჭს, ჭკუას, ენერგიას. განუკითხავი ბედისწერის სასწორზე შეგდებული ვაჟკაცი, რომლის სიცოცხლე თურქი ჯალათის ნაჯახმა დააღამა.

პოეტისათვის მეტად საყურადღებო რამ აქვს ნათქვამი ქრისტოფორო კასტელის გიორგი სააკაძეზე. გიორგი სააკაძე შურით აღვსილმა მტრებმა მოწამლესო. «მისი სიკვდილის შემდეგ, _ დასძენს კასტელი, _ მოწამლული გული მკერდიდან ამოიღეს ადამიანის გულში დასანერგად» (გვ. 81). მართალია, კასტელის არ სცოდნია ნამდვილად როგორ დაიღუპა დიდი მოურავი, მაგრამ სამაგიეროდ ეს ფრაზა რა მასალაა ლექსისათვის! რა ბედენაა მშრალი სიმართლე გიორგი სააკაძის მკერდიდან ამოღებულ მოწამლულ გულთან შედარებით?

რატომღაც ხოსრო-მირზა ბაგრატიონის ანუ როსტომ მეფის სურათი უწარწეროდ დაუტოვებია კასტელის. დღეს ვერავინ ახსნის ამას. შემთხვევითია იგი თუ გამიზნული. კათოლიკე ბერს იქნებ არ მოსწონდა გამაჰმადიანებული ქართველი. უჭკვიანესი და უცბიერესი კაცი, რომელმაც 93 წელიწადი იცოცხლა. ამ ხნის მანძილზე სულ ბეწვის ხიდზე იარა და ნაბიჯი ერთხელაც არ შეშლია. კაცი, რომლის ჭკუა გაწვდა ისპაჰანის ტარუღობას, ირანის ყულარაღასობას, ქართლის მეფობას, მაგრამ უკმარი აღმოჩნდა საქართველოს გასაერთიანებლად.

თუ როსტომ მეფის მიმართ ერთგვარი სიძუნწე გამოავლინა კასტელიმ, სამაგიეროდ ლევან დადიანისადმი გამოიჩინა გულუხვობა. მისი რამდენიმე სურათიაც დაგვიტოა და კარგიც გვიამბო და ავიც. კასტელი ასე ახასიათებს ლევან დადიანს: «...კოლხელი მთავარი, ხალხის მმართველი, კეთილი, მზრუნველი, მოსარჩლე, სამართლიანი და გულმოწყალე. იგი გულუხვად ეხმარებოდა არა მარტო თავის ყმებსა და ქვეშევრდომებს, არამედ მეზობელი სამთავროების მცხოვრებთაც». (გვ. 43). მაგრამ ამ ჭეშმარიტად ნიჭიერ და სახელმწიფო მოღვაწეს უსაშველო ამპარტავნების ჭია ღრღნიდა, რამაც დაუნდობელი და სასტიკი გახადა.

ერთიმეორის მიყოლებით უსაშინელესი ამბები დატრიალდა ლევან დადიანის ოჯახში.

ჯერ იყო და პირველ ცოლს აფხაზეთის მთავრის სეტემან შარაშიას (შარვაშიძე) ასულს დარეჯანს ცხვირი, ენა და ყურები მოაჭრა და ასე გაუგზავნა უკან მამას. ასე იმიტომ განრისხებულა, რომ ქალისათვის დაუწამებიათ პაატა წულუკიას (წულუკიძე) მრუშობსო. ცოლს რომ გაუსწორდა, პაატა წულუკია შეიპყრო და სიმონ გურიელს გაუგზავნა ხელფეხშეკრული, ციხეში ჩაალპეო.

ალბათ პირველი ცოლის თავიდან მოცილება გაუხარდა კიდეც ლევან დადიანს, რამეთუ სხვა უყვარდა: ღვიძლი ბიძის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა თანამეცხედრე, ესეც დარეჯანი. ლევანმა, როგორც კი გააგდო დასახიჩრებული დარეჯან შარაშია, მაშინვე წაართვა ბიძას ცოლი. შეურაცხყოფის ელდამ მოკლა ლიპარტიანი.

ლევან დადიანის თვითნებობით და თავხედობით თავგაბეზრებულმა გურიის მთავარმა სიმონ გურიელმა, აფხაზეთის მთავარმა სეტემან შარაშიამ და იმერეთის მეფე გიორგიმ გადაწყვიტეს მიპარვით მოეკლათ სამეგრელოს მთავარი. ამ შეთქმულებას პაატა წულუკია თავკაცობდა. დაიქირავეს მკვლელი. გალაღებული ლევანი მეორე ქორწილს იხდიდა. საქორწინო სუფრასთან მჯდომს მიეპარა მკვლელი და შუბი აძგერა ზურგში. თითქოს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა, მაინც გადარჩა. სასიკვდილოდ გამიმეტესო და მთლად გაცოფდა ლევან დადიანი. სიმონ გურიელი შეიპყრო და თვალები დათხარა. პაატა წულუკია ქვემეხის ლულაში ჩატენა და ისე ააფეთქა. თავზარდაცემულმა იმერეთის მეფე გიორგიმ ერთგულება შეფიცა და თავი ამით გადაირჩინა. აფხაზეთის მთავარი კი ისედაც დასჯილი იყო შვილის გაუბედურებით.

ლევანის მეორე ცოლი დარეჯან ჭილაძე კი უავესი და უბოროტესი ქალი გამოდგა. ლევან დადიანისა და დარეჯან შარაშიას ორივე შვილი მოწამლა. თავად ოთხი შვილი ეყოლა, მაგრამ ერთი კუტი დაიბადა და მალე გარდაიცვალა. მეორე დამბლადაცემული იყო. ბოროტებისათვის თუ მიაგო უზენაესმა სამაგიერო.

ამ ამბების წაკითხვის შემდეგ ერთი მიბრძანეთ, რომელი მაკბეტის, რომელი რიჩარდის ვნებანი შეედრება ლევან დადიანის ვნებებს? მაგრამ ქართულ მწერლობაში ჯერ არავინ დაინტერესებულა ლევან დადიანის ბედით, ხასიათით, მისწრაფებით, თვისებით. ჯერ მხოლოდ მატიანის ფურცლები ინახავს სამეგრელოს მთავრის ბნელი ვნებებით სავსე ცხოვრებას.

პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შეხედავთ ლევან დადიანის ცხოვრებას, უნდა ითქვას, რომ პირად ცხოვრებაში თავზეხელაღებულმა და უზნეო კაცმა სამთავროში სანიმუშო სახელმწიფო წესრიგი დაამყარა. თან, რაც მთავარია, მთელი ცხოვრება საერთო ქართული ეროვნული შეგნება ამოძრავებდა. შეიძლება ამ შეგნებაში პირადი პატივმოყვარეობის გრძნობაც ერია (მთელი საქართველოს იმპერატორობაზე ოცნებობდაო _ ამბობს კასტელი), მაგრამ ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. არსებითი ის არის, რომ იმიერ და ამიერ საქართველოს ერთიანობაზე ოცნებობდა. ამ მიზნით მიათხოვა მან თავისი ასული ძილისანი იმერეთის მეფე ბაგრატს და დაი მარიამი ქართლის მეფე როსტომს ანუ ხოსრო-მირზა ბაგრატიონს. ასე დამოყვრდა ორი კაცი _ ერთი ამიერ და მეორე იმიერ ქართველი, ერთი პოლიტიკური სიბრძნითა და ცბიერებით სავსე, მეორე – ამოურწყავი

ენერგიითა და ვაჟკაცობით. არქანჯელო ლამბერტი იუწყება ლევან დადიანის წესახებ _ «ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და სწავლა-განათლება ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნების მადლით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულებანი». მათ შემაერთებელ ხიდად კი იდგა მე-17 საუკუნის საქართველოს პირველი მანდილოსანი მარიამ დადიანი. ამ ქალს არ აკლდა არაფერი _ არც დედაკაცური ხიბლი, არც ჭკუა, არც სათნოება, არც განათლება, არც შეგნება. და ამ სამთა კავშირის მიუხედავად, მაინც არ მოხდა უმთავრესი _ საქართველოს გაერთიანება. რატომ? ეს კითხვა ბურღავს ტვინს.

რატომ?

ალბათ იმიტომ, რომ 1625 წელს მარაბდაში გიორგი სააკაძე და ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ერთმანეთის მხარდამხარ კი არ იდგნენ, არამედ პირისპირ. რასაც ერთი აშენებდა, მეორე ანგრევდა. თუმცა პიროვნულად ერთმანეთი უყვარდათ. გიორგი სააკაძის გამჭრიახმა თვალმა იპოვა ისპაჰანის ქუჩებსა და მოედნებზე მოლაშლაშე ბრბოში უპატრონო და უსახლკარო ხოსრო-მირზა და დიდი პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა. როცა ოსმალეთში გიორგი სააკაძის ოჯახი გაანადგურეს, დიდი მოურავის გადარჩენილი შთამომავლობა საქართველოში ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა ანუ როსტომ მეფემ დააბრუნა და მამულებიც უბოძა. ასე ზრუნავდნენ ერთმანეთზე, როცა საქმე პირადულს ეხებოდა. მაგრამ როცა საქვეყნო საქმე ითხოვდა ერთიანობას, მაშინ პირისპირ იდგნენ და შეუბრალებლად იმეტებდნენ ერთი-მეორეს. ყველაზე სავალალო და ტრაგიკული კი ის არის, რომ გულის მიზანი ერთი ჰქონდათ _ საქართველოს ერთიანობა, ოღონდ გზას ირჩევდნენ სხვადასხვაგვარს. გზას, რომელიც მიზანს უფრო აშორებდა, ვიდრე აახლოვებდა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

როცა როსტომ მეფემ ანუ ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა მარიამ დადიანის შერთვა გადაწყვიტა, სამეგრელოს მთავარმა და ქართლის მეფემ საქორწინო შეხვედრა ხანისწყლის ხეობაში, ბაღდადთან ახლოს, კაკას ხიდთან (ისტორიული საჩხეიძეო) დათქვეს. ჭკუაში არ დაუჯდათ ეს იმერეთის მეფეს გიორგის და კახთა მეფეს თეიმურაზ პირველს. ასე განაჩინეს: ვიდრე როსტომ მეფე ჩამოვიდოდა, თავს დასხმოდნენ ლევან დადიანს და საქორწინოდ მოსული მაყრიონი ერთიანად გაეჟუჟათ. მაგრამ გიორგი მეფის თანამზრახველთა შორის მოღალატე აღმოჩნდა, იმერთა და კახთა მეფეების მზაკვრული განზრახვა ლევან დადიანს აცნობა. ლევან დადიანი ის კაცი არ იყო, ვინც მზაკვრობას ასე იოლად შეარჩენდა ვინმეს. სასწრაფოდ დაესხა თავს ხანისწყლის ხეობაში დაბანაკებულ გიოგისა და თეიმურაზს. იმერეთის მეფე გიორგი ტყვედ ჩავარდა, თეიმურაზ პირველმა კი გაქცევით უშველა თავს. მათი თანმხლები ლაშქარი კი პირწმინდად გაწყვიტა ლევან დადიანმა.

ქრისტოფორო კასტელიმ გიორგი მეფისა და თეიმურაზ პირველის პორტრეტებიც დაგვიტოვა. შეხედავ და თვალი ზედ დაგრჩება. მაგრამ რა? ერთმანეთის უაზრო ჟლეტაში იხარჯება მათი სულიერი და ხორციელი მშვენიერება.

ბრძოლა დამთავრებული იყო, როცა როსტომ მეფემ კაკას ხიდთან მოაღწია. ენით უთქმელი და კალმით აუწერელი საქორწინო ნადიმი გაიმართა. ილხენდა იმერი და ამიერი

საქათველო, მაგრამ არავის გახსენებია იქვე ჩახოცილი თანამოძმენი და მათი სისხლით დამბალი მიწა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

არც მარიამ დედოფალი ახსოვს ქართულ მწერლობას. ამ ქალის ბედში, როგორც სარკეში, არეკლილია მე-17 საუკუნის საქართველოს ბედი.

მთელი ცხოვრება გლოვაში გაატარა მარიამ დედოფალმა.

თავდაპირველად იგი სიმონ გურიელს მიათხოვეს. მერე სიმონ გურიელმა უკადრისი იკადრა: ღვიძლი მამა მამია გურიელი მძინარე დაკლა სარეცელში. მამის მოკვლავს არ ვაპატიებო, განრისხდა ლევან დადიანი (ქრისტოფორო კასტელი ამბობს _ «მშობლის მკვლელობა ხომ უფრო სასტიკია, ვიდრე მრუშობა»). გურიაში ილაშქრა. სიმონ გურიელი შეიპყრო და თვალები დათხარა. დაი მარიამი და დისწული, მცირეწლოვანი ოტია გურიელი შინ, ოდიშს წამოიყვანა.

მეორე ქორწინებით მითხოვდა მარიამ დედოფალი როსტომ მეფეს. მაშინ როსტომი სამოცდაათ წელს მიტანებული მოხუცი იყო. აიტანა ახალგაზრდა ქალმა ეს, რამეთუ საქართველოს ინტერესი ითხოვდა ამას. ერთადერთი ნუგეში შვილი იყო ოტია. როსტომ მეფესაც უყვარდა გერი. ღვიძლი შვილი არ ჰყავდა როსტომ და მისი მომავლის იმედი ოტია იყო. მაგრამ სხვაგვარად სჯიდა ბედისწერა: ოტია გურიელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩნენ უძეოდ როსტომი და მარიამი. მაგრამ ამით არ დამთავრებულა მეფე-დედოფლის ოჯახური უბედურება. მემკვიდრედ იშვილეს ლუარსაბ ბატონიშვილი. თურმე არც ლუარსაბს ეწერა დიდი დღე. როსტომ მეფე «გატეხილი ხიდის» (აწინდელი წითელი ხიდის) მშენებლობის სანახავად წასულა. თან ახლდნენ მარიამი და ლუარსაბ. შეუჩნდა შვილობილი მამობილს _ სანადიროდ წავალო ტოლ-მეგობრებთან. გაუშვეს და უკან გულგანგმირული მოასვენეს ლუარსაბ ბატონიშვილი. არავინ უწყის როყიო ტყვია მოხვდა ლუარსაბს თუ საგანგებოდ ნასროლი. ჭორი დადიოდა, ბაადურ სომეხმა და შიოშ ქართველმა მოჰკლესო ლუარსაბ ბატონიშვილი, მაგრამ სიმართლე ვერავინ დაადგინა.

ასე ეწერა მარიამ დედოფალს, ძაძები არ უნდა გაეხადა.

დადიოდა შავოსანი დედოფალი საქართველოში და აშენებდა დანგრეულსა და იავარქმნილს. ბოლნისის ტაძარი შეაკეთებინა, რუისში ეკლესია განაახლა, ალავერდი შეამკო, თბილისში დაბლაციხესთან ეკლესია ააგო, სვეტიცხოვლის მორღვეული გუმბათი აღადგინა.

დადიოდა და აწერინებდა წიგნებს. მარიამისეული «ქართლის ცხოვრება» მისი ბრძანებით არის გადაწერილი.

დადიოდა და განიკითხავდა ქვრივ-ობლებს.

შენდებოდა ქრისტიანი საქართველო და მაჰმადიანი როსტომ მეფე თითქოს ვერაფერს ხედავდა. იჯდა თბილისში ირანის ყულარაღასი და ისპაჰანის ტარუღა და, მარიამ დედოფლის ხელით, აშენებდა ქრისტიან საქართველოს.

ბოლოს როსტომ მეფის საათმაც დარეკა და ღრმად მოხუცი 1658 წელს მიიცვალა იგი. როსტომ მეფე სპარსეთს წაასვენეს და დიდებით დაკრძალეს შაჰ-აბას პირველის გვერდით წმინდა ქალაქ ყუმში.

ასე წვანან ირანულ მიწაში ერთმანეთის გვერდიგვერდ საქართველოს დამაქცევარი და საქართველოს მაშენებელი.

თითქოს ქმრის სიკვდილი არ კმაროდა, ახალი დამცირება ელოდა მარიამ დედოფალს. ისპაჰანიდან რაყამი მოვიდა. შაჰი ბრძანებდა: ახალმა მეფემ ვახტანგ V ანუ სპარსულად შაჰ-ნავაზმა ცოლად შეირთოსო მარიამ დედოფალი. სპარსელები არას დაგიდევდნენ, რომ ვახტანგ V უკვე ცოლიანი კაცი იყო და როდამ ბარათა-ყაფლანიშვილთან 8 შვილი ჰყავდა. ასე ნებავდა ირანელ ხელმწიფეს და ქართველ მეფეს მორჩილად უნდა დაეკრა თავი. სხვა გზა არ იყო.

მესამედ გათხოვდა მარიამ დადიანი.

მაგრამ ლეჩაქებგაბახებული დედოფალი კიდევ მოესწრება ერთ დიდ ქართულ ზეიმს _ 1659 წლის კახეთის აჯანყებას, როცა ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების მეთაურობით ქართველებმა მუსრი გაავლეს სპარსელებს და უცხო ჯილაგისაგან ქვეყანა გაათავისუფლეს.

მაგრამ ქართული ზეიმი ყოველთვის გლოვით თავდება და მარიამ დედოფალი კიდევ ერთხელ გააცილებს სპარსეთში ზვარაკად მიმავალ სამ ქართველ წამებულს.

ვისაც მე-17 საუკუნის საქართველოს სიმბოლური წარმოდგენა უნდა, მან მარი ამ დედოფალი უნდა გამოქანდაკოს. იგი განასახიერებს იმდროინდელ საქართველოს სიდიადესაც და სიდუხჭირესაც.

და როგორ არ განვიმსჭვალოთ ქრისტოფორო კასტელისადმი მადლიერების გრძნობით, როცა მან მარიამ დედოფლის პორტრეტიც დაგვიტოვა.

გაერთიანება არ მოხდა. რატომ?

უსაშინელესი სენი _ ადამიანთა ვაჭრობა _ ღრღნიდა საქართველოს ეროვნულ სხეულს. თვალცრემლიანი ჩივის ქრისტოფორო კასტელი: «უგონო ცხოველსაც კი ვერ ბაძავენ: ე.ი. სამეგრელოს, გურიის ქვეყნებში, მერკოლაში, მშობლები შვილებს, შვილები მშობლებს, ძმები დებს არ ინდობენ. სხვა ქალაქებში სხვანაირად ჰყიდიან თურქებზე. მათი ვაჭრობა პროვინციაში დიდია» (გვ. 166). მეორეგან უმატებს: «იმერეთის, გურიის, აფხაზეთის პროვინციებიდან მიჰყავთ ბავშვები და მოედნებზე ჰყიდიან. ეს ამბავი ყველასათვის ცნობილია» (გვ. 168). დაუხატავს კიდეც ადამიანით ვაჭრობის თავზარდამცემი სურათები. თავისთავად ხომ სასოწარკვეთილებას მოგგვრის ქვეყნის ამგვარი დაცემა, მაგრამ უსაშინელესია შეგნების მოწამვლა. უფრო გვიან, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი სოლომონ პირველი მაინც ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრად რუსეთის იმპერატრიცას. 1775 წლის 30 მარტს სოლომონ პირველის ელჩი დავით კვინიხიძე გრაფ პანინს მოახსენებდა:

იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს საჩუქრად მოვართვიო თავად იაშვილის ქალ-ვაჟი.

ცესარევიჩ პავლეს _ თავად ღოღობერიძის ერთი ვაჟი და აზნაურ ბაქრაძის ერთი ქალი,

ხოლო პირადად თქვენ _ ერთი ვაჟიო (რატომღაც ამ ბიჭის გვარი არ არის მოხსენიებული).

გიორგი მეცამეტე თურქეთსა და სპარსეთში ადამიანის გაყიდვას კრძალავდა, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა საქართველოში და რუსეთში გაყიდვა («...არ მიჰყიდონ თუ არ ქართველთა და დიდი რუსეთის მებატონეთა»...).

იმდენად იყო შეგნება მოწამლული, რომ სოლომონ პირველი თან ებრძოდა, დამნაშავეებს უსასტიკესი სასჯელით ემუქრებოდა, და თან ამგვარ საჩუქრებს არიგებდა. ანდა გიორგი მეცამეტის საქციელი? განა ამგვარ შეგნებას ახსნა არ უნდა? განა არ უნდა ვიცოდეთ რამ დაბადა იგი ჩვენში? ამის ამოხსნას თანაბარი ერთსულოვნებით უნდა ცდილობდეს მწერლობაც და მეცნიერებაც.

უმძიმესი სანახავი იყო ამ ყოფაში ჩავარდნილი ქართველი ხალხის ცხოვრება. ყოველი შეგნებული ქართველი მწარედ განიცდიდა ამას და ებრაელ წინასწარმეტყველთაებრ მოსთქვამდა:

«ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძლვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო, ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია» (გვ. 203).

ასე იგლოვს დაი ქრისტინე თავის მამულს. ეტყობა ამ ქალის ღრმადმორწმუნეობა იტალიელ მისიონერებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რადგან კასტელის ბევრჯერ ჰყავს იგი დახატული და თან სურათებს მრავლად ახლავს წარწერებიც. ჩანს, არ უნდოდა იტალიელ ბერს დაეკარგა ამ ქალის ქადაგების არც ერთი სიტყვა, რამეთუ იგი ქართველთა გამოფხიზლების საწინდრად მიაჩნდა.

ისტორიას აქვს აუხსნელი კანონზომიერება. ჩვენ არ შემოგვრჩა არავითარი დოკუმენტი, მაუწყებელი სულხან ავთანდილაშვილის, მხატვარი ქალის როდია მიქელაძის, პოეტესა ვომინიჯა ბერიძის საქმიანობისა, მაგრამ კასტელიმ დაგვიტოვა მათი სურათები. ისინი უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. სხვანაირად ქრისტოფორო კასტელი ასე გულმოდგინედ და რუდუნებით არ დახატავდა მათ. დრომ დაკარგა მათი ნამოღვაწარი, მაგრამ შეინახა მათი სახეები. ეს არის ალბათ ისტორიის მადლიერება.

იკეცება მატიანის ფურცლები. ნახატებით ცოცხლდება მე-17 საუკუნის საქართველო: ყოფით, ზნით, ჩვეულებით, ავითა და კარგით, იმდროინდელი ადამიანებით.

ქრისტოფორო კასტელის ალბომს არაერთგზის მიუბრუნდება ქართული მწერლობა და მეცნიერება და არაერთგზის დაგვიდგება თვალწინ იტალიელი ბერი, რომელმაც თავისი 26-წლიანი შრომა დაამთავრა სიტყვებით _ «მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო» (გვ. 223).

ეს დონ ქრისტოფორო დე კასტელიმ საქმით დაამტკიცა.

1979 წ., აპრილი

## იუდას ქრისტე არ გაუცია!

გაზეთ «მენორას» რედაქციამ გერმანიიდან, მედიცინის დოქტორ ბ-ნ ისაკ მეგრელიშვილისაგან, მიიღო გაზეთიდან ამონაჭერი. სამწუხაროდ, გამოგზავნილს არ აღუნიშნავს გაზეთის სახელი. საყურადღებო ინფორმაცია ამ გაზეთში დაბეჭდილია სათაურით: «იუდას ქრისტე არ გაუყიდნია, იგი მისი საუკეთესო მეგობარი იყო». ქვესათაურებიც ახლავს მას: «ბიბლია ტყუის? (იგულისხმება ახალი აღთქმა. რედ.) «მკვლევარი ახალ აღთქმას ახლებურად შიფრავს».

აი, ინფორმაციის სრული თარგმანი:

«იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემს ძესა კაცისასა? (ლუკას სახარება).

იერუსალიმი _ იუდას ამბორი. ორი ათასი წელიწადია სიმბოლოა მოციქულის მიერ ქრისტეს ღალატისა. ნამდვილად კი სხვა არაფერია, თუ არა ინტრიგა პირველ ქრისტიანებისა?

ბიბლიაში ასე წერია: იესომ თავისი მოწაფეები უკანასკნელ სერობაზე შეკრიბა. უთხრა: «ხოლო აჰა ხელი განმცემლისა ჩემისაი ჩემ თანა ტაბლასა ზედა». როცა იგი მოგვიანებით გეთსამანიის ბაღში დაბრუნდა, ებრაელ მღვდელმთავართა მონებმა იესო მოულოდნელად შეიპყრეს. იუდამ თქვა: «რომელსა მე ამბორსუყო, იგი არს». ქრისტე პილატე პონტოელთან წაიყვანეს. პილატემ მას სიკვდილი მიუსაჯა.

ისრაელელი ბიბლიის მკვლევარი უილიამ კლასენი დააკვირდა ბერძნულ ორიგინალურ ტექსტს და გამოარკვია. სიტყვა «პარადიდომი» რაც «გადაცემას» ნიშნავს, შეგნებულად გაყალბდა, როცა «ღალატად» ითარგმნა.

მისი თეორია: ერთადერთი მიზნით იუდასაგან ჩამოაყალიბეს განტევების ვაცი და მისი პიროვნების სახით ყველა ებრაელს სახელი გაუტეხეს. კლასენი: «ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა, აუცილებლად თვლიდა გამიჯვნოდა ებრაელობას».

შედეგი: ორი ათასი წელიწადი იდევნებოდნენ ებრაელები და ხოცავდნენ მათ მთელ ევროპაში, რადგან ქრისტიანები ებრაელებში ხედავდნენ ხალხს, რომელსაც გამყიდველი იუდა ეკუთვნოდა.

ახალი განმარტება: იუდა იყო უპირველესი ახლობელი და მეგობარი ქრისტესი. კოცნა გეთსამანიაში იყო საიდუმლო ამოსაცნობი ნიშანი მღვდელმთავრებისათვის, რომელთაც პოლიტიკური საუბრისათვის უნდოდათ ქრისტესთან შეხვედრა. ქრისტე რომ ბოლოს პილატეს გადასცეს, ამით გამოწვეულმა სასოწარკვეთილებამ იუდა თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

- - - - - - - - - - - - - - - - -

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს აკაკი ბაქრაძეს ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი მოსახრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

აკაკი ბაქრაძემ სთქვა:

_ უილიამ კლასენის წიგნს ჟურნალი «შპიგელიც» (1997 წ. №14) გამოეხმაურა. «შპიგელი» ცოტა ირონიულად წერს ამ პრობლემაზე. ბიბლიაში უამრავი ბოროტმოქმედებაა აღწერილი _ ძმათა მკვლელობა, ქალების გაბახება, შვილების მსხვერპლად შეწირვა, ბავშვთა ამოწყვეტა, ხალხების აყრა და განადგურება, ქალაქებისა და სოფლების გაუდაბურება და რაღა მაინცდამაინც იუდას ამბორი გახდაო ბოროტების სიმბოლო? ასე მივუდგებით საკითხს თუ ისე, ერთი რამ ცხადია: მკვლევარებს აინტერესებთ ქრისტეს ცხოვრების ბოლო დღეები და გულმოდგინედ იკვლევენ მას. ამის დასტური გახლავთ, თუ გნებავთ, ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელში რუსულ ენაზე გამოსული წიგნი ხაიმ ქოენისა _ «იესო _ სასამართლო და ჯვარცმა».

ხაიმ ქოენი ისრაელის იუსტიციის მინისტრი იყო. როცა ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, ისრაელის უზენაესი სასამართლოს პირველმა თავმჯდომარემ მოშე ზმორამ გამოიძახა იგი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ხაიმ ქოენს მოშე ზმორამ საქაღალდეები გადასცა. თან უთხრა: ამ საქაღალდეებში თავმოყრილია იმ ქრისტიანთა წერილები, რომელნიც კეთილად არიან განწყობილი ახლადშექმნილი ისრაელის სახელმწიფოს მიმართ. მათ სურვილი აქვთ დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ქრისტეს დასჯის საკითხი და დასკვნაც დღევანდელი თვალსაზრისით გაკეთდეს. წაიღე ეს ქაღალდები და კვლევის შედეგები საზოგადოებას აცნობეო.

ოცი წელიწადი იმუშავა ხაიმ ქოენმა ამ წიგნზე. მისი დასკვნა ასეთია: მაშინდელი ებრაული კანონების თანახმად, იესო დამნაშავე არ ყოფილა. ამიტომ არც ებრაული სასამართლო შემდგარა და არც განაჩენი გამოტანილა. იესო დამნაშავე იყო რომაული კანონების მიხედვით. იგი გაასამართლეს მაშინ მოქმედი რომაული კანონების შესაბამისად. დამნაშავედ ცნეს და დასაჯეს. კანონი დარღვეული არ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ იესო მიღებული კანონ-ჩვევების ყველაზე მსუბუქი ფორმით დასაჯეს.

ისრაელში რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთ «ვესტიში» (1997 წ., 7 აპრილი) მიხეილ ხეიფიცმა ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ხაიმ ქოენის წიგნზე. დამოუკიდებლად წიგნისა, საინტერესოა მიხეილ ხეიფიცის კონცეფცია.

როგორც ჩანს, მარტო ხაიმ ქოენის წიგნი არ აკმაყოფილებს მკითხველთა საზოგადოებას. ჟურნალი «შპიგელი» იმ წიგნებსაც ჩამოთვლის, რაც ამ ბოლო დროს გამოსულა ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებთან დაკავშირებით.

ეს წიგნებია: ვოლფგანგ რაინბოლდის «უძველესი უწყება იესოს სიკვდილის შესახებ», ჰანს-იოზეფ კლაუკის «იუდა _ უფლის მოწაფე», ვილიბალდ ბოზენის «იესო ნაზარეველის უკანასკნელი დღე».

ვინც იუდას უდანაშაულობაზე ლაპარაკობს, ძირითადად სამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას.

პირველი: იუდას სიკვდილის ორი სხვადასხვა ვერსიაა ცნობილი. მათეს სახარების თანახმად, მან თავი ჩამოიხრჩო. მოციქულთა საქმეში კი ნათქვამია: იმ ფულით, რაც იუდამ ღალატში აიღო, მიწა იყიდა, მაგრამ უცბათ წაიქცა, შუაზე გასკდა და შიგნეული გამოუცვივდა. მკვლევარები კითხვას სვამენ _ რომელი ვერსიაა მართალი? რაკი ზუსტად არ ვიცით რა მოხდა, იუდა უფრო შიფრია, სიმბოლური ფიგურაა, ვიდრე კონკრეტული პიროვნება. ასე თვლის ზოგიერთი მკვლევარი.

მეორე: რატომ უნდა ეღალატა იუდას ქრისტესათვის? რა იყო ამის საფუძველი? არსად წერია, რომ იუდას მრწამსი შეიცვალა და იესოს დაუპირისპირდა. თუ უჭირდა და 30 ვერცხლი სჭირდებოდა, ხომ შეეძლო ხაზინიდან აეღო? იგი ხომ ხაზინადარი იყო! ღალატის მაგიერ ქურდობას ჩაიდენდა და ეს შეიძლება სხვებს ვერც კი შეეტყოთ. ამ კითხვების დამარწმუნებელ პასუხებს მკვლევარები ვერ პოულობენ.

მესამე: იუდას ღალატი და თავისი სიკვდილი იესომ იწინასწარმეტყველა. ეს არ არის ისტორიული ცნობა. იგი თეოლოგიური კონსტრუქციაა. მახარებლები ვალდებულნი იყვნენ ეჩვენებინათ, რომ იესო არ შემცდარა. მან თავისი სიკვდილით ღმერთის გეგმა განახორციელა და მსოფლიო იხსნა.

ეს კვლევა დღეს არ დაწყებულა და დღეს არ დამთავრდება. არის წარსულის პერიოდი, რომლის მიმართ ადამიანთა ყურადღება არასოდეს შენელდება. ასეთ პერიოდს ეკუთვნის იესოს მოღვაწეობის ეპოქაც. არც მის მიმართ განელდება ინტერესი. მრავლად დაიწერება დამაჯერებელიც და დაუჯერებელიც. ოღონდ ორ გარემოებას კი უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჯერ ერთი, დღევანდელობისათვის მარტო ფაქტის სიზუსტეს არა აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს იმასაც, სიმბოლურად როგორ იქნა მოვლენა გააზრებული. იუდას ამბორი მკაფიო ალეგორიაა და ფაქტის დადგენა მის შინაარსს ვერ შეცვლის. მეორეც, არ უნდა დავუშვათ შეცდომა და ესა თუ ის პიროვნება ხალხთან არ გავაიგივოთ. ხალხი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მისი რომელიმე შვილი, დიადი პიროვნება იქნება ეს შვილი, თუ უკეთური. ხალხი მარადიულია, პიროვნება _ წარმავალი. ხალხი ისევ და ისევ შობს ნაირ-ნაირ პიროვნებებს, დიადსაც და უკეთურსაც. ეს ბუნებისა და ისტორიის წესია, კანონია. მისი შეცვლა შეუძლებელია. ამ კუთხით, თუ ებრაელ ხალხზე იქნება ლაპარაკი, მაშინ მარტო იუდა კი არ უნდა გავიხსენოთ, არამედ ისიც, რომ ქრისტეს ადამიანური ჰიპოსტასი ებრაელი ქალის წიაღში განხორციელდა. ქრისტიანობა, როგორც მოძღვრება, ებრაულ მიწაზე დაიბადა. იესოს ის მოწაფენიც, რომელთაც პირველქრისტიანობა იქადაგეს, ებრაელები იყვნენ და ებრაელთა მიერ შექმნილი ძველი აღთქმა ქრისტიანისათვისაც ისევე წმინდა წიგნია, როგორც იუდეველისათვის. ასე, რომ ებრაელი ხალხის ღვაწლს ქრისტიანობის, როგორც რელიგიის ჩამოყალიბებაში, იუდას საქციელი ვერ დააკნინებს.

1997 წ., გაზ. «მენორა», №7

## «სიონის ბრძენთა ოქმების» თაობაზე

(გამონაგონი, რომელიც კოშმარად იქცა)

ამ სათაურით, 1994 წლის 2 ივლისს, გერმანულმა გაზეთმა «ფრანკფურტერ ალლგემაინე ცაიტუნგ» ([1]151) დასტამბა ცნობილი იტალიელი პროზაიკოსის უმბერტო ეკოს ვრცელი სტატია. წერილს ქვესათაურად უზის _ «სიონის ბრძენთა ოქმები და მათი წარმოშობა».

უმბერტო ეკოს ამ ესეს გაცნობა დღევანდელი ქართველი მკითხველისათვის აუცილებლად მივიჩნიე, რაკი ჩვენი საზოგადოება არ იცნობს საიდუმლო ორგანიზაციების

ისტორიას. კომუნისტური რეჟიმის დროს მათზე არაფერი იწერებოდა. თუ აქა-იქ რაღაცას ამოიკითხავდა დაინტერესებული კაცი, ეს რა თქმა უნდა, ტენდენციური შეფასება იყო, რაც საკითხის არსში გარკვევის საშუალებას არ იძლეოდა. დღეს, როცა, ასე თუ ისე, თავისუფალი ირნფორმაციის მიღების საშუალება მოგვეცა, ბუნებრივად გაიზარდა მკითხველთა ინტერესი ყველაფრის მიმართ, მაგრამ უცოდინარობის გამო თავადაც ვიბნევით და სხვასაც ვაბნევთ, უფრო მეტიც, ვაშინებთ კიდეც. ჩვეულებრივ გამონაგონს, ტყუილს, რაღაც ზებუნებრივ მნიშვნელობას ვანიჭებთ. შიშით ვცახცახებთ ამა თუ იმ საიდუმლო საზოგადოების ან მისი წევრების ხსენებისას. წამდაუწუმ გაისმის დამფრთხალი ადამიანების წამოძახილები _ სატანა, სატანური კავშირები, შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ, ქვეყნის დაქცევა და ამდაგვარები. დაგვავიწყდა ბრძნული ანდაზა _ ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ხატავენ.

უმბერტო ეკოს წერილიც გამოგონილი შიშის გაფანტვას ემსახურება.

რაკი ქართველი მკითხველი საიდუმლო საზოგადოების ისტორიას არ იცნობს (თუ თვითნებობად არ ჩამომერთმევა), იტალიელი მწერლის წერილს ზოგიერთი განმარტება დავუმატე, შევკვეცე აგრეთვე პროზაიკოსის განყენებული მსჯელობანიც. ძირითადად ფაქტები დავტოვე.

უმბერტო ეკო გვიამბობს:

მოვლენის სათავე შორეულ წარსულშია, მე-14 საუკუნის დასაწყისში, როცა ფრანგების მეფემ ფილიპე ლამაზმა მეტაძრეთა ორდენი დაანგრია (ტამპლერების ანუ ტაძრის რაინდების ორდენი 1119 წელს, ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს, შეიქმნა. თავდაპირველად ძირითად ამოცანად მუსლიმთა ტყვეობისაგან ქრისტეს საფლავის ხსნა მიაჩნდათ. როცა ამ მიზანს ვერ მიაღწიეს, საეკლესიო ცხოვრების თავისებური მოწესრიგება გადაწყვიტეს. ეკლესიის სასულიერო მეთაურებს დაუპირისპირდნენ. 1312 წელს ფილიპე ლამაზმა ორდენი გააუქმა. ორდენის მაშინდელი ხელმძღვანელი ჟაკ დე მოლი კოცონზე დაწვეს). ორდენის ოფიციალურ გაუქმეას მისი მოსპობა-სიკვდილი არ მოჰყოლია. მან საიდუმლო არსებობა დაიწყო. დღესაც კი ამ თემაზე უამრავ წიგნს იპოვით მაღაზიებში. ამ წიგნების ყდებზე აომტვიფრულია «ეზოტერიკ», ანდა «ნიუ ეიჯ».

მომდევნო საუკუნეებში ახალი საიდუმლო საზოგადოება გამოვიდა ისტორიის სცენაზე _ როზენკროიცერები (ვარდის ჯვრის წევრები). მათი ძირითადი შეხედულება როზენკროიცერთა მანიფესტაციებში ჩამოყალიბდა: 1614 წლის მანიფესტი fama fraternitatis (ძმობის ხმა) და 1615 წლის konfessio traternitatis roze-krucis (ვარდის ჯვრის ძმობის აღსარება). არავინ იცოდა ვინ იყო მანიფესტის ავტორები. ვისაც ავტორობას მიაწერდნენ, ყველა უარყოფდა. არც როზენკროიცერთა საძმოს წევრებს იცნობდა ვინმე. ამან ეჭვიც კი გააჩინა: მართლა არსებობდნენ თუ არა ისინი?

სანამ როზენკროიცერების არსებობა-არარსებობის საკითხს გაარკვევდნენ, მე-18 საუკუნეში ახალი საიდუმლო საზოგადოება გამოჩნდა _ თავისუფალი კალატოზები, ანუ მასონები. ისინი არა მარტო სოლომონის ტაძრის მშენებლებთან ნათესაობას ამტკიცებდნენ, არამედ იმასაც, რომ, მეტაძრეთა და როზენკროიცერების საშუალებით, მათ სოლომონის ტაძრის მშენებელთა საიდუმლო ცოდნაც აითვისეს.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კვირაძალში საიდუმლო საზოგადოებების ირგვლივ ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა საკითხები _ საიდუმლო ორგანიზაციების უნარი მიმართულება მისცეს მსოფლიოს ცხოვრებას. სუტ-მარკიზმა დე ლიუშემ, 1789 წელს, ქარაგმულად მიუთითა საფრანეგთის ბურჟუაზიული რევოლუციის მესვეურთა და საიდუმლო საზოგადოებების კავშირზე. მათო, ამბობდა იგი, იეზუიტთა რეჟიმისაგან აიღეს ბრმა მორჩილება, მასონებისაგან _ გამოცდილება და გარეგნული ცერემონიალი, მეტაძრეებისაგან _ თავზეხელაღებული სიმამაცე.

საფრანგეთის რევოლუციის პასუხად, 1797-8 წლებში აბატმა ბარიუემ დაწერა წიგნი _ “Memoires pour serviv a l’histoire du jacobinisme” («ჩანაწერები იაკობინიზმის ისტორიისათვის»).

გარეგნულად ეს წიგნი ისტორიულ თხზულებას ჰგავდა. წაკითხვით კი ისე იკითხებოდა, როგორც საშინელებათა რომანი. იგი მეტაძრეთა ორდენის ისტორიით იწყებოდა. აბატი ამბობდა, რომ მეტაძრეთა ორდენი საიდუმლო ორგანიზაციად მას მერე გადაიქცა, რაც კოცონზე დაწვესო მისი თავკაცი ჟაკ დე მოლი. ამ ორგანიზაციის მზანი მონარქიისა და პაპობის დამხობა იყოო და მსოფლიო რესპუბლიკის დაარსება. მე-18 საუკუნეში მისი გამგრძელებელი თავისუფალი კალატოზები გახდნენო. მათ ხელოვნების აკადემია შექმნეს, რომლის ეშმაკეული წევრები იყვნენო ვოლტერი, ტიურგო, კონდორსე, დიდრო, დალამბერი. ამ წრიდან გამოვიდნენო იაკობინელებიც. იაკობინელები აკონტროლებდნენ აგრეთვე საიდუმლო საზოგადოებას «ბავარიელი ილუმინატები» (საზოგადოება «ბავარიელი ილუმინატები, ანუ გამნათებლები» დაარსდა ინგოლშტატში 1776 წ.). «ბავარიელ ილუმინატებს», აბატის სიტყვით, დღედაღამ ერთი ფიქრი აწვალებდა _ როგორმე მოეკლათ მეფე. საფრანგეთის რევოლუციაც ამ შეთქმულების ნაყოფად მიაჩნდა.

ამ საიდუმლო საზოგადოებებით ნაპოლეონიც კი დაინტერესდა. მან შარლ დე ბერკჰაიმს მოხსენებითი ბარათი მოსთხოვა. შარლ დე ბერკჰაიმი ჯაშუშებისა და საიდუმლო აგენტების საქმიანობას მეთვალყურებდა და მზრუნველობდა. მომავალი იმპერატორი ითხოვდა _ დე ლიუშესა და ბარიუეს წიგნები შეესწავლათ, დაედგინათ, რა იყო მართალი და რა ტყუილი. როგორც ჩანს, ნაპოლეონზე შთაბეჭდილება მოახდინა «უცნობი თავკაცების» საიდუმლო ძალის არაჩვეულებრივმა აღწერილობამ, იმათ უნარმა მართონ მსოფლიო. ნაპოლეონს საიდუმლო საზოგადოებებთან კონტაქტის დამყარება უნდოდა.

ბარიუეს წიგნი არავითარ მითითებას ებრაელებზე, თუნდაც ქარაგმულს, არ შეიცავდა. საერთოდ, აქამდე ებრაელობას ბრალს არავინ დებდა. მაგრამ 1806 წელს აბატმა წერილი მიიღო. ბარათის ავტორი ცნობილი კაპიტანი სიმონინი იყო. ბარათმა ბარიუეს თავზარი დასცა. კაპიტანი სიმონინი დაჟინებით ამტკიცებდა _ ებრაელები ყველგან არიან და ყველა საქმეში ურევიანო. სიმონინის სიტყვებით, მანიც კი, მანიქეიზმის დამაარსებელი, და ასასინთა ერთ-ერთი თავკაცი, «მთიელი ბებრის» სახელით ცნობილი პირი, ებრაელები იყვნენ. «მთიელი ბებერი» თითქოს მეტაძრეთა ორდენის აშკარა მოკავშირეც კი გახლდათ. თავისუფალ კალატოზთა, ანუ მასონთა ორდენიც ებრაელების დაარსებული იყო და, საერთოდ, ყველა საიდუმლო ორგანიზაცია ებრაელებით იყო გატენილი.

(მანიქეიზმზე ბევრ მასალას იპოვნის მკითხველი პავლე ინგოროყვას შრომებში. ასასინები, არაბულად ჰაშიშინ-ჰაშიშის მწეველი, საიდუმლო ისლამური სექტა იყო. რაკი ასასინები შიიტური მიმართულების ორგანიზაცია იყო, მიზნად ისახავდა სუნიტ სელჩუკიანთა ხელმძღვანელებთან ბრძოლას, მათ განადგურებას, ამისათვის ინდივიდუალური მკვლელობის პრაქტიკას მიმრთავდნენ. ამიტომ ევროპულ ენებში სიტყვა «ასასინმა» მკვლელის შინაარსი შეიძინა).

სიმონინის წერილი, ჩანს, რომ პოლიციის მინისტრის ფუშეს დავალებით იყო დაწერილი. ფუშეს უნდოდა, ნაპოლეონს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდა ფრანგ ებრაელებთან და ამ წერილით ებრაელთა ყოვლისშემძლეობის შთაბეჭდილების შექმნა სურდა.

ბარჯუეს შეეშინდა ამ წერილის გამოქვეყნების, მასობრისი ხოცვა-ჟლეტა არ გამოიწვიოსო. მაგრამ სიმონინის იდეებით გაჟღენთილი ესეი კი დაწერა. ტექსტი არ გამოუქვეყნებია. იგი გაანადგურა. თუმცა, ხმებმა მაინც გამოჟონა და ხალხში გავრცელდა. და მაინც, მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ამ ამბებისადმი მსოფლიო საზოგადოებას დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ვიწრო წრეში ჩაკეტილ ამბად დარჩა. მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა.

ერთი მხრით, იტალიური risorjimentos ანტიკლერიკალურად განწყობილ ლიბერალ თავკაცებს (მაგალითად გარიბალდის) იეზუიტებმა მასონებთან კავშირი დააბრალეს. კარბონართა საიდუმლო ორგანიზაციაც უნდოდათ იეზუიტებს ებრაულ-მასონური შეთქმულების მონაწილედ გამოეყვანათ.

მეორე მხრივ, პირიქით, ანტიკლერიკალი, ლიბერალი მოღვაწეები დებდნენ ბრალს იეზუიტებს კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულებაში. ისეთი ავტორების წყალობით, როგორიც იყვნენ მიშლე, ქვირე, გარიბალდი, ჯობერტი, იეზუიტთა შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ ძალიან პოპულარული გახდა რომანებში. ეჟენ სიუს რომანში «მარადიული ებრაელი» დაიხატა «ბოროტი» როდენი, განხორციელება იუზეიტური შეთქმულებისა მსოფლიოს წინააღმდეგ მეორე რომანი ეჟენ სიუსი _ «პარიზის საიდუმლოებანი» კულტწიგნი გახდა. ყველა მას კითხულობდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მკითხველები რომანის გამოგონილ პერსონაჟს რუდოლფ გეროლშტაინს წერილებს წერდნენ. თავის მხრივ კი რუდოლფ გეროლშტაინი დემოკრატებს აფრთხილებდა: «ხედავთ, საყვარელო ლებრენ, რა ეშმაკურად არის გამოგონილი ეს ჯოჯოხეთური გეგმა, როგორ საშინელ სატანჯველს, როგორ შემზარავ ბატონობას, როგორ თავზარდამცემ დესპოტიას უმზადებს იგი ევროპასა და მთელ მსოფლიოს, თუ საწადელს მიაღწიეს!»

რა გეგმაზეა ლაპარაკი? რომელიც თურმე შეადგინა იეზუიტთა გენერალმა მამა როოთანმა და გაუგზავნა როდენს. მკითხველს ნუ დაავიწყდება, რომ მამა როოთანი ისტორიული პირია, როდენი კი რომანის პერსონაჟი, გამოგონილი გმირი. ასე, რომ ისტორიულ პირს ურთიერთობა აქვს გამოგონებულ პერსონაჟთან. ყველაფერი აირ-დაირია. მკითხველები ვეღარ ერკვეოდნენ _ სად იყო სინამდვილე და სად _ გამოგონილი.

როცა მკითხველი საზოგადოება ეჟენ სიუს რომანებით იყო გატაცებული და თავბრუდახვეული, 1864 წელს მორის ჟოლიმ პამფლეტი დაწერა ნაპოლეონ მესამის

წინააღმდეგ. ჯოჯოხეთში ერთმანეთს ედავებიან მაკიაველი და მონტესკიე. მაკიაველი, ცხადია, ნაპოლეონ მესამეს გულისხმობდა და დიქტატორული ცინიზმის განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს არაფერი, მთავარი ის გახლდათ, რომ მორის ჟოლიმ უბოდიშოდ მოიპარა და მაკიაველს, ანუ ნაპოლეონ მესამეს მიაწერა იეზუიტთა შეთქმულების ის გეგმა, რომელიც ეჟენ სიუს რომანში იყო აღწერილი.

მორის ჟოლი დააპატიმრეს. მან ციხეში თავი მოიკლა. ჟოლი კი მოკვდა, მაგრამ მისი ნაწერი დარჩა.

ამ ამბებიდან სრული ოთხი წელიწადიც არ იყო გასული, რომ 1868 წელს ახალი წიგნი გამოჩნდა. მისი ავტორი გერმანელი გახლდათ, ფოსტის მოსამსახურე, ჰერმან გედოდშე. ავტორმა წიგნი «სერ ჯერ რედკოფის» ფსევდონიმით გამოსცა. იგი საშინელებათა რომანი იყო და სახელად «ბიარრიტც» ერქვა. მასში ავტორი აღწერდა ოკულტურ ცერემონიალს პრაღის ებრაელთა სასაფლაოზე.

ეს წიგნი სამი მხრით არის ჩვენთვის საყურადღებო.

პირველი ის, რომ მერე ფსევდონიმს «სერ ჯონ რედკლიფს» რეალურ პირად, ინგლისელ დიპლომატად, გაასაღებენ, რომელმაც თითქოს თავის თვალით ნახა პრაღის ებრაელთა სასაფლაოზე მომხდარი ამბავი.

მეორე ის, რომ ჰერმან გედოდშემ პრაღის ებრაელთა სასაფლაოზე მომხდარი ამბავი პირწმინდად გადმოწერა ალექსანდრე დიუმას (მამის) 1849 წელს დასტამბული რომანიდან «ჯუზეპე ბალზამო», ოღონდ არსებითი განსხვავებით. «ჯუზეპე ბალზამოში» ნაამბობია, როგორ შეხვდა ცნობილი იტალიელი აფერისტი კალიოსტრო საიდუმლო საზოგადოებების «უცნობ თავკაცებს» და ერთად როგორ დაგეგმეს საფრანგეთის რევოლუცია. გედოდშემ კი კალიოსტროსა და კომპანიის ნაცვლად პრაღის ებრაელთა სასაფლაოზე თავი მოუყარა ისრაელის თორმეტივე ტომის წარმომადგენლებს და დააგეგმინა მსოფლიოს დაპყრობა.

მესამე ის, რომ გედოდშეს რომანში აღწერილი ამბავი მთლიანად და უცვლელად შევიდა, 1876 წელს, რუსეთში გამოცემულ წიგნში _ «ებრაელები _ მსოფლიოს ბატონები», მაგრამ ამბავი წარმოდგენილი იყო არა როგორც რომანიდან ამოღებული, არამედ როგორც ნამდვილად მომხდარი.

«პრაღის ებრაელთა სასაფლაოზე მომხდარი» 1881 წელს ფრანგულმა გაზეთმა «Le Contemporain”-მაც («თანამედროვე») გამოაქვეყნა. გაზეთი ამტკიცებდა ყველაფერი ეს უტყუარია, რადგან ინგლისელი დიპლომატის სენ ჯონ რედკლიფისაგან შევიტყვეთო. მკითხველმა უკვე იცის, როგორი ინგლისელი და დიპლომატი იყო სერ ჯონ რედკლიფი.

1896 წელს ფრანსუა ბურნანმა წიგნში _ «Le Juifs nos contemporains» («ებრაელები ჩვენი თანამედროვენი») _ ყველაფერი ერთმანეთში აურია _ ალ.დიუმას აღწერილი მასონების შეხვედრა, ეჟენ სიუს იეზუიტთა შეთქმულების გეგმა, ჟოლის მიერ ნაპოლეონ მესამის წინააღმდეგ დაწერილი პამფლეტი და ასე შეკმაზულ-შერეული აჯაბსანდალი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაავრცელეს.

შემსუბუქების მაგიერ მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. საუკუნის ბოლოს ასპარეზზე გამოჩნდა პეტრე ივანეს ძე რაჩკოვსკი. იგი რომანის პერსონაჟი არ ყოფილა. რეალური პირი იყო. რუსეთის პოლიციის ჯაშუშად მსახურობდა, მემარჯვენე

ექსტრემისტული ტერორისტული ორგანიზაციის «შავი ასეულის» წევრიც იყო. პარიზში გაუშვეს რუსეთის საიდუმლო პოლიციის «ოხრანის» დავალებათა შესასრულებლად.

როცა რაჩკოვსკი პარიზში ჯაშუშობდა, ამ დროს ევროპაში იმყოფებოდა რუსეთიდან გაძევებული ილია ციონი. ილია ციონი მართლმადიდებელი ქრისტიანად მონათლული ებრაელი იყო. იგი პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში ფიზიოლოგიის კათედრაზე სახელგანთქმული პროფესორის სეჩენოვის ადიუნქტად მუშაობდა. როცა სეჩენოვი ნოვოროსიის უნივერსიტეტში გადავიდა და პეტერბურგი დატოვა, ციონმა მისი ადგილი დაიკავა სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ციონი, როგორც პუბლიცისტი, მუშაობდა კატკოვის (ჩვენში ავადსახსენებლის) გაზეთებში _ «მოსკოვსკიე ვედომოსტი» და «რუსკიი ვესტნიკ». კატკოვი რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს ბუნგეს ებრძოდა. იმდენი ჰქნა, რომ ბუნგე იძულებული გახდა გადამდგარიყო. ბუნგეს მაგიერ ფინანსთა მინისტრად ვიშნეგრადსკი დანიშნეს. ვიშნეგრადსკისა და კატკოვს შორის კარგი ურთიერთობა იყო. კატკოვმა ფიზიოლოგი ციონი ვიშნეგრადსკის დაანიშვნინა ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად. მაგრამ მალე ფინანსთა მინისტრსა და განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკს შორის შავმა კატამ გაირბინა. ციონს ბრალი დაედო, რომ 200 000 ფრანკი აიღო ქრთამად, ხოლო, თავის მხრივ, ციონმა ვიშნეგრადსკი დაადანაშაულა ფრანგი ბანკირის როტშილდისაგან ქრთამად 500 000 ფრანკის აღებაში. ატყდა ერთი დავიდარაბა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ვიშნეგრადსკი გადადგა. ფინანსთა მინისტრად თბილისში დაბადებული და გაზრდილი სერგეი ვიტე დანიშნეს. ახლა ვიტეს შეუტია ციონმა (სერგეი ვიტე თავის მემუარებში ვრცლად გვიამბობს ილია ციონზე). მაგრამ ვიტე კერკეტი კაკალი გამოდგა. ვერ მოერია ციონი. მან ბრძოლა წააგო. იგი რუსეთიდან გააძევეს და იმპერიაში დაბრუნება აუკრძალეს. არც ევროპაში ისვენებდა ციონი. აგრძელებდა ვიტეს წინააღმდეგ მიმართული წერილების ბეჭდვას.

სწორედ ამ ციონის ვილაში, ჟენევის ტბის პირად, შეიპარა (არავინ იცის, საკუთარი ინიციატივით, თუ დავალებით) პეტრე რაჩკოვსკი. გულმოდგინედ გაჩხრიკა იგი და აღმოაჩინა მორის ჟოლის მიერ ნაპოლეონ მესამის წინააღმდეგ დაწერილი პამფლეტი. პამფლეტი რატომღაც საკუთარი ხელით გადაეწერა ციონს. ვარაუდობენ, ვიტეს წინააღმდეგ უნდოდა გამოეყენებინაო. რაჩკოვსკი, როგორც «შავი ასეულის წევრი, ანტისემისტი იყო. მას შეეძლო ნაპოვნი ხელნაწერი შავრაზმული ინტერესებისათვის გამოეყენებინა. გამოიყენა კიდეც. იგი დაედო საფუძვლად «სიონის ბრძენთა ოქმებს».

«სიონის ბრძენთა ოქმებს» კომენტარებს უკეთებდა მოგზაური რუსი ბერი სერგეი ნილუსი. იგი რასპუტინისებური ტიპი იყო. უნდოდა მეფეთა სულიერი მამა გამზდარიყო. რაღაცნაირად აერთებდა ინტრიგანსა და წინასწარმეტყველს. რევოლუციისი შემდეგ მთელ ევროპაში მოგზაურობდა და საზოგადოებას «სიონის ბრძენთა ოქმებს» აცნობდა. მანამდე იმოგზაურა და მანამდე ილაპარაკა, სანამ ჰიტლერს არ ჩაუვარდა ხელში. რაც ამას მოჰყვა, კარგად ცნობილია.

1924 წელს ინგლისში წიგნი დაიბეჭდა «Secret Societies and Subversive Movements» («საიდუმლო საზოგადოებანი და დამანგრეველი მოძრაობანი»). მისი ავტორი ნისტა უებსტერი იყო. მან დაწვრილებით შეისწავლა საიდუმლო საზოგადოებების ისტორია. ფარდა

ახადა ნილუსის, რაჩკოვსკს, გაიოდეშეს საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულებას. მიუთითა, რომ ისინი წყაროს პოულობდნენ ალექსანდრე დიუმას და ეჟენ სიუს რომანებში. თუმცა ნისტა უებსტერი არ უარყოფს იმას, რომ «ოქმებში» არის აზრისა და სტილის მსგავსება წარსულის სხვა საიდუმლო საზოგადოებების პროგრამებთან. არსებითია ის, რომ ყველას სურს მსოფლიო რევოლუცია.

მართალია, დასძენს ბოლოს უმბერტო ეკო, ხშირად ოცნება კოშმარად იქცევა, მაგრამ ამგვარ გამონაგონს დადებითი მხარეც აქვს. გამონაგონს, ამბობს იგი, ისეთივე ფუნქცია აკისრია, როგორიც თამაშს. თამაშით სწავლობს ბავშვი ცხოვრებას. იგი იმ ვითარების იმიტაციას აკეთებს, სადაც შეუძლია თავი მოწიფულ ადამიანად იგრძნოს. გამოგონილი ამბის საშუალებით ჩვენ, მოწიფული ადამიანები ვავარჯიშებთ ჩვენს უნარს, ჩვენს სულიერ ძალას, რომ გონებას არ დაეძინოს და სიფხიზლე შეინარჩუნოს, რომ მუდამ ვიფიქროთ ფიქციისა და რეალობის ურთიერთკავშირზე, ამ მხრივ გამონაგონს თერაპიის როლის შესრულება შეუძლია.

1994 წ.

## «მასონობა ჩვეულებრივი ადამიანური ორგანიზაციაა»

ჟურნალისტი გოჩა ბერია ესაუბრება ბატონ აკაკი ბაქრაძეს

**_ ბატონო აკაკი, ბოლო ორი წელია საქართველოში საგაზეთი პუბლიკაციებსა თუ პერიოდულ გამოცემებში სხვადასხვა კონტექსტით გვხვდება ტერმინი «მასონიზმი», რომელიც უფრო ხშირად ყოველივე უარყოფითის, მანკიერის სინონიმად იხმარება. როგორ ფიქრობთ, მაინც ვინ არიან მასონები და რამდენად რეალურია საფრთხე, რომელიც მათ მიეწერებათ?**

_ სანამ პირდაპირ გიპასუხებდეთ, მინდა ერთ გარემოებას მივაპყრო თქვენი ყურადღება: საერთოდ, ადამიანის გონებას აინტერესებს არაჩვეულებრივი და სრულებით გულგრილია ჩვეულებრივისადმი, თუმცა, შესაძლებელია, ეს ჩვეულებრივი გაცილებით მეტ საიდუმლოს შეიცავდეს, ვიდრე არაჩვეულებრივი. აკაკი წერეთელს აქვს ერთი მეტად ღრმააზროვანი დაკვირვება: «როდესაც ფოთოლი გამოდის და ყვავილი იშლება, ეს დიდებული შემოქმედებითი პროცესი ადამიანს არაფრად მიაჩნია უმეცრების გამო, მაგრამ იგივე ადამიანი ელვა-ჭექა-ქუხილის დროს პირჯვრის წერით იძახის _ დიდება შენს ძლიერებას ყოვლის შემოქმედო...» ჩვეულებრივის საიდუმლოს წვდომას ძალიან ძლიერი და საღი გონება სჭირდება. არაჩვეულებრივი, თუნდაც ზედაპირული, ზემოქმედებს პრიმიტიულ გონებაზე და აღიზიანებს მას.

იყო დრო, როცა სსრკ-ში ყველა უბედურება მიეწერებოდათ სიონისტებს. მოგეხსენებათ, სიონიზმი ებრაული ორგანიზაციაა და მისი მიზანი იყო და არის ებრაელთა ეროვნული სახის შენარჩუნება და ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მიუხედავად ამისა, პროპაგანდა ზოგჯერ აშკარაა და ზოგჯერ ფარული, სიონისტებს მიეწერებოდათ ყველა არასასურველი პიროვნება. მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, ეს კაცი ქრისტიანი იყო, მაჰმადიანი თუ

იუდაისტი. მაშინ ასე იყო: ყველა პოლიტიკური მოვლენა, რაც მტრულად იყო მიჩნეული, მიეწერებოდა სიონიზმის აგენტებს. მართალია, სიონიზმი, როგორც პოლიტიკურ-ეროვნული მიმდინარეობა, მე-19 საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ მაინც იყვნენ ადამიანები, რომელნიც თათარ-მონღოლთა შემოსევას რუსეთში სიონისტების ხრიკებს მიაწერდნენ. ნუ გაგიკვირდებათ: არ არსებობს აბსურდი, რომელიც ვერ მოიგონოს ადამიანის გონებამ და არც ისეთი აბსურდი არსებობს, რომელსაც არ დაიჯერებს ადამიანი.

თუ ადრე ყველა უბედურება სიონიზმს ბრალდებოდა, ახლა მასონიზმს ბრალდება. ჩვეულებრივ ასეა: ჭორს მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ფაქტს. მით უფრო, საგანგებოდ ვეძებთ, ვიღაც თუ რაღაც იყოს დამნაშავე ამა თუ იმ მოვლენაში. თუ არ გვინდა ანგარიში გავუწიოთ ისტორიის მსვლელობას და იმ კანონზომიერებებს, რაც ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში არსებობს. თუ ადამიანთა საზოგადოება მკაცრი დიქტატორული სისტემის მარწუხებში არ არის მოქცეული, იგი მიელტვის მრავალფეროვნებას როგორც აზრისას, ისე ცხოვრების წესისას. ამ ლტოლვამ წარმოშვა ნაირ-ნაირი რელიგიური სექტა, საზოგადოება, როგორც საიდუმლო, ისე ღია, მათ შორის მასონობაც.

მასონების შესახებ დიდი ინფორმაცია არსებობს. არსებობს სპეციალური ლიტერატურაც. მასონობა, როგორც საერთო ხასიათის გარკვული მიმდინარეობა, მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა. «მასონი» ფრანგულად კალატოზს ნიშნავს. უფრო სრული სახელი იქნება «ფრანკმასონი» _ ე.ი. თავისუფალი კალატოზი. როგორც უამრავ რელიგიურ სექტას ან საზოგადოებას, საიდუმლოსა თუ არასაიდუმლოს, მასონებსაც თავიანთი წესი და რიგი აქვთ როგორც საქმიანობის, ისე წევრად მიღებისა და სხვა. არსებობს მასონური საზოგადოების წევრად გახდომის ორი წესი: სკოტლანდიური და იორკული. მე-18 საუკუნეში, ძირითადად ინგლისში, ჩამოყალიბდა მასონური მოძრაობა. მასონ მოღვაწეს ჯეიმს ანდერსონს აქვს კიდევაც წიგნი დაწერილი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ და რანაირად შეიძლება გახედს ესა თუ ის ადამიანი მასონი.

მიუხედავად იმისა, რომ მასონებს ძალიან ბევრ ცოდვას მიაწერენ, თვითონ, ბუნებრივია, ამას ყველაფერს უარყოფენ, რადგან მასონური ლოჟის წევრები იყვნენ გამოჩენილი ადამიანები: გოეთე, ტურგენევი, მოცარტი და სხვა კულტურის მოღვაწენი. ასევე დიდი პოლიტიკოსები, მაგალითად, ჩერჩილი. ეს ყოველივე მოწმობს, რომ მასონური ლოჟები უფრო საერთო ხასიათის გახლავთ. ისინი რელიგიის მიხედვით უარს არ ეუბნებიან ადამიანს ამ საზოგადოებაში მიღებაზე, ოღონდ ათეისტებზე თავს იკავებენ, რადგან თვლიან, რომ მასონური ლოჟის წევრმა აუცილებლად ზნეობრივად მაღალი პრინციპები უნდა განახორციელოს. აკრძალულია გარყვნილება, ლოთობა და ასე შემდეგ. ადამიანი მანკიერებისაგან რამდენადაც შეიძლება თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ყველა ორგანიზაციაში არსებობენ ასეთი მანკიერი ადამიანები და ბუნებრივია, მასონთა შორისაც არიან. ალბათ განსაკუთრებული შიში მასონური ორგანიზაციის მიმართ გაჩნდა მას შემდეგ, როდესაც რელიგიამ ბრძოლა გამოუცხადა. განსაკუთრებით აქტიურად ებრძოდა მასონობას რომის ეკლესია. რომის პაპები სპეციალურ დებულებებსაც კი გამოცემდნენ, რადგან ქრისტიანული რელიგიის ამ ფრთისათვის ეს მოძრაობა მიუღებელი იყო.

მასონური მოძრაობა აკრძალული იყო რუსეთშიაც მიუხედავად იმისა, რომ უკვე მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისშიც რუსები აქტიურად ერთიანდებიან მასონურ ლოჟებში. სხვათა შორის, ჟურნალში «ვოპროსი ლიტერატური» 1990 წლის იანვრიდან დაიწყო ბეჭდვა რუსი ემიგრანტი მწერალი ქალის ნინა ბერბეროვას ნარკვევისა, რომელშიც მოთხრობილია იმ რუსი ემიგრანტების შესახებ, რომლებიც მასონური ლოჟის წევრები იყვნენ. იქ უამრავი ცნობილი ადამიანია ჩამოთვლილი: მე-19 საუკუნეში ალექსანდრე პირველმა რუსეთში აკრძალა მასონური ლოჟები, თუმცა, თვითონ მასონი გახლდათ. აკრძალა იმიტომ, რომ ეკლესიასთან კონფლიქტი სასურველად არ მიაჩნდა. სწორედ ამ ბრძოლის შედეგად მასონებს მიაწერეს უამრავი ისეთი რამ, რასაც ისინი არ იმსახურებდნენ. თუნდაც იმიტომ, რომ როგორც გითხარით, მასში უკეთილშობილესი და უნიჭიერესი ადამიანები, ყველა დროის მოღვაწეები იყვნენ გაერთიანებული.

ბუნებრივია, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობს ორ მიმართულებას, ორგანიზაციას, სექტასა თუ პარტიას შორის, ისინი ცდილობენ ერთმანეთს სახელი გაუტეხონ, გაამუქონ და გააძლიერონ ყოველივე ისე, რაც დაკავშირებულია მათ მოღვაწეობასთან. ალბათ, გარკვული როლი მასონების მიმართ შიშის შექმნაში ითამაშა ალექსანდრე დიუმას რომანმაც «ჯუზეპე ბალზამო». ჯუზეპე ბალზამო იყო ნამდვილი სახელი და გვარი მე-18 საუკუნის სახელგანთქმული ავანტურისტის გრაფ კალიოსტროსი და ამიტომ ის მოვლენები, რასაც ამ გრაფს მიაწერენ, ჯუზეპე ბალზამოს სახელთან არის დაკავშირებული. ალექსანდრე დიუმას რომანში აღწერილია, თუ როგორ დაავალა მასონურმა ორგანიზაციამ ბალზამოს საფრანგეთში მე-18 საუკუნის ბოლოს ცნობილი დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოწყობა და როგორ ხელმძღვანელობდა იგი ამას. ალბათ, აქედან გამომდინარე, გავრცელდა ხმები, რომ ყველა პოლიტიკურ საქმეში მასონები ერევიან და საშინელ ბნელ საქმეებს ახორციელებენ. მაგრამ ეს ყველაფერი რომანისტის ფანტაზიის ნაყოფია და არავითარი განსაკუთრებული როლი კალიოსტროს, ანუ ჯუზეპე ბალზამოს საფრანგეთის რევოლუციაში არ შეუსრულებია. ალექსანდრე დიუმას ამგვარი ავანტიურისტული თავგადასავლები უყვარდა და, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რაკი დიუმას კითხულობს დიდი თუ პატარა მთელს მსოფლიოში, ალბათ, ისიც ბუნებრივია, რომ ამან გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და ხელი შეუწყო შიშისა და ჭორების გავრცელებას. მოგეხსენებათ ქართული ანდაზაც: «შეშინებული ძაღლი სამ წელიწადს ჯირკს უყეფდაო». ჩვენც მეტისმეტად შეშინებულები ვართ მოვლენებით და მასონებსაც ამის გამო ასე სასტიკად ვლანძღავთ...

მე პირადად არ ვიცი ქართველი მასონების არსებობის შესახებ. მართალია, გაზეთ «დვრიტაში» (1990 წლის 4 დეკემბერი) იყო წერილი, რომელშიც ჩამოთვლილია ქართველი მასონები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცნობა თავად ავტორსაც ეეჭვება, რადგან სტატიის სათაურს კითხვის ნიშანი უზის: «მასონები საქართველოში?» ის ამონაწერები, რომლებიც ამ წერილშია მოხმობილი, დამაჯერებლად არ მიმაჩნია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართველ მასონებზე მითითებულია მათი პარტიულობა _ სოციალ-დემოკრატი. სოციალ-დემოკრატები, მარქსისტები კი მასონობის მტრები არიან და, ბუნებრივია, ვერც აკაკი ჩხენკელი (თუ აკაკი ჩხენკელზეა ლაპარაკი, რადგან სახელი არ არის აღნიშნული) და ვერც

კარლო ჩხეიძე (კარლო ჩხეიძე ისეთი ბრმად მორწმუნე მარქსისტი იყო, რომ ნათლობის სახელი _ ნიკოლოზი _ გამოიცვალა და, მარქსის პატივისცემით, კარლო დაირქვა) მასონები ვერ იქნებოდნენ. მეორეც იმიტომ, რომ ძალიან მეეჭვება ქართველის მოუწესრიგებელი ბუნება, დაუდევრობა, არამყარი ხასიათი შეეგუოს და შეეთვისოს მასონობის მკაცრ წესსა და დისციპლინას. მესამეც იმიტომ, რომ ამა თუ იმ წიგნში ამოკითხული შემთხვევითი განცხადება არ გამოდგება იმის საბუთად, რომ რომელიმე პირის მასონობა დავამტკიცოთ. ამას სჭირდება იმ ლოჟის დოკუმენტების შესწავლა, ანალიზი, რომლის წევრიც ესა თუ ის პიროვნება შეიძლება ყოფილიყო. ამგვარი შესწავლა-ანალიზი ჯერ საქართველოში არცერთ მეცნიერს არ ჩაუტარებია. თუმცა, მე-19 საუკუნეში, როგორც ვთქვით, რუსეთში მასონური ლოჟები საკმაოდ იყო გავრცელებული და გამორიცხული არ არის, რომ ვიწრო წრეები საქართველოშიც ყოფილიყო, განსაკუთრებით არაქართველი მოსახლეობისა. მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათთვის რაიმე ფუნქციის მინიჭება, მე მგონი, არ შეიძლება. არც ერთი გამოჩენილი ქართველი მე-19 საუკუნეში ამგვარი ლოჟის წევრი არ ყოფილა.

**_ თქვენ საინტერესო თემას შეეხეთ: პოლიტიკა და მასონიზმი. ცნობილი განმანათლებლები შარლ ლუი მონტესკიე და ვოლტერი მასონები იყვნენ, განმანათლებლობამ კი ერთგვარად შეუმზადა ნიადაგი საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას. ამავე რევოლუციის აქტიური მონაწილეები დანტონი და მარატიც მასონები გახლდნენ. მასონები იყვნენ აგრეთე ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბენჟამენ ფრანკლინი და ამერიკის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი; რუსეთის დეკაბრისტთა ამბოხების ხელმძღვანალები: ძმები მურავიოვ-აპოსტოლები, ტრუბეცკოი, ვოლკონსკი, პესტელი. ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება თუ არა ვიმსჯელოთ მასონიზმის როლზე მსოფლიო რევოლუციებში, და კიდევ: რამდენად ახდენს მასონური მოძრაობა გავლენას ამა თუ იმ ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკაზე?**

_ როგორც გითხარით, ამა თუ იმ ორგანიზაციაში _ რელიგიური ხასიათისა იქნება ის თუ საერო: საიდუმლო იქნება თუ არა _ ყველა საქმიანობის ადამიანი მონაწილეობს: მწერალი, მუსიკოსი, პოლიტიკოსი. მაშინ ასე უნდა ვიმსჯელოთ: თუ მწერალი მასონური ლოჟის წევრია, მაშინ ის მწერლობაზე ახდენს ზეგავლენას, რაღაც განსაკუთრებულ ვითარებას ქმნის მწერლობაში, მაგრამ ასე ხომ არ არის, ან, დავუშვათ, მასონური ლოჟის წევრი არის ინჟინერი. მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მასონები ზეგავლენას ახდენენ საინჟინრო საქმიანობაზე? ზემოთ მოცარტი ვახსენეთ, იგი მასონური ლოჟის წევრი იყო, მაგრამ მოცარტის მუსიკის მოსმენას რა სჯობს და თუ ასეთ მშვენიერებას კარნახობდა მასონური ლოჟა მოცარტს, მაშინ ეს კარგი საქმიანობა ყოფილა. ასევეა პოლიტიკაშიც. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი შეიძლება იყოს მასონური ლოჟის წევრი, მაგრამ ეს მის პოლიტიკურ მოქმედებაზე, პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე, საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენს. თქვენს მიერ ჩამოთვლილი დეკაბრისტები სწორედ მაშინ გამოვიდნენ მასონური ლოჟებიდან, როცა რევოლუციონერები გახდნენ. პოლიტიკოსი თავის საქმიანობას განსაზღვრავს პოლიტიკით ნაკარნახევი ვითარებით და არა იმ შეხედულებებით, რომლებიც შესაძლებელია მათ მასონურ ლოჟაში არსებობდეს. როგორც აღვნიშნე, მასონები თეორიულად გულისხმობდნენ საყოველთაო სიყვარულის, ადამიანის პატივისცემის

დამკვიდრებას და ა.შ. და ა.შ. მაშასადამე, თუ პოლიტიკოსი ამ ლოჟიდან რაიმეს მოიტანდა, სწორედ იმ ზნეობრივ კრიტერიუმებს, რომლებიც მას ხელს შეუწყობდა მაღალი ზნეობრივი თვალსაზრისით შეეხედა პოლიტიკური საქმიანობისათვის. მაგალითად, ჩერჩილი იყო მასონური ლოჟის წევრი, მაგრამ მას სრულიადაც არ გასჭირვებია კონტაქტი დაემყარებინა ათეისტ სტალინთან მიუხედავად იმისა, რომ ათეიზმი მასონებისაგან დაგმობილია. მასონი ჩერჩილი იყო ათეისტი სტალინის მოკავშირე, რადგან ამას კარნახობდა პოლიტიკური ინტერესები.

ისიც საკითხავია, თუ მასონობა განსაკუთრებით საშიში და საიდუმლო მოვლენაა პოლიტიკურად, როგორ მოახერხა არამასონმა სტალინმა მასონი ჩერჩილის გაცუცურაკება? რატომ ვერ დაეხმარა ჩერჩილს მასონობა და ბრიტანეთის იმპერია თავზე დაემხო? თუ მასონები არამასონ სტალინს ეხმარებოდნენ და მასონ ჩერჩილს _ არა? ყველაფერს ადამიანის ნიჭი განსაზღვრავს და არა ის, რომელი ორგანიზაციის წევრია. როგორც გითხარით, ყველა ორგანიზაციაშია ნიჭიერი და უნიჭო ადამიანი. განმსაზღვრელი გახლავთ კიდევ ის საქმიანობა, რასაც ესა თუ ის ადამიანი ეწევა და არა ის, არის თუ არა კონკრეტული პიროვნება მასონური ლოჟის წევრი. ამიტომ ასეთი განსაკუთრებული როლის მინიჭება პრიმიტიული აზროვნების შედეგია. რამდენადაც ადამიანი პრიმიტიულია, ამა თუ იმ მოვლენაში იმდენად მეტ რაღაც არაბუნებრივს ეძებს და ცდილობს ამ არაბუნებრივ მოვლენას დაუკავშიროს ყველაფერი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც, ალბათ, გასათვალისწინებელია: ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა, უკმაყოფილება მისი თვისებაა და იმიტომ. ისიც უნდა ვთქვა, რომ საზოგადოების წინსვლის საფუძველიც უკმაყოფილებაა. უკმაყოფილო ადამიანი ეძებს ახალს, უკეთესს და ნელ-ნელა მიიწევს წინ. უკმაყოფილებამ შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობის ნაირ-ნაირი უტოპიური გეგმები და პროექტები. მაგალითად, მთელი მე-19 საუკუნე მოუნდა მაშინდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილების კრიტიკას და ახალ, უკეთეს საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე ოცნებას, ნაირ-ნაირი ვარიანტების გამოგონებას. ეგონათ კიდეც, რომ მიაგნეს და სახელად სოციალიზმი უწოდეს. როცა სოციალიზმი პრაქტიკულად დამყარდა, აღმოჩნდა, რომ ისიც უამრავ მანკიერებას შეიცავს. საუკუნოვანი ოცნება ტყუილი აღმოჩნდა. ამან საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია. დაიწყო დამნაშავეთა ძებნა. ვის და რას აღარ დაბრალდა დამნაშავეობა, მაგრამ იმისი აღიარება ძალიან გვიჭირს, რომ დამნაშავე თავად ადამიანის არასრულყოფილებაა. არასრულყოფილი ადამიანი სრულყოფილ საზოგადოებას ვერ შექმნის. დღემდე არსებულ ყველა საზოგადოებას ჰქონდა უამრავი ნაკლი და ყველა საზოგადოება, რომელიც მომავალში იქნება, ექნება ნაკლი. ცხოვრება, ამქვეყნიური არსებობა კეთილისა და ბოროტის, სილამაზისა და სიმახინჯის, ჭკუისა და უჭკუობის, ნიჭიერებისა და უნიჭობის, ღონისა და უღონობის და ა.შ. ერთიანობაა. თუ ადამიანი ოდესმე მოახერხებს სრულყოფას (რაც მე პირადად შეუძლებლად მიმაჩნია), საზოგადოებაც სრულყოფილი იქნება. ხოლო თუ ვერ მოახერხებს სრულყოფას, საზოგადოებაც ყოველთვის მანკიერების მატარებელი იქნება. თუ ადამიანი ამ კანონზომიერებას დაიჯერებს, იგი დამნაშავეს გარეთ არ დაუწყებს ძებნას, დამნაშავე ყველა ჩვენთაგანშია. ასეა მოწყობილი ადამიანი და რას ვიზამთ?!

თუ ყოველივე ეს, რაც ახლა მოგახსენეთ, დამაჯერებლად გესახებათ, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მასონობა ჩვეულებრივი ადამიანური ორგანიზაციაა. მასონი უკეთილშობილესი ადამიანიც შეიძლება იყოს (მაგალითად, პიერ ბეზუხოვი ტოლსტის «ომსა და მშვიდობაში») და პირწავარდნილი ნაძირალაც.

**_ ორთოდოქსი მორწმუნისათვის, ალბათ, ერთნაირად სახიფათოა ან არავითარ საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს როგორც მაჰმადიანობა, ისე უამრავი ქრისტიანული სექტა, ათეიზმი ან, თუ გნებავთ, მასონიზმი.**

_ რა თქმა უნდა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ არის ადამიანი განწყობილი. თუ ადამიანი ფანატიკურად არის განწყობილი იმ რელიგიური რწმენის ან იმ ორგანიზაციის მიმართ, რომლის წევრიც არის, მაშინ, ბუნებრივია, უჩნდება ფანატიკური სიძულვილი მოწინააღმდეგე ორგანიზაციის, სექტის, ან რწმენის მიმართ.

თუ, ვთქვათ, ამა თუ იმ რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანის რწმენა ფანატიზმის დონეზეა ასული, მაშინ, ბუნებრივია, მას მარტო მასონებთან ურთიერთკავშირი არ სურს, არამედ სძულს ყველაფერი, რაც არ არის დაკავშირებული მის რელიგიურ განწყობილებასთან. ასეთი განწყობილება მართლმადიდებელ ფანატიკოსს აიძულებს ქრისტიანობის მეორე ფრთას _ კათოლიციზმსაც ეჭვის თვალით შეხედოს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეა არა თვითონ ორგანიზაცია, ან შეხედულებათა სისტემა, არამედ მისი გრძნობა, ის ფანატიზმი, რომელიც მის სულიერ სამყაროში არსებობს. ტოლერანტულად განწყობილ ადამიანს შეუძლია იყოს პატივისმცემელი სხვა რწმენის, ორგანიზაციის, შეხედულების მიმართ. ის მათში მტერს კი არ ხედავს, არამედ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც შეიძლება კამათი, პაექრობა, არგუმენტირებული მსჯელობა.

არსებობს ქართველი მართლმადიდებელი, ქართველი კათოლიკე, ქართველი მაჰმადიანი, შეიძლება იყოს ქართველი იუდაისტიც. მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს ჩვენი ერთიანი ეროვნული გრძნობა და არა რელიგიური დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. თუ ჩვენ რელიგიურმა ფანატიზმმა შეგვიპყრო, მაშინ უნდა შევიძულოთ ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელიც მართლმადიდებელი არ არის და მტრებად უნდა გამოვაცხადოთ. სინამდვილეში კი ჩვენ ვართ ერთიანი ერის სხვადასხვა ნაწილი, გვაქვს ერთი ეროვნული სული. ვთქვათ, იგივე კათოლიკე ზაქარია ფალიაშვილი რით არის ნაკლები რომელიმე მართლმადიდებელ ქრისტიანზე?! ზაქარია ფალიაშვილის მთელი მოღვაწეობა სწორედ ჩვენი კულტურის აღმავლობისკენ იყო მიმართული: არსებითად, ის არის ფუძემდებელი და შემქმნელი ქართული პროფესიული მუსიკისა და უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სულიერი სამყაროს აღორძინებაში. ხომ არ შეიძლება მას მივუდგეთ ფანატიკური მართლმადიდებლობის კუთხით და ამიტომ ხელი ვკრათ ასეთ უზარმაზარ მოღვაწეს?! კათოლიკე ქრისტიანი იყო გამოჩენილი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილიც და ჩვენ მოწონებისა და მადლიერების გარდა სხვა არა გვმართებს ამ ადამიანის მიმართ. მაჰმადიანები არიან ჰაიდარ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი და ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებაში. ფანატიზმი უნდა მოისპოს _ ეს არის მთავარი და არა ის, რომ ადამიანი ირჩევს რელიგიურ ხასიათის ამა თუ იმ სექტას, ან, თუ გნებავთ, საერო ხასიათის რაღაც

ორგანიზაციასა და მათ შორის იმ ყბადაღებულ მასონობასაც, რომელსაც ასე მტრულად ეკიდებიან.

ერთი წლის წინათ გაზეთში «პლიუს-მინუს უსასრულობა» დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელიც მეხიკოდან გამოუგზავნია მოსკოვში რუს ჟურნალისტს. ჩვენს ჟურნალისტებს ქართულად უთარგმნიათ, სადაც საუბარია თანამედროვე მასონური ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. სხვათა შორის, იქ ძალიან სხარტად და მოკლედ არის ჩამოყალიბებული მასონობის პრინციპები, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ჩვეულებრივი ორგანიზაციაა, რომელსაც ამაღლებული იდეალები აქვს და ამ იდეალებისათვის იბრძვის. ასე რომ, ასეთი მტრული დამოკიდებულება მით უმეტეს, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. დღეს ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ფანატიზმისაგან, სულ ერთია, იქნება ეს ნაციონალური ფანატიზმი, რელიგიური, ფილოსოფიური თუ რომელიმე სხვა, ადამიანი თავისუფლად უნდა აზროვნებდეს და მეორე ადამიანში ადამიანს უნდა ეძებდეს. ამიტომ, ამა თუ იმ შეხედულებისათვის ერთმანეთს არ უნდა გადავეკიდოთ, არამედ ჩვენს თავში უნდა აღვზარდოთ ტოლერანტული, შემწყნარებლური დამოკიდებულება, რათა თავისუფალი ადამიანური არსებობა და ადამიანური აზროვნებაც შეგვეძლოს. თუ ჩვენ ამოჩემებულ შეხედულებათა ფანატიკური ერთგულება გავაგრძელეთ, არა მარტო საკუთარი თავის მიმართ ჩავიდენთ დანაშაულს, არამედ ჩვენს ხალხსაც გავხლეჩთ და ქართველ ერს დავანაკუწებთ.

არის გაზეთები, ჟურნალები, რომლებიც რაღაცას ჯიუტად მოითხოვენ: ერთნი, ვთქვათ, ამ შეხედულების განმტკიცებას, სხვანი კიდევ მეორე შეხედულების განმტკიცებას, რა ლანძღვას აღარ იმეტებენ ერთმანეთისთვის. თუ ჩვენს ცნობიერებაში არ გავაერთიანეთ მართლმადიდებელი, კათოლიკე ქრისტიანი თუ მაჰმადიანი ქართველი, მაშინ არ დაგვჭირდება გარეშე მტერი, ჩვენ თვითონ დავანაკუწებთ ჩვენს ეროვნულ სულსა და სხეულს. ეს შეიძლება ჩვენდა უნებურადაც მოხდეს, ისე, რომ ამაზე შეგნებულად არც კი ვფიქრობდეთ, მაგრამ ჩვენმა ფანატიკურმა აზროვნებამ განაპირობოს. ამიტომ ამგვარ ფანატიზმის მიმართ ფხიზელი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს როგორც ყველა ადამიანს, ისე იმასაც, ვინც ფანატიზმის სამწუხარო მარწუხებში მოექცა.

**_ ბატონო აკაკი, ამ ვრცელი და საინტერესო მონათხრობის შემდეგ ხომ შეიძლება, რომ მავანმა თქვენც მასონთა რიგებში ჩაგრიცხოთ და მათი «ცოდვების» თანაზიარად მიგიჩნიოთ?**

_ (ღიმილით) მე იმდენი ბრალი დამდეს, რომ ახლა მასონობასაც თუ დამაბრალებენ, ამასაც იოლად გადავიტან, თუნდაც იმიტომ, რომ არ მიმაჩნია მასონები რაიმე განსაკუთრებულ დანაშაულს ჩადიოდნენ ადამიანების ან კაცობრიობის წინაშე. ეს არის ერთი ჩვეულებრივი ორგანიზაცია. უამრავი ასეთი ორგანიზაცია არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში მისი დასაწყისიდან დღემდე, მსოფლიოში უამრავი რელიგიური ორდენი და სექტაა, რომელთაც მიმდევრებით გააჩნიათ და თავისი წევრებიც ჰყავთ. ისინი ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მე მათ ჯერ როგორც ადამიანს ისე ვუყურებ და მერე როგორც ამა თუ იმ პარტიის მოღვაწეს, ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებელს, ან ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრს. როგორც მოგახსენეთ, მაღალი სულისა და გონების მქონე, კაცობრიობისათვის დიდი სიკეთის მომტანი უამრავი შესანიშნავი ადამიანი ყველა

რელიგიასა თუ ორგანიზაციაშია, მათ შორის, მასონთა ლოჟებშიც. ასე რომ, ამგვარი ბრალდებანი, უბრალოდ, სასაცილო იქნება და არა უფრო მეტი.

გაზ. “ოქროს არწივი”
30.XI და 17.XII, 1993 წ.

## «მოქცევა ქართლისაჲს» შესახებ

ქართველთა მოქცევის თარიღისათვის

ქართველთა ქრისტიანობად მოქცევის თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ამ თარიღად დიუბუა 276 წელს მიიჩნევდა, ვახუშტი და დ. ბაქრაძე _ 317, პ.იოსელიანი _ 318, თ. ჟორდანია _ 323-5, მ. ჯანაშვილი და ს. გორგაძე – 323, ან. ნატროშვილი – 326, ბარონიუსი – 327, მ. ბროსე – 328, ა. ხახანაშვილი – 332, ექ. თაყაიშვილი – 332-3, კ. ცინცაძე – 335, პ. ინგოროყვა – 330-იან წლებს, ივ. ჯავახიშვილი – 337 წლის ახლო ხანებს, კ. კეკელიძე – 355-56 წლებს.

როგორც ვხედავთ, გარდა კ.კეკელიძისა, ყველა მკვლევარს ქართველთა მოქცევა 337 წლამდე მომხდარ ამბად მიაჩნია. 337 წელი ზღვრად იმიტომ დაიდო, რომ ქართული და ბერძნული წყაროების თანახმად, ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად ჩვენში რომის იმპერატორის კონსტანტინე პირველის დროს გამოცხადებულა. კონსტანტინე პირველი კი 337 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, ქართველთა მოქცევა 337 წლის უგვიანეს ვერ მოხდებოდა. მხოლოდ კ.კეკელიძემ მიიჩნია საეჭვოდ ეს თარიღი და სპეციალურ ნარკვევში _ «ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები» _ სხვა აზრი გამოთქვა: ქართველთა მოქცევის თარიღი 355-56 წლებიაო.

ამრიგად, კ.კეკელიძემ 337 წელი, როგორც ტერმინუს პოსტ ქუემ მონ უარყო. ამიტომ აუცილებელია მისი არგუმენტების გამოწვლილვით განხილვა.

კ.კეკელიძის პირველი არგუმენტია: ქართველთა მოქცევას არ იხსენიებს ევსევი კესარიელი (264-340 წ.წ.).

ევსევი კონსტანტინეს უახლოესი მეგობარია. ყველაფერი იცის იმპერატორის შესახებ. ევსევი ეკლესიის ისტორიის მამად ითვლება. და ასეთი კაცი ქართველთა მოქცევის გამო დუმს. ქართველთა მოქცევაზე არაფერია ნათქვამი ევსევის «საეკლესიო ისტორიაში». ეს დუმილი იოლად აიხსნება: «საეკლესიო ისტორიის» წერა დამთავრდა 324 წლის დამლევსა და 325 წლის დამდეგს. მაშინ ქართველები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქცეულნი და, ცხადია, არც იხსენებიან. ბუნებრივი და გასაგებია ისიც, რომ ქართველთა მოქცევაზე არაფერს ამბობს ევსესი კონსტანტინე პირველის მადიდებელ სიტყვაშიც. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ დუმს ევსევი «კონსტანტინეს ცხოვრებაში». ეს შრომა დაიწერა იმპერატორის სიკვდილის მერე. თხზულებაში განსაკუთრებით აღნიშნულია კონსტანტინეს საქმიანობა ქრისტიანობის გასავრცელებლად. ამ დროს მემატიანე სიტყვას არ ჰრავს ქართველთა

მოქცევაზე. «მართალიაო, _ ამბობს კ. კეკელიძე, _ silentium ყოველთვის არ არის argumentum, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით». კ. კეკელიძის სიტყვით, ევსევის silentium მხოლოდ ერთს აღნიშნავს: «სახელდობრ იმას, რომ კონსტანტინეს დროს არ მომხდარა იბერთა და მათი მეფის მოქცევა».

სერიოზული არგუმენტია, მაგრამ აქვს სუსტი მხარეებიც.

1. ითვლება, რომ სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად კონსტანტინე პირველის დროს გამოცხადდა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ უფრო ადრეც. ყოველ შემთხვევაში სომეხთა მოქცევა წინ უსწრებდა ქართველთა გაქრისტიანებას. ეს არ მიაჩნიათ საკამათოდ. არც კ.კეკელიძეს ეეჭვება ეს. მაგრამ «კონსტანტინეს ცხოვრებაში» სომეხთა მოქცევის ფაქტსაც არ იხსენიებს ევსევი. რატომ? ახლა ამის ახსნა ძნელია. ფაქტია ის, რომ ევსევის რატომღაც მიზანშეწონილად მიუჩნევია ეს. შეიძლება იმიტომაც, რომ «კონსტანტინეს ცხოვრება» ქებაა და არა საისტორიო თხზულება. ქებისათვის კი აუცილებელი არ იყო ყველა ფაქტის აღნიშვნა. მაგრამ ამჟამად საყურადღებოა ის, რომ ევსევიმ ერთი ფაქტი _ სომეხთა მოქცევა _ გამოტოვა. ასევე შეეძლო გამოეტოვა მეორე ფაქტიც _ ქართველთა მოქცევა.

2. ევსევი კესარიელის «საეკლესიო ისტორია» ლათინურად თარგმნა რუფინუსმა (†410 წ.). რუფინუსმა ევსევის «საეკლესიო ისტორია» 9 წიგნად გააკეთა. ხოლო ბოლო ორი მე-10 და მე-11 წიგნი დაამატა. მიჩნეულია, რომ ეს ბოლო ორი წიგნი უკვე გელასი კესარიელის «საეკლესიო ისტორიის» თარგმანია. რუფინუსი ლაპარაკობს ქართველთა მოქცევაზე. შესაძლებელია ეს ამბავი რუფინუსმა გელასისაგან შეიტყო, რადგან გელასიც იუწყება ქართველთა მოქცევის ფაქტს. მაგრამ აქ ნიშანდობლივია ის, რომ ქართველთა მოქცევის ისტორია რუფინუსს შეუტანია პირველი წიგნის მე-10 თავში. ე.ი. დაუმატებია ევსევის «ისტორიისათვის». ეს ჩამატება შეუძლებელია უსაბუთოდ მომხდარიყო. ორში ერთი: ან ევსევი კესარიელს სადღაც მოხსენიებული ჰქონდა ქართველთა მოქცევის ფაქტი და ეს რუფინუსის დროს ცნობილი იყო, ან რუფინუსმა ქართველთა მოქცევის მოუხსენიებლობა შეცდომად ჩათვალა და ევსევის თხზულება შეასწორა.

3. რატომ აქვს ეგზომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთი ევსევის დუმილს, როცა 8 მემატიანე _ გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენე, ლეონ გრამატიკოსი, ნიკიფორე ქსანთოპულოსი _ მე-4 საუკუნიდან მე-13 საუკუნემდე ერთსა და იმავეს იმეორებს _ ქართველთა მოქცევა კონსტანტინე პირველის დროს მოხდაო. ეს მემატიანენი უეჭველია იცნობენ ევსევი კესარიელის თხზულებებს. მაგრამ ევსევის მიერ ქართველთა მოქცევის არმოხსენიება არ გამხდარა მათთვის ეჭვის საბაბი. ეს მნიშვნელოვანია და უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

კ.კეკელიძის მეორე საბუთია რუსი ისტორიკოსის ვ.ბოლოტოვის გამოანგარიშებული თარიღი ეთიოპიელთა მოქცევისა. გელასი კესარიელი და რუფინუსი იუწყებიან, რომ იბერიელთა და ეთიოპიელთა მოქცევა დაახლოებით ერთდროულად მოხდაო, კონსტანტინე პირველის დროს. მაგრამ ვ.ბოლოტოვს წყაროებისცნობა კრიტიკულად შეუსწავლია და დაუდგენია, რომ მემატიანეებს შეშლიათ: ეთიოპიელთა მოქცევა კონსტანტინე პირველის დროს კი არ მომხდარა, არამედ მისი შვილის კონსტანციუსის დროს 355-6 წ.წ. აქედან

კ.კეკელიძე ასკვნის: თუ ეთიოპიელთა მოქცევა 355-6 წ.წ. მოხდა, ხოლო ქართველები და ეთიოპიელები ერთდროულად გაქრისტიანდნენ, მაშასადამე ქართველთა მოქცევის თარიღიც 355-6 წლებიაო.

არც ეს არის ურყევი საბუთი. ჯერ ერთი, ვ.ბოლოტოვის გამოანგარიშებული თარიღი გაზიარებული არ არის. ჯერჯერობით მიჩნეულია, რომ ეთიოპიელები 320-342 წლებში მოიქცნენ. ეს წლები კი სწორედ კონსტანტინე პირველის ეპოქაა. მეორეც, თუ უარვყოფთ გელასისა და რუფინუსის ცნობის ერთ ნაწილს _ ქართველები და ეთიოპიელები კონსტანტინე პირველის დროს მოიქცნენო, რატომღა ვიზიარებთ მეორე ნაწილს _ ერთდროულად გაქრისტიანდნენო? თუ არასანდოა ერთი, მაშინ საეჭვოა მეორეც.

მართალია, არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს, მაგრამ მესამე არგუმენტად კ.კეკელიძეს მოაქვს მატიანის ცნობა: მირიანს ნადირობისას მზე დაუბნელდა და ამ სასწაულის მერე გადაწყვიტა მეფემ, ქრისტიანად მონათლულიყო.

კ.კეკელიძის თხოვნით, თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის და უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის ასისტენტს ე.ბიუსს, ოპოლცერის კანონების მიხედვით, უანგარიშია, როდის მოხდა მზის დაბნელება მცხეთა-კასპის რაიონში მე-4 საუკუნეში. ე.ბიუსის გამოანგარიშებით, მზე დაბნელებულა 319 წლის 6 მაისს, 346 წლის 6 ივნისს, 348 წლის 9 ოქტომბერს და 355 წლის 28 მაისს. რაკი 355 წ. 28 მაისს მზის დაბნელება მართლაც მომხდარა, მაშასადამე, მემატიანესაც რეალური ამბავი აუწერიაო. «ცხადია, _ წერს კ.კეკელიძე, _ იმ ადამიანებზე, რომლის გული უკვე გამზადებული იყო ახალი მოძღვრების მისაღებად, ისეთს ბუნებრივ მოვლენას, როგორიცაა მზის დაბნელება, შეეძლო არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოეხდინა და მის თვალში ბუნებრიობის ხასიათი დაეკარგა». ეს ფაქტიც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ქართველთა მოქცევა 355-6 წლებში მოხდაო, ასკვნის კ.კეკელიძე.

ეს საბუთიც რამდენიმე შენიშვნას იწვევს.

1. ე.ბიუსის გამოანგარიშებით მირიანის მეფობაში მზის დაბნელება სამჯერ მომხდარა _ 346, 348, 355 წლებში. მაშასადამე, მზის დაბნელება მირიანისთვის არ ყოფილა არაჩვეულებრივი ამბავი. რაკი ასეა, რაღა მესამე დაბნელებამ მოახდინა მირიანზე თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება? პირველმა ორმა რატომ ჩაიარა მშვიდად? აქ მოულოდნელობისა და არცოდნის ელემენტი გამორიცხულია.

2. ბიუსის სიტყვით, 355 წლის დაბნელება 28 მაისს მომხდარა. მაგრამ «მოქცევაჲ ქართლისაჲ» ამბობს, რომ მირიანს მზე დაუბნელდა 20 ივლისს, შაბათსო. როგორ შევარიგოთ 28 მაისი და 20 ივლისი? კ.კეკელიძე სქოლიოში აღნიშნავს6 _ «20 ივლისი შაბათ დღეს სწორედ 356 წელს მოდიოდაო». არაა სწორი. 20 ივლისი შაბათ დღეს 362 წელს იყო. უფრო ადრე კი _ 334 წელს. კალენდარი 28 წელიწადში ერთხელ მეორდება.

3. «მოქცევაჲ ქართლისაჲში» აღწერილი მზის დაბნელება რეალურ ასტრონომიულ მოვლენას არ უნდა გულისხმობდეს. ამას რამდენიმე გარემოება მოწმობს.

ა) 312 წელს კონსტანტინე პირველსა და მაკსენციუსს შორის ბრძოლა გაიმართა. სამხედრო უპირატესობა თავდაპირველად მაკსენციუსის მხარეს ყოფილა. ერთ დღეს კონსტანტინეს, მთელ ლაშქართან ერთად, ჩვენება უხილავს: ცაზე გამოისახა ჯვარი

წარწერით _ ამით გაიმარჯვებ. მაშინ ირწმუნა თურმე კონსტანტინემ ჯვრის ძალა და სძლია კიდეც მაკსენციუსს. მაკსენციუსი ტიბრში დაიხრჩო და კონსტანტინემ სამუდამო მოიცილა ტახტის მოქიშპე. ეს თავად უამბნია კონსტანტინეს ევსევი კესარიელისთვის და ისტორიკოსს შეუტანია კიდეც იგი «კონსტანტინეს ცხოვრებაში».

ამ გამარჯვებას მოჰყვა 313 წლის მილანის ედიქტი, რის თანახმადაც ქრისტიანობა გამოცხადდა თავისუფალ რელიგიად. არსებითად, ეს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას ნიშნავდა.

ბ) სომეხთა მეფემ თრდატმა გრიგოლ გამანათლებელი ხაროში ჩააგდო და რიფსიმე და გაიანე აწამა. გამოხდა ხანი. მეფე სანადიროდ წავიდა. ნადირობისას თრდატმა უეცრად კაცის სახე დაკარგა და ტახის თავი გამოება. ასე დადიოდა ეშვის სახით სომეხთა მეფე, სანამ არ უთხრეს, წმიდა გრიგოლი გაათავისუფლე და გეშველებაო. შეძრწუნებულმა თრდატმა გრიგოლი ხაროდან ამოიყანა, გაათავისუფლა და ქრისტიანობის ქადაგების უფლება მისცა. მალე თრდატს ადამიანის სახე დაუბრუნდა. გახარებული მეფე თავადაც მოინათლა და სომხებიც ქრისტიანებად მოაქცია.

ორივე ეს ამბავი ნათლად გვიდასტურებს, რომ ამა თუ იმ ხალხის მოქცევას რაღაც სასწაული უძღვის წინ. ასეთივე სასწაული უნდა იყოს აღწერილი «ქართლის მოქცევაშიც».

გ) მოსე ხორენელთან და ბერძნულ წყაროებში მზის დაბნელება არ არის აღნიშნული. ორივეგან ცუდ, ნისლიან ტაროსზეა ლაპარაკი. ხოლო თეოდორიტე კვირელი (393-457/8 წ.წ.) იმასაც კი ამბობს, რომ «სხვა მონადირენი სარგებლობდნენ მზის შუქით ჩვეულებისამებრ. ერთი მეფე იყო მხოლოდ შეპყრობილი უხილველობის ბორკილებით».

დ) მზის დაბნელებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოებაა გასახსენებელი. როგორც ცნობილია, მნათობთა დაბნელება ქრისტეს ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდია: 1. ქალწულისაგან შობაჲ, 2. წყლით ნათლისღებაჲ, 3. ჯუარცმაჲ, 4. დაფლვაჲ, 5. მნათობთა დაბნელებაჲ, 6. სამარესა დადებაჲ, 7. აღდგომაჲ დღესა მესამესა, 8. ზეცად ამაღლებაჲ, 9. კუალად მოსვლაჲ (ამაზე «ქართლის მოქცევაშიც» არის ლაპარაკი). როდის და რა პირობებში მოხდა მნათობთა დაბნელება? სახარებაში (მეათე 27,45; მარკოზ 15,33, ლუკა 23,44) ნათქვამია: როცა ქრისტე ჯვარს აცვეს, გარსმოჯარული აღტკინებული ბრბო ითხოვდა _ თუ მართლა ღმერთი ხარ, იხსენი თავიო. ქრისტეს არ შეეძლო თავლახსნა: სულის ასამაღლებლად კვდებოდა ხორცი. უნდა ასრულებულიყო ღვთაებრივი წინასწარზრახვა. მაგრამ ბრბოსაც სჭირდებოდა პასუხი. მაშინ დაბნელდა: «ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანა, ვიდრე მეცხრე ჟამამდე». ე.ი. სამი საათი ბნელდებოდა თურმე. ეს ღვთაებრიობის ნიშანი იყო. გარდა ამისა, აქ სიმბოლურად მინიშნებულია ერთი ყოფის (მიწიერი ცხოვრების) დასასრული და მეორეს (ზეციერი ცხოვრების) დასაწყისი. ამასვე უნდა აღნიშნავდეს «ქართლის მოქცევაში» მზის დაბნელება: დასრულდა მირიანის ერთი ცხოვრება (წარმართული) და დაიწყო მეორე (ქრისტიანული). მართლაც მზის დაბნელების მერე მოხდა როგორც მირიანის, ისე ქართველთა ნათლისღება. სხვათა შორის, ამ ეპიზოდით მკაფიოდ მჟღავნდება «ქართლის მოქცევის» ავტორის, როგორც პროპაგანდისტის, ნიჭიერება.

ასე რომ, «ქართლის მოქცევაში» მზის დაბნელება არ უნდა გულისხმობდეს რეალურ ასტრონომიულ მოვლენას.

კიდევ ერთი საკითხია გასარკვევი: თუ მართლა კონსტანციუსის (კონსტანცის) დროს მოიქცნენ ქართველები, მაშინ რატომ იხსენიებენ დაჟინებით ქართული და ბერძნული წყაროები კონსტანტინეს? კ.კეკელიძის აზრით, ამას ორი მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა. ერთი კონფესიური: კონსტანციუსი არიანოზი იყო, მართლმადიდებლებს სძულდათ და ამიტომ ისეთი დიდისაქმე, როგორც მთელი ერის მოქცევა, არ მიაწერეს კონსტანციუსს. ამჯობინეს სახელოვანი კონსტანტინე ყოფილიყო ამის მოთავე. მეორე, შეიძლება უნებლიე შეცდომით ეს ორი სახელი აერიათ ერთანეთშიო. «წმიდა რომაული სახელები, Constantinus და Constantius, რომელნიც თვით რომაელებსაც კი ერეოდათ ერთმანეთში, უფრო მეტად აერეოდათ ბერძნებს და, რასაკვირველია, გაცილებით მეტად ისეთ შორეულ «ბარბაროსებს» როგორიც იყვნენ იბერები».

ჯერ ერთი, არსად არავის არ მიუწერია კონსტანტინესათვის ქართველთა მოქცევა. ქართულადაც და ბერძნულადაც წერია, რომ კონსტანტინეს დროს მოხდაო ეს და მეტი არაფერი. ქართველები უკვე მოქცეულნი იყვნენ, როცა ეს ამბავი შეიტყო კონსტანტინემ. ცხადია, იმპერატორს გაუხარდა და ნინოს დასახმარებლად სასულიერო პირები გამოაგზავნა საქართველოში. ასე რომ, კონსტანტინე ამ საქმის აქტიური მონაწილე არ არის. ამიტომ კონფესიური თვალსაზრისი აქარაფერ შუაშია. მეორეც, ყოვლად შეუძლებელია ძველი კონსტანტინე და კონსტანციუსი ერთმანეთში არეოდათ.

იმპერატორ კონსტანტინე პირველსა და იმპერატრისა ფაუსტას სამი ვაჟი ყავდათ. პირველს მამის სახელი კონსტანტინე ერქვა, მეორეს პაპის სახელი _ კონსტანცი (Constantius, Констанций) და მესამეს _ კონსტანტი (Constantus, Констант). კონსტანტინე პირველის გარდაცვალების მერე მამის ტახტი სამივემ მიიღო, ოღონდ ამრიგად: კონსტანტინე მეორეს ერგო გალია, კონსტანტს _ იტალია, ხოლო კონსტანცის _ იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი. კონსტანტინე კი 350 წელს უზურპატორმა მაგნეციუსმა მოკლა. ისიც ახალგაზრდა იყო _ 27 წლის. 355 წელს მაგნეციუსიც დაიღუპა და მთელი რომის იმპერიის მმართველი კონსტანცი გახდა. ეს გრძელი ისტორია იმიტომ გიამბეთ, რომ მეჩვენებინა: სამივე ძმა ცხარე პოლიტიკური ბრძოლების მონაწილეა და იმდროინდელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი. მათი სახელებიც ასევე პოპულარული და ცნობილია. ასე რომ, მაშინდელ წიგნიერ კაცს, ბერძენი იქნებოდა იგი თუ ქართველი, შეუძლებელია ეს სახელები ერთმანეთში არეოდა. აქ ისიც უნდა დავამატოთ, რომ «ქართლის მოქცევაში» მხოლოდ კონსტანტინე არ იხსენიება. იხსენიება დედაც იმპერატორისა დედოფალი ელენე. ესეც საყურადღებოა. ესეც ადასტურებს, რომ სახელები არ აურევიათ.

სხვათა შორის, კ.კეკელიძის გამოკვლევაში კონსტანცის მაგიერ შეცდომით წერია კონსტანტი. როგორც ვნახეთ, კონსტანცი (Constantius) და კონსტანტი (Constantus) ორი სხვადასხვა სახელი.

ამრიგად, ყველა ზემორე თქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად კ.კეკელიძის კრიტიკისა, 337 წელი მაინც რჩება ზღვარად, Ірომლის მერე ვერ მოხდებოდა ქართველთა მოქცევა.

თუ 337 წელი არის terminus post quem min, რომელი წელია terminus ante quem non? ასეთ თარიღად ჩანს 330 წელი.

როგორც ცნობილია, კონსტანტინე პირველმა იმპერიის ახალი დედაქალაქის მშენებლობა დაიწყო. 330 წელს დაამთავრა კონსტანტინოპოლის მშენებლობა. ამავე წელსვე აკურთხეს იგი დედაქალაქად.

როცა ქართველთა გაქრისტიანებაზე ლაპარაკობენ, კონსტანტინოპოლს იხსენიებენ «ქართლის მოქცევის» ავტორიც და ლეონტი მროველიც.

«ესე ყოველი მოსმენილ იყო მათა იერუსალჱ მით, ჰრომით, კონსტანტინეპოვლით, ვითარმედ ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა მოფენილ არს მზჱ იგი სიმართლისაჲ».

«ესე ყოველი მოსმენილ იყო იერუსალემით და კონსტანტინეპოლით, ვითარმედ ქუეყანასა მას ქართლისასა მოეფინა მზე სიმართლისა».

გელასი კვიზიკელის (V საუკუნე) თანახმად, კონსტანტინოპოლს იხსენიებს გელასი კესარიელიც (IV ს. მეორე ნახევარი): «მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინოპოლში, აუწყებენ კონსტანტინე მეფეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის გამტკიცებას».

ამრიგად, ხელთა გვაქვს მტკიცე ჩარჩო – 330-337 წლები.

როგორ თავსდება ამ ჩარჩოში «ქართლის მოქცევის» ავტორის ქრონოლოგია? ჯერ გავიხსეოთ, წელთაღრიცხვის რომელი სისტემით სარგებლობს იგი. ჩვენს მემატიანეებს შეეძლოთ წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემა გამოეყენებიათ _ ქართული, ბიზანტიური, სომხური, ევსევი კესარიელის, პანდორე ალექსანდრიელის, ანიანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელის და ა.შ. ამათგან «ქართლის მოქცევის» ავტორი იყენებს ანიანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელის ქრონოლოგიას. «ქართლის მოქცევაში» პირდაპირ ნათქვამია: «გარდაჰჴდეს ქრისტეს მოსვლამდე. წელნი ხუთი ათას ხუთასი». სწორედ ანიანე ალექსანდრიელი და იულიუს აფრიკელი ითვლიან ქვეყნის დასაბამიდან ქრისტემდე 5500 წელს. კ.კეკელიძე ნარკვევში _ «წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში» _ მიუთითებს: «პანდორეს სისტემასთან შედარებით უფრო ხშირია ჩვენს ძეგლებში ალექსანდრიული 5500 წლიანი სისტემის ხმარება». ამ სისტემის სიმბოლური ახსნა-განმარტებაც სცოდნიათ ჩვენში. ლეონტი ბოსტრელის განმარტებით, სჯულის კიდობანი 5 1/2 წყრთა ყოფილა. ესკი იმას აღნიშნავდაო, რომ 5500 წლის გასვლის მერე ღვთის ძე მოვიდოდა სჯულის სახსნელად.

ახალ წელთაღრიცხვას კი «ქართლის მოქცევის» ავტორი ითვლის «ქრისტეს ამაღლებითგან». ზემოთ მოხსენიებულ ნარკვევში კ.კეკელიძე ამბობს: «ეს ერა (ქრისტედან _ ა.ბ.) სამი ვარიაციისა იყო: ზოგი გამოსავალ წერტილად იღებდა ქრისტეს «დაბადებას», ზოგი მის «ვნებას, ჯუარცმას და აღდგომას», ზოგი «ამაღლებას». იქვე დასძენს, «ამაღლებასვენ» იღებს «მოქცევაჲ» და ნინოს შატბერდულ-ჭელიშური «ცხოვრება».

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ «ქართლის მოქცევის» ქრონოლოგიას თავისებურებაც ახლავს. ჩვეულებრივ, როცა წელთაღრიცხვას «ქრისტეს ამაღლებითგან» ანგარიშობენ, უმატებენ ქრისტეს მიწიერი ცხოვრების 33 წელსაც. მაგალითად, იოანე საბანის ძე წერს, რომ «შევისწავეთ მარტჳლობაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი» «ქრისტჱსსა წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ორმოც და ექუსსა», ხოლო «დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმოც და ცხრასა წელსა». 6389 _ 846 = 5533. 5533 წელს კი

უნდა გამოვაკლოთ 33 წელი და მივიღებთ 5500. ე.ი. ანიანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელის რიცხვს (იოანე საბანის ძეც ამ სისტემას იყენებს).

სხვანაირად იქცევა «ქართლის მოქცევის» ავტორი. იგი ახალ წელთაღრიცხვას ანგარიშობს «ქრისტეს ამაღლებითგან» ისე, რომ არ უმატებს ქრისტეს მიწიერი ცხოვრების 33 წელს. მაგალითად, «შეჰვედრა სული თჳსი (ნინომ _ ა.ბ.) ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსვლითგან მეათხუტმეტესა წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან ტლჱ (= 338) წელსა, დასაბამითგან ჩყლჱ (= 5838) წელსა». თუ აქ ისევე ვიანგარიშებთ, როგორც იოანე საბანის ძესთან, მაშინ უთუოდ შევცდებით. აბა ვნახოთ: 338+33=271. ე.ი. გამოდის, რომ ნინო გარდაცვლილა 371 წელს. მაგრამ აკი ამბობს მემატიანე დასაბამიდან ქრისტემდე 5838 წელი იყო გასულიო? 5838 – 371 = 5767 წელს. დასაბამიდან ქრისტემდე 5767 წელს ჩვენში ცნობილი არცერთი წელთაღრიცხვა არ ითვლის. ქართული ანგარიშობს 5604, ევსევი კესარიელი 5198, პანდორე ალექსანდრიელი 5492, ბიზანტიური _ 5508, სომხური _ გარდა ამისა, «ქართლის მოქცევის» ავტორი ხომ წერს აგრეთვე, ნინო გარდაიცვალაო «ქართლად მოსვლითგან მეათხუთმეტესა წელსა»: 371 – 15 = 356. ე.ი. ნინო მცხეთაში 356 წელს მოსულა. მაგრამ კ.კეკელიძის აზრით, 355-356 წლები ნინოს მცხეთაში მოსვლის თარიღი კი არ არის, არამედ ქართველთა მოქცევისა. როგორ, მოვიდა თუ არა მცხეთაში, მაშინვე მოაქცია ქართველები? ამ წინააღმდეგობის ახსნას კ.კეკელიძე ასე ცდილობს: «თუ ფრაზას «ქრისტეს აღმაღლებითგან მისი ნამდვილი მნიშვნელობით გავიგებთ, ხოლო «ქართლად მოსვლაში» მის მოქცევას ვიგულისხმებთ, ნინოს გარდაცვალება მოვა 33 + 338 = 371 წელს». კი მაგრამ, «ქართლად მოსულაში» რატომ უნდა ვიგულისხმოთ «ქართლის მოქცევა»? მოსვლა მოსვლაა და მოქცევა _ მოქცევა. მათი გაიგივების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ერთი სიტყვით, როგორც კი «ქართლის მოქცევის» ავტორის არჩეულ ქრონოლოგიურ პრინციპს დავარღვევთ, მაშინვე შევცდებით. თუ ვირწმუნებთ, რომ «ქართლის მოქცევის» ავტორი ახალ წელთაღრიცხვას იწყებს ქრისტეს დასაბამიდან 5838 წელს, ქრისტეს ამაღლებიდან 338 წელს, ქართლად მოსვლიდან მე-15 წელს. 5838 – 338 = 5500. მივიღეთ ზუსტად ანიანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელის რიცხვი. ამ რიცხვს უთითებს თავად ავტორიც «ქართლის მოქცევისა». ეს ზემოთ ვნახეთ. თუ ნინო 338 წელს გარდაიცვალა, მაშასადამე მცხეთას მოსულა 338 – 15 = 323 წელს.

«ქართლის მოქცევის» ავტორი რომ ახალ წელთაღრიცხვას ქრისტეს ამაღლებიდან იწყებს ამას სხვა ცნობანიც მოწმობენ:

1. «და იყო დღეთა კონსტანტინე მეფისათა, ქრისტეს ამაღლებითგან სამას და მესათესა წელსა, იყო ღუაწლი ბრძოლისაჲ მტერთაგან და ფრიად ერეოდეს მეფესა კონსტანტინეს». აქაც 310-ს თუ მივუმატებთ 33 მივიღებთ 343. კონსტანტინე კი 343 ზელს ცოცხალი აღარ იყო. იგი 337 მიიცვალა. ვარაუდი კი იმისა, რომ «ქართლის მოქცევის» ავტორმა არ იცოდა, როდის გარდაიცვალა კონსტანტინე პირველი, მეტისმეტი თავხედობა იქნებოდა ჩვენგან.

2. მირიან მეფე სანადიროდ წავიდა და მზე დაბნელდა. «ქართლის მოქცევაში» არ არის ნათქვამი, რომელ წელს მოხდა ეს. სამაგიეროდ მითითებულია თვე, რიცხვი და დღე _ «ჟამსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა კ (-20), დღესა შაფათსა, აღჳდა მეფე და განვიდა ნადირობად». მივმართოთ ვ.კალანდაძის უნივერსალურ კალენდარს და დავადგინოთ, რომ მირიან მეფე

სანადიროდ წასულა 334 წლის 20 ივლისს, შაბათს. ამის მერე მომხდარ ამბავთა თანამიმდევრობა ასეთია: მზე დაბნელდა; მირიანმა ფიცი დადო, ნინოს ღმერთს ვიწამებო; განათდა; გახარებული მეფე მცხეთას მობრუნდა; ერს ქრისტიანობად მოქცევისაკენ მოუწოდა; კონსტანტინე პირველთან მოციქულები გაგზავნა, ხალხის მოსანათლავად მღვდელმსახურნი მომაშველეო. მერე ნინოს მიმართა _ ბრძანე ნეტარო, სად აღუშენო ღმერთსა სახლი. განმანათლებელმა მიუგო: სადაც ხელმწიფე ინებებსო. მირიანმა ბრძანა, სამეფო ბაღში ააშენეთო ეკლესია. დაიწყო მშენებლობა. ბაღში ნაძვი მოკვეთეს და სვეტად გაამზადეს. აქ უცნაური რამ მოხდა: არ იქნა და არა, სვეტი ვერაფრით აღმართეს დანიშნულების ადგილას. დამწუხრდა მეფე და ერი. მთელი ღამე ლოცვად იდგა ნინო. ცისკრისას ნინომ და სიდონიამ იხილეს ნათლით მოსილი ჭაბუკი. იგი დაწვდა სვეტს, აიღო და ცისკენ წაიღო. მერე ნაძვის სვეტი ცეცხლის სახით უკან დაეშვა და დანიშნულების ადგილას დადგა. დილით ეს სასწაული ერმაც იხილა და მეფემაც. სიხარულით აღივსო მცხეთაჲ ქალაქი.

ეს ამბავი 334 წელს მომხდარა.

ახლა გავიხსენოთ, რას ეუბნება აბიათარ მღვდელი მცხეთაში ჩამოსულ ასტირონ მთავარს. ასტირონმა ჰკითხა აბიათარს: როგორ მოხდა, რომ შენ ებრაელმა დატოვე შენი რჯული და თავგამოდებული ქრისტიანი გახდიო? აბიათარმა უამბო, როგორ დაემოწაფა ნინოს, ისწავლა ქრისტიანული მოძღვრება, როგორ იხილა საკვირველებანი და მათ შორის «სასწაულნი საშინელნი ამის სვეტის აღმართებისა». ამის მხილველ აბიათარს ნათელუღია. ესეც 334 წელს მომხდარა: «დღესითგან ქრისტემდე არიან წელნი სამას ოცდაათოთხმეტ», დასძენს აბიათარი. აქაც თარიღები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

3. ორი თარიღი ვიანგარიშეთ: ა) 323 წელს ნინო მცხეთას მოვიდა. ბ) 334 წელს მირიანს ნადირობისას მზე დაუბნელდა.

აქაც მკაფიო ქრონოლოგიური ჩარჩო (323-334 წ.წ.) გვაქვს. ახლა ყური დაუგდოთ მემატიანეს: როცა ნინო მცხეთას მოვიდა, «იყო სამ წელ ეგრეთ, იღოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილისა ბრძამლითა მაყულისაჲთა». მხოლოდ «მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და შჯული». ე.ი. 323+4=327 წელს შედგომია ქრისტიანობის საჯარო ქადაგებას. ამის მერე «მეექუსესა წელსა არწმუნა ცოლსა მეფისასა ნანას, სუნსა შინა მისსა». მაშასადამე 323+6=333 წელს ნანა დედოფალი დაურწმუნებია. ხოლო «მეშჳდესა წელსა მეფეს არწმუნა სასწაულითა ქრისტესმიერითა». ე.ი. 327+7=334 წელს უკვე მირიანმაც ირწმუნა ქრისტე. ზემოთ კი ვნახეთ, რომ ეს ქრისტესმიერი სასწაული მირიანმა 334 წლის 20 ივლისს ნახა.

აქაც თარიღები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

4. მემატიანის სიტყვით, ნინომ თავისი ცხოვრება თავად უამბო მირიან მეფის რძალს სალომე უჯარმელს. სალომემ კი გამანათლებლის ნაამბობი ჩაწერა. კერძოდ, ნინო ყვება, რომ სომხეთში იგი რიფსიმესა და გაიანესთან ერთად ჩამოვიდა. სომეხთა მეფე თრდატმა რიფსიმე და გაიანე აწამა. «იგინი მოკლნეს მენ თთიესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასსკევსა». აქაც გვაქვს თვე, რიცხვი და დღე. არ არის აღნიშნული წელი. ისევ ვ.კალანდაძის უნივერსალურ კალენდარს მივმართოთ. როგორც ვიცით, მაშინ პირველ თვედ მარტი

ითვლებოდა. 30 მარტს პარასკევი კი 322 წელს იყო. ამრიგად, თრდატს გაიანე და რიფსიმე 322 წლის 30 მარტს უწამებია. ნინოს შეშინებია და დამალულა: «მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამს» (დააკვირდით რა ზუსტი დეტალებია!). მერე მოუხერხებია და საქართველოში წამოსულა; «თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა». ე.ი. ივნისში, ჯავახეთში ფარავნის ტბასთან მოსულა. აქ მეთევზეებს საზრდელი მიუციათ. საფურცლელი, ქინძარელი, რაბატელი მწყემსები უნახავს და ამათგან მცხეთის გზა უსწავლია. მერე ამდგარა ნინო და დედაქალაქისაკენ აუღია გეზი. «მივხედენ მთათა ჩრდილოსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა (მეოთხე თვე, ე.ი. ივნისი იყოო, ზევით ითქვა _ ა.ბ.) სავსენი ჩნდეს ჰირირითა და თოვლითა სასტიკითა. და შევძრწუნდი ფრიად».

იერუსალიმში გაზრდილ კაბადოკიელ ქალს გაჰკვირვებია ზაფხულში მთებზე თოვლი. შეშინებულა კიდეც. ზუსტად დაჭერილი ფსიქოლოგიური დეტალია, ესეც ფრიად საყურადღებოა.

ფარავნიდან ურბნისში მოსულა. «ვიპოვენ მოგზაურნი და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა». ურბნისში ერთი თვე დარჩენილა. მერე მლოცველებს გამოჰყოლია და აგვისტოში მცხეთაში ჩამოსულა: «მაშინ მე მუნ ვიყავი, რამეთუ დღე იყო მეექუსე თთჳსაჲ».

ამრიგად, ამ თარიღების მიხედვით, ნინო მცხეთას ჩამოსულა 322 წლის აგვისტოში. აქაც, მცირედი განსხვავებით, არსებითად თარიღები ემთხვევა ერთმანეთს.

5. მირიანის წარგზავნილი მოციქულები დაბრუნდნენ. ჩამოიყვანეს მღვდელმოძღვარნი და დიაკონნი. მონათლეს ერი. დადგა დრო პატიოსანი ჯვრის აღმართვისა. საჯვარე ხე მოვკვეთეთო, გვაუწყებენ იაკობ მღვდელი და იოანე მთავარეპისკოპოსი, «თუესა მარტსა კე-სა (=25), დღესა პარასკევსა. არც აქ არის წელი მითითებული. ისევ ვ.კალანდაძის კალენდარი მოვიშველიოთ: მარტის 25-ს პარასკევი დღე იყო 337 წელს.

5. მაშასადამე, ქართველთა ნათელიღეს <u>334 წლის 20 ივლისსა და 338 წლის 25 მარტს</u> შორის. უფრო ზუსტად, «ქართლის მოქცევის» მიხედვით, ქართველთა გაქრისტიანების თარიღის დადგენა არ ხერხდება.

6. პატიოსანი ჯვრის აღმართვის მერე მემატიანე სიტყვას აღარ აგრძელებს. გვიამბობს მხოლოდ შემდეგს: ნინომ წაიყვანა მთავარეპისკოპოსი, მღვდელნი და ერისთავი. წობენს დადგა. მოუწოდა მთიელთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წილკანელთა. უქადაგა ქრისტიანობა. იქედან ერწოში გადავიდა. ნათელისცა ერწო-თიანელთა. მერე კახეთად წავიდა. იქ დასნეულებულა, სიარული ვეღარ შეძლო და დაბა ბოდში//ბოდისში მიიცვალა.

337 წლის მარტისმერე ერთი მოგზაურობა-ღა მოუხერხებია ნინოს ამიერ საქართველოში. ესეც ადასტურებს, რომ სწორედ 338 წელს განვიდა იმ სოფლად ქართველთა განმანათლებელი. ესეც თარიღის სიზუსტის ერთი საბუთია.

«ქართლის მოქცევაში» (ნინოს ცხოვრებითურთ) თარიღებზე სულ 9-ჯერ არის ლაპარაკი. აქედან 6-ჯერ მოხსენიებული თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. მხოლოდ 3-ჯერ არის აღნიშნული არეული თარიღი. თავისთავად შეფარდება 6:3 უკვე მეტყველებს, რომ «ქართლის მოქცევა», ქრონოლოგიური თვალსაზრისით, უნდობლობას არ იმსახურებს და

მისი გამოყენება შეიძლება. ცხადია, საუკუნეების მანძილზე ათას ჭირვარამგამოვლილი თხზულება შიგადაშიგ დამახინჯდა და დაკოჭლდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხა და ძირითადი ამბავი მართლად გადმოსცა.

### დამოწმებული ლიტერატურა


1. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.31
2. პ.ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა («მნათობი», 1939 წ., №2, გვ.141)
3. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1, 1951 წ., გვ.234
4. კ.კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები («მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.39, 49
5. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., 32-34
6. «გეორგიკა», 1, 1961 წ., გვ.22
7. იქვე, გვ. 182, 200
8. იქვე, გვ.201
9. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.35-37
10. LLarousse, ტ.4, 1969 წ.
11. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.38-39
12. იქვე, გვ.39
13. ასტრონომიული კალენდარი 1973 წ., გვ.172. იხ. ვ.კალანდაძის ცხრილი
14. История Арменииии Моисея Хоренского, Москва, 1858 г., ст.152
15. «გეორგიკა», ტ.1, 1961 წ., გვ.212
16. «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები», წიგნი 1, 1964 წ., გვ.103
17. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.41
18. «История Византии», ტ.1, 1967 წ., გვ.170
19. «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები», წიგნი 7, 1964 წ., გვ.103
20. «ქართლის ცხოვრება», ტ.1, 1955 წ., გვ. 125
21. «გეორგიკა», ტ.1, 1961 წ., გვ.193-194
22. «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები», წიგნი 1, 1964 წ., გვ.125
23. კ.კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», ტ.11, 1945 წ., გვ.337, 326, 327
24. «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები», წიგნი !, 1964 წ., გვ.63
25. იქვე, გვ.90
26. «მიმომხილველი», ტ.1, 1926 წ., გვ.39
27. «ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, 1964 წ., გვ.83

28, 29, 30, 31, 32, 33, 34. იქვე, გვ.134-5; 103-4; 84; 115; 116; 117-118; 122

## ქართული ეკლესიის ისტორიის ერთი ფურცელი

I

უცნაური ამბავი მოხდა მე-18 საუკუნის საქართველოში: შეწყდა არა მარტო მუდმივი კავირი ათონის ქართულ მონასტერთან, არამედ დაიკარგა ცოდნაც ამ კულტურული ცენტრის შესახებ. ტიმოთე გაბაშვილი წერდა: ...»ვიხილენით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწნი მამათა ჩვენთა ქართველთანი, და ფრიად განკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი (ხაზი ჩემია – ა.ბ.), რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვწერენ». თუ ადრე სიხარულით მიეშურებოდა ქართველი მთაწმინდას, მე-18 საუკუნეში ამის მსურველი აღარავინ ყოფილა. «უკეთუ უნარჩევესისა ამისა ყოველთასა სათნო იყო აქა მოვრდომა. რაოდენ უმეტესად სთნიეს მეუფესა სულიერთა საქართველოთა მამათა აქა აღმოსვლა, რომელთა სრულიად დავიწყებიესთ დიდებული ესე ადგილი და აღარავინ არს მწადე აქა მოსვლად» (ხაზი ჩემია – ა.ბ.).

ერთი შეხედვით, ეს არც უნდა გაიკვირვოს კაცმა. მე-18 საუკუნის დაქუცმაცებულ და დაქცეულ საქართველოს სადღა ეცალა ათონისათვის! საქმე შინ ვერ მოეგვარებინათ და უცხოეთში ვინღა უპატრონებდა ათონს! მაგრამ თუ დავფიქრდებით, საკითხის ასე იოლად წარმოდგენა არ შეიძლება.

ცოდნა დაიკარგა-მეთქი, ვთქვი. მაგრამ დასაზუსტებელია, რა ცოდნა. იციან ათონის საერთო რელიგიური მნიშვნელობა. იცნობენ მთაწმინდელ მოღვაწეებს. იციან ისიც, რომ მთაწმინდაზე ქართველთა მონასტერი იყო. არ იციან მხოლოდ ამ მონასტრის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ეროვნული თვიმყოფობისათვის. ე.ი. არ უწყიან უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი.

ეს განცხადება რომ უსაბუთო ბრალდებად არ ჩამეთვალოს, მოწმეებს მოვუხმობ.

1713-1716 წლებში სულხან-საბა ორბელიანმა ევროპაში იმოგზაურა.

**[ტექსტის მომდევნო ნაწილი, მანქანაზე გადაბეჭდილი 22 გვერდი, დაკარგულია. – რედ.]**

დააკვირდით სიტყვას «მემკვიდრეობით». რუსეთს «მემკვიდრეობით» მარტო კონსტანტინეპოლი კი არ ეკუთვნოდა, არამედ საქართველოც. ამ მემკვიდრეობის თვალით უყურებდა ამიერკავკასიას რუსეთი და ამიტომაც დაჟინებით მიიღტვოდა იგი საქართველოსა და სომხეთისაკენ. ამიტომაც ჩნდება რუსეთის მეფეთა ტიტულატურაში Царь иверский საქართველოს შეერთებამდე. მაგალითად, ივანე მეოთხე, არსებითად მოსკოვის სამთავროს მფლობელი, იბერიელთა ხელმწიფედაც იხსენიებს თავისთავს.

ამდენად საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ჰარმონია იყო. საქართველო ისწრაფოდა ძველი პატრონის მემკვიდრესთან დასაბრუნებლად, ხოლო მემკვიდრე _ წინაპრის ნაქონების მისაღებად. ამ დროს დიდი მთაწმინდელების ანტიბიზანტინიზმი გულისხმობდა ანტირუსიზმს. ისინი რუსეთის მოტრფიალე პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მოკავშირეებად ვერ გამოდგებოდნენ. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ

მე-18 საუკუნის საქართველო დუმილით შეხვედროდა ათონის ქართული სკოლის იდეალებს და არ გაეხსენებინა იგი. მართალია, XVIII საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრება ერთგვარად გამოცოცხლდა, მაგრამ საერთო ეროვნული თვითშეგნება ვერ ამაღლდა იმ დონემდე, რაც XI საუკუნეში იყო. მაგრამ, როგორც კი ერთიანი ეროვნული თვითშეგნება კვლავ იღვიძებს XIX საუკუნეში თერგდალეულთა თაოსნობით, ათონისადმი ინტერესიც მაშინვე იღვიძებს და იწყება კიდეც ბრძოლა მთაწმინდის ისევ ქართულ წიაღში დასაბრუნებლად.

II

მე-19 საკუნის პირველ ნახევარში «ივირონში» სამად სამი ქართველი ბერი დარჩენილა. მთელმა ნახევარმა საუკუნემ ისე გაიარა, რომ დედა-საქართველოდან იბერთა მონასტერი არავის მოუკითხავს და არც იმ სამ ბერს გახსენებია მამულ-დედული. ასე იყო გაწყვეტილი კავშირი საქართველოსა და ათონის მთას შორის, ვიდრე 1858 წელს «ივირონს» ვახტანგ ბარკალაია არ ეწვია.

უცნაურმა შემთხვევამ აიძულა ვახტანგ ბარკალაია წმიდა ადგილები მოეარა. იგი ქართულ მილიციაში მსახურობდა და რუსის ჯარის მხარდამხარ ებრძოდა კავკასიის თავისუფლების დიდ ქომაგს შამილს. ერთხელ ვახტანგ ბარკალაია, ორ ამხანაგთან _ ზურაბ კარტოზიასა და დიმიტრი გაბუნიასთან _ ერთად, დაღესტნელთა ალყაში მოხვედრილა. ზურაბ კარტოზია მძიმედ ყოფილა დაჭრილი. დაღამებას გადაურჩენია ბარკალაია და გაბუნია. მაშინ დაღლილ-დაქანცულმა და შეშინებულმა ბარკალაიამ ღმერთს შესთხოვა თურმე: ოღონდ ამაღამ აქედან ცოცხალი გამიყვანე და წმიდა ადგილებში, უფლის საფლავს თაყვანს ვცემ, ეკლესიისა და ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ შეწირულებას გავიღებო. ღმერთმა უსმინა თუ კაცმა, ვახტანგ ბარკალაია გადარჩა. დილით გამოირკვა, რომ დაღესტნელები წასულიყვნენ. 35 ვერსი ხელით ატარეს ვ.ბარკალაიამ და დ.გაბუნიამ დაჭრილი ამხანაგი და დიდი ვაი-ვაგლახით რუსულ სამხედრო ბანაკამდე მიაღწიეს. კარტოზიას ვერაფერმა უშველა. იგი გარდაიცვალა. მაშინ აღთქმის თანახმად ვახტანგ ბარკალაიამ დატოვა სამხედრო სამსახური და წმიდა ადგილების მოლოცვას შეუდგა. მოინახულა კონსტანტინეპოლი, სმირნა, იერუსალიმი. უკანმობრუნებულმა ათონის მთაზე შეიარა. «ივირონის» მდგომარეობამ შეაძრწუნა ვ.ბარკალაია. დაბრუნდა თუ არა ქუთაისში ვ.ბარკალაია გაბრიელ ეპისკოპოსს წარუდგა და ნანახი და განცდილი უამბო. ფრიად შეწუხებულა «ივირონის» მდგომარეობით გაბრიელ ეპისკოპოსი. ისიც უთქვამს, რა მძიმე და დიდი შრომა დასჭირდებოდა «ივირონის» დაბრუნებას და მოვლა-პატრონობას. ამ უმძიმესი ჯვრის ტარება მხოლოდ ღრმად მორწმუნე ადამიანს შეუძლიაო, დასძინა თურმე იმერეთის ეპისკოპოსმა. ლოცვაში გაუტარებია რამდენიმე დღე ვახტანგ ბარკალაიას. მერე გაბრიელ ეპისკოპოსთან მისულა და ბერად აღკვეცა უთხოვნია.

აზნაური ვახტანგ ბარკალაია ბენედიქტეს სახელით ბერად შედგა.

ბენედიქტემ სიგელი მიიღო. სიგელში ეწერა: გადავწყვიტეთ განვაახლოთ ათონზე წმ. იოანე ღვთისმეტყველის კინოვია ანუ უდაბნო, ახლოს იბერიელთა ლავრისა. ჩვენი მიზანია, ბერული ცხოვრების მსურველმა ყველა ქართველმა ჰპოვოს თავშესაფარი,

სტუმართმოყვარეობა, დახმარება. ამ გადაწყვეტილების ასრულება დავავალეთ ბერ ბენედიქტს. დამხმარედ მივეცით მორჩილი ივანე ხოშტარია. ჩვენი ეპარქიების ქალაქად და სოფლად ამათ ნებაყოფლობით შეაგროვონ შეწირულებანი, აღადგინონ და გაავრცონ წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკი, შეიძინონ მამულები უდაბნოსათვის მიიღონ და დაამშვიდონ ყველა ჩვენი თანამემამულე ათონზე.

სიგელს ხელს აწერდნენ გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა, ტარასი ეპისკოპოსი სამეგრელოსი, გაბრიელ, ეპისკოპოსი გურიისა.

როგორც კი ბენედიქტეს შეწირულებათა შეგროვების უფლება მიუღია მაშინვე შესდგომია საქმეს. 35 ათასი მანეთი შეუგროვებია და 12 ქართველი ბერის თანხლებით 1868 წელს ათონზე ჩასულა.

უკანასკნელი ქართველი ბერი, ისიც ბენედიქტე, 1861 წელს გარდაცვლილა. ამით გამქრალა ქართველთა სახსენებელი «ივირონში». რაკი ქართველები აღარსად ჩანდნენ «ივირონის» სინაქსს გადაწყვეტილება მიუღია, ამიერიდან «ივირონში» ქართველი აღარ მიეღოთ და, საერთოდ, ქართვლებს უკვე აღარავითარი უფლება მონასტერზე აღარ აქვთო. აქა-იქ დარჩენილი თითო-ოროლა ქართველი ბერი სამოწყალოდ აფარებდა თავს თურმე სხვა ბერძნულ თუ არაბერძნულ მონასტრებს. ასეთი მდგომარეობა ყოფილა, როცა ბენედიქტე ბარკალაია იბერთა მონასტრის კარებს მიადგა და მონასტერში მიღება ითხოვა. ჯერ მტკიცე უარი უთქვამთ ბერძნებს. მერე ბენედიქტეს უეშმაკია და 100 თურქულ ლირად მოუსყიდია არქიმანდრიტი იღარიონი. ბერძენი ბერების გული ფულს მოულბია და დათანხმებულან, წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკი გაეყიდათ. 3000 მანეთად უყიდია იგი ბენედიქტეს. ეს 1868 წლის 30 დეკემბერს მომხდარა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაცემულ «ომოლოგონში» აღნიშნულია:

1. მიუხედავად გაყიდვისა, როგორც იბერთა მონასტრის საკუთრების განუყოფელი ნაწილი, წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკი მაინც «ივირონის» მფლობელობაში რჩებოდა.

2. როგორც სხვა კელიათა მცხოვრებთ, ისე ბენედიქტეს და მის თანმხლებ პირებს უნდა გადაეხადათ ყოველწლიურად გადასახადი მონასტრის სასარგებლოდ.

3. ბეჯითად ემსახურონ მონასტერს და იცხოვრონ წყნარად, ბერული საქმიანობის შესაბამისად.

წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკი სრულიად იავარქმნილი ყოფილა. საჭირო იყო მისი ხელახლა აშენება. ათონზე მიღებული წესისამებრ ბენედიქტემ მშენებლობის დაწყებამდე მიიღო ბერძენთაგან თანხმობა _ ეყიდა აუცილებელი საამშენებლო მასალა «ივირონისაგან». ბერძნებმა მშენებლობის გეგმაც განიხილეს და დალოცეს იგი კიდეც. მაგრამ მალე ბერძნებსა და ბენედიქტეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. პატარა სენაკის მაგიერ 50 კაცისათვის განკუთვნილი შენობა წამოუჭიმავთ ქართველებს. ამის შემჩნევა და «ივირონის» ხელმძვანელთა აღშფოთება ერთი იყო. ბერძნებს იმწამსვე შეუწყვეტიათ მასალის მიწოდება. ყოველგვარ დახმარებაზე უარი უთქვამთ. ქართველები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილან. მაგრამ მხსნელად წმ.პანტელეიმონის რუსული მონასტრის წინამძღვარი იერონიმე მოევლინათ. იერონიმეს განკარგულებით, რუსებს ქართველებისათვის მასალა უნდა მიეწოდებიათ და სენაკის მშენებლობა მაინც დაემთავრებინათ. გაცოფებულმა ბერძნებმა

მაშინ უკადრის ხერხებს მიმართეს თურმე. გააფუჭეს ყველა გზა, რომელიც უდაბნოსაკენ მიდიოდა. ქართველები იძულებულნი გამხდარან შემოვლით ევლოთ. როცა არც ამან გაჭრა, მაშინ ბერძნები მოსულან ხელოსნებითურთ და აშენებული სენაკის (კინოვიის) გუმბათი დაუნგრევიათ. არ მიუციათ საშუალება შენობა, როგორც წესი, დამთავრებულიყო გუმბათითა და ჯვრით. ხოლო რუსეთიდან ჩამოტანილი ზარი წაურთმევიათ და რეკვის ნება არ მიუციათ. ამასთანავე ქართველებს წლიურად 60 მანეთი ხარკი დაადეს. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, უდაბნოს მშენებლობა მაინც დამთავრდა 1875 წელს. შენობა დამჯდარა 40 000 მანეთი. შინაგანი მორთულობა 3 000 მანეთი, ბერთა სენაკების მოწყობა 1 230 მან; გუმბათის დარღვევა და ხელმეორედ აშენება 6 000 მანეთი, კანკელი 3 000 მანეთი. ამდენად ახალმა სენაკმა (კელიამ) პატარა მონასტრის სახე მიიღო და იწოდა იბერიელთა ახალ მონასტრად (Νεο-’Ιβηρικη Μονή).

მართალია, ახალი მონასტრის მშენებლობა დამთავრებულა, მაგრამ ქართველ და ბერძენ ბერებს შორის დაწყებული კონფლიქტი აღარ შენელებულა. პირიქით, უფრო და უფრო გამწვავებულა და ცხარე ბრძოლის ხასიათი მიუღია.

ქართველების თავიდან მოცილების მიზნით ბერძნებმა ათონის ტიპიკონი გამოიყენეს. ტიპიკონის თანახმად, კელია (სენაკი) სამ ბერს ეთმობა, რომელთაც შეიძლება რამდენიმე მორჩილი ჰყავდეთ. მორჩილი აუცილებლად წვეროსანი უნდა იყოს, რადგან უწვერულთა ყოფნა ათონზე ისევე აკრძალულია, როგორც ქალების დაშვება. რაკიღა წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკში 40-მდე ქართველი ბერი იყო, ცხადია, ირღვეოდა ტიპიკონით გათვალისწინებული წესი და ბერძნებმა მოითხოვეს: ორი თვის განმავლობაში ქართველები წასულიყვნენ სენაკიდან. დარჩენილიყო მხოლოდ სამი ბერი, როგორც ამას ტიპიკონი ითვალისწინებდა.

ქართველებმა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. მაშინ ბერძნებმა დაიწყეს ღობეების მოშლა, ბაღ-ბოსტნების განადგურება, ხეხილის აჭრა, გზებისა და წყაროების გაფუჭება.

ქართველი ბერების მდგომარეობას ათონზე აგვიწერს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, რომელიც იბერიელთა სავანეშირ იმყოფებოდა 1899 წლის 27 ივნისიდან 17 ივლისამდე.

როცა დეკანოზი პეტრე «ივირონის» დასათვალიერებლად მისულა, ბერძნები ავად შეხვედრიან. ჯერ იყო და საერთოდ არ უნდდათ მონასტერში შეეშვათ, მაგრამ რაკი სასულიერო პირი იყო უარი ვეღარ უკადრებიათ. შეშვებით შეუშვიათ, მაგრამ პატივი არ უციათ და ქართულად არ წააკითხეს თურმე სარწმუნოების სიმბოლო და საუფლო ლოცვა, როგორც ეს მიღებული იყო სხვა მონასტრებში. მერე ქართველი სტუმრები «ივირონის» წინამძღვართან გერასიმესთან მიუყვანიათ. გერასიმე საქართველოში ნამყოფი და ნამსახური კაცი იყო. ქართველი სამღვდელოება მოუკითხავს. პატივის გაცვლა-გამოცვლის მერე ქართველებს უთხოვნიათ, მონასტრის წიგნთსაცავი და საუნჯენი დაგვათვალიერებინეთო. წინამძღვრის განკარგულებით, ქართველი სტუმრები წიგნთსაცავში შეუყვანიათ და უჩვენებიათ კარადების თავზე დაყრილი, ჩრჩილითა და მტვრით შეჭმული წიგნები. ამ წიგნების უმეტესობა მე-18 საუკუნეში ყოფილა დასტამბული. პეტრეს უთხოვნია: დაკეტილი კარადები გამიღეთ და იქ შენახული წიგნები მაჩვენეთო. ბერძნებს მოუმიზეზებიათ, ის, ვისაც გასაღები აქვს აქ არ არის, კარეაში წავიდა, 12 ვერსის მოშორებითო. განაწყენებულ

პეტრეს უთქვამს: თქვე, კაი დედმამისშვილნო, ამ წიგნების სანახავად 6 000 ვერსი გამოვიარე და ეცით პატივი ამ სურვილს, ჩემს ასაკს და მეცნიერულ აზრსო. მაინც უარი სტკიცეს თურმე. ოღონდ იმით ანუგეშეს, 4 დღის მერე მობრძანდით და გაჩვენებთო. მეტი რა გზა იყო და ქართველებიც დამორჩილებულან. დათქმულ დროს პეტრესთან მიუგზავნიათ ერთადერთი ქართველი ბერი მაკარი, რომელიც «ივირონში» ცხოვრობს, და შემოუთვლიათ, დეკანოზი მობრძანდეს, ოღონდ წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკის ბერები არ წამოიყვანოსო. პეტრე მაინც ორი ქართველის _ ალექსი ბაქრაძის და გაბრიელ მონაზონის _ თანხლებით წასულა. მიუყვანიათ ისინი წიგნთსაცავში და უჩვენებიათ წიგნები, რომელთაც არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ჰქონიათ. წიგნების ნუსხა მაჩვენეთო, უთხოვნია პეტრეს. ასეთ ნუსხა შედგენილი არ გვაქვსო _ უპასუხებიათ ბერძნებს. ერთი ქართული სახარება უჩვენებიათ, რომელშიც სურათებიანი გვერდები ამოჭრილი ყოფილა. ეს რუსმა მეცნიერმა, ეპისკოპოსმა პორფირე უსპენსკიმ ამოჭრა და წაიღოო, განუმარტავთ ბერძნებს. პეტრე არ შეპუებია ბერძნების უარს და მოუთხოვია, ექვთიმეს თარგმნილი «დაბადება» მიჩვენეთო. არაფერი ამის მსგავსი აქ არ არისო, მიუგიათ მასპინძლებს. ნუთუ ამისთანა დიდებულ მონასტერს სახარება, დაბადება და განძი არ აქვსო?! _ გაჰკვირვებია პეტრეს. ამაზე მშვიდად უპასუხნიათ, ერთხელ დაიწვა ქართული წიგნთსაცავი. მეორედ, ექვსი ჯორის საპალნე ძველი ქართული წიგნი მოიპარეს და რაც გადარჩა ეს არისო.

ასე დაღუპულა უპატრონობით ქართული საგანძური, მაგრამ, რაც გადარჩა, იმის გადაწერასაც არ ანებებენ ბერძნები ქართველებსო, ჩივის დეკაოზი პეტრე კონჭოშვილი.

ამასობაში შუადღე მოახლოვებულა და ბერძნებს ქართველი სტუმრები გამოურეკიათ. ახლა ჩვენი სადილობის დროა, კეთილი ინებეთ და მიბრძანდითო. გაბრაზებული მივუბრუნდიო, წერს პეტრე, ალექსი მღვდელს და გაბრიელ მონაზონს და ვუთხარიო: ძმანო, ჯიბეები გადმოაბრუნეთ და უჩვენეთ ამ მათხოვრებს, რომ არაფერი მოგვიპარავსო. ასეც მოქცეულან, ამას დასწრებია პროიღუმენი დანიელი, საქართველოში ნამყოფი ბერძენი და ქართულის მცოდნე. იმანაც კი, ვისაც ქართული პურმარილი უგემნია არ მიგვიწვია, რომ სიცხით დამაშვრალი ყელი ერთი ჭიქა ღვინით ჩაგვესველებიაო, ამთავრებს ამბავს პეტრე კონჭოშვილი.

ცოტა მოგვიანებით, იმავე პეტრე კონჭოშვილს ათონიდან ქართველი ბერები წერდნენ:

შეშის დასაწყობად კედელზე უბრალო ფარდულის მიშენება გადავწყვიტეთ. დავიწყეთ კიდეც მშენებლობა. საღამოთი, ლიტურგიის დროს 4 ბერძენი ბერი და 2 ერისკაცი მოვიდა, თოფებითა და რევოლვერით შეიარაღებულნი. მოითხოვეს, ფარდული ახლავე დაანგრიეთო. მონასტრის დროებითი წინამძღვარი იონა ლიტურგიას ასრულებდა და ბერძნების შესახვედრად ვერ გამოვიდა. ბერძნებს მამა გაბრიელი მიეგება და შინ შეიპატიჟა. ბერძნებმა უარი თქვეს. ამასობაში იონაც გათავისუფლდა, ისიც გამოვიდა და მანაც მიიპატიჟა ბერძნები. ბერძნები არამც და არამც არ დათანხმდნენ მიპატიჟებას. ფარდულის დანგრევა მოითხოვეს განმეორებით. იონას გადაუწყვეტია აეხსნა, რად სჭირდებოდათ ფარდული. არ აცალეს თურმე იონას ლაპარაკი. მაშინ გაბრაზებულ იონას უთქვამს _ იმიტომ არ ვაშენებთ, რომ დავანგრიოთო. გაწიწმატებულან ბერძენნი. პროიღუმენ პორფირეს უბრძანებია: აბა, ბიჭებო, დალეწეთო! ბერები მისცვივდნენ თურმე ფარდულს დასანგრევად. იონა და გიორგი წინ

გადასდგომიან გაავებულ ბერძნებს. იარაღის ხმარება მოუწადინიათ მომხდურთ, მაგრამ პორფირეს ჭკუა უხმარია და გაცოფებული თანამოძმენი დაუშოშმინებია. უკან გაბრუნებულან ბერძნები მუქარით: მერე მოვალთ და ყველაფერს დავანგრევთო. ქართველ ბერებს თხოვნით მიუმართავთ რუსეთის ელჩისათვის კონსტანტინეპოლში და თესალონიკის იპატოსისათვის. ამათ სათანადო განკარგულება გაუციათ, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა. მერე დღეს ქართველ ბერებთან მოსულან ათონის პროტატის ანტიპროსოპნი და განუცხადებიათ: თუ თავად არ დაანგრევთ ფარდულს, მაშინ ჩვენ დავანგრევთო, რაკი «ივირონს» არ სურს აქ ფარდულის აშენებაო. უღონო ქართველი ბერები იძულებით დამორჩილებულან და ფარდული დაუნგრევიათ.

ამ ორ ეპიზოდში მკაფიოდ ჩანს შეუნელებელი მტრული დამოკიდებულება ბერძნებისა ქართველებისადმი. ამ მტრობის ნათელ ილუსტრაციად გამოდგება თელაველი მოქალაქის გერასიმე ნადარეიშვილის ნაამბობიც.

1882 წელს ათონზე ყოფილა გერასიმე ნადარეიშვილი. «ივირონიც» დაუთვალიერებია. «ივირონში» უნახავს მხატვრობა და წარწერანი. იატაკზეც ყოფილა წარწერის ნაშთი ...»აღმაშენებელი გიორგი ქართველი». ტაძრის სამხრეთ მხარეს კედელზე დახატული ყოფილა ვიღაც პირი, რომელსაც ჰქონია წარწერა ბერძნულად: «წმიდა მღვდელ-მონაზონი მარკოზ ქართველი». ბერძენი პროფესორის გედეონის სიტყვით, ამ მარკოზს XVI საუკუნეში უცხოვრია. გამოჩენილი მხატვარი ყოფილა. სხვა მონასტრებთან ერთად, მას მოუხატავს «ივირონიც». გერასიმე ნადარეიშვილს უნახავს აგრეთვე კარიბჭეზე დახატულნი მეფენი და ერთიც მხედრულად ჩაცმული კაცი. ერთ-ერთ ბერს უთქვამს გერასიმესათვის _ ესენი საქართველოს მეფენი არიან, ხოლო მხედრულად ჩაცმული კაცი თორნიკე ერისთავიაო. მეფეების სურათს ზევიდან წარწერაც ჰქონია: მეფენი საქართველოსანი... თითოეულ სურათსაც საკუთარი წარწერა ჰქონია, მაგრამ იმდენად დაზიანებული რომ წაკითხვა აღარ შეიძლებოდა. მხოლოდ ერთადერთი წარწერის წაკითხვა ყოფილა შესაძლებელი _ დედოფალი ნესტან-დარეჯან...

1887 წელს გერასიმე ნადარეიშვილი ისევ ჩასულა ათონზე. «ივირონსაც» სწვევია. განახლებული მხატვრობა უნახავს, მაგრმა ძველი წარწერები აღარ ყოფილა. ისინი ახლით შეუცვლიათ. «საქართველოს მეფენი, აღმაშენებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა» მაგიერ ეწერა, «ბიზანტიელნი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი». ნესტან-დარეჯნის ნაცვლად ირინე დედოფალი ყოფილა მოხსენიებული.

ქართველების მიმართ კეთილად განწყობილ ერთ ბერს უთქვამს, ივერიის მონასტრის ციხის ზევითა სართულში უძვირფასესი განძია შენახულიო: გვირგვინები და სკიპტრები ქართველთა მეფეებისა, სამი სახარება და ამ მონასტრის ამშენებლის თორნიკე ერისთავის საჭურველი _ ხმალი, ჩაფხუტი, ფარი, ჩაჩქანი და მშვილდი. მაგრამ ამ განძს არავის ქართველთაგანს არ აჩვენებენო, _ გვიამბობს პეტრე კონჭოშვილი.

«ივირონში» ქართველთა არსებობის ნიშანწყალი რომ მოესპოთ, ყოველივე ქართულს უსულგულოდ ექცეოდნენ. საცობი რაა, საცობი რომ დასჭირდებოდათ, ქართულ წიგნებს აცლიან ტყავის ყდას და ბოთლებს აცობენ. თევზების საქნიერედაც ქართული წიგნების ნაგლეჯებს იყენებენ თურმე.

ქართველებს ათონიდან ფეხი რომ ამოეკვეთათ, ცხოვრების აუტანელ პირობებს უქმნიდნენ. ბერძნებმა ქართველებს უფლება არ მისცეს, იოანე ღვთისმეტყველის სენაკის ეზოში მილით წყალი შეეყვანათ. არადა, ის მცირე ნაკადული იქ რომ ჩამოდიოდა, ზაფხულობით შრებოდა, კალაპოტს პირუტყვი აუწმინდურებდა. თვინიერ სასმელი წყლისა რჩებოდნენ ქართველები.

ზამთრობით კი შეშით სარგებლობის უფლებას არ აძლევდნენ ქართველებს. ერთხელ შეშის დამზადების ნებართვა აუღიათ ქართველებს. დაუმზადებიათ კიდეც. მოცვივნულან ბერძენი ბერები, ჯორები მოურეკიათ. ქართველების დამზადებული შეშით 12 ჯორი დაუტვირთავთ და ურცხვად წაუღიათ. დაბეჩავებულ ქართველებს შიშით ხმაც ვერ ამოუღიათ.

ეს წვრილმანი და უპრინციპო კინკლაობა აუტანელს ხდიდა ქართველი ბერების ცხოვრებას ათონზე. მოთმინების ფიალა თანდათანობით ივსებოდა. და როცა სხვა გზა აღარ დარჩა, ქართველებმა დასახმარებლად რუსეთის საელჩოს მიმართეს კონსტანტინეპოლში. საქმეში ჩაერია პეტერბურგი. დიდ ვაზირს პეტერბურგიდან ცნობებდნენ, დახმარებოდა ქართველებს. დიდმა ვაზირმა თესალონიკის ვალის საშუალებით, უბრძანა ათონის კაიამაკანს: თუ წესრიგი დაუყოვნებლივ არ აღდგება, იძულებული ვიქნები ათონზე ბატალიონი გამოვგზავნო და ფადიშაჰის ფირმანის შინაარსი გაგახსენოთო. ფირმანის თანახმად თავისუფლება ებოძა ყველა ათონელს და არა მარტო ბერძნებსო. დროებით ბრძოლა მიწყნარდა. მაგრამ ორივე მხარე უფრო მძაფრი დავისათვის ემზადებოდა.

1870-80-იან წლებში ბენედიქტემ წერილების სერია გამოაქვეყნა ქართულ პრესაში და ათონზე შექმნილი მდგომარეობა გააცნო ქართველ საზოგადოებას. ქართველობა ამ მდგომარეობამ ააღელვა და გადაწყვიტა, რაღაც ეღონა საქმის გამოსასწორებლად.

1879 წლის 3 მაისს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება ჩატარდა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ბენედიქტე და დამსწრე საზოგადოებას ათონელი ქართველი ბერების გასაჭირი უამბო. ბენედიქტე, ქართველთა ძმობის სახელით, ითხოვდა ჩარეულიყო საქმეში დიდი მთავარი და თავად-აზნაურობას კი ეშუამდგომლა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე. ამასთანავეო, ამბობდა ბენედიქტე, დაგვიბრუნონ «ივირონი» ყველა შემოსავლით, არსაც მონასტერი იღებდა. თუ ეს შეუძლებელიაო. მაშინ ათონის ქართველთა ახალი მონასტერი ნუ იქნება «ივირონზე» დამოკიდებული. იყოს ასე თავისუფალი, როგორიც «რუსსიკონიაო». გამოგვიყონ მონასტრის ძმობის შესანახად ნაწილი იმ ფულისა, რაც ათონზე იგზავნებაო.

კრებამ 71 მომხრე და 17 წინააღმდეგი ხმით მიიღო დადგენილება:

მიეცეს გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს უფლება წარმართოს ეს საქმე. კრების სახელით იშუამდგომლოს ქართველი ბერების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რათა იმ საშუალებებით, რასაც შესაძლებლად ცნობს მთავრობა, «ივირონის» შემოსავლიდან მიეცეს ახალ მონასტერს საარსებო წყარო.

რუსეთიდან მიღებულმა ცნობებმა შეაშფოთა «ივირონის» ხელმძვანელობა. 1879 წელს პატრიარქ იოაკიმე III გაეგზავნა წერილი. წერილს ხედს აწერდნენ არქიმანდრიტები ილარიონი და გერასიმე. ამ წერილში ბერძენი ბერები ითხოვდნენ, რომ განემარტათ რუსეთის ელჩისათვის კონსტანტინეპოლში, რომ ათონზე 20 მონასტერია და არცერთი არ

ატარებს გამოკვეთილ ეროვნულ ხასიათს. ყოველი მართლმადიდებელი, განურჩევლად ნაციონალობისა, ერთნაირი უფლებით სარგებლობს. ამდენად ქართველებს აქვთ უფლება «ივირონში» სხვებთან ერთად იცხოვრონ. ეს ელჩმა უნდა განუმარტოს რუსეთის მთავრობას. თორემ ცალმხრივი გადაწყვეტილებები ზიანს მიაყენებს წმიდა ცხოვრებას, რომელსაც არასოდეს აღუმართავს რასობრივი განსხვავების დროშა და გულში იხუტებს სხვადასხვა ერისა და ტომის შვილებსო.

თავად ბერძენი მკვლევარის ტახიაოსის აღიარებით ბერძენი ბერების ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება. პირიქით, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქართველების დაშვებას «ივირონში» და არც მომავალში აპირებდნენ რაიმე დათმობას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით ელჩმა ნოვიკოვმა შეისწავლა ათონზე შექმნილი მდგომარეობა და წერილობით აუწყა პასუხი საგარეო საქმეთა მინისტრს ნიკოლოზ კარლოს ძე გირსს.

ნოვიკოვის წერილი პესიმისტური იყო. იგი ფიქრობდა, რომ ჯერჯერობით ქართველთა და ბერძენთა დავიდან ქართველების სასარგებლო არა გამოვიდოდა რა. შეუძლებლად მიაჩნდა არსებული მდგომარეობის შეცვლა. საერთოდ ნოვიკოვი თვლიდა, რომ «ივირონი» ისტორიულად ქართველებს ეკუთვნოდა და ახლა კი რუსეთს უნდა გადასცემოდა, რადგან საქართველო რუსეთს იმპერიის ნაწილი იყო უკვე.

ნოვიკოვს უსაუბრია პატრიარქ იოაკიმე მესამესთან. უცდია იოაკიმე დაერწმუნებინა, რომ მონასტერი ქართველების ისტორიული საკუთრება იყო. მაგრამ ამის პასუხად პატრიარქს უთქვამს, თქვენი ცნობები მთლად სწორი არ არის და ისტორიულ სინამდვილეს უტყუარად არ ასახავენო. მართალია, მონასტერი ქართველებმა დააარსეს, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორების ხელშეწყობითო. ამდენად, ბერძნებს ქართველების თანაბარი უფლება აქვთო. მერე ისიც უთქვამს, თუ «ივირონი» ბერძენთა სიჭარბის გამო გაბერძნულდა, ასევე დაემართა წმ.პანტელეიმონის მონასტერსო. თავდაპირველად იგი ბერძნული იყო, მაგრამ რუსების სიჭარბის გამო გარუსდაო. ასე, რომ გასათვალისწინებელია მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობა და არა ისტორიაო. ამის მერე ნოვიკოვს დიპლომატიური ხრიკისათვის მიუმართავს: საქმე ისე გავაკეთოთ, საგარეო საქმეთა სამინისტროც კმაყოფილი იყოს და მსოფლიო პატრიარქიცო. ამით პატრიარქი დაინტერესებულა და უკითხავს, რა წინადადება გაქვთო. ნოვიკოვს ორი წინადადება წამოუყენებია:

1. გადაკეთებულიყო «ივირონი» კინოკიალურ მონასტრად.

2. «ივირონში» ცხოვრების გარანტია ჰქონოდა არა მარტო ქართველ ბერებს, არამედ ყოველ რუს მოქალაქეს.

პატრიარქს ეს წინადადება არ მოსწონებია და უარი უთქვამს ნოვიკოვისათვის: «ივირონის» წინამძღვართა გარეშე საკითხის გადაწყვეტა არ შემიძლიაო.

როცა ნოვიკოვს დაუნახავს მშვიდობიანი მოლაპარაკებით არა გამოდის რაო, მუქარაზე გადასულა. გაბრაზებულ პატრიარქს მიუხლია _ მართალია, ძალა თქვენს მხარეს არის, მაგრამ სიმართლე ჩვენი მოკავშირეაო. აქ კი შეშინებულა ნოვიკოვი და უკან დაუხევია. მას არ უნდოდა საქმე გაემწვავებია და რუსული ორიენტაციის პატრიარქი ნაწყენი დაეტოვებინა.

ასე რომ ნოვიკოვის ცდას შედეგი არ მოჰყოლია და მისი სკეპტიციზმი ამ საკითხში ამით არის გაპირობებული.

როგორც ჩანს ბერძნებს რუსეთში ყავდათ მომხრეები. ამას ადასტურებს ერთი წერილი, რომელიც С-Петербургские Ведомости–ში დაიბეჭდა (1885, [1]191, 15.VII), Деспот-ის ხელმოწერით. წერილის ავტორი არ უარყოფს, რომ «ივირონი» ისტორიულად ქართველებს ეკუთვნოდა, მაგრამ მერე ბერძნების ხელში გადავიდა და ახლა მთლიანად ისინი ფლობენ. ამიტომ აქვთ უფლება თავიანთ საკუთრებად ჩათვალონო. ადრე «როსსიკიც» ბერძნებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ახლა რუსები ფლობენ და ამდენად, ცხადია, რუსების საკუთრებააო. ბერძნები მის უკან დაბრუნებას არ მოითხოვენო.

როგორც ვხედავთ, აქ ზუსტად ის აზრია გამოთქმული, რაც პატრიარქმა იოაკიმე III უთხრა ნოვიკოვს.

Деспот-ის პასუხად ა.ნატროშვილი წერს:

1. არასოდეს ბერძნები მთლიანად არ ფლობდნენ «ივირონს». ისინი მხოლოდ ჭარბობდნენ ქართველებს.

2. მე-18 საუკუნის დასასრულამდე «ივირონი» იმართებოდა კინოვიალური წესით და მონასტრის იღუმენი ინიშნებოდა მხოლოდ ქართველთაგან.

3. მერე, როცა მონასტრის მმართველობა ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში, კინოვიალური წესი შეცვალეს შტატურით. მმართველობის უფლება მიეცა ორ-სამ ამორჩეულ პირს, რომელთაც ეპიტროპი უწოდეს. ამით ქართველებს მართვის უფლება წაერთვათ, მაგრამ ისინი მონასტერში იყვნენ ბერძენთა თანაბარი უფლებით და არც მათი რაოდენობა ყოფილა შეზღუდული.

4. 1834 წლამდე მონასტრის შიგნით პარაკლისის ტაძარი ღვთისმშობლის ხატით მხოლოდ ქართველთა ხელში იყო.

5. პარაკლისის ტაძარს მართავდა მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე. 1834 წელს ბენედიქტე 4 მოწაფითურთ გადავიდა წმ.ილიას სენაკში (ესეც «ივირონს» ეკუთვნოდა) და ბერძნები დაეუფლნენ პარაკლისსაც. თუმცა ამის მერეც ქართველები უფლებრივად ბერძენთა თანაბარნი იყვნენ.

6. 1861 წელს გარდაიცვალა ბენედიქტე. ამის მერე გადაწყვიტეს ბერძნებმა შეეწყვიტათ ქართველთა მიღება მთავარ მონასტერში. თუმცა წმ.ილიას კელიის (სენაკის) ბერებისათვის არც სარჩოს მიცემა შეუწყვეტიათ, არც რაიმე უფლება ჩამოურთმევიათ.

7. მხოლოდ 1866 წლიდან განხორციელდა ქართველთა სრული უგულებელყოფა და გაძევება.

ამრიგად, ნატროშვილის აზრით, ბერძენთა თვითნებობა ემყარებოდა მხოლოდ რიცხობრივ უპირატესობაზე და არავითარი იურიდიულ კანონიერებაზე.

ქართველთა და ბერძენთა დავა წამით არ წყდებოდა. ორივე მხარე რუსეთის უმაღლეს მთავრობას მიმართავდა და ითხოვდა საქმე ჭეშმარიტების სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. თუმცა სიმართლისაკენ მიმავალი გზა ხშირად პროვოკაციულ ხასიათსაც ატარებდა.

1882 წლის ივნისში არქიმანდრიტმა გერასიმემ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით. გერასიმე ამტკიცებდა:

ჯერ ერთი, «ივირონი» იწყებს არსებობას IV ს-დან. ააშენა იგი იმპერატორმა კონსტანტინემ. IX ს-მდე ატარებდა წმ.კლიმენტის სახელს. IX ს-ში აქ დასახლდა ბერად აღკვეცილი სამი ქართველი წარჩინებული, რომელთაც თავიანთი საქმიანობით ბიზანტიის იმპერატორების ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს. მათ დიდი შეწირულებანი მიიღეს იმპერატორებისაგან, რაც მონასტერს მიართვესო. ამიტომ ატარებს მონასტერი «ივირონის» სახელსო. მეორეც, მონასტერი არასოდეს ყოფილა მხოლოდ ქართველთა სამფლობელო. მით უმეტეს მეგრელებისო, რომელთაც მონასტრის სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებიათო.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ არქიმანდრიტი ურცხვად ტყუის «ივირონის» დაარსებასთან დაკავშირებით, ეწევა აშკარა პროვოკაციას, როცა ქართველებსა და მეგრელებს «ასხვავებს». ეს უმეცართა მოსატყუებლად გამიზნული ხრიკი იყო. მაგრამ აქ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქართველთაგან ამ პროვოკაციას არავინ უპასუხა, მათ შორის არც ა.ნატროშვილმა, თუმცა იგი საერთოდ კი ეკამათება გერასიმეს.

გერასიმე ამ ორი პუნქტით არ დაკმაყოფილდა და ცრუ პრეტენზიები გააგრძელა.

თუნდაც დავუშვათ, ამბობს გერასიმე, რომ მონასტერი მართლაც ქართველებმა ააშენეს, მაინც არ ეკუთვნის იგი ქართველებს. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის მერე ქართველები აღარ მოსულან «ივირონში». ასე რომ 5 საუკუნეა მონასტერი მთლიანად ბერძნების კუთვნილებაა, როგორც სულიერი, ისე მეურნეობრივი თვალსაზრისით. მეორეც ამ ხნის განმავლობაში მონასტერი იმდენჯერ დაარბიეს, გაძარცვეს და გადაწვეს, რომ ყველაფერი არსებითად თავიდან აშენდაო. მაგალითად 1864 წელს მონასტერი მთლიანად გაანადგურა ხანძარმა. იგი ისევ აღორძინდა ყველა მართლმადიდებლის შრომითა და ზრუნვით. ახლა ყველამ «ივირონის» მითვისების პრეტენზია რომ განაცხადოს, სად წავა საქმეო, უკვირს გერასიმეს. ხოლო ბენედიქტეს რაც შეეხება, მონასტერს ძმობაში მის მიღებაზე უარი არ უთქვამს. მისცა სენაკი და იგი ერთერთ უმდიდრესად ითვლება. სენაკის ბინადარნი უზრუნველყოფილნი არიანო, ამტკიცებს ბერძენი არქიმანდრიტი.

არც ასე ვარდისფრად გამოიყურება საქმე, როგორაც გერასიმეს სურს წარმოგვიდგინოს. ამას თანდათანობით დავინახავთ.

1882 წლის 17 თებერვალს «ივირონის» ხელმძღვანელებმა დოკუმენტი შეადგინეს. ამ დოკუმენტში ისინი პირობას დებენ ერთად იბრძოლონ რუსული და ქართული ძალადობის წინააღმდეგ. გარდა ამისა იქ აღნიშნულია, რომ 1. სენაკში მცხოვრები რუსები და ქართველები თვითნებობენ. არ ცნობენ «ივირონის» ხელმძღვანელ როლს. 2. «ივირონის» დანარჩენ ბერებს უხსნიან რუსეთის დიპლომატიის ჩარევის არსს: სურთ ძალით ჩაიგდონ ბატონობა ხელში. 3. კისრულობენ ყველა პასუხისმგებლობას (ყოველი ხელმძღვანელი) და იბრძვიან საკუთარი უფლების შესანარჩუნებლად.

იმავე 1882 წლის 20 მარტს ბენედიქტემ თხოვნით მიმართა კავკასიის ხელისუფლებას დახმარებოდნენ ქართველ ბერებს. ეს განცხადება გადაეცა რუსეთის გენერალურ კონსულს თესალონიკში. კონსული ეწვია «ივირონს» და მოითხოვა ქართველებისათვის შეენარჩუნებინათ status quo. ე.ი. «ივირონს» ეცნო ის ორმოცი ბერი, რომელიც ამ დროს წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკში იყო. გარდა ამისა, იოანე ღვთისმეტყველის სენაკი გადაკეთებულიყო სკიტად. კონსულის ამ მოთხოვნას «ივირონმა» უარით უპასუხა. ბერძნები

ამბობდნენ, თუ სენაკი გადაკეთდება სკიტად, მაშინ ეს ქართველთა status quo-ს აღიარებას ნიშნავსო. ეს კი წმიდა მთის კანონების დარღვევა იქნება და იმ ხელშეკრულების უარყოფა, რომლის თანახმად ქართველებს სენაკი გადაეცათო (ხელშეკრულების თანახმად სამ ქართველ ბერს ჰქონდა სენაკში ცხოვრების უფლება. ამ კამათის დროს კი უკვე 40 ბერი იყო იქ). როცა კონსული დარწმუნდა, რომ ბერძენ ბერებს ვერასგზით ვერ დაითანხმებდა, დაემუქრა მონასტრის რუსეთში არსებული ქონების ექსპროპრიაციით. ვერც ამ მუქარამ გაჭრა.

1882 წლის ივლისში ბენედიქტე ათონზე დაბრუნდა. 30 ივლისს დაწერა განცხადება და მონასტერს მოთხოვა ზემოთ მოხსენიებული ორი სადავო პუნქტის შესრულება. ორი ბერის ხელით ეს განცხადება «ივირონს» გაუგზავნა ბენედიქტემ. როგორც კი განცხადება წაიკითხეს, ბერძნებმა იგი უკან გაატანეს მომტანთ ბენედიქტესთან. მაშინ ბენედიქტემ ეს განცხადება დამატებითი დოკუმენტებით წმიდა ჩემს (священная община) გაუგზავნა და სთხოვა აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე. მონასტერი ამან გააბრაზა და პროტატს მოთხოვა, აეხსნათ ბენედიქტესათვის, რომ მისი მოთხოვნები უსაფუძვლო და უტიფარი იყო. ბენედიქტე პროტატმა გამოიძახა, მაგრამ იგი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა და განცხადების განხილვის გადადება ითხოვა. მერე უცნობი მიზეზების გამო ბენედიქტე ათონიდან წავიდა და საკითხი ღიად დარჩა.

1883 წლის ივნისში ბენედიქტე საქართველოდან ისევ ათნზე დაბრუნდა. თან კიდევ 15 ქართველი ბერი ჩაიყვანა. ამან «ივირონის» ხელმძღვანელობა პირდაპირ გააცოფა. მაშინვე პროტატს მიმართავს და კატეგორიულად მოითხოვს: პროტატში გამოეძახათ ბენედიქტე, ქართველი ბერები გაერეკათ და მათი რიცხვი დაეყვანათ სამზე, როგორც ეს ხელშეკრულებაში იყო გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში აიძულეთ იგი გაყიდოს კელია და აქაურობას გაეცალოსო. თორემ მოთმინების ძაფი გაწყდაო.

პროტატმა საქმის მოგვარება გადაწყვიტა, მაგრამ ბენედიქტე მიიმალა. სენაკში მივიდნენ, არც იქ დახვდა. მაშინ დანარჩენებს უბრძანეს, აქაურობას გაეცალეო. ბენედიქტემ პროტატის ეს ბრძანება კონსტანტინეპოლში რუსეთის ელჩს აცნობა და სთხოვა ხელი შეეშალა ქართველთა უკანონო ჩაგვრისათვის. ბენედიქტე თავად რუსეთში დაბრუნდა. პატრიარქმა იოაკიმე III გაიგო ბენედიქტეს თხოვნა და მონასტერს ტელეფონით აცნობა: თუ მართალია ის, რომ სამი ქართველი ბერის გარდა სხვებს სენაკის დატოვება უბრძანეთ სამ დღეში, იცოდეთ, ეკლესია არ ამართლებს ცალმხრივ დამოკიდებულებას. ამას შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს. დაწვრილებით შემატყობინეთ, რაშია საქმე. «ივირონმა» უპასუხა: ბერების გაძევება მოვითხოვეთ, ოღონდ სამი დღე კი არ მიგვიცია, არამედ იმდენი რამდენიც დასჭირდებათო.

მონასტერი შეუდგებოდა თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას რომ არ მიეღოთ ათონზე თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლის ჰასან-ბეის განკარგულება. თესალონიკის გუბერნატრის ბრძანებით, იკრძალებოდა ქართველთა გაძევება და მათი შეწუხება ახალ ბრძანებამდე.

ქართველთა და ბერძენთა ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ საქმეში ჩაერია ინგლისი. ჟურნალისტ ი.კორის დახმარებით, ბერძენმა ბერებმა ინახულეს ინგლისის კონსული

ბლანტი. ბერძენმა ბერებმა გადასცეს განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ უთანხმოების მიზეზი არა მხოლოდ წმ.მთის კანონების დარღვევაა ბენედიქტეს მხრიდან, არამედ ათონზე ბენედიქტეს მიერ საეჭვო პირთა მოყვანა, რომელთა შორის რუსეთის იმპერიის აგენტებიც არიანო.

როგორც ჩანს, ასეთი ტყუილებით ბერძენ ბერებს თურქეთის დაშინება უნდოდათ. ალბათ ამავე მიზნით დაიბეჭდა გაზეთ «ტარიკში» წერილი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ «რუსიკის» ბერები გადაცმული სალდათებია, ხოლო არქიმანდრიტები _ ოფიცრებიო. ამ წერილის გამო მთელი კომისია შეიქმნა, რომელმაც დაადგინა, რომ «ტარიკის» წერილი მტკნარი სიცრუე იყო. «ტარიკმა» თავად აუწყა მკითხველებს თავისი შეცდომა და ისიც თქვა, ვინ იყო წერილის ავტრი და ვისი თხოვნით დაიბეჭდა იგი. წერილი არქიმანდრიტ დანიელს დაეწერა და დაბეჭდილა არქიმანდრიტ ხრისანფის არაერთგზისი თხოვნით. სულთანმა კი, სახრჩობელის მაგიერ, «რუსიკის» არქიმანდრიტ მაკარის გამოუგზავნა ოსმანის მეორე ხარისხის ორდენი.

პროვოკაციები დაძაბულობას კიდევ უფრო ამწვავებდა. «ივირონი» კიდევ ერთხელ დააფრთხო ცნობამ, რომ რუსეთის იმპერატორმა ქართველთა კელიას შესწირა 15 000 მანეთი იმ ვალისა გადასახდელად, რომელიც სენაკის აშენების დროს დაგროვდა. ეს ცნობა 1883 წლის 21 სექტემბერს მოვიდა. იგი იმას ნიშნავდა, რომ ქართველები ათონიდან წასვლას არ აპირებდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ ქართველებმა მონასტრის ტყეში შეშის დამზადება ითხოვეს სენაკის გასათბობად. «ივირონმა» უარით უპასუხა: შეშა შეგიძლიათ მიიღოთ ხელშეკრულებაში მოხსენიებული სამი ბერისათვის. და არა ორმოცისათვისო. ბენედიქტე კი აქტიურად ითხოვდა შეშას 40 კაცისათვის. «ივირონმა» მიმართა თხოვნით ათონის კაიამაკანს ჰასან-ბეის, ბოლოსა და ბოლოს გვაცნობეთ, როგორ გადაწყდა საბოლოოდ ჩვენი დავაო. თუმცა ბერძნებმა აღარ დაუცადეს თურქი ხელისუფალის პასუხს და განმეორებით მოითხოვეს, ქართველებმა დაუყოვნებლივ დატოვონ ათონიო.

1883 წლის პირველ დეკემბერს პროტატმა გამოიძახა ბენედიქტეს შემცვლელი ბერი იონა და უბრძანეს, ქართველმა ბერებმა დაუყოვნებლივ დატოვონ ათონიო. იონამ ორი თვის ვადა ითხოვა. უნდოდა საქართველოში ბენედიქტეს დაკავშირებოდა და საკითხი გაერკვია. პროტატმა იონას მისცა 2 თვის ვადა. იონამ შექმნილი მდგომარეობა დეპეშიც იაკობსონსა და ბენედიქტეს აცნობა. დათქმული ვადა გავიდა. იონა ისევ პროტატმა გამოიძახა და იკითხა, რატომ არ სრულდებოდა ბრძანება. იონამ კიდევ ერთი თვით ვადის გაგრძელება ითხოვა. იონა ცდილობდა დრო გაეჭიანურებინა, რომ ამასობაში იაკობსონსა და ბენედიქტეს რაღაც ეღონათ. გაჭიანურების პოლიტიკამ ერთგვარი შედეგი მართლაც გამოიღო. რუსეთის ელჩად კონსტანტინეპოლში დანიშნეს ა.ი.ნელიდოვი. ნელიდოვი ენერგიული პიროვნება ყოფილა და ქართველთა საკითხის გადაწყვეტას აქტიურად შედგომია.

ბერძნების მეტისმეტი თავხედობისაგან აღშფოთებულ ნელიდოვს რუსეთის კონსულისათვის თესალონიკში იაკობსონისთვის შეუთვლია: თუ ბერძნები ჭკუას არ მოუხმობენ, შესაძლებელია მოაკლდნენ მხარდაჭერას და მათი კეთილდღეობის ძალიან ძვირფას წყაროებსო.

1884 წლის 1 მარტს იაკობსონი ნელიდოვს აუწყებდა:

თქვენი განკარგულების თანახმად, გავემგზავრე ათონზე, მაგრამ იგი (მგზავრობა) წარუმატებლად დამთავრდაო. წმ.პანტელეიმონის მონასტრის მღვდელ-მონაზონის ილიოდორის თანხლებით ვეწვიე «ივირონს». როგორც კი გამოვუცხადე ეპიტროპებს, რომ თქვენი განკარგულებით უნდა მოვლაპარკებოდი მათ ქართული საკითხის გამო, მაშინვე საჭირდ ცნეს ჩემს მოსასმენად შეეკრიბათ საბჭო 12 ბერის შემადგენლობით. მე ვამცნე მათ ჩემი მოსვლის მიზანი, კერძოდ სურვილი ჩვენი მთავრობისა არ შეეწუხებინათ ქართველები, მცხოვრებნი წმ.იოანე ღვთისმეტყველის სენაკში. ყოფილიყვნენ ისინი ისე, როგორც ამჟამად არიან. ამის თქმა და ბერძნების აღშფოთება ერთი იყო. ისინი ამაგებდნენ ბენედიქტეს, როგორც მონასტრის მტერს, ვინც არასოდეს იცავს წმ.მთის წესებს და საოცარ, ბერისათვის შეუფერებელ უპატივცემულობას იჩენს მონასტრის მიმართ.

ამაზე მე ვუპასუხე, მთელი ძმობა ვერ იქნება-მეთქი პასუხისმგებელი ბენედიქტეს საქციელის გამო. მაგრამ მაინც კატეგორიული უარი მითხრეს და მტკიცედ მოითხოვენ მხოლოდ სამი ბერი დარჩეს, როგორც ეს ომოლოგონშია გათვალისწინებული. თითოეულ ბერს შეიძლება ახლდეს 2-4 მორჩილი.

როცა მათი სიჯიუტე დავინახე, გამოვუცხადე, რომ თქვენი უარით არღვევთ საუკუნეებით გამტკიცებულ კავშირს. ბენედიქტეს სამაგიეროს გადახდის სურვილის გამო კარგავთ რუსეთში მამულებს და წარმომადგენლობას მოსკოვში.

ჩვენი მთავრობა, დავუმატე მე, ყოველთვის უმფარველებს ქართველებს, როგორც თანამემამულეებს და დაუსჯელად არ დატოვებს ქართველი ბერების შეუბრალებელ გაძევებას.

ივირონელმა ეპიტროპებმა მიპასუხეს: ისინი უფრო იქნებიან თანახმანი დაკარგონ ყველაფერი, რაც აქვთ რუსეთში, ვიდრე დაარღვიონ წმ.მთის წესები. შემდეგ იმათგან უფრო ფიცხი ორი ბერი წამოდგა და გამომიცხადა: მეტის არც თქმა სურთ და არც მოსმენა. გამომეთხოვენ და წავიდნენ. მეც, როგორც კი დავინახე რომ ამით ყოველგვარი მოლაპარაკება დამთავრდა, წამოვედი ივერთა მონასტრიდან.

ივირონელი ბერების უდრეკი სიჯიუტე ჩემი აზრით გაპირობებულია შემდეგით: მათ არ სჯერათ ჩემი. ზოგიერთმა მათგანმა მითხრა კიდეც: არ გვგონია რუსეთის მთავრობამ მონასტერს ქონება წაართვასო რუსეთში. მე ისიც კი ვიფიქრე, რომ ბერძნები ეჭვობენ, ქართველებისაგან ქრთამი ამიღია და ამიტომ ვცდილობ საქმის მათ სასარგებლოდ მოგვარებას. იმათ ჰგონიათ, მონასტერში ჩემი ნებით მივედი და არა თქვენი დავალებით. ამიტომ ჩემი მუქარა არასერიოზულად მიაჩნიათ.

თქვენო აღმატებულებავ, თქვენ თვითონ გამოთქვით აზრი ბეჯითად გეშუამდგომლათ, რომ ივირონს წაართვან კავკასიაში მამულები და უძრავი ქონება მოსკოვში. ეს თქვენი განზრახვა უნდა აღასრულოთ. ამით გამართლდება ჩემი ნათქვამი და ბერძნები დაიჯერებენ, რომ მე თქვენი მითითების თანახმად ვმოქმედებდი.

ასეთი ენერგიული მოქმედება ივირონის ეპიტროპებს დააფიქრებს და ჩვენთვის საინტერესო საქმე ჩვენს სასარგებლოდ წარიმართება. თუ ქართველების Status quo შევინარჩუნეთ თურქი ხელისუფლების საშუალებით და მეტი ვერაფერი მოვახერხეთ, ჩვენი ავტორიტეტი, განსაკუთრებით საკონსულოსი, ძალიან შეიბღალება.

სანამ კონსულსა და ელჩს შორის მიმოწერა მიმდინარეობდა, «ივირონმა» გადაწყვეტილება გამოიტანა ბენედიქტე მთაწმინდიდან გაეძევებინათ. ამ მიზნით «ივირონმა» ბენედიქტეს თურქეთის იუსტიციის სამინისტროში უჩივლა. თესალონიკის გუბერნატორმა ეს საკითხი 1884 წლის მაისში განიხილა. 14 მაისს მთაწმინდის კაიამაკანმა ბენედიქტე გამოიძახა ბრალდების გასაბათილებლად. თუ ბენედიქტე არ წარდგებოდა, მაშინ იონა უნდა გამოცხადებულიყო. შექმნილი მდგომარეობა იონამ იაკობსონს შეატყობინა. იაკობსონმა _ ნელიდოვს. 27 ივნისს ნელიდოვი ათონზე ჩავიდა. «რუსიკონში» სიტყვა წარმოსთქვა. განაცხადა, ქართველები შვილებივით მიყვარს და მათ არავის დავაჩაგვრინებთო. თან დაუმატა «ივირონის» შემოსავალი ბესარაბიიდან დაკავებულია. ამ შემოსავალს მანამდე არ მიიღებენ, სანამ საელჩოს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენო.

ნელიდოვის ათონზე ყოფნამ ქართველები გაამხნევა. ქართველებმა მიმართეს თხოვნით რუსეთის მთავრობას შეწყვეტილიყო მათი დევნა. ეს თხოვნა მიუვიდა რუსეთის საელჩოსაც. საელჩომ იგი ნელიდოვს გაუგზავნა, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. ნელიდოვი შეხვდა ალექსანდრე III და აუხსნა შექმნილი მდგომარეობა. იმპერატორმა ბრძანა: გაუგზავნეთ თურქეთის მთავრობას ნოტა და მოითხოვეს, ხელი არ ახლონ 42 ქართველ ბერსო.

პეტერბურგიდან მობრუნებულმა ნელიდოვმა 1884 წლის 7 აგვისტოს ქართველ ბერებს აცნობა: თქვენი სასამართლოს წინაშე წარდგომის საშიშროება გაქრაო.

1887 წლის მაისში რუსეთის კონსული თესალონიკში ი.ს.იასტრებოვი ათონზე ჩავიდა და ესაუბრა «ივირონის» წინამძღვრებს. საუბრის დროს მონასტერი დათანხმდა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე. ამით დაიმედებულმა იასტრებოვმა წერილობით აუწყა «ივირონს»: თუ მონასტერი ქართველთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რუსეთიდან შემოსავალს სრულად მიიღებსო. ეს პეტერბურგშიც შეატყობინა და იქიდან საკუთარ განკარგულებაში მიიღო 20 000 მანეთი (ეს დაკავებული თანხა იყო). თანხის მიღებისთანავე იასტრებოვმა მონასტერს შეუთვალა: მე ჩემი პირობა შევასრულე, შემოსავლის გამოგზავნა დავაჩქარებინე და ახლა ჯერი თქვენზეაო. მონასტერმა უპასუხა: ახლა ქართველთა საკითხს ვერ გადავწყვეტთ, რადგან ბენედიქტე აქ არ არის, რუსეთშიაო. ამასთანავე მონასტერი იტყობინებოდა, მართალია, კელიის სკიტად გადაკეთებაზე უარს ვამბობთ, მაგრამ თანახმანი ვართ, კარიის ახლოს კომენუსში ახალი სკიტი დააარსონო.

1888 წლის მარტში ბენედიქტე დაბრუნდა ათონზე. იგი იასტრებოვმა გამოიძახა და «ივირონის» წერილი გააცნო. მერე ბენედიქტეს ხელით ახალი წერილი გაუგზავნა ივირონს. ატყობინებდა, ახლა ყველაზე ხელსაყრელი პირობებია ქართველთა საკითხის გადასაწყვეტად. თქვენს წინაშე მორჩილად წარმოდგება ბენედიქტე. იგი გაგაცნობთ ქართველთა მოთხოვნებს და საქმე ძმურად გადაწყვიტეთო.

ქართველთა მოთხოვნა ასეთი იყო:

1. ნება მოგვეცით ჩავატაროთ წეს-მსახურება პორტაიტისის სამლოცველოში.

2. უნდა იცნოთ წმ.იოანე ღვთისმეტყველის კელია სკიტად.

ხოლო კომენუსში ახალი სკიტის აშენება ქართველებს შეუძლებლად მიაჩნდათ.

თუ თქვენ მართლა გინდათ საქმის სამართლიანად მოგვარება, გააკეთეთ ეს და ჩემი სახით შეიძენთ მეგობარსა და კეთილისმსურველებსო, იწერებოდა იასტრებოვი.

«ივირონის» ხელმძღვანელობამ იფიქრა და დაასკვნა: თუ ისინი დააკმაყოფილებდნენ იასტრებოვის მოთხოვნილებას, მაშინ უნდა წასულიყვნენ «ივირონიდან» და იგი ქართველებს უნდა დაეკავებინათ. ცხადია, იასტრებოვის წინადადებაზე უარი თქვეს.

ეს იყო და ეს. ამ უარის შემდეგ იასტრებოვი მონასტრის ბედით აღარ დაინტერესებულა.

ნელიდოვი მაინც ცდილობდა ქართველთა და ბერძენთა შერიგებას. იგი მისაღებად თვლიდა ქართველთა სკიტის აშენებას კომენუსში და ურჩევდა კიდეც ბენედიქტეს მიეღო ეს წინადადება. ბენედიქტე მაინც უარზე იყო. მაშინ ნელიდოვმა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა, სამინისტრომ _ რუსეთის სინოდს, სინოდმა _ საქართველოს ეგზარქოსს. სინოდი ურჩევდა ეგზარქოსს ჩარეულიყო ამ საქმეში რომ ქართველებს მიეღოთ ბერძნების წინადადება. საქათრველოს სინოდმა იკისრა საქმეში ჩარევა. ათონზე რუსიკონის არქიმანდრიტს ანდრეის დაავალა დაკავშირებოდა ქართველებს და დაერწმუნებინა ისინი, დათანხმებულიყვნენ კამენუსში სკიტის აშენებას. ანდრეიმ იკისრა ეს მისია. მაგრამ მასალათა სიმცირის გამო არ ვიცით რით დამთარდა საქმე. თუმცა უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური შედეგი არ მოჰყოლია. რაკი ასეთი მშენებლობა არც დაწყებულა.

პატრიარქ იოაკიმე III ინიციატივით, «ივირონში» შეიქმნა აზრი ქართველთა საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისა. იოაკიმე მესამე კარგად ხედავდა, რომ «ივირონის» მუდმივი უარი გააბრაზებდა რუსეთს და მოსალოდნელი იყო ეკონომიური შეზღუდვების დაწესება. არადა «ივირონი» ეკონომიურად დიდად იყო რუსეთზე დამოკიდებული.

1898 წელს არქიმანდრიტ გერასიმეს დაუმთავრდა ვადა მოსკოვის წმ.ნიკოლოზის მეტოქის წინამძღოლობისა. იგი უნდა შეეცვალა გაბრიელს. გაბრიელი კონსტანტინეპოლში უნდა ჩასულიყო და რუსეთის საელჩოში რუსეთს გამგზავრების ნებართვა აეღო. იგი შეხვდა ელჩ ზინოვიევს. ზინოვიევი ადრე საგარეო სამინისტროში აზიის საქმეების მმართველი იყო და ქართულ საკითხს კარგად იცნობდა. ელჩმა გადაწყვიტა შექმნილი მდგომარეობა ქართველთა საკითხის გადასაწყვეტად გამოეყენებინა. ზინოვიევმა მოითხოვა გაბრიელს წერილობით დაედასტურებინა ის, რაც იასტრებოვს სიტყვიერად შეჰპირდა «ივირონი». ამის შესახებ ქართველებმა მიხეილ ბერის წყალობით შეიტყვეს, ხოლო მიხეილს ყოველივე მოახსენა საელჩოს მდივანმა შერბაჩოვმა, რომელიც ზინოვიევისა და გაბრიელის საუბარს ესწრებოდა.

ზინოვიევის მხარდაჭერით ქართველები გათამამებულან. კეპლიაში ახალი მშენებლობა დაუწყიათ. «ივირონს» ეს შეუტყვია და საპასუხოდ იონა მიუწვევიათ. იონა არ გამოცხადებულა, მაშინ საქმის გასაცნობად ქართველთა კელიაში მისულან ბერები პორფირე, ანთიმი, თეოფანე, დანიელი. ეს მომხდარა 1899 წლის 30 აგვისტოს. ამას ქართველები გაუბრაზებია. ბერძნების გასარეკად წამოუვლიათ ხელი ქვებისა და ჯოხებისთვის და რომ ბერძნები სასწრაფოდ უკან არ გაბრუნებულიყვნენ, შესაძლებელია სისხლის ღვრა მომხდარიყო.

ასე რომ უკმაყოფილების გაძლიერების მეტი ზინოვიევის ჩარევას არ მოჰყოლია.

1902 წელს გაბრიელის მაგიერ არქიმანდრიტი სოფრონი ინიშნებოდა. ქართველებმა იფიქრეს ისევ ესარგებლათ ამ მომენტით და ზინოვიევს მიმართეს. ზინოვიევმა გირს თხოვა, მიემართა «ივირონისათვის» გაეუქმებინა მონასტერს ის შეზღუდვები, რაც ქართველებისათვის დააწესეს: 1. წყალსადენის არგაყვანის შესახებ, 2. კელიის გაზრდის აკრძალვა, 3. მონასტრის ტყეებით სარგებლობის აკრძალვა. ამ რეკომენდაციას გირსმა თავის მხრივ დაუმატა, ქართველებზე ძალდატანებამ კონსტანტინეპოლის საელჩოში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და თუ ასე გაგრძელდება ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ძალას ძალით ვუპასუხოთ. გირსის წერილმა «ივირონი» შეაშინა და გადაწყვიტეს დროებით უკან დაეხიათ, თუნდაც სოფრონის მოსკოვს გამგზავრებამდე.

«ივირონმა» იონა მიიხმო. იონას შეეგებნენ არქიმანდრიტი გაბრიელი, პროიფღუმენი დავითი და მჩხრეკალი იოაკიმე. იონამ გაიმეორა ქართველთა სამი მოთხოვნა. ბერძნებმა ითხოვეს, რაკი არქიმანდრიტი ამბროსი აქ არ იმყოფება, პასუხს გადავდებთ და რამდენიმე დღეში შეგატყობინებთო. რაც შეეხება გირსის მოთხოვნას ამას ახლავე დავაკმაყოფილებთო. ამით «ივირონს» დროის მოგება უნდოდა. ასეც ეგონათ. მაგრამ «ივირონში» ქართველთა მომხრეც აღმოჩნდა. ამ ჩვენთვის უცნობმა კაცმა იონას შეატყობინა, ბერძნები ტყუიან, დროს მოგება უნდათო. და იონას ისიც ურჩია: რუსეთის ელჩმა წერილობითი დაპირება გამოსტყუოს რუსეთში მიმავალ არქიმანდრიტსო. თუ წერილობით დაპირებას არ მისცემდა, მაშინ არ მიეცათ ვიზა სოფრონისათვის.

ერთი თვის შემდეგ აცნობა «ივირონმა» პასუხი გირსს. ბერძნები იტყობინებოდნენ: მონასტერს არასოდეს არ უთქვამს უარი წყალსადენის გაყვანაზე. პირიქით, თავად აპირებს გაიყვანოსო წყალსადენი. რაც შეეხება კელიის გაზრდას და ტყით სარგებლობას მონასტერი მზად არის ეს მოთხოვნებიც დააკმაყოფილოს, ოღონდ იმათ მიმართ, ვინც ხელშეკრულებაშია მოხსენიებულიო. ე.ი. იმეორებდნენ ძველ პასუხს: აკმაყოფილებდნენ მხოლოდ სამ კაცს. გარდა ამისა, წერილში გაკიცხული იყო ქართველთა საქციელი. ამას უწოდებდნენ გაუგონართა და ურჩთა საქციელს. გამოთქმული იყო აგრეთვე უკმაყოფილება მონასტრის ქონების დაკავების გამო. წერილი ასე მთავრდებოდა: გვიპასუხეთ ვინ არის დაჩაგრული და ვინ მჩაგვრელი? ვინ არის დაზარალებული და ვინ იქცევა უღირსად? ვინ არის მართალი? ის, ვინც იცავს მონასტრის კანონ-წესებს, ხელშეკრულების პირობებს თუ ის, ვინც არღვევს ამას? თუ ასეა, რატომ გვედავებით და უწოდებთ მონასტრის საქციელს უსამართლობას?

ამ წერილმა რუსეთის საკონსულო გააბრაზა. ეს გამოიხატა იმით, რომ საელჩომ მონასტერს დაუკავა 1902 წლის შემოსავალი. გარდა ამისა, საელჩომ დააბრკოლა მონასტრის განცხადების გაგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე და იოაკიმე III სარეკომენდაციო წერილი რუსეთის სინოდში არქიმანდრიტ სოფრონის შესახებ.

პატრიარქი მიხვდა რამ გამოიწვია ეს და 1903 წლის 28 ივლისს წერილი გაუგზავნა მონასტერს.

წერილში იგი გამოთქვამდა შიშს: მონასტრის სიჯიუტე საქმეს კიდევ უფრო გააფუჭებდა. თუ მოსკოვში მყოფი წარმომადგენელი მოკვდებოდა, მაშინ მის ადგილს რუსი დაიჭერდა და მეტოქი ადმინისტრაციულ კომისიას ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომ გთხოვთ, დაფიქრდეთ და გამოსავალი მშვიდად გამოძებნოთო.

იოაკიმეს შიში საფუძვლიანი იყო. რუსეთის საელჩომ რჩევისათვის «რუსიკონს» მიმართა. ასეთი რჩევა მიიღეს: 1. აუკრძალეთ მონასტრის წარმომადგენელს რუსეთში გამგზავრება. 2. დააკავეთ მონასტრის შემოსავალი რუსეთიდან და კავკასიიდან.

საბუთების უქონლობის გამო არ ვიცით ამ რჩევას რა შედეგი მოჰყვა.

1903 წლის 5 ნოემბერს «ივირონში» მოვიდა რუსეთის საელჩოს თანამშრომელი მურუზისი. იგი ქართველების კელიასაც ეწვია. მურუსიზმა ქართველებს უთხარ: მონასტერს მოთხოვნები წერილობით წარუდგინეთ და ასევე წერილობით მოითხოვეთ მისგან პასუხიო. ეს უნდა გაკეთებულიყო მურუზისის იქ ყოფნაში, რომ მას (მურუზისს) მოესწრო პასუხი ზინოვიევისათვის წაეღო. ქართველებმა მაშინვე გაუგზავნეს მოთხოვნა მონასტერს, მაგრამ «ივირონმა» განგებ დააგვიანა პასუხი. ამასობაში მურუზისი კონსტანტინეპოლში გაბრუნდა ისე, რომ პასუხის წაღება ვერ მოახერხა. როგორც კი ბერძნებმა მურუზისი გაიგულეს, მოუხმეს იოანეს და განცხადება უკან დაუბრუნეს, ეს დაუშვებელიაო, განუცხადეს. ხოლო საელჩოს მიმართ თქვეს, მონასტერი არ თვლის საჭიროდ საელჩოს უპასუხოსო.

ამის მერე საელჩომ მოქმედება დაიწყო თურქ ხელისუფალთა საშუალებით. თესალონიკის გუბერნატორის მოთხოვნით მთაწმინდის კაიამაკანი ახმეტ რაფი ბეის დაევალა ქართული საკითხის გარკვევა. რაფი ბეიმ ეს გააკეთა კიდეც პროტატის დაუკითხავად. ამან აღაშფოთა ივირონი და 1903 წლის 11 ნოემბერს სხდომაზე უარყო კაიამაკანის გამორკვევის შედეგები, როგორც მთაწმინდაზე თურქული კანონების არაშესაბამისი. 14 დეკემბერს კაიამაკანს აცნობეს: პროტატის დაუკითხავად ჩადენილი საქციელის პასუხისმგებლობა მთლიანად შენ დაგეკისრებაო. რუსეთის საელჩოს ცდა ზემოქმედება მოეხდინა «ივირონზე» ისევ ჩაიშალა.

პატრიარქ იოაკიმე III თხოვნით, რუსები იძულებულნი გახდნენ რუსეთში წასვლის ნება მიეცათ არქიმანდრიტ სოფრონისათვის. ეს ბენედიქტეს მაშინვე შეატყობინა რუსმა ბერმა აგათევდორემ. ბენედიქტემ მეორე დღესვე წერილით ითხოვა ზინოვიევს ჩაეშალა სოფრონის რუსეთში გამგზავრება. მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

1904 წლის 19 ივნისს სოფრონმა საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა განცხადება. იგი ითხოვდა, ბესარაბიის მეტოქებიდან მიღებული შემოსავალი მიეცით მონასტერსო. სამინისტრომ არ უპასუხა. მაშინ სოფრონმა განმეორებით ითხოვა 1909 წლის 18 მარტს. თითქმის ორი თვის შემდეგ 15 მაისს სოფრონმა პასუხი მიიღო: საგარეო საქმეთა სამინისტრო თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, რამეთუ მიზეზი, რის გამოც შემოსავლის გაცემა შეჩერებულია, ისევ ძალაში რჩებაო. 21 მაისს მემორანდუმით სოფრონმა საგარეო საქმეთა სამინისტროს აუხსნა: ქართული საკითხი და შემოსავლის დაკავება ერთმანეთს არ უკავშირდება და ისინი ცალცალკე უნდა განვიხილოთო.

ამასობაში სოფრონის შეცვლის დროც მოვიდა. სოფრონის შემცვლელმა ამბროსიმ რუსეთში გამგზავრების ნებართვა ითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ 1909 წლის 7 დეკემბრის სინოდის სამმართველოს ბრძანებულებით ამბროსის კანდიდატურა მოწონებული იყო, საელჩომ კატეგორიული უარი თქვა ვიზის გაცემაზე. მაშინ იოაკიმე III დეპეშა გაუგზავნა მთაწმინდის წარმომადგენელს მოსკოვში და მოითხოვა, სოფრონთან ერთად, პეტერბურგს წადი და იქვე გაარკვიე საკითხიო. სოფრონი და იაკობ ვოდოპედინოსსი ეწვივნენ

პეტერბურგს სინოდის სამმართველოს გამგეს ს.მ.ლუკიანოვს. პასუხი ასეთი იყო: ქართული საკითხი შედის საელჩოს კომპეტენციაში და ვიზა მთლიანად დამოკიდებულია ამ საკითხის გადაწყვეტაზეო. მაშინ ისინი მიხვდნენ, რომ ქართველებს დიდი გავლენა აქვთ პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებზე და გადაწყვიტეს საქმე არ გაემწვავებათ.

საელჩოს მხარდაჭერით წაქეზებულმა ქართველებმა 1909 წლის 19 სექტემბერს ახალი განცხადება წარუდგინეს ივირონს და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოითხოვეს. ქართველების წინადადება ასეთი იყო:

1. ჩვენი კელია, სადაც 50 ბერია, გახდეს სკიტი, რომ მშვიდად ვიყოთ ჩვენი მომავლისათვის და გვქონდეს საშუალება სრულად მივეცეთ სამონასტრო ცხოვრებას.

2. შეუერთდეს ჩვენს კელიას მეზობელი კელია წმ.გიორგის სახელობისა მას მერე, რაც გადავუხდით «ივირონს» იმ თანხას, რომელიც მან მიიღო ბერის ნეოფიტესგან წმ.გიორგის კელიის ნაკვეთში.

3. სკიტის ძმათა შორის იღუმენად აირჩევენ ერთერთს. არჩეულს მერე დაამტკიცებს «ივირონი». «ივირონი» მოვალეა, იღუმენის მითითებით, ლოცვა-კურთხევა უბოძოს სასულიერო ტახტზე დაბრძანებისას მღვდელ-დიაკვნებს და ხუცესბერებს. მათი რაოდენობა ისაზღვრება სკიტის საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 7 ხუცესბერისა და 3 მღვდელ-დიაკონისა.

4. «ივირონმა» ყოველ წელს 800 ცენტნერი შეშა უნდა მოგვცეს სათბობად.

5. «ივირონმა» სკიტისათვის გააკეთოს წყალსადენი ტყვიის მილებით. ეს წყალსადენი ახლა «ივირონის» ტერიტორიაზეა და იკვებება სამი წყაროთი. თუ საჭირო იქნება სკიტი მთელ ტერიტორიაზე ააშენებს აუზს სასმელი წყლის მოსამარაგებლად.

6. სკიტად ცნობასთან ერთად «ივირონმა» უნდა მოგვცეს უფლება ახალი ტაძრის დაარსებისა და აგრეთვე სამსართულიანი შენობის აშენებისა. «ივირონმა» ხელი არ უნდა შეუშალოს სკიტისათვის აუცილებელი შენობების აგებას. მონასტრის თანხმობით, სკიტს უნდა ჰქონდეს უფლება ძველი შენობის გარემონტებისა.

7. მთაწმინდის კანონების თანახმად სკიტს უნდა ჰქონდეს უფლება მოიმარაგოს აუცილებელი საამშენებლო მასალა (ქვა, კირი, ხე-ტყე და ა.შ.) «ივირონის» ნაკვეთებიდან და ტყიდან. სკიტს უფლება უნდა მიეცეს გალავანი შემოავლოს საკუთარ ნაკვეთსა და შენობებს.

8. ნება დაერთოს სკიტს ჰქონდეს საკუთარი აზრი.

ამ წინადადების მიღება ნიშნავდა იმას, რომ მთაწმინდაზე შეიქმნებოდა კიდევ ერთი კინოვიალური სკიტი მსგავსად წმ.ანდრიას და ილია წინასწარმეტყველის სკიტებისა, რომელთა დაარსებაც ეწინააღმდეგებოდა ათონის ადათ-წესებს.

«ივირონი» მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. არც დათმობა უნდოდათ და არც რუსების წყენინება. მონასტერში ორი მიმდინარეობა გაჩნდა: ერთნი შეურიგებელნი, რომელთაც არავითარ დათმობაზე წასვლა არ უნდოდა და მეორენი _ ზომიერნი, რომელნიც თანახმანი იყვნენ ყური ეგდოთ პატრიარქ იოაკიმე III და არქიმანდრიტ სოფრონის რჩევისათვის.

1911 წლის 28 თებერვალს მონასტრის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა ქართველთა მოთხოვნა. კერძოდ შემდეგი მოთხოვნები: 1. ხელშეკრულების გაცვლა, 2. ტაძრის კურთხევის უფლება, 3. სასულიერო წოდების მინიჭება,

4. აშენება თავლის, 5. ახალი ბერების მიღების უფლება და ა.შ. ეს არსებითად Status quo-ს ცნობა იყო, რისთვისაც ქართველები 30 წელიწადი იბრძოდნენ.

მონასტრის ეს გადაწყვეტილება პროტატმა იონას გააცნო. მაგრამ იონამ არ მიიღო იგი. საკითხი ისევ ჰაერში დაეკიდა. ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი.

არც არქიმანდრიტ ამბროსის მოსკოვში გამგზავრების საკითხი იყო გადაწყვეტილი. პატრიარქმა იოაკიმე მესამემ წერილით მიმართა მთაწმინდის მოსკოველ წარმომადგენელს არქიმანდრიტ იაკობ ვოტოპედინოსს და სთხოვა პეტერბურგში წასულიყო და სინოდში გაერკვია საკითხი. იაკობი პეტერბურგს ჩავიდა, მაგრამ სინოდისაგან მხოლოდ ეს შეიტყო: სინოდი მხარს უჭერს ამბროსის მოსკოვში ჩამოსვლას, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც იშუამდგომლებს, ოღონდ თუ საელჩო მაინც უარს იტყვის ვიზის გაცემაზე სინოდს არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო.

საქმის გაჭიანურებამ აიძულა იოაკიმე III მოლაპარაკებოდა ელჩს ჩარიკოვს. 1911 წლის 3 დეკემბერს ელჩი ეწვია პატრიარქს. ჩარიკოვმა მტკიცედ მოითხოვა ქართველთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. პატრიარქი იძულებული გახდა გაემეორებინა ძველი წინადადება _ ქართველებს მიეცემათ მეორე კელია კამენუსშიო. ეს მოეწონა ჩარიკოვს. ამით წაქეზებულმა პატრიარქმა ითხოვა, საუბარი ამბროსის მოსკოვში გამგზავრების შემდეგ გაგრძელდესო. რასაც ჩარიკოვმა უპასუხა: სანამ ქართველთა საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება, ამბროსი რუსეთში არ წავაო. არქიმანდრიტი სოფრონი და მისი თანმხლები პირნი უკან იქნებიან გამოძახებულნი და მეტოქი დაიკეტებაო. მაშინ პატრიარქს დაუჩივლია, ქართველთა კელიის სკიტად გადაკეთება სხვა კელიებს წააქეზებსო. ჩარიკოვს დაუიმედებია, სანამ მე ვარ ელჩი, ეს არ მოხდებაო.

11 დეკემბერს ელჩი მეორედ შეხვდა პატრიარქს. პატრიარქმა საკითხის გადასაწყვეტად სამი წინადადება შესთავაზა: 1. ქართველებმა დააარსონ სკიტი კამენუსში. 2. დარჩნენ ქართველები წმ.იოანე ღვთისმეტყველის კელიაში, შეინარჩუნონ Status quo სახელწოდებით «ქართველთა ასკეტრიონი». 3. დააარსონ სკიტი წმ.კლიმენტის კელიაში, სადაც ძველად სამი ქართველი მოღვაწეობდა, იბერთა მონასტრის წმ.მფლობელები.

ჩარიკოვს ამაზე უთქვამს: ამ ადგილებს არ ვიცნობ და გადაწყვეტით არაფრსი თქმა შემიძლია, მაგრამ სასურველად მიმაჩნია ერთ-ერთი წინადადების განხორციელება და ამით საკითხის ამოწურვაო.

პატრიარქმა თავისი წინადადება გააცნო «ივირონს» და ითხოვა, რაიმე გადაწყვეტილება მიიღეთო. 1911 წლის 31 დეკემბერს მონასტრის ხელმძღვანელობა შეიკრიბა და გადაწყვიტეს: დაარსდეს ქართველთა სკიტი კომენუსში.

ეს ეცნობა პატრიარქს და რუსეთის საელჩოს. ორივენი კმაყოფილნი დარჩნენ. 1912 წლის 7 თებერვალს პატრიარქმა ბრძანა, შესრულებულიყო ყველა ფორმალობა სკიტის დაარსებისა.

თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო, რომ 26 აპრილს «ივირონს» მოუვიდა წერილი პატრიარქისგან: რუსეთის საელჩოს განცხადების თანახმად ქართველები უარს ამბობენ გადასახლდნენ კელიიდანო. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი არ ვიცით. ფაქტი ის არის, რომ «ივირონს» შემოსავალი ბესარაბიიდან ისევ დაუკავდა.

ბრძოლა გრძელდებოდა. გრძელდებოდა, მაგარმ უკვე სასწორი მთლიანად ბერძნების მხარეს გადაიხარა. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ბერძნებმა ქალკედონის ნ/კ დაიკავეს. რუსეთში მოხდა რევოლუცია. ჯერ ომისა და მერე რევოლუციის გამო, რუსებს ქართველთა მონასტრისათვის აღარ ეცალათ. თუმცა ქართველები მაინც აგრძელებდნენ დავას. ამას დაერთო განხეთქილება ქართველ ბერებს შორის. ბერი გიორგი დარჩია ებრძოდა იონას. იგი ქართულ გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს იონას წინააღმდეგ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქართველმა ბერებმა იონას რუსეთის სინოდში უჩივლეს. ჩვენ არ ვიცით განიხილეს თუ არა ეს საკითხი სინოდში.

1917 წლის 5 იანვარს მთაწმინდაზე რუსეთის და საფრანგეთის არმიების დესანტი გადასხდა. ამან აღაფრთოვანა ქათრველები. რუსეთის სამხედრო ხელისუფლება ცდილობდა ძალა დაეტანებინა მონასტრისათვის, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. თებერვალში რუსეთში რევოლუცია მოხდა. ქართველმა ბერებმა დროებით მთავრობას ერთგულება შეჰფიცეს. წერილებიც აფრინეს, დაგვეხმარეთო, როგორც თბილისში, ისე თესალონიკის საკონსულოში, მაგრამ ამაოდ.

როგორც კი რუსის ჯარი ათონიდან წავიდა, მონასტერმა შეუწყვიტა ქართველებს მომარაგება. ამან გააცოფა იონა. 1918 წლის 14 იანვარს განცხადება წარუდგინა იონამ მონასტრის კანცელარიას და ქართველთა მომარაგება მოითხოვა შეშითა და წყლით. ეს განცხადება «ივირონმა» არ მიიღო. მაშინ იონამ არაკანონიერი გზით მოამარაგა კელია. მონასტერმა პროტატში უჩივლა იონას. პროტატმა კომისია გამოყო, რომელმაც მხარი «ივირონს» დაუჭირა.

1918 წლის 10 აპრილს პროტატმა ქართველთა საკითხი განიხილა და დაადგინა: «ივირონს» აქვს უფლება ჩამოართვას კელიას ყველა პრივილეგია და თუ საჭიროდ ცნობს გააძევოს კიდეც ქართველები. ეს გადაწყვეტილება მონასტერმა 1919 წელს განახორციელა. ქართველები ათონიდან გამოაძევეს. დატოვეს მხოლოდ სამი ბერი, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ისინიც დროთა განმავლობაში დაიხოცნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ეკლესია-მონასტრებისათვის აღარავის ეცალა. 50-წლიანი ბრძოლა «ივირონის» დასაბრუნებლად ქართველთა სრული მარცხით დამთავრდა. «ივირონი» საბოლოოდ დარჩა ბერძენთა ხელში.

საინტერესოა, მაინც რა იყო ბერძენთა ასეთი გამწარების მიზეზი? რატომ უწევდნენ ისინი ასეთ გაშმაგებულ წინააღმდეგობას ქართველების ისტორიულად კანონიერ მოთხოვნილებას?

ამ კითხვის პასუხად ძალიან საინტერესოა ერთი სტატია, გამოქვეყნებული გაზეთ «სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში» 1911 წლის 11 ივნისს. სტატიის ავტორი ნ.დურნოვი წერს: ქართველებსა და ბერძნებს ისტრიული მეგობრობა აკავშირებდათ. ისინი საერთო ენას კარგად გამოძებნიდნენ და მესამე პირის საქმეში ჩარევა, თუნდაც ეს მესამე პირი რუსეთი იყოს, საჭირო არ იყო. ეს ჩარევა ბერძნებს არწმუნებს, რომ რუსებს ქართველები კი არ აინტერესებს, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვიანო.

მართლაც, ბერძნებს ჰქონდათ უფლება ასე ეფიქრათ. გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფო, მომსპარი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველო რუსეთის

იმპერიის ნაწილი იყო, და ბუნებრივია, როცა რუსები საქართველოს ან ქართველთა უფლებებზე ლაპარაკობდა, გულისხმობდნენ რუსეთის. 1884 წ. ქუთაისში ათონის ქართველთა ძმობისაგან რუსულად გამოცემულ წიგნაკში ნათქვამია: «Монастырь сей составлял государственную собственность бывшей Грузии (დააკვირდით ამ სიტყვებს _ ა.ბ.) и ныне должен быть рассматриваем как государственная же собственность России в обширном смысле этого слова, в роде Словецкого и Гаенатского монастыря, состаящего во владении иконов одной ее народностей». ამიტომაც არის, რომ რუსეთის საელჩოს მოთხოვნებში ქართველი და რუსი თანაბრად ფიგურირებს და მათ არც არჩევენ ერთმანეთისაგან. მაშასადამე, «ივირონი» თავის ოდინდელ პატრონს კი არ უნდა დაბრუნებოდა, არამდე რუსებს.

ბერძნებმა კარგად იცოდნენ, რომ თავად საქართველოში მოშლილი იყო სამონასტრო ცხოვრება. საფარა, ზარზმა, კაბენი, დრანდა და სხვანი რუს ბერებს ეჭირათ. საგულისხმოა ერთი ფაქტიც. 1900 წლის დამდეგს, საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით, ბენედიქტე დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. რაკი საქართველოს მონასტრებში შემცირებული იყო მონოზანთა რიცხვი, ბენედიქტე იძულებული გახდა ათონიდან ჩამოეყვანა სამი ქართველი ბერი _ პიმენ, სვიმონ და გაბრიელ. მაგრამ მათ ვერ ჰპოვეს გარეჯის უდაბნოში სულიერი მშვიდობა და ძმური სიყვარული, რის გამოც ორი – პიმენი და სვიმონ _ უკან ათონზე გაბრუნდა. მხოლოდ გაბრიელი დარჩა და მოღვაწეობდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, როცა თავად საქართველოში არ იყო მოწესრიგებული სამონასტრო ცხოვრება, «ივირონისათვის» ბრძოლა სასაცილო იყო, თუ მეტი არა.

ჯერ საქართველო თავისთავის პატრონი უნდა გამხდარიყო, რომ რეალურად შესძლებოდა საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლა. რას ნიშნავს ქვეყნის ნამდვილი პატრონი, კარგად ჩანს «ხილანდარიონის» მონასტრის ისტორიიდან. «ხილანდარიონი» 1198 წელს დააარსა სერბიის მთავარმა სტეფანე ნემანიამ. XIV ს. ეს მონასტერი ხელთ ჩაუვარდათ ბულგარელებს. ცხადია, მერე ბულგარელებს არამცდაარამც არ უნდოდათ სერბებისათვის დაებრუნებიათ მონასტერი. 1897 წელს «ხილანდარიონის» მოსახილველად მობრძანებულა სერბიის მეფე ალექსანდრე. ბულგარელი ბერები დიდი პატივით შეხვედრიან მეფეს. ალექსანდრეს ყველაფერი დაუთვალიერებია და ბოლოს უთხოვნია: «ხილანდარიონის» ქტიტორის გუჯარი მაჩვენეთო. ბარე არ ეჭაშნიკათ თურმე ეს ბულგარელ ბერებს, მაგრამ უარი ვერ აკადრეს მეფეს. მიურთმევიათ გუჯარი. მერე მოსვენებულ პირობებში წავიკითხავო, უთქვამს მეფეს და ის გუჯარი თან წაუღია სერბიაში. მომდევნო წელს ათონზე გამოუგზავნია ეპისკოპოსი, იღუმენი და მონაზონი. უბრძანებია, საკუთარი მონასტერი დაიკავეთ და მართეთო. ათონის პროტატის შთაგონებით, ბულგარელებს არ მიუღიათ სერბები. ისინი სამშობლოში გაბრუნებულან. 1900 წელს მეფეს ისევ გამოუგზავნია ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი და მღვდელ-მონაზონნი. რამდენიმე მინისტრიც გამოუყოლებია. სერბიელმა მინისტრმა და ეპისკოპოსმა ათონის პროტატი მოიწვია ვითარების გასარკვევად. პროტატს ვერაფრის თქმა ვეღარ გაუბედავს და მონასტერი ისევ სერბებისათვის დაუმტკიცებიათ.

რუსეთი ასე თავგამეტებით რომ ჩარეულიყო «ივირონის» საქმეში, ცხადია, მიზანს მიაღწევდა, მაგრამ იგი ორი კურდღლის მოკვლას აპირებდა და, როგორც წესი, ორივეს აცდინა.

კუნძული ტერიტორიალურად და პოლიტიკურად თურქეთის სახელმწიფოში შედიოდა. რუსეთი ქართველთა და ბერძენთა პაექრობის ეპოქაში ქალკედონის ნახევარი მართლმადიდებლური აღმოსავლეთის მფარველად თვლიდა თავს და უჭირდა მაჰმადიანური სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ მყოფ ქრისტიანულ ეკლესიაზე ძალდატანება ეხმარა. პირიქით, იგი ბერძნული ეკლესიის მშველელი უნდა ყოფილიყო. პატრიარქი იოაკიმე მესამეც რუსული ორიენტაციის მომხრე იყო და არც მისი მომდურება უნდოდათ. საქმეს ბულგარეთის ეკლესიის საკითხიც ართულებდა.

ბულგარეთის ეკლესიის საკითხი ასე იდგა: თავდაპირველად ბულგარული ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. მერე სიმონ ბორისის ძის დროს ბულგარელ არქიეპისკოპოსს პატრიარქის წოდება მიეცა. 1767 წლამდე ბულგარეთის ეკლესია ავტოკეფალური იყო. თურქთა ბატონობის დროს ბულგარეთის ეკლესია ისევ შეუერთდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. ყირიმის ომის შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალიაზე. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა უარი თქვა ამაზე. ამ განხეთქილებით ისარგებლეს თურქებმა და დააარსეს ბულგარეთის დამოუკიდებელი ეგზარქატი. ამით თურქეთი თავის საქმესაც აკეთებდა: ქრისტიანულ რელიგიას თიშავდა. კონსტანტინეპოლი ეგზარქატს არ ცნობდა. და ასე მიმდინარეობდა ბულგარელებსა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დავა. ამ დავის გადაწყვეტაც უნდოდა რუსეთის, მაგრამ ისე, რომ არც კონსტანტინეპოლი მოემდურებინა და არც ბულგარეთი.

ყველა ეს საკითხი გადასაწყვეტი იყო და ამას ქართველთა პრობლემაც ემატებოდა.

ამ ორომტრიალში ნათლად გამოიკვეთა, რომ რუსეთის მიზანი სხვა იყო, საქართველოსი _ სხვა.

რუსეთს უნდოდა მშვიდობიანი მომრიგებლის როლი შეესრულებინა და თან მთელი ათონი ჩაეგდო ხელთ. «ივირონის» ქართველებისათვის დაბრუნება რუსეთს ათონზე კიდევ ერთ მტკიცე დასაყრდენს აძლევდა. ამას ბერძნები კარგად ხედავდნენ და ყოველგვარად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველების სახით რუსების «ივირონში» გაბატონებას.

ქართველების მიზანი იყო, დაებრუნებინათ ის, რაც ისტორიულად ეკუთვნოდათ და ამით ერვონული პრესტიჟი აღედგინათ. იმას კი აღარ დაგიდევდნენ, რომ ბატონის ხელში ბრმა იარაღი იყვნენ. ამიტომ მთელი ეს ისტორია უაზრო ბრძოლისა და ენერგიის ხარჯვის იშვიათი ნიმუშია. «ივირონს» ქართველებს არავინ დაუბრუნებდა. უბრალოდ იგი რუსეთში აივსებოდა და გარუსდებოდა. ისე, როგორც შიგ საქართველოში იყო გარუსებული ქართული ეკლესია-მონასტრები.

## დამოწმებული ლიტერატურა

I

1. ტ.გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956 წ., გვ.4

2. იქვე, გვ. 19-20

3. ს.ს.ორბელიანი, თხზულებანი, ტ.I, 1959 წ., გვ.241

4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, 1967 წ., გვ.54

5. იქვე, გვ. 54-55

6. იქვე, გვ.55

7-8-9. იქვე, გვ.178-179, 180

10. მ.ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა («საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», ტ.1, 1959 წ., გვ.95)

11. მ.ქავთარიას დასახელებული წერილი, გვ.80

12. ე.მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. «პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები», ტ.VIII, 1950 წ., გვ.417

13. იქვე, გვ.419

14. იონა გედევანიშვილი, მიმოსვლა ანუ მგზავრობა, წ. გვ.28

15. გ.ავალიშვილი, მგზავრობაჲ, 1967 წ., გვ.90

16. იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, 1963 წ., გვ.19, 40, 41, 43, 45, 49

17. იქვე, გვ.59

18. გ.ავალიშვილი, მგზავრობაჲ, 1967 წ., გვ.89

19. ი.გედევანიშვილი დასახელებული წიგნი, გვ.27

20. ტ.გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956 წ. ელ.მეტრეველის გამოკვლევა, გვ.033

21. იქვე, გვ.34, 37, 38, 40, 41, 109

22. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1972 წ., გვ.162, 163, 167

23. იონა გედევანიშვილი, მიმოსულვა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა. გვ.32, 34

24. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, თბილისი, 1967 წ., გვ.95

1. მ.ქავთარიას დასახელებული წერილი. გვ.82-83
2. იქვე, 89
3. თ.ჟორდანია, ქრონიკები, ტ.III, გვ.89
4. იქვე, გვ.106
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, 1967, გვ.154
6. კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, 1941 წ., გვ.328
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, 1967წ., გვ.154
8. მ.ქავთარიას დასახელებული წერილი, გვ.97
9. ტ.გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956 წ., გვ.50
10. იქვე, გვ.55

II

1. Краткая история Афоно-иверского монастыря, 1884 г., стр.25-26

2. А.Натроев, Иверский монастырь на Афоне, 1909 г., стр.357-359

3. იქვე, გვ.359-361

4. ანტონიოს-ემილიოს ნ.ტახიაოს, ქართული საკითხი (1868-1918), თესალონიკე, 1962 წ. (ბერძნულ ენაზე), გვ.14-15

5, 6, 7. იქვე, გვ.16-17

8. იქვე, გვ.17-19

9. Краткая история... გვ.32

10. პ.კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ.ქალაქსა იერუსალიმსა და წმ.ათონის მთაზედ, ტფილისი, 1901 წ., გვ.156-161

11. იქვე, გვ.217-220

12. იქვე, გვ.175-176. პ.კონჭოშვილი «ივერიას» (1900 წ., №26) იმოწმებს

13-14-15. იქვე, გვ.161, 170-171

16. ა.ნატროევის დასახელებული წიგნი, გვ.367, 68

17. «დროება», 1876 წ., №137, 1880 წ., №№126, 127, 128. 1882 წ., 1226, 227, 268 და სხვანი

18. ა.ნატროევის დასახელებული წიგნი, გვ.379

19, 20, 21, 22. ტახიაოსის დასახელებული წიგნი, გვ.23-24, 32, 33. საერთოდ, კონსტანტინეპოლში რუსეთის საელჩოსა და ათონის ხელმძღვანელთა მიმოწერის შესახებ მასალა არის ტახიაოსის Τό Γεώργιαυικόυ Ζήτημα-ში. მეც ამ მასალებით ვსარგებლოდ ყველგან. მომდევნო ამბებიც ამ მასალების საფუძველზეა აღწერილი

23, 24, 25. ა.ნატროევის დასახელებული წიგნი, გვ.387-388, 391, 392-93

26. А.Калиновский, Где правда? 1885 г., стр.55-56

27. ნელიდოვის წერილი მთლიანად დაბეჭდილია ა.ნატრეოვის წიგნში, გვ.414-416. ა.ნატროევის წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე ქართველ თავადაზნაურთა თხოვნა «ივირონის» გამო წმ.სინოდის ობერ-პროკურორისადმი (გვ.380-386), ნოვიკოვის წერილი გირსისადმი (გვ.405-412), ქართველი ბერების მიერ «ივირონისადმი» წარდგენილი პირობები (გვ.417-418) და სხვა დოკუმენტები

28, 29. ტახიაოსის დასახელებული წიგნი, გვ.80-81, გვ.96

30. Краткая история... გვ.33-34

31-32. კონჭოშვილის დასახელებული წიგნი, გვ.170; 190-192

## პ ი ე ს ე ბ ი

### ნინო ჭავჭავაძის უკანასკნელი ღამე

(პიესა ერთი მსახიობის თეატრისათვის)

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაჟრჟოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!
შენს სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.
ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ _ სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან აროდეს მომესვენება.

**ნინო ჭავჭავაძის სული _** რამდენი ასეთი ლექსი მოგიძღვნეს, რამდენი ნარკვევი, რომანიც კი, რამდენმა მხატვარმა დაგხატა და სულ მაინტერესებს _ რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი ქალი იყავი? კი მაგრამ რამდენი ლამაზი ქალი იყო საქართველოში, დღესაც ბევრია, მაგრამ არავინ არაფერს უძღვნის, არავინ იხსენებს. შენ რა გამონაკლისი იყავი? თუ იმან გიშველა დიდი ოჯახის წარმომადგენელი რომ ბრძანდებოდი? პაპაშენი გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე მეორის ელჩი გახლდათ რუსეთის იმპერატორების კარხე. თუმცა რა დასამალია და ისიც გეხსომება, ხალხი მას მეფისა და ქვეყნის გამყიდველს რომ ეძახდა. არა, მე ასე არ ვფიქრობ. ან როგორ ვიფიქრებ. უცხო ხომ არ ვარ. შენი მეორე მე ვარ და თავისთავს როგორ უნდა ვაკადრო და მოღალატის შვილიშვილი დავუძახო. ამგვარი გულახდილობა საქართველოში არავის გამოუჩენია და გამონაკლისი რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ? შენ, ახლა მომაკვდავი რომ წევხარ სარეცელზე, და მე, შენი უკვდავი სული, რომელსაც მოსვენება არ უწერია, რომელმაც ქართველთა ყველა თაობას უნდა გავცე პასუხი _ ვინ ვიყავით, რა ვიყავით და რით დავიმსახურეთ საქართველოს ცნობიერებაში უკვდავება და მარადიული ხსოვნა? პაპაჩემს, გარსევან ჭავჭავაძეს, მე არავითარ მუნათს არ ვდებ. იმ ეპოქაში, ალბათ, მას თავისი გამართლება ჰქონდა, თავისი სიმართლე. თუმცა არც ის ვიცი დაბეჯითებით _ სხვადასხვა ეპოქას სხვადასხვა სიმართლე აქვს? თუ სიმართლე ერთია და ეპოქათა შესაბამისად მისი დანაწევრება, დაჭრა-დაქუცმაცება არ შეიძლება? გულახდილად რომ ვთქვა, იმას კი ვფიქრობ: თუ სული უკვდავია, მაშინ სიმართლეც ერთია და დრო და ჟამის შესაფერისად იგი არ იცვლება. თუ ასეა, მაშინ პაპაჩვენის საქმე მთლად კარგად ვერ ყოფილა და ერთ მშვენიერ დღეს მასაც მოუწევს პირუთვნელი სიმართლის მოსმენა. ჩვენც უნდა გავიზიაროთ ამ სიმართლის სიმწარე. ასეა, მამათა ჭამეს კაწახი და შვილთა კბილი მოიკვეთეს.

**ნინო _** ჩვენ არ გვაქვს მამათა და პაპათა განკითხვის უფლება. ჩვენ ის გვირჩევნია ის განვსაჯოთ _ თავად როგორ მოვიხადეთ პიროვნებისა და მოქალაქის ვალი. სადაც არის ჩემი მიწიერი ყოფის უკანასკნელი საათი დარეკავს. ხორცი შეუერთდება ჩემი მამულის

მიწა-წყალს. შენ კი, სულო ჩემო, მარადიულად მოგიწევს ღმრთის წიაღში სიცოცხლე და ყველაფერ იმაზე პასუხისგება, რაც ჩემს ცოდვილ ხორცს ჩაუდენია. მართალი რომ გითხრა, არ მშურს შენი. ისე მართალი რომ გითხრა, ბევრს თუ არა ცოტას მაინც ეშმაკობ. როგორ, მართლა არ იცი, რისთვის შეინახა ქართულმა მეხსიერებამ ჩემი სახელი? არა იმისათვის, რომ სახელგანთქმული ოჯახის შვილი ვიყავი, არა იმისათვის, რომ ლამაზი ქალის სახელი მქონდა გავარდნილი. მარტო იმისთვის, რომ ჩემი ქმარი რუსი სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი იყო. მართალია, ჩვენ ერთად მხოლოდ 5 თვე და რამდენიმე დღე ვიცხოვრეთ, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა რუსთა მოტრფიალე ქართველებს მე სიმბოლოდ გავეხადე. ამას სრულიად არ მოველოდი. ვერც ვიფიქრებდი ამას. მე მართლა მიყვარდა ალექსანდრე გრიბოედოვი. ჩემთვის არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ იგი მდიდარი მემამულე იყო, სახელგანთქმული დიპლომატი, ნიჭიერი პოეტი. ამას, ამგვარ თვისებებს და მდგომარეობებს რომელი 16 წლის გოგო აქცევს ყურადღებას, მე რომ მიმექცია? შენ ხომ კარგად გახსოვს _ რა უცბათ მოხდა ჩვენი დაახლოვება. 17 წლით იყო გრიბოედოვი ჩემზე უფროსი. გინდ დამძრახე, გინდ არა, მაგრამ მომხიბლა განათლებულმა, მოწიფულმა, დინჯმა და საქმიანმა მამაკაცმა. ისინი ვინც გარს მეხვეოდა, ქართველები იქნებოდნენ თუ არაქართველები, ცხვირმოუხოცელი, უწვერულვაშო ღლაპები იყვნენ, ქარიფანტია და შარახვეტიები. მართალია, მერე ზოგიერთი დიდი და სახელოვანი მოღვაწე გახდა, მაგრამ მე, პატარა გოგოს, როგორ გამომეცნო წინასწარ _ ვინ რა იქნებოდა? გრიბოედოვი კი უკვე საქვეყნო ასპარეზზე გამოსული კაცი იყო. პატივცემული და დაფასებული პეტერბურგშიაც და თბილისშიც. თავს ისე იკატუნებ, თითქოს არ გახსოვს, როგორ აღტაცებული იყო მთელი ქართველობა, როცა დამარცხებული სპარსეთი მლიქვნელურად ელაქუცებოდა რუსეთის ელჩს და მოწიწებით უკრავდა თავს. ჩვენ ეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ბოღმის დაკმაყოფილებად მივიჩნიეთ. თბილისში მობრუნებულ გრიბოედოვს ყველა თვალებში შესციცინებდა, ფიანდაზად ეგებოდა. განსაკუთრებით ქალები. ვინ ეტყოდა მაშინ ალექსანდრ სერგეევიჩს უარს? უარს ეტყოდნენ კი არა და ძალად ეკიდებოდნენ კისერზე. მე შენ გეტყვი და მოდა არ იყო რუსზე გათხოვება! ხომ არ დაგავიწყდა რომ ორბელიანთა, ბარათიანთა, ამილახვრიანთა და სხვა ქალები, რომელნიც გაგარინების, მირსკების, ოკლობჟიების, ბარიატინსკებისა და სხვათა ცოლები რომ გახდნენ. მეც ქალი ვიყავი და მეც ისევე ვფიქრობდი, როგორც ისინი. თუ, რაკი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ვარ სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავ?

**ნინოს სული** _ მე რა უფლება მაქვს საყვედური გითხრა, მაგარმ ახლა, რომ ვფიქრობ _ აშკარად სხვანაირად უნდა გეცხოვრა. შენ ხომ იცი, რა დღეშიც იყო ჩავარდნილი ქვეყანა.

**ნინო** _ ეეე, ჩემო კარგო, რა ადვილია წყნარი მსჯელობა და რა ძნელია საქმე. როგორ ფიქრობ, მამაჩემს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ვაჟკაცობა, გამბედაობა, სიმამაცე აკლდა? მაგრამ ქედი მოიდრიკა და ვითარებას დამორჩილდა. ყური კარგად დაუგდე, რას წერს:

დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად;
გარნა რომელს ბოლოსღა როსთ მხედრად აღზრდილი,

მიებჯნა რა უდრეკლად მამაცი ციციშვილი,
შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი
და ტინმან შარა-გზათა ფართოდ განუღო კარი;
. . .
განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

18 წლისაც არ იყო მამაჩვენი, სახლიდან რომ გაიპარა და ფარნაოზ ბატონიშვილს ეახლა მთიულეთში. ისიც მეამბოზე გახდა და საქართველოს დახსნა უნდოდა რუსთა ბატონობისაგან. არაფერი გამოვიდა. ჯანყი დამარცხდა. მაშინ შეკრიბა ქართველი თავადაზნაურობა გარუსებულმა პავლე ციციანოვმა და გააფრთხილა _ ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები, რაკი რომელსამე ქვეყანას თავის გუბერნიად დაჰსახავენ, ფეხს თავის დღეში აღარ მოიცვლიან იქიდან. ზოგმა დაიჯერა პავლე ციციშვილის გაფრთხილება, ზოგმა _ არა. მამავენი ალექსანდრე იმათ შორის იყო, ვინც დაუჯერა პავლეს. და როცა 1812 წელს ქართველები ისევ აჯანყდნენ კახეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძე მისი მეზობლების, ახლობლებისა და მოყვრების რიგში და რაზმში კი არ იდგა, არამედ _ რუსთა ჯარში. ცხელი ტყვიით უმასპინძლდებოდა იმათ, ვისთანაც სულ რამდენიმე დღის წინ წინანდალში სუფრას უჯდა, პურობდა და სმურობდა. ფაქტი ასეთია. მაგრამ მარტო ფაქტით მოვლენას ხომ ვერ ახსნი. ფაქტის უკან აზრია და მოვლენაც აზრით უნდა ახსნა.

**ნინოს სული** _ რას ამბობ, ნუთუ სიკვდილის სულ არ გეშინია, გაუმართლებლის გამართლებას რომ ცდილობ? ამ ქვეყნად სამართალი რომ იყოს, მაშინ მთელი საქართველო უნდა ამოსდგომოდა მხარში კახეთს. ყველაფრის ატანა არ შეიძლება, არის რაღაც, რაც მოთმინების ფიალას აავსებს და მერე უკვე თავსი შეკავება შეუძლებელია. ერთმა ღმერთმა იცის, რა სისაძაგლეს არ აკეთებდნენ მაშინ ჩვენში რუსები. სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ; ქალებს აუპატიურებდნენ მამებისა და ქმრების თვალწინ; ოჯახებში უვარდებოდნენ, ძარცვავდნენ; ქვევრებს თავს ხდიდნენ, ღვინით რომ გამოტყვრებოდნენ, მერე ქვევრებში აფსამდნენ და აჯვამდნენ... რა იყო, რატომ დაგემანჭა სახე? გაუჭირდა შენს არისტოკრატიულ ყურებს ამ უწმაწური სიტყვების გაგონება? რა ვქნა, ასე აკეთებდნენ და სხვანაირად როგორ უნდა ვთქვა არ ვიცი. თუ ვიტყვი, ქვევრებს ბილწავდნენ-მეთქი, ამით ვერ გამოვხატავ _ რაც ხდებოდა. ქვევრის წაბილწვა ჩაფურთხებითაც შეიძლება, მაგრამ ჩაფურთხება ხომ მაინც ის არ არის, რასაც ისინი სჩადიოდნენ. ასეთი რამ, არცერთ თურქს და არცერს სპარსელს არ უქნია. ეს შენ კარგად იცი. ბავშვობაში ხელნაწერ მატიანეებში რომ ვიქექებოდით, რა საშინელება არ ამოგვიკითხავს, მაგრამ მსგავსი რამ არცერთხელ. სამართლიანი და აუცილებელი იყო ის ამბოხება, რაც 1812 წელს მოხდა. იმას ვერ გაამართლებ, ვინც მის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ რა? მაშინ კახეთს არც ქართლი დაეხმარა, არც გურია-სამეგრელო და არც იმერეთი. ეს ჩვენი ძველი, მოურჩენელი სენია. მერეც ხომ ასე მოხდა. 1820 წელს იმერეთი რომ აჯანყდა, არც მას გაუწოდეს მშველელის ხელი ქართლმა და კახეთმა. 1841 წელს კი გურია დარჩა მარტო. ასე იყო სულ. ერთმანეთს მარტო სუფრაზე ვიცნობთ.

სამძიმრის დროსაც შეიძლება ერთად მოვიყაროთ თავი. მაგრამ ბრძოლაში არამცა და არამც. ალექსანდრე ჭავჭავაძემაც ასე გააკეთა. ეს ძალიან დამაფიქრებელია. იგი ხომ ძველებურად აღზრდილი კაცი არ იყო. იგი შეიძლება ერთადერთი კაცი იყო მაშინ, ვისზეც თამამად და სრული სამართლიანობით იტყოდი: ევროპულად აღზრდილი და განათლებული ადამიანიაო. და ეს ევროპელი ქართველი, გარეგნობით, აღზრდით, საქციელით, ცოდნით, სულით ისევე იქცევა, როგორც ძველი ფეოდალი, «რუსუდანიანზე» და «ყარამანიანზე» აღზრდილი და ჩამოყალიბებული. ეს მე მაშინებს და არ მინდა ვიფიქრო, ხომ არ არის ჩვენი დაშლილობა, დანაწევრება, დაქუცმაცებულობა ჩვენი ბიოლოგიური ნიშანი? ღმერთმა ნუ ქნას ეს, ღმერთმა ნუ ქნას!..

**ნინო** _ შვილები მამების მადლით ხარობენ და მამების ცოდვით იტანჯვიან. ეს არსებობის კანონია და მას, როგორც უნდა ვეცადოთ, ვერსად გავექცევით. არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. ჩვენ მალე გავეყრებით ერთმანეთს. მე _ წარმავალი ხორცი და შენ _ წარუდინებელი სული. მაცალე მშვიდად გამოვეთხოვო წუთისოფელს. ნუ მომკითხავ მე ყველა ცოდვის პასუხს. ცხოვრება ცხოვრებაა და ამქვეყნად უცოდველი ხორციელი ადამიანი არ დააბიჯებს. მეც ასეთი ვარ. მაგრამ ნუთუ შთამომავლობისათვის არაფერს იტყვის ჩემი ერთგულება? მე ხომ 16 წლის დავქვრივდი. ახლა 45 წლის ქალი ვეთხოვები მიწიერ არსებობას... ბოლომდე დავრჩი ალექსანდრ გრიბოედოვის სიყვარულის ერთგული. შენ ისიც იცი, როგორ ვეხმარებოდი ჩემს დას ეკატერინეს შვილების აღზრდაში, როგორ ვუმსუბუქებდი ყოველნაირ გასაჭირს. ხომ იცი _ რა მძიმე და რთულ ვითარებაში მოუწია მას სამეგრელოს სამთავროს მართვა. დავით დადიანი ადრე გარდაიცვალა და ამ მარტოხელა ქალს მოუწია ბრძოლა უზარმაზარი, მზაკვარი იმპერიის წინააღმდეგ, ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ვის სჭირდებოდა სამეგრელოს ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ პატივმოყვარეა ადამიანი და არ უნდა იოლად დამორჩილდეს ბედისწერას. არც ეკატერინე ემორჩილებოდა. თუმცა არაფერი გამოსდიოდა. მთელი სიცოცხლე ზუგდიდ-თბილის-პეტერბურგს შორის სირბილში გაატარა. ვინ დაეხმარებოდა, შეეშველებოდა, თუ არა მე?.. ვინ აღზრდიდა მის შვილებს, თუ არა მე?.. მე ხომ საკუთარი შვილი არ მყოლია. ჩემი შვილი იმ დღეს დაიღუპა, რა დღესაც გრიბოედოვის სიკვდილი შემატყობინეს. მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი. როცა ჩემი ქმრის საზარელი ბედი გავიგე, აღარც კი მახსოვს, რა დამემართა. მაშინვე გული წამსვლია. როცა გონს მომიყვანეს, ჩემი უბედურება გაორკეცებული იყო. მუცელი მომეშალა და, ქმართან ერთად, შვილიც დავკარგე. რა გასაკვირია, რომ ამის მერე გათხოვებაზე აღარ მიფიქრია. მიუხედავად იმ უბედურებისა, რაც მე დამატყდა თავს, ჩემს დებს შორის მაინც მე ვიყავი ბედნიერი: მე ვიყავი ერთადერთი, ვინც სიყვარულით გათხოვდა. ეკატერინეც ანგარიშით გაატანეს დავით დადიანს და სოფიოც _ დანიელ ბარონს ნიკოლაის. არავინ იფიქროს ეს ანგარიში მამაჩვენს ალექსანდრე ჭავჭავაძეს სჭირდებოდა. არა. ეს მას სრულიად არ სჭირდებოდა. ეს დროის მოთხოვნა იყო. ამ გზით ცდილობდნენ ქვეყნის ბედის მოწესრიგებას. შეიძლება გულუბრყვილობაა, მაგრამ ასე კი ეგონათ: თუ ბარონი ნიკოლაი ქართველ ქალს შეირთავდა, მაშინ იგი

უფრო მეტად და უფრო გულით იფიქრებდა საქართველოზე. ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს არაქართველები განაგებდნენ _ რუსები ანდა რუსეთის იმპერატორის სამსახურში ჩამბგარი უცხოელები _ გერმანელები, დანიელები, შვედები, იტალიელები... მათ არ სტკიოდათ საქართველო. ისინი ჩინოვნიკები იყვნენ და ჩინოვნიკურადვე პატრონობდნენ ქვეყანას. მაგრამ თუ მათ ოჯახში ქართველი ქალი შევიდოდა, მაშინ მათი დამოკიდებულება შეიცვლებოდა. საქართველოს ჭირ-ვარამს გულთან უფრო ახლოს მიიტანდნენ.

**ნინოს სული** _ თუ ქალი ხარ, ნუ გადამრევ. გადამთიელი და უცხო ხომ არ გგონივარ? რა, მე შენზე ნაკლებად ვიცი, რა ხდებოდა? ერთადერთი, რაც უნდოდათ, კეთილი, მსუყე, მოლხენილი ცხოვრება სურდათ. თუ ასე არ იყო, თითქმის ყველა რატომ გარუსდა? მათი შვილები ქართულად ვეღარ ლაპარაკობდნენ. თუ ზოგიერთს ორიოდე სიტყვის თავმოყრა შეეძლო, ესეც ისე სასაცილოდ, რომ სირცხვილით თავი სად წაგეღო, არც კი იცოდი. ახლა ჩვენ მარტონი ვართ და ერთმანეთს მაინც ნუ მოვატყუებთ. დავით დადიანი? დავით დადიანი რომელი რუსი იყო, ეკატერინე რომ უსიყვარულოდ გააყოლეს?.. რა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ არ იცოდა, როგორ უყვარდა ეკატერინე ივანე მუხრანბატონს? არც კატინა ყოფილა გულგრილი. დავით დადიანსაც სხვა უყვარდა _ ლუარსაბ ორბელიანის ქალი. ორი ადამიანი, რომელთაც არ უყვარდათ ერთმანეთი, ანგარიშით დააქორწინეს. არაფერი პოლიტიკა არ ყოფილა ეს. უბრალოდ ასე უფრო სარგებლიანად მიიჩნია გენერალმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

**ნინო** _ ახლა მართლა ისე იქცევი, თითქოს არაფერი იცოდე. გრცხვენოდეს უნდა. ასე უდიერად რომ იხსენიებ მამაჩვენს. ვიდრე ჩემსას ვიტყოდე, ერთი კითხვა მინდა დაგისვა: ის ხელშეკრულებანი თუ გახსოვს კარგად, რუსეთის იმპერატორებსა და ქართველ მეფე-მთავრებს შორის რომ დაიდო თავის დროზე?

**ნინოს სული** _ ისევე მახსოვს, როგორც შენ.

**ნინო** _ მერედა, იმ ხელშეკრულებათა თანახმად, საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთს თანდათანობით უერთდებოდა, მაგრამ რუსეთმა აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის სამთავროების მიერთება ძალიან დააგვიანა. თუ ხვდები რატომ გააკეთა ეს? როცა იმერეთის სამეფო დაიპყრეს 1810 წელს, რატომ მაშინვე არ გააუქმეს სხვა სამთავროებიც? იმიტომ, რომ მათი ცალ-ცალკე მიერთებით რუსეთი მათ საქართველოსაგან თიშავდა და იმას გვეუბნებოდა _ აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის სამთავროები საქართველოს ნაწილები არ არის. ისინი დამოუკიდებელი ერთეულებია და მათთან სხვა ხელშეკრულებანი უნდა დავდოო. ამით იგი საქართველოს სულიერად შლიდა და ჩვენს ტომობრივ გათიშულებას ინარჩუნებდა. დავითისა და ეკატერინეს ქორწინებით ეს უბედურება იქნა თავიდან აცილებული. ეს ჩანაფიქრი დავითმაც იცოდა და ეკატერინემაც. მერე, როცა რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა ეკატერინესათვის სამეგრელო გამოეტყუებინა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ჩემი დაი არცერთ ხელშეკრულებას არ ცნობდა, გარდა ერეკლე მეორესთან დადებული ხელშეკრულებისა. მხოლოდ ამ საფუძველზე იყო თანახმა გაეუქმებინათ სამეგრელოს სამთავრო. ამიტომ შევიდა სამეგრელო ქუთაისის გუბერნიაში, თორემ მასაც ზუგდიდის სამხედრო ოლქად

გამოაცხადებდნენ, როგორც მერე აფხაზეთი გამოაცხადეს სოხუმის სამხედრო ოლქად. აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თურქეთში გადაასახლეს და იქ ნაირნაირი ჯურის, რწმენისა და ეროვნულის ხალხი დაასახლეს.

**ნინოს სული** _ ეს ამბები შენი სიკვდილის მერე მოხდება და შენ საიდან იცი?

**ნინო** _ როგორ გგონია, ეს ყველაფერი წინასწარ არ იყო გამიზნული? როგორ ფიქრობ, როდის გადაწყდა საქართველოს ბედი? ეკატერინე მეორის დროს, როცა გრაფმა პანინმა ყველაფერი ის დაწვრილებით დაგეგმა, რაც მერე უნდა მომხდარიყო. ერეკლემაც იცოდა ეს, მაგრამ ისე ჰყავდა უკვე რუსეთის აგენტურას შებოჭილი, რომ თავის დაღწევა აღარ შეეძლო! იგი სიცოცხლის ბოლო ხანებში კარგად ხედავდა, რა ხაფანგში გაება, მაგრამ თავდახსნა შეუძლებელი ყიო. შენ იცი ყველაფერი ეს, მაგრამ ახლა სხვაგვარ გუნებაზე ხარ და რატომღაც გირჩევნია _ მეც გამაღიზიანო და თავისთავიც. გრიბოედოვისა და მამაჩვენის საუბარი არ მოგისმენია? გრიბოედოვი ხომ არ მალავდა რუსეთის ნამდვილ მიზნებს კავკასიაში.

**ნინოს სული** _ მე ის უფრო მახსოვს, რა სწრაფად დაიპყრო შენი გული და როგორ იკვეხნიდა ამას კავკასიის მთავარმმართველის, გრაფ პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში. Вы говорите, что я слишком озаботился моею женитьбою. Простите великодушно, Нина мой Карс и Ахалцых и я поспешил овладеть ею, так же скоро, как Ваше Сиятельство столькими крепостями.

**ნინო** _ გრიბოედოვს მე გულწრფელი, ჭეშმარიტი სიყვარულით ვუყვარდი. ხომ გახსოვს _ მურილიოს მადონას მეძახდა.

**ნინოს სული** _ არა, არ გამტყუნებ, მაგრამ მაინც უნდა გითხრა _ შენც და შენი მშობლებიც ძალიან მალე დათანხმდით ქორწინებას. თვითონაც კი უკვირდა ეს. არ გჯერა? გაგახსენებ, რას წერდა ფადეი ბულგარინს, ძველ მეგობარს. Это было 16-го. 1828 წლის 16 ივლისზეა ლაპარაკი. В этот день я обедал у старой моей приятельницы Ахвердовой, за столом сидел против Нины Чавчавадзевой... все на нее глядел, задумался, сердце забилось, не знаю беспокойства ли другого рода, по службе теперь необыкновенно важной, или что другое придало мне решительность необычайную, выходя из стола, я взял ее за руку и сказал ей: Venez avec moi, j'ai quelque chose à vous dire (ჩემთან წამოდით, რაღაც უნდა გითხრათ). Она меня послушалась, как и всегда, верго думала, что я ее усажу за фортепиано; вышло не то; дом ее матери возле, мы туда уклонились, взошли в комнату, щеки у меня разгорелись, дыхание занялось, я не помню, что я начал ей бормотать, и все живее и живее, она заплакала, засмеялась, я поцеловал ее, потом к матушке ее, к бабушке, к ее второй матери Прасковье Николаевне Ахвердовой, нас благословили, я повис у нее на губах во всю ночь, и весь день, отправил курьера к ее отцу в Эривань с письмом от нас обоих и от родных...

В Гумрах же нагнал меня ответ от князя Чавчавадзева отца, из Эривани; он благословляет меня и Нину, и радуется нашей любви...

ო, ო, ო, რა ბედნიერი დღეები იყო. როგორი აღტაცებული, გახარებული და კმაყოფილი ვიყავით ყველა. როგორ სკდებოდნენ შურით ორბელიანთა, ბარათაანთა, მუხრან-

ბატონიანთ ქალები!.. თითქოს რუსეთის დედოფალი გავხდით და არა ერთი რიგითი პოეტისა და დიპლომატის ცოლი. ყველაზე მეტად პრასკოვია ახვერდოვა იჭაჭებოდა _ ჩემი მოწყობილიაო. რა იყო მისი მოწყობილი?.. რაც ჩვენსას ფეხი დაადგა, იმის მერე სულ თვალებში შემოგვციცინებდა გრიბოედოვი. მაშინვე მივხვდი, რა ცეცხლიც სწვავდა. პრასკოვია ჩვენი ახლობელიც იყო და გრიბოედოვის ნათესავიც. ალბათ, სთხოვა საშამ დამეხმარეო. იმიტომ იყო, ყოველდღე რომ გვეპატჟებოდა, თავს გვევლებოდა და თქვენი «მეორე დედა ვარო», რომ გვიმტკიცებდა. შენ არ გეგონოს, რომ მის საყვედურს ვამბობ. რას ვერჩი, მართლა გულთბილი, გულკეთილი, გულისხმიერი ქალი იყო. გულით უნდოდა ჩვენი ოჯახის სიკეთე, გრიბოედოვისაც. ჯერ ერთი, ნათესავი იყო და უყვარდა. მეორეც, გრიბოედოვი უკვე 33 წლის იყო, ბერბიჭა. მაშინ რომ არ შეერთო ცოლი, მერე უკვე ვეღარც მოახერხებდა ამას. ხომ იცი, მამაკაცს რაც ასაკი ემატება, მით უფრო ეშინია ცოლის შერთვა, საერთოდ ქალის ეშინია.

**ნინო** _ რა კარგი ვინმე ხარ, ბევრი ლაპარაკი რომ არ გიყვარდეს. როდის ეშინოდა ალექსანდრეს ან მამაკაცების, ან ქალების? ნახევარი ცხოვრება ფრონტზე გაატარაგ 23 წლის იყო, დუელი რომ ჰქონდა იაკუბოვიჩთან. ბეწვზე გადარჩა მაშინ. ტყვიამ ნეკი მოაწყვიტა. მთელმა პეტერბურგმა და თბილისმა იცოდა, რა თავზე ხელაღებული ტიპი იყო იაკუბოვიჩი. ღრძო და დაუნდობელი, მაინც გაჰყვა ბრძოლაში. არც დაფიქრებულა, ბეცი რომ იყო და ძლივს ხედავდა. როგორ უნდა ესროლა? დარწმუნებული ვარ, სროლისას არც კი იცოდა ზუსტად სად იდგა იაკუბოვიჩი. მაგრამ თავმოყვარეობამ და ვაჟკაცობამ ნება არ მისცა, უარი ეთქვა დუელზე.

**ნინოს სული** _ ბედი ჰქონია. დუელში რომ ნეკი არ მოეწყვიტათ, ვინღა იცნობდა თეირანში მის დაჩეხილ-დაკუწულ სხეულს? ძალიან მეცოდება, მაგრამ რომ გამახსენდება, რა უბედურებაც ჩვენს სახლში შემოიტანა, ხანდახან წყევლის გუნებაზე ვდგები. ჯერ მისი საზარელი სიკვდილი. ყველაფერი აირდაირია მაშინ ჩვენს ოჯახში. კინაღამ გადავყევით. რაც პუშკინმა დაწერა, რომ გამახვენდება ტანში მაჟრიალებს. იმ მეურმეებმა გრიბოედოვის ნეშტი რომ მოჰქონდათ, ისე უპასუხეს პუშკინს, თითქოს გვამი კი არ ესვენათ ურემზე, არამედ შეშა ეწყოთ ან ქვები.

Два вола, впряженные в арбу, поднимались по крутой дороге. Несколько грузин сопровождали арбу. «Откуда вы? – спросил я их. «Из Тегерана» – «Что вы везете?» - «Грибоеда». – Это было тело убитого Грибоедова, которое препровождали в Тифлис.

ჯერ გრიბოედოვის სიკვდილი არ გვქონდა მოშუშებული, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი დააპატიმრეს, მათ შორის, მამაჩვენიც. დაიწყო ყაზარმობა. მთელი ქალაქი მკვდარს დაემსგავსა. ვინც კი ღირსეული იყო თბილისში ციხეში იჯდა. ყველა გლოვობდა და ძაძებში ჩაცმული დადიოდა. არ ვიცი, რას იტყოდა, გრიბოედოვი ცოცხალი რომ ყოფილიყო. ყველა მისი ნაცნობი, მეგობარი და ახლობელი ციხეში იჯდა. არ ვიცი, ეს უფრო შეაწუხებდა, თუ ის, ქართველები რუსების წინააღმდეგ რომ გამოვიდნენ. მას სჯეროდა, რომ რუსებმა საქართველოში ბედნიერება მოიტანეს და უცბათ ასეთი უმადურება. სოლომონ დოდაშვილის პროკლამაცია რომ წაეკითხა, ალბათ, ვერც გადაიტანდა.

«ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი... თვისი ჩვეულება და... არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არც მონა, ვითარცა აწ არის, მამული ესე ჩვენი.

ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა!

რაისათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი? ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენითა ჩვენს მამათა?

მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ!»

**ნინო** _ რაღაც იდუმალი სიხარული ეუფლებოდა ყველას იმ დღეებში, როცა შეთქმულება მზადდებოდა. უცნაურისა და გაუგონარის მოლოდინში იყო ხალხი. ყველა იზეპირებდა და ერთმანეთს უკითხავდნენ გრიგოლ ორბელიანის ლექსს _ «გივი ამილახვრის აღსარება». მართალია თარგმნილი იყო, მაგრამ ქართულად კარგად ჟღერდა. თავდაპირველად არც ვიცოდით, თარგმნილი რომ იყო. მერე გამოძიებისას გაირკვა თურმე კონდრატი რილეევის «Исповедь Наливайки» გადმოუქართულებია.

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს;
და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს,
და მის დახსნისთვის უზრუნველ თვის სიცოცხლეს კი ჰზოგავდეს.
მტერსა ხანჯალზედ აღგებულს ვინცა სიამით არ ჰსჭვრეტდეს.
და სმენა მისთა კვნესათა გრძნობათა არ უტკბობდეს.
რა სასურველ არს სიცოცხლე, ვაით ამ სოფელს მოსული
და სამარემდის კვნესითვე უღელსქვეშ დამწარებული!
ჰსჯობს იგი მოკვდეს და ანუ არ იქნას დაარსებული!
მხვედრი ესრეთი ვაგლახი არის ვისთვისც განმზადებული!
ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს
რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს!
ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!
მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის;
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თანმდევნის:
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავს შორის გინა ვჯდე,
გინა საყდარსა შესული გულმხურვალებით ვილოცდე!
ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა.
ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.
ვუწყი მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა, პირველად წინა აღუდგეს!

მარა მოძღვარო, მითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს?
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდნიეს?
წარვწყდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;
და მისთვის ესრეთ ჩემს სიკვდილს ადრევ სიამით ვაკურთხებ...

**ნინოს სული** _ უცნაურია კაცის ბედი. ასეთი ლექსის ავტორი მერე რუსეთის მეფის სამსახურში ჩადგა და გენერალი გახდა. თავგამეტებული ემსხურა იმ ქვეყანას, რომელსაც მტრად თვლიდა და მოუწოდებდა _ «ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა». ეს ლესული მახვილი შემდგომ შამილის წინააღმდეგ წარმართა და კვეხნით აგვიკლო _ საქათველოს სისხლს ვიღებო. ნაირნაირი ჯილდოებით მოიქარგა გულმკერდი.

**ნინო** _ გაჩუმდი. მაშინ ყველა ასე იქცეოდა. ალბათ, სულსწრაფობის გამო გვეგონა _ რუსეთს იოლად დავამარცხებდით. ემოციამ შეგვიპყრო. როგორც კი მარცხი განვიცადეთ, მოვიბუზეთ, შევშინდით და თავის გადარჩენაზე დავიწყეთ ფიქრი. მარტო გრიგოლს დაემართა ეს? ყველას, მერე ყველა იმპერატორის ერთგული მსახური გახდა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ _ ვინ უფრო მეტ თავდადებას, ერთგულებასა და სიყვარულს გაუმჟღავნებდა ნიკოლოზ პირველსა თუ ალექსანდრე მეორეს.

**ნინოს სული** _ ყველას არ რგებია ის ბედნიერება, რაც გრიგოლ ორბელიანსა ან მამაჩვენს ერგო. დაგავიწყდა უბედურ სოლომონ რაზმაძეს რა დაემართა? საბრალო, ერთ უბრალო იგავ-არაკს გადაჰყვა. რას ნიშნავს, უბედურ ვარსკვლავზე რომ იქნები კაცი დაბადებული!..

**ნინო** _ თუ ქალი ხარ ახლა ის უსაშველოდ გრძელი იგავ-არაკი არ წაიკითხო. იმის მოსმენის თავი აღარ მაქვს.

**ნინოს სული** _ რატომ, რატომ? მარტო იმ ლექსების მოსმენა გსიამოვნებს, შენ რომ გიძღვნიდნენ? კურკა გრიგოლიც ხომ განებივრებდა!.. «საამო არის საცქერლად ოდენს ვარდი ნინას ეპყრას, მაგრამ ვინ სცნას _ ვინ ვის ჰსუნავს: ნინა ვარდს თუ ვარდი ნინას»... ეს გსიამოვნებს, რაკი შენ გიგალობენ. სოლომონის იგავი კი გღლის, რაკი სამშობლოს უბედურებას ჩივის. ისე გულახდილად თქვი, გამოტყდი: არასოდეს არ გიფიქრია გრიგოლ ორბელიანს გაჰყოლოდი ცოლად? რა იყო, არ მოგწონდა, თუ ალექსანდრ სერგეევიჩზე ნაკლები ბიჭი იყო?

**ნინო** _ მართლა «ხახვის ფრანტები» იყვნენ... ცხოვრება ომებსა და ორთაჭალის ბაღებში ქეიფს გადააყოლეს. შენ გგონია ვუყვარდი? არ დაიჯერო.

«ახ, რა უგემურად ვატარეფთ დროს. აღარ არის სიცოცხლე. ამ ორიოდ დღეში ისევ წავალთ ჩვენ დედათ მონასტერში. რამდენჯერ მოგიგონებ ხოლმე... შენ კი არ ვიცი გახსოვარ თუ არა, მშვიდობით, საყვარელო ძმაო, გთხოვ შენის ლამაზის ლაპარაკით ხშირად გვასიამოვნო ხოლმე. ყველას სასიამოვნოთ გვაქვს შენის წიგნის მოსვლა, მაგრამ ის უფრო უმჯობესი იქნება, რომ პირისპირ მალე გვეღირსოს შენი ნახვა.

შენი ყოველივე ბედნიერების მოსურნე
ნინა ღრიბოედოვა»

**ნინოს სული** _ სიყვარულით როგორ არ უყვარდი, მაგრამ უფრო იმ დანაშაულის გამოსყიდვაზე ფიქრობდა, 1832 წელს რომ ჩაიდინა. მოუსმინე, როგორ იმართლებდა თავს გამომძიებელთან «აღსარების» დაწერის გამო.

«ლექსი სათაურით «აღსარება» წარმოადგენს თარგმანს რუსული ლექსისა სათაურით «ნალივაიკოს აღსარება». მაგრამ რადგანაც შემდგომში, ჩემი რუსეთში ყოფნის დროს, ზოგი ადგილი გადასხვაფერებულია, ზოგი სტრიქონი კი ჩემს მიერ არის შეთხზული, ამიტომ, მე მგონია, რომ ის შეიძლება ჩაითვალოს თარგმანადაც და მიბაძვადაც.

. . .

თარგმანისათვის სტიმული მომცა ლექსის გასაოცარმა მსგავსებამ _ საქართველოს იმ მდგომარეობასთან, როდესაც მას აოხრებდნენ და სძარცვავდნენ სპარსელები, თურქები და ლეკები, ამიტომ მე ვეცადე მიმეყენებინა ლექსი საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისათვის, ამის გამო დედანსა და თარგმანს შორის, უთუოდ იქნებოდა განსხვავება.

საქართველოს აწინდელი მდგომარეობა არის ზავი და მშვიდობიანობა, რითაც იგი უწინ არასოდეს დამტკბარა. ამაზე უკუღმართი წარმოდგენის გულში ჩადება ნიშნავს უგუნურებას. ამიტომ საქართველოს უბედურებათა აღწერა ეკუთვნის არა ამჟამინდელ, არამედ წარსულ საშინელ დროს, საიდანაც მხოლოდ აოხრებულ სოფელთა ნანგრევები-ღა გადარჩა.

ღმერთია მოწამე, რომ მარად ვიყავი მლოცველი იმ ძლიერი ხელისა, რომელმაც შეიფარა საქართველო და იხსნა იგი დაღუპვის საშინელი უფსკრულისაგან. თვით ეს სიტყვები: «ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რამ მსაჯულოვნობდეს... სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს» _ მე მამართლებს იმით, რომ საქართველოს მჩაგვრელთა და ბოროტმოქმედთა მე ვუწოდებ სპარსელებსა და თურქებს, რადგანაც მათი კანონისა და რწმენის მიხედვით, ქრისტიანისათვის მამულის წართმევა და მისი მოკვლა სამართლიან საქმედ ითვლება. და განა შეიძლება ეს მივაწერო რუსებს, რომელთა კანონებიც იცავენ ყოველი ადამიანის საკუთრებას. საქართველო არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი იყო მოხარკე ან სპარსეთისა და ან თურქეთისა, მათ მიერ მორიგეობით მოოხრებული და ამიტომ მე ვერასოდეს ვისურვებდი საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის მფარველობისაგან, ვიცოდი რა რომ ასეთი რამ მისთვის მოასწავებდა იმ კეთილდღეობის დაკარგვას, რომლითაც იგი ახლა ტკბება; ეს ნიშნავდა იმას, რომ იგი კვლავ ჩავარდნილიყო აოხრებათა იმ ჯურღმულში, საიდანაც იგი იხსნა რუსეთის მფარველობამ და ძლიერებამ...

. . .

მე არასოდეს მომსვლია აზრად, რომ მომესურვებინა საქართველოს განთავისულება რუსეთის მფარველობისაგან, არამედ ვიცი და ამაში ღრმად ვარ დაჯერებული, რომ უბედნიერესი დრო საქართველოსათვის მხოლოდ მაშინ დადგა, როდესაც ის შევიდა რუსეთის სულგრძელ მფარველობის ქვეშ და ვლოცავ მის ხსოვნას,

ვინც პირველად განახორციელა ეს აზრი, რითაც იხსნა საქართველო საბოლოო განადგურებისაგან».

**ნინო** _ ალბათ, ქართველთა არცერთი თაობა არ ყოფილა ჩვენსათვის დაბნეული. ჩვენც და ჩვენი მამებიც დიდი სიხარულით შევხვდით რუსთა საქართველოში მოსვლას. დიდედა მიამბობდა, როცა სიონის ტაძარში რუსეთის იმპერატორის 1801 წლის მანიფესტი უნდა წაეკითხათ, რუსებს უფიქრიათ, როგორც კი ქართველები მათი სამეფოს გაუქმების ამბავს შეიტყობენ, მაშინვე ხმლებს დაავლებენ ხელს და თავდაუზოგავ ხოცვა-ჟლეტას გამართავენო. სიონს, თურმე, რუსის ჯარმა ალყა შემოარტყა. ვინცობაა არეულობა დაიწყოს, მაშინვე უნდა ჩავახშოთო. ქალაქის ქუჩებშიც ჯარი ჩაუყენებიათ. რუსები გაბითურებულნი დარჩნენ. მანიფესტი რომ მოისმინეს, პროტესტის მაგიერ ქართველები ისეთ აღტაცებას შეუპყრია, რომ ქუჩაში გამოცვივნულან, ზურნა-დუდუკით ცეკვა-თამაში, მღერა გაუმართავთ. ღვინით, პურმარილით უმასპინძლდებოდნენ რუსებს, კოცნიდნენ და ეხვეოდნენ. გაოგნებული რუსი სალდათები პირდაბჩენილი მისჩერებოდნენ ქართველებს და ვერ მიმხვდარიყვნენ _ რა უხაროდათ, რას ზეიმობდნენ. მხოლოდ 33 წლის შემდეგ გამოვთქვით წერილობითი პროტესტი, როცა დიმიტრი ერისთავმა განიხილა მანიფესტი: спрашиваю благоденствует ли теперь Грузия как обещались? Нет, вот теперь то стоит она перед бездной, еще путь больше только и погибло на веки; вопрос – от кого? Перечесит всех причин ни к чему: Грузию взяла Россия под свой железниый скипетр еще юную, которой можно было дать наилучшее. Напротив они сделали Грузию сылкою всех развратных людей, завели школу где учили разврату всевозможным; убивали способности всех молодых людей, начали одного подкупать для убиения другого, вот в каком положении находится и до ныне Грузия... მართალია, როცა კმაყოფილების დღეებმა გაიარა და მივხვდით _ რა დღეშიც ჩავარდით, აჯანყებანი მოვაწყვეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. რომელიღაც ქართველ დიდებულს გიორგი მეცამეტისათვსი უკითხავს _ დარიალის კარებს რომ აღებთ, შესძლებთ კი მერე მის დაკეტვასო? მეფე გიორგის უპასუხებია: დარიალის კარს ღმერთის ნებართვით ვაღებ და, როცა საჭირო იქნება, ღმერთივე დაკეტავსო იმ კარებს. ახლა აღარ ვიცით, როდის მოისურვებს ღმერთი დარიალის დაკეტვას. დაკეტვა რომ ძალიან დაგვიანდა, შეთქმულების მოწყობა გადავწყვიეტთ. ესეც რომ ჩაგვეშალა, ბოდიშები დავიწყეთ” როგორ გეკადრებათ, რუსეთის საწინააღმდეგო განზრახვა გულში სულ არ გაგვივლიაო. შეთქმულებას თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ ვაწყობდით, იმ თურქეთისა და სპარსეთის, რომელთაც საკუთარი თავი გასჭირვებიათ და საქართველოსკენ, რუსეთის შიშით, აღარც კი იყურებიან. ჩემი ქმარი თვითონ მონაწილეობდა 1828 წელს თურქმენჩაის ხელშეკრულების დადებაში სპარსეთთან. მაშინ სპარსეთმა უარი თქვა საქართველოზე და შეეგუა მის დაკარგვას. ეს სულ გრიბოედოვის დამსახურებაა...

**ნინოს სული** _ ეს კარგი გამახსენე. ის შენი ღრმად პატივცემული თანამეცხედრე, თუ ასე ზრუნავდა და უყვარდა საქართველო, რატომ არ დაინტერესდა 1555 წლის ამასიის ზავით ირანსა და თურქეთს შორის? მაშინ ხომ ირანმა და თურქეთმა საქართველო

გაიყვეს: აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი _ თურქეთს. რა დაუჯდებოდა ალექსანდრ სერგეევიჩს ეთქვა: ამასიის ხელშეკრულება გაუქმებულიაო?..

**ნინო** _ რა მნიშვნელობა აქვს მე-16 საუკუნეში დადებულ ხელშეკრულებას. ნეტა ვიღას ახსოვს იგი? გინდა გააუქმე და გინდა ნუ. სადღაც არქივის მტვერში აგდია ალბათ და თაგვები ჭამს.

**ნინოს სული** _ ნურას უკაცრავად. არც ასე მარტვიად არის საქმე. სულ იმით გვაშინებენ: რუსეთის წინააღმდეგ ხმა არ ამოიღოთ, თორემ წავა იგი კავკასიიდან. მაშინ სპარსელები და თურქები ამოიღებენ ნაფტალინიდან ამასიის 1555 წლის ხელშეკრულებას და ერთი აღმოსავლეთ საქართველოს დაიკავებს და მეორე – დასავლეთსო. მაშინ კი აღარაფერი გვეშველება და სამუდამოდ დავიღუპებითო. ექნა კაცური საქმე იმ ოჯახაშენებულ სიძეს საქართველოსას და გაეუქმებინა ეს ყბადაღებული ზავი. ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენებდით. ჩვენ, მართალი რომ ვთქვა, მაინცდამაინც ვერ ვერკვევით საერთაშორისო სამართლის საკითხებში და ამასიის ხელშეკრულების გახსენებისას გული გვისკდება. გადავერჩინეთ ამ გულისხეთქვისგან იმ შენს პოეტ-დიპლომატს, რა მოხდებოდა? თუ ისიც კაი გაიძვერა იყო და საგანგებოდ დატოვა 1555 წლის ხელშეკრულება ხელუხლებლად? დრო და დრო ამით შეაშინებენ ქართველებს და რუსეთს იოლად შეეძლება მისი შენარჩუნებაო?..

**ნინო** _ რა გინდა ახლა? გინდა ვთქვა, რომ გრიბოედოვს საქართველო უყვარდა, როგორც რუსეთის ნაწილი და არა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა? ა, ბატონო, ვთქვი, რა გვეშველება ვითომ ამით?

**ნინოს სული** _ შველებით არაფერი გვეშველება, მაგრამ თავს მაინც არ მოვიტყუებთ. ესეც საქმეა.

Там, где вьется Алазань,
Веет нега и прохлада,
Где в садах сбирают дант
Пурпурного винограда,
Светло светит луч дневной,
Рано ищут, любят друга...
Ты знаком ли с той страной,
Где земля, не знает плуга,
Вечно-юная блестит
Пышно яркими цветами
И садителя дарит
Золотистыми плодами?..
Странник, знаешь ли любовь,
Не подругу снам покойным,
Страшную под небом знойным?
Как пылает ею кровь,
Ей живут и ею дышат,

Страждут и падут в боях
С ней в душе и на устах.
Так Самумы с юга пыщат,
Раскаляют степь...
Что судьба, разлука, смерть!..

ეს ლექსი რომ ესმით, ქართველები სულ ცხელ-ცხელ კურცხლებს აღვარღვალებენ _ გრიბოედოვს როგორ ჰყვარებიაო საქართველო. იმას აღარ კითხულობენ _ რომელი საქართველო? ორივენი _ რუსებიცა და ქართველებიც _ ლექსებში ერთს წერდნენ, საქმით კი მეორეს აკეთებდნენ. სოლომონ რაზმაძეც იმ ლექსში, შენ რომ არ მოგწონს, მართალს ამბობდა და ზუსტად ხატავდა ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ გამოძიებისას ისიც ამტკიცებდა დათვში რუსეთს არ ვგულისხმობდიო. როგორმე გაუძელი და კიდევ ერთხელ მოისმინე:

დათვი და ცხვარი

ერთს უდაბურსა, ახლოსა მტკვრისა,
სად გულს აამებს წკანწკარი წყლისა,
იდგა მოხუცი, საბრალო ცხვარი,
თავის ცოლითა და შვილებითა.
ჰქონდა ადგილი შემოღობილი,
სად დაენერგა მცირე ხე-ხილი,
და ბაღის შუა მას ედგა ქოხი,
არარა ჰქონდა, პინა და ჯოხი
და კუთხეშია ეყუდა ბარი.
მაგრამ საწყალსა, მოხუცებულსა,
ტურა და მგელი, ვერაგი მელი
არ ასვენებდნენ არც ერთსა წამსა.
ამ სოფელშია ძლიერი სთრგუნავს მარად საწყალსა.
მის ახლოს იდგა დათვი ძლიერი,
და ეპყრა დიდი ველი ტყიერი.
მას მორჩილებდა მის ტყის ნადირი,
და განთქმულ იყო ვით შახნაზირი.
ცხვარმა შესჩივლა ნადირთ მეფესა
და მოახსენა გულმტკივნეულად:
შენი სინათლე აშვენებს მზესა,
მოწყალებითა გევხარ ზევესსა,
არა ყოფილხარ არსად ძლეულად,
აბჯარსა ხმარობ ათასდევულად.
აწ გეაჯები ცრემლთა მფრქვეველი
შენს ახლოსა მაქვს მეც მცირე ხვრელი,
რომლის გამოთხრით ვიტკინე ხელი,

არ მასვენებენ ტურა და მგელი,
და ავაზავი, ქვეშ-ქვეში მელი,
მათგან მედების მე ცეცხლი მწველი.
მიშველე რამე დიდი გაქვს ძალი,
ლამის დავიქცე მე შესაბრალი,
შენ დაიფარე ჩემი ცოლშვილი».
რა მოისმინა პირად მზიანმა,
თავკოდალამა, მცირე ჭკვიანმა,
გასივებულმა ბრჭყალებიანმა
ცხვარის ჩივილი, გლოვა, ტირილი,
დაღუნა თავი, შეუდგა ფიქრსა.
ასე ეგონა საწყალსა ცხვარსა,
რომ დიდათ ილმო მისი ურვაი...
(მოიცა, მელავ, მოგცემს რისხვასა,
დათვი გადგიხდის ჩემს აკლებასა
და მოგეცემა სოფლის მდურვაი).
მსწრაფლ აიხედა, აიღო თავი,
დააბრიალა საშინლად თვალნი,
სისხლმოდენილნი და შეუმკრთალნი,
ცქვიტა ყურები, გაიძრა მკლავი.
მოჰყვა მთქნარებას და გაიზმორა
და წვერი ხელით ჩამოისწორა.
მერე შეჰყვირა გაჯავრებულმა,
როგორც ტვირთულმა წავკისის ვირმა:
«მე ცოცხალი ვარ, როგორ თუ მოხდეს უსამართლობა,
ამას არ დავთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღვთობა».
მიექცა ცხვარსა პანტა ნაჭამი.
უბრძანა სიტყვა გულს საამი:
«აწ წარვედ შინა, ნუღარას ლამი
მე დავუბნელო წუწკის შვილებსა დღეი მზიანი,
აღარ ვაცოცხლო შენის გულისთვის არც ერთი წამი».
ოდეს ესე მოისმინა, სიხარულით გაიცინა.
ადგა, წავიდა მხიარულათა იმედიანი.
ერთ დილას იჯდა მყუდრო ადგილსა საწყალი ცხვარი,
ნახა, რომ მოდის ნადირთა ჯარი,
მათ წინ მოუძღვის მრისხი აფთარი,
მოვიდნეს მასთან და მიესალმნეს,
სიტყვა მცბიერნი მას მოახსენეს:
«ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვავლინა

შენის საზღვრისა დასაცველათა.
აწ შენნი მტერნი ჩვენგან მოისრნეს,
მათთა სიცილთა ვაქცევთ ხველათა».
ეს რა ესმა ცხვარს, მყის მოილხინა,
და სიხარულით ამოიქშინა.
სწრაფლ გაუღო კარი, შეიწვია ჯარი
და უმასპინძლა, მიართვა მწვარი.
ამისა შემდგომ გავიდა ხანი,
გარდაიცვალა საწყალი ცხვარი,
მისთვის ტიროდეს მთაი და ბარი.
რა ესმა აფთარს, მყის ნახა ხანი
თავის ჯარისა: «აწვე წარვედით,
ცხვარის ცოლშვილსა შემოერტყენით».
_ «რა ამბავია, რას გვემართლებით...
რა დავაშავეთ, რაზედ გვიწყრებით?!.»
ამას იძახდნენ... ვინ გაიგონებს?
შენ ნუ მომიკვდე... მოხვიეს ხელი,
და გადაკარგეს ერთობ ყოველი
ერთს ჭაობიანს ადგილსა მყრალსა.
დათვს მოახსენეს მას შეუბრალსა:
«_ რათ გვართმევ საწყალთ ჩვენსა მამულსა,
ეს არის შენის შეწევნის აღთქმა?»
«_ როგორ მიბედავთ? ჩუმად ეგდენით» _
შესძახა დათვმა გაბრაზებულმა _
«მაგ წყალობისაც არა ხართ ღირსნი.
გამიჩენის თქვენთვის ფუთი ბზე,
მოგეფონებათ ჩემის სახის მზე
ათასში ერთხელ. სხვა რაღა გინდათ?
რატომ მადლობას ღმერთს არ შესწირავთ,
რომ თქვენის ქვეყნით გარდმოგასახლეთ?
თქვენ თქვენს მამულსა ვერ მოუარეთ
და ამისათვის ჩვენ შემოვიერთეთ».
_ «ბატონო დათვო! ჩვენ შემოგჩივლეთ
ტურა-მგლისგან და შველა გთხოვეთ,
რადგან ბრძანდებით მეფე ძლიერი» _
უთხრეს ბატკნებმა: «_ ახლა მშიერნი
უნდა ვეყარნეთ. რა შევიმატეთ
თქვენი შველითა? მგელი განსდევნეთ
ჩვენის მამულით, ჩვენ კი დაგვთრგუნეთ

ერთიანათა და დაგვატყვევეთ.
რაც მათ გადარჩათ, სულ თქვენ მიგვიღეთ».
როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად
და აღასრულონ სახარებისა სიტყვანი სრულად.
არ ეჭირებათ მკურნალი მრთელთა,
არამედ სნეულთა და დავრდომილთა».

ალეგორიაა, მაგრამ ხომ მართალია ყველაფერი. ამ სიმართლის მთქმელი შეშინდა და საცოდავად დაიწყო ხვეწნა-ვედრება, მაპატიეთო. იგი საგამომძიებლო კომისიას ემუდარებოდა:

«ცრემლმორეული განვერთხმი მოწყალე კომისიის წინაშე და მგზნებარე გულით შევევედრეიბ ქველმოქმედი თვალით მოხედოს ჩემს უბედურ ობლობის მდგომარეობას. უკვე ექვსი თვის პატიმრობამ გამანადგურა და შეავიწროვა სული ჩემი. უზენაესი გულთამხილველი ჰხედავს, რომ მე ადრევე მოვინანიე ჩემი შეცდომა, ვნანობ ახლაც და ცრემლს ვაფრქვევ, ხოლო ასეთის შეწყალებას ღმერთი გვავალებს. იგი გვავალებს მტერიც კი შევიწყალოთ, ხოლო მე მტერი არ ვარ, არამედ შეცდომაში შეყვანილი, თვითვე რომ ვცდილობდი გამომესწორებინა ჩემი შეცდომა. ღმერთი ჰხედავს, რომ თუმცა ჩემი უგუნურებითა და უვიცობით ჩამიდენია რასაც არ ვიმახსოვრებდი, მაგრამ გულში არავითარი ბოროტი ზრახვა არ მქონია... გავიგე რა ერთ კვირაზე უფრო ადრე შეთქმულების გამომჟღავნება, ვიდრე კურიერი მოვიდოდა ჩემს დასაპატიმრებლად, ვიგრძენი ჩემი შეცდომის მთელი სიმძიმე, რომ მე დავიგვიანე ადრევე მეღიარებინა იგი მთავრობისათვის...

სულგრძელი მამისა და მონარქის, აგრეთვე მთელი უავგუსტესის საგვარეულოს გულისათვის, გასული და მომავალი სადღესასწაულო დღეების სახელით, გთხოვთ, ნუ დაღუპავთ საწყალ ობოლს. ჩემი დანაშაული არ შეიძლება აღემატოს ხელმწიფე იმპერატორის სულგრძელ შემწყნარებლობას. ჩემი სიკვდილი მოჰკლავს აგერთვე აგრეთვე უბედური სამოცი წლის ქვრივს დედაჩემს. თუ მე არ ვარ შეწყნარების ღირსი, ის მაინც შეიწყნარეთ; ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს. უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია. შემოქმედის გულისათვის შეამსუბუქეთ რამდენადაც შესაძლებელია ჩემი ხვედრი. მოგვეცით საშუალება ქვრივმა და ობოლმა სამუდამოდ შევთხოვოთ ღმერთს ხელმწიფე იმპერატორისა და თქვენი კეთილდღეობა. დარწმუნებული ვარ, როგორც ღმერთისა ისეთი იმედი მაქვს, რომ მე რომ შესაძლებლობა მქონდეს განვერთხო იმპერატორის ღვთაებრივ ფერხთა ქვეშე, მისი უზენაესობა, გაიგებს რა ჩემს ობლობას, არ მოისურვებს განგვაშოროს მე და დედაჩემი, მაგრამ, რადგანაც ამის შესაძლებლობა არა მაქვს, ამიტომ თქვენს წინაშე განვერთხმი ტანჯული და გთხოვთ თქვენი მშობლების გულისათვის, ადამიანობის გულისათვის, ნუ წაართმევთ მოხუც ქვრივს უკანასკნელ სიხარულსა და სიცოცხლეს. დაე გაიმარჯვოს თქვენმა კეთილმოწყალეობამ ჩემს უბედურებასა და შეცდომაზე».

**ნინო** _ რა გიკვირს? განა მარტო უბედური სოლომონ რაზმაძე მოიქცა ასე? ყველა შეშინდა, ყველამ დაიყარა თავზე ნაცარი და პატიება ითხოვა.

**ნინოს სული** _ სულ ვფიქრობდი და ვერაფრით გავარკვიე, ვერ დავადგინე: ის ბიჭები, საარაკო გმირობას რომ ჩადიოდნენ თურქეთისა თუ სპარსეთის ფრონტებზე, დაღესტნის მთებში, უდრეკად რომ უშვერდნენ შუბლს და გულმკერდს ტყვიას, ვაჟკაცობის ნიმუშებს რომ აჩვენებდნენ და აღტაცებას გვრიდნენ მტერსა და მოყვარეს, ასე რამ წაახდინა, დააჩაჩანაკა, დააბეჩავა 1832 წელს? ნუთუ ბუასილიანი, წელში ოთხადმოკეცილი რუსი გამომძიებლები უფრო საშიშნი იყვნენ, ვიდრე თურქი ასკერები ან შამილის მიურიდები?

ვერაფერი გამიგია! ჯერ იყო და ქვეყანას ვაჯერებდით _ «ქვეყნის დასაბამითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა... არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არც მონა...», მერე კი იმის მტკიცება დავიწყეთ, რომ «საქართველო არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი იყო მოხარკე ან სპარსეთისა და ან თურქეთისა»... რა არის ეს? რატომ ვიქცევით ასე? ეს ხომ მარტო ჩვენი და ჩვენი თაობის კითხვა არ არის. ამას ხომ მომავალი თაობებიც იკითხავენ. რა ვუპასუხოთ? არ ვიცი და, ალბათ, არც სხვამ იცის. ისე დრო რომ გავა გრიგოლ ორბელიანი დიდი კვეხნით იტყვის:

მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სისხლშემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!..

მაგრამ ერთხელაც არ გაუხსენებია, რა სირცხვილიც 1832 წელს ჭამა. რატომ? ძნელი გასახსენებელია, არა? კი მაგრამ ვაჟკაცობა, სულის სისპეტაკე არ ითხოვს, რომ მარცხიც ისევე აღიარო, როგორც მამაცობით იტრაბახო? თუმცა შენ, დარწმუნებული ვარ, კრინტსაც არ დაძრავ. შენ ხომ მისი პოეზიის გმირი ხარ! სად არის ქალი დედამიწის ზურგზე, რომელსაც არ სიამოვნებდეს და არ უხაროდეს _ როგორ უმღერიან, როგორ «ადიდებენ და ამკობენ!.. შენ რატომ არ უნდა გიხაროდეს!.. რაც მართალი მართალია, დიდებული გოგო იყავი. ახლა, გამოტყდები და იტყვი, რომ ეს ჩემი პოეტი და მომღერალი ზოგჯერ შენი მოწონებული ლაჩარი იყოო? არ იტყვი და მართალიც იქნები. ასეთია ცხოვრება. მისი სილაჩრე ყველას დაავიწყდება, ლექსები კი არა. ვინც მის სილაჩრეს გაიხსენებს, კარგა ლამაზად გაკიცხავენ. გაკიცხვას ვინ აკმარებს, არც დაუჯერებენ. ხალხს არ უყვარს, როცა პოეტებსა და გმირებს სირცხვილისა და სიმხდალის წუთებს უხსენებენ. ხალხს უყვარს, რომ ისინი მუდამ შარავანდედით

მოსილნი იყვნენ. შეიძლება ასეა საჭირო: ხალხი უფრო დიდი სიმართლის მფლობელია, ვიდრე პიროვნება. პიროვნება ხშირად იბოღმება, ხალხი _ არა. პიროვნებას ბევრჯერ ბოღმა ალაპარაკებს, ხალხს _ სიყვარული. ეჰ, გაჩენის დღიდან დღემდე კაცობრიობა ერთსა და იმავე კითხვას სვამს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობს. ჩვენ როგორღა მოვახერხებთ ამას? ამიტომ სჯობს არსებობის უკანასკნელ საათებში სიყვარული გავიხსენოთ და შენი კურკა გრიგოლ ორბელიანის ლექსები გავიხსენოთ. მთი უფრო, რომ ახლა სადღაც დაღესტნის მთებშია და კაციშვილმა არ იცის, რომელი ხის უკან უდარაჯებს სიკვდილი. ზოგს მე ვიტყვი, ზოგიც შენ თქვი.

როს გხედავ მნათო! ღიმილით კერძოდ წარმოვლენილსა,
ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,
სულისა ღელვა მშვიდდების; გული კვალად ჰგრძნობს სურვილსა
და ვნანობ, მიწყევიეს თუ სიცოცხლე დამწარებულსა.

_ ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი:
ოდეს განვნვლი ცხოვრების გზას და მეწევის აღსასრული,
ჩემსა სულსა, რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული,
სამოთხის წილ შენს ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი!

ეს ნატვრა გრიგოლ ორბელიანს არ აღუსრულდება. შკნი სიკვდილის მერე იგი კიდევ 36 წელიწადს იცოცხლებს. მე სული ვარ და ვიცი _ რა იყო, რა არის და რა იქნება.

თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით,
სულისა შენის ტანჯვანი არ არს უკეთუ ოცნებით,
მაშ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შვენებით,
ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის ჭმუნვისა მიღებით.
თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,
ვარდებრივთა ღაწვთა ზედა მარგარიტნი გადმოგცვივის,
თუ შეჰსწყვიტო, შევინანებ, გიმზერ ზუმად და მიხარის.

ვიცი. გაკაპასდები, მაგრამ ეს ვერაგული კითხვა მაინც უნდა მოგცე: რატომ არ უძღვნია გრიბოედოვს არცერთი ლექსი შენთვის? თუ მარტო ამგვარი пошляк-ური სიტყვები იყო საკმარისი? Целую тебя в губки, в грудку, ручки, ножки и всю тебя от головы до ног. მე თუ მკითხავ, ეს უფრო ვნებით დაბრმავებული მამაკაცის სიტყვებია, ვიდრე შეყვარებულის!

**ნინო _** რა გინდა, რას გადაეკიდე ამ გრიბოედოვს?.. რაღა ახლა, 28 წლის შემდეგ გაგახსენდა მისი ავ-კარგი, რაღა ახლა მოინდომე მისი განკითხვა? როდის აქეთ ვეღარ არჩევ ერთმანეთისაგან _ რას წერს ქმალი ცოლს ინტიმურ, პირად წერილში და როგორ უძღვნის ლექსს პოეტი მეგობარ ქალს? მათ შორის განსხვავების პოვნა ვერ მოგიხერხებია?

**ნინოს სული _** განსხვავებას ვხედავ და ვიცი _ რა რას ნიშნავს, მაგრამ ისიც ვუწყი, რომ მაინც სხვა იყო გრიგოლის შენდამი დამოკიდებულება _ ამაღლებული, სპეტაკი, მშვენიერი.

მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვჰგრძნობ,
რომ გხედავ, რადა ვჰწითლდები, რად ვჰკრთები, ვჰშიშობ და ვჰხარობ?
მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰცდილობ,
და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხვრითა ვმეტყველობ?
მრავალგზის ვფუცავ არ გნახო, მაგრამ ყოველჟამს გეძიებ,
როს გხედავ, სულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ.
მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;
ხანა ვჰსწყევ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ.
მრავალგზის ვფუცავ გივიწყო, და ვჰქმნაცა ნება გონების;
მაგრამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის...
გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,
და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის!

გრიბოედოვსაც რომ ერთი ასეთი ლექსი დაეწერა შენთვის, დავიჯერო, არ გაგიხარდებოდა, არ გესიამოვნებოდა? მაგრამ უფრო სახელმწიფო პროექტების წერით იყო გართული და ტრფიალება ნაკლებად ახსოვდა.

**ნინო** _ ტრფიალება არაფერ შუაშია. უბრალოდ მისი ნიჭი სხვაგვარად იყო მოწყობილი. საშას სოციალური, პოლიტიკური პრობლემები აწუხებდა.

Не наслажденье жизни цель,
Не утушенье наша жизнь.
О! Не обманывайся, сердце.
О! Призраки, не увлекайте!..
Нас цепь угрюмных должностей
Отпутывает неразрывно.
Когда же в уголок проник
Свет счастья на единый миг,
Как неожиданно! Как дивно! –
Мы молоды и верим в рай, -
И гонимся и вслед и вдаль
За слабо брежжущим виденьем.
Постой! и нет его! Угасло! –
Обмануты, утомлены.
И что же с тех пор, - Мы мудры стали,
Ногой отмерили пять стоп,
Соорудили темный гроб,
И в нем живых себя заклали.

აი რა აწუხებდა მას. როცა მისი მეგობრები სახრჩობელაზე და ციმბირში წაასხეს, იგი მარტო დარჩა. მის არსებობას თითქოს აზრი აღარ ჰქონდა. თითქოს მისი ცხოვრებაც დამთავრდა, მაგრამ საქართველომ დაუბრუნა მას არსებობის ხალისი, არსებობის წყურვილი, თემებიც მისცა შემოქმედებისათვის.

სამწუხაროდ, ვერცერთი პიესა და დრამატული პოემა, გარდა «ვაი ჭკუისაგან»-ისა, ვერ დაამთავრა. ვერ იტყვი იმას, რომ «რადამისტი და ზენობია», «ქართული ღამე», «მეყალიონე» სუსტი უნიჭო თხზულებანი იქნებოდნენ. მაგრამ უბედურს ყველა ნაწყვეტ-ნაწყვეტ დარჩა. ყველა ესენი ხომ საქართველოთი და ჩემით იყო შთაგონებული...

**ნინოს სული** _ ვიცი, რაც ახლა უნდა ვთქვა მკრეხელობაა, მაგრამ მაინც უნდა გითხრა. გულში ვერ ჩავიყოლებ. დეკაბრისტები რომ დაიჭირეს, მაშინ იგი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს. ეს არაფერი. არ იყო მათთან ორგანიზაციულად დაკავშირებული და ნაძალადევად ხომ არ დასდებდნენ ბრალს. იცი რატომ არ მჯერა, რომ ალექსანდრე გრიბოედოვი იზიარებდა დეკაბრისტთა შეხედულებას? ერთი უბრალო მიზეზის გამო: ფადეი ბულგარინს მეგობრობდა. ვინ არ იცოდა რუსეთში, რომ ფადეი ბულგარინი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო. მეგობრებს ასმენდა. კარგად იცი, როგორ სძულდა პუშკინს ბულგარინი. გრიბოედოვს კი უყვარდა. ტკბილ-ტკბილ წერილებს წერდა და სულ любезный друг-ს, дорогой мой Фадей-ს ეძახდა. რატომ? არ იცოდა ბულგარინის ჯაშუშობაო, ალბათ, ვერ იტყვი. ყველამ იცოდა და საშამ არა?

**ნინო** _ რატომ ვერ ვიტყვი. ბულგარინი რომ ჯაშუში იყო, სწორედ მოგვიანებით გახდა ცნობილი. საშა მაშინ უკვე აღარ იყო ცოცხალი. მანამდე ბულგარინი ისევე იყო რუსი ლიტერატორების საძმოს წევრი, როგორც სხვები _ პუშკინი იქნებოდა, ბარიატინსკი, ლერმონტოვი, ბელინსკი თუ ვინც გნებავს. ასე, რომ ბულგარინის სიყვარული გრიბოედოვის დასამუნათებლად არ გამოდგება. ხოლო თუ დეკაბრისტებს გულით არ მეგობრობდა, როგორც ამას შენ ფიქრობ, ეს უნდა გიხაროდეს კიდეც. დეკაბრისტები ხომ კატეგორიულად მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა არარუსის დაუყოვნებლივ გარუსებას. ასე, რომ იმათ რომ გაემარჯვათ, ახლა ჩვენი ჭაჭანებაც არ იქნებოდა. შეიძლება მარტო სახელი ქართველი, грузин, დარჩენილიყო და ისიც სადღაც ტაიგაში.

**ნინოს სული** _ ღმერთი სამართლიანია. ყველას იმას მიუზღავს, რაც ეკუთვნის. მაგრამ იმას მაინც ვერ დამაჯერებ, რომ გრიბოედოვმა, სამეფო კართან დაახლოებულმა პირმა, დიპლომატმა და პასკევიჩის მოყვარემ და ახლობელმა არ იცოდა _ ვინ იყო ფადეი ბულგარინი. მაგრამ რაც იყო, იყო. მე უფრო მაწუხებს, რომ გრიბოედოვის ერთგულებამ შენც უშვილძიროდ დაგტოვა და გრიგოლიც.

ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფასად მიღირს კვალად სიცოცხლე,
ვინც დღენი დამწარებულნი წყნარის ღიმილით მინათლე!
ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე, შენგან სიშორის სიმწარეს?
და ვიდრე ცრემლით შორიდგან ვუმზერდე სასურველს მხარეს?
სანატრელ ჟამი შეყრისა, როს მოვალს სიტკბოებითა;
ცამ შეჭმუხვნილმან ჩემდამო, როს მოიდაროს შვებითა?
ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის სიცოცხლის შვენებას?
რომ უგრძნობლობით ქვა-ქმნილი ვერ სცნობდეს თვისსა ობლობას?
თვით სიშორეცა შემექმნა ეშყის ცეცხლზედ ცეცხლდამმართი,

მიკკირს ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?
ვჰსცან, ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა ნამდვილი,
თვარა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მე ცრემლი!
ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშყის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

სიყვარულის ისეთი რა წამალი დაგალევინა გრიბოედოვმა, რომ ეს ღაღადისი ვერ გაიგონე და ისე კვდები, რომ მადლიერი თვალითაც არ შეგიხედავს იმ კაცისათვის!.. მაგრამ შენ ერთს იყავი შეწირული, რადგან

Лишь я одна могла ему
Откликнуться душой...
Он так даво меня любил,
И так был рад, так рад,
Когда вдруг понял, отчего
Туманится мой взгляд...

ასე არ გათქმევინებს მერე იაკობ პოლონსკი?.. პეტერბურგელი და მოსკოველი მზეთუნახავების ზღვაში რაღა მარტო შენ შეგეძლო _ откликнуться душой? რა, სხვებს ყველას დახშული ჰქონდა გულიცა და ყურიც? 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამდე რომ ეცოცხლა ალექსანდრე გრიბოედოვს, მაშინ გავიგებდი რამდენად გულწრფელად უყვარდი. რას იზამდა, როცა შეიტყობდა, რომ მისი სიმამრი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულების მონაწილეა. იმ შეთქმულების მონაწილე, რაც მიმართულია საქართველოში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. როგორ მოიქცეოდა, ვის მხარეს დადგებოდა. აქ გამოჩნდებოდა მისი გულწრფელობა და შენი სიყვარული.

**ნინო** _ ძალიან გაინტერესებს იცოდე პასუხი? ვის მხარეს იყო თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი პავლე ზაველეისკი? შეთქმულების. ვინ და ვინ შეადგინა «რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის დაფუძნების პროექტი»? გრიბოედოვმა და ზაველეისკიმ. მათ ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ ამიერკავკასისი ეკონომიკურ მომავალზე. ორივე კარგად ხედავდა, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით, მაგრამ მათი გამოყენება არ ვიცით. მარტო კახეთში ყოველ წელიწადს 1 700 000 ვედრო ღვინოს ამზადებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ჭურჭელი არ ჰქონდათ, ეს ღვინო არ იყიდებოდა და არავითარი შემოსავალი არ შემოჰქონდა. სათანადო ჭურჭლის დამამზადებელი მრეწველობის შექმნა განა დიდ მოგებას არ მოგვცემდა? ამას ებრძოდა გრიბოედოვიც და ზაველეისკიც, როცა თავიანთ პროექტში მოითხოვდნენ საქართველოს ეკონომიკის სამი მიმართულებით გაძლიერება-აღორძინებას. უნდა დაეფუძნებინათ კომპანიები _ სამიწათმოქმედო, მანუფაქტურული და სავაჭრო. ეს რომ განხორციელებულიყო, ხომ წარმოგიდგენია, როგორ აყვავდებოდა ჩვენი ქვეყანა?

მარტო ის რად ეღირებოდა სამრეწველო ხასიათი რომ მისცემოდა ჩვენში მეღვინეობას, მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, სააფთიაქო და სამღებრო საქონლის დამზადებას. ამასაც ხომ ითვალისწინებდა პროექტი?

მტკვრის გაწმენდა და მასზე ნაოსნობის მოწყობა!.. როგორ გააუმჯობესებდა ეს სამგზავრო პირობებს!..

არ გესმის, რატომ ითხოვდა ორივე დიდი საზღვაო პორტი ბათუმში უნდა აშენდესო?.. ბათუმი ხომ მაშინ ჯერ კიდევ თურქების ხელში იყო. სხვა ადგილი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არ იყო, რომ ბათუმს არ ჩასცივებოდნენ? იყო, რათ თქმა უნდა, იყო, მაგრამ ბათუმის მოთხოვნით, იქ პორტის აგებით, თურქეთთან ომისაკენ აქეზებდნენ მთავრობას, რათა საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი დაებრუნებინათ და ქართველობა ეხსნათ თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ტყვეობისგან. ეჭვი ნუ შეგეპარება, რომ ამისთვის იყო პროექტში შეტანილი ბათუმში პორტის აშენების მოთხოვნა.

იმასაც ხომ მართალს ამბობდა, რომ მრეწველობის განვითარება და მასში ქართველობის ჩაბმა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენში სწავლა-განათლების გავრცელებას. ჩემგან არ გესწავლება, თავადაც კარგად იცი _ როგორ ათვალწუნებით ვუყურებდით ჩვენ საგანმანათლებლო საქმეს. ასე იყო და დღესაც ასეა: თბილისის გიმნაზიაში მშობლებს ფულს უხდიან, რომ შვილები სასშავლებლად შეიყვანონ. მადლობა ღმერთს, ამის მოწმენი თავად ვართ. მაგრამ მაინც ბევრი არაფერი გამოდის. სწავლა არავის უნდა. როცა მრეწველობა-აღებ-მიცემობაში ჩაებმებოდა ქართველი, აუცილებლობა აიძულებდა გულითა და სულით, ბეჯითად მოჰკიდებოდა სწავლას, განათლებას. გაუნათლებელი კაცი ვერც მიწისმოქმედად ივარგებს, ვერც მრეწველად და ვერც ვაჭრად. ამიტომ ეკონომიკის აღორძინება ბუნებრივად გამოიწვევდა კულტურისა და განათლებსი აღორძინებასაც. განა ეს აზრი მართალი არ არის და ამაში არ უნდა დაეთანხმო გრიბოედოვსაც და ზაველეისკისაც? იმასაც ხომ მოითხოვდა, რომ მმართველობის ხასიათი შეცვლილიყო. ძალდატანებით მმართველობას ადგილი დაეთმო უფრო სრულყოფილისათვის, რომელიც უფრო შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს.

მერედა, ამგვარად მოაზროვნე კაცი ქართველთა თავისუფლებას განუდგებოდა და 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობას არ მიიღებდა? მეც განმიდგებოდა, მამაჩემსაც და ზაველეისკისაც, მეგობარსა და თანამოაზრეს? მე ამას ვერ დავიჯერებ.

**ნინოს სული** _ ნუ დაიჯერებ. მე კი არ გაძალებ. არც იმაში გედავები, რომ Проект учреждения Российской Закавказской компании-ის განხორციელება ეკონომიკურად დიდად შეუწყობდა ხელს საერთოდ ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს აღორძინებას. მაგრამ მე ის არ მჯერა, რომ იგი პროექტს ჩვენი კეთილდღეობისათვის ადგენდა. პროექტი დგებოდა რუსეთის იმპერიის გასაძლიერებლად და ამიერკავკასიაში სამუდამოდ დასამკვიდრებლად. ეს ხომ მისი სიტყვებია: извлечь из него (ამიერკავკასიის აღორძინებისგან) истинную пользу для всей империи? ის რომ ზუსტად ჩამოთვალე, რაც ჩვენი სასარგებლო იყო პროექტში, იმაზე რატომ გაჩუმდი, რაც ჩვენს არსებობას ემუქრებოდა?

ხომ მოსწონდა და უჭერდა მხარს იმას, რომ ამიერკავკასიაში საერთოდ და კერძოდ საქართველოში დაუსახლებელი მიწები მიეცათ ყველასათვის, ვინც ამას

მოისურვებდა, სულერთია ვინ იქნებოდა ეს – ადგილობრივი მკვიდრი, უცხოელი თუ იმპერიის ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსული მოქალაქე!.. მხარს უჭერდა და მერე როგორ. საფრანგეთის კონსულს გამბას 15 000 დესიატინა ტყე მისცეს იმერეთში. მხოლოდ 1 მანეთს ახდევინებდნენ ერთ დესიატინაზე და ისიც ნისიად. ექვსი წელიწადი შეეძლო ეს ფული ეხადა. მხოლოდ ერთი პირობა უნდა შეესრულებინა: ფაბრიკები აეშენებინა და მუშახელი დაესახელებინა. რა მოხდა? რაკი ქართველებმა ფაბრიკებში მუშაობა არ იციან, იმათ ჩამოვასახლებთ, ვინც ამ საქმეში გაწაფულიაო. მოვიდა უცხო ტომი და წაიღო ჩვენი ისედაც ერთი ციცქნა ტერიტორია. ახლა განვსაჯოთ _ რა უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული იყო ჩვენთვის, იმ ფაბრიკებში დამზადებული საქონელი თუ სამუდამოდ უცხოსათვის მიცემული ქართული მიწა-წყალი?

ყური კარგად დამიგდე და განმიმარტე, რას ნიშნავს ეს სიტყვები: Никогда войско, временно укрощающее неприятеля, или готовое только истребить его, не может так прочно обуздать и усмирить вражду, как народонаселение образованное и богатое, которое оттеснит до крайних пределов варварские племена, или примером своим и обоюдностью выгод сольет их с собою в один состав плотный и неразрывный.

იმედი მაქვს ამის თარგმნა ქართულად არ დაგჭირდება. რაც უნდა იყოს, რუსი პოეტის ცოლი იყავი და არასოდეს არ გიჭირდა რუსული. Сольет в один состав плотный и неразрывный. ე.ი. ქართველები და რუსები შეერწყმოდნენ ერთმანეთს მჭიდროდა და განუყრელად. როგორ ფიქრობ, ვინ დარჩებოდა მოგებული ამ слияние–შერწყმისგან?

შენის ნებართვით კიდევ გაგახსენებ გრიბოედოვ-ზაველეისკის ერთ აზრს:

Ничто не скрепит так твердо и нераздельно уз, соединяющих россиян с новым их согражданам по сю сторону Кавказа, как преследование взаимных и общих выгод. До сих пор русский заезжий чиновник мечтал только о повышении чина и не заботился о том, что было прежде его, что будет после, в том краю, который он посетил на короткое время. Он почитал Тифлис, или какой-лиюо другой город за Кавказом местом добровольной ссылки, коротое желает как можно скорее оставить, чтобы возвратиться во свояси. Прибавим еще в отношении к чиновникм, приезжающим сюда на службу, что из них отличенные истинными достоинствами лишают свою родину талантов, усердия, которые они ей должны были нести в дань предпочтительно видам своей личности. Сознаемся, что Россия не имеет еще чрезмерного количества людей способных и образованных и наделяя ими колонии свои или завоеванные ею иноплеменные провинции, она себе во вред истощается. С другой стороны выходцы из России, заметные по отсутствию полезных и похвальных качеств, водворяют токмо безнравственность, и без того уже глубоко вкорненную в Азии при необразованности народов, населяющих сию часть света... Компаниа, в обширных занятиях своий привлечет к соучастию и займет, кроме выходцев русских и других европейцев, деятельность множества туземцев, вского сословия, различных языков и разных исповеданий. Ничто в свете не может так скоро и действительно послужить к их сближению между собою...

როგორც ხედავ აქაც შერწყმაზეა ლაპარაკი, ეროვნული თვალსაზრისით, თან იმასაც გვამადლის ნიჭიერი ჩინოვნიკები თავად რუსეთს სჭირდება და ზოგჯერ ისინი იძულებული არიან აქაც ჩამოვიდნენ, რის გამოც თურმე რუსეთი უძლურდება. მაშასადამე, მის პროექტს ეკონომიკური საფუძვლის შექმნა უნდოდა ამიერკავკასიის გასარუსებლად. ეს დღესავით ნათელია და გინდა დამარწმუნო, რომ კაცი, რომელსაც ამგვარი მიზანი ჰქონდა, 1832 წლის შეთქმულებაში ჩვენ გვითანაგრძნობდა? მტერი არაა იმის მეტი. გვითანაგრძობდა კი არა და სულ მათრახებით აგვიჭრელებდა ზურგს. დამერწმუნე, არც შენ დაგინდობდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდი, როგორიც იაკობ პოლონსკიმ აღწერა:

В Тифлисе я ее встречал...
Вникал в ее черты:
То – тень весны была, в тени
Осенней красоты.
Не весела и не грустна, -
Где б ни была она
Повсюду на ее лице
Царила тишина.
Ни пышный блеск, ни резвый шум
Полуночных балов,
Ни барабанный бой, ни вой
Охотничьих рогов,
Ни смех пустой, ни приговор
Коварной клеветы,
Ничто не возмущало в ней
Таинственной мечты...
Как будто слава, отразясь
На ней своим лучом,
В нему берегла покой души
И грезы о былом
Или о том, кто, силу зла
Изведав, завещал
Ей всепрощающую скорбь
И веру в идеал...

შენი იდეალი და ალექსანდრე გრიბოედოვის იდეალი არ შეიძლებოდა დამთხვეოდა ერთმანეთს. ეს იყო შენი საბედისწერო შეცდომა. სხვათა შორის, არც პავლე ზაველეისკის იდეალი. იგი პოლონელი იყო. სულ ორიოდე წლით ადრე, 1832 წლის შეთქმულებამდე, სისხლში ჩაახრჩვეს პოლონეთის აჯანყებაც. ამ საქმეში თავი ძალიან გამოიჩინა ჩვენში მთავარმმართველად ნამყოფმა, გრიბოედოვის კეთილისმყოფელმა და მოყვარემ გრაფმა პასკევიჩმა. ის სისხლი ეძახჟა ზაველეისკის შურისგებისაკენ და

ამიტომ მონაწილეობდა ჩვენს შეთქმულებაში. გრიბოედოვი კი რუსი იყო და პასკევიჩზე არანაკლებ ცდილობდა რუსეთისათვის შეენარუნებინა პოლონეთიც და კავკასიაც. ასე, რომ ზაველეისკისა და მისი მეგობრობა საქმეს არ შველის.

**ნინო** _ შენ არ იფიქრო, რომ ჩემი სიყვარულისა და წარსულის დაცვა მინდა. არა. მე კარგად მესმის ჩემი პირადი პასუხისმგებლობაც და ჩემი ოჯახისაც... მაგრამ ისიც მესმის, რომ არა მარტო ჩვენი და ჩვენი მამების თაობა, არამედ მთელი საქართველო ჩიხში მოექცა. მე რომ რიგითი ქართველი არისტოკრატის ქალი ვყოფილიყავ, მაშინ არ ვიგრძნობდი პასუხისმგებლობას და არც სხვები მომკითხავდნენ, მაგრამ მე შვილიშვილი ვარ გარსევან ჭავჭავაძისა და შვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის. ჩემი წინაპრების პასუხისმგებლობა მაწევს მე მხრებზე და იგი მეტისმეტად მძიმეა ერთი უბრალო ქალისათვის. პაპაჩემი ფიქრობდა, რომ იგი დიდ, სამომავლო საქმეს უკეთებდა საქათრველოს, როცა რუსეთის იმპერატორებს კარი აუტალახა საქართველო შეიერთეთო.

ასევე იფიქრა ბოლოს მამაჩემმაც. მანაც ჩათვალა, რომ რუსეთის მფარველობა იყო ერთადერთი გზა საქართველოსთვის. თუმცა ის კი უნდა ვთქვა, რომ დროდადრო ეჭვი ეპარებოდა და თავში გაუელვებდა, რომ 1801 წელს საბედისწერო შეცდომა მოხდა. ასევე იყვნენ დაეჭვებული თუ დარწმუნებული სხვანიც. ჩემი ეპოქის უკეთესნი შვილნი საქართველოსნი: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი... ყველა მათგანი ფიქრობდა საქართვლოს რუსეთის იმპერიაში შესვლა სასურველი საქმე იყო და ამავე დროს ეეჭვებოდათ ეს. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო გაორებული საქართველოა. ამ დროის საქართველოში მე არ მეგულება კაცი, რომელიც გულში ამ გაორებას არ ატარებდა. მეც იმ დროის შვილი ვარ და მეც გაორებული ვარ. მე თავსაც ვიცავ და იმ კაცსაც, ვის ხსოვნას მთელი სიცოცხლე შევწირე. არ მინდა დავიჯერო რომ გული მივეცი ნებით თუ უნებლიეთ მტერს. თუმცა, როგორც გაორებულს, ეს ეჭვი მეც გამკენწლავს ჟამიდან ჟამზე. როგორც პიროვნება გრიბოედოვი არ შეიძლება ჩვენი მტერი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც რუსი ჩინოვნიკი, ვისაც მოვალეობა პირნათლად უნდა შეესრულებინა, როგორც ჩანს, იყო დუშმანი. ისიც გაორებული იყო და იმიტომ. შენ ჩვენს გაორებულობას იყენებ და კუთხეში გინდა მიგვამწყვდიო. ისედაც მიმწყვდეული ვართ. ჩვენ დრომ გამოგვიტანა განაჩენი და გვითხრა, რომ შორსმჭვრეტლნი არ ვყოფილვართ. ჟამის დინება ვერ ამოვიცანით. ის, რაც კარგი გვეგონა, ცუდი აღმოჩნდა. ის, რასაც მომავლისთვის ვაკეთებდით, მომავალმა უარყო. აქ შენ მართალი ხარ, მაგრამ წარსულის უარყოფა რომ არ შეიძლება? როგორც უნდა არ მოგწონდეს იგი, მაინც ხომ შენი წარსულია. როგორ გათავისუფლდები მისგან?

**ნინოს სული** _ არავინ აპირებს წარსულისაგან გათავისუფლებას. წარსულისაგან თუ გათავისუფლდი, მაშინ სიცარიელე დარჩება. სიცარიელე უარესია, ვიდრე ცუდი წარსული. მე მხოლოდ სიმართლის მიგნება მინდა და ეჭვისაგან თავის დაღწევა. რა იყო სწორი და მართალი იმ თაობის ცხოვრებაში, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოს წარმოადგენს, და რა არა. როგორ შეიძლება შეერთდეს და ერთ მთლიანს

წარმოადგენდეს თაობა, რომელიც 1832 წლის შეთქმულებაშიც მონაწილეობდა და შამილსაც ებრძოდა დაღესტანში, ინგუშეთსა და საჩეჩნოში. განა შეიძლება ერთ ადგილას თავისუფლების ტრფიალი მეორე ადგილას თავისუფლებას ებრძოდეს? განა შეიძლება სენატის მოედანზე იმისათვის გამოხვიდე და ტყვიას შეეგებო, რომ ერთი ხალხისათვის თავისუფლება მოითხოვო, ხოლო სხვებისათვის გადაშენება? ნუთუ მრავალი საუკუნის წინათ იმიტომ ითქვა _ არ არის ელინი და ბარბაროსი, _ რომ ამ სიბრძნის აზრი განათლებულ მე-19 საუკუნეში ვერ გავიგოთ? ნუთუ ამის პასუხს სიკვდილის პირასაც ვერ მიიღებს ადამიანი?

**ნინო** _ ადამიანში ნაირნაირი ვნება ბობოქრობს და ვის ძალუძს გამოიცნოს, როდის რომელი გაიღვიძებს. როცა 1854 წლის ზაფხულში, შამილის კაცები თავს დაესხნენ წინანდალს და ჩემი ძმის დავითის ცოლ-შვილი ტყვედ წაასხეს დაღესტანში, მე მზად ვიყავი სათითაოდ ამომეწყვიტა ყველა დაღესტნელი. მე, რომელსაც ქათმის დაკვლაც არ შემელო, მაშინ დიდი სიამოვნებით ამოვუდგებოდი გვერდით ლევან მელიქიშვილსა და გრიგოლ ორბელიანს და უმოწყალოდ გავჟუჟავდი ყველას. ოთხი თვის ლიდიას სიკვდილი რომ შევიტყვეთ, მეც და კატინაც გიჟებს დავემსგავსეთ. სულ არ გვიფიქრია იმაზე, რამ აიძულა შამილი ეს ჩაედინა. ჩვენ მხოლოდ ჩვენსას ვსტიროდით. ჩვენმა მწუხარებამ გონიერება დაჩრდილა. ალბათ მამაკაცს კიდევ უფრო ძლიერ იპყრობს შურისგების გრძნობა და ამის ბრალი თუა ის, რომ ვენები ასე თავგამეტებით ებრძოდნენ დაღესტნისა და საჩეჩნოს დიდ იმამს. რაც ჩვენ იმათგან ტკივილი გვახსოვს, რბევა-აწიოკება, ძარცვა-გლეჯა, როგორ გინდა ეს დაივიწყო. მართალი ბრძანდები, ჭკუა და გონიერება ითხოვდა ჩვენც იმათ ამოვდგომოდით მხარში საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ძველი წეყნის გახსენებამ დააბრმავა ჩვენი თვალი, ბნელი გადააფარა ჩვენს გონებას. ასე დაგვდევს ჩვენი წარსული და თუ დიდი სიფრთხილე არ გამოიჩინე, ისეთ შეცდომას ჩაიდენ, რასაც ვეღარ გამოასწორებ. მაგრამ მითხარი, როგორ უნდა შეინარჩუნო წონასწორობა, როცა შეიტყობ იმ პასუხს, რაც მაშინ შამილმა გამოგზავნა. ტყვედწაყვანილი ჩემი ვაჟი – ჯემალედინი _ დამიბრუნეთო, მასთან ერთად ჩემი დისწული ჰამზადი, ავარიელი ალი-ბეგის შვილი _ ხარასილაუ, ჰამზადის შვილი _ შახისმაილი, მათთან ერთად სხვადასხვა დროს დატყვევებული 116 კაცი და ყველაფერ ამას ერთი მილიონი ვერცხლის ფულიც დაუმატეთი. როგორ უნდა გაგვეკეთებინა ეს? ჩემი ძმის ოჯახი განწირული იყო, მაგრამ იმპერატორი დათანხმდა შამილის მოთხოვნას და ტყვეების გაცვლა-გამოცვლა მოხდა.

**ნინოს სული** _ იმასაც ნუ დაივიწყებ, როგორი პატივით ექცეოდა შამილი დავით ჭავჭავაძის სახლობას. როგორ უვლიდნენ მათ.

**ნინო** _ არ ვივიწყებ. მე, პირადად, არასოდეს წამომცდენია შამილის აუგი. მეტსაც ვიტყვი, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თუ ვინმეს ეთქმოდა კაცი და ვაჟკაცი, უპირველესი შამილი იყო. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ არსებობს ისტორიული სიძულვილი, რომელსაც ვერ მოერევი. იგი მუდამ გახსენებს თავს და, რარიგ სამწუხაროც უნდა იყოს, ხშირად ჩაგადენინებს საბედისწერო შეცდომას. ამ ისტორიულმა სიძულვილმა გვიბიძგა ჩვენ შამილისა და ჰაზავათის წინააღმდეგ, რაც მისთვისაც უბედურების

მომტანი აღმოჩნდა და ჩვენთვისაც. განა იმავე ისტორიულმა სიძულვილმა არ გვიბიძგა ჩვენ რუსეთის მკლავებისაკენ? თურქებსა და სპარსელებს ჩვენი სისხლი რომ არ ეღვარათ, ჩვენ არ დავიწყებდით თავშესაფრის ძებნას და მშვიდად ვიცხოვრებდით მეზობლების გვერდით. ამიტომ უნდა ისწავლო, როგორ იცხოვრო მეზობელთან, თორემ ვინ იცის, ისტორიული სიძულვილი რას გადაგკიდებს. ჩემშიაც დუღდა ისტორიული სიძულვილი და რაც შეცდომა ჩამიდენია, სულ ამ ბოღმისაგან. როდის გავთავისუფლდებით ჩვენ ამ ბოღმისაგან? ან ჩვენი მეზობლები როდის მიხვდებიან ამას? თუ ვერ მოვახერხეთ ამ ისტორიული სიძულვილისაგან გათავისუფლება ჩვენც და მათაც, ჩვენი საშველი არ იქნება. არც მათ დაადგებათ კარგი დღე. ეს ჩვენმა ისტორიამ დაადასტურა. ჩემი უკანასკნელი საათის წინ სწორედ ამ ისტორიული სიძულვილისაგან გათავისუფლება უნდა ვუსურვო ჩემს ხალხსაც და ჩვენს მეზობლებსაც _ თურქები იქნებიან ისინი თუ სპარსელები, სომხები თუ აზერბაიჯანელები, ჩრდილოკავკასიელები თუ სხვები.

**ნინოს სული** _ ჩვენ ახლა აღარაფრის შეცვლა შეგვიძლია, რადგან სადაც არის მარადისობას შევერწყმით, სადაც აღარც სიყვარულს აქვს ფასი და აღარც სიძულვილს. ჩვენ ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ უკანასკნელად მივმართოთ ღმერთს, იქნებ ჩვენი ღაღადისი იმათ მაინც გაიგონონ, ვინც მიწაზე ცოცხალი რჩება.

შენდამი, უფალო, აღვიღე სული ჩემი.

გზანი შენნი, უფალო, მაუწყენ მე და ალაგნი შენნი მასწავენ – მე.

ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენიებ; წყალობითა შენითა მომიხსენე მე სიტკბოებისა შენისათვის, უფალო.

ვიდოდიღათუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტებისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან _ ამათ ნუგეშინის _ მცეს მე.

ნუ მიმიზიდავ მე ცოდვილთა თანა და მოქმედთა თანა სიცრუვისაითა ნუ თანა _ წარწყმედ მე, რმოელნი იტყვიან მშვიდობასა მოყვასისა მათისა თანა, ხოლო უკეთურებასა _ გულთა შინა მათთა.

მიეც მათ, უფალო, საქმეთა მათთაებრ და უკეთურებისამებრ საქმეთა მათთაისა; საქმეთაებრ ხელთა მათთაისა. მიეც მათ და მოგე მისაგებელი მათი მათვე.

უსაჯეთ ობოლსა და გლახაკსა, მდაბალი და დავრდომილი განამართლეთ.

განარინეთ გლახაკი და დავრდომილი და ხელთაგან ცოდვილისათა იხსენით იგი.

გული ჩემი და ხორცნი ჩემნი იხარებდეს ღმრთისა მიმართ ცხოველისა, რამეთუ სირმანცა პოვა თავისა თვისისა სახლი და გვრიტმან ბუდე თვისი, სადა დაისხნეს მართვენი თვისნი: საკურთხეველი შენი, უფალო ძალთაო, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო.

უფალი ძალ არს ერისა თვისისა და შესავედრებელ არს ცხვორებად ცხებულისა თვისისა.

აცხონე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი და დამწყსენ და აღამაღლენ იგინი უკუნისამდე.

ამინ!

## რაისთვის დამიტევებ?

«ელი, ელის ლამა საბაქთანი?
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,
რაისთვის დამიტევებ მე?»
(მათე, 27.46)

მოქმედნი პირნი

ფატი _ რეჟისორი
ელენე
ნინო
ანდრია მსახიობები
სანდრო
შალვა

ინტერმედიის მონაწილე მომღერლები და მოცეკვავენი.

ლიტერატურული კომპოზიცია ერთ მოქმედებად და ოთხ ინტერმედიად.

შენიშვნა: ინტერმედია მესიკისა და ქორეოგრაფიის საშუალებით უნდა გამოხატავდეს ილიას დროინდელი საზოგადოების უდარდელობას, უზრუნველობას, თვითკმაყოფილებას. კომპოზიციაში ჩემს მიერ მოხმობილი ტექსტები, არც სიმღერები და ცეკვები, სავალდებულო სრულებით არ არის. აქ თავისუფლად შეიძლება სხვა ლექსების, სხვა სიმღერების და ცეკვების გამოყენება (რეჟისორის შეხედულებისამებრ). რაც მოშველიებულია, მოშველიებულია იმისათვის, რომ მკაფიო გამეხადა ინტერმედიის დანიშნულება.

(სანამ ფარდა გაიხსნება, დარბაზში ისმის ჰიმნი «ბედნიერი ერი». «ბედნიერი ერის» მუსიკა ძალიან უნდა ჰგავდეს «მარსელიეზას» და უნდა სრულდებოდეს ისევე ამაყად, როგორც ფრანგები მღერიან თავიანთ ჰიმნს).

**ელენე** _ დღეს ძალიან იგვიანებს. ნეტავ რა მოუვიდა?

**შალვა** _ პიესის მაგიერ, მოიტანა რაღაც ნახევარფაბრიკატი. თავი ჩვენ უნდა ვიმტვრიოთ. თვითონ მოსვლასაც არ კადრულობს.

**ანდრია** _ იპოვნე დრო და გაჰკარი კბილი?

**სანდრო** _ ბუკინისტურ მაღაზიაში შეივლიდა. წიგნების ჭიაა. შეხედეთ, რამდენი წიგნი შეაგროვა. ეს მასალა ერთ პიესას კი არა, ათ რომანს ეყოფა.

**ნინო** _ ჩვენ პიესა გვჭირდება და არა მასალა. უკვე ერთი კვირაა, ყოველდღე მოვდივართ რეპეტიციაზე... ვიცდით, ვიცდით... მოვა, ყველაფერზე ვილაპარაკებთ, გარდა წარმოდგენისა... მერე დავიშლებით და წავალთ შინ... როდემდის?

**სანდრო** _ შენ იმღერე, დაუკარი. როლი თუ მოგცეს, ითამაშე. იცის დრამატურგმა თავისი საქმე და აცალე.

**ნინო** _ შენ გინდა თქვა, რომ მე სათამაშო ტიკინა ვარ და საკუთარი ჭკუა არ გამაჩნია.

**ანდრია** _ იწყება ძველთაძველი და ნაცნობი ბატალიები. არ მოგწყინდათ?

**სანდრო** _ ვინ გაკადრა. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მსახიობი დრამატურგის საქმეში არ უნდა ერეოდეს-მეთქი, მეტი არაფერი.

**ელენე** _ ამას ვინ ამბობს, ვინ? კაცი, რომელიც თავისი «თეორიებით» დრამატურგებს და რეჟისორებს სისხლს უშრობს? ყველას ჭკუას ასწავლის?

**შალვა** _ «სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი».

**ანდრია** _ ამ უაზრო კინკლაობას ის არ სჯობს, მომავალ წარმოდგენაზე ვიფიქროთ?

**ნინო** _ შენ იფიქრე, მე ნახევარ საათს კიდევ მოვიცდი და, ჰაიდა, მერე წავალ...

**სანდრო** _ სხვა თეატრებში კალთას გახევენ?

**ნინო** _ ოჯახს მივხედავ, ბატონო, ოჯახს. შენსავით არ ვარ ხელოვნების ზვარაკი. ქმარი მყავს და შვილები.

**ფატი** _ (რომელიც აქამდე თავისთვის წიგნს კითხულობდა) _ სასამართლო დოკუმენტები, რომელიც ილიას მკვლელობას ეხება, გადაყრილი, საყასბოში უპოვნია რეჟისორ საშა მიქელაძეს.

**ელენე** _ არ გადამრიო!.. რა უნდოდა საყასბოში სასამართლო დოკუმენტებს!..

**სანდრო** _ ეს წიგნი 1938 წელს არის გამოცემული. დათვალეთ, აბა, რამდენი წელია გასული. ახლა შეიტყვეთ?

**ნინო** _ არ ვართ, ბატონო, შენსავით ნაკითხი და განათლებული. გვაცალეთ, დაგვიანებით მაინც შევიტყოთ, რაშია საქმე.

**ფატი** _ (კითხულობს) «ილია ჭავჭავაძის შესახებ სასამართლო გამოძიებათა და სხვა სახით დაგროვილ მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი სავსებით დაკარგულია. ერთი ან იქნებ რამდენიმე ტომი ი.ჭავჭავაძის მკვლელობის საქმისა ვიღაცას არქივთსაცავიდან გაუტანია იმ მიზნით, რათა გაენადგურებინა. ამ გატანილ მასალათა ერთი ნაწილ, შემდეგ, კირკის ქუჩაზე საყასბოში უპოვნიათ, ხორცის შესახვევად და პარკებად გაკეთებული. მოქალაქე ალექსანდრე მიქელაძეს უცვნია რა იმ «მაკულატურის» რაობა, შეუსყიდია ეს აბნეული ქაღალდები, აუკინძია და 1928 წელს კვლავ გადაუცია ჩვენი არქივთსაცავისათვის...»

**შალვა** _ წარმომიდგენია, რა სასაცილოდ ყვებოდა, ალბათ, ამ ამბავს საშა!.. აფსუს, ერთხელ მაინც მომესმინა.

**სანდრო** _ მართლაც გასაოცარია, დაუჯერებელია, ეროვნული ისტორიის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საბუთები არქივიდან გამოიტანო და გადაყარო...

**ანდრია** _ რა არის გასაოცარი? რა გიკვირთ? როგორც ჩანს, რაღაც გზით, მკვლელებს მიეცათ საშუალება დანაშაულის კვალის წაშლისა და მათაც მაშინვე ისარგებლეს სიტუაციით.

**ფატი** _ კვალის წაშლა თუ უნდოდათ, რატომ გადაყარეს? ვერ დაწვეს?

**ანდრია** _ მაგის პასუხს მე ვერ მოგცემთ. ეგ იმას უნდა ჰკითხოთ, ვინც საბუთები არქივიდან მოიპარა და გადაყარა.

**ნინო** _ რა პასუხის ის, რაც ახლა შენ თქვი. მართალია ეს ქალი. თუ განადგურება უნდოდათ, დაწვავდნენ, დახევდნენ, მოსპობდნენ.

**სანდრო** _ თუ განადგურება არ უნდოდათ, იქნებ ის ამიხსნათ _ რატომ და როგორ აღმოჩნდა დოკუმენტები სანაგვეში?

**შალვა** _ გულგრილობა, უმეცრება, უყურადღებობა. რა _ ცოტა კარგი და კეთილი საქმე გაფუჭებლა ჩვენში გულგრილობით, უმეცრებით, უყურადღებობით?

**ანდრია** _ ვინ გვკითხავს ჩვენ ამის გარკვევას, დადგენას? ჩვენ ჩვენი საქმისათვის ვერ მოგვივლია და სხვის საქმეში რატომ ვყოფთ ცხვირს?

**ელენე** _ რა ვქნათ, აბა? დრამატურგი არ მოვიდა. პიესა არ გვაქვს. ვისხდეთ მუნჯებივით? ვილაპარაკოთ, გავერთობით, დროს გავიყვანთ და იქნება, რაც მკვლევარებმა ვერ გაარკვიეს, ჩვენ გავარკვიოთ.

**სანდრო** _ კარგად ყოფილა საქმე ჩვენი მეცნიერების, თუ ჩვენს იმედად არიან დარჩენილი.

**ნინო** _ რატომ, რატომ? მსახიობობას რომ არ გადაჰყოლოდი, პატრონი რომ გყოლოდა, უნივერსიტეტში შეეყვანე, ასპირანტურა დაგემთავრებინა, ვინ იცის, ახლა შეიძლება აკადემიკოსიც ყოფილიყავი...

**ანდრია** _ ყველა მეორე სიტყვაზე ერთმანეთს გესლავენ და ესენი გაარკვევენ რამეს?

**ელენე** _ ნუ წუხარ შენ, ჩემო ანდრია, ბარე ოცი წელიწადია, ასე კბენენ ესენი ერთმანეთს, მაგრამ არც ერთმანეთი დაუხოციათ და არც სხვები. ხომ ხედავ, როგორ არიან სისხლ-ხორცით სავსე.

**შალვა** _ მე კი ვიცი, თქვენ რაც ხართ, მაგრამ ფატის ნუ გადავრევთ, ნუ ვაფიქრებინებთ _ რა ლაზღანდარებში მოვხვდიო... ჯერ მაგას თეატრი ტაძარი ჰგონია და ეგონოს. როცა მიხვდება, რაც არის, ისიც ეყოფა.

**ფატი** _ თეატრს ილიაც ტაძარს უწოდებდა. არც მსახიობობას თაკილობდა. წარმოდგენებში თამაშობდა.

**შალვა** _ მე პროფესიონალი მსახიობების თეატრზე მოგახსენებთ და არა საზოგადო მოღვაწეების თეატრზე.

**ფატი** _ თეატრი თეატრია. გინდ პროფესიონალი მსახიობების იყოს იგი და გინდ საზოგადო მოღვაწეებისა.

**სანდრო** _ ახალგაზრდობაში ჩვენ ყველანი თეატრში მივდივართ, როგორც ტრიბუნები _ ქვეყნის გადასაბრუნებლად მზად მყოფნი. სიბერეში აქედან მიგვასვენებენ, როგორც მასხარებს _ მოცლილ, უქნარა საზოგადოებას რომ ართობდა.

**ანდრია** _ ადამიანის გულს ვერაფრით მოიგებ. ტრიბუნია, იმას ნატრობს, რატომ მასხარა არა ვარო. მასხარაა, იმას ჩივის, რატომ ტრიბუნი არ გავხდიო.

**ნინო** _ მასხარად ყოფნა სჯობს. ცხოვრების გამოცდილება ამას გვეუბნება. ტრიბუნებს რაღაც მეტისმეტად ხშირად უმასპინძლდებიან ტყვიით.

**სანდრო** _ ტრიბუნების მოკვლა არც მიკვირს და, მართალი თუ გინდა გითხრათ, არც მწყინს.

**ელენე** _ დღეს ეს კაცი მარცხენა ფეხზეა ამდგარი. აღარც ქურდობა უკვირს, აღარც მკვლელობა. შორს რაღას გავრბივართ. აგერ, გვერდით გვყოლია მეგობარი, რომელსაც, თურმე, უხარია ილიას მკვლელობა.

**სანდრო** _ სანამ რამეს იტყვი, ჯერ დაფიქრდი. «არ მწყინს» და «მიხარია» ერთი და იგივე ცნება არ არის.

**ანდრია** _ ვითომ მათ შორის დიდი განსხვავებაა?

**სანდრო** _ უზარმაზარი.

**ნინო** _ თუ კაცი ხარ, წვრილად აგვიხსენი, აქედან დაბნეული და გაურკვეველი რომ არ წავიდე შინ.

**ფატი** _ რა არის დასაბნევი იმაში, რასაც ბატონი სანდრო ამბობს? ცნებაში «მიხარია» ბოროტი გრძნობაა ჩადებული. ცნება «არ მწყინს» შეიძლება სიამაყესაც გულისხმობდეს.

**სანდრო** _ ეს ახალგაზრდა, გამოუცდელი ქალი მიხვდა, რა ვთქვი და თქვენ ვერა?

**შალვა** _ ის მაინც გვითხარი, მკვლელობაში საამაყო რაა.

**სანდრო** _ რაკი მოკლეს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ეშინოდათ მისი. ვერაფერი დააკლეს, ვერ მოერივნენ. აზრთა ჭიდილში ვერ აჯობეს.

**ფატი** _ ე.ი. «კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა».

**ელენე** _ რთული «ფილოსოფიაა». ამას მე ვერ გავიგებ. სხვებს დავუგდებ ყურს.

**ნინო** _ ვინ თქვა, თაობებს შორის ყოველთვის წინააღმდეგობაა, ბრძოლააო. აი, ორი თაობის შეხმატკბილებული წარმომადგენელი. შეხედულებათა მეტი ჰარმონია რაღა გინდათ.

**ანდრია** _ ო... ო... ღრმა აზრია. ღვინის გამობენტერებულმა ხულიგნებმა რომ ერთმანეთი დახოცონ, იქაც საამაყო რამ ვეძებოთ?

**სანდრო** _ შესაშური უნარი გაქვს. როცა გინდა, ყველაფერს ხვდები. როცა გინდა _ ვერაფერს. საწყალი, მკვლელობათა შორის განსხვავების დანახვა უჭირს.

**ფატი** _ ილიას, როგორც ხორციელი კაცის მოკვლა კი არ უნდოდათ. მისი აზრის მოკვლა უნდოდათ.

**ანდრია** _ აზრის მოკვლა თუ უნდოდათ, ილიას თხზულებანი უნდა გაენადგურებიათ. კაცის მოკვლით აზრს როგორ გაანადგურებ.

**ნინო** _ შეშლიათ. ერთი შენისთანა მრჩეველი მონათლავდა იმათ საქმეს.

**ანდრია** _ ნუ წუხდები. ჩემს დახმარება-რჩევას არ საჭიროებდნენ. თვითონაც კარგად იცოდნენ, რას აკეთებდნენ.

**ნინო** _ ცოდნით, ცხადია, იცოდნენ. მაგრამ, ვატყობ, ძალიან გენანება ილიას წიგნები რომ გადარჩნენ.

**ელენე** _ რას უბრიალებ, ქალო, ამ საცოდავ კაცს თვალებს. ეს უბედური წიწამურის ბუჩქებში ხომ არ ყოფილა ჩაცუცქული.

**ნინო** _ რასაც ეგ ამბობს, იმ ჩაცუცქვაზე უარესია.

**ანდრია** _ რა ვთქვი, ხალხო, ასეთი, რა?

**ფატი** _ აზრის მოკვლა უნდოდათ სწორედ. ასე რომ არ ყოფილიყო, ამას არ დაწერდნენ. (წიგნში კითხულობს) «ილია ჭავჭავაძე იყო წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლუატატორი. როგორც

მწერალი, ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი. ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი».

**შალვა** _ თუ ქალი ხარ, მითხარი, ვინ დაწერა ეს.

**ფატი** _ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაწერა. მთავარია დაიწერა და დაიბეჭდა.

**ნინო** _ წერა-კითხვა დაგავიწყდა? გამოართვი წიგნი და ნახე, ვინც დაწერა. წიგნას სახელად «ბრძოლა კლასიკოსებისათვის» ჰქვია.

**ანდრია** _ მაგის დამწერმა იცოდა თავის საქმე. არავინ გვეკითხება ჩვენ მტყუანისა და მართლის გარკვევას. ოდესღაც ვის რა დაუწერია, ამის კირკიტს, ის არ სჯობია, ილიას ლექსები წავიკითხოთ?!

**შალვა** _ «მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რას უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხის...»

**ფატი** _ ან მომავალს როგორ ავაშენებთ, ან პატიოსნად როგორ ვიცხოვრებთ, თუ მკვლელსა და მოკლულს ერთნაირად ვეცით პატივი?

**ნინო** _ ეს ბავშვი აღარ ხუმრობს. შენ გგონია ჩვენ დღეს მივაგნებთ, გავიგებთ _ რა მოხდა და როგორ?

**ანდრია** _ მიგნებით რატომ ვერ მივაგნებთ. ოღონდ საჭიროა სიმართლის ცოდნა? რას მოგვცემს ეს?

**ფატი** _ სიმართლის ცოდნა აუცილებელია. ტყუილზე საზოგადოებრივი ცხოვრების აშენება შეუძლებელია. ადრე თუ გვიან იგი დაინგრევა.

**სანდრო** _ «არარაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს».

**შალვა** _ ხომ გაგიგონია, მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა.

**ფატი** _ მაინც სიმართლის მომხრე ვარ. აი ასე, ბიბლიას რომ დაადებენ ხელს და დაიფიცებენ _ სიმართლე, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და მეტი არაფერი!..

**ელენე** _ რა კარგია ახალგაზრდობა! ეს სისუფთავე და მიამიტობა პირდაპირ ნათელივით შემოდის სულში.

**ანდრია** _ რას იზამთ მაშინ, ილია რომ აღმოჩნდეს მტყუანი? მაინც მოითხოვთ სიმართლის დადგენას?

**ელენე** _ ეს კაცი, მგონი, მართლა იყო წიწამურის ბუჩქებში ჩაცუცქული.

**ფატი** _ ჯერ ერთი, შეუძლებელია ილია იყოს მტყუანი. მეორეც, ასეც რომ იყოს, მაინც სიმართლე უნდა ვიცოდეთ.

**შალვა** _ ე... ე... ეჰ, რომ მცოდნოდა დღეს რეპეტიცია ჩაიშლებოდა და ასეთ დისკუსიას გავმართავდით, წამოვიღებდი პურმარილს, გავშლიდით, მოვილხენდით... სულის სასარგებლო საუბართან ერთად ხორცის მარგებელ საქმესაც გავაკეთებდით.

**ნინო** _ არ არის ახლა ჩვენი დრამატურგი ბოროტმოქმედი? დაგვყარა ამ მტვრიან ჩახუთულ ოთახში და თვითონ გაქრა... განგებ აკეთებს ამას, თუ მართლა ასე გულმავიწყია?

**ელენე** _ თვითონაც წაგებული დარჩა. მასაც წავიყვანდით. ავაჟღერებდით გიტარებს. ერთი ტკბილი დღე შერჩებოდა. ახია მასზე. ირბინოს ბუკინისტებში.

**შალვა** _ ამდენს რომ წვალობს, ერთს კარგად მოილხენდა. გონება გაეხსნებოდა. ვინ იცის, პიესასაც დაგვიწერდა.

**ფატი** _ უპურმარილოდ ვერ ვძლებთ და ვერ ვძლებთ. დღე დაკარგული გვგონია.

**შალვა** _ რა არის ცუდი პურ-მარილის სიყვარულში? ილიასაც ძალიან უყვარდა. იცით თქვენ ყოველ «ილიაობას» რამდენი ღვინო ისმებოდა და რამდენი პირუტყვი იკვლებოდა?

**ანდრია** _ მართალი თუ გინდათ იცოდეთ, მაგ «ილიაობის» ნადიმებმაც აუმხედრა ილიას ზოგზოგები.

**ელენე** _ რატომ ვითომ?

**ანდრია** _ მოდიოდა ამ პურ-მარილზე დამშეული სოფელი. ჭამდა და სვამდა ნაირნაირ ღვინოებსა და საჭმელებს. თან გული ბოღმით ევსებოდა _ იმას აქვს და მე არაო.

**სანდრო** _ ასე არაა. ჩვენი ხალხი ძალიან აფასებს პურ-მარილს. «არსენას ლექსში», მაგალითად, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის დონეზეა აყვანილი პურმარილიანი კაცი.

**ნინო** _ გითხარით მე თქვენ _ ეს კაცი მეცნიერი უნდა ყოფილიყო-მეთქი. სამართალია ეს _ იჯდეს და როლს ელოდებოდეს?

**ელენე** _ ეს გვითხარი _ როგორ წაიკითხე ეს სიბრძნე «არსენას ლექსში».

**სანდრო** _ უბრალოდ. ერთი მხრივ, არსენა _ «მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...» და მეორე მხრივ, «ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა». ორივე თვისება თანაბარ ღირსებად არის ჩათვლილი.

**ელენე** _ უტყუარია. ქართველ კაცს სხვისი პურმარილი არ შეშურდება.

**შალვა** _ რამ დაგავიწყათ, გუშინ წაგვიკითხა ჩვენმა ავტორმა ჟურნალ «მწყემსის» ბრალდება _ ილია საქმეებს პურ-მარილით აწყობსო.

**ნინო** _ სიტყვა-სიტყვით დამამახსოვრდა: «დიაღ, პურღვინოს და სადილებს ბევრი შეუძლია! მრავალს აბრმავებს და მრავალს თვალს უხელს».

**ელენე** _ რა გინდათ, არ ვიცი. მაშინაც ისე ყოფილა, როგორც დღეს.

**შალვა** _ ილიაც ხორციელი კაცი იყო. ადამიანური სისუსტეები მასაც ჰქონდა.

**ფატი** _ იცით, ყველაფერზე ხუმრობა არ შეიძლება. ადამიანს უთუოდ უნდა ჰყავდეს ვიღაც, რომელსაც ეთაყვანება. ვისზეც ვერ იქილიკებს.

**შალვა** _ როგორ გგონია: ილია მარტო ბანკში იჯდა კოპებშეკრული. ფულებს ითვლიდა. ღამღამობით წერდა. არავის ზედ არ უყურებდა. არ იცინოდა, არ ქეიფობდა, არ არშიყობდა, კარტს და ნარდს არ თამაშობდა?

**ფატი** _ ეგ მე არ მითქვამს. მე ვთქვი: ილიაზე საერთოდ, და კერძოდ მის თვისებებზე, რიდითა და მოკრძალებით უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი.

**სანდრო** _ ამათ ყველაფერი ზუსტად გაიგეს, რაც თქვი. ოღონდ ამჟამად ასეთი საუბარი მიაჩნიათ ხელსაყრელად.

**ელენე** _ ხალხო, ხალხო! ერთი ეს მითხარით, ქალები თუ უყვარდა ილიას?

**ფატი** _ ეკატერინე გაბაშვილი ამბობს, ქალებთან ილია მორიდებული იყოო. ერთხელ ეკატერინე «დროების» რედაქციის კიბეებზე შეხვედრია ილიას. ილიას თავჩაღუნულს ჩაუვლია, ზედაც არ შეუხედავს ქალისათვის. ეკატერინე გულდაწყვეტილი წერს, _ ნუთუ «მართლა ქალების დანახვა უკრავდა კრიჭას ამ დიდებულ მეტყველებას, რომელიც ქალებს ზედმეტად ესაჭიროებოდათ მოსასმენად, შესასუნთქად, იქნებ ასაყვავებლადაც...»

**ელენე** _ ეს არაფერს ნიშნავს. ალბათ, კონკრეტულად ეკატერინე გაბაშვილი არ მოსწონდა, თორემ სხვა ქალებს შეიძლება სხვა თვალით უყურებდა.

**სანდრო** _ ახალგაზრდობაში უფრო თამამი ყოფილა. ილიას სიყრმის მეგობარი კოხტა აფხაზი გვიყვება, როგორ ესტუმრნენ ჩაიკოვსკაიას ქალს პეტერბურგში. «მოვემზადეთ სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა და არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა, ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორე კი კარეტაში მოუცადოს. როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს. ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას».

**ელენე** _ ნახე, რა ეშმაკი ყოფილა. მისი ხასიათი რომ ვიცი, არც ხანდაზმულობაში იქნებოდა ნაკლები. გადაცმული მუნდირებით თუ დაძვრებოდა ნაირნაირ ქალებთან... როგორ ეჭვიანობდა ალბათ ოლღა?

**ფატი** _ ასეთი ცინიზმი ტირილის გუნებაზე მაყენებს.

**ელენე** _ ნუ მიწყენ, ფატი. ილიას დასამცირებლად სულ არ მითქვამს მე ეს. ნამდვილ მამაკაცს ქალები უნდა უყვარდეს. აბა, რა მამაკაცია?!

**ნინო** _ ბევრს ცინიზმი მომეტებული ჭკუის შედეგი ჰგონია.

**ფატი** _ მომეტებული ჭკუის კი არა, სულიერი გამოფიტულობის ნაყოფია იგი.

**სანდრო** _ მშურს იმ ადამიანის, ჩვენს დროში აღშფოთების უნარი რომ შერჩენია. ფატისაც შემშურდა.

**ნინო** _ ეს ასაკის ბრალია. წლების გასვლასთან ერთად ადამიანს რეაქციაც უჩლუნგდება. შენი ხნის რომ იქნება, ფატიც ბევრ რამეს გულმშვიდად შეხვდება.

**სანდრო** _ ღმერთმა ნუ ჰქნას!.. არიან ადამიანები, რომელთაც ასაკი ვერ ერევა. ილია ისე მოკვდა, რომ ცინიზმის გრძნობა არ გასჩენია.

**ფატი** _ იდეალი არასოდეს დაუკარგავს და იმიტომ. ცინიკოსი იგი ხდება, ვისაც იდეალი არა აქვს.

**სანდრო** _ მართალია, იდეალი რომ ჰქონდა, იმიტომ სძულდათ.

**ანდრია** _ რას ლაპარაკობ!.. ვის სძულდა ილია?

**სანდრო** _ აი, ბატონო, პეტრე გელეიშვილის სიტყვები: «როცა ზღვა ღელავს, მისი გააფთრებული ტალღები ყველაზე უფრო ძლიერათ ეჯახებიან იმ კლდეს, რომელიც ყველაზე უფრო შორს შეჭრილა ზღვის სივრცეში... როცა გრიგალი ამოვარდება, ის ყველაზე უფრო ძლიერათ, ამაყათ და შეუპოვრად მდგარ მუხას დაეტაკება ხოლმე. სუსტ

წალამ-კალამსა და ბალახებს გრიგალი ვერას დააკლებს, რადგანაც ისინი მყისვე გაეკვრებიან დედამიწას, თითქოს სტიქიონს შებრალებას სთხოვენო...

სწორედ ასეთი სტიქიური ბრძოლის მოწმენი ვიყავით ჩვენ წარსული მე-19 საუკუნის მიწურულში... ის მედგარი გრიგალი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ ასე საშინელის ძალით დაჰქროლა ძველ ქვეყანას, წარსული საუკუნის 90-იან წლებში დაიბადა ჩვენში. ის პირველად ნელნელა ასისინდა, ბოლოს თანდათან გაიზარდა, დიდ გრიგალათ გადაიქცა და ძველ საქართველოზე იერიში მიიტანა.

ბალახები და ლერწამ-კალამი ჩვენი ცხოვრებისა, ჩვეულებრივათ, მიწას გაეკრნენ. მხოლოდ ილიამ, რომელიც ასწლოვან მუხასავით მედგრად იდგა ვენს ცხოვრებაში, გაბედა ამ სტიქიონის გამკლავება...

ეს ბრძოლა ყველა ჩვენ თვალწინ მოხდა, მისი შედეგი ჩვენ ყველამ დავინახეთ. მაშასადამე, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ილია დამარცხდა...»

**ანდრია** _ ეს ერთი ვიწრო ჯგუფის აზრია. მათ ეგონათ, ილია დავამარცხეთო. ხალხი ხელის გულზე ატარებდა.

**ფატი** _ მერედა ამ ვიწრო ჯგუფის სიძულვილმა აჯობა მთელი ხალხის სიყვარულს?

**ანდრია** _ შემთხვევითობაა. შემთხვევითობა გამორიცხულია?

**სანდრო** _ ასეთი გრანდიოზული აქტი შემთხვევით არ ხდება.

**შალვა** _ შენ რა გგონია, დღეს არ არიან ადამიანები, რომელნიც ილიას მკვლელობას ამართლებენ?

**ანდრია** _ ახლა ზღაპრების მოყოლით ნუ გაგვიმასპინძლდები.

**ფატი** _ არიან, არიან. მეც კი მომისმენია ამგვარი საუბარი.

**სანდრო** _ ასეთი ლექსები უკვალოდ არ რჩება.

**ანდრია** _ რა ლექსები?

**ფატი** _ (ძველ გაზეთს იღებს და კითხულობს)

«სახელგანთქმული თავადი ილია,
მამულითა და ყმებით მდიდარი,
მთაწმინდის ლოდქვეშ მარად მძინარი,
გლეხების სიხლით შეღებილია.
ფეოდალ კლასიკს ქონდა მამული,
მეტყველ პირუტყვებს აძრობდა ტყავსაც,
ქონდა გლეხების მას სიყვარული,
ვით ხარი უყვარს ჯანიერ ყასაბს...»

გავაგრძელო თუ ესეც საკმარისია?

**სანდრო** _ ამ ლექსის ავტორი ნაადრევად რომ არ გაეგზავნათ იმ ქვეყნად, შეიძლებოდა დღესაც ყოფილიყო ცოცხალი. 1932 წელს არის ეს დაბეჭდილი.

**ფატი** _ ფრიდონ ნაროუშვილის ამ ლექსმა მაშინ ქართველი საზოგადოება ორად გაჰყო.

**ანდრია** _ ქართველი საზოგადოება არ გაუყვია ორად. პროლეტარული მწერლობა გაჰყო.

**ფატი** _ იმ დროს სწორედ პროლეტარული მწერლობა გამოხატავდა ხალხის გამარჯვებული ნაწილის აზრს.

**ანდრია** _ მერედა, ეს აზრი ერთნაირი ხომ არ იყო?

**ფატი** _ მე თუ მკითხავთ, სრულიად ერთნაირია. ნაროჟშვილის ოპონენტებს არ სწყენიათ ილიას დამცირება და თავლაფდასხმა. მათ მოეჩვენათ, რომ ნაროჟშვილმა ილია უფრო პატარა რეაქციონერად გამოიყვანა, ვიდრე სინამდვილეში იყო იგი. ამიტომ დაეთუთქათ გული. ლექსი ხომ უკვე მოვისმინეთ, ახლა ოპონენტების აზრს დაუგდეთ ყური. «ილია ჭავჭავაძე არ იყო ისეთი პატარა მემამულე, მხოლოდ და მხოლოდ მათრახის უსტაბაში და სისხლით ულვაშებგადაღებილი, როგორც ეს ნაროჟშვილის «მემარცხინე» გულუბრყვილო სურათშია დახატული». ნაროჟშვილის შეცდომაა ილიას «კლასობრივი მნიშვნელობის დამცირეა, მთავარის მიჩქმალვა და, რაც არსებითია, ილია ჭავჭავაძის მოხსნა, როგორც თავადაზნაურობის იდეოლოგისა».

**შალვა** _ აუჰ, ძირეულად განსხვავებული აზრი არ ჰქონიათ! კიდევ კარგი, რომ შეურიგებელ ბრძოლაში ერთმანეთი არ დახოცეს.

**ანდრია** _ შენი დასაცინით გავხდი? მე იმას ხომ არ ვამბობ, შეცდომები არ მომხდარა-მეთქი, მე ვამბობ: რა საჭიროა დღეს ძველი შეცდომების გახსენება და ხალხის გაღიზიანება.

**ელენე** _ არ შედრკე, ანდრია. რეჟისორს არ დაუთმო. უკან არ დაიხიო.

**ფატი** _ ნუთუ ყველა ასე ფიქრობთ?

**ელენე** _ გახსენება, გულახდილად რომ ვთქვა, არც მე მიმაჩნია საჭიროდ. მეშინია. თუმცა ეს ამბები ძალიან კი მაინტენესებს.

**ნინო** _ შიშის გრძნობა მეცა მაქვს. ჩვენ ყველას გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ილიას ეპოქაზე და ვაითუ, ყველაფერი ეს უცბათ დაგვენგრეს.

**შალვა** _ იქნება ანდრო მართალია. იქნება ისტორიას ყოველთვის არ უნდა გადავაცალოთ დავიწყების მტვერი.

**ფატი** _ რა საოცარია: ტყუილის არ გვეშინია, გვეშინია სიმართლის.

**სანდრო** _ არა, ასე უბრალოდ არ დგას საკითხი. სიმართლის არ გვეშინია: გვეშინია, იცი, რისა? ყველაფერი გამოვამჟღავნოთ და სიმართლე მაინც ვერ დავადგინოთ.

**ფატი** _ თუ ყველაფერი ვთქვით, სიმართლეს დავადგენთ. ეს მჯერა.

**შალვა** _ დაჯერება არ კმარა. არც მ არტო ფაქტების ცოდნა. სიმართლის გასარკვევად ადამიანის ხასიათის ცოდნაც არის საჭირო.

**ანდრია** _ ჩვენ როგორ უნდა ვიცოდეთ გარდაცვლილი ადამიანების ხასიათი. პირადად შევხვედრილვართ, ვიცნობდით, გვისაუბრია, ვამხანაგობდით თუ რა?..

**ფატი** _ თქვენი აზრით, წარსულში მომხდარი ამბავის სიმართლეს ვერასოდეს დავადგენთ? ტყუილსა და მართალს ვერ გავარჩევთ?

**ანდრია** _ მე თუ მეკითხები, გიპასუხებ _ ვერ დავადგენთ.

**ნინო** – მეტისმეტს ნუკი იტყვი. როგორ ვერ დავადგენთ. რამდენ ისტორიულ მოვლენას მოეფინა ნათელი მოგვიანებით გამოვლენილი დოკუმენტებით. რამდენი მოვლენაა ისეთი, რომელიც ჩვენ უკეთ ვიცით, ვიდრე თანამედროვეებმა იცოდნენ.

**ანდრია** _ უკეთ კი არ ვიცით, ინფორმაცია გვაქვს მეტი.

**ელენე** _ რა ხდება დღეს ეს! როგორ ყველა დაბრძენდით და გაფილოსოფოსდით?!

(ინტერმედია პირველი: სრულიად მოულოდნელად, ისე, როგორც თითქოს დაკეტილი ოთახის კარი გაიღო და გარედან ხმაური შემოვიდაო, სცენაზე შემოვარდება სიმღერა:

«მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართვლის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, _
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
_ ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით».

(მღერის გუნდი. ამ სიმღერას უნდა ჰქონდეს «მრავალჟამიერის» ომახიანობა და სიზვიადე. სიმღერის პარალელურად მოცეკვავეთა ჯგუფი ცეკვავს «მაზურკას». ინტერმედია როგორც უცბად დაიწყო, ასევე უცბადვე დამთავრდება).

**ანდრია** _ აი, ახლა რასაც გეტყვით, იმის პასუხი მომეცით. 1880 წელს ილიამ და ნიკო ნიკოლაძემ ერთმანეთი დუელში გამოიწვიეს.

**ელენე** _ ნუ გამაგიჟეთ. ეს ვინ ყოფილა. იქით კარტის თამაში უყვარდაო, აქეთ _ ხალხს დუელში იწვევდაო. კიდევ კარგი, ვერ მოვესწარი, თორემ ნამდვილად წავართმევდი ოლღას. აი, საჩემო კაცი.

**შალვა** _ გვაცალე ახლა. კაცი რაღაცას საინტერესოს ამბობს.

**ანდრია** _ საბედნიეროდ დუელი მშვიდობიანად, შერიგებით დამთავრდა. მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით: ან ილიას მოეკლა ნიკო, ან ნიკოს მოეკლა ილია. ორივე დიდი კაცია ჩვენი ისტორიისა. შეგვეძლო რომელიმე მათგანისათვის დაგვერქმია მკვლელი?

**ფატი** _ აქ არის თქვენი შეცდომა. თქვენ ისტორიის იდუმალი აზრი არ გესმით.

**ანდრია** – რა იდუმალი აზრი?

**ფატი** _ ის დუელი მშვიდობიანად იმიტომ დამთავრდა, რომ არ შეიძლებოდა ან ილიას, ან ნიკოს კაცი მოეკლა. არ შეიძლებოდა! გესმით! ამას უზენაესი ვერ დაუშვებდა. ისტორიას იდუმალ აზრს უზენაესი ანიჭებს.

**სანდრო** _ გაუგებარ ბნელმეტყველებაში ნუ გადავეშვებით. ლოგიკას ნუ დავუკარგავთ ღირებულებას და მნიშვნელობას.

**ფატი** _ რასაც მე ვამბობ, აბსოლუტურად ლოგიკურია. ხომ იცით თქვენ, რომ პუშკინმა პირველმა ესროლა დანტესს. მაგრამ ტყვია მუნდირის თითბერის ღილს მოხვდა და დანტესი გადარჩა. რატომ? იმიტომ, რომ კაცისმკვლელი პუშკინი ვეღარ იქნებოდა პუშკინი. ლერმონტოვი ოფიცერი იყო და მშვენივრად ისროდა. დუელში პირველი გასროლაც მისი იყო, მაგრამ მარტინოვს არ ესროლა. ჰაერში დასცალა დამბაჩა. რატომ? იმიტომ, რომ ვერც კაცისმკვლელი ლერმონტოვი იქნებოდა ლერმონტოვი. ამაში ღმერთის ლოგიკაა.

**ანდრია** _ რასაც თქვენ ამბობს, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ყველაფერი ეს ჩემთვის მხოლოდ შემთხვევითობაა და მეტი არაფერი.

**ფატი** _ გასაგებია. რისი აზრიც არ გესმით, იმას შემთხვევითობას ეძახით. არც ილიას მკვლელობის აზრი გესმით და ამიტომ ისიც შემთხვევითობად მიგაჩნიათ.

**შალვა** _ ერთმანეთის შეურაცხყოფაზე ნუ გადავალთ.

**ელენე** _ როცა ასეთ რაღაცაებს ამბობენ, შიში მიპყრობს. უცნაურის და გაუგებრის მოლოდინი მიჩნდება.

**სანდრო** _ რაც ითქვა, მარტო ის არ კმარა საკითხის გასარკვევად. უნდა ამოვიცნოთ, რატომ ჰქონდა ილიას ხშირი დუელები? გრიგოლ ყიფშიძე ხომ ამბობს, რვა თუ ცხრა დუელი ჰქონდაო. თავად ეს დუელანტობა რას ნიშნავს?

**ანდრია** _ უთუოდ მძიმე ხასიათს. როგორც ჩანს, ვერ იტანდა სხვის აზრს, შეკამათებას, როცა სიტყვიერი პაექრობით არა გამოვიდოდა რა, უკვე იარაღით ბრძოლაზე გადადიოდა.

**ნინო** _ ბევრი მისი თანამედროვე ამბობს, დიქტატორის ბუნება ჰქონდაო.

**ელენე** _ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ნერვიული ხასიათი ჰქონდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დინჯი, მძიმე ბუნების კაცი იყო. ადვილად ვერ ააღელვებდი.

**ფატი** _ ილიას დუელებს სხვა შინაარსიც აქვს. იგივე გრიგოლ ყიფშიძე ამასაც ამბობს _ «შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ დუელში გასული კაცი მუდამ მშვიდობით გადარჩენის იმედით იყოს. მაშასადამე, ილიას მუდამ თავი ჰქონდა განწირული იმ საქმისათვის, რომელიც მართალი ეგონა და საკეთილო ქვეყნისათვის».

**ანდრია** _ მეც მანდა ვარ. დააკვირდით _ ქვეყნისათვის მართალი და საკეთილო ეგონაო. რა სხვებს, მის მოწინააღმდეგეებს, თავიანთი აზრი საკეთილო და მართალი არ ეგონათ? იმათ რატომ ვადანაშაულებთ?

**შალვა** _ ჯერჯერობით არავის ვადანაშაულებთ. ჯერ მხოლოდ ვმსჯელობთ. სხვადასხვა პოზიციას ვუპირისპირებთ ერთმანეთს. დასკვნა ბოლოს.

**სანდრო** _ რა თქმა უნდა, იმათაც საკეთილო და მართალი ეგონათ. აბა, ცრუ აზრისათვის ხომ არ იბრძოლებდნენ. ჩვენი ამოცანა ეს არის – ილიასა და მისი მოწინააღმდეგეების აზრი ერთმანეთს შევუდაროთ და გავარკვიოთ, _ რომელი გაამართლა ისტორიამ.

**ფატი** _ ამა თუ იმ აზრის ისტორიული გამარჯვება ყოველთვის არ ნიშნავს ამ აზრის სიმართლეს. ზოგჯერ ცრუ აზრიც იმარჯვებს. ცხადია, დროებით, მაგრამ მაინც იმარჯვებს.

**სანდრო** _ მართალს ამბობთ, მაგრამ...

**ნინო** _ რა არის მართალი? თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ მთელი ხალხის მოტყუება-გაცუცურაკება წლების მანძილზე?

**სანდრო** _ ამას დაშვება არ სჭირდება, ეს ფაქტია.

**ფატი** _ ისეთი მაღალი კულტურისა და მდიდარი ისტორიის მქონე ხალხებიც კი მოტყუვდნენ, როგორიც იტალიელები და გერმანელები არიან. ფაშიზმმა, ნაციზმმა ამ ქვეყნებში წლობით იბატონა.

**ელენე** _ თუკი მთელი ხალხის მოტყუება შეიძლება წლების მანძილზე, მაშინ ვერასოდეს ვერ გავარკვევთ, რომელი აზრია მართალი და რომელი _ ტყუილი.

**ანდრია** _ ყველაფერი შეფარდებითია. დამოკიდებულია დროზე, ვითარებაზე, ხალხის ისტორიულ მისიაზე. უფრო მეტიც, ზნე-ჩვეულებაზეც კი.

**ფატი** _ მკვლელობა ზნეობრივი დანაშაულია, ზნეობრიობა არ შეიძლება შეფარდებითი იყოს. თუ ზნეობრიობას შეფარდებით შინაარსს მივცემთ, მაშინ ვაუქმებთ მის ღირებულებას, მნიშვნელობას.

**ანდრია** _ რასაც თქვენ ამბობთ, ეს მოვლენისადმი რელიგიური მიდგომაა და არა ისტორიული.

**ელენე** _ მოიცათ, მოიცათ, ნუ დამაბნიეთ. კარგად განმიმარტეთ, რას ამბობთ.

**ანდრია** _ ახლავე ყველაფერი ნათელი იქნება. ფატი ამბობს _ ზნეობრივი ყველა დროში, ისტორიულ ვითარებაში, ყველასათვის ყოველთვის ზნეობრივი უნდა იყოს. თუ ასე არ იქნა, ზნეობრივს მნიშვნელობა ეკარგება.

**ფატი** _ სწორია. ასეთია ჩემი აზრი.

**ანდრია** _ «არა კაც ჰკლა» ზნეობრივია. მაგრამ ვაჟა რომ ამბობს _ «სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა»? აქ ხომ შეურიგებელი წინააღმდეგობაა.

**შალვა** _ ე.ი. ილიას მკვლელი, რაკი ილიას მტრად თვლიდა, მისი მოკვლა მან უფლის ნებად ჩათვალა. ხომ შეიძლება ასეც გავიგოთ?

**ელენე** _ ასე ყოველგვარი დანაშაულის გამართლება შეიძლება.

**ნინო** _ თუ კონკრეტულობას დავშორდებით, ისეთ ლაბირინთში გავიხლართებით, საიდანაც ვერასოდეს გამოვაღწევთ.

**შალვა** – ნინო მართალია, რად გვჭირდება ჩვენ ზოგადი, აბსტრაქტული კატეგორიები. ვიმსჯელოთ კონკრეტულ ფაქტზე კონკრეტული მასალით.

**ფატი** _ თუ კონკრეტულ ფაქტზე კონკრეტული მასალით ვიმსჯელებთ, მაშინ იურისტებს დავემსგავსებით და საკითხი გაუბრალოვდება. კაცი მოჰლეს. ვინც მოჰკლა, ის დამნაშავეა. ჩვენ ხომ ამ უბრალო დასკვნისათვის არ დაგვიწყია მსჯელობა.

**სანდრო** _ როგორმე ერთმანეთს უნდა შევუთავსოთ ორივე _ ზოგადიცა და კონკრეტულიც. თუ ასე არ მოვიქცევით, ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ.

**ფატი** _ საუბრის გაგრძელებამდე ეს მითხარით: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის ზნეობრივ მოვლენად? ან სხვაგვარად: როგორ თვლით, ილია ქართველი ხალხისათვის ზნეობრივი მნიშვნელობის მქონეა თუ ლიტერატურულ-კულტურულის?

**ანდრია** _ რა თქმა უნდა, ლიტერატურულ-კულტურულის.

**სანდრო** _ მეც ასე ვთვლი. წმინდანი რომ ყოფილიყო, შეიძლება ზნეობრივი ღირებულებისა მაშინ ყოფილიყო.

**ფატი** _ როგორც ჩანს, ჩვენ საერთო კრიტერიუმს ვერ გამოვნახავთ. ჩემთვის ილია სუფთა ზნეობრივი ღირებულების მოვლენაა.

**ანდრია** _ ახლა სრულიად გასაგებია ილიას მკვლელობისადმი თქვენი რელიგიური მიდგომა.

**ნინო** _ გამოდის, რომ სულ ტყუილად გვიდავია, გვიდავიდარაბია.

**სანდრო** _ რატომ. იქნებ ფატიმ დაგვაჯეროს, დაგვარწმუნოს და ჩვენც გავიზიაროთ მისი აზრი.

**ანდრია** _ მე მესმის და ჩემთვის სრულიად მისაღებია, რომ ილია იყო დიდი და ნიჭიერი მწერალი, რომ იგი იყო დიდი და ნიჭიერი საზოგადო მოღვაწე, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიისა და კულტურის ძირითადი ფიგურაა... მაგარმ ზნეობრივ ღირებულებად გამოცხადება, რა ვქნა, ჩემთვის გაუგებარია.

**სანდრო** _ ილიას რომ რაიმე რელიგიური სისტემა შეექმნა ან რელიგიური იდეალისთვის დაედო თავი, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ფატის აზრის გაზიარება, მაგრამ ასეთი არაფერი რომ არ მომხდარა.

**შალვა** _ ფატის აზრის სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, ამისათვის ილიას მთელი შემოქმედება უნდა გავაანალიზოთ. ეს უხერხულადაც მიმაჩნია და ამ ვითარებაში შეუძლებლადაც.

**ფატი** _ არაა შეუძლებელი. ილიას უბრალო წაკითხვაც კი დაგვარწმუნებს, რომ ეროვნული განახლების ქვაკუთხედად ზნეობრიობას დებდა.

**ნინო** _ იმდენად საინტერესო ხდება ჩვენი საუბარი, რომ სახლში წასვლა აღარც მინდა. რა სეირი იქნება, ხვალ მზა პიესა რომ დავახვედროთ ჩვენს დრამატურგს!

**შალვა** _ მაინც გადაგვაკეთებინებს. თუ გინდა, დაგენიძლავებით, არ მოეწონება. გულში თუ მოეწონა, მაინც არ იტყვის, მომეწონაო.

**ელენე** _ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ჩვენს ჭიას გავახარებთ.

**ფატი** _ ვის აქვს სურვილი წაკითხვის?

**ელენე** _ «სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სიმართლისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი, მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?»

**ანდრია** _ მოითმინეთ, მოითმინეთ. არც ილიას მოწინააღმდეგენი უარყოფდნენ ზნეობრიობას. საკითხის ცალმხრივი განხილვა სიმართლეს ვერ დაგვადგენინებს.

**ფატი** _ ახლა წავიკითხავთ ჩვენ ერთ დოკუმენტს და ვნახავთ, უარყოფდნენ თუ არა.

**ელენე** _ ჩემს დღეში არ გამიგია ამდენი ახალი ამბავი, რაც დღეს გავიგე.

**ფატი** _ მხოლოდ ის წაიკითხე, რაც ხაზგასმულია.

**ნინო** _ «ვკითხულობდი რა სახარებას, ჩემი ყურადღება მიიპყრო იუდა ისკარიოტელის ფიგურამ. ნატომ გასცა მან თავისი მასწავლებელი, ნუთუ 30 ვერცხლისათვის, რა გინდ თვალსაჩინოც უნდა ყოფილიყო ეს თანხა იმ დროს? იუდა ხომ ქრისტეს კასის ხაზინადარი იყო და ნუთუ მას, გამცემსა და ბოროტი ბუნების კაცს, არ შეეძლო ხელთ ეგდო ასეთი თანხა? შევადარე რა ერთმანეთს სახარებაში გადმოცემული ფაქტები ქრისტესა და იუდას ურთიერთობის შესახებ, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ იუდა არა თუ არ იყო გამცემი, არამედ, როგორც იდეური მოღვაწე, იგი ზოგიერთი მხრით ქრისტეზე მაღლაც იდგა...

ქრისტე მიდიოდა რა საწამებლად, დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა (უკანასკნელ წუთამდე აღვიძებდა მის გულში იმედს ეს _ «ან, ან»), ან და კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით, ხოლო იუდამ და დაისაჯა რა თავი, შეგნებულად მისცა თავისი სახელი წყევლა-კრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრით იუდა, როგორც იდეური მუშა და მოწამე, უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე».

**შალვა** _ ვისი სიტყვებია ეს?

**სანდრო** _ შიო დავითაშვილის, ქართველი ნაროდოვოლეცის.

**ფატი** _ ხომ ხედავთ, აქ მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ რევოლუციის ორი გზაა _ ეთიკური და არაეთიკური. ილია უარყოფდა არაეთიკურ გზას. ერთ-ერთი მიზეზი მის წინააღმდეგ ბრძოლისა ეს იყო.

**ანდრია** _ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ხომ არ იყო მოძველებული ილიას ეთიკური გზა?

**ფატი** _ მაშინ დამისახელეთ ზნეობრივად უკეთესი გზა. ვერც მე და ვერც თქვენ დავითაშვილის აბდაუბდას ვერ გავიზიარებთ.

**სანდრო** _ წარმოიდგინეთ, დავითაშვილებს რომ გაემარჯვათ, რა დღეში ჩავცვივდებოდით?

**შალვა** _ გადმოისროდა ლოზუნგს _ გამცემი უკეთესი რევოლუციონერია, ვიდრე წამებულიო და დაიწყებოდა ლიანგური დასმენა, დაბეზღება, ენატანიაობა. ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა, ასეთი ორომტრიალი შეიქნებოდა.

**ელენე** _ ჯერჯერობით ანდრია ვერ გამოგვადგა ფალავნად. ხშირად ემწყვდევა ჩიხში.

**ანდრია** _ მართლა ილიას მეტოქედ ნუკი გამომიყვანთ. უბრალოდ, მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია და ლოგიკა მაინტერესებს.

**ფატი** _ ილიას ბრძოლას ზნეობრიობისათვის სხვა არსებითი მხარეც ჰქონდა.

**ანდრია** _ რომელს გულისხმობთ?

**ფატი** _ ურწმუნო და უზნეო ადამიანს არც სამშობლო უყვარს. არა აქვს ეროვნული ენერგიისადმი რწმენა.

**ელენე** _ როდის ჰქონდა ქართველს ეს რწმენა დაკარგული?

**ფატი** _ როგორ არ ჰქონდა! ეროვნული ენერგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება მთელ მე-19 საუკუნეს წითელ ხაზად გასდევს. გიორგი მუხრან-ბატონის წიგნი, ივანე ჯაბადარის წერილები ამის დასტური არ არის? ორივე ამტკიცებდა, ქართველს დამოუკიდებელი არსებობისათვის ენერგია არ შესწევს და ამიტომ მისთვის უკეთესია მალე გარუსდეს. ეროვნული ტკივილები აღარ შეაწუხებსო.

**სანდრო** _ ალექსანდრე სარაჯიშვილმა ერთხელ ესეც კი დაწერა _ «ქართველი ისე შეეჩვია მონობას, ბატონის გამოცვლა თავისუფლება ჰგონიაო».

**ფატი** _ არაფერია აქ უცნაური და მოულოდნელი. საკუთარი უძლურების შეგნებამ ქართველ ხალხს თავისთავის რწმენა დააკარგვინა.

**ნინო** _ ცალკეული პიროვნებების ურწმუნოება მთელ ხალხს არ უნდა მიეწეროს.

**შალვა** _ რას ჰქვია არ უნდა მიეწეროს. ხალხი თავის აზრს მოაზროვნე ადამიანების პირით გამოსთქვამს.

**ფატი** _ «მოჰმადლე ქართველს ქართვლის, ე.ი. საქართველოს, ნდობა და სიყვარული». ეს, აბა, სხვას რას ნიშნავს? ანდა

«და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულობის შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული».

**ნინო** _ გადაჭარბებაა. უყვარდა მას ფერების გამუქება.

**ელენე** _ მართალია, მართალი! «ბედნიერი ერი» გადაჭარბება კი არა უფრო მეტია. ამ ლექსისათვის, ღმერთო შეგცოდე და, კი იყო მოსაკლავი.

**სანდრო** _ დავიჯერო შენ უფრო გიყვარს ქართველი ხალხი, ვიდრე ილიას?

**ელენე** _ რატომ არ შეიძლება უფრო რომ მიყვარდეს?

**ნინო** _ კარგი ერთი. დაანებე თავი ცარიელ ლაპარაკს.

**ანდრია** _ ნახეთ, ხუმრობა ხუმრობაში ხალხი სერიოზულად დაინტერესდა ილიას პიროვნებით და შემოქმედებით.

**ნინო** _ ჩემი სიცოცხლე იწილო-ბიწილო როლების თამაშში გავატარე. ერთხელ მეც ხომ შეიძლება რაღაც ამაღლებულს და მშვენიერს ჩავუღრმავდე.

**სანდრო** _ ვინ გიშლის. ოღონდ შენც ნუ დაგვიწყებ მტკიცებას _ ილიას «ბედნიერი ერი» არ უნდა დაეწერაო.

**ნინო** _ არც ელენე არ ამტკიცებს ამას. უბრალოდ გული სტკივა, როცა ამ ლექსს კითხულობს. შენ არ გტკივა? ძალიან გსიამოვნებს?

**სანდრო** _ არ მსიამოვნებს. მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორო.

**ელენე** _ მოდი და აიტანე ასეთი გულგრილობა. მშობელი ქვეყანა, მტყუანიც რომ იყოს, უნდა გაამართლო.

**სანდრო** _ ჩვენს დღევანდელ საუბარშიც კარგად ჩანს ჩვენი ხასიათი. კალიასავით დავხტივართ იქით-აქეთ. ერთ კითხვას მაინც გავცეთ პასუხი.

**შალვა** _ აბა, მართალი თუ გინდათ გითხრათ, ილიას გადაჭარბება უყვარდა, მაგრამ არა უიმედობის, არამედ იმედიანობის მიმართულებით.

**ფატი** _ რას გულისხმობთ?

**შალვა** _ უსმინეთ, როგორ საუბრობს მოხევესთან:

«_ მაშ უწინდელი დაწყობა და დრო იყო უკეთესი იყო?

_ რაიდ არა?

_ რით იყო უკეთესი?

_ ადრიდა ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ» გამოგონილია ეს. ისინი სულ არ ფიქრობდნენ ასე. ილიას მოხევე გამოგონილი პერსონაჟია და არა რეალური.

**ფატი** _ ვინ გითხრათ ეს. რით ამტკიცებთ?

**შალვა** _ მადლობა ღმერთს, ლიტერატურა უხვად გვაქვს. ახლავე წაგიკითხავთ მაგის საბუთს... აი, იაკობ მანსვეტაშვილის «მოგონებები». ყური დაუგდეთ, რა წერია აქ.

«_ მოურავო, ეგ ვინ არიან. ემანდ კარწინ რომ ბალახს სთიბავენ?

_ ხევსურები არიან.

_ აბა, ერთი აქ დაუძახე.

მოვიდნენ.

_ ღვინოს არ დაჰლევთ? _ ეკითხება ილია ხევსურებს.

_ რატომ, თუკი თქვენი წყალობა იქნება სიცხისაგან ხახა ამოგვიშრა.

ილიამ განკარგულება გასცა, ღვინო მოეტანათ...

_ უწინდელი დრო გახსოვთ, _ ეკითხება ილია. აი, ჩვენი მეფეები რომ გვყავდა?

_ ხსოვნით კი არა, რა გვეხსომება და გაგონით კი გაგვიგონია.

_ მერე:Pმაშინდელი დრო სჯობდა თუ ახლანდელი?

_ რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არ გვქონდა, შველა არსაიდამ იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე! ეხლა რა გვიშავს. აი, თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს.

ცოტა არ იყოს, წახდა ილია. მოელოდა წარსულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კი სულ სხვა მიიღო...»

**ელენე** _ ჩაჭრა შალვამ ფატი. აშკარად ჩავჭერით.

**სანდრო** _ ნუ ვაღიზიანებთ ერთმანეთს. კამათის დროს სასწორი ხან აქეთ გადმოიხრება, ხან იქით.

**ფატი** _ სრულებით არ ვგრძნობ თავს ჩაჭრილად. ყოველნაირი მოქალაქე არსებობს. ქვეყნის ბედით შეწუხებულიც და პირადი მდგომარეობით დაინტერესებულიც. ერთიც შეიძლება შეგვხვდეს ცხოვრების გზაზე და მეორეც. ასე, რომ მოხევე ლელთ ღუნიას დახატვა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ილიას გამოგონება, გადაჭარბება უყვარდა.

**შალვა** _ ფაქტი ფაქტია, გამოგონებაც უყვარდა და გადაჭარბებაც. ამას საყვედურის ნიშნად კი არ ვამბობთ. უბრალოდ საღად გვინდა შევხედოთ მის შემოქმედებას.

**ნინო** _ მეც დედა ვარ. მეც მყავს ბიჭი. გულწრფელად გეტყვით: ვერ ვიტყვი მე ვერასოდეს _

«ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემი, ამა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...»

ეს პათეტიკაა. ამგვარი რამ მხოლოდ ლიტერატურაშია და არა ცხოვრებაში.

**ფატი** _ ასე ხელაღებით ლაპარაკი არ შეიძლება. გააჩნია იმას, როგორი მსოფლმხედველობისა არის ადამიანი. ხომ ვერ უარყოფთ იმას, რომ არსებობენ იდეისათვის თავდადებული ადამიანები.

**ანდრია** _ თავდადებული ადამიანები არა. არიან ფანატიკოსები. მათ აკვიატებული იდეა მართალი ჰგონიათ. იხოცებიან კიდეც ამისათვის. მე პირადად ფანატიკოსების არ მჯერა... არა მარტო არ მჯერა, მეშინია მათი.

**შალვა** _ ვინც თავის სიცოცხლეს არაფრად აგდებს, ის სხვის სიცოცხლეს სულ არ დააფასებს. საშიში არიან, აბა, რა!..

**სანდრო** _ შეიძლება საშიში არიან, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისტორიას ისინი ქმნიან.

**ანდრია** _ ისტორიის შექმანზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია იმაზე _ იცვლება თუ არა რაიმე საერთოდ და კერძოდ ადამიანის სულში ფანატიზმით, თავდადებით.

**ელენე** _ თავდადება რაიმესთვის არ შემიძლია. მაგრამ თავდადებული ადამიანები ძალიან მხიბლავენ. მათ ამბავს როცა ვისმენ, ვკითხულობ, ამაყი ვხდები.

**ნინო** – შენი გაამაყებით რა იცვლება? როგორიც იყავი ხომ ისევ ისეთი რჩები.

**ანდრია** _ ერთი ადამიანის გაამაყებისათვის ღირს მეორე ადამიანმა სიცოცხლე დათმოს? მეორე სიცოცხლე ხომ არ არსებობს?

**ელენე** _ მაგის პასუხი სად შემიძლია. მე მხოლოდ ის გითხარით, რა გრძნობა მეუფლება.

**ფატი** _ რასაც თქვენ ამბობს, იმას თუ გავიზიარებთ, საზოგადოება რუტინისა და ერთფეროვნების ჭაობში ჩაიხრჩობა. ცხოვრება მოძრაობაა. თუ იგი არ მოძრაობს, ლპება, მატლები ესევა. სწორედ ამ მოძრაობას, სიცოცხლის მოძრაობას ქმნიან ისეთი ადამიანები, როგორიც ილია იყო, ან სხვები, რომელთაც თქვენ ფანატიკოსის სახელით იხსენიებთ.

**ანდრია** _ თუ მარტო მოძრაობაა მათი მიზანი, მაშინ იგი ბოროტმოქმედმაც შეიძლება შექმნას. მაგალითად, ახლა ქუჩაში რომელიმე ხულიგანმა კაცი რომ მოკლას, ჩვენ ყველანი ავჩოჩქოლდებით. ასეთ მოძრაობას რა აზრი აქვს?

**ფატი** _ მართალია, მოძრაობა სხვადასხვაგვარია. ამიტომ დგას სწორედ მისი ზნეობრიობის პრობლემა. მოძრაობ რა ზნეობრივი მიზნით, ეს არის არსებითი და გადამწყვეტი.

**შალვა** _ «მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი... აბა, პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს».

**ფატი** _ მოძრაობა მოძრაობისათვის არ არსებობს. მოძრაობა ბუნებრივად, ყოველთვის ცვლილებას იწვევს როგორც პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. ამიტომ ყოველთვის უნდა გავიგოთ, როგორიც ამ ცვლილების ზნეობრივი ღირებულება.

**სანდრო** _ ცვლილების ზნეობრივი ღირებულება რომ დავინახოთ, ჯერ უნდა ვიცოდეთ იმ გზის ზნეობრივი ღირებულება, რომლითაც ცვლილებამდე მივედით.

**ფატი** _ რა თქმა უნდა.

(ინტერმედია მეორე: ისევ მღერის გუნდი.
«მერე, როცა მაგ ბეზღობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი,
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ, _
_ რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
_ მოვყევით და სიხარულით
ყოველდღე ვბედოვლათობდით».

ეს ისე დარბაისლურად და შინაგანი ღირსებით უნდა იმღეროს, როგორც «ჩაკრულოს» მღერიან, ხოლო ცეკვა კი უნდა იყოს შმაგი, ხანჯლების ბზრიალ-ტრიალით, ცერებზე ხტომით და ველური შეძახილებით, როგორც ჩვენს ანსამბლებში ცეკვავენ).

**სანდრო** _ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად პიროვნების ზნეობრიობასაც.

**ფატი** _ ყოველი კეთილშობილი იდეა შეიძლება ბოროტების წყარო გახდეს, თუ მას უზნეო ადამიანები დაეპატრონენ.

**შალვა** _ ადამიანი ყოველთვის ადამიანია. თავისთავი ურჩევნია სხვას.

**ელენე** _ ჯერ თავო და თავო, მერე სხვაო.

**ფატი** _ ამ წესით საზოგადოება ვერ იცხოვრებს. თუ ადამიანს მოყვასის სიყვარული დაავიწყდა, იგი გაპირუტყვდება. მოყვასის სიყვარულის იდეა კი ქრისტიანობაზე უკეთ არავის გამოუხატავს. ამ იდეას კარგად გამოთქვამს «გლახის ნაამბობში» ახალგაზრდა მღვდელი. «როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებს, მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალე ვიყავი, არ მასვითო: მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო: შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო: სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სად გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, _ მე ვიყავიო. ესეა, ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა!..»

**ანდრია** _ უკეთილშობილესი სიტყვებია. გეთანხმებით. არც იმაშია საქმე, მოძველდნენ ისინი თუ ძველებურად ცხოველად ჟღერენ. არსებითია ის, რომ ისინი მხოლოდ სიტყვებია და პრაქტიკულად, ცხოვრებაში ასე არავინ იქცევა. არარეალურია ამის ქადაგება.

**სანდრო** _ ორი ათასი წელიწადია ამ კეთილშობილებას, ამ სიყვარულს გვასწავლიან და მაინც ვერაფერი ვისწავლეთ. წარმოიდგინე, _ მაშინ რაღა მოხდება, თუ დავიჩემეთ, არარეალურია ამის ქადაგებაო და უარი ვთქვით მასზე. ალბათ, სულ დაიქცევა ქვეყანა.

**შალვა** _ დაგავიწყდათ? არც ილია იქცეოდა ისე, როგორც «გლახის ნაამბობის» მღვდელი ქადაგებს.

**ფატი** _ მართალია, ადამიანი ადამიანია და შეცდომისაგან დაზღვეული არ არის. ყოველთვის ისე ვერ მოიქცევა, როგორც მის იდეალს შეესაბამება, მაგრამ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს _ რა იდეალით ცხოვრობს ადამიანი.

**ნინო** _ «მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
არც სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურის მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: «შეუნდე, _ არ იციან, ღმერთო, რას იქმან!»

**ანდრია** _ ესეც ისევ სიტყვებია. სურვილია. უნდა ვიცოდეთ, რისი განხორციელება შეიძლება რეალურად ცხოვრებაში და რისი არა.

**სანდრო** _ თუ საზოგადოება პრაქტიციზმმა ასე გამოაშრო და გაახმო, მაშინ სულიერი ცხოვრება უარყოფილი იქნება.

**ფატი** _ ამაშია საქმე. როგორც კი სულიერი ცხოვრების უარყოფას შევუდგებით, მაშინვე ტოტალური, საყოველთაო ბოროტება დაისადუგრებს.

**შალვა** _ ნუ გვაშინებთ. არავითარი საყოველთაო ბოროტება არ გამეფებულა. რამდენი პირველყოფილი ტომი არსებობს ჯერ კიდევ. არავითარი ზნეობრივი მოძღვრება მათ ჯერ არ შეუქმნიათ, არც არაფერი გაუგონიათ ამ მოძღვრებებზე, მაგრამ ცხოვრობენ თავიანთი მარტივი ცხოვრებით. მშვიდად, არავის აწუხებენ და არაფერს აშავებენ.

**ფატი** _ მე საყოველთაო ბოროტების გამეფებას ვეძახი იმას, როცა ადამიანს აღარაფერი უნდა. მექანიკურად ასრულებს იმას, რაც ევალება. უქრება პროტესტის გრძნობა. მუშა-საქონელივით თვინიერია.

**ელენე** – თვინიერება, სიმშვიდე, სიწყნარე არ სჯობს გაუთავებელ დავას, ბრძოლას, ჩხუბს?

**სანდრო** _ ალბათ, აჯობებდა შენგან მოწონებული თვინიერება, სიწყნარე, სიმშვიდე ბოროტების საფუძველი რომ არ იყოს.

**ელენე** _ ნუ გადამრევთ! თვინიერებაც და სიგიჟეც ერთნაირად არის ბოროტების საფუძველი?

**სანდრო** _ ის თვინიერი არასოდეს ამოგიდგება მხარში რაიმე კეთილი, სასარგებლო საქმის გასაკეთებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამოვნებით გახდება ნარკომანი, ქურდი, კაცისმკვლელიც კი.

**ფატი** _ როგორი მშვიდიც უნდა იყოს ადამიანი, მას ენერგია აქვს. ეს ენერგია უნდა დაიხარჯოს. სხვანაირად ვერ იარსებებს. როცა იდეალი არა აქვს, იმ ენერგიას შავ საქმეში ხარჯავს.

**ელენე** – არ ყოფილა მაშინ საშველი და ეს არის.

**ანდრია** _ საშველი რომ იყოს, მაშინ არც სასჯელი იარსებებდა და არც ციხე.

**შალვა** _ მათრახი და თაფლისპური ამყარებს წესრიგს. ზოგს მათრახი უნდა დასცხო, ზოგს თაფლისპური უნდა აჭამო. არაა სხვა გამოსავალი. იცოდა ეს ილიამ. ამიტომაც იყო მკაცრი. მსი ბუნებას კარგად გვიჩვენებს იაკობ მანსვეტაშვილის ეს ნაამბობი _ «...ილიამ თვალი მოჰკრა, რომ ვიღაცამ იმის ვენახსი ღობე გადალახა და შესძახა:

_ ბიჭო, ვინა ხარ, ე ღობეს რომ ამტვრევ? მოურავო, მოიყვანე აქ.

მოიყვანეს.

_ გაჰხადეთ ჩოხა!

_ მაპატიეთ, შენი ჭირიმე, მეჩქარებოდა, _ ეხვეწებოდა დამნაშავე.

_ პატიება რას მიქვიან! ბიჭო, რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, გაუფრთხილდით სხვის ქონებას ისე, როგორც თქვენსას. აბა, შენთვის გადაეტეხნათ ღობე, მგონი, თავსა და პირს დაამტვრევდი. მე ჩემთვის კი არ ვლაპარაკობ, თქვენ მინდა ჭკუა გასწავლოთ. მე მალე შევაკეთებ ღობეს. მაგრამ ეგ რომ შენი ხელმოკლე მეზობელი იყოს, იმან რაღა ქნას? მინამ ის შეაკეთებს, შეესევიან ღორ-ხბო, ძაღლი, ქათამი და სულ აუოხრებენ, რაც კი აბადია.

მერე, შენ აუნაზღაურებ ზარალს? აბა, ემაგითი ხართ დაღუპულები, რომ სხვისი დაზოგვა არ იცით, სხვის ქონებას არ უფრთხილდებით. მე კი ჩემი ავისრულოვო და სხვები ფეხებზე მკიდიაო. სულ მაგას ჩაგჩიჩინებთ, ნუ სჩადიხართ მაგას, ნუ ხართ გაუტანლები, მაგრამ ვერ გაგაგონეთ რა. აი, ეხლაც მეუბნები, მეჩქარებოდაო. უფრო არ დაიგვიანე? უსიამოვნებაც მიიღე. არ გერჩია, შვილოსა, შორს მოგეარა და შინ მშვიდობით მიჰსულიყავი? წაიღე შენი ჩოხა, ჩემთვის რა ბედენაა. დაიხსომე კი კარგად ჩემი ნათქვამი, თორემ მეორედ ეგრე ადვილად ვერ გადამირჩები!»

**ანდრია** _ ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ სხვათა მოქმედებისადმი ილიას დამოკიდებულება გამაღიზიანებელია. ყველას ჭკუას ასწავლის, ყოველთვის თავისთავი მართალი ჰგონია.

**ნინო** _ იმ გლეხისადმი დამოკიდებულებაში ილია მართალი არ არის? აქ პირდაპირ ის სიმკაცრეა, რაც ოთარაანთ ქვრივის ან მისი გიორგის საქციელსა და მოქმედებაშია.

**ანდრია** _ მოქმედება, საქციელი შეიძლება სამართლიანი იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ გაღიზიანებს. რაკი გაღიზიანებს, ე.ი. მტრულადაც განგაწყობს.

**სანდრო** _ ყველა მოგონების დაჯერებაც არ შეიძლება. ხშირად მემუარისტები ტყუილებს წერენ.

**ანდრია** _ მანსვეტაშვილს არ დაუმსახურებია უნდობლობა.

**სანდრო** – მანსვეტაშვილი არ მყავს მხედველობაში. საერთოდ ვამბობ.

**ანდრია** _ შესაძლებელია. ყველა მემუარისტს თავდებად ვერ დაუდგები. მაგრამ აბა, დააკვირდით, როგორ ხასიათსაც აღწერს მანსვეტაშვილი, თითქმის ისეთ ხასიათს ავლენს ილია თავის წერილებში. მისი პათოსი ყოველთვის დიდაქტიკურია.

**ფატი** _ ასეც უნდა იყოს. მან დიდი მისია იკისრა. მას უნდოდა წინ გასძღოლოდა ქართველ ხალხს ახალი მომავლისაკენ. ამიტომ იგი ვერ გაუწევდა ანგარიშს ყველა მუქთახორასა და ლაზღანდარას.

**ანდრია** _ არავინ იცავს მუქთახორასა და ლაზღანდარას. ლაპარაკია იმაზე, რომ ილია დიდაქტიკოსის, დამრიგებლის ტონით ელაპარაკებოდა თავის თანამერძოლებსაც. ალბათ, ეს მათაც აღიზიანებდათ.

**შალვა** _ სადღაც წამიკითხავს: თუ გინდა გაიგო, ადამიანი ნორმალურია თუ არა, ერთი კითხვა უნდა დაუსვაო _ ყოველთვის, ყოველ დავაში მართალი ჰგონია თავი თუ არა. უშვებს თუ არა, რომ ზოგჯერ თვითონ სტყუა. თუ გიპასუხათ, ყოველთვის მართალი ვარო, ეს კაცი უკვე არანორმალურთა კატეგორიას ეკუთვნის.

**ნინო** _ შენი გადაკვრით, ქარაგმულად ნათქვამი ვის გულისხმობთ?

**შალვა** _ კერძოდ არავის. მაგრამ რაა დასამალი და ილიას უყვარდა თავისთავის ყოველთვის მართლად გამოყვანა.

**ნინო** – საბუთი?

**შალვა** _ იონა მეუნარგიას ნაამბობი.

«ვისრამიანის» ბეჭდვა რომ იწყებოდა, ეს უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება მიანდვეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალექსანდრე სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არა აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის აღტაცებით იმან დაიჯინა უ

უბრჯგუოდ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი თითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარის არქაულის ფორმისა, მაგრამ ასე გასინჯეთ, იმასაც კი შეეშინდა ამგვარის გადაწყვეტილებისა. რაგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწამებინათ, რომ დასწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი, ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია. წარმოიდგინეთ რა სიტყვები გამოვიდოდა თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, _ ჩუენ; მოსვენება _ მოსუენება; გამოკვება _ გამო...

_ ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდნიათ _ ჰკითხეს პოეტს.

_ წარმოიდგინეთ: მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდნია?

_ მე ისე დავბეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე...

_ თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია, უთხრა გაჭავრებით პეტრემ და გახსნა უბის ჯიბე. ამოიღო მანდედამ ხელმოწერეილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

_ თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვა რიგად დაწერილი მეგონა, უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამნაშავედ არ გამოიყვანა».

**ნინო** _ კარგი ერთი. ეს უბრალო ხუმრობაა. მისი სერიოზულად მიღება როგორ შეიძლებოდა?

**ელენე** _ არც ისე უვნებელი ხუმრობაა ეს. წარმომიდგენია, რა დაემართებოდა საწყალ პეტრეს. ვერც გაბედავდა ეთქვა ილიასათვის _ მტყუანი ხარო.

**ანდრია** _ ხომ გითხარით, ილია ძალიან ჯიუტი კაცი იყო. ოღონდ თვითონ გამოსულიყო მართალი და სხვის თავმოყვარეობას არ ზოგავდა.

**სანდრო** _ არა, სხვის თავმოყვარეობას არ ზოგავდაო, ამის თქმა მეტისმეტია.

**ანდრია** – სრულებითაც არ არის მეტისმეტი.

**ფატი** _ დაეჭვებული ადამიანი ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს. ასეთი კაცი მთელი სიცოცხლე იმის აწონ-დაწონვას მოუნდება, როდის არის მართალი და როდის ცდება. ცხოვრება ფუჭ ფიქრში გაივლის.

**ანდრია** _ თუ ასე თვლით, საერთოდ მოღვაწეობის საშუალებების ზნეობრიობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**ფატი** _ არ შეიძლება რელიგიური მოძღვარი, რევოლუციონერი დაეჭვებული იყოს. მათ საკუთარი სიმართლე ურყევად უნდა სჯეროდეთ. სხვაგვარად მიზანს ვერ მიაღწევენ.

**სანდრო** _ მე მგონია, ფატი წინააღმდეგობაში ჩავარდა.

**ფატი** _ რატომ?

**სანდრო** _ თუ რელიგიური მოძღვარი, რევოლუციონერი თავის საკუთარ სიმართლეში ვერ დაეჭვდება, თავი ყოველთვის მართალი ეგონება, მაშინ იგი არასოდეს მიიღებს სხვის აზრს, არასოდეს დაუგდებს კრიტიკას ყურს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოძალადე გახდება. იქ სადაც ძალადობაა, ზნეობრიობაც გამორიცხულია.

**შალვა** _ ხომ არ დაგავიწყდათ? საკითხი სწორედ ასე დასვით _ მიგაჩნიათ თუ არა ილია საქართველოს ისტორიის ზნეობრივ მოვლენადო. თუ ილია თავის აზრის გასავრცელებლად ძალადობას მიმართავდა, მაშინ მართლაც ზედმეტია ზნეობრიობაზე ლაპარაკი.

**ფატი** – ილიას ძალადობაზე მე სიტყვა არ დამიძრავს.

**ანდრია** – ასე გამოვიდა.

**ელენე** – მთელ ხალხს კი არა, ჩვეულებრივ, როგორც წესი, ქალსაც ის მამაკაცი ხიბლავს, რომელიც მტკიცეა, მთლიანია. აბა, ის, რომელიც მომჩვარულია და დონდლო, ვის რაში უნდა?

**ფატი** _ გაუგებრობა შეიძლება გამოიწვია იმან, რომ მე არ მითქვამს, რას ვუწოდებ ზნეობრიობას. ჩემთვის ზნეობრიობის მაგალითია ქრისტე. არა მარტო იმიტომ, რომ იგი ზნეობრივ მოძღვრებას ქადაგებდა, არამედ იმიტომაც, რომ იგი ჯვარს აცვეს. ე.ი. თავისი მოძღვრების დასამკვიდრებლად, გასავრცელებლად სხვები კი არ მიიტანა ზვარაკად, არამედ თავისთავი.

**ნინო** – ილიაც ხომ თავად არის მსხვერპლი! ისიც ზვარაკად შეეწირა საკუთარ იდეას!

**ანდრია** _ ქრისტიანობის გავრცელებასაც უამრავი მსხვერპლი შეეწირა.

**ფატი** – მართალია, მაგრამ აქ ქრისტე არაფერშუაშია. თვითონ იგი უმწიკვლოა. მის მიმდევრებს არ აღმოაჩნდათ ის ზნეობრივი ძალა, რაც ქრისტეს ჰქონდა და ძალადობას მიმართეს. ბევრი ნაძირალაც მიეტმასნა მის მოძღვრებას.

**ანდრია** _ ქრისტეს რეალურ არსებობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ის, რაც სახარებში წერია, მაინც ღმერთკაცის ცხოვრების მოდელია. მოდელის მიხედვით კი რეალური ადამიანის ცხოვრებას ვერ დახატავ.

**ფატი** _ არც ვაპირებ. მთელი ჩვენი საუბარი მოვლენის არსში წვდომას ემსახურება.

**შალვა** _ მაშინ ილიას ხასიათის სუსტი მხარეებიც უნდა ვაჩვეოთ. როცა ადამიანი გაფეტიშებული არ არის და იგი ყველა კუთხიდან არის დახატული უფრო საინტერესო და მიმზიდველი გამოდის.

**ნინო** – რამდენადაც ვიცი, ილიას ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეული მაინც მაჩაბელთან კამათია. ძნელია ცხადად გაარკვიო, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი.

**სანდრო** _ ამ კამათში კარგად ჩანს ილიას დიდსულოვნება და მოთმინება.

**ანდრია** _ ვერ დავარქმევდი ილიას საქციელს დიდსულოვნებას და მოთმინებას.

**ფატი** _ მაინც რას გულისხმობთ?

**ანდრია** _ ილია ივანე მაჩაბელს პაექრობის დროს ვანკა-ვსტანკას ეძახდა. ეს რუსული სათამაშო საითაც უნდა წააქციო, მაინც წამოხტება და ფეხზე დადგება, განმარტავდა ილია. ეს იმიტომ ხდება, რომ ვანკა-ვსტანკას სიმძიმე ფეხებში აქვს და არა – თავშიო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი დაცინვაა ეს.

**ელენე** _ იმისათვის, რაც ივანე მაჩაბელმა ილიაზე დაწერა, ასჯერ მეტი ეკუთვნოდა. ჩემზე ვინმეს ისე დაეწერა, იქვე მივახრჩობდი.

**ნინო** _ შენ საიდან იცი, მაჩაბელმა რა დაწერა?

**ელენე** _ ამ მასალებში წეღან ერთი ძველი წიგნი ვნახე. სანდრომ მითხრა, მაჩაბლის დაწერილიაო.

**ნინო** – ცუდი რამეები წერია?

**ელენე** _ აი, ნახე.

«რა გააკეთა თავად ჭავჭავაძემ რომელსაე საზოგადო ასპარეზედ?

რა გააკეთა დრამატულ საზოგადოებაში?

სხვათგან ჩინებულად დაწყებული საქმის უფროსობა ჩაიბარა, ამ უფროსობაში მოვლა-გაზრდის მაგივრად სიკვდილამდე მიიყვანა და მიმკვდარებული, სულთ-მობრძავი სხვათა მიუგდო საპტრონებლად, _ ეხლა თქვენ მოუარეთო.

რა გააკეთა «წერა კითხვის საზოგადოებაში»?

არაფერი იმის მეტი, რომ ყოველსავე სასარგებლო აზრს და დაწყებულებას მუხლს უხუთავდა თავის მოუნდომლობით და გულცივობით.

რა გააკეთა სათავად-აზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებაში?

არაფერი, არაფერი, სრულიად არაფერი.

რად გარდაჰქმნა ქართული ყვოელდღიური გაზეთი?

უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდის თაბახად, რომელიც მხოლოდ ჭავჭავაძის პირადს, დიაღ, ვიმეორებთ, პირადს ინტერესსა და წადილს ყურ-მოჭრილ მონასავით ემორჩილება. დასასრულ, რა მიმართულება, რა გზა აჩვენა, რა გააკეთა ყოველ დასახელებულ საქმის მასაზრდოებელ ბანკში, რომლის მოთავედაც ის ითვლებოდა დასაწყისიდამ დღემდე?

მთელის ჩვიდმეტის წლსი განმავლობაში ვერ გაიცნო, ვერ შეითვისა ანბანიც კი ბანკის საქმისა, რომელზედაც ასე თამამად ჰქადაგებდა ბანკის კათედრიდამაც და «თავის» გაზეთის ფურცლებზედაც».

ეს დასკვნაა, შიგნით კიდევ რაები წერია!

**შალვა** _ არა, არა, მართლა დაუნდობელი ხალხი ვართ ქართველები. არაფრის დაფასება ჩვენ არ ვიცით.

**ფატი** _ რატომ? დისკვსია, კამათი ყველა ქვეყანაში ასე ხდება. როგორ ლანძღავდნენ ვოლტერი და რუსო ერთმანეთს, როგორ დასცინოდნენ!.. დაშაქრული და ზრდილობით სავსე წერილი მისწერა ბელინსკიმ გოგოლს?

**შალვა** _ ძველი მეგობრები იყვნენ. რამდენი საქმე გაუკეთებიათ ერთად. მეტი მორიდება, მეტი გულისყური უნდა გამოეჩინათ ერთმანეთისადმი.

**ფატი** _ მე კი ვთვლი, რომ სწორედ მათი პაექრობის სიცხარე, პათოსი, პრინციპულობა იყო იმის უპირველესი ნიშანი, რომ ქართველი ხალხი ცოცხლობდა, იბრძოდა, იღწვოდა.

**ელენე** _ ლანძღვა-გინებაა სიცოცხლის ნიშანი?

**ფატი** _ მათი პაექრობის პოლემიკურმა პილპილმა არ უნდა დაგვწვას პირი. აზრს უნდა მივაქციოთ ყურადღება. მიზანს, რომლისთვისაც ეს ხდება.

**სანდრო** _ პოლემიკა, აზრის მოძრაობა, ჭიდილი, რა თქმა უნდა, უდავოდ ერის სიცოცხლის ნიშანია. მაგრამ პოლემიკაში თავდაჭერილობა, ერთმანეთის ღირსების პატივისცემა ასევე უდავოდ ნიშნავს ერის კულტურას.

**ფატი** _ რასაც თქვენ ამბობთ, მაყურებელი გონების თვისებაა. მებრძოლ გონებას ეს არ ახასიათებს. რა პასუხია და, მე ძალიან მტკივა გულ, რომ ქართული ეკლესია ერესს არ იცნობს.

**ნინო** _ რაზე გტკივა გული? ხოცვა-ჟლეტა, ცეცხლში დაწვა რომ არ იყო?

**ფატი** _ უკიდურეს გამოვლინებებზე არ ვლაპარაკობ. აზრთა სხვადასხვაობაზე, აზრთა ჭიდილზე მოგახსენებთ. დაძინებული გონებით ხომ არ ვცხოვრობდით? ეს საშინელებაა.

**სანდრო** _ დაძინების საშუალება ვინ მოგვცა. დღედაღამ ხმალი გვეჭირა ხელში.

**ფატი** _ ხელში ხმლის ჭერა და ქნევა ყოველთვის არ არის მღვიძარე გონების დამადასტურებელი. ზოგჯერ მძინარე უფრო გაშმაგებული იქნევს ხმალს.

**შალვა** _ ალბათ, ილიაც ამსი გამო ჩიოდა: «ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?»

**ფატი** _ შეიძლება. მაგრამ ის კი აშკარა და ცხადია, რომ მან ქართული აზრი გააღვიძა. მაჩაბლისა და ილიას კამათიც ამ ღვიძილის გამოვლენა იყო.

**ანდრია** _ ისე მოულოდნელი კია, რომ ილიამ არ უპასუხა მაჩაბელს.

**ფატი** _ რატომ მიგაჩნიათ მოულოდნელად?

**ანდრია** _ როგორ თუ რატომ? ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც არავინ დაუტოვებია უპასუხოდ. პასუხობდა ივანე ჯაბადარს, ნოე ჟორჟანიას, არჩილ ჯორჯაძეს, ნიკო მარს...

**ფატი** _ პასუხობდაპ იმიტომ, რომ ისინი ეროვნულად და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდნენ.

**შალვა** _ როგორ, მაჩაბლის წიგნი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხს არ ეხებოდა?

**ფატი** _ სამწუხაროდ ნაკლებად. წიგნის მიზანი ძირითადად მაინც ილიას პიროვნების დამცირება იყო.

**შალვა** _ ნუთუ მაჩაბელი ასე დაწვრილმანდა?

**სანდრო** _ მაჩაბელი მარტო არ ყოფილა. ილიას სხვებიც დებდნენ ბრალს გაუტანლობაში.

**ელენე** _ კიდევ ვინ?

**სანდრო** _ «თქვენ დღეს თავისუფალ მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციაში დაკარგეთ თითქმის ყოველი ნდობა. მიიხედ-მოიხედეთ. აბა, ვინღა დაგრჩენიათ გარშემო თქვენი მიმართულების გამგრძელებელნი თანამშრომელნი. ყველანი თქვენი გაუტანლობით შემოიფანტეთ. მოიგონეთ თქვენი მტრობა დიმიტრი ყიფიანთან, დავით ერისთავთან, ნიკო ნიკოლაძესთნ, აკაკი წერეთელთან და მრავალ სხვათა ჩვენთა მოღვაწეთა, რომელნიც წარჩინებული ნიჭით და ქვეყნის სიყვარულით გამოირჩეოდნენ. ესენი ყველანი გულნატკენი გარსშემოიცილეთ და ახლა დარჩით მხოლოდ თქვენი ძველი «მეზურნეების» ამარა, რომელთაც თავის საკუთარი ქუჩის ფურცელი გააჩინეს და «ზურნით» შეამკობენ თქვენ დიდებულებას... ყველა ცოტაოდნათ ნიჭის მქონე, საზოგადო მოღვაწეობის მქონე და თავისუფალი მოაზრე ახალგაზრდა დაქსაქსეთ და მარტოთმარტო დარჩენილხართ... აბა, მიჩვენეთ, სად არიან ის წარჩიინებულნი მოღვაწენი ქვეყნისა, რომელნიც დღეს გარს უნდა გეხვიონ და თქვენთან ერთად

ხელიხელჩაკიდებული უნდა შეცქეროდენ დიდ ისტორიულ მოვლენას და მასში ეძებდნენ ქვეყნის ხსნის მომასწავებელ გარემოებათა. ისინი არიან ყველგან და თქვენთან კი არა. იმიტომ, რომ თქვენი გაამპარტავნებული თავმოყვარეობის გამო ყველანი შემოირეკეთ და დარჩით სულ მარტო».

**ნინო** _ ამას ვინღა წერდა?

**სანდრო** _ გიორგი წერეთელი.

**ფატი** _ შეუძლებელია!

**სანდრო** _ რა არის შეუძლებელი?

**ფატი** _ ეს გიორგი წერეთლის დაწერილი იყოს.

**ნინო** _ სანდრო მსახიობად არ უქნია ღმერთს, თორემ მისდაგვარად განათლებული კაცი ბარე ორიც არ არის ჩვენში. რაც არ იცით, იმას სანდრო არ იტყვის.

**ფატი** _ ხომ შეიძლება ეშლებოდეს? როგორ, გიორგი წერეთელმა არ იცოდა, რომ პაექრობა, კამათი მტრობა არ არის? ყიფიანს მტრობდაო, ერისთავს, ნიკოლაძეს, აკაკის... ეს ხომ... როგორ ვთქვა? ცილისწამებაა...

**შალვა** _ რატომ? გიორგი წერეთელი თუ ასე ფიქრობდა და სჯეროდა.

**ფატი** _ რა სჯეროდა? ის, რომ ილია ნიჭიერ ადამიანებს მტრობდა?

**სანდრო** _ ასეა თუ ისეა, ეს გიორგი წერეთლის სიტყვებია. თუ არ მენდობით, ნახეთ 1897 წლის «კვალი», მე-17 ნომერი.

**ნინო** _ მართალი გითხრათ, აღარ მინდა ამ წარმოდგენაში მონაწილეობა.

**შალვა** _ სულ როლების გამო ჩხუბობ და ახლა აღარ გინდა?

**ნინო** _ თუ ყველაფერზე გული გამიტყდა, როლი რაღად მინდა!

**სანდრო** _ გული რატომ უნდა გაგიტყდეს! ჩვენი ქვეყანა წმინდანებით კი არ იყო დასახლებული.

**ნინო** _ სულ მეგონა და მჯეროდა, მე-19 საუკუნის ჩვენს მოღვაწეებს ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ, პირში სულს უბერავდნენ. სინამდვილეში რა ყოფილა?!

**სანდრო** _ თუ გინდათ კიდევ შემიძლია წაგიკითხოთ გიორგი წერეთლის ნათქვამი.

**ელენე** _ აღარ გვინდა. გვეყოფა. ყველაფერი გასაგებია.

**ნინო** _ მე კი არა, მგონი, სპექტაკლის დადგმა ფატისაც აღარ უნდა.

**ანდრია** _ ა... ა... ა!.. აკი ყველაფერი უნდა ვიცოდეთო. სიმართლე თავიდან ბოლომდე უნდა შევიტყოთო. აღარ მოგწონთ? აბა, რას ვამბობდი: წარსულის ფსკერის ჩხრეკა დღეს საჭირო არ არის-მეთქი.

**ფატი** _ შევკრთი. მართალია. მოულოდნელიც იყო. მაგრამ მაინც ბოლომდე უნდა ჩავიდეთ. მაინც ნამდვილი სურათი უნდა წარმოვიდგინოთ. საზოგადოება, რომელსაც სიმართლის მოსმენა და გაძლება არ შეუძლია, აღარ არის საზოგადოება. იგი ჯოგია. ამიტომ ჩვენი უსიამოვნო ძიება უნდა გავაგრძელოთ.

(მესამე ინტერმედია: მოცეკვავეთა ჯგუფი ცეცხლმოდებული ტემპერამენტით ცეკვავს «განდაგანას», ხოლო უგნდი მღერის:

«მერე, როცა მაგ ცილობით

ერთმანეთი ჩვენ დავღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, _
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
_ ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით».

ამ სიმღერის მელოდია და რიტმი ძალიან უნდა ჰგავდეს «სათამაშო ვაშლი მქონდა, შენსკენ გადმომივარდას» მელოდიასა და რიტმს).

**ანდრია** _ მაშ, მაინც ვაგრძელებთ. ნება თქვენია.

**ფატი** _ უნდა გავაგრძელოთ. და იცით უფრო რატომ? ახლავე გეტყვით.

**ელენე** – თუ ქალი ხარ, არ თქვა კიდევ რაღაც საშინელი.

**ფატი** _ 1885 წელს მოჰკლეს ესტატე ბოსლეველი, 1887 წელს _ დიმიტრი ყიფიანი, 1898 წელს უგზოუკვლოდ დაიკარგა ივანე მაჩაბელი, 1906 წელს მოჰკლეს ილიას მეგობარი ნიკო ხიზანიშვილი, 1907 წელს _ თვითონ ილიან, 1918 წელს _ კათალიკოსი კირიონი, 1922 წელს _ თედო რაზიკაშვილი...

**შალვა** _ აუჰ, არ გაგვიჟუჟავს ერთმანეთი!..

**ელენე** _ კარგი, თუ გიყვარდე. ყველაფერზე სიცილი და კბილის კრეჭა არ გამიგონია მე.

**შალვა** _ ჩემთან რა გინდა? მე მოვკალი რომელიმე მათგანი თუ რა?!

**ფატი** _ ეს მოხდა სულ რაღაც 37-38 წლის მანძილზე. ჩვენ კი დღედე არ ვიცით რატომ, რისთვის და ვინ ჩაიდინა ეს მკვლელობანი.

**ელენე** – ყველა ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ? ამისათვის დამიძახეთ რეპეტიციაზე?

**ფატი** _ ჩვენ კი არა, მთელი თაობა ვერ გამოიკვლევს ამას. მაგრამ უნდა დავინტერესდეთ. ჩვენც ხომ მაშინდელი გაზეთებივით გულგრილად არ ვიკითხავთ _ «ახლანდელ დროში განა გაიგებ, ვის და რისთვის ჰკლავენ?»

**სანდრო** _ გამოკვლევაც შეეძლოთ და დადგენაც, მაგრამ მაინცა და მაინც თავი არ შეუწუხებიათ.

**ანდრია** _ მაინტერესებს, ეს მკვლელობანიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურობას ნიშნავს, წეღან რომ გვარწმუნებდა ფატი?

**ფატი** _ ჰო, ნიშნავს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს მშიშრობასაც ადასტურებს.

**ნინო** _ რა ჯანდაბად გვინდოდა ასეთი აქტიურობა, თუ აღარავის გავუშვებდით ცოცხალს.

**ანდრია** _ მე კი მეგონა, ვიღაც გარეშე, ჩვენი დაქცევით დაინტერესებული ოსტატურად გვათამაშებდა თავის დუდუკზე.

**სანდრო** _ არც უმაგისობა იყო.

**შალვა** _ როგორ? სხვამ დაავალა «თაგუნას» , გინდა თუ არა ასე დაწერეო? უფრო საკუთარი ინიციატივით წერდნენ.

**ელენე** _ ესეც მითხარით, ამ «თაგუნამ» თუ ვირთხამ რა დაწერა და მე აწი წიგნის წამკითხავი აღარ ვარ. დღეს რაც გავიგე, მთელი სიცოცხლე მეყოფა.

**შალვა** _ «სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია მშვენიერი წიგნი, რომელსაც «გლახის ნაამბობი» ქვია? ვისი-მეთქი, გეკითხები. რატომ აწერე ასე ხელოვნურათ ბატონების სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ-მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა?

ნუთუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კაკოს, გაბროს და თამროს დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგივიწყებია, სირცხვილი შენ, სირცხვილი!»

**ანდრია** _ ეს სხვაა. შალვა შარაშიძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც პრინციპულად გაემიჯნა ილიას.

**ელენე** _ შალვა შარაშიძე ვინღაა? აკი «თაგუნას» დაწერილიაო.

**სანდრო** _ დავტანჯეთ დღეს ეს ქალი. «თაგუნა» შალვა შარაშიძის ფსევდონიმი იყო.

**ელენე** _ ამერია ტვინი. «თაგუნაო», «ეშმაკიო», «რიგოლეტო»... ვეღარ გავიგე _ ვინ ვინ არის. სახელი და გვარი არ ჰქონდა ამ ხალხს?

**სანდრო** _ მაშინ ფსევდონიმებით წერა იყო მოდაში.

**ფატი** _ შალვა შარაშიძე იმას მაინც აფასებდა, «გლახის ნაამბობი», «რამდენიმე სურათი...» რომ დაწერა... ნოე ჟორდანია არც ამას უფასებდა, მთელ ღვაწლს წყალში უყრიდა...

«გლახის ნაამბობი» დაწერილია 1862 წელს, გამოქვეყნდა 1873 წელს «კრებულში», ხოლო «რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან» მთლათ დაიბეჭდა მხოლოდ 1879 წელს «ივერიაში». ერთი სიტყვით, არც ერთი მისი საყურადღებო თხზულება, გარდა «კაცია-ადამიანისა?!», არ დაბეჭდილა მაშინ, როცა მისი დაბეჭდვა საჭირო იყო. ავტორი ყოველთვის უცდიდა დროს და, როცა ის უიმისოდაც შეიცვლებოდა, მაშინ გაილაშქრებდა დაძველებული და უკვე ცხოვრებიდან გამოსული წყობილების წინააღმდეგ. ამას ეწოდება ბრძოლა ბრძოლის შემდეგ. ასეთი იყო და ასეთია დღესაც ტაქტიკა თავად ილია ჭავჭავაძისა».

**ანდრია** – ეს ორი სხვადასხვა თაობის პრინციპული მსოფლმხედველობრივი დავაა.

**ნინო** – რაც გინდათ ის დაარქვით ამ დავას, ოღონდ ის მითხარით _ ფაქტები, რომელიც ნოე ჟორდანიას მოჰყავს, მართალია თუ არა.

**სანდრო** _ როგორ აგიხსნათ: თუ იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რაზეც ნოე დგას, მაშინ ბრძოლად არც 1862 წელს გამოქვეყნება ჩაითვლება.

**ნინო** – რატომ?

**სანდრო** _ იმიტომ, რომ ბატონყმობა ოფიციალურად, იმპერატორის ბრძანებით, უკვე 1861 წელს გაუქმდა.

**ანდრია** _ ასეთ მუნათს ილიას გიორგი წერეთელიც სდებდა. «...ამ დროს გლეხების განთავისუფლების დროშა თვით დიდმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ააფრიალა. ამიტომაც იმის თანამგრძნობელს ყველას კარი ჰქონდა გაღებული სახელმწიფო სამსახურში. ასეთმა ბედნიერმა გარემოებამ ცხოვრებაში ჩვენი პოეტი-მედროშეც გაალაღა...»

**ფატი** _ არამც და არამც ასე მსჯელობა არ შეიძლება. ილია სოციალური რეფორმატორი კი არ ყოფილა, მწერალი იყო. იგი ზნეობრივი განახლებისათვის იბრძოდა. 1861 წელს ბატონყმობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, გაუქმდა. მაგრამ დარჩა და დიდხანს არსებობდა ბატონყმური ცნობიერება. ილია სწორედ ბატონყმურ ცნობიერებას ებრძოდა. მის შეცვლას ცდილობდა. როგორც ყოფილ ბატონში, ისე ყოფილ ყმაში თავისუფლებისა და თანასწორობის აღზრდა უნდოდა. ამიტომ არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, როდის გამოქვეყნდა «გლახის ნაამბობი».

**ნინო** _ დავიჯერო, ნოე ჟორდანიამ ამდენი არ იცოდა?

**ფატი** _ ვერ გეტყვით, რა იცოდა და რა არა ნოე ჟორდანიამ, მაგრამ მისი მსჯელობა რომ მცდარია, ეს ცხადია. საერთოდ, სოციალ-დემოკრატები მხატვრულ ნაწარმოებს უყურებდნენ, როგორც სოციალურ ნარკვევს. ეს უბრალო შეცდომა არ ყოფილა. ამან ბევრი შეცდომაც გამოიწვია და ბევრი ტკივილიც მიაყენა ჩვენს მწერლობას.

**სანდრო** _ თქვენ ბრძანეთ, ილია მწერალი ყიო და არა სოციალური რეფორმატორიო. მაგრამ ყველა დიდი მწერალი ხომ რეფორმატორია, ზნეობრივი რეფორმატორი. ილიაც ზნეობრივი რეფორმატორია. გაიმარჯვა თუ არა მისმა რეფორმამ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მისი მოღვაწეობა უთუოდ გულისხმობდა ზნეობრივ რეფორმას.

**ანდრია** – თუ ასე მიგაჩნია, ზნეობრივი რეფორმა არ უნდა დარჩენილიყო უშედეგოდ არც სოციალურ ურთიერთობაში... ხომ ასეა?

**ფატი** _ ასეა. ამიტომაც უხარია არჩილს კესოს ტირილი. ხომ გახსოვთ «ოთარაანთ ქვრივი». ილიას მოთხრობაში ცრემლი ურთიერთგაგების, შერიგების ნიშანია, უწყებაა.

**ანდრია** – კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მოხდა ეს შერიგება?

**სანდრო** _ არა. დავუშვათ აქ ილია შეცდა. მაგრამ უმთავრესში ხომ აღმოჩნდა მართალი?

**ანდრია** _ რაში?

**სანდრო** _ თათქარიძისებური უქნარობის, სიზარმაცის, უუნარობის უარყოფა და ოთარაანთქვრივისებური პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის დანერგვა დღეს ბევრად უფრო მეტად გახდა საჭირო, ვიდრე მაშინ იყო.

**ფატი** _ როცა ჩვენი ხალხი თათქარიძეობის მოკვეთისა და ოთარაანთქვრივობის დამკვიდრების აუცილებლობას შეიგნებს, მოხდება ზნეობრივი გარდატეხა-რეფორმა. ეს იქნება ხალხის ხსნის საფუძველი.

**შალვა** _ ვერაფრით ვერ გავიგე, არს ერჩით ამ ლუარსაბ თათქარიძეს. არავის არაფერს უშავებს, არის თავისთვის წყნარად, ჭამს, სვამს. არავითარ ბოროტებას არ ჩადის.

**ფატი** _ უმოქმედობა, რომლითაც ის არის დასნეულებული, ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედებაა. თუ ამ სენისაგან არ განიკურნა როგორც კერძო პირი, ისე მთელი ხალხი, სიკვდილი გარდაუვალია. ამის ეშინოდა ილიას.

**შალვა** _ რა ვიცი რა ვიცი, ჩემთვის ლუარსაბი ერთი საყვარელი, ბუნჩულა კაცია. ნეტა ისე უზრუნველად გამეტარებია ცხოვრება და მეტი არაფერი მინდა.

**ნინო** _ ნუ წუხარ, შალვა. ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც _ მღვდლის ცოლი. ვიღაცას ხომ უნდა უყვარდეს ეს უბედური ლუარსაბი.

**შალვა** _ აგაშენა ღმერთმა. რცოა ის და დარეჯანი ჩიხირთმასა და ბოზბაშზე კამათობენ, ნერწყვი მახრჩობს.

**ელენე** _ არა, ბიჭო, ნერწყვით ეს დავა დაგახრჩობს, ჩვენ რომ გავაჩაღეთ ახლა. იმას ვტირი, საერთოდ არ დამეკარგოს მადა.

**ფატი** _ მალე დავამთავრებთ. ცოტაც მოიცადეთ.

**ელენე** _ გააგრძელეთ, გააგრძელეთ, შენ შემოგევლე. ეს ისე, გუნების გასახალისებლად ვთქვი.

**ფატი** _ ილიას მოდელი, ჩემი აზრით, ასეთი იყო: კლასობრივი შერიგების გზით ეროვნული თავისუფლებისა და შრომის განთავისუფლებისაკენ.

**სანდრო** _ დაახლოებით ასეთივე არ არის სოციალ-დემოკრატების მოდელიც? კლასობრივი ბრძოლის გზით შრომის განთავისუფლებისა და ეროვნულ თავისუფლებისაკენ.

**შალვა** _ მარტო იმისათვის ხოცავდნენ ერთმანეთს, კლასობრივი შერიგება თუ კლასობრივი ბრძოლაო?

**ანდრია** _ ეს არსებითი და გადამწყვეტი განსხვავებაა. კლასობრივი შერიგება ილუზიაა, უტოპიაა. აქ სოციალ-დემოკრატები ცამდე მართალი იყვნენ. მიზანს როგორღა მიაღწევ, თუ მცდარი გზით მიდიხარ?

**სანდრო** – ეს კი მართალია, კლასობრივი შუღლი ბევრად უფრო მძაფრია, ვიდრე ეროვნული.

**ნინო** _ თუ ჩვენ ასე გავაგრძელეთ საუბარი, ჩვენს წარმოდგენას კაციშვილი არ უყურებს. მოწყენილობა და მთქნარება დახოცავს მაყურებელს.

**სანდრო** – შენ გგონია, ეს საკითხები მაყურებელს არ აინტერესებს?

**ნინო** _ შეიძლება აინტერესებს, მაგრამ ამას წიგნში წაიკითხავს. წარმოდგენა მაინც სხვაა. იქ ტემპი, დინამიკა, მოქმედება, მხიარულებაა საჭირო და არა ტვინის გამაწყალებელი ლაპარაკი.

**ფატი** _ იქნებ ნინო მართალი და ბევრი ლაპარაკი გამოგვდის?

**სანდრო** – სიმართლით ნინო ნაღდად მართალია. მაგრამ მსჯელობა მაინც უნდა დასრულდეს.

**ანდრია** _ აზრის ძაფი გამიწყდა. აღარც მახსოვს, არს ვმაბობდი.

**ელენე** – მე გაგახსენებ. კლასობრისი შერიგების გზა მცდარი გზააო, შენ ამბობდი.

**ანდრია** _ ჰო. ეს ერთი. მეორეც. ბრძოლა, იარაღიფ ბრძოლა თვითონ ილიასაც აუცილებლად მიაჩნდა: «თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფია». უთოფოდ ვერც კლასობრივ თავისუფლებას მოიპოვებ და ვერც ეროვნულს.

**ელენე** _ შეხედეთ, ეს ჩვენი ანდრია რა მაგარი ყოფილა! ლამის დამარწმუნოს.

**ფატი** _ განსხვავება ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებაშიც იყო. თან სერიოზული.

**ანდრია** _ რაც გინდათ ის თქვით და რასაც ნოე ჟორდანია ამბობდა, ის მართალი იყო.

**სანდრო** _ რა იყო მართალი _ პოლიტიკური ავტონომია არ გვინდა, კულტურული ავტონომიით დავკმაყოფილდეთო?

**ანდრია** _ ჰო. რასაც ახლა წაგიკითხავთ, ის მართლად მიმაჩნია. 1908 წელს ბროშურაში «ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი» ნოე ჟორდანია წერდა _ «არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორიც

არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისათვის, რმო რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია. მესამოცე წლების მოღვაწეები ამ მიზნით ნაციონალურ კითხვას აერთებდნენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მათ თავის დროშას დააწერეს _ ბატონყმობის მოსპობა და ნაციონალური თვითარსებობა. ხალხია სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს სანახევროდ ფრთა შეაკვეცა».

* * *

«ქართველი ხალხის გაღვიძება ნაციონალიზმის დროშის ქვეშ ვერ მოხდა».

* * *

«ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესც ისე უარყოფს, როგორც წინათ და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდოა, ის მას ხონჩიანა შორს აგდებს».

**ელენე** _ მერედა ეს კაცი ავირჩიეთ პრეზიდენტად.

**სანდრო** _ რას იზამ. ისტორიას უყვარს ხუმრობა.

**ელენე** _ რაღა ყოველთვის ჩვენში დგება ეს ისტორია ხუმრობის გუნებაზე. ერთხელ სხვაგანაც იხუმროს.

**ფატი** _ ნაციონალიზმი ეროვნული თავმოყვარეობისა და სიამაყის გამოვლენაა და მეტი არაფერი. თავმოყვარეობა და სიამაყე ყველა ხალხს ახასიათებს. ქართველი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი.

**ანდრია** _ ეროვნულ თავმოყვარეობასა და სიამაყეს არავინ უარყოფს.

**ფატი** _ რაც თქვენ წაიკითხეთ იქაც და მთელ ბროშურაშიც ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის და სიამაყის გრძნობაა უარყოფილი.

**ანდრია** _ ვერ დაგეთანხმებით. ქართველს არ ახასიათებს პოლიტიკით გამოხატული ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე. სამაგიეროდ მძაფრად აქვს კულტურით გამოხატული ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა.

**სანდრო** _ ცეკვითა და სიმღერით ბოშებიც დიდებულად ცეკვავენ და მღერიან, მაგრამ არა მგონია, მათ რაიმე როლი შეესრულებინოთ კაცობრიობის ისტორიაში.

**ანდრია** _ «ვეფხისტყაოსანი» არაა ცეკვა და სიმღერა. არც ჩვენი ფრესკებია ცეკვა და სიმღერა.

**სანდრო** _ მართალია. არ გედავები. მაგრამ ისიც უდავოა, რომ მათ და ბევრ სხვა რაიმესაც კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში ჯერ-ჯეროვნობით კვალი არ დაუტოვებიათ. იცი რატომ?

**ანდრია** _ ამიხსენი რატომ?

**სანდრო** _ ყოველ კულტურას წინ პოლიტიკა უნდა მიუძღოდეს. პოლიტიკა უნდა უკაფავდეს გზას. ანტიკური ბერძნული კულტურა პოლისების საზღვარს ვერ გასცდებოდა, ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცების მახვილს რომ არ გაეწმინდა მისთვის გზა. შექმპირით ბრიტანეთის კუნძულზე დარჩებოდა. ინგლისელ მეზღვაურებს რომ არ მიეტანათ დედამიწის ყველა კუთხეში.

**ფატი** _ თქვენს აზრს მთლად ვერ გავიზიარებ. კულტურას თავისითაც, უჯარისკაცებოდაც შეუძლია გზა გაიკვლიოს კაცობრიობის გულისაკენ.

**სანდრო** _ მაპატიეთ, მაგრამ მე ასე კულტურას საერთაშორისო მასშტაბისას არ ვიცნობ. თუ დამისახელებთ, დიდად მადლიერი დაგრჩებით. (ფატი ფიქრობს, მაგრამ ვერ იხსენებს).

**ელენე** _ ესეც ასე. მაგრები ვართ მსახიობები. კიდევ ჩავჭერით რეჟისორი.

**ნინო** _ მაშინ ჩვენი საშველი აღარ ყოფილა. ჩვენ ისე მცირერიცხოვანი ვართ, ბრძოლით ვერსად ვერაფერს ვერ გავიტანდით.

**ფატი** _ ეს არის ილიას ოპტიმიზმის ძალა. როცა ყველას ეროვნული ნიჰილიზმი ეუფლებოდა, ილია პოულობდა იმედს. აი იმედის ნაყოფი იყო ილიას პოლიტიკური ავტონომიის იდეაც.

**ანდრია** _ ამას მომზადება სჭირდებოდა. არ იოყ ამისთვის ჩვენი ხალხი მომზადებული. «...საქართველოს, თავის დამოუკიდებლობის დროს, არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა, აღებ-მიცემობა და რაღა გასაკვირველია, მას ვერ შეუმუშავებია ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება».

**სანდრო** _ რას ჩააცივდი ამ ჟორდანიას.

**ანდრია** _ ჩავაცივდი იმიტომ, რომ მისი აზრი მართებულად მიმაჩნია.

**ფატი** _ მართალ ადამიანს სიმართლის გასამარჯვებლად პროვოკაცია არ სჭირდება. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ სოციალ-დემოკრატები მიმართავდნენ პროვოკაციას ილიას წინააღმდეგ.

**ანდრია** _ პოლემიკის სიმწვავე პროვოკაციად არ შეიძლება ჩაითვალოს.

**ფატი** _ პოლემიკის სიმწვავეს არავინ თვლის პროვოკაციად. როგორც გახსოვთ, მე ისიც ვთქვი _ რომ ერის სიცოცხლისუნარიანობას სწორედ ასეთი დავა-პაექრობა ადასტურებს-მეთქი. მაგრამ «მოგზაურში» ცილისმწამებლური ინფორმაციის «საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოება» _ გამოქვეყნება სწორედ პროვოკაცია იყო. თითქოს ილია გლეხებს უმოწყალოდ ჩაგრავდა. ეს ზომ არაფრით არ დადასტურდა.

**შალვა** _ ზოგიერთი ამას დღესაც იმეორებს.

**ფატი** _ ძველი ჭორის ძალა ჯერ არ განელებულა. მე ახლა გიამბობთ ფაქტს, რომელიც ილიას ადამიანისადმი დამოკიდებულებას ზუსტად გამოხატავს. იცით ეს. «ილიაობას» ილიას ოჯახში მთელი საგურამოს გლეხობა ესწრებოდა. ასეთი ჩვეულება ყოფილა _ ილიას სადღეგრძელო ერთი ყანწით ისმოდა. ამ ყანწს ჩამოატარებდნენ და სუფრის ყველა წევრი თითო ყლუპს მოსვამდა. ერთ გლეხს შეუსვამს თავის ყლუპი. გადაუცია მეზობლისათვის, მაგრამ იმას არ გამოურთმევია. თურმე გლეხი, რომელმაც შესვა, ჭლექით ყოფილა ავად. მეზობელს შეშინებია, სენი არ გადამედოსო. სხვანიც, სუფრაზე მსხდომნი, დამფრთხალან. ავადმყოფი გლეხი საშინელ დღეში ჩავარდნილა. მაშინ ილია მისულა, ყანწი გამოურთმევია და თავად შეუსვამს ღვინო.

**ნინო** _ განა შეიძლება დაიჯერო, რომ ასეთი კაცი გლეხებს წყალს არ აძლევდა?

**სანდრო** _ ამ პაროდიასაც, გარდა პროვოკაციისა, სხვა მიზანი არ ჰქონდა.

«გესმის, გესმის «საზარელი» ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
სიმართლის ხმა მართლა გრგვინავს დასათრგუნად მონობისა,
დღეს გაღონებს თურმე ეს ხმა, გიორკეცებს დარდებს გულში,
და ღმერთსა სთხოვ, ეგ «მწარე» ხმა არ გაისმას თქვენს მამულში.

საშუალებაც მოგინახავს, რომ აღმოფხვრა ეგ ხმა «მწარე»,
საგურამოელი გლეზი გასტანჯე და გაამწარე».

**შალვა** _ «მოგზაური» ასეთ საქმეებში ძალიან გაწაფული ყოფილა.

**ანდრია** _ თუ პროვოკაცია იყო, რატომ არ გამოექომაგნენ ილიას მისი პატივისმცემლები, თანამებრძოლები?

**სანდრო** _ ეს მაშინდელი ჩვენი საზოგადო მოღვაწეების ტრაგიკული შეცდომა იყო.

**შალვა** _ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ის ფორმულა ამოქმედდა, რომლითაც, აკაკი წერეთლის სიტყვით, ქართველი ცხოვრობს.

**ელენე** _ ჩქარა თქვი, რა ფორმულაა?

**შალვა** _ ჯერ გატირებ და მერე გიტირებო. ილიაც ჯერ ატირეს და მერე დიდი ცრემლების ღაპაღუპით დაიტირეს.

**ელენე** – ვენაცვალე. რა ზუსტია.

**ანდრია** _ პრობლემას ნუ გავაუბრალოებთ. ილიას ატირება არვის შეეძლო. თქვენ როგორ გგონიათ, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას მეფის მთავრობა რომ ლამის მიემხრო, ეს საქართველოს სიყვარულით მოსდიოდა?

**ფატი** _ რა თქმა უნდა, არა, თავისი მიზანით ჰქონდა.

**ანდრია** _ ჰო... ო... ო... განაპირა რაიონებს თუ ავტონომიას მიანიჭებდა, ამით იმპერიის შუაგულში ხელფეხი ეხსნებოდა რევოლუციასთან საბრძოლველად. ამან გამოიწვია პოლიმიკის სიცხარე, შეუბრალებლობა. სოციალ-დემოკრატიას ხომ უნდა ეზრუნა რევოლუციური ვითარების შესანარჩუნებლად, გასაძლიერებლად.

**შალვა** _ ყველას თავთავისი თავსატეხი ჰქონია.

**ფატი** _ ჩვენ ხალხსაც საკუთარი ტკივილი ჰქონდა. დასავლეთ საქათველო გენოციდის საფრთხის წინაშე დააყენა ალიხანოვ-ავარსკიმ. უპირველესი საზრუნავი ეს იყო. როგორმე უნდა გადავრჩენილიყავით.

**სანდრო** _ თუ გადავრჩით, ეს ილიას წყალობაც იყო. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა კრებას რომ მოუწოდა, თუ მთავრობა გურიიდან ჯარს არ გამოიყვანს, ჩვენც იქ წავიდეთ და მათთან ერთად ბრძოლაში დავიხოცოთ. ეტყობა, კავკასიის მთავროაბ შეშინდა ამ განცხადებით.

**ნინო** _ რაშია საქმე? მარტო მამაკაცებზე რომ ლაპარაკობთ, ქალების გმირობა რატომ დაივიწყეთ?

**სანდრო** _ როგორ გეკადრება. რას ჰქვია დავივიწყეთ. დადგება დრო და ჩვენ ძეგლს დავუდგამთ იმ ორი ათას ქალს, რომელთაც ინგლისში პეტიცია გაგზავნეს. საქართველოს დაცვა მოითხოვეს. მთელი ევროპა აალაპარაკეს.

**შალვა** _ კი დაუდგამთ, საძეგლე ადგილი თუ დაგვრჩა.

**ელენე** _ ნეტა ახლა რამ გადაგვაჯიშა ასე?

**ნინო** _ იმან, რამაც ჩვენი მამაკაცები გადააგვარა.

**ფატი** _ დააკვირდით, რა დაძაბული ვითარებაა: ერთი მხრივ, ავტონომიისათვის ბრძოლა, მეორე მხრივ _ მის წინააღმდეგ ომი; 1905 წლის რევოლუცია და მერე რეაქცია; ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია. ჩვენი ქალების წერილი უცხოეთში და იქ

საქართველოს დაცვის კომიტეტის შექმნა. საზოგადოების ყოველი ნერვი, ყოველი ძარღვი ისეა დაჭიმული, რომ სადაც არის გაწყდება.

**სანდრო** _ გაწყდა კიდეც ილიას მოკვლით.

(მეოთხე ინტერმედია. გუნდი მღერის:
«მერე როცა... კიდევ როცა!..
აქ გამიწყრა პაპა-ჩვენი:
_ შემაწუხე ამდენ კითხვით,
«პოჟალუსტა», დამიხსენი!
_ რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?..
_ მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით».
სიმღერა უნდა იყოს, რაც შეიძლება მხიარული, უდარდელი განწყობილების, ცეკვა «ხორუმის» მსგავსად, საომარი და შემტევი).

**ელენე** _ ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ და გავარკვიეთ ვითომ რამე?

**შალვა** _ სხვების არ ვიცი და ჩემთვის ყველაფერი ისევ და ისე ბუნდოვანი დარჩა, როგორც დასაწყისში იყო.

**ნინო** _ ხვალ მოვა ალბათ ჩვენი ბედოვლათი ავტორი და რაღაც სინათლეს შემოიტანს აბურდულ საქმეში.

**ელენე** _ მტერს ჰქონდეს იმის იმედი.

**შალვა** _ თავი გამისივდა ამდენი ლაპარაკით და ცოტა რომ გამოვფხიზლდეთ, კენჭისყრა გავითამაშოთ.

**სანდრო** – რა კენჭისყრა?

**შალვა** _ ვითომ ილიას მოკვლის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ და ვუყაროთ კენჭი _ ვინ არის მომხრე და ვინ არა.

**ფატი** _ რად გვინდა ეს. რაღაც შემზარავია ამაში.

**ანდრო** _ ხუმრობაა, მეტი ხომ არაფერი.

**ელენე** _ ვაი, რა საინტერესოა. ნეტავ რას ვიზამთ?

**ნინო** _ როგორ გავაკეთოთ?

**შალვა** _ უბრალოდ. აი, ჩემი ქუდი. დავდებ მაგიდაზე. ყველამ ჩუმად, თავთავისთვის აიღოს პატარა ფურცელი და პლუსი აღნიშნოს იმან, ვინც მოკვლის მომხრეა, მინუსი იმან _ ვინც წინააღმდეგია. ფურცელი ქუდში ჩააგდოს. როცა კენჭისყრა დამთავრდება, ამოვიღოთ ფურცლები და დავთვალოთ, რამდენი პლუსია და რამდენი მინუსი. რა უნდა ამას, სულ ექვსი კაცი ვართ.

**ანდრია** _ მაშინაც, 1907 წელს კენჭისყრის დროს ექვსი კაცი იყო. მეშვიდე არ მოვიდა.

**სანდრო** _ მოსვლით მოვიდა, მაგრამ კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა.

**ნინო** _ მაგ სიზუსტეს რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ხომ ვთამაშობთ. (ყველა იღებს ფურცელს, ნიშანს სვამს და ქუდში დებს. შალვა ამოიღებს ფურცელს და ითვლის).

**შალვა** _ პლუსი _ ერთი, პლუსი _ ორი, მინუსი _ ერთი, პლუსი _ სამი, მინუსი _ ორი, პლუსი _ ოთხი. ვაიმე, ოთხი მომხრე და ორი წინააღმდეგი?

(ყველა გაოგნებული მისჩენებია ერთმანეთს. ვერ მიმხვდარან, რა მოხდა ეს. ბნელდება სცენაზე. დარბაზში შუქი ინთება. ისეთ შეიძლება გამეორდეს დასაწყისში ჰიმნად ნამღერი «ბედნიერი ერი». ანდა, იქნებ სხვანაირი, უფრო ლირიკულ-სევდიანი მუსიკალური დასასრული სჯობდეს _ «ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...).

## <u>ა რ ქ ი ვ ი დ ა ნ</u>

### გაბრიელე დ'ანუნციო
### ტ ო ტ ო

გაბრიელე დ'ანუნციო (1863-1938) _ იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. ლექსების პირველი კრებული _ «პრიმო ვერე» _ 16 წლისამ გამოაქვეყნა. 17 წლისამ კი პირველი მოთხრობები _ «ჩინჩინნატო» და «ტოტო» _ დასტამბა. რთული და მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. ახალგაზრდობაში ჯუზუე კარდუჩისა და ვერიხმის გავლენას განიცდიდა. უმღეროდა სიცოცხლის სიხარულს, სილამაზეს, ბუნების პირველყოფილ მშვენიერებას, წარმართობას, თავისუფალ, «ბუნებრივ» ადამიანს. ამტკიცებდა, სიმახინჯე სინამდვილის არსის ნაწილიაო და შექმნა გალერეა მახინჯი პერსონაჟებისა. აინტერესებდა ძლიერი ადამიანის, «ზეკაცის» პრობლემა. ომს მამაკაცური ენერგიის და ნების გამოვლინებად თვლიდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში წავიდა. მალე დაიჭრა და იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო. იმ ჯარისკაცის სევდა, ვისაც ბრძოლა აღარ შეუძლია, გამოხატა ლექსების ციკლში _ «ნოტტურნო» (ნოქტიურნი). ფიზიკური და სულიერი ბრძოლების დაღლილი სიმშვიდესა და შვებას ელიონორა დუზეს სიყვარულში ჰპოვებდა. მისი შემოქმედების უნატიფესი სტრიქონები მიძღვნილია ამ ქალისადმი.

იყო იტალიური კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და იტალიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

იყო და დარჩა იტალიური ხატოვანი სიტყვის უბადლო მაესტროდ.

ბიჭი დათვის ბელს ჰგავდა. გეგონებოდათ, მაიელას რომელიღაც უღრანი მუხნარიდან ჩამოსულაო ბარად. ჰქონდა მოთხუპნული სახე, შუბლზე დაყრილი შავი ჯაგარივით თმა, მრგვალი, პაწია, სუროს ყვავილივით მოყვითალო თვალები, მოუსვენრად რომ დაწრიალებდნენ.

კარგ ამინდში მინდორ-მინდორ დახეტიალობდა. იპარავდა ხილს, კრეფდა ღობეებზე შეფენილ მაყვალს, ესროდა ქვებს მზეზე მთვლემარე ხვლიკებს. პირიდან ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმა ამოსდიოდა, რომელიც გაგახსენებდათ აგვისტოს ხვატიან დღეს ჯაჭვით მიბმული ნაგაზის ყმუილს ან არტახებით შეკრული ჩვილის უაზრო ღნავილს. მუნჯი იყო, საწყალი ტოტო!..

ენა ყაჩაღებმა მოაჭრეს. მაშინ იგი ბატონის ძროხებს მწყემსავდა წითელი სამყურათი და ხანჭკოლით მოფენილ დაბლობში. უკრავდა ლერწმის სალამურს და უყურებდა მწვერვალზე თავმოყრილ თალხ ღრუბლებს. თვალს ადევნებდა გარეული იხვების გადაფრენას, ქარიშხალი რომ მიერეკებოდა. ზაფხულის ერთ საღამოს, როცა შიროკო აწვალებდა მუხებს და იისფერ ნისლში ფანტასტიკურად მოჩანდა მაიელა, მოვიდა მორო ორი ყაჩაღის თანხლებით. ყაჩაღებმა ჭრელი ძროხა წაიყვანეს. ტოტომ ყვირილი მორთო. მაშინ მოროშ მოჭრა ენა და სისინით უთხრა: წადი ახლა და ილაპარაკე, ღორის შვილო!

ტოტო ბარბაცით და ხელების სავსავით დაბრუნდა შინ. სისხლი პირიდან ნაკადულივით მოჩქეფდა. ბიჭი სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ არასოდეს დავიწყებია მორო. ერთხელ ქუჩაში დაინახა იგი: ხელშებორკილს სალდათები მიათრევდნენ. ტოტომ ქვა ესროლა ზურგში და დამცინავი ხარხარით გაიქცა.

მერე ძელქვის ქვეშ, ყვითელ ქოხში დატოვა დედა და გახდა ჭუჭყიანი და ფეხშიშველა მაწანწალა. დაძონძილსა და მშიერს ბიჭ-ბუჭები დასცინოდნენ. გაბოროტდა და გაავდა: მზის გულზე წამოწოლილი ნელ-ნელა წამებით კლავდა ხვლიკებს, ოქროსფერ ხოჭოებს და ტკბებოდა ამით. როცა ქუჩის ბიჭები სასოწარკვეთამდე მიიყვანდნენ, იმ გარეული ტახივით ბდღვინავდა, ძაღლებმა რომ ალყაში მოაქციეს. გამწარებულმა ბოლოს ერთს მხეცურად სცემა. იმ დღიდან ყველამ თავი დაანება.

იყო ერთი არსებოა, რომელიც კარგად ექცეოდა მას. კარგი, კალმით დახატული ნინი, გამხდარი, თვალებადგადაქცეული გოგო. ნინის ჭორფლიანი სახე ჰქონდა და ქერა ქოჩორი ეყარა შუბლზე.

პირველად ისინი ერთმანეთს სან-როკოს თაღქვეშ შეხვდნენ. კუთხეში ჩაცუცქული ნინი ხარბად ჭამდა პურის გამხმარ ნატეხს. ცარიელ-ტარიელი ტოტო იდგა, ხარბად უყურებდა და ტუჩებს ილოკავდა.

_ გინდა? – წყნარად ჰკითხა გოგომ და მიაპყრო დიდრონი, სექტემბრის ცასავით კრიალა თვალები, _ კიდევ მაქვს სხვა ნაჭერიც.

ტოტო ღიმილით მიუახლოვდა და აიღო პურის ნატეხი. ორივე ჩუმად ჭამდა. სამჯერ თუ ოთხჯერ მათი თვალები შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს და გაიღიმეს.

_ სადაური ხარ? _ ჩაიჩურჩულა ნინიმ.

ბიჭმა ანიშნა, ლაპარაკი არ შემიძლიაო. პირი გააღო და აჩვენა მოშავო ნაგლეჯი ენისა. გოგომ მყისვე მოაცილა თვალები და აუწერლად შეშინებულმა გვერდზე გაიხედა. ტოტო ნაზად შეეხო ნინის მკლავს, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, თითქოს ემუდარებოდა _ ნუ მიმატოვებ, ნუ წახვალ, იყავ კეთილიო. მაგრამ პირიდან ისეთი ყმუილი ამოუშვა, საცოდავ ნინის ცახცახი დააწყებინა.

_ მშვიდობით! _ თქვა გოგომ და გაიქცა.

მერე ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. და-ძმას დაემსგავსნენ. ერთად ისხდნენ მზეზე. ტოტო დებდა თავის დიდ შავ თავს ნინის მუხლებზე და, როცა პატარა გოგოს თითები შეცურდებოდა მის ჯაგარივით თმაში, ბიჭი, როგორც კატა, სიამოვნებისაგან ხუჭავდა თვალებს. ნინი სულ ერთიდაიგივე ზღაპარს უყვებოდა ბიჭს, ჯადოქრისა და ხელმწიფის ასულის ზღაპარს.

_ იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც სამი ქალი ჰყავდა. ყველაზე უმცროსს სტელა ერქვა და ოქროს თმები და ალმასის თვალები ჰქონდა. როცა ქუჩაში გაივლიდა, ყველა ამბობდა: აი, ნამდვილი მზეთუნახავიო! _ და მუხლებზე ეცემოდნენ მის წინ. ერთ დღეს სტელა ყვავილებს კრეფდა ბაღში და ხეზე დაინახა ლამაზი მწვანე თუთიყუში...

ტოტოს უნანავებდა ეს ტკბილი ხმა. ხუჭავდა თვალებს და იძინებდა. სიზმარში ხედავდა სტელას. მერე ნინის ხმა თანდათანობით სუსტდებოდა, ჩუმდებოდა და წყდებოდა... ძონძების ამ გროვას მზე ახვევდა მცხუნვარე სხივების ტალღაში.

* * *

ასე მიდიოდა დღეები: თანაბრად იყოფდნენ მოწყალებას, თვლემდნენ ქვაფენილზე, დახეტიალობდნენ მინდორ-მინდორ, ყურძნით დახუნძლულ ვენახებში.

ტოტო ბედნიერს ჰგავდა: ხანდახან გოგოს კისერზე შეისვამდა და თავგამეტებული გარბოდა, ახტებოდა ორმოებს, ბუჩქებს, ნეხვის გროვას. ბოლოს ნაკვერჩხალივით აპილპილებული ჩერდებოდა ხის ქვეშ ან ლერწმიანში და სიცილით კვდებოდა. ნინიც მასთან ერთად იცინოდა. მაგრამ როცა შემთხვევით თვალს მოჰკრავდა, როგორ ხტოდა პირში ენის ნაგლეჯი, ზიზღით აჟრჟოლებდა და მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა.

ხშირად საწყალი მუნჯი ამჩნევდა ამას და მთელი დღე მოწყენილი იყო.

მაგრამ რა მშვენიერი ოქტომბერი იდგა! შორეული მრუმე მთები მკაფიოდ იხატებოდა ნათელ ფონზე. ყველაფერი თეთრი იყო და მწვანე, გახვეული გამჭვირვალე იისფერ ბურუსში. ნისლი სულ ზევით და ზევით მიიწევდა და კალმის აუწერელი სიმსუბუქით შეერთვოდა ცისიერ ლაჟვარდს. ნინის თივაზე ეძინა. პირი ოდნავ გაეღო. ტოტო ჩაცუცქდა და დაჟინებით დააცქერდა. მათგან რამდენიმე ნაბიჯზე იყო ლერწმის ღობე და ორი ბებერი ფუღუროებიანი ზეთისხილის ხე. ამ მხრიდან, თეთრ ლერწმებსა და ზეთისხილის შავ ფოთლებს შორის ცა კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა. საწყალი მუნჯი ფიქრობდა და ფიქრობდა, ვინ იცის რას. შეიძლება სტელაზე? შეიძლება მოროზე? შეიძლება ყვითელ ფაცხაზე, ძელქვის ქვეშ რომ დატოვა, სადაც ბებერი დედა ქსელს ბეჭავს და ამაოდ ელის მას? ვინ იცის?

თივის სუნი ათრობდა ბიჭს: ეჩვენებოდა, სისხლში ჭიანჭველები დაცოცავენო, ჟრუანტელი უვლიდა ტანში. შუადღის ალმური იწვევდა სახეებს, ჩვენებებს, უცნაურ სხივმოსილ ლანდებს. ისინი მაშინვე ქრებოდნენ. გინახავთ, როგორ იწვის სათიბი? როგორც კი ცეცხლი შეეხება, გამხმარი წვრილი ღერები აინთება, აწივლდება, დაიგრიხება და ატკაცუნდება... მერმე რჩება ცივი ნაცარი... თვალი კი ისევ ინახავს ცეცხლის ბრწყინვალებას.

ნინი მშვიდად სუნთქავდა. თავი ოდნავ უკან გადაეწია. ტოტომ აიღო ჩალის ღერი და კისერში შეუღიტინა. თვალი არ გაუღია, ნინიმ ხელი ისე გაიქნია, თითქოს ბუზი მოიცილაო. მუნჯმა უკან დაიწია და გაიცინა. პირი ხელით დაიფარა, რომ ნინი არ გაეღვიძებინა. მერე წამოხტა, გაიქცა და იქვე ფერდობზე ყვავილები დაკრიფა. გოგოს გარშემო მიმოუფანტა. მერე ნინისაკენ დაიხარა. გოგოს ცხელი სუნთქვა სახეზე ელამუნებოდა. როგორც მოჯადოებული ნინისაკენ იხრებოდა თანდათანობითა და ნელ-ნელა. მერე დახუჭა თვალები და ტუჩებში აკოცა. შეხებამ გოგო გამოაღვიძა. შეშინებულმა წამოიყვირა. მაგრამ ტოტო რომ დაინახა, ჯერ კიდევ თვალდახუჭული და მთლად გაწითლებული, გაიცინა.

_ გიჟი! _ თქვა ნინიმ და მისი ხმა მანდოლინის წკრიალს ჰგავდა.

ისინი ხშირად მოდიოდნენ აქ და თივაში კოტრიალობდნენ.

* * *

ნოემბრის ერთ კვირას, შუადღეზე, ისინი სან-როკოს თაღქვეშ იდგნენ. ცის მოკრიალებული ლაჟვარდიდან მზე სახლებს აფრქვევდა ალერსიან სხივებს. ჰაერში ისმოდა ზარების საზეიმო რეკვა. ქუჩებიდან მოდიოდა გნიასის ხმა, თითქოს უშტი და უშქარი სკა ზუზუნებსო. იდგნენ მარტონი. ერთ მხარეს იყო გატოს უკაცრიელი ქუჩა, მეორე მხარეს _ მოხნული მინდორი. ტოტო უყურებდა აყვავებულ სუროს, რომელიც ეკიდა წითელი კედლის ნაბზარში.

_ მალე დაზამთრდება _ თქვა ჩაფიქრებულმა ნინიმ. მერე დააჩერდა თავის შიშველ ფეხებს და ტანსაცმლის ფერდაკარგულ ძონძებს, _ მოთოვს და ყველაფერი გათეთრდება... არც სახლი გვაქვს და არც ცეცხლი... შენ რა, დედა აღარა გყავს ცოცხალი?

მუნჯმა თავი ჩაქინდრა. უცბად ისევ ასწია, თვალებში ნაპერწკლები უელავდა. ხელი შორეულ ჰორიზონტისაკენ გაიშვირა.

_ არ მომკვდარა? გელოდება?

ტოტომ თავის დაკვრით უპასუხა _ ჰოო!..

ხელების ქნევით ცდილობდა ეთქვა _ წამო ჩემ სახლში იმ მთის ძირას და გექნება ცეცხლი, რძე და პური.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ. დაქანცულნი ჩერდებოდნენ სოფელ-სოფელ, იტანჯებოდნენ შიმშილით, ეძინათ ღია ცის ქვეშ, ბოსლების კარწინ, ურმებქვეშ. ნინი გახდა, ფერი დაკარგა, თვალები ჩაუქრა, ტუჩები გაუფითრდა, პაწია ფეხები დაუსივდა და დაუსისხლიანდა. ამის შემხედვარე ტოტო საშინლად იტანჯებოდა. გაიხადა დაგლეჯილი ჟაკეტი და ნინის ჩააცვა. გზის დიდი ნაწილი ხელში აყვანილი ატარა.

ერთ საღამოს, როცა მილზე მეტი ჰქონდათ გავლილი, ვერსად იპოვეს სახლი. მიწაზე ერთ გოჯზე მეტი თოვლი იდო, კიდევ და კიდევ ცვიოდა ფართო ფანტელები. ჩრდილოეთის

ქარი ქროდა. ნინის სიცივისა და სიცხისაგან კბილები უკაწკაწებდა, გველივით იგრიხებოდა ტოტოს ხელებზე. ნინის კვნესა, სასიკვდილო გმინვას რომ მოგაგონებდათ, საცოდავ ტოტოს გულში ბებუთივით ერჭობოდა.

მაგრამ მაინც მიდიოდა. მიდიოდა და გრძნობდა გულის ახლოს ნინის გულის ცემას. მერე აღარაფერი ესმოდა. ნინის პაწია ხელები, ტოტოს კისერზე შემოხვეული, გაქვავდა და გამაგრდა როგორც ფოლადი. პატარა თავი გვერდზე გადაეკიდა. ტოტომ ისე დაიბღავლა, გეგონებოდათ გულის ძარღვები დაუწყდაო. უფრო მაგრად ჩაიკრა გულში უსიცოცხლო სხეული და გაიქცა. ქარბუქი ტრიალებდა, ღმუოდა. ტოტო გარბოდა გავეშებული, როგორც მშიერი მგელი. მირბოდა, მირბოდა მანამ, სანამ კუნთები არ გაუქვავდა, სანამ სისხლი არ გაეყინა ძარღვებში. მაშინ იგი პირქვე დაეცა. პატარა გვამი გულში ჰქონდა ჩაკრული.

ისინი თოვლმა ჩაჩუმქრა.

## დემეტრე მეორე

«მომისმინეთ, ჩემი სამეფოს ყოველნო კათალიკოსნო, ეპისკოპოსნო და წარჩინებულნო! როცა მამაჩემი გარდაიცვალა, დავრჩი მცირეწლოვანი ყრმა თათართა მძლავრებაში. მაგრამ ყოვლის მპყრობელმა ღმერთმა, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა, რომლის ნაწილიც ვართ, და პატიოსანმა ჯვარმა, რომელიც მოგვენიჭა ჩვენ, მეფეებს, დამიცვა და მიმაწევია სრულწლოვანებამდე. მომმადლა მეფობა, მეფობის სკიპტრა და პორფირი. თქვენი თანადგომით წარვმართე მეფობა და აქამდე მშვიდობით ჰგიეს ჩემი სამეფო. ახლა განრისხებული არის ყაენი. მისი ყოველი მთავარი ამოუწყვეტია და მეც მომიწოდებს, მივიდე მასთან. თუ წავალ მთიულეთს, სიმაგრეებში და დავიცავ თავს, მთელი ჩემი სამეფო მის წინაშე დევს და ნახავთ, რამდენი სული ქრისტიანი მოკვდება, ტყვე შეიქმნება, ეკლესიები შეირყვნება, აოხრდება, ხატები და ჯვრები შეიმუსრება. თუ წავალ ყაენთან დანამდვილებით ვიცი, მომკლავს. აწი თქვენ ბრძნულად განსაჯეთ ეს საქმე. მე კი მგონია, მრავალმღელვარე არის ეს საწუთრო, დაუდგრომელი და წარმავალი. ჩვენი დღეები სიზმარივით და აჩრდილივით წავა. ამ სოფლისგან წასვლა ჩვენი ნება არ არის. რა სარგებელს მოიტანს ჩემი ცხოვრება, თუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდება და მე ცოდვით ტვირთმძიმე დავტოვებ ამ სოფელს. ახლა ასე მნებავს _ წავალ ყაენთან და იყოს ღვთის ნება: თუ მომკლავს, ვფიქრობ, რომ ქვეყანა უვნებელი დარჩება».

ვინ იყო ეს კაცი, ვინც ეს სიტყვა წარმოთქვა, როდის, სად და რატომ?

იგი იყო მეფე დემეტრე მეორე.

დემეტრე მეორის მშობლები იყვნენ მეფე დავით ულუ, ძე ლაშა-გიორგისა და დედოფალი გუანცა, ასული რაჭის ერისთავის კახაბერ ბაღუაშისა.

სიტყვა ითქვა 1288 წელს, მაგრამ ზუსტად არ ვიცით რომელ თვეს და რომელ რიცხვში.

მოისმინა იგი სამეფო დარბაზის სხდომამ თბილისში. არ ვიცით ისიც, გარდა აბრაამ კათალიკოსისა, პიროვნულად ვინ ესწრებოდა ამ კრებას. თუმცა ცნობიბლია, რომ სხდომაში

მონაწილეობდნენ გარეჯის სამონასტრო უდაბნოს მღვდელ-მონაზვნები და სამეფოს ყველა მთავარი.

რატომ გახდა ამიერ საქართველოს მეფე იძულებული ეთქვა ეს სიტყვა?

უბედურ დროს არგუნა განგებამ მეფობა დემეტრე მეორეს. საქართველო მონღოლებს ეპყრათ. უკვე დაქცეული იყო ქვეყნის ძლიერება, მიწასთან გასწორებული. მამამისი დავით ულუ მოუსვენარი კაცი იყო. ჟამიდან ჟამზე მონღოლებს აუჯანყდებოდა, ქვეყნის დასახსნელად ბრძოლას გააჩაღებდა. მაგრამ ღონე არ ყოფნიდა საქმე ბოლომდე მიეყვანა. მოდიოდა მონღოლთა დამსჯელი არმია. უმოწყალოდ იძიებდნენ შურს. წვავდნენ და აჩანაგებდნენ ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდებოდა. მიჰყავდათ ტყვეები და მძევლები. დავით ულუ იძულებული ხდებოდა თავზე ნაცარი დაეყარა და პატიება ეთხოვა. შეუნდობდნენ დანაშაულს. დიდი ხანი არ გაივლიდა, სულს მოითქვამდა ქვეყანა და ისევ დაავლებდა ულუ დავითი ხმალს ხელს. ისევ დაჰქროდა მთებსა და ველებში, მუსრავდა მონღოლებს. ისევ დაიძვრებოდა ყარაყუმიდან მონღოლთა უზარმაზარი ლაშქარი და კიდევ ერთხელ გადათქერავდა საქართველოს.

დავით ულუში დუღდა და ვერ ისვენებდა გლეხისა და არისტოკრატის სისხლი. დედამისი ველისციხელი გლეხის ქალი იყო, ხოლო მამამისი _ დიდი თამარის ძე ლაშა-გიორგი. ძვირად უჯდებოდა ულუ დავითის შეუპოვრობა მასაც პირადად და მთელ ქვეყანასაც.

სრულიად უსუარი იყო დემეტრე, როცა მძევლად წაიყვანეს მონღოლებმა დედოფალი გუანცა და იგი. უფლისწულის მოკვლა ეწადათ მონღოლებს, მაგრამ შემთხვევას გადაურჩენია დემეტრე. ერთერთი ნოინის ცოლს მოსწონებია ბალღი. უშვილო ყოფილა ის ქალი. უნდოდა შვილად აეყვანა დემეტრე. ამ ქალს შეუფარებია ქართველი დედოფალიცა და უფლისწულიც. მერე ნოინის ცოლს ღვიძლი შვილიც შესძენია, მაგრამ ზრუნვა არ მოუკლია გუანცასა და დემეტრესათვის.

შეირიგეს მონღოლებმა დავით ულუ. დაბრუნდნენ საქართველოში გუანცა და დემეტრე.

გამოხდა ხანი. გაუგონარი ამბავი მოხდა. მეორედ მონღოლეთში ყოფნისას მოჰკლეს დედოფალი გუანცა. ზუსტად არავინ უწყის _ რატომ. ხმები ყოფილა გავრცელებული: ღვიძლმა ქალიშვილმა ხუნშაგმა მოაკვლევინაო. ხუნშაგი მონღოლეთს იყო გათხოვილი. მისი ქმარი საჰიბდივანი ანუ ვაზირი იყო.

დარჩე დემეტრე დედით ობოლი.

დაავადდა მიწყივ ლაშქრად მყოფი დავით ულუც. მუცლის სნეულება შეეყარა. დაუოკებელი ბუნების კაცი იწვა სარეცელზე უსიტყვოდ, ვით მკვდარიო, გვაუწყებს ჟამთააღმწერელი. დასნეულებულ მეფეს უფროსი შვილი გიორგი მოუკვდა. ვეღარ გაუძლო სენსა და მწუხარებას ულუ დავითმა და მიიცვალა.

მაშინ დემეტრე 11-12 წლის ბიჭი იყო.

დასვეს ნინველი დემეტრე ტახტზე და მეურვედ, მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნეს მონღოლებმა.

არავინ უწყის სადაური იყო სადუნი _ ქართველი, სომეხი, სპარსი თუ მონღოლი. ეს კია, ჩინებულად მეტყველებდა ოთხივე ენაზე. ყველგან შინაური და საჭირო კაცი იყო. ჭკვიანი და გაქნილი ყველასთან სწრაფად პოულობდა საერთო ენას. უბირი წარმომავლობის კაცი სამეფოს უმდიდრესი მოქალაქე შეიქმნა. უფლებაც განუსაზღვრელი ჰქონდა. ბოლოს მეფის მზრუნველი გახდა.

სადუნი ფრთხილი კაცი იყო. დემეტრე _ მცირეწლოვანი. ორივე ერიდებოდა მონღოლებთან ურთიერთობის გამწვავებას. ქვეყანა მშვიდდებოდა და ღონიერდებოდა. ყმაწვილი მეფეც ვაჟკაცდებოდა. მემატიანე კეთილი და ტკბილი სიტყვით გვიხატავს მას.

«იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შუენიერ, თულთა გრემან (_ზღვისფერი), ბეჭებრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშუილდოსანი რჩეული, უხუი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე...»

ჩვეულება ჰქონდა მეფეს. ადგებოდა ღამე, აიღებდა საფასეს (_ფულს), მოივლიდა ქალაქს. საკუთარი ხელით ურიგებდა ფულს ობლებს, გლახაკებს, დავრდომილთ. იცოდნენ თურმე ტფილისელებმა მეფის ეს ჩვეულება. განგებ დახეტიალობდნენ ღამღამობით ქუჩებში: მეფე შეგვეყრება და საუნჯეს გვიბოძებსო.

მორწმუნე და მლოცველი იყო, მაგრამ ნიკოლოზ კათალიკოსთან გამუდმებული დავა და ჭიდილი ჰქონდა. არ მოწონდა კათალიკოსს მეფის ერთი ავი ზნე. ქალები უყვარდა დემეტრეს და სამი ცოლი ესვა _ ერთი ბერძენი იყო, მეორე _ მონღოლი, მესამე _ ქართველი. შვილებიც მრავლად ჰყავდა _ დავით, ვახტანგ, ლაშა, მანოველ, რუსუდან, ბადურ, იადგარ, გიორგი.

როცა ნიკოლოზ კათალიკოსმა ვერაფერი შეასმინა მეფეს, გაბრაზებულმა ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტი დატოვა და ახალ კათალიკოსად აბრაამი აკურთხა. აბრაამი მეფის ჯვარისმტვირთელი იყო და სამეფო კარსა და კათალიკოსატს შორის მშვიდობა დამყარდა.

ეკლესიის საქმე მოაგვარა, მაგრამ ახლა დედის ნათესავები განუდგნენ დემეტრეს. შეიპყრო მეფემ რაჭის ერისთავი კახაბერ. თვალები ამოსწვეს. ერთი ფეხი და ერთი ხელი მოკვეთეს. კახაბერის ორი შვილი კონსტანტინეპოლში გააძევეს. ნაწამები კახაბერი მალე მოკვდა. აღარავინ დარჩა მას და ასე აღიხოცა და მოისპო, გვიამბობს ჟამთააღმწერელი ნათესავი დასახსენებელი ბაღუაშთა კახაბერის ძეთა. იმასაც დასძენს მემატიანე _ ორგულობა მათი გვარის თვისება იყოო.

თანდათან დამყარდა მშვიდობა სამეფოში.

მონღოლებიც აღარ აწუხებდნენ ქვეყანას ძველებურად. დემეტრე ასრულებდა მათ განკარგულებებს. ახლდა ლაშქრობაში, იხდიდა ხარკს. მეგობრობდა დიდ ბუღა ნოინს. ბუღა ნოინს ჩინგიყაენის პატივი ჰქონდა და ურდოში უპირველეს კაცად ითვლებოდა.

საფრთხე თითქოს არსაიდან იყო მოსალოდნელი. ანაზდად დატრიალდა უკუღმა ბედის ბორბალი. 1288 წლის 15 მარტს ანუ მონღოლურად ურდსინგს, როგორც შეთქმული, შეიპყრეს ბუღა ნოინი. მიჰგვარეს ყაენს. განუკითხავად ბრძანა ყაენმა ბუღა ნოინის მოკვდინება. მოჰკლეს იგი და ამოწყვიტეს მისი ნათესავებიც. დააპატიმრეს ყველა, ვისაც ბუღა ნოინთან ურთიერთობა ჰქონდა. ყაენთან მიიხმეს დემეტრე მეორეც.

მაშინ შეკრიბა მეფემ დარბაზი და მიმართა იმ სიტყვით, რომელიც დასაწყისში გაგაცანით.

ერთხმად უარყო დარბაზმა მეფის ურდოში წასვლის აზრი. ურჩევდნენ, ან მთიულეთის სიმაგრეებს შეეხიზნე ან იმიერ საქართველოში გადადი და ასე ვებრძოლოთო მონღოლებს. «ჩუენ ყოველი მტკიცედ ვჰგიეთ ერთგულებასა».

შორს დაიჭირა მეფემ ეს რჩევა. «ვიცი ჩემი სიყვარულითა და ერთგულებით ამბობთ ამას. მაგრამ ცოდოა უბრალო ერი, როგორც ცხვარი უღონოა და არსაიდან მოელის ნუგეშს. მე დავდებ ჩემს სულს ჩემი ხალხისათვის».

«მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა» _ ბრძანა ხელმწიფემ.

მეფის გადაწყვეტილება ურყევი იყო. იგი ურდოში გაემგზავრა.

თავდაპირველად არ აპირებდა ყაენი დემეტრე მეორის სიკვდილით დასჯას. მაგრამ საქმეში ორგულობა ჩაერია. ყაენის კარზე მსახურობდა სადუნ მანკაბერდელის შვილი ხუტლუბუღა. იგი ნაწყენი იყო მეფეზე. როცა სადუნი გარდაიცვალა, დემეტრემ ხუტლუბუღა არ დანიშნა მამის ადგილას ათაბაგად. ათაბაგობა მეფემ ტარსაიჭ ორბელს მისცა. ეს ხუტლუბუღა მისულა ყაენთან და შთაუგონებია _ ნუ შეიბრალებთ დემეტრეს. დასაჯეთ იგი და ამიერ საქართველოს ტახტზე იმიერ საქართველოს მეფის დავით ნარინის ძე ვახტანგი დავსვათო. მოსწონებია ყაენს ეს რჩება და დემეტრეს ბედიც გადაწყვეტილა.

ებგურები მოისყიდეს და საკანში ეახლნენ მეფეს თავზეხელაღებული ვაჭკაცები. შეფიცეს, აქედანაც გაგიყვანთ, საქართველოშიც მშვიდობით ჩაგიყვანთ და ვეომოთო მონღოლებს. მაინც არ ქნა მეფემ ეს. ისევ ძველებურად გაიმეორა: არ მსურს ჩემი გულისათვის ხალხი გაწყდესო. არ მნებავს ამ სოფლის შესაძენად სულის წარწყმედაო.

1289 წლის 12 მარტს დემეტრე მეორეს თავი მოჰკვეთეს.

ქართველმა ხალხმა მას თავდადებული უწოდა.

1989 წელს 700 წელი შესრულდება ამ დღიდან. შვიდი საუკუნეა მოწვეთავს თავმოკვეთილი მეფის სისხლი და გვასწავლის, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწე, და რა უბედურებაა ორგულობა. ორგულობით და ღალატით დაიღუპა დემეტრეც და ორგულობით და ღალატით დაიღუპა დედამისი გუანცაც.

«წიგნს დავხურავდი, მაგრამ ამ წიგნში
რაჭით მოსული მხიბლავს ასული,
მის თვალებში და წამწამთა ჩრდილში
გედის ფრთასავით ფეთქავს წარსული.
ფურცლებზე ბრწყინავს ქალი ალმასი,
კერას მოწყდა და სამცხეში ვნახე,
ტანი კენარი, მხრები ლამაზი
და მონგოლებით შემკრთალი სახე.
ეგებ რაჭაში აღზრდილი სარო,
ჩემი წინაპრის იყავ დობილი,
ფაზისს ამკობდა თვალების წყარო
და ნაწნავები ლექსად წყობილი.

ამ სტრიქონების გალიით მჭვრეტი,
მშვენების შუქით ჟამთა მკვეთელი,
მძევლად წასხმული მშვენება მშვიდი
გვანცა გიხმო თუ ქალი ეთერი?
მცირედი ჭვრეტით, გრემანი თვალით
ეგებ გეტრფოდა თვითონ ჩაღატარ!
ჟამთაღმწერელმა ჯევარდნულ ხმალით
შენი თვალები წიგნში ჩახატა.
სამცხე გეძახდა, გვანცა, სადა ხარ!
ვინ დაგიბნელა ნისლით თვალები!
ვაჟი გულადი დარდმა დადაღა,
მიწას ტორავდნენ მერნის ნალები.
თუ იგონებდი რაჭულ ალილოს,
მთიდან გატყორცნილ მჩქეფარე ფაზისს.
ალბათ ლოყებზე სწვავდი ალიონს,
როცა სიკვდილი გეწვია ნაზი.
ვინ გაგიმეტა ქალი მწყაზარი,
ვინ მოგაშორა მშობლიურ ფუძეს.
სამშობლოს ცეცხლით გული დამწვარი
როგორ გარდიქმნა სიკვდილის ბუდედ.
ცრემლების სითბო სტრიქონებს ორთქლავს,
ნარნარი ტანის სანთელი იწვის.
საფლავში ჩაგყვა რაჭული მოთქმა
და მშფოთვარება მშობლიურ მიწის.
ვინ დაგაშორებს წარსულს ბინდიანს,
წიგნში მწუხრივით ჩაგრჩა სახელი.
და წელმოხრილნი ურდოს მიდიან
დავით ულუ და სარგის ჯაყელი».

მიმართავს გვანცა დედოფალს სიმონ ჩიქოვანი ლექსით «წიგნი ჟამთააღმწერლისა: გვანცა».

დემეტრე მეორის თავგადასავალი დაუდო საფუძვლად ილია ჭავჭავაძემ პოემას «მეფე დიმიტრი თავდადებული».

ქვეყნისათვის, მამულისათვის, სამშობლოსათვის თავდადებაა ამ პოემის ძირითადი აზრი. ეს არა მარტო პოემის შინაარსით ჩანს, არამედ მისი ფორმითაც.

პოემას პატარა პროლოგი უძღვის. საყდრის ეზოში ხალხია თავშეყრილი. მოშორებით ცაცხვის ქვეშ ბრმა მეფანდურე ზის, მოწყენილი და გაჩუმებული. ხალხს მობეზრდა მუქთი, უაზრო ყაყანი. ერთმა ყმაწვილმა დაიძახა, ნუ ყაყანებთ. ფრთა გავაშლევინოთო გულის წადილს, გვიამბოს მეფანდურემ რაიმე გაგონილი ან ნახული, რომ გულის ჟანგი მოვიცილოთო.

მეფანდურე მაშინვე მიხვდება, ამ ყმაწვილების გულის წადილს რა გააშლევინებს ფრთას, რა მოაცილებს მათ გულს ჟანგს. იგი საკრავს ააჟღერებს და უამბობს საყდრის ეზოში თავშეყრილ ყმაშვილებს ქვეყნისათვის უმაგალითო თავდადების ამბავს.

ილიას პოემაში პიროვნება და ხალხი თანაბარ გმირობას ავლენს.

«უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა ან თავისთავს
შეაკლავდა როგორც ლომი.
მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად _ ხმალი ხელში».

ეს საერთო განწყობილება პოემაში კონკრეტულად დასტურდება. მონღოლეთში მიმავალ მეფეს დაჩაჩანაკებული ბერიკაცი ეახლება ორი ვაჟკაცის თანხლებით. იგი ევედრება მეფეს, ქუდზე კაცს მოუხმე, სპა შეაგროვე და ვეკვეთოთო მონღოლებს. ჩემი ორი შვილიც მომიყვანია და შეიწირეო. ეს მარტო ამ ერთი მოხუცის სურვილი არ არის. იგი მთელი ერის წადილია. მაგრამ მეფემაც იცის მისი ხალხის ფასი და უარს ამბობს მისთვის გაღებულ მსხვერპლზე. ურჩევნია თავად იყოს ზვარაკი.

«მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი, რაში არი...
თუ, იმ მწყემსსა, თავს უშველის,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
თუ სკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის _ ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს _ მთელის ერისათვის!..
არა! წავალ, არ დავდგები,
დე, ასრულდებს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა».

მღვდელმთავარიც დაუდასტურებს მეფეს გაზრახვის სისწორეს და სიმართლეს.

«ვსტირ და გირჩევ, ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთისოფლის გულისათვის».

ასეთია ქრისტიანული ზნეობა. ამით ვლინდება სიქველე და სათნოება. დემეტრე მეორის თავგადასავლის მოყოლით ილია ხუთ დასკვნას აკეთებს.

პირველი:

«ტყუილია სულთქმა, უში,

კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათებდეს».

მეორე:

«მართლის თქმაა ერთგულება».

მესამე:

«ვით დიდს ბოროტს, ისეთ დიდ მადლს
თავისი ზარი ჰქონია».

მეოთხე:

«განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს, უქმად დანთხეულსა».

მეხუთე:

«არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია».

პ.კაკაბაძის პიესაშიც დარჩენილია ფაქტის საერთო სურათი: დემეტრეს ბრალი დასდეს ბუღა ნოინთან მეგობრობაში, ურდოს გაიწვიეს, ჯერ აპატის და მერე დამსმენთა წყალობით დასაჯეს. ოღონდ აქ დამატებულია დავით ნარინისა და მისი ძის ვახტანგის მონაწილეობაც, რაც ისტორიაში არ არის. შექმნილია ხაზი _ ხუტლუ _ დავით _ ვახტანგი. არის გაქცევის თხოვნის მოტივიც. რაზეც მეფემ უარი თქვა.

მაგრამ არც ილიას პოემაში და არც პ.კაკაბაძის პიესაში არ არის თავდაცვითი პატრიოტიზმის არსი გახსნილი. რომ მეფის საქციელი მის პირად კეთილშობილებასთან ერთად გაპირობებულია თავდაცვითი პატრიოტიზმით ანუ ერის უძლურებით. უძლურ ერს გადაარჩენს თავდადებული? თავდადებული მას კეთილშობილებას ასწავლის, მაგრამ ვერ გადაარჩენს. თავდადებულის წიაღში თუ არ ამოიზარდა გიორგი ბრწყინვალე, ერს არ ეშველება.

პ.კაკაბაძის პიესაში ხაზგასმულია დემეტრეს წმინდანობა

ელიზენდა: «შენ ცად მიხვალ ერის წმინდანად».

ელიბონდა: «იმ სიცოცხლის კარს აღებ მსხვერპლით და ციურ ჟღერით, სიკვდილის მეხს და ზარს ადუნებ».

ფილიპე: «მე საქართველო მიყვარს მისთვის, რაც აწ იქნება,
არა მისთვის, რაც ის დღეს არის».

დემეტრე საყვედურობს გაქცევას იმისათვის მირჩევთ, რომ «ნამდვილი სიყვარული არა გაქვთ ერის». მეორეგან: «თქვენ ცდილობთ ერის სიყვარული გადამავიწყოთ».

ერმანოზი: «დღეს მთელმა ერმა დაივიწყა სიმართლე, რადგან
გაჩნდნენ სიცრუის ნაყოფებად მოლექსენი და
გვიჭირს სიმართლე სიცრუიდან გამოვარჩიოთ».

ფილიპე ეუბნება დემეტრეს, რომ იერუსალიმი აიღე ქრისტიანებისათვის და გმირობა გამოიჩინეო, რაზეც მეფე უპასუხებს:

«ბოლოს დავმარცხდი, დავღუპე სპა და ამიტირდა
ათი ათასის ქვრივ-ობოლი,. თუმცა მე უვნებლად
შინდაბრუნებულს ყაენისგან ქება მომყვა და
განძი ნახვეჭი ერის სისხლით... ეს სიკეთეა?»

ფილიპე: «ყოველ მონაზე საზიზღარი ის მონა არის,
ვისაც დასვამენ მტრები ერზე და შეარქმევენ
მეფეს ცარიელ სიტყვით, ყალბათ, იგი თავის ერს
დაადებს ბორკილს უფრო მძიმეს, ვიდრე მტერს ძალუძს
და სრულად გახრწნილ ერს თვით მტრები მოხსნიან ბორკილს».

ვახტანგი: «ვცან, რომ ბრბოები ყველა ერის ერთმანეთსა გავს,
მხოლოდ ბატონნი ერთურთისგან განსხვავდებიან»

გუჯბანი: «ქვეყნის მპყრობელმა არვის არ უნდა აპატიოს ეგზომ გმირობა,
თორემ მტრებს მსგავსი მაგალითით გაათავხედებს».

ქვრივი მიდის დემეტრესთან, რომელიც ეუბნება _ მე ვარ, მეუფევ, ქვრივი შენი მცველის, რომელმაც გულში მიიღო ცხრა ისარი შენკენ ნასროლი და ჩემი ქმრის დაცულს, გხვდა გამარჯვება... დემეტრე უპასუხებს, რომ ჩემი მცველების წყალობით ცოცხალი ვარ. ისინი კვდებოდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მე მეტად ვჭირდები საქართველოს. «ახლა ჟამი მოითხოვს, შენი ქმრის გმირობა მე ვიკისრო და თქვენ გემსხვერპლოთ». ქვრივი ეუბნება, რომ ხალხი თანაგიგრძნობს და მთებში უვნებელი იქნებიო. ქვრივი: «თუ სულით მოკვდა ერი, სხვა ერის შთანთქავს, ხორცში სხვის სული ჩაუდგება». დემეტრე უპასუხებს _ «ჯობს მოისპოს ერი სიცოცხლის შესარჩენად მონად ქცეული, მე ვამბობ, ჩემი თავდადებით თუ ხორციელად ვიხსნი ერს, მმართებს ვიხსნა ერთად სულის ხრწნისაგან. სასიკვდილოდ იმიტომ მივდივაროთ, რომ «ამ საქმით ჩავაგონო ერს მოყვასისათვის თავდადება და ავაშორო სულით მონობა».

**ერის ხორცით გადარჩენა თუ ერის სულის**.

აქ არის რთული საკითხი: თუ ცალკეული პიროვნებისათვის სულის გადარჩენისათვის ბრძოლა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია, ერისათვის ორივეს ხორცისაც და სულისათვის ბრძოლაა მთავარი. ერი პირებისაგან შედგება და როგორც პიესაში ბასილი ამბობს _ «მე ვერ მოვთხოვ ხორციელ კაცს ციურის ძალას» _ ყველა პიროვნებას ვერ მოთხოვ შეიგნოს დემეტრეს თავგანწირვის არსი. იგი მაინც გაიხრწნება, თუ ერი ხორცითაც არ გადარჩა და არ განთავისუფლდა.

**პრობლემა**: სიცოცხლის და ამქვეყნიურობის მოტრფიალე, როგორ მოტრიალდა წმინდანობისაკენ. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იმიტომ?

1988 წ.

# დაკვირვებანი

## დაკვირვება №1

საქართველოს (და მთელ სსრკ-საც) რომ სრული კრიზისი უდგას, მტკიცებას და საბუთს არ საჭიროებს. ეს მკაფიოდ ჩანს ქართულ საბჭოთა გაზეთებშიც. დღენიადაგ «ნეგატიურ მოვლენებზე» ლაპარაკი ამას მოწმობს. შეიძლება ზოგიერთს შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისის თავიდან აცილება გულწრფელადაც სურდეს, მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა არსებული მდგომარეობის შეცვლა იმ გზით და საშუალებებით, რითაც იბრძვიან?

ჩემი ფიქრით, არა.

რატომ?

ყველა კრიზისური მდგომარეობიდან თავის დაღწევა მაშინ შეიძლება, როცა არსებობენ ზნეობრივად სპეტაკი ადამიანები. ასეთი ადამიანები დღეს კომუნისტ ჩინოვნიკებს შორის აღარ არის. თუ არის, იმდენად მცირე რაოდენობით, რომ მათ აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლიათ.

კომუნისტი მოხელეების გახრწნა სრულიად უბრალოდ მოხდა. დროთა განმავლობაში მათ მაძღარი და ლამაზი ცხოვრების გემო გაიგეს და შეიტკბეს.

გამოიყვანეთ დღეს კომუნისტი ან კომკავშირელი ჩინოვნიკები მოედანზე და ტანსაცმელი გაუსინჯეთ. აღმოჩნდება, რომ ყველას ერთიანად უცხოეთიდან შემოტანილი აცვია. უბრალოდ იმიტომ, რომ სსრკ-ში დამზადებული ტანსაღმელი უვარგისია.

როცა სახელმწიფო მოხელე საკუთარ ქვეყნის პროდუქციას არ ენდობა, როგორღა უხელმძღვანელებს იგი ამ ქვეყნის მეურნეობას?

დიდი ხანია, აღარ არიან ისინი, ვინც კიტელს, ჩექმას, ფარაჯას ამჯობინებდნენ ევროპულ ტალავარს და ჯიუტად სჯეროდათ, კაცობრიობას გაძვალტყავებული პროლეტარიატი იხსნისო.

პროლეტარიატიც მიხვდა, რას ნიშნავს მაძღარი და კეთილი ცხოვრება. რევოლუციაზე აღარ ფიქრობს. ეძებს პარტიული ჩინოვნიკების წრეში გასაძრომ გზას, რათა იმ პრივილეგიით ისარგებლოს, რაც კომუნისტური ელიტასათვის არის დაწესებული.

გაქსუებულ ჩინოვნიკობაზე მეოცნებე მუშამ და გლეხმა რა პროდუქცია უნდა შექმნან?

ყველამ ყველაფერი გაიგო.

კომუნისტი ქალები მიხვდნენ, რომ ლამაზი ჩაცმა-დახურვა, კოსმეტიკა, ძვირფასი სამკაული სჯობს სალდათურ ჩექმას, «ტუჟურკას» და მაუზერს. მდიდარი საყვარლის ლოგინში კოტრიალი ბევრად უფრო საამოა, ვიდრე გამომათაყვანებელ კრებებზე ჯდომა. როცა კომუნისტი ქალი მანიკიურსა და პედიკიურს გაიკეთებს, ტანს ნაირნაირი, უცხოეთიდან შემოტანილი ნელსაცხებლით დაიზელს, სხეულს ძვირფასი თვალ-მარგალიტით დაიმშვენებს, მას უკვე არავითარი სოციალიზმის არა სწამს. თუ მაინც სოციალიზმზე ლაქლაქებს, ამით სხვის მოტყუებას ცდილობს, რომ დახურულ, საგანგებო მაღაზიებში შესვლის უფლება შეინარჩუნოს.

როცა კარგ ბინასა და საკუთარ აგარაკს კბილებითა და ფრჩხილებით ებღაუჭება ადამიანი, მას სოციალიზმი აღარ აინტერესებს. რატომ აღარ არის კომუნისტი ის, ვისაც კეთილი და მაძღარი ცხოვრება მოუნდომებია?

იმიტომ, რომ სოციალიზმის არსებობის წლებმა საბოლოოდ და უდავოდ დაამტკიცეს _ პატიოსანი შრომით სოციალიზმი ვერცერთ მოქალაქეს ვერ მისცემს კეთილი და მაძღარი ცხოვრების საშუალებას.

გაჩნდა შეურიგებელი კონფლიქტი ადამიანის სურვილსა და ამ სურვილის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას შორის. სურვილის დათრგუნვა არავის სურს. მისი განხორციელების პატიოსანი გზა კი არ არსებობს. სურვილის განხორციელების აუცილებლობა კარნახობს, მოძებნოს უსინდისო საშუალება. გამოინახა კიდეც _ ქურდობა, ფლანგვა, ხალტურა, ქრთამი, გამოძალვა.

ყველასათვის ცხადი გახდა _ თუ მოიპარავ, გაფლანგავ, იხალტურებ, ქრთამს აიღებ, გამოსძალავ, იშოვნი მაძღარი ცხოვრების საშუალებას, გახდები პრივილეგირებული, ბრალიანი და უბრალო მოწიწებით დაგიკრავს თავს, ხელისუფლებაც შეგიყვარებს და ბრბოც.

დაიწყო ტოტალური ზნეობრივი გახრწნა.

სოციალიზმს ხრწნის ის, ვინც მის დასაცავად არის მოწოდებული.

საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ვერცერთი საბჭოთა მოქალაქე (მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა) თავის ხელფასით ვერ იყიდის ავტომანქანას იმ ფასად, რა ფასიც მას მთავრობამ დაადო. მაგრამ მაინც ყველა ყიდულობს _ დიდხელფასიანიც და მცირე ჯამაგირიანიც. როგორ ხდება ეს სასწაული? ნაქურდალი ფულით. ეს იცის ხელისუფლებამ, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ავტომანქანები გააიაფონ, აძვირებენ და აძვირებენ მას. გაძვირების მიუხედავად, მყიდველთა რაოდენობა არ კლებულობს. ეს როგორღა ხდება? სრულიად უბრალოდ: ხელისუფლება უმატებს ფასს, მოქალაქეები უმატებენ ქურდობას, ფლანგვას, ხატურას, ქრთამს. წონასწორობა შენარჩუნებულია.

ასე აქეზებს ხელსიუფლება მოქალაქეებს ბოროტებისაკენ.

ყველამ იცის (მით უმეტეს, ხელისუფლებამ), რომ არცერთ მაღაზიაში ხიზილალა არ იყიდება. მაგრამ ვის სუფრაზე მოხვდებით, მდიდრისა თუ ღარიბის, ყველგან ნახავთ მას. საიდან, როგორ? არხეინად შეგიძლიათ უპასუხოთ: ხიზილალა ხელისუფლებას აქვს გადამალული საწყობებში და იქიდან გამოაქვთ ან ძმა-ბიჭების დახმარებით ან სპეკულანტურ ფასად.

ასე ეხმარება ხელისუფლება სპეკულაციას.

არცერთ საბჭოთა მაღაზიაში არ იყიდება ამერიკული ჯინსი. მაგრამ მთელ საქართველოს, სოფლად თუ ქალაქად, ჯინსი აცვია. საიდან, როგორ? უცხოეთიდან შემოაქვთ და სპეკულანტური ფასებით ყიდიან. ვის შემოაქვს უცხოეთიდან? რიგით საბჭოთა მოქალაქეებს საზღვარგარეთ არავინ უშვებს. თუ თითო-ოროლა კაცი ტურისტად წავა უცხოეთში, მას იმდენი ფული არა აქვს, რომ იქ რამდენიმე ჯინსი იყიდოს და აქ მამასისხლად გაყიდოს. ბლომად ღული აქვს მხოლოდ პარტიულ ჩინოვნიკებს და სუკ-ის აგენტებს. როცა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის ჩინოვნიკობა საზღვარგარეთ მოგზაურობს, ყიდულობს უცხოეთში ჯინსებს და მერე სსრკ-ში ყიდის ქორვაჭრების დახმარებით.

ასე სპეკულანტობს თავად ხელისუფლება. ეს კარგი შემოსავლის წყაროა და ამიტომ არ აგვარებს მთავრობა ჯინსებით ვაჭრობას ოფიციალურ სახელმწიფო მაღაზიაში.

ხალხის მოტყუების მიზნით საბჭოთა ხელისუფლება თითქოს ებრძვის სპეკულაციას. ნამდვილად კი ასე არ არის. ხელისუფლება, რომელსაც მართლა სურს, არ იყოს ქვეყანაში სპეკულაცია, ყველა ღონეს ხმარობს დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება და არ ლაყბობს გაზეთებში ქორვაჭრობის წინააღმდეგ. რატომ არ არის პურით და შაქრით სპეკულაცია? იმიტომ, რომ ჯერჯერობით ეს საქონელი საკმარისი რაოდენობით არის. საკმარისია, რომ შაქრისა და პურის წარმოება შემცირდეს, რომ დაიწყოს მათით სპეკულაცია. მაშასადამე, სპეკულაციას სპობს საქონლის სიუხვე და არა აგიტაცია-პროპაგანდა ან რეპრესიები.

როცა ხელისუფლება არ ცდილობს მოაგვაროს იმ საქონლის უხვი წარმოება, რომლის მოთხოვნილებაც ხალხს აქვს, ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ მთავრობისათვის ხელსაყრელია სპეკულაცია და ხელს უწყობს მას.

რატომ არის სპეკულაცია ხელისუფლებისათვის სასურველი? იმიტომ, რომ დღედაღამ ლუკმა-პურის შოვნით დაკავებული, დაფიქრებული და შეწუხებული საზოგადოება ვეღარ ფიქრობს, ვეღარ აანალიზებს სხვა სერიოზულ პრობლემებს. ამიტომ ამ საზოგადოების მართვა ხელისუფლებას აღარ უჭირს.

ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის მართვის ერთერთ ბერკეტად სპეკულაციას იყენებს, ვერასოდეს გამოასწორებს შექმნილ ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

ამგვარ სიტუაციაში საბჭოთა ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ აქცევს საბოლოო შედეგს. ზემორემოხსენიებული მოვლენების გავრცელების საშინელი შედეგი ის არის, რომ მარტო მმართველი წრე კი არ ჩაითრია მან არამედ მთელი ხალხი. ქურდობა, მფლანგველობა, მექრთამეობა, ხალტურისტობა დაიწყო არა მარტო ჩინოვნიკობამ, პარტმუშაკებმა, არამედ ყველამ _ მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტმა. არ დარჩა საზოგადოების არცერთი ფენა, რომელიც არ ცდილობდეს კეთილი და მაძღარი ცხოვრება მოიპოვოს ბნელი და შავი გზით. ეს არის თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი.

არსებობს მარქსისტული დებულება _ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. არ განსაზღვრავსო, ვერ იტყვი, მაგრამ რა შედეგი მოაქვს ამას? როცა ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას და ადამიანი ამას არ ეწინააღმდეგება, მაშინ იწყება ადამიანთა გადაგვარება და ყალიბდება ცხოველთა ჯოგი. ხოლო, როცა ადამიანი ცდილობს ცნობიერებით განსაზღვროს ყოფიერება, მაშინ იგი თავისუფლდება მხეცური ინსტინქტებისაგან და ყალიბდება ადამიანთა საზოგადოება. ამიტომ ადამიანის უპირველესი მოვალეობაა, არ დაემორჩილოს ყოფიერებას, არ დაუმონოს მას თავისი ცნობიერება. მაშინ შეძლებს ადამიანი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოფიერებით გამოწვეულ ბოროტებას. კომუნისტებმა კი საზოგადოების ცნობიერება დუამონეს ყოფიერებას. ამიტომ ქურდობა, ფლანგვა, ხალტურა, ქრთამი ტოტალური მოვლენა გახდა. ეს სოციალიზმის მიერ შექმნილი ყოფიერების შედეგია. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ისიც, რომ ასეთი მდგომარეობაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სსრკ-ში. არა მარტო სსრკ-ში, არამედ ყველა ქვეყანაში, სადაც კი სოციალიზმი არსებობს.

სულერთია როგორია ეს სოციალიზმი, რუსული ტიპისა, ინურისა თუ იუგოსლავურისა. პრესის საშუალებით ყველამ იცის, როგორ გარბის დამშეული ხალხი თავქუდმოგლეჯილი კუბიდან. სოციალიზმმა გახრწნა ისეთი მტკიცე, წესრიგისა და შრომისმოყვარე ერი, როგორიც გერმანელები არიან. გდრ-ში დღეს ისევე პარპაშებენ ქურდები, სპეკულანტები, ხალტურისტები, მფლანგველები, მექრთამეები, გამომძალველები, როგორც _ საქართველოში.

ქურდის, მფლანგველის, ხალტურისტის, მექრთამის, გამომძალველის შეგნების მქონე ხალხი არსებულ კრიზისულ მდგომარეობას ვერ შეცვლის. პირიქით, რაც დრო გავა, მით უფრო ფეხს მოიკიდებს, გავრცელდება და საყოველთაო ხასიათს მიიღებს ყველა ზემოთ მოხსენიებული მანკიერება.

## დაკვირვება №2

არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ქურდობა, ფლანგვა, მექრთამეობა, ხალტურა, გამომძალველობა არ მოისპობა სსრკ-ში. ეს გახლავთ სრული და საყოველთაო უნდობლობა კომუნისტების სიტყვისა და საქმისადმი. დღეს საქართველოში არცერთ ჭკუათმყოფელ კაცს არ სჯერა იმისა, რასაც კომუნისტები ამბობენ ან აკეთებენ.

1980 წლის 3 აგვისტოს გაზეთმა «კომუნისტმა» გამოაქვეყნა მასალა თბილისის 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის კობახიძის დანაშაულის შესახებ. როგორც გაზეთი იუწყება, ეს კობახიძე სახელმწიფო ბინებით ვაჭრობდა. იმის მაგიერ, რომ ბინა მიეცა იმისათვის, ვისაც კანონით ერგებოდა, შუამავალთა საშუალებით იგი ამ ბინებს ყიდდა. კობახიძეს ასეთი ნიხრი ჰქონდა შემოღებული: ოროთახიანი ბინა ღირდა 6-7 ათასი მანეთი, სამოთახიანი _ 8-9 ათასი მანეთი, ოთხოთახიანი _ 10 ათასი მანეთი. როცა საზოგადოებამ ეს ცნობა წაიკითხა გაზეთში, ყველა _ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, განათლებული და უმეცარი, მუშა და გლეხი _ სიცილით კვდებოდა და ამბობდა: რა პატიოსანი კაცი ყოფილა ეს კობახიძე, რა იაფად ყიდდა თურმე ბინებს, სხვა აღმასკომის თავმჯდომარეები 4-5-ჯერ მეტს იღებენ და არავის უხლია იმათთვის ხელი, ნეტავ ამ კობახიძემ ისეთი რა დააშავა, რომ დახვრეტა მიუსაჯესო? ალბათ სხვებზე პატიოსანი რომ ყოფილა, იმიტომო...

როცა ამგვარ ცნობას წაიკითხავენ და ხალხი, აღშფოთების მაგიერ, სრულ ცინიზმს გამოამჟღავნებს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ კომუნისტები ვერავითარი საშუალებით ვერ აღიდგენენ ნდობას ხალხის თვალში. სხვათა შორის, გაზ. «თბილისში» სცადეს გამოექვეყნებინათ წერილები, რომელშიც, ვითომც მოსახლეობა იწონებს კობახიძისადმი გამოტანილ განაჩენს, მაგრამ ერთი თუ ორი ნომრის შემდეგ შეწყვიტეს ბეჭდვა. ესეც იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ წერილებზე ხელისმომწერნიც ვერ იშოვნეს. ყველა საბჭოთა მოქალაქემ იცის, როგორ ხდება სსრკ-ში აღტაცების ან აღშფოთების გამოხატვა. კომპარტიის ცკ მისცემს გაზეთს დირექტივას _ ამა და ამ ამბვის გამო უნდა ხალხი აღტაცდეს ან ამა და ამ ამბვის გამო ხალხი უნდა აღშფოთდეს. დირექტივის თანახმად გაზეთის მუშაკები შეადგენენ აღტაცების ან აღშფოთების სტანდარტულ წერილებს. შემდეგ

უნდა მოიძებნოს ამ წერილებზე ხელისმომწერნი. უნდა დაიცვან კლასობრიობის პრინციპი: ხელისმომწერთა შორის აუცილებლად უნდა იყვნენ მუშა, გლეხი, და ინტელიგენტი. პირველად, რა თქმა უნდა, მიაკითხავენ უკვე დაქირავებულებს. იმათ, ვისაც უკვე მიღებული აქვთ საბჭოთა ორდენები, პრემიები, თანამდებობები. როგორც წესი, ეს პირები წაუკითხავად აწერენ ხელს, რასაც წინ დაუდებენ. ასე ქმნის კომპარტია «საზოგადოებრივ» აზრს სსრკ-ში. როგორც ჩანს, კობახიძესთან დაკავშირებით ამის გაკეთებაც კი გაუჭირდათ, ისე სასწრაფოდ შეწყვიტეს «აღშფოთების» წერილების გამოქვეყნება.

რამ გამოიწვია ასეთი ტოტალური უნდობლობა? ბოროტმოქმედის აშკარა ზნეობრივი მხარდაჭერა? პასუხი ადვილია: 1917 წლის ოქტომბრიდან დღემდე გაუთავებელი ტყუილის ლაპარაკმა, უსაშველო კვეხნა-ტრაბახმა, როცა ნამდვილად სიტყვა ერთია, საქმე კი _ სულ სხვა. იმდენად დაკარგეს ზომიერება კვეხნა-ტრაბახში, რომ ერთხელ საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა შევარდნაძემ, სტუდენტებთან შეხვედრის დროს, განაცხადა _ «არც ერთ სფეროში, არც ერთ დარგში არ არსებობს ისეთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა არ შეეძლოს კომუნისტურ პარტიას» (გაზ. «კომუნისტი», 1979 წ., 24 მაისი). თქვა ეს და არც დაფიქრებულა, რამოდენ სიბრიყვე გამოუვიდა. ყველაფერზე პასუხი მხოლოდ სულელს აქვს. გონიერმა ადამიანმა იცის, რომ კაცობრიობას უამრავ კითხვაზე არა აქვს პასუხი და არც არასოდეს ექნება, რადგან თუ ერთმა თაობამ ან ერთმა პარტიამ ან ერთმა ეპოქამ ყველაფერს უპასუხა და თან ყველა დარგში, მაშინ რაღა უნდა აკეთონ მომდევნო თაობებმა, მომდევნო პარტიებმა, მომდევნო ეპოქებმა? შევარდნაძის პასუხები იმეორონ?

კაცობრიობამ მისი განვითარების რომელიმე ეტაპზე ყველაფერზე პასუხის გაცემა რომ შეძლოს, მაშინ არსებობა შეწყდება. კაცობრიობის არსებობა არის მუდმივი მოძრაობა, ძიება და ახალ-ახალი პასუხის პოვნა.

რაკი კომუნისტებმა ჩათვალეს, რომ ყველაფერზე ჩვენ გავეცით პასუხი და სხვა პასუხის ცოდნა საჭირო არ არისო, ამიტომაც 1917 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული სსრკ-ში აღარც დაუბეჭდავთ და გამოუქვეყნებიათ (ცხადია, «სამიზდატით» გამოცემული არალეგალურ ლიტერატურას არ ვგულისხმობ) არცერთი წიგნი, არცერთი წერილი, რომელშიც კომუნისტური მოძღვრებისგან განსხვავებული აზრი იქნებოდა გამოქვეყნებული. თუმცა არსებობს ერთი სახის «არალეგალური» ლიტერატურა. ეს გახლავთ ლიტერატურა, რომელიც იბეჭდება გრიფით _ «სამსახურებრივი მოხმარებისათვის». იგი იბეჭდება რამდენიმე ეგზემპლარი და ურიგდება «რჩეულ» კომუნისტებს, რომელთაც უნდა იცოდნენ, რა ხდება ქვეყანაზე. მაგრამ არარჩეულ კომუნისტებს ამ «საიდუმლო» ლიტერატურაზე ხელი არ მიუწვდებათ, რადგან მათი მოვალეობაა თუთიყუშივით ის იმეორონ, რასაც «რჩეული» კომუნისტები უბრძანებენ.

ასე გამუდმებით იმეორებენ ერთსა და იმავეს და დიდად არიან კმაყოფილი იმით, რომ ადამიანებს დაუხშეს გონება, წაართვეს აზროვნების უნარი. მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმით გამოუჭედეს ყურები. ჰგონიათ, რომ ამით მიაღწიეს ერთიანი, საერთო იდეოლოგიის შექმნას. მაგრამ დაავიწყდათ ერთი რამ, თან მეტად არსებითი: ამგვარი მოქმედებით ყველას ერთიანად შეაზიზღეს მარქსიზმ-ლენინიზმი.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთსა და იმავე საკვებს (თუნდაც ყველაზე ნოყიერსა და საუკეთესოს) აძლევენ. რა მოუვა მას? ამ საკვების დანახვისას აუტყდება გულისრევა და ვერაფრით მოახერხებს მის შეჭმას. ერთგვაროვანი საზრდელი გადააგვარებს კუჭს, დაშლის ორგანიზმს და ადამიანი სამუდამოდ დაავადდება. ეს ელემენტური ჭეშმარიტებაა მედიცინაში. თუკი ერთგვაროვანი საკვები ფიზიკურად ასნეულებს ადამიანის ორგანიზმს, რაღას უზამს მის გონებას ერთისა და იმავეს ჩიჩინი ათეული წლების მანძილზე? ეს ხომ სრულიად დააჩლუნგებს მას, წაართმევს ნორმალური აზროვნების უნარს. ეს უბედურება ემუქრება ყველა საბჭოთა მოქალაქეს, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ბუნების კანონი, რომლის თანახმად გონებას აქვს თავდაცვის უნარი. როცა დგება მომენტი, რომ მოწოდებული ინფორმაცია გონებისათვის აღარ არის სასურველი, ადამიანის რუასი აღარ იღებს მას. ამჟამად ამგვარ მდგომარეობაშია საბჭოთა მოქალაქე. იგი ყრუა მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდისადმი. აღარ ითვისებს მას. ამიტომ სსრკ-ში მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდა-აგიტაცია არსებობს თავისთვის, საბჭოთა მოქალაქე – თავისთვის. მათ შორის აღარ არის კონტაქტი.

უკონტაქტობამ და უნდობლობამ იმ დონეს მიაღწია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს, კომუნიზმის იდეას დასცინის ის, ვისაც მისი პროპაგანდა ევალება. მაგალითად, 1980 წლის 6 აგვისტოს გაზ. «კომუნისტმა» გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ დააპატიმრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმისა და სკკპ ისტორიის კათედრების მასწავლებლები, რომლებიც ნიშნებს ჰყიდდნენ, სტუდენტებს ფულს ართმევდნენ საგნების ჩაბარებაში. ნიხრი ასეთი ყოფილა: ჩათვლაში _ 50 მან., ჩაბარებაში _ 100 მან., სახელმწიფო გამოცდებში _ 150-200 მან. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ ეს მოვლენა ფეხმოკიდებულია როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე საშუალო სკოლებში. ეს დადასტურებულია «საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილში რესპუბლიკის ყველა მასწავლებელსა და სახალხო განათლების სისტემის მუშაკისადმი» (1980 წლის 14 მარტის გაზ. «სახალხო განათლება»). მაგრამ «კომუნისტის» ინფორმაციაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მექრთამეობას, გამოძალვას, ნიშნებით ვაჭრობას ეწეოდნენ მეცნიერული კომუნიზმის და სკკპ სპეციალისტები. გარდა ამ «მასწავლებლების» სიხარბისა და ანგარებისა, ეს გამოიწვია იმანაც, რომ სტუდენტებს მოსძულდათ მეცნიერული კომუნიზმისა და სკკპ ისტორიის სწავლა და მზად არიან ფული გადაიხადონ, ოღონდ ეს საგანი მოიცილონ თავიდან. აქ მახსენდება აკად. ივ.ბერიტაშვილთან დაკავშირებული ერთი ხუმრობა. ბატონ ივანესთან სტუდენტი მისულა საგნის ჩასაბარებლად, მაგრამ მოუმზადებელი ყოფილა და ჩაჭრილა. ბერიტაშვილს უკითხავს _ რატომ არ მოემზადეო. სტუდენტს უპასუხებია _ სკკპ ისტორიას ვსწავლობდი. ის ჩავაბარე და თქვენი საგნის სწავლა ვეღარ მოვასწარიო. გაკვირვებულა მეცნიერი და დაინტერესებულა _ როგორ სკკპ ისტორიასაც სწავლობთო? სტუდენტს დაუდასტურებია _ დიახ, ბატონო, გვასწავლიანო. მაშინ ივანე ბერიტაშვილს გაუცინია და უთქვამს _ საფრანგეთში 7 თუ 8 პარტიაა და წარმოგიდგენიათ, რა დაემართებათ ფრანგ სტუდენტებს, ყველას ისტორია რომ ასწავლონო?

სტუდენტობა, რომელიც ნიშნებით მოვაჭრე კომუნისტ «მასწავლებლებს» უყურებს, იცნობს, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან, განა მათ სიტყვებს დაიჯერებს, ყურს დაუგდებს მათ

პროპაგანდას? რა თქმა უნდა, არა! ტყუილად დაარქვა კახარებულმა «კომუნისტმა» ამ ინფორმაციას «კოვზი ნაცარში...» კოვზი ნაცარში იმ გამომძალველ «მეცნიერებს» კი არ ჩაუვარდათ, არამედ კომუნიზმსა და მარქსიზმ-ლენინიზმს, რადგან დრომ ეს მოძღვრება გახადა მექრთამეების, აფერისტების, კომბინატორების, ქურდების, ხალტურისტების მოძღვრებად. უკვე აღარ არსებობს სსრკ-ში ძალა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს ისევ პატიოსანი ადამიანების მოძღვრებად გახდის.

ვინც საბჭოთა პრესას თვალყურს ადევნებს, კარგად იცის, რომ რუსი კომუნისტები ჩინელ კომუნისტებს ჰეგემონისტებს ეძახიან. ჩინელი კომუნისტები პრეტენზიას აცხადებენ სხვა ხალხების ტერიტორიაზე და მისი მითვისება უნდათო. რუსმა კომუნისტებმა ჩინელების ლანძღვა-გინება მას მერე დაიწყეს, რაც მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა, თორემ მანამდე განუყრელი ძმები იყვნენ. არადა, ჩინელი კომუნისტები ჰეგემონისტურ ზრახვებს მანამდეც ამჟღავნებდნენ, სანამ ძალა-უფლებას ჩაიგდებდნენ ხელში. 1939 წელს პეკინში გამოვიდა წიგნი _ «ჩინეთის რევოლუცია და ჩინეთის კომუნისტური პარტია». ამ წიგნში გამოქვეყნებულია რუკა, რომლის თანახმად ჩინეთს ეკუთვნის, სხვა ტერიტორიებთან ერთად, სამი საბჭოთა რესპუბლიკაც _ ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. უკვე 1954 წლიდან ეს რუკა ოფიციალურად იბეჭდება ჩინურ სახელმძღვანელოებში (იხ.ჟურნალი «ვიეტნამი», რომელიც რუსულად გამოდის, 1980 წლის №1). მაგრამ ჩინეთის კომპარტიის ამ აგრესიული ზრახვების გამო რუს კომუნისტებს კრინტი არ დაუძრავთ წაჩხუბებამდე. თითქოს ჩინელ კომუნისტებს მანამდე არავითარი პრეტენზიები არ ჰქონდათ. მაშასადამე, რუსი კომუნისტების მოქმედების ლოგიკას სიმართლე კი არ აპირობებს, არამედ ის _ როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთისა და რუსი კომუნისტების მიართ ამა თუ იმ უცხოურ კომპარტიას. თუ კარგი, ის უცხოელები ბოროტმოქმედნიც რომ იყვნენ, მაინც ქება-დიდების საგანი არიან საბჭოთა პრესაში. თუ ცუდი, ის უცხოელები ანგელოსებიც რომ იყვნენ, მაინც ლაფში უნდა ამოსვაროს საბჭოთა პრესამ.

ამგვარი დამოკიდებულება მოვლენებისა, პარტიებისა თუ პიროვნებების მიმართ საბჭოთა მოქალაქეებისათვის ცხადი გახდა და ამიტომაც აღარავის სჯერა იმისი, რასაც რუსი კომუნისტები წერენ და ამბობენ. მერე კი შეშინებული ქართველი კომუნისტები თუთიყუშივით იმეორებენ.

ამგვარი კრახი მარქსიზმ-ლენინიზმმა კიდევ იმიტომ განიცადა, რომ კომუნისტებმა, რაკი ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში, მოქმედების პრინციპად დემაგოგია გაიხადეს. ისინი მოქმედებენ არა აზრის ერთგულების პრინციპით, არამედ თანამდებობის ერთგულების. სანიმუშოდ მოვიტან სკკპ ცკ ერთერთი მდივნის სუსლოვის საქციელს. მას მაღალი პარტიული თანამდებობა ეჭირა როგორც სტალინის, ისე ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროს. რას ამბობდა სუსლოვი სტალინზე, ამის დამადასტურებელ ციტატას არ მოვიტან. საკმარისია გადაათვალიეროთ 40-იანი წლების გაზეთები, მე-19 პარტ-ყრილობის მასალები, რომ მკაფიოდ დაინახოთ, რა უსაზღვრო მლიქვნელობას იჩენდა სუსლოვი სტალინის მიმართ.

ასეთსავე უზომო მლიქვნელობას იჩენდა იგი ხრუშჩოვისადმი:

«მშვიდობისათვის ბრძოლაში სიმტკიცის, თანამედრვოეობის, დაუღლელობის ნიმუშია, ამხანაგებო, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მთელი მგზნებარე მოღვაწეობა. სიყვარულით და

პატივისცემით, გულწრფელი მადლიერებით და აღტაცებით ლაპარაკობენ ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანები ჩვენი ნიკიტა სერგის ძის ამ კეთილშობილ მოღვაწეობაზე» (1960 წლის 19 ივლისის «ლიტერატურნაია გაზეტა»).

ახლა როგორ ლიქნის სუსლოვი ბრეჟნევს:

«ამასთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ მუშაობას პოლიტბიუროში სკკპ ცკ ოქტომბრის პლენუმის შემდეგ (1964 წ., როცა სუსლოვის მიერ ზემოთ შექებული ხრუშჩოვი დაამხეს _ ა.ბ.), როცა პარტიის ამ უმაღლეს შტაბში უდიდესი განვითარება მოიპოვა შემოქმედებით კოლექტიურობის დამოკიდებულებამ, მაღალმა მიზანსწრაფულობამ, ურთიერთნდობამ, ურთიერთმომთხოვნელობამ მუშაობაში, რამაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა. უპირველესად ეს დამსახურება ეკუთვნის სკკპ ცკ გენერალურ მდივანს. ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს» (1978 წლის 5 იანვრის «პრავდა»).

როგორც ხედავთ, სუსლოვი განასახიერებს ტიპიურ კომუნისტ დემაგოგს, რომელსაც არა აქვს არავითარი პრინციპი, გარდა თანამდებობის შენარჩუნებისა. მაგრამ სუსლოვი ან მისი მსგავსნი რომ გამონაკლისი იყვნენ, ეს არ იქნებოდა საშიში. საშიშია ის, რომ ყველა სუსლოვისებურია და მათ შორის განსხვავება არ არის.ეს სუსლოვის მოქმედების გზა კი არ არის, არამედ იგია კომუნისტების მოქმედების პრინციპი, რომელსაც როგორც სხვა, ისე სუსლოვიც ადგას.

როცა ხალხი ამგვარ ტიპებს ათეული წლების მანძილზე ხედავს კომპარტიისა და ხელისუფლების სათავეში, ბუნებრივად აღარ აქვს არც რწმენა, არც ნდობა და არც იმედი. ხალხი მართალია. არც შეიძლება ვინმეს ჰქონდეს რაიმე რწმენა, იმედი და ნდობა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ხალხმა დაინახოს კომუნიზმისა და მისი ლიდერების ნამდვილი არსი. ამ არსის შენიღბვა უკვე აღარ შეიძლება.

## დაკვირვება №3

ხალხი ყოველთვის იბრძვის ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის. სადაც რა საშუალება აქვს, იმ საშუალებით. აქვს გაფიცვის, დემონსტრაციის, მიტინგის უფლება, ამ გზას მიმართავს. როცა ხალხსა და ხელისუფლებას შორის უკიდურესად დაიძაბება ურთიერთობა, მაშინ იარაღს ჰკიდებს ხელს და ამხობს მთავრობას.

სსრკ-ში არ ხდება დემონსტრაცია, გაფიცვა, მიტინგი. ეს ნურავის მოატყუებს და აფიქრებინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასა და ხალხს შორის სრული ჰარმონიაა, იდეალური ურთიერთდამოკიდებულებაა. საბჭოთა ხალხს არა აქვს უფლება მოაწყოს დემონსტრაცია, გაფიცვა, მიტინგი ხელისუფლების წინააღმდეგ. სსრკ-ის კონსტიტუცია დასცინის ხალხს და ცინიკურად აცხადებს _ «ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება» (მუხლი 50). ე.ი. მიტინგი, დემონსტრაცია, კრება კომუნისტების სადიდებლად თუ არის მოწყობილი, რამდენიც

გნებავთ, სრული თავისუფლება გაქვთ. მაგრამ კომუნისტების წინააღმდეგ თუ გაბედავთ გამოსვლას, დემონსტრაციის, მიტინგის, კრების მოწყობას, მაშინ ცხელ ტყვიას მიიღებს შუბლში. კონსტიტუციური თავისუფლების უკეთეს გამოვლენას ვერც ინატრებს კაცი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე საბჭოთა ხალხმა კარგად გააცნობიერა და გაიგო, სად ცხოვრობს და ვისთან აქვს საქმე. პროტესტის საყოველთაოდ აღიარებულ რომელიმე ფორმას (გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია) იგი ვერ მიმართავს. ამისათვის მას სრული გაჟუჟვა ელის. მაგრამ ხალხს არ შეუძლია გულხედაკრეფილი იდგეს და ხმისამოუღებლად უყუროს, როგორ ატყავებს მას კომუნისტური ელიტა. უნდა იბრძოლოს, თავი დაიცვას და საბჭოთა ხალხიც მიმართავს პროტესტის მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას – ქურდობას, ფლანგვას, ხალტურას, კომბინაციას და ა.შ. დიახ. ეს პროტესტის ფორმებია, მაგრამ მახინჯი. რა ჰქნას ხალხმა, პროტესტის სხვა საშუალება არა აქვს და მიმართავს იმას, რაც გამოძებნა. ამიტომ გავრცელდა ტოტალურად ფლანგვა, ხალტურა, ქურდობა, კომბინაცია... ამიტომ სარგებლობს პატივისცემით ქურდი, კომბინატორი, მფლანგველი, ხალტურისტი... ისინი ხალხმა პროტესტანტებად მიიჩნია და «კაი ბიჭის» რეპუტაცია დაუმკვიდრა.

სად მიგვიყვანს პროტესტის, ბრძოლის ამგვარი მახინჯი ფორმა? აუცილებელ და გარდაუვალ კატასტროფამდე. ოღონდ არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების კატასტროფამდე, არამედ ხალხის დაღუპვამდეც.

პროტესტის ეს მახინჯი ფორმები ხრწნის ხალხის ფსიქიკას, შლის მის სულიერ სიმტკიცეს, სპობს შრომისადმი პატივისცემას.

ყველა დროში, ყველა ეპოქაში ხალხი ხელისუფლებას ებრძოდა და ებრძვის კანონიერების დაცვის პოზიციიდან. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ხალხი ხელისუფლებას ებრძვის კანონიერების დარღვევის პოზიციიდან არის სსრკ.

ხალხის ძალა ერთიანობაა. პროტესტის მახინჯი ფორმა კი არღვევს ერთიანობას. ეს კი კომუნისტებისათვის სასარგებლო საქმეა, რადგან მათი საქმიანობა მიმართულია ხალხის ერთიანობის დაშლისაკენ. როცა ხალხი დაშლილია, დაფანტულია, მაშინ იოლია მისი ყვლეფაც და მისი მართვაც. ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ საბჭოთა ხალხს უნდა იხსნას თავი კომუნისტთა უღლისაგან, იგი უნდა დაადგეს ბრძოლის ნორმალურ გზას. მართალია, ეს უაღრესად ძნელია და თავგანწირვასა და უდიდეს რისკთან არის დაკავშირებული, მაგარმ სხვა საშველი არ არის.

ბრძოლის, პროტესტის მახინჯი ფორმა, მართალია, დაამხობს ხელისუფლებას, მაგრამ დაღუპავს ხალხსაც. განა ზნეობრივად გახრწნილი და გადაგვარებული ხალხი თავისუფლების დაფასებას და მოხმარებას შეძლებს? რა თქმა უნდა, ვერა.

## დაკვირვება №4

1980 წლის 5 აგვისტოს «კომუნისტმა» დაბეჭდა საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის შევარდნაძის სიტყვა, წარმოთქმული რესპუბლიკის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ამ სიტყვაში ერთ ადგილას ნათქვამია:

«მანქანების, ჩარხების კვანძებისა და ინსტრუმენტების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ხერხია მათი ხანგამძლეობის გადიდება. ამ მიზნებს ემსაჯურება ნაწარმის გამტკიცების ახალი, სრულყოფილი მეთოდები. იონური დააზოტებითა და ლაზერის მძლავრი სხივით ზედაპირული გასალებისმეთოდი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია ჩარხსაშენებელ მრეწველობაში».

ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ შევარდნაძემ, როგორც არასპეციალისტმა არაფერი იცის «იონური დააზოტებითა და ლაზერის მძლავრი სხივით ზედაპირული გასალების მეთოდის» შესახებ. ამ შემთხვევაში მან წაიკითხა რომელიღაც სპეციალისტის მიერ დაწერილი ტექსტი ისე, რომ ტექსტის აზრი და არსი არ ესმოდა. თავისთავად ამორალურია, უზნეობაა, როცა არასპეციალისტი სპეციალისტებს ელაპარაკება საგანზე, რომელიც მისთვის უცნობია, მაგრამ აქ შევარდნაძე იმეორებს მართვის იმ პრინციპს, რომელიც გაბატონებულია სსრკ-ში. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ სსრკ-ში ყოველი პარტმუშაკი, რომელიც მმართველის სკამს ჩაიგდებს ხელში, სხვისი დაწერილი სიტყვებით მოძღვრავს ქვეყანას. ბუნებრივია, არც შევარდნაძეა გამონაკლისი. ისიც ისე იქცევა, როგორც ათეულები და ასეულები იქცეოდნენ მის წინ და მოიქცევიან მის შემდეგ. ამიტომ თავი დავანებოთ მორალურ ასპექტს და ამ საქციელს პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედოთ.

უცხოეთშიაც რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს რომელიმე მრჩეველი უწერს სიტყვებს. მაგრამ იქ ამ სიტყვებს არავინ აცხადებს ერთადერთ უცდომელ და მარადიულ ჭეშმარიტებად. ის სიტყვები რჩება ამა თუ იმ ლიდერის აზრად და ყველა უფლებამოსილია გამოთქვას საკუთარი აზრი, ეკამათოს პოლიტიკურ ლიდერს და არ გაიზიაროს მისი ნათქვამი. ესეც ხდება დიპლომატიისა და პოლიტიკის ასპარეზზე, თორემ ვის მოუვა აზრად, რომელიმე სპეციალიზირებულ ქარხანაში წავიდეს და ვიწრო სპეციალისტებს რჩევა-დარიგება მისცეს _ რა როგორ უნდა აკეთონ. ამას ხომ ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. პოლიტიკოსს, ბუნებრივია, არა აქვს ასეთი ცოდნა. რა გამოდის _ უმეცარი ჭკუას ასწავლის მცოდნეს. ე.ი. თავდაყირა დაყენებული საქმე.

ამასთან ერთად სისულელის თქმა სსრკ-ში გაცილებით უფრო დიდი ზარალის მომტანია, ვიდრე უცხოეთის დემოკრატიულ ქვეყნებში. უცხოეთში არჩევნები არჩევნებია და ამა თუ იმ მეთაურს გარკვეული ვადის (ოთხწლიანი ან შვიდწლიანი პერიოდის) შემდეგ გადაირჩევენ. მის მიერ დაშვებული შეცდომები შედარებით იოლად შეიძლება გამოასწორონ. უცხოეთში ისიც არის შესაძლებელი, რომ, თუ ქვეყნის მეთაურმა უკადრისი საქციელი ჩაიდინა, დროზე ადრეც გადააყენონ (მაგალითად, ნიქსონი აშშ-ში). სსრკ-ში კი, თუ რომელიმე კომუნისტმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, სიკვდილამდე არ დათმობს. ამიტომ შეცდომა მრავალი წლის მანძილზე ბატონობს და, როცა მისი გამოსწორების სურვილი გაუჩნდებათ, საქმის გაუმჯობესება შეუძლებელი თუ არა, ურთულესი მაინც არის. მაგალითად, საქართველოში 18 წლის (1935-1953 წ.წ.) მანძილზე ბერიას წიგნი _ «ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის» _ სიბრძნის წყაროდ, ერთადერთ ჭეშმარიტებად, გენიალურ შრომად ითვლებოდა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ ფიზიკაშიაც, ქიმიაშიც, მათემატიკაშიც (ნურაფერს ვიტყვით ჰუმანიტარულ

მეცნიერებებზე) აკრძალული იყო რაიმეს დაწერა, დისერტაციის დაცვა, თუ არ იქნებოდა მოტანილი ციტატები ბერიას წიგნიდან (ნახეთ იმ პერიოდში გამოცემული წიგნები და ცხადლივ დარწმუნდებით ამაში). 18 წელიწადი იყო ბერიას წიგნის გამო გაყინული აზრი ისტორიულ მეცნიერებაში. ყველა მოვალე იყო გაემეორებინა მხოლოდ ის «დებულებანი», რაც ბერიას ჰქონდა გამოთქმული. თუმცა მაშინაც ყველამ იცოდა, რა საცოდავი და პრიმიტიული იყო ეს წიგნი. ისიც ყველამ იცოდა, რომ იგი არ ყოფილა ბერიას დაწერილი. ისიც ცნობილი იყო, რომ, ვინც წიგნი დაწერა, მანაც ფალსიფიცირებული «დოკუმენტების» გამოყენებით შეთითხნა «ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის». დღეს ეს ფაქტი ყველას მიერ აღიარებულია და ამ წიგნს დაცინვით იხსენიებენ. მაშინ რატომღა იყო ყველა პირში ბურთჩაჩრილი და გაჩუმებული? იმიტომ, რომ სსრკ-ში პოსტზე მყოფი ცენტრალური კომიტეტის მდივნის ან პოლიტბიუროს წევრის გაკრიტიკება კატეგორიულად აკრძალულია. რასაც ის იტყვის, კროლა-კროლა ჭეშმარიტებად უნდა ჩათვალოს ყველამ. კრიტიკა დასაშვებია მისი მოხსნის ან გარდაცვალების შემდეგ. თუ ვინმე გაბედავს გააკრიტიკოს კომუნისტი ლიდერი სიკვდილამდე ან მოხსნამდე, მას გარდაუვალი ციხე ელის და ხშირად ცხელი ტყვიაც შუბლში. ასე გაჟუჟეს ბერიას სახელით ცნობილი წიგნის ავტორიც და ის ფალსიფიკატორებიც, რომელნიც ცრუ მოგონებებს, მემუარებს წერდნენ ამ «თხზულებისათვის». დღესაც იგივე ემუქრება კრიტიკოსებს. ამიტომ ყველა დუმს. სიცოცხლე ტკბილია და არავის უნდა მისი დათმობა. სრულიად სამართლიანად წერს ალექსანდრე სოლჟენიცინი: შეშკოვსკი არ აწამებდა რადიშჩევს. იმ დროის ჩვეულების თანახმად, რადიშჩევმა შესანიშნავად იცოდა, რომ მისი შვილები ისევ იმსახურებდნენ ოფიცრებად გვარდიაში და არავინ დახოცავდა მათ. არც საგვარეულო მამულს ჩამოართმევდნენ. და მაინც, ორკვირიანი გამოძიების შემდეგ, ამ გამოჩენილმა ადამიანმა უარი თქვა თავის რწმენაზე და თავის წიგნებზე. შებრალება, შებრალება ითხოვა.

როგორღა უნდა ივაჟკაცოს საბჭოთა ადამიანმა, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად იცის, რომ სასჯელი ელის არა მარტო მას, არამედ მთელ მის ოჯახს, მთელ მის საგვარეულოს. ყველას პირწმინდად გაანადგურებენ. ამიტომ ყველა დუმს. მხოლოდ დუმილით შეუძლიათ გადარჩენა.

საბოლოდ რა მოაქვს ამ დუმილს? აუნაზღაურებელი ზარალი ხალხისა და ქვეყნისათვის. უმეცრების ბატონობა და პარპაში. ყველა ვიგინდარას კულტად ქცევა და უცდომელ ბრძენად გამოცხადება. მერე ეს «ბრძენი» ადგება და იტყვის _ «ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს «ფაუსტი» (სიკვდილს ამარცხებს სიყვარული). ასე წააწერა სტალინმა გორკის ზღაპარს _ «ქალიშვილი და სიკვდილი» (იხ. «მნათობი», 1938 წ., №3). ის ნაწარმოები, რომელსაც გორკის შემოქმედებისთვისაც კი არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმდენად უსუსურია, თურმე «ფაუსტზე» ძლიერი ყოფილა.

ამგვარი შეცდომა მხატვრულ ლიტერატურაში სასაცილოა. უფრო მეტი ზარალის მოტანა არ შეუძლია, დიდი-დიდი თითო-ოროლა უნიჭო ნაწარმოების დაწერა მოჰყვეს შედეგად. მაგრამ წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, რა ქაოსი და უბედურება დატრიალდებოდა, როცა ამგვარი «სიბრძნით» აღჭურვილი კაცი ჭკუის სწავლებას დაუწყებს მეცნიერებს (გენეტიკოსებს, ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, კიბერნეტიკოსებს,

ფიზიოლოგებს, ბიოლოგებს და ა.შ.), სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის მუშაკებს? თან იმის უფლებაც არ გექნება სიტყვა შეუბრუნო. ამის მერე გვიკვირს, სსრკ ტოტალურ გასაჭირში რომ ჩავარდა. ეს კიდევ არაფერი. სტალინი ნიჭიერი პოლიტიკოსი მაინც იყო. წვერთაგლეჯა მაშინ ნახეთ, როცა უნიჭო ჩინოვნიკებიც რომ ისევე მოიქცევიან, როგორც სტალინი. ხრუშჩოვით, ბრეჟნევიც და სხვანიც (პროვინციის ჩინოვნიკების ჩათვლით) ისევე არიგებდნენ და არიგებენ ყველას ჭკუას, როგორც მათი წინამორბედნი. ესენიც ყველას საქმეში ცხვირს ყოფდნენ და ყოფენ და ასწავლიდნენ და ასწავლიან ინჟინრებს, ექიმებს, ასტრონომებს, აგრონომებს და, საერთოდ, ვის გინდა რომ არა. და მიდის ქვეყნისა და ხალხის საქმე თავდაყირა.

როდემდის ვივლით ასე თავდაყირა? მანამდე, სანამ ერთ უბედურ დღეს კოლოსალური კატასტროფა არ მოხდება და ყველაფერი არ დაიფშვნება.

## დაკვირვება №5

1980 წლის 7 ოქტომბრის «კომუნისტში» ერთდროულად ორი ნეკროლოგი გამოქვეყნდა: ერთი ბელორუსიის კპ ცკ მდივნის მაშეროვისა და მეორე საქართველოს კპ ცკ ყოფილი მდივნის აკაკი მგელაძისა. მაშეროვის ნეკროლოგს ყველა აწერდა ხელს, ბრეჟნევით დაწყებული პოეტ მაქსიმ ტანკით გათავებული. ნეკროლოგშიც დიდი ბუკი და ნაღარა ჰქუხდა მაშეროვის დამსახურებათა გამო. აკ.მგელაძის ნეკროლოგს კი არავინ აწერდა ხელს. საცოდავად მიწერილი იყო უსახო და უფორმო «ამხანაგების ჯგუფი». არც მგელაძის დამსახურებაზე იყო ნათქვამი რაიმე. უბრალოდ ჩამოთვლილი იყო, რა თანამდებობები ეჭირა.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ერთნაირი თანამდებობის მქონე ორი ადამიანის მიმართ ესოდენ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება? რატომ შემოიხიეს ჩოხები მაშეროვის გამო და ძაღლად არავინ ჩააგდო მგელაძე?

საქმე ის გახლავთ, რომ კომუნისტური ეთიკის თანახმად ესა თუ ის პარტიული მუშაკი მანამ ითვლება პატივისცემის ღირსად, სანამ სკამზე ზის, სანამ თანამდებობა უკავია. როგორც კი თანამდებობა ჩამოერთმევა (სულერთია რაც უნდა იყოს ჩამორთმევის საფუძველი), იგი სანეხვეზე გადაგდებულად ითვლება და მშობლიურ პარტიას მისი არსებობა ფეხებზე ჰკიდია.

საწყალი მგელაძე! სანამ საქართველოს კპ ცკ მდივანი იყო, გენიოსად იყო გამოცხადებული და ყოველ დილით თბილისში ნაირნაირი ჭორები ვრცელდებოდა მისი ბრძნული გადაწყვეტილებების გარშემო. დორბლ-მორეული ბრბო კი საათობით იდგა ქუჩაში და უცდიდა, ახლა მგელაძე გამოივლის და შევხედავთო.

ასე მერყეობს ყოველი საბჭოთა მოქალაქის ზნეობა ორ უკიდურეს წერტილს შორის _ უსაზღვრო მონური ერთგულებიდან, უსაზღვრო ცინიზმამდე. სავალალო ის არის, რომ არც ეს მონური ერთგულებაა საბჭოთა მოქალაქის სულისა და აზროვნების უშუალო ნაყოფი და არც ცინიზმი. ერთიცა და მეორეც სკკპ პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგია.

დღეს სსრკ-ში ხოტბას ასხამენ ბრეჟნევის «მცირე მიწას», «აღორძინებას», «ყამირს». სიბრძნის წყაროდ არიან ისინი გამოცხადებული. ქართული ბრეჟნევიადაც ამას ქადაგებს. იხილეთ ნ.დუმბაძის («კომუნისტი», 1979 წ., 30 იანვარი), ელ.მაღრაძის (წიგნი «გულითა მართლითა»), გ.ციციშვილის (ერთდროულად ორი სტატია, ერთი 1979 წლის 27 აპრილის «სოფლის ცხოვრებაში» და მეორე იმავე დღის «ლიტერატურულ საქართველოში»), დ.სტურუას («კომუნისტი», 1979 წ., 13 იანვარი) და სხვათა პანეგირიკები. აქებენ და ადიდებენ არა იმიტომ, რომ მართლაც აქვთ რაიმე აზრობრივი ან მხატვრული ღირებულება, არამედ იმიტომ, რომ ამჟამად ბრეჟნევის პარტიისა და ქვეყნის მეთაურის ადგილი უჭირავს. ხვალ, როცა ბრეჟნევი აღარ იქნება, მის წიგნებს დღევანდელი მეხოტბენი ანეგდოტის საგნად გახდიან. ასეთია კომპარტიის მიერ დანგრეული ზნეობის ლოგიკა. ამას ადასტურებს ტროცკის, ბუხარინის, სტალინის, ბერიას, ხრუშჩოვის წიგნების ბედი. იგივე ელის ბრეჟნევსაც. მაგრამ მაინც გვატყუებენ _ «შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პოპულაროზით, ადამიანთა მასებზე, მათ შეგნებაზე გავლენით ლეონიდ ილიას ძის წიგნებს ბადალი არ მოეძებნება». ეს სიტყვები რუს მწერალს მარკოვს ეკუთვნის და დაბეჭდილია 1980 წლის პირველი აპრილის «პრავდაში». ნიშანდობლივია პირველი აპრილი და «პრავდა».

როცა მლიქვნელობა და სერვილიზმი საერთო სახალხო ზნეობა გახდება, ცხადია, ამ საზოგადოებას არაფერი კეთილი არ ელის.

## დაკვირვება №6

მარქსიზმ-ლენინიზმმა ყოველგვარი ბოროტების საფუძვლად კერძო საკუთრება გამოაცხადა. კაცობრიობას დაჰპირდა _ კერძო საკუთრებას მოვსპობ, კოლექტიურ საკუთრებას დავამკვიდრებ და ამით ადამიანთა საზოგადოებაში ბოროტების არსებობას ბოლოს მოვუღებო.

მიმზიდველი იყო ეს აზრი და სოციალიზმსაც ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. კაცობრიობა კიდევ ერთხელ შეიპყრო ილუზიამ. მაგრამ სსრკ-ში სოციალიზმის არსებობამ გამოცდილებით და პრაქტიკულად დაგვიმტკიცა, რომ დაპირება მტკნარი სიცრუეა და არავითარი ნიადაგი არ გააჩნია.

კერძო საკუთრებით გაუქმებამ ბოროტება არ მოსპო. პირიქით, იგი გაამრავლა და გააძლიერა. ადამიანი მთლად მხეცს დაამსგავსა.

ადამიანს ყოველთვის ეშინოდა არსებობის. მან არ იცის, რას უმზადებს ცხოვრება, როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე. ამიტომ შიშით უცქერის მომავალს. ასეთ პირობებში კერძო საკუთრება პაწია იმედს აძლევდა მას. იცოდა, რომ გაჭირვების შემთხვევაში რაღაცის მფლობელი იყო და ამით ხელს გაიმართავდა.

სოციალიზმმა ადამიანს წაართვა მატერიალური არსებობის ეს საფუძველი. ადამიანში კიდევ უფრო გაძლიერდა არსებობის შიში. პენსია, რომელსაც სახელმწიფო აძლევს დამაშვრალ ადამიანს, იმდენად მცირეა, რომ იგი კაცის გამასხარავებას უფრო ჰგავს, ვიდრე ზრუნვას. თუმცა პროპაგანდა დღე და ღამე ჩაგვჩიჩინებს _ პარტია ადამიანზე ფიქრში ათენებს და აღამებსო. მთავრობის მიერ გაცემული პენსიით მამაკაცი პაპიროსს ვერ იყიდის

და დედაკაცი _ პომადას. ამის შემყურე ყოველი მოქალაქე სიკვდილამდე ებღაუჭება თავის სამსახურს. ეს კი თავის მხრივ შრომის ნაყოფიერებას აქვეითებს. ბუნებრივია, მოხუცი იმ ძალით ვერ იმუშავებს, როგორითაც ახალგაზრდა, მაგრამ არსებობის შიში აიძულებს ადამიანს ერთხელ მოპოვებული ადგილი არაფრით არ დათმოს.

ვერც შვილების ყოლა აიოლებს მოხუცის მდგომარეობას.

ახალგაზრდა, თუ იგი სახელმწიფო ქურდი არ არის, იმდენად პაწია ხელფასს იღებს, რომ საკუთარ ოჯახს ვაივაგლახით არჩენს და უჭირს მოხუცი მშობლების შენახვაც. წელებზე ფეხის დადგმით თუ მოახერხებს იმას, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

სსრკ-ში, რარიგ მდიდარიც უნდა იყოს მოქალაქე, თავის შთამომავლობას ვერაფერს დაუტოვებს. ეს იმიტომ, რომ მას ჭეშმარიტი სიმდიდრე არ გააჩნია. სიმდიდრე არის მიწა, ფაბრიკა-ქარხანა, რაც შემოსავალს იძლევა. ფული კი, რამდენიც უნდა მოიპაროს, სიმდიდრე არ არის. ფული, როგორც ხალხი ამბობს _ ხელის ჭუჭყია და მალე ქრება, თუ მყარი სიმდიდრე _ მიწა, ფაბრიკა-ქარხანა, მაღაზია და ა.შ. _ არ შეიძინე. ამის უფლება სსრკ-ში მოქალაქეს არა აქვს. ამიტომ სსრკ-ში ყოველი მოქალაქე ღატაკია. მამას შეიძლება ნაპარავი ფული მურთაქა-ბალიშებში ჰქონდეს ჩატენილი, მაგრამ შვილისათვის ეს არაფერს ნიშნავს, თუ ისიც ქურდი არ იქნება. მურთაქა-ბალიშები მალე ცარიელდება და ქურდის შთამომავალი გალოკილ-გაძვალტყავებული რჩება.

ყველამ იცის, რომ რაიკომის მდივნები, სანამ პოსტზე არიან, მდიდრულად ფუფუნებაში ცხოვრობენ. არცერთ ფეოდალს არ აუკრეფია და მიუთვისებია ის ხარკი, რასაც რაიკომის მდივანი კრებს და ითვისებს. რაიონის ყველა თანამდებობის პირი მოვალეა რაიკომის მდივანს ხარკი მიართვას. სხვანაირად თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს. მაშინვე გააგდებენ. სხვანაირად შეუძლებელია, რაკი აკრეფილი ხარკის ნაწილი კომპარტიის ცკ-ში უნდა გამოიგზავნოს. კომპარიის ცკ-მა თუ ხარკი თავის დროზე არ მიიღო, რაიკომის მდივნებს შავი დღე დაადგებათ.

მართალია, არცერთ თავადს სიზმრადაც არ უნახავს ის ფუფუნება, რომლითაც რაიკომის მდივანი ცხოვრობს, მაგრამ ეს სიმდიდრე მაინც ეფემერულია. საკმარისია, რომ რაიკომის მდივანი მოხსნან, იგი გასაჭირსა და სიღატაკეში ჩავარდება. ან გარდაიცვალოს, რომ მისი ოჯახი წყალმა წაიღოს. რამდენს ვიცნობ ყოფილი რაიკომის მდივნის ოჯახებს (ზოგიერთი სოციალისტური შრომის გმირიც კი ყოფილა), რომელნიც უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობენ.

ქარის მოტანილი ქარს მიაქვს.

სსრკ-ში არ არსებობს მოქალაქე, რომელსამც მშვიდი ცხოვრება ჰქონდეს. იმიტომ, რომ მშვიდი ცხოვრების მატერიალური საფუძველი არ გააჩნია.

კერძო საკუთრება გარკვეულად ადამიანის ზნეობრივი სისპეტაკის საფუძველიც არის. რამდენ კაცს უთქვამს ჩემთვის _ იმდენ სისაძაგლეს ჩავდივარ, თავი შემძულდაო. დავანებებდი თავს მუშაობას, მაგრამ ოჯახს რა ვუყო, შიმშილით ხომ არ ამოვწყვეტო. ხელფასის მეტი არაფერი მაქვსო. ამის გამო ადამიანი იძულებულია ის აკეთოს, რაც მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რასაც არ ეთანხმება. ასე იწყება ზნეობრივი გახრწნა და დაცემა.

პაწია საკუთრება რომ ჰქონდეს, მიწა-მამულის წყალობით იარსებებდა, სინდისს არ გაყიდდა და არავის ყურმოჭრილ ყმად არ დაუდგებოდა.

აქედან მკაფიო დასკვნა გამომდინარეობს _ კერძო საკუთრება ადამიანის მორალური სისპეტაკის საფუძველიც არის. სოციალიზმი, კომუნისტური იდეოლოგია კერძო საკუთრებას ბოროტების მოსპობის მიზნით კი არ ებრძვის, არამედ პირიქით _ ბოროტების ტოტალური გაბატონებისათვის, ადამიანის მუშა-საქონლად გადაქცევისათვის.

ჩვეულებრივ მარქსისტ-ლენინისტები მიამიტ ადამიანებს აშინებენ ექსპლუატაციით. თითქოს კერძო საკუთრება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის საშუალებაა. ალბათ ოდესღაც ასე იყო. მაგრამ დღეს ყველა კულტურულ ქვეყანაში კანონები იცავენ ადამიანებს და არავითარი განუკითხავი ჩაგვრა არ ხდება. გარდა ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამო ყოველ პიროვნებას აქვს საშუალება თავი აარიდოს ექსპლუატაციას. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანს სოციალური თავისუფლება მიანიჭა.

საერთოდ უცნაურია ბრიყვი ადამიანის წარმოდგენა თავისუფლებაზე, ექსპლუატაციაზე. მაგალითად, ბატონყმობის დროს პირისფარეშს ერთი ქალბატონის ფეხის დაბანა ევალებოდა. ის პირისფარეში თავს ექსპლუატირებულად და დაკაბალებულად თვლიდა და ოცნებობდა რევოლუციაზე, რომელიც მას ამ ქალბატონისაგან გაანთავისუფლებდა. რევოლუციის მერე ის «გათავისუფლებული» პირისფარეში საპარიკმახეროში ზის პედიკურშად და ყოველდღე ათასობითა და ასობით გაზინტლულ, აყროლებულ, ტურტლიან ფეხს ბანს და კმაყოფილი კრუტუნებს _ თავისუფალი ვარო. სახელმწიფო სამსახურში ვდგავარ და ბატონი აღარ მყავსო.

ახლა სსრკ-ში რადიოთი, ტელევიზიით, პრესით გაუთავებელი ყეფაა იმის გამო, რომ კაპიტალისტურ სამყაროში უმუშევრობაა და სოციალიზმმა კი უმუშევრობა საბოლოოდ მოსპო. ეს მტკნარი სიცრუეა. სოციალიზმს არავითარი უმუშევრობა არ მოუსპია. ჯერ ერთი, სსრკ-ში უმუშევრებს მუქთახორები დაარქვეს და ციხეებში მიერეკებიან. მეორეც, რაკი ციხე ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა, გამოიგონეს ახალი წესი. იქ, სადაც სამუშაოდ ერთი კაცია საჭირო, ათ კაცს «ამუშავებენ». ცხადია, ერთი კაცის სამუშაოს ათი არ სჭირდება და ამან შექმნა უმუშევრობის, უფრო სწორად, ნამდვილი მუქთახორების ატმოსფერო. მუშაობს ერთი და იმის ნაშრომს ჭამს ათი ყალთაბანდი. ასე «მოსპო» სოციალიზმმა სსრკ-ში უმუშევრობა.

ერთი კაცის სამუშაო ადგილზე ათი კაცის მიმაგრებამ წარმოშვა ექსპლუატაციის ახალი ფორმა. თან ყველაზე საშინელი ფორმა. უნიჭოს მიერ ნიჭიერის ექსპლუატაცია, ყალთაბანდის მიერ ბეჯითის ექსპლუატაცია, უკვალიფიკაციოს მიერ კვალიფიციური მშრომების ექსპლუატაცია, უპროფესიოს მიერ პროფესიონალის ექსპლუატაცია. ამიტომ სსრკ-ში მშრომელს ყვლეფს არა მარტო კომპარტიის «ვერხუშკა», არამედ ყველა ჯურის მუქთახორა.

ერთი კაცის სამუშაოზე ათის მიმაგრებამ გააბატონა აგრეთვე გაუგონარი სიზარმაცე. რაკი სამუშაო არ არის, ცხრა კაცი იძულებულია მთელი დღე მუქთად ეგდოს. უქნარობის გამო ისინი იწყებენ ლოთობას, ქურდობას, ეწევიან სხვადასხვაგვარ გარყვნილებას. ვინც საბჭოურ პრესას თვალყურს ადევნებს უსაზღვრო რაოდენობის წერილებს წაიკითხავს ამგვარ მანკიერებათა შესახებ.

როცა შეადარებთ კაპიტალისტურ სამყაროში არსებულ უმუშევრობას სოციალისტურ სამყაროში მიღწეულ «არაუმუშევრობას» ყოველი ჭკუათმყოფელი კაცი ნათლად დაინახავს _ რა უფრო საშინელია, კაპიტალისტური უმუშევრობა თუ სოციალისტური უმუშევრობა. უმუშევარს კაპიტალისტურ სამყაროში იმის იმედი მაინც აქვს, რომ ოდესმე სამუშაოს იშოვნის და თავს დაიხსნის. სოციალისტურ სამყაროში კი მშრომელს, რომელსაც თურმე უმუშევრობა არ ემუქრება, არავითარი იმედი არ აქვს, რომ თავს დააღწევს მუქთახორების ექსპლუატაციას. პირიქით, რაც დრო გადის მუქთახორების რიცხვი განუსაზღვრელად იზრდება და სისხლს წოვს მუშა კაცს. ფორმალისტურ ტყუილს _ სსრკ-ში უმუშევრობა არ არის _ ეწირება მშრომელი ადამიანი. იგი იძულებულია პროპაგანდისტული ტყუილისათვის შეინახოს და არჩინოს თანდათანობითი მზარდი რაოდენობა მუქთახორებისა.

ამგვარი მდგომარეობის გაბატონების საფუძველიც კერძო საკუთრების გაუქმებაა. რაკი ადამიანს არა აქვს კერძო საკუთრება, რაკი არა აქვს კერძო მწარმოებლის ინიციატივის გამოჩენის უფლება, იგი, თუ რაიმე სამუშაო არ მისცეს, განწირულია შიმშილით სიკვდილისათვის. ამას უკვე ვეღარ ბედავენ კომუნისტები, რადგან თავი მშრომელთა ინტერესების დამცველად გამოაცხადეს. კურიოზულ სიტუაციას რომ თავი დააღწიონ, საჭიროა თუ არა ეს, ყველას რაღაც სამუშაოს აძლევენ. ამის ბრალია, ზედმეტი მუშახელით გადატვირთული ბიუროკრატიული აპარატი, სამეცნიერო დაწესებულებანი, ნაირნაირი არაფრისმკეთებელი ორგანიზაციები და ა.შ. ამან შექმნა უმუშევრობის შებრუნებული ვარიანტი: ესა თუ ის დაწესებულება თუ საწარმო გატენილი მუშახელით, რომელიც არავითარ პროდუქციას არ იძლევა. ჩამოყალიბდა მშრომელის ახალი კატეგორია _ ბერწი მშრომელი, რომელსაც მხოლოდ სოციალიზმი იცნობს.

ბერწი მშრომელის გაჩენის შედეგია სსრკ-ის უსაზღვრო ეკონომიკური სიდუხჭირე.

## დაკვირვება №7

ყველა საზოგადოება, რომლის კეთილდღეობა არ ეყრდნობა შრომით მოპოვებულს, დამნაშავეთა საზოგადოებაა.

თუ საზოგადოებაში არ არსებობს შრომის სიყვარული, შრომის პატივისცემა, იგი გახრწნილი საზოგადოებაა და განწირულია დასაღუპავად.

როგორ არის ამ მხრივ საქმე სსრკ-ში? საბჭოელი საზოგადოება შრომას დასცინის, მასხარად იგდებს. ასეა სინამდვილეში, თორემ პროპაგანდისტულად კომუნისტები შრომას ადიდებენ, მაგრამ ეს თვალთმაქცობაა. კომუნისტებს ლოზუნგიც ჰქონდათ, ვინც არ შრომობს, ის არც ჭამს. წინათ ამას წამდაუწუმ იმეორებდნენ. ახლა ვეღარ გაიგონებთ. თავი ისე უჭირავთ თითქოს ეს ლოზუნგი არც გაეგონოთ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ ყველამ დაინახა, ბრმამაც კი, _ სსრკ-ში ჭამს სწორედ ის, ვინც არ შრომობს და მუქთახორაა, ხოლო ის, ვინც შრომობს შიმშილით კვდება. ასეთ სიტუაციაში კომუნისტებსაც კი აღარ ჰყოფნით ურცხვობა იყვირონ _ ვინც არ შრომობს, ის არ ჭამსო.

ყველაფერი ხელში ჩაუვარდათ მუქთახორებს და გაქნილ კომბინატორებს. იმის საილუსტრაციოდ, როგორ ითვისებენ მუქთახორები სხვების ნაშრომს, სულ უბრალო შემთხვევას გიამბობთ.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე რომელიღაც მაღაზიას ქუჩაში გამოეტანა და ჰყიდდა პამიდორს. როგორც საბჭოური ვაჭრობისათვის არის დამახასიათებელი ერთმანეთში იყო არეული მწიფე და უმწიფარი, დაჭყლეტილი და მთელი, ვარგისი და უვარგისი. ხალხი მაინც მისეოდა და ყიდულობდა. იაფი იყო ეს პამიდორი და იმიტომ: კილოგრამი _ აბაზი. ბაზარში კი ამ დროს კგ პამიდორს 70 კაპიკი ედო ფასად. მართალია, ბაზრის პამიდორი სუფთა, მოვლილი და ნარჩევი იყო, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ: იაფი მაინც ხიბლავდა ხალხს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ცჟილობდა აერჩია და უკეთესი წაეღო შინ. ნოქარი ამის ნებას არ იძლეოდა და იყო ერთი გაუთავებელი კინკლაობა. მერე ნოქარმა გამოაცხადა: ვისაც არჩევა უნდა, იმან კგ-ში ორი აბაზი გადაიხადოსო. მართალია, ეს უკანონობა და თვითნებობა იყო, მაგრამ ხალხი მაშინვე დაეთანხმა. ორი აბაზი მაინც ბევრად იაფი იყო, ვიდრე 70 კაპიკი და თან შეიძლებოდა საღი და მთელი პამიდორი აგერჩია. ნოქარმა მუშაობას თავი დაანება. ხალხი თვითონ არჩევდა, თვითონვე წონიდა და მიჰქონდა შინ პამიდორი. ნოქარი კი არხეინად იდგა და აბაზებს იჩხრიალებდა ჯიბეში.

ვიდექი და ვფიქრობდი, ვინ არის წაგებული ასეთი ვაჭრობით?

მუშტარი არა იმიტომ, რომ მან ორმოც კაპიკად იყიდა თითქმის ისეთივე პამიდორი, რაც ბაზარში 70 კაპიკი ღირდა.

ნოქარი არა იმიტომ, რომ ხელიც არ გაუნძრევია ზედმეტი აბაზიანები ისე მიითვისა.

ხელისუფლება არა იმიტომ, რომ მან ფასად 20 კაპიკი დაადო პამიდორს და ეს ოცი კაპიკი მიიღო (ნოქარს ხომ მის მიერ თვითნებურად დამატებული 20 კაპ. მიჰქონდა. ხელისუფლების 20 კაპ. სუფთად რჩებოდა). ღარიბები და უპოვარნი 20 კაპ. იმ დაჭყლეტილ და უვარგის პამიდორს ყიდულობდნენ. ასე რომ გაუყიდავი არაფერი დარჩენილა.

ყველა კმაყოფილი დარჩა, გარდა ერთისა _ იმ კაცისა, ვინც ეს პამიდორი მოიყვანა. ვინც იშრომა და ოფლი დაღვარა. მას მის შრომაში, გარდა ხელისუფლების წაგდებული გროშებისა, არაფერი რგებია. მოგება მუქთახორა ხელისუფლებამ და მუქთახორა ნოქარმა ჩაიჯიბა.

როცა გაწეული შრომა, მშრომელს მოგებას არ აძლევს. იქ არავინ იმუშავებს პატიოსნად. შრომა თვალთმაქცობისა და აფერისტობის მსხვერპლი გახდება.

შრომის ანაზღაურების ერთადერთი გზა არსებობს _ მატერიალური, ფულადი მოგება. როცა ადამიანი შრომობს, მან აუცილებლად უნდა მოიგოს. სხვაგვარად იგი სულითა და გულით არ იმუშავებს. ყოველთვის შეეცდება თავი აარიდოს შრომას და სხვა საშუალებებით ნახოს სარგებელი.

## დასასრული

დამოუკიდებლობა და თავისუფლება წმიდათა წმიდა უფლებაა ყოველი ერის. ამიტომ ყოველი ერის უწმინდესი და უპირველესი მოვალეობაა იბრძოლოს ამისათვის. თუ ამას გაიგებს ქართველი ხალხი და იბრძოლებს მისთვის, მაშინ უდიდესი ბედნიერებაა მიიღო

ყოველგვარი ტანჯვა და სიკვდილიც ამ ხალხისათვის. თუ ამას ვერ გაიგებს ქართველი ხალხი და გააგრძელებს მონურ ცხოვრებას და ნიღაბაფარებული ბერიკასავით თავისუფლებას ითამაშებს, მაშინ იგი იმდენად უღირსი და მდაბალია, სირცხვილიც არის იყო ამ ერის შვილი და უმჯობესია სიკვდილი.

1980 წელი.

## სიტყვები, მიმართვები, ბარათები

### ვინ არის ერისკაცი?

რამდენიმე პიროვნებას დავასახელებ და გასაგები გახდება, როგორია ჩემი წარმოდგენა ერისკაცზე. ერისკაცები იყვნენ _ გრიგოლ ხანძთელი, ცოტნე დადიანი, სულხან-საბა ორბელიანი, თერგდალეულები, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი... რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობ ისეთ გიგანტებზე, როგორებიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი. თუ საქართველომ ყველაფერს გაუძლო და დღესაც ცოცხლობს, შრომობს, ქმნის, იბრძვის, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის არსებობა ეყრდნობა სამ ბურჯს _ დავით აღმაშენებელს, თამარს და რუსთაველს. ეს ზოგადად. ახლა მინდა, ერისკაცობის კუთხით, შევეხო ერთ პრობლემას, რომელიც, ჩემი ფიქრით, დაუყოვნებლივ მოითხოვს მოგვარებას. ეს პრობლემაა სამხრეთ საქართველოს ნასოფლარების, ნასახლარების, ნადაბარების აღდგენა-აღორძინება. ამჟამად, არ არსებობს უფრო დიდი ეროვნული საქმე, ვიდრე სამხრეთ საქართველოს პრობლემის მოგვარება.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სამხრეთ საქართველო იყო ქართული კულტურის გული. მარტო ის რად ღირს, რომ ამ მხრიდან იყვნენ დიდი მთაწმინდელები _ იოანე, ექვთიმე, გიორგი, შოთა რუსთაველი და მრავალი სხვანი. ამ კუთხეში მოხდა კოხტასათვის შეთქმულება. ამ კუთხეში შეიქმნა ქართული სამართლის დიდებული ნიმუშები, ხუროთმოძღვრების ძეგლები... ერთი სიტყვით, ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს სამხრეთ საქართველოს მთელი ჩვენი სამშობლოსათვის. ამიტომ უპირველესი საქმეა ამ კუთხის აღორძინება.

ერი ყოველთვის არ უნდა უცდიდეს მთავრობის დადგენილებას, მის გადაწყვეტილებას. ხალხს თავად შეუძლია ბევრი რამის მოგვარება.

რასაც ახლა ვიტყვი შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ სრულიად სერიოზულად გეუბნებით: რამდენი კაცი იქნება დღეს საქართველოში, ვისაც უთვალავი ფული აქვს? დამერწმუნეთ, რომ ძალიან დიდია მათი რიცხვი. თუ გამოვიყენებთ ამ ფულიან ადამიანებს ბევრი დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. მაგრამ დუმან, ფულები გადამალული აქვთ, ეშინიათ ყველას სატუსაღოში ჩაგვყრიანო. მართლაც ვიჭერთ, მაგრამ რა გამოდის ამ დაპატიმრებებიდან? არაფერი. ისევ ძველებურად გრძელდება სახელმწიფო ქონების პარვა, ფლანგვა, ნაირნაირი

კომბინაციები. ციხის შიშით არავის შეუწყვეტია საქმიანობა. იქნებ სჯობდეს, ისინი რაიმე ეროვნულ საქმეში ჩავაბათ და უწესოდ ნაშოვნი ფული აუცილებელი გადაუდებელი საკითხის მოსაგვარებლად დავხარჯოთ? მე რომ ამის უფლება მქონდეს, შევქმნიდი სამხრეთ საქართველოს ასაღორძინებლად მებრძოლ ქართველ საქმოსანთა ასოციაციას. რა გაცინებთ, თქვენ გგონიათ მათ პატრიოტული გული არ უძგერთ? უძგერთ, ოღონდ შიშის გამო ხმას ვერ იღებენ. გაათავისუფლეთ ისინი ამ შიშისაგან და ნახავთ _ რას მოიმოქმედებენ. საქმეში ის კაცი უნდა ჩააბა, ვისაც ფული აქვს, თორემ უფულო მარტო ლაპარაკით წაგჭამს თავს. ხომ ვიყენებთ ამ საქმოსნებს მაშინ, როცა თბილისის «დინამოსათვის» რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის შოვნა რომ დაგვჭირდება!.. გამოვიყენოთ უფრო დიდი ეროვნული საქმისათვის.

ასე, რომ ის კაცი, ვინც სამხრეთ საქართველოს აღორძინების საქმეს ჩაუდგება სათავეში და განახორციელებს კიდეც, უდიდესი ერისკაცი იქნება.

ისიც უნდა დავამატო, რომ რაკი ახლა რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, მისი უმთავრესი საზრუნავი სამხრეთ საქართველოს მოვლა-პატრონობაც უნდა იყოს.

1988 წ.

## დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის ბადალი პიროვნება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში არ არსებობს, მას ვერც წინამორბედები შეედრებიან და ვერც მემკვიდრეები. დავით აღმაშენებელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის იგივეა, რაც რუსთაველი ქართული მწერლობისათვის.

ეს ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ. დავითის უსახელო ისტორიკოსი გვეუბნება: დავითი რომ ისეთი ხალხმრავალი სახელმწიფოს მეფე ყოფილიყო, როგორიც რომი და საბერძნეთია, მაშინ გენახათო საქმენი მისნი.

საქართველოს სამეფო ტახტს ეწოდება ვახტანგეთი და საყდარი დავითიანი, დროშას კი ერქვა – დროშა გორგასლიანი და დროშა დავითიანი. სამწუხაროდ ისტორიამ არც ის ტახტი შემოგვინახა და არც ის დროშა...

დავით აღმაშენებელზე ცოტა არ უწერიათ არც ჩვენს ისტორიკოსებს და არც ჩვენს მწერლებს. მაინც მისი პიროვნება, მისი სიდიადე ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გააზრებული. განსაკუთრებით, როგორც ხელისუფალის იდეალური ტიპისა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი, როგორც ხელისუფალის ტიპის, გააზრება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მომავლის ახალი იდეალის შემუშავება მიმდინარეობს.

საქართველოს ისტორიაში არსებობს ასწლიანი პერიოდი, რომელსაც სრულიად სამართლიანად ვუწოდებთ «ოქროს ხანას». ეს პერიოდი დავითის საძირკველჩაყრილია. მისი აშენებულია. ეს ეპოქა არა მარტო ჩვენი წარსულის სინამდვილეა, არამედ ჩვენი მომავლის

ოცნებაც. ამიტომ დავით აღმაშენებელი ჩვენთვის ის ორიენტირია, საითაც საქართველომ უნდა იაროს. ჩემი აზრით, დღევანდელი საქართველოს საუკეთესო ლოზუნგი იქნებოდა – წინ, დავით აღმაშენებლისაკენ!..

/1991 წ. 12 აგვისტოს, დიდგორის ველზე ქართველთა გამარჯვების 870 წ. დაკავშირებით, აკ.ბაქრაძის გამოსვლა საქ. რადიოთი/

## მწერლობის ხარისხი ჯილდოებით არ განზომილა

ჭეშმარიტი მწერლობის ხარისხი ჯილდოებით არასოდეს გაზომილა. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი პრემია მაინც სასახელო და სასიამოვნოა, როგორც გაწეული შრომის დაფასება და აღიარება.

ამჯერად ღირსეულად დაფასდა ნოდარ წულეისკირის მწერლური გარჯა. ეს სასიხარულოა მრავალმხრივ: თუნდაც იმიტომ, რომ ჯილდოს ღირსეულნი იშვიათად იღებენ, რამეთუ ჯილდოების მოსახვეჭი ნიჭი ღირსეულთათვის არსთა განმრიგეს არ უბოძებია. ამ შემთხვევაში ნოდარ წულეისკირი ბედნიერი გამონაკლისია. მისი ჯილდო ალალი ჯილდოა. ამიტომ ჩვენი მილოცვა თანაბრად ეკუთვნის როგორც პრემიის მიმღებს, ისე პრემიის გამცემთ.

ნოდარ წულეისკირის მწერლობის მომხიბლავი თვისებებია პატიოსნება, სიმართლე და გულწრფელობა. ეს თვისებები ყოველი დროის ლიტერატურისა და ხელოვნების უპირველესი მოთხოვნილება იყო. ასეა დღესაც. ამ თვისებების მერე შეიძლება ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების დანარჩენი ლიტერატურული ავ-კარგის გამო ლაპარაკი. საბედნიეროდ, ამ მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება ნოდარ წულეისკირის შემოქმედებაც. ეს კარგად ჩანს მის ყოველ ნაწარმოებში და, ცხადია, «თუთარჩელაშიც».

«თუთარჩელაში» ფართოდ დასვა მწერალმა მორალური პასუხისმგებლობისა და პატიოსნების რთული პრობლემა. ტანჯვისა და სულიერი გვემის ჯურღმულში უნდა იაროს ადამიანმა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცად ამაღლდეს განწმენდილი სული კაცისა. ასეთია, «თუთარჩელას» მიხედვით, მწერლის საბოლოო დასკვნა. ეს დასკვნაც კაცობრიობისუკეთესი გონების გადაწყვეტილებათა რიგში დგას.

ამიტომ ვულოცავთ დღეს ნოდარ წულეისკირს ღირსეულ ჯილდოს და ვუსურვებთ მზეგრძელი იყოს, დღეგრძელი იყოს მისი მწერლური ნიჭი სიმართლის, პატიოსნებისა და გულწრფელობის სამსახურში.

3.III.70 წ.

## სიტყვა, რომელიც მწერალთა ყრილობაზე მინდოდა მეთქვა და არ მათქმევინეს

მიმდინარე წლის «ლიტერატურული საქართველოს» მე-17 ნომერში მუხრან მაჭავარიანმა დაწერა: «აუცილებელია, ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ, დღეის ამას იქით მაინც შეასრულოს თავისი უპირველესი მოწოდება _ პირუთვნელად შეაფასოს მწერლის ნამოღვაწარი». კარგი აზრია. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მწერლის ნამოღვაწარის პირუთვნელი შეფასება მთელი მწერლობის ამოცანაა და არა მხოლოდ ლიტერატურული კრიტიკისა. ამიტომ აქტიურობა მართებს ყველას. ამა თუ იმ ლიტერატურული ქმნილების განსჯვა-დაფასება პროფესიული მოთხოვნილება კი არ უნდა იყოს, არამედ მორალური მოვალეობა. სანამ პირუთვნელობა მორალური აუცილებლობა არ გახდება, მანამ ყოველგვარი ლაპარაკი კრიტიკის ობიექტუროზაზე წყლის ნაყვაა. როგორ არის დღეს საქმე _ თვლის ვინმე პირუთვნელობას მორალურ აუცილებლობად? სამწუხაროდ, არა. მართალია, ჩვენში პრაგმატისტული ფილოსოფია ოფიციალურად უარყოფილია და თეორიულად მანკიერ მოძღვრებად ითვლება, მაგრამ პრაქტიკულად თავგამოდებული მოთაყვანენი ვართ მისი. ახლა ყოველი მოვლენა ფასდება არა იმისდა მიხედვით, ობიექტურად რას წარმოადგენს იგი, არამედ იმის შესაბამისად, რა სარგებელს გამოველით მისგან. მოვლენათა გაზომვა სარგებლიანობის არშინით ლიტერატურული ცხოვრების დაუწერელი კანონი გახდა. ამას დასასაბუთებლად მაგალითები არ სჭირდება. იგი ყველასათვის ცნობილია. თუმცა ისიც მჯერა, რომ ამ აზრს აქ არავინ დაუჭერს მხარს. და სწორედ იმიტომ, რომ ეს მხარდაჭერა არასარგებლიანი იქნება. ასეთ ვითარებაში კრიტიკის ობიექტუროზა სრულიად გამორიცხულია. უფრო მეტიც, საერთოდ კრიტიკის არსებობაა გამორიცხული. ასეც არის. ერთი შეხედვით, ეს პარადოქსია. ქართული ლიტერატურის ისტორიამ არ იცის, კრიტიკული მწერლობის დარგში, ერთდროულად, იმდენ ნიჭიერ კაცს ემუშაოს, რამდენიც დღეს მუშაობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლიტერატურული კრიტიკა მუნჯია. რამ წარმოშვა ეს სიმუნჯე?

მიზეზი პირველი: მწერლები, საერთოდ ხელოვნების მოღვაწენი, დაიყვნენ კასტებად. ერთი მხრივ, არის ხელუხლებელთა კასტა, მეორე მხრივ კი _ განწირულთა კასტა (კრიტიკის სანუგეშოდ, ეს კასტა მეტად მცირერიცხოვანია).

ხელუხლებლობას მრავალი რამ განაპირობებს _ თანამდებობა, სახელმოხვეჭილობა, მეგობრული დამოკიდებულება და, თქვენ წარმოიდგინეთ, უნიჭობაც კი. რამდენჯერ გამიგონია, მავანი და მავანი მწერლის თხზულებებზე რა უნდა დაწერო, უსაშველოდ უნიჭოაო. მოხდა ისე, რომ უნიჭობა გახდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარპაშის საუკეთესო საშუალება. მაგრამ გვავიწყდება, რომ დაბეჭდილი წიგნი ან გადაღებული ფილმი ეკუთვნის საზოგადოებას და არა ავტორს. მწერლობა კი მოვალეა საზოგადოებას უთხრას თავისი აზრი ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაზე.

მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებას ძირითადად ახალგაზრდობა ეტანება. ეტანება სწორედ იმ ასაკში, როცა მისი ესთეტიკურ-ეთიკური შეხედულებანი ყალიბდება. ამ დროს მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ნათლად გაარჩიოს ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულება

სუროგატისაგან. და თუ კრიტიკა დადუმდა იმის გამო, რომ ამ ნაყალბევის ავტორი უნიჭოა, მაშინ დანაშაულის მონაწილენი ვხდებით. ხელს ვუწყობთ ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს დამახინჯებას. მოწიფულ კაცს კრიტიკის დახმარება არ სჭირდება. ასაკსრული ადამიანი თავად გაარჩევს ავსა და კარგს. ახალგაზრდობის წინაშე დანაშაულს ჩავდივართ ცრუ ბატონკაცური მოსაზრებით: რა საკადრისია უნიჭო ნაწარმოებზე ლაპარაკი. რა საკადრისია «ხოცვა ნადირთა მცირეთაო». ჰერკულესი იმიტომაც იყო გმირი, რომ ავგიოსის თავლა გაწმინდა. გმირია ისიც, ვინც ლიტერატურული ავგიოსის თავლას გაწმენდს. ვისაც როგორ უნდა ისე იფიქროს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ჰერკულესის, თუნდა ციცქნა ჰერკულესის, როლში ყოფნა მეტად საამაყო და საპატიოა.

აბა, მითხარით, ვის აქვს უფლება დუმილით აუაროს გვერდი ასეთ ოპუსს?!

«მათ ყირიმიდან მიმართა მაშინ
ხრუშჩოვმა მამა მშობელის ენით
და მისი ღელვა ვიგრძენი ხმაში
«საბჭოთა ხალხი ამაყობს თქვენით!»
და დადგა წუთი, მართლაც ნეტარი _
მფრინავნი მოსკოვს გამოემართნენ.
ვამბობ _ ვნახავდე ხრუშჩოვს ნეტავი
როს მოეხვევა არწივის მართვებს».

ხედავთ, რა არის პოეტის ნატვრა? ხედავთ, ვის უწოდებს «მამა-მშობელს»? სად კოსმოსური მეცნიერების წარმატება და სად სისხლიანი ტაკიმასხარა? რა აქვთ მათ საერთო? თავის დროზე ეს ლექსი გავაკრიტიკე. მაგრამ გაგიგონიათ _ ვინ დაბეჭდა ეს წერილი! ამ ლექსის ავტორი ალექსანდრე ქუთათელია და როგორ ვაწყენინებთო. თურმე შეიძლება მკითხველი საზოგადოების შეურაცხყოფა, მწერლის წყენინება კი _ არა. ყოველი მხატვრული ნაწარმოები დამოუკიდებლად არსებობს. იგი იზომება საკუთარი ღირსებით და არა იმით, ვისი დაწერილია. იმაზე ფიქრი, ვინ დგას თხზულების უკან, ხელისშემშლელია კრიტიკული ანალიზის დროს. კრიტიკული ანალიზის დროს არსებობს მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები და მეტი არაფერი. კონკრეტულად ამ მხატვრულ ნაწარმოებში უნდა ამოვიკითხოთ მისი ავ-კარგი, განურჩევლად ავტორის ნიჭისა, სახელისა და მდგომარეობისა.

თუ ანალიზის შედეგად ნაწარმოები აღმოჩნდება კარგი, ბარაქალა მწერალს, ხოლო თუ დადასტურდება, რომ მდარეა, მაშინ კეთილ ინებოს ავტორმა და ქედმოდრეკილმა აიტანოს კრიტიკა.

ამრიგად ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ლიტერატურული კრიტიკის ობიექტი გახდა ახალბედა შემოქმედი, რომელმაც ჯერ ვერც სახელი მოიხვეჭა, ვერც თანამდებობა მიიღო და ვერც კრიტიკოსთა შორის გაიჩინა მეგობრები. თუმცა ესეც დროებითია. მალე ეს ახალგაზრდა კაცი მეგობრებსაც გაიჩენს, სახელსაც მოიხვეჭს და თუ ღმერთმა პრაგმატისტული ნიჭიც დაანათლა, თანამდებობასაც მიიღებს. მაშინ იგიც ხელუხლებელთა კასტაში დაისადგურებს სამუდამოდ. კრიტიკოსი კი მოთმინებით უნდა ელოდოს, როდის გამოჩნდება ხელოვნებაში ვინმე უცნობი ყმაწვილი, რომ ერთი გემრიელად გაჰკრას კბილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ მტკნარი სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს პასიური კრიტიკის პირობებში შესაძლებელი იყოს მწერლობის სხვა დარგების გაფურჩქვნა-აყვავება. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება კრიტიკასთან გამუდმებულ ჭიდილში გამოიჭედა. ეს იყო შემოქმედებითი დუელი, რომელიც პროზაიკოსის გამარჯვებით დამთავრდა. ამით როგორც მთელმა ქართულმა მწერლობამ, ისე ქართულმა კრიტიკამაც მოიგო. ასეთია ლიტერატურის განვითარების კანონი.

აქ ერთი საინტერესო ამბავი უნდა გიამბოთ. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ მოხდა. მცხეთაში არმაზის არქეოლოგიურ ნაკრძალს ერთი 80 წელს გადაცილებული მასლაათის მოყვარული, ენაწყლიანი ბერიკაცი პატრონობდა. ერთხელ ჩემსათვის მოხუცი ძმაკაცები მეწვივნენო, მითხრა სხვათაშორის მოხუცმა. არსენას წყაროზე პურს ვჭამდით და ერთერთმა მათგანმა დაიჩივლა: რა მოხდა, რაშია საქმე, რომ დღეს ქათამს ისე გემრიელი ხორცი აღარ აქვს, როგორც ჩვენს ახალგაზრდობაში ჰქონდაო. ჩემო ძმაო, უპასუხებია მეორეს, ქორი გამოილია, ქათამს აღარ ეშინია და ხორციც ამიტომ გაუფუჭდაო.

თუ ქათმის ხორცი უქოროზამ გააფუჭა, დღევანდელი ქართული ლიტერატურა და ხელოვნება უკრიტიკობამ წაახდინა.

თითქოსდა უკრიტიკობას არ უნდა ვუჩიოდეთ. აკი გამუდმებით და გაუთავებლად გვესმის ერთი და იგივე: კრიტიკა უნდა იყოს ობიექტური, პრინციპული, პირუთვნელი. შესანიშნავი სიტყვებია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვებია, რამეთუ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის და პირუთვნელობის მოთხოვნის უკან იკითხება ქვეტექსტი: თუ მიმღერი დითირამბებს, ობიექტური და პირუთვნელი ხარ. თუ გამაკრიტიკე _ ტენდენციური და მტყუანი.

არსებობს უსაშინლესი სენი _ ხელოვანის ეგოიზმი. ეს ეგოიზმი ყოველ ხელოვანს გენიოსობის ჭიით ჭამს. ე.ი. მწერალი ამაოების ტყვე გამხდარა. მწერლობის ამოცანა კი ყოველ დროში ადამიანის გათავისუფლება იყო ამაოებისაგან. მაგრამ სხვა რომ გაათავისუფლო, თავად უნდა იყო თავისუფალი. ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი ყოველთვის თავისთავში არსებულ ნაკლს ებრძოდა, ილტვოდა სრულყოფისაკენ. აქეთკენ მოუწოდებდა მას რელიგიაც და მწერლობაც. ეს ურთულესი მისწრაფებაა და მისი საქმედ ქცევა რჩეულთა ხვედრია. მაგრამ ვაჟკაცობა უნდა გეყოს და ამაოებისაგან თავისუფალი კაცის ნიღბის ტარება მაინც უნდა შევძლოთ. ეს სიტყვები ნუ გაგაკვირვებთ. საქმე ის გახლავთ, რომ ერის კეთილშობილებას და პატიოსნებას ლეგენდა ზრდის და არა სინამდვილე. სხვადასხვა მიზეზის გამო, სინამდვილე ყოველთვის ჭუჭყით, ტკივილით და ტყუილით არის სავსე. იდეალური, რისკენაც ადამიანის გატანჯული სული მიისწრაფვის, მხოლოდ ლეგენდაში სუფევს. ამიტომ არის ლეგენდა გმირულისა და კეთილშობილურის მასაზრდოებელი. მოხდა ისე, რომ ქართველმა ხალხმა მწერალიც შემოსა ლეგენდური კეთილშობილებითა და პატიოსნებით. შეიძლება ეს ჩვენმა ისტორიამაც განაპირობა. საქართველოს ისტორიული ცხოვრების უმძიმეს პერიოდში მწერლობა ერის პატრონის როლს ასრულებდა. სამაგალითოდ სულხან-საბა ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე კმარა. ამ რწმენის დარღვევა იდეალის შებილწვა იქნებოდა. ამიტომ ვამბობ, ნიღაბი მაინც ვატაროთ-მეთქი. ხალხს

რწმენას ნუ მოვუსპობთ. თორემ მოვა უკომპრომისო და კონფორმიზმისაგან თავისუფალი თაობა და სასტიკად განგვიკითხავს.

მიზეზი მეორე და უფრო სერიოზული: ჯერჯერობით კრიტიკაშიაკრძალულია ის, რაც ნებადართულია მწერლობის სხვა დარგში. გასაგები რომ იყოს, რას ვგულისხმობ, კონკრეტულად მოგახსენებთ. უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში გამოჩნდა პუბლიცისტიკური, მამხილებელი პათოსის მატარებელი თხზულებები. მათ მკითხველი საზოგადოება იცნობს და აღარ ჩამოვთვლი. ამ თხზულებების მამხილებელი პათოსი მიმართულია სინამდვილის მანკიერის მხარის წინააღმდეგ. კერძოდ, სხვისი შრომის მიმთვისებელთა, შენიღბული ექსპლუატატორების, აფერისტების წინააღმდეგ. ასეთი ნაწარმოების შესახებ კრიტიკული წერილი თუ დაიწერება, უნდა მოხდეს ორში ერთი: ან კრიტიკოსი დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფაქტის კონტატაციით (ამა და ამ მწერალმა ასახა ესა და ეს უარყოფითი მოვლენა) ან მწერალს დააბრალოს, სინამდვილე მრუდე სარკეში დაგვანახვეო და შეეცადოს სიტყვების კორიანტელით ფაქტის მიჩქმალვას. მკითხველს ფაქტის კონსტატაცია არაფერს ეუბნება. ამიტომ იგი კრიტიკის მიმართ გულგრილია. ფაქტის მიჩქმალვის მცდელობა კი აღიზიანებს და კრიტიკის მიმართ უნდობელი ხდება. კრიტიკის ნამდვილი ამოცანა კი მოვლენის თეორიული ახსნა-დასაბუთებაა. ახსნითა და დასაბუთებით შეუძლია კრიტიკოსს აჩვენოს მკითხველს, სად არის მწერალი მართალი, სად ცდება, საზოგადოებრივად რამდენად აქტუალურ პრობლემას შეეხო იგი. მაგრამ თუ ნებადართულია კონკრეტული ფაქტის ფიქსაცია, სამაგიეროდ აკრძალულია ფაქტის წარმომშობი პირობების ახსნა, კანონზომიერებათა დადგენა, ზოგადი დასკვნის გაკეთება. ე.ი. კრიტიკას წაერთვა ძირითადი ფუნქცია.

როცა ზემორე მოხსენიებული პროზაული ნაწარმოებები წავიკითხე ერთი აზრი დამებადა. არ არსებობს კაცი, რომელიც შეიძლებს და ფაქტების საშუალებით დაამტკიცებს, რომ ამ მწერლებმა (არჩილ სულაკაურის «ოქროს თევზი», რეზო ჭეიშვილის «დალი», ედიშერ ყიფიანის «ცაში ასროლილი ქუდები», გურამ ფანჯიკიძის «თვალი პატიოსანი», ვანო ურჯუმელაშვილის «ფერისცვალება», ნოდარ დუმბაძის «ნუ გეშინია, დედა», ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობები და ა.შ.) არარსებული უარყოფითი მოვლენები აღწერეს. მაშასადამე, ითქვა სიმართლე, თუნდაც ემპირიული სიაშკარავით. რაკი ასეა, დაფიქრება გვმართებს, რა მოხდა? მოხდა ის, რომ უფლება და ძალა შეიძინეს დღევანდელმა მეჯღანუაშვილებმა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სოლომონ ისაკიჩს უტიფრობის ის დოზა არ ჰქონდა, რაც მის სულიერ და ფულიერ მემკვიდრეებს აქვთ. ნაქურდალმა ფულმა დღევანდელ პლუტოკრატიას უპირატესობის გრძნობა გაუჩინა, მაგრამ ჯერ ახალმა პლუტოკრატიამ არ იცის, როგორ გამოხატოს ეს უპირატესობა. მას გემოვნება ღალატობს და ამიტომ ურთხვად მოითხოვს, ნეკი შემიწვითო. სამწუხაროდ, მკითხველს აღიზიანებს არა ის, რომ პლუტოკრატი ქურდობით გამდიდრდა, არამედ ის, რომ იგი უგემოვნოა და უხეში. მაგრამ ეს უგემოვნობა დროებითია. დღევანდელი მეჯღანუაშვილების ძენი და ასულნი შემწვარ ნეკს აღარ მოითხოვენ. ისინი ფულის წყალობით არისტოკრატიულ სიფაქიზეს შეიძენენ. ისწავლიან უცხო ენებს, ზრდილობიან ლაპარაკს, დანა-ჩანგლის ხმარებას. რაკი განუსაზღვრელი რაოდენობით ექნება ფული, დაიქირავებს რომელიმე მიქელანჯელოს და

თავის სრა-სასახლეს მოახატვინებს. სამადლოს გომურებში კი არ დაგპატიჟებს, საკუთარ სალონში მიგიწვევს. მაგიდაზე ფუთობით ხორაგს კი არ დაყრის, არამედ თითო ფინჯან ყავას მოგართმევს. მუსიკითა და მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებით დაგატკბობთ (ამის ნიშნები დღეს უკვე ჩანს). მაშინ პლუტოკრატი აღარ გაგვაღიზიანებს. პირიქით, აღტაცებას მოგვგვრის. ე.ი. მოხდება ისე, როგორც წინათ მომხდარა. ჩვენ გვაღიზიანებს და გვეზიზღება გობსეკი, მაგრამ პატივისცემის გრძნობით და მოკრძალებით შევყურებთ მედიჩებს. მათ შორის კი ის განსხვავებაა, რომ დახვეწილობით, სიფაქიზით, გემოვნებით სჯობიან მედიჩები გობსეკებს. მაშასადამე სერიოზული პრობლემის წინაშე დავმდგარვართ. საზოგადოებას ჩრჩილი გასჩენია, ღრღნის მას, დასნეულებით ემუქრება. ნუთუ ამის გამო არ უნდა ვიყვიროთ, განგაში არ უნდა ავტეხოთ? განა აქ კრიტიკა მწერალს არ უნდა დაეხმაროს (დახმარება ნაკლის მიჩქმალვას არ ნიშნავს)? მაგრამ ვინ დამიბეჭდავს მე ასეთ წერილს? რომელი რედაქტორი დათანხმდება მის გამოქვეყნებას? რომელი ცენზორი დაასვამს ბეჭედს, ნებადართულიაო? ცხადია, არცერთი. შეიძლება მითხრან: მცდარი, უმართებლო აზრი დაგბადებია და მისი დაბეჭდვა რა საჭიროა! აქ უნდა გიპასუხოთ _ ადმინისტრაციული წესით ნუ აკრძალავთ, დაბეჭდეთ და მერე კამათის გზით, ლოგიკური დასაბუთებით დამიმტკიცეთ, რომ ვცდები, ვერ გავიგე ეს თუ ის რომანი და ამიტომ სულელური აზრი გამოვთქვი. აკი ვამტკიცებთ, აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტებაო. მოქალაქეობრივი პატიოსნება კი მოითხოვს, რასაც სიტყვით ვამტკიცებთ, იმას საქმით ვადასტურებდეთ.

ბუნებრივია, მკითხოთ: კი, მაგრამ ვინ კრძალავს? ვინ და ტოტალურად გავრცელებული ბელიკოვიზმი: ვაითუ რამე მოხდეს. კრიტიკოსს ეშინია: თუ დავწერე, ვაითუ მერე სხვა წერილები აღარ დამიბეჭდონ. რედაქტორი უფრთხის: თუ დავბეჭდე, ვაითუ რედაქტორის პოსტი დავკარგო; თანამდებობის პირი თავს იზღვევს: დაბეჭდვაში რომ დავეხმარო, ვაითუ მინისტრად არ დამნიშნონ ან მდივნად აღარ ამირჩიონ. ასე იკვრება მონუსხული წრე. მისი გარღვევა კი, თუ შეუძლებელი არა, მეტისმეტად ძნელი მაინც არის.

კრიტიკა, რომელიც ფამუსოვივით ფიქრობს _ «Что станет говорить Марья Алексеевна!» _ არ არის კრიტიკა. არც ფამუსოვების დანიშვნა შეიძლება ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებად.

ამ ორიოდე წლის წინათ «ცისკარში» გამოქვეყნდა ანკეტა. ამ ანკეტაში მწერლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ქართული კრიტიკა არ არსებობსო. ზოგიერთი კრიტიკოსი ამან გაანაწყენა და გაიკვირვა, როგორ არ ვარსებობთო. მაგრამ თუ იმ ანკეტას დაკვირვებით წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ კრიტიკოსები არ არსებობენო, არ უთქვამთ (პირიქით, ზოგიერთმა სიმპათიითაც მოიხსენია ესა თუ ის კრიტიკოსი). თქვეს, კრიტიკა არ არსებობსო. ამან გამაოცა, თუმცა ამ აზრს ვიზიარებ. გამაოცა იმიტომ, რომ კრიტიკის არარსებობის აღიარება ხომ საერთოდ მწერლობის არარსებობის აღიარებას ნიშნავს? ამას კი ანკეტის ავტორები არც გაიზიარებენ და არც დაეთანხმებიან, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკის არარსებობა სხვას არაფერს მიუთითებს. რა ძალას შეუძლია შეაჩეროს ნამდვილი აღტაცება, გამოწვეული ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებით? კრიტიკოსმა შეუძლებელია თავი აარიდოს კარგი ნაწარმოების ქებას (პირიქით, რამდენი უხეირო ნაწარმოების ხოტბა-დიდება წაგვიკითხავს!). მე არც მეგულება, ცოტათ თუ ბევრად,

საინტერესო ნაწარმოები, რომლის გამოც ორი-სამი კრიტიკული წერილი არ დაუწერიათ. და ზოგჯერ არანაკლებ საინტერესო, ვიდრე თავად მხატვრული თხზულებაა. სრული რწმენით შემიძლია განვაცხადო, მაგალითად, რომ ოტია პაჭკორიას წერილი არჩილ სულაკაურის «ტალღები ნაპირისაკენ მიიჩქარიან»-ის გამო, ტოლფასოვანია მოთხრობისა. ანდა ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ გურამ ასათიანის კრიტიკული წერილების ლიტერატურული ხარისხი არ შეესაბამებოდეს დღევანდელი ქართული ლიტერატურის დონეს? (აქ შეიძლებოდა კრიტიკოსთა დასახელება კიდევ გამეგრძელებინა, მაგრამ არ არის საჭირო). და მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას დღეს უჭირს. ო, ძალიან უჭირს. და უჭირს სწორედ იმის გამო, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით და რასაც პირში ბურთის ჩაჩრა ჰქვია. ამოაცალეთ ეს ბურთი პირიდან და მერე მოითხოვეთ მისგან აქტიური სამსახური. ნუ დავივიწყებთ, რომ ამა თუ იმ ერის სიტყვაკაზმული ლიტერატურა ვერ იქნება სრულყოფილი და ჰარმონიულად განვითარებული, თუ ისეთივე საინტერესო და საყუარდღებო კრიტიკული მწერლობა არ აქვს, როგორც პროზა, პოეზია და დრამატურგია. ამიტომ აყვავებული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის და ჩამორჩენილი კრიტიკის შესახებ ლაპარაკი თავისთავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და უერთმანეთოდ არ არსებობენ.

28-29. IV. 71.

**მუხრან ბატონო!**

წავიკითხე «მთიები». კარგი, მისასალმებელი საქმეა. თუ რაიმე საშუალება არსებობს, ურიგო არ იქნებოდა, მოცულობით უფრო დიდიც რომ იყოს. უფრო მეტ მასალას რომ მოიცავდეს. მაგრამ ალბათ ამას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ.

კალენდარში რამდენიმე შეცდომა გაპარულა და ამას ყურადღება უნდა მიექცეს. მე-12 გვერდზე წერია:

«სხვადასხვა დროს ქართული ანბანის ამ სამი სახეობიდან იხმარებოდა სხვადასხვა:

მეცხრე საუკუნემდე _ ასომთავრული.

მეცხრედან მეთერთმეტემდე _ ნუსხური.

მეთერთმეტედან დღემდე იხმარება მხედრული».

ეს არ არის სწორი. ნუსხური ასომთავრულის პარალელურადაც იხმარებოდა და მხედრულისაც. ყველა ძველი ხელნაწერი ქართული წიგნი დაწერილია ნუსხურით. ასომთავრულით იწერებოდა მხოლოდ სათაურები, წინადადების დასაწყისი და განსაკუთრებით ხაზგასასმელი სიტყვები. ე.ი. ასომთავრულს заглавная буква-ს მნიშვნელობა ჰქონდა. ასომთავრულითვე იწერებოდა მონუმენტური წარწერებით. მხედრულის შემოღების შემდეგაც საუკუნეების მანძილზე წიგნები, განსაკუთრებით საეკლესიო, იწერებოდა ნუსხურით.

მე-19 გვერდზე ნათქვამია:

«ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ასიზის (ქალაქია იტალიაში) წმ.ბასილის წესის მონაზონი, კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი ევროპაში, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი».

აქ რამდენიმე უზუსტობაა:

1. ნიკოლოზი ჩოლოყაშვილის ერისკაცობის სახელია, ბერობაში ნიკიფორე ერქვა. იგი, როგორც მოღვაწე, ნიკოფორეს სახელით არის ცნობილი. ამიტომ არ არის სწორი თქმა _ «წმ.ბასილის ბერი ნიკოლოზ...» უნდა იყოს _ წმ.ბასილის ბერი ნიკიფორე.

2. ნიკიფორე ირბაქს (ერისკაცობაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს) სხვადასხვა საეკლესიო თანამდებობა ეკავა, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქი არასოდეს ყოფილა.

3. ქართული ეკლესია არ იცნობს თანამდებობას «სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი». არსებობდა თანამდებობა _ აფხაზთა კათალიკოსი (ანუ იმიერ-საქართველოს კათალიკოსი). სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოსის თქმა ისევე არ შეიძლება, როგორც ქართლ-კახეთის კათალიკოსისა.

22-ე გვერდი: «დღეთა ძველქართული სახელები მზისა (კვირა), მთოვარისა (ორშაბათი), არიასი (სამშაბათი), ერმისა (ოთხშაბათი), აფრიდიტისა (ხუთშაბათი), დიოსისა (პარასკევი), კრონოსისა (შაბათი) _ შემოღებულია ქართველთა შორეული წინაპრების ქალდეველთა მიერ და საქართველოში იხმარებოდა IV საუკუნემდე».

აქ რაღაც გაუგებრობაა. რა ენაზე ლაპარაკობდნენ ქალდეველები? ქართული და ბერძნული სიტყვების საფუძველზე წარმოებული სახელები დღეებისა მათ როგორ შემოიღეს? საიდან ვიცით, რომ IV საუკუნემდე იხმარებოდა ეს სახელები? ასეთი დოკუმენტი ხომ არ არსებობს!

53-ე გვერდზე არის თამარის სურათი და ქვეშ აწერია _ «თამარ მეფე (ბეთანიის ფრესკა)». ეს არ არის ბეთანიის ფრესკა. ეს არის რუსი მხატვრის გაგარინის მიერ დახატული სურათი.

15.VII.72.

## გაზეთ «კომუნისტის» რედაქტორ ბ-ნ დავით მჭედლიშვილს

გაზეთ «კომუნისტში» ამა წლის 11 თებერვალს დაიბეჭდა წერილი «რაში სცოდავს პროფესორი მ.მიქელაძე». ამ წერილს ორი კაცი აწერს ხელს _ გიორგი მელიქიშვილი და ალექსანდრე ბარამიძე. მაგრამ, როცა წერილს წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ იგი ორი კაცის დაწერილი არ არის. წერილში ოთხჯერ წერია:

«ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ არის მტკიცება... (პირველ სვეტში).

«ამიტომაც მე მგონია, წერილის ავტორი მართალია... (მეორე სვეტი).

«მომავალში, ვფიქრობ, უკეთესი იქნება... (მესამე სვეტში).

«ვფიქრობ, ეს საშიში სრულიად უსაფუძვლოა... (მესამე სვეტში).

«კომუნისტში» (14.11.73) დაიბეჭდა აგრეთვე ინფორმაცია «საბჭოთა მეცნიერის ნაპოვნი». ინფორმაციის ბოლო აბზაცში წერია: «ნაპოვნს დიდი ისტორიული მნიშვნელობა

აქვს. დღემდე მეცნიერებას არ ჰქონია წერილობითი ძეგლები, რომლებიც ეხება მეფე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამგებლობის პერიოდს».

თუ წერილობითი ძეგლები არა, მაშინ რა არის დავით აღმაშენებლის «გალობანი სინანულისანი», ანდერძი, სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი, დავითის ისტორიკოსის თხზულება. თამარის შესახებ «ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი», ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება და მისთანანი. ესენი ხომ ყველაფერი შენახულია, დაბეჭდილია და გამოქვეყნებული? მაშინ რად ტყუის ინფორმაციის ავტორი, წერილობითი ძეგლები არ გვქონიაო?

ასე უპასუხისმგებლოდ ბეჭდვა განა შეიძლება?

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე
14.11.73.

## ქალბატონო ივლიტა!

გუშინ, 2 დეკემბერს, «ახალი ამბების» გადაცემაში დიქტორმა ნუგზარ ჯუღელმა წაიკითხა ასეთი სტრიქონები _ სამხრეთ ოსეთში დაიბადნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ივანე მაჩაბელი, ია ეკალაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები...» სამწუხაროდ, არ ვიცი ვინ არის ტექსტის ავტორი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ იგი უმეცარი კაცის დაწერილია. ის ტერიტორია, რომელიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად იწოდება, არის ისტორიული შიდა ქართლი, ისტორიული სამაჩაბლო, ე.ი. ღვიძლი საქართველო. აქ ოსები ნელ-ნელა ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც მათი სამშობლოა. ვარაუდობენ, რომ მომთაბარე ოსთა საქართველოში გადმოსახლების პროცესი მე-16 საუკუნეში დაიწყო. ისინი ჩვენში თავშესაფარს ეძებდნენ და იპოვეს კიდეც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, როცა ოსთა ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა, ამ ტერიტორიას ეწოდა სამხრეთ ოსეთი. ლიახვის ხეობა საერთოდ ითვლება იმ ადგილად, სადაც დედა ქართული ენის აკვანი დაირწა. მარტო ის რად ღირს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის ღრმად შესასწავლად სწორედ ლიახვის ხეობაში ცხოვრობდა წლების მანძილზე. რაღა გამოვა თუ აქ დაბადებულ ქართველებს ოსეთში დაბადებულნი ვუწოდეთ?

ამრიგად, ივანე მაჩაბელი დაიბადა და გაიზარდა საკუთარ მამულში _ სამაჩაბლოში და არა ოსეთში. ია ეკალაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ზემოაღნიშნულ ტექსტში მოხსენიებული სხვა ქართველი მოღვაწეებით დაიბადნენ საქართველოში. ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის უმეცრებასაც. ასეთი შეცდომები სახელს უტეხს ტელევიზიას და მას უთუოდ სჭირდება ყურადღების მიქცევა.

გთხოვთ, ჩემი წერილი გააცნოთ ტელევიზიის თანამშრომლებს.

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე
1974 წ. 3 დეკემბერი

## სიტყვა თქმული 1976 წლის 9 იანვრის საქალაქო პარტკონფერენციაზე

ამხანაგებო!

როცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს კითხულობთ, არ შეიძლება არ გაგაოცოთ ფაქტმა _ რაოდენ ხშირად და რაოდენ აქტიურად იშველიებენ ისინი სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებს ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობის დროს. საკმარისია მარქსის მიერ მოხდენილად ციტირებული დანტე გავიხსენოთ. კაპიტალიზმის კარებს ისევე უნდა ეწეროს, როგორც ჯოჯოხეთის კარებს ეწერაო _ Lastiate ogni speranza, voi ch'entrate (აქ შემომსვლელო, ყველა იმედი დაკარგეო). ერთი ფრაზით დახასიათებულია მთელი სისტემა უფრო შთამბეჭდავად, ვიდრე მთელი წიგნით შეიძლებოდა ეს. ასეთი ციტაცია მათ აზრს სიცხოველეს, სიმახვილეს, მკაფიობას ანიჭებს. დღეს კი, სამწუხაროდ, პარტიული ხელმძღვანელებისა თუ პარტიული მუშაკების სიტყვებსა და სტატიებში ერთობ ძუნწად შეხვდებით ლიტერატურიდან მოშველიებულ მაგალითებს. რა თქმა უნდა, დღევანდელი გულგრილი დამოკიდებულება უსაფუძვლოდ არ წარმოშობილა. ცხადია, არავის დაებადება სურვილი რაიმე მსჯელობისას მოიმარჯვონ ასეთი სტრიქონები:

«და ერთ წერტილში, მხოლოდ და მხოლოდ ერთ წერტილში უსასრულობას
წარმოვადგენ
და გამვლელი ჩემზე რომ დადის, თუ შემეხო, სადაც გახლავართ
ზორბაზე ზორბა,
ვით ქარბორბალა, მე მას ავიტაცებ არა შიშით, არა სიზმრით,
არამედ მრწამსით, მრწამსით და მრწამსით».

(«მნათობი», 1974 წ. №4)

«მთვარე დამწვარა, გაფანტულა ურიცხ პეპლად
და გაფოთლილა პეპელათი ჩვენი პლანეტა...
დაღამდა. ტყეზე ჩაიარა მატარებელმა _
ტყე შრიალებდა».

(«მნათობი», №6, 1974 წ.)

მსგავსი ნიმუშების დასახელება უხვად შეიძლებოდა, ისე ხშირად ბეჭდავენ მათ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ლექსს ახლა პროზა მივაშველოთ.

ექიმს მძიმე ავადმყოფი მწერალი ყავდა პაციენტად. თავად ექიმი კი ჯანმრთელი კაცი იყო. მწერალი ფიქრობდა, ოცდამეერთე საუკუნეს ვერ მოვესწრებიო. ექიმი კი უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. განკურნებულმა მწერალმა საზღვარგარეთ იმოგზაურა და ექიმს საჩუქრად სუვენირი ჩამოუტანა. მწერალი გაწბილებული აღმოჩნდა: სანამ იგი საზღვარგარეთ მოგზაურობდა, ექიმი მომკვდარიყო. დაესაფლავებინათ კიდეც. ეს არის და ეს მოთხრობის შინაარსი.

მწერლობის მიმართ არაობიექტურობა რომ არ დამწამონ, ერთ მაგალითს თეატრის ცხოვრებიდანაც დავასახელებ. ვერც რუსთაველის თეატრის სპექტაკლი «პაემანი ცაში» დააყენებს კაცს ციტაციის გუნებაზე.

მაშასადამე, ამდაგვარი ნაწარმოებების კითხვამ და ნახვამ თანდათან გაანელა ცხოველი ინტერესი ხელოვნების მიმართ. მდარე ნაწარმოებთა ზღვაში თითო-ოროლა ჭეშმარიტად მხატვრულმა ნაწარმოებმა საერთო იდეური და მხატვრული მაღალი დონის შენარჩუნება ვეღარ მოახერხა. ამ სიტუაციაში სერიოზული ზიანის მომტანი იყო შემრიგებლური დამოკიდებულება მდარე მხატვრული პროდუქციის მიმართ.

ეს შემრიგებლური დამოკიდებულება არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ჩვენთვის, რადგან ჯერ კიდევ საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ითქვა _ პარტიამ ჩვენ ყველა უფლება მოგვცა. წაგვართვა კი ერთი _ ცუდად წერის უფლება. დროთა განმავლობაში როგორც კრიტიკამ ისე იმ ორგანოებმა, რომელთაც მხატვრულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ევალებათ, მიივიწყეს ეს პრინციპი. იმის მაგიერ, რომ ცუდისათვის, აშკარა წუნისათვის გამოგვეცხადებინა ბრძოლა, უფრო ხშირად მწვავე, ზოგჯერ არაჯანსაღი დისკუსიის საგანი ის ნაწარმოები გამხდარა, რომელიც აზრითაც და ფორმითაც საინტერესო იყო, ოღონდ პრობლემას შეურიგებლად და პრინციპულად სვამდა. სწორედ ასეთი ნაწარმოებების თავზე ეკიდა დამოკლეს მახვილი _ შეიძლება თუ არა მათი დაბეჭდვა? შეიძლება თუ არა მათი დადგმა? ცუდი ნაწარმოები კი არხეინად იბეჭდებოდა, იდგმებოდა, იღებოდა და საზოგადოებაშიც დაუბრკოლებლად მიიკვლევდა გზას.

შეიძლება გაგახსენოთ დღეს ღიმილის მომგვრელი ერთი შემთხვევა. ამ ათიოდე წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ვიქტორ გაბისკირიას პიესა «უფსკრულთან». პიესაში დედის მიერ მიტოვებული პატარა ბიჭუნა მძიმედ ავადდებოდა და კვდებოდა. ზოგიერთი აღშფოთებული იყო, როგორ შეიძლება საბჭოთა სინამდვილეში ბავშვი ასე უმოწყალოდ მოკვდესო. მაშინ საქმე ცენტრალურ კომიტეტამდე მივიდა. ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხის განსახილველად სამკაციაში კომისია გამოყო. მე არ ვიცი ამ კომისიამ რა დასკვნა გააკეთა, მაგრამ ვიცი ფაქტი, რომ ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში მოიხსნა. აღმოჩნდნენ ადამიენბი, რომელთაც ბავშვის ავადმყოფობა და სიკვდილი საბჭოთა სინამდვილის არაობიექტურ კრიტიკად მიიჩნიეს. შეიძლება ეს შემთხვევა არც გაგვეხსენებინა, რომ იგი ერთადერთი და გამონაკლისი ყოფილიყო.

ჩვენ თეორიულ წერილებში ხშირად ვახსენებდით ლიტერატურისადმი ლენინურ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ამ დამოკიდებულებას არცთუ ისე ხშირად ვამჟღავნებთ. მე მინდა დღეს გავიხსენოთ ლენინის ერთი წერილი, გამოქვეყნებული არკადი ავერჩენკოს წიგნის გამო. 1921 წელს პარიზში გამოქვეყნდა ავერჩენკოს «თორმეტი დანა რევოლუციის ზურგში». ლენინმა ამ წიგნს «გონების დაბნელებამდე გაბოროტებული თეთრგვარდიელის» _ წიგნი უწოდა. მიუხედავად ამ უმკაცრესი შეფასებისა, ლენინმა მაინც აღნიშნა _ რა იყო იმ წიგნში დადებითი და ასეთი დასკვნაც კი გააკეთა: «ზოგიერთი მოთხრობა ჩემი აზრით, გადმობეჭდვის ღირსია» (ლენინი, თხზ. ტ.33, გამოც. 4, გვ.132-133).

თუკი ლენინს შეეძლო გონების დაბნელებამდე გაბოროტებულ თეთრგვარდიელის წიგნშიც დაენახა საბჭოთა საზოგადოებისათვის საჭირო მოთხრობები, რატომ უნდა

მოხსნილიყო საბჭოთა მწერლის პიესა, რომელიც ზნეობისა და ეთიკის საკითხებს სვამდა პრინციპულად? საქმე ის გახლავთ, რომ მშვიდი და უდარდელი ცხოვრება შეგვიყვარდა. ჩვენდა შეუმჩნევლად ორი კრიტერიუმი გაჩნდა. ერთს მანამდე ვიყენებთ, სანამ რაიმე თანამდებობას მივიღებდეთ. მაშინ მოგვწონს კრიტიკური, მწვავე ნაწარმოებები, რადგან მაყურებლისა და მკითხველის როლში გამოვდივართ და პასუხს არ ვაგებთ. როცა თანამდებობას მივიღებთ, მეორე კრიტერიუმით ვსარგებლობთ. მაშინ აღარ მოგვწონს მწვავე და კრიტიკული ნაწარმოები, რადგან ახლა უკვე პასუხისმგებელი ვართ და იგი ჩვენს თანამდებობრივ სიმშვიდეს არღვევს. უფრო ნეიტრალურ ნაწარმოებებს ვეტრფით, სადაც არც მწვადია დამწვარი და არც შამფური. შეიძლება ნეიტრალურ პოზიციას სადმე, რაიმე საქმიანობაში სარგებელი მოჰქონდეს, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში მას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

«მაგრამ,
კედელზე რომ მაქვს მიკრული,
არც ნოხი გახლავთ
და არც მანტია,
რუკაა,
ჩვენი
პოლიტიკური
მთლად საქართველო
გადუხატიათ»

(«მნათობი», 1974 წ. №2)

Was ist der Philister?
Ein hohler Darm
Voll Furcht  und ttoffnung,
Daβ Gott erbarm.

გოეთე

მე შეიძლება ვაჭარბებდე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ალბათ ჩვნეში არასოდეს ისე არ სჭირდებოდა პარტიას ლიტერატურისა და ხელოვნების მტკიცედ ამოდგომა მხარში, როგორც დღეს, რადგან ყველა ის უარყოფითი მოვლენა, რომელთაც უკანასკნელ წლებში ასე თავგამოდებით ვებრძვით, ნაყოფია ზნეობრივი კრიტერიუმების დაქვეითებისა. უპირველესად ზნეობრივი კრიტერიუმების დაქვეითებამ წარმოშვა _ მექრთამეობა, გამფლანგველობა, გამომძალველობა, მომხვეჭელობა და ამ მოვლენისადმი შემრიგებლური და წამქეზებლური დამოკიდებულება.

განა საკამათოა, რომ კაცი, რომელიც იპარავს, უზნეოა; კაცი, რომელიც სახელმწიფო ქონებას ფლანგავს, უზნეობა; კაცი, რომელიც ქრთამს იღებს, უზნეობა; კაცი, რომელიც სხვისას ითვისებს, უზნეობა. უზნეოა ისიც, ვინც ამას უყურებს და ურიგდება. მაშასადამე, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა დღეს, ზნეობრივი კრიტერიუმების გაჯანსაღება-ამაღლებაა. ამ საქმეში კი ყველაზე დიდი როლის შესრულება სწორედ ლიტერატურასა და ხელოვნებას

შეუძლია. მაგრამ ეს შეუძლია მხოლოდ მებრძოლ ლიტერატურასა და ხელოვნებას და არა ნეიტრალურსა და მეთვალყურის როლის შემსრულებელს.

მებრძოლი ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნა ორივე მხარის საქმეა _ ხელოვანთა და საზოგადოების. მათი მტკიცე ერთიანობაა საჭირო. ამიტომ გავკადნიერდები და მოგმართავთ თხოვნით:

დაგვიბრუნეთ ყველა ფულება. წაგვართვით კი ერთი _ ცუდი წიგნების წერის, ცუდი სპექტაკლების დადგმის, ცუდი ფილმების გადაღების უფლება.

**P.S.** როცა ეს სიტყვა წაიკითხეს თბილისის კომიტეტში, ძალიან მთხოვეს ნუ იტყვი ბოლო აბზაცს და სიტყვებს _ «ვინც უყურებს ამას და არაფერს ამბობს, ისიც უზნეოა». აქ თავისთავი იგულისხმეს და შეეშინდათ. თუ ამ სიტყვისაც კი შეეშინდათ, სადაც ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი, წარმოიდგინეთ რა მოუვათ სრული სიმართლე რომ მოისმინონ. ბოლო აბზაცის შეეშინდათ, რადგან ამტკიცებენ, მწერლობისათვის არავითარი უფლება არ წაგვირთმევიაო. ამ საუბარს ესწრებოდნენ მდივნები ნელი გურგენიძე და გურამ გაბუნია. ისინი მთხოვდნენ შერბილებას. ეს იყო 8/I-ში. 9/I-ში აბესალომ იმედაშვილი მოვიდა და იმან უკვე ამხანაგურად მთხოვა _ არ თქვაო. ისიც მითხრა _ გუშინ ეს 10 კაცმა წაიკითა და თქვაო _ დებულება _ დანაშაულის მაყურებელი, რომელიც დუმს, დამნაშავეა _ სადავოაო. ე.ი. იმდენად უღონონი გახდნენ, რომ ყველაზე ნათელი ჭეშმარიტებაც, მათი ჭკუით, საკამათო დებულების კატეგორიაში გადაყავთ9 იმედაშვილი და მე ერთდროულად ვსწავლობდით უნივერსიტეტში და ცდილობდა ეს გამოეყენებინა. თითქოს, როგორც ოფიციალური პირი კი არ მეუბნებოდა, არამედ ამხანაგი.

1976 წ. 10 იანვარი

## ამ საქმეს ნუ გადავდებთ

1977 წლის 9 სექტემბრის «ლიტერატურულ საქართველოში» გამოქვეყნდა სილოვან ნარიმანიძის წერილი _ «გვიხმობს ილიას კარ-მიდამო». ბარე 5 თვე ვიცადეთ და ამ სტატიას არავინ გამოეხმაურა. არადა ყოველი ქართველის მოვალეობაა მხარი დაუჭიროს ამ წერილში გამოთქმულ აზრს და ხელი შეუწყოს მის პრაქტიკულ განხორციელებას. ოღონდ ის, რაც ს.ნარიმანიძემ საგურამოზე თქვა, ეხება ყვარლის სახლ-მუზეუმსაც. ყურადღება და მოვლა-პატრონობა არც ყვარელს უნდა მოაკლდეს. საერთოდ კი ჩვენი სახლ-მუზეუმების მდგომარეობა შესასწავლია და სერიოზული ღონისძიებაა საჭირო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სახარბიელოდ საქმე არც სხვა სახლ-მუზეუმებშია. ეს მუზეუმები გვაქვს, მაგრამ როგორ, რატომ და რა მიზნით, ეს მთლად მკაფიოდ გარკვეული არ არის. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა _ რას ნიშნავს მოვლა-პატრონობა? ბევრი რომ არ ვილაპარაკო, პირდაპირ ვიტყვი _ იმას, რაც გაკეთებულია მიხაილოვსკოეში პუშკინის ხსოვნის პატივსაცემად.

Рიცით, ალბათ, რომ 25 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია გამოცხადებულია სახელმწიფო მამულად და ნაკრძალად. აქ შედის არა მარტო მიხაილოვსკოე, არამედ

სოფლებიც პეტროვსკოე და სავკინო, სადაც პუშკინის მოყვრები და ნათესავები ცხოვრობდნენ. ნაკრძალს ეკუთვნის სვიატოგორსკის მონასტერიც. სსრკ კულტურის სამინისტროს განკარგულებით, სვიატოგორსკის მონასტრის სამრეკლოზე ზარებიც უნდა დაკიდონ. ისინი ისევე უნდა გუგუნებდნენ, როგორც პუშკინის დროს. აღდგენილია პუშკინის მეგობრების ოსიპოვების სახლი სოფელ ტრიგორსკში. ასევე ძველებურად დგას პუშკინის წინაპრის ჰანიბალის სახლიც (საგურამოში კი უპატრონოდ და პირუტყვის სათარეშოდ არის მიტოვებული ოლღა გურამიშვილის მშობლების და ნათესავების საფლავები). მიხაილოვსკოეში საგანგებოდ მკურნალობენ პუშკინის დროინდელ ხეებს, რათა რამდენადაც შესაძლებელია სიცოცხლე გაუხანგრძლივონ მათ (საგურამოში კი ილიასეულ ბაღში პირწმინდად აუჩეხიათ). თქვენ წარმოიდგინეთ, მიხაილოვსკოეში მუშაობენ იმ ტბების აღსადგენადაც კი, რომელნიც პუშკინს მოუხსენებია ლექსებში. ერთი სიტყვით, სრულად იქმნება პუშკინის ეპოქისეული ატმოსფერო და განწყობილება.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ომის დროს მიხაილოვსკიე და მისი შემოგარენი მთლიანად განადგურდა. ყველაფერი თავიდან გახდა აღსადგენი. მაგრამ მშობლიური კულტურის სიყვარულმა და პატივისცემამ ყველა სიძნელეს სძლია. არც საგურამოზე და არც ყვარელზე ომის წამლეკავ ცეცხლს არ გადაუვლია. წიწამურში გავარდა მხოლოდ მკვლელის თოფი. მაგრამ ამ გასროლის კვალი მეტად დარჩა, ვიდრე უზარმაზარი ომისა.

მიხაილოვსკოეს მაგალითი გვეუბნება იმას, რომ ჩვენი სახლ-მუზეუმების მომერიალური ხასიათი უნდა აღსდგეს. სწორედ ამაზე ოცნებობენ ილიას სახლ-მუზეუმების დირექტორები საგურამოსა და ყვარელში. ოცნებობენ, მაგრამ მარტოდმარტომ რა უნდა ჰქნან _ თუ არ დავეხმარეთ, მხარში არ ამოვუდექით, ხელი არ შევუწყვეთ?

ყვარელში უნდა აღდგეს კოშკი, რომელშიც დაიბადა ილია. უნდა აღდგეს მარანი და წისქვილი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც გააცოცხლებს მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების ატმოსფეროს, რომ იქ მისულმა თანამედროვემ ცხადად იგრძნოს გარემო, რომელშიც აღიზარდა ილია.

გავიხსენოთ, რომ არსებობს თადეოზ გურამიშვილის მამულის 1866 წელს შედგენილი ტოპოგრაფიული გეგმა. ამ გეგმით უზუსტესად შეიძლება გურამიშვილთა, სტაროსელსკების და ჭავჭავაძეთა მამულის აღდგენა და ისე განაშენიანება, როგორც მათ სიცოცხლეში იყო. ისე, როგორც მიხაილოვსკოეა გამოცხადებული სახელმწიფო მამულად, უნდა გამოცხადდეს საგურამოც სახელმწიფო მამულად და ნაკრძალად.

დღეს ამის გაკეთება არ არის ძნელი. თუ ეს არ გაკეთდება, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოვინდომეთ, ჩვენი სიყვარული და პატივისცემა არ დავადასტურეთ წარსულის მიმართ.

1978 წ.

## ახლახან ჩვენი საზოგადოება ორ დოკუმენტს გაეცნო.

ახლახან ჩვენი საზოგადოება ორ დოკუმენტს გაეცნო. ერთი გახლავთ საქართველოს კპ ცკ და საქართველოს მთავრობის დადგენილება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, მეორე კი არის სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრის

ელიუტინის ბრძანება [1]1116, დათარიღებული 1978 წლის 6 დეკემბრით. ელიუტინის ეს ბრძანება 1979 წლის 11 იანვარს თუთიყუშივით გაუმეორებია საქართველოს უმაღლესი განათლების მინისტრს ჯიბლაძეს (ბრძანების ნომერი 3-03).

საქართველოს კპ ცკ და საქართველოს მთავრობის დადგენილების შინაარსი ოფიციალურად გამოქვეყნდა პრესაში (იხ. 1979 წლის 13 აპრილის «კომუნისტი»). ელიუტინის ბრძანება (ჯიბლაძის ბრძანებითურთ) კი დარიგდა უმაღლეს სასშავლებლებში და მერე გავრცელდა ქალაქში.

როცა ამ ორ დოკუმენტს გაეცნობით, უთუოდ მიხვალთ დასკვნამდე, რომ საქართველოს კპ ცკ დადგენილებას ერთსულოვნად უნდა დავუჭიროთ მხარი, ხოლო ელიუტინის ბრძანება (ჯიბლაძის ბრძანებითურთ) ასევე ერთსულოვნად უნდა უარვყოთ.

რატომ?

კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გაგახსენოთ ელიუტინის ბრძანების ორი პუნქტი, რომელთაც ჯიბლაძეც იმეორებს.

ელიუტინის ბრძანების მუხლი 14-1: პრაქტიკაში ფართოდ იქნეს დანერგილი საკურსო, სადიპლომო პროექტების (ნაშრომების), საწარმოო პრაქტიკის ანგარიშების მომზადება და დაწერა რუსულ ენაზე.

ელიუტინის ბრძანების მუხლი 14-2: ყოველწლიურად დადგინდეს იმ დისციპლინათა ჩამოთვლა, რომელთა სწავლებაც მიზანშეწონილია რუსულ ენაზე.

ყველასათვის ცხადია, რომ სტუდენტი ვერ მოახერხებს რუსულად წეროს საკურსო და სადიპლომო ნაშრომები, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები, თუ იგი რუსულად არ აზროვნებს. იმისათვის, რომ რუსულად წერო საკურსო, სადიპლომო ნაშრომები, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები საკმარისი არ არის რუსული ენის თუნდაც კარგი ცოდნა. ამისათვის აუცილებელია რუსულად აზროვნება. ეს ელემენტური ჭეშმარიტებაა. ბუნებრივია, ქართული სკოლა ვერ შეაჩვევს ქართველ ბავშვს რუსულად აზროვნებას. თავისთავის მოტყუება იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ქართული სკოლა ქართველ ყმაწვილს რუსულ ენას ისე კარგად შეასწავლის, რომ ეს ბავშვი უმაღლეს სასწავლებელში რუსულად შესძლებს წეროს საკურსო, სადიპლომო ნაშრომები და საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები. მაშასადამე, ქართულ უმაღლეს სასწავლებელში უნდა დაიჩაგროს ის სტუდენტი, რომელსაც ქართული სკოლა აქვს დამთავრებული და ლაღად უნდა გრძნობდეს თავს ის, ვინც რუსულ სკოლაში ისწავლა. თავისთავად ამგვარი მდგომარეობა ხომ აბსურდია, მაგრამ ამას მოყვება სავალალო შედეგი: როცა მშობლები დაინახავენ, რომ შვილი ეჩაგრებათ, რაკი მან ქართული სკოლა დაამთავრა, ყველა რუსულ სკოლაში შეიყვანს ბავშვს. ამით, ბუნებრივად, თანდათან დადგება ქართული სკოლის გაუქმების აუცილებლობა, ასე იქნება, მიუხედავად იმისა, გვინდა თუ არა ეს ჩვენ. ამას გამოიწვევს ობიექტურად შექმნილი სიტუაცია.

თუ ქართული სკოლის აუცილებლობა გაქრება და ყველა რუსულ სკოლას მიაშურებს, მაშინ სადღა გავაუმჯობესოთ ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება? ამიტომ ელიუტინის ბრძანება არსებითად აუქმებს საქართველოს კპ ცკ და საქართველოს მთავრობის დადგენილებას. სწორედ ამის გამო უნდა იქნეს უარყოფილი ელიუტინის ბრძანება (ჯიბლაძის ბრძანებითურთ).

ცხადია ისიც, რომ სტუდენტი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ყოფნისას რუსულად მიეჩვევა საკურსო, სადიპლომო ნაშრომების, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშების წერას, რუსულად ისწავლის ამა თუ იმ დისციპლინას, ბუნებრივად იკითხავს _ რა ფორმალიზმია, რომ ზოგიერთ საგანს ქართულად მასწავლიან? რა აუცილებლობაა ორენოვანი სწავლება? რა უნდა ვუპასუხოთ ამ სამართლიან კითხვას? არსად დედამიწის ზურგზე, არცერთ უმაღლეს სასწავლებელში ორენოვანი სწავლება არ მიმდინარეობს. ეს აბსურდია და იმიტომ. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებშიც არსებობს პარალელური ფაკულტეტები, მაგრამ ქართულ ფაკულტეტზე ასწავლიან ქართულად, რუსულზე _ რუსულად. ეს არის ბუნებრივი. ელიუტინის ბრძანება კი მოითხოვს არარუსულ უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს ერთდროულად ორენოვანი სწავლა. იყო დრო, როცა ზოგიერთები ორენოვან მწერლობას ითხოვდნენ. ახლა ორენოვან სწავლებას ქადაგებენ. ორენოვანი მწერლობის ქადაგებიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ეს სიბრიყვე იყო. ასეთივე სიბრიყვეა ორენოვანი სწავლების მოთხოვნა. მაშინ რატომ ითხოვს აბსურდს ელიუტინის ბრძანება? იმიტომ, რომ ელიუტინი ვარაუდობს: დღეს რუსული ენა უფრო ძლიერია, ვიდრე, ვთქვათ, ქართული. ამდენად, როცა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში შემოვიღებთ რუსულად საგნების სწავლას, რუსულად საკურსო და სადიპლომო ნაშრომების წერას, თავისთავად გამოირიცხება ქართულად სწავლა, ქართული უმაღლესი სასწავლებელი.

თუ ქართული უმაღლესი სასწავლებელი გაქრება, ქართველი სტუდენტები რუსულად ისწავლიან საგნებს, რუსულად დაწერენ საკურსო და სადიპლომო ნაშრომებს, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშებს, მაშინ სადღა გავაუმჯობესოთ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება? ამიტომ ელიუტინის ბრძანება არსებითად აუქმებს საქართველოს კპ ცკ და საქათრველოს მთავრობის დადგენილებას. სწორედ ამის გამო უნდა იქნეს უარყოფილი ელიუტინის ბრძანება (ჯიბლაძის ბრძანებითურთ).

საქართველოში არავინ არის ისეთი, ვინც რუსული ენის სწავლის წინააღმდეგი იქნება. პირიქით, ქართველს ეამაყება რუსულის კარგი ცოდნა. რამდენი ქართველი მინახავს სირცხვილით დამწვარა, როცა რუსულად მეტყველებისას მახვილი ვერ დაუსვამს სწორად, მაგრამ ყურიც არ გაუბარტყუნებია ქართულს რომ უსაშველოდ ამახინჯებდა. ქართველს ვერავინ დააბრალებს რუსულის სწავლა არ უნდაო. მაგრამ <u>რუსულის კარგად შესწავლა არ უნდა მოხდეს ქართულის დისკრიმინაციის და დაჩაგვრის ხარჯზე. ელიუტინის ბრძანება (ჯიბლაძის ბრძანებითურთ) ქართული ენის დისკრიმინაციის და დაჩაგვრის ბრძანებაა. ამიტომ ვითხოვთ ამ ბრძანების გაუქმებას</u>.

აკაკი ბაქრაძე
1979 წ. 15. IV.

**გიორგი ბატონო!**

გაზეთ «კომუნისტში» (6.IV.80) დაიბეჭდა ნ.ბარათაშვილის სტატია «ვისაუბროთ სიყვარულზე». იგი ასე იწყება: «მოდით, ჩემო მკითხველო, ვისაუბროთ სიყვარულზე, მაგრამ არა ქილილასა და დამანას, რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულზე _ ან ახალს რას ვიტყვით ამ ძველისძველ და მარადიულ თემაზე...» რომეოსა და ჯულიეტასთან კონტექსტში და მაშინ, როცა სიყვარულზე ვლაპარაკობთ, მეტი რომ არა ვთქვა, უხერხულია ქილილასა და დამანას მოხსენიება.

საშუალო სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელოში _ «ძველი ქართული ლიტერატურა» _ «ქილილა და დამანას» შესახებ წერია:

«ქილილა და დამანა» მთელ აღმოსავლეთში სახელგანთქმული იგავ-არაკთა კრებულია...

«ქილილა და დამანას» მთავარი მოქმედი პირები არიან, როგორც ეს მიღებულია საიგავო ჟანრის ნაწარმოებში, ცხოველები, კერძოდ, ორი ტურა: ქილილა და დამანა. პირველი სიკეთისა და სათნოების გამომხატველია, მეორე _ ბოროტების, ამპარტავნობის, მედიდურობისა. მათ შორის იმართება დავა პრინციპული საკითხების ირგვლივ. ეს დავა მიმდინარეობს იგავებისა და არაკების მოტანით» (გვ.228-229).

ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ: ორი მოიგავე ტურის მოხსენიება შეიძლება რომეოსა და ჯულიეტასთან ერთად კონტექსტში? ან სიყვარულთან რა კავშირი აქვთ მათ?

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე

7. IV. 80

**გოგი ბატონო!**

როგორ ხარ? როგორ შეეწყვე ახალ გარემოს? ხმები კარგი და სასიხარულო მომდის. წერილით იმიტომ გაწუხებ, რომ რამდენიმე წინადადება მინდა შემოგთავაზო.

1. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ სოხუმის ქართულ თეატრს მიენიჭება გიორგი შარვაშიძის სახელი. იგი მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენელია. შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა. ქართველობისათვის თავგამოდებული მებრძოლი, ილიას და აკაკის თანამოსაგრე. ქართული თეატრისათვის მისი სახელის მინიჭება ბასრი ლახვარი იქნება ყველა სულ და ხორცგაყიდული აფხაზისათვის. ამისათვის საჭიროა თეატრის წევრების ხელმოწერით (კიდევ უკეთესი, სოხუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც თუ მოაწერენ ხელს) გაიგზავნოს წერილი-თხოვნა როგორც თბილისში, ცკ-ში, ისე ადგილობრივ საოლქო კომიტეტში. ვერც თბილისში და ვერც სოხუმში ამ წინადადებაზე უარს ვერ იტყვიან. ოღონდ ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა გაკეთდეს.

2. გ.შარვაშიძეს აქვს პიესა «გიორგი მესამე». იგი უთუოდ უნდა შეიტანო რეპერტუარში. როცა ამ წარმოდგენას ნახავენ, იძულებული გახდებიან პიესა აფხაზურადაც თარგმნონ და ითამაშონ. მაშინ ზოგიერთი უტვინო აფხაზურადაც მოისმენს _ რა რა არის, როგორ უნდა მოვიქცეთ და რა პოზიციაზე უნდა ვიდგეთ.

3. როგორც გადმომცეს, პოეზიის საღამოს აკეთებ. ძალიან კარგი, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, გ.შარვაშიძის ლექსების საღამოსაც თუ დადგამ. ეს ძალიან დიდი და სასარგებლო საქმე იქნება. ისეთივე, «დედაენა» რომ გქონდა ქუთაისში.

ვფიქრობ, რომ შენც და თეატრის თანამშრომლებიც მიიღებთ ჩემს წინადადებებს. გისურვებთ შენ და მთელ თეატრს დიდ და ნამდვილ გამარჯვებას!

აკაკი ბაქრაძე
1982 წ. 10. V.

**P.S.** ცხადია, უკეთესი იქნებოდა, ეს წერილი 26 მაისს დამეწერა.

## სიტყვა «ნიანგს»

რატომღაც «ნიანგს» გაუბედავად და ნუსხურად აწერია _ «სატირისა და იუმორის ჟურნალიო». რა იქნებოდა, უფრო თამამად და ასომთავრულით რომ ეწეროს? რა თქმა უნდა, წარწერა ვერ უშველიდა საქმეს, თუ შინაარსიც არ დაამშვენებდა მას. ეს საყვედურის ნიშნით არ მითქვამს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კმაყოფილია და ზოგჯერ არა პუბლიკური «ნიანგის» სატირულობით. მაგრამ, თუ რაიმე არ მოგვწონს, ახლავე უნდა ვთქვათ, რომ ეს რედაქციის ბრალი არ არის. ეს შედეგია სატირისადმი მწერლობის დღევანდელი დამოკიდებულებისა. რატომღაც ახლა გაჩნდა დამოკიდებულება, რომელიც ორგვარი სატირის არსებობას გულისხმობს. არსებობს სატირა-პატრიციუსი და სატირა-პლებეი. «ნიანგში» უნდა ისტამბებოდეს სატირა-პლებეი, ხოლო სატირა-პატრიციუსი სადღაც სხვაგან, «უფრო მნიშვნელოვან» ჟურნალებში. არადა იყო დრო, როცა სატირას (არც იუმორს) ზეპურად და ბოგანოდ არ ჰყოფდნენ.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თბილისში რუსულად გამოდიოდა სატირული ჟურნალი «ფალანგა». იგი ილია ჭავჭავაძესაც არ ერიდებოდა. წერილებსაც ბეჭდავდა და კარიკატურასაც მის გასაკრიტიკებლად.

არც «ეშმაკის მათრახი» თუ «ნიშადური» გახლდათ მოკრძალებული და მორიდებული. ისინიც მედგრად უტევდნენ როგორც სახელმოხვეჭილთ და დამსახურებულთ, ისე ძლიერთ ამა ქვეყნისა.

«ნიანგიც» იყო ასეთი. თავად მახსოვს, მაგალითად, კ.გამსახურდიას, ს.კლდიაშვილის და სხვათა «ნიანგისეული» კრიტიკა. მართალია, შთაბეჭდილების შესანელებლად ზოგჯერ «მეგობრული შარჟიო», ეწერა, მაგრამ ვერაფერი «მეგობრული» გახლდათ მისი სიმწვავე.

ცხადია, სიმწვავე და მოურიდებლობა არავის დამცირებას არ ითვალისწინებდა. უბრალოდ, მიმდინარეობდა კამათი, დავა, პაექრობა ამა თუ იმ პრობლემის გარშემო. ცხადია, დავას, პაექრობას სიცხარე უხდება და არც ჟურნალი გაურბოდა მას. თავაზიანობისა და ზრდილობიანი ურთიერთდამოკიდებულების წინააღმდეგი არავინ არის. თუმცა ისიც მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ზრდილობით გულგრილობა, უდარდელობაა შენიღბული, ფეხებზემკიდიაობაა დამალული. ხოლო მოურიდებლობა თუ უკრძალველობა

მწარე გულისტკივილს, სიყვარულსა და წუხილს ამჟღავნებს. თუ ეს ერთმანეთისაგან არ გავარჩიეთ, ხელთ შეგვრჩება «ხოცვა ნადირთა მცირეთა», რაც საზოგადოებას შვებას ვერ მოუტანს.

ეს არ არის მხოლოდ «ნიანგის» რედაქციის საზრუნავი. იგი მთელი მწერლობისა და პუბლიცისტიკის სადარდელია.

როცა კაცი სერიოზულად ამტკიცებს თბილისი теплица-დან წარმოებული ტოპონიმიაო, განა «ნიანგი» არ უნდა ამათრახებდეს მას?

როცა მეცნიერული კომუნიზმის ლექტორი სტუდენტს თუმნიანს (თუმცა შეიძლება სტუდენტები სიცილითაც დაიხოცნენ _ თუმნიანი ვის ჰყოფნისო!) სწაპნის ნიშნის დასაწერად, განა «ნიანგმა» არ უნდა გაწკეპლოს იგი? მხედველობაში არ მყავს პიროვნება. ლაპარაკია თავად მოვლენაზე, რომელსაც სატირიკოსის თვალით სჭირდება ანალიზი.

როცა ლიტერატურულ თუ მეცნიერული მაკულატურა წალეკვით გვემუქრება, განა ეს მოვლენა «ნიანგმა» არ უნდა გაროზგოს?

მაგრამ როგორ შესძლებს «ნიანგი» ამ მისიის შესრულებას, თუ მწერლები, პუბლიცისტები არ ამოუდგნენ მხარში? ცხადია, იმ მწერალსა და პუბლიცისტს ვგულისხმობ, ვისაც ქვეყნის საზრუნავი საკუთარი ტყავის მოვლაზე უფრო აწუხებს.

ფაქტის მხილება, ფაქტის კრიტიკა მავნე მოვლენას არ სპობს. მავნე მოვლენას მისი წარმომშობი მიზეზის პოვნა, ახსნა-ანალიზი ანადგურებს.

მავნე მოვლენის მოსპობის თვალსაზრისით,

არაფერს ნიშნავს მექრთამეობის მხილება. უნდა მოვძებნოთ და გავიგოთ, რამ აიძულა ქრთამის აღება.

არაფერს ნიშნავს ქურდის მხილებაც. უნდა მოვძებნოთ და გავიგოთ რამ აიძულა ქურდობა.

არაფერს ნიშნავს კომბინატორის მხილებაც. უნდა მოვძებნოთ და გავიგოთ, რამ აიძულა კომბინატორობა.

ამის გაკეთება ოდენ სატირას შეუძლია, რამეთუ სატირა ფაქტის მხილება კი არ არის, არამედ _ მოვლენის ანალიზი, მიზეზისა და შედეგის პოვნა. ასეთია ილიას სატირა, ასეთია გოგოლისა და სალტიკოვ-შჩედრინის სატირა.

ყველაფერს გულისსკნელში ჩახედვა უნდა. გულისსკნელში კი ის იხედება, ვისთვისაც მწერლის თვალი უბოძებია არსთა გამრიგეს. ამიტომ უფრო აქტიურად უნდა იზრუნოს მწერლობას «ნიანგზე». მაშინ ჟურნალი პირნათლად შეასრულებს თავის მისიას პუბლიკუმის წინაშე.

ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა, «ნიანგს» ეპიგრაფად წავუმძღვარებდი _ «ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო».

ეს დიდი ანდერძია და მისი დავიწყება ქართველთა არცერთ თაობას არ ეპატიება.

1983 წ., აპრილი

## ქალბატონო რუსუდან!

ჟურნალ «დროშაში» (1986 წ., №12) წავიკითხე ჩ.აითმათოვის ახალი რომანის «პლახას» ერთი თავის თარგმანი. რუსული «პლახა» თარგმნილია «ძელი სასჯელისა». არის განმარტებაც მოცემული _ თხემის ადგილი, საჯალათო კუნძი. რუსულ «პლახას» აქვს ქართულად ზუსტი შესატყვისი _ «გოძო». თქვენ, ალბათ, რომანს მთლიანად თარგმნით და კარგი იქნება, ამ დავიწყებულ სიტყვას _ გოძო _ ისევ გავიხსენებთ და ახალ სიცოცხლეს მივანიჭებთ. მით უმეტეს, რომ მსხვერპლი და ჯალათი ყოველთვის იქნებიან და გოძოც ყოველთვის დაგვჭირდება.

პატივისცემით
1987 წ., 25 იანვარი

## გაბაასება «საბჭოთა სამართლისათვის»

ეს წერილი «საბჭოთა სამართალში» უნდა დაებეჭდათ, 1988 წ. №6-ში, მაგრამ гластность–ობიას მიუხედავად, ვერ დასტამბეს, შეეშინდათ.

თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან პროფესიულ ჟურნალში უნდა ვესაუბრო მკითხველს პრობლემებზე, რომელშიც არაკომპეტენტური ვარ. მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჭკვიანი მკითხველი ყოველგვარ აზრში იპოვნის გონივრულსა და სასარგებლოს. გარდა ამისა, არსებობს პროფესიული გონებაშეზღუდულობა და დილეტანტური გონებათავისუფლება. კარგად მოგეხსენებათ, რომ შესაძლებელია პროფესიონალი დამნაშავის ქმედების გათვლა, მაგრამ ძალიან ჭირს არაპროფესიონალი დამნაშავის ქმედების გათვლა. საქმე ის გახლავთ, რომ პროფესიონალი სტანდარტული მოდელების შესაბამისად იქცევა, არაპროფესიონალი თავისუფლად, რაკი მან არ იცის წინასწარშემუშავებული თარგების არსებობა.

ამ თვალსაზრისით ვაძლევ თავს უფლებას ვისაუბრო პროფესიულ ჟურნალში.

ახლა უშუალოდ საქმეს შევუდგეთ. ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება უმთავრესით დავიწყოთ: სამართლებრივი სახელმწიფოთი. ჩემი აზრით, სსრკ სამართლებრივი სახელმწიფო არ ყოფილა, არც არის და არც იქნება. რას ემყარება ამგვარი კატეგორიული განცხადება? ნება მომეცით, ვრცლად შევეხო ამ საკითხს, რადგან დანარჩენი კითხვების პასუხიც არსებითად ამ ძირითად პასუხზე იქნება დამოკიდებული.

საბჭოელი იდეოლოგები წამდაუწუმ ხმარობენ ცნებებს _ ბაზისი და ზედნაშენი. მაგრამ როგორც კი საქმე უნდა დაიწყოს, არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ ცნებებს. არადა, ორივე, ბაზისიც და ზედნაშენიც, უმნიშვნელოვანესი და უძირითადესი ცნებებია. ამიტომ დავსვათ კითხვა _ ისტორიულად რას ემყარება სამართლებრივი სახელმწიფო? ერთადერთი პასუხია _ კერძო საკუთრებას. არა მგონია, არსებობდეს სამართლის ისტორიკოსი, რომელიც დაიწყებს დავას _ ასე არ არისო. თუმცა ყველანაირი ჯურის ადამიანი არსებობს და შეიძლება მოდავეც გამოჩნდეს.

ყოველ დროში მოაზროვნეები კერძო საკუთრებას ებრძოდნენ როგორც უსამართლობის საფუძველს. მარქსიზმ-ლენინიზმიც ამ თვალსაზრისით ებრძვის მდიდარს, ქონებიანს შეუძლია დაჩაგროს, დაიმორჩილოს ღარიბი, უქონელი. აქედან ნაირნაირი სოციალური უსამართლობანი. ეს მართალია და ამის გამო არც არავინ კამათობს, მაგრამ არსებობს მოვლენის მეორე მხარეც: კერძო საკუთრება პიროვნების თავისუფლების საძირკველია. ვისაც კერძო საკუთრება არა აქვს, იგი არც პიროვნებაა. ეს აზრი ჩემი არ გახლავთ. იგი ჰეგელს ეკუთვნის.

ახლა დღევანდელი გამოცდილების კუთხით შეგვიძლია ვიკითხოთ: რა უფრო მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების თვისებაში, ის, რომ იგი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის საყრდენია, თუ ის, რომ იგი პიროვნების თავისუფლების საფუძველია?

გულახდილად გეტყვით: კერძო საკუთრებაში უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი პიროვნების თავისუფლების საფუძველია. აქედან გამომდინარე სამართლიანობის საფუძველიც არის.

შევეცდები დავასაბუთო.

ისტორიული ფაქტია, რეალობაა: სსრკ-ში არ არსებობს კერძო საკუთრება. მაგრამ ამას არც უსამართლობა მოუსპია, არც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, არც დანაშაული. ამის საბუთად ყველა ჩვენგანს შეუძლია მოიხმოს მასალები, რომელსაც აგერ ორ წელიწადზე მეტია უხვად აქვეყნებს რუსული პრესა. თუნდაც ის რად ღირს, რომ პირწმინდად მოხდა ყველა იმათი რეაბილიტაცია, რომელნიც ათეული წლების მანძილზე დამნაშავეებად ითვლებოდნენ. ანდა აღიარება იმისა, რომ სსრკ-ში არსებობს სახელმწიფო მაფი (ამის სანიმუშო ქვეყნად უზბეკეთი ითვლება) და ა.შ. ერთი სიტყვით, ამგვარ ამბებს ყველა ჩვენთაგანი ყოველდღე კითხულობს პრესაში, ისმენს ტელე-რადიოში. აქედან დასკვნა ის გახლავთ, რომ დებულება _ კერძო საკუთრების გაუქმება მოსპობს უსამართლობას, დანაშაულს, ჩაგვრას _ ტყუილი აღმოჩნდა. პირიქით, იმის თქმა შეიძლება სრულიად თავისუფლად, რომ კერძო საკუთრების მოსპობამ გააძლიერა უსამართლობა, დანაშაული, ჩაგვრა.

მაგრამ კერძო საკუთრების გაუქმებამ ის კი გააკეთა, რომ სრულად მოსპო პიროვნება. ამის საბუთის მოსატანად შორს წასვლა არ მოგვიწევს. საკმარისია ის ერთსულოვნება გავიხსენოთ, რომელიც სსრკ-ში ოფიციალურ კრებებზე, კონფერენციებზე, სესიებზე, ყრილობებზე სუფევს. ყოველმა ადამიანმა იცის, რომ სრული ერთსულოვნება და თანხმობა სამსულიან ოჯახშიც კი არ არის. თუმცა, სამაგიეროდ, სრული ერთსულოვნება და თანხმობაა იქ, სადაც სხვადასხვა ასაკის, ბუნების, სქესის, განათლების, ხასიათის ასობით და ათასობით ადამიანები იკრიბებიან. როგორ ხდება ეს? სრულიად უბრალოდ, აღარ არიან პიროვნებები. არიან უზარმაზარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჭანჭიკები. სტალინი მართალი იყო, როცა საბჭოთა ადამიანს ჭანჭიკი უწოდა. ოღონდ ის კი უნდა ითქვას, რომ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანი ჭანჭიკად გადაქცეულიყო. გასაოცარია, მაგრამ მოახერხა ის, რაც ვერავინ შესძლო კაცობრიობის ისტორიაში. მან ამის გაკეთება მხოლოდ იმით შესძლო, რომ სოციალიზმმა მოსპო კერძო საკუთრება.

რაკი ადამიანს კერძო საკუთრება აღარ აქვს, იგი იმისათვის, რომ იარსებოს, ჰყიდის ან მის გონებრივ ან ფიზიკურ შესაძლებლობას. ამაში აღებული ფულით მიათრევს წუთისოფელს. ამგვარ ადამიანს პროტესტის უნარი არა აქვს. იგი მორჩილია და, რასაც უბრძანებ იმას აასრულებს. ახლა ნ.ბუხარინს გუნდრუკს უკმევენ და უკვირთ, ძველმა რევოლუციონერმა რატომ სცნო თავი დამნაშავედ საჯაროდ სასამართლოზე მაშინ, როცა, თურმე, დამნაშავე არ ყოფილაო (1988 წლის 43-ე ნომერ «ოგონიოკში» არის ამაზე ლაპარაკი. გვ.3). მაგრამ იმას კი აღარავინ ამბობს, რომ ნ.ბუხარინმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანი ჭანჭიკი ყოფილიყო. როცა თვითონაც ჭანჭიკად გადაიქცა, თავიც ვეღარ დაიცვა. ჭანჭიკ-ბუხარინს უბრძანეს _ აღიარე რომ დამნაშავე ხარო _ და მანაც აღიარა, რაკი ჭანჭიკს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. სხვაგვარად პიროვნებანი, ადამიანები იქცევიან, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა კერძო საკუთრება აქვს და არსებობის არ ეშინია.

ჩვენ ყველას არსებობის გვეშინია და აქედან გამომდინარე ვერც საკუთარ ღირსებას დავიცავთ და ვერც _ სხვისას. ხოლო ადამიანს, რომელსაც საკუთარი ღირსების დაცვა არ შეუძლია, ვერ შექმნის სამართლებრივ სახელმწიფოს.

მითხარით, მოსამართლე, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია იმ გასამრჯელოზე, რომელიც მას მოვალეობის ასრულებაში ეძლევა, როგორ იქნება ობიექტური და სამართლიანი? საკმარისია, მას ეს გასამრჯელო მოუსპოთ, რომ იგი საშიმშილოდ არის განწირული. გასამრჯელოს მოსპობა კი შეუძლია ყველას, ვინც კი მოსამართლეზე თუნდაც ერთი საფეხურით მაღლა დგას. ამიტომ მოსამართლე მზად არის შეასრულოს ყველას განკარგულება, ოღონდ საარსებო გასამრჯელო არ დაკარგოს. მერედა, სასაცილო არ არის ამგვარი მოსამართლისაგან სამართლი მოითხოვოთ?

როგორი სრულყოფილი კანონიც უნდა დაიწეროს, თეორიულად საქმეს არაფერი ეშველება მანამ, სანამ სასამართლო არ იქნება სრული დამოუკიდებელი ყველასა და ყველაფრისაგან. სანამ მოსამართლეს არ შეეძლება ამაყად განაცხადოს, რომ იგი გადადგება, თუ ვინმე გაბედავს ჩაერიოს მის საქმეში. მაგრამ მოსამართლეს გადადგომა შეეძლება მაშინ, თუ ექნება საკუთრება, არ იქნება განწირული საშიმშილოდ და შეეძლება მისი პროფესიული და ადამიანური ღირსებების დაცვა, არ იქნება დამოკიდებული სხვისგან ბოძებულ გასამრჯელოზე.

თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მითხრათ, რომ უამრავი დანაშაული ხდება იქაც, სადაც კერძო საკუთრება არსებობს. მართალიც იქნებით. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაული იქნება მანამ, სანამ არსებობს ადამიანი, რადგან დანაშაული მარტო სოციალური მოვლენა კი არ არის, არამედ იგი თვისებაა ადამიანის. ოთარ ჭილაძეს აქვს შესანიშნავად ნათქვამი: «ათი მცნება ხომ სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა». ამიტომ ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც არ იქნება დანაშაული, არა მარტო ცრუ ოცნებაა, არამედ საბედისწერო შეცდომაც. ამდენად კითხვა ასე უნდა დავსვათ: სად უფრო მეტია დანაშაული, სად უფრო მეტია სამართლიანობა, სად მუშაობს უკეთ სამართალდამცველი ორგანოები? ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია და იძულებული ვართ ვაღიაროთ: ამ მხრივაც აჯობა კაპიტალიზმმა სოციალიზმს. არსად არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ მდგარა 20-25 წლის მანძილზე ქვეყნის მეთაურად სისხლის

სამართლის დამნაშავე, როგორც, მაგალითად, უზბეკეთში რაშიდოვი. არც კაპიტალისტურ ქვეყანაში არ გაუსამართლებიათ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი ფინანსთა მინისტრი, კულტურის მინისტრი და ა.შ., არაფერი რომ არ ვთქვათ პარტიის ცკ და რაიკომის მდივნებზე.

ეს გახლავთ არსებითი. ამას სჭირდება გაცნობიერება.

ამიტომ არის კერძო საკუთრება სამართლებრივი სახელმწიფოს ბაზისი. ამიტომ ვთქვი, რომ არ შეიქმნება სამართლებრივი სახელმწიფო მანამ, სანამ არ აღდგება კერძო საკუთრება. ამდენად, ლაპარაკი «მართალ სამართალზე», «ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული» და სხვა ამგვარებზე, ცარიელი სიტყვების რახარუხია და არავითარი რეალური შინაარსი მათ არა აქვთ.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის გაუთვალისწინებლად სამართლებრივ სახელმწიფოზე ლაპარაკი ზედმეტია.

ახლა ბევრი იწერება იმის გამო, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს სოციალიზმის კონცეფცია. თურმე 70 წლის მანძილზე სსრკ-ში ე.წ. რეალური სოციალიზმი ისე არსებულა, რომ არავის სცოდნია _ რა არის სოციალიზმი, ლენინსაც კი. ამის საბუთად იხილეთ ჟურნალ «ნაუკა ი ჟიზნის» (1988 წ. №9, გვ.40-49) გამოქვეყნებული წერილები.

დაწუნებულია «სამხედრო კომუნიზმი», დაწუნებულია ნეპ-ური სოციალიზმი, დაწუნებულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სოციალიზმი. მაგრამ როგორია მოწონებული ჯერჯერობით არავინ უწყის.

თუ არ იცი, როგორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრობ, სამართლებრივ სახელმწიფოს როგორ შექმნი? ამის პასუხი იმ ავტორებისათვის მიმინდვია, ვინც სამართლებრივ სახელმწიფოზე მსჯელობენ, ხოლო ის კი არ უწყიან _ რა არის სოციალიზმი. ამ თავსატეხის ამოცნობას იურისტები თუ მოახერხებენ.

რაც შეეხება «ქართველი კაცის სამართლებრივი კულტურის ტრადიციებსა და დღევანდელობას», შემდეგი შეიძლება ვთქვათ, თუმცა ის, რასაც ვიტყვი, ზოგიერთს შეიძლება საწყენად დარჩეს.

მონღოლთა შემოსევამდე, ე.ი. მე-13 საუკუნემდე, საქართველო ევროპული ცივილიზაციის განვითარებას მეტნაკლებად ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. მონღოლთა შემდგომ, საუბედუროდ, ჩვენი უნუგეშო ჩამორჩენა დაიწყო. ამან საშინელი კვალი დაგვამჩნია. მე-18 საუკუნეში ჩვენ შევქმენით ვახტანგ მეექვსის კანონთა წიგნი. მაგრამ თუ ამ წიგნს შევადარებთ მე-18 საუკუნის ევროპულ სამართლებრივ აზროვნებას, სავალალო სურათი წარმოგვიდგება. რა აქვს ვახტანგ მეექვსის «დასტურლიმალს» საერთო თუნდაც ფრანგი მოაზროვნეების (რუსო, მონტესკიე, დიდრო და სხვანი) სამართლებრივ შეხედულებებთან? სამწუხაროდ, არაფერი. ჩვენ არ გვიყვარს სიმართლისათვის თვალის გასწორება. არადა, ეს აუცილებელია, წარსულის გაკვეთილი მომავლისათვის რომ გამოგვადგეს. ეს სამართალმცოდნეობამაც უნდა გაითვალისწინოს. ამ მხრივ ვერც მე-19 საუკუნემ გვიშველა. რუსეთი თავად იყო ჩამორჩენილი ქვეყანა (განსაკუთრებით მართლმსაჯულების კუთხით) და ჩვენთვის რა უნდა მოეცა. სამართლებრივი თვალსაზრისით ევროპულმა აზრმა რუსეთში მაშინ შემოანათა ოდნავ, როცა ალექსანდრე მეორის სასამართლო რეფორმა გატარდა. მაგრამ ეს ძალიან

დაგვიანებული იყო. მერე რევოლუციამ ის მცირეც გაანადგურა, რაც ალექსანდრე მეორემ მოიტანა. ის, რაც რევოლუციის დროსა და მის მერე ხდებოდა, რომ შეადაროთ ივანე მრისხანის ეპოქას, თავზარს დაგცემთ მსგავსებით. მე-16 და მე-20 საუკუნეები ერთმანეთს ჰგავს მართლმსაჯულების თვალსაზრისით. ჩვენ, ქართველები, გვინდა თუ არ გვინდოდა, ამ ჭაში ვიყავით ჩაცვივნული. ამ ვითარებაში რა სამართლებრივ ტრადიციაზე ან კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი? ცხადია, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია და მან გავლენა მოახდინა ჩვენი სულიერი სახის ფორმირებაზე. ამის შედეგიც არის ჩვენი ეროვნული ცნობიერების დაქვეითება.

თუ არ არსებობს მაღალი სამართლებრივი კულტურა, არ იქნება მაღალი ეროვნული ცნობიერებაც.

გიორგი მერჩულეს შემდეგ მხოლოდ არჩილ ჯორჯაძემ განსაზღვრა – რა არის საქართველო და ვის ეწოდება ქართველი. მაგარმ გაიხსენეთ, რამდენი საუკუნე დევს მათ შორის. არჩილის შემდეგ ისევ დაგვავიწყდა ეს საკითხი. განა დღეს ქართულ სახელმწიფო სამართალს აქვს განსაზღვრული _ რა არის საქართველო და ვის შეუძლია უწოდოს თავისთავს ქართველი? არა გვაქვს. თუ ძალიან არ გეწყინებათ, ჩვენს იურისტებს არც უფიქრიათ ამაზე. რომ გვეფიქრა, განა საქართველოს კონსტიტუციაში ჩავწერდით აბსურდს _ «საქათრველოს სსრ არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო» (მუხლი 68). აბა, მიბრძანეთ, შეიძლება კი ქვეყანას ვუწოდოთ სუვერენული სახელმწიფო თუ მას არ ჰყავს საკუთარი არმია, არა აქვს საკუთარი ფული, ბანკი, არ ჰყავს დიპლომატიური წარმომადგენლები სხვა ქვეყანაში და ა.შ.? ეს ხომ სახელმწიფო სამართლის იმდენად ელემენტური საკითხებია, რომ უხერხულიც კია ამაზე ლაპარაკი.

არის კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას უმთავრესი, მიზეზი ჩვენი ეროვნული ცნობიერების დაქვეითებისა.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც, მართალია, აქვს საკუთარი ბინა, მაგრამ მასში სხვებიც ცხოვრობენ, თუნდაც უახლოესი ნათესავები. დამეთანხმებით ასეთი ადამიანი თანდათანობით გახდება ძარღვებაშლილი, დაკარგავს შემოქმედებითი შრომის უნარს, წონასწორობას. შეიძლება ითმენდეს კიდეც ყველაფერს, მაგრამ აშკარაა, რომ დაავადდება, რადგან მისთვის გაუსაძლისი გახდა ცხოვრება საკუთარ ბინაში. თუ ეს კონკრეტულ ადამიანს ასე ემართება, რა მოუვა ამგვარსავე მდგომარეობაში მთელ ერს?

საქართველო ქართველი ხალხის ბინაა. სხვა საცხოვრისი ჩვენს ერს არა აქვს. მაგრამ ამ ჩვენს ბინა-საცხოვრისში, რამდენი საუკუნეა უკვე, უცხო ხალხიც ცხოვრობს. ეს ქვეცნობიერად და შეუმჩნევლად ზემოქმედებს ჩვენზე. იწვევს ჩვენს სულიერ დეპრესიას. შემოქმედებითი უნარის დაქვეითებას, ეროვნულ ცნობიერების დაკნინებას, ეროვნული ენერგიისადმი ურწმუნოებას. სამწუხაროდ, ეს პროცესი ჩვენს მეცნიერებს შესწავლილი არა აქვს. ჩვენ მარტო ინტერნაციონალიზმის ქება-დიდებით ვართ დაკავებულნი. მაგრამ ის კი არ გვინდა ვიცოდეთ, საით მივყავართ ამგვარ ინტერნაციონალიზმს. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ თუ ეს ვითარება არ შეიცვალა, არათუ ჩვენი ეროვნული ცნობიერება არ ამაღლდება, ქართველი ხალხი მალე გახდება სრულიად უუნარო. იგი მექანიკურად თუ შესძლებს არსებობას.

ჩვენი დემოგრაფიული უსუსურობაც ამით არის გამოწვეული. ჩვენ ქვეცნობიერად იმდენად დაგვთრგუნა უცხო ეროვნებებმა, იმდენად წაგვართვა აქტიურობა, რომ გამრავლების ფიზიკური უნარიც კი დაგვისუსტა. ეს პროცესი მიმდინარეობს, სხვათა შორის, რუსეთშიაც. იმდენად გაივსო რუსეთი არარუსებით, რომ მათაც დაკარგეს გამრავლების უნარი. ახლა სსრკ-ში ისე სუსტად არავინ მრავლდება, როგორც რუსები და ქართველები. მიზეზი ამისა ორივეგან ერთია _ მოსახლეობის სიჭრელე. ახლა შეადარეთ ეროვნულად სუფთა ქვეყნები (იმავე სსრკ-ში) ეროვნულად ჭრელ ქვეყნებს და დარწმუნედებით, რაოდენ მაღალია გამრავლების პროცენტი იქ, სადაც ეროვნული სიჭრელე არ არსებობს. ამიტომ არ მოაქვს არავითარი შედეგი გაუთავებელ ლაპარაკს გამრავლებაზე საქართველოში _ არ იცვლება მიზეზი დემოგრაფიული ჩამორჩენილობისა. შეცვალეთ საქართველოში მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე და მაშინვე დაინახავთ, როგორ შეიცვლება დემოგრაფიული ვითარება. ჩემი აზრი, როგორ შეიძლება საქართველოში დემოგრაფიული განლაგების შეცვლა, დაიბეჭდა «ლიტერატურულ საქართველოში» (1988 წ. 7 ოქტომბერი). ამჟამად, ჩემი ღრმა რწმენით, სხვა გზა არ არსებობს. თუ ვინმეს სხვა უკეთესი წინადადება აქვს, კარგი იქნებოდა ეთქვა საჯაროდ, პრესაში. ქართველი ხალხიც ისევე გახალისდება, გააქტიურდება, სულიერი დეპრესიისაგან გათავისუფლდება, როგორც ის კაცი, ვინც თავის ბინიდან არასასურველი სტუმრები გაისტუმრა და თავი ლაღად და თავისუფლად იგრძნო. ეს არ არის ანტიინტერნაციონალიზმი. როგორც ვერ გაამტყუნებთ იმ კაცს, ვისაც თავის ბინაში სურს ცხოვრება სტუმრების თვინიერ, ასევე ვერ გაამტყუნებთ ერს, ვერ დასწამებთ ანტიინტერნაციონალიზმს, თუ მას საკუთარ ეროვნულ ტერიტორიაზე უნდა სხვათა გარეშე ცხოვრება. ამას ბუნების კანონზომიერება ითხოვს.

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ ზოგჯერ მაგალითად აშშ მოჰყავთ, სადაც თითქოს სხვადასხვა ერების თანამშრომლობამ უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო შექმნა. მაგრამ, როცა ამას ვამბობთ, გვავიწყდება არსებითი რამ: აშშ შექმნა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა ემიგრანტებმა სხვის ტერიტორიაზე. ის ხალხი _ ამერიკელი ინდიელები _ კი, ვისაც ეს ტერიტორია ისტორიულად, სამართლიანად და კანონით ეკუთვნოდა განადგურდა ანრეზერვაციაში ცხოვრობს, როგორც განწირული. ამიტომ აშშ მაგალითად არ გამოდგება. საქართველოს ტერიტორიაზეც შეიძლება შეიქმნას ახალი კონგლომერატული სახელმწიფო, ოღონდ ქართველებისათვის ამას ის შედეგი ექნება, რაც აშშ შექმნას ინდიელებისათვის. ჩვენ ან გავნადგურდებით, ან რეზერვაციაში აღმოვჩნდებით.

როცა დღეს ჩვენს წინაშე ამდენი საჭირბოროტო საკითხი დგას, ცხადია, თქვენს ჟურნალს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ერთი პირობით: მას «სამართალი» მარტო სახელად კი არ უნდა ერქვას, არამედ ჭეშმარიტად მართალი უნდა იყოს. როცა ამას ვამბობ, ჟურნალს რამეში კი არ ვდებ ბრალს, არამედ გახსენებთ, რომ დიდი ხნის მანძილზე ვტყუოდით. სხვასაც ვატყუებდით და თავისთავსაც. როგორმე ეს სიცრუე ერთხელ და სამუდამოდ თავიდან უნდა მოვიცილოთ. სამართლებრივი ცოდნა დიდი და აუცილებელი ცოდნაა და მისი შებღალვა არ შეიძლება.

არის სამი ბურჯი, ურომლისოდაც ერის, როგორც კაცობრიობის თანავარსკვლავედის სრულუფლებიანი, თავისთავადი და დამოუკიდებელი ნაწილის, არსებობა

წარმოუდგენელია. ესენია ეკონომიკა, სამართალი და მეცნიერება-ხელოვნება. რაკი ასეა, რა თქმა უნდა, სურვილი დიდი არსებობს, ამ თუ იმ სახით, მონაწილეობისა სამართლებრივი პრობლემების გარკვევაში. მაგრამ ამ სურვილს აქრობდა ის უსამართლობანი, რაც სსრკ-ში ხდებოდა, მთელი მისი არსებობის მანძილზე. საზოგადოება ამის მოწმე ყოველ ნაბიჯზე იყო. როცა ადამიანი დარწმუნებულია, რომ მართლმსაჯულების წარმომადგენლები სიმართლეს კი არ ეძებენ, არამედ უბრალოდ ასრულებენ ხელისუფლების განკარგულებას, მას ყოველგვარი სურვილი თეორიული მსჯელობისა ეკარგება. ქვეცნობიერად, ალბათ, ამან განაპირობა ქართული მწერლობის გულგრილობა იურიდიული პრობლემებისადმი. თუ დღეს მწერლობა დაინახავს, რომ რაღაც იცვლება ჩვენი სამართალდამცველი ორგანოების ცხოვრებაში, მაშინ მოსალოდნელია მწერლობის გააქტიურებული თანამშრომლობა ჟურნალშიც და, საერთოდ, იურიდიული პრობლემების გარშემო სჯა-ბაასში. მართალია, წლების მანძილზე მწერლობა არანაკლებ ცოდავდა, ვიდრე მართლმსაჯულება, მაგრამ არის ერთი ნიშანდობლივი განსხვავება: მართლმსაჯულების შეცდომა, არაობიექტურობა, ცოდვიანობა საბედისწეროა (შეიძლება ადამიანი დაღუპოს). ცუდი ან მატყუარა პოეტური, პროზაული, დრამატურგიული თუ კრიტიკული ნაწარმოები, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება გადავაგდოთ, არ წავიკითხოთ. ჩვენი სულის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კლასიკას ან უცხოურ მწერლობა-ხელოვნებას მივმართოთ. ამით ავინაზღაუროთ დანაკლისი. მაგრამ სამართლის სკამზე მჯდომარე ადამიანს არა აქვს იმედი არც წარსულის და არც უცხოური მართლმსაჯულებისა. იგი მთლად მხოლოდ დღევანდელ მართლმსაჯულებაზეა დამოკიდებული. ამიტომ იურისტის შეცდომა ან დანაშაული ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე მწერლისა და ხელოვანის. მწერლობას ოდენ ის შეიძლება ბრალად დავდოთ, რომ იგი არ ამხელდა მართლმსაჯულების შეცდომას. ეშინოდა და ამიტომ. ეს უპატიებელი შიშია, მაგრამ ახლა უკვე დაგვიანებულია თითზე კბენანი.

თუ მოვა დრო, როცა მართლმსაჯულება იქნება მართალი და ობიექტური, რამდენადაც ეს ადამიანს შეუძლია, ხოლო მწერლობა ფხიზელ თვალით ყოველთვის შეამჩნევს უსამართლობასა და არაობიექტურობას, რის გამოც განგაშს ასტეხს, ჩემი აზრით, ეს იქნება იდეალური თანამშრომლობა.

მაგრამ ეს მოხდება კი?

1988 წ.

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

როგორც კარგად ცნობილია, 1988 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში, თბილისში, დაიწყო მძლავრი, ანტისაბჭოური საპროტესტო მოძრაობა. პროტესტი გამოიწვია იმან, რომ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სესია აპირებდა შეეცვალა სსრკ-ის კონსტიტუციის 91-ე მუხლი, 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 119-ე მუხლის მე-13 პუნქტი. ამ ცვლილებებით ისედაც უუფლებო მოკავშირე რესპუბლიკები მთლად დუხჭირ მდგომარეობაში ვარდებოდნენ.

17 და 18 ნოემბერს რუსთაველის საზოგადოებაში შეიკრიბნენ თბილისის ქართული საზოგადოების წარმომადგენლები (აღსანიშნავია, რომ იმხანად რუსთაველის საზოგადოებას თავმჯდომარე არ ჰყავდა. პირველი თავმჯდომარე უკვე გადამდგარი იყო, ხოლო მეორე არჩეული არ ყოფილა. საზოგადოებას განაგებდა პრეზიდიუმი). შეკრებილებმა გადაწყვიტეს წერილობითი პროტესტი გაეგზავნათ სკკპ-ის გენერალური მდივნისა და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ.გორბაჩოვის მისამართით.

თავდაპირველად დაიწერა შედარებით ვრცელი საპროტესტო წერილი (თაბახის ქაღალდის თითქმის ორნახევარი გვერდი). ეს წერილი გატანილი იქნა ქალაქში და ყოველი მოქალაქე, ვისაც სურდა, აწერდა ხელს (სხვათა შორის, ამან შეკრების მონაწილეთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ეს ნაწილი თვლიდა, რომ ტექსტი სათანადოდ დამუშავებული არ იყო და ნაადრევად მიაწოდეს მოქალაქეებს ხელმოსაწერად).

ამის პარალელურად რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრებმა და სხვებმაც, ვინც საზოგადოებაში იყო თავშეყრილი, მოისურვეს საპროტესტო წერილი გამოქვეყნებულიყო ოფიციალურ პრესაში, კერძოდ «ზარია ვოსტოკაში», რაკი ეს გაზეთი ვრცელდებოდა და იკითხებოდა მთელ სსრკ-სა და უცხოეთში. მაშინ, როგორც რუსთაველის საზოგადოებაში შეკრებილთა უმრავლესობამ, ისე გაზეთის რედაქციამ მიზანშეწონილად ჩათვალა საპროტესტო წერილის შემცირებაც და ინტონაციის შერბილებაც. ამან ცხარე კამათი გამოიწვია და აზრიც ორად გაიყო. ერთნი წინააღმდეგნი იყვნენ საპროტესტო წერილის შემცირება-შერბილებისა, მეორენი თვლიდნენ, რომ, თუკი ოფიციალური პრესა გამოაქვეყნებდა მას, ტექსტის რედაქტირება მისაღებიც იყო და დასაშვებიც. უმრავლესობა მიემხრო შერბილება-შემცირებას და საპროტესტო წერილი ამ სახით დაიბეჭდა კიდეც «ზარია ვოსტოკაში» 1988 წლის 20 ნოემბერს.

იოსებ ცისკარიშვილს თვითნებურად ტექსტი არ შეუსწორებია. იგი იმდენად მონაწილეობდა საპროტესტო წერილის შემცირება-შერბილებაში, რამდენადაც ყველა ის პირი, ვინც მომხრე იყო ტექსტის რედაქტირებისა. ასეთი კი, როგორც აღვნიშნე, იმჟამად უმრავლესობა აღმოჩნდა.

ეს შემცირებულ-შერბილებული ვარიანტიც გავრცელდა თბილისში. როგორც ვრცელ, ისე შემცირებულ ვარიანტს უამრავმა ხალხმა მოაწერა ხელი.

აი ყველაფერი, რაც ვიცი 1988 წლის ნოემბერში რუსთაველის საზოგადოებაში მომხდარი ამბავის შესახებ, რომლის მოწმედაც დამასახელეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე 1992 წლის 24 ნოემბერს.

მოგვიანებით, როცა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობებს ვესწრებოდი, თავად დავინახე, რაოდენ უაზრობა იყო ამგვარი საპროტესტო წერილების გზავნა მოსკოვში. სათანადო მუშაკები აგროვებდნენ ამ წერილებს, ისე რომ ადრესატს არა თუ წაკითხული არ ჰქონდა, არამედ თვალითაც არ ენახა, ყრიდნენ ქაღალდის დიდ შავ ტომარაში, ფუთებით მიჰქონდათ სანაგვეზე და წვავდნენ.[1]

[1] ეს წერილი გამოაქვეყნა გაზ. «იბერია ექსპრესმა», 1992 წ., 2 დეკემბერი, №35.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ამხ. ო.ჩერქეზიას

მიწების გამოყოფა-გაცემის თაობაზე რუსთაველის საზოგადოებაში ძირითადად ორგვარი ხასიათის განცხადებანი შემოდის.

პირველი: ნაკვეთების გაცემა კოლექტიური მებაღეობა-მებახჩეობისათვის ისეთ სოფლებში და რეგიონებში, სადაც ამის საშუალება და პირობები არ არის (მაგალითად, თბილისის გარშემო _ კოჯორი, ბეთანია, დიღომი, წავკისი და ა.შ.). ამ რეგიონში მებაღეობა-მებახჩეობისათვის იყოფა ნაკვეთები საძოვრებიდან, სახნავ-სათესი მიწებიდან, რითაც სოფლებს და მის მოსახლეობას ექმნება მძიმე საცხოვრებელი პირობები. ჩვენ შევამოწმეთ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, დიღომი, წავკისი). დადასტურდა სიმართლე მათი საჩივრისა. რუსთაველის საზოგადოება გთხოვთ, დაავალოთ სათანადო კომისიას შეისწავლოს ეს საკითხი საფუძვლიანად, რათა გამოძებნილ იქნეს კანონიერების შესაბამისი გადაწყვეტილება.

მეორე: დიდძალი საჩივარი და განცხადება შემოტანილი იმის გამო, რომ კანონის გაუთვალისწინებლად, თვითნებურად საკარმიდამო ნაკვეთები გაიცა ან სტიქიურად იქნა მითვისებული ზოგიერთ რეგიონში (მაგალითად, ცხინვალის რაიონის სოფ.ვანათში, თელავის რაიონის სოფ.ყარაჯანდიში, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონებში). ამის თაობაზე რამდენიმე პირმა წერილი გავუგზავნეთ საქართველოს სსრ პროკურორს და ვთხოვეთ _ ეცნობებინა, რამდენად არის დარღვეული ზემორე მოხსენიებულ რეგიონებში მიწის გაცემის კანონიერება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ პასუხი არ მიგვიღია. არც ის ვიცით, მივიღებთ თუ არა ოდესმე საქართველოს სსრ პროკურორისაგან პასუხს. განცხადებების თანახმად საკარმიდამო ნაკვეთები ეძლევა არაქართული ეროვნების პირებს, რაც იწვევს ქართული მოსახლეობის სამართლიან და სერიოზულ გაღიზიანებას. ამას შეიძლება მოჰყვეს სავალალო ინციდენტები. ამიტომ თხოვნაა, ამას დროულად მიექცეს ყურადღება და არ იქნეს შებღალული ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესი.

ეს, რაც ეხება საერთო-საზოგადო საქმეს.

გვაქვს უფრო კერძო ხასიათის თხოვნაც.

ამჟამად (1988 წლის 28 სექტემბერს) პირადად მე მიწვეული ვარ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც განიხილება საკითხი _ «რესპუბლიკის რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკარმიდამო ფონდის გამოყოფის შესახებ». მაგრამ ამ საკითხის გარშემო მე არაფერი ვიცი. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა მიეცეს საკარმიდამო ნაკვეთი საქართველოში მოსკოვიდან, ირკუტსკიდან, მინსკიდან, დაღესტნიდან, ივანოვოდან ჩამოსულ პირებს? ბუნებრივია, რომ წინააღმდეგი ვარ ამისი.

თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია რუსთაველის საზოგადოების მონაწილეობა მიწების გაცემა-გამოყოფის საკითხის გადაწყვეტაში, მაშინ

რუსთაველის საზოგადოება პრობლემას უნდა იცნობდეს, მონაწილეობდეს თავიდან ბოლომდე: თხოვნის შემოტანიდან მისი შესწავლა-გადაწყვეტილების მიღებამდე.

სხვაგვარად რუსთაველის საზოგადოების მონაწილეობა ესოდენ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში ფორმალური იქნება. ამგვარი ფორმალიზმის მომხრე ვერც მე პირადად და ვერც საზოგადოების პრეზიდიუმი ვერ იქნება.

რუსთაველის საზოგადოების
თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ბაქრაძე
1988 წ., სექტემბერი

## ჯანრი ბატონო!

ნანა ჯორჯაძემ ჩამომიტანა შენი გამოგზავნილი წიგნები. უდიდეს მადლობას მოგახსენებ. გავთამამდები და კიდევ უნდა შეგაწუხო. იცი, ალბათ, რეზი თვარაძემ და მე ქართული მწერლობის 30-ტომეული შევადგინეთ და «ნაკადული» გამოსცემს. გვინდა ამ 30-ტომეულის ბოლო ორი ტომი იმ ქართველ მწერლებს მიეძღვნას, რომელნიც ემიგრაციაში მოღვაწეობდნენ. სულერთია, რა დარგში მუშაობდნენ _ მხატვრულში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. გარდა ამისა, «ლიტერატურულ საქართველოში» მინდა გავხსნა მუდმივი რუბრიკა, რომელიც აქაურ მკითხველებს გააცნობს იმათ, ვინც უცხოეთში საქმიანობდა და დღევანდელი საქართველოსათვის ჯერჯერობით უცნობია. ამიტომ, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველგვარი მასალა (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები) მოგვაწოდე. ძალიან მაინტერესებს ალექსანდრე მანველიშვილის ორი წიგნი _ «რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა» და «ძველი ქართული მწერლობა». ოღონდ ყველაფერი ეს ვინმემ უნდა წამოიღოს. თორემ ფოსტით თუ გამოიგზავნა, უთუოდ დაიკარგება. ვალენტინ რიჟამაძემ (თუ ცოცხალია, ჩემი სალამი გადაეცი. მწერდა, ღრმად მოხუცი ვარო) გამომიგზავნა წიგნები, მაგრამ არცერთი არ მიმიღია, შევატყობინე კიდეც, არ მიმიღია-მეთქი, მაგრამ შემდეგ მისგან პასუხი აღარ მომსვლია.

ვიცი, რასაც გთხოვ, იოლი საქმე არ არის, მაგრამ შეძლებისდაგვარად დამეხმარე.

მე ვეცდები, სხვისი თუ არა ჩემი წერილები მოგაწოდო რეგულარულად. რასაც მიზანშეწონილად დაინახავ დაბეჭდე და, რასაც არა, ცხადია, ნუ გამოაქვეყნებ.

გისურვებ ყოველივე კარგს!

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე
30. 1. 1989.

## გაზეთ «თბილისის» რედაქციას

ამა წლის 19 მარტის გაზეთ «თბილისში» წავიკითხე ინფორმაცია «ახალი სახელები». მასში ბევრი სასიხარულო ცნობაა, მაგრამ ზოგიერთი დამაფიქრებელიც არის. ვთქვათ,

გერცენის ქუჩის სახელის შეცვლა. ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ობსკურანტიზმის წვეთი არ უნდა გაერიოს. ამდენად, ვერ ვიქნები მომხრე რუსული კულტურის წარმომადგენელთა სახელების შეცვლის. ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ებრძვის რუსულ იმპერიალიზმს და არა _ რუსულ კულტურას. გერცენი იქნება თუ ბელინსკი, ტოლსტოი თუ ლერმონტოვი, პუშკინი თუ ბლოკი რუსული კულტურაა და არა _ რუსული იმპერიალიზმი. არც ილიას, არც აკაკის, არც იაკობ გოგებაშვილს, არც არჩილ ჯორჯაძეს სიტყვა არ დასცდენიათ რუსული კულტურის საწინააღმდეგოდ, თუმცა მთელი ცხოვრება რუსულ იმპერიალიზმს ებრძოდნენ. დღევანდელი ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ის დიდსულოვნება და სიბრძნე უნდა ახასიათებდეს, რაც ჩვენს თერგდალეულებს. თავისუფალი საქართველოს მოქალაქეებს რუსული კულტურა ისევე სჭირდებათ, როგორც ევროპული, როგორც სპარსული, ინდური თუ ჩინური კულტურები. ჩვენ თავისუფლება იმიტომ გვინდა, რომ სინათლეს გავუხსნათ გზა, ღირსების პატივისცემა ვიცოდეთ.

სიტვყამ მოიტანა და ბარემ ამასაც ვიტყვი: არც კოტე მარჯანიშვილისა და ანდრია რაზმაძის დაპირისპირება შეიძლება. ყოველ მოღვაწეს თავის ბედი და ღვაწლი აქვს ერის ისტორიაში. ისიც ამ ბედისა და ღვაწლის მიხედვით უნდა განვსაჯოთ. დაპირისპირება ყოველთვის შეცდომის წყაროა და არა სიმართლის. როცა ალექსანდრე სუმბათაშვილის «ღალატი» დაიდგა, ვალერიან გუნიამ უთხრა _ შენ შენი «ღალატით» შენი ღალატი გამოისყიდეო. ნუთუ კ.მარჯანიშვილმა მთელი ახალი ქართული თეატრის შექმნით, მსახიობთა მთელი პლეადის (თან რა პლეადის!..) აღზრდით ვერ გამოისყიდა ის, რომ ქართულად მეტყველება უჭირდა?

კ.მარჯანიშვილის რუსულად მეტყველება ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის ბრალი იყო, რისი მსხვერპლიც არა ერთი და ორი ჩინებული ქართველი გამხდარა. ადამიანთა ტრაგედია მათ ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი ვალია ტრაგედიის საფუძვლის მოსპობა და არა მსხვერპლის განკიცხვა. თუ კ.მარჯანიშვილს განვიკითხავთ, მთელ ახალ ქართულ თეატრსაც განვიკითხავთ. როგორც მე-19 საუკუნის დიდი რუსული პროზა გამოვიდა გოგოლის «შინელიდან», ასევე აღმოცენდა ახალი ქართული თეატრი კ.მარჯანიშვილის მოღვაწეობიდან. ეს ფაქტია და ამას ვერავინ შეარყევს. ქართული თეატრი ქართული სულიერი კულტურის ნაწილია. ჩვენი სული დამახინჯდება, თუ სანდრო ახმეტელს (ისიც უფრო ხშირად რუსულად მეტყველებდა) შემოქმედებას უარვყოფთ.

ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ქართული სულის აღორძინების საფუძველი უნდა გახდეს. მან ის საქართველო უნდა შექმნას, სადაც ქართველი იძულებული არ იქნება მშობლიური ენა დაავიწყდეს, ხოლო იმ ქართველს (მით უმეტეს, ღვაწლმოსილს და დამსახურებულს) ხელი არ ჰკრას, ვისაც, ბედისწერის უსამართლობის გამო, უცხო ენაზე მეტყველება უკეთ შეუძლია, ვიდრე ქართულად.

ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ქართველი კაცი ყოველნაირი შიშისაგან უნდა იხსნას და გახადოს თავისუფალი. მათ შორის დაყვედრებისა და დამუნათების შიშისგანაც.

რამოდენა ტრაგედიაა ადამიანისათვის მშობლიური ენის დავიწყება შთამბეჭდავად ჩანს იმ მდგომარეობიდან, რაშიც სიკვდილის წინ ვარლამ ჩერქეზიშვილი ჩავარდა და რამაც მიხ.ჯავახიშვილს «მიწის ყივილი» დააწერინა. ამ მოურჩენელ ტკივილს ნუ გამოვიყენებთ ადამიანის ღირსების დასამცირებლად.

20-იან წლებში პროლეტარული კულტურის წარმომადგენლები ზაქარია ფალიაშვილს ებრძოდნენ. აკრიტიკებდნენ, გმობდნენ, ბურჟუაზიული მუსიკის გამავრცელებლად ნათლავდნენ. პროლეტკულტელებს პროფესიონალი მუსიკოსები არ ჰყავდათ. ამიტომ მათი კრიტიკა დილეტანტურ, ზერელე ხასიათს ატარებდა. ამას თავაადც გრძნობდნენ და იმ კაცს ეძებდნენ, ვინც პროფესიულად მაღალ დონეზე შესძლებდა ზ.ფალიაშვილის გაკრიტიკებას. ვიქტორ დოლიძეს დაავალეს თურმე _ პროლეტკულტელთა კრებაზე გამოსულიყო და ზ.ფალიაშვილი დაეგმო. ვიქტორი დათანხმებულა, მაგრამ კრებაზე ფრიად მოკლე სიტყვა უთქვამს:

_ მე არ ვიცი ზაქარია ფალიაშვილი ბურჟუაზიული კომპოზიტორია თუ არა, მაგრამ ის კი ზედმიწევნით ვიცი, რომ თქვენ, ყველას, მისი «თავო ჩემოთი» გაგასვენებენო.

არც მე ვიცი, რამდენად მართალია ეს გადმოცემა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მასში დიდი სიბრძნეა და მისი დავიწყება არ ეგების. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე დაუმსახურებელ პატივად ჩავთვლიდი, თუ უკანასკნელ გზაზე ლიანა ისაკაძის დაკრული «თავო ჩემო» გამაცილებდა.

აკაკი ბაქრაძე
21. III. 90 წ.

## განმარტება

გაზეთ «მამულის» მეჩვიდმეტე ნომერში დაიბეჭდა წერილი, მიმართული მის უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი (ეს წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა «თბილისმაც», 1990 წ., 11 სექტემბერი). წერილის ხელმომწერთა შორის ვარ მეც. მე ამ წერილს ხელი მოვაწერე, მხოლოდ როგორც «ვეფხისტყაოსნის» მკითხველმა და თაყვანისმცემელმა, რომლის დიდი სურვილია ერთხელ და სამუდამოდ გაიფანტოს ათეისტური პროპაგანდის მიერ დამკვიდრებული «აზრი», თითქოს ქართული ეკლესია მტრობდა რუსთაველს.

მე არ ვარ იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ეროვნული საქმაგო საბჭოს წევრი და, ამდენად, მისი სახელით ვერ მოვაწერდი ხელს წერილს.

არც ის ვიცი, რა შინაკონფლიქტია ქართულ ეკლესიაში, მაგრამ, თუ უნებლიეთ აღმოვჩნდი მასში ჩათრეული, ბოდიშს ვუხდი მის უწმინდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილიას მეორეს.

18. IX. 1990 წ.

## საქართველო, როგორც ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ქვეყანა

საქართველო, ალბათ, მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არავინ იცნობს. არავინ იცის, რას წარმოადგენს იგი. წარსულ საუკუნეებში საქართველო ზოგს თურქეთის ნაწილი ეგონა, ზოგს _ სპარსეთის. დღეს სამხრეთ რუსეთის ნაწილად მიაჩნიათ. ნამდვილად კი საქართველო არც თურქეთის ნაწილია, არც სპარსეთის და არც რუსეთის. საქართველო საქართველოა. ძველი ბერძნები და რომაელები მას გეორგიას ეძახდნენ. ხან კოლხეთსაც და ხან იბერიასაც. პირენეის იბერიისაგან რომ განესხვავებინათ, კავკასიის იბერიად იხსენიებდნენ.

როგორც მითებიდან ჩანს, ძველ ბერძნებს საქართველოზე კარგი წარმოდგენა ჰქონდათ. რაკი არგონავტების მითში ელინები სწორედ საქართველოს შავი ზღვის ნაპირს ეწვევიან. აქედან მიაქვთ მათ ოქროს საწმისი და მიჰყავთ ქართულთა მეფის ასული კოლხი მედეა. მედეას კი ჩინებულად იცნობს ევროპული მწერლობა. ბევრი დრამატული ნაწარმოების გმირია იგი, დაწყებული ევრიპიდეთი და დამთავრებული ჟან ანუით. საქართველოში, კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული ბერძენთა ღმერთი პრომეთეც, კაცობრიობისათვის ცეცხლის მიტანისათვის. ქართველებსაც აქვთ ანალოგიური მითი ამირანის შესახებ. ამირანიც ცეცხლის მოტანისათვის არის დასჯილი და კლდეს მიჯაჭვული.

ასე, რომ საქართველო თავისი კულტურული ცნობიერებით ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციას ეკუთვნის.

ქართველებმა მწიგნობრობა და დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში შექმნეს, მეფე ფარნავაზის დროს. ფარნავაზი ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეა. ცოტა მოგვიანებით კი ქართველ მეფეს ფარსმანს რომაელები რომის ფორუმზე ძეგლს აუგებენ, როგორც საუკეთესო მოჯირითესა და მოისარს. ამას რომაელი მემატიანეები გვაუწყვებენ. მათ კი მიკერძოებულებაში ბრალს ვერ დავდებთ. ამავე პერიოდში გახდებიან მსოფლიო ლიტერატურის პერსონაჟებად ქართველი უფლისწული რადამისტი და ზენობია. მათი თავდავიწყებული სიყვარული მსოფლიო პოეზიის საგანია.

ძველ ფაზისში, დღევანდელ ფოთში, მთელ ანტიკურ სამყაროში სახელგანთქმული რიტორიკული სკოლა არსებობდა. ბევრ გამოჩენილ ორატორს, ქართველსა და არაქართველს უსწავლია ამ სკოლაში. ამასაც ბერძნული წყაროები გვიამბობენ.

ანტიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობამ გახადა შესაძლებელი მე-4 საუკუნის პირველ მეოთხედში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ამ საქმეს თავკაცობდნენ რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედა ელენე, განმანათლებელი ნინო და ქართველთა მეფე მირიანი.

ათასხუთას წელიწადს ითვლის ქართული ლიტერატურა, არქიტექტურა, მხატვრობა, მუსიკა. ამის საბუთია «შუშანიკის წამება», «აბოს მარტვილობა», ჯვრის ტაძარი, სვეტიცხოველი, წრომი, კუმურდო, ატენის ფრესკები, ბექა და ბეშქენ ოპიზრები, ჰიმნი _ «შენ ხარ ვენახი...», ქართული პოეტური კულტურის შედევრი «ვეფხისტყაოსანი» და უთვალავი სხვა ძეგლი, რომელთა ჩამოთვლა პაწია ინფორმაციაში შეუძლებელია.

ქართველი ქმნიდა და იბრძოდა. თერთმეტი საუკუნე _ მეშვიდედან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნით დამთავრებული _ ებრძოდა პატარა ქრისტიანული ქვეყანა დიდ მუსულმანურ სამყაროს _ არაბებს, სპარსელებს, თურქებს. საქართველომ მონღოლთა შემოსევასაც გაუძლო. თერთმეტსაუკუნოვანი ანტიმაჰმადიანური ბრძოლით დაღლილმა საქართველომ დახმარება რუსეთს სთხოვა, მაგრამ მოტყუვდა. დახმარების მაგიერ რუსეთმა დაიპყრო 1801 წელს. გააუქმა საქართველოს სამეფო, ქართული სამეფო დინასტია რუსეთში გადაასახლა. ეკლესიებსა და სკოლებში აკრძალა ქართული ენა და რუსული შემოიღო. საქართველო გახადეს რუსეთის ორ გუბერნიად. მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხის კულტურის მშენებლობა არ შეუწყვეტია. მე-19 საუკუნემ მოგვცა ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვანი და სხვანი. საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ (ევროპული გაგებით) მხატვრობას, მუსიკას, მეცნიერებას სხვადასხვა დარგში.

ყოველი ქვეყანა, დიდია თუ პატარა, კაცობრიობის თვალში იმ კულტურით იძენს ღირებულებას, რაც მან შექმნა. ანტიკური საბერძნეთის პატარა პოლისები და უზარმაზარი ჩინეთი თანაბრად ფასობენ, რაკი ორივემ დიდი კულტურა შექმნა. მიუხედავად მუდმივი ომებისა, შინააშლილობისა, დამპყრობელთა ბატონობისა, შემოქმედების თვალსაზრისით ქართველი გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. ქართველი კულტურას ქმნიდა იმ შეგნებით,

რომ ბოროტს ყოველთვის სძლევს კეთილი, რადგან ბოროტი უსუბსტანციოა («ვეფხისტყაოსანი»),

რომ რასაც მტრობა აქცევს, მას სიყვარული აშენებს (ილია ჭავჭავაძე),

რომ ეს სიყვარული განფენილია მთელ სამყაროში და ზემხედველი ცნობიერებით მისტიკური კავშირი არსებობს ადამიანსა და სხვა ყოველ საგანს შორის, სულერთია ეს საგანი, სულიერია, თუ უსულო (ნ.ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა),

რომ ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო თავის დანაშაულის გამო, არამედ სხვის დანაშაულისათვისაც, რადგან მთელი კაცობრიობა ერთიანია და ჩვენ ნაწილები ვართ ერთმანეთისა (აკ.წერეთელი),

რომ კაცობრიობის ცხოვრება არსებობის საიდუმლოების მარადიული და უსასრულო შეცნობაა, რადგან «სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს» (გალაკტიონ ტაბიძე).

კულტურული ამშენებლობის გვერდით არ შეწყვეტილა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლაც. ამ ბრძოლის შედეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დამოუკიდებლობამ დიდხანს ვერ იარსება. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო, ამჯერად უკვე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ძნელბედობას მიჩვეული ქართველი ხალხი აგერ 70 წელიწადია კომუნისტური დიქტატურის პირობებში ცხოვრობსა და ქმნის. დღეს კი თავგამეტებული იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

1990 წ.

## გაზეთ «ახალგაზრდა ივერიელის» რედაქციას

ამა წლის 11 სექტემბრის «ახალგაზრდა ივერიელში» გამოქვეყნდა იმერეთის მეფე სოლომონ მერის და ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის საქართველში გადმოსვენებისათვის საორგანიზაციო კომისიის დამფუძნებელი კრების მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის განცხადება. ამ განცხადებაში ჩამოთვლილია ის პირნი, რომელნიც შედიან საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში. სხვებს შორის მეც ვარ მოხსენიებული. ამის გამო უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ჯერ ერთი, ჩემთვის არავის უკითხავს, მსურდა თუ არა ამგვარ კომისიაში მუშაობა. მეორეც, მე არასოდეს ვყოფილვარ მომხრე მიცვალებულთა გადასვენება-გადმოსვენებისა. არც ახლა ვარ ამის თანამგრძნობი. ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანის სამუდამო განსასვენებელი წმიდათა წმიდაა და დაკრძალულის ნეშტის შეწუხება ჩემთვის მიუღებელია. ამასთან ერთად, საქართველოს წმიდა ადგილები უცხოეთშიც უნდა ჰქონდეს (წმიდა საფლავებს იქ უნდა ვუვლიდეთ, სადაც არის). ეს, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიისა და ქართველების მძიმე ხვედრის მოწმობაა და, მეორე მხრივ, კაცობრიობასთან ჩვენი საიდუმლო კავშირისა. დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქენი თავისუფლად ივლიან თურქეთშიაც და სპარსეთშიაც. ისინი ქუდმოხდილი დადგებიან ამ საფლავების წინაშე, რომ ორივე მხარემ _ ქართულმა და თურქულ-სპარსულმა _ ერთხელ და სამუდამოდ შეიმეცნოს: ჩვენ კეთილი მეზობლობა უნდა გვაკავშირებდეს და არა მტრობა.

რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ გახსენებისათვის, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი რწმენის გამო (მიცვალებულებს მყუდროება არ უნდა დავურღვიოთ), კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მივიღებ.

პატივისცემით
1990 წ. 12 სექტემბერი

## აკ.ბაქრაძის გამოსვლა ტელევიზიით 1991 წლის 23 თებერვალს

დღეს ტელევიზიაში მოვედი იმიტომ, რომ მსმენელებს გავაცნო ის მიმართვა, რომელმაც თბილისში რატომღაც აჟიოტაჟი გამოიწვია. ვისაც თუნდაც ერთხელ ჩემთვის მოუსმენია იცის, რომ არ მიყვარს დაწერილი ტექსტის წაკითხვა, მაგრამ ამჯერად უნდა წავიკითხო.

მიმართვა
საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს
დღეს საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას

დღეს რომ მთელ სსრკ-ში ურთულესი და უმძიმესი ვითარებაა, ეს არავისთვის არის ახალი ამბავი. აშკარად ახლოვდება დიდი სამოქალაქო ომი. ეს საფრთხე კიდევ ერთხელ დადასტურდა 19 თებერვალს ბ.ელცინის განცხადებით. ამ განცხადების მიერ ან ელცინი

უნდა დაეცეს ან გორბაჩოვი. ორივეს მძლავრი ძალები ჰყავთ მომხრე. მათი დაპირისპირება და დაჯახება რა უბედურებასაც მოიტანს, ამის მიხვედრა ძნელი არ არის. ეს ხდება იმ დროს, როცა სრულიად მოუგვარებელია ეკონომიკური პრობლემები (არც არავინ უწყის, როდის მოწესრიგდება), გადაუწყვეტელია ეროვნული საკითხები, ყველა დარგში მძვინვარებს გადაუჭრელი კრიზისი, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს ომი, რომელიც იმუქრება მსოფლიო ომად გადაქცევით.

საქართველოს თავისი დიდი სატკივარი აქვს: ომია გაჩაღებული შიდა ქართლში. ჯერჯერობით ამ ომში ქართველობა მარცხდება. ეს იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰყავს არმია. ქართულ მილიციას არა აქვს იარაღი. საქართველოს წინააღმდეგ კი იბრძვის «ადამონ ნიხასის» ტერორისტები პლუს საბჭოთა არმია პლუს კრემლის ხელისუფლება. ეს უაღრესად უთანასწორო ბრძოლაა. ამას ემატება საბჭოთა პროპაგანდის ინფორმაციული ომი ქართველთა წინააღმდეგ. ამ პროპაგანდის მიზანია გამოიყვანოს ქართველი დამნაშავედ, ხოლო დამნაშავეთა დასასჯელად მოახდინოს ახალი ინტერვენცია საქართველოში.

ამ სიტუაციაში ქართველი ხალხი უნდა იყოს ერთიანი. ყოვლად დაუშვებელია ერის შიგნით განხეთქილება. არადა, ყველა ნათლად ხედავს ამ განხეთქილებას: უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი, უზენაესი საბჭო და ქართველ მაშველთა კორპუსი მხედრიონითურთ. ამის გამო ერიც ორად იყოფა. მართალია, უზენაეს საბჭოს მეტი მომხრე ჰყავს, მაგრამ ეროვნული კონგრესიც და მაშველთა კორპუსიც არ არის დარჩენილი უმოკავშირეოდ. ეს რეალობაა და იგი უნდა დავინახოთ. შეტაკებისა და სისხლისღვრისათვის ეს დაპირისპირება საკმარისია. დაჭერა-დაპატიმრებით ეს უმძიმესი პრობლემა არ მოგვარდება. პირიქით, კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას, ხალხს ორად გათიშავს და გარდაუვალს გახდის სისხლიან შეტაკებას, რითაც უთუოდ ისარგებლებს სსრკ-ის ხელისუფლება. არც ის საბედისწერო შეცდომა უნდა დავივიწყოთ, რაც ერთხელ უკვე ჩაიდინა ქართველმა ხალხმა, როცა «სოციალისტური ბედნიერების» მოპოვება თანამოძმეთა სისხლით სცადა. ნუ გავიმეორებთ ამას. არც ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეიძლება თანამოძმეთა სისხლით. ჩვენს ხალხს დღემდე სტკივა ბაზალეთის ტრაგედია. ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებელია არა მარტო გიორგი სააკაძე და თეიმურაზ პირველი, არამედ მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ გამონახა გზა მათ შორის არსებულ კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუ დღესაც მოხდება ქართველთა შორის სისხლიანი შეჯახება, დამნაშავე მარტო უზენაესი საბჭო, ეროვნული კონგრესი, ქართველ მაშველთა კორპუსი არ იქნებიან. დამნაშავე იქნება მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც ვერ უპატრონა თავის შვილება. ახლა ჩვენ თვალწინ უნდა დაგვიდგეს ის ძეგლი, რომელიც ესპანეთშია აღმართული. ერთ მხარეს დასაფლავებულია 1936-37 წლების სამოქალაქო ომში დაღუპული კომუნისტები, მეორე მხარეს _ ფრანკისტები. შუაში ჯვარია აზიდული. საფლავის ძეგლს წარწერა აქვს: თქვენ, ორივენი, ესპანეთის შვილები ხართ. დედას შეუძლებელია ერთი შვილი სძულდეს და მეორე უყვარდეს. ასეთი დედა უბედურზე უბედურია. თუკი ესპანეთში შესაძლებელია თანაბრად პატივი სცენ ორი მტრული ბანაკის წარმომადგენლებს, ნუთუ საქართველოში შეუძლებელია ერთი და იმავე ეროვნული მოძრაობის ორი ფრთის მორიგება-შეთანხმება?

უეჭველია, უდაოა, უთუმცაოა: დაპირისპირებულ ძალთა პრობლემა უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.

ამ მიზნით გთავაზობთ შემდეგს:

პირველი: შედგეს საბჭო ქართველი ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც არ ეკუთვნიან არცერთ პარტიას და არ ოცნებობენ რაიმე პოლიტიკურ კარიერაზე. ეს საბჭო იქნება შუამავალი უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს (პლუს ქართველ მაშველთა კორპუსი) შორის. ამ საბჭომ უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ შეთანხმება არ დაირღვეს არცერთი მხრიდან, რომ ყველა სადაო-საკამათო საკითხი მოგვარდეს პრესაში აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლით და არა შეიარაღებული დაპირისპირებით.

მეორე: ქვეყანაში არაოფიციალური შეიარაღებული დაჯგუფებანი არ უნდა არსებობდნენ. ეს ცხადია. ამიტომ ყველა დღეს არსებული შეიარაღებული დაჯგუფება, დამოუკიდებელი სახით, შევიდეს ერთიან ქართულ შეიარაღებულ ძალებში (მაგალითად, დივიზია «მხედრიონი», დივიზია «თეთრი გიორგი», დივიზია «შევარდენი» და ა.შ.), შეიარაღებულ დაჯგუფებათა მეთაურები, თანაბარი უფლებით, იქნებიან საერთო სამხედრო საბჭოს წევრები. სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელებად კი დაინიშნოს ან ავღანეთში ნაომარი ქართველი ოფიცერი ან გადამდგარი ქართველი გენერალი, რომელიც არ ეკუთვნის არცერთ პარტიას. არა აქვს პოლიტიკური ამბიციები.

ეს შეიარაღებული ძალა დამცველია მთელი ქართველი ხალხის, მთელი საქართველოს ინტერესებისა და არა რომელიმე პარტიისა ან პოლიტიკური დაჯგუფებისა. ამ შეიარაღებულ ძალას გნებავთ გვარდია ერქვას, გნებავთ სხვა რამ სახელი. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მესამე: ყოველ მოძრაობას, ყოველ პარტიას შეიძლება მიეტმასნოს ნაძირალა. მაგრამ ამ ნაძირალას მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა ამ მოძრაობაზე, ამ პარტიაზე. არ შეიძლება არც ის, რომ ერის ერთ ნაწილს მოვუწოდოთ ამხედრდეს ერის მეორე ნაწილის წინაღმდეგ, თუნდაც ეს ნაწილი მცირეც იყოს. ყოველ დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს უმცირესი ნაწილის უფლებაც, მისი დაცვის შესაძლებლობაც. თუ ეს წესი დავარღვიეთ, მაშინ ერს ვუბიძგებთ ბოროტმოქმედებისაკენ. დიქტატურა იქ იწყება, სადაც უმცირესობა იჩაგრება უმრავლესობის სახელით.

აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას ნეიტრალურ იურისტთა კომისია, რომელიც შეისწავლის დღეს არსებული ყველა არაოფიციალური შეიარაღებული დაჯგუფების, ცხადია, მხედრიონისა და მის დაპატიმრებულ წევრთა საქმიანობას. თუ ეს კომისია დაადგენს მხედრიონის დაპატიმრებულ წევრთა კონკრეტულ, დღევანდელ დანაშაულს, მაშინ მიეცეს ისინი სამართალში, მანამდე კი დატუსაღებულნი, მათ შორის მხედრიონის მეთაური პროფ. ჯაბა იოსელიანი, გათავისუფლებულნი იქნენ თავდებით.

მეოთხე: სამწუხაროდ, გაზეთების სიმრავლის მიუხედავად, ქართულ პრესაში შეიქმნა ინფორმაციული ვაკუუმი. ინფორმაცია ცალმხრივია. ამ ცალმხრივობას ბოლო უნდა მოეღოს, რომ მთელ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე თავად გააკეთოს დასკვნა. ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში ცალმხრივი ინფორმაცია არის დანაშაულის ხელისშემწყობი პირობა.

აუცილებელია, რომ რადიოთი, ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთებით, ერთი სიტყვით, პრესის ყველა საშუალებით, თავისუფლად სარგებლობდეს ყოველი მოქალაქე. რა თქმა უნდა, ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ობიექტურად და ეთიკის ყველა ნორმის დაცვით.

ვგმობთ 1991 წლის 18 თებერვალს შავნაბადაზე მომხდარ ბოროტმოქმედებას, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხა ქართველ მაშველთა კორპუსის მძინარე წევრებს შუაღამით. საზოგადოებას არ აკმაყოფილებს ამ ფაქტზე პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია და მოვითხოვთ: სრულ და ობიექტურ ინფორმაციას, გამჟღავნებას იმისას, ვისი განკარგულებით მოხდა ეს და იმათ დასჯას, ვინც მძინარე ადამიანთა წინააღმდეგ გამოიყენა იარაღი.

ეს გახლავთ მიმართვის ტექსტი. შეიძლება ზოგიერთს იგი მოეწონოს, ზოგიერთ _ არა. მაგრამ ობიექტური ადამიანი ვერ იტყვის, რომ მასში არ არის ცდა გამოიძებნოს შეთანხმების გზა. თუ ჩვენ ყველანი შევეცდებით გამოვძებნოთ შეთანხმების გზა, შეუძლებელია ვერ ვიპოვნოთ იგი. დაჭერა და ციხე ვერ მოაგვარებს პრობლემას. არავის დაუჭერია, არავის გადაუსახლებია, არავის დაუხვრეტია იმდენი ხალხი, რამდენიც ბოლშევიკებს, მაგრამ კარგად ხედავთ _ რომ ვერაფერი მოაგვარეს. ჩვენ თვალწინ ინგრევა მათი შექმნილი სახელმწიფო. დღეს ქართველ ხალხს ახალი საქართველოს აშენება უნდა და არა ნგრევა. სიძულვილიც კი ვერ ავაშენებთ ახალს.

რა თქმა უნდა, ამ მიმართვის მოსმენის შემდეგ, ის ადამიანები, რომელთაც ტელევიზია, გაზეთები აავსეს მოთხოვნით: ეს დაიჭირეთ, ის გადაასახლეთ, ეს კატორღაში გაგზავნეთ, ის დახვრიტეთ _ გამომაცხადებენ საქართველოს მოღალატედ. ამის საბუთი ხელშიაც მიჭირავს, მაგრამ მისი წაკითხვით თავს აღარ შეგაწყენთ, ისედაც იცით, რა სწერია ამგვარ წერილებში, რომელთაც ხელს ანონიმური ქართველი ქალები აწერენ.

ოღონდ ის კი მინდა ვუთხრა ყველა ანონიმურ ქართველ ქალს, ყველა ტელეფონით ტერორისტს, ყოველ კოლექტიური წერილის ავტორს, რომ თქვენი საქციელით თქვენ აძულებთ ხალხის საღად მოაზროვნე ნაწილს დღევანდელ უზენაეს საბჭოს. თქვენ მისი დაცვა გინდათ, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, პირიქით გამოდის. აძულებთ იმიტომ, რომ ეს კოლექტიური და ანონიმური წერილები გვახსენებს ავადსახსენებელ 30-იან წლებს, საერთოდ ბოლშევიკური დიქტატურის დროს. ყველამ უნდა კარგად იცოდეს, თუ ავაღორძინებთ 1937 წლის ატმოსფეროს, ეს დაღუპავს არა მარტო არაოფიციალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, არა მარტო ეროვნულ კონგრესს, არამედ უზენაეს საბჭოსაც და, რაც მთავარია მთელ საქართველოს. ამას ვეუბნები მე ყოველ ქართველს, სულერთია, ვის უჭერს იგი მხარს _ უზენაეს საბჭოს თუ ეროვნულ კონგრესს. ესეც უნდა დავსძინო: შიშით გული ნუ შეუწუხდებათ ნურც უზენაეს საბჭოს და ნურც ეროვნულ კონგრესის მომხრეებს. მაწუხებს და მალაპარაკებს საქართველოს მომავალი და არა რაიმე პოლიტიკური კარიერის გაკეთების სურვილი. მე ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვი პოლიტიკურ საქმიანობაზე და არც არასოდეს მივუბრუნდები მას. ქართველი ხალხის სამსახურს მე გავაგრძელებ ჩემი ლიტერატურული საქმიანობით, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ვისმეს სჭირდება.

დღეს წამდაუწუმ გავიძახით: გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს! მაგრამ როგორ ავაშენებთ ქრისტიანულ საქართველოს, თუ სიძულვილს დავნერგავთ და არა ურთიერთშეწყალებას, ურთიერთპატიებას, ურთიერთთანაგრძნობას? განა ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი სავლე მოციქულ პავლედ არ იქცა? ის, ვინც სიმართლეს ღაღადებს, მას ციხე და პატიმრობა არ სჭირდება თავის სიმართლის გასამტკიცებლად. სიმართლე ყოველთვის და ყველა ვითარებაში იმარჯვებს. იმ ჭეშმარიტებასაც ნუ დავივიწყებთ, რომელსაც მახარობელი მარკოზი ბრძანებს: «რომელითა საწყაულთა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ».

ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ ქართველი ხალხი ორად გაიხლიჩა, სიძულვილმა შეგვჭამა, ნიჭი და ენერგია ერთმანეთის მტრობაში დავხარჯეთ, შემზარავი პერსპექტივა გველის _ სამოქალაქო ომი, უკიდურესი ეკონომიკური კრიზისი (არსებითად შიმშილობა), დიდი ტერიტორიის დაკარგვა.

ქართველი ხალხის ერთიანობა, მიღწეული შეთანხმებისა და მორიგების გზით, თუ იხსნის საქართველოს დღევანდელი უმძიმესი და ურთულესი ვითარებისაგან.

## სახელმწიფო საბჭოს

ჩემი წინადადებებია:

1. დაუყონებლივ უნდა შეიქმნას კომისია, რომელსაც დაევალება საქართველოს ახალი, დღევანდელობისათვის შესაფერისი კონსტიტუციის დაწერა. არც 1921 წლის და არც საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები მომავალ საქართველოს არ გამოადგება. ამას მტკიცება არ სჭირდება იმდენად ნათელია. თუმცა ახალი კონსტიტუციის დამუშავების დროს, რა თქმა უნდა, ძველი კონსტიტუციების გამოყენება შეიძლება.

ახალი კონსტიტუციის პროექტი საერთო-სახალხო განხილვისათვის უნდა დაიბეჭდოს პრესაში. განხილვის შემდეგ კი შესწორებულ-შევსებული მიღებული იქნეს სახალხო რეფერენდუმის გზით.

წინასწარ განისაზღვროს (თუნდაც დაახლოებით) რა დრო დასჭირდება ამას და რა ხარჯები.

2. სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს ძირეული ადმინისტრაციული რეფორმის კანონი. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს: ა) საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფის სქემა; ბ) სოფლის მმართველობის კანონი; გ) ქალაქის მმართველობის კანონი; დ) პროვინციის მმართველობის კანონი. ამ კანონების არსი უნდა ითვალისწინებდეს, ჯერ ერთი, რამდენადაც შესაძლებელია ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას და გამარტივებას და, მეორეც, თვითმმართველობის ვრცელ უფლებას.

აქაც წინასწარ განისაზღვროს რა დრო დასჭირდება ამას და რა ხარჯები.

3. საქართველოში წესრიგის აღდგენა და დისციპლინის დამკვიდრება შეუძლებელი გახდება, თუ არ შეიქმნა მძლავრი მილიცია (პოლიცია) და სახელმწიფო უშიშროების სამსახური. ძირეული რეფორმის ჩასატარებლად აუცილებლად მიმაჩნია იურისტების,

ეკონომისტების (ხარჯების განსაზღვრისათვის), შინაგან საქმეთა სამინისტროს და სუკ-ის გამოცდილი მუშაკებისაგან შემდგარი კომისიების შექმნა, რომელნიც დაამუშავებენ რეფორმის გეგმას და უხელმძღვანელებენ კიდეც მის განხორციელებას. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება უცხოეთში (როგორც დიდ, ისე პატარა ქვეყნებში _ დანია, ჰოლანდია, ნორვეგია და ა.შ.) შეისწავლონ იქაური პოლიციისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობა, მათი სტრუქტურა, ფინანსები, რომელიც იხარჯება მათი შენახვისათვის.

აქაც წინასწარ უნდა განვსაზღვროთ დრო და ხარჯები.

4. არ შეიძლება საქართველოს არმიის შექმნის გადადება. ეს მით უფრო სასწრაფოა, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობს ომი. სულ იოლი მოსალოდნელია მისი გადმონაცვლება საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან სომხეთთან და აზერბაიჯანთან სასაზღვრო ზოლში მოსახლეობენ სომხები და აზერბაიჯანელები. საომარი მოქმედებაა მოსალოდნელი ჩრდილოეთ კავკასიაშიც. მალე შეიძლება გაიყვანონ საქართველოდან ყოფილი საბჭოთა არმიის ნაწილებიც. გაშიშვლდება ჩვენი საზღვარი თურქეთთან. ეს დიდ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს, არა თურქეთიდან თავდასხმის თვალსაზრისით, არამედ ნაირნაირი ჯურის კონტრაბანდისტთა გაძლიერების მხრით. კონტრაბანდისტულ საქმიანობას შეუძლია განუსაზღვრელი ზიანი მიაყენოს საქართველოს.

ერთი სიტყვით, საქართველოს არმიის შექმნა გადაუდებელი საქმეა, ოღონდ, ჩემი აზრით, თავდაპირველად მისი რიცხობრივი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც საჭიროა საქართველოს საზღვრების დასაცავად.

არმიის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში დემოგრაფიული ვითარების შეცვლასაც. თუ სამხედრო სასწავლებლები (როგორც საშუალო ისე უმაღლესი) დაარსდება ახალქალაქში. ეს დიდად შეუწყობს ხელს ქართველი მოსახლეობის მომრავლებას ჯავახეთში. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამხრეთი საზღვრის დამცველი ჯარის შტაბ-ბინა უნდა იყოს ახალციხეში, ხოლო აღმოსავლეთ საზღვრისა _ გარდაბანში.

იმ რეგიონებში, სადაც არ არის ქართული მოსახლეობა ან ძალიან მცირეა (და ეს ძირითადად სწორედ სასაზღვრო რეგიონებია) უნდა შეიქმნას სამხედრო დასახლებები ისე, როგორც ამას ისრაელში აკეთებენ.

ყველა ეს საქმე პარალელურად უნდა კეთდებოდეს, კომისიები პარალელურად უნდა მუშაობდნენ, რადგან არა გვაქვს უფლება ერთი წუთის დაკარგვისაც. ყოველი დაკარგული წუთი გვიახლოვებს კატასტროფას.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოუგვარებლად ვერ მოვახერხებთ უმთავრესს _ ვერ განვახორციელებთ ეკონომიკურ რეფორმას. ეკონომიკური რეფორმის განუხორციელებლად კი ყველა ოცნება დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე ჩაილურის წყალს დალევს.

მე აუცილებლად მიმაჩნია, რომ რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გეგმა უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, რომ ხალხმა იცოდეს _ რა კეთდება და როგორ. გეგმაში უთუოდ უნდა აღინიშნოს _ რა დრო დასჭირდება რეფორმის ჩატარებას, რა ხარჯები, როგორი ეტაპობრივი თანამიმდევრობით განხორციელდება იგი (მე თუ მკითხავდა ვინმე, რეფორმას დავიწყებდი მთიანეთით და მერე გადმოვიდოდი ბარში).

რა თქმა უნდა, ყველა ამ საქმის გაკეთებას სახელმწიფო საბჭო ვერ მოასწრებს არჩევნებამდე. მაგრამ იგი ბევრს რასმეს გააკეთებს, საფუძველს ჩაუყრის, რომ მომავალ პარლამენტს შეეძლოს ახალი კანონების მიღება, სტრუქტურების ჩამოყალიბება და პრაქტიკული საქმიანობის დაწყება. რაც შეეხება არჩევნებს, მიმაჩნია რო იგი მალე უნდა ჩატარდეს, არა უგვიანეს ივნისის ბოლოსა. ვიმეორებ, ჩვენ დროის დაკარგვის უფლება არა გვაქვს. საქართველო ახლა იმ კაცის მდგომარეობაშია, ბრმა ნაწლავი რომ გაუსკდა. თუ სასწრაფო ოპერაცია არ გაუკეთდა, დაიღუპება.

1992. 21 მარტი.

იმ დღეს წაიკითხეს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

## ურთიერთგაგებით

ბუნებრივია, რომ ყოველ ქვეყანას, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე დგას, წინ ბევრი ბარიერი ეღობება. არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. თავისუფლების მოპოვებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი ნაწილი აქვს. ერთია, როგორ გათავისუფლდება იგი გარეშე დამპყრობელი ძალისაგან. და, მეორე, შიგნით, საკუთარ სახელმწიფოში როგორ ააშენებს თავისუფალ ქვეყანას, როგორ ჩამოაყალიბებს თავისუფალ საზოგადოებას. მეორე ხშირად უფრო რთულია პირველზე.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, საბოლოოდ მმართველობის რა ფორმას აირჩევს დამოუკიდებელი საქართველო _ რესპუბლიკურს, თუ მონარქიულს. მთავარია შინაარსობრივად იქნება თუ არა მმართველობის არჩეული ფორმა სამართლებრივი. მონარქიული ბელგია ან დანია ისევეა სამართლებრივი სახელმწიფოს ეტალონი, ეტალონი, როგორც რესპუბლიკური შვეიცარია.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ფორმაა ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო. ისიც უდავოდ არის მიჩნეული, რომ უძნელესი და ურთულესია საზოგადოების მოწყობა ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის მიხედვით, მით უმეტეს, ისეთ ქვეყნებში, სადაც ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გამოცდილება არ არსებობს. ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის გამო არც საქართველოს აქვს ამისი გამოცდილება.

ქართული სახელმწიფო პრეისტორიულ ხანაში ჩაისახა. აიეტის კოლხეთის არსებობა ჩემთვის ისეთივე რეალობაა, როგორ ჰომეროსის ტროას არსებობა, რაც ასე უთუოდ და უთუმცაოდ დაადასტურა შლიმანმა. რა ვუყოთ, რომ ქართველ შლიმანს დააგვიანდა. დრო მოვა და ისიც გამოჩნდება. მიუხედავად ამ უხანგრძლივესი ისტორიისა, ჩვენ სრულყოფილად არ გაგვივლია ნაციონალური, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ფორმები.

დღეს უცხოურ პრესაში ხშირად გამოთქვამენ გაკვირვებას, რომ არიან ერები, რომელთაც სსრკ-ის დაშლა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნა უნდათ. მათი აზრით, ეს

ეწინააღმდეგება ევროპაში გაბატონებულ ამჟამინდელ ტენდენცია-მისწრაფებას: ნაციონალური სახელმწიფოების გაერთიანებას და ერთიანი, ინტერნაციონალური სახელმწიფოს შექმნას.

ჩემი აზრით, ეს სამართლიანი კრიტიკა არ არის.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი თანაბრად არსებობს როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში. იშლება არა მარტო სსრკ და იუგოსლავია, არამედ კანადაც (კვებეკს გამოყოფა უნდა), საფრანგეთიც (კორსიკის საკითხი). ინდოეთშიც არსებობს რღვევისაკენ მიდრეკილება.

მეორეც, იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპაში ერთიანი, ინტერნაციონალური სახელმწიფოსაკენ მისწრაფება ძველადაც იყო. ეს ახალი, დღევანდელი ამბავი არ არის. გაიხსენეთ ჩვენი საუკუნის დასაწყისში წამოჭრილი ევროპის შეერთებული შტატების იდეა, რომელსაც თავგამეტებული ებრძოდა ლენინი. ეშინოდა: ერთიანი ევროპა უფრო ძლიერი არ ყოფილიყო, ვიდრე რუსეთის იმპერია.

ამდენად თუ ტენდენციებზე ვილაპარაკებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ორივე ტენდენცია _ რღვევისაც და შეერთებისაც, ოღონდ გააჩნია, რომელ ქვეყანაში, განვითარების რა დონეზე და რა პირობებში.

რაკი პირობები ვახსენე, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის სახელმწიფო, რომელსაც ჯერჯერობით კიდევ ჰქვია სსრკ, არის შედეგი რუსეთის მთელი პოლიტიკური ისტორიისა. ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს შემუშავდა ფორმულა _ სახელმწიფო ან იზრდება, ან კვდება. მონღოლთა ბატონობის მოსპობის შემდეგ დღემდე რუსეთი, როგორც სახელმწიფო, მხოლოდ იზრდებოდა. რუსეთისათვის ტერიტორია მაშინც კი არ წაურთმევიათ, როცა იგი მარცხდებოდა. მართალია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთს გაექცნენ პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-მა ბალტიისპირეთიც დაიბრუნა, პოლონეთი ისეთ რუსეთის ყურმოჭრილი ყმა გახდა; ფინეთი, მართალია, ვერ დაიქვემდებარა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საგანგებო ცნებაც კი გაჩნდა პოლიტიკაში _ ფინლანდიზაცია. სოციალისტურმა რუსეთმა თავისი ბატონობა გაავრცელა აღმოსავლეთ ევროპაზე, აზიის ზოგიერთ ქვეყანაზე, კუბაზე, ეთიოპიაზე. ასე რომ, სტალინმა აასრულა რუსი პოეტის ტიუტჩევის ოცნება, რუსეთის საზღვრებზე «ნილოსიდან ნევამდე, ელბიდან ჩინეთამდე, ვოლგიდან ევფრატამდე, განგიდან დუნაიმდე» (გაიხსენეთ მისი ლექსი «რუსსკაია გეოგრაფია»).

ტიუტჩევის ეს ლექსი არავის ჩაუთვლია შოვინისტურ მოწოდებად. სამაგიეროდ, ჩვენც, ქართველებიც, წამდაუწუმ მოვიხსენიებთ შოვინისტურ ლექსად «დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს». თუმცა ჰოფმან ფონ ფალერსლებენის ამ ლექსში არაფერია შოვინისტური. ეს ჩვეულებრივი პატრიოტული ლექსია, სადაც ნათქვამია, როცა გერმანიას გაუჭირდება, იგი ყველაზე მაღლა დააყენეთ მსოფლიოში და მისი ღირსება დაიცავითო. თანაც გერმანია მოხსენიებულია საზღვრებში მაასიდან მემელამდე, ეჩიდან ბელტამდე (ეს იგივეა ქართველმა რომ თქვას საქართველო გიყვარდესო _ გაგრიდან ლაგოდეხამდე, ყაზბეგიდან ახალქალაქამდე. ეს შოვინიზმია?) განა შეიძლება თქვა, ფალერსლებენის ლექსი შოვინისტურია, ხოლო ტიუტჩევის არაო?

ეს სხვათა შორის. ჩვენს სათქმელს მივუბრუნდეთ.

მონღოლთა ბატონობის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს დღეს პირველად დაემუქრა დაშლის რეალური საფრთხე.

როცა სსრკ დაიშლება, ვერც რსფსრ გადაურჩება დარღვევას. ვისზე ნაკლები უფლება აქვთ ჩუვაშებს, ბაშკირებს, თათრებს და სხვებს იყვნენ დამოუკიდებელი და თავისუფალი? მართალია, დღეს ზოგი ერი აქტიურად იბრძვის თავისუფლებისათვის (ქართველები, ლიტველები), სხვა ერები გატრუნულები არიან და თავის დროს უცდიან (ვთქვათ, შუაზიელები), მაგრამ ის კი არავისთვის არის საეჭვო, რომ დამოუკიდებლობა ყველას უნდა. მიზანი ერთია, ოღონდ მისკენ მიმავალ გზებს ირჩევენ სხვადასხვანაირს. ეს არ შეიძლება არ ჰქონდეთ გაცნობიერებული რუს პოლიტიკოსებს. ასე რომ, ყველასათვის მკაფიო და ნათელია, რომ თუ იშლება სსრკ, იშლება რსფსრ-ც. მაშასადამე, რუსეთი თავის ისტორიულ ეროვნულ ტერიტორიაზე რჩება, ერთ-ერთ რიგით სახელმწიფოდ. შეეთვისება კი რუსის ცნობიერება იმას, რომ ზესახელმწიფოდან, რომელსაც აშშ-თან ერთად გაყოფილი ჰქონდა მსოფლიო, გადაიქცეს რიგით სახელმწიფოდ? იოლად გადაიტანს ამას რუსეთი თუ შეეცდება გადარჩენისათვის სისხლის ზღვა დააყენოს? ამ კითხვის პასუხი ძალიან ძნელია. მე პირადად კი ვფიქრობ, იგი არ შეეგუება რიგითად გადაქცევას და შეეცდება უკანასკნელად კიდევ ერთხელ გაიბრძოლოს. როგორი იქნება თერმობირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით აღჭურვილი სახელმწიფოს ბოლო გაბრძოლება, ეს ყველას შეუძლია წარმოიდგინოს (ღმერთმა ჰქნას, რომ ჩემი ეს ფიქრი შეცდომა იყოს).

ჩვენ ყურადღება იმასაც უნდა მივაპყროთ, რომ რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ყოველთვის უფრო მკაცრი იყო, ვიდრე სხვა ხალხებისადმი. თუ, მაგალითად, მეფის დროს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, ფინეთს ეროვნული პარლამენტი ჰქონდა, პოლონეთს _ ეროვნული სეიმი, შუა აზიას კი ბუხარის ემირი მართავდა, საქართველო ორ გუბერნიად იყო გაყოფილი და მმართველობის არავითარი ეროვნული ფორმა არ გააჩნდა. ქართული ეკლესია გაუქმებული იყო, სომხური _ არა.

დღეს ყველა ხედავს, ქართველთა რა შემზარავ იმიჯს ქმნის რუსული პრესა. არც მოლდაველთა მიმართ არის ამგვარი დამოკიდებულება და არც ლიტველთა მიმართ, თუმცა ისინიც ისევე პრინციპულად იბრძვიან თავისუფლებისათვის, როგორც ჩვენ.

მგონია, ამჯერადაც რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი უფრო დაუნდობელი იქნება, ვიდრე, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ქვეყნებისადმი. თუ ასე არ მოხდება, ამას რა აჯობებს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია, და ჩვენც ყურებდაცქვეტილი უნდა ვიყოთ.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რუსეთის ისტორიის ერთი თავისებურებაც: ყველა დემოკრატიული ხასიათის რეფორმა რუსეთში მთავრდება დამარცხებით და დიქტატურის დამყარებით.

ალექსეი ადაშევის ცდა, გაეტარებინა რეფორმები და რუსეთი შეერთებოდა ცივილიზებულ მსოფლიოს, დამთავრდა საშინელი მარცხით და ივანე მრისხანის დიქტატურის დამყარებით (სხვათა შორის, აკაკი წერეთელი ივანე მრისხანეს ივანე

მტარვალს ეძახის. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში თუ დამკვიდრდება ივანე მტარვალი, უფრო ზუსტი იქნება).

ვასილ გოლიცინის ოცნებაც _ გაუქმებულიყო რუსეთში ბატონყმობა _ კრახით დასრულდა. მას პეტრე პირველის დიქტატურა მოჰყვა.

დეკაბრისტთა უსუსური ამბოხიც სახრჩობელებით, ციმბირში გადასახლებით და ნიკოლოზ პირველის დესპოტით დამთავრდა.

ალექსანდრე მეორის ვრცელი რეფორმები ალექსანდრე მესამის მკაცრი რეჟიმით შეიცვალა.

არც პეტრო სტოლიპინის რეფორმებს მოჰყოლია რაიმე დადებითი შედეგი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დემოკრატიზმი იმავე წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა დიქტატურამ დაამხო.

დემოკრატიული რეფორმების ცდა რუსეთში ყოველთვის ბადებს დესპოტიზმს, დიქტატურას. როგორ მოხდება ამჯერად? რა შეცვლის გორბაჩოვის მმართველობას _ ნამდვილად დემოკრატიული რეჟიმი თუ ახალი დესპოტია? ნუ ვიწინასწარმეტყველებთ. ვაცადოთ დროს. მაგრამ ყველაფრისათვის კი შეწკიპული თოფივით მზად უნდა ვიყოთ.

ეს რაც შეეხება იმ მოპირდაპირე მხარეს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუჯდეს და ჩვენი დამოუკიდებლობა ცნოს.

შინ საქართველოში კი, ორი უპირველესი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი _ ეროვნული და ეკონომიკური.

იმ უბედურების გამო, რაც შიდა ქართლში ტრიალებს, მთელი საქართველო ფეხზე დგას. ხალხმა პროტესტის თითქმის ყველა ფორმას მიმართა, შიმშილობისა და გაფიცვების ჩათვლით, მაგრამ ჯერჯეროზით კონფლიქტის მოგვარებას პირი არ უჩანს.

მართალია, აფხაზეთში გარეგნულად სიმშვიდეა, მაგრამ როდის სად რა აფეთქდება, კაცმა არ იცის. იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც პრესაში ქვეყნდება, აფხაზთა მეთაურები აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ თვლიან. მოითხოვენ, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობა წარიმართოს როგორც ორი სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ერთეულის ურთიერთობა. ეს ცხადად ჩანს აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არძინბას წერილიდანაც, რომელიც რატომღაც «სოვეტსკაია კულტურამ» (1991 წლის 30 მარტი) გამოაქვეყნა და «აიდგილარას» თავკაცების ინტერვიუდანაც («7 დღე» _ 1991 წ. 12 აპრილი და «რესპუბლიკა» _ 1991 წ. 23 აპრილი).

დაყაბულდება ქართველობა იმას, რომ აფხაზეთი არ იყოს საქართველოს ნაწილი? მგონია, რომ არა.

დაყაბულდება აფხაზობა იმას, რომ აფხაზეთი იყო საქართველოს ნაწილი? დღევანდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ არა.

მაშასადამე, ჰორიზონტზე მოჩანს გარდაუვალი შეტაკების საშიშროება.

გადაუწყვეტელია სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული თურქების ბედიც. ალბათ, უახლოეს ხანებში წამოიჭრება ეს საკითხიც მთელი სიმძაფრით.

აღარ გავაგრძელებ. რაც ვთქვი, ისიც საკმარისია იმის დასანახად, თუ რაოდენ რთულია საქართველოში ეროვნული პრობლემა.

არანაკლებ რთულია სოციალ-ეკონომიკური ვითარება. დღეს ერთი მეტად სამწუხარო ტენდენციაც შეიმჩნევა: უკანყურების ტენდენცია. ეროვნული ფესვების მოვლა-პატრონობა, ეროვნული სახის აღდგენა-განახლება უკანსვლას არ ნიშნავს. პირიქით, წინსვლა და წინყურებაა საჭირო და რამდენადაც შესაძლებელია _ შორს.

ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ საქართველოს თანამედროვე ცივილიზაციის ჯერაც უცნობი ვარიანტები შესთავაზოს მსოფლიოს, მაგრამ ეს ფუჭი ოცნების სახით კი არ უნდა გამოვლინდეს, არამედ _ რეალური საქმით. რეალური საქმე კი ყოველთვის მყარ ეკონომიკას ეფუძნება. აქ სიტყვა ჩვენმა გლეხებმა, მუშებმა, მეცნიერებმა უნდა თქვან. ისინი კი ამ საქმეს მაშინ მოაგვარებენ, როცა თავისუფალი იქნებიან.

1990 წლის «ვოპროსი ფილოსოფიის» მეთერთმეტე წიგნში ციტირებულია ლევ ტროცკის სიტყვები. «ქვეყანაში, სადაც სამუშაოს ერთადერთი მიმცემი სახელმწიფოა, ოპოზიცია ნიშნავს ნელ-ნელა შიმშილით სიკვდილს. ძველი პრინციპი _ ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს _ იცვლება ახლით: ვინც არ ემორჩილება, ის არ ჭამს». მართალია, როცა ტროცკი ამას წერდა, მას არავითარი თანამდებობა არ ეჭირა, მაგრამ სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი შემქმნელი თავად ის იყო, სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობდა. როცა ასეთ სახელმწიფოს არსებობის სამოცდაათ წელზე მეტი აქვს გავლილი, მოქალაქეთა ცნობიერების განთავისუფლება ძალიან ძნელია, მაგრამ აუცილებელია. ცნობიერების განთავისუფლების თვინიერ არაფერი გამოვა. ცნობიერების თანდათანობით გათავისუფლება კი შეუძლია თავისუფალ შრომა-საქმიანობას თავისუფალი სოციალურ-საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

თავისუფალი სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა _ ამისი თქმაა იოლი, თორემ გაკეთება ურთულესია.

კონკრეტულად რა სირთულე-სიძნელე გვემუქრება?

სანამ საქართველოს ეკონომიკა ჩართული იქნება სსრკ-ის საერთო ეკონომიკაში, ეკონომიკურ კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ. აუცილებელია საქართველოს ეკონომიკა გამოეთიშოს სსრკ-ის ეკონომიკას და ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკაში. მაგრამ ამას სჭირდება საკავშირო-რესპუბლიკურ საწარმოთა პროფილის შეცვლა. ეს კი უკავშირდება უზარმაზარ ხარჯებს, რაც საქართველოს არა აქვს. საქართველომ რომ ეს ხარჯები იშოვნოს, მას ან ისეთი ნედლეული უნდა ჰქონდეს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა საერთაშორისო ბაზარზე, ან ისეთ საქონელს უნდა აწარმოებდეს, რომელიც თავისუფლად უწევს კონკურენციას უცხოურ საქონელს. სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არ შეგვიძლია.

სანამ საქართველოს საკუთარი ფული არა აქვს და სარგებლობს საბჭოური ფულით, მანამ ვერ შევაჩერებთ ინფლაციის კატასტროფიულ სვლას (როგორც გვაუწყეს, ორი-სამი წლის შემდეგ უკვე იქნება მიმოქცევაში ქართული ფული). საქართველოს საკუთარ ფულს საერთაშორისო ბაზარზე გასავალი მაშინ მიეცემა, როცა იგი კონვერტირებული იქნება. ფულის კონვერტირება კი შეუძლია მხოლოდ მაღალხარისხოვან საქონელს, რომელსაც საერთაშორისო ბაზარზე მყიდველი ესევა. სხვანაირად ფულის კონვერტირება არ მოხერხდება.

მართალია, ჩვენს წინ წამოჭრილი პრობლემები რთულია და ძნელი, მაგრამ საქართველო ყველა წინააღმდეგობას დაძლევს თუ სულწასულობას არ გამოვიჩენთ, უცბად

და ერთბაშად არ მოვინდომებთ ყველაფრის მოგვარებას. თანდათანობა, მოთმინება, სიმტკიცე, ერთიანობა, ურთიერთგაგება გახდება ჩვენი საქმიანობის საძირკველი.

1991 წ., 8 მაისი.

## დიდგორის მემორიალის გახსნაზე

მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედი იდგა. წინა აზიაში ჯვაროსნული ომი მიმდინარეობდა. ქრისტიანთა ლაშქარი უტევდა მაჰმადიანურ სამყაროს. კავკასიის უბეში მომწყვდეული პატარა საქართველო ებრძოდა თურქ-სელჩუკთა თვალუწვდენელ იმპერიას. განგებისა და ისტორიის ნებით ევროპელ ჯვაროსნებს და ქართველებს ერთი მიზანი ჰქონდათ _ მაჰმადიანური ძალის დამარცხება. თუ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე ევროპელი ჯვაროსნები გაიმარჯვებდნენ, ისინი არა მარტო უფრო საფლავს გაათავისუფლებდნენ სარკინიზთა ხელიდან, არამედ შეაჩერებდნენ კიდევ მაჰმადიანურ ექსპანსიას დასავლეთისაკენ. თუ ქართველები დაამარცხებდნენ თურქ-სელჯუკებს, ამით არა მარტო საქართველოს იხსნიდნენ მათი ბატონობისაგან, არამედ გზას გაუკაფავდნენ ევროპელ ჯვაროსნებს გამარჯვებისაკენ.

1121 წლის 12 აგვისტოს, თბილისის ახლოს, დიდგორის ველზე ერთმანეთს დაეჯახა მაჰმადიანური კოალიციის ნახევარმილიონიანი არმია და ქართველთა მცირერიცხოვანი სპა. ეს უთანასწორო ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთარდა. ამ დღიდან დაიწყო საქართველოს ისტორიის ის ასწლიანი ეპოქა, რომელსაც «ოქროს ხანას» ვეძახით. ამიტომ ამშვენებს დიდგორის ბრძოლის მემორიალის ცენტრს ქვა-ჯვარი წარწერით:

«კრძალვით მივეახლოთ ამ წმინდა ადგილს,
სადაც 1121 წლის 12 აგვისტოს დავით
აღმაშენებელმა ძლევამოსილი ომი გადაიხადა
და შეწევნითა ღვთისითა იხსნა საქართველო».

დიდგორის მემორიალი სიმბოლურია: თუ ბუ უძველესი დროიდან სიბრძნის ნიშანი იყო, მთის კალთაზე მიმოფანტული ქანდაკებები ადამიანთა ტრაგიკული ხვედრის აღმნიშვნელია; თუ თორმეტმეტრიანი ბრინჯაოს რაინდი-მებუკე ქართველთა გამარჯვების მაცნეა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა სვეტები და კაპიტელები დავით აღმაშენებლის საქმეთა გამო ღაღადებენ.

870 წლის წინათ მომხდარი «ძლევაი საკვირველი» დღესაც მოუწოდებს ქართველს თავისუფლებისაკენ.

1991 წ.

## წერილი რედაქციას

გაზეთ «დრონში» (1992 წ., 14 აგვისტო) გამოქვეყნდა გიორგი ბურჯანაძის წერილი _ «ჩვენ ყველამ ერთად»... ამ სტატიის ორი აბზაცის გამო განმარტება მინდა მივაწოდო მკითხველს.

ჯერ ავტორი წერს:

«იმ დროისათვის სერიოზული (ამასთან არააგრესიულად განწყობილი) პოლიტიკური ძალა იყო ბლოკი «თავისუფლება». იქ თანამშრომლობდნენ ისეთი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც არიან ირაკლი შენგელაია, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე და სხვები».

მერე აგრძელებს:

«დაიშალა ჩემთვის ყველაზე საყვარელი პოლიტიკური მოღვაწეების კავშირი. «თავისუფლებიდან» გავიდნენ ბატონები ა.ბაქრაძე («რუსთაველის საზოგადოება») და ნ.ნათაძე («სახალხო ფრონტი»).

მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც და დღესაც ბლოკ «თავისუფლებისადმი» პატივისცემითვარ გამსჭვალული, მე არ ვყოფილვარ მისი წევრი და, ბუნებრივია, ვერ გავიდოდი ბლოკიდან. მაშინ რატომ წერს გ.ბურჯანაძე იმას, რამაც ჩემი რეპლიკა გამოიწვია?

ვითარების გასარკვევად ზოგიერთი რამ გავიხსენოთ.

ვისაც იმდროინდელი პრესისათვის თვალყური დაკვირვებით უდევნებია, დამერწმუნება, რომ პირადად მე და საერთოდ რუსთაველის საზოგადოებას სრულიად გარკვეული და მკაფიო პოზიცია გვეჭირა.

ჩვენ გვინდოდა, რომ <u>1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული მოძრაობის მონაწილე ყველა პარტია და საზოგადოება ერთ მთლიან ბლოკად გამოსულიყო</u> (იხ. გაზეთი «მამული», 1990 წ. [1]16). მიზანშეწონილად არჩევნებში მონაწილე მხოლოდ ორი ბლოკის შექმნა მიგვაჩნდა: ერთი – მაშინდელი მმართველი პარტიის, კომუნისტების, ბლოკი და მეორე _ ეროვნული მოძრაობის ყველა პარტიისა და საზოგადოების ერთიანი ბლოკი. ერთიანობის აზრი რომ გაგვემტკიცებინა, რუსთაველის საზოგადოების საარჩევნო პროგრამაში დევიზად «ვეფხისტყაოსნის» სტრიქონიც კი შევიტანეთ _ «გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად». არჩევნების წინ კი გაზეთ «მამულში» (1990 წ., [1]20), გაშლილ გვერდზე, ეროვნული მოძრაობის ყველა მაშინდელი მეთაურის სურათი დავბეჭდეთ. მოწოდებად გალაკტიონის სიტყვები წარვუმძღვარეთ:

«გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით,

დროშები, დროშები, დროშები, ჩქარა!»

რატომ ვიყავით ამგვარი ერთიანობის მომხრე? იმიტომ, რომ ეროვნული მოძრაობის გათიშვა გამოიწვევდა ქართველი ხალხის გახლეჩას, რომლის შემზარავი შედეგის მოწმე დღეს ყველა ვართ. ასე რომ მოხდებოდა, ამის მიხვედრას წინასწარმეტყველის ნიჭი არ სჭირდებოდა. ამისათვის ისტორიის გამოცდილების უბრალო გათვალისწინებაც კმაროდა. ვაფრთხილებდი კიდეც ქართველ საზოგადოებას მომავალი საფრთხის გამო (იხ. გაზეთი»მამული», 1990 წ., №8, 10, 17), მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი _ ვინ დაგიგდო ყური!

ერთიანობის შენარჩუნების უკანასკნელი ცდა იყო ეროვნული მოძრაობის ერთიანი ბლოკის შექმნა. მით უმეტეს, რომ მაშინ ეროვნული მოძრაობის ერთიანობა უკვე გახლეჩილი

იყო. ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილი საერთოდ არ მონაწილეობდა 28 ოქტომბრის არჩევნებში. ეროვნული კონგრესიც არჩეული იყო. მტკიცედ მიმაჩნდა, რომ ისინი მაინც უნდა ყოფილიყვნენ ერთად, ვინც 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდა. ამ მიზნით მოვიწვიეთ რუსთაველის საზოგადოებაში რამდენჯერმე 28 ოქტობმრის არჩევნებში მონაწილე პარტიების შეკრება.

გაერთიანების იდეას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან არც «დემოკრატიული საქართველო», არც «ოთხთა კავშირი» და არც «მრგვალი მაგიდა», მაგრამ არც აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება გამოუხატავთ. მიუხედავად ამისა, მაინც ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით. თითქოს მივაღწიეთ კიდეც მიზანს. თითქოს შევთანხმდებოდით, მაგრამ დღეს ისე ვიშლებოდით. რამდენჯერმე განმეორდა ასე. საქმე ის გახლდათ, რომ ამ შეკრებების მონაწილეთა დიდი ნაწილი არ ენდობოდა «მრგვალი მაგიდის» მეთაურს ზ.გამსახურდიას სიტყვიერ დაპირებას. არ სჯეროდა მისი.

1990 წლის 8 სექტემბერს, გვიან ღამით, ზ.გამსახურდია და მე შევხვდით ერთმანეთს, მარტონი ვიყავით. ჩვენს საუბარს არავინ ესწრებოდა. რაც მართალი მართალია, ზ.გამსახურდია სიხარულით შეხვდა ერთიანობის აზრს და მაშინვე დათანხმდა. დაბრკოლება დაძლეული მეგონა, მაგრამ მოვტყუვდი. 10 სექტემბერს, როცა რუსთაველის საზოგადოებაში შეკრებილ საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს მოვახსენე, «მრგვალ მაგიდასთან» შეთანხმება მიღწეულია-მეთქი, ეჭვის თვალით შეხედეს ჩემს სიტყვებს. ზ.გამსახურდია არჩევნებისათვის მზადების რომელიღაც პერიოდში აუცილებლად გვიმუხთლებს და საქმე მთლად წახდებაო, _ ამტკიცებდა ზოგიერთი.

გაერთიანების უკანასკნელი მბჟუტავი ნაპერწკალი ჩააქრო, იმავე დღეს, 10 სექტემბერს, ზ.გამსახურდიას ტელეთი გამოსვლამ. მან წაიკითხა «მრგვალი მაგიდის» მემორანდუმი. მემორანდუმი სამი მიმართულებით უტევდა. აკრიტიკებდა კომპარტიას, ეროვნულ კონგრესს და ექვს სხვადასხვა პარტიას. კომპარტიასთან როგორ გაგვაიგივაო, უაღრესად გააბრაზა ეროვნული კონგრესის მომხრეები და გაკრიტიკებული ექვსი პარტიის წევრთა ერთი ნაწილი _ ხომ აღმოვჩნდით მართალი, როცა ვამბობდით, ზ.გამსახურდიას ნდობა არ შეიძლებაო, _ ნიშნის მოგებით მეუბნებოდა ბევრი.

მოგვიანებით ეს უნდობლობა წერილობით იქნა აღიარებული.

«ჩვენ მაშინაც რეალურად ვაფასებდით ჩვენს ძალებს. ვიცოდით, რომ დიდ წარმატებას ამ არჩევნებში ვერ მივაღწევდით, მაგრამ როცა ახლანდელმა პრეზიდენტმა ჩვენს ბლოკს მიმართა წინადადებით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გაერთიანებული ფრონტი შეგვექმნა, ჩვენ შეგნებულად არ წავედით ამაზე იმისათვის, რომ მასთან არ ვყოფილვართ ასოცირებული» (გაზ. «ერთობა», 1991 წ., №8).

რა თქმა უნდა, უნდობლობით არ შემოზღუდულა გაერთიანების საკითხი. პრინციპული საპაექრო საკითხებიც იყო. მაგალითად, «მრგვალი მაგიდა» ითხოვდა «დემოკრატიულ საქართველოს» კავშირი გაეწყვიტა ეროვნულ კონგრესთან, რასაც არ ეთანხმებოდა «დემოკრატიული საქართველო», «ოთხთა კავშირი» კი არ იყო აქციების მომხრე და ვეტოს უფლება სურდა. ამას არ იზიარებდა «მრგვალი მაგიდა». ერთი სიტყვით, სადავო

და საკამათო ბევრი იყო, რაც, ბოლოსა და ბოლოს, გაერთიანების გზაზე გადაულახავ წინააღმდეგობად გადაიქცა.

სჯა-ბაასში თანდათანობით იკვეთებოდა, რომ წყალს ვნაყავდით. მაშინ, გადავწყვიტე მაგალითი მიმეცა. ერთერთ შეკრებაზე გამოვაცხადე _ რუსთაველის საზოგადოება ბლოკ «თავისუფლებას» შეუერთდება-მეთქი.

არაფერი გამოვიდა. არათუ სხვებმა არ მომბაძეს, თავად რუსთაველის საზოგადოება დარჩა დიდად უკმაყოფილო ჩემი განცხადებით. ბევრმა ჩემს განცხადებაში რუსთაველის საზოგადოების დაკნინება დაინახა. იძულებული გავხდი ჩემი მოწოდება თავად უარმეყო.

ასე, რომ ჩემი თანამშრომლობა ბლოკ «თავისუფლებასთან» ამ ლიტონ განცხადებაზე უფრო ღრმად არ წასულა.

ეტყობა, გ.ბურჯანაძეც ამ განცხადებას დაეყრდნო, როცა ზემოთ ცოტატად მოხმობილ სტრიქონებს წერდა. მაგრამ, ვგონებ, ეს განცხადება არ კმარა ისეთი დასკვნისათვის, რასაც «დრონში» დასტამბული წერილის ავტორი აკეთებს.

ისტორია ცხადად გვიდასტურებს: როცა რომელიმე მოძრაობა გაითიშება (სულერთია, ეს მოძრაობა ეროვნულია, რელიგიური, კლასობრივი თუ რომელიმე სხვაგვარი), იგი მთავრდება ერთი შედეგით _ ურთიერთჟლეტით, ძმათა მკვლელობით, ქაოსითა და უბედურებით. ეს ასე იყო და ასეა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია _ საქართველოს თავზე დღეს დატეხილი უბედურების მკურნალობა მხოლოდ ქართველი ხალხის ერთიანობას შეუძლია, რასაც პოლიტიკური პარტიების ურთიერთგაგება და თანხმობა უნდა ედოს საფუძვლად.

თუ ასეა, მაშინ რაღად ვუთხარი მე უარი «მრგვალი მაგიდისა» და რუსთაველის საზოგადოების გაერთიანებას 28 ოქტომბრის არჩევნებში? (ამასწინათ, ტელევიზიით გამოსვლისას «ქარტია_91»-ის ერთერთმა წევრმა გაიხსენა ეს).

განსხვავებით რვა სექტემბრის შეხვედრისაგან, 12 სექტემბრის შეხვედრას ხალხიც ბევრი ესწრებოდა და საკითხიც სხვაგვარად იდგა. 12 სექტემბერს ლაპარაკი იყო «მრგვალი მაგიდისა» და რუსთაველის საზოგადოების ერთ ბლოკად გაერთიანებაზე.

ამ გაერთიანებას პირადად ჩემთვის აზრი აღარ ჰქონდა, რაკი ძირითადი იდეა _ ეროვნული მოძრაობის ერთიანი ბლოკით არჩევნებში მონაწილეობა _ დამარცხებული იყო. ეს ერთიანობა ჩემთვის აკვიატებული აზრი არ ყოფილა. ყველა დროში ყველა მტერი საქართველოს წინააღმდეგ ქართველი ხალხის უკურნებელ სენს _ დაქსაქსულობას _ იყენებდა. 28 ოქტომბრის არჩევნებსაც ქართველი ხალხი დაქსაქსული შეხვდა. არც მაშინ არსებობდა და არც დღეს არსებობს რომელიმე ერთი პარტია (ბლოკი), რომელსაც საქართველოს ღირსეული პარტნიორობა შეუძლია. მისი თავისუფლების გზით ტარება ძალუძს. ეს ვითარება ითხოვდა და ითხოვს ერთიანი პოლიტიკური ძალის შექმნას.

აგვაცდენდა ორი ორგანიზაციის ერთიანობა («მრგვალი მაგიდა»+რუსთაველის საზოგადოება) იმ სისხლიან უბედურებას, რაც საქართველოს გარდაუვლად ელოდა? რა თქმა უნდა, ვერა. ამაში დაეჭვება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ისტორიული პროცესის ინჩი-ბინჩი არ ეყურება.

მთელი ეროვნული მოძრაობის ერთ ბლოკად გაერთიანება გამოითიშა. მომავალი შინააშლილობაც და ურთიერთჟლეტაც ცხადად და ნათლად გამოიკვეთა. არჩევნებში არც რუსთაველის საზოგადოებისა და არც პირადი მონაწილეობა უკვე აღარ მსურდა (ამას ადასტურებს რუსთაველის საზოგადოების მაშინდელი მმართველობის ყველა წევრი). მაგრამ რუსთაველის საზოგადოებას არ უნდოდა გამოკლებოდა არჩევნებს. მე შემეძლო უარი მეთქვა პირად მონაწილეობაზე, მაგრამ არავითარი უფლება არ მქონდა წინ გადავღობებოდი მთელი საზოგადოების სურვილს. გურამ გელაშვილმა (რუსთაველის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე თბილისის პირველი მაისის რაიონში, ამჟამად დიდუბის რაიონი) მოაწყო შეხვედრა რუსთაველის საზოგადოების წევრებთან. ამიტომ პოზიცია დავთმე და ფორმალურ მონაწილეობას დავთანხმდი. ამან გამოიწვია ჩემი 49-ე ნომრობა. ამ ცოტა ხნის წინათ, ერთმა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ჩემს მაშინდელ საქციელს «პოლიტიკური კეკლუცობა» უწოდა («ლიტერატურული საქართველო», 1992 წ. 27 მარტი). არ არის მართალი. ეს იყო ქმედება უღონო კაცისა, რომელიც თვალნათლივ ხედავდა მოახლოებულ კატასტროფას, მაგრამ არაფრით ძალუძდა მისი შეჩერება.

გულისყურიან მკითხველს უთუოდ შემჩნეული ექნება, რომ, არათუ უბრალო უზუსტობას, აშკარა ცილისწამებას არ ვეპასუხებოდი. მტყუანსა და მართალს დრო და მომავალი გაარჩევს. მაგრამ თუ ეს რეპლიკა მაინც დავწერე, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან სასაცილო სურათი იხატება: ამ უკანასკნელ წლებში, რა უბედურებაც მომხდარა, ყველა ჩემი ბრალი ყოფილა.

«მრგვალი მაგიდა» თურმე ჩემი სიყვარულით იხრჩობოდა და მე არ შევუერთდი მას.

ბლოკი «თავისუფლებაც» ჩემი იმედით სუნთქავდა და იქიდანაც გამოვსულვარ.

ჯაბა იოსელიანი მე მივატოვე და განვუდექი (ასე თქვა მან 1992 წლის 9 ივლისს ტელევიზიით გამოსვლისას).

ჩემი «პოლიტიკური კეკლუცობით» ხომ სულმთლად დავაქციე ქვეყანა.

გულწრფელად რომ გითხრათ, არ ვიცოდი ასეთი важная фигура თუ ვიყავი. ახლა ერთი უმორჩილესი თხოვნა მაქვს: არ ვმონაწილეობ არც 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში. თუ ახლადარჩეული პარლამენტიც ისეთივე უვარგისი იქნება, როგორიც 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო იყო, ამას მე ნუღარ დამაბრალებთ.

1992 წ., 14 აგვისტო

**მერაბ-ბატონო!**

ა.წ. 27 იანვარს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გურამ მგელაძე (თქვენ ესაუბრებოდით მას). ეს იყო 25 იანვრის მწერალთა კავშირში ჩატარებული მეტად მღელვარე კრების პასუხი. რა თქმა უნდა, კარგია, როცა საზოგადოების მიერ გამოთქმულ აზრს ცდილობენ მაშინვე უპასუხონ და შექმნილ ვითარებაში სიცხადე შეიტანონ, მაგრამ არის ერთი გარემოება: ბატონმა გურამმა თქვა, რომ შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც მიწათგაცემის საკითხებზე იზრუნებს და

შეეცდება არ დაუშვას კანონის დარღვევა. ამ კომისიის წევრად მომიხსენეს მეც. ისიც ითქვა, რომ კომისიის სხდომა სამჯერ იყო და მას კომისიის წევრები ერთგულად ესწრებიან. სხვებისას ვერ გეტყვით, მაგრამ მე ამ სხდომებს არცერთხელ არ დავსწრებივარ. ისიც უნდა დავამატო, რომ არც დავესწრები. მოგახსენებთ _ რატომ. როცა ჩვენი საზოგადოება წუხს ქართული მიწა-წყლის მიტაცების გამო, იგი ჩივის და წუხს არა იმიტომ, რომ სადმე რომელიმე სოფელში ქართველი გლეხი კანონის დარღვევით დაიკავებს მიწის ნაჭერს: არა, იგი წუხს და ჩივის იმის გამო, რომ ქართული მიწა-წყალი, მიაქვს უცხო, არაქართველ ტომს (საკმარისია თუნდაც იმ მძიმე ვითარების შესწავლა, რაც ლაგოდეხის რაიონში შეიქმნა. აუცილებელია ტელევიზია იქ თავის წარმომადგენლებს თუ გაგზავნის და გადაცემას გააკეთებს). ვანიავებთ იმას, რაც ღმერთმა გვიბოძა და მამა-პაპებმა სისხლით დაიცვეს. სამწუხაროდ, აგრომრეწვში შექმნილი კომისიაც (და უფრო მაღალი სახელმწიფო ორგანოებიც) ქართული მიწა-წყლის გაცემის საკითხს უდგება, როგორც მიწის კანონმდებლობის დარღვევას და არა, როგორც მცოცავ დემოგრაფიულ აგრესიას. საქართველოში არაქართული მოსახლეობა ამჟამად ახორციელებს მცოცავ დემოგრაფიულ აგრესიას. თუ ამას უმტკიცესი წინააღმდეგობა არ გავუწიეთ, უახლოეს წლებში ქართველი თავის, ღვთისგან ბოძებულ სამშობლოში ხიზანი გახდება. ჩვენდა სავალალოდ, ასრულდება ის წინასწარმეტყველება, რაც ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოთქვა მიხეილ ჯავახიშვილმა «ჯაყოს ხიზნებში». მან კი იწინასწარმეტყველა, მაგრამ ვინ დაუგდო ყური! დღეს მაინც მივხედოთ ამას.

მცოცავი დემოგრაფიული აგრესია არ ხორციელდება არც შემთხვევით და არც ინსტინქტურად. იგი კარგად, ღრმად მოფიქრებული პროცესია, გათვლილი და გაანგარიშებული ყველა წვრილმანით. ამიტომ მცოცავ დემოგრაფიულ აგრესიას უნდა დაუპირისპირდეს ასევე ღრმად და კარგად მოფიქრებული მძლავრი ეროვნული პოლიტიკა. უამისოდ ჩვენ კატასტროფიული მარცხი დაგვატყდება თავს. აგრომრეწვის კომისიას საკითხი არც ასე ესმის და არც იმ ძალის არის, რომ ამგვარი პოლიტიკა განახორციელოს. ამიტომ ვამბობ უარს მასში მონაწილეობაზე. მონაწილეობას მივიღებ და ძალიან აქტიურადაც, თუ შეიქმნება მცოცავი დემოგრაფიული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული კომისია.

მე გთხოვთ, თქვენი უახლოესი გამოსვლისას საჯაროდ, ტელევიზიით წაიკითხოთ ჩემი ეს წერილი. მინდა საზოგადოებამ იცოდეს _ როგორია ჩემი დამოკიდებულება პრობლემისადმი.

თუ რაიმე მიზეზით უარს იტყვიან ამ წერილის წაკითხვაზე, მაშინ მე მას გადავცემ არაფორმალურ საზოგადოებათა პრესას გამოსაქვეყნებლად. მინდა, რომ ესეც იყოს ცნობილი, რომ ჩემი საქციელი მერე ვინმესათვის არ აღმოჩნდეს მოულოდნელი.

## მოქალაქეობის კანონის სამი პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონის სამ პროექტს გავეცანი. პირველი ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიულ კომისიას («საქართველოს

რესპუბლიკა», 1993 წ., 24 თებერვალი), მეორე _ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს («საქართველოს რესპუბლიკა», 1993 წ., 25თებერვალი), მესამე _ საქართველოს სახალხო ფრონტს («საქართველო», 1993 წ., №7).

ეს პროექტები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან. ამდენად, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო ავტორებს შეეჯერებინათ ისინი და მერე გამოექვეყნებინათ ერთი პროექტის სახით. რა თქმა უნდა, აღნიშნული იქნებოდა ავტორთა სამივე ჯგუფის სახელი. საერთოდ კარგი იქნება თუ დავამკვიდრებთ წესს: ყოველთვის მიეთითოს ამა თუ იმ კანონს პროექტის ავტორის (ავტორთა) სახელი. ასე ხდება ყველგან (ზოგჯერ ესა თუ ის კანონი მხოლოდ ავტორის სახელით არის ცნობილი) და ჩვენთანაც ასე უნდა მოვიქცეთ. ეს ავტორთა პასუხისმგებლობას გაზრდის. საზოგადოებას კი ეცოდინება, ვინ გასწია შრომა.

სამივე პროექტის კითხვისას საერთო შთაბეჭდილება დამრჩა: რაღაცის შიშით ვართულებთ საქართვლოს მოქალაქეობის კანონს. მაგალითა, საქართველოს რეპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისას სამივე პროექტი აუცილებლად მიიჩნევს ფიცის დადებას (შემოთავაზებულია ფიცის ტექსტიც). ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულ უნდობლობის გამომჟღავნებაა იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც სურს გახდეს საქართველოს მოქალაქე. თუ ვინმე ბოროტი განზრახვით ხდება საქართველოს მოქალაქე, მას ფიცი ვერ შეაშინებს და ვერც შეაჩერებს. თუ ადამიანი რწმენით და სიყვარულით ხდება საქართველოს მოქალაქე, ცხადია, იგი ფიცის მიუღებლადაც ერთგული იქნება. ფიცით ორგულს ხელ-ფეხს ვერ შევუკრავთ, ხოლო ერთგულს, გამოდის, ეჭვის თვალით ვუყურებთ. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: დაფიქრებასა და განსჯას მოითხოვს რამდენად აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას ფიცის დადება.

ორი პროექტი _ პარლამენტის იურიდიული კომისიისა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა _ აღნიშნავს, რომ ფიცის წარმოთქმის დროს თანაბარი უფლება ენიჭება ორ ენას _ ქართულსა და აფხაზურს. ჩემთვის პირადად სრულიად გაუგებარია სახელმწიფო დონეზე აფხაზთა მიმართ ამგვარი მლიქვნელობიოს გამოვლინება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამით აფხაზები მოიხიბლებიან და აღარ ისურვებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და საქართველოს სახელმწიფოდან გასვლას, ძალიან ცდება. ეს შეღავათი მათ საქართველოსკენ ვერ მოაბრუნებს. ხოლო, თუ ისინი მიხვდებიან თავიანთ შეცდომას _ დაუშვებელია საქართველოს მიწა-წყლის დაგლეჯა-დანაწევრება _ მაშინ მათ ეს შეღავათი არ ჭირდებათ. ასე, რომ მლიქვნელობა ფუჭია, შედეგს არ გამოიღებს. აფხაზთადმი ასეთი მლიქვნელური დამოკიდებულება სრულიად უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას აყენებს საქართველოში მცხოვრებ არაქართველობას, რომელთა რიცხობრივი რაოდენობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე აფხაზებისა. კანონი კანონია და მისი განხორციელება ყველას თანაბრად ევალება. თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღეისათვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა, მაშინ აფხაზი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი? თუ მას უფლება ეძლევა აფხაზურ ენაზე წარმოთქვას ფიცი, ეს ნიშნავს, რომ მას უფლება ეძლევა არ იცოდეს ქართული. კანონის პროექტში დაშვებული შეღავათი სხვა არაფერს ნიშნავს. აფხაზთადმი მლიქვნელობის გამართლება არ შეიძლება იმით, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიის აბორიგენი

მოსახლეობაა. ამის პრეტენზია სხვებსაც აქვთ _ სომხებს ჯავახეთში, ოსებს ცხინვალის ოლქში. თუ ჩვენ შევუდექით დავას _ ვინ არის, ქართველებს გარდა, საქართველოს აბორიგენი მოსახლეობა და ვინ არა _ ეს ისტორიის ისეთ უღრანში შეგვიყვანს, რომ იქიდან ვერასოდეს გამოვძვრებით. ამიტომ დავანებოთ თავი თვალთმაქცობას და კანონი თანაბრად გავავრცელოთ ყველაზე, აფხაზი იქნება იგი თუ რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

უეჭველია, რომ საქართველოს მოქალაქემ ქართული ენა უნდა იცოდეს, მაგრამ გასათვალისწინებელი გახლავთ ერთი გარემოება, რომელიც რთულმა ისტორიულმა ცხოვრებამ შექმნა. დღეს საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა (მათ შორის ქართველებმაც) ქართული ენა არ იცის. ბევრმა მათგანმა შეიძლება ვეღარც ისწავლოს. ბევრს უჭირს ენის სწავლა, მით უფრო ქართულის. მაგალითად, ქართული არ იცოდა ისეთმა დიდმა მეცნიერმა, როგორიც იყო გრიგოლ წერეთელი. გრიგოლ წერეთელი თავისი შეგნებით, ცნობიერებით იყო ქართველი მოქალაქე, დიდი ქართველი მოქალაქე. მაგრამ ბედუკუღმართობის გამო ბავშვობაში ვერ ისწავლა ქართული და მერე ასაკიანმა კაცმა ვეღარ შესძლო მისი ათვისება. რა ვუყოთ ასეთ ადამიანებს? რიგში ჩავაყენოთ, მერხზე დავსვათ და ვუთხრათ _ სანამ ქართულს არ ისწავლი საქართველოს მოქალაქის სტატუსს ვერ მიიღებო?

დიდი რაოდენობით ცხოვრობენ დღეს ქართველები ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, თავად რუსეთში. ბევრი მათგანი მოისურვებს სამშობლოში, საქართველოში დაბრუნებას. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი გამოაძევონ კიდეც. მათ შორის, ცოტა არ იქნება ისეთი, რომელმაც ქართული არ იცის. მათი ბედიც უნდა გავითვალისწინოთ. ამ ვითარებასაც ჭირდება ყურადღების მიქცევა.

ანდა, როგორ მოვეპყრათ არაქართველებს, რომელნიც ერთგულად, თავდადებით ემსახურებიან საქართველოს, მაგრამ ქართული ენა არ იციან. ვთქვათ, ისეთ კაცს, როგორიც იყო დირიჟორი სტლერმანი ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამ კაცმა ქართული მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით დანაშაული ჩაიდინა. სტოლერმანის ცოლი ქართული კულტურის მოძულე იყო. მან დაწვა «აბესალომ და ეთერის» კლავირი. სტოლერმანმა ვერ აიტანა ეს ველური საქციელი და მოჰკლა ცოლი. მაშინ მთელი საქართველო დადგა ფეხზე დირიჟორის დასაცავად. ასეთმა სტოლერმანებმა რომ გვითხრან დღეს _ მართალია, ქართული არ ვიცით, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა გვსურსო, რა ვუპასუხოთ? უარით გავისტუმროთ, რაკი ქართული არ იცის და საქართველოს მოქალაქეობა მივართვათ ვიღაც შარახვეტიებს, რაკი ქართულად დუდღუნებენ?

მე მგონია, ამ საკითხში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონმა უფრო დახვეწილი სახე უნდა მიიღოს. უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის, რა იცის და რა არა ამ თუ იმ პირმა, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა სურს, არამედ ისიც, თავად ვინ არის ეს კაცი, რა ცხოვრებით უცხოვრია და რა ღვაწლი დასდო საქართველოს.

აქ მივადექით ორმაგი მოქალაქეობის საკითხს. ამჟამად სამივე პროექტი კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას და კატეგორიულად ამბობს _ საქართველოს მოქალაქე ერთდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. იქნებ აქაც მეტი განსჯაა საჭირო?

დავუშვათ ასეთი რამ: ქართველი მარია სკლოდოვსკა ცოლად გაჰყვა უცხოელ პიერ კიურის. მაგრამ ამ ქალს, მისი დიდი მეცნიერული ტალანტის გამო, გულითა და სულით სურს ემსახუროს მთელ კაცობრიობას და, ცხადია, თავის სამშობლოსაც და ქმრის ქვეყანასაც. მოვთხოვოთ მას კატეგორიულად ან შენი სამშობლოს მოქალაქეობა აირჩიეო ან ქმრის ქვეყნისა? ხომ არ იქნება ეს ამ ქალის პიროვნული და ადამიანური უფლებათა ხელოვნური შეზღუდვა? სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იქნება. საჭიროა მერე ეს?

სხვა მაგალითსაც მოვუხმოთ განსჯისათვის. ვთქვათ, რომელიმე მარჯორი უორდროპმა ან არტურ ლაისტმა ითხოვა საქართველოს მოქალაქეობა. რა ვქნათ _ ალტერნატივის წინა დავაყენოთ ან საქართველოს მოქალაქეობა ან თქვენი სამშობლოსი, თუ საქართველოს მოქალაქეობის პატივი მივაგოთ ისე, რომ ხელი არ ვახლოთ მათ ადრინდელ მოქალაქეობას?

კანონი სრულყოფილი ვერ იქნება. ყოველთვის დარჩება რაღაც უკმარობის გრძნობა. მაგრამ მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, ნუ მოვაკლებთ ხელს მის დამუშავებას, რომ უფრო ღრმა და მრავალფეროვანი გავხადოთ იგი. ისეთი გავხადოთ, რომ ითვალისწინებდეს ცხოვრებისაგან მოსალოდნელ ნიუანსებს.

მე თუ მკითხავდა ვინმე, იმასაც ვიტყოდი, რომ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს საქართველოს მოქალაქეობის მიღების დამაგვირგვინებელი ინსტანცია იყოს სახელმწიფოს მეთაური. ეს საქმე იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს. როგორმე უნდა მოვიშალოთ გართულების ტენდენცია და ბიუროკრატიზმი.

პროექტში გამოყენებულია ცნებები _ გასვლა, დაკარგვა, ჩამორთმევა. შეიძლება ამ ცნებებს საბჭოური სამართალი იყენებდა, მაგრამ დღეს საჭიროა, სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, დაიხვეწოს ქართული იურიდიული მეტყველებაც. ამ სამი ცნებიდან ერთი _ დაკარგვა (საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა) _ აშკარად მიუღებელია. დაკარგვით შეიძლება დაიკარგოს რაიმე კონკრეტული ნივთი _ დაიკარგა საფულე), დაიკარგა წიგნი და ა.შ. დაკარგვა უნებლიე აქტია. მოქალაქეობა არ შეიძლება დაიკარგოს. მოქალაქეობა შეიძლება ჩამოერთვას, რაიმე დანაშაულთა მიზეზის გამო ან პიროვნებამ გარკვეულ მოსაზრებათა შედეგად უარი თქვას მოქალაქეობაზე. ამდენად, არსებობს ორი პროცესი _ საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა ან საქართველოს მოლაქაქეობაზე უარისთქმა. პირველი გარკვეული ფორმაა სასჯელისა, მეორე _ პროტესტისა. არავითარი მესამე აქტი (დაკარგვის სახით) არ არსებობს. მომავალ კანონში, ჩემი აზრით, უნდა დარჩეს ორი ცნება _ ჩამორთმევა და უარისთქმა. ცნებამ «უარისთქმა» უნდა შეცვალოს ცნება «გასვლა». «საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა», ქართულ მეტყველების თვალსაზრისით, ყოვლად უვარგისი გამოთქმაა. როგორც არ შეიძლება ითქვას «საქართველოს მოქალაქეობაში შესვლა» (არც იყენებენ ამას პროექტის ავტორები), ასევე წარმოუდგენელია ვინმე ამბობდეს _ «საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა». ამის მაგიერ უნდა იყოს _ საქართველოს მოქალაქეობაზე უარისთქმა.

(ჩემი აზრით, საკმარისი იქნებოდა კანონის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია რა ვითარებაში შეიძლება ამა თუ იმ პირს ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა,

დაგვემატებინა: თუ მოქალაქე არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, არ იცავს მას, ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა).

როგორღაც დღეს აქტიურად ცდილობენ ქართული მეტყველებიდან გააძეონ «ცოლ-ქმარი» და დაამკვიდრონ «მეუღლეები». რა დანაშაულისთვის აითვალწუნეს ცნება «ცოლ-ქმარი» არავინ უწყის. ამ ცდუნებას გვერდი ვერ აუხვიეს ვერც პროექტების ავტორებმა. ვფიქრობ, რომ, თუ კანონში შემოვიტანთ ცნებას «ცოლ-ქმარი», გაცილებით მკაფიოდ იქნებოდა აზრი გამოთქმული. მაგალითად, პროექტში წერია: «ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს მეორე მეუღლის მოქალაქეობის შეცვლას». თუ არ ვცდები, გაცილებით ნათელი იქნება თუ დავწერთ: «ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლა თავისთავად არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის შეცვლას და პირუკუ (პირიქით)».

ასევე უმჯობესი იქნებოდა «განქორწინების» ნაცვლად აღგვედგინა «გაყრა». მართალია «განქორწინება» ფეხმოდგმულია ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ ხალხი არ ამბობს _ განქორწინდნენო. ამბობს _ გაიყარნენო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველქართულად «განქორწინება» ნიშნავს «გათხოვებას». ერთ ქართველ მეცნიერს ამის გამო კურიოზული შეცდომა მოუვიდა. მატიანეში წაიკითხა _ ამა და ამ მეფის ასული განქორწინდაო _ და ამაზე მთელი «თეორია» ააშენა, რატომ გაეყარა ქრისტიანი ქალი მაჰმადიან ქმარს და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას საქართველოსათვის. არადა, მატიანეში უბრალო გათხოვების ფაქტი იყო აღნიშნული. მართალია, პროექტის ავტორები ამ კურიოზის გამო დადგენილ ტერმინს არ შეცვლიან, მაგრამ ის კი უნდა ვცადოთ, რომ პროფესული მეტყველება ბუნებრივ ენას დავუახლოვოთ და ხელოვნურად არ შევაკოწიწოთ ტერმინები. ამით ლაკონურ, ზუსტ, აზრითდატვირთულ, ნათელ მეტყველებას სწავლობდა ადამიანი. კარგი მაგალითი რატომ არ უნდა ავითვისოთ?

საქართველოს სახალხო ფრონტის პროექტში გამოყენებულია ცნება _ «ქორწინების გარეშე შობილი შვილი». ერთი ცნების აღსანიშნავად ოთხი სიტყვაა ნახმარი. ძველქართულში კი ამის შესატყვისად ერთი იურიდიული ტერმინი არსებობს _ «უხსნიერი». ძველი ქართული სამართალი იცნობდა ცნებებს _ «უხსნიერი», ანუ, როგორც დღეს ვამბობთ, «ქორწინების გარეშე შობილი შვილი» და «თავხსნიერი», ანუ «ქორწინებაში შობილი შვილი». ორივე ცნება-ტერმინი უნდა აღვადგინოთ და დავამკვიდროთ დღევანდელ იურიდიულ მეტყველებაში.

თუ ერთმანეთს ყურს დავუგდებთ, მოვუსმენთ, საქართველოს მოქალაქეობის კანონს ნელნელა და თანდათანობით დავხვეწავთ და ჩვენი ხალხის იმ ინტერესსაც დავაკმაყოფილებთ, რაც ამ კანონის მიმართ არსებობს.

1993 წ.

## ომის ვითარებაში არ შეიძლება თავის მართლება!

(სიტყვა წარმოთქმული მინისტრთა კაბინეტში, მთავრობისა და პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას 1993 წ. 7/VII)

ნუთუ, ისე წახდა ჩვენი საქმე, რომ არც ახალგაზრდას, არც ხანდაზმულს არავითარი ტემპერამენტი, არავითარი ემოცია არა აქვს, რომ დღეს არ ილაპარაკოს ისეთ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტა ჩვენ ძალიან კარგად ვიცით _ ამ ვითარებაში არ მოხერხდება. ვილაპარაკოთ იმაზე, რაც მართლა სტკივა ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხს? ნუთუ, ჩვენში არანაირ ემოციას არ იწვევს ის ამბები, რაც აფხაზეთში ხდება?! _ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მთელი ქართველი მოსახლეობის განადგურება და აი, ამ მიზნით მოდის რუსი საქართველოში! არ მოდის აფხაზი, არ მოდის ჩრდილოეთ კავკასიელი! მოდის რუსი, რომელსაც დაქირავებული ჰყავს როგორც აფხაზი, ისე ჩრდილოეთ კავკასიელი, სხვები და სხვები. მაშასადამე, ამას ძალიან შორეული მიზანი აქვს და მერწმუნეთ, თუ ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც დღეს ვიქცევით, _ ხვალ თბილისში განმეორდება ის, რაც მოხდა გაგრაში, ლესელიძეში, განთიადში!.. ამას მიაქციეთ ყურადღება! _ რისი მწერლები ხართ, რისი ჟურნალისტები _ ასეთი გულცივი და ასეთი უგულო? _ რა არის ეს? _ ბატონო თენგიზ, თქვენ უნდა გისაყვედუროთ! _ არასოდეს, განსაკუთრებით საომარ ვითარებაში არავითარი ქვეყნის მართვა არ შეიძლება თხოვნით! ქვეყნის მართვა შეიძლება ბრძანებით, განკარგულებით და სასჯელით. ხელისუფლებას თუ ეს არ შეუძლია, უნდა წავიდეს! იმიტომ რომ არ შეიძლება, ეხვეწო ხალხს _ ეს გაგვიკეთეთ, ის გაგვიკეთეთ, უნდა უბრძანო _ ეს გააკეთეთ და თუ არ გააკეთეს, უნდა დაისაჯონ. სხვანაირად არ შეიძლება ომის პირობებში არსებობა. როგორ შეიძლება, თქვენ ელაპარაკოთ ხალხს, რომელიც დღედაღამ ტყუილს წერს პრესაში და რაღაცა ჭორებს, ქუჩაში გაგონილს ავრცელებს. უთხარით, რომ თავი შეიკავონ, ამას ნუ დაბეჭდავთ, იმას ნუ დაბეჭდავთ _ ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება _ უნდა იყოს მკაცრი სამხედრო ცენზურა, რადგან სხვაგვარად უკვე შეუძლებელია მუშაობადა ეს არ ნიშნავს თავისუფლების შეზღუდვას. თავისუფლება თავაშვებულობა არ არის! დღეს საქართველოში თავაშვებულობაა! ეს არ შეიძლება, დედამიწის ზურგზე არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია თავაშვებული არსებობა და ვერც საქართველო იარსებებს ასე. აი, ამიტომ უნდა შემოვიღოთ მკაცრი ცენზურა სამხედრო ინფორმაციასთან დაკავშირებით – შემოწმდეს ინფორმაცია, რომელსაც იდეოლოგიური მიზანდასახულება ექნება. განა რუსმა არ იცის, რომ ქართველ ოფიცერს იარაღი არ დაუყრია. მაგრამ ეს პროპაგანდაა, იმისათვის, რომ გული გაგიტეხოს. რატომ არ ვწერთ ჩვენ იმას, რომ აფხაზმა ოფიცრებმა დაჰყარეს იარაღი? ეს პოლიტიკაა ხომ! ამას სჭირდება გაკეთება! იმან იცის, რას აკეთებს და როგორ აკეთებს და ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით. ბოლოსდაბოლოს, სამი წელი შესრულდება უკვე, რაც საქართველოში ეროვნული ხელისუფლებაა და ვერაფერი ვერ გააკეთა, ვერაფერი! _ ლანძღვა-გინებისა, ერთმანეთის თავზე ლაფის დასხმისა და სხვა ამგვარი უნამუსობის მეტი. ქვეყანა კი გადარჩება ასე?

ამას სჭირდება სერიოზული მოფიქრება, ამას სჭირდება სერიოზული ორგანიზაცია და სერიოზული ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ხელისუფლება მართავს ქვეყანას!

არ შეიძლება, ვეხვეწოთ ერთმანეთს _ ამას ნუ გავაკეთებთ, იმას ნუ გავაკეთებთ, ასე მოვიქცეთ _ ისე მოვიქცეთ _ ასე არაფერი არ გამოვა, _ კიდევ ვიმეორებ, ჩვენ დღესვე უნდა

შევქმნათ ძალიან სერიოზული ჯგუფი იმისათვის, რომ იდეოლოგიური ბრძოლა აწარმოოს მტრის წინააღმდეგ.

ომის ვითარებაში არ შეიძლება თავის მართლება! თუ ჩვენ ვაიძულებთ ქართველ ჯარისკაცს 18 საათი და 24 საათი ჭაობში ეგდოს, ციოდეს, წყუროდეს, შიოდეს, _ მაშინ ჩვენც კეთილი ვინებოთ და ისე ვიმოქმედოთ, როგორც ომს შეეფერება! ვაკეთოთ, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენც ავღელდეთ. ჩვენც რაღაცა ემოცია გვქონედს ჩვენი! უყურებთ დღეს თბილისს. განა, თბილისში ვინმეს ეტყობა, რომ ომია საქართველოში? განა, ვინმეს ეტყობა საქართველოში, რომ აფხაზეთში ახალგაზრდები იხოცებიან? _ არავის არ ეტყობა ეს, ხალხო! ასე არ შეიძლება _ შენ, საკუთარი ხალხის ბედის მიმართ ხომ უნდა გქონდეს დამოკიდებულება? შეუძლებელია ეს! შეუძლებელია იმის გამო, რომ, კიდევ ვიმეორებ, გლახა ჭრიაშვილისათვის გაუთავებლად _ თუ აფხაზეთში წავაგეთ ომი, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ _ ხვალ საქართველო არ იარსებებს! როგორც კი აფხაზეთში წააგებთ ომს _ ვერ დაიბრუნებთ შიდა ქართლს! ეს ისეთი ზუსტია, როგორც _ ორჯერ ორ ოთხია. იმიტომ, რომ გლახასა და მათხოვარს არავინ დაუგდებს ყურს, არავინ გაუწევს ანგარიშს და არ იქნება ის დამოკიდებულება, ბატონო! _ თქვენ კეთილი ხალხი ბრძანდებით, მშვიდობიანი ხალხი ბრძანდებით, პატიოსანი ხალხი ბრძანდებით და ჩვენ ამას არ წაგართმევთო? _ წაგვართმევენ ყველაფერს! _ იმის გამო, რომ მიმდინარეობს ტერიტორიის გადანაწილება, მიმდინარეობს სწორედ ის პროცესი, რაც ყოველთვის ახლავს ხოლმე რომელიმე დიდი სახელმწიფოს დაშლას და აი, ამიტომ ასეთი დამოკიდებულება შეუძლებელია, წარმოუდგენელია!

ჩვენ წამდაუწუმ ვლაპარაკობთ იმას, რომ ინფორმაციული ომი წავაგეთ. ჯერ ერთი, ინფორმაციული ომი წავაგეთ უკვე 1921 წლიდან, როდესაც ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ აფხაზი მოსახლეობის სულიერ სამყაროში ჩანერგილიყო საქართველოს ფანატიკური სიძულვილი და ეს სიძულვილი დღეს ჩანს ყოველ ნაბიჯზე _ მაშინ წავაგეთ უკვე ომი! _ მაგრამ ამ წაგებულ ომს რაღაცნაირად შემობრუნება სჭირდება! _ დღეს, მაინც, უნდა გავაკეთოთ ეს საქმე, რადგანაც სხვანაირად შეუძლებელია ჩვენი არსებობა!

რომელ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე შეიძლება ლაპარაკი? რომელ თავისუფალ ქვეყანაზე? ხვალ საერთოდ არაფერი არ არსებობს _ თუ ასე გაგრძელდა, როგორც ეს დღეს მიმდინარეობს. ამიტომ უნდა გავიჭირვოთ კიდეც: თუ არ გვაქვს საშუალებანი, მოვძებნოთ გზები, ყველაფერი უნდა მოვძებნოთ, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ის ამოცანა შესრულდეს, რა ამოცანასაც ომი ჩვენს წინაშე აყენებს. ეს ომი ასე იოლად არ დამთავრდება, თქვენ ამას ძალიან კარგად ხედავთ _ ხელისუფლებაც ხედავს და ხალხიც ხედავს ამას. არ დამთავრდება იმის გამო, რომ ამას ძალიან დიდი მიზანი აქვს. თქვენ დააკვირდით, რა განცხადება გააკეთა გუშინ თუ გუშინწინ არძინბამ? _ ჩვენ ქალაქები არ გვჭირდება, ჩვენ ტერიტორია გვჭირდებაო. ე.ი. ის მოდის, როგორც გამანადგურებელი, რომელიც არაფერს დატოვებს. მას ურჩევნია _ უდაბნო იყოს ამ ადგილას, ოღონდ თვითონ იყოს გამარჯვებული. ასეთ მტერს, აი, ასე უნდა ველაპარაკოთ, როგორც ახლა ველაპარაკებით? რატომ არ ვხედავთ, რომ ამის უკან უზარმაზარი იმპერია დგას და ის აიძულებს მას, ყველაფრის გაკეთებას. თორემ ბოლოსდაბოლოს არძინბაც ხომ კაცია და რაღაც ადამიანური გრძნობა აქვს. ის

სოხუმშია დაბადებული, გაზრდილი, ნამუშევარი _ დაწვეს და გაანადგურეს ყველაფერი! რაღაც ადამიანური სიმი არ კრთის მასში? მაგრამ არ კრთის! _ იმის გამო, რომ ის სხვისი ყმაა და უნდა შეასრულოს, რასაც ავალებენ. ეს ბუნებრივი ამბავია რუსეთის ცნობიერებაში. 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც თურქებმა კავკასიის ფრონტი გაარღვიეს და საქართველოსა და სომხეთში შემოიჭრნენ, მაშინ თბილისში საგანგებო კრება მოიწვია მაშინდელმა კავკასიის გამგეობამ, გამოვიდა გენერალი, რომელიც კავკასიის ფრონტის სარდალი იყო და განაცხადა: აი, ახლა თურქებმა ფრონტი გაარღვიეს, ისინი შემოდიან თურქეთიდან საქართველოში და ჩვენ არაფერი არ უნდა დავტოვოთ, ჩვენ უნდა გადავწვათ მთელი ეს ტერიტორია. ქართველები და სომხები ჩრდილოეთ კავკასიაში გადავასახლოთ და მთელი კავკასია უდაბნოდ უნდა ვაქციოთ, რომ მასზე მტერმა ვერ გაიხაროსო.

აი, ამ ტრადიციის გაგრძელებაა ის, რაც დღეს კავკასიაში ხდება. ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ რუსეთის ისტორიაში და რაკი ჩვეულებრივი მიოვლენა, ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე და რაკი ასეთ მტერთან გვაქვს საქმე _ შესაფერისი დამოკიდებულებაც უნდა გამოვიჩინოთ. თუ ძალა არა გვაქვს, გული მაინც ხომ უნდა გვქონდეს! ამიტომ მე მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში ყოველგვარი თხოვნით ლაპარაკი უნდა შეწყდეს ყველასთან! _ არა მარტო პრესასთან, არამედ ყველასთან!

დღევანდელი ვითარების შესაბამისად საქართველოში უნდა არსებობდეს სამხედრო წესრიგი, ყველაფერი უნდა ემორჩილებოდეს ომის კანონს _ ეს ეხება ეკონომიკასაც, ეს ეხება მრეწველობასაც, ეს ეხება სოფლის მეურნეობასაც, ეს ეხება პრესასაც. ამის გადაწყვეტილება ხელისუფლებამ უნდა მიიღოს, თუ ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, მე გეუბნებით თქვენ, დაღუპავთ საქართველოს და როგორც თანამედროვეთა, ისე თაობების წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება დღევანდელ ხელისუფლებას.

კონკრეტულად პრესა, საუკეთესო ნაწილი ჩვენი ჟურნალისტებისა, უნდა იყოს მობილიზებული იმისათვის, რომ ომის იდეოლოგიის თვალსაზრისით იმუშაოს _ იწერებოდეს წერილები იმ ვაჟკაცობაზე და იმ გმირობაზე, რომელსაც ჩვენი ჯარისკაცები სჩადიან, რომ ამან სულიერი ამაღლება გამოიწვიოს ჩვენს საზოგადოებაში, იწერებოდეს წერილები იმ მზაკვრობასა და უბედურებაზე, რომელსაც მოწინააღმდეგე სჩადის და ერთხელ და სამუდამოდ დავარქვათ ომს ნამდვილი სახელი და ვუწოდოთ მას რუსეთ-საქართველოს ომი!

მეტსაც მოგახსენებთ – მე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ გამოვიძახოთ საქართველოს ელჩი მოსკოვიდან და რუსეთის ელჩი საქართველოდან გავაძევოთ. ბოლოს და ბოლოს, უნდა შეწყდეს ეს თვალთმაქცობა და ტყუილები! კი ბატონო, ჩვენ ვართ პატარა ერი და ძლიერია დიდი რუსული სახელმწიფო, მაგრამ ჩვენ სულით უნდა ვაიძულოთ, რომ ის წელში გადატყდეს, მეტი გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს! სულიერი სიმკაცრით, სხვათაშორის, აფხაზებმა გვაჯობეს _ ისინი ცუდს აკეთებენ, თუ კარგს აკეთებენ, სულიერად ძალიან მტკიცენი არიან. აი, ეს სიმტკიცე უნდა გამოვამჟღავნოთ ჩვენ. დღევანდელი განწყობილება, რომელიც ამ დარბაზშია _ არის განწყობილება დამრაცხებულისა! ეს არ უნდა დავუშვათ! ამიტომ როგორც ჟურნალისტებს, ისე ხელისუფლებას ვთხოვ, რომ ყველაფერი ის, რაც დღეს ხდება – კარგად გავაცნობიეროთ! ვთქვათ, რომ ეს არის ნამდვილი ომი და საქართველოში

ყველაფერი უნდა დამორჩილდეს ომის წესს _ ეს ყველას ეხება, ყველა მოქალაქეს! _ ვინც დღეს საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს. შესაბამისი კანონებიც უნდა იყოს მიღებული, შესაბამისად უნდა იყოს ყველაფერი ეს გადაწყვეტილი და მთავრობამაც ეს კურსი უნდა აირჩიოს!

## პასუხისმგებელი ვართ

შემზარავი ცნობა გადმოსცა დღეს საქართველოს ტელევიზიამ: რუსეთმა აფხაზეთი წაგლიჯა საქართველოს. ვითარებისა და მდგომარეობის გაუბრალოება და შემსუბუქება მიზანშეწონილი არ გახლავთ, ეს არის ძალიან დიდი მარცხი საქათრველოსი, მაგრამ მიუხედავად ამ სასტიკი და საშინელი დამარცხებისა, მაინც უნდა შევძლოთ შინაგანი სიმტკიცის გამოჩენა და სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ. საქართველოს, ქართველ ხალხს შეუძლია დღევანდელი მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევა, თუ რა თქმა უნდა, იგი გამოიჩენს საუკეთესო თვისებებს: სიმტკიცეს, მოთმინებას, გამძლეობას, გამჭრიახობას, გონიერებას და ჭკუას იმისათვის, რომ დამარცხება ბოლოსა და ბოლოს გამარჯვებად გადააქციოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ სასტიკი დამარცხებისაგან უნდა სერიოზული გაკვეთილი გამოვიტანოთ, ამიტომ ბავშვურ ოცნებას და ილუზიებს თავი უნდა დავანებოთ, ერთი გაკვეთილი ეს გახლავთ; მეორე გაკვეთილი გახლავთ ის, რომ საქართველოს აი, ამ მძიმე ბრძოლაში და იმ ბრძოლებშიც, რომელიც, ალბათ, მომავალშიც ექნება, საქართველოს არავინ გაუწევს დახმარებას, არც ევროპა, არც ამერიკა და არც აზია. უნდა თვითონ მოვახერხოთ ჩვენი თავის პატრონობა; მესამე გაკვეთილიც სწორედ ეს იქნება, რომ ჩვენ ქართველები უნდა ვიყოთ ჩვენი თავის პატრონი. ჩვენ ქართველებმა უნდა ვუმკურნალოთ ჩვენ თავს და მოვიპოვოთ გამარჯვება. შეუძლია თუ არა ეს ქართველ ხალხს? _ რა თქმა უნდა შეუძლია, რადგან ამას ამტკიცებს და ასაბუთებს ჩვენი ისტორია, ამას ამტკიცებს და ასაბუთებს ისეთი პატარა ხალხების არსებობა და თავისუფლება, როგორიც საქართველოა. ჩვენ ჩვენი გრძელი ისტორიის განმავლობაში ბევრი და დიდი გასაჭირისათვის გაგვიძლია სწორედ იმის გამო, რომ გამოგვიჩენია ამ დუხჭირ ვითარებაში საუკეთესო თვისებები გამძლეობისა, გაბედულებისა, გონიერებისა, გამჭრიახობისა და ყველაფერი იმისა, რაც ადამიანს ამშვენებს და ადიდებს. ამიტომ დღესაც იგივე თვისებები უნდა გამოვავლინოთ ჩვენ და გავიმეოროთ ის გამარჯვება, რომელიც საქართველოს ჰქონია მისი გრძელი ისტორიის მანძილზე. რა თქმა უნდა, დღევანდელ ვითარებაში ჩვენ უპირველესი რამ უნდა გავითვალისწინოთ და ყველამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. ეს გახლავთ ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვდგავართ სამოქალაქო ომის საშიშროების პირისპირ და დღეს საქართველომ, საქართველოს ხალხმა, მისმა გონიერმა და საუკეთესო შვილებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ რუსეთმა ვერ მოახერხოს საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირება. დღეს უნდა დავანებოთ ჩვენ თავი ერთმანეთზე გადაბრალებას ამა თუ იმ შეცდომისა, ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას და ძმური ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი ბოლოსა და ბოლოს ვიხსნათ ყველა იმ

უბედურებისაგან, რომელიც მას თავს დაატყდა. მარტო აფხაზეთის წაგლეჯა არ გახლავთ დღევანდელი საქართველოს უბედურება, თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა მძიმე ეკონომიკური ვითარებაა საქართველოში, როგორი კრიმინოგენური ვითარებაა საქართველოში და ა.შ. და ა.შ. და ყველაფერ ამას რომ ვუპატრონოთ ამისათვის ჭირდება ქართველ ხალხს ერთიანობა, ერთ მუჭად შეკვრა და ბრძოლა იმისათვის, რომ ყველა გასაჭირს თავი დავაღწიოთ. მართალია, ქართველობა ემოციური ხალხია და როგორც გამარჯვების აღტკინებას, ისე დამარცხების სიმძიმეს თანაბარი ემოციით მიეცემა, მაგრამ არის ვითარება, როდესაც ჩვენ სწორედ აი, ამ ემოციურ, უეცარ განწყობილებას უნდა შევებრძოლოთ და სწორედ გონიერებას მოვუხმოთ. მოვუხმოთ შინაგან სიმშვიდეს, სიდინჯესა და სიმტკიცეს. იმისათვის, რომ მძიმე ვითარებისაგან ღირსეულად დავაღწიოთ თავი, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ ამის გაკეთება თავისუფლად შეგვიძლია, შეგვიძლია სწორედ იმის გამო, რომ ეს თვისება ჩვენს ხალხს აქვს და ეს თვისება გამომჟღავნებულია ჩვენს ისტორიაში, ჩვენს მწერლობაში. ბოლოა და ბოლოს რისთვის იყვნენ ჩვენში დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, გიორგი მესამე და სხვანი და სხვანი. ესაა ჩვენი მომავალი პოტენცია, ესაა ჩვენი ძალა, რომელიც ჩვენ მომავალში გაგვამხნევებს.

რისთვის დაიწერა საქართველოში «ვეფხისტყაოსანი», რისთვის წერდა ვაჟა-ფშაველა, რისთვის არსებობდა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვანი და სხვანი. აი, ეს არის საქართველო და ჩვენ ამ საუკეთესო საქართველოსაგან უნდა ვისწავლოთ დღევანდელი საქართველოს მშენებლობა. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ არა მარტო დღევანდელი დღის წინაშე, პასუხისმგებელი ვართ არა მარტო მომავლის წინაშე, არამედ პასუხისმგებელი ვართ წარსულის წინაშეც. ჩვენ დავით აღმაშენებელს მივმართავთ და პასუხისმგებელი ვართ, შოთა რუსთაველის მიმართაც პასუხისმგებელი ვართ, სულხან-საბა ორბელიანის, ილიას, აკაკისა და ვაჟას წინაშეც პასუხისმგებელი ვართ და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ აი, ამ პასუხისმგებლობის გამო მოვალე ვართ, რომ დღევანდელ ვითარებას ღირსეულად შევხვდეთ. თავდაჭერილად შევხვდეთ და არავითარი შინა აშლილობას, სასოწარკვეთილებას და უიმედობას თავი არ მივცეთ, რადგან მხოლოდ ამ თვისებების გამოვლენით შეგვიძლია ჩვენ დავაღწიოთ ყველა უბედურებას თავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მტერი დიდია, ძლიერია და ყველა საშუალება აქვს მას იმისათვის, რომ საქართველოს ებრძოლოს, მაგრამ საქართველოსაც აქვს საშუალება იმისათვის, რომ მტერს ებრძოლოს. ეს საშუალება გახლავთ სწორედ ქართველი კაცისა და მთელი ქართველი ხალხის გონიერება. მთელი ქართველი ხალხისა და ქართველი კაცის ჭკუა. და აი, ჩვენ ამ ჭკუითა და გონიერებით უნდა ვაჯობოთ მტერს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ბრძოლაში, რომელიც აფხაზეთში მიმდინარეობდა რუსეთის წინააღმდეგ, ეს გონიერება და ჭკუა ბოლომდე ვერ გამოვიჩინეთ და უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა მოვლენას ცოტა ზერელედ შევხედეთ, მაგრამ დამარცხებამ კი რა თქმა უნდა, უნდა გვასწავლოს სწორედ ზერელობის დავიწყება. უნდა გვასწავლოს სწორედ სერიოზული დამოკიდებულება იმ რთული მოვლენების მიმართ, რომელიც დღევანდელ საქართველოში გაჩნდა და ესეც ბუნებრივი გახლავთ, ბუნებრივი გახლავთ იმიტომ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ არის

უბრალო მოვლენა, ეს იოლად არ მოდის, ამას ჭირდება დიდი შრომაც, დიდი ბრძოლაც და დიდი გაბედულებაც და სწორედ, რაკი ჩვენ ამ გზას დავადექით, ბოლომდე უნდა ვიაროთ ამ გზით, მაგრამ უნდა ვიაროთ რწმენით, უნდა ვიაროთ შინაგანი სიმტკიცით და იმ გონიერებით, რომელიც სწორედ ამ ვითარებაში არის აუცილებელი და საჭირო. ჩვენ სხვების მაგალითის მოშველიებაც შეგვიძლია, უფრო დიდი დამარცხება ვიდრე გერმანიამ განიცადა XX საუკუნეში, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ერისათვის, ანდა იაპონია; იაპონიაში გამოსცადეს საუკუნის ყველაზე საშინელი იარაღი, მაგრამ, როგორც გერმანელი ხალხი, ისე იაონელი ხალხი ფეხზე წამოდგა და ფეხზე წამოდგა სწორედ შინაგანი სიმტკიცის წყალობით. ჩვენ წამოვდგებით ფეხზე, რა თქმა უნდა, თუ გამოვიჩენთ ამ შინაგან სიმტკიცეს, თუ გამოვიჩენთ იმ რწმენას საკუთარი ეროვნული ენერგიის მიმართ, რომელიც საქართველოსა და ქათრველ ხალხს უნდა ჰქონდეს.

და მე ღრმად მჯერა იმისა, რომ დღევანდელი გაკვეთილი, დღევანდელი დამარცხება სასტიკი და საშინელი, იქნება სწორედ საფუძველი იმისა, რომ ჩვენ გამოვფხიზლდეთ, მკაფიოდ და ნათლად დავინახოთ ის, რაც ჩვენს თავზე ტრიალებს და შესაბამისად მოვიქცეთ. ამიტომ მაქვს მე იმედი იმისა, რმო დღევანდელი დამარცხება ხვალ ჩვენს გამარჯვებად იქცევა.

ტელევიზიაში გამოსვლა. 1993 წ. 30/IX

## სიტყვა, რომელიც ვთქვი 1993 წლის 22 ნოემბერს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამართულ საზეიმო საღამოზე

წმ.გიორგობის აღსანიშნავად

დიდად პატივცემულო საზოგადოებავ!

უმძიმეს ვითარებაში დღესასწაულობს საქართველო, ქართული არმია წმ.გიორგობას. დამარცხებული ვართ. საქართველოს ტერიტორიის 17,9%, ანუ 12 ათას ხუთასი კვადრატიული კილომეტრი ოკუპირებულია მტრის მიერ. ასეთი დამარცხება საქართველოს არ განუცდია მას მერე, რაც თურქეთმა წაგგვლიჯა ისტორიული მიწა-წყალი, დღეს «თურქეთის საქართველოდ» წოდებული. გულწრფელად რომ გითხრათ, მე არ მჯერა იმისა, რომ პოლიტიკური მოლაპარაკების გზით დავიბრუნებთ წართმეულ შიდა ქართლსა და აფხაზეთს. რაც ძალით წაიღეს, ძალითვე უნდა დავიბრუნოთ. აკაკი წერეთელი ამბობდა:

«რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?!»

თავისუფლება-დამოუკიდებლობა ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ და შრომით უნდა განვამტკიცოთ. ამას რომ მივაღწიოთ, სულ მცირე სამი რამ მაინც უნდა გავაკეთოთ.

პირველი: უნდა შევქმნათ მძლავრი სამხედრო მრეწველობა. ვერავითარი არმია ვერ ჩამოყალიბდება თვინიერ სამხედრო მრეწველობისა. ნათხოვარი და ნაყიდი იარაღიც

ვერცერთი არმია ვერ მოიგებს ომს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს საკუთარი მძლავრი სამხედრო ინდუსტრია ჰქონდეს.

მეორე: ქართულ არმიას სჭირდება გაწაფულობაც, განსწავლულობაც და ცოდნით აღჭურვაც. დღეს სამხედრო საქმიანობა მეცნიერებაა. ეს კარგად უნდა ესმოდეს არა მარტო ყოველ ქართველ ჯარისკაცს, ოფიცერსა და გენერალს, არამედ საქართველოს ყოველ მოქალაქეს.

მესამე: ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არმიას უყურებენ როგორც ერის იმედს, სიამაყეს და ღირსებას. ეს სახელი რომ დაიმკვიდრო, აუცილებელია ქართული არმია იყოს დისციპლინირებული, კულტურული, ზნეობრივი. ქართველი ადამიანის ცნობიერებაში მხედრის სახე ჩამოყალიბებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი მაზნიაშვილის და სხვათა მიერ. ისინია ეტალონი, რომელიც სანიმუშო უნდა გახდეს დღევანდელი ქართული არმიისათვის.

რაც ჩამოვთვალე იმას მაშინ მივაღწევთ, როცა მთელი საქართველოს მოსახლეობა დაირაზმება ერთიანი ქართული არმიის ჩამოსაყალიბებლად. იმ დღეს, რა დღესაც ჯონ კენედიმ პრეზიდენტობის ფიცი დადო, ამერიკელ ხალხს მიმართა: ნუ იკითხავთ იმას, რა გააკეთა ამერიკამ თქვენთვის. იკითხეთ ის, რა გააკეთეთ თქვენ ამერიკისათვის. თუ ამ სიტყვებს გავიმეორებთ, უნდა დავსვათ კითხვა: რა გააკეთა ყველა ჩვენგანმა საქართველოსათვის, ქართული არმიისათვის. თუ ყველა ჩვენთაგანი იმას გააკეთებს, რაც შეგვიძლია, მაშინ წმ.გიორგობის მომავალ დღესასწაულს, ერთი წლის შემდეგ, არ შევხვდებით დამარცხებულის სევდიანი და უნუგეშო თვალებით. შევხვდებით გამარჯვებულის სიამაყითა და ღირსებით.

## საკონსტიტუციო კომისიას აკაკი ბაქრაძის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი («კავკასიონი», 1995, 30 მაისი). მაგრამ კონსტიტუციის პროექტის ტექსტის შესახებ კიდევ უფრო ღრმა ანალიზმა დამარწმუნა, რომ იგი სრულიად უგულებელყოფს საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული წრეები დაჟინებით ცდილობენ თავს მოახვიონ იგი ქართველ ხალხს.

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია უნდა დაიწეროს სრულიად ახალი პრინციპით და არა ისე, როგორც იწერებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, როდესაც უმთავრესი ყურადღება ექცეოდა იმას, რა ესიამოვნებოდათ და რა გაეხარდებოდათ მოსკოვში, ანდა რას გვიკარნახებდნენ იქიდან.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მოსკოვის მიმართ მაამებლური რევერანსის მკაფიო დადასტურებაა.

მოსკოვს დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაემატა. თურმე იმათაც უნდა დავუგდოთ ყური და საქართველო მათი გუნება-განწყობილების შესაბამისად მოვაწყოთ.

არადა, ამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არც საქართველოს წარსული იციან, არც აწმყო და არც მისი მომავალი ბედ-იღბალით იწუხებენ დიდად თავს.

ამ ვითარებაში ჩემი საკონსტიტუციო კომისიის წევრად ყოფნა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. პროტესტის ნიშნად უარს ვამბობ საკონსტიტუციო კომისიის წევრობაზე.

1995 წ., 28 ივნისი

## მარტივი პასუხი

გაზეთი «დრონი» (1996 წ., №2) გვაუწყებს, რომ რუსული ჟურნალი («ეხო პლანეტი») დაინტერესებულია კითხვით _ რატომ არ ეხმარებიან ჩრდილოეთკავკასიელები დუდაევს და რატომ ეხმარებოდნენ ისინი აფხაზ სეპარატისტებს. «ეხო პლანეტის» ამ კითხვას ზუსტი პასუხი ვერ უპოვნია. ჩვენ გვინდა მარტივად გავაგებინოთ «ეხო პლანეტის»-ის, რაც მას ასე რთული ჰგონია.

აფხაზ სეპარატისტებს არ ეხმარებოდნენ ჩრდილოეთკავკასიელები. მათ ეხმარებოდნენ ე.წ. «კავკასიის კონფედერაცია» და მისი მესვეურები. «კავკასიის კონფედერაცია» კი გახლავთ ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ორგანიზაცია, განყოფილება სუკ-ისა (КГБ-ესი). «კავკასიის კონფედერაცია», მოსკოვის განკარგულებით, აგროვებდა ნაირნაირ ჯურის ავაზაკებს და გზავნიდა აფხაზეთში. ამ ავაზაკთა შორის მრავლად იყვნენ რუსებიც და ჩრდილოკავკასიელებიც. «კავკასიის კონფედერაციას» სრულიად მკაფიო დავალება ჰქონდა მიცემული რუსეთის ხელისუფლებისაგან – გამოეწვია ქაოსი საქართველოში (ანდაზაა: ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონ ჩავარდები შიგ. ასე დაემრთა რუსეთს. საქართვლოს გაუთხარა ორმო აფხაზეთში, მაგრამ თვითონ ჩეჩნეთის ორმოში ჩავარდა).

როცა რუსეთი ჯარით შეიჭრა ჩეჩნეთში ჩეჩენთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გასანადგურებლად, «კავკასიის კონფედერაციამ» ფუნქცია დაკარგა. КГБ–ს ორგანიზაცია ხომ ვერ დაიწყებდა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ და დაეხმარებოდა ჩეჩნებს? ამიტომ «კავკასიის კონფედერცია» სოროში შეძვრა და გაიტრუნა. სანამ ახალ დავალებას არ მიიღებს საქართველოს საწინააღმდეგოდ, იქნება ასე ხმაგაკმენდილი.

1996 წ., 17 იანვარი

## კომკავშირული ქრისტიანობა

ამასწინათ ტელევიზიით აჩვენეს როგორ მოაწყეს კოლექტიური ნათლობა. სახელმწიფო ჩინოვნიკების მთელი რაზმი ნათლავდა ბავშვებს. ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ კოლექტიური ნათლობის თაოსანი ყოფილა, იკვეხნიდა, რომ არა მარტო სახელმწიფო

ჩინოვნიკები მონათლავენ ბავშვებს ასე ჯოგურად, არამედ მეცნიერებიც, მწერლებიც, მხატვრებიც, მუსიკოსებიც, სპორტსმენებიც, პარტიების წარმომადგენლებიც.

ეს კოლექტიური ნათლობა ზედმიწევნით გავდა კომკავშირულ კოლექტიურ ქორწილებს, რომელთაც კომუნისტური რეჟიმის დროს გულმოდგინეთ აწყობდა ალკკ, ანუ ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.

ეტყობა საქართველოში კომკავშირული ქრისტიანობის აღორძინება იწყება.

1996 წ. 17 იანვარი

## გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას"

«ჩვენ ვართ ქართული თეატრი, რომელიც რუსულად ლაპარაკობს...» ასე უთქვამს ერთერთ თეატრალურ მოღვაწეს, როგორც «საქართველოს რესპუბლიკამ» (1996 წ., 26 იანვარი) შეგვატყობინა. რა არის ეს დაუფიქრებლად წამოსროლილი ფრაზა თუ ქართველთა გარუსების ახლებული ფორმულა? 1801 წლიდან, როცა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მოხდა, როგორი გეგმა და ფორმულა არ შემუშავებულა ქართველთა გასარუსებლად, მაგრამ ამგვარი პირველად გავიგონე. დღემდე ასე იყო ცნობილი: თეატრი არის იმ ხალხის, რომელ ენაზეც იგი ლაპარაკობს. შეუძლებელია არსებობდეს რუსული თეატრი, რომელიც ფრანგულად, გერმანულად ან ინგლისურად მეტყველებს.

თუ ჩვენ რუსულად მეტყველი ქართული თეატრი «შევქმენით», მაშინ მალე გაჩნდება ქართული მწერლობა, რომელიც რუსულად წერს, ქართული მეცნიერება, რომელიც რუსულად აზროვნებს და მუშაობს და ა.შ.

რა არის ეს _ გარუსების ახალი ეტაპის დაწყება?

1996 წ.

## პორტრეტი ყოველ ოჯახში

გაზეთმა «მიმომხილველმა» (1996 წ., №7) გვაუწყა, რომ რკინიგზის დეპარტამენტს 160 ლარად შეუძენია ედუარდ შევარდნაძის პორტრეტი და მთლად უფროსის კაბინეტში დაუკიდიათ. ეს მეტისმეტად გასახარელი ფაქტია, რადგან დამშეული, ჩაუცმელ-დაუხურავი და სიცივით გაყინული ქართველი მხატვრები ორიოდე გროშს მაინც იშოვნიან, სული რომ მოითქვან. მით უმეტეს, რომ საქართველოში დეპარტამენტებიც უხვად გვაქვს, გუბერნატორებიც მრავლად გვყავს, მინისტრებიც, დირექტორებიც და ა.შ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველა მათგანი ბელადის სურათს უთუოდ შეიძენს. ამასთან ერთად, აღდგება კომუნისტური რეჟიმის დროინდელი სათაყვანო ტრადიცია _ ყველა ოჯახში ბელადის სურათი. ოღონდ ერთი თავსატეხი კითხვა დგას _ 7-ლარიანი ხელფასის პატრონმა მოქალაქემ

როგორ შეიძინოს ბელადის 160-ლარიანი პორტრეტი? იმედი გვაქვს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება გაითვალისწინებს ამას. 200 ლარს მაინც დაუნიშნავს ხელფასად საქართველოს ყოველ მოქალაქეს, რომ ედ.შევარდნაძის პორტრეტი ყოველ ოჯახში ეკიდოს. თორემ დავიღუპეთ, მოგვეჭრა თავი და ეს არის _ ვერ ვეცით პრეზიდენტს სათანადო პატივი.

## თინათინ!

თქვენს ჟურნალში «ჯვარი ვაზისა» (1995 წ., №1) აფხაზეთის მთავართა სატახტოს სახელი მოხსენიებულია ფორმით «ლიხნე». არ არის ეს სწორი. უნდა იყოს «ლიხნი», როგორც ამბობენ და წერენ დღეს. ოღონდ «ლიხნი» ქართული სიტყვაა და არა _ აფხაზური, ანუ აფსუაური. არ ვიცი, რატომ არ აქცევენ ყურადღებას ამას: მოგეხსნება, ქართლში ხაშურთან ახლოს არის სოფელი ლიხი. «ლიხი», საბას განმარტებით, არის «ფრიად მაღალი შამბი». როგორც ქართლური სოფელი ატარებს შამბის ანუ ლიხის სახელს, ასევეა აფხაზური სოფლის სახელიც _ «ლიხნი», ოღონდ მრავლობითი (-ნი) ფორმით: ლიხ-ი _ ლიხ-ნი. ვინც ლიხნში ყოფილა და აფხაზთა მთავართა სასახლის ნანგრევები და ტაძარი დაუთვალიერებია, დამიმოწმებს, რომ ნანგრევების უკან ხევი დღესაც სავსეა შამბით, ანუ ლიხით. ძველად, მით უმეტეს, ბევრი იქნებოდა შამბი – ლიხი. ასე რომ ამ სოფლის სახელი უბრალოდ ნიშნავს შამბნარს. ესეც ერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ აფხაზეთი ძირეული ქართული ტერიტორიაა და მუდამ, ათადან-ბაბადან, ქართველები ცხოვრობდნენ.

არ ვიცი, შეცდომა საიდან მოდის და რატომ არ მიაჩნიათ ქართველ მეცნიერებს ლიხნი ქართულ სიტყვად. ეს შეიძლება ვახუშტი ბატონიშვილის ბრალი იყოს. იგი ამბობს ლიხნის ქართული სახელი ზუფუაო (ამ აზრს მერე სიმონ ჯანაშიაც იმეორებდა). პირიქით კი უნდა იყოს: ზუფუა აფსარული სახელია. ლიხნი კი _ ქართული. ზუფუ ჟღერადობით სრულები არ ჰგავს ქართულს. არც მისი შინაარსი-აზრია გასაგები. ლიხნი კი მარტივია და მკაფიო. ისიც არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ხშირია მცენარის სახელიდან ნაწარმოები ტოპონიმები, თუნდაც ცხუმი. თქვენს ჟურნალშიც არის ამაზე ლაპარაკი.

1997 წ., 11 მარტი.

## მანყული კულტურისათვის

დღეს აკვნის ბავშვმაც კი იცის, როგორ უჭირს საქართველოს ეკონომიკურად და ფინანსურად. ამის გასაგებად საჭირო არ არის საკითხის საგანგებო შესწავლა. შეუიარაღებელი თვალიც კარგად ხედავს. ქალაქი ჭუჭყით იხრჩობა. ქუჩები სავსეა მათხოვრებით. სახლები, განსაკუთრებით ძველ უბნებში, დანგრევის პირად არის მისული (თუმცა არც შედარებით ახლად აშენებულ სახლებს ადგათ კარგი დღე), გაჩერებულია ფაბრიკა-ქარხნები, მევენახეობა-მეღვინეობა სულს ღაფავს. მალე ქართველი ვაზის მოვლა-

პატრონობას შეწყვეტს, იმდენად მცირე თანხა ეძლევათ გლეხებს კილოგრამ ყურძენში. ტყეში წაბლის აკრეფა და გაყიდვა უფრო სარფიანია, ვიდრე ყურძნის მოყვანა. ჩაის პლანტაციები გავერანდა. ეკალ-ბარდმა, ანწლმა და გვირამ შეჭამა. ამ ვითარებაში კულტურასა და განათლებას ვინღა უშველის.

როგორც ამიერ, ისე იმერ საქართველოს დაბა-სოფლებში დაკეტილია კულტურის სახლები. გაპარტახებულ-გაძარღვულია ისინი. ამასაც არ დაჯერებულან და ბევრგან გადაუწვავთ კიდეც. რაიმე კულტურულ საქმიანობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია და ზედმეტი.

თუ თბილისში თეატრები ავად თუ კარგად კიდევ ბოგინობს, სავალალო დღეშია ისინი სხვა ქალაქებში. ისეთი დიდი წარსულისა და მნიშვნელობის თეატრს, როგორიც ქუთაისის თეატრია, საბოლოო დახურვა ემუქრება. თუ საგანგებო ზომები არ მივიღეთ, ქუთაისის დრამატიული თეატრი მოკვდება. ქუთაისის საოპერო თეატრი ხომ დაიკეტა და დაიკეტა. არა მგონია მისი ხელახალი აღორძინება ვინმემ შეძლოს.

ზუგდიდის თეატრის მდგომარეობაზე უფრო გულდამწველი მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებელია. ფოთის თეატრი მდუმარებს. მოახერხებს თუ ვერა საქმიანობის გაცხოველებას, ვერავინ იტყვის. ოზურგეთის თეატრი უკანასკნელ დღეებს ითვლის. თუ მშველელი არ გამოჩნდა, უპატრონო მოხუცივით მიაბარებს სულს უფალს. გორის თეატრი იმ მათხოვრებს ჰგავს, თავისუფლების მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელში რომ ატუზულან საცოდავად. ახალციხის თეატრი კბილებით ებღაუჭება არსებობას.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დავიწყებას მიეცა. ადამიანები ლუკმა-პურის საშოვნელად დაწანწალებენ და წიგნისა და ბიბლიოთეკის თავი ვისღა აქვს. სამკითხველო დარბაზებში ქარი დანავარდობს და უმოწყალოდ ფანტავს დაგლეჯილ-დაფხრეწილ წიგნების ფურცლებს.

წიგნის გამოცემა მეტისმეტად ჭირს. თუ გამოიცა, იგი არც ავტორს ახარებს და არც მკითხველს. ავტორი ჯახიროობს და თავის ხარჯით სცემს წიგნს, მაგრამ სიძვირის გამო არავინ ყიდულობს. ვისაც წიგნი უყვარს, იმას ფული არა აქვს. ჯიბეში კატა უჭყავის. ვისაც ფული აქვს, იმას წიგნი სძულს, ეზიზღება. მცირე-მცირე ტირაჟით გამოცემული წიგნებიც კი თაროზე ყრია. მტვერი და თაგვი ჭამს. ავტორმა რაც ხარჯი გაიღო, წყალში გადაიყარა. ვალებში ჩავარდა და გაკოტრდა. ამ ვითარებამ მწერალს წიგნის გამოცემა შეაძულა და მკითხველს _ წაკითხვა.

დიდი ვაი-ვაგლახით, თხოვნა-მუდარით, კარდაკარ ხეტიალი სჭირდება რეჟისორს, ფილმის გადასაღებად ფული რომ შეაგროვოს. თუ ფულის გამოძალვის მარიფათი გაქვს, ხომ კარგი, იქნებ როგორმე იშოვნო ფული. თუ არ გაქვს, განწირული ხარ. ფილმის გადაღებას ვერ ეღირსები. ვერც წიგნის გამოცემას ეღირსები, ვერც სპექტაკლის დადგმას.

ქართული კულტურის დღევანდელი მდგომარეობა განწირულებისა და სასოწარკვეთილების გრძნობას ბადებს. იმასაც ვერ ხედავს ადამიანი, სად არის ხსნის გზა. ამ ვითარებაში ის გროშები, რაც ხელისუფლებას გაუმეტებია და ბიუჯეტში შეუტანია, მეტი რომ არ ვთქვა, სასაცილოა. ამას ავტორიც კარგად გრძნობს და მორიდებით ამბობს, «შეიძლება ეს არც ისე დიდი თანხააო». დიდი კი არადა, მანყულია. მანყული ძველად ფულის უმცირესი

ერთეული იყო, ერთი მერვედი კაპიკი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოყოფილი თანხის ათიოდე პროცენტი თუ მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, მკაფიოდ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მდგომარეობის სურათი. არ მიაღწევს იმიტომ, რომ თანხის უმთავრეს და უდიდეს ნაწილს სახელმწიფო მენაკიანები ჩაიჯიბავენ (მენაკიანი ერქვა რუსეთის საქართველოში მოსვლამდე ჩინოვნიკს). ჩინოვნიკი მეტნაკლებად ყველგან ქურდობს, ყველა ქვეყანაში და ყველა სახელმწიფოში. მაგრამ ის, რაც საქართველოში დღეს ხდება, არც თვალს უნახავს და არც ყურს გაუგონია. სხვაგან ზომა-წონა იციან. ქვეყნის ბედიც მეტნაკლებად აწუხებთ. საქართველოში ან ქვეყანაში ვის ახსოვს ან ხალხი. ან ზომა-წონას ვინ აქცევს ყურადღებას, სახელმწიფო ქურდების პირმოხეულ და უძირო ჯიბეში ინთქმება ყველაფერი. ბიუჯეტში გამოყოფილი თანხაც ამ პირმოხეული და უძირო ჯიბეში ჩაყურყუმალავდება. ქართული კულტურა კი ისევ მშიერ-მწყურვალი დარჩება. შეიძლება ვინმემ ანდაზა გაიხსენოს _ როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია. მაგრამ ზაქარიას, ანუ ქართულ კულტურას დღეს ისე უსაშველოდ შია, რომ ცივი მჭადი შაქრად ვეღარ მოეჩვენება.

საქმე მარტო თანხის ოდენობა არ არის. არსებითი ის გახლავთ, რომ არავინ, არც ხელისუფლებამ და არც ხალხმა, არ იცის რა ეკონომიკური სისტემაა დღეს საქართველოში. ყველაფერი ერთმანეთშია არეული _ სოციალიზმით, კაპიტალიზმით, ფეოდალიზმით და კიდევ ვინ იცის რა. ამ ეკონომიკურ ქაოსში კულტურის მოვლა-დაცვის სისტემა ვერ შეიქმნება. ეს გამორიცხულია. უამისოდ კი ზედმეტია კულტურის გადარჩენაზე ლაპარაკი, ჯერ მთელი ეკონომიკური სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, მერე კი _ კულტურის მოვლა-დაცვისა. სხვაგვარად და სხვანაირად ქართული კულტურის საშველი არ იქნება.

წერილის ავტორის აღტაცებული ტონი კი იმ ჭირისუფლის იმედს ჰგავს, მიცვალებულს რომ ეუბნება _ მართალია, მოკვდი, მაგრამ სამოთხეში მიდიხარო.

P.S. ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთ «ქართულ კულტურაში» (1997 წ. 17-23 ოქტომბერი, [1]12), როგორც კომენტარი გიორგი ჭუმბურიძის წერილისა, სადაც სახელმწიფო კანცელარიის საფინანსო-საბიუჯეტო და საკრედიტო პოლიტიკის განყოფილების უფროსი აღტაცებას გამოხატავს იმით, რომ ხელისუფლებამ ბიუჯეტში კულტურის ინტერესები გაითვალისწინა.

1997 წ., ოქტომბერი

## საქართველოს ნაციონალისტურ პარტიას

მე გავეცანი თქვენს მიმართვას და იმ პასუხებსაც, რომელიც მიგიღიაც საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარიიდან და საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტიდან. დასმულ საკითხთან დაკავშირებით უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

დღეს საქართველოს კონსტიტუცია არა აქვს. ის, რაც ამჟამად კონსტიტუციად იწოდება, არცერთი თვალსაზრისით კონსტიტუცია არ არის. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ე.წ. კონსტიტუციაში საერთოდ არ არის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

მოწყობის სტრუქტურა. არაფერს ვამბობ სხვა საკითხებზე, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა (თუ საჭირო იქნება თქვენი სათათბირო დარბაზის სხდომაზე შეიძლებოდა გვესაუბრა ამაზე). ეს არის სასწრაფოდ შეთითხნილი დოკუმენტი იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის, ძველი კომუნისტური ფანდებით, თვალში ნაცარი შეეყარათ. ამიტომ ცალკეული მუხლის შეცვლა ან ახლებურად ჩამოყალიბება საქმეს ვერ უშველის. ეს კონსტიტუცია ვერ გახდება ვერც ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი და ვერც დამცველი. საკითხი უნდა დაისვას საერთოდ სრულყოფილი კონსტიტუციის დაწერის ან არსებულის ძირფესვიანად გადაკეთების. სხვათა შორის, ამ კონსტიტუციის მიღებაც კანონიერების ყველანაირი დარღვევით მოხდა.

რაც შეეხება პასუხებს, რომელიც თქვენ მიიღეს და მეც გავეცანი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უბრალოდ სამარცხვინოა, რომ პრეზიდენტის კანცელარიაში და პარლამენტში ამგვარი წყალწყალა დოკუმენტები იწერება.

1998 წ. 12 მარტი

## მთავარია დავიბრუნოთ ღირსება

ერთხელ რევაზ გაბაშვილის მოგონებებში _ «რაც მახსოვს» _ დაუჯერებელი რამ წავიკითხე. ეს მაშინ მომხდარა, როცა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულებით რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს ტერიტორია, ქართველთა უკითხავად, თურქეთს დაუთმო. ვითარების მოსაწესრიგებლად ტრაპიზონის კონფერენციაც გაიმართა. მაგრამ იგი ქართველთა მარცხით დამთავრდა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებითა და ტრაპიზონის კონფერენციის მარცხით გათამამებული თურქეთის არმია ბათუმსაც დაპყრობით დაემუქრა. ქართველ პოლიტიკოსებს თავგზა აერიათ. თავწაჭრილი ქათამივით ფართხალებდნენ. აქეთ-იქით აწყდებოდნენ საშველის ძებნაში. მაშინ გენერალი ვასილ გაბაშვილი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გამოცდილი და გამობრძმედილი მეომარი, მისულა ქართველ პოლიტიკოსებთან და უთქვამს _ ბათუმის ციხესიმაგრეს ისე ვიცნობ, როგორც ჩემს ხუთ თითს. მომეცით სამი ათასი ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ, თურქეთის ჯარი კი არა, ჩიტიც ვერ გადმოფრინდებაო საზღვარზე.

ევგენი გეგეჭკორი, დემოკრატიული საქართველოს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, საშინლად აღშფოთებულა, ეს სიტყვები რომ გაუგონია.

«_ რას ბრძანებთ, ბატონო გენერალო, თქვენი თავი საშუალო საუკუნეებში ხომ არა გგონიათ, _ ზარბაზნებსა და ციხეებზე გველაპარაკებით? ან სადა გვყავს ჯარი?! ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი. იქ საპროტესტო მიტინგები გავმართოთ და, როცა ოსმალები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი, _ დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ჩვენი ძმები არიან, _ ისინი ვერასოდეს ვერ გაბედავენ ბათუმში შესვლას» («დაბრუნება», ტ.3, 1992 წ., გვ.199).

ჯარის მაგიერ მიტინგები. თავდაპირველად გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ ამგვარი სიბრიყვე შეიძლებოდა ეთქვა პოლიტიკოსს. ვიფიქრე: რევაზ გაბაშვილს, პარტიულობით ეროვნულ-დემოკრატს, სძულდა სოციალ-დემოკრატები და ამას მათი სახელის გასატეხად ამბობს-მეთქი. მაგრამ მერე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ რევაზ გაბაშვილი იოტის ოდენადაც არ აჭარბებდა. ჯარის მაგიერ მიტინგები _ ქართული პოლიტიკის «აღმოჩენა» და «თავისებურება» ყოფილა.

მიუნხენში «ბაიერიშეს ჰაუპშტაატსარხივში» (ბავარიის სახელმწიფო მთავარი არქივი) ინახება არტილერიის გენერლის ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის მოგონებანი _ «ჩემი მისია კავკასიაში». იგი 1918 წელს საქართველოში, კერძოდ, და, საერთოდ, კავკასიაში გერმანიის სამხედრო მისიას ხელმძღვანელობდა. გერმანელი გენერალი ადასტურებს: მართლაც არ სურდათ, თურმე 1918-21 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატ ხელმძღვანელებს არმიის შექმნა. მტრებს მიტინგებითაც იოლად გავუსწორდებითო, _ ამტკიცებდნენ. ქართველი პოლიტიკოსების «სიბრძნით» გაოგნებულა გერმანელი და უფიქრია: ეს უბედური ქვეყანა შეშლილებს ჩავარდნიაო ხელში.

მათი მმართველობის შედეგიც ბუნებრივია: საქართველომ, რომელსაც ბრძოლისუნარიანი არმია არ ჰყავდა, ერც შეძლო თავდაცვა. ბოლშევიკ-კომუნისტურმა რუსეთმა ადვილად მოახერხა მისი ისევ დაპყრობა. მას მერე 80 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ არმიის შექმნისადმი დამოკიდებულება საქართველოში არსებითად არ შეცვლილა. ისეთ სასხვათაშორისოდ კეთდება ეს საქმე. ისევ მიტინგებით ფიქრობენ ომის მოგებას. ისეთ «ხალხთა ძმობის» ზღაპრების მოყოლა გრძელდება. ამგვარ საქმიანობას, როგორც წესი, ყოველთვის საქართველოს საბედისწერო დამარცხება მოაქვს.

დღესაც დამარცხებულია საქართველო. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი მტერს აქვს დაპყრობილი. ამ ტერიტორიის დაბრუნების იმედის ნაპერწკალიც კი არსად ჩანს. დაბრუნება კი არადა, თუ ჩვენ ისეთი არმია ვერ შევქმენით როგორიც ისრაელს ჰყავს შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა იმ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რაშიც მე-18 საუკუნის ბოლოს იყო, როცა ქართულმა სახელმწიფომ რუსეთის კალთაში დალია სული. გახსოვთ, რა უთხრა ტარას ბულბამ ანდრის, სანამ მოკლავდა? «მე გშობე, მევე უნდა მოგკლა». რუსეთმა დაშლილ-დანაკუწებული ქართული სამეფო-სამთავროები დაიკავა. იგი თვლის, რომ ტერიტორიულად საქართველო მან გააერთიანა (სამწუხაროდ, უმეცრების გამო ბევრი ქართველი პოლიტიკოსიც იმეორებს ამას თუთიყუშივით). იმას კი რუსებიც მალავენ და ქართველებიც, რომ რუსეთი საქართველოს კი არ აერთიანებდა, არამედ იმპერიის საზღვრებს აფართოებდა. ამას უტყუარად ადასტურებს ის პოლიტიკა, რომელსაც მე-19 საუკუნეში რუსეთი ატარებდა საქართველოში. ამ პოლიტიკას ქართველი ხალხის სულიერი, ეთნიკური და რელიგიური დაშლა ერქვა სახელად. იგი მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამის დასაბუთებით თავს არ შეგაწყენთ. ვისაც მართლა აღელვებს საქართველოს ბედ-იღბალი, იმან ეს კარგად იცის. მარტო იმას გაგახსენებთ, როგორ ხდებოდა მე-19 საუკუნეში საქართველოში და თბილისის მოსახლეობის აღწერა. აღწერილია ასე _ ქართველები, იმერლები, ხევსურები, ფშავლები, გურულები, მეგრელები, აჭარლები და ა.შ. ამის ნიმუშებს ნებისმიერ სტატისტიკურ ცნობარში იპოვნით. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაშიც კი. როგორ ფიქრობთ, _

რუსმა სპეციალისტებმა არ იცოდნენ, რომ აქ ჩამოთვლილი ტომები ერთიან ქართველ ხალხს შეადგენდნენ? რა თქმა უნდა, იცოდნენ. მაგრამ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას ჭირდებოდა ქართული ეროვნული სხეულის დაშლა და შლიდნენ. ეს პოლიტიკა გრძელდებოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროსაც. ამის შედეგია ერთი ციცქნა საქართველოში ავტონომიები. ქართული მიწა-წყლის გადაცემა სხვისათვის.

ასე, რომ «მეგობარი» რუსეთი ტარას ბულბასავით ეუბნება საქართველოს: მე გაგაერთიანე და მევე დაგანაკუწებ. ქართული პოლიტიკოსების დიდი ნაწილი კი ალერსიანად შესციცინებს თვალებში რუსეთს და ყმური ერთგულებით უდასტურებს _ მართალი ბრძანდებითო. ადამიანი ან უზომოდ ემინი უნდა იყოს ან უნუგეშოდ აბუეტი, რომ დაიჯეროს რუსეთს საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ეოცნებებაო. რუსეთი იყო საქართველოს მტერი და ასეთად დარჩება მანამ, სანამ საბოლოოდ არ ირწმუნებს, რომ მისი დიდი იმპერია ერთხელ და სამუდამოდ დაიშალა. როცა ამას დაიჯერებს, მერე აირჩევს კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მანამდე კი არა. მანამდე ისევ ძველებურ იმპერიულ პოლიტიკას გააგრძელებს. ხომ ხედავთ: სულს ღაფავს და იმაზე ოცნებობს რუსეთ-ბელორუსიის კავშირს იუგოსლავიაც შეუერთოს.

ამ ვითარებაში გამოუსწორებელი შეცდომაა ქართული არმიის შექმნის მცდელობა რუსული ან საბჭოთა არმიის მოდელის მიხედვით. გასაგებია: საბჭოთა არმიის ქართველი გენერლები და ოფიცრები სხვანაირ ჯარს ვერ ჩამოაყალიბებენ. მათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ის, რასაც მთელი სიცოცხლე ერთგულად ემსახურებოდნენ. სხვანაირი გახდი და სხვანაირად იაზროვნეო. მათ ვერც მოსთხოვ. ამგვარი სახეცვლილება ადამიანს არ ძალუძს (ყველა ხომ არ არის ისეთი ნიჭიერი, რომ მთელი სიცოცხლე მამალი ათეისტი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ღრმად მორწმუნე თეისტი გახდეს!). სრულებითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ყოფილი საბჭოთა არმიის ქართველ ოფიცრებსა და გენერლებს საქართველოსათვის სიკეთე უნდათ. მაგრამ მათ ეს სიკეთე ისე ესმით, როგორც შთააგონეს და ასწავლეს. ეს ცოდნა და შთაგონება კი დღევანდელ საქართველოს არ გამოადგება. საქართველოს წინ სრულიად სხვა მიზანი და ამოცანა დგას. ეს მიზანი და ამოცანა დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის მიზანი და ამოცანაა, რომელსაც არ სურს სხვისი დამონება და არც ის უნდა, რომ თავად იყოს სხვისი ყურმოჭრილი ყმა. არმიაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით უნდა აღიზარდოს. ამას პროპაგანდისტთა კარგად მომზადებული რაზმი სჭირდება. იგი კი არსად ჩანს.

კარგად მოგეხსენებათ: როცა ბოლშევიკ-კომუნისტები წითელ არმიას აყალიბებდნენ, როგორც სპეციალისტებს, მეფის არმიის ოფიცრებს იყენებდნენ, მაგრამ მათ გვერდით აუცილებლად იდგა ბოლშევიკი კომისარი. ეს არ იყო შემთხვევითი. პროფესიული ცოდნა შეიძლებოდა მიეცა მეფის არმიის ოფიცერს, მაგრამ იდეა _ რას ემსახურებოდა წითელი არმია, რისთვის უნდა ებრძოლა _ ამას კი მხოლოდ ბოლშევიკი კომისრები ასწავლიდნენ. ჯარისკაცმა არა მარტო იარაღის კარგად ხმარება უნდა იცოდეს, არამედ ისიც (შეიძლება უფრო მეტადაც) _ რას ემსახურება და რისთვის იბრძვის. რისთვის უნდა დაღვაროს როგორც საკუთარი, ისე სხვისი სისხლი.

ამ იდეას დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მომავალ არმიას ის ადამიანები ვერ შთააგონებენ, რომელთაც ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ნოსტალგია აწამებთ. ამას სრულიად სხვანაირი და სხვაგვარი ცნობიერების ადამიანები სჭირდება. ისეთი, ვისაც შეუძლია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეა დანერგოს არმიაში. საქართველოს ღირსების იდეა დაამკვიდროს. საუბედუროდ და სავალალოდ, დღეს საქართველო უღირსებო ქვეყანაა, შერცხვენილი და თავლაფდასხმული. ქვეყანა ომს რომ წააგებს, ღირსებასაც კარგავს, ამას ყველაზე მეტად არმია უნდა განიცდიდეს, რადგან იგია ქვეყნის ღირსების დარაჯი, დამცველი და ქომაგი. მაგრამ არმიამ რომ ქვეყნის ღირსების დამცველის როლი შეასრულოს, აუცილებელია ერი და ბერი მას პატივს სცემდეს, უყვარდეს, აფასებდეს, უფრთხილდებოდეს და ზრუნავდეს. რად უნდა იმას მტკიცება და საბუთი, რასაც ბრმაც კი ხედავს: დღეს ქართველი ხალხი ასე არ იქცევა. პირიქით: ყოველგვარად ცდილობს გაექცეს სამხედრო სამსახურს. თავი აარიდოს მას. სხვაგვარად ის ერი ვერ მოიქცევა, რომელიც ფიქრობს _ ჯარი არ გვჭირდება. მტერს მიტინგებით დავამარცხებთო. ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის მთელი ისტორია ბრძოლა და ომია საკუთარი ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ამგვარი ვითარების შექმნა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არა მარტო ტერიტორიულად დაიშალა, არამედ ცნობიერადაც? ვაი, რომ ნიშნავს. ამიტომ ქართული არმიის შესაქმნელად ბრძოლა-საქმიანობა არა მარტო ჯარის შექმნისათვის ბრძოლა-საქმიანობაა, არამედ ერთიანი ეროვნული ცნობიერების აღდგენისათვის ბრძოლა-საქმიანობაც. ეს უმთავრესი და უპირველესი პრობლემაა. პრობლემაა მთელი ხალხის, მთელი ერის და არა ამა თუ იმ პიროვნების ცალცალკე. თუ ამას ქართველი ხალხი ვერ გაიცნობიერებს, მაშინ იგი ვერც იმ ღირსებას დაიბრუნებს, რომელიც სამარცხვინოდ დაკარგა და ვერც ღირსეულ ბრძოლისუნარიან არმიას შექმნის.

1998 წ., 22. IV.

## მიმართვა
## საქართველოს მოსახლეობას

ყოველი საღად მოაზროვნე მოქალაქისათვის ნათელია _ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო. თითქოს არც არის საჭირო შეხსენება, მაგრამ მაინც ვიტყვი:

საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი დაპყრობილი აქვს მტერს. წართმეული ტერიტორიის დაბრუნებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს: რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო იკარგება მისი დაბრუნების იმედი.

მოშლილია როგორც სოფლის მეურნეობა, ისე მრეწველობა. მათი უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო ობიექტები ან პირწმინდად ინგრევა ან უცხო კაპიტალის ხელში გადადის. არასოდეს ყოფილა ისე აქტუალური ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა _ «იყიდება საქართველო»_, როგორც დღეს არის.

საქართვლოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაღატაკებულია. ქვეყანა აივსო მათხოვრებითა და უსახლკარო მაწანწალებით. საქართველოს მოქალაქე სად არ გარბის

ლუკმა-პურის საშოვნელად. ახლო-მახლო ქვეყნების საროსკიპოები გაჭედილია ჩვენი ქალებით.

მიუხედავად იმისა, რომ სოკოებივით მომრავლდა უნივერსიტეტები და აკადემიები, განათლებასა და კულტურას შავი დღე ადგას. თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს ხანებში საქართველო მსოფლიოს ყველაზე გაუნათლებელი და უკულტურო ქვეყანა იქნება.

ქართული არმიის შექმნის პროცესი კუს ნაბიჯითაც არ მიდის წინ.

რაც ვთქვით, ის უტყუარად ადასტურებს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა და უნარი შეცვალოს უკეთესისაკენ არსებული ვითარება. თავდაღმართში მიმავალი საქართველო შემოაბრუნოს აღმართისაკენ. აქედან ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს: არჩევნების გზით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შეიცვალოს თვისეობრივად სრულიად ახალი ხელისუფლებით.

მაგრამ აქ საჭირბოროტო კითხვაც წამოიჭრება _ არსებობს კი დღეს საქართველოში რაიმე პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია მარტომ იკისროს ქვეყნის გადარჩენა უეჭველი კატასტროფისაგან? ამ კითხვის ჩვენი პასუხი უარყოფითია. არცერთ დღეს არსებულ პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკურ ორგანიზაციას ეს არ შეუძლია. არ გააჩნია ამის ძალა.

ამიტომ ამ ვითარებაში ხსნის გზად მიგვაჩნია ყველა ოპოზიციური ძალის მიერ საქართველოს გადარჩენის ფრონტის შექმნა. ამ ფრონტმა უნდა ითავოს ქვეყნის შველა.

კონსულტაციების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით საქართველოს გადარჩენის ფრონტის საბჭომ მომავალი არჩევნებისათვსი უნდა შეარჩიოს ის ადამიანები,

რომელნიც არჩეული უნდა იქნენ მომავალ პარლამენტში,

რომელნიც ჩამოაყალიბებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას,

რომელნიც შექმნიან სასამართლო ხელისუფლებას.

შერჩევის კრიტერიუმი უნდა იყოს _ ნიჭიერება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, ქვეყნის სიყვარული.

დაქსაქსული უთვალავი პარტიის მონაწილეობა არჩევნებში არაფერს მოგვცემს. ისევ გვეყოლება მკვდრადშობილი პარლამენტი და უუნარო და უსუსური აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელნიც ვერაფერს მოაბამენ თავს, ვერაფერს უშველიან და ვერაფერს გამოასწორებენ.

1998 წ., 18 აპრილი

## სად არის საშველი?

(პასუხი ირ.წერეთლის მიმართვაზე)

ირაკლი ბატონო!

უპირველესად დიდი მადლობა გახსენებისათვის.

რა თქმა უნდა, მიმართვის იდეა _ ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება _ კეთილშობილურიც არის, აუცილებელიც და გადაუდებლიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი

განხორციელებისა არ მჯერა. შეიძლება მე ვცდები (ღმერთმა ჰქნას, რომ ასე იყოს!), მაგრამ ამ სკეპტიკურ დამოკიდებულებას საქართველოს მთელი ისტორია ადასტურებს. წარსულშიც ასე იყო და ახლაც ასე მოხდა. 80-იანი წლების ბოლოს არსებული ერთიანობა სულ მალე დაიშალა და დანაკუწდა. მისი ნასახიც აღარ დარჩა. ჩანს, დაშლა-დანაკუწება, დაპირისპირება ქართული ჯიშის თვისებაა. ჯიში კი ძალიან იყარია და თითქმის არ იცვლება.

დავუშვათ, არ ვარ მართალი და ამას მწარე გულისტკივილი მალაპარაკებს. მაშინ მკაფიოდ უნდა გამოვხატოთ, რა იდეის, რა აზრის, რა ლოზუნგის გარშემო შეიძლება მოხდეს გაერთიანება? მარტო იმის თქმა, რომ დღევანდელი ხელისუფლება უვარგისია, ქვეყანას ვერ უპატრონა და კატასტროფამდე მიიყვანა, საკმარისი არ არის. ეს ყველასათვის ნათელია და გასაგები, მაგრამ სად არის საშველი? მარტო ეროვნულ-პატრიოტული ძალების ერთობა საქართველოს ვერ გადაარჩენს, თუ მკაფიოდ არ ჩამოყალიბდა პროგრამა:

1. როგორ აიწყოს ეკონომიკა. ეკონომიკის მხრივ საქართველოში დღეს ყველაფერი მოშლილია. აღარც სოციალისტური ეკონომიკაა, აღარც კაპიტალისტური და აღარც სოციალური საბაზრო. ქვეყანა გაღატაკებულია და დაქცევის პირად მისული.

2. როგორ დავიბრუნოთ მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, როგორ დავაბრუნოთ შინ უთვალავი დევნილ-ლტოლვილი.

3. როგორ მოეწყოს საქართველო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კუთხით ისე, რომ არც ქართველი ხალხი დაზარალდეს და არც აზერბაიჯანელები, არც აფხაზები, არც ოსები, არც სომხები და არც სხვანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს, მტრად არ მოვიკიდოთ. ამ პრობლემის მოუგვარებლობამ საბედისწერო როლი შეასრულა დღევანდელ საქართველოს ისტორიაში.

თუ ამ სამ საკითხს დამაჯერებელი, კონკრეტული, პრაქტიკულად განხორციელებადი პასუხი არ გაეცა, ქართველი ხალხი ისევ მოტყუებული დარჩება და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, ისედაც აბუჩად აგდებული და გაბითურებული, სამუდამოდ დაიმარხება..

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დღევანდელ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გარეშე ძალამ (ვგულისხმობ როგორც რუსეთს, ისე თურქეთსა და ევროპა-ამერიკას) საქართველოში ორი პოლიტიკური ძალა შექმნა _ შევარდნაძის დაჯგუფება და აბაშიძის დაჯგუფება. მომავალ არჩევნებში ამ ორ დაჯგუფებას შორის გაიმართება ბრძოლა. გარეშე, უცხო ძალის მხარდაჭერა მათ აქვთ. ამისდა შესაბამისად, გარეშე, უცხო ძალა ვის ჩათვლის უფრო მისაღებად, ის გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში. მესამე დაჯგუფება, თუნდაც იგი ეროვნულ-პატრიოტული გაერთიანება იყოს, ამ ორი დაჯგუფების ბრძოლაში ვერ ჩაერევა. ამის უფლებას არ მისცემენ და არც ნივთიერ-ფულადი სახსრები იქნება.

ამიტომ მოსაძებნია და დასადგენი, რომელი უცხო, გარეშე ძალა ამოუდგება მხარში და დაეხმარება ეროვნულ-პატრიოტულ გაერთიანებას? დამერწმუნეთ, ამას არც რუსეთი გააკეთებს, არც თურქეთი და არც ევროპა-ამერიაკ. სამივესათვის უფრო ხელსაყრელია შევარდნაძის დაჯგუფებაც და აბაშიძის დაჯგუფებაც. ორივე დაჯგუფება უფრო გამოცდილი ჰყავს და ნდობითაც უფრო ენდობიან. გარეშე, უცხო ძალის დაუხმარებლად გამარჯვება შეუძლებელი იქნება. ამას ადასტურებს მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაც და

საქართველოს უახლესი ისტორიაც. კაცობრიობის ისტორიაში არცერ მოძრაობას არც პოლიტიკურს, არც სოციალურს, არც რელიგიურს, არც ეროვნულს და არც სხვას არასოდეს გაუმარჯვია გარედან დახმარების გარეშე. ეროვნულ-პატრიოტულ ერთიანობას ვინ დაეხმარება გარედან?

ისიც გულახდილად უნდა გითხრათ, რომ პირადად მე პოლიტლიკურ საქმიანობაში მონაწილეობას არ მივიღებ. არჩევნებში ორჯერ დავმარცხდი და ეს სრულიად საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად: ქართველ ხალხს არ მოეწონა, არ მიიღო ის გზა, რაც მე მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნდა. რუსები ამბობენ _ Насильно мил не будешь. ამიტომ ხალხს თავი არ უნდა მოაბეზრო. არც მე მინდა აბეზარი ბუზივით ვინმე შევაწუხო, მით უფრო, მთელი ხალხი.

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე
1998 წ. 7 სექტემბერი

## საქართველოს ენის სახელმწიფო პალატას

ლევან ბატონო!

გავეცანი სახელმწიფო ენის კანონპროექტს. საერთო შთაბეჭდილება დადებითია. მაგრამ სამი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთო.

1. საქართველოში საერთოდ კანონი არ ჭრის. ვერც ენის კანონი გასჭრის, თუ არ შემოვიღეთ მკაცრი სასჯელი (ჯარიმის სახით) ენის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ. ამგვარ სასჯელზე კი კანონპროექტში არცერთი სიტყვა არ არის თქმული. სასჯელის ზომისა და ფორმის განსაზღვრა ენის კანონში აუცილებლად მიმაჩნია. მერე, რა თქმა უნდა, მისი დაცვა, რაც ენის სახელმწიფო პალატის უპირველესი დანიშნულება უნდა იყოს.

2. ქართველებმა ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დავანებოთ აფხაზების უკანალის ლოკვას. ამ ინტერნაციონალურმა ლოკვამ გამოიწვია სწორედ ის, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი მტერს აქვს დაპყრობილი. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული. მორჩა და გათავდა. რაღაც შეღავათების დაშვება ვიღაც ვიღაცეებისათვის ყოვლად მიუღებელია. თუ საქართველო აფხაზეთს დაიბრუნებს, მაშინ არავითარმა აფხაზეთის ავტონომიამ არ უნდა იარსებოს. ბუნებრივია, აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსიც გამოირიცხება. თუ საქართველო ვეღარ დაიბრუნებს აფხაზეთს, მაშინ მთლად სასაცილოა ენის კანონში აფხაზური ენის შეღავათებზე ლაპარაკი. კანონპროექტში სიტყვა «აფხაზური» არ უნდა ჭაჭანებდეს.

3. მოგეხსენებათ, ახლა თბილისიც და სხვა დაბა-ქალაქებშიც აჭრელებულია უცხოური წარწერებით, აბრა-რეკლამებით, უხშირესად სამარცხვინო შეცდომებით. ამას როგორმე ბოლო უნდა მოეღოს. კანონპროექტში, ცხადია, არის ამაზე სერიოზული ლაპარაკი, მაგრამ უფრო კონკრეტულად უნდა იყოს, ჩემი აზრით, მითითებული როდის, სად, რა ვითარებაში არის დასაშვები უცხოური წარწერის გაკეთება, პარალელურად ქართულისა. მაგალითად, რა

საჭიროა პოლიციისი ყველა მანქანაზე ინგლისური წარწერა? ანდა ყველა პოლიციელს რატომ აწერია ზურგზე ინგლისურად Police? რა ჩაცმულობით, გარეგნობით ვერ გაიგებთ ვინ არის პოლიციელი?

ქართული კოლონიური ტვინი ვერ მიხვდა იმას, რომ დამოუკიდებლობა არ ნიშნავს რუსული წარწერების ინგლისურით შეცვლას (თუმცა არც რუსული წარწერების ნაკლებობაა). ენის კანონმა ქართველს ეს უნდა გააგებინოს.

გამარჯვებას გისურვებთ ქართული ენის ღირსების დაცვის მძიმე საქმეში.

პატივისცემით, აკაკი ბაქრაძე
15. X. 1998 წ.

## დაგონჯებული ქართული

...ქართული ენის პატრონობა დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავდა საქართველოში. ქართული ენა ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების მუდმივი და შეუნელებელი ზრუნვის საგანი იყო.

ასე გრძელდებოდა აგერ აქამდე, 80-იანი წლების ბოლომდე. მერე რატომღაც ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ზურგი შეაქციეს იმ დედოგზას, რომელსაც თერგდალეულები დაადგნენ და მომდევნო თაობები მიჰყვებოდნენ. პარლამენტმა, ჟურნალ-გაზეთებმა, რადიო-ტელევიზიამ ყველამ ერთად იხუვლა და გიორგი ერისთავს მიაშურა. მაშინდებული აჭრელებული ქართულის დამკვიდრებას შეუდგა. ამის დასადასტურებლად ნიმუშების მოხმობა არც არის საჭირო, იმდენად ხშირად გვესმის ბარბარიზმებით დამძიმებული ქართული.

განსაკუთრებით შავად წავიდა საქმე მას მერე, რაც ქართულ ტელეეკრანს უცნაური (უმეტესწილად აშშ-დან) კინო-ტელე-ნეხვი მოასკდა. ერთხანს (და ახლაც) ძირითადად რუსულად ახმოვანებულს გვთავაზობდნენ, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ეს. შემდგომ, ალბათ, იფიქრეს დამოუკიდებელ ქვეყანაში ცოტა უხერხულია გამუდმებით უცხო ენაზე (ქართველებისათვის რუსულიც ისეთივე უცნო ენაა, როგორც, ვთქვათ, ინგლისური) ფილმების ჩვენებაო და ქართულადაც დაიწყეს ახმოვანება (დიახ, ახმოვანება და არა გახმოვანება, როგორც ეს, სამწუხაროდ, დამკვიდრებულია. ქართულად ვამბობთ, ამეტყველდა და არა გამეტყველდა, ალაპარაკდა და არა გალაპარაკდა). აი, აქ კი საშინელ დღეში ჩავცვივდით. წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა ჩიქორთული ქართული. ჰო, რა თქმა უნდა, მსახიობები, ბუნებრივი, სამეტყველო ენით უნდა გელაპარაკებოდეს ეკრანიდან. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რაც ქუჩაში დაგონჯებული ქართული გვეყურება, ეკრანიდანაც ისეთივე ქართული გვესმოდეს.

ნუთუ ადამიანმა, რომელმაც თარგმანს მოჰკიდა ხელი, ერთმანეთისაგან ვერ უნდა გაარჩიოს «მიტევება» და «დატოვება»? ქართულად ახმოვანებულ ერთ ფილმში ფრიად დარბაისელი ქალი სტუმრებს ეუბნება _ მაპატიეთ, ცოტა ხნით უნდა მიგატოვოთ. რა ვქნა, უნდა დავიწყო მტკიცება, რომ ყოველი ადამიანი, ვინც ოდნავ მაინც იცის ქართული ენა,

იტყოდა _ მაპატიეთ, ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთო! ამ ორ სიტყვას შორის არა მარტო შინაარსობრივი სხვაობაა, არამედ _ ზნეობრივიც. «მიტოვება» სხვა ზნეობრივ მდგომარეობას გამოხატავს და «დატოვება» _ სხვას.

მეორე ფილმში ერთი გაბრაზებული კაცი მეორეს ემუქრება _ კისერს მოგიტეხავ. პურს მოგიტეხავ _ გამიგონია. წამიკითხავს კიდეც. კისერს მოგიგრეხ, _ ესეც გამიგონია. წამიკითხავს კიდეც. მაგრამ «კისერს მოგიტეხავ» აქამდე არც გამიგონია, არც წამიკითხავს. დარწმუნებული ვარ, მთელი ქართული მწერლობა მე-5 საუკუნიდან დღემდე რომ გადაიკითხო, გულმოდგინედ და დაკვირვებით, ვერ იპოვნით _ «კისერს მოგიტეხავ».

ერთი მანდილოსანი შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს კარგი ქართული მეტყველებისათვის ძალიან ემადლიერება. «მე კი _ ერთხელ კიდევ მინდაო, წერს ეს მანდილოსანი, _ საჯაროდ მოვუხადო მადლობა ბატონ გურამს კარგი ქართულისათვის». იმას, რა სჯობს თუ მინისტრი ან მისი მოადგილე კარგი ქართულით ლაპარაკობს, მაგრამ ვითომ «მადლობა მოვუხადო» ჩინებული ქართულია? კი, ბატონო, «ბოდიში მოვუხადო» _ შეიძლება. «მადლობა გადავუხადოც» _ შეიძლება. მაგრამ _ «მადლობა მოვუხადო», _ არამც და არამც. ჩემი თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ, წარსულისა და აწმყოს მწერლებსა და მეცნიერებს და პასუხს მიიღებთ. საუბედუროდ, «მადლობა მოვუხადო» წამდაუწუმ გვესმის პარლამენტიაც და რაიოდ-ტელევიზიაშიაც.

აჩემებულ-აკვიატებულმა სიტყვებმა ხომ ზაჰლა წაიღეს. ზოგიერთს გაგახსენებთ.

დაფიქსირება. ამ სიტყვამ განდევნა აღნიშვნაც, ჩაწერაც, განსაზღვრაც, დადგენაც, დამაგრებაც. მარტო დაფიქსირება ხდება. ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ აფიქსირებენ. სულ მალე აღარავინ იტყვის _ დედამ შვილს მიუალერსა. იტყვიან _ დედამ შვილის ალერსი დააფიქსირა. ვერც ასეთ ფრაზას გაიგონებთ _ ბიჭმა გოგოს სიყვარული აუხსნა. იტყვიან _ ბიჭმა და გოგომ სიყვარული დააფიქსირეს. უთუოდ დაგიწუნებენ ქართულს, თუ თქვი _ ქუჩაში კაცი კაცს მიესალმა. აუცილებლად უნდა ითქვას _ მისალმება დააფიქსირეს.

«დაფიქსირებას» გვერდით უდგას «დარეგულირება». ვაი შენი ბრალი, თუ წამოგცდა _ კონფლიქტი მოწესრიგდა და მოგვარდა. დიდ ჩამორჩენილობად ჩაგეთვლება, რაკი ახლა საერთოდ ყველაფრის დარეგულირება მიმდინარეობს. მოწესრიგება, მოგვარება დევნილი სიტყვებია.

დარეგულირებასა და დაფიქსირებას ფეხდაფეხ მისდევს ფუნქციობაც. ოღონდ, ჯერ ვერ დადგინდა, როგორ ვწეროთ და ვთქვათ _ ფუნქციობს თუ ფუნქციონირებს. ერთი გაზეთი წერს: «ყაზბეგში არ ფუნქციონირებს საკოლმეურნეო ბაზარი». მეორე კი გვატყობინებს: «იირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი არ ფუნქციობს». გავბედავ და მორიდებით ვიკითხავ: ბაზარი არ მუშაობს ანდა სახლ-მუზეუმი არ მუშაობს _ რომ დავწეროთ, დიდი დანაშაული იქნება? მკითხველი ვერ გაიგებს, რას ვამბობთ?

ჩვეულებრივ, უცხო სიტყვებს მაშინ უნდა მივმართოთ, როცა ქართულად არ გვაქვს მათი ბადალი. სხვა დროს ეს საჭირო არ არის. უფრო მეტიც: გარკვეულ წილად დანაშაულიც გახლავთ, რადგან უცხო სიტყვებით მშობლიურ ენას ვანაგვიანებთ და ვაკნინებთ. დაკნინება-დამცირებაა, აბა რა ჯანდაბაა, როცა წამდაუწუმ გვესმის რუსული კალკების დამახინჯებული

ქართული: «შესაბამისობაში მოიყვანა», «დისკუსიაში შესვლა», «წინააღმდეგობაში მოსვლა», «კონფლიქტში შესვლა»... დაუსრულებლად შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან.

შეიძლება მკითხველმა მისაყვედუროს, კონკრეტულად რატომ არ ვუთითებ დამგონჯებლებს. რა მითითებაა საჭირო, როცა რომელი გაზეთიც გნებავთ, აიღეთ ხელში, სულ წუთით უსმინეთ რადიო-ტელევიზიას, პარლამენტის სხდომას და არ მოგაკლდებათ არც დარეგულირება, არც დაფიქსირება, არც ფუნქციობა, არც შესვლა-გამოსვლა დისკუსიაში, კონფლიქტში, წინააღმდეგობაში, ამგვარები და ამისთანანი.

დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობა ქართული ენის მშენებლობას, მის გაძლიერებასაც ნიშნავს. ისტორიულად ქართული ენა დიდად დააზარალა დიდი ენების შემოტევამ. მტრების მიერ საქართველოს დაპყრობა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ან რომელიმე სხვა თვალსაზრისით კი არ ხდებოდა, არამედ ენობრივადაც. ქართული ენა საუკუნეების მანძილზე იჩაგრებოდა ბერძნულის, არაბულის, სპარსულის, თურქულის, რუსულის გვერდით.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განთავისუფლება ენობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლებასაც უნდა გულისხმობდეს. ამ მხრივ კი, მეტისმეტად მძიმე ვითარებაა. ჯერ რუსული ენის გავლენისაგან არ გავთავისუფლებულვართ და ინგლისურმა შემოგვიტია. არის თუ არა საჭირო, მთელი საქართველო ინგლისური წარწერებით არის აჭრელებული.

ქართული წარწერა ან საერთოდ არ არის, ან საცოდავად არის კუთხეში მიჭყლეტილი. გასაგებია, მოდის აყოლა გვიყვარს და, რაკი დღეს ინგლისური მოდაა, სხვებს რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?! მით უფრო, რომ ზერელე, გარეგნულ მიბაძვაში ტოლი არ გვყავს.

ბაღდათში დაბადებული და გაზრდილი ვლადიმერ მაიაკოვსკი ხუმრობდა თურმე: ქუთაისში ქართულად ასე ლაპარაკობენო: «უგლავოში ზაბოჟნიკი პოლსაპოშკებს აპაჩინკებს». ალბათ, სულ მალე რუსულ-ქართული ამგვარად შეიცვლება ინგლისურ-ქართულით: კორნერში შუმეიკარი ლაუშუზს არეპარინგებს. როცა ეს მოხდება, უეჭველად დავადგებით ევროპული ცივილიზაციის გზას. ჩვენ ბედსაც ძაღლი არ დაჰყეფს.

## რწმენა და ცოდნა

როცა ს.ავერინცევის წერილზე ვსაუბრობდით, მანანა გიგინეიშვილმა ნიუტონის გამონათქვამი გაიხსენა: პატარა ცოდნა ღმერთს გვაშორებს, დიდი გვაახლოებსო.

მე-XVIII საუკუნის «ენციკლოპედიაც» და მისი ბრძენი წინაპარიც «ენკიკლიოს პადეია», როგორც ს.ავერინცევი ამბობს, დიდ ცოდნას გულისხმობდა, მის სისავსეს, სისრულეს და საყოველთაო ხელმისაწვდომობასაც. მაგრამ დიდი და ლიაგური ცოდნა მე-18 საუკუნის რაციონალიზმს სჭირდებოდა არა ღმერთთან დასაახლოებლად, არამედ მისი უარყოფისათვის. რაციონალიზმის ეს მკრეხელობა ბუნებრივად გამოიყურებოდა, რაკი მას უსაზღვროდ სწამდა და სჯეროდა ადამიანის გონების შესაძლებლობა. თუმცა ეშმაკურად უკანაც იხევდა, როცა ღმერთის გამოგონების აუცილებლობას უშვებდა. როგორც ჩანს, რაციონალიზმმა შეამჩნია, რომ არც საზოგადოებრივი და არც სულიერი წესრიგის

თვალსაზრისით არ კმაროდა გონებრივი ძალა. რაღაც სხვა ძალა მას კიდევ უნდა შეშველებოდა. რა მტკიცება და დასაბუთება უნდა იმას, რომ, თუ ადამიანი მოკლებულია სულიერ წესრიგს, შეუძლებელია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაც. ნიმუშების მოსატანად შორს რომ არ ვიხეტიალოთ, სამაგალითოდ იმავე მე-18 საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციაც კმარა. სულიერი წესრიგის უქონლობამ როგორ მარცხამდე მიიყვანა იგი. მაგრამ ყველაფერი ეს ძველია, ისტორიაა. უფრო საინტერესოა ძველ რაციონალიზმთან დღევანდელი მიმართება. მით უმეტეს, რომ თუ რომელიმე საუკუნეს შეიძლება ვუწოდოთ გონების ბატონობის ეპოქა, ეს ყველაზე მეტად მე-20 საუკუნეს შეეფერება. შეეფერება არა მარტო თერმობირთვული ენერგიის, რობოტოტექნიკისა და კოსმოსური ფრენის არსებობის გამო, არამედ ფაშიზმის, ნაციზმისა და სხვა ამგვარი «იზმების» არსებობის გამოც. ეს «იზმებიც» მშრალი რაციონალიზმის შედეგია.

რაციონალიზმს ერთი კანონზომიერება ახლდა: იგი ყოველთვის ღმერთის ძიებით თავდებოდა. ეს სრულებით არ არის პარადოქსი. იგი სუფთა ლოგიკური რეზულტატია. თუ გონება, მისი უსაზღვრო შესაძლებლობის გამო, ერთი მხრივ იწვევდა აღტაცებას, მეორე მხრივ, მისი დაუნდობლობის გამო, ბადებდა უსაშველო შიშსაც. არა მარტო იმ შიშს, რომელსაც იწვევს თერმობირთვული კატასტროფის მუქარა, არამედ იმ შიშსაც, რომელიც ადამიანს ხოჭოდ აქცევს (კაფკა). ასეთ პირობებში იმ ყოვლისშემძლე გონების პატრონ ადამიანს ბუნებრივად უჩნდებოდა სურვილი იმ ძალის არსებობისა, რომელიც კაცს გაჭირვების ჟამს მარტო «რაციოს» ამარა არ დატოვებდა და მხნეობას ჩაუნერგავდა. ამგვარი ვითარების განჭვრეტამ ათქმევინა ალბერტ აინშტაინს _ «მეცნიერება ურელიგიოდ ბრმაა და რელიგია უმეცნიერებოდ _ კოჭლი».

ყოველგვარ რაციონალიზმს პასუხი გასცა მეცნიერების გნოსეოლოგიის დაშლამ, რომელიც ნილს ბორმა მოახდინა.

თუ ნილს ბორამდე მეცნიერება თვლიდა, რომ ყოველი ატომის მოძრაობა სამყაროში ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულია და მას ვერაფერი შეცვლის, დანიელმა მეცნიერმა უარყო მატერიის ელემენტური ნაწილაკების ზუსტი მოძრაობის წინასწარგანსაზღვრულობა. ამით ფიზიკური კანონების აბსოლუტური დეტერმინიზმი დაინგრა.

გარკვეული აზრით, ადამიანის თვითშემეცნების მსგავსად, ფიზიკური შემეცნებაც შეზღუდული აღმოჩნდა. ადამიანსაც ხომ არ შეუძლია ბოლომდე ადევნოს თვალყური საკუთარ ემოციებს. თვითდაკვირვება და თვითანალიზი ამახინჯებს ემოციებს. რომეო, რომელიც ისწავლის თავის გრძნობების გაანალიზებას, აღარ იქნება რომეო.

მე-20 საუკუნეში მეცნიერების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია თვითშეზღუდვა, ანუ შესაძლებლობის პრინციპული საზღვრების დადგენა. კონკრეტულად: 1. ფარდობითობის სპეციალურმა თეორიამ შეზღუდა სიჩქარის სიდიდე; 2. კვანტურმა მექანიკამ _ «დაქუცმაცება» და გაზომვის სიზუსტე; 3. ფარდობითობის საერთო თეორიამ _ სამყაროს ასაკი და მანძილი, რომლის იქით სამყაროზე დაკვირვება შეუძლებელია.

ჩვენი დროის მათემატიკამ თვით ადამიანური შემეცნების შესაძლებლობაც ზღვრულად გამოაცხადა. თუ მათემატიკა ცდილობდა (ამას ევკლიდე იწყებს) ყველა მტკიცება დაეყვანა აქსიომამდე, კურტ გედელმა აღმოაჩინა, რომ ასეთი აქსიომების რიცხვი შეიძლება იყოს

უსასრულო. ბუნებრივია, შეუძლებელია აქსიომების უსასრულო რიცხვი ჩამოთვალო. უამისოდ კი შეუძლებელია როგორც ჭეშმარიტების უნაკლო, მკაცრი გამორკვევა, ისე ზუსტი მეცნიერების წუნდაუდებელი შენობის აგება. რაკი ასეა, შეუძლებელია სამყაროს სრული გაგება-წვდომაც.

ერთი შეხედვით, პარადოქსული რამ მოხდა, ადამიანის გონების ყველაზე ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა აჩვენა სწორედ ამ გონების შესაძლებლობის შეზღუდულობა.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, გახლავთ ებრაელი ფიზიკოსის მარკ აზბელის სემინარების შინაარსი (ისრაელის რუსულენოვანი ჟურნალი «Алеф», 1968 წ., ივნისი, №129). იგი ვრცლად იმიტომ გაგაცანით, რომ მკაფიოდ ჩანს რაციონალიზმის შეზღუდულობა როგორც საერთო, ისე კონკრეტული თვალსაზრისით.

დღევანდელმა მეცნიერებამ არა მარტო ცოდნის შეზღუდულობა აღიარა, არამედ ტერტულიანეს საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამისაც _ «კვია კრედო აბსურდუმ» _ ხშირად იმეორებს. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს და იკითხოს: როდის იმეორებს, პირიქით _ დასცინისო. მართალია, იყო დრო, როცა სიცილით კვდებოდა: ტერტულიანემ თავად აღიარა, ღმერთის რწმენა სასაცილოაო, როცა განაცხადა _ «მწამს, რადგან სისულელეაო». ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ჯერ ერთი, ასე თარგმნა ამ ფრაზისა სრული უაზრობაა. ტერტულიანე ამბობს _ მწამს, რადგან მისი ცოდნა არ შემიძლიაო. ღმერთის ცოდნა მისთვის შეუძლებელი იყო. დარჩენილი იყო, მხოლოდ რწმენის გზა. მეორეც, ბევრი რამ დღეს მეცნიერებამ არ იცის, მაგრამ დაბეჯითებით იმეორებს ასე იქნებაო. კონკრეტული მაგალითი: მეცნიერებამ შეამჩნია, რომ დედამიწა თანდათანობით კარგავს თავის ატმოსფეროს. ჯერჯერობით ამ დანაკარგს ჩვენი პლანეტა ინაზღაურებს დედამიწის შინაგანი რეზერვებით _ მიწის წიაღიდან ამოსროლილი გაზებით. რამდენ ხანს ეყოფა დედამიწას ეს შინაგანი რეზერვები? მეცნიერება ვარაუდობს ათ მილიონ წელს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენი პლანეტა დარჩება უატმოსფეროდ, ისე როგორც მარსი, და მასზე სიცოცხლე დაიღუპებაო. განა შეიძლება იმის ცოდნა, რა იქნება 10 მილიონი წლის შემდეგ? რა მოხდება ამ ათი მილიონი წლის განმავლობაში? მაგრამ მეცნიერება მაინც ამტკიცებს _ დედამიწაზე სიცოცხლე გაქრებაო. განა ეს მტკიცება იმავე «კვია კრედო აბსურდუმს» არ ეყრდნობა? ეყრდნობა, რამეთუ იქ, სადაც ცოდნა თავდება იწყება რწმენა. მეცნიერების ცოდნა გათავდა იქ, სადაც დადასტურდა, რომ დედამიწა თანდათან ჰკარგავს თავის ატმოსფეროს. მერე რა იქნება, ეს უკვე სუფთა რწმენის საქმეა და არა ცოდნის. ათი მილიონი წლის მანძილზე ცოდნით რაიმეს წინასწარმეტყველება გამორიცხულია.

ნათელი გახდა რომ, თუ ცოდნა ბევრი რამ აქვს საამაყო კაცობრიობის ტექნიკით აღჭურვისა და ბუნების კონკრეტულ მოვლენათა ამოცნობის თვალსაზრისით, სამაგიეროდ არაფერი აქვს საყოყოჩო ადამიანის ზნეობრივი ამაღლებისა და სიკვდილ-სიცოცხლის იმ მარადიული კითხვების პასუხის კუთხით, გაჩენის დღიდან რომ აწამებს ადამის შვილს.

ადამიანის გონებას შეუძლია აღნუსხოს და თანამიმდევრულად დაალაგოს ყველა ის მოძღვრება, რომელიც კაცობრიობამ შექმნა იმ დღიდან, რაც წერა-კითხვა ისწავლა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ მოგვცემს პასუხს იმ უბრალო და მარტივ კითხვებზე, რომელთაც გამწარებულ ივანე კარამაზოვს ათქმევინებს _ არ ვიღებო მე თქვენი ღმერთის სამყაროს.

თუმცა შეგვიძლია შებრუნებული სახითაც წამოვიძახოთ: არ ვიღებო თქვენს მეცნიერულ ცოდნასა და გონების სამყაროს, რაკი არც მას ძალუძს ადამიანის ამბოხებული სულის დამშვიდება.

პეტერ ალტენბერგი გვარწმუნებს _ «ადამიანის ყოფიერების ერთადერთი ტრაგედია უვიცობაა. სხვა ტრაგედია არ არსებობს». იქნებ უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა _ ადამიანის ყოფიერების ერთადერთი ტრაგედია გონებანაკლულობაა. რა ვქნათ, რომ გონებანაკლულობას ვერაფერს ვუშველით. გონნაკლულად ადამიანი იბადება. მას ამ ნაკლულ გონებას ვეღარავინ შეუცვლის. ტრაგედია იბადება, რაკი გონნაკლულს ნაკლებობის შეგრძნება არა აქვს და თავის წილს ისევე ითხოვს, როგორც გონებასრული. აქ შეიძლებოდა ანატოლ ფრანსის ხუმრობის გახსენებაც: ამქვეყნად ყველაზე სამართლიანად ჭკუაა განაწილებულიო. არავის დაუჩივლია, ჭკუა მაკლიაო.

ადამიანი, იქნება იგი გონებასრული თუ გონებანაკლული, არსებობისათვის ბრძოლას არ წყვეტს. ამ ბრძოლაში სულის აღსაზრდელად მას იდიალი და მიზანი სჭირდება. რწმენა ასწავლის _ «იყვენით თქუენ სრული, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არის». როცა ამ მოწოდების სჯეროდა, ადამიანი იმედით იყო სავსე. ეს მკაფიოდ ჩანს აგეოგრაფიულ მწერლობაში პრედიკატი _ «ბნელი» _, რომელსაც ხშირად ვახსენებთ შუა საუკუნეების მიმართ, უმართებლოც არის და უსამართლოც. მაშინ ადამიანის სამშვინველის ნათელში ყოფნისათვის იბრძოდნენ. სულის სინათლე ადამიანს გონების სინათლეზე ნაკლებ არ სჭირდება. სულის სინათლეს რწმენა იძლეოდა. მაგრამ, როცა რაციონალიზმის ეპოქაში, ცოდნამ რწმენა უარყო, გაჰქრა იდეალი, მიზანი. ადამიანი თავად აღმოჩნდა მწვერვალი. იქით, უფრო მაღლა, გზა აღარ იყო. ამან გამოიწვია სულიერების კრიზისი, რაც ძალიან ცხადად და მკაფიოდ გამოავლინა დეკადენტური ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მიმართულებამ. აღმოჩნდა, რომ სულის აღმზრდელი იდეალის დასახვა თურმე ცოდნას არ შეეძლო. «ბუნებისმეტყველი კაცისათვის არსებობს მხოლოდ ყოფიერება, მაგრამ მისთვის უცხოა სურვება და ღირებულების დადგენა, ბოროტი და კეთილი და, რაც მთავარია, მიზანი» (აინშტაინი). ალბათ, სულის აღმზრდელი იდეალის უქონლობისათვის უწოდა მე-19 საუკუნეს მარტინ ჰაიდეგერმა «დუნკელსტე» _ უბნელესი.

შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, რომ ორიოდე სიტყვითაც არ შევხებივარ ავერინცევის წერილს, რომლის გარშემოც უნდა გვესაუბრა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მე მინდოდა აღმენიშნა, ჩემი აზრით, უმთავრესი.

რწმენისა და ცოდნის დავა მარადიული დავაა. ამას ნათლად ადასტურებს აზროვნების ისტორია _ იქნება იგი რელიგიური, ფილოსოფიური თუ ლიტერატურული. ამ დავაში ადამიანი ხშირად დაბნეულა. ხან მარტო რწმენას ჩაბღაუჭებია და ხან _ მარტო ცოდნას. იმ უბრალო დასკვნის გამოტანა გასჭირვებია, რაც მშვიდად გააკეთა სტენლი კრამერის ფილმის _ «ქარიშხალს მოიმკი» _ პერსონაჟმა.

ახალგაზრდა მასწავლებელს იმისათვის ასამართლებენ, რომ იგი სკოლაში დარვინის ევოლუციის თეორიას ასწავლიდა. ბრალმდებელი და საზოგადოების დიდი ნაწილი ამას დანაშაულად უთვლის, რადგან ევოლუციის თეორია ბიბლიაში აღწერილს უარყოფს. ადვოკატმა მასწავლებლის გამართლება მოახერხა და სასჯელი აიცდინა. პროცესის

მსვლელობის დროს ადვოკატს დასჭირდა ბიბლიის ზოგიერთი დებულების გაბათილება, მაგრამ, როცა ყველაფერი დამთავრდა, ვექილმა აიღო ორივე წიგნი _ დარვინის თხზულებაც და ბიბლიაც _ ერთმანეთს მიახუტა, გულზე მიიკრა და შინ წაიღო.

უნდა მოხერხდეს ისე, რომ რწმენა და ცოდნა, მტრობის მაგიერ, ერთმანეთს მეგობრობდნენ. ამის ვერმიხვედრა ყოველთვის იქნება ყოველნაირი რაციონალიზმის შეცდომა და მარცხის საფუძველი.

## ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ

ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს მიმაჩნდა საქართველოს ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა აუცილებლად. ეს აუცილებლობა ორი მიზეზით იყო გამოწვეული.

პირველი გახლდათ ის, რომ საქართველოში ავტონომიები რუსეთის ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ მკაფიოდ გარკვეული მიზნით შექმნა. თუ ვინიცობაა საქართველო შეეცდებოდა დამოუკიდებლობის მოპოვებას და ამისათვის ბრძოლას დაიწყებდა, მას აუჯანყებდნენ ავტონომიებს და ტერიტორიულად და ეთნიკურად დაშლიდნენ (ეს არ ყოფილა დამალული და ამას აღიარებდნენ ხმამაღლა). ეს განახორციელა კიდეც ახლა რუსეთმა, როცა საქართველოს წაართვა აფხაზეთი და შიდა ქართლის დიდი ნაწილი, რუსი და ქართველი ბოლშევიკ-კომუნისტების მიერ «სამხრეთ ოსეთად» მონათლული, რაკი რუსეთისაგან სრულიად რეალურად იყო მოსალოდნელი ეს დარტყმა, საქართველოს უნდა გამოენახა გზა და საშუალება მისი თავიდან აცილებისათვის. სამწუხაროდ, ამ პრობლემისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ დიდ გასაჭირში ჩაგვაგდო.

მეორე გახლდათ ის, რომ საქართველო წვრილ-წვრილ რაიონებად იყო დაქუცმაცებული, რაც უსაშველოდ მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიის არსებობას უწყობდა ხელს, მით უფრო, რომ ყოველ პაწია რაიონში ხელისუფლების ორ-ორი ინსტიტუტი არსებობდა _ რაიკომი და აღმასკომი. ერთიცა და მეორეც ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა. ორივე გატენილი იყო უქნარა ბიუროკრატებით, რაც მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ ადამიანებს. მიუხედავად ამ საკითხზე ბევრი ლაპარაკისა, ეს დღესაც ასეა. დღესაც ბიუროკრატია ჭამს ქვეყანას. როგორმე ბიუროკრატია უნდა შემცირებულიყო და მოსახლეობა მუქთახორებისაგან გათავისუფლებულიყო. რა თქმა უნდა, ბიუროკრატიის თვინიერ ვერცერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს, მაგრამ გონიერი ქვეყანა უნდა ცდილობდეს რამდენადაც შესაძლებელია მცირე იყოს ბიუროკრატთა რიცხვი. მით უფრო აუცილებელია ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ვითარებაში. ვერავითარი სოციალური საბაზრო ეკონომიკა ვერ აშენდება, თუ შრომა და მშრომელი არ იქნა თავისუფალი. შრომისა და მშრომელის თავისუფლების გზაზე ბიუროკრატია ყოველთვის დგას, როგორც ძნელად გადასალახავი ბარიერი. არც ამ მიმართულებით გამოუჩენია ვინმეს ყურადღება. აგერ უკვე მეექვსე წელიწადია, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი აღარ არსებობს, მაგრამ

მისგან დანატოვარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხელუხლებელია. არსებობას არხეინად აგრძელებს. ეს კი არადა, ახალი ბიუროკრატიული ერთეული დაემატა _ სახელმწიფო მეთაურის სამხარეო რწმუნებული, ანუ გუბერნატორი. ბიუროკრატია შემცირების მაგიერ კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა.

როცა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფის შესახებ მიმდინარეობდა ლაპარაკი, იმთავითვე მომხრე ვიყავი საქართველო ადმინისტრაციულად დაყოფილიყო მისი ისტორიული კუთხეების შესაბამისად _ აფხაზეთი, აჭარა, გურია, თუშეთი, იმერეთი, კახეთი (ქიზიყითურთ), მთიულეთ-გუდამაყარი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სამცხე (მესხეთ-ჯავახეთი), სვანეთი (ქვემო და ზემო), ფშავ-ხევსურეთი, ქართლი, ხევი. ახლავე უნდა მოგახსენოთ, რომ რასაც მე ვამბობ იმას, არაფერი აქვს საერთო იმ სამხარეო დაყოფასთან, რომელსაც დღეს ხელისუფლება გამწარებული უწევს პროპაგანდას.

ჩემი წინადადების მიზანი იყო საქართველოში ავტონომიების გაუქმება და ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს შექმნა. დღევანდელი ხელისუფლების მოთხოვნის მიზანია არსებული ავტონომიების გამტკიცება და ახლების შექმნა. ამით საქართველოს ტერიტორიული და ეთნიკური დაშლა, რასაც მიაღწიეს კიდეც.

ჩემი წინადადებით, იმ ისტორიულ კუთხეებში, რომელნიც ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბდებოდნენ, უნდა ყოფილიყო მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მართავდა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულს. არავითარი საკანონმდებლო ხელისუფლება ანდა სასამართლო ხელისუფლება ადმინისტრაციულ ერთეულს არ უნდა ჰყოლოდა. საქართველოში ერთი საკანონმდებლო ხელისუფლება იქნებოდა _ საქართველოს პარლამენტი, რომლის მიერ მიღებული კანონები სავალდებულო გახდებოდა ყველა პროვინციისათვის, ანუ ადმინისტრაციული ერთეულისათვის.

ამდენად, ჩემი წინადადება არ გულისხმობდა საქართველოს არავითარ ფედერალიზაციას. დღევანდელი ხელისუფლების სამხარეო მოწყობა კი უპირველესად სწორედ საქართველოს ფედერალიზაციას ითვალისწინებს. ავტონომიური რესპუბლიკებისა თუ ოლქების როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების უფლებათა უკიდურეს გაფართოებას, რომლის შედეგად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებანი სამხარეო ხელისუფლებისათვის სავალდებულო არცკი იქნება.

რაკი საქართველოს ისტორიული კუთხეები როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობით თანაბარი სიდიდის არ არიან, შესაძლებლად და მიზანშეწონილადაც მიმაჩნდა ზოგიერთი კუთხის გაერთიანება, ხოლო ზოგიერთისა, პირიქით, გაყოფა. მაგალითად, შეიძლებოდა რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის გაერთიანება, კახეთისა კი გაყოფა _ გარე კახეთი და შიდა კახეთი. ასევე დასაშვები იყო ქართლის გაყოფაც _ ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, ზემო ქართლი. ამით, მეტნაკლებად, თანაბარი სიდიდის ადმინისტრაციულ ერთეულებს შევქმნიდით. ეს მართვასაც გააადვილებდა და

ეკონომიკურადაც დაახლოებით ერთნაირი შესაძლებლობის ადმინისტრაციული ერთეულიც ჩამოყალიბდებოდა.

ერთი სიტყვით, ჩემი წინადადებით თანამედროვე დარაიონების სისტემა მთლიანად უქმდებოდა და ახალი სამმართველო სისტემა იქმნებოდა:

სოფლის (დაბის) ადმინისტრაცია,

ქალაქის ადმინისტრაცია,

პროვინციის ადმინისტრაცია

და მთელი საქართველოს ადმინისტრაცია.

სოფლისა (დაბის) და ქალაქის ადმინისტრაციები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ იმ პროვინციის ადმინისტრაციას, რომელშიც შედიოდა ესა თუ ის სოფელი (დაბა) და ქალაქი, ხოლო პროვინციის ადმინისტრაცია, ბუნებრივია, დაემორჩილებოდა საქართველოს ხელისუფლებას, ანუ ადმინისტრაციას.

აუცილებლად მიმაჩნდა ქართული სახელმწიფო სამოხელეო ტერმინების აღდგენაც. მაგალითად, სოფლისა, ანდა დაბის თავკაცს უნდა რქმეოდა მამასახლისი, ქალაქისას _ მოურავი (მოგეხსენებათ გიორგი სააკაძე თბილისისა და ცხივნალის მოურავი იყო), პროვინციისას _ ერისთავი. უფრო მეტიც, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტი კი არ უნდა ეწოდებოდეს, არამედ ერისმთავარი. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ძველი სახელმწიფო სამოხელეო ტერმინების აღდგენა ხელს შეუწყობდა ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო ცნობიერების განმტკიცებას. როცა უცხოურ ტერმინებს ვამკვიდრებთ, ამით, ნებითა თუ უნებლიეთ იმას ვამბობთ, რომ ადრე სახელმწიფო არ გვქონია, ახლა ვაყალიბებთ და იძულებული ვართ სამოხელეო ტერმინები ვისესხოთ. ამას ადასტურებს პრეფექტიც, გუბერნატორიც, მერიც. ეს კი ჩვენს სახელმწიფო ცნობიერებას აკნინებს.

სახელმწიფოს არა მარტო შინაგანი შინაარსი აქვს, არამედ გარეგნული ფორმაც. ამ გარეგნულ ფორმას კი ყველაზე ნათლად სწორედ სამოხელეო ტერმინები ავლენენ. როცა საქართველო თურქეთ-სპარსეთის ქვეშევრდომი გახდა, ქართული ენა თურქულ-სპარსული სამოხელეო ტერმინებით გაივსო. მერე, მე-19 საუკუნეში, როცა საქართველო რუსეთმა დაიპყრო, თურქულ-სპარსული სამოხელეო ტერმინები რუსულმა შეცვალა. ეს უტყუარად ადასტურებდა საქართველოს მონურ მდგომარეობას. უცხოური სამოხელეო ტერმინების ქართულით შეცვლა ქართველებისათვისაც და უცხოელისათვისაც ნათელს გახდიდა, რომ საქართველო დამოუკიდებლობა-თავისუფლების გზას მართლაც დაადგა.

სამივე სამოხელეო თანამდებობა _ მამასახლისიც, მოურავიც, ერისთავიც _ არჩევითი უნდა ყოფლიყო და არა დანიშვნითი. ხალხმა, სულერთია სად ცხოვრობს იგი _ სოფელში, ქალაქში თუ პროვინციაში, ხელმძღვანელი თავად უნდა აირჩიოს. თავად უნდა გამოუცხადოს ნდობა. დღესდღეობით ამ საკითხში გაურკვევლობაა: ზოგი თანამდებობა არჩევითია, ზოგი _ დანიშვნითი. მაგალითად, აჭარის ხელმძღვანელს ირჩევენ. ქვემო ქართლის ანდა იმერეთის ხელმძღვანელს ნიშნავენ. ეს სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა სახელმწიფო აზროვნებაში ქაოსს. ქაოსს კი კეთილი არ მოაქვს.

ჩემ წინადადებას საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ იმთავითვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ოპონენტებმა მიიჩნიეს, რომ იმგვარი დაყოფა, როგორსაც მე ვთავაზობდი, საქართველოში გამოიწვევდა კუთხურობის აღორძინებას და ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების დაშლას. ამდენად მიუღებლად ჩათვალეს ის, რასაც მე ვამბობდი. ოპონენტთა ეს აზრი, რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუ ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება მე-20 საუკუნის ბოლოს იმდენად სუსტია, რომ მას უბრალო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა დაშლის, მაშინ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი საქართველოს დამოუკიდებლობაზე. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის. ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება მტკიცეა და იგი უბრალოდ არ დაიშლება. არც დაშლილა საქართველოს გრძელ ისტორიის მნაძილზე. მეორეც იმიტომ, რომ თუ ვისმეს საქართველოს პროვინციების სახელის ოფიციალურ ადმინისტრაციულ ნომენკლატურაში გაცოცხლება, საშიშად მიაჩნია, მისი შეცვლა რა დიდი პრობლემაა. შეიძლებოდა, მაგალითად, მდინარეთა მიხედვით დაგვერქმია სახელი. ხომ არსებობს საფრანგეთში სენის დეპარატმენტი, ლუარის დეპარტამენტი და ა.შ. თუ რაჭის დარქმევა საქართველოს ერთიანობას დააქცევდა, შეგვეძლო გვეწოდებინა ქვედრულას ოლქი, გარე კახეთის მაგიერ _ ივრის ოლქი, შიდა კახეთის ნაცვლად _ ალაზნის ოლქი. ქვემო ქართლს ალგეთის ოლქს დავარქმევდით, შიდა ქართლს ლიახვისას და ასე და ამგვარად. ასე, რომ მარტივად გადასაწყვეტ საქმეს ნუ გავართულებთ. მაგრამ ჩვენ იქ ვიწყებთ ტვინის ჭყლეტას, სადაც ეს სრულებით არ არის საჭირო, რის გამოც მოვლენებს მოუმზადებელი ვხვდებით და წაგებული ვრჩებით. დღეს უკვე მწარედ ვართ დამარცხებული და უკვე აღარ ვიცით, ბოლოს და ბოლოს, რა არის საქართველო. წართმეული გვაქვს და საქართველოს აღარ ეკუთვნის აფხაზეთი და შიდა ქართლის უდიდესი ნაწილი. ხვალ კიდევ რას წაგვართმევენ არ ვიცით. ამ ვითარებაში ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა თითქმის შეუძლებელი ხდება, ხოლო მასზე ლაპარაკი მოცლილი კაცის გართობას ჰგავს.

აკაკი ბაქრაძე
1996, სექტემბერი

## უნდა შემოვიღოთ ქართული სამოხელო ტერმინები

1. უნდა შემოვიღოთ (აღვადგინოთ) ქართული სამოხელო ტერმინები. ხალხის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის და დაბის ხელმძღვანელს უნდა ეწოდებოდეს _ მამასახლისი,

ქალაქისას – მოურავი,

პროვინციისას – ერისთავი.

მინისტრის მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ გამგებელი. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი კი არა, არამედ საგარეო საქმეთა გამგებელი.

პრეზიდენტის ნაცვლად კი დავამკვიდროთ _ ერისმთავარი.

2. იმისათვის, რომ ქვეყანა ბიუროკრატიის ჭაობში არ ჩაიხრჩოს, უნდა შემცირდეს სამინისტროები. საერთო რესპუბლიკური სამინისტროები უნდა იყოს

თავდაცვის სამინისტრო,

საგარეო საქმეთა სამინისტრო,

გზათა და მიმოსვლის საშუალებათა სამინისტრო,

შინაგან საქმეთა სამინისტრო,

ინფორმაციის (ფოსტა, ტელეგრაფი, პრესა, რადიო-ტელევიზია) სამინისტრო,

ფინანსების, ეკონომიკის, კონტროლის სამინისტრო,

იუსტიციის სამინისტრო

ყველა სხვა დანარჩენი საკითხები (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, სპორტის და ა.შ.) პროვინციის ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ, მოუარონ და განავითარონ. ამის საშუალებას თავისუფლად იძლევა სოციალური საბაზრო ეკონომიკისა და თვითმმართველობის პრინციპები.

3. ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ საქართველო ერთიანი, უნიტარული სახელმწიფოა და არავითარი ავტონომიები არ უნდა იყოს. ადმინისტრაციული ერთეულის რაიონის, მაზრის, ოლქის ნაცვლად დავარქვათ აკანი (აკანი მეგრულად ადგილს, მხარეს ნიშნავს). ადმინისტრაციული ერთეულის სახელი კი იყოს მდინარის სახელი (ასეა საფრანგეთში: სენის დეპარტამენტი, ლუარის დეპარტამენტი და ა.შ.). ამ პრინციპს თუ გავიზიარებთ, საქართველო ადმინისტრაციულად შეიძლება ასე დაიყოს:

ა) ბზიფის აკანი (შევა გაგრის, გუდაუთის, სოხუმის რაიონები)

ბ) კოდორის აკანი (შევა გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის რაიონები)

გ) ენგურის აკანი (შევა წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის რაიონები)

დ) ტეხურის აკანი (შევა მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს რაიონები)

ე) ცხენისწყლის აკანი (შევა მესტიის, ლენტეხის, ცაგერის რაიონები)

ვ) ქვედრულას აკანი (შევა ტყიბულის, ამბროლაურის, ონის რაიონები)

ზ) რიონის აკანი (შევა სამტრედიის, ბაღდათის, ვანის, წყალტუბოს რაიონები)

თ) ყვირილას აკანი (შევა ხარაგოულის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის რაიონები)

ი) სუფსის აკანი (შევა ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის რაიონები)

კ) ჭოროხის აკანი (შევა ქობულეთის, ქედის, ხულოს, ხელვაჩაურის რაიონები)

ლ) ფოცხოვის აკანი (შევა ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის რაიონები)

მ) ლიახვის აკანი (შევა ქარელის, ყორნისის, ცხინვალის, გორის რაიონები)

ნ) ალგეთის აკანი (შევა ასპინძის, ახალქალაქის, წალკის, თეთრი წყაროს რაიონები)

ო) ხრამის აკანი (შევა ნინოწმინდის /ბოგდანოვკის/, დმანისის, ბოლნისის რაიონები)

პ) ბერდუჯის აკანი (შევა მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს რაიონები)

ჟ) არაგვის აკანი (შევა მცხეთის, დუშეთის, ახალგორის რაიონები)

რ) თერგის აკანი (შევა ყაზბეგის რაიონი, რომელსაც მიემატება ახლანდელი ჯავის რაიონის ნახევარი. მეორე ნახევარი მიემატება ყვარლის აკანს)

ს) ალაზნის აკანი (შევა თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლის რაიონები)

ტ) ივრის აკანი (შევა გურჯაანის, დედოფლის წყაროს, სიღნაღის რაიონები)

4. ქალაქებს თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს, სოხუმს ექნებათ ცალკე აკანის სტატუსი

ა) უნდა შეიქმნას კანონები სოფლის (დაბის) ქალაქის, აკანის მმართველობისა

ბ) თითოეული აკანი ირჩევს სამ-სამ დეპუტატს და აგზავნის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში, დეპუტატს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: 1. წარმოადგენდეს მის აკანს რესპუბლიკის პარლამენტში და 2) პარლამენტის სახელით აკონტროლებდეს აკანის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას.

გ) სოფელს (დაბას), ქალაქს, აკანს ჰყავს აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ. არავითარი საკანონმდებლო ხელისუფლება სოფელში (დაბაში), ქალაქში, აკანში არ არსებობს. საკანონმდებლო ხელისუფლებაა მხოლოდ ერთი _ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

დ) სოფელი (დაბა) და ქალაქი აკანის ბიუჯეტში აგზავნის მის შემოსავლის 15%. დანარჩენი 85% მას რჩება სოფლის (დაბის) და ქალაქის საჭიროებისათვის.

ე) მამასახლისის, მოურავის, ერისთავის თანამდებობა არჩევითია.

## სიტყვამ ღირსება დაკარგა[2]

ახლა ყველა ლაზღანდარულად წერს. თითქოს ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ უფრო მეტად ილაზღანდარებს. ეს რატომღაც Bon ton-ად ითვლება. ამას კიდევ შეეგუებოდა კაცი, ამ ლაზღანდაროზაში ერთმანეთის სიძულვილი გამოსჭვივის ნათლად და აშკარად. იმიტომ კი არ წერენ, რომ პრობლემა აწუხებთ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ერთმანეთი ლანძღონ. შეიძლება ერთმანეთს არ იცნობენ, არც რაიმე წყენა მიუყენებიათ, უბრალოდ, მოსწონთ ადამიანის ლაფში ამოსვრა. მით უფრო იოლი გახდა ეს დღეს. რაცუნდა დაწერო, ყველაფერი იბეჭდება. მალე, ალბათ, გაზეთი «დედისგინება» გამოვა _ (იქნებ უკვე გამოსულია და არც კი ვიცი), სადაც უხვად გაგიმასპინძლდებიან იმ ქუჩური მეტყველებით, მთელ საქართველოს რომ მოედო დღეს. მერე კვეხნას დავიწყებთ _ ისეთ დემოკრატიას მივაღწიეთ, მსოფლიოს რომ არ უნახავსო. იმასაც ვიტყვით, სიტყვის თავისუფლება ქართველებისაგან ისწავლა მსოფლიომო.

დღევანდელ საქართველოში სიტყვას, გინდა დაბეჭდილს, გინდა ზეპირად თქმულს, ღირებულება, ფასი, მნიშვნელობა დაეკარგა.

კომუნისტური რეჟიმის დროს იტყვას, თუ ხელისუფლებისათვის არასასურველად მიიჩნევდნენ, კრძალავდნენ. აკრძალვა შეეძლოთ რიგით ცენზორსაც და საგანგებო სამთავრობო დადგენილებასაც. ეს, ერთი მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ სიტყვა ციხეში იჯდა და გარეთ თავის გამოყოფა არ შეეძლო, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის მაუწყებელი იყო, რომ ხელისუფლებას სიტყვის ეშინოდა, აფასებდა, ძალად მიაჩნდა და მისი ერიდებოდა. მიუხედავად აკრძალვისა, სიტყვას ღირსება შენარჩუნებული ჰქონდა.

[2] ეს უსათაუროდ დარჩენილი და დაუმთავრებელი წერილი აკ.ბაქრაძის ერთ-ერთ ბლოკნოტშია ჩაწერილი 1999 წელს. პირველი და ბოლო აბზაცი ცალკეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სტატიას ეკუთვნის. (რედაქტორი).

პოსტკომუნისტურ საქართველოში ცენზურა, ზედამხედველობა აღარ არის, ყველაფერი იბეჭდება _ დედისგინებით დაწყებული, «ვეფხისტყაოსნით» დამთავრებული (თუ ფული გაქვს, რა თქმა უნდა). მაგრამ სიტყვამ ღირსება დაკარგა, გაბითურებულია და გაპამპულებული.

პოსტკომუნისტური საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება სიტყვისადმი გამოხატულია ფორმულით _ წერე და იკითზე რამდენიც გინდა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა.

დაბეჭდილ სიტყვას ხელისუფლებისათვის ტუალეტის ქაღალდის ოდენა ფასიც არა აქვს.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ხალხიც ასევე აბუჩად იგდებს სიტყვას. არც ხალხისთვის აქვს რაიმე ფასი და ღირებულება მას. ხალხმა იცის, რომ მასმედია ტყუის, ქუჩაში გაგონილ ჭორს შეუმოწმებლად ბეჭდავს. როცა ეს გამჟღავნდება, ბოდიშის მოსახდელად თავს არ იწუხებს. დედამიწის ზურგზე ქართული მასმედია ერთადერთია, რომელიც ოფიციალურად აცხადებს, რომ, რასაც ბეჭდავს, იმაზე პასუხს არ აგებს. პასუხს მხოლოდ ავტორი აგებსო. ამ უპასუხისმგებლობამ თავაშვებულობის ისეთი პარპაში შექმნა, რომ ბეჭდვითი სიტყვა მასხარაობად იქცა.

ცრუობენ პოლიტიკური წრეებიც, როცა რაიმე განცხადებას აკეთებენ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაგვიკითხავს ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის განცხადება: მოვითხოვთ ამასა და ამას. თუ ჩვენს მოთხოვნებს ხელისუფლება არ შეასრულებს, ჩავიდენთ ამასა და ამას. განმცხადელებმა ორგანიზაციამ ჩინებულად იცის, რომ ხელისუფლება მოთხოვნებს არ შეასრულებს და მაინც იმუქრება. ხელისუფლებამაც იცის, რომ არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია და არც ერთი კონკრეტული პოლიტიკოსი მუქარას არ შეასრულებს. უბრალოდ, ყასიდად აცხადებს. ხალხმა ხომ იცის და იცის. ამიტომ აღარც ხელისუფლების სჯერა, აღარ პოლიტიკური წრეების და აღარც სიტყვის საერთოდ.

ტყუილი ჩვენი ტრადიციული სენია. «მთვარის მოტაცებაში» წერს კონსტანტინე გამსახურდია:

«მე არ ვუთხარი, რა თქმა უნდა, უცხოელს, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ყოველი მესამე კაცი რომ სტყუის. გატყუებენ, როცა გპირდებიან რამეს, ან დროს დაგინიშნავენ და შეგპირდებიან, ამბავს მოგითხრობენ, «საკუთარი თვალით ნახულს და საკუთარი ყურით განაგონს». სტყუის რომელიმე მწერალი ან მეცნიერი, თვითონაც იცის, რომ სტყუის და შენ კი ფული უნდა გადაიხადო მისი სიცრუისათვის».

ასეთ ქვეყანაში რა გასაკვირია, ხელისუფლებაც ტყუოდეს და ოპოზიციაც?!

ამ გრძელი წინათქმით თავი იმიტომ მოგაწყინეთ, რომ ორი რამ მეთქვა.

პირველი: საზოგადოება, სადაც სიტყვას ფასი, ღირებულება, მნიშვნელობა აღარ აქვს, საზოგადოებად ვერ ჩაითვლება. დღევანდელ საქართველოში საზოგადოება უკვე აღარ არსებობს. ის ქვეყანა კი, რომელსაც საზოგადოება დაეშალა, ვერც ერთ პრობლემას ვერ მოაგვარებს, ვერ გადაწყვეტს.

მეორე: უფრო კონკრეტული და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. ჩემი დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემის მიმართ დიდი ხნის წინათ გამოვთქვი. კერძოდ, 1996 წლის ნოემბერში (იხ. «დილის გაზეთი», 1996 წ., №195). მას მერე საქართველოს სასიკეთოდ

არაფერი ეშცვლილა. პირიქით: საქართველომ დამარცხება დამარცხებაზე იწვნია. მეტი რომ არ ვთქვა, უცნაურად მიმაჩნია გაზეთების მიერ დაუსრულებლად დასმული კითხვა _ რას ფიქრობთ აფხაზეთის პრობლემაზე, გალში მომხდარ ამბებზე? მაგრამ რაკი პრესას დაჟინებით სურს გავიმეორო ჩემი აზრი, გავიმეორებ:

საქართველო ვერ დაიბრუნებს ვერც აფხაზეთს და ვერც შიდა ქართლის იმ ნაწილს, რომელსაც კომუნისტებმა «სამხერთ ოსეთი» უწოდეს და ოსებს აჩუქეს. არც დევნილებს დააბრუნებენ შინ, საკუთარ მიწა-წყალზე და სახლ-კარში.

მწარეა ის, რასაც ვამბობ, ძალიან მწარე, მაგრამ სიმართლეა. ეს დაამტკიცა განვლილმა დრომაც და დღევანდელმა ვითარებამაც.

რატომ ვერ დააბრუნებს? ამას ბევრი მიზეზი აქვს. ზოგიერთ ჩამოვთვლი.

პირველი: მართალია, სსრკ-ად წოდებული რუსეთის იმპერია დაიშალა, მაგრამ ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. როგორც სსრკ დაიშალა, ისევე უნდა დაიშალოს რუსეთის ფედერაციაც, რადგან ეს ფედერაციაც იმპერიაა. მასში, როგორც იმპერიულ სახელმწიფოში, შედიან ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირის ქვეყნები და ხალხები. მე-20 საუკუნე იმპერიების რღვევის საუკუნეა და ეს პროცესი უნდა დამთავრდეს. იმპერიებიც იმ კანონს ექვემდებარებიან, რასაც ადამიანები. ადამიანი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ამას უთუოდ და უთუმცაოდ ადასტურებს ამქვეყნად არსებული ყველა იმპერიის ისტორია. რუსეთის იმპერია გამონაკლისი ვერ იქნება. რღვევას იგი ვერსად გაექცევა, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთში არ აღმოჩნდა გონიერი პოლიტიკოსი და გონიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც აღიარებდა რუსეთის იმპერიის დაშლის გარდაუვალობას და დაიწყებდა ზრუნვას რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს შექმნაზე. პირიქით: ისევ გაშმაგებით ებღაუჭება იმპერიის შენარჩუნების უნიადაგო სურვილს. არა მარტო იმის შენარჩუნება სურთ, რაც რუსეთის ფედერაციაში შედის, არამედ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიც, ძველქართულ დიპლომატიურ ტერმინს თუ ვიხმართ, «ყმადნაფიც ქვეყნებად» უნდა ჰყავდეთ.

ცხადია, რუსეთის დაუოკებელი სურვილია, საქართველო შეინარჩუნოს «ყმადნაფიც ქვეყნად». ამისათვის აუცილებელია, საქართველოში ჰქონდეს საყრდენი ბურჯები. ამ ბურჯების როლს აფხაზეთი და, ეგრეთ წოდებული, «სამხრეთ ოსეთი» ასრულებენ. ამდენად, აფხაზეთსა და, ეგერთ წოდებულ «სამხრეთ ოსეთს» არავითარ შემთხვევაში არ შეელევა რუსეთი და მათ საქართველოს არ დაუბრუნებს. იმას მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ან რომელი პარტია იქნება რუსეთის ხელმძღვანელი. რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს, აქვს თავისი პოლიტიკური ამოცანა და მიზანი და ვინც რუსეთის ტახტზე დაჯდება, ამას უნდა ემსახუროს. მიამიტ ქართველთა ოცნება საქართველოს მფარველ რუსეთზე ზღაპარი იყო, ზღაპარია ახლაც და ზღაპარი იქნება მომავალშიც.

გარდა ამისა, რაკი რუსეთი დაირღვა როგორც იმპერია, უნდა თუ არ უნდა ეს, მომავალში მაინც ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება.

გაჩნდა ახალი პრობლემა: ვის დარჩება კავკასია, ვისი «ყმადნაფიცი ქვეყანა» იქნება იგი. ისევ რუსეთის თუ თურქეთის? მას მერე, რაც თურქეთმა ბიზანტიის იმპერია მოსპეს და მისი ტერიტორია დაიკავეს, შავი ზღვა თურქებს საკუთარ ტბად მიაჩნდათ და კავკასია _ მათი

იმპერიის ნაწილად. მერე რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებამ თურქეთი ალაგმა. შავი ზღვა წაართვა, კავკასიაშიაც და ევროპაშიც ამოუკვეთა ფეხი. ახლა ვითარება შეიცვალა. რუსეთი დასუსტდა და დაუძლურდა. დადგა რევანშის დრო. თურქეთი ამ ხელსაყრელ ვითარებას ხელიდან არ გაუშვებს. იგი ყველა ღონეს იხმარს, მთელი კავკასია მისი «ყმადნაფიცი ქვეყანა» გახდეს. ამ მიზნით, სუსტი, გაძვალტყავებული, ტიკინასავით სათამაშო საქართველო თურქეთისათვის მეტისმეტად ხელსაყრელია. ამ თვალსაზრისით, არც თურქეთისათვის არის სასურველი, საქართველომ დაიბრუნოს აფხაზეთი, ტერიტორიული მთლიანობა-ერთიანობა აღიდგინოს. თურქეთისათვის აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიაში შესასვლელი კარია. ეს კარი საქართველოს არ უნდა ჰქონდეს. იგი თურქეთის ხელში უნდა იყოს. სხვათა შორის აფხაზთა გაუცხოება და მათი ქართული სხეულიდან მოგლეჯა სწორედ თურქებმა დაიწყეს მე-17-მე-18 საუკუნეებში. აფხაზეთში სწორედ ისლამის გავრცელებით და გათურქებით დაიწყო ქართული ეროვნული სხეულის გლეჯა.

კარგად მოგეხსენებათ, აფხაზეთიდან პირწმინდად არის გამოძევებული ქართული მოსახლეობა. ეს პრობლემაც დგას _ ვინ დაიკავებს გამოძევებული ქართული მოსახლეობის ადგილს აფხაზეთში _ რუსები თუ თურქები? ამის წყურვილი ერთსაც აქვს და მეორესაც. ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მესამე ძალაც არსებობს, რომელსაც არ სურს, აფხაზეთი დაუბრუნდეს საქართველოს. ეს გახლავთ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები. ისინი არც შემთხვევით და არც აფხაზთა ლამაზი თვალებისათვის არ მონაწილეობდნენ საქართველოს წინააღმდეგ ომში. მათაც თავისი ამოცანა და მიზანი აქვთ. როცა რუსეთი საბოლოოდ დატოვებს კავკასიას და იმიერ კავკასიაში რაღაც სახელმწიფო წარმონაქმნი ჩამოყალიბდება, მას შავი ზღვისა და თურქეთისაკენ გასასვლელი დასჭირდება. რუსეთი ცოცხალი თავით არ დათმობს სოჭი-ტუაფსე-ნოვოროსიისკის ხაზს. თან ამ ზოლში, ძირითადად, რუსი მოსახლეობაა. ერთადერთი ადგილი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას შავ ზღვასთან და თურქეთთან დააკავშირებს, აფხაზეთია. ამიტომ იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიელები ქართველთა წინააღმდეგ. აფხაზეთის ყოფნა ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერციაში მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რით შეუძლია საქართველოს დაუპირისპირდეს ამ სამ უდიდეს ძალას? არაფრით.

საქართველო ეკონომიკურ-ფინანსიურად ღარიბ-ღატაკი ქვეყანაა. საქართველო არ აწარმოებს არაფერს. ჩაისა და ღვინის მრეწველობაც კი მოკვდა. საქართველოს არ გააჩნია ასანთის ღერიც კი, რომელიც უცხო ბაზარზე გაიყიდება და თუნდაც გროშებს შემოიტანს. ნასესხები ფულით ვცხოვრობთ, რომელიც მომავალში ქართველ ხალხს გაუგონარ უბედურებად დაუჯდება.

საქართველოს არ ჰყავს არმია. იმის გამო, რომ დაუსრულებლად ვტყუით, ვერ შევქმენით ჯარი, რომელსაც თუნდაც აღლუმებზე გავლა შეუძლია.

კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ასე: მთელი საბჭოთა კავშირი ერთ სანიმუშო ღორს ან თხას გამოზრდიდა. მერე ამ ღორსა თუ თხას გამოფენაზე გამოიყვანდნენ და პრესა ატეხდა ვაიუშველებელს _ სსრკ-ის მეცხოველეობამ არნახულ წარმატებებს მიაღწიაო. ნამდვილად კი ერთი საგამოფენო ღორი ან თხა არსებობდა. მეტი ღორი ან თხა მთელ სსრკ-ში არ ჭაჭანებდა.

ეს გამოცდილება საქართველოში კარგად აითვისეს. ათი-თორმეტი გაწვრთნილი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავთ, რომელთაც ხან ამერიკაში და ხან ევროპაში გზავნიან საწვრთნელ მეცადინეობაზე. მერე ნაცარქექიასავით ნაცრის ბუქს აყენებენ: ქართველი ჯარისკაცები ევროპელ და ამერიკელ ჯარისკაცებს არ ჩამოუვარდებიანო გაწვრთნილობის მხრით. საქართველო ამ სიცრუის აკვანში ნეტარებს და ქართული მიწა-წყალი მტერს მიაქვს.

ქართული ეკონომიკა-ფინანსები მოშლილია იმიტომ, რომ, ქართული ჯარი არ გვყას, იმიტომ, რომ საქართველოში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მოვლა-პატრონობა. ეს პოლიტიკური ძალა არ არის არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში. მართალია, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს აკრიტიკებენ, ერთმანეთზე კბილებს ილესავენ, არც გადაბრალება-გადმობრალებას უჩანს ბოლო, მაგრამ ისიც დღესავით ნათელი და ცხადია, რომ ორივე მხარე ერთნაირად და თანაბრად უნიჭო, უუნარო და უძლურია, უპატრონოს ქვეყანას, გადაწყვიტოს ის უმძიმესი და ურთულესი პრობლემები, რაც საქართველოს დაატყდა თავს.

ადრე თუ გვიან დღევანდელი ხელისუფლება წავა. მარადიული არაფერია ამქვეყნად, მაგრამ მისი შემცვლელიც ისეთივე არაფრისგამკეთებელი იქნება, როგორიც დღევანდელი ხელისუფლება. ისეთივე იქნება, რადგან ასპარეზზე არ ჩანს არც პოლიტიკური პარტია, არ ჩანან პოლიტიკოსები, რომელთაც ძალუძთ საქართველოში ვითარების შეცვლა. ამას ყველაფერი ადასტურებს _ პარლამენტის სხდომები, პრესკონფერენციები, რადიო-ტელეგამოსვლები, სტატიები პრესაში, მათი საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგები.

. . .

სიტყვის გაუფასურებამ საზოგადოება დაშალა. ახლა ჯოგია საქართველოში. საზოგადოებას თავისი ესთეტიკური სახე აქვს. ჩვენ ვიცით ანტიკური ეპოქის, რენესანსის თუ სხვა ეპოქების ესთეტიკური სახე. დღევანდელი საზოგადოების ესთეტიკური სახე არ ვიცით. მოწაფეს რომ მელანი დაეღვრება და რვეულის ფურცლები დაიდღაბნება, ვეღარ გაარჩევ, რა ეწერა. ასეა ახლა დადღაბნილი საზოგადოების ესთეტიუკრი სახე. იგი არ ჩანს. მის ნაკვეთებს ვერ ამოიცნობ. ესთეტიკური უსახობა შეიძლება დავარქვათ მას.

## განმარტება

> ყველა გონიერი ადამიანი ამტკიცებს: მემუარისტს არ უნდა ენდოთო. ეს რომ სიმართლეა, ახლაზან კიდევ ერთხელ დაადასტურა ჯაბა იოსელიანმა (გაზ. «დრონი», 1999 წ. 31 აგვისტო).

ადრე ზვიად გამსახურდია იჩემებდა _ აკაკი ბაქრაძე მე დავნიშნეო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ.

ახლა, ჩემდა გასაოგნებლად, შევიტყვე, რომ თურმე ჯაბა იოსელიანმა დამნიშნა.

არც პირველი ამბობს მართალს და არც _ მეორე.

როგორც კარგად ცნობილია, რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 24 ივნისის დადგენილებით №299. ამ დადგენილებას წინ უსწრებდა 1988 წლის 19 მარტს რუსთაველის თეატრში გამართული რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც აირჩია საზოგადოების პრეზიდიუმი და თავმჯდომარე («კომუნისტი», 1988 წ. 20 მარტი). მაშინ კომუნისტური რეჟიმი მყარად გრძნობდა თავს და არც ზ.გამსახურდიას ეკითხებოდა ვინ უნდა ყოფილიყო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე და არც ჯ.იოსელიანს. ეს საკითხი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულუარებში წყდებოდა.

რუსთაველის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო ირაკლი აბაშიძე. რუსთაველის საზოგადოების პირველი დამფუძნებელი ყრილობა უნდა გამართულიყო ერთი წლის შემდეგ, 1989 წლის 18-19 მარტს. მაგრამ 1989 წლის თებერვალში საქართველოს კპ ცკ-მა გადაწყვიტა ირაკლი აბაშიძე შეეცვალა სხვა პირით. რატომ და რისთვის, ეს მე არ ვიცი. დაიწყო კანდიდატურების ძებნა. არც ის ვიცი რამდენი კანდიდატურა განიხილებოდა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ერთხელ ნუგზარ ფოფხაძესთან, მაშინ საქართველოს კპ ცკ მდივანთან, გამომიძახეს. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. იმ ვითარებაში, რაც მაშინ საქართველოში სუფევდა, ჩემი თავმჯდომარეობა მიზანშეწონილად მივიჩნიე და დავთანხმდი იმდენად, რამდენადაც, შესაძლებლობა გვეძლეოდა ათიათასობით ადამიანი, როგორც მემუარისტი ბრძანებს, ეროვნული მოძრაობის რუსხმულში გადმოგვეყანა. მაგრამ მე ეს არ მცოდნია და ჯ.იოსელიანს უსწავლებია. ეს ისეთივე უსაფუძვლო კვეხნაა, როგორიც მისი არაერთგზის განცხადება _ ედუარდ შევარდნაძე მე ჩამოვიყვანეო საქართველოში. ჩანს, ჯ.იოსელიანს მეტად გაზვიადებული წარმოდგენა აქვს მის როლსა და დანიშნულებაზე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როგორც იმხანად იყო მიღებული, ჩემი კანდიდატურა შეთანხმდა საქართველოს კპ ცკ-ის ყველა მდივანთან. ისინი დაეთანხმნენ ნ.ფოფხაძის წინადადებას. ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგნი არც რუსთაველის საზოგადოების წევრები ყოფილან. ისინი ერთხმად მიჭერდნენ მხარს. ეს იცოდა ნ.ფოფხაძემ, რადგან ის მაშინ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრიც იყო.

ასე რომ, ორივე მხარე _ ხელისუფლებაც და რუსთაველის საზოგადოების წევრებიც _ ჩემი მომხრე იყო. ამდენად, არ მჭირდებოდა არც ზ.გამსახურდიას და არც ჯ.იოსელიანის დახმარება. მით უმეტეს, ზურაბ ჟვანიასი, რომელსაც მაშინ, მისი ამხანაგების მეტი, არავინ იცნობდა, არავინ მის აზრს ანგარიშს არ უწევდა.

როცა 1989 წლის 18 მარტს, ოპერის თეატრში. რუსთაველის საზოგადოების ყრილობა დაიწყო, იმჟამინდელი წესის თანახმად, მე უკვე დანიშნული ვიყავი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ. მაგრამ ყრილობის მსვლელობის დროს ერთი ინციდენტი მოხდა, რომელმაც შეიძლება ზოგიერთი დააბნია.

ოპერის თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. დასწრების მსურველებს დარბაზი ვერ დაიტევდა. ამიტომ ქუჩაში ელექტრობოძზე რეპროდუქტორები დადგეს, რომ ხალხს მოესმინა _ რა ხდებოდა თეატრში. იოსებ ცისკარიშვილს საანგარიშო მოხსენება დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა ოპერის თეატრის დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ამბავი

მოიტანეს: გარეთ, რუსთაველის პროსპექტზე, მილიცია ხალხს არბევსო. მაშინ ტრიბუნაზე ავედი და საზოგადოებას მივმართე: თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდება ხალხის რბევა, მე უარს ვამბობ რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე და ყრილობა ჩაიშლება-მეთქი. ტრიბუნიდან ჩამოვედი, თეატრის შენობა დავტოვე და გამზირზე გავედი (ვინც მაშინ ყრილობას ესწრებოდა, ეს უნდა ახსოვდეს).

რუსთაველის პროსპექტზე მართლაც დიდი აურზაური იდგა. ხალხი და მილიცია ერთმანეთისაკენ მუშტებით მიიწევდნენ. ლანძღვა-გინების კორიანტელი იდგა. მე ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან მივედი. მათ მითხრეს, შენს მხარდასაჭერად მოვედითო. მე ვუპასუხე: ჩემი თავმჯდომარეობის საკითხი გადაწყვეტილია და სჯობს წახვიდეთ, რაიმე უბედურება რომ არ დატრიალდეს. ამ საუბარში რომ ვიყავით, ჩემთან მოვიდა ვახტანგ გურგენიიძე და მითხრა _ ნუგზარ ფოფხაძე ოპერის დირექტორის კაბინეტში გიცდის, შენთან საუბარი უნდაო. მე ოპერის თეატრში შევბრუნდი. ნუგზარ ფოფხაძემ მთხოვა: ახლა ყრილობას ნუ ჩაშლი, მერე, თუ გინდა, გადადექიო. მილიციას მითითება მისცა ხალხი აღარ დაერბიათ. ქუჩა დამშვიდდა. ყრილობამ ღია კენჭისბრით თავმჯდომარედ ამირჩია. ყველა სხვა საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო. ასე დამთავრდა ყრილობა.

თუ ოპერის თეატრის წინ მომხდარი შემთხვევა ზ.გამსახურდიას, ასე თუ ისე, მცირე საბაბს მაინც აძლევდა ეთქვა _ აკაკი ბაქრაძე მე დავნიშნეო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ (თუმცა ეს მართალი არ არის, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ჩემი თავმჯდომარეობა, არსებითად გადაწყვეტილი იყო რამდენიმე დღით ადრე), ჯ.იოსელიანის ხვეწნა-მუდარა არ მჭირდებოდა, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე იყავიო, რაკი თანხმობა ნ.ფოფხაძისათვის უკვე მიცემული მქონდა. მაშინ კი ამგვარ საკითხს ნ.ფოფხაძე უფრო წყვეტდა, ვიდრე ჯ.იოსელიანი.

ის, რაც ჯაბა იოსელიანმა «დრონში» გამოაქვეყნა, სიმართლეს არ შეეფერება. ეტყობა, ჯ.იოსელიანმა ციხეში რომანების წერას თავი დაანება და ზღაპრების შეთხზვას მიჰყო ხელი.

1999 წ., 4 სექტემბერი

## ლ ე ქ ც ი ე ბ ი

### საქართველო და გარე სამყარო

(ლექცია უნივერსიტეტში)

ყველა დროში ამა თუ იმ საზოგადოებას თავისი მეთაური ფენა ჰყავს. ეს მეთაური ფენა განაპირობებს იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც თავად ხალხს ამა თუ იმ ქვეყანაში სურს. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ფენა სხვადასხვა ვითარების შედეგად დაწინაურებული ნაწილისაგან შედგება და ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ ჩვენთვის ნაცნობ ტერმინებს გამოვიყენებთ, მონათმფლობელურ ეპოქაში მონათმფლობელებია ეს პრივილეგირებული ნაწილი

საზოგადოებისა, ფეოდალიზმის დროს _ ფეოდალები, კაპიტალიზმის დროს _ ბურჟუაზია და ა.შ. აი, ამ პრივილეგირებულ ნაწილს, რომელსაც ავალია ქვეყნის მეთაურობა და ქვეყნის პატრონობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მის (პრივილეგირებული ნაწილის) გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოახერხებს მოაგვაროს თავისი საზოგადოებრივი წესწყობილება და ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას შეუდგეს. საზოგადოებას ყველა ვითარებაში სჭირდება არა მარტო რაღაც გარკვეული ჯგუფი, რომელიც ქვეყანას მეთაურობს, მთავრობის, ხელისუფლების სახით, არამედ ფენა, რომლის ინტერესები განსაზღვრავს საზოგადოების მდგომარეობას და ამ ფენის ინტერესების დაცვა წარმოადგენს საზოგადოების სტაბილურობის საფუძველს.

მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები ამ თვალსაზრისით არის სანიმუშო ქვეყანა. როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა, მას მკაფიოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ფენა _ ბურჟუაზიის სახით _ უკვე ჰყავდა, რომლის ინტერესები განსაზღვრავდა მაშინდელი ამერიკის მოსახლეობის ინტერესებს. შემდეგ უკვე ეს ბურჟუაზიული ფენა განაგებს ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრება თავის სასარგებლოდ და დანარჩენი საზოგადოების სასარგებლოდაც. ცდილობს ყველა პოლიტიური სტრუქტურა, ყველა სოციალური, ეკონომიკური და ა.შ. სტრუქტურა იყოს ისეთი, რომელიც ამ პრივილეგირებული ფენის ინტერესებს დააკმაყოფილებს.

ასე იყო საქართველოშიაც. როდესაც არსებობდა გარკვეული ფენა ფეოდალური კლასისა, სწორედ ამ ფეოდალურ კლასს ევალებოდა მის (საქართველოს) ინტერესების დაცვა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესების დაცვაც. რა თქმაუნდა, როდესაც ქართული თავადაზნაურობა განაგებდა ქვეყანას და მისი ინტერესები ემთხვეოდა ქვეყნის ინტერესებს, თავადაზნაურთა ფენა იცავდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და, საერთოდ, ქართულ ეროვნულ ინტერესებს. ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით საქართველოს ფეოდალური ისტორია და, ბუნებრივია, კარგად შეგვიძლია განვსაზღვროთ ის როლი, რაც თავადაზნაურობამ შეასრულა საქართველოს ისტორიაში, როგორც ფენამ, როგორც ძალამ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას უფრთხილდება.

საქართველოს სამეფოს დაშლა გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ძლიერი მტერი ებრძოდა საქართველოს და ხელს უშლიდა მის სახელმწიფოებრივ არსებობას, არამედ იმითაც, რომ საქართველოში დაიწყო სწორედ ამ პრივილეგირებული ფენის დაშლა და არ აღმოცენდა მეორე, რომელიც ამ პრივილეგირებულ ფენას შეცვლიდა, ისე, როგორც ეს, დავუშვათ, რომელიმე სახელმწიფოში მოხდა. ევროპაში, როდესაც წავიდნენ მონათმფლობელები და მათ ნაცვლად მოვიდნენ ფეოდალები, როცა წავიდნენ ფეოდალები და მათ ნაცვლად მოვიდნენ კაპიტალისტები.

ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, როცა ფეოდალები წავიდნენ და ბურჟუები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში არა როგორც კონკურენტული ხელისუფლება და მთავრობა, არამედ როგორც მმართველი ფენა, რომელსაც

სხვადასხვა დროს შეიძლებოდა ჰყოლოდა სხვადასხვა მთავრობა, სხვადასხვა ხელისუფლება, მაგრამ ქვეყნის პატრონი (ე.ი. მმართველი ფენა) იყო ბურჟუაზია.

ჩვენ ძალიან კონკრეტულად უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან _ რა არის მმართველი ფენა და რა არის ხელისუფლება. დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი გასაჭირი სწორედ ის არის, რომ საქართველოში არ არის მმრათველი ფენა. საქართველოში საერთო მდგომარეობაშია მთელი ერი და არავითარი მმართველი ფენა მას ჯერჯერობით არ ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ერთი ხელისუფლება, მეორე, მესამე და ა.შ. ნიჭიერი თუ უნიჭო კონკრეტული პიროვნება, რომელიც ხელისუფლების სათავეში ჩადგება, მაგრამ, როგორც გითხარით, ყველაზე საშინელი ის არის, რომ საქართველოში დღეს არაა მმართველი ფენა. რაკი მმართველი ფენა არ არის, ბუნებრივია, საქართველოს სახელწიფოებრიობის ჩამოყალიბება მეტისმეტად რთული პროცესი გახლავთ. მთავარია, ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში, მონაცვლეობის თვალსაზრისით, იცვლებოდეს არა ხელისუფლება, არამედ მმართველი ფენა. შეიძლება ხელისუფლების ის ფორმა დარჩეს, რომელიც არსებობდა მანამდე, მაგრამ აუცილებელი შეიცვალოს მმართველი ფენა.

მაგალითად, საფრანგეთში, როდესაც ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა, თავდაპირველად, არ აპირებდნენ მონარქიის გაუქმებას ან, თუ გნებავთ, ლუი XVI-ს ჩამოგდებას და, მით უმეტეს, მის დასჯას. ეს არ იყო მთავარი და იმიტომ. მთავარი იყო საზოგადოების ფენის შეცვლა და იცვლებოდა კიდეც. ამ შეცვლილ ფენას თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა ლუი XVI-ს ხელისუფლება, ე.ი. მონარქია. მაგრამ, სხვადასხვა ისტორიული მიზეზის გამო, ეს ვითარება შეიცვალა მაშინ საფრანგეთში და ლუი XVI დასაჯეს. ასევე იყო ცოტა უფრო ადრე, როდესაც ინგლისში მოხდა რევოლუცია. ამ რევოლუციამ მოითხოვა მონარქის დასჯა, მაგრამ მალევე შეიცვალა მდგომარეობა და ახალი მეფე იაკობ სტიუარტი უკვე იყო არა ფეოდალური სახელმწიფოს, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მეფე. თუმცა მონარქია ინგლისში არ შეცვლილა. კარგად ვიცით, რომ იქ დღესაც მონარქია არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულია მისი უფლება-მოვალეობანი, მაგრამ, თავისთავად, მმართველობის ფორმა დარჩენილია.

ამგვარად, დიდი რევოლუციების დროს უმთავრესი სწორედ ის გახლავთ, რომ შეიცვალოს მმართველი ფენა. თუ მმართველი ფენა არ შეიცვალა, მაშინ ძალიან რთულდება ახალი სისტემის, ახალი სახელმწიფოს აშენება ამა თუ იმ სახელმწიფოში.

რა მოხდა საქართველოში ამ თვალსაზრისით? საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება რომ დამყარდა, კომუნისტებმა გამოაცხადეს, რომ არავითარი კლასობრივი ურთიერთდაპირისპირება აღარ უნდა არსებობდეს. ერთი, მთლიანი საზოგადოება უნდა იყოს და ამ საზოგადოებაში შიგნით თუ იქნება კლასთა განსხვავება, ეს არ გამოიწვევს დაპირისპირებასა და შუღლს, რადგან ორი მშრომელი კლასი იქნება _ ერთ მხარეს მუშათა კლასი, მეორე მხარეს _ გლეხობა. მათ შორის ის წინააღმდეგობაც არ იქნება, რაც, ჩვეულებრივ, შეიძლება არსებობდეს მდიდარსა და ღარიბს შორის. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში საზოგადოება ერთი მთლიანია. მას მმართველი ფენა არ ჰყავს. აი, ამ მმართველი ფენის ფუნქცია იკისრა კომპარტიამ.

კომპარტია, თუ პარტიულობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ და პარტიის კუთხით მივუდგებით, არ შეიძლება ყოფილიყო პარტია იმიტომ, რომ პარტიის წევრთა ასეთი რაოდენობა, საერთოდ, წარმოუდგენელია რომელიმე პარტიისათვის, მილიონობით წევრი არ შეიძლება პარტიას ჰყავდეს. კომპარტია თითქოს ჩვეულებრივი პარტია იყო, რომელიც განასახიერებდა ინტერესებს როგორც მუშათა კლასისას, ისე გლეხობისას, მაგრამ, სინამდვილეში, საბჭოთა კავშირში (აქედან, საქართველოშიც) ქვედა პროცესი მიმდინარეობდა, დაფარული პროცესი მიმდინარეობდა, შიგნითა პროცესი მიმდინარეობდა იმ მმართველი ფენის შესაქმნელად, რომელიც შემდეგ ქვეყნის პატრონი უნდა გამხდარიყო. ე.ი. კომპარტია, უბრალოდ, იყო ის პრივილეგირებული ფენა, რომელსაც ქვეყანა უნდა ემართა და, აქედან გამომდინარე, თანდათანობით შექმნილიყო ის ახალი ფენა, რომელიც, როგორც გითხარით, ყველა ვითარებაში და ყველა საზოგადოებაში აუცილებელი გახლავთ.

თავის დროზე ვწერდი, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს სამი ძალა და სწორედ ამ სამი ძალისადმი დამოკიდებულება კარგად უნდა განსაზღვროს ეროვნულმა მოძრაობამ. მიმაჩნია, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა და დღევანდელობამაც, ჩემი აზრით, ეს დაადასტურა. რომელი იყო ეს სამი ძალა: ერთი გახლდათ პარტია, რომელიც ბატონობდა და რომელსაც ფორმალურად ყველაფერი ხელში ეჭირა; მეორე ძალა გახლდათ ბიუროკრატია, რომელიც აგრეთვე, ბატონობდა და ძალიან ძლიერიც იყო იმის გამო, რომ რუსეთი ტრადიციულად ბიუროკრატიული სახელმწიფო იყო და ეს ბუნებრივად გააგრძელეს მერე კომუნისტებმაც; მესამე _ დაფარული, ჩუმი ძალა, რომელსაც კლეპტოკრატია დავარქვი, რადგან ეს ნაწილი საზოგადოების მმართველობისა ძირითადად ქურდებისაგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს ჩვეულებრივი ქურდი, რომელიც ოთახში შევა, რაღაცას მოიპარავს ან ვიღაცას ჯიბეში ჩაუყოფს ხელს. მე კლეპტოკრატიაში ვგულისხმობდი საზოგადოების იმ ფენას, რომელიც სახელმწიფო ქონებას ითვისებდა და მდიდრდებოდა.

აი, სწორედ ეს კლეპტოკრატია აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი ფენა, რომელიც საბჭოთა კავშირში მისი დაშლის პერიოდში არსებობდა. ვერც პარტია, ვერც ბიუროკრატია და ვერც რომელიმე სხვა ძალა კლეპტოკრატიას წინ ვერ აღუდგა, რადგან არ არსებობდა საზოგადოების ის ფენა, ის ძალა, რომელიც ამას წინ აღუდგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე, ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში შეიცვალა ვითარება _ დღეს კომუნისტები აღარ არიან, მეტნაკლებად ბიუროკრატებიც გამოიცვალნენ, თუმცა ბიუროკრატიული სისტემა ჯერ ძალიან მყარად და მძაფრად არსებობს. მთავარი მაინც ის არის, რომ ვერავინ ვერაფერი დააკლო კლეპტოკრატიას და, დღეისათვის, როგორც საქართველოში, ისე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, ყველაფერი კლეპტოკრატიის ხელშია. ამიტომ წინ არაფერი არ მიდის. ყველაფერი, რაც ხდება, არსებითად, ერთ წრეში ტრიალებს, ერთ ადგილას ტრიალებს. როგორი ტრიალიც უნდა იყოს ეს ერთ ადგილას, მას წინსვლა არ დაეტყობა. ადამიანი, როცა კარუსელზე ზის, მართალია, სწრაფად ტრიალებს და ქროლვის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, მაგრამ ის არსად არ მიდის. ადამიანი, რომელიც მანქანაში ზის, სულ ზლაზვნით რომ მიდიოდეს, მაინც წინ მიდის იმიტომ, რომ მანქანა მიდის წინ და ერთ ადგილას არ ტრიალებს. დღევანდელი ჩვენი უბედურება ის გახლავთ, რომ ერთ ადგილას

ვტრიალებს. გარეგნული შთაბეჭდილება შეიძლება რჩებოდეს იმისა, რომ რაღაც იცვლება და რაღაც ახალი მოდის, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ არის: ყველა ფენაში, ყველა სტრუქტურაში, ყველა ვითარებაში ის ძველი კლეპტოკრატია ისევ ზის, ისევ ბატონობს და ისევ წარმართავს ქვეყანას. როგორც ჩანს, მისი დაძლევა არც ისე იოლი იქნება და ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომ იყო საჭირო ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ყველა ქვეყანაში მმართველი ფენა წარმოქმნილიყო და მერე ეს მმართველი ფენა შეიძლებდა უკვე ქვეყნის პატრონობასა და მართვას. რადგან, როგორც მოგახსენეთ, ხელისუფლება სწორედ ამ მმართველ ფენას ეყრდნობა, ესაა მისი საფუძველი და მისი ძალა.

ერთი დიდი შეცდომა, რომელიც იმთავითვე მოხდა საბჭოთა კავშირში, 1917 წლის ორივე რევოლუციის დროს _ ჯერ თებერვლისა და მერე ოქტომბრისა _ გახლდათ სწორედ ის, რომ სტრუქტურა, რომელიც მმართველ ფენას სჭირდება, რუსეთის იმპერიაში არ იყო. ლაპარაკი მაქვს ეკონომიკურ სტრუქტურაზე.

როდესაც საფრანგეთში რევოლუცია მოხდა ან, თუ გნებავთ, უფრო ადრე, როცა ინგლისში მოხდა რევოლუცია, ის სტრუქტურა, რომელიც ახალ მმართველ ფენას, ანუ ბურჟუაზიას სჭირდებოდა, უკვე რეალურად არსებობდა; ის ურთიერთდამოკიდებულებანი, ის სისტემები, რომლებიც წარმართავდნენ მოცემულ ეკონომიკურ ვითარებას, უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული იყო, ოღონდ ძველი ტანსაცმელი ეცვა, ძველ ფორმაში იყო გამოწყობილი. რევოლუცია სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ეს ძველი ტანსაცმელი გადაეგდო და ის, რაც რეალურად არსებობდა, უნდა გამხდარიყო უკვე იურიდიული ფორმითაც ბატონ-პატრონი მოცემული ქვეყნისა. ე.ი. ბურჟუაზია არსებობდა არა მარტო როგორც გარკვეული მმართველი ფენა, არამედ როგორც ეკონომიკური სტრუქტურაც. ურთიერთდამოკიდებულებანიც ბურჟუაზიულიხასიათისა გახლდათ და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სისტემა, როგორც გარკვეული მოვლენა, უკვე არსებობდა.

იგივე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, როდესაც იგი ინგლისის წინააღმდეგ აჯანყდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში არა მარტო მკაფიოდ ჩამოყალიბებული მმართველი ფენა არსებობდა, არამედ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურაც. სწორედ ამ ეკონომიკური სტრუქტურების თავისუფლებამ მოითხოვა ამერიკის ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, რათა განთავისუფლებულიყო მონარქიული მეურვეობისაგან, რომელსაც ინგლისი ახორციელებდა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

მაგრამ, როდესაც რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა, ამ ბურჟუაზიული რევოლუციისათვის ბურჟუაზიული ელემენტი არსებობდა, მაგრამ არ არსებობდა სოციალისტური ელემენტი. ამიტომ თებერვლის რევოლუცია იყო კანონზომიერი რევოლუცია რუსეთის განვითარებისა. მაგრამ გადატრიალება თუ რევოლუცია, რომელიც ოქტომბერში მოხდა, ეს იყო უკვე ამ კანონზომიერების დარღვევა, რადგან კომუნისტურ პარტიას არავითარი ეკონომიკური სტრუქტურა შექმნილი არ ჰქონდა, არავითარი ფორმა, რომელსაც კომუნისტური პარტია დაეყრდნობოდა, არ არსებობდა და აქ მხოლოდ და მხოლოდ ძალადობას შეეძლო განეხორციელებინა ის, რასაც კომუნისტები ფიქრობდნენ. ამან

გამოიწვია ის უსაშველო სისხლისღვრა, რომელიც კომუნისტების ბატონობას მოჰყვა. რაც მთავარია, თეორიულადაც კი არ იცოდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ეკონომიკური სტრუქტურა. რაკი თეორიულადაც არ იცოდნენ, ბუნებრივია, გზადაგზა ხდებოდა ეკონომიკური სტრუქტურსი შემუშავება.

ჯერ იყო და, ე.წ. «სამხედრო კომუნიზმის» სისტემა შემოიღეს. სამხედრო კომუნიზმი ნიშნავდა _ ადამიანთა საზოგადოებას უნდა ეცხოვრა ისე, როგორც არმიაში ცხოვრობენ ჯარისკაცები, ე.ი. ყაზარმული წესით _ არმიაში ჯარისკაცებს აცმევენ, ახურავენ კიდეც, აჭმევენ კიდეც, ასმევენ და ა.შ. ტროცკის აზრით, სახელმწიფოც ასევე უნდა ყოფილიყო მოწყობილი: ვთქვათ, ადამიანები იმუშავებდნენ, მთავრობა გამოუყოფდა მათ გარკვეულ საკვებს, წელიწადში რამდენიმეჯერ მისცემდნენ ტანსაცმელს და ა.შ. მაშასადამე, სუფთა სამხედრო სტრუქტურა, რომელიც შემოღებული იქნა და «სამხედრო კომუნიზმი» დაარქვეს, თავის დროზე, იყო სწორედ ის, რამაც გამოიწვია ძალიან დიდი უკმაყოფილება საზოგადოებაში. კომუნისტები მალე მიხვდნენ, რომ ამგვარი ფორმა არ გამოდგებოდა. პირიქით. ამას შეიძლებოდა ისეთი მღელვარება მოჰყოლოდა, რომ კომუნისტური ხელისუფლება დაემხო. მაშინ შეცვალეს და ახალი სისტემა შემოიღეს იმ ახალი ეკონომიკური სისტემის სახით, რომელსაც, ჩვეულებრივ, რუსული აბრევიატურით «ნეპს» ეძახიან; დაუშვეს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომ მდგომარეობა როგორმე გამოსწორებულიყო.

რა თქმა უნდა, ხანგრძლივად «ნეპის» დაშვება არ შეიძლებოდა. თუ «ნეპი» ბოლომდე იქნებოდა, მაშინ «ნეპი» ვერ შეეთვისებოდა კომუნისტურ სისტემას და, ბუნებრივია, ისტორიის ასპარეზი ან ეკონომიკას უნდა დაეთმო, ან პოლიტიკას, ე.ი. ან კომუნისტები უნდა წასულიყვნენ მმართველობის სისტემიდან, ან «ნეპი» უნდა გაეუქმებინათ. გააუქმეს კიდეც «ნეპი». შემდეგ დაიწყო კოლექტივიზაციის პერიოდი და ა.შ. და ა.შ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურა არ ჰქონდა კომპარტიას. ბუნებრივია, გზადაგზა ძებნის დროს უამრავ შეცდომას უშვებდა. ამ შეცდომებმა თანდათანობით იმ ეკონომიკის მოშლა და რღვევა გამოიწვია, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, სულ დაინგრა და ნაცარტუტად იქცა.

სამწუხაროდ, დღევანდელ ვითარებაში ეს შეცდომა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამაც გაიმეორა. არავითარი ეკონომიკური სტრუქტურა მზად არ ჰქონდა, როცა ხელისუფლებას მიიღებდა იგი, რომ დაენერგა. მზად არ ჰქონდა არც თეორიულად და, მით უმეტეს, პრაქტიკულადაც. აქედან გამომდინარე, ყველა ის მოვლენა, რომელიც ჩვენს თვალწინ დღეს არის და რომელიც, თურმე, მეტისმეტად ძნელი გამოსასწორებელია, იწვევს ყველა იმ გასაჭირსა და სირთულეს, რაც ყველა ჩვენგანისათვის გასაგები და ნათელი გახლავთ.

აი, ამ მდგომარეობაში, ბუნებრივია, დგება უკვე კონკრეტული საკითხი _ როგორ და რანაირად შეიძლება ვითარების გამოსწორება. ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელი გახლავთ მოძებნა იმ ფენისა, რომელსაც საქართველოში ხელისუფლება დაეყრდნობა და რომესაც რეალურად შეეძლება რაღაცის გაკეთება. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც წეღან მოგახსენებდით, ასეთი ფენა ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში არ ჩანს. მომავალში

შესაძლებელია იგი ჩამოყალიბდეს. ისევე, როგორც ასეთი ფენა არ იყო არც 1918 წელს, როცა საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა. კლასობრივი თვალსაზრისით, მაშინ საქართველოში არსებობდა ორი ნაწილი: გლეხობა და არისტოკრატია, თავადაზნაურობა. იყო მუშათა კლასიც, მაგრამ მაშინდელი ქართული მუშათა კლასი არ იყო იმ ძალისა, რომელსაც შეეძლო ეკისრა ქვეყნის პატრონობა, ანუ არ ჰყავდა იმდენად ძლიერი ფენა, რომელიც ქვეყნის პატრონობას შეძლებდა. ქართველი კაპიტალისტები სულ თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობით არსებობდნენ და, ბუნებრივია, ეს არ იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ქვეყნისათვის ეპატრონა. ესეც გახლდათ ერთი მიზეზი იმისა, რომ ძალიან იოლად დამარცხდა დემოკრატიული საქართველო 1921 წლის თებერვალში. მარტო გარეშე ძალა ვერც ერთ ქვეყანას ვერ დაამარცხებს, რა ძლიერიც უნდა იყოს იგი (გარეშე ძალა) და რა სუსტიც უნდა იყოს ქვეყანა, რომელსაც თავს ესხმიან. ქვეყანა ყოველთვის მარცხის წინაშე დგება მაშინ, როდესაც შინაგანი სტრუქტურები არ არის მყარი, როდესაც შინაგანი ორგანიზმია დასუსტებული. თუ ეს შინაგანი ორგანიზმი მყარია და არ არის დასუსტებული, მაშინ გარეშე ძალა მას იოლად ვერ მოერევა. მიუხედავად იმისა, რომ, რაღაც გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია, ამ გარეშე ძალამ, პოლიტიკურად ან სამხედრო თვალსაზრისით, მოცემული ქვეყანა დაამარცხოს.

ამის მაგალითია, თუ გნებათ, XII საუკუნის საქართველო, როდესაც მონღოლებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა და თავიანთი ბატონობა დაამყარეს საქართველოში. მაგრამ მონღოლებმა, არსებითად, საქართველოში ვერავითარი სტრუქტურის შეცვლა ვერ შეძლეს. ყველაფერი, რაც მაშინდელ ფეოდალურ სისტემას ჰქონდა, იყო ქართული. არაფერი მონღოლებს საქართველოში არ მოუტანიათ. მეფის ადგილიც კი არ გაუუქმებიათ. მეფეც ქართველი იყო და მთელი სამეფო კარიც ქართველი არისტოკრატიისაგან და ქართველი ფეოდალებისაგან შედგებოდა. მიწის მფლობელობის სისტემაც ქართული იყო. ერთადერთი, რაც მონღოლებმა მოიტანეს, იყო საგადასახადო სისტემა, რომელიც იმათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახლდათ, რადგან, არსებითად, მონღოლური სახელმწიფო არსებობდა გადასახადების აკრეფის გზით. ამიტომ ყველა ქვეყანაში ამ თავიანთ საგადასახადო სისტემას აფუძნებდნენ. მაგრამ რთული ის გახლდათ, რომ ამ საგადასახადო სისტემამ მერე, დიდი დროის შემდეგ, ისეთი ბზარი შეიტანა ქართულ ფეოდალურ ეკონომიკურ სისტემაში, რომ თვითონ ეს სისტემა დაშალა. ვიმეორებ, ძალიან მოგვიანებით მოხდა ეს. მაგრამ, როცა საქართველოს დაპყრობა მოახერხეს, მაშინ ძალიან მძლავრი ქართული ფეოდალური ეკონომიკა არსებობდა და მას ვერაფერი დააკლეს მონღოლებმა.

1918-21 წლებში, როდესაც საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა (მართალია, ჯერჯერობით მკაფიოდ და ნათლად არ ვიცით რას აპირებდა მაშინდელი ხელისუფლება, რადგან ამის დოკუმენტები, სამწუხაროდ, ფართო მასშტაბით არ არსებობს და არც ბევრია რაოდენობის თვალსაზრისით), მკაფიოდ ჩანს, რომ მათ არ ჰქონდათ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ურთიერთობა. საიდან ჩანს ეს? მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტები იყვნენ და კერძო საკუთრებას ებრძოდნენ, კერძო საკუთრება არ გაუუქმებიათ. თუმცა გარკვეული რაოდენობით მიწები ჩამოართვეს თავადაზნაურობას და გლეხებს. ე.ი. არ მომხდარა ის აქტი, რაც მერე ბოლშევიკებმა

ჩაიდინეს. ეს მეტყველებს იმას, რომ არ იცოდნენ როგორ ქვეყანას აშენებდნენ. თუ თეორიულად კერძო საკუთრების მოწინააღმდეგენი იყვნენ, უნდა გაეუქმებინათ კერძო საკუთრება. მაგრამ იმის გამო, რომ არ ჰქონდათ მკაფიოდ წარმოდგენილი ყველაფერი, თავი შეიკავეს. ეს რა თქმა უნდა, მათი მხრიდან, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მხრიდან, გონივრული საქციელი იყო _ არ გააკეთეს ის, რაც არ იცოდნენ, ე.ი. ბრმად არ გადადგეს ნაბიჯი, რაც, სამწუხაროდ, შემდეგ მოხდა. ამიტომ ამ მხრივ მენშევიკების თავშეკავება დასაფასებელია. მაგრამ ეს ხომ აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მათ პროგრამა არ ჰქონდათ.

თუ პარალელს გავავლებთ, დღესაც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში ვართ. უკვე მესამე წელიწადია, რაც საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება არ არსებობს, აღარც კომუნისტური პარტიაა ოფიციალურად და არავინ ცდილობს მის აღდგენას, მის განახლებას (თუმცა იყო გარკვეული ცდა, როდესაც მშრომელთა სოციალისტური პარტია შექმნეს, მაგრამ ეს ძლიან სუსტი მოვლენაა და ამაზე ლაპარაკი არ ღირს), მაგრამ მაინც მდგომარეობა არ იცვლება. არ იცვლება იმის გამო, რომ იმ ახალ ფენას, რომელიც დღევანდელ საქართველოში მოწოდებულია ქვეყნის ბედის წარსამართავად, არა აქვს ის საყრდენი ძალა და ის პროგრამა, რომელიც მან უნდა განახორციელოს.

ისევ უნდა გავიმეორო კითხვა, რომელიც წეღან დავსვი _ სად შეიძლება ვეძებოთ ეს ძალა? ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ძალას ვერსად მოვძებნით. ჩვენ ეს ძალა თანდათანობით უნდა ავაშენოთ, თანდათანობით უნდა ჩამოვაყალიბოთ. ეს არის საფუძველი იმისა, რომ საქართველოში ძალიან დიდხანს იქნება გასაჭირი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, ისე სოციალური. ჩვენი საზოგადოება ამას უნდა შეეთვისოს და შეეგუოს. თუ მოვიწადინებთ უცბათ რაღაც მოხდეს, კიდევ უფრო დიდ შეცდომას დავუშვებთ.

ჩვენ უნდა მივხვდეთ, რა შეცდომა დავუშვით და ამ შეცდომის გამოსწორებას ხანგრძლივი დრო რომ სჭირდება. თუ ამას კარგად გავაცნობიერებთ, დავაჩქარებთ ახალი ფენის შექმნასაც და, აქედან გამომდინარე, ყველა სტრუქტურის შექმნას. თუ ამას არ გავაცნობიერებთ და მოვინდომებთ უცბად მის მოწესრიგებას, მოხდება პირიქით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, სერიოზულად გავირთულებთ საქმეს, ისედაც გართულებულსა და ისედაც უმძიმესს.

როდესაც პოლიტიკურ სისტემებს ვსწავლობთ, როდესაც პოლიტიკური საქმიანობა გვსურს უფრო წინ წავწიოთ, როდესაც გვსურს, ვერკვეოდეთ იმ პოლიტიკურ სტრუქტურებში, რომლებიც წარსულში არსებობდა თუ დღეს არსებობს, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ მოვლენებს უნდა მივაქციოთ და იმ კანონზომიერებებს, რომლითაც ისტორიაში ეს კანონები იცვლება. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ შეცდომები, რა თქმა უნდა, გარდაუვალია. შეცდომა არც მაშინაა გამორიცხული, როცა ყველაფერი ეს კარგად იცის კაცმა. მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როცა არაფერი იცი, არაფერი გათვალისწინებული არაა, შეცდომა გარდაუვალი გახლავთ. როგორც ჩანს, ისტორიის მთელი გაკვეთილი ამ კანონზომიერების გათვალისწინებას ემყარება.

როგორც უკვე ვთქვით, მართველი ფენის შექმნა უაღრესად რთულია. ამიტომ, ბუნებრივია, წინასწარ უნდა განისაზღვროს რა გვინდა და როგორც გვინდა, რომ ხელი სწორედ იმას შეეწყოს, რაც ჩვენთვის არის აუცილებელი. ამას ხელი იმ შემთხვევაში

შეეწყობა, თუ როგორმე ისტორიის ასპარეზიდან გავრეკავთ კლეპტოკრატიას. ძალადობით იქნება, შთაგონებით თუ სხვა ხერხებით, თუ ხელისუფლებამ, ხალხმა კლეპტოკრატიის გარეკვა ისტორიის ასპარეზიდან ვერ მოახერხა, მაშინ შეიძლება წინასწარ ვთქვათ სრულიად დაბეჯითებით, რომ საქართველოს ეროვნული კატასტროფა ელის, რადგან კლეპტოკრატია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდა, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს საქართველოში ნორმალური ახალი ეკონომიკური სტრუქტურების შექმნას, არ დაუშვებს იმ ფენის წარმოქმნას, რომელსაც მომავალში საქართველოს ბედი შეიძლება ჩავაბაროთ და, რომელიც ითავებს კიდეც ქვეყნის მოვლა-პატრონობას. როგორც კომუნისტურ სისტემას კლეპტოკრატიის არსებობის შედეგად გამოეთხარა ძირი, ასევე ეროვნულ სახელმწიფოსაც შეიძლება კლეპტოკრატიის შედეგად გამოეთხაროს ძირი. აი, ამიტომ არის ძალიან გეგმაზომიერი, კარგად მოფიქრებული ბრძოლა აუცილებელი, რომ კლეპტოკრატია თანდათანობით წავიდეს ისტორიის ასპარეზიდან, რომ მას (კლეპტოკრატიას) ყველა გზა და ყველა საშუალება გადაეკეტოს არსებობისათვის. როგორც გითხარით, ეს ყველაზე უფრო რთული და ძნელია, მაგრამ აუცილებელია ამის დაძლევა.

როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, კომპარტიას არ გამოუმჟღავნებია მაინცდამაინც დიდი სურვილი ხელისუფლებისათვის ბრძოლისა, არც საქართველოში და არც არსად სხვაგან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია რუსეთში გარკვეული მძლავრი წრეებიც კი არსებობდეს, რომელთაც კომუნისტური სისტემაც მოსწონთ, კომპარტიაც მოსწონთ, სოციალიზმის მოძღვრებაც მოსწონთ და ამას პროპაგანდასაც უწევდნენ, მაგრამ, როგორც გარკვეული ძალა, იმდენად სუსტია, რომ რეალურ როლს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ვერ თამაშობენ, მით უმეტეს, საქართველოში.

ასევეა ბიუროკრატიაც, რომელიც ძალიან მძლავრია. მაგრამ ბიუროკრატიის მოსპობა არც ისე ძნელია, რადგან იგი, ჩვეულებრივ, თანამდებობრივ უფლებებს ეყრდნობა. საკმარისია, ეს თანამდებობრივი უფლებები ჩამოვართვათ, რომ იგი ძალას კარგავს და ქვეყანა ამ ბიუროკრატიული სისტემისაგან იწმინდება.

მაგრამ კლეპტოკრატია სხვა რამ გახლავთ, რადგან კლეპტოკრატიის ხელშია ყველა ბერკეტი, რომლითაც იმართება ეკონომიკა. კლეპტოკრატიის ხელშია ფინანსური სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანასაქვს. აქედან გამომდინარე, კლეპტოკრატიის ხელშია ის ადამიანებიც, ვისაც ქვეყნის მართვა კონკრეტულად ევალება, რადგან, კარგად მოგეხსენებათ, არავითარი პოლიტიკური სისტემა, არავითარი სოციალური სისტემა და, რომელიც გნებავთ, სისტემა, არ არსებობს, თუ მას ფინანსური საფუძველი არა აქვს. ყველაზე კეთილშობილი იდეა კი განუხორციელებელი დარჩება, თუ ხელში ამ იდეის გამტარებელს არ ექნება მატერიალური საშუალებანი, ფინანსური საშუალებანი.

სამი საუკუნე არსებობდა ქრისტიანობა, როგორც გარკვეული მოძღვრება. მას მიმდევრებიც ჰყავდა, თანაც, თავგანწირული მიმდევრები, მაგრამ იგი მსოფლიო რელიგია არ გამხდარა. იგი იყო მაინც გარკვეული სექტა ადამიანების ჯგუფისა, რომლებიც ამ მოძღვრებას აღიარებდნენ. ქრისტიანობა მაშინავე გახდა მსოფლიო რელიგია, როგორც კი ქრისტიანობის უკან დადგა ის ძალა, რომელსაც ჰქონდა ფული და რომელსაც სურდა ქრისტიანობის საშუალებით თავისი ბატონობის განმტკიცება. ასევე იყო მაჰმადიანობაც. ასევე იყო ყველა

სხვა სახის რელიგიაც. ასევეა ყველა მოძღვრება, მით უმეტეს, პოლიტიკური ხასიათისა. თუ მას ფული აქვს, იგი ძლიერია. თუ მას ფული არა აქვს. ის არის მხოლოდ და მხოლოდ იდეა, რომელიც ქაღალდზე არსებობს და რამდენიმე ადამიანით შემოიფარგლება მისი მიმდევრები.

ამიტომ ყველა ხელისუფლება, ყველა ფენა ცდილობს იყოს მატერიალურად, ფინანსიურად ძლიერი. ამიტომაც ბურჟუაზიამ სწორედ მაშინ შეძლო საფრანგეთის ხელისუფლებაში მოსვლა, როდესაც ჰქონდა ფინანსური ძალა, რომ გადაეწყვიტა ყველაფერი ის, რაც მის ბატონობასთან იყო დაკავშირებული. ასევე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაშინ დაიწყო ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, როდესაც იმ ფენას, ვინც ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას, უკვე ყველაფერი ხელთ ეპყრა და ფინანსური თვალსაზრისით, მატერიალური თვალსაზრისით, იყო ძალიან ძლიერი. შეეძლო ყველა იმ საქმის განხორციელება და პრაქტიკად ქცევა, რაც მას, როგორც გარკვეული იდეა, ჰქონდა.

რაკი დღეს საქართველოში კლეპტოკრატიის ხელშია ეს ძალა, ყველა სხვა ძალა მასთან დაპირისპირებაში უსუსურია. კლეპტოკრატიას ყოველთვის შეუძლია დაიხუროს ის ქუდი და ჩაიცვას ის ტანსაცმელი, რომელიც საზოგადოებას მოსწონს. საზოგადოებას მოსწონს, ვთქვათ, კომუნიზმი, ის კომუნიზმის ფორმაში გამოეწყობა. საზოგადოებას მოსწონს ეროვნული იდეა, ის ეროვნული მოღვაწის იდეაში გამოეწყობა და ასე წარუდგება საზოგადოებას. კიდევ რაღაც სხვა მოსწონს საზოგადოებას, მაშინვე იმას აითვისებს, რადგან იცის, ეს არის ის ფორმა, რომელიც სჭირდება იმისათვის, რომ მისი ბატონობა ხანგრძლივი და შეუცვლელი იყოს. რაკი ვიცით, ეს ასეა, აუცილებელია, რომ კლეპტოკრატიას წაერთვას ამის საშუალება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენში ეს ვერ მოხერხდა. პირიქით, კლეპტოკრატიას ყველგან ჰყავს თავისი წარმომადგენელი და კლეპტოკრატიის ხელი ყველგან და ყველაფერში ურყევია. ამიტომ მომავალი ბრძოლის მიზანი უნდა იყოს, თანდათან გააძევოს კლეპტოკრატია სამოქმედო ასპარეზიდან, რათა ჩამოყალიბდეს ახალი სისტემა, ახალი ქართული სახელმწიფო.

ბევრი გზა შეიძლება გამოიძებნოს _ როგორ და რანაირად შეიძლება კლეპტოკრატიის თავიდან მოცილება. მაგრამ ამას არჩევანი სჭირდება და ამ არჩევანის დროს სიძულვილმა არ უნდა დაგვიბნელოს გონება, არ უნდა წაგვართვას საშუალება საღად აზროვნებისა. ბუნებრივია, ყველა დროში ასე იყო და ასე იქნება: საზოგადოებაში ჩნდება გარკვეული სიძულვილი იმათ მიმართ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ გზით, პატიოსნად თუ უპატიოსნოდ ფული დააგროვეს. აქედან ის შუღლი და მტრული ურთიერთდამოკიდებულება, რაც მდიდარსა და ღარიბს შორის არსებობს. აი, ასეთმა ურთიერთდამოკიდებულებამ არ უნდა წაგვართვას საღად განსჯის უნარი. როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ კლეპტოკრატიის მიერ დაგროვილი ფული, დაგროვილი სიმდიდრე გამოყენებულ იქნეს საქართველოს ახალი სახელმწიფოს ასაშენებლად. მაგრამ, როგორც გითხარით, ამას ძალიან მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკა სჭირდება, რომელიც ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს და ყველა იმ პარტიას, რომლებიც ხელისუფლებაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს, რადგან სხვაგვარად ისინი კლეპტოკრატიას ვერ დაძლევენ. რაკი ვერ დაძლევენ, ჩვენც მუდმივად გასაჭირში ვიქნებით.

აი, ეს საკითხები, რომლებიც ახლა მოგახსენეთ, დღევანდელ ვითარებაში იმიტომ წამოვჭერი, რომ უკვე მკაფიოდ და თანდათანობით იკვეთება _ სუსტდება ის მხარე, რომელსაც ევალება დღევანდელ ვითარებაში ყველაზე უფრო ძლიერი ყოფილიყო, ანუ სუსტდება ეროვნული იდეა. ხალხი თანდათანობით ეჭვის თვალით და სკეპტიკურად უყურებს ამ იდეას. რაკი ეჭვის თვალით და სკეპტიკურად უყურებს, გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს ხანებში, საერთოდ, მოხდეს გაუფასურება, ღირებულების დაკარგვა ამ იდეისა. ეს როგორმე თავიდან უნდა ავიცდინოთ. სხვაგვარად ყველაფერი ის, რაც დღემდე გაკეთდა, არა მარტო წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, არამედ უბრალოდ დაღვრილი აღმოჩნდება ის სისხლიც, რომელიც გუშინ იღვრებოდა, დღესაც იღვრება, და, ალბათ, ხვალაც დაიღვრება. ეს იქნება ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც შეუძლია საკუთარი ხალხის მიმართ ჩაიდინოს ყველა ცალკეულმა პირმა და განსაკუთრებით იმ მოძრაობამ, რომელსაც ჩვენ ეროვნული ვუწოდეთ. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება დაკარგო საკუთარი თავის რწმენა, საკუთარი იდეის რწმენა და არ მისცე ხალხს საშუალება იმისა, რომ მათაც ბოლომდე სჯეროდეს იმის, რისი ერთგულიც ისინი გარკვეულ პერიოდში იყვნენ.

სწორედ, აი, ამას აკეთებს _ რამდენადაც შესაძლებელია გაუფასურდეს ეროვნული იდეა _ კლეპტოკრატია, იდეოლოგიური თვალსაზრისით. დღეს, როდესაც საქართველო გაყოფილია ორად, არავის არაფერი აინტერესებს, გარდა იმისა, რომ ერთმანეთი ლანძღონ და რამდენადაც შეიძლება მეტად დასდონ ერთმანეთს ბრალი _ აი, ამას ისე, რომ ადამიანები ვერც კი ხვდებიან, წარმართავს სწორედ კლეპტოკრატია. კლეპტოკრატიამ იცის, რამდენადაც მეტად გაითიშებიან ის ადამიანები, ვისაც ეროვნული იდეა ამოძრავებთ, იმდენად იოლად დაამარცხებს მათ.

რით შეიძლება ავხსნათ ის, რაც ახლა ქუთაისში მოხდა. არ შეიძლება რომ კაცს, რომელიც ამ საქმით არის დაინტერესებული, არ სცოდნოდა: ის ნაწილი, რომელსაც ქუთაისში დაესხნენ თავს, საქართველოდან უნდა წასულიყო, მაქსიმუმ, ერთი თვის განმავლობაში. როცა ასეთი გადაწყვეტილება არსებობს და უცბად რაღაც ჯგუფი ახდენს თავდასხმას და საგანგებოდ ართულებს მდგომარეობას, ან უნდა ჩავთვალოთ, რომ ესენი ყველანი ერთად შეკრებილი უგუნური გიჟები არიან, რომლებმაც არ იციან, რას აკეთებენ, ან ეს იმართება, მაგრამ საიდან იმართება? რომ იმართება, ცხადია. ამას ისე არავინ ჩაიდენს. ამდენად, სულელი არავინაა. რა თქმა უნდა, ცალკეული პირი შეიძლება ყოველგვარ ავადმყოფურ მოვლენას ემორჩილებოდეს, მაგრამ ადამიანთა ჯგუფი, ამბობენ, 70 კაცი იყოო, არ შეიძლება ერთნაირი შეშლილებისაგან შედგებოდეს. მაშასადამე, ამას აკეთებს ის, ვინც ამ პროცესს წარმართავს და ვინც ამ პროცესში გარკვეულ თანხას იხდის, რადგან შეიძლება მერე ამას გარკვეული გართულებებიც მოჰყვეს. ეს გახლავთ ძალიან რთული პროცესი კარგად მოფიქრებული გეგმისა, რომელსაც სწორედ კლეპტოკრატია აწარმოებს, რადგან ინტერესი ქართული კლეპტოკრატიის, რუსული კლეპტოკრატიის, უზბეკურის, სომხურის თუ უკრაინულისა, ერთია. ისინი ამ საქმეში შეთანხმებულად მოქმედებენ. მოქმედებენ სწორედ იმიტომ, რომ კლეპტოკრატიას მაშინ შეუძლია არსებობა, როცა წყალი ამღვრეულია. ამღვრეულ წყალში კი თევზს იოლად იჭერენ. საკმარისია, დაწყნარდეს საზოგადოება, ის

თავის კანონებს დაემორჩილოს, რომ ამგვარი მოვლენები შეწყდება. კლეპტოკრატია მოწესრიგებულ საზოგადოებაში ვერ იარსებებს.

ჩვენ ძალიან ხშირად ვამბობთ სიტყვას _ «მაფია» და გვინდა, რომ მაფიოზურ მოვლენებად ავხსნათ ის, რაც საქართველოში ხდება. «მაფია» სრულიად სხვა მოვლენაა. ნუ ავურევთ ერთმანეთში. თუ მაფიას კლეპტოკრატიასთან დავაკავშირებთ, მაშინ გამოგვრჩება ის უმთავრესი, რაც კლეპტოკრატიას ახასიათებს. კლეპტოკრატიისათვის კი დამახასიათებელია, რომ იგი არაფერს ქმნის და ყველაფერს ანგრევს. მაშინ, როდესაც მაფია მარტო არ ანგრევს, ქმნის კიდეც, რადგან მაფიურ სისტემაში შედიან ის ადამიანები, რომლებსაც უამრავი რამ აქვთ გაკეთებული _ იქნება ეს იტალიაში, ამერიკასა თუ სხვაგან სადმე. ამისათვის საკმარისია თუნდაც მარიო პიუზოს ცნობილი რომანის მიხედვით გადაღებული ფილმის _ «ნათლია» _ გახსენება. ალბათ, პიუზოს რომანი ყველას წაკითხული გაქვს, ყოველ შემთხვევაში, ფილმი გექნებათ ნანახი. ამ ფილმში ხედავთ, რომ ისინი მარტო ერთმანეთს კი არ ხოცავენ, ისინი აშენებენ კიდეც _ გზებიც გაჰყავთ, სახლებსაც აშენებენ, სკოლებსაც, უმაღლეს სასწავლებლებსაც და ა.შ. უამრავ ხელფასს აძლევენ ამა თუ იმ ადამიანს, რომელიც კეთილ საქმეს აკეთებს. ისინი ხომ ერთმანეთს ებრძვიან, ეს უკვე კლანური ბრძოლაა. ეს სხვა საქმეა. კლეპტოკრატია ამის მსგავსს არაფერს აკეთებს. კლეპტოკრატია აკეთებს მხოლოდ ერთს _ ინახავს თავისთავს და ანგრევს ყველაფერ სხვას, რადგან კლეპტოკრატიაში არ არის შემოქმედებითი ელემენტი.

სხვათა შორის მაფია დაიბადა როგორც ეროვნული ორგანიზაცია, როდესაც მიმდინარეობდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა მე-19 საუკუნის 50-იან _ 60-იან წლებში. იტალიელები ებრძოდნენ ავსტრიელებს და სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა სიცილიაში მაფია, როგორც უცხოური ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია. ე.ი. მაფიამ დაიწყო თავისი არსებობა, როგორც პატრიოტულმა ორგანიზაციამ. შემდეგ, როდესაც თავისუფალი იტალიური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მათ თანდათანობით, სხვა სტრუქტურაში გადაინაცვლეს. დაინახეს, რომ სხვა საქმის კეთებაც შეუძლიათ და საკუთარი ინტერესების დაცვაც. დაიწყეს აქტიური მოღვაწეობა. არასოდეს ამა თუ იმ მაფიური წრის წარმომადგენელი არ მოკლავს მეორე კაცს თუ, რა თქმა უნდა, რაღაც დანაშაული მას (მეორე კაცს) არ მიუძღვის. რა დანაშაულს ვგულისხმობ: დავუშვათ, არსებობს კანონი იმისა, რომ იტალიიდან არ შეიძლება იარაღის გატანა და, ვთქვათ, ჰერცეგოვინაში გაყიდვა. მაგრამ არსებობს იარაღის მწარმოებელი უზარმაზარი ორგანიზაციები, ქარხნები. მათ უნდათ ამ იარაღის გატანა. ბუნებრივია, ეს ორგანიზაციები _ ფაბრიკა თუ ქარხნები _ ხელშეკრულებას დებენ იმათთან, ვისაც ამ იარაღის გატანა შეუძლია. და იმათაც გააქვთ იარაღი. ან ერთი მხარე, ან მეორე მხარე ამ პირობას თუ დაარღვევს, იწყება ანგარიშსწორება. თუ პირობას დაარღვევენ გამტანები, ამ გამტანების წარმომადგენლებს ანგარიშს გაუწორებენ. თუ მწარმოებლები დაარღვევენ პირობას, მაშინ იმათ გაუსწორებენ ანგარიშს, რადგან სტრუქტურა არ უნდა დაიშალოს. თუ სტრუქტურა დაიშალა, ისინი ანგარშს უსწორებენ ერთმანეთს.

თქვენ ხედავთ, რომ ცუდი საქმიანობაა, მაგრამ საქმიანობაა. მინდა ყურადღება მიაქციოთ _ ეს ბოროტმოქმედებაა, მაგრამ ისეთი ბოროტმოქმედება, რომელიც, ამავე დროს,

გარკვეულ მიზანს ისახავს _ გზებს აშენებენ, ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ქველმოქმედებასაც ეწევიან და ა.შ. და ა.შ. წიგნებსაც გამოსცემენ, თეატრებსა და კინოსაც ამარაგებენ ფულით.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ანდრეოტია, უცბად აღმოჩნდა ამ წრეებთან დაკავშირებული. როგორ გგონიათ, ანდრეოტი ჩვეულებრივი არამზადაა, რომელსაც შეუძლია სხვის ჯიბეში ხელი აფათუროს? არა. იგი იმ გარკვეული სტრუქტურის წევრია, რომელშიც შედის შემოქმედებითი ელემენტი.

კლეპტოკრატიას არაფერი ამგვარი არ ახლავს თან. არ ახლავს სწორედ იმის გამო, რომ იგი არ არის გარკვეულად ჩამოყალიბებული მოძრაობა, რომელსაც რაღაცის კეთების მიზანი აქვს. მას აქვს მიზანი საკუთარი თვის შენახვის, ფულის კეთებისა _ სახელმწიფო ქონების მითვისების ხარჯზე. ოდესმე შესაძლებელია ვიღაცას გაუჩნდეს აზრი რაღაც კეთილი საქმის გაკეთებისა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ასე არ არის. დღეს კლეპტოკრატია მხოლოდ დესტრუქციული ელემენტია, დამშლელი ელემენტი და არაფერი სასიკეთო არ მოაქვს. იძულებულია ყოველგვარი სტრუქტურა დაარღვიოს, რომ იარსებოს.

მაფიას არ ეშინია არსებობა იმ სტრუქტურაში, რომელშიაც იგი შედის. იტალიაში იქნება, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში, მაფია ამ სტრუქტურაში მტკიცედ ზის. კლეპტოკრატია კი ვერ ჩაჯდება ვერც ერთ სისტემაში და ვერც ერთ სტრუქტურაში იმიტომ, რომ ყოველგვარი წესრიგი, ყოველგვარი ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა, კლეპტოკრატიის მტერია. ამიტომ იგი ყოველთვის უნდა არღვევდეს ამ სტრუქტურებს. თუ ყოველივე ამას კარგად დავაკვირდებით, ყურადღებას მივაქცევთ, დავინახავთ, რომ ჩვენში დღეს მაფიოზური ელემენტები არ მოქმედებენ. რომ მოქმედებდნენ, ასე მძიმე მდგომარეობა არ იქნებოდა. ჩვენში ბევრად უფრო უარესი სტრუქტურა მოქმედებს, რომელიც გაცილებით უფრო დიდი ზიანის მომტანია, ვიდრე ყველა მაფიური ორგანიზაცია, რადგან ის უმთავრესი თვისება, შემოქმედებითი თვისება, შექმნის თვისება კლეპტოკრატიას არ ახასიათებს და არც იმ სტრუქტურას, რომელიც კლეპტოკრატიასთან არის დაკავშირებული.

რადგან ასეთი ვითარებაა, ბუნებრივია, გადარჩენის ერთგვარი გზა ის არის, რომ ყველა საშუალებითა და ღონით კლეპტოკრატია გავაძევოთ სამოქმედო ასპარეზიდან. მაშინ შევძლებთ თანდათანობით ახალი სისტემის აშენებას და ამ ახალ სისტემაში ჩავსვამთ შემდეგ უკვე ყველაფერ იმას, რაც ბუნებრივად ახასიათებს და ახლავს იმ სიახლეს, რაც, ალბათ, მომავალში ჩვენში დამკვიდრდება.

თქვენ ხშირად გესმით (ამასაც მინდა ყურადღება მიაქციოთ), რომ რაღაც მასონური ორგანიზაციები არსებობენ და რომ ისინი ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ მოვლენაზე და ა.შ. მასონური ორგანიზაცია მე-18 საუკუნიდან არსებობს. თავდაპირველად, იგი რელიგიური სექტა იყო, რომელშიც ის ადამიანები გაერთიანდნენ, ვინც მიდრეკილი იყვნენ სულიერი ცხოვრებისაკენ. პირობითად მათ «თავისუფალი კალატოზების» ორგანიზაცია დაირქვეს (ფრანკ-მასონ ფრანგულია და ნიშნავს თავისუფალ კალატოზს). ეს ორგანიზაციები ყველა ქვეყანაშია მეტ-ნაკლები რაოდენობით, განსაკუთრებით ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ. ადრე, მეფის დროს, რუსეთშიც მძლავრი ორგანიზაცია არსებობდა

მასონებისა. იმპერატორი ალექსანდრე პირველი, მასონური ლოჟის წევრი გახლდათ და ბევრი გამოჩენილი რუსი მოღვაწეც. ამ დროს მასონური ორგანიზაცია ძალიან მძლავრი ორგანიზაცია იყო რუსეთში. მერე კომუნისტურმა სისტემამ დაანგრია ისე, როგორც ყოველგვარი რელიგიური სისტემა. ყველანი, ვინც ამ ორგანიზაციის წევრი იყო, გააძევა საბჭოთა კავშირიდან და უკვე აღარ არსებობდა.

ალბათ, დღეს დაიწყება რუსეთში მასონური ორგანიზაციის განახლება იმიტომ, რომ როგორც გითხარით, მას ძალიან მძლავრი ტრადიცია აქვს. მაგრამ არიან კი მასონები ისეთი ღონიერი ხალხი, რომ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მოვლენებზე და ამა თუ იმ ქვეყნის ბედი გადაწყვიტონ? რა თქმა უნდა, ასე არ არის. ეს ახალი თუ ძველი ბლეფია, რაც ხშირად არის დამახასიათებელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის და განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ვითარება აწეწილ-დაწეწილია.

ლეგენდა მასონების შესახებ, არსებითად, ალექსანდრე დიუმამ შექმნა, «სამი მუშკეტერისა» და სხვა ამგვარი პოპულარული რომანების ავტორმა. ალექსანდრე დიუმას აქვს ერთი რომანი, შეიძლება წაგიკითხავთ კიდეც, _ «ჯუზეპე ბალზამო». რომანში ასახულია საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი და ისეა გამოყვანილი, რომ თითქოს ამ რევოლუციის მოწყობის დავალება ჯუზეპე ბალზამომ მიიღო მასონთა კრებისაგან. რომანი სწორედ ასე იწყება, რომ ჯუზეპე ბალზამო ცხადდება საიდუმლო ტერიტორიაზე, რომლის არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცის და აქ კრებაზე ავალებენ ჯუზეპე ბალზამოს საფრანგეთში მოაწყოს რევოლუცია, ჩამოაგდოს ლუი XVI და მოახდინოს ყველა ის ცუდი ამბები, რაც რევოლუციას მოჰყვა.

საერთოდ, ალექსანდრე დიუმას ძალიან უყვარდა უცნაური ამბების მოყოლა, მძაფრი სიუჟეტების შექმნა, თვითონაც ბევრს იგონებდა და ისტორიითაც სარგებლობდა. საქმე ის გახლავთ, რომ მე-18 საუკუნეში ძალიან პოპულარული პიროვნება იყო ცნობილი ავანტიურისტი კალიოსტრო. ბევრს მოგზაურობდა, ბევრ ადგილას იყო ნამყოფი, მათ შორის რუსეთშიც. ალექსანდრ ტოლსტოისაც აქვს მოთხრობა კალიოსტროზე. აი, ამ კალიოსტროს ბიოგრაფიის დადგენა ვერ ხერხდებოდა. მაშინ, იმდროინდელ პრესაში, მე-18 საუკუნის პრესაში, გაჩნდა აზრი, რომ კალიოსტროს ნამდვილი სახელი და გვარია ჯუზეპე ბალზამო.

ამით ისარგებლა ალექსანდრე დიუმამ და ჯუზეპე ბალზამო გამოიყვანა მისი რომანის მთავარ გმირად. აი, ამ რომანში ის მართლად წარმართავს იმ ამბებს, რაც საფრანგეთში რევოლუციის დროს ხდებოდა. ამან ძალიან პოპულარული გახადა იდეა, რომ მასონები ყველა საქმეში ერევიან და უძლეველი არიან. ამ ფაქტმა ტოტალური ხასიათი მიიღო და დღეს მოვლენა არ არის, რომელზეც არ თქვან, რომ იქ ვიღაც მასონია ჩარეული. მაგრამ, დამერწმუნეთ, ეს ასე არ არის. მასონები ჩვეულებრივი რელიგიური სექტაა და ისინი არავითარ განსაკუთრებულ ძალას არ წარმოადგენენ.

## საუბრები ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შესახებ

პირველთქმა

1991 წლის დეკემბერი იღეოდა. რუსთაველის გამზირზე ქართველები ერთმანეთს ჟუჟავდნენ. კონფლიქტის მონაწილეებს გარდა, ეს არავის აწუხებდა. მოსახლეობის უმრავლესობა, არათუ დიდუბეში ან საბურთალოზე, არამედ გრიბოედოვის ქუჩაზე, გულგრილად უყურებდა ამას. ეს იყო სროლის ხმა აღიზიანებდათ. გულში ორივე მხარეს აგინებდნენ და ის დღე ენატრებოდათ, როცა ეს კოშმარი დამთავრდებოდა.

იმ შემზარავ დღეებში, 26 დეკემბერს, მწერალი რევაზ ინანიშვილი გარდაიცვალა. ომია თუ მშვიდობა, მიცვალებულს გაპატიოსნება უნდა. მისი ნათესავ-ახლობლები პანაშვიდზე ვიკრიბებოდით. აქ კარგა ხნის უნახავ ძველ მეგობარს მაგალი თოდუას შევხვდი. მაშინ იგი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად მუშაობდა. საუბარში მითხრა: მართალია, ქვეყანა იქცევა, მაგარმ იქნებ ჩვენთან, უნივერსიტეტში, ლექციები წაიკითხო. თემაც დამიზუსტა: მთელი საქართველო პოლიტიკით შეიშალა და კარგი იქნება ახალგაზრდობას ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას თუ გავაცნობთო. შორეული მიზანი უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრის შექმნა იყო. მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით, რომ პოლიტოლოგია საქართველოს სენივით მოედებოდა და ყოველი მეორე ქართველი პოლიტოლოგი გახდებოდა. პოლიტოლოგები ისე დაცვივდებოდნენ, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორები იყვნენ კომუნისტური რეჟიმის დროს.

ეს წინადადება მომეწონა. დავთანხმდი. უძნელეს პირობებში გვიხდებოდა იმას რექტორობა, მე _ ლექციების კითხვა (რა თქმა უნდა, სხვასაც). სასტუმროს პაწაწინა ოთახში ვიყავით შეყუჟული. შემოდგომაზე და გაზაფხულზე კიდევ რა უშავდა. ბუნებრივი სითბო და სინათლე გვშველოდა. ზამთარი იყო საშინელება. ციოდა. ბნელოდა. ხშირად გვშიოდა. ქუთათური გულუხვობა თუ წამოგვეშველებოდა. ამა თუ იმ ოჯახში დაგვპატიჟებდნენ და სულს მოვითქვამდით. სტუდენტებიც ჩვენსავე დღეში იყვნენ. გაყინულ-გათოშილნი ისხდნენ ლექციებზე. ალბათ, ბევრჯერ მშიერიც. ქვეყანა თავდაყირა იდგა და სწავლა-განათლება ვის ეპიტნავებოდა. უნივერსიტეტი მაინც ცოცხლობდა და ცხოვრობდა. ავბედით დრო-ჟამს უმკლავდებოდა.

ამ წიგნში ის წერია, რაზეც მაშინ ქუთაისის უნივერსიტეტში ვესაუბრებოდი.

## ლექცია პირველი

გულახდილად რომ გითხრათ, არც კი ვიცი, რა დავარქვა იმ საუბრებს, რომელიც ჩვენ გვექნება. ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას ვერ ვუწოდებთ. ეს მეტისმეტი თავხედობა იქნებოდა. იგი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის და მწყობრი სახით ჩამოყალიბებული, შეუსწავლელობას თავისი საფუძველი აქვს. უპირველესად ის, რომ ქართულად არავის დაუწერია ისეთი პოლიტიკური ტრაქტატები, როგორიც გახლავთ, მაგალითად, პლატონის «სახელმწიფო» ანდა არისტოტელეს «პოლიტიკა», უფრო გვიანდელი დანტე ალიგიერის «მონარქია», ნიკოლო მაკიაველის სახელგანთქმული «მთავარი». არაფერი რომ არ ვთქვა ჟან-ჟაკ რუსოს «საზოგადოებრივ ხელშეკრულებასა» და მონტესკიეს «კანონთა გონზე». კიდევ ბევრი სხვა ამდაგვარი თხზულება გაახსენდება კაცს, რომლითაც ცნობილია საკაცობრიო პოლიტიკური აზროვნება.

პირველი აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური მოაზროვნე საქართველოში მხოლოდ მე-18 საუკუნეში გამოჩნდება _ ალექსანდრე ამილახვარი. მანამდე კი ოდენ «ქართლის ცხოვრების» ამარად ვართ დარჩენილი და იქიდან უნდა ამოვკრიფოთ ჩვენთვის საყურადღებო ცნობები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური კონცეფციის თვალსაზრისით, არც «ქართლის ცხოვრებაა» შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნზე ცოტა არ დაწერილა. ბევრი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი შეხებია მას და თავისი აზრი გამოუთქვამს.

მართალია, ამა თუ იმ პოლიტიკურ პრობლემაზე ცალკეული წიგნებიც შექმნილა, ესა თუ ის საყურადღებო აზრიც გამოთქმულა, მაგრამ მე მოგახსენებთ ქართული პოლიტიკური აზროვნების საერთო სურათზე, მის მთლიანობაზე და თანამიმდევრულ გადმოცემაზე, რასაც შეეძლო მსმენელისა თუ მკითხველისათვის მისი მეტნაკლებად სრული სურათი შეექმნა. ამ საქმეში ნამდვილად მოვიკოჭლებთ. ალბათ, ხარვეზი მომავალშიც შეივსება. ამის იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩვენი საუბრების მიზანიც ის არის, რომ ამ მიმართულებით ახალგაზრდობა დავაინტერესოთ, ამოცანად დავუსახოთ დღევანდელი ნაკლის გამოსწორება. ამის გაკეთება აუცილებელია, თუ მართლა გვინდა ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აშენება.

რაკი ასეთი ვითარება გვაქვს, შევთანხმდეთ და ჩემს ლექციებს ვუწოდოთ _ საუბრები ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შესახებ.

საუბრები _ ასეთი მარტივი სახელი პირადად ჩემთვისაც ხელსაყრელია. ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც საშუალებას მაძლევს, არცთუ იშვიათად, ვარაუდები გამოვთქვა, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ უნდა გითხრათ, რომ სტუდენტობასთან ვარაუდების ენაზე საუბარი მიზანშეწონილად მიმაჩნია. ლექტორი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო იმის გადაცემით, რაც უკვე დადგენილია, უდავოა და უკამათო, არამედ ისიც უნდა გააცნოს ახალგაზრდობას, რაც ჯერჯერობით დაუდგენელია, სადავოა და საკამათო. ვინ იცის, სწორედ იმ ყმაწვილმა, ვაჟმა თუ ქალმა, რომელიც დღეს სტუდენტის მერხზე ზის, ამოიცნოს და ამოხსნას ის საიდუმლო, რაიც მის მასწავლებლებს ვერ მიუგნიათ. ამასთანავე, ვარაუდი სტუდენტის გონებას აფხიზლებს. ფიქრისაკენ მოუწოდებს. ინტერესს უჩენს _ მოძებნოს ვარაუდის დამადასტურებელი ან უარმყოფელი საბუთები, არგუმენტები. არც ის გახლავთ გამორიცხული, რომ ვარაუდის წყალობით ლექტორსა და სტუდენტს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პაექრობა გაიმართოს, რაც ორივე მხარეს ტვინის გაჩარხვაში დაეხმარება. ეს კი უაღრესად სასურველი პროცესია, რადგან სწავლების უმთავრეს ამოცანად სწორედ ტვინის გაჩარხვა უნდა ჩავთვალოთ.

ყველაფერი, რაზეც საუბარი გვექნება, უნდა განვსაჯოთ თავისუფალი, საღი, ფხიზელი გონების ძალით, წინასწარვე აგებული აზრისა თუ დოგმის თვინიერ. თუ ასე მოვიქცენვით, შევძლებთ თანდათანობით მივუახლოვდეთ სიმართლეს. მაგრამ რა არის სიმართლე? პასუხი მეტისმეტად ძნელია. იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი მვიცე, დიდი ესპანელი მოაზროვნე ხოზე ორტეგა-იგასეტი (1883-1955 წწ.) უნდა მოვიშველიო. იგი ამბობს: ცნება «თანამედროვეობა», ანუ «დღევანდელობა», ანუ «აწმყო» სამი თაობისაგან შედგება _ ახალგაზრდები, მოწიფულნი, მოხუცები. ისინი ერთ დრში ცხოვრობენ, ერთდროულად

მოქმედებენ, ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. მაგალითად, ვლაპარაკობთ _ 1929 წელი. რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე დროს ვგულისხმობთ, მაგრამ ეს 1929 წელი სხვადასხვაგვარად ესმის ახალგაზრდას, მოწიფულს, მოხუცს. სხვადასხვაგვარია სამივეს დამოკიდებულება ამ 1929 წლისადმი. მაგრამ არსებობს ისიც, რაც სამივე თაობას ერთნაირად ესმის, რაც მათთვის სადავო არ არის, არის სიმართლე. სიმართლე კი არის არსებობის საფუძველი. ასე ფიქრობს ესპანელი ფილოსოფოსი («რატომ მივედით ისევ ფილოსოფიასთან?»). თუ ამ აზრს გავაგრძელებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ამ სიმართლის წყალობით არ ირღვევა დროთა და თაობათა კავშირი, რაც ასე მწარედ აწუხებდა პრინც ჰამლეტს. მისი მეოხებით ჰარმონიულად მიედინება დრო წინ და ხდება თაობათა ცვლა. მაგრამ იმისათვის, რომ დროის დინება არ შეჩერდეს, აუცილებელია შეხედულებათა სხვადასხვაობაც. ეს არის ძრავა, რომელიც წარმართავს წინსვლას, თორემ თანამედროვენი, თანაკბილანი, თანაქალაქელნი რომ ყოფილიყვნენ, ისტორია გაჩერდებოდა, მოძრაობას შეწყვეტდა. ეს კი, გასაგებია, რასაც გამოიწვევდა _ კაცობრიობის სიკვდილს. თქვენ შეიძლება არ დამეთანხმოთ, არ გაიზიაროთ ჩემი შეხედულება ან მე არ დაგეთანხმოთ თქვენ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვერ გავაკეთებთ დასკვნას, ვერ ჩამოვაყალიბებთ აზრს, რომელიც ორივე მხარისათვის იქნება სიმართლე. თუ ახალგაზრდა თაობა ფიქრობს, რომ არაფერი აქვს საერთო წინამორბედ თაობასთან ანდა ხანდაზმულთა თაობას მიაჩნია, რომ კავშირი არა აქვს მომავალ თაობასთან, იწყება მოუგვარებელი კრიზისი, რომელიც იწვევს საზოგადოების დაშლას. საზოგადოების დაშლა კი კატასტროფას ნიშნავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ ხდება. ყველა კრიზისულ ვითარებაში მოიძებნება ის სიმართლე, რომელიც ყველა თაობისათვის საერთოა, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს დარღვევისაგან დროთა კავშირი, თაობათა ურთიერთდამოკიდებულება და საზოგადოების ერთიანობა. ჩვენ ამას ცხადად დავინახავთ, როცა თვალს გავადევნებთ საქართველოს ისტორიას საერთოდ და, კერძოდ, ქართული პოლიტიკური აზრის დინებას.

ჩვენ უნდა შევეცადოთ ქართული პოლიტიკური აზრის დინება განვიხილოთ ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე. რატომ მაინცდამაინც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე და არა, ვთქვათ, აზიური პოლიტიკური აზრისა? აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ორ გარემოებას, რომელნიც, ჩემი ფიქრით, არსებითი მნიშვნელობისა გახლავთ.

ჯერ ერთი: დღეს ყველასათვის უეჭველი და ცხადია, რომ კაციობრიობა _ პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იურიდიულ-სოციალურად, ყოფის კუთხითაც კი, _ ვითარდება იმ პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპამ შექმნა და ჩამოაყალიბა. ისიც მინდა გითხრათ, რომ როცა «ევროპას» ვამბობ, ვგულისხმობ რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების შექმნილ კულტურას, თორემ გეოგრაფიულ ევროპაში ყალმუხებიც ცხოვრობენ, ჩუვაშებიც, კომიცა და კიდევ რამდენი ვინმე, რომელთაც ევროპულ კულტურასთან არაფერი აქვთ საერთო. ისეთი დიდი წარსულისა და კულტურის მქონე ხალხებიც კი, როგორიც არიან ინდოელები, ჩინელები, იაპონელები, თავიანთ ცხოვრებას ყველა თვალსაზრისით _ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული და ა.შ. _ აწყობენ ევროპული ცხოვრების წესის შესაბამისად. ცხადია, აღარაფერს ვამბობ აფრიკის

ხალხებზე. მაშასადამე, ძირითადად და არსებითად კაცობრიობის ცხოვრება ვითარდება იმ ფორმებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპულმა, ანუ რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების კულტურამ შეიმუშავა. ამიტომ ჩვენც ევროპული პოლიტიკური აზრის დინების ფონზე უნდა განვჭვრიტოთ ქართული პოლიტიკური აზრის ავ-კარგი.

მეორეც: პირობითად შესაძლებელია აზროვნება ორ სახეობად დავყოთ: პირველი _ რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება და მეორე _ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება. ამის შესაბამისად არსებობასაც ორი ფორმა შეიძლება ჰქონდეს _ vita cantemplativa (ჭვრეტით ცხოვრება) და vita aetixce (ქმედითი ცხოვრება), როგორც ფილოსოფოსები ამბობენ.

ორივე ფორმა აზროვნებისა და არსებობისა ჰარმონიულად ევროპულმა კულტურამ შეაერთა და თანამედროვე ცივილიზაცია შექმნა.

რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, აზიური კულტურა არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს. ზოგჯერ აღემატება კიდეც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ყველა მსოფლიო რელიგია აზიაში შეიქმნა _ ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი და სხვანიც შედარებით ნაკლებად გავრცელებული სარწმუნოებანი. უდიდესი და უღრმესი არიან არაბული, სპარსული, ინდური, ჩინური ფილოსოფიური მოძღვრებანი, ლიტერატურულ-მხატვრული ქმნილებანი. მაგრამ ძალიან მცირეა აზიის ხალხების როლი და ადგილი მეცნიერულ-ტექნიკურ აზროვნებაში. მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება არსებითად ნაყოფია ევროპული კულტურისა. აზროვნების ამ მიმართულების თითქმის ყველა უდიდესი წარმომადგენელი, ყოველ შემთხვევაში, მათი გადამწყვეტი უმრავლესობა, რომანულ-გერმანული მოდგმის ხალხების შვილია.

კაცობრიობის განვითარება და წინსვლა კი ხდება მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების საფუძველზე და არა რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების საფუძველზე.

აბა, მიაქციეთ ყურადღება!

იყო დრო, როცა ადამიანი არაერს ფლობდა. საკუთარი ძალღონისა, ქვის და ჯოხის იმედად იყო. ფეხით, ცხენით, ურმით დადიოდა. ახლა ნაირნაირი ხელსაწყო-იარაღის მფლობელია. თვითმფრინავებით, ჯარანებით, კოსმოსური ხომალდებით დაფრინავს. ტელეფონით ლაპარაკობს, რადიოს უსმენს, ტელევიზორს უყურებს. სულ მალე მზის სისტემაში არსებული სხვა პლანეტების დასახელებას დაიწყებს. უსაზღვროდ და უსაშველოდ გაფართოვდება მისი თვალსაწიერი.

ამ გამაოგნებელ წინსვლას ადამიანმა მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების წყალობა-საშუალებით მიაღწია.

მომაჯადოებელია, მომხიბლავია, მიმზიდველია რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება. უმაღლეს სულიერ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს მასთან კონტაქტი, მაგრამ მას კაცობრიობის წინსვლაში არსებითი როლი არ შეუსრულებია.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა ქადაგებს რელიგია _ არა კაც ჰკლაო, მაგრამ ადამიანი მაინც ჰკლავს მეორე ადამიანს. უფრო უარესიც: ომებისა და რევოლუციების სახით გაუგონარ სასაკლაოებს აწყობს.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა გვესმის _ არა იქურდოო, მაგრამ ადამიანი მაინც იპარავს. რაც დრო გადის, ქურდობის მასშტაბები იზრდება და იზრდება. არავითარი პირი არ უჩანს იმას, რომ ოდესმე პარვა-ძარცვა მოიკლებს და შემცირდება.

ვინ მოთვლის რამდენი საუკუნეა ჩაგვჩიჩინებს რელიგია _ არა იმრუშოო, მაგრამ ადამიანი არა მარტო აგრძელებს მრუშობას, არამედ პროსტიტუცია შემოსავლიან პროფესიად გამოაცხადა. მისი აღარ ერცხვინება და არც დასაგმობ საქმიანობად მიაჩნია.

უძველესი დროიდან რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად თვლიდა სოდომურ გარყვნილებას. თავგამეტებული ებრძოდა მას, მაგრამ ვერაფერს გახდა. დღეს მთელ მსოფლიოში, ყველგან, ღიად და აშკარად ლაპარაკობენ ჰომოსექსუალისტთა უფლებების დასაცავად. რელიგიაც ეგუება და ეთვისება მათ.

ამაზე რომ ვსაუბრობთ, პეტერ ალტენბერგის ნათქვამიც მახსენდება:

«ჰერცოგმა ლაროშფუკომ იმდენი აფორიზმი დაწერა, გულწრფელად გული მწყდება, რატომ მე არ მომივიდა ისინი აზრად, მაგრამ რადგან ისინი სამი საუკუნის განმავლობაში ვერავის ვერაფერში გამოადგა, ამიტომ მიხარია, რომ მე არ გამიწევია ეს უმადური შრომა».

ერთი სიტყვით, ადამიანის ბუნება ვერაფერმა შეცვალა. რაც ყოველთვის იყო, ის დარჩა და დროთა განმავლობაში, რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ზემოქმედებით მისი სრულყოფა არ მოხდა.

სხვა კუთხითაც შეგვიძლია შევხედოთ რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებას. ვერც იქ დავინახავთ წინსვლას; ცვლილებას არსებითსა და მნიშვნელოვანს.

იცით, რომ ქრისტიანული მოძღვრება ღმერთს წარმოადგენს სამპიროვან ერთარსებად. ისლამისათვის ეს გაუგებარიც არის და მიუღებელიც. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ამ საკითხზე მათ შორის დავა-კამათი, მაგრამ ყველაფერი საწყის წერტილზე დარჩა. ქრისტიანებს ძველებურად სჯერათ ღმერთის სამსახოვანება და მუსლიმებს ისევ არ სწამთ ამისი. პაექრობა ისევ გაგრძელდება, ისევ დაიწერება უამრავი წიგნი, მაგრამ ვითარება არ შეიცვლება. არც ქრისტიანები დაუჯერებენ მუსლიმებს და არც მუსლიმები _ ქრისტიანებს.

ანდა მეორე მაგალითი გავიხსენოთ. ებრაელებს არ სჯერათ, რომ ქრისტე მესია იყო. რატომ? იმიტომ, რომ ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით, მესია ის შეიძლება იყოს, ვისი მოვლინების შემდეგ დედამიწის ზურგზე ყველა ბოროტება მოისპობა. უბოროტებო სამყარო ჩამოყალიბდება. ქრისტეს მოვლინების შემდეგ ასე არ მოხდარა. როგორც მის მოსვლამდე სუფევდა ბოროტება ამ სოფლად, ასევე სუფევს იგი ქრისტეს მოსვლის შემდეგაც. ამიტომ ებრაელები იესოს არ მიიჩნევენ მესიად. რა თქმა უნდა, ამას ქრისტიანები არ იზიარებენ და მკაცრად ეკამათებიან იუდაისტებს. ეს სიტყვისგებაც ასეული წლების მანძილზე მომდინარეობს, მაგრამ შედეგი არ ახლავს. არც იუდაისტები იცვლიან აზრს და არც ქრისტიანები.

ამგვარი უშედეგო დავა-კამათის, პაექრობის, დისკუსიის უთვალავი და აურაცხელი ნიმუში შეიძლება მოვიხმოთ, მაგრამ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს ამისა. ისედაც ცხადი და გასაგებია თქვენთვის, რასაც ვამბობთ.

ძველ ბაბილონიასა და ეგვიპტეს ათასამდე წელიწადი გვაშორებს, მეტი კი არა. ამ ხნის მანძილზე გაიარა კაცობრიობამ გზა ზიქურატებითა და პირამიდებით დაწყებული და

ელექტრონიკითა და კოსმოსური ტექნიკით დამთავრებული. და, როგორც უკვე ითქვა, ამ გზის გავლა სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების შედეგად მოხერხდა. თორემ სულიერი თვალსაზრისით, რა საკითხებიც აწამებდა «გილგამეშიანის» ავტორს, დღესაც იგიგვენი აწვალებენ. ამ ხნის მანძილზე ადამიანის სულიერი არსი არ შეცვლილა. ან იმდენად მცირედ შეიცვალა, რომ ყოფიერებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ისიც საკითხავია, ეს სულიერი არსი რა მიმართულებით შეიცვალა უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ? უფრო მაღალ ზნეობრივ იდეალს ვეზიარეთ თუ, საერთოდ, ზნეობრიობას ეჭვის თვალით შევხედეთ. პასუხი უაღრესად ძნელია. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ ცივილიზაცია, რომელიც ცალმხრივი დარჩა, გავრცელების ვიწრო არეალს ვერ გასცდა. ის ცივილიზაცია კი, რომელმაც მოახერხა ჰარმონიულად შეეერთებინა აზროვნების ორივე სახეობა _ რელიგიურ-ფილოსოფიური და მეცნიერულ-ტექნიკური _ მსოფლიოს დაეუფლა. ევროპულ ცივილიზაციაში აზროვნების ორივე სახეობა თანაბარი ძალით არსებობს, აზიურში კი არა. აზიურში აშკარად უფრო მძლავრია რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება, ვიდრე მეცნიერულ-ტექნიკური. ამ კუთხით აზია დღეს ცდილობს გაუთანაბრდეს ევროპას. მაგრამ უკვე დაგვიანებულია. როგორც უნდა განვითარდეს ინდური, ჩინური, იაპონური ცივილიზაცია, იგი თავს ვეღარ დააღწევს ცივილიზაციის იმ ფორმას, რომელიც ევროპამ შექმნა. ავტომობილებიც, რკინიგზებიც, თვითმფრინავებიც, რაკეტებიც, კოსმოსური ტექნიკა საერთოდ, რობოტებიც, ტელევიზორებიც, ტელეფონებიც და ასე დაუსრულებლად, ევროპული ცივილიზაციის ნაყოფია. კაცობრიობა ამ ცივილიზაციაზე უარს ვეღარც იტყვის და აღარც იტყვის. პირიქით, უფრო სრულყოფილს და მრავალმხრივს გახდის მას, თუნდაც იმიტომ, რომ კაცობრიობის უახლოესი მიზანი და ამოცანაა სხვა პლანეტებზე მოგზაურობაც და დასახლებაც. ამასკი ვერ განახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების თვინიერ. თუ კაცობრიობა შვიდი-რვა ათასი წლის მანძილზე ზიქურატებიდან და პირამიდებიდან ელექტრონიკამდე და კოსმოსურ ტექნიკამდე მივიდა, წარმოიდგინეთ რა უსაზღვრო თვალსაწიერი იხსნება მის წინ მომავალში. ამ უსაზღვროების გზა ევროპულმა ცივილიზაციამ გახსნა. ამიტომ მოგახსენებდით, რომ ქართული პოლიტიკური აზრის განვითარება ევროპული პოლიტიკური აზრის განვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ-მეთქი. მაშინ ჩვენ მკაფიოდ დავინახავთ, როდის იარა საქართველომ დანარჩენი კაცობრიობის კვალდაკვალ, როდის ჩამორჩა მას, როდის ამოვარდა კალაპოტიდან და ისტორიის ორღობეში ჩარჩა.

საქართველო უძველესი ქვეყანაა და მკვიდრი ნაწილია იმ სამყაროსი, რომელსაც უხსოვარ დროში ხმელთაშუა ზღვის აუზი, ეგვიპტე, შუამდინარეთი და ირანი შეადგენდა. ეს ცხადად და მკაფიოდ ჩანს ძველბერძნულ მითებში, განსაკუთრებით არგონავტების თქმულებაში.

საქართველოს ისტორიის დაწყებას არგონავტების მითით რატომღაც ქართული საისტორიო მეცნიერება გაურბის, თავს არიდებს. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ, ასეა თუ ისე, ისტორია სიმართლის აღწერად მიიჩნევა. მითი კი გაგონილ, არარეალურ ამბავს გვიყვება. მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს. მით უფრო მას მერე, რაც ჰაინრიხ შლიმანის არქეოლოგიურმა ძიებებმა ტროას არსებობა დაადასტურა. ბერძენთა და ტროელთა ომიც

ნამდვილად მომხდარა და არც «ილიადა» და «ოდისეაა» მხოლოდ თქმულება. ისინი ისტორიკოსსაც გამოადგებიან ეპოქის სურათის წარმოსადგენად. ჩანს, ასევე უნდა შევხედოთ არგონავტების მითსაც, მათ ლაშქრობას კოლხეთში და ოქროს საწმისის მოტაცებას.

სამწუხაროდ, ქართულ არქეოლოგიას არასოდეს ჰქონია ფულადი შესაძლებლობა, არგონავტთა ნაკვალევი აქტიურად და მასშტაბურად ეძებნა. ქართული არქეოლოგია ღარიბი იყო, ნივთიერად ხელმოკლე. იმ გროშებით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რასაც ხელისუფლება გაიმეტებდა. თორემ ჰაინრიხ შლიმანივით მდიდარი კაცი, ვინც მთელ თავის ქონებას არგონავტთა ლაშქრობის ძიებას შესწირავდა, ისეთსავე გამაოგნებელ შედეგს მიიღებდა, რაც გერმანელ ვაჭარსა და არქეოლოგს ერგო. შეიძლება უფრო მეტსაც. არც ეს გახლავთ გამორიცხული. მე მჯერა, რომ როცა არქეოლოგია ძირფესვიანად შეისწავლის მითს, აიეტის კოლხეთი ისეთივე რეალურ-ისტორიული გახდება, როგორიც გახდა პრიამოსის დროს.

არგონავტების თქმულება საქართველოს პრეისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა. მასში აშკარად და გამოკვეთილად ჩანს ორი სამყაროს _ ელინურისა და დასავლურქართულის, ანუ კოლხურის _ დაპირისპირება. ამ დაპირისპირებაში კოლხური სამყარო არაფრით ჩამოუვარდება ბერძნულს. პირიქით, სჯობნის კიდეც.

ჩავუღრმავდეთ იმას, რაც წერია აპოლონიოს როდოსელის პოემაში.

ოლიმპოს ღმერთები ჰერა და ათენა იაზონისა და მისი ამხანაგების მხარეს არიან. მაგრამ ორივე ქალღმერთს ეშინია: არგონავტები ვერ მოახერხებენ კოლხების დამარცხებას. ამიტომ აუცილებელია, რაღაც მზაკვრული ხერხის, ფანდის გამოყენება. მაშინ ჰერამ და ათენამ გადაწყვიტეს დახმარებისათვის აფროდიტესათვის მიემართათ. თუ სიყვარულის ქალღმერთი და მისი ძე ეროსი კოლხთა მეფის ასულს მედეას იაზონისადმი სიყვარულით გამსჭვალავდა, მაშინ არგონავტთა საქმე კეთილად წარიმართებოდა. მედეას დახმარებით იაზონი ოქროს საწმისს მოიპოვებდა.

რას ვერ გააკეთებდა იაზონი მედეას დაუხმარებლად?

აიეტის დავალება ასეთია: იაზონმა ცეცხლისმფრქვეველი ხარები სპილენძის უღელში და რვალის გუთანში უნდა შეაბას, ოთხი დღიური მიწა მოხნას და ურჩხულის კბილები დათესოს. დათესილი კბილებიდან ბუმბერაზები აღმოჩენდებოდნენ. ისინიც უნდა დაეხოცა იაზონს, თორემ შათი დღე დაადგებოდა. ამას, ცხადია, იაზონი ვერ შეძლებდა, მედეა რომ არ დახმარებოდა. აიეტის ასულმა ასწავლა ბერძენს, რა უნდა გაეკეთებინა კოლხთა მეფის დავალების შესასრულებლად.

მედეას რჩევით, იაზონი შუაღამემდე არ დაიძინებდა. ნაშუაღამევს გამოვიდოდა გარეთ. წყლის ნაკადში განიბანებოდა. შავი მოსასხამით შეიმოსებოდა. მარტოდმარტო, არავის როა არ დაენახა, ორმოს ამოთხრიდა. ცხვარს დაკლავდა. არ დაჭრიდა. მთლიანად დაწვავდა ორმოს ფსკერზე დანთებულ ცეცხლში. ჰეკატეს შეევედრებოდა. თაფლის ზედაშეს შაუქცევდა. ლოცვით მოალბობდა ქალღმერთის გულს, მერე უკანმოუხედავად მოსცილდებოდა სამსხვერპლო კოცონს. თუ უკან მოიხედავდა, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა. თავადაც დაიღუპებოდა და სხვებსაც დაღუპავდა. გათენებისას კი ტანს, თხემით ტერფამდე, იმ ჯადოსნური წამლის დაიზელდა, მედეამ რომ მისცა. არც ფარ-შუბ-

ხმალის გაპოხვა უნდა დავიწყებოდა მედეას წამლით. ამით იაზონი ასკეც ძალას შეიძენდა. ღმერთებსაც რომ შებრძოლებოდა, ვერავინ ვერაფერს დააკლებდა.

მედეას მიერ ასე დარიგებულ-განსწავლულმა იაზონმა შეძლო აიეტის დავალების შესრულება.

კიდევ ერთი დაბრკოლება უნდა გადაელახა იაზონს ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად.

ოქროს საწმისს უზარმაზარი ურჩხული დარაჯობდა. თუ საწმისის მოტაცებას მოისურვებდა, ის ურჩხული უნდა მოეკლა. არ იყო იაზონი ის კაცი, ვინც ამას შეძლებდა. აქაც მედეამ უშველა. სიყვარულით გონდაკარგულმა ქალმა ურჩხული დააძინა. მძინარე ურჩხულს იოლად აუარა გვერდი იაზონმა და ოქროს საწმისი მოიპარა.

რაც გიამბეთ და რაც, ალბათ, თქვენც იცოდით, ორ რამეს მოწმობს:

პირველი _ კოლხეთი ბევრად ძლიერია ელადიდან მოსულ გმირებზე. ვერც ერთი არგონავტი ვერ შეძლებს იმას, რასაც სულ ადვილად აკეთებს აიეტი. თავად აპოლონიოს როდოსელი ამბობს, მხოლოდ ჰერკულესს შეეძლო კოლხთა მეფესთან ბრძოლა. მაგრამ იგი გზაში დარჩა და კოლხეთში აღარ ჩამოჰყოლია ბერძნებს.

მეორე _ კოლხეთი მაშინ დამარცხდება, თუ მის სახელმწიფო საიდუმლოს გასცემენ. მედეამ, მართალია სიყვარულით დაბანგულმა, მაგრამ მაინც გასცა მამისა და კოლხთა სამეფოს საიდუმლო ძალა. ამით, სურდა მას ეს თუ არ სურდა, საკუთარი «მე» უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე ქვეყნის და სამშობლოს ინტერესი. საიდუმლო მტერს გაუმხილა, კოლხეთი იაზონმა კი არ დაამარცხა, არამედ მედეამ. ოქროს საწმისი იაზონმა კი არ მოიპარა, არამედ მედეამ. თუ ბერძნებს კოლხთა მეფის ასული არ დაეხმარებოდა, იაზონი სამარცხვინოდ დამარცხდებოდა. ამას, როგორც უკვე ითქვა, ქალღმერთები ჰერა და ათენაც აღიარებენ.

მაგრამ მედეა თავის ოჯახს, ქვეყანასა და ხალხს არ განდგომია ანგარების მიზნით. იაზონი მას იმაზე მეტს ვერაფერს მისცემდა, რაც უკვე ჰქონდა.

არც ძალაუფლების სიყვარულით ჩაუდენია ეს მედეას. იგი მეფის ასული იყო და გასადედოფლებლად მას იაზონი არ სჭირდებოდა. უიაზონოდაც იოლად დაეუფლებოდა რომელიმე იმდროინდელი ქვეყნის ტახტს.

არც ვისიმე მტრობისათვის ჩაუდენია ეს მედეას. იგი არ მტრობდა არც მამას, არც ძმას, არც დას. იგი ჯადოქარი იყო და საკუთარი უნარითა და ნიჭით ბევრად აღემატებოდა სხვებს. ამდენად, არც შური ამოძრავებდა მას.

ყველაფერი მედეამ ჩაიდინა სიყვარულის სახელით. მას უგონოდ შეუყვარდა (თუ აფროდიტემ და ეროსმა შეაყვარეს) არგონავტი. და მიუხედავად ამისა, ცხადად ჩანს, რომ მედეას პიროვნული, ანუ ქალური სიყვარული მამაკაცისადმი სჯობნის სიყვარულს ოჯახისადმი, ქვეყნისადმი, ხალხისადმი, და საერთოდ, სამშობლოსადმი. ერთი სიტყვით, მედეაში «მე» უფრო ძლიერია, ვიდრე «ჩვენ». უკვე ამ უძველეს მითში მკაფიოდ ჩანს ქართველთა ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება: ქართველს «მე» ურჩევნია «ჩვენ»-ს. ეს თვისება ქართულ ენაში ნათლად ვლინდება. ქართველი არასოდეს არ იტყვის _ ის და მე, შენ და მე. ყოველთვის ამბობს: მე და ის, მე და შენ. «მე» ყოველთვის წინ დგას.

მედეა ყოველთვის «მე»-ს სახელით მოქმედებს. მერე, როცა ელადაში დასახლდა, იაზონის ხელში შვილებიც შეეძინა, და თითქოს მისი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მან თავზარდამცემი საქციელი ჩაიდინა. ეს საქციელი იმდენად შემაძრწუნებელია, რომ დღეს ზოგიერთ სწავლულს ეს დაუჯერებლად მიაჩნია და ამტკიცებს _ კოლხი ქალი ამას არ იზამდა, ცილი დასწამეს და შვილების დახოცვა დააბრალესო. მაგრამ, რამდენიც უნდა ვეცადოთ, მედეას გამართლებას ვეღარ მოვახერხებთ. რაც კალმით დაწერილა, იმას ნაჯახითაც ვეღარ ამოვკვეთავთ. დაწერილია კი ეს:

იაზონს სხვა ქალი შეუყვარდა _ კორინთოს მეფის კრეონტის ასული გალავადე, იგივე კრეუსა. მან გადაწყვიტა: მედეას გაყროდა და გალავადე შეერთო ცოლად. კოლხმა ცოლმა ქმრის ღალატი ვერ აიტანა. შურისძიების ცეცხლით აინთო. ის არ იკმარა, რომ რაყიფს მოწამლული ტანსაცმელი გაუგზავნა და მოაკვდინა, შვილებიც დახოცა ქმრის გასამწარებლად. კი მაგრამ, თავადაც ხომ გამწარდებოდა, თავადაც დაიტანჯებოდა შვილების სიკვდილით? რა თქმა უნდა, მაგრამ მედეასათვის ყველაფერზე მთავარია შურისძიება. მისი უკიდურესად ამპარტავანი და პატივმოყვარე «მე» სამაგიეროს გადახდას ითხოვს. სხვა აღარაფერი ახსოვს.

ვიდრე იმას მოგახსენებდეთ, ასე დაწვრილებით რატომ გიყვებით მედეაზე, კიდევ ერთი მხატვრული თხზულება უნდა გავიხსენო, კერძოდ დავით კლდიაშვილის «თავადი პეტრე». ეს პაწია მოთხრობაა, მაგრამ ქართული ხასიათის შესაცნობად ფრიად მნიშვნელოვანი.

რომელიღაც ქართველ მეფესთან სტუმრად ყოფილა ორი თავადი _ მანუჩარი და სვიმონ. მეფეს ორივე ჰყვარებია და დიდად გახარებია მათი სტუმრობა. იყო ერთი მოლხენა, მასლაათი, სმენა და გაგონება. განსაკუთრებით სვიმონი ენაწყლიანობდა თურმე. ყვებოდა თავის გმირულ თავგადასავალს. საფუძველიც ჰქონია კვეხნის. იგი გულადი მეომარი და ომებში დიდად გამოცდილი ვაჟკაცი ყოფილა. მანუჩარი ამ მხრივ არ გამოირჩეოდა, მაგრამ თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა არ აკლდა. ერთხელ, როცა სვიმონი მეფეს უამბობდა, როგორ დასცა მტერს თავზარი, შემუსრა და გაანადგურა, მანუჩარს უნებურმა დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. სვიმონს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მეფისათვის მიუმართავს: «რა ვუყოთ, ბატონო, ვისაც ვაჟკაცობისა არა სცხია-რა. სხვისიც ძნელად დაეჯერება... ეპატიება, ბატონო!» და სვიმონს ხმამაღლა გაუცინია. ეკალივით შეერჭო მანუჩარს გულში ეს სიტყვები. ბოღმით აივსო და შინდაბრუნებული დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, რით მიეზღო სამაგიერო სვიმონისათვის. როგორ ამოეყარა გულისჯავრი.

ხანი გამოხდა. მანუჩარმა შეიტყო, რომ მეზობელ მონასტერში სვიმონის ვაჟი იზრდებოდა ბერებთან. დაუჩემებია ჩემი მეგობრის შვილი მასტუმრეთ. სათანადო უნდა ვსცე პატივიო. ბიჭი მანუჩართან მოუყვანიათ. მეორე დღეს სვიმონმა მანუჩარისგან «ძღვენი» მიიღო. ყუთში რაღაც «საჩუქარი» იდო. სვიმონს გახარებია «ძღვენი». ყუთი გაუხსნია და რას ხედავს: მისი ვაჟის მოჭრილი თავი დევს შიგ. სვიმონის მთელი სახლობა ადუღდა ამ საცოდაობით. დაუყოვნებლივ შეიკრიბა ჯარი და სვიმონი თავს დაესხა მანუჩარის მამულს. მოსრა ყველაფერი. მიწასთან გაასწორა მანუჩარის ავლადიდება. ქვა ქვაზე არ დატოვა მისი სასახლისაგან. დედაბუდიანად ამოწყვიტა მისი ოჯახი. სიკვდილის წინ მანუჩარმა მაინც

მოასწრო წამოძახება: _ «ხომ გაგამწარე!.. სიკვდილამდის გაგამწარე!.. სიცოცხლე აღარ მენანება!..»

ხომ გაგამწარე!.. ეს არის მანუჩარის მამოძრავებელი მუხტი. თვითონაც დაიღუპა, ოჯახიც დაღუპა, სახლ-კარიც მოუსპეს, მაგრამ სვიმონიც ხომ გაამწარა _ შვილი მოუკლა. ყველაფერი დაღუპა იმისათვის, რომ უკანასკნელად მაინც ეთქვა _ ხომ გაგამწარე.

ორივეს _ მედეას და მანუჩარს ერთი დევიზი აქვთ _ ხომ გაგამწარე. თვითონაც გამწარდებიან, მაგრამ მთავარი და არსებითია სხვების გამწარება.

დავით კლდიაშვილის მოთხრობაში ამბავს თავადი პეტრე ჰყვება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. საინტერესო და საყურადღებოა მისი დასკვნა:

«მაპატიეთ გულახდილობა და მოგახსენებთ, გულში ნურაფერს ჩამარჩენთ, გულს ნუ მატკენთ, თორემ სადაც მომიხერხდება, რითაც მომიხერხდება, როცა აზრათაც შეიძლება არ გექნეთ, მაშინ ვიყრი ჩემი გულის ჯავრს; ამოვიყრი ჩემს გულის ჯავრს უსათუოდ, თუნდაც რომ ეს სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! რა ვქნა... რომ არ მინდოდეს, ასე უნდა ვქნა, რადგან ასე გვჩვევია ძველთაგან. მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო...»

მაშასადამე, თავადი პეტრე იწონებს მანუჩარის საქციელს. თავადაც ისე მოიქცევა, თუ დასჭირდა, როგორც მანუჩარი მოიქცა. ბუნებრივია, იგი მედეას საქციელსაც მოიწონებდა, რაკი თავადი პეტრეც მომხრეა დევიზის _ ხომ გაგამწარე. ხედავთ, რა უზარმაზარი დროა გასული მედეადან თავად პეტრემდე, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ქართველის ბუნებაში, ხასიათში, თვისებაში არაფერი შეცვლილა. დევიზი _ ხომ გაგამწარე _ დევიზად დარჩა.

შეიძლება გაგიჩნდეს კითხვა _ ჩვენ პოლიტიკაზე, პოლიტიკურ აზრზე უნდა ვისაუბროთ და რა საჭიროა მითოლოგიურ-ლიტერატურული პერსონაჟების გახსენება და მოშველიება? ჯერ ერთი, მითოლოგიურ-ლიტერატურულ პერსონაჟებში ნათლად და მკაფიოდ ჩანს არა მარტო ამა თუ იმ პიროვნების ხასიათი, ბუნება, თვისება, არამედ მთელი ხალხისა, მთელი ერისა. მეორეც, «ხომ გაგამწარეში» გამოვლენილია ავადმყოფურად გაზვიადებული «მე». ავადმყოფურად გაზვიადებული «მე» კი ძალიან საშიში მოვლენაა პოლიტიკაში. ამას საქართველოს ისტორია ცხადად ადასტურებს.

ბაგრატიონთა სამეფო სახლს დიდი ხნის მანძილზე ებრძოდა ბაღვივაშთა ფეოდალური გვარი. ამ გვარის წარმომადგენლებმა არც დავით აღმაშენებელი მოასვენეს. მეფე იძულებული გახდა ბაღვივაშები საქართველოდან განედევნა, როცა ერისთავი რატი გარდაიცვალა, მატიანეში ჩაიწერა: «მოკვდა რატი ძე ლიპარიტისი... ესრეთ დასრულდა სახელი ბაღვივაშთა, სახელი გამამწარებელთა».

დააკვირდით: სახელი გამამწარებელთა. ქვეყნის სასარგებლო პოლიტიკური მიზანი მათ არ ამოძრავებდათ. ბაღვივაშების ავადმყოფურად პატივმოყვარე «მე» იბრძვის იმისათვის, რომ ტოლი არ დაუგდონ ბაგრატიონებს. არც ძალაუფლებით, არც სახელით, არც ავტორიტეტით არ იყონ მათზე ნაკლები. რა მოყვება ამ გაუთავებელ ქიშპს, მათ ნაკლებ ადარდებთ. მთავარია «მე» და თუ «მე» ვერ დაკმაყოფილდა გაუთავებელი ხრიკებით, ინტრიგებით, მტრობით, მოწინააღმდეგის გამწარება, როგორც სხვა შემთხვევაში, ისე ახლაც ამას შეიძლება მთელი გვარის დაღუპვა მოჰყვეს, მაგრამ ესეც არაფერია. მოწინააღმდეგეს ხომ გაამწარებენ.

ძმამ ძმა არ დაინდო. სვიმონ პირველს, ქართლის მეფეს (1558-1600 წწ.), ეომება ძმა დავითი, მუსლიმობის გამო დაუთხანად წოდებული. ვერ მიაღწია საწადელს დავითმა. ვერ გაანადგურა ძმა. იძულებული გახდა თურქეთში გადახვეწილიყო და სული სტამბოლში დაელია. «მე» აწამებდა, თორემ დავითი უნიჭო არ ყოფილა. სტამბოლში ყოფნისას მედიცინა შეისწავლა. უნიკალური სამედიცინო წიგნი «იადიგარ დაუდი» დაგვიტოვა. ქართული მედიცინის ისტორიაში წარუშლელი კვალი გაავლო, მაგრამ რა გინდა რა _ სანამ საქართველოში იყო, არც თვითონ მოისვენა, არც ძმა მოასვენა და არც ქვეყანა. მის გამო არც ნგრევა-აწიოკება დაჰკლებია ჩვენს სამშობლოს და არც სისხლის ღვართქაფი. არ სჭირდება საქართველოს ძმების მტრობა-შუღლი. პირიქით, აუცილებელი მათი ერთად ყოფნაა, მხარდამხარ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, თურქეთი იქნება იგი თუ სპარსეთი, მაგრამ უსაშველო «მე» ჭამს ყველაფერს. დავითმა, ამ ნიჭიერმა კაცმა, თავი გამამწარებელთა სიაში ჩაიწერა იმის გამო, რომ ავადმყოფურად გაზვიადებულ «მე»-ს ვერ მოერია.

ვერაფერმა ვერ დააშოშმინა და დააწყნარა აბდულა-ბეგი, ვახტანგ მეექვსის ძმისწული, მეფე იესეს ძე. სისხლი გაუშრო ერეკლე მეორეს. თავგამეტებული ებრძოდა. არა იმიტომ, რომ ქვეყანა გავაერთიანოთ, გავაძლიეროთ, ფეხზე დავაყენოთო, არამედ იმიტომ, რომ ქართლს დაპატრონებოდა. სულ იმას გაიძახოდა: ქართლი ჩემია, ერეკლემ კახეთი იკმაროსო. თითქოს საქართველო მრავალოთახიანი ბინა იყო და ერთმანეთს შორის უნდა გაეყოთ.

უთვალავი ასეთი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ რაც გავიხსენეთ, ისიც საკმარისია. გასაგებია, რისი თქმაც მსურს: ქართული პოლიტიკური აზრი მჭლეა. უფრო საპირადოს დაკმაყოფილებას გულისხმობს, ვიდრე _ საქვეყნოს, სახალხოს. მართალია, ამას ზოგჯერ, ცალკეულ შემთხვევებში, ცალკეული პირების ფართო საერთოეროვნული აზრი უპირისპირდება, მაგრამ გამარჯვებას ვერ ახერხებს. თუ გაიმარჯვებს, ძალიან ხანმოკლე ვადით. ეს, როგორც ვნახეთ, მითოლოგიაშიც ჩანს, სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც და ისტორიულ ფაქტებშიც. სწორედ ამგვარმა მოვლენებმა აიძულა ალექსანდრე ფრონელი ეთქვა ის, რასაც ახლა წაიკითხავთ 1907 წელს დასტამბული წიგნიდან «ამბოხება კახეთისა (1812 წ.)».

«ქართველი კაცის უპირობა, მეზობლური შური და მტრობა, განკერძოებით მოქმედება და მამლაყინწობა, ვინაითგან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ იგია რჩეული და ქვეყნის მხსნელად მოვლენილი, რომ მის თავსა და ტვინშია მოთავსებული ქვეყნის სიბრძნე, რომ იგია ერთად ერთი დიდებული სარდალი და მძლეთა მძლე, რომ მარტოოდენ მისი აზრია მართალი და უცდომელი, ხომ კარგად მოგეხსენებათ. ეს ისტორიული სენი ქართველი კაცის ძვალსა და სისხლში ღრმად გამჯდარი და ჩაკირული, დღესაც ხომ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში... დიდი კულტურული და შეგნებული შრომაა საჭირო ამ ისტორიული მხარის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად, თორემ რა ყრია, გეთაყვათ, ზიზილ-პიპილა ფრაზებში ძმობა-ერთობაზე ყრმათა და ნორჩთა ასაპილპილებლად და გადასარევად».

ამ ტკივილს, რაც ალექსანდრე ფრონელის სიტყვებშია, მეტნაკლებად ყველა ქართველი მოაზროვნე გამოხატავს, მაგრამ ცვლილებით არაფერი იცვლება. ყველა თაობა იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომას, ავლენს ერთსა და იმავე თვისება-ხასიათს. ეს თვისება-ხასიათი, ეს

შეცდომა ბოჭავს ქართულ პოლიტიკურ აზრს, ასუსტებს მას, რაც ხშირად საფუძველია საქართველოს მარცხისა.

ავადმყოფურად გაზვიადებული «მე» პოლიტიკაში ბადებს ან დიქტატურას, დესპოტიას, ან ქაოსს.

თუ ავადმყოფურად გაზვიადებული «მე»-თი დაავადებული პოლიტიკოსი ძლიერი ნებისყოფისა და ენერგიის პატრონია, იგი იმორჩილებს სხვებს, იმონებს და ატარებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. მოწინააღმდეგეებს და დაუმორჩილებელთ სპობს, ანადგურებს. ამდენად ამყარებს დიქტატურას, დესპოტის. სანამ ცოცხალია, ეს დიქტატურა-დესპოტიაც არსებობს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა მრავალფეროვანება გამორიცხულია.

თუ ავადმყოფურად გაზვიადებული «მე»-თი დაავადებულ პოლიტიკოსთა შორის არავინ არის ძლიერი ნებისყოფისა და ენერგიის პატრონი, მაშინ იწყება ქაოსი. ისინი ერთმანეთის დამორჩილებასა და განადგურებას ვერ ახერხებენ. არც შეთანხმება შეუძლიათ, რადგან ყველა ავადმყოფური «მე» თავისას გაიძახის, მხოლოდ თავისი შეხედულება მიაჩნია ერთადერთ მართალ შეხედულებად და ვერ იტანს სხვის აზრს. ეს უამრავი ავადმყოფური «მე» ქმნის უთვალავ პაწია-პაწია ჯგუფს, რომელსაც პარტიას არქმევენ და იწყება უთავბოლო, დაუსრულებელი პოლიტიკური ლაყბობა, რომელსაც არაფერი მოაქვს, ქვეყნის დაქცევის გარდა. ასეთ ვითარებაში არსებობს უამრავი პარტია, მაგარმ ქვეყანა უპატრონოა, რაკი ამ უანგარიშო პარტიიდან არც ერთს არ გააჩნია რეალური ძალა. არ ფლობს უნარს მართოს ქვეყანა, მოუაროს მას, იზრუნოს მასზე.

ისე, რომ როგორც ერთი (დიქტტურა-დესპოტია), ისე მეორე (ქაოსი) საბოლოოდ ერთ შედეგს იძლევა _ ქვეყნის დანგრევა-გაჩანაგებას. ამ მდგომარეობას რომ თავი დააღწიო, აუცილებელია გონიერება. მაგრამ გონიერების თვალსაზრისითაც საქმე სახიფათოდ გვაქვს და გვქონდა წინათაც _ აქაც ერთი ძველი მითოლოგიური გადმოცემა უნდა გაგახსენოთ.

საქართველოში არ მეგულება კაცი, ვინც არ იცოდეს ამირანის თხზულება, მისი მიჯაჭვის ამბავი. მიჯაჭვული ამირანი ცდილობს გაგლიჯოს ჯაჭვი, განთავისუფლდეს. რატომღაც ამირანის განთავისუფლება არ სურთ მჭედლებს. ყოველ წითელ პარასკევს მჭედლები უროს ურტყამენ გრდემლს. ამის ამირანის თითქმის გაგლეჯილი ჯაჭვი ისევ მრთელდება და ისიც მიჯაჭვული რჩება. ამის გარდა, სხვა ვარიანტიც არსებობს, კერძოდ ერთი: ჯაჭვი, რომლითაც ამირანია დაბმული, კლდეში პალოთია დამაგრებული. მთელი წელიწადი ცდილობს ამირანი ამოაძროს პალო. თითქოს ამირანი ახერხებს მიაღწიოს საწადელს. სადაც არის პალო ამოვარდება კლდიდან. მაგრამ მოფრინდება პატარა ჩიტი. იგი დააჯდება პალოს. გაბრაზებული ამირანი იღებს უროს და ურტყამს პალოს ჩიტის მოსაკლავად. ჩიტი, რა თქმა უნდა, გაფრინდება. ამირანი უროს დარტყმით ისევ უკან აჭედებს თითქმის ამოძრობილ პალოს. ამდენადვე თავად იჯაჭვავს თავს.

არ ვიცი, ვერ აგიხსნით, რატომ არის ამ ვარიანტში ესოდენ უგუნურ არსებად გამოყვანილი ამირანი. რად უნდა ჩიტის მოსაცილებლად ამირანს უროს დარტყმა პალოზე? მაგრამ, რაც გიამბეს, ის ვარიანტი ჩაწერილია, დაბეჭდილია, გამოქვეყნებულია. შეგიძლიათ,

ამირანის თხზულებათა ვარიანტებს გაეცნოთ მიხეილ ჩიქოვანის წიგნში «მიჯაჭვული ამირანი»...

1999 წ.

## საიდან მოდის ადამიანი

(ლექცია სამედიცინო ინსტიტუტში)

მედიცინა და სიტყვაკაზმული მწერლობა ჰგვანან ერთმანეთს. მედიცინას სურს განკურნოს ადამიანი ფიზიკური სენისაგან, დაამშვიდოს მისი ხორციელი ტკივილი. სიტყვაკაზმული მწერლობა კი მოწოდებულია უმკურნალოს, უწამლოს ადამიანის მშვინვიერ ტკივილს. მიანიჭოს სულიერი მხნეობა. მედიცინისათვის მთავარია ადამიანი და არავითარ ყურადღებას არ აქცევს მის (ადამიანის) რასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ, კლასობრივ, პოლიტიკურ და ასე შემდეგ კუთვნილებას, ასევე უნდა იყოს სიტყვაკაზმული მწერლობაც. მისთვისაც ძირითადია და არსებითი ადამიანი. არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რა სოციალურ, პოლიტიკურ, რასობრივ თუ ეროვნულ ფენას ეკუთვნის იგი. ორივეს ლოზუნგია _ ჯერ ადამიანი, მერე ყველა სხვა დანარჩენი.

მიზნის უტოპიურობის თვალსაზრისითაც ჰგვანან ისინი ერთმანეთს. მედიცინის იდეალური მიზანია დაამარცხოს სიკვდილი. მაგრამ ეს კეთილშობილი მისწრაფება და სურვილი უტოპიურია. იგი არასოდეს განხორციელდება, რამეთუ ეწინააღმდეგება ბუნების კანონს. სიკვდილი სიცოცხლის არსებობის კანონზომიერებაა და მისი ძლევა ნამდვილად იქნება სიცოცხლის დამარცხება. ამ შინაგანი წინააღმდეგობის მკაფიოდ წვდომა და გაგება ადამიანს არ ძალუძს და ამიტომ ებღაუჭება უტოპიურ იდეალს. ეს ადამიანის არასრულყოფილ გონებას ეჩვენება, რომ უსამართლობაა, როცა 20 წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდა იღუპება და ცოცხლობს 80 წლის მიხრწნილი ბერიკაცი. ჩვენ ვერ ამოგვიცნია, რა ღვთაებრივი კანონზომიერებაა ჩვენთვის უსამართლო ამ აქტში. აქ რომ ღვთაებრივი (ბუნებისეული) კანონზომიერება არ იყოს, იგი არ მოხდებოდა, ოღონდ, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ არ ძალგვიძს მისი გაგება-ამოცნობა.

უტოპიულ იდეალს მიელტვის სიტყვაკაზმული მწერლობაც. მას სურს ზნესრული ადამიანის ჩამოყალიბება. ე.ი. სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, ადამიანის სამშვინველის განკურნება ყოველგვარი მანკიერისაგან, რაც ისეთივე უტოპიაა, როგორც სიკვდილის დამარცხება. თუ ადამიანი განიკურნება ყოველგვარი მანკისაგან, იგი დაემსგავსება დაპროგრამებულ მანქანას, რობოტს და აღარ იქნება ადამიანი. აქაც პარადოქსი მივიღეთ: ზნესრული ადამიანისათვის ბრძოლა ნიშნავს ადამიანის სიკვდილს, რადგან ადამიანი მაშინ არის ადამიანი, როცა იგი ნაერთია კეთილისა და ბოროტის.

აი, ასეთ პარადოქსულ სიტუაციაშია გახლართული, ერთი მხრივ, მედიცინა და, მეორე მხრივ, მწერლობა. ჩემთვის და ალბათ სხვებისთვისაც, ამ დაბნეულობით არის საინტერესო როგორც ერთი, ისე მეორე. ეს დაბუნეულობა, მისწრაფებათა პარადოქსულობა და, უტოპიურობა აძლევს მათ მუდმივი მოძრაობის, ქმედების, ბრძოლის საშუალებას. არსებობა

კი მოძრაობას, ქმედებას, ბრძოლას გულისხმობს. თუ ესენი არ არიან არც არსებობაა. ადამიანიც მაშინ არსებობს, როცა იგი მოძრაობს, მოქმედებს, იბრძვის. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც მას (ჭეშმარიტებას) ვებრძვით, როცა ვოცნებობთ, გვსურს სიკვდილის დამარცხება ან ზნესრული ადამიანის ჩამოყალიბება. ასე ვექცევით ჩვენ მონუსხულ წრეში, საიდანაც თავის დაღწევა არ შეგვიძლია და ვემორჩილებით მარადი ბრუნვის, მარადი კვდომა-აღორძინების კანონს.

იმის გამო, რაც ახლა ვთქვი, შეიძლება იფიქროთ, რომ ცხოვრებასა და ადამიანს პესიმისტური თვალსაზრისით ვუყურებ. თუ ამგვარი შთაბეჭდილება შეგექმნათ, არ იქნება ეს მართალი, რამეთუ ჩემი შეხედულება ცხოვრებასა და ადამიანზე, ჩემი დამოკიდებულება როგორც ერთის ისე მეორისადმი სრულიად ოპტიმისტურია. მაგრამ ჩემი ოპტიმიზმი გამორიცხავს იმედს, რომელიც უტოპიურ საფუძველს ეყრდნობა. ამიტომ ეს საკითხი უფრო მკაფიო რომ იყოს და მომავალი საუბრების დროსაც გაუგებრობა არ მოხდეს, გავარკვიოთ _ რას შეიძლება ეწოდოს ოპტიმისტური თვალსაზრისი და რას _ პესიმისტური.

ჩვენ არ ვიცით და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ, საიდან მოდის ადამიანი და საით მიდის. რა თქმა უნდა, ბიოლოგიური პროცესი ადამიანის გაჩენისა ცნობილია და ყველა თქვენგანს შეუძლია ეს მკაფიოდ აღწეროს. მაგრამ ადამიანის გაჩენის ბიოლოგიური პროცესის ცოდნა ვერ იძლევა ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხს. მავანი და მავანი პიროვნება არ არსებობდა, გაჩნდა, იარსება და ისევ აღარ არსებობს. რატომ? სამუდამოდ წყვეტს სიკვდილით ადამიანი არსებობას, თუ სხვა რამ, ჩვენთვის უცნობი პროცესი ხდება? რატომ დაარქვა სიკვდილს ქართველმა «გარდაცვალება»? რა შეიცვალა და რად იქცა სიკვდილის შემდეგ ადამიანი? ამ კითხვებს ვერავინ უპასუხებს. ამისი ცოდნა ჩვენ არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, შეიძლება ამა თუ იმ მოძღვრებამ ამ კითხვებზე მრავალგვარი პასუხი მოიგონოს, შეეცადოს მისი ახსნა, მაგრამ ყველა ეს პასუხი, ახსნა იქნება ვარაუდი, ჰიპოთეზა, უბრალოდ ტვინის ჭყლეტა და მეტი არაფერი. მოგეხსენებათ, მეცნიერულ დასაბუთებულ პასუხად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის აზრი, რისი დამტკიცებაც შესაძლებელია ექსპერიმენტით. თუ ექსპერიმენტით არ ძალგვიძს არგუმენტირება, ყველაზე მკაფიო ლოგიკურ-თეორიული პასუხი მაინც ვარაუდის ფარგლებში ტრიალებს.

რაკი მედიცინასა და მწერლობას შორის მსგავსებას ვპოულობთ, ჩვენი საუბრებიც წარიმართება ერთი კონკრეტული კუთხით: ადამიანის კონცეფცია მხატვრულ ლიტერატურაში. იმის შესაბამისად, რასაც ჩემი ცოდნა გაწვდება, შევეხებით ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას.

როცა ადამიანმა ცოდნით, მეცნიერულად ვერ მოახერხა მოეძებნა პასუხი, მან გადაწყვიტა რწმენით ეპასუხებია. და ქრისტიანულმა რელიგიამ გამონახა პასუხი: ადამიანი არის სული. მართლაც, მკვდარ ადამიანს ხორცის თვალსაზრისით, ბიოლოგიური თვალსაზრისით ყველაფერი აქვს ცოცხალი ადამიანის _ სხეული, ხელები, ფეხები, თავი, შიგნეული და ა.შ. მაგრამ მაინც აღარ არის ადამიანი, რამეთუ აღარ აქვს სული. სწორედ სული ხდის ადამიანს ადამიანად. ეს სული ქრისტიანულმა რელიგიამ ღვთაებრივ მოვლენად მიიჩნია და თვლის, რომ სიკვდილის შემდეგ, ადამიანის სული ისევ უკან ღვთაების წიაღში

ბრუნდება. ე.ი. უბრუნდება იმას, რისგანაც გამოვიდა. რაკი ღმერთი უკვდავი და მარადიულია, ხოლო სული მისი ნაწილია ადამიანში, სულიც უკვდავი და მარადიულია.

ცხადია, თქვენ ათეიზმს გასწავლიან და ცდილობენ ჩაგინერგონ უნდობლობა ყოველგვარი რელიგიისადმი. ათეიზმის ლექტორები ამგვარი პროპაგანდის დროს ცდილობენ, ერთმანეთს დაუპირისპირონ მეცნიერება და რელიგია. მეცნიერული თვალსაზრისით ცდილობენ დაამტკიცონ რელიგიის უსაფუძვლობა. მაგრამ საკითხის ამგვარი დასმა ძირშივე მცდარია, რამეთუ მეცნიერება სხვა მიზანს ემსახურება და რელიგია _ სხვას. რელიგია ანუ რწმენა იწყება იქ, სადაც ცოდნა თავდება. რისთვის უნდა ადამიანს რწმენა ანუ რელიგია? იმისათვის, რომ რაღაცნაირად უპასუხოს მის წინაშე წამოჭრილ იმ დილემას, რომელსაც აღარ ეძებნება მეცნიერული ახსნა. თორემ რასაც მეცნიერული ახსნა ეძებნება, ის არც არის რელიგიის საგანი. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: კვდება გენიალური მეცნიერი... გარს ახვევია მას ასევე გენიალური მეცნიერები, მაგრამ ყველა უძლურია. ადამიანის ცოდნას უკვე აღარ შეუძლია უშველოს მას. რა ანუგეშებს ამ დროს მომაკვდავს? რა თქმა უნდა, მხოლოდღა რწმენა სულის უკვდავებისა. ცხადია, თუ სწამს ეს.

როცა დგება რწმენის საკითხი, აქ არაფერ შუაშია ცოდნა. რწმენის ახსნა, მეცნიერულად დასაბუთება არ შეიძლება. ადამიანს ან სწამს ან არ სწამს. თუ ადამიანმა იწამა, მას ვერავითარი მეცნიერული პროპაგანდით ვერ გადაარწმუნებ, რადგან რწმენას არა აქვს მეცნიერული საფუძველი. თუ ადამიანს არ სწამს, ასევე ვერ აწამებინებ მეცნიერული არგუმენტებით. ამიტომ ათეიზმი, როგორც მეცნიერება, სასაცილოა.

ათეისტები სიცილით იჭაჭებიან, როცა იხსენებენ ან საუბრობენ ქრისტიანულ რელიგიაში არსებულ მითზე უმანკო ჩასახვის შესახებ (წმიდა მარიამს ქრისტე ჩაესახა წიაღში სულიწმიდის საშუალებით). ათეისტები ხითხითებენ, როგორ შეიძლება ეს, მეცნიერებამ ხომ იცის, როგორ ისახება და ჩნდება ადამიანი!.. მაშასადამე, რელიგია ტყუის. ნუთუ ათეისტებს ჰგონიათ, რომ ვინც ეს მითი დასწერა, მან არ იცოდა, როგორ ხდება ბიოლოგიურად ადამიანის ჩასახვა? ცხადია, იცოდა, მაშინ რად სჭირდება მას ეს პარაბოლა, იგავი? იგავის, პარაბოლის საშუალებით გამოთქვამს იგი აზრს, რომ სული ადამიანში ღვთაებრივი წარმოშობისა და ბუნების არის. ამიტომ სულის ანუ ღვთაებრივი კანონის შესაბამისად უნდა იცხოვროს ამ ქვეყნად ადამიანმა. განა ამგვარი რწმენა უფრო არ ამაღლებს ადამიანს, უფრო მაღალ მისიას არ ანიჭებს მის ამქვეყნიურ არსებობას? არა მგონია, რომ ეს გონიერმა ადამიანმა საეჭვოდ მიიჩნიოს.

რწმენა, რომელიც აღიარებს, რომ ადამიანის სული ღვთაებრივი წარმოშობის არის, იგი უკვდავია და ღმერთისაგან გამოსული ისევ ღმერთს უბრუნდება, ოპტიმისტური რწმენაა. ამგვარი რწმენით დაწერილი ყველა მხატვრული ნაწარმოები, რარიგ ტრაგიკულ ამბავსაც უნდა აღწერდეს იგი, ოპტიმისტური ნაწარმოებია.

მაგრამ არსებობს სხვაგვარი რელიგიური რწმენაც, მაგალითად, ბუდიზმი. რუსი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი განიხილავს ბუდიზმს და გამოყოფს «ოთხ კეთილშობილურ ჭეშმარიტებას».

პირველი: არსებობა არის ტანჯვა.

მეორე: მისი მიზეზია უაზრო სურვილი, რომელსაც არა აქვს არც საფუძველი, არც მიზანი.

მესამე: მტანჯველი არსებობისაგან თავის დაღწევა შეიძლება ყოველგვარი სურვილის განადგურების გზით.

მეოთხე: ამ თავდახსნის გზა არის ბუდას მიერ ბოძებული სრულყოფილი ეთიკური მცნებების დაცვა და მისი დასასრულია ნირვანა (-ჩაქრობა), ყოფიერების სრული ჩაქრობა.

არის სხვა რელიგიური მიმდინარეობანიც, რომელნიც ბუდიზმის მსგავსად, აღიარებენ, რომ მსოფლიო პროცესის სასურველი მიზანია კაცობრიობის სიკვდილი და სამყაროს დაღუპვა. ისინი სამყაროს ძირითად არსად აცხადებენ არაფერს. მაგალითად ლაო-ძეს მოძღვრება ტაო ან ლაო აღიარებს, რომ ნგრევა და უარყოფა _ ეს არის ტაოს მოძრაობა, უძლურება _ ეს არის ტაოს მოქმედება, ტაო არის სიცარიელე.

მაშასადამე, რწმენა, რომელიც აღიარებს, რომ ადამიანი მოდის არაფრისაგან და მიდის არაფერში, რომ ყოფიერება არაფრისგან დაიბადა და მიზანი ისევ არაფრად ქცევაა, პესიმისტური რწმენაა. ყოველი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ამგვარი აზრია გატარებული პესიმისტური ნაწარმოებია, თუნდაც მასში იდილიური ამბავი იყოს აღწერილი.

რა თქმა უნდა, ამ რელიგიური მოძღვრებების არსის გარკვევა ურთულესი საკითხია და ასე ზერელედ მათზე მსჯელობაც არ შეიძლება, მაგრამ ისინი გავიხსენე იმიტომ, რომ მიმეთითებინა ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ფესვებზე. რადგან თავად მე ღრმად მწამს, რომ სამყაროს, კაცობრიობას განაგებს კოსმოსური გონი ანუ რუასი და რაც სამყაროში ხდება კანონზომიერი, აცილებელი, კეთილი და სამართლიანია, ჩემი ზემორე ნათქვამი, მონუსხულ წრესთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს პესიმისტურ შეხედულებად. პირიქით, იგი ოპტიმისტური თვალსაზრისია, რადგან კოსმოსური რუასის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ოპტიმიზმის საფუძველია ის ნდობა, რომელიც უზენაესმა გამოუცხადა ადამიანს. ეს ნდობა გახლავთ არჩევანის უფლება. არსებობს კეთილი და ბოროტი. ადამიანი კი უფლებამოსილია შეხედულებისამებრ აირჩიოს ან კეთილი ან ბოროტი.

კაცობრიობას მთელი მისი არსებობის მანძილზე აწუხებდა და დღესაც აწვალებს კითხვა _ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი? თუ ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა და ყველაფერი მისით ხდება, მაშინ როგორღა არსებობს ბოროტი და რა არის ის ძალა, რომელიც ბოროტს ეხმარება, აარსებს და ბოროტების მოსპობა ვერ მოხერხდა.

წარმართულმა რელიგიამ მარტივად გადაწყვიტა ეს საკითხი. მან ღმერთების პანთეონი ორად გაჰყო _ კეთილის ღმერთებად და ბოროტების ღმერთებად. ისინიც ისევე ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც მიწაზე ადამიანები. ერთი სიტყვით, წარმართობამ ადამიანთა საზოგადოების მოდელის შესაბამისად ჩამოაყალიბა ღმერთების პანთეონიც. ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ღმერთები უკვდავნი იყვნენ, მარად არსებული და ყოვლის შემძლენი. ადამიანები კი მოკვდავნი, ამქვეყნად დროებით მოვლენილი და ღმერთების მორჩილი. ადამიანის ბედს წარმართავდა ღმერთი: კეთილი _ კეთილად და ბოროტი _ ბოროტად. აქ თითქოს შინაგანი წინააღმდეგობა არ არსებობდა, მაგრამ როცა წარმართული

პოლითეისტური (მრავალღმერთიანი) რელიგია შეიცვალა მონოთეისტური (ერთღმერთიანი) რელიგიით, საქმე გართულდა. მონოთეისტური რელიგია (მაგალითად, ჩვენთვის უფრო ახლობელი _ ქრისტიანობა) გაცილებით უფრო რთული, ღრმა და ფილოსოფიურია, ვიდრე წარმართობა. მონოთეისტურმა რელიგიამ ერთი ღმერთი აღიარა, რომელიც უნივერსუმია. რუსთაველის ენით თუ ვიტყვით, ღმერთია უცნაური და უთქმელი, უფალი უფლებათა, მზიანი ღამე, ერთარსება ერთი, უჟამო ჟამი, არსთა მხედი, ძალი უხილავი. ღმერთმა შექმნა უთვალავფერიანი სამყარო, ყოველი არსი, და სახე ყოვლისა ტანისა... ღმერთისაგან «ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა, იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა...» ერთი სიტყვით, ღმერთი უნივერსუმია და, რაც ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რუსთაველი დასძენს, რომ «ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს». რუსთაველი ამ შემთხვევაში ბრძენი დივნოსის აზრს იმეორებს: ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს. დივნოსში, როგორც რუსთველოლოგები ფიქრობენ, იგულისხმება ფსევდო დიონისე არეოპაგელი ანუ შ.ნუცუბიძისა და ე.ჰანიგმანის აზრით პეტრე იბერი.

ამრიგად, ქრისტიანული რელიგიის ადეპტების მტკიცებით, ღმერთი მხოლოდ კეთილის შემოქმედია და ბოროტს არ შობს. ბოროტი, იმავე ფსევდო დიონისე არეოპაგელის სიტყვით, არის არარსება, არარსი, უსუბსტანციო. ბოროტი არის ნაკლი, ზადი არსებისა, სუბსტანციისა. ყველაფერი, რაც არსებობს, არის კეთილი. ბოროტება ნაკლია და ზადი მისი. თითქოს დაბეჯითებული მტკიცებაა კეთილის ღვთაებრივი წარმომავლობისა, მაგრამ კითხვა მაინც უტრიალებს ადამიანს თავში _ თუ ბოროტება მხოლოდ კეთილის, არსების ზადია, ნაკლია და მეტი არაფერი, თუ ბოროტთან ღმერთს არა აქვს კავშირი, რატომ ვერ მოხერხდა კეთილისგან ბოროტის მოცილება? რატომ არსებობს სულ და ყოველთვის ბოროტი კეთილის პარალელურად? ამ კითხვის პასუხი გაძნელდა და ადამიანმა სცადა შეექმნა აზრი თეოდიცეის (-ღმერთის გამართლების). ეს ტერმინი ლაიბნიცს ეკუთვნის და ის მიზნად ისახავს, ააცილოს ღმერთს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ბოროტება არსებობს. მაგრამ თეოდიცეიმ ვერ ახსნა პრობლემა. თუ ღმერთი არაფერშუაშია და ბოროტება მისგან დამოუკიდებლად არსებობს, მაშინ ყოფილა კიდევ სხვა ძალა, მისებრ ძლიერი, რომელიც ბოროტებას იცავს. მაშასადამე, ღმერთი არ ყოფილა ერთი, უნივერსუმი და ყოველი არსებულის შემოქმედი. ეს წინააღმდეგობა გამუდმებით აწვალებს კაცობრიობას და დამაჯერებელი პასუხი ვერ უპოვია. თუ რელიგია, თეიზმი წვალობს, ცდილობს იპოვოს ახსნა რა არის კეთილი, რა არის ბოროტი, რისგან მომდინარეობენ ისინი, ათეიზმს ურწმუნოებას საერთოდ ამ კითხვაზე არავითარი პასუხი არა აქვს. ვერცერთი ათეისტის თხზულებაში ვერ იპოვით ამ კითხვაზე ვერავითარ პასუხს. ათეიზმი არ არის ახალი მოვლენა. ათეიზმიც ისევე ძველია, როგორც თეიზმი. როგორც თეიზმი, ისევე ათეიზმი ყოველთვის არსებობდა. სხვათა შორის, მე-11 საუკუნის დიდი არაბი მწერალი აბუ'ლ-'ალა ალ-მაარი (973-1057) წერდა:

სცდებიან ყველანი: მუსლიმნი, ქრისტიანნი, ებრაელნი,
მხოლოდ ორი პიროვნება ჰქმნის საყოველთაო მიმართულებას:
კაცი გონიერი, ურელიგიო,

და კაცი რელიგიური, უგონო...

და მრავალსაუკუნოვანი ხანგრძლივი დავის, პაექრობის მიუხედავად თეიზმსა და ათეიზმს შორის, ათეიზმა პასუხი კითხვას _ რა არის კეთილი, რა არის ბოროტი, რისგან მომდინარეობენ ისინი _ ვერ უპასუხა. ამის ცდაც კი არ მოუძებნია ათეიზმს.

ათეიზმი გვიმტკიცებს, სამყარო მატერიალურია. იგი არავის შეუქმნია, ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს. თუ ასეა, მაშინ კეთილი და ბოროტი მატერიის თვისებაა? ისინი მატერიისაგან მომდინარეობენ? ამ კითხვებზე ათეიზმი დუმს. პირში წყალი აქვს დაგუბებული.

მაგრამ ადამიანს არ შეუძლია დუმილი. მას სურს პასუხის მოძებნა. ყოველი მოაზროვნე ადამიანის მოვალეობაა იფიქროს ამ საკითხზე და სცადოს პასუხის გაცემა. მეც შევეცდები ვუპასუხო ზემორე დასმულ კითხვას. რას დაიჯერებთ და რას არა ჩემი პასუხიდან, ეს თქვენი სურვილი და ნებაა.

როცა «ვეფხისტყაოსანს» კითხულობთ, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ერთმა გარემოებამ. მართალია, რუსთაველი იმეორებს ბრძენი დივნოსის აზრს _ «ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაბადებს» _, მაგრამ არის პოემაში ორი ადგილი, სადაც რუსთაველს, უფრო სწორად მის პროტაგონისტებს, ეს თითქოს ეეჭვებათ.

პირველად ეს მაშინ იგრძნობა, როცა თინათინი ეუბნება როსტევანს _ «ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?» ამ ფრაზაში არ არის დარწმუნებული ადამიანის განცხადება _ კეთილის შემოქმედი ბოროტს არ შექმნიდაო. აქ კითხვაა დაეჭვებული კაცისა _ რატომ შექმნიდაო კეთილის შემოქმედი ბოროტს.

მეორეგან ეჭვის გრძნობა მაშინ უჩნდება მკითხველს, როცა ავთანდილი ფიქრობს _ «თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა». ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს, რომ ავთანდილს ჭირიც ღვთისაგან მოვლენილად მიაჩნია.

«ვეფხისტყაოსნის» ეს ადგილები გაიძულებს იფიქრო _ ხომ არ არის ბოროტიც ღმერთისგან გამოვლენილი?

ვიდრე ამ კითხვას პირდაპირ ვუპასუხებდეთ, განვიხილოთ რას გვეუბნება «ძველი აღთქმის» პარაბოლა ადამისა და ევას შესახებ.

ღმერთმა პირველი ადამიანები ადამი და ევა სამოთხეში დაასახლა და ყველაფრით უზრუნველყო. მათ არაფერი აკლდათ, ოღონდ არ უნდა ეჭამათ ცნობადის ხის ნაყოფი. ამ ნაყოფის ჭამა მათ კეთილისა და ბოროტის ცნობას ასწავლიდა, გონებას შესძენდა. კეთილისა და ბოროტის შეცნობა კი შესაძლებელია უბედურების საფუძველი გამხდარიყო. მაგრამ უხსენებელმა აცდუნა ევა და მერე ევამ _ ადამი. მათ ჭამეს ცნობადის ხის ნაყოფი და გონების თვალი აეხილათ. ამის გამო ღმერთმა ისინი სამოთხიდან გამოაძევა და პირველი მცნებაც მისცა _ ადამს, ოფლის დენით (ე.ი. შრომით) ჭამდეო პურს და ევას _ ტკივილითა და წვალებით შობდეო შვილს. და დაიწყო კაცობრიობის ცხოვრება.

რაშია საქმე, რა აზრობრივი შინაარსია ამ პარაბოლაში?

თავდაპირველად, სანამ ცნობადის ხის ნაყოფს შეჭამდა, ადამიანს არ ჰქონდა გონება (რუასი) და ისევე შეეძლო მზამზარეულზე ეცხოვრა, როგორც ცხოვრობს ცხოველი. ცხოველს არ სჭირდება არაფრის კეთება, ყველაფერი, რაც მისი არსებობისათვის არის აუცილებელი,

ბუნებაში მზამზარეულად არსებობს და შეუძლია იმით ისარგებლოს. ასევე შეეძლო ადამიანს მანამ, სანამ გონიერი არსი გახდებოდა, როცა ცნობადის ხის ნაყოფი ჭამა და გონიერი არსი გახდა, მან ყველაფერი თავად უნდა აკეთოს. მისი საზრდელი, მისი არსებობის საშუალება მზად არ არის. უნდა მოამზადოს. ერთი სიტყვით, დაიხნას, დაითესოს, მოიმკას. ცოდნაცა და გამოცდილებაც თანდთან, გზადაგზა უნდა შეიძინოს. ცხოველმა გაჩენისთანავე იცის ყველაფერი, რაც მისი არსებობისათვის არის აუცილებელი, რადგან მას (ცხოველს) გონება არა აქვს. ადამიანი კი მისი არსებობისათვის აუცილებელ ცოდნას თანდათან იძენს, რაკი მას გონება აქვს. ე.ი. აქვს ფიქრის, განსჯის, დაკვირვების, დასკვნის გამოტანის უნარი. ამ უნარით, გონების ქონებით ადამიანი ღმერთს მიემსგავსა და რაკი, ცნობადის ხის ნაყოფის ჭამით, ეს პროცესი მოხდა, ღმერთმა უთხრა მას: ამიერიდან შენ იცხოვრე, შენი რუასის წყალობით და არა ჩემი დახმარებით. მაგრამ არსებობის გზა მაინც ასწავლა _ შრომა.

ეს ერთი ნაწილია პარაბოლის შინაარსის. ახლა მეორე ნაწილიც ვნახოთ. ჩვეულებრივ, როგორც ქრისტიანული, ისე არაქრისტიანული ლიტერატურა ადამისა და ევას პარაბოლას განიხილავს, როგორც დედაკაცის მიერ მამაკაცის ცდუნების პროცესს. რა თქმა უნდა, ეს ამ პარაბოლის შინაარსს არ გამოხატავს და მთლიანად მცდარია.

თუ ამ პარაბოლის ნამდვილი ამოცნობა გვინდა, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ძველ ებრაულად ადამი ნიშნავს ადამიანს, ხოლო ევა – ცხოვრებას. სხვათა შორის, ქალის სახელი «ცხოვრება», ბიბლიური ევას მიბაძვით, ძველ საქართველოშიც იყო გავრცელებული. მას მატიანეში ხშირად ნახავთ. ამავე სახელისაგან არის წარმოებული ჩვენში ცნობილი გვარებიც ცხოვრებაძე, ცხოვრებაშვილი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევა ცხოვრებაა და ადამი _ ადამიანი, მაშინ პარაბოლის თანახმად გამოდის, რომ ცხოვრება აცდუნებს ადამიანს და, ცხადია, ქალი არაფერშუაშია. ქრისტიანულ რელიგიას, ევაში ცხოვრება რომ აქვს ნაგულისხმევი, ამას ნათლად მოწმობს ერთი ქანდაკება, რომელიც გერმანიაში, ვორმსის ტაძარშია. იგი გაკეთეულია მე-14 საუკუნეში და ეწოდება «დედაკაცი-ქვეყანა». ამ ქანდაკებასთან დაკავშირებით ვიქტორ ნოზაძე წერს:

«ამ ქანდაკებას წინ თუ შეხედავ, თვალ-ტანად ტურფა დედაკაცს იხილავ; მაგრამ უკანიდან მის ტანზე _ ტერფიდან თავამდე _ მოფენილი არიან ჯოჯოები და გველები. იმავე ხანის ერთი ლექსი ამ ქანდაკების განმამარტებელია: ერთ მომაკვდავ რაინდს გამოეცხადა დედაკაცი, რომლის სილამაზე ყველა ქალისას სჭარბობდა: მას ეცვა შესანიშნავი სამოსელი და ეხურა მარგალიტებით შემოკობილი ოქროს გვირგვინი. _ ვინ ხარ შენ? _ ეკითხება მამაკაცი. _ მე ვარ ქვეყანა _ უპასუხებს მას დედაკაცი. შენ უკანიდან უნდა შემომხედო! უყურე! ეს გასამრჯელო მომაქვს შენთვის!

შეძრწუნდა მამაკაცი კავალერი, როდესაც მან ქალის ზურგი იხილა: უხორცო, სავსე ჯოჯოებითა და მატლებით; და ჰყარდა იგი ვითარცა მძორი ძაღლისა. იტირა მაშინ კავალერმა ვაჟკაცმა და თქვა: ვაი მე, რომელი გემსახურები შენ!»[3]

[3] ვ.ნოზაძე _ «ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება», პარიზი, 1963 წ. გვ.11

როგორც ვხედავთ, ამ ქანდაკებისა და ლექსის მიხედვით, ქვეყანა, სოფელი, ცხოვრება, სიმბოლურად ქალით გამოხატული, მშვენიერიც ყოფილა, და გონჯიც, კეთილიც ყოფილა და ბოროტიც, მომხიბლველიცა და შემაძრწუნებელიც. ამის გამო გერმანული ლექსის პერსონაჟი შეშინებულა და სასოწარკვეთილი სიტყვები უთქვამს _ «ვაი მე, რომელ გემსახურები შენ!» ავთანდილი კი სულ სხვა აზრის არის: «გულო, რასდენცა გაქვს სიკვდილისა წადება, სჯობს სიცოცხლესა გაძლება, მისთვის თავისა დადება». ავთანდილს სრულიად არ აკრთობს ქვეყნის, სოფლის, ცხოვრების ბოროტი ნაწილი, რამეთუ სწამს სიცოცხლე გაძლებაა. გაძლებაა იმიტომ, რომ სიცოცხლე, ცხოვრება, სოფელი, ქვეყანა კეთილიც არის და ბოროტიც. რაკი ყველაფერი ეს შექმნილია ღმერთის მიერ, მაშასადამე იგი, უფალი, კეთილიც არის და ბოროტიც. ერთიც მისგან გამოვალს და მეორეც. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი ორსახოვანია. არა. ღმერთი იმიტომ არის ერთი, უნივერსუმი, ყოვლის შემოქმედი, ანუ, როგორც რუსთაველი ბრძანებს, «იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა», რომ თავისთავში აერთიანებს ყველაფერს, უთვალავფერიან სამყაროს. ამიტომ ვერ გავიზიარებ აზრს, რომ ბოროტი არარსია, უსუბსტანციოა. იგიც არსია, სუბსტანციაა. მაგრამ რაკი ადამიანს აქვს გონება, მან უნდა მოახერხოს არჩევანი ბოროტსა და კეთილს შორის. ღმერთი ეუბნება ადამიანს, რაკი შენ მე მგავხარ გონებით წყალობით, ამიტომ უნდა შეიძლო არჩევანიც ჩემ დაუხმარებლად. თუ აირჩევ კეთილს, – გვეუბნება ღმერთი, _ და შენს ცხოვრებას შესწირავ კეთილის სამსახურს, მაშინ შენ, ადამიანო, სიკვდილის მერე ისევ მობრუნდები ჩემს წიაღში, საიდანაც გამოხველ. მობრუნდები მარადიული ლხენისათვის. ხოლო თუ აირჩევ ბოროტს, ვერ მოახერხებ ბოროტისაგან თავსი დაღწევას, მაინც მოხვალ, სიკვდილის მერე უკან ჩემს წიაღში, მაგრამ მარადიული ტანჯვისათვის. ასეთია ღმერთის მიერ ადამიანის წინაშე დასმული ალტერნატივა. არჩევანი კი ადამიანზეა დამოკიდებული.

## მასალა მემუარებისათვის

ჯერ არ შემხვედრია ამქვეყნად ადამიანი, ვისაც ცხოვრება უშეცდომოდ გაევლოს. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი გამოჩენილი პიროვნებაა და ცხოვრებამ მძიმე ტვირთი დააკისრა. მომავალი თაობების ვალია, ცივი ობიექტურობით აწონოს ავ-კარგი ამა თუ იმ მოღვაწისა და ყველაფერს საკადრისი მიეზღოს: კარგს _ კარგი, ავს _ ავი.

(ნიკო მარის წერილის შესავლისათვის.
1971 წ.)

### მემუარებისათვის

### შესავალი

ილია ჭავჭავაძე ერთ თავის შინაურ მიმოხილვაში აღნიშნავდა, რომ 1864 წლის საიმპერატორო რესკრიპტში აკრძალული იყო სკოლის გამოყენება для достижения

политических целей (გვ.24, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.V, 1955 წ.). საბჭოთა სკოლას კი სხვა მიზანი არა აქვს, გარდა ყმაწვილის პოლიტიკური გამოყენებისა. ამასვე ემსახურება საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთები. «ჯეჯილი» მოცულობითაც სჯობდა «პიონერსა» თუ «ოქტომბრელს» (მერე «დილა» ეწოდა) და შინაარსით ხომ სჯობდა და სჯობდა. «პიონერი» და «ოქტომბრელი» მხოლოდ სიძულვილის გრძნობას უნერგავდა ყველა და ყველაფრის მიმართ, რაც კომუნისტური დოქტრინის ჩარჩოში არ თავსდებოდა. ზრდიდა სერვილიზმის გრძნობით რუსის მიმართ. ალექსანდრე სარაჯიშვილმა «ჯეჯილში» (1905 წ. [11] V, VI, VII-VIII), გამოაქვეყნა წერილი _ «რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში». ამ სტატიაში იგი წერდა:

«ვერაფერი სიკეთე დააყარა კახეთს ამ ფუჭმა მფარველობამ. რუსების დესპანობას ყაენი მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა; მეფის ფიცი, რუსი ხელმწიფისთვის მიცემული, ყაენს თავის ყმის ღალატად მიაჩნდა და მისის ჯავრის ამოსაყრელად მრავალგზის იკლებდა და ანადგურებდა კახეთს. ასე გადაიმტერეს ყაენი ალექსანდრე და თეიმურაზ მეფეებმა, თვითონაც თავი დაიღუპეს და კახეთიც წაახდინეს მოსკოვის საჩუქრების გულისათვის» (V, გვ. 49-50).

რუსეთის არავის სჯეროდა, გარდა თეიმურაზ პირველისა და ნიკიფორე მიტროპოლიტისა, «იმიტომ, რომ რუსეთის იმედი მუდამ გაცრუებულა, ყაენის რისხვა _ კი სიკვდილსავით აუცილებელია» (VI, გვ. 55).

დესპანებად ჩამოსულმა რუსმა სასულიერო პირებმა დაიწუნეს ქართული ეკლესიის მდგომარეობა და ისე იქცეოდნენ თითქოს ქართველები ქრისტიანები არც ყოფილიყვნენ. უარი თქვენს ეკლესიაში წირვა ლოცვაზე და უზომო პრეტენზიები წამოაყენეს.

«თეიმურაზ მეფეს უნდოდა რუსის მღვდლებისათვის ხათრი შეენახა, მათს ნათქვამს მუდამ ადასტურებდა და ბევრს რასმე უთმობდა. ერთხელ ხომ უქო ალავერდელის წინ წირვის წესი; მეორედ კი ისე დაამცირა მთავარეპისკოპოსი, რომ ზეგანის ეკლესია, სადაც ზებედემ აღდგომის დღეს სწირა, აღდგომის მეორე დღეს მეფემ ხელმეორედ აკურთხებინა რუსის მღვდლებს... ზებედე _ გულფიცხი და თავმომწონე მეგრელი, _ რასაკვირველია, ასეთს შეურაცხყოფას ვერ აიტანდა.

რუსის სამღვდელოების მისია თავისთავადაც არ იყო ქართველ სამღვდელოებისათვის მოსაწონი; რუსებმა კი თავიანთ ძნელ მოვალეობის ასრულებას ისე კადნიერად და უდიერად მიჰყვეს ხელი, უეჭველია ქართველი სამღვდელოება უნდა დამფრთხალიყო. არა ერთი ქართველი ეპისკოპოსი იტყოდა თავის გულში: ამ რუსის მღვდლებს თუ ახლავე ასეთი გული აქვთ, ჩვენს ქვეყანას რომ დაეპატრონებიან, მაშინ რაღას გვიზამენო?!.» (VI, გვ.58).

აბა, რომელი საბჭოთა ისტორიკოსი გაბედავს ამის დაწერას? შიშით იქვე გასძვრება სული.

რუსეთთან დამოკიდებულებაში ქართულმა აზროვნებამ 4 ეტაპი გაიარა:

1. საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე. რუსეთი მშველელი და ლტოლვა მისკენ.
2. მე-19 ს. რუსეთი ეროვნული მჩაგვრელი და ბრძოლა მის წინააღმდეგ.
3. საბჭოთა პერიოდი პირველი: ცარიზმი (არა რუსეთი) ეროვნული და კლასობრივი მჩაგვრელი. ბრძოლა მის წინააღმდეგ.

4. საბჭოთა პერიოდი მეორე: რუსეთი ეროვნული და კლასობრივი გადამრჩენელი. მისი ქება-დიდება და მარად მასთან ყოფნის სურვილი.

## ვისწავლოთ მოთმინება

**გენადი სანაია** _ *ბატონო აკაკი! თუ რაიმე საწინააღმდეგო არ გექნებათ, საუბრის დასაწყისში თქვენს ბავშვობისდროინდელ მოგონებებს გადავწვდეთ. «ნაკადულის» მკითხველი ვფიქრობ, დიდი ინტერესით მოისმენს მონათხრობს იმ შთაბეჭდილებებზე, დღემდე რომ შემორჩნენ თქვენს მეხსიერებას.*

**აკაკი ბაქრაძე** _ ჩემი მოწაფეობის წლების მეორე ნახევარი დაემთხვა სსრკ-გერმანიის დიდ ომს. მეექვსე კლასში გადავედი, როცა იგი დაიწყო. მაშინაც დიდი გასაჭირი ადგა ხალხს, ჩვენც, მოსწავლეებსაც. ჭირდა სურსათ-სანოვაგე. უმრავლესობას ლუკმაპური ენატრებოდა. ხშირად მოწაფეცა და მასწავლებელიც უჭმელ-უსმელი ატარებდნენ გაკვეთილს, დავდიოდით ჩაუცმელ-დაუხურავები, დედ-მამის ან უფროსი და-ძმების ნახმარ, გაცვეთილ ტანსაცმელში გახვეულები. მაშინაც აშშ-დან გამოგზავნილი დახმარებით ვითქვამდით სულს. სხვათა შორის, დიდ მოდაში იყო კუს კვერცხების ფხვნილი. ვინც იმას იშოვნიდა, თავს ბედნიერად გრძნობდა.

ჩვენი სწავლა-განათლება სკოლებში ერთი ვაი-ვაგლახით მიმდინარეობდა. როგორც დღეს, მაშინაც აღარ იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები საჭირო ოდენობით. ან ძველი, ნახევრად დახეული სახელმძღვანელოთი უნდა გვესწავლა, ან ის უნდა დაგვემახსოვრებინა, რასაც მასწავლებელი ზეპირად გვეტყოდა.

სკოლები მოუვლელი იყო, ზამთრობით აღარ თბებოდა. შუშებჩამტვრეულ ფანჯრებზე ან გაზეთის ქაღალდი იყო აკრული, ან რაიმე ქსოვილის ჭუჭყიანი ნაგლეჯი. მორღვეული იყო დისციპლინა. წესრიგის დარღვევაში მასწავლებლები მოსწავლეებს არ ჩამორჩებოდნენ. ვინღა ფიქრობდა სწავლაზე! ყველა საკუთარი ჭირ-ვარამით იყო შეწუხებული.

ომი ომია, დიდია იგი თუ პატარა _ შედეგი ერთნაირი მოაქვს.

საზოგადოება მაშინაც ორად იყო გაყოფილი. ერთნი კომუნიზმის თავგადაკლული ერთგულნი იყვნენ, მეორენი სულმოუთქმელად ელოდნენ გერმანელების მოსვლას. რა თქმა უნდა, ამას ხმამაღლა ვერ ამჟღავნებდნენ, მაგრამ ნათესავ-მოყვრებში, ამხანაგ-მეგობრებში ბევრი ლაპარაკი იყო.

ამჟამად ისტორია სსრკ-ის სასარგებლოდ მოქმედებდა და გამარჯვებაც მას დარჩა.

ამ ომში საქართველომ სამნაირი მსხვერპლი გაიღო. პირველი _ ისინი, ვინც უშუალოდ ომში დაიხოცა; მეორე _ ისინი, ვინც გერმანელებისადმი სიმპათიისათვის სუკ-მა დააპატიმრა და ციხეებში ჩაყარა; მესამე _ ისინი, ვისაც გერმანიის დამარცხების გამო გული გაუტყდა და ირწმუნა _ სსრკ-ს ვერავინ მოერევა და კომუნისტთა ბატონობაც სამარადისოაო.

ისტორიას თავისი კანონები აქვს და ყველაფერს _ თავისი დრო. სსრკ-ის დაშლისა და გაქრობის დროც მოვიდა. ბევრი მაშინდელი გულგატეხილი მოესწრო ამ დღეს. ეს კი იმას გვასწავლის, რომ იმედი არასოდეს უნდა დაკარგო. ისტორიის სამართლიანობა ყოველთვის

იმარჯვებს, ოღონდ სულწასულობამ არ უნდა გძლიოს. ნაადრევად ის არ უნდა მოინდომო, რისი დროც ჯერ არ დამდგარა.

რაც მოგახსენეთ, ეს საერთო სურათის გასათვალისწინებლად. თუმცა არც ომის წინა წლები იყო ჩემი თაობისათვის მშვიდობიანი. მე 1936 წელს დავიწყე პირველ კლასში სწავლა. როგორი იყო ჩვენი პირველი გაკვეთილი, ეს გავიხსენე ჩემს წიგნში «მწერლობის მოთვინიერება» (გვ. 89-91). მაგრამ ამგვარ კონკრეტულ შემთხვევებზე ახლა არ ვლაპარაკობ. ვიხსენებ ტოტალური დაჭერების, გასამართლებებისა და გადასახლებების ეპოქას. ჩემს თაობაში ძალიან იშვიათად იყო ბავშვი, რომელსაც ან მამა, ან დედა (ან ორივე ერთად), ან ძმა, ან ბიძა, ან რომელიმე ახლობელი დაპატიმრებული არ ჰყავდა. იშვიათად იყო ოჯახი, რომლის სრულწლოვანი წევრი დატუსაღებას არ ელოდა. საყოველთაო შიში სუფევდა, მაგრამ საყოველთაო ენთუზიაზმიც არსებობდა. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო ომს, როგორც საკუთარს, ისე განვიცდიდით. ტანში გვაჟრჟოლებდა, როცა გვესმოდა იტალიელი კომუნისტების სიმღერა _ «ბანდიერა როსსა»:

Avanti, o popolo, alla riscossa!

Bandiera rossa fvionfera.

მაგრამ ანტიკომუნისტური ხუმრობის ან ანეკდოტის მოსმენის დროსაც სიცილით იხოცებოდა დიდი თუ პატარა.

ალექსანდრე მიქელაძეს, ცნობილ თეატრალურ რეჟისორს, რომელსაც ჭირის დღესავით სძულდა კომუნისტები, მეგობარმა კიროვის მკვლელობა მიახარა თურმე. ალ.მიქელაძე მშვიდად შეხვდა ამ ინფორმაციას, არავითარი რეაქცია არ გამოუმჟღავნებია. მეგობარი განცვიფრებულა: _ კაცო, კიროვი მოკლეს, კიროვი, არ გიხარიაო? _ რა უნდა მიხაროდესო, _ მშვიდად უპასუხებია საშა მიქელაძეს, _ ასე თითო-თითოდ თუ ხოცეს, როდის ამოწყდებიანო.

ასეთი ენაკვიმატობა მთქმელსაც და მსმენელსაც ხშირად კატორღად უჯდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლიდა ხუმრობასა და ოხუნჯობას. ნამდვილ განწყობილებას ამით ამჟღავნებდა.

ჩვენთან, ოჯახში, დედაჩემი ხშირად ღიღინებდა დემოკრატიული საქართველოს დროინდელ სიმღერას:

ვენაცვალე ჟორდანიას,
ბებერ ძიასა,
ის მოუტანს საქართველოს
ვარდსა, იასა.

რაკი ჟორდანიას გვარი ხშირად გვესმოდა, ისიც უნდა გვცოდნოდა, ვინ იყო იგი და დემოკრატიული საქართველო რა იყო. არც ასეთი ინფორმაცია მაკლდა მშობლებისაგან და იმ მდიდარი ბიბლიოთეკიდან, ჩვენს ოჯახს რომ ჰქონდა. სკოლაში კი გვაზეპირებინებდნენ და გვამღერებდნენ:

ჩვენ მოვსულვართ, რომ ლაჟვარდში
საბჭოეთის დროშებს ვშლიდეთ,
რომ მზე-მაღალ ჩვენს სამშობლოს

ვგუშაგობდეთ კიდით-კიდე.
ჩვენ მოვსულვართ, რომ დავძლიოთ
არქტიკული ყინვა, ქარი,
რომ დიდების შუქით ვმოსოთ
თავისუფალ შრომის მხარე.
სანდო ხელებს აბარია
ალუმინის ტანი,
კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ,
ამხანაგო სტალინ!

გაგვიგრძელდა საუბარი. დასკვნის სახით უნდა გითხრათ, რომ ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის ეპოქა იყო სავსე უბედურებით, სისხლის, ძალადობით, მაგრამ, ამასთანავე, ენთუზიაზმითაც და სიხარულითაც. დღეს, სამწუხაროდ, ენთუზიაზმი და სიხარული არ ჩანს. ეს კი ძალიან საშიშია, რადგან ხალხმა ენთუზიაზმი და სიხარული თუ შეინარჩუნა, მას ვერავითარი უბედურება, ვერავითარი ძალადობა, ვერავითარი ციხე და კატორღა ვერ გასტეხს, ვერ დათრგუნავს.

**გ.ს.** _ *დღევანდელი გოგო-ბიჭები, ახლა რომ სკოლის მერხებს უსხედან, უფროსებზე გაცილებით მეტად ზარალდებიან, ჩვენი შფოთიანი, დაულაგებელი ცხოვრების გამო. მათი ბავშვობის ხანა ასე უფერულად, უღიმღამოდ და დაძაბულად რომ მიედინება, ეს საკმაოდ მწირ ნიადაგს ქმნის სულით მდიდარი, ძნელი ცხოვრებისათვის ყოველმხრივ შემზადებული პიროვნებების ჩამოსაყალიბებლად. განათლების სისტემის ძირეული და ფუნდამენტური შეცვლა, ბავშვებისათვის კულტურისა და დასვენების კერათა მოწყობა ასე უცებ, ერთი ხელის დაკვრით, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება, სანამ ჩვენ ამ საშურ საქმეს თავს მოვაბამთ, მოსწავლეთა რამდენიმე თაობა მაინც შეიცვლება. ბატონო აკაკი, ალბათ, გიფიქრიათ ამ პრობლემაზე. რა გზას უნდა დაადგნენ, რა უნდა მოიმოქმედონ იმ ბავშვებმა, რომლებსაც სხვებივით ქურდბაცაცობისა და ეშმაკობისაკენ არ უჭირავთ თვალი და მართლა მონდომებულნი არიან, რომ ბავშვობის ხანა ნაყოფიერად განვლონ, დამოუკიდებელი ცხოვრების პერიოდს მომზადებულნი შეხვდნენ?*

**ა.ბ.** _ თქვენს კითხვაში ქვეტექსტად ცხოვრების შიშის პრობლემას ვკითხულობ. ცხოვრების შიშის პრობლემა იმ დღიდან არსებობს, რა დღესაც ადამიანი გაჩნდა. ადამიანი _ ადამიანია, ცხოვრება _ ცხოვრებაა და მათი ურთიერთობა მე-20 საუკუნის ბოლოსაც ისევე იწვევს მღელვარებას, როგორც ანტიკურ ეპოქაში იწვევდა. მომავალშიც ასე იქნება. სხვაგვარად შეუძლებელია. არსებობის კანონზომიერებაა ეს და იმიტომ. ამ პრობლემის სიმწვავე დღეს იმითაც ვიგრძენით, რომ საქართველოში ცხოვრება აიმღვრა. იგი ბნელი ვნებათაღელვის ასპარეზი გახდა. მაგრამ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: როგორც დაწყნარებულ, ისე ამღვრეულ დროში ყველაფერი ინდივიდზეა დამოკიდებული, იმაზეა დამოკიდებული, ესა თუ ის პიროვნება რა ბუნება-თვისებით, რა ხასიათით გააჩინა ღმერთმა. შეიძლება ადამიანმა ბავშვობა დისნეილენდში გაატაროს, ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლოს და მაინც დუტარი გამოვიდეს. ისიც შეიძლება _ ბავშვობაში ლუკმა-პური

ენატრებოდეს, ღარიბ-ღატაკი ოჯახის შვილი იყოს, მაგრამ მისი ნიჭისა და ჭკუის გამობრწყინებამ კაცობრიობა განაცვიფროს.

თუ ყმაწვილი მყარი ფსიქიკის პატრონია, მაშინ შფოთიანი, მღვრიე, დაულაგებელი დრო მის გონებას დიდ საკვებს აძლევს, ამდიდრებს და აძლიერებს.

თუ, პირიქით, სუსტი, არამყარი ფსიქიკის პატრონია, მაშინ, სამწუხაროდ, მძიმე გავლენას ახდენს, ცხოვრების კალაპოტიდან აგდებს და არსებობას უმწარებს.

ახლაც ასე იქნება. დღევანდელი საქართველოს ვითარება სხვადასხვაგვარ კვალს დატოვებს ყმაწვილი კაცის სულიერ ცხოვრებაში. ერთნი ცხოვრების დიდ გამოცდილებას შეიძენენ, გაკაჟებული და გამობრძმედილი ხასიათი ჩამოუყალიბდებათ. მეორენი _ წელში გატეხილნი, სულიერად დაძაბუნებულნი და სასოწარკვეთილნი დარჩებიან. ამგვარ გაყოფას ვერარა ძალით გვერდს ვერ ავუქცევთ, ვერ გავექცევით.

თუ დღევანდელ ვითარებას ალღოს კარგად ავუღებთ, ყველაფერს გავითვალისწინებთ, იმას მაინც შევძლებთ, რომ ჩვენი საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს ცხოვრების შიში შევუმსუბუქოთ, არსებობა შედარებით გავუადვილოთ.

ცხოვრება ყველა ვითარებაში რთულია. მაგრამ, თუ ადამიანის სული თავისუფალია ბოღმისაგან, შურისა და სიხარბისაგან, იგი ადვილად ცხოვრების სირთულის გადალახვას. როცა გავთავისუფლდებით ბოღმის, შურისა და სიხარბისაგან, მაშინვე დავინახავთ, რომ ცხოვრება მსუბუქია, ხალისიანია, კეთილი. ყველაზე ამღვრეული და მძიმე დროც კი სავსეა ამ სიმსუბუქით, ხალისითა და სიკეთით, ოღონდ ჩვენში, ადამიანში დაგუბებული ბოღმა, შური და სიხარბე არ უნდა ამძიმებდეს მას. ერთი სიტყვით, პრობლემა ადამიანშია და არა მის გარეთ. თუ ადამიანს საკუთარი თავის მართვა შეუძლია, დრო მასზე გავლენას ვერ მოახდენს. რამდენადაც ადრეულ ასაკში ირწმუნებს ამას ადამიანი, იმდენად უკეთესია ეს მისთვის.

**გ.ს.** _ *როგორი სახით წარმოგიდგენიათ განათლების იდეალური სისტემა საქართველოს სინამდვილეში და როგორ უნდა დავიწყოთ ამ გადაუდებელი საქმის განხორციელება?*

**ა.ბ.** _ არაფერი იდეალური არ არსებობს. ცხადია, არც განათლების სისტემა. არის შედარებით ცუდი საგანმანათლებლო სისტემა და არის შედარებით უკეთესი. როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, ამის თქმა დღეს შეუძლებელია. ამას საგანგებო შესწავლა, ანალიზი და გამოკვლევა სჭირდება.

ჩვენ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო სისტემა არ გვქონია. 1801 წლამდე განათლების საქმე საქართველოში მეტად ცუდად იყო. იგი მაშინდელ მსოფლიო განათლებას უნუგეშოდ ჩამორჩებოდა და, ცხადია, რომ დღეს ვერაფერს გვიკარნახებს. 1801 წლის შემდეგ, რუსეთის პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად, საქართველოში რუსული განათლების სისტემა დამკვიდრდა. იგი არსებობს დღესაც.

უპირველესი ამოცანა ახლა ის გახლავთ, რომ რუსული განათლების სისტემა შევცვალოთ, მაგრამ რით _ საკუთარი, ქართული განათლების სისტემით თუ რომელიმე უცხოური, ჩვენთვის უფრო შესაფერისი განათლების სისტემა ვისესხოთ?

მე საკუთარი, ქართული განათლების სისტემის შექმნის მომხრე ვარ, მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო უნდა. ჩვენ დროის არ უნდა შეგვეშინდეს. ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა შევუდგეთ საქმეს. თავაუღებელი, ბეჯითი შრომით შევქმნათ ჩონჩხი მომავალი ქართული

საგანმანათლებლო სისტემისა. ამ სისტემას საფუძვლად, ჩემი აზრით, სამი ძირეული დებულება უნდა დაედოს:

პირველი: განათლების მიზანია ცოდნის მიცემა ახალგაზრდისათვის. განათლება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი იდეოლოგიური ზეგავლენისაგან, მათ შორის, რელიგიური იდეოლოგიისაგანაც. მეცნიერება არ უნდა ემორჩილებოდეს არავითარ იდეოლოგიურ დოგმატს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ: რელიგია ვერ დაიჭერს მეცნიერების ადგილს და მეცნიერება _ რელიგიისას. მათ თავიანთი დანიშნულება აქვთ და ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ.

მეორე: სკოლაში ქართული კულტურის შესწავლა უნდა ხდებოდეს მსოფლიო კულტურის კონტექსტში. ჩვენ ობიექტურად უნდა ვიცოდეთ _ რანი ვართ.

მესამე: განათლება უნდა ისახავდეს პრაქტიკულ მიზანს, ანუ შვიდ წელიწადს ისწავლის ბავშვი თუ ათ წელიწადს, მან უნდა შეიძინოს კონკრეტული პროფესია. ამ პროფესიის ცოდნით მას უნდა შეეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. ახლა საშუალო სკოლაში გატარებული წლები, არსებითად, დროის დაკარგვაა. საშუალო სკოლადამთავრებულმა, წერა-კითხვის გარდა, არაფერი იცის. ამას ბოლო უნდა მოეღოს. საქართველოს პრაქტიკული განათლება სჭირდება.

**გ.ს.** _ *ხშირად გვესმის: ამერიკელი ბავშვები ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას იწყებენ დიდ ბიზნესსა და მომავალი პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებაზე ფიქრსო. დავუშვათ, საქართველოშიც გაუჩნდა ბავშვს ასეთი სურვილი, ვთქვათ, შრომის სიყვარული და მონდომებაც არ აკლია. უწერია კი ჩვენს სინამდვილეში მის სურვილს ახდენა, თუ ჯერჯერობით ადრეა ამ თემაზე საუბარი?*

**ა.ბ.** _ ყველგან ასეა, სადაც ცხოვრება აწყობილია. ასე იყო საქართველოშიც 1921 წლამდე; ოჯახსა და სკოლაში უნდა მოემზადოს ბავშვი საქმიანი ცხოვრებისათვის. დღევანდელ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ეს ვერ განხორციელდება. მაგრამ როგორც კი ქვეყანა დაწყნარდება და დალაგდება, მაშინვე უნდა მოწესრიგდეს ყმაწვილების თავსიუფალი განათლებისა და საქმიანობის პრობლემა.

საქართველოს აღდგომას დღეს სჭირდება (ანბანური რიგით რომ ჩამოვთვალოთ): დრო, მოთმინება, ფული, შრომა, ცოდნა, წესრიგი. თუ ამას მოვახერხებთ, დღევანდელი გოგო-ბიჭები როცა მოწიფულ ასაკში იქნებიან, იტყვიან, რომ დიდი ეპოქის შვილები არიან.

ჟურნ. «ნაკადული»,
№ 7-8, 1992.

## სიცოცხლის სახლი

ლალი მჟავია ჩემი თანაკლასელის _ ოსიკო ცხომელიძის დეიდაშვილი იყო. ჩვენ გადამკვდარი მეგობრები ვიყავით. ოსიკო დინჯი ბიჭი იყო, ნაადრევად დაკაცებული (ალბათ, მამით ობლობას თავისი კვალი ჰქონდა დამჩნეული), ლალი _ ახტაჯანა. ხასიათით

ლალი და მე უფრო ვეწყობოდით, ვიდრე ლალი და ოსიკო. მათ გააფთრებულ დავაში ზოგჯერ მომრიგებელ მოსამართლედ მიწევდა გამოსვლა. დავით კი... რაზე არ ვდაობდით.

ჩვენ დიდი დაპატიმრებების, დიდი გადასახლებების, დიდი დახვრეტების, დიდი ომის ეპოქის შვილები ვიყავით. მართალია, ბავშვური ჭკუა ეპოქის საიდუმლოებებს ვერ სწვდებოდა, მაგრამ მისი მიხვედრა კი გვინდოდა.

ჩვენ გვიკრძალავდნენ მიხეილ ჯავახიშვილის კითხვას, მაგრამ იგი გვიყვარდა და მისი ერთი სტრიქონიც არ გვქონდა წაუკითხავი. გივი შადური ვერის სასაფლაოზე, არშაკ მინაევიჩი გირგიდოვის აკლდამაში ცხოვრობდაო რომ შევიტყვეთ, ლალი და მე მის ძებნას შევუდექით. მართლაც ვიპოვეთ უზარმაზარი აკლდამა, გარედან და შიგნიდან მთლად გაძარცვული. მაგრამ საფლავის ქვაზე მაინც იკითხებოდა: პირველი გილდიის ვაჭარი გირგიდოვი... თავსატეხი გაგვიჩნდა: რასაც «გივი შადური» გვიამბობდა, სინამდვილე იყო თუ გამოგონილი?

ჩვენ გვიკრძალავდნენ ტიციან ტაბიძის კითხვას, მაგრამ მისი პატარა, ყავისფერყდიანი წიგნი ყველას, ვისაც პოეზია უყვარდა, ჯიბეში ედო.

«მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი...»

ერთხელ არაგვში კინაღამ დავიხრჩვით. მაშინ მცხეთაში მატარებლით თუ წავიდოდა კაცი. მეორე მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო. ავტობუსი, მით უფრო კერძო მანქანა, უცხო ხილი გახლდათ. ჩვენ მატარებლით გავემგზავრეთ. თავდაპირველად ჯვარზე ასვლას არ ვფიქრობდით. მცხეთა რომ მივიარ-მოვიარეთ, ჯვარზე ასვლის სურვილი მერე მოგვეძალა. თუ ჯვარზე წავიდოდით, არაგვზე უნდა გადავსულიყავით (მაშინ არც ის საავტომობილო გზატკეთილი იყო, ახლა ჯვრის მონასტრის ძირში რომ გადის). ბებრის ციხესთან ბონდის ხიდი ეკიდა, მოგლეჯილ-მოგლეჯილი ჩელტებით. ამ ხიდით სარგებლობდნენ. იგი უნდა გამოგვეყენებინა ჩვენც. იმედი გაგვიცრუვდა: იმ ზაფხულს ეს უბადრუკი ხიდიც წაეღო წყალს. ერთი გზა იყო დარჩენილი _ არაგვს აღმა უნდა ავყოლოდით, საგურამოს ხიდამდე მივსულიყავით და წიწამურში გადავსულიყავით.

ლალიმ დაიჩემა ასე სიარულს სჯობს არაგვში ფეხით გავიდეთო, წყალი თხელია და არ გაგვიჭირდებაო. უჭკუობაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით და უკან როგორ დავიხევდი. მდინარეში შევტოპეთ. არაგვი ისე როგორ დაუძლურდებოდა, ერთი გათავხედებული გოგო-ბიჭისათვის ჭკუა არ ესწავლებინა. ხუთიოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, რომ წყალმა ფართხალ-ფართხალით წაგვიღო. ასე გვათრია ერთხანს. მერე, ეტყობა, მდინარეს შევებრალეთ და ნაპირზე გაგვრიყა ორივე. თავით ფეხებამდე გალუმპულ-გაწუწულები ნაპირზე ავბობღდით. იხტიბარი მაინც არ გავიტეხეთ. არაგვის გადალახვა ჩვენს ვაჟკაცობას მივაწერეთ და ჯვრის მონასტრისაკენ გავწიეთ.

სანამ ჯვარს ვათვალიერებდით, არ გაგვხსენებია, უკან დასაბრუნებელი რომ ვიყავით. რა თქმა უნდა, იმის გამბედაობა აღარ გვეყო, ისევ ფეხით გავსულიყავით არაგვში. მთა-მთა დავეშვით ავჭალისაკენ და თბილისისაკენ გამოვსწიეთ. ცხადია, იმ დღეს თბილისში ვერ ჩამოვაღწევდით, საბარგო მანქანა რომ არ შეგვხვედროდა. მადლიანმა მძღოლმა ძარაზე აგვსვა და სახლამდე მოგვიყვანა.

ჩვენი ავანტურა არავის შეუტყვია, ოსიკოსაც კი _ ხომ შეიძლებოდა ჩვნთვის აღმა-დაღმა სიარული აეკრძალათ?! ეს კი ჩვენი ყველაზე საყვარელი საქმე იყო. კუნჭული არ დარჩა თბილისში, ცხვირი რომ არ შეგვეყო...

თბილისის უბნებს იდუმალი სახელები ერქვა. გერცელ ბააზოვის (მისი კითხვაც აკრძალული იყო, ისიც დახვრიტეს). «ფეთხაინში» წავიკითხეთ _ ფეთხაინ იყო ბეთ-ხაიმ, ანუ სიცოცხლის სახლი. სიცოცხლის სახლი კი ერქვა სასაფლაოს.

რატომ ერქვა სასაფლაოს სიცოცხლის სახლი? ამას ამოცნობა უნდოდა. მაგრამ არის ასაკი, როცა ადამიანს სიკვდილი არ ახსოვს. ჩვენც წამით დავფიქრდებოდით და ისევ სიცოცხლე გვეძახდა. დღე არ არსებობდა ჩვენთვის და ღამე. როცა მოგვესურვვებოდა, მაშინ ავყვებოდით სოლოლაკის ქედის კალთებს... იქიდან დავცქეროდით ნათურებით აციმციმებულ თბილისს. ყველგან სიცოცხლე დუღდა.

მერე, ცოტა მოგვიანებით, როცა ლალი გარდაიცვალა, ისევ გამახსენდა გერცელ ბააზოვის სიტყვები. კონახში მდუმარე, უტყვი, უძრავი გვამი იდო. იგი არაფრით არ ჰგავდა ლალი მჟავიას. უცბად მივხვდი, რატომ ერქვა სასაფლაოს სიცოცხლის სახლი: სიცოცხლე იქ იყო, სადაც ჩემი ახტაჯანა მეგობარი წავიდა.

7 აგვისტო. 1994 წ.

## უპროტექციოდ და ენთუზიაზმით

1953 წლის შემოდგომა იდგა. უნივერსიტეტში სწავლა იმ ზაფხულს დავასრულე. ჯერ კიდევ უდარდელი სტუდენტური განწყობილება მქონდა და მუშაობის დაწყებას არ ვაპირებდი. ერთ დღეს უნივერსიტეტის დერეფანში ლიტერატორი მედეა კვარაცხელია შემხვდა და მითხრა: თუ მუშაობა არ დაგიწყია, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წადი, მრავალტირაჟიანი გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის ადგილი აქვთ თავისუფალი და იქნება მიგიღონო.

მაშინვე წავედი. რატომ არ უნდა წავსულიყავი. მე შენ გეტყვი და დრო არ მქონდა, თუ გადაუდებელი საქმეები მაწუხებდა?

მაშინ ამ გაზეთს «კიროველი» ერქვა. რედაქტორი შალვა სარალიძე იყო. გაზეთის რედაქციას კიბის ქვეშ ერთი პატარა ოთახი ეჭირა. ამ ოთახში შევედი. მარტო რედაქტორი დამხვდა. დიდხანს არ გვილაპარაკია. პირდაპირ ვუთხარი _ თუ საწინააღმდეგო არა გექნებათ რა, თქვენთან სამუშაოდ მიმიღეთ-მეთქი. არც შალვას დაუწყია აწონ-დაწონვა. თანხმობა გამომიცხადა და მეორე სართულზე პარტკომში ავედით. მაშინ პარტკომის მდივნად ბორის სალუქვაძე მუშაობდა. ისიც ნდობით შემხვდა. მაგრამ ჩემი მიღების საკითხი კიდევ ერთ ინსტანციაში უნდა შეთანხმებულიყო. ბორისმა პირველი მაისის რაიკომის მაშინდელ პირველ მდივანს ვახტანგ პეტრიაშვილს დაურეკა და უთხრა, ასე და ასეაო საქმე. რაიკომის მდივანმა იკითხა _ საპროტექციოდ ვინ მოჰყვაო. ბორისმა უპასუხა _ არავინ მოჰყოლია, მარტო მოვიდაო. ამის გამგონე ვახტანგ პეტრიაშვილმა ისეთი რაღაც თქვა, რამაც ბორისი გააცინა. ყურმილი დადო, ბორისი ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: რაიკომის

მდივანი ამბობს, რაკი საპროტექციოდ არვინ მოჰყოლია, ეტყობა კარგი ბიჭია და სამუშაოდ ახლავე მიიღეთო.

ასე გავხდი «კირვოელის» პასუხისმგებელი მდივანი.

ასე მივიღე დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი გაკვეთილი, რომელიც ამგვარად შეიძლება გამოითქვას: ენდეთ ადამიანებს, ვისაც არ ჰყავთ პროტექტორები.

«კიროველში» მეორე გაკვეთილიც მივიღე.

მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები მთელ ქალაქში იყო გაფანტული. უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე დაბეჭდილი გაზეთები არსენალის მთაზეც უნდა აგვეტანა და საბურთალოშიც მიგვეტანა. გვიჭირდა ეს. გულახდილად რომ გითხრათ, განებივრებულ სტუდენტობას ეზარებოდა გაზეთების თრევა და ხშირად ტირაჟი გაუყიდავი გვრჩებოდა. ეს აწუხებდა ყველას, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ვაგვარებდით.

ერთ საღამოს რედაქციაში მარტო ვიჯექი. კარი გაიღო და ღრმად მოხუცი კაცი შემოვიდა. მომესალმა. გამეცნო. იაშვილი ვარო გვარად, მითხრა. მივესალმე. სკამი შევთავაზე, ჩამოჯდა. მიიხედ-მოიხედა, დამაკვირდა და მკითხა _ ეს მართალია, რომ ინსტიტუტში მრავალტირაჟიანი გაზეთი იბეჭდება და თქვენ იმის გამო, რომ დამტარებელი არ გყავთ, მთელ ტირაჟს ვერ ჰყიდითო? მართალია-მეთქი, ვუთხარი. ბერიკაცმა თავი ჩაქინდრა და შეწუხებულმა თქვა: მე «ივერიაში» მიმუშავია ასოთამწყობად. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოში პოლიტექნიკური ინსტიტუტი იქნებოდა და საკუთარი ბეჭდური ორგანო ექნებოდა. დღეს ინსტიტუტიც გვაქვს და მისი გაზეთიც. მაგრამ ისე გავზარმაცებულვართ, მისი გადატან-გადმოტანა გვეზარება. არ მინდა მე თქვენი ხელფასი. მე ვატარებ ამ გაზეთს. ძველი ასოთამწყობი ამაზე დიდ ბედნიერებას ვერც ინატრებს.

მოხუცს არ ეზარბოდა არც არსენალის მთაზე ასვლა და არც საბურთალოში გასვლა.

მეორე გაკვეთილი ასე ჩამოყალიბდა ჩემ შეგნებაში: უენთუზიაზმოდ არცერთი კეთილი საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება. ენთუზიაზმი ადამიანმა არცერთ ასაკში არ უნდა დაკარგოს.

სხვა რომ არა ვთქვა, მარტო ამ ორი გაკვეთილისათვის უსაზღვრო მადლობელი ვარ მე «კიროველის».

ცუდი არ იქნება, თუ ამ ორ გაკვეთილს დღევანდელი სტუდენტობაც დაუფიქრდება. ისინი მათაც გამოადგება.

## უნივერსიტეტში

რამდენიმე წლის მანძილზე უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. ფაკულტეტი, რომელმაც მიმიწვია, არ იყო ძირითადი ფაკულტეტი. იგი მეორეულ დანიშნულებას ასრულებდა და მისი ძირითადი ამოცანა იყო სხვადასხვა დარგის მომავალი სპეციალისტებისათვის მიეწოდებინა საერთო ცოდნა ხელოვნებასა და სიტყვაკაზმულ მწერლობაზე. ამით აემაღლებინა სტუდენტის განათლების საერთო კულტურა. ალბათ ამიტომაც ეძახდნენ ამ ფაკულტეტს საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტს.

თავდაპირველად ლექციებს ვუკითხავდი იმ სტუდენტებს, რომელნიც კინოხელოვნებით იყვნენ დაინტერესებული. ჯერ კინოდრამატურგიის თეორიაზე ვსაუბრობდით. 1978 წლიდან კი, ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, მთხოვეს ლიტერატურისმცოდნეობის შესახებ წამეკითხა ლექციები. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ჩვეულებრივ გაგრძელდა ჩემი საქმიანობა. მაგრამ თანდათან ეტყობოდა, რომ მსმენელთა რიცხვი იზრდებოდა და ის პატარა, ოცდაათკაციანი აუდიტორია საკმარისი აღარ იყო. ამიტომ გადავინაცვლეთ უფრო დიდ აუდიტორიაში. ეს გადანაცვლება დამთავრდა იმით, რომ ბოლოს აღმოვჩნდით ფიზიკის დიდ აუდიტორიაში. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ეს აუდიტორია ალბათ ოთხას კაცამდე იტევდა მსმენელს. 1979-80 სასწავლო წელმა მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა მსმენელთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ ფიზიკის დიდი აუდიტორიაც ვიწრო აღმოჩნდა. ხალხი ფეხზე იდგა და ისე იყო ყველაფერი გაჭედილი, რომ განძრევის საშუალებაც აღარ მქონდა. ერთხელ იძულებული გავხდი სკამზე შევმდგარიყავი, რადგან აღარც ვჩანდა და აღარც ჩემი ხმა ესმოდათ. სკამზე შემდგარს რამდენიმეჯერ მომიწია ლექციის წაკითხვა. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე და წესრიგი იყო. საზოგადოება დიდი გულისყურით ისმენდა ლექციებს. თუმცა, როგორც სხვებმა გადმომცეს, «აკადემიური მეცნიერების ქურუმნი» აღშფოთებულან _ როგორ შეიძლება უნივერსიტეტში ლექტორი სკამზე შემდგარი კითხულობდესო ლექციებს. ცხადია, მათთვის ეს ძნელად გასაგები იყო, რამეთუ მათ ღრმააზროვან ლექციებზე სტუდენტებს ჯაჭვით აბამდნენ და მაინც ვერ აკავებდნენ. ყველა შინ მიიპარებოდა. ბავშვებისათვის აუტანელი იყო ერთი და იმავე ლუღლუღის მოსმენა.

ასე იყო თუ ისე, 1980 წელი დავამთავრეთ. ზამთრის არდადეგების მერე, მეორე სემესტრი ჩვენმა ფაკულტეტმა 1981 წლის 17 თებერვალს დაიწყო. პირველი, რაც მაშინავე თვალში მეცა, იყო ის, რომ დეკანატს შეეცვალა საგანიც და აუდიტორიაც. ლიტერატურისმცოდნეობის მაგიერ დაენიშნათ კინოდრამატურგიის თეორია და ფიზიკის დიდი აუდიტორია შეეცვალათ 280-ე აუდიტორიით, რომელიც პატარა იყო და ოციოდე კაცს თუ დაიტევდა. ცხადი და გასაგები გახდა, რომ ვიღაცას არ ესიამოვნა, არ მოეწონა ჩემი ლექციების ესოდენი პოპულარობა და გადაწყვიტეს მისი ჩაშლა. ეს აზრი სარწმუნოდ იმიტომაც მეჩვენებოდა, რომ 1980 წლის დეკემბერში ერთხელ ჩემთან მოვიდა ფაკულტეტის დეკანი თენგიზ ჩოჩუა და მითხრა _ თურმე ლექციებზე, სტუდენტების გარდა, გარეშე ხალხიც დადის და მათი დასწრება სასურველი არ არისო. ამაზე ვუპასუხე _ მე არ შემიძლია აღვკვეთო ეს დასწრება. როგორც უნდა ვუთხრა ან რატომ უნდა ვუთხრა ადამიანს, რომელიც ლექციის მოსასმენად მოვიდა, ამის უფლება არ გაქვს და შინ წადი-მეთქი. თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ მოსწონს ეს, დასწრება-არდასწრების საკითხი თავად მოაგვაროს. ეს ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმეა ლექციის წაკითხვა. ჩოჩუა შეცბუნებული დამეთანხმა _ კარგი, კარგიო და წავიდა. ამის მეტი ჩემთვის აღარაფერი უთქვამთ და ლექციებს ჩვეულებრივად ესწრებოდა ხალხი. თუმცა, როგორც ერთმა მოხუცმა დარაჯმა მითხრა, უნივერსიტეტის ვახტიორები გაეფრთხილებინათ _ სტუდენტების გარდა, სხვა ხალხი ბაქრაძის ლექციებზე არ შეუშვათო, მაგრამ ისინი მაინც ყველას უშვებდნენ.

სწორედ ამის გამოც ვიფიქრე, რომ რაკი მრავალრიცხოვან მსმენელთა დასწრება ვერ აღკვეთეს, მიმართეს საგნისა და აუდიტორიის შეცვლის საშუალებას. ვარაუდობდნენ: კინოდრამატურგიის თეორია იმგვარ ინტერესს არ გამოიწვევს, რასაც ლიტერატურისმცოდნეობა, პატარა აუდიტორიაში კი ვერ დაეტევიან და იძულებული გახდებიან შინ წავიდნენო.

ასე არ მოხდა.

17 თებერვალს, ცხრილის შესაბამისად, 280-ე აუდიტორიაში შევედი, მაგარმ არავინ დამხვდა. აუდიტორია ცარიელი იყო. როგორც კი ლექციის დაწყების ზარი დაირეკა, ჩემთან ორი სტუდენტი ქალიშვილი მოვიდა და მითხრა _ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში წამობრძანდით, ყველა იქ არის შეკრებილიო. გავყევი მათ და ისევ ფიზიკის აუდიტორიაში დავიწყე ლექციების კითხვა. დარბაზი ისევ მსმენელებით იყო სავსე. აშკარად ჩანდა, რომ ისინი აუდიტორიის დათმობას არ აპირებდნენ.

პირველი აკადემიური საათი ჩავატარეთ, შევისვენეთ და ლექცისი მეორე საათი დავიწყეთ. გასული იქნებოდა ასე ხუთი-ათი წუთი, რომ გაიღო აუდიტორიის კარი და აღელვებული ჩოჩუა შემოვარდა. თან ახლდა ფაკულტეტის თანამშრომელი ბეგო ბეჭუაშვილი, ეტყობოდა, ვიღაცამ შეაშინა ჩოჩუა და სასწრაფოდ ჩვენთან გამოგზავნა, რადგან მას არც ბოდიში მოუხდია უდროოდ ლექციაზე შემოჭრისათვის და სტუდენტებსაც მაშინვე მუქარით დაუყვირა _ ვინ შემოგიშვათ თქვენ ლექციაზე. ეს ლექციები ტარდება მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და სხვებს უფლება არა აქვთ დაესწრონო. აქა-იქ წამოძახილები გაისმა _ რატომ არა გვაქვს უფლება, უნივერსიტეტში ყოველთვის ესწრებოდნენ საინტერესო ლექციებს გარეშე პირები, ახლა რა ხდებაო... ამ კითხვებმა კიდევ უფრო გააგულისეს ჩოჩუა და მსმენელებს ლანძღვა დაუწყო _ თქვენ ხულიგნები ხართ, დეკანს ლაპარაკის საშუალებას არ მაძლევთ, თქვენ სეირის საყურებლად ხართ აქ მსოული, არაფერი გაინტერესებთ...

აშკარა იყო, რომ პროვოკაციის მიზნით იყო შემოსული და ცდილობდა სკანდალის გამოწვევას. ამას მსმენელები მიხვდნენ და გაჩუმდნენ. ოღონდ ერთი ახალგაზრდა წამოუდგა და უთხრა _ ახლა ლექციის მოსმენა გვაცალეთ, თორემ გარეთ გაგაგდებთ და სხვაგვარად მოგელაპარაკებითო.

ამან საშინლად დააფრთხო ჩოჩუა და სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი: რატომ გინდათ ჩაიშალოს საერთოდ ეს ლექციები, პატარები ხომ არ ხართ, თქვენითაც ხომ უნდა მიხვდეთ, რა ხდება, ყველაფერს ხომ ვერ გეტყვით, ალბათ ასეა საჭირო... მერე ბოდიში მოიხადა და წავიდა. ოღონდ ეს კი დაიბარა, რომ მომავალ ლექციაზე ფიზიკის აუდიტორიაში აღარ შემოუშვებდნენ მსმენელებს და ლექცია ჩატარდებოდა 280-ე აუდიტორიაში.

ჩოჩუას წასვლის შემდეგ გავაგრძელე საუბარი. როცა ლექცია დამთავრდა, გავიარე დეკანატში. იქ აღარავინ იყო, მაგრამ გზაში ბეგო ბეჭუაშვილი შემხვდა. იგი მიცდიდა თურმე. შეწუხებული იყო მომხდარი ინციდენტით. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რამ გამოიწვია ეს, მაგრამ ერიდებოდა ყველაფერი ეთქვა. მე ვუთხარი, რომ მომავალ სამშაბათს ლექციაზე აღარ მოვალ, სანამ ყველა საკითხი არ იქნება გარკვეული. ასეთ პირობებში ლექციების კითხვა

მიზანშეწონილად აღარ მიმაჩნია-მეთქი. ჩვენ დავშორდით ერთმანეთს და 24 თებერვალს ლექციაზე აღარ მივედი.

ლექციის ჩაშლამ მსმენელები შეაწუხა და გადაუწყვეტიათ, განცხადებით მიემართათ რექტორისათვის. ამ განცხადებით ისინი ითხოვდნენ ჩემი ლექციების გაგრძელებას და დიდ აუდიტორიას. განცხადება რბილად და თავაზიანად იყო დაწერილი და ელემენტური თხოვნის მეტს არაფერს შეიცავდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გადმომცეს, რექტორთან საუბრის დროს, საკმაოდ მძაფრად და მუქარით ულაპარაკნიათ სტუდენტებს. დამუქრებიან რექტორს, თუ ჩვენი თხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული, მაშინ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი გაფიცვას მოაწყობსო. ცხადია, ამ მუქარამ რექტორს ვაჟა ოკუჯავას თავზარი დასცა და სასწრაფოდ უნივერსიტეტის რექტორატში გამომიძახეს. როცა რექტორატში მივედი, იქ დამხვდა, რექტორის ოკუჯავას გარდა ყველა პრორექტორი _ ჯორბენაძე, ჭილაშვილი, ფორაქიშვილი, გრძელიძე, დეკანი ჩოჩუა და სუკ-ის აგენტები, რომელთაც არ ვიცნობდი. რექტორატში შევიტყვე, რომ უნივერსიტეტი სავსე ყოფილა სუკ-ის აგენტებით, როგორც ადგილობრივი თანამშრომლების, ისე შემოგზავნილთა სახით.

ოკუჯავამ სტუდენტების განცხადება გამაცნო და დავიწყეთ საუბარი, რა უნდა გვექნა, როგორ მოვქცეულიყავით. საუბარში შევატყვე, რომ რექტორატი და სუკ-ის აგენტები მომზადებული არიან, მე გადმომაბრალონ ყველაფერი და სტუდენტთა მღელვარების ხელმძღვანელად გამომაცხადონ. როგორც კი ეს შევიტყვე, მაშინვე მკაცრად ვუთხარი: თუ თქვენ გინდათ, რომ დამნაშავედ მე გამომიყვანოთ, ეს არ გამოგივათ. მე თავად არ მურს, რომ სერიოზული მღელვარება მოხდეს, რადგან კარგად ვიცი, სად ვცხოვრობ და რა ხელისუფლებასთან მაქვს საქმე. სრულებით არ მინდა, რომ ჩემს გამო რომელიმე სტუდენტი დაზარალდეს. ამიტომ საქმის მოგვარებას ყოველნაირად შევუწყობ ხელს. ხოლო, თუ თქვენი დანაშაულის ჩემზე გადმობრალებას დააპირებთ, მაშინ, რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთ. ამ სიტყვებმა ისინი დააფრთხლ და ბოდიშების მოხდა დაიწყეს. ისეთი ლაქუცი გაიმართა, რომ თავი უხერხულადაც კი ვიგრძენი. და ბოლოს, საქმის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით, ოკუჯავამ შემომთავაზა: ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტებისათვის ლექცია წაიკითხეთ 280-ე აუდიტორიაში, ხოლო სხვა დაინტერესებული მსმენელებისათვის, «ცოდნის» ხაზით კიდევ წაგაკითხებთ საჯარო ლექციებს სააქტო დარბაზშიო. ამაზე ვუთხარი, რომ თანახმა ვარ, მაგრამ ნურც მე და ნურც სტუდენტებს ნუ დაპირდებით, რომ «ცოდნის» ხაზით მოაწყობთ საჯარო ლექციებს, რადგან საქართველოს კპ ცკ-მა საიდუმლო მითითება მისცა საზოგადოება «ცოდნას», რომ ლექციები არ მომცენ. ამიტომ ეს საქმე არ გამოვა-მეთქი. «ცოდნა» უკვე კარგა ხანი იყო, მართლაც აღარ მაძლევდა ლექციებს და ყველას, ვინც ჩემ ლექციას ითხოვდა, უარით ისტუმრებდა. ამის გამგონე ოკუჯავამ თავი გამოიდო და განაცხადა, რომ იგი უნივერსიტეტის რექტორია და როგორმე მოახერხებს იმას, რომ საჯარო ლექციების ჩატარების უფლება აიღოს. ოღონდ მომთხოვა, წარმედგინა თემატიკა, რაზე წავიკითხავდი საჯარო ლექციებს. შევპირდი თემატიკის წარდგენას და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

მე შევადგინე თემატიკა და გავუგზავნე რექტორს.

თბილისის სახ.უნივერსიტეტის
რექტორს აკად. ვ.ოკუჯავას

როგორც მოგეხსენებათ, ვკითხულობდი ლექციებს, რომელთა საერთო თემა იყო მწერლობა და ლიტერატურისმცოდნეობა. ძირითადად სტუდენტებთან ვსაუბრობდი იმაზე, თუ როგორ დასვა და წარმოადგინა მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ კეთილის, ბოროტის, ცოდვის, მადლის, დანაშაულის, პატიების, შენდობის, შურისძიების და ა.შ. პრობლემები. როგორ განიხილავს ამ საკითხებს ლიტერატურისმცოდნეობა. განზრახული იყო აგრეთვე გვემსჯელა იმაზეც, თუ როგორ არის ზემორემოხსენიებული პრობლემები დასმული და განხილული მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში. მაგრამ მეორე სემესტრში, ჩემთვის უცნობი მიზეზით, ლექციების საგანი შეიცვალა და დაინიშნა ახალი _ კინოდრამატურგიის თეორია. ამას მოჰყვა სხვა გაუგებრობაც, რაც თქვენთვის ცნობილია და რომელმაც არასასურველი დაძაბული სიტუაცია შექმნა. ამ სიტუაციის დამშვიდების მიზნით, თქვენ შემომთავაზეთ წინადადება _ კინოდრამატურგიის პროფესიით დაინტერესებულ სტუდენტების მცირე ჯგუფისათვის კინოდრამატურგისი თეორია წამეკითხვა პატარა 280-ე აუდიტორიაში, ხოლო მწერლობისა და ლიტერატურისმცოდნეობით დაინტერესებული მრავალრიცხოვანი სტუდენტებისათვის საჯარო ლექციების წაკითხვის საშუალება მომეცემოდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მე ვეთანხმები თქვენს ამ წინადადებას, რაც ვაცნობე სტუდენტებსაც ა.წ. 10 მარტს. თუ თქვენი წინადადება რეალურია და მართლაც მომეცემა საჯარო ლექციების წაკითხვის საშუალება კვირაში ერთხელ, ორი აკადემიური საათის განმავლობაში, მაშინ ამ ლექციებისათვის გთავაზობთ შემდეგ თემატიკას:

1. კამათი ეროვნული ენერგიის გამო 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში (მსჯელობა იქნება გ.ქიქოძის, ნ.მიწიშვილის, ს.დანელიას, კ.კაპანელის, კ.გამსახურდიას და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა გამო).
2. დანგრეული ბუდეები ანუ კლასობრივი განადგურება (საუბარი იქნება ნ.ლორთქიფანიძის მოთხრობების, დ.შენგელაიას «სანავარდოს», მიხ.ჯავახიშვილის «გივი შადურის», კ.გამსახურდიას, ლ.ქიაჩელის ნაწარმოებთა შესახებ).
3. ისტორია და მწერლობა ანუ პროლეტარული მწერლობის დამოკიდებულება კლასიკისა და წარსულისადმი (განხილული იქნება ისტორიულ თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებნი, მათდამი დამოკიდებულება და დავა კლასიკური მწერლობის გარშემო).
4. მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ფ.ნიცშე.
5. მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ზ.ფროიდი.
6. კლასობრივი შურისგება ანუ ახალი ეროვნული ენერგიის აღორძინება (ლაპარაკი გვექნება «მთვარის მოტაცებაზე», «კოლხეთის ცისკარზე», «გვადი ბიგვაზე» და ა.შ.).
7. პუბლიცისტური თემატიკა და სიტყვაკაზმული მწერლობა (ვისაუბრებთ ზაჰესისადმი, სამგორისადმი და სხვა ამგვარი საკითხებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებზე).

8. ქართული მწერლობა და ომი (განხილული იქნება, როგორია ჩვენი დროის მწერლობის დამოკიდებულება ომისადმი. სანიმუშოდ მოშველიებული იქნება როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომისადმი, სამოქალაქო ომისა და მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილი თხზულებანი).
9. წყნარი ახალგაზრდობა (განვიხილავთ ა.სულაკაურის, ნ.დუმბაძის, თ.ჭილაძის, რ.ინანიშვილის და სხვა თანამედროვე მწერლების პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს).
10. რა მიიღო ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ქართული კლასიკური მწერლობისაგან და რა უარყო.

სამ მარტს, სამშაბათს, მივედი ლექციაზე და ისევ ფიზიკის აუდიტორია დამხვდა მსმენელებით სავსე და არავინ წავიდა 280-ე აუდიტორიაში. აგრამ ამჯერად უნივერსიტეტის სავსე იყო სუკ-ის აგენტებით. ისინი იდგნენ ყველგან კარებში, დერეფანში, კიბეებზე, აუდიტორიის შესასვლელში. თან არ იმალებოდნენ. პირიქით, ხაზგასმით ცდილობდნენ ყველას დაენახა, რომ იქ არიან. ჩემთან მოვიდა ერთი მსუქანი, ღიპიანი მამაკაცი, რომელიც სახით ვიცანი, რადგან ადრე, როცა კინოსტუდიაში ვმუშაობდი ისიც იქ საქმიანობდა, მაგრამ მისი სახელი და გვარი არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი. მომესალმა დიდის ამბით, გაიხსენა კინოსტუდია და აუდიტორიაშიც შემომყვა. დადგა ჩემ პირდაპირ და მომაჩერდა. მე სტუდენტებს ვუამბე ჩემი და ოკუჯავას შეხვედრის შესახებ. გავაცანი ჩვენი შეთანხმებაც, მაგრამ მიპასუხეს, რომ მათ არ სჯერათ ოკუჯავასი, რადგან იგი მატყუარაა. მე შევეცადე სტუდენტების დამშვიდებას. ვუთხარი: ჯერ არ გვაქვს უფლება დავეჭვდეთ ოკუჯავას დაპირებაში. ამიტომ წინასწარ ნუ გავაკეთებთ დასკვნებს. მერე კი ჩვეულებრივ გავაგრძელეთ სალექციო საუბარი. სუკ-ის აგენტი, რმოელიც მე მომყვა, გავიდა, როგორც კი ლექცია დავიწყე, მაგრამ სხვა, უფრო ახალგაზრდა აგენტები, ისხდნენ სტუდენტებს შორის და როგორც მე, ისე სტუდენტებს თვალყურს ადევნებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დამიძახეს რექტორატში. ოკუჯავა უკმაყოფილო და გაბუტული დამხვდა. მე მხოლოდ ორი ლექცია შეგპირდით და არა რამოდენიმეო – მითხრა. მე დავა არ დამიწყია, მაგრამ ის კი ვუთხარი, რომ რამდენადაც მახსოვს, მითხარით, წარმოადგინეთ თემატიკა და სემესტრის ბოლომდე მოგცემთ საშუალებას ლექციების წაკითხვისო. დავა აღარ დამიწყია იმიტომ, რომ ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ოკუჯავამ ცკ-ში შეათანხმა ჩემი თემატიკა. იქ არასასურველად მიიჩნიეს და მანაც უკან წაიღო თავის სიტყვები. ეს ეტყობოდა იმაზეც, რომ დაბნეული ლაპარაკობდა და თან ვითომც უნდოდა ლექციები და თან არც უნდოდა. მე კატეგორიულად განვუცხადე _ არ იფიქროთ, რომ მე ლექციებისათვის ვგიჟდები. არც მატერიალურად და არც მორალურად იგი არაფერს მაძლევს. პატივს ვცემ დაინტერესებულ საზოგადოებას და ამიტომ ვკითხულობ. თუ არ გინდათ, გააუქმეთ, მაგრამ პასუხისმგებლობა თქვენ იკისრეთ და მე ნუ დამაბრალებთ. ამაზე ბოდიშები დაიწყო და მეფიცებოდა ლექციები უნდა ჩაატაროთ, მაგრამ ასეთი მასობრიობა არ მოგვწონსო. ერთი სიტყვით, ამჯერად საუბარი იმით დამთავრდა, რომ პატარა აუდიტორიაში მომცეს ლექციები და სააქტო დარბაზში ორი ლექცია 25 მარტს და 28 აპრილს.

წამოვედი. დერეფანში ოთ.ჯაფარიძეს ველაპარაკებოდი, რომ მდივანი ქალი გამოვარდა და დამიძახა _ ისევ უკან მობრუნდით, თქვენთან რექტორს საქმე აქვსო. მოვბრუნდი. ახლა ღიმილით და სიყვარულით შემომეგება ოკუჯავა. კაბინეტის უკან დასასვენებელ ოთახში შემიყვანა და ინტიმური საუბარი გამიბა: სააქტო დარბაზში რამდენიც გინდათ, იმდენი ლექცია წაიკითხეთ, ხელს არ შეგიშლით და არ იფიქროთ, რომ მე ხელის შეშლა მინდოდეს. ერთი სიტყვით, ყველა უფლება მივიღე და წამოვედი. ცხადი გახდა, რომ ჩემი გამოსვლისი შემდეგ დარეკა ცკ-ში, მოახსენა ყველაფერი და იქიდან უთხრეს _ სტუდენტთა დაწყნარების მიზნით მიეცით საშუალება ლექციების წაკითხვისო.

ათ მარტს მსმენელები ისევ ფიზიკის აუდიტორიაში დამხვდნენ. ჯიუტად არ უნდოდათ 280-ე აუდიტორიაში შესვლა. მაგრამ ახლა უკვე აღარ შემიშვეს ფიზიკის აუდიტორიაში. იქ დამხვდნენ პრორექტორები ფორაქიშვილი და გრძელიძე, დეკანი ჩოჩუა და ისევ სუკ-ის აგენტები, მაგრამ ამჯერად იმალებოდნენ და ცდილობდნენ სტუდენტებს თვალში არ სცემოდნენ.

ჩოჩუამ მსმენელებს გამოუცხადა, რომ ფიზიკის აუდიტორიაში დანიშნულია ფორაქიშვილის ლექცია და ვისაც ბაქრაძის მოსმენა უნდა 280-ე აუდიტორიაში უნდა წავიდესო. ამან სტუდენტების უკმაყოფილება გამოიწვია და დერეფანში დაიწყო ჩოჩქოლი. ფორაქიშვილი ფიზიკის აუდიტორიაში შევიდა. სტუდენტები გამოვიდნენ იქიდან. მე 280-ე აუდიტორიაში წავედი. რა თქმა უნდა, ამ პატარა აუდიტორიაში მცირერიცხოვანი სტუდენტები დარჩნენ. როგორც შემდეგ გადმომცეს, დანარჩენი სტუდენტები წასულან უნივერსიტეტის პირველ კორპუსში და მოუთხოვიათ რექტორი. იგი არ ყოფილა. დაურეკიათ მასთან სახლში. სახლიდან უთქვამთ, რომ შინ არ არისო. მაშინ სტუდენტებს მიუგიათ, რომ ისინი მთელი ღამე დარჩებიან უნივერსიტეტში და მოუცდიან ოკუჯავას.

როგორც ჩანს, ეს გადასცეს ოკუჯავას და რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მოვიდა უნივერსიტეტში, მოიყოლა მილიცია და ორჯონიკიძის სახ.რაიკომის მდივნები. აქ ძალიან მკაცრი საუბარი მომხდარა სტუდენტებსა და რექტორატს შორის. ერთმანეთი ულანძღავთ. სტუდენტებს მტკიცე პოზიცია დაუჭერიათ _ თუ უახლოეს ორ-სამ დღეში გადაწყვეტილ პასუხს არ მოგვცემთ, ვიწყებთ გაფიცვასო. რექტორი შეპირებია, პასუხს ორშაბათს მიიღებთო.

ამის მერე ღამით, პირველ საათზე დაშლილა სტუდენტობა და წასულა შინ.

16 მარტს, ორშაბათს, შინ ვიყავი. ლექცია მეორე დღეს, სამშაბათს უნდა ჩამეტარებინა. მაგრამ ასე იქნებოდა დღის სამი საათი, რომ უნივერსიტეტიდან დამირეკეს. მელაპარაკა თავად ოკუჯავა და მთხოვა _ ახლავე მანქანას გამოგიგზავნი და სასწრაფოდ უნივერსიტეტში უნდა მოხვიდეო. არ უთქვამს, რა ხდებოდა, რაში იყო საქმე. მართლაც რამდენიმე წუთში მანქანა მოვიდა და უნივერსიტეტში წავედი. უნივერსიტეტის ეზო და დერეფენი სტუდენტებითა და მათი თანამგრძნობი საზოგადოებით იყო სავსე. გნიასი იდგა და ტრანსპორანტები ეჭირათ. რა ეწერა ამ ტრანსპორანტებზე, წაკითხვა ვერ მოვასწარი, რადგან სასწრაფოდ შემიყვანეს რექტორის კაბინეტში.

კაბინეტი ხალხით გაჭედილი დამხვდა. როგორც ყოველთვის აქ იყო ყველა პრორექტორი, პარტკომი გაჩეჩილაძე და ლორთქიფანიძე, უნივერსიტეტის იურისკონსულტი და, ცხადია, სუკ-ის აგენტები. კაბინეტში იყო აგრეთვე ორი სტუდენტი _ ქალი და ვაჟი. ვაჟი

ფეხზე იდგა კარებთან, ქალი კი მაგიდას უჯდა და რექტორის კარნახით განცხადებას წერდა. ჩემთან შეხვედრა ცივი, ოფიციალური იყო. მართალია, გაიღიმეს, მაგრამ ღიმილი დედის გინებას ჰგავდა. ბოღმა ახრჩობდა თითოეულს. ჩემს გამო მათ კეთილდღეობას და სიმსუქნეს საფრთხე ემუქრებოდა. უნივერსიტეტში საბჭოთა ხელისუფლებისათვის გაუგონარი, მიუღებელი და გაუგებარი რამ ხდებოდა _ სტუდენტთა მღელვარება. ხელისუფლება, რომელიც მონებისაგან მხოლოდ «ვაშას» ბღავილსა და ტაშის ბრაგუნს არის მიჩვეული, მოულოდნელად წააწყდა პროტესტს. დამფრთხალი და შეშინებული რექტორატი ფიქრობდა, ამას ვინ გვაპატიებსო და, როგორც ყველაფრის მიზეზს, საშინელი სიძულვილით მიყურებდა. ვინმეს რომ ნება დაერთო, თითოეული მათგანი უდიდესი კმაყოფილებით და სიამოვნებით მაწამებდა. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ იყო: გარედან სტუდენტების ზღვა წალეკვით ემუქრებოდა და ჩემდამი სიყვარული და პატივისცემა უნდა ეთამაშათ. თამაშობდნენ კიდეც, თუნდაც ეს თამაში ინფარქტად დასჯდომოდათ.

შესვლისთანავე ოკუჯავამ მითხრა, რომ ჩვენ თანახმა ვართ ჩაატაროთ ლექციები როგორც პატარა 280-ე აუდიტორიაში, ისე დიდში _ სააქტო დარბაზში. მაგრამ სტუდენტებს არ სჯერათ ჩვენი დაპირება და მოითხოვენ მივცეთ წერილობით დოკუმენტი, დაწერილი ღერბიან ქაღალდზე და რექტორის მიერ ხელმოწერილი. ეს არ შეგვიძლია. ეს იურიდიული კანონით არ არის გათვალისწინებული. აი, განცხადებას ვაწერინებთ და ესეც დოკუმენტია. ამ განცხადებას ხომ არ გავაუქმებთო.

მართლაც, განცხადებაში, რომელსაც სტუდენტი ქალი წერდა, აღნიშნული იყო, რომ ყოველ ოთხშაბათს, სემესტრის დამთავრებამდე, სააქტო დარბაზში ჩატარდებოდა ბაქრაძის ლექციები.

სანამ მე მელაპარაკებოდა ოკუჯავა, მანამ პრორექტორები ჯორბენაძე, ფორაქიშვილი და ჭილაშვილი ცდილობდნენ გაეღიზიანებიათ ის ორი სტუდენტი, რომელიც რექტორის კაბინეტში იყო. ემახდნენ ხულიგნებს, უსწავლელებს, უწესრიგოებს, რომელთაც სწავლა კი არა სეირი აინტერესებთ და ა.შ. მაგრამ ორივე სტუდენტს დიდი ღირსებით ეჭირათ თავი და ვერ შესძლეს მათი ანკესზე წამოგება. ესეც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რაოდენ მაღლა იდგა სტუდენტობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე.

როცა განცხადება დაიწერა, გაიტანეს გარეთ სტუდენტებისათვის მისაცემად, მაგრამ სტუდენტობამ ეს განცხადება არ მიიღო. ითხოვდნენ, ღერბიან ქაღალდზე დაბეჭდილ დოკუმენტს. რიგრიგობით გავიდა ყველა პრორექტორი, მაგრამ სტუდენტებმა ყველა უკან შემოაგდო კაბინეტში. მოითხოვდნენ, თითონ რექტორი გამოვიდესო. შეშინებული ოკუჯავა ფეხს არ იცვლიდა. როგორც სიკვდილი, ისე არ უნდოდა სტუდენტებთან შეხვედრა. მერე გავიდა სუკ-ის აგენტი, მსუქანი, ღიპიანი კაცი. არც იმას დაუჯერეს. ისიც გამოაძევეს. დაძაბულობა მეტად დიდი იყო. დავინახე, რომ აუცილებელი იყო სტუდენტების დაწყნარება და დერეფანში გავედი. მივმართე სტუდენტობას: ეს განცხადებაც დოკუმენტია. იქ აღნიშნული აღარ შეიცვლება. ყოველ ოთხშაბათს ჩატარდება ლექცია. მიზანი მიღწეულია და ამიტომ გთხოვთ დაიშალოთ და შინ წახვიდეთ.

სტუდენტობა დაიშალა მაშინვე და წავიდ-წამოვიდნენ.

მე უკან შევბრუნდი რექტორის კაბინეტში. ფერდაკარგული ეყარნენ სკამებზე. ვუთხარი _ ყველაფერი დამთარდა და ახლა წავალ შინ-მეთქი. ოკუჯავა შეწუხდა _ არა, ცოტა ხანს კიდევ დარჩითო. ეტყობოდა, ეშინოდა სტუდენტები უკან არ მობრუნებულიყვნენ. ათიოდე წუთი კიდევ ვიჯექი და მერე ისევ წასასვლელად წამოვდექი. გააცილეთო _ სუკ-ის აგენტებს უთხრა ოკუჯავამ. არ მინდა-მეთქი გაცილება, შევეპასუხე. არა, არა, აუცილებლად გააცილეთო, რაიმე არ მოხდეს საშიშიო _ დაიჩემა რექტორა. ორი აგენტი ჩემს გასაცილებლად წამოდგა. ამ დროს ფორაქიშვილმა ვითომ იხუმრა, თუმცა ხუმრობა ბოღმით იყო სავსე _ მაგის გულისათვის აკეთებენ ყველაფერს და ვინ რას დაუშავებსო. თუმცა მაგას რომ სცემდნენ, იმ დღეს ვინატრებო. უგულოდ გაიცინეს. მეც გავიკრიჭე.

ორი აგენტი გამომყვა. ეზოში მანქანაში ჩამსვეს და შინ წამოვედი.

შეთანხმება აღარ დარღვეულა. სემესტრის ბოლომდე სააქტო დარბაზში ყოველ ოთხშაბათს ტარდებოდა ლექცია. მაგრამ ყოველთვის დაემთხვა ფეხბურთის თამაშის დღეს. ალაბთ განგებ დაამთხვიეს. ფიქრობდნენ მსმენელები არ მოვლენო, მაგრამ დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო. ყველა ლექცია სავსე იყო სუკ-ის აგენტებით და ლექცია იწერებოდა მაგნიტოფონზე. მერე რას უშვებოდნენ ამ ლექციებს, არ ვიცი.

ასეთ პირობებში ჩავატარე ლექციები 1980-81 სასწავლო წელს.[1]

## ბოლოთქმა

როცა ამ ლექციებს ვკითხულობდი, ბევრი მაფრთხილებდა, ზოგი კეთილი სურვილით, ზოგიც _ ავი განზრახვით: რა აზრი აქვს ამგვარ ლაპარაკს, მაინც არაფერი შეიცვლება. ყველაფერი ისევ ისე დარჩება, როგორც არისო. შენ კი გადაგემტერება როგორც ხელისუფლება, ისე ბრბო. ხელისუფლებას ეშინია სიმართლისა, ბრბოს კი სძულს იგი. საბოლოოდ გამოვა ის, რომ თვითონ დარჩებიო წაგებული.

არ დავიწყებ იმის მტკიცებას, სწორია თუ არა ამგვარი კეთილგონიერება (ყველამ თავის საქმე იცის), ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ მეზიზღება იგი. მაგრამ ამგვარი კეთილგონიერებისადმი ზიზღი არ გამხდარა ჩემი ლექციების საფუძველი. მისი საძირკველი უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი იყო.

ჯერ კიდევ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე (1242-1301 წ.წ.) არიგებდა საზოგადოებას:

«ჩემი აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს დუმილს, ვიდრე სხვანაირად ამბების მოყოლას, არა ისე, როგორც მოხდა. უმჯობესია, რასაკვირველია, მსმენელებმა სრულიად არ იცოდნენ, ვიდრე იცოდნენ სხვანაირად და არა ისე, როგორც ისტორიას ნამდვილად სურს; იმას მარტივად უცდინარობა მოჰყვება, _ რაც სამარცხვინო არ არის, ხოლო ამას ორმაგი უცოდინარობა მოჰყვება _ მომხდარი ამბავი არ იცის და ჰგონია, რომ იცის, ამაზე უარესი არაფერია».[1]

---

[1] 1981-82 სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტიდან გამაძევეს _ ა.ბ.

[1] «გეორგიკა», ტ.VII, 1967 წ., გვ.51. ს.ყაუხჩიშვილის თარგმანი.

ეს პრობლემის ერთი მხარე იყო. არსებობდა მეორეც. იგი რუსმა დეკაბრისტმა კონდრატი რილეევმა ასე გამოთქვა: «დესპოტიზმს ეშინია განათლებისა, რამეთუ უვიცობაა მისი (დესპოტიზმის) საუკეთესო საყრდენი... ხალხის უმეცრება დედა და შვილია დესპოტიზმისა». სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა დავუმატო: დესპოტიზმის ბურჯია უვიცობის ნაირსახეობაც _ ცრუგანათლება. ამიტომ არის საბჭოური განათლების სისტემის ძირითადი პრინციპი ცრუგანათლება.

არსად, არცერთ ქვეყანაში არ ლაპარაკობენ განათლებაზე იმდენს, რამდენსაც სსრკ-ში, არსად განათლებას, სიყტვით, იმდენ პროპაგანდას არ უწევენ, რამდენსაც სსრკ-ში, მაგრამ საქმით, რეალურად არსად, არცერთ ქვეყანაში იმდენი უმეცარი არ არის, რამდენიც სსრკ-ში. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბჭოური სკოლა ახალგაზრდა კაცს აძლევს არა განათლებას, არამედ ტვინს უჭედავს კომუნიზმის უპირატესობის ქადაგებით. საბჭოურ სკოლაში ხდება არა ყმაწვილის გონებრივი თვალსაწიერის გაფართოება, არამედ გაბატონებული დოქტრინით ინტელექტის დაჩლუნგება. როგორც, თავის დროზე, სასულიერო სკოლის ამოცანა იყო მართლმორწმუნე ქრისტიანის აღზრდა, ასევეა დღეს საბჭოური სკოლის მიმართ ბრმადმორწმუნე კომუნისტის ჩამოყალიბება (ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ლენინიზმი რელიგიაა და არა მეცნიერება). ამ ძირითადი ამოცანის შესრულება შეუძლებელია განათლების მიცემით. განათლება ადამიანს უმახვილებს აზროვნების უნარს. განათლებული, მოაზროვნე ადამიანი თავად გაარჩევს _ სად არის თეთრი და სად _ შავი, რა არის მართალი და რა _ ტყუილი. თვით გააკეთებს დასკვნას _ რა აღმოჩნდა კომუნიზმის თეორიაში კეთილი და რა _ ბოროტი, საით მიჰყავს ლენინიზმს კაცობრიობა, რა დარჩა დღეს მარქსიზმისაგან სსრკ-ში. მაგრამ ისეთი მოქალაქის აღზრდა, ვისაც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი ექნება, დაუშვებელია. იგი უსიტყვოდ, დაუფიქრებლად, ბრმად აღარ დაიჯერებს სკკპ-ის დირექტივებს. არ მიიჩნევს მათ ერთადერთ და მარადიულ ჭეშმარიტებად. ამიტომ არის საბჭოური სკოლის უპირველესი მოვალეობა აღზარდოს გონებრივად ბრმები, რომელთაც საითაც უნდათ, როგორც უნდათ, ისე გარეკავენ. ისე იმსახურებენ, როგორც მოესურვებათ. ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ უმეცრებით და ცრუგანათლებით შეიძლება.

ალტერნატივა _ სიმართლე თუ პროპაგანდისტული ტყუილი _ მთელი სიგრძე-სიგანით აღიმართა ჩემს წინ, როცა აუდიტორიაში სტუდენტების პირისპირ დავდექი. მე ვეკუთვნოდი იმ თაობებს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიბადნენ და აღიზარდნენ, რომელთაც არასოდეს მოუსმენიათ სიმართლე და არც არასოდეს უთქვამთ იგი. ვერც იტყოდნენ. პირში ბურთჩაჩრილი ადამიანი, ბუნებრივია, სიმართლეს ვერ ილაპარაკებს. ვერც მოისმენდნენ. კომუნისტების მბრძანებლობის ძირითადი იარაღი ტყუილია, ტოტალური სიცრუეა. ტყუის ყველა _ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, განათლებული და უმეცარი, მინისტრი და მეეზოვე, მდიდარი და ღატაკი, მუშა, გლეხი და ინტელიგენტი. სსრკ-ში ცრუობს არა მარტო ის, ვინც ლაპარაკობს, არამედ ისიც, ვინც დუმს. რაკი მდუმარეს საშუალება და უფლება არა აქვს ცრუს უთხრას _ ქოსატყუილა და ცრუპანტელა ხარო, _ უნდა თუ არა ეს, ისიც სიცრუის გაბატონებას უწყობს ხელს. ამგვარმა მდგომარეობამ წარმოშვა სსრკ-ში სრული ინდიფერენტიზმი, გულგრილობა, პასიურობა, სასოწარკვეთილება, უიმედობა, ჩამოყალიბდა მკვდარი საზოგადოება. თუ გინდა თავი იხსნა და სხვაც

გადაარჩინო, უნდა ილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი. სხვა გზა ხსნისა არ არსებობს. ლექციების კითხვა სიმართლის ასპარეზს ხსნიდა ჩემს წინაშე. სტუდენტების პირისპირ მყოფს, ცენზურა ვერ შემიშლიდა ხელს მეთქვა სიმართლე და პირნათელი ვყოფილიყავი როგორც თავისთავის, ისე მომავალი თაობების წინაშე. შესაძლებელია ისეთი პირნიც აღმოჩნდნენ, რომელნიც იტყვიან _ არავის სჭირდებაო ეგ შენი სიმართლე _, მაგრამ მათ უნდა ვუპასუხო: ჩემი სიმართლე უპირველესად მჭირდება თავად მე. ჩემი ღრმა რწმენით, ყოველი ადამიანი მოვალეა, თუნდაც სიკვდილის წინ, ერთხელ მაინც თქვას სრული სიმართლე. სხვანაირად ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას გამართლება არ გააჩნია.

ეს იყო ჩემი საქციელის მამოძრავებელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი.

1983 წ., სექტემბერი

## ფილმის _ «გიორგობისთვე» _ თავგადასავალი

1966 წელი იდგა. კინოსტუდია «ქართულ ფილმში» ცხოვრება მშვიდად და მდორედ მიედინებოდა. ოთარ იოსელიანმა დაამთავრა ფილმის «გიორგობისთვის» გადაღება. სტუდიის სამხატვრო საბჭომ ფილმი კარგად მიიღო. დადგა დღე, როცა «გიორგობისთვე» საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლისათვის უნდა ჩაგვებარებინა. ასეთი წესი იყო: ფილმს იბარებდა ხან თავად მდივანი, ხან კულტურის განყოფილების გამგე. «გიორგობისთვის» სანახავად მდივანი სტურუა მოვიდა ამალით.

ნახეს ფილმი. უსაშველო აღტაცება გამოიწვია. სტურუამ თითქმის საათიანი სიტყვა წარმოთქვა. აქო და ადიდა რეჟისორი ოთ.იოსელიანი, სცენარისტი ამირან ჭიჭინაძე, მსახიობები.

კინოსტუდია კმაყოფილებით იღრჩობოდა.

ფილმი კინოგაქირავების კანტორას გადაეცა. ყველა მოუთმენლად ელოდა, როგორ მიიღებდა მაყურებელი «გიორგობისთვეს». სწორედ აქ მოხდა მოულოდნელი ამბავი.

ქალაქში დაიწყო ფილმის დემონსტრირება. მხოლოდ ერთი, დილის სეანსი იყო ნაჩვენები, რომ კინოთეატრ «სპარტაკში» კინოსურათის სანახავად მოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სირაძე და მისი ქმარი რიგვავა. ჩვეულებრივ 12 საათზე დაიწყო ფილმის ჩვენება. არავინ ელოდა ქარიშხალს, მაგრამ იგი «გიორგობისთვის» დამთავრებისთანავე ამოვარდა. გამძვინვარებული სირაძე ისე გავარდა დარბაზიდან, რომ უკან არ მოუხედავს. მინისტრთა საბჭოში მისვლისთანავე გასცა განკარგულება _ ყველა ეკრანიდან მოეხსნათ «გიორგობისთვე», როგორც ანტისაბჭოთა ფილმი.

კინოსტუდიას თავზარი დაეცა. ძველი კმაყოფილების ნამცეციც აღარ დარჩა.

კინოსტუდია «ქართული ფილმის» დირექტორი თენგიზ გორდელაძე და მე, სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი, გაოგნებული ვიყავით. არ ვიცოდით, რა გვექნა. გვიკვირდა, ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოწონებული და მიღებული ფილმის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ როგორ მოხსნაო, მაგრამ ფაქტი ფაქტი იყო და გაოცება-გაკვირვება საქმეს ვერ უშველიდა. ერთადერთი გზა იყო დარჩენილი: უნდა მიგვემართა საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის მჟავანაძისათვის. მაგრამ ვიდრე მჟავანაძემდე მივაღწევდით, სუბორდინაცია არ უნდა დაგვერღვია და ყველა ინსტანცია გაგველო: გადავწყვიტეთ, ჯერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯავახიშვილს ვხლებოდით. ვითხოვეთ მიღება. შეგვპირდნენ, ოღონდაც მოსვლის დღესა და საათს ცალკე გაუწყებთო.

ამასობაში შეგვატყობინეს, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში გამოცხადდითო.

კომიტეტის თავმჯდომარეს კუპრავას შეეკრიბა კომიტეტის კოლეგიის და კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს წევრები.

კუპრავამ შეკრებილთ გამოგვიცხადა: ზემდგომი ორგანოების მითითებით (საინტერესოა, არასოდეს ამბობენ კონკრეტულად, ვინ არის ეს მიმთითებელი) უნდა განვიხილოთ ფილმი «გიორგობისთვე», დავიწუნოთ, დავგმოთ იგი და სათანადო ოქმი გავგზავნოთო ცენტრალურ კომიტეტში.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ვინც სულ რამდენიმე დღის წინათ ხოტბას ასხამდა «გიორგობისთვეს», ახლა უშვერი სიტყვებით აძაგებდა ფილმსა და მის ავტორებს. ისეთი ერთსულოვანი და თავგადადებული ლანძღვა-გინება გაჩაღდა, რომ კინოკომიტეტის წევრმა ივლიტე მესხიშვილმა ვერ აიტანა და იყვირა: რა მოგდით, ამხანაგებო, არ გრცხვენიათ. ჩვენ არ ვიყავით, რომ ვაქებდით ამ ფილმს? თუ დაცვა არ შეგვიძლია, ის მაინც ვთქვათ, რომ ფილმი მოგვწონდა, მაგრამ შევცდით. ახლა ვაღიარებთ ამ შეცდომას. არავის უღია ყურად მესხიშვილის რეპლიკა. ფილმი ერთხმად დაასამარეს.

მე ვდუმდი და ვუყურებდი ჩვენი «შემოქმედებითი ინტელიგენციის» გახრწნილების დემონსტრირებას.

როცა მსჯელობა დაამთავრეს, კუპრავა მომიბრუნდა და მკითხა, რას იტყვიო. მე მივუგე: «გიორგობისთვე» მომწონდა და მომწონს. მისი მოხსნა შეცდომაა. ამიტომ ფილმის დასაცავად უნდა ვიბრძოლოთ-მეთქი. კუპრავა გაბრაზდა და დამიყვირა: ნუ გიყვართ ორიგინალობა და თავის გამოჩენა. ჩვენ განკარგულება მოგვცეს დავიწუნოთ ფილმი და უნდა დავიწუნოთ კიდეც. ამიტომ ვემსახურებით პარტიას. ახლავე უნდა აღიარო, რომ ფილმი არ მოგწონს და ცდებოდი, როცა «გიორგობისთვეს» უჭერდი მხარს. კუპრავამ მუქარამ გამაბრაზა და აღელვებულმა ვუპასუხე: მე ვემსახურები ჩემს სინდისს და არა პარტიას. აღმაშფოთებელ თავხედობად მიმაჩნია, რომ ვიღაც ჩინოვნიკს შეუძლია ასე მოექცეს მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ნაშრომს და ჩვენ კი ასე უნამუსოდ ვეთანხმებოდეთ მას. კუპრავა ფეხზე წამოვარდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ შეაჩერა საქართველოს კპ ცკ კულტურის განყოფილების გამგემ სალარიძემ _ დაანებე თავი. ბაქრაძეს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი პოზიცია და ძალას ნუ დაატან. კუპრავა ისევ დაჯდა, სალარიძემ კი გააგრძელა _ დღევანდელმა სხდომამ ნათელჰყო, რომ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო იწუნებს ფილმს და არ მიაჩნია მიზანშეწონილად მისი ჩვენება. მე მოვახსენებ ცენტრალურ კომიტეტში თქვენს ამ აზრს.

ნათელი გახდა, რომ ფილმის გადარჩენისათვის ბრძოლა გართულდებოდა. საქმეს ისე აჭახრაკებდნენ და ისეთ დოკუმენტებს ქმნიდნენ, რომ თითქოს ფილმის აკრძალვას ჩვენ ვითხოვდით და არა ხელისუფლება. მაგრამ არც გორდელაძე და არც მე არ ვფიქრობდით ბრძოლისათვის თავი დაგვენებებია და პოზიცია იოლად დაგვეთმო.

არც მოწინააღმდეგეთა ბანაკი იჯდა გულხელდაკრეფილი. მოეწყო პროვოკაციული წერილების ორგანიზაცია. ცენტრალურ კომიტეტში წერილებს აგზავნიდნენ კოლექტიურად და ინდივიდუალურად, სახელმოხვეჭილები და უსახელონი, მუშები და გლეხები, ინტელიგენტები. ისინი მოითხოვდნენ, «გიორგობისთვის» დაწვას და ოთ.იოსელიანისათვის რეჟისორობის უფლების ჩამორთმევას. ეს იყო კოლექტიური ჯაშუშობისა და კოლექტიური ჯალათობის შემზარავი გამოვლინება.

ჩვენ კი ვისხედით და ველოდით მინისტრთა საბჭოში გამოძახებას. 1966 წელიც მიიწურა და 1967 წლის იანვარი დადგა. დაგვიძახეს მინისტრთა საბჭოში სამს _ გოდელაძეს, კინოსტუდიის პარტკომს ყუფარაძეს და მე. წასვლის წინ გორდელაძემ ყუფარაძეს უთხრა _ თუ ფილმის დაცვა არ შეგიძლია ან არ გინდა, მაშინ ნუ წამოხვალო. ყუფარაძემ იწყინა, რას ქვია არ მინდა და არ შემიძლია, თქვენთან ერთად კბილებით და ფრჩხილებით დავიცავო ფილმს.

წავედით მინისტრთა საბჭოში. მიგვიღო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯავახიშვილმა და მისმა მოადგილემ ჩოგოვაძემ.

ხეირიანად არც მოგვისმინეს, ისე გამოგვიცხადა ჯავახიშვილმა _ «გიორგობისთვე» ანტისაბჭოთა, ანტიქართული ფილმია. ჩემი ნება რომ იყოსო, ამ ფილმს გავანადგურებდი და რეჟისორს დადგმის უფლებას ჩამოვართმევდიო. ჩვენმა ცდამ, აგვეხსნა ფილმის ავ-კარგი, მისი აზრობრივი მიზანდასახულება, ნაყოფი არ გამოიღო. არაფრის მოსმენა არ სურდათ. მაშინ სასოწარკვეთილმა გორდელაძემ სცადა მოეშველიებინა მოსკოვი და ჯავახიშვილს უთხრა _ მოსკოვში ფილმი ძალიან კარგად მიიღეს და დიდად მოეწონათო. ჯავახიშვილისგან გამაოგნებელი პასუხი მივიღეთ _ მოსკოვში საქართველოს ცუდი უხარიათ და, ცხადია, მოეწონებოდათო.

აშკარა იყო ჩვენი არგუმენტაცია არ ჭრიდა. მაინც არ ვანებებდით თავს ბრძოლას. ხან ჯავახიშვილს მივმართავდით, ხან _ ჩოგოვაძეს. ჯავახიშვილი დაჟინებით იმეორებდა _ «გიორგობისთვე» ანტისაბჭოთა ფილმიაო, ხოლო ჩოგოვაძე ისტერიულად ჰკიოდა _ დაგვცინიან, დაგვცინიანო.

პაექრობის დროს გაგვახსენდა, რომ იმ ხანებში მიმდინარეობდა მეღვინეთა პროცესი, რომელთაც ბრალად ედებოდა ღვინის ფალსიფიკაცია და სახელმწიფო ფულის მითვისება. გადავწყვიტეთ, ეს ფაქტი გამოგვეყენებინა და ამით დაგვესაბუთებინა, რომ «გიორგობისთვე» არ იყო არავითარი ცილისწამება და იგი სინამდვილეს ასახავდა. როგორც კი ეს სასამართლო პროცესი ვახსენეთ, გაცეცხლებულმა ჩოგოვაძემ იყვირა: როგორ, სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელები ქუჩის ჭორს აჰყევით... არავითარი პროცესი არ მიმდინარეობს... არავინ დაუპატიმრებიათ და არავითარი ღვინის ფალსიფიკაცია არ მომხდარაო.

ეს იყო ისეთი ურცხვი ტყუილი და ისეთი უნამუსო განცხადება, რომ ჯავახიშვილი გაწითლდა და უხერხულობა რომ გაეფანტა, ჩოგოვაძე დაამშვიდა და აქამდე ჩუმად მყოფ ყუფარაძეს შეეკითხა _ თქვენ სად იყავით პარტკომი, რატომ არ მიაქციეთ ყურადღება, ხომ ხედავდით, როგორ ფილმს იღებდნენო? მაშინ წამოდგა ყუფარაძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა _ მე ორჯერ მოვიწვიე პარტკომის სხდომა და ფილმის გადაღების შეჩერება მოვითხოვე, მაგრამ არ დამიჯერესო. რა გაიგონა ჩოგოვაძემ პარტკომი გადაღების წინააღმდეგი ყოფილაო, იყვირა, მაგრამ რა იყვირა _ ხომ ხედავთ, გივი დიმიტრიევიჩ, რა ხდება კინოსტუდიაში, რა თვითნებობაა, არავის უგდებენ ყურს. თუმცა ესენი პარტკომს დაუგდებენ ყურს, როცა ჩვენ არ გვეპუებიან... სრული განუკითხაობაა და მისი შედეგიც «გიორგობისთვეა». ფილმი კი არა, ჩვენ კინოსტუდიის ხელმძღვანელების საკითხი უნდა განვიხილოთო.

ლაპარაკის გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო. სიმტკიცე დაკარგული გვქონდა. ფილმს სტუდიაში ჰყოლია მოწინააღმდეგენი და ხელისუფლებასთან რაღ გვქონდა სადავო. ყუფარაძე მართალს არ ამბობდა, მაგრამ ჩვენ უკვე აღარ გვისმენდნენ. მართალია, პარტკომის სხდომა ორჯერ მოიწვიეს, მაგრამ იგი იხილავდა გადაღების ვადების დარღვევის საკითხს და არა ფილმის აზრობრივ შინაარსს. როგორც წესი, ფილმის გადაღების ვადები კინოსტუდიაში ყოველთვის ირღვეოდა. არც «გიორგობისთვე» იყო გამონაკლისი. ამის გამო ხშირად ვმსჯელობდით საერთოდ და პარტკომის სხდომაზეც.

ჩვენ აღარ შეგვეძლო ამ განმარტების მიცემა. საუბარი დამთავრებულად მიიჩნიეს და ფილმის აკრძალვა მიზანშეწონილად ჩათვალეს.

დამარცხებული დავბრუნდით სტუდიაში. რა უნდა გვეთქვა პარტკომისათვის _ კაცს საშუალება მიეცა ესიამოვნებინა ხელისუფლებისათვის, მისი ნდობა დაემსახურებინა და გამოიყენა კიდეც ეს შემთხვევა. ეს ხომ საბჭოთა მოქალაქის ბუნებრივი საქციელი იყო. ალბათ ამ «დამსახურებისათვის» დანიშნეს მერე ყუფარაძე საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორად.

ფილმის გადარჩენის იმედი დაკარგული არ გვქონდა. იგი ჯერ კიდევ არ ენახა მჟავანაძეს და საანმ ისიც არ დაიწუნებდა «გიორგობისთვეს», შანსი კიდევ არსებობდა. ჩვენს იმედს აძლიერებდა სტურუას დაპირებაც, ყოველ ღონეს ვიხმარ «გიორგობისთვე» ბიურომაც ნახოს და პირადად მჟავანაძემო. ოღონდ სტურუა ერთ რამეს გვთხოვდა: ნუ იტყვით, ნუ გაავრცელებთ ხმებს, რომ ფილმი მე თავის დროზე მომეწონა და ვაქეო. ცხადია, ამ ხმების გავრცელებას ჩვენ არ ვაპირებდით, რადგან არ გვინდოდა დაგვეკარგა სტურუა, როგორც მოკავშირე.

ხალხი კი ნაირნაირ ჭორს ავრცელებდა და ხელისუფლებაც იმეორებდა. ჭორად გავრცელებული «დებულებანი» ასეთი იყვნენ:

პირველი: ფილმის სახელწოდება «გიორგობისთვე». გიორგობისთვე კი ნოემბერია _ ოქტომბრის რევოლუციის ოფიციალური სადღესასწაულო თვე. მაშასადამე, ქარაგმულად მინიშნებულია, ყველაფერი ცუდი, რაც ფილმშია ნაჩვენები, რევოლუციამ მოიტანა, მისი შედეგიაო.

მეორე: ფილმში აჩვენებენ ბუტს №49. ამ ბუტში ასხია უვარგისი ღვინო, მერე მოდის ერთი მეღვინე და 49-ს გადახაზავს, გადაშლის. მაშასადამე, ფილმის ავტორები გვეუბნებიან: საბჭოთა ხელისუფლების 49 წელიწადი უვარგისია და იგი უარყოფილი უნდა იქნესო.

მესამე: ფილმში წითელი ღვინით სავსე კასრში მეღვინე ასხამდა თეთრ ჟელატინს. ე.ი. წითელი საბჭოთა ხელისუფლება თეთრი ხელისუფლებით უნდა გაიწმინდოსო.

მეოთხე: ფილმის გმირი გვარად ნიჟარაძე იყო. მის ოჯახში ძველი ფოტოები ეკიდა, საიდანაც რევოლუციამდელ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები გვიყურებდნენ. ფილმში გადაცებულია ჯვრის მონასტერიც. ყველაფერი ეს ოთ.იოსელიანს იმიტომ სჭირდებაო, რომ თქვას _ რაც ძველია კარგია, ახალი კი _ უვარგისი.

ყველაფერი ოთ.იოსელიანს იმიტომ ბრალდებოდა, რომ მოქმედების ადგილი ღვინის ქარხანაში რეჟისორმა გადაიტანა. სცენარში კი მოქმედება ჩარხმშენებელ ქარხანაში ხდებოდა. ფილმის აზრობრივი შინაარსის მიმართ ეჭვს ეს ფაქტიც აძლიერებდა. საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ «გიორგობისთვეში» გადაღებული იყო სოფელი გვიშტიბი. თურმე მჟავანაძე გვიშტიბელი ყოფილა. ქუთათური ენაკვიმატები გვიშტიბს «ცარსკოე სელოს» ეძახდნენ. ფილმის ზოგიერთი მტერი ამასაც იყენებდა _ ფილმი გვიშტიბში იმიტომ გადაიღო ოთ.იოსელიანმა, რომ ამით უნდოდა მჟავანაძისათვის დაეცინაო. იმას არავინ აქცევდა ყურადღებას, რომ ოთ.იოსელიანიც გვიშტიბელია და იქნებ ამიტომ გადაიღო «გიორგობისთვე» იქ. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ძალიან ცდილობდნენ მჟავანაძე პირადადაც აემხედრებიათ ფილმის წინააღმდეგ.

მჟავანაძე კი ფილმის ნახვას აჭიანურებდა. მოთმინების ფიალა კი ივსებოდა. ერთ დღეს შეგვატყობინეს: მართალია, თავად მჟავანაძე ფილმს ვერ ნახავს, არ ცალია, მაგრამ ბიუროს წევრებს აჩვენეთო.

წავიღეთ ფილმი ცენტრალურ კომიტეტში. კინოდარბაზში ბიუროს წევრები შეკრებილიყვნენ. სტურუა, გორდელაძე, იოსელიანი და მე უკან კუთხეში მივიჭუჭკეთ და მოთმინებით დაველოდეთ ბიუროს წევრების მსჯავრს. სამარისებურ სიჩუმეში მიმდინარეობდა ფილმის ჩვენება. არავითარი რეაქცია _ არც აღტაცების, არც აღშფოთების _ არ გამოხატულა. დამთავრდა ფილმი. კაციშვილი ხმას არ იღებს. ყველა დუმს და ადგილიდან არ იძვრის. რამდენიმე წუთს გაგრძელდა ასე. მერე წამოდგა ინაური და ამოიოხრა _ ??? _ და გავიდა დარბაზიდან. ბიუროს დანარჩენი წევრებიც უხმოდ გაიძურწენ. დავრჩით მარტონი _ სტურუა, გორდელაძე, იოსელიანი და მე. ცხადი იყო ბიუროს წევრებსაც არ მოეწონათ ფილმი. თუმცა შეიძლება მოეწონათ კიდეც, მაგრამ არავინ იცოდა, როგორი იქნებოდა მჟავანაძის დამოკიდებულება ფილმისადმი და ამჯობინებდნენ დუმილს. აშკარად ჩანდა, მჟავანაძის გარდა, ვერავინ გადაწყვეტდა ფილმის ბედს და ჩვენც მოთმინებით უნდა გვეცადა, როდის ინებებდა იგი «გიორგობისთვის» ნახვას.

ეს დღეც დადგა.

გამოგვიძახეს ცენტრალურ კომიტეტში იოსელიანი, გორდელაძე, მე და სამხატვრო საბჭოს რამდენიმე წევრი. შეხვედრას ესწრებოდა სტურუაც. როგორც კი დავსხედით პირველი მდივნის კაბინეტში, მჟავანაძემ უკმეხად გვითხრა _ აქ იმიტომ მოგიყვანეთ, რომ მე ვილაპარაკო და არა თქვენ. არ გვჭირდებოდა ეს გაფრთხილება. ყველამ ვიცოდით, რომ თუ

მჟავანაძე არ მოგვცემდა ნებას, არავის ჰქონდა ხმის ამოღების უფლება. მერე მჟავანაძემ სათითაოდ აგვათვალ-ჩაგვათვალიერა და გვითხრა _ ძალიან, ძალიან მაწყენინეთო. ამან დაგვაბნია. ვიფიქრეთ, ალბათ ფილმი არ მოსწონს და უკმაყოფილება ასე გამოხატაო. ოთ.იოსელიანი წამოდგა და უპასუხა _ ბატონო ვასილ, არავის წყენინება არ მინდოდა, არც მიფიქრია. მე ფილმი გადავიღე. შევეცადე ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა მოვლენებისადმი და რატომ უნდა იყოს ეს ვისმესთვის საწყენი? მჟავანაძემ უკმაყოფილოთ გააქნია თავი და თქვა _ მე ახლა ფილმზე არ გელაპარაკებით. თქვენ, ამხ. იოსელიანო, იცით, რაც მაწყენინეთ. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დაგვაბნია და ყველა გაშტერებული მივაჩერდით ოთ.იოსელიანს. ოთარიც გაოგნებული იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა მჟავანაძე. პირველი მდივანი ერთხანს დუმდა და მერე ოთ.იოსელიანს ჰკითხა _ ამხ. იოსელიანო, ვინ არის ის კაცი, ფილმის დასაწყისში ჯამით ღვინოს რომ სვამს?

ცხადია, ყველას გვახსოვდა ფილმის პროლოგში დიდი პლანით გადაღებული ბერიკაცი, რომელსაც დაშაშრულ-დაკოჟრებული ხელები ჰქონდა, თასი ეჭირა და ღვინოს ისე სვამდა, თითქოს მღვდელთმსახურებას ასრულებსო. ძალიან კოლორიტული და შთამბეჭდავი სახე ჰქონდა ამ მოხუცს. მაგრამ რატომ დაინტერესდა მჟავანაძე ამ ბერიკაცით ან ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ბუნებრივია, ჩვენ არ ვიცოდით და მოუთმენლად ველოდით ოთ.იოსელიანის პასუხს.

ოთარმა თქვა: არ ვიცი, ბატონო ვასილ, მე მჭირდებოდა გლეხები მასობრივი სცენისათვის. ჯგუფის დირექტორმა შემიკრიბა ისინი. მათ შორის იყო ის მოხუციც. მე მომეწონა მისი გარეგნობა და გადავიღე დიდი პლანით. მეტი არაფერი ვიცი. შეიძლება ჯგუფის დირექტორმა იცოდეს ვინ არის და რა გვარია.

მჟავანაძემ არ დაიჯერა ოთ.იოსელიანის ნათქვამი. თვალები მოსკურა და ოთარს ნიშნის მოგებით უთხრა _ იცი, იოსელიანო, იცი, კარგად იცი... ისიც იოსელიანია და შენც...

ჩვენ ხომ რეტდასხმული ვისხედით, მაგრამ არც ოთ.იოსელიანი იყო უკეთეს დღეში. დაბნეულმა და გაოგნებულმა არ იცოდა, რა ეპასუხა და ფიცი დაიწყო _ ყველაფერს გეფიცებით, არ ვიცოდი ვინ იყოო ის კაცი. მერე მჟავანაძე რომ დაემშვიდებინა, ოთარმა შესთავაზა _ თუ ეს კადრი არ მოგწონთ, სულ ამოვჭრიო მას ფილმიდან. ამის გაგონება და მჟავანაძის სახის გაბრწყინება ერთი იყო. მიამიტად იკითხა _ ეს შეიძლებაო? _ თუ გნებავთ, ახლავე გავიქცეთი სტუდიაში, ამოვჭრი და ისე გაჩვენებთ ფილმს. ამით «გიორგობისთვეს» არაფერი დააკლდებაო _ მიუგო ოთარმა.

უცბათ შეიცვალა მჟავანაძის განწყობილება ჩვენდამი. იგი მეგობრული და შინაურული გახდა. ცნობისმოყვარეობით ვიწვოდით. გვინდოდა გაგვეგო, რატომ აუმხედრდა მჟავანაძე ფილმში გადაღებულ ბერიკაცს, მაგრამ კითხვა ვერ გაგვებედა. საბედნეროდ, მჟავანაძემ უკითხავად მოგვცა პასუხი.

თურმე 20-იანი წლების ბოლოს, როცა კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა, ქუთაისის მაზრის კომკავშირული აქტივის წევრი მჟავანაძეც ყოფილა. იგი, სხვებთან ერთად, მონაწილეობდა ქართველი მშრომელი გლეხობის საკუთარი მიწა-წყლიდან აყრასა და ციმბირში გადასახლებაში. გადასახლებულთა შორის ის მოხუცი იოსელიანიც ყოფილა. ახლა, როცა ძველი ნაცნობი ფილმში დაუნახავს, უფიქრია, ამას საგანგებოდ

აჩვენებენ, რომ ქართველ ხალხს უთხრან _ აი, ვინ არის მჟავანაძე, ჩვენი მტერი, რომელიც ქართველ კაცს ციმბირში ასახლებდა და ჩვენი გლეხობის ფესვს ჭრიდა.

რა თქმა უნდა, ოთ.იოსელიანმა არაფერი ეს არ იცოდა, მაგრამ, ეტყობა, ძველი დანაშაულის გამო მჟავანაძეს სინდისი ქენჯნიდა და ის ეჩვენებოდა, რაც არავის უფიქრია. თავი რომ ემართლებინა და დაემტკიცებინა, ქართველ ხალხს არასოდეს ვმტრობდიო, შემზარავი ამბავი მოგვითხრო.

_ აი, ამ ტელეფონით _ და მაგიდაზე მდებარე თეთრ ტელეფონს დაადო ხელი _ დამირეკა ხრუშჩოვმა და მითხრა: ჯარიც მზად არის, ვაგონებით, ქართველები ციმბირში გადასასახლებლად მოემზადეთო. მე მოურიდებლად და პირდაპირ ვუპასუხე, ნუ გვაშინებთ, ქართველები ციმბირშიც ქართველებად დავრჩებით. საცოდავს ეგონა, რომ ეს მეტისმეტად ვაჟკაცური პასუხი იყო. იმავე დღეს მოსკოვში გავფრინდიო, ყვებოდა მჟავანაძე, და ხრუშჩოვს შინ მივაკითხეო. მიმიღო. დავუწყე ხვეწნა-მუდარა _ ნუ იზამთ ამას, ნუ გაგვრეკავთ ციმბირში. ხრუშჩოვი გაკვირვებული მეუბნებოდაო _ არ მესმის რატომ სწუხარ, შენ ხომ ციმბირშიც ცენტრალური კომიტეტის მდივანი იქნებიო. როცა მუდარით ვერაფერს გავხდი, ფეხებში ჩავუვარდი და მუხლებზე მოვეხვიე. ამ დროს ოთახში ხრუშჩოვის ცოლი ნინა პეტროვნა შემოვიდა და როცა მუხლებზე დაჩოქილი დამინახა, გაოცებულმა იკითხა _ რა ხდებაო. ახლა მას მივვარდი და შევევედრე, გვიშველეთ, განკარგულებაა გაცემული ქართველების ციმბირში გადასახლებისა და გვიხსენით. ეს ქალი უცბათ ხრუშჩოვისკენ მიბრუნდა და ქმარს ყბაში გამეტებული სილა გაულაწუნა. _ ახლავე დაურეკე სამხედრო მინისტრს და უთხარი, რომ მთვრალი იყავი და არ იცი, რა განკარგულებას იძლეოდიო, უბრძანა ცოლმა ხრუშჩოვს. ხრუშჩოვმა მორჩილად აიღო ტელეფონი და დარეკა, ქართველების გადასახლების განკარგულება გაუქმებულიაო.

ასე შემთხვევით გადარჩენია ქართველი ხალხი პირწმინდად განადგურებას. ვისღა ახსოვდა «გიორგობისთვე». ყურებჩამოყრილი, დაჩაგრული და დამუნჯებული ვისხედყით. უცბათ ხელშესახებად ნათელი გახდა, რა უძლური, უსუსური და საცოდავი ხალხი ვიყავით. რა სასაცილო და არარა იყო ჩვენი ბრძოლა «გიორგობისთვისათვის». ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ჩვენ კი იმისათვის დავფუსფუსებდით, როგორმე ფილმი არ აეკრძალათ. ჩემი თავი შემზიზღდა. შემზიზღდა ყველაფერი რასაც ვაკეთებდი, რასაც ვწერდი, რისთვისაც ვითომ ვშრომობდი. ვის ჭირდებოდა ეს, როცა მთელი ერის ბედი კრემლში მოკალათებულ არარაობის ხუშტურზე იყო დამოკიდებული. რა უნდა გვექნა, რა უნდა გვეღონა, სად იყო საშველი, ვისთვის უნდა მიგვემართა? რა გამოლევდა კრემლში დაბინავებულ ჯალათებს? პასუხი არსად იყო.

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მჟავანაძის გადაწყვეტილებას _ «გიორგობისთვე» კარგი ფილმია და მისი ჩვენება განაახლეთო.

«გიორგობისთვე» გადარჩა, მაგრამ მერე რა _ რას ეუბნებოდა იგი ქართველ ხალხს, რომლის ბედი ბეწვზე ეკიდა და მშველელი კი არსად იყო...

შინ ნაცემი ძაღლივით წელგატეხილი ვბრუნდებოდი. რა თქმა უნდა, კარგად ვიცოდი, რომ ყოველი საბჭოთა მოქალაქის თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა, მაგრამ თუ მთელი ერიც ასე განწირული იყო, არ მეგონა. ასეთ სიტუაციაში ყოველმა პატიოსანმა კაცმა მტკიცედ უნდა

განსაზღვროს მისი საქმიანობის მიზანი და ყოველი ნაბიჯი ერის სასარგებლოდ უნდა გადადგას, მაგრამ როგორ, როცა ყველა გზა და ასპარეზი დახშულია, ხელ-ფეხი შეკრული გაქვს და პირში ბურთით ჩაჩრილი?

ტვინის გამხვრეტი კითხვა იყო. პასუხი კი არსად ჩანდა.

## როგორ მომხსნეს

«გიორგობისთვის» მერე სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მუშაობას ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. გახშირდა ლაპარაკი მისი მუშაობის გაუმჯობესებაზე. 1967 წლის ბოლოს გადაწყვიტეს მოეწვიათ მწერალთა და კინემატოგრაფისტთა გაერთიანებული პლენუმი. დამავალეს, როგორც სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი სიტყვით გამოვსულიყავი. არ მინდოდა გამოსვლა. ვიცოდი, პლენუმი ჩვეულებრივი ლაყბობისათვის იყო მოწყობილი და არაფერი შეიცვლებოდა. ამიტომ ცენტრალურ კომიტეტში უარი ვთქვი, არ გამოვალ-მეთქი. ჯერ გაბრაზდნენ, როგორ შეიძლება მთავარი რედაქტორი არ გამოვიდეს, მით უმეტეს, რომ სასცენარო პრობლემაზე იქნებაო ლაპარაკი. მერე, როცა ჩემი სიჯიუტე დაინახეს, დამითმეს, კარგი ნუ გამოხვალო.

პლენუმი ჩატარდა 1967 წლის 18-19 დეკემბერს. როგორც ყოველთვის, პლენუმი მიმდინარეობდა ჩვეულებრივ. იყო ცარიელი არაფრის მაქნისი ლაპარაკი. აფრქვევდნენ ერთმანეთს თვალში ნაცარს და თავი ისე ეჭირათ, თითქოს გულდაგულ, თავდადებული ვმუშაობთო.

ცხადია, პლენუმს, როგორც ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს კპ ცკ მდივანი დ.სტურუა.

პლენუმის პირველ დღეს არავის დავუსახელებივარ სიტყვით გამომსვლელთა სიაში. მეორე დღესაც ისე მიდიოდა საქმე, რომ დავრწმუნდი, გამოსვლა აღარ მომიწევს-მეთქი.

პლენუმი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ მოულოდნელად თავმჯდომარემ გამოაცხადა _ სიტყვა ეძლევაო აკაკი ბაქრაძეს. რა უნდა მექნა, უარის თქმა უკვე მეტიჩრობად ჩამეთვლებოდა და თან უსიამოვნო უხერხულობას შექმნიდა. ავდექი და ვთქვი სიტყვა. აი, მაშინდელი სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი.

გუშინ, მომხსენებელმა, როცა იგი პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაზე ლაპარაკობდა, თქვა, რომ ამ დრამატურგს უკეთესად გამოუდის ისტორიულ თემაზე შექმნილი პიესები, ვიდრე თანამედროვე თემაზე დაწერილიო. მომხსენებელმა მოიწონა კაკაბაძის პიესა «ბაგრატ VII» _, მაგრამ დაიწუნა «ცხოვრების ჯარა». ეს ფაქტი ბატონმა ბესომ იმით ახსნა, რომ პოლიკარპე კაკაბაძე თითქოს ისტორიულ მასალას უფრო კარგად იცნობს, ვიდრე თანამედროვესო. ეს ახსნა მე არადამაჯერებლად მომეჩვენა იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელია მწერალი უფრო კარგად წარსულს იცნობდეს, ვიდრე მის თანამედროვეობას, ვიდრე იმ ცხოვრებას, რომლის უშუალო მონაწილე თვითონ არის. კაკაბაძე თანამედროვე ცხოვრებას რომ კარგად იცნობს, ეს ისტორიული პიესიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, «ბაგრატ VII»-ში მღვდელი ამბროსის ისტორია უფრო დღევანდელი დღით არის ნაკარნახევი,

ვიდრე ისტორიულით. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მღვდელი ამბროსი პატიოსანი კაცია და იტანჯება დაუმსახურებელი დიდებით მაშინ, როცა დღეს დაუმსახურებელ დიდებას არხეინად იფერებენ და სინდისის ქენჯნას ოდნავადაც არ განიცდიან.

დაუმსახურებელი დიდების შარავანდედით შემოსვა ქართული მწერლობისათვის უცხო თემა არ არის. მე იმ თაობას ვეკუთვნი, ვისაც სკოლაშიც და ოჯახშიც ასეთი ლექსების ზრდიდნენ:

«ალისფერია შენი მიდამო, ეს შენი დროშაც ალისფერია,

შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია».

ახლა ეს ლექსი სხვა რედაქციით იბეჭდება, მაგრამ ავტორს ტკივილი და მორალური სირცხვილი არ განუცდია იმის გამო, რომ მისი პოეზიის საგანი ისტორიამ გადააფასა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ავტორს არსად არაფერი დაუწერია და ამ ლექსის ახალ ვარიანტს არხეინად აქვეყნებს. მე მინახავს ტაშად აგრიალებული დარაბზი, როცა თბილისში ჩამოსულ ბერიას ოპერის თეატრში ქართველი პოეტი მიმართავდა:

«შენ მადლობა, შენ დიდება

შენ ჩამოსვლას გაუმარჯოს...»

მაგრამ მე არასოდეს არ მინახავს ბერიას საქციელით აღშფოთებული დარბაზი. არასოდეს მინახავს საჯარო კრება, რომელსაც ბერიას თვითნებობა დაეგმო. მწერლობას არა აქვს დუმილის უფლება. ბოროტება იბადება მაშინ, როცა ვდუმვართ. როცა გულწრფელად ვლაპარაკობთ ავსაცა და კარგსაც, მაშინ ბოროტებას უჭირს გაჩენა. ჩემს მიერ მოტანილი ლექსების შემდეგ, მე მიჭირს ჩვენი მწერლობის გულწრფელობა ვიწამო. ამ უნდობლობის ბრალია ცარიელი თეატრალური და კინოდარბაზები (ბ.ჟღენტი: თქვენ ამბობთ, რომ გრიშაშვილი პატიოსანი და გულწრფელი კაცი არ იყო?). არა, ბატონო ბესო, მე ეგ არ მინდა ვთქვა. მე მინდა დავსვა კითხვა: როგორ მოხდა, რომ ქართულმა მწერლობამ დაუშვა ტრაგიკული შეცდომა თუ ტრაგიკული დაბნეულობა და დიდების შარავანდედით შემოსა კაცი, რომელიც ამას სრულიად არ იმსახურებდა? ჩემი აზრით, ეს იყო შიშის ბრალი. ამ შიშის გამოძახილი დღესაც გვაქვს გამოყოლილი. დღევანდელი ქართული მწერლობის ერთი უმთავრესი თემათაგანი სწორედ ამ შიშისაგან ადამიანთა გონების განთავისუფლებაა (დ.სტურუა: როგორ, მხოლოდ 1937 წლის ამბებზე ვწეროთ და მეტი არაფერზე?). არა, 1937 წლის ამბებზე კი არ უნდა ვწეროთ, არამედ დღევანდელ დღეზე, რადგან 37 დღესაც არსებობს სხვა და სხვა ფორმით. ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა დრამები და ტრაგედიები, მაგრამ დრამები და ტრაგედიები რომ იწერებოდეს, ამისათვის აუცილებელია დაიხატოს დიდი ვნებების, დიდი ტემპერამენტის პერსონაჟი, რომელიც ომს გამოუცხადებს ყოველგვარ უსამართლობას. მაგრამ ის მწერლობა, რომელიც ისტორიული თუ მითოლოგიური პერსონაჟების დასაჭურისებასაც კი ეწევა, როგორ დახატავს დღევანდელ კაცს შეპყრობილს დიდი ვნებებით. აქ, მაგალითად, მომხსენებელმა გააკრიტიკა ლევან სანიკიძის პიესა «მედეა». ამ პიესის ავტორმა მოხსნა მედეას სახის შინაარსი _ შურისძიების მიზნით შვილების დახოცვა. მეო, ამბობს იგი, ისტორიული საბუთების მოშველიებით დავამტკიცეო, რომ მედეას თავისი შვილები არ მოუკლავს. ამის საფუძველზე დავწერეო ახლებურად გაგებული მედეა. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ დონ-კიხოტი, რომელიც რაინდული რომანების კითხვით არ

შეირყევა და ქარის წისქვილებს არ დაუწყებს ბრძოლას. ეს ხომ დონ-კიხოტი აღარ იქნება. ასევეა მედეაც. თუ იგი შვილებს არ დახოცავს, იქნება რომელიც გნებავთ ქალი და არა მედეა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ ჩვენ ისტორიასაც კი გვინდა გამოვაცალოთ ტრაგიკული ვნებები და ყველაფერი ყოფითობის ჭაობამდე დავიყვანოთ. მით უმეტეს, ყოფითობის ჭაობი გვახრჩობს, როცა დღევანდელობაზე ვწერთ. აქ ყველაფერი ნეიტრალურია, დეკორატიული ბაღივით შეკრეჭილი და გალამაზებული. ყველაფერი ეს, ჩემი აზრით, ორი მიზეზის ბრალია: ჯერ ერთი, ყველას თავში შინაგანი ცენზორი გვიზის და მეორეც _ უამრავი ინსტანციების არსებობა, რომელთა დანიშნულებაც იმის შემოწმებაა, თუ რამდენად არის სანდო მწერალი. ჩემი აზრით, ინსტანციების არსებობა იმიტომაც აღარ არის საჭირო, რომ ყოველი მწერალი შინაგანი ცენზორით იმდენად არის შებოჭილი და შეკრული, რომ ბევრიც რომ ეხვეწო, ნებადართულობის საზღვრებს არ დაარღვევს. ამდენი მაკონტროლებელი ორგანოები აშინებს მწერლებს (დ.სტურუა: თქვენ პარტიული კონტროლის წინააღმდეგი ხართ?). მე მომხრე ვარ, ვენდოთ მწერლის ნიჭიერებასა და გულწრფელობას. ყოველი ნიჭიერი და გულწრფელი მწერალი უთუოდ ამჟღავნებს პარტიულობას, რომლის სახელიც ჰუმანიზმია. პარტიულობას სკამი კი არ ჰქმნის, არამედ ყოველი ადამიანის სინდისი. სინდისი კარნახობს მწერალს, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის იდეები იქადაგოს. რაკი ასეა, იგი პარტიულიც არის, რადგან კომუნისტობა უპირველეს ყოვლისა კაცთმოყვარეობას გულისხმობს. კომუნისტობის სხვანაირი განმარტება მე არ ვიცი. მაგრამ, როგორც ჩანს, უნდობლობის ძველი რეციდივები ინსტანციებს იმდენად უზის თავში, რომ წელიწადზე მეტი ხანი იდო თაროზე და მაყურებელს არ უჩვენებდნენ ისეთ ჭეშმარიტ პარტიულ ფილმს, როგორიც არის რაიზმანისა და გაბრილოვიჩის «ჩვენი თანამედროვე». ასეთი ფილმის შეჩერება მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ ინსტანციები დაბრკოლების მეტს არაფერს ჰქმნიან (დ.სტურუა: ამხ. ბაქრაძე, თქვენც ინსტანცია ხართ, თქვენც ხომ უყენებთ ავტორებს მოთხოვნილებებს). რა თქმა უნდა, ვუყენებ, მაგრამ ვუყენებ მხატვრულ მოთხოვნილებებს. აქ ვერ გამოვა ვერცერთი კაცი, რომელსაც შეეძლება თქვას, რომ მან სტუდიაში მხატვრულად საინტერესო ნაწარმოები მოიტანა და ჩვენ იგი დავიწუნეთ. პირიქით, ვებღაუჭებით ყველაფერს, რასაც კი ოდნავ საინტერესო რაღაც გააჩნია და, თუ ჩვენ მაინც სუსტ სცენარებს ვუშვებთ ხშირად წარმოებაში, ეს იმიტომ, რომ, როგორც ქართული ანდაზა ამბობს, როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია (დ.სტურუა: მხოლოდ მხატვრულ მოთხოვნილებებს?). უმთავრესად მხატვრულ მოთხოვნილებებს, რადგან ის რაც არამხატვრულია, ანტიპარტიულიც არის, რამეთუ სახელს უტეხს ყოველ თემას. ხოლო, რაც მხატვრულია, პარტიულიც არის (ხმა: არაა სწორი). რაც დღეს აქ მოგახსენეთ, მოგახსენეთ სრულიად გულწრფელად. ყოველი ადამიანის პატიოსანი მოვალეობაა გულწრფელი ლაპარაკი და არა საკუთარი აზრის მისადაგება რომელიმე ოფიციალური დებულებისადმი. ოფიციალური დებულებების გადამღერებამ მოჰკლა და მოადუნა აზროვნება. ადამიანისადმი ინტერესი კი უპირველესად მისი აზრისადმი ინტერესით იბადება. მე შევეცადე გულწრფელად მეთქვა, რასაც ვფიქრობდი და შეიძლება ზოგჯერ შევცდი კიდეც, მაგრამ, როგორც ლენინი ამბობს, უშეცდომოდ ის ლაპარაკობს, ვინც იმიტომ ლაპარაკობდა, რომ არაფერი არ ეთქვა.

როცა სიტყვა დავამთავრე, ტაში არავის დაუკრავს. სამარისებურ სიჩუმეში გავიარე დარბაზი და ჩემს სკამზე დავჯექი. რამდენიმე ორატორი კიდევ გამოვიდა ჩემს მერე, მაგრამ არავის ვუხსენებივარ და არც იმ საკითხებს შეხებია ვინმე, რომელზეც მე ვილაპარაკე.

საბოლოო, დასკვნითი სიტყვა დ.სტურუამ წარმოთქვა. მან დიდხანს ილაპარაკა, მთელი სიტყვა ჩემს კრიტიკას მიუძღვნა. ჩემი გამოსვლა მიიჩნია ანტიპარტიულად და შეუგნებელი კაცის სიტყვად. ლაპარაკი დაამთავრა განცხადებით _ ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთო.

დამთავრდა პლენუმი. დავბრუნდით შინ. გარეგნულად ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს არაფერი მომხდარა.

მეორე დღეს კინოსტუდიაში კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი გ.ბარათაშვილი მოვიდა. შემოვიდა ჩემთან და საიდუმლოდ მამცნო: დღეს დილით კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ სალარიძემ (კუპრავა აღარ იყო უკვე თავმჯდომარედ. ეს კი ის სალარიძეა, «გიორგობისთვის» დროს ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგედ რომ მუშაობდა) შენი მოხსნის ბრძანება დაწერა და ცენტრალურ კომიტეტში წაიღო. სალარიძის გულმოდგინების მიუხედავად, არ მომხსნეს. როგორც გადმომცეს, როცა სალარიძეს ცკ-ში ბრძანება მიუტანია სტურუას, ცკ-ს მდივანს უთქვამს _ ახლავე მოხსნა როგორ შეიძლება. საზოგადოება ამ მოხსნას ბაქრაძის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვასთან დააკავშირებს და იტყვის, რომ ჩვენ აზრის თავისუფლებას ვებრძვით. აცალეთ, ცოტა ხანს კიდევ იმუშაოს და მერე მოხსნის სხვა საფუძველი გამოვძებნოთო. არ ვიცი, მართლა ასე ითქვა თუ არა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მე დაახლოებით ექვსი თვე კიდევ ვმუშაობდი სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთ. რედაქტორად. შემდეგ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გადაწყვიტა სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შემოწმება და განხილვა.

დადგა განხილვის დღე. კინოკომიტეტში შეიკრიბა საზოგადოება. ჩემთვის ნათელი იყო ამ სხდომის მიზანი და დანიშნულება. უნდა შექმნილიყო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ჩემს ცუდ მუშაობას. მომხსნიდნენ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის უნიათო მუშაობისათვის და არა იმის გამო, რომ ხელისუფლებისათვის არასასურველი სიტყვა ვთქვი მწერალთა და კინემატოგრაფისტთა პლენუმზე. მოხდა ის, რასაც კინოკომიტეტის ხელმძღვანელობა არ მოელოდა. სხდომაზე ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ არსებულ პირობებში სასცენარო-სარედაქციო კოლეგია კარგად მუშაობს. ამის საბუთად მიიჩნიეს ფილმები _ «გიორგობისთვე» (სულ რამდენიმე ხნის წინათ, მის ავტორებს ჩამოხრჩობით რომ ემუქრებოდნენ), «დიდი მწვანე ველი», «არაჩვეულებრივი გამოფენა» და სხვანი. კინოკომიტეტს ჩემი მოხსნის საფუძველი ხელიდან ეცლებოდა. მაინტერესებდა შემაჯამებელ გამოსვლაში რას იტყოდა სალარიძე. მან კმაყოფილებით აღნიშნა სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის კარგი მუშაობა. მოგვიწოდა კიდევ უკეთესი საქმიანობისაკენ. ცოტა ხანს შეჩერდა და ბოლოს დასძინა _ არის აზრი ბაქრაძე განთავისუფლდეს სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან. ყველა კარგად ხედავდა, რომ ამ დასკვნას არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც კინოკომიტეტის წევრების და არც თავად სალარიძის ნათქვამთან, მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილება დავალება იყო და უნდა

შეესრულებინათ, თუ უნდოდათ სკამის შენარჩუნება. თანამდებობის სკამი კი ყოველი საბჭოთა მოხელის სათაყვანო კერპია და მისი ღალატი არავის ძალუძს.

სალარიძემ კინოკომიტეტის წევრებს მიმართა _ ვინ არის მომხრე ბაქრაძე განთავისუფლდესო. არავის ამოუღია ხმა და არც ხელი აუწევია. ყველა გაქვავებული იჯდა. მერე სალარიძემ იკითხა _ წინააღმდეგი ვინ არისო. არც ახლა განძრეულა ვინმე. ყველა დუმდა ხმაგაკმედილი. მაშინ სალარიძემ გამოაცხადა _ მაშასადამე, ბაქრაძის განთავისუფლების წინადადება მიღებულია ერთხმად.

ასე დამთავრდა კინოკომიტეტის სხდომა.

რაკი კინოკომიტეტმა ჩემი მოხსნის გადაწყვეტილება გამოიტანა, მე დავანებე სამსახურში სიარულს თავი და სახლში ვიჯექი. ჭიანურდებოდა ჩემი საკითხის განხილვა საქართველოს კპ ცკ-ში. მე ველოდი. სანამ არ იქნებოდა ცკ-ის ბიუროს დადგენილება, მაინც არ ვითვლებოდი მოხსნილად. ხელფასსაც თავის დროზე მიგზავნიდნენ სახლში.

ერთ დღეს, მთავრობის სახლის წინ, შემთხვევით ცკ-ის კულტურის განყოფილების ინსტრუქტორი ბუხნიკაშვილი შემხვდა. აფორიაქებული მომვარდა _ სად ხარ, კაცო, მთელი დღეა დაგეძებ და ვერსად გიპოვნეო. დღეს შენი საკითხი გადისო ბიუროზე, წამავლო ხელი და სასწრაფოდ ცკ-ში წამიყვანა.

არ ვიყავი საბიუროდ მორთული. მოგეხსენებათ, ცკ-ში აუცილებლად უნდა მიხვიდე ჰალსტუკით, პიჯაკით, თუნდაც გარეთ პაპანაქება სიცხე იდგეს. იმ დღესაც ასე იყო. ივლისის ცხელი, გაუსაძლისი მზე აჭერდა. ბუნებრივია, მოკლე კლავებიანი კვართი მეცვა. ასე ბიუროზე ჩემს შეყვანას ვინ გაბედავდა. ამიტომ ვიღაცას პიჯაკი გახადეს და მე ჩამაცვეს, ჰალსტუკი მოხსნეს და მე გამიკეთეს. ასე ნასხვისარი ტანსაცმელით შემიშვეს ბიუროზე. ვფიქრობდი, ბიუროზე შესვლა-გამოსვლა წუთის საქმეა და მეც შევალ სხვისი კოსტუმით და მალე გამოვალ-მეთქი. ჩვეულებრივ ბიუროზე დიდხანს არ გაჩერებენ. იტყვიან _ არის წინადადება ესა და ეს კაცი ამა და ამ თანამდებობაზე დაინიშნოს, ან ესა და ეს კაცი ამა და ამ თანამდებობიდან მოიხსნას _ და მაშინვე ყველა თანხმობის ნიშნად ხელს აწევს. ან დანიშნული ხან ან _ მოხსნილი. არავინ კითხულობს, არავის აინტერესებს ან რატომ დაინიშნოს ან რატომ მოიხსნას. მეგონა ჩემი საქმეც ასე სასწრაფოდ დამთავრდებოდა.

ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგემ კარანაძემ მოახსენა ბიუროს, რომ კულტურის განყოფილებას მიზანშეწონილად მიაჩნია ბაქრაძის განთავისუფლება კინოსტუდია «ქართული ფილმის» სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან და მის მაგიერ ამხანაგი აკ.დვალიშვილის დანიშვნა.

მჟავანაძე კარგა ხანს დუმდა და ნაცნობ კითხვას _ ვინ არის მომხრე? _ არ სვამდა. მერე მომიბრუნდა და მოულოდნელად მკითხა _ ვინ გაწყენინათ თქვენ, ამხანაგო ბაქრაძე? უცნაური კითხვა იყო. არ ვიცოდი, რა მეპასუხებია. არავინ-მეთქი, ამოვილუღლუღე. მჟავანაძეც ჩამაცივდა: _ ვინ, ვინ გაწყენინათ. კინოსტუდიის დირექტორმა, კინოკომიტეტის თავმჯდომარემ თუ ცკ-ის მდივანმა? ახლა კი მივხვდი, რომ ჩაფიქრებულია ჩემი საკითხის გამოყენება რაღაც სხვა საქმისათვის. ჩემი ბედი არავის აინტერესებს, მაგრამ ამ შემთხვევით უნდათ ისარგებლონ და სხვას გაუსწორონ ანგარიში. მაგრამ ვის? ეს ჩემთვის უცნობია. დავიწყე ფიქრი. მინდოდა ამომეცნო, რა მზაკვრული სვლა იყო ჩაფიქრებული. ამიტომ

პასუხი დამიგვიანდა. ჩემი დუმილი ახდენდა შთაბეჭდილებას პასუხისათვის მზადებისას. ალბათ ამან უბიძგა ცკ-ის მდივანს სტურუას და იგი წამოდგა. მჟავანაძეს სთხოვა, ნება მომეცით ბაქრაძე დავახასიათოო. როცა სტურუას შევხედე, მისმა გარეგნობამ გამაკვირვა. ნაცრისფერი დასდებოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და ასე გეგონებოდათ, უნდა მოხსნან სტურუა და არა მე.

სტურუამ აკანკალებული ხმით დაიწყო: ბაქრაძე იდეოლოგიურად სანდო კაცი არ არის. აი, რამდენიმე საბუთი, რომელიც ადასტურებს მის არასანდოობას.

ჯერ ერთი, მას მიაჩნია, რომ 1953 წლამდე ყველაფერი ბნელით იყო მოცული და მხოლოდ 53 წლის შემდეგ გამოანათა ნათლის მბჟუტავმა სხივმა.

როცა სტურუამ ეს თქვა, უცბათ მჟავანაძემ მე შემომხედა. მას თვალები უბრწყინავდა სიხარულით და საოცრად ალერსიანი გამოხედვა ჰქონდა. სტურუამ ეს შეამჩნია და მიხვდა, რომ მჟავანაძემ მისი ნათქვამის ქვეტექსტი ვერ ამოიცნო. ეს ჩემთვისაც გასაგები იყო.

საქმე ის გახლდათ, რომ სტურუა გულისხმობდა სტალინიზმის პერიოდს. მას უნდოდა ეთქვა, რომ მე სტალინი არ მიყვარდა და ხრუშჩოვის კრიტიკა სამართლიანად მიმაჩნდა. ამით სტურუას უნდოდა ბიუროს დამსწრე სტალინისტები ჩემს წინააღმდეგ აემხედრებინა. ოფიციალურად მე-20 ყრილობის შემდეგ სტალინი დაგმობილი იყო. საქართველოს კპ ცკ მდივანი ბიუროს სხდომაზე სტალინის სახელის ხსენებას ვერ ბედავდა. ამიტომ უნდოდა ქარაგმულად მიენიშნებინა, რომ მე სტალინს პატივს არ ვცემ, რაც, ცხადია, ქართველი კომუნისტების აღშფოთებას გამოიწვევდა. სტურუას ქარაგმას მხოლოდ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ.ძოწენიძე მიხვდა და მესროლა კიდეც რეპლიკა _ როგორ არ გრცხვენიათ, ქართველ კაცს სტალინი გძულთო _ მაგრამ, რაც მთავარია, მჟავანაძე ვერ მიხვდა სტურუას მოიარებით ნათქვამს და, როგორც ჩანს, არც ძოწენიძის რეპლიკა გაუგონია. მჟავანაძემ სტურუას ნათქვამი თავისებურად გაიგო. მჟავანაძე 1953 წლიდან იყო საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი და მისთვის სტურუას სიტყვებს ასეთი შინაარსი ჰქონდა: მე არავის ვცემდი პატივს, 1953 წლამდე ვინც ყოფილა ცკ-ს მდივანი. ხოლო, რაკი მიმაჩნია, რომ 1953 წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, მაშასადამე, მჟავანაძე მიმაჩნია იმ კაცად, ვინც საქმე გააუმჯობესა.

სტურუა მიხვდა შეცდომას. მიხვდა, რომ მჟავანაძეს ვერ გააგებინა რას ამბობდა და გადაწყვიტა უფრო უბრალო და კონკრეტული მაგალითი მოეტანა ჩემი არასანდოობის დასასაბუთებლად.

სტურუამ გააგრძელა ლაპარაკი: ბაქრაძე წინააღმდეგია, რომ მუშათა კლასის ცხოვრებაზე გადაღებული იქნეს ფილმები. მაგალითად, იგი წარმოებაში არ უშვებდა სიკო დოლიძის სცენარს «ქალაქი ადრე იღვიძებს», რომელიც რევოლუციამდელი თბილისის პროლეტარიატის ცხოვრებას ასახავდა.

ესეც მჟავანაძის გასაღიზიანებლად იყო გამიზნული, რადგან, როცა ს.დოლიძის ფილმი ნახა, მჟავანაძეს იგი ძალიან მოეწონა და აქო. მაშასადამე, ფილმები, რომელიც მჟავანაძეს მოსწონს, მე არ მომწონს, და ეს კი, საბჭოთა ზნე-ჩვეულების თანახმად, უდიდესი დანაშაულია რიგითი მოქალაქისათვის.

როცა სტურუამ ეს სიტყვები თქვა, მე რეპლიკა ვესროლე _ მე, მართალია, წინააღმდეგი ვიყავი «ქალაქი ადრე იღვიძებს გადაღებისა, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ მინდა მუშათა კლასზე გადაიღონ ფილმები, არამედ იმიტომ, რომ მუშათა კლასს არ ეკადრება ამგვარი უსუსური კინოსურათები. როგორც კი ეს ვთქვი, უცბათ მომესმა ცკ-ს მდივნის ჭანუყვაძის წამოძახილი правильно _ მჟავანაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ჭანუყვაძეს. სტურუას აქაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. იგი მკაფიოდ ხედავდა, რომ მჟავანაძის პროვოკაციის ანკესზე წამოგება ვერ მოხერხდა. მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და ჯიუტად ცდილობდა ჩემს გაშავებას ბიუროს თვალში.

მაგის წყალობით ჩაეშვაო წარმოებაში, _ აგრძელებდა სტურუა ჩემს დახასიათებას, _ იდეურად სუსტი სცენარები _ «დიდი მწვანე ველი» და «არაჩვეულებრივი გამოფენა»...

რაკი შევატყვე, რომ ჩემი საკითხი იოლად არ გადაწყდებოდა, გადავწყვიტე, სტურუასათვის აღარაფერი შემერჩინა და ყველაფერზე პასუხი გამეცა. მით უმეტეს, რომ პასუხის უფლებას მაძლევდნენ და არც მჟავანაძე და არც ბიუროს სხვა წევრები ჩემს შეჩერებას არ აპირებდნენ.

თქვენ ცრუ ინფორმაციას აწვდით ბიუროს, _ აღარ დავამთავრებინე აზრი სტურუას, _ «არაჩვეულებრივი გამოფენა» წარმოებაში ჩაუშვით თქვენ და არა მე. მართალია, მე მოვითხოვდი «არაჩვეულებრივი გამოფენის» მიხედვით ფილმის გადაღების დაწყებას, მაგრამ ამის წინააღმდეგი იყო კ/ს დირექტორი თ.გორდელაძე. მას არ მიაჩნდა სცენარი დასრულებულად და მოითხოვდა შესწორებას. ჩემსა და გორდელაძეს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა და მაშინ რეჟისორმა ე.შენგელაიამ მოგმართათ თქვენ საკითხის გადასაწყვეტად. თქვენ წაიკითხეთ სცენარი. მოგეწონათ. მე დამიჭირეთ მხარი და თქვენი განკარგულების თანახმად დაიწყო «არაჩვეულებრივი გამოფენის» გადაღება. ასე რომ, თუ «არაჩვეულებრვიი გამოფენა» ცუდი ფილმია, აქ მე და თქვენ თანაბრად ვაგებთ პასუხს.

სტურუა დაიბნა. კიდევ უფრო გაფითრდა და უცბათ რუსულად იყვირა (მანამდე ქართულად ლაპარაკობდა): . . . . . .[1] (მაშინ ჩეხოსლოვაკიაში დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა რუსებისა და კომუნისტების წინააღმდეგ). ეს უკვე მეტისმეტი იყო. მჟავანაძე წამოხტა, მაგიდას ხელი დაარტყა და სტურუას დაუყვირა . . . . . [1] და გულგახეთქილმა სტურუამ თივით გატენილ ტომარასავით მოადინა ზღართანი სკამზე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არავინ იღებდა ხმას. კარგა ხნის დუმილის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ.ჯავახიშვილმა თქვა _ კარგი, დავაკმაყოფილოთ კულტურის განყოფილების წინადადება და გავანთავისუფლოთ ბაქრაძე.

გამანთავისუფლეს.

მერე მოგვიანებით გავიგე, რომ ჭანუყვაძესა და სტურუას შორის კონფლიქტი ყოფილა. ჭანუყვაძეს სტურუას ცკ-დან გაგდება გადაუწყვეტია. უნდოდათ ჩემი მოხსნის საკითხიც ამისათვის გამოეყენებინათ: კადრებს არ უფრთხილდება, კადრებს სდევნისო. ამ ბრალდებას უყენებდნენ სტურუას, მან ეს იცოდა და ამიტომ ჰქონდა ფერი დაკარგული. ამიტომ ცახცახებდა. სტურუას ეგონა, რომ მე წინასწარ ვიყავი დარიგებული და ყველაფერს

[1] აქ დედანში ჩაწერილი არ არის რუსული ტექსტები (რედაქ.)

[1] აქ დედანში ჩაწერილი არ არის რუსული ტექსტები (რედაქ.)

ვიტყოდი. მას რომ სცოდნოდა, რომ მე არ ვიყავი საქმის კურსში, უფრო მშვიდი იქნებოდა და თავის დაცვას უფრო ოსტატურად მოახერხებდა. რაკი ეს არ იცოდა, დაბნეული ლაპარაკობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. მაგრამ მე ცკ-ს ინტრიგების შესახებ არაფერი ვიცოდი და კომედიაში ის როლი ვერ შევასრულე, რომელიც დამაკისრეს. მართალია, მაშინ სტურუა გადარჩა, მაგრამ მალე მაინც გამოაგდეს ცკ-დან. ჭანუყვაძე დაემუქრა _ ლენინის ტომებში ჩაგაღრჩობო და მართლაც მერე მთელი სიცოცხლე ИМЛ–ის დირექტორი იყო.

## ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს

გადმომცეს, რომ ასო ბ-ანზე ენციკლოპედიაში უნდა შემიყვანონ მეც. ჩემი ღრმა რწმენით, ენციკლოპედია არ არის უბრალო ცნობარი, რომელიც ამა თუ იმ პირის ვინაობასა და საქმიანობას აუწყებს მკითხველს. უპირველესად ენციკლოპედია ერის კულტურის უმაღლეს დონეს გამოხატავს. მე კი ჯერ არაფერი გამიკეთებია ისეთი, რაც ქართული კულტურის დონეს გამოხატავდეს. თუ ოდესმე, ჩემი ცხოვრების მანძილზე, რაიმე ღირებულების გაკეთება მოვახერხე, მას ჩემი სიკვდილის მერეც გაიხსენებენ და, თუ საჭირო იქნება, ენციკლოპედიაშიც შეიტანენ. უდიდეს უზნეობად მიმაჩნია «გაუკვდავებისათვის» ბრძოლა და უსაზღვრო უტიფრობად გალაკტიონისა და კ.გამსახურდიას გვერდით ენციკლოპედიის ფურცლებზე ყოფნა.

ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, იმ კანდიდატთა სიიდან, რომელნიც ენციკლოპედიაში უნდა შევიდნენ, მე ამომიღოთ.

1975 წ., 12 მარტი

## Туризм – лучший вид отдыха!

რეკლამა ჩაგვჩიჩინებს _ Туризм – лучший вид отдыха. რეკლამა ჭკვიან კაცს ატყუებს და სულელს ხომ სულ თავის ნებაზე აცუცურაკებს. მეც ავტროკტი და ტურისტული საგზური შევიძინე. დიდი რიხით, გაყოყოჩებული გამოვცხადდი თბილისის აეროდრომზე თერთმეტ საათზე ჩავჯექი ლენინგრადისაკენ მიმავალ თვითმფრინავში და...

ვსხედვართ თვითმფრინავში და ველით, ახლა აფრინდება თვითმფრინავი, ახლა აფრინდებაო... მაგრამ იგი დგას და არ იძვრის. თუ იკითხავ, რატომ არ მივდივართო, ერთს დაცინვით შემოგხედავენ და გვერდით ისე ჩაგივლიან, თითქოს კაცი კი არა, გუდურა იყო. უსიტყვოდ გეუბნებიან ეგდე შენს ადგილს, როცა საჭირო იქნება გავფრინდებითო. არადა თვითმფრინავში ცხელა. იქ ყოფნა თანდათანობით აუტანელი ხდება. ოფლი წურწურით ჩამოსდით მგზავრებს. ვისაც ძალიან გაუჭირდა, წამოდგა და თვითმფრინავის კარებში ჩადგა. გარეთ ნიავია და სული უნდა მოითქვას. თვითმფრინავის კარებთან თანდათანობით იჭედება ხალხი. სალონში კიდევ უფრო ჩამოცხა. მსხდომარენი ყვირიან: გაიწით, შემოუშვით ჰაერი,

დავიხრჩვით. კარებში გაჭედილები ადგილიდან არ იძვრიან. ეგოიზმი თანდათანობით ბატონდება. ადამიანს ავიწყდება მოყვასი. მარტო თავისთავზე ფიქრობს.

_ გაიწით, შემოუშვით ჰაერი. _ ყურს არავინ აბარტყუნებს. თვითმფრინავი კი ისევ დგას და არსად გაფრენას არ აპირებს. სალონში საქმიანი სახით მიმოდიან ეკიპაჟის წევრები. რაიმეს კითხვას აზრი არა აქვს. სულერთია, პასუხს არ მოგცემენ.

უცებ თბილისური კოკისპირული წვიმა დაიწყო. გაგვიხარდა, მივხვდით, რატომ აყოვნებდა თვითმფრინავი და არ მიფრინავდა. საფრენი ამინდი არ ყოფილა. წვიმა გადაიღებს და ჩვენც, ჰაიდა, ქრიალ-ქრიალით ავვარდებით ზეცაში.

წვიმა კი უმატებს და უმატებს. ივლისის მცხუნვარე დღე წვიმამ გააგრილა. გარეთ ყოფნა საამოა, მაგრამ ჩვენ რა _ ჩვენ სავარძლებში უნდა ვისხდეთ და ველოდოთ, როდის გადაიღებს ლესტერი.

თვითმფრინავში აუტანლად ცხელა. კარებში კი ისეა ხალხი გაჭედილი, ნემსს ვერ შემოაძვრენს კაცი.

როგორც იქნა გადაიღო. ცაც მოიწმინდა. აფართქალდა იმედი: ახლა კი ნამდვილად გავფრინდებით.

მოულოდნელად აცხადებენ: Самолет не полетит. Пересядьте в другой. სიცხით გათანგული და გაოგნებული ოფლში დამბალი და გაწუწული ხალხი წამოვარდა და კარებს ეცა. სტუარდესა აყვირდა: сперва выходит второй салон. ვინ უგდებს ყურს პირველიც და მეორე სალონიც ერთად გარბის. ყველას ეჩქარება გარეთ გავარდნა და სუფთა ჰაერით სუნთქვა. სტუარდესა სადღაც კუთხეში მიჭეჭყეს და ძლივსღა ისმის მისი ხავილი: сперва выходит второй салон.

გარეთ გავაღწიეთ და მეორე თვითმფრინავის ტრაპისაკენ გავქანდით. სტუარდესებმა გზა გადაგვიღობეს და დაცდა გვიბრძანეს.

ვიცდით.

ნაწვიმარზე ცივი ნიავი ჰქრის. წელან გაუძლის სიცხეში ვისხედით. ახლა გაშლილ აეროდრომზე ვდგავართ და ჩვენს ოფლში გახვითქულ სხეულებს ცივი ნიავის ქროლა ავად აჟრჟოლებს. აქა-იქ დაცხიკვების ხმებიც გაისმა.

_ გაგვიჩნდა ფილტვების ანთება! – ყვირის ვიღაც.

_ შეგვიშვით თვითმფრინავში!

_ წელან სიცხემ დაგვწვა, ახლა სიცივე გაგვყინავს!

ტრაპზე გაქვავებული სახეებით დგანან სტუარდესები და არსად გვიშვებენ.

ხალხი უკმაყოფილოდ ბურტყუნებს. ნერვიულად მიმოდიან. მხოლოდ ახლადჯვარდაწერილი ქალ-ვაჟი დგას მოშორებით გაუნძრევლად. თითქოს ნელი ტანგო უნდა იცეკვონო, ისე მიწებებიან ერთმანეთს და სახეში შეშტერებიან. მათ არ აწუხებთ ხალხის ჩოჩქოლი, სიცხე და სიცივე.

_ Сперва входит первый салон. Кто из первого салона? _ ყვირის სტუარდესა და ხალხს ტრაპზე გზას უღობავს. Стоять и не двигаться! _ ბრძანებს ის. ხალხი შედგა და ისევ აბურტყუნდა. ახლადჯვარდაწერილები ისევ ტანგოს მოცეკვავეთა პოზაში გაირინდნენ და ერთმანეთს უძრავი სახეებით მიაშტერდნენ.

გადის დრო, ქრის ცივი ნიავი, ცხინკვების ხმა გახშირდა, მობუზული ხალხი ტანზე იხვევს, ვის რისი საშუალებაც აქვს და ელის, როდის შეუშვებენ თვითმფრინავში.

1980 წ.

## ჩანაწერები

1978 წელს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა _ 24 აპრილის გრანდიოზული მანიფესტაცია ქართული ენის ღირსების დასაცავად და აფხაზეთში აფსართა[1] მორიგი პროვოკაციული გამოსვლები.

– – – – – – – – –

ვიდრე კონსტიტუციის პროექტს გამოაქვეყნებდნენ, შეკრიბეს საზოგადოების წარმომადგენლები და წინასწარ მოხდა მათთან გასაუბრება. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ თქვა: «ეს კონსტიტუცია არსებითად არ განსხვავდება 1936 წლის კონსტიტუციისაგან, ოღონდ აღარ არის მუხლი, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული». მე გამოვედი სიტყვით და ვთქვი: «მართალია, ამ მუხლს რეალური ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ მას იურიდიული მნიშვნელობა აქვს და მას ჩვენი საზოგადოება ვერ დათმობს. მე შევეცდები წინააღმდეგობა გავუწიო ამას». ჩემს გამოსვლას მოჰყვა გაცხარებული კამათი, გამიბრაზდნენ და მეტიჩრობად ჩამითვალეს. იმავე საღამოს ცკ-ს იმავე მუშაკმა ტელევიზიაში ჩაატარა თათბირი და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ გადაწყვეტილების პროგრესიულობას ბაქრაძეც ვერ მიხვდა და რომ ჩვენ ასეთი აზრი არ უნდა გავიზიაროთო. ამ მოწოდებამ ხალხი მეტად დააფიქრა, რომ არაფერი ეთქვა, შესაძლოა ხალხს არ მიექცია ყურადღება. ბევრმა აღნიშნა შემდეგ, რომ ჩვენ არ წაგვეკითხა ეს პროექტი, მაგრამ რადგან მსჯელობა დაიწყო, ამიტომ მივაქციეთ ყურადღება და წინააღმდეგობა გამოვხატეთო. შემდეგ შევარდნაძემ ჩაატარა თათბირი, იქაც გამოვედი და გამოვთქვი ჩემი აზრი. შევარდნაძემ უკმაყოფილება გამოხატა. ამან საშუალება მისცა სხვა გამომსვლელებს, რომ კონსტიტუციის ნაცვლად ჩემზე ელაპარაკათ და მე ველანძღე. ისე შემომიტიეს, რომ ბოლოს ისევ შევარდნაძემ დამიცვა და თქვა: «მე მოხარული ვარ, რომ ბატონმა კაკომ თავისი აზრი გულწრფელად გამოხატა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და გთხოვთ, აქედან რომ გახვალთ, ქუჩაში არ ჩაქოლოთო». ამ ხუმრობით განმუხტა სიტუაცია. ეს ამბები გახმაურდა და აქტიური წინააღმდეგობა დაიწყეს უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში, ენათმეცნიერების, ისტორიის ინსტიტუტში, თეატრებში.

– – – – – – – – –

მე არ ვიცი, რა პროცესები წარიმართა შიგნით, მაგარმ ის, რომ მოსკოვმა ჩვენს სასარგებლოდ დათმო, ეს შინაური პოლიტიკით მოხერხდა. მე მგონი კონტაქტები და

[1] აფსუას შესატყვისად ქართულად აფსარი უნდა ვიხმაროთ. აფხაზი ქართული ტომია. აფსარი (აფსუა) ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული (დაწვრილებით იხილეთ 1994 წლის 19 მაისის «საქართველოს რესპუბლიკაში» ალ.ონიანის ნარკვევი «აფხაზეთი უძველესი ქართული მიწაა!»)

მუშაობა ამ საკითხზე მოსკოვთან მთელი განხილვის პერიოდში მიდიოდა, მაგრამ გადაწყვეტილება იმ დღეს მოვიდა. მოსკოვი უყურებდა, თუ გამწვავდებოდა საქმე, მაშინ დათმობდნენ, თუ არ მოჰყვებოდა მღელვარება და მარტო ლაპარაკის დონეზე დარჩებოდა, მაშინ არ დათმობდნენ. თუ არ იქნებოდა სტუდენტთა გამოსვლა, არაფერი შეიცვლებოდა.

– – – – – – – – –

თავისთავად პოლიტიკოსის მდგომარეობა და საქმიანობა რთულია. ალბათ ათჯერ და ოცჯერ რთული დაპყრობილი ქვეყნის ხელმძღვანელის მდგომარეობა, როცა პირადად არაფრის გადაწყვეტის საშუალება არა აქვს. ერთხელ ერთ-ერთი მწერლის გამოსვლაზე შევარდნაძე გაბრაზდა და თქვან: «თქვენ მართლა ხელისუფალი ხომ არ გგონივართ, მე ერთი ჩინოვნიკი ვარ, რომელსაც ზევით უამრავი უფროსი ჰყავს. თითოეული თქვენგანი უნდა ზომავდეს, რას ამბობს და როგორ ამბობს. ახლა შერბიცკის უბრძანეს ერთი უკრაინელი მწერლის დაპატიმრება. მას სხვა გზა არ ჰქონდა და დააპატიმრა. მეც რომ ამგვარ მდგომარეობაში ჩავვარდე, რა ვქნა? მწერალი უნდა დაფიქრდეს ამაზე, უნდა იცოდეს სად რა თქვას».

## თათბირები საქართველოს კპ ცკ-ში

1978 წის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგემ გიორგი ბედინეიშვილმა თათბირი ჩაატარა. თათბირს კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძეც ესწრებოდა. მიწვეულნი იყვნენ შემოქმედებითი კავშირების მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები. თათბირს პროპაგანდის გამგემ მოახსენა:

_ ხვალ, 24 მარტს, პრესაში გამოქვეყნდება საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მის განხილვას. რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს იგი. ახალი კონსტიტუცია არსებითად იგივეა, რაც ძველი, მაგრამ არის ერთი ცვლილება: ამოღებულია მუხლი, სადაც ეწერა _ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული _ და მის მაგიერ შეტანილია 75-ე მუხლი, რომელიც ამგვარად გახლავთ ჩამოყალიბებული და გ.ბედინეიშვილმა წაიკითხა 75-ე მუხლი.

«საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველჰყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებებში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება».

(საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდილია 1978 წლის 24 მარტის გაზეთ «კომუნისტში»).

როცა ამ მუხლის კითხვა დამთავრდა, დარბაზში უკმაყოფილების ჩურჩული გაისმა. ჯანსულ ჩარკვიანმა პროპაგანდის გამგეს კითხვა მისცა: _ რამ, რა აუცილებლობამ გამოიწვია მუხლის შეცვლა? გ.ბედინეიშვილმა მიუგო: _ ძველ, 1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხურია სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთიან მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს 76-ე მუხლი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ. ჩაწერეს 75-ე მუხლი. ისიც უნდა გითხრათ, რომ, გარდა საქართველოსა და სომხეთისა, 75-ე მუხლი არ არის არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ამით სკკპ-ის ცკ-მა ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა ქართულ და სომხურ ენების მიმართ.

როცა პროპაგანდის განყოფილების გამგემ პასუხი დაამთავრა, სიტყვა ვითხოვე და ვთქვი: ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია აღვადგინოთ ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში და ამოვიღოთ ეს საეჭვო 75-ე მუხლი.

რატომღაც ჩემმა სიტყვებმა გაანაწყენა გ.ბედინეიშვილი და მკაცრად მიპასუხა: _ ამ პროექტს შენზე არანაკლებ განათლებული და საქმეში ჩახედული ადამიანები წერდნენ. არც შენზე ნაკლები პატრიოტია აქ ვინმე. მეც გავღიზიანდი და შევეპასუხე _ გიორგი, ჩვენ ძველი ამხანაგები ვართ და კარგად იცი, რომ არც განათლებულობაში ვეჯიბრები ვინმეს და არც პატრიოტობაში. მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ 75-ე მუხლი თაღლითური მუხლია და არავინ მოტყუვდება. მისი ნამდვილი აზრი ჩვენც კარგად გვესმის და მას ხალხიც ჩინებულად გაიგებს. არაფრით არ შეიძლება საქართველოს კონსტიტუციაში არ ეწეროს _ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული. ეს მუხლი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს კონსტიტუციაში.

დარბაზში ვითარება დაიძაბა. მაშინ გიორგი ნატროშვილმა ითხოვა: აქ მოწვეულთაგან კონსტიტუციის პროექტი არავის წაუკითხავს. თქვენ მხოლოდ ერთი ცვლილება გაგვაცანით, სხვა რა წერია და როგორ, არ ვიცით. ამიტომ გთხოვთ, ჯერ ნუ გამოაქვეყნებთ პროექტს. მოგვეცით საშუალება წავიკითხოთ, ღრმად გავეცნოთ, მოგახსენოთ ჩვენი აზრი. მოისმინეთ იგი. აწონ-დაწონეთ და ამის შემდეგ გამოაქვეყნეთ პროექტი.

_ რუსულ ტექსტში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, _ უპასუხა გ.ნატროშვილს პროპაგანდის განყოფილების გამგემ. _ ქართული თარგმანი კი, ბატონო, დახვეწეთ, დაამუშავეთ, გააშალაშინეთ, არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო, _ და თათბირი დახურულად გამოცხადდა.

მეორე დღეს, 24 მარტს, გაზეთ «კომუნისტში» საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა. იმავე დღეს საქართველოს კპ ცკ-ის სხდომათა დარბაზში დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა: რაიკომის მდივნები, მინისტრები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები და ასე შემდეგ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მხრიდან ესწრებოდნენ ედუარდ შევარდნაძე, ვიქტორია სირაძე, სოლიკო ხაბეიშვილი, გიორგი

ბედინეიშვილი, ჟიული შარტავა. საერთო ინფორმაცია ედ.შევარდნაძემ მიაწოდა შეკრებილ საზოგადოებას. ს.ხაბეიშვილმა და გ.ბედინეიშვილმა კი ილაპარაკეს იმაზე, რომ აუცილებელია კონსტიტუციის პროექტის განხილვა ჩატარდეს ერთსულოვნებისა და საზეიმო ვითარებაში.

როცა ოფიციალურ პირთა გამოსვლები დამთავრდა, ედ.შევარდნაძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა _ რას იტყვითო. დარბაზი დადუმდა. ეტყობოდა, საკუთარი ინიციატივით ლაპარაკის დაწყებას არავინ აპირებდა. მაშინ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი თავად მიუბრუნდა კრების მონაწილეებსა და კითხვები დაუსვა. პირველად განათლების მინისტრს ოთარ ქინქლაძეს ჰკითხა: როგორ არისო საქმე განათლების სამინისტროში? ოთარმა უპასუხა _ განათლების სამინისტრო მზად არის კონსტიტუციის პროექტის განსახილველად. ვფიქრობ, მხარდაჭერაც ერთსულოვანი იქნებაო.

ოთარ ქინქლაძის შემდეგ, ედ.შევარდნაძე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ნელი გურგენიძეს მიუბრუნდა. მასაც იგივე კითხვა დაუსვა, რაც განათლების მინისტრს. ნ.გურგენიძის პასუხიც დადებითი იყო. კრების მესამე მონაწილე, ვისაც ედ.შევარდნაძემ კითხვით მიმართა, გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი.

დავით ჩხიკვიშვილი: ავად ვიყავი და უნივერსიტეტში დღეს მივედი. ამდენად სრულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ კარგად ჩაიაროს. თუმცა გულახდილად უნდა გითხრათ, რომ უკვე შემატყობინეს, რომ როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა შორის არის უკმაყოფილება.

ედ.შევარდნაძე: მაინც რით?

დ.ჩხიკვიშვილი: განსაკუთრებით 75-ე მუხლით, სადაც ენაზეა ლაპარაკი.

ედ.შევარდნაძე: რას ამბობენ, რატომ არ მოსწონთ?

დ.ჩხიკვიშვილი: კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. როგორც გითხარით, ავადმყოფობის შემდეგ, დღეს პირველად მივედი უნივერსიტეტში. ვითარებას ზუსტად გავეცნობი და მოგახსენებთ.

ედ.შევარდნაძე: პირადად თქვენ რა აზრის ხართ, მოგწონთ თუ არა 75-ე მუხლი?

დ.ჩხიკვიშვილი გაჩუმდა. არც ჰო უპასუხა და არც არა.

ედ.შევარდნაძემ საყვედურით შენიშნა, _ თუ თქვენ არ გაქვთ შემუშავებული საკუთარი აზრი, მაშინ, ცხადია, ვერ უხელმძღვანელებთ უნივერსიტეტში კონსტიტუციის პროექტის განხილვას, _ და ისევ შეკრებილთ მიმართა _ კიდევ ვის სურს სიტყვა.

მე ვითხოვე სიტყვა და ვთქვი:

_ პირველად ახალი კონსტიტუციის შესახებ გუშინ მოვისმინე თათბირზე. დღეს დილით უკვე გაზეთშიც წავიკითხე პროექტი. გუშინაც ვთქვი და დღესაც უნდა გავიმეორო _ არ მომწონს და არ ვეთანხმები 75-ე მუხლს. ისიც უნდა გითხრათ: წეღან აქ რომ ზოგიერთი შეუგნებელი ახსენეს, რომელსაც არ ესმის ამ კონსტიტუციის მნიშვნელობა, მე ვარ.

ედ.შევარდნაძე: მაინც კონკრეტულად რა არ მოგწონთ?

მე: მთელი მუხლი. პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე. მე მიმაჩნია, რომ ენის შესახებ კარგად არის ნათქვამი დღესდღეობით მოქმედ კონსტიტუციაში _ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული. მას შეცვლა არ სჭირდება. 75-ე მუხლი კი დამამცირებელი ქვეტექსტის მატარებელია.

ვ.სირაძე: რატომ კითხულობთ კონსტიტუციას ქვეტექსტებით?

მე: ყოველი ტექსტი, მათ შორის კონსტიტუციისაც, ქვეტექსტის მატარებელია. ყველა შეგნებული მკითხველი მოვალეა წაიკითხოს ეს ქვეტექსტი.

ედ.შევარდნაძე: კრიტიკოსის პოზიციიდან ნუ გველაპარაკებით.

მე: კრიტიკოსობა არაფერ შუაშია. უბრალოდ ვცდიობ მკაფიოდ გამოვთქვა აზრი. ხომ ცხადია: მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, არავინ მოსკოვში არ ამოიღებდა ძველი კონსტიტუციიდან მუხლს, სადაც ქართველი ენის სახელმწიფოებრიობაზეა ლაპარაკი და არ ჩაწერდა ახალ 75-ე მუხლს. მაშასადამე, არსებობს ჩანაფიქრი, რაც ქართული ენის წინააღმდეგ არის მიმართული.

(როცა ეს საუბარი მიმდინარეობდა, კრების პრეზიდიუმიდან მესმოდა ხმები _ ვინ ყოფილა ეს, რა უკუღმართი აზროვნება ჰქონია).

ედ.შევარდნაძე: ჩამოაყალიბეთ ეს მუხლი თქვენ და, სიტყვას გაძლევთ, ისე შევიტანთ კონსტიტუციაში.

მე: ვფიქრობ, არაფერია ჩამოსაყალიბებელი. უბრალოდ ძველი კონსტიტუციიდან ახალ კონსტიტუციაში უნდა გადმოვიტანოთ მუხლი, სადაც ნათქვამია: საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული. აზრი ჩამოყალიბებულია სხარტად და მკაფიოდ. მას არც შეცვლა სჭირდება და არც გასწორება.

ედ.შევარდნაძე: ეს შეუძლებელია.

მე: თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგებია: ქართულს კონსტიტუციურად ართმევენ სახელმწიფო ენის ფუნქციას. ჩვენი ხალხიც მოიქცევა მდგომარეობის შესაბამისად.

სიტყვა რომ დავამთავრე და ტრიბუნიდან ჩამოვედი, დარბაზი გააქტიურდა. ზედიზედ გამოვიდნენ კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, მხატვართა, კომპოზიტორთა, მწერალთა კავშირების, ინსტიტუტების წარმომადგენლები. ისინი აკრიტიკებდნენ ჩემს სიტყვას და ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს კონსტიტუციის პროექტს.

მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა ესეც კი თქვა:

არც კი მოველოდი, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი რაიმე აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, იმდენად ბრძნულად არის იგი შედგენილი. მე გამაკვირვა ბაქრაძის გამოსვლამ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული. უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენ კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავსქართულად ლაპარაკს. ეს უდიდესი მიღწევაა. მე ვიცი, მეფის დროს, როგორ გამოუცხადეს მამაჩემს საყვედური იმის გამო, რომ სამსახურში ქართულად დაილაპარაკა. ახლა ეს არ მოხდება, რადგან ქართულად ლაპარაკის უფლება მონიჭებული გვაქვს. ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ

გვჭირდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ერთხმად დაუჭერს მხარს ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ორატორთა უმრავლესობა კონსტიტუციის პროექტს უწოდებდა ილია ჭავჭავაძის ოცნების განხორციელებას (ორატორთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ. დღევანდელ ვითარებაში ეს საჭიროდ არ მიმაჩნია).

იმდენად დიდი იყო ჩემი სიტყვით აღშფოთება, რომ კრების დასასრულს, დასკვნით სიტყვაში, ედ.შევარდნაძემ ჩემი დაცვა მიზანწეწონილად ჩათვალა. კრების მონაწილეებს მიმართა: აქედან რომ გახვალთ, ბაქრაძე არ ჩაქოლოთ. იგი გულწრფელად ლაპარაკობდა და აქ სწორედ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ გულახდილად გაგვეზიარებინაო ერთმანეთისათვის აზრი. შემდეგ განმარტა, რატომ არ შეიძლებოდა კონსტიტუციაში ქართული ენა მოეხსენებინათ სახელმწიფო ენის სტატუსით. ცნების _ სახელმწიფო ენა _ წინააღმდეგი, თავის დროზე, ლენინი იყოო. მართალია, იგი რუსული ენის შესახებ ამბობდა ამას, მაგრამ მისი დებულება თანაბრად ეხებაო ყველა ენას. ერთადერთი, რასაც მოსკოვში მივაღწიეთ, ეს 75-ე მუხლია. იგი აღარ შეიცვლებაო.

ამით ეს თათბირი დამთავრდა.

(როცა 1978 წლის 24 მარტის საქართველოს კპ ცკ-ში ჩატარებული კრების სტენოგრაფიული ჩანაწერი გამოქვეყნდება, მკითხველი მკაფიოდ დაინახავს, რომ, მართალია, მოკლედ, შეკუმშულად, მაგრამ სრულიად ობიექტურად გადმოვეცი ის, რაც თათბირზე მოხდა).

მომავალი ამბებისათვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა კრების ამბავი.

დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა.

1978 წლის 26 მარტს გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნებული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისაგან მოითხოვდა ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი კონსტიტუციის ახალი პროექტისათვის.

«საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის _ პარტიისა და ხალხის გამოჩენილი შვილის ლ.ი.ბრეჟნევის გარშემო».

აქტიურად ამოქმედდა პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი. იგი ყველა ღონეს ხმარობდა ზეგავლენა მოეხდინა ადამიანებზე, დაებნიათ და დაეშინებინათ ისინი.

თანამდებობის მქონე პირებს ემუქრებოდნენ მოხსნით.

აწყობდნენ ნაუცბათევ და სახელდახელო კრებებს. მაგალითად, მწერალთა კავშირში ორჯერ ჩატარდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განხილვა. 1978 წლის 31 მარტს «ლიტერატურული საქართველო» იუწყებოდა, რომ მწერალთა კავშირმა მოაწყოო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. სიტყვებით გამოვიდნენო მწერლები ნოდარ დუმბაძე, იონა ვაკელი, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი. ნოდარ წულეისკირი, რევაზ

ჯაფარიძე. «ლიტერატურული საქართველო» დასძენდა: «მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები».

არ არის ეს ინფორმაცია სიმართლის მაუწყებელი. ჯერ ერთი, ეს არ ყოფილა მწერალთა კრება. ეს იყო კრება მწერალთა სახლის მომსახურე პერსონალისა. ამ კრებას დაესწრო მხოლოდ რამდენიმე მწერალი, რომელიც იმ დროს შემთხვევით აღმოჩნდა მწერალთა სახლში. მეორეც, მწერლებს არ მოუწონებიათ კონსტიტუციის პროექტი. პირიქით, მწერლების იონა ვაკელის, მურმან ლებანიძის, ნოდარ წულეისკირის მძაფრ-კრიტიკული გამოსვლის შედეგად, კრება სასწრაფოდ შეწყვიტეს და არც რაიმე დადგენილება მიუღიათ.

ამის გამო იყო, რომ 12 აპრილს მწერალთა კავშირში ხელმეორედ ჩატარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ვინ არ გამოვიდა მაშინ სიტყვით (გვარებს აღარ ჩამოვთვლი, რადგან აუცილებლად მიმაჩნია ამ კრების სტენოგრაფიული ჩანაწერის გამოქვეყნება. საერთოდ, მეტად მიზანშეწონილია შეგროვდეს ყველა ის სიტყვა, რომელიც ითქვა ენათმეცნიერების, ისტორიის, ლიტერატურის ინსტიტუტებში, საქართველოს ისტორიის მუზეუმში, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებებში და გამოიცეს ცალკე წიგნად. ეს ყველაფერი სრულ წარმოდგენას მოგვცემს იმჟამინდელ მამულიშვილურ განწყობილებაზე. იმ შეუპოვრობაზე, რითაც ქართველი საზოგადოება თავის ღირსებას იცავდა). ვერ ვიტყვი იმას, რომ მწერალთა კრებაზე კონსტიტუციის პროექტს მხარდამჭერი არ ჰყავდა. რა თქმა უნდა, ჰყავდა, მაგრამ უმრავლესობა პროექტს საფუძვლიანად აკრიტიკებდა და თვლიდა, რომ იგი, განსაკუთრებით 75-ე მუხლი, ქართველი ხალხის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დოკუმენტი იყო.

მწერალთა კავშირის კრებაზე შექმნილი ატმოსფეროს წარმოსადგენად მოვიტან ნაწყვეტებს ნ.წულეისკირის სიტყვებიდან.

«კონსტიტუციურად გაფორმდა უკანონობა და უსამართლობა, რასაც წლების მანძილზე მისდევდა საქართველოს მთავრობა.

ამით კანონდება ორენოვნება. რატომ ივიწყებენ ლენინს: «რუსულის ძალით დამკვიდრება გაამწვავებს მტრობას».

ქართველს დღევანდელ საქართველოში ისეთივე უფლება მიეცა, როგორც ემიგრანტებს საფრანგეთში.

ქართველებს საყუდარი არსად აქვთ. ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მიწაში საფლავი გაითხარონ.

ეს ცვლილებები კონსტიტუციაში წინასწარ დასახული პროგრამაა. ესაა ენების დაახლოვების შედეგად ფუძე ენის, რუსული ენის საფუძველზე ერთი ენის შექმნა.

ერები და ენები კაცობრიობის სიმდიდრეა.

ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს. ცალ ხელში ხმალი ეჭიროს, მეორე ხელში – კალამი. თუ ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას.

ისეთ ვითარებას გვიქმნიან, რომ ვიცრუოთ. ერთი კაცის სიცრუე კიდევ დასაშვებია. ტოტალური არა. მწერლობამ სიმართლე უნდა თქვას, გინდა ჯვარს აცვან».

სამწუხაროდ, დასასრულს მწერალთა კავშირის კრება აირია და რაიმე გადაწყვეტილება-დადგენილების მიღება ვერ მოახერხა.

პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი ცდილობდა საზოგადოება დაექსაქსა. იწვევდნენ დაწესებულებათა არა საერთო კრებებს, არამედ განყოფილებების, ლაბორატორიების, კათედრების, საამქროების მიხედვით ცალცალკე. ხალხს არ აძლევდნენ საშუალებას ერთმანეთისათვის მხარი დაეჭირათ.

საქმეში ხშირად ერეოდა სუკ-იც. მაგალითად, უნივერსიტეტის ლექტორთა პროტესტი დაიწერა, მას ორმოცი კაცი აწერდა ხელს. ეს წერილი გაიგზავნა საკონსტიტუციო კომისიაში. მაგრამ სტუდენტებს, რომელთაც წერილი მიჰქონდათ, დაეწია უნივერსიტეტის ერთი ლექტორი (სხვათა შორის, ისიც აწერდა ხელს ამ პროტესტს), სუკ-ის თანამშრომლებთან ერთად, და ყმაწვილებს წერილი წაართვეს.

სტუდენტები უფრო ეშმაკურად იქცეოდნენ. ისინი რამდენიმე ეგზემპლარად ადგენდნენ საპროტესტო წერილებს. რექტორატისა და პარტკომის მოთხოვნისამებრ ერთ ეგზემპლარს მათ აბარებდნენ, მეორე კი საკონსტიტუციო კომისიაში მიჰქონდათ. რექტორატსა და პარტკომს რომ ეგონათ ყველაფერს ჩვენ ვაკონტროლებთ, ყველაფერი ჩვენ ხელთ არისო, იმ დროს სტუდენტთა საპროტესტო წერილები დასტა-დასტა ეწყობოდა საკონსტიტუციო კომისიაში.

ასევე აკეთებდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც.

14 აპრილიც მოვიდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიაც დაიწყო. უნივერსიტეტის ეზოში ზღვა ახალგაზრდობაა თავშეყრილი. მიმდინარეობს ხვეწნა-მუდარა _ ჯერ ნუ წახვალთ. დარჩით აუდიტორიებში. იქნებ უმაღლესი საბჭოს სესიამ ის გადაწყვეტილება მიიღოს, რაც თქვენ დაგაკმაყოფილებთ. სტუდენტები დრტვინავენ. მათ არ სჯერათ დაპირებების. არადა, შიშიც ბუნებრივია. თბილისის ქუჩები, შუკები, ფოლორცები საბჭოთა არმიის რაზმებით არის გაჭედილი. ყველგან დგას საომარი ტექნიკა. საკმარისია განკარგულება და გაუგონარი ხოცვა-ჟლეტვა ატყდება.

მილიცია (მართალია, არაგულმოდგინედ) ცდილობდა ხალხი მთავრობის სახლისაკენ არ გაეშვა. მართლაც დაახევინეს უკან უნივერსიტეტის მეორე კორპუსისა და საავადმყოფოსაკენ (ე.წ. «სამკურნალო კომბინატისაკენ»).

ასე, პირველის ნახევარი იქნებოდა, საავადმყოფოს წინ უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მწკრივად დაეწყვნენ, ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და მთავრობის სასახლისაკენ დაიძრნენ. მათ უკან უთვალავი ადამიანი გამოჰყვა. მოდიოდნენ ისინი და მელიქიშვილისა და რუსთაველის ქუჩების პერპენდიკულარული ქუჩებიდან უერთდებოდა და უერთდებოდა ხალხი. ადამიანებით სავსე და გაჭედილი რუსთაველის პროსპექტი უკვე აპრილის მტკვარს ჰგავდა. ამ ხალხის შეჩერება ჩვეულებრივი ძალით უკვე აღარ შეიძლებოდა.

ხალხის თავზე აღმართული იყო სისხლისფერი ასოებით დაწერილი ტრანსპორანტები _ აი, ია! ქართული ენა _ სახელმწიფო ენა! ილიასა და აკაკის ენა _ სახელმწიფო ენა! დედაენა!

მთავრობის სახლიდან მძლავრი რეპროდუქტორებით გადმოიცემა სესიის სხდომა. სულ ტყუილი ლაპარაკია. სესიაზე მსხდომმა დეპუტატებმაც და ქუჩაში აბობოქრებულმა ხალხმაც

ჩინებულად იციან _ არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს სესიას. გადაწყვეტილება იქნება ისეთი, როგორი განკარგულებაც მოვა მოსკოვიდან.

თბილისსა და მოსკოვს შორის უწყვეტი სატელეფონო კავშირია. ჯერ არც იქ იციან, როგორ მოიქცნენ: დაუთმონ ქართველ მანიფესტანტებს, უკან დაიხიონ, აღიარონ ქართული ენა სახელმწიფო ენად თუ ცხელი ტყვიით გაუმასპინძლდნენ გათავხედებულებს, თავისი გაიტანონ და ამით მოათავონ საქმე?

ედ.შევარდნაძე ტაატით კითხულობს მოხსენებას. ფეხს ითრევს. მოსკოვის პასუხს ელის. არ უნდა იმის წაკითხვა, რაც მის მოხსენებაში წერია. თუ წაიკითხავს იმას, რაც მოხსენებაში წერია, არავინ უწყის, რას იზამს გამძვინვარებული ხალხი. არადა, რამდენ ხანს უნდა გაჭიანურდეს მოხსენების კითხვა? გარეთ, ქუჩაში, ხალხს მოთმინების ფიალა ევსება. შიგნით, მთავრობის სახლში, დეპუტატების გულის კანკალით ელიან მოსკოვიდან პასუხს.

ჰაერი გაჟღენთილია მოლოდინით: რა მოხდება _ განმეორდება 1956 წლის 9 მარტი თუ ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება?

უცბათ ჩოჩქოლი ატყდა. მთავრობის სახლიდან გამოვიდა და მანიფესტანტებისაკენ გამოემართა ედუარდ შევარდნაძე თანმხლები პირებით. იგი მანქანასთან გაჩერდა, მიკროფონი აიღო და იკითხა: _ გესმით? გესმით? არაფერი ისმოდა. ცალკერძ დემონსტრანტთა გნიასი იდგა. ცალკერძ რეპროდუქტორები ყვიროდნენ. _ გამოთიშეთ რადიო, არაფერი ისმის, _ გასცა განკარგულება.

რეპროდუქტორები გაჩერდნენ. _ შვილებო! _ მკაფიოდ გაისმა ედ.შევარდნაძის ხმა. იგი შეჩერდა. პაუზა გააკეთა. აქა-იქ უკმაყოფილო ბუზღუნი გაისმა, მაგრამ ხალხი მალე დაწყნარდა და სმენად გადაიქცა. _ საქართველოში ყოველთვის იყო და იქნება ქართული სახელმწიფო ენა! – თქვა მან.

ამ სიტყვებს ხალხი «ვაშას» ყიჟინით შეხვდა.

მოსკოვმა უკან დაიხია, დათმო. რატომ? 1978 წლის 4 მაისს სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ლ.ბრეჟნევი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიემგზავრებოდა ვიზიტად (ჩავიდა კიდეც). თუ მოსკოვი არ დათმობდა, თბილისში სისხლიან სასაკლაოს მოაწყობდა, მაშინ ვიზიტი ჩაიშლებოდა. სისხლში ამოთხვრილ ბრეჟნევს გფრ-ში არავინ შეუშვებდა. ეტყობა, მოსკოვში იმსჯელეს _ რა სჯობდა ვიზიტის ჩაშლა თუ ქართველებისათვის ანგარიშის გაწევა? გონივრული დასკვნა გააკეთეს: თუ ქართველებს დაუთმობდნენ, მოსკოვი ამით არაფერს აგებდა. კონსტიტუციაში ქართულის სახელმწიფო ენად აღიარებას ფორმალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. პრაქტიკულად მას (ქართულ ენას) ეს ფუნქცია მაინც არ ექნებოდა. თუ ვიზიტი ჩაიშლებოდა, ეს კრემლისათვის დიდი პოლიტიკური მარცხი იქნებოდა.

ჩანს, უკანდახევა და დათმობა ამ ვითარებამ განაპირობა. მაგრამ მოსკოვმა მაინც იეშმაკა. სახელმწიფო ენის სტატუსი მარტო ქართულს კი არ მიანიჭა, არამედ _ სომხურსაც სომხეთში და აზერბაიჯანულსაც აზერბაიჯანში. ამით მოსკოვმა მთელ სსრკ-ის მოსახლეობას უთხრა _ კრემლს ქართველთა ჭირვეულობის არ შეშინებია. უბრალოდ, ამგვარი პოლიტიკა სცნო მიზანშეწონილად ამიერკავკასიაში.

14 აპრილის ვნებათაღელვა ბოლომდე დამცხრალი არ იყო, რომ 29 აპრილს, «პეპოს» პრემიერის დროს, რუსთაველის თეატრში პროკლამაციები გადმოყარეს. სასკოლო, უჯრებიანი რვეულის ფურცლებზე ბავშვური ხელით ეწერა: თავისუფლება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას!

ერთი ალიაქოთი ატყდა. თეატრი გაივსო სუკ-ისა და საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის თანამშრომლებით. აქეთ-იქით დაწრიალებდნენ. ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ჯერ თეატრის ყველა გასასვლელის ჩაკეტვა მოინდომეს. როგორც მაყურებელთა, ისე თეატრის პერსონალის გაჩხრეკვა უნდოდათ. მერე მიხვდნენ, რომ ისინი, ვინც პროკლამაციები გადმოყარა, თეატრში უკვე აღარ იქნებოდნენ. წავიდოდნენ. ჩხრეკა კი კიდევ უფრო მეტად გააღიზიანებდა ადამიანებს და პროკლამაციასაც მეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა. ჩხრეკაზე უარი თქვეს. სპექტაკლის მერე მაყურებლებმა მშვიდად გასწიეს შინისაკენ. სუკ-ის აგენტები ერთხანს კიდევ დაეძებდნენ რაღაცას. მერე ისინიც გაიკრიფნენ. ინციდენტი არ გაუხმაურებიათ.

ბუნებრივია, იმხანად თეატრისათვის აღარავის ეცალა, აღარც მაყურებელს და აღარც რეჟისორ-მსახიობებს. ყველა, ვინ აქტიურად და ვინ პასიურდა, კონსტიტუციის პრობლემებით იყო დაკავებული (თეატრში, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, რეჟისორი ნანა ხატისკაცი და მსახიობი რუსლან მიქაბერიძე გამოვიდნენ განსაკუთრებით საყურადღებო სიტყვებით).

## 14 აპრილის ქრონიკა

დაახლოებით ორი თვით ადრე საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის ე.შევარდნაძის თანაშემწემ, ცეკას წევრმა ვლ.ალფენიძემ (ლადო ბახტრიონელმა) ერთ-ერთ თავის ახლობელს უთხრა: არ ვიცი რა ვქნათ, მოსკოვი გვაძალებს, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ამოვიღოთ მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ.

24 მარტს გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნდა საქართველოს სსრ-ს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მოქმედი კონსტიტუციიდან, მასში მუხლი ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ არ არსებობდა, მის ნაცვლად იყო მუხლი 75, არაფრის მთქმელი და წინააღმდეგობრივი.

ეს წინააღმდეგობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ იმ დღეებშივე თავის სატელევიზიო გამოსვლაში (თბილისის ტელევიზიით) საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ე.შევარდნაძემ საგანგებოდ გამოყო 75-ე მუხლი, როგორც ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი დადასტურება, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ მისი ფორმულირება, განსაკუთრებით კი სიტყვა «ხმარება» მოითხოვსო შემდგომ სტილისტურ დაზუსტებას.

24 მარტს დილის გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. იმავე საღამოს გაზეთებმა, რომლებიც 6-7 საათზე იყიდება, გამოაქვეყნეს ანგარიშები თუ როგორ ერთხმად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი თბილისის ხორცკომბინატსა და სტალინის სახელობის ელმავალშემკეთებელ ქარხანაში.

ამ სპექტაკლის მომწყობთ ისიც კი დაავიწყდათ, რომ რადგან მუშები ამ დღესაც ისევე მუშაობენ, როგორც სხვა დღეებში, დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხებდნენ არამთუ წაკითხულზე დაფიქრებას, არამედ მის წაკითხვასაც კი.

მაგრამ ეს ორგანიზებული განხილვა-სპექტაკლი მალე თვით დამდგმელების საწინააღმდეგოდ შებრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ ადმინისტრაციული აპარატი ყოველმხრივ ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა, დაეშინებინა და დაებნია ადამიანები. ასეთი დამოკიდებულება იგრძნობოდა ცენტრალურ კომიტეტში საგანგებო თათბირზე გამოძახებულ თანამდებობების მიმართ, შემდეგ იგი მძაფრდებოდა და უფრო და უფრო მახინჯ ფორმებს ღებულობდა უფრო დაბალ ინსტანციებში: შემთხვევითი ხალხით კრების ნაუცბათევად მოწყობა თუ სხვა საათზე დანიშვნა და სხვაზე ჩატარება, ჩატარება არა საერთო კრებისა, არამედ განყოფილებებში, ლაბორატორიებში, კათედრებზე თუ საამქროებში ჩატარება კრებისა, და ამდენად ხალხის დაქსაქსვა წინასწარ მომზადება გამომსვლელების, კრიტიკით გამომსვლელთა პრესტიჟის დამოკიდებულება, კრებათა ოქმების ფალსიფიცირება თუ გადამალვა, ყოველი ღონისძიებით თავზე მოხვევა ოფიციალური აზრისა _ იყო გეგმაზომიერი, მოფიქრებული და შორს გამიზნული პოლიტიკა.

თუმცაღა ფორმალურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, სადაც წერია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა «უზრუნველყონ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი, ნამდვილად საქმიანი და საყოველთაო-სახალხო განხილვა მშრომელთა კოლექტივების კრებებზე და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებში (გაზ. «კომუნისტი», №72, 1978, 26 მარტი), მაგრამ ისევე, როგორც ბევრი სხვა გადაწყვეტილება, ესეც ქაღალდზე დარჩა მხოლოდ, რეალურად კი საქმე საწინააღმდეგო იყო.

და მაინც, მიუხედავად ამისა, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად ძალზე მცირე დრო იყო გამოყოფილი (სამი კვირა) ხალხმა, ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ საკმაოდ მკვეთრად გამოთქვა თავისი აზრი და აიძულა რაკეტებით ზურგგამაგრებული კრემლის მთავრობა დაეთანმხებინა თავის სურვილზე, შეაცვლევინა პროექტი კონსტიტუციისა და მოქმედი კონსტიტუციის ფორმულირება დაეტოვებინა ძალაში.

თუმცაღა პრესაში _ გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში ერთი სიყვაც არ იყო თქმული იმაზე, რომ ბევრი დაწესებულება წინააღმდეგი იყო კონსტიტუციის პროექტის ამა თუ იმ პრინციპულად მნიშვნელოვანი მუხლისა.

იმავე თათბირზე «საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის _ პარტიისად ა ხალხის გამოჩენილი შვილის ლ.ი.ბრეჟნევის გარშემო» (გაზ. «კომუნისტი», 26 მარტი, 1978, №72).

როგორც განხილვამ და 14 აპრილმა ცხადყო ხალხი მკვეთრად დაუპირისპირდა კომპარტიის ცეკასაც, მის პოლიტბიუროსაც და პირადად ლ.ი.ბრეჟნევსაც.

მწერალთა კავშირში კონსტიტუციის განხილვა ორჯერ შედგა, პირველად ნაუცბათევად, 26 მარტს, დილით, დაუძახეს კავშირში მომსახურე პერსონალს. კრებაში მონაწილეობა მიიღო, იქვე, შემთხვევით მყოფმა რამდენიმე მწერალმაც. ნოდარ დუმბაძემ და ჯანსულ ჩარკვიანმა მოიწონეს პროექტი, ხოლო როდესაც პროექტის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ ნოდარ წულეისკირი, მურმან ლებანიძე, იონა ვაკელი, როცა შეიქმნა საშიშროება დაუგეგმავი პრეცედენტისა, კრების თავმჯდომარემ, გიორგი ჟორჟოლიანმა კრება დახურულად გამოაცხადა, ხოლო «ლიტერატურულმა საქართველომ» გამოაქვეყნა ცნობა, რომ მწერლებმა ერთხმად მოიწონეს პროექტი.

საერთოდ, განხილვის პროცესში პროექტის ბევრი მუხლი იქნა გაკრიტიკებული, მაგრამ შესაბამისი ინფორმაცია გაზეთში არცერთი არ დაბეჭდილა. არამთუ გაზეთში, საკონსტიტუციო კომისიაშიც ოფიციალურად მხოლოდ ერთი-ორი კრების რეზოლუცია თუ მივიდა უარყოფითი გამოსვლებით. რაიკომებმა იზრუნეს, რომ მოწონება «ერთხმად» ყოფილიყო.

ასეთმა პოზიციამ, ძალადობამ აზრის გამოთქმაზე, კრებათა ოქმების ფალსიფიკაციამ გამოიწვია პროტესტი მათშიაც კი, ვინც ხელჩაქნეული უყურებდა ყოველთვის ან ვისაც, საერთოდ არ აინტერესებდა ეს განხილვა.

აზრის ჩახშობასა და ფალსიფიკაციაზე უშუალო რეაქციამ თავი იჩინა უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტიურ რეზოლუციებში, რომელსაც ფაკულტეტების მიხედვით ასობით სტუდენტი აწერდა ხელს.

თბილისის უნივერსიტეტში მდგომარეობა გაამწვავა იმან, რომ არც სტუდენტებსა და არც ლექტორებს არ მისცეს საშუალება გამოეთქვათ თავისი აზრი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ჩატარდა ფიქტიური კრებები, ყალბ ოქმებში აისახა ერთსულოვანი მოწონება. ლექტორები იძულებულნი გახდნენ დაეწერათ ცალკე წერილი თავისი შენიშვნებით, სადაც უარყოფდნენ 75-ე მუხლს. ამ წერილს ხელი მოაწერა ორმოცმა ლექტორმა, მაგრამ როდესაც წერილი მიჰქონდათ საკონსტიტუციო კომისიაში ჩასაბარებლად რექტორის მიერ უკან მიდევნებულმა ერთ-ერთმა ხელმომწერთაგანმა (ლ.სანიკიძემ) და კგბ-ს თანამშრომელმა წერილი გააჩერეს და რექტორს მიუტანეს.

სტუდენტები უფრო თადარიგიანად მოიქცნენ. მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ოთხ ეგზემპლარად გადაბეჭდეს თავისი წერილი, ოთხივეზე ხელმოწერები იყო (ოთხასზე მეტი). რექტორისა და პარტკომის (გორდეზიანი) დაჟინებული მოთხოვნით მათ თითო-თითოდ მოჰქონდათ წერილის ეგზემპლარები, მათგან ერთი კი უკვე გაგზავნილი იყო საკონსტიტუციო კომისიაში.

საერთოდ, სტუდენტების წერილებს იმდენად მასიური ხასიათი ჰქონდა, რომ რექტორი თვით გახდა იძულებული მიეტანა საკონსტიტუციო კომისიაში უნივერსიტეტის სახელით წერილი, რომელშიც ბევრი შენიშვნა იყო გამოთქმული და კატეგორიულად უარყოფილი 75-ე მუხლი.

ანალოგიური წერილები დაიწერა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მაგრამ სტუდენტთა წერილების უმრავლესობა არ აღწევდა საკონსტიტუციო კომისიამდე, ისევე როგორც არ აღწევდა სხვადასხვა

დაწესებულებების კოლექტიური რეზოლუციები. პარტიული აპარატი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ეროვნული კონფლიქტის ლოკალიზებას.

ამ სიტუაციაში ყველას ყურადღება მწერალთა კავშირისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც, როგორც იქნა, 12 აპრილს მიჩუმათებულად მოიწვიეს კრება. მაგრამ კრების ამბავი სწრაფად გახმაურდა. მწერლობამ უარყო პროექტის ბევრი მუხლი და საკმაოდ პირუთვნელი შეფასება მისცა პროექტის შეფარებულ ანტიეროვნულ ჩანაფიქრს (იხ. ამ კრების ჩანაწერი).

მწერალთა კავშირის გამგეობამ კრების წინადღეს ზომიერი თხოვნით მიმართა შევარდნაძეს, შეეტანათ პროექტში: «რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა». თერთმეტში იგი დათანხმდა თითქოს, მაგრამ ეტყობა მოსკოვი არ დაეთანხმა, ამიტომ მწერალთა ახალ დემარშს იგი ამრეზილად შეხვდა.

ცამეტში ტელევიზიაში ნაჩვენები იქნა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, სადაც შევარდნაძეს 75-ე მუხლის შესახებ არაფერი უთქვამს.

პოზიციები უკვე გარკვეული იყო.

ინტელიგენცია, რომელსაც ახსოვდა სისხლიანი 1956 წელი, სასოწარკვეთილი იყო, მაგრამ აქ სტუდენტობამ იმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჯარი იქნა შემოყვანილი, თორმეტში, დილის 11 საათზე უნივერსიტეტთან დანიშნულ იქნა შეკრება, რათა სესიის გახსნისათვის, 12 საათზე მთავრობის სახლთან მისულიყვნენ.

14 აპრილს უნივერსიტეტთან 11 საათისათვის თავი მოიყარეს: რექტორმა, რექტორისა დ პარტკომის მეთაურობით, ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ლაღიძემ თავისი თანამშრომლებით, მილიციის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მილიციონერებმა (უიარაღოდ), საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანმა შარტავამ, რამდენიმე მწერალმა _ მაღლაფერიძემ, პეტრიაშვილმა, ჯალაღანიამ, ვასაძემ, იმედაშვილმა, სტუდენტებმა, მოსეირე თუ თანამგრძნობმა ხალხმა.

მილიცია ძალზე ლოიალურად იცავდა წესრიგს, ეტყობოდა, რომ თანაუგრძნობდა დემონსტრანტებს. მაგრამ მაინც ცდილობდა, რომ არ შეჯგუფულიყო ხალხი, უნივერსიტეტიდან დაეხია უკან, მეორე კორპუსისაკენ. მათ ეს მოახერხეს კიდეც, მთავრობის საავადმყოფომდე დაახევინეს უკან ახალგაზრდობას და საქმე მოთავებულად ჩათვალეს.

ნაწილი სტუდენტობისა სააქტო დარბაზში დასტოვეს ტელევიზორებთან: ყველაფერი ისე იქნება როგორც თქვენ გინდათ, თუ არა მერე გადით დემონსტრაციაზეო. ეს იყო თორმეტი საათი.

დაახლოებით ამ დროისათვის უკვე იცოდა, ეტყობა ჩხიკვიშვილმა, რომ ფორმულა «რესპუბლიკის ენა ქართული ენა» ნებადართული იყო მოსკოვის მიერ.

სტუდენტები ერთმანეთს ასე შეუთანხმდნენ: ნაწილი შენობაში დარჩა, ნაწილი გარეთ, თუ პროექტი არ შეიცვლებოდა, მაშინ ერთმანეთს შეუერთდებოდნენ გარეთ.

გარეთ ჯარი იყო მზად. ჯავშნოსნებით, რაციებით, იარაღით.

პირველის ნახევარზე უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ას კაცამდე საავადმყოფოს წინ მწკრივად დაეწყვნენ (ოთხ-ოთხი მწკრივში), ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და თავგანწირული სახით დაიძრნენ მთავრობის სახლისაკენ ჭავჭავაძის ქუჩით.

ევროპელი დემონსტრანტი ვერ გაიგებს ამ აქტის სიდიადეს, რადგან მისთვის ფეთქებადი ტყვია არ უსვრიათ, იგი მტკვარში არ გადაუგდიათ და მოკლული ადამიანის დატირება არ აუკრძალიათ.

ამ ახალგაზრდებს სუფთა, საგანგებოდ გამოცვლილი თეთრეული ეცვათ და ჯიბეში პირადობის საბუთი ედოთ, ისინი საუკეთესო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. მათ თავი გასწირეს და ეს თავგანწირვა მათთვის შეიძლება სისხლიანი ზეიმით დამთავრებულიყო. მათ ეს შესანიშნავად იცოდნენ. მათ ეს შესანიშნავად იცოდნენ.

ასი კაცი ერთბაშად ათასად იქცა და წალეკა მილიცია. მოძრაობა ტრანსპორტის გაჩერდა.

რუსთაველის მოედანსა და რუსთაველის თეატრთან დემონსტრანტებმა წალეკეს შემდეგი კორდონები მილიციისა. ბევრი, ძალზე ბევრი დემონსტრანტი საწინააღმდეგო მხრიდან მოვიდა: ლენინის მოედნიდან, ზემო და ქვემო მიმდებარე ქუჩებიდან. მთავრობის სახლიდან მოყოლებული, ვიდრე ფილარმონიის შენობამდე ლენინის ქუჩაზე, ქუჩა გატენილი იყო. მეტი თუ არა ოციათასი კაცი მაინც იქნებოდა.

სესია შეწყდა. დეპუტატები გამოვიდნენ ხალხში, მაგრამ მათი სიტყვების აღარ სჯეროდათ, ზოგს ყურიც არ უგდეს: მაგალითად, ცეკას მდივანს ვ.სირაძეს, საქ. აკად. პრეზიდენტს ევგ.ხარაძეს. არ დაუჯერეს არც მწერლების ნ.დუმბაძისა და ჯ.ჩარკვიანის სიტყვებს.

დემონსტრაცია იყო ხაზგასმით მშვიდობიანი. იყო ლოზუნგები, რომელიც 75-ე მუხლის წინააღმდეგ იყო მიმართული. კგბ-ს უფროსის ინაურის შვილიშვილს მოჰქონდა მცირე პლაკატი: «აი ია». სწორედ ეს ორი წმინდა სიტყვა ყველა ქართველისა იქცა ამ მოძრაობის სიწმინდის დამახასიათებლად.

როდესაც მთავრობის სახლის წინ ჩამწკრივებული მილიციონერების უკან ჯარისკაცები ჩამოდგნენ, ახალგაზრდები ჩასხდნენ ასფალტზე და მჯდომარე დემონსტრაცია მოაწყეს, მაგრამ არც ერთი არ შემდრკალა.

ყოველივე ეს ერთი, შემთხვევით, იქ შესწრებულის ჩანაწერში ასე გამოიყურება.

დღის ორის ნახევარზე კაფე «თბილისში» ვისხედით, შესვენებაზე გამოსულები. ამ დროს დარბაზში შემოვარდა ოფიციანტი ქალი და «მოდიანო» დაიყვირა. მას მეტრდოტელი და რამდენიმე შემთხვევით მოსული კაცი შემოჰყვა:

_ ბუნტია! ბუნტია! _ დაბნეულები ლაპარაკობდნენ და ქუჩისაკენ იშვერდნენ ხელებს. წამოვხტით. მთელი დარბაზი აიშალა. ყველანი გარეთ გავცვივდით. ფული მომტანს მაგიდაზე დავუყარე _ «მერე, მერე» იძახდა და არც დაუხედავს ისე ჩაიდო ჯიბეში. ისიც ჩვენ გამოგვყვა ქუჩაში.

რუსთაველის პროსპექტზე დიდი საბარგო ავტომანქანები გარდიგარდმო ჩამწკრივებულიყო და გზა გადაეხერგათ. იმას იქით ახალგაზრდები ბობოქრობდნენ. მანქანებიდან ასე ოც, ოცდაათ მეტრზე მილიციელების და უსახულურო რაზმელების (კგბ-ს თანამშრომლები) მწკრივი იდგა. ისინი არც იქიდან ატარებდნენ ვინმეს, არც აქედან უშვებდნენ.

იყო გაუსაძლისი გნიასი. სახლში დარეკვა გვინდოდა და ცენტრალურ ტელეგრაფში არ შეგვიშვეს. იქაც ჯარისკაცები და უსახელურო რაზმელები იდგნენ. ის იყო უკან გამოვბრუნდით, რომ ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ზღუდე გამოიტანა და დანარჩენებიც ნიაღვარივით გადმოეშვა ჩვენსკენ. სუყველაზე წინ დამფრთხალი მილიციელები მირბოდნენ. ჩვენ კედელს ავეკარით. ხალხის მთავარმა მასამ ბაგაბუგით წინ ჩაგვიარა და გეზი მთავრობის სასახლისკენ აიღო. ჩვენც უკან მივყევით. მთავრობის სასახლის წინაც უსახელურო ჯარისკაცების მწკრივი იდგა. რაზმელები რამდენიმე რიგად იდგნენ და კიბეების დასაწყისში შეაჩერეს, აღარ გაუშვეს სტუდენტობა. ისე კი, კაცმა რომ სთქვას, აქ თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ რასაკვირველია სტუდენტობა სჭარბობდა. მილიცია აქ მეტად კორექტულად იქცეოდა. ჩვენ თავისუფლად გავიარეთ მთელი მწკრივის წინ და იმის გამო, რომ ქალიც მახლდა, პირველსა და მეორე მწკრივს შორის მოვახერხეთ შესვლა. აქ ერთი საგზაო ინსპექციის ყვითელი ვოლგა იდგა. მასთან მივედით და საუბარი გავუბით მილიციის უცნობ პოდპოლკოვნიკს, რომელმაც ჩვენსავით იმ აბობოქრებულ ხალხს თავი აარიდა და იქ მყუდრო კუნძულზე გამოვიდა. მთავრობის სასახლიდან ბევრი დელეგატი გამოვიდა მოსულ ხალხთან სალაპარაკოდ. სტუდენტებს ხელში თეთრი ტილოს თვითნაკეთი პლაკატები ეჭირათ, რომელზეც სისხლისფერი მელნით იყო ნაწერი: «ქართული ენა _ სახელმწიფო ენა». «დედა-ენა» «ილიასა და აკაკის ენა _ სახელმწიფო ენა» და სხვა ამგვარი ლოზუნგები. მთავრობის სასახლიდან მძლავრი რეპროდუქტორების საშუალებით სესიის მსვლელობა ისმოდა. იხილავდნენ ახალ კონსტიტუციას.

რამდენჯერმე გაისმა მეგაფონით «დაიშალეთო», მაგრამ არავინ ყურს არ იბერტყავდა. მერე მთავრობის სასახლიდან რაღაც ქაღალდები გამოიტანეს და დაგვირიგეს. იქ ეწერა «საქართველოს სსრ რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა». ასე იყო განმარტებული ახალი კონსტიტუციის 75-ხე მუხლი.

სტუდენტობამ არ მიიღო კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლის ასეთი რედაქცია, ქაღალდები დაანაკუწა და უკან გადაყარა. თანდათანობით უფრო იძაბებოდა მდგომარეობა. ისინი მარტო დგომას აღარ სჯერდებოდნენ, ხან ერთ დეკლამატორს ასწევდნენ ზევით, ხან მეორეს და ეს ახლადგამომცხვარი ტრიბუნები მოუწოდებდნენ არ დაეთმოთ და მიეღწიათ იმისათვის, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად კვლავ ქართული ენა დაეკანონებინათ.

უეცრად მთავრობის სასახლიდან მაცქერალ დეპუტატთა შორის ჩოჩქოლი შეიქმნა. ჩქარი ნაბიჯით მათ რიგებში გამოიარა და ჩვენსკენ გამოემართა პირველი მდივანი. მას ოციოდე კაცი გამოჰყვა. ისინი ოდნავ მოშორებიც და ერთგვარი შეშფოთებით მოჰყვებოდნენ გვერდით და ოდნავ უკან.

შევარდნაძე ჩვენთან მოვიდა და ყვითელ ვოლგასთან შეჩერდა. მანქანიდან პატარა მიკროფონი გამოიღო და ჩუმად იკითხა «გესმით? გესმით?» ჩვენ ისედაც გვესმოდა ხმადაბლა თქმული, ხალხის მთავარ ნაწილს კი არა, იმიტომ რომ სესიის მსვლელობას გადმოსცემდნენ დიდი გამაძლიერებლებით.

_ «რადიო გამოთიშეთ!» _ დაიძახა რამდენიმე კაცმა.

_ «გამოთიშეთ რადიო, არაფერი ისმის» _ თქვა პირველმა მდივანმა და დაიწყო ლაპარაკი. როგორც იქნა, რადიო გამოთიშეს. შევარდნაძის ხმა უფრო მკაფიოდ და ხმამაღლა

გაისმა. მართალია, ადგილ-ადგილ უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდნენ შევარდნაძის პირველ სიტყვებს «შვილებო»..., მაგრამ ისინი მალე გაჩერდნენ და თითქმის სრულ სიჩუმეში გაისმა მისი ოდნავ მოგუდული ხმით ნათქვამი «_ საქართველოში ყოველთვის იყო და იქნება სახელმწიფო ენა ქართული!» ატყდა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი.

_ გაუმარჯოს ქართულ ენას, საქართველოს სახელმწიფო ენას! – ხანგრძლივი ტაში.

_ გაუმარჯოს ახალ ქართულ კონსტიტუციას! _ ისევ ხანგრძლივი ტაში და ვაშას შეძახილები.

ამის შემდეგ შევარდნაძემ შეკრებილთ სთხოვა დაშლილიყვნენ, წასულიყვნენ სახლებში და პირობა მისცა ხალხს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია აღარ შეიცვლებოდა.

ამის შემდეგ მან ჩქარი ნაბიჯით დასტოვა მანქანა და მოედანზე ჩავიდა. მისმა თანმხლებლებმა მოინდომეს მისთვის დერეფნის გაკეთება, მაგრამ შევარდნაძემ ეს არ ინდომა და თვითონ წავიდა წინ. ბევრი შემხვედრი მას ხელს ართმევდა და რაღაცეებზე ესაუბრებოდა. შევარდნაძე კომუნარების ბაღისაკენ დაეშვა...

ბაღისაკენ მან ნაწილი დემონსტრანტებისა გაიყოლა, ელაპარაკა, შემდეგ კიდევ ნაწილი გაიყოლა მეორედ, ამით მან დაქსაქსა დემონსტრანტები. დიდი ნაწილი მართლაც დაიშალა ან ნელა იშლებოდა, მაგრამ მთავრობის სახლის წინ მაინც საკმაოდ დიდი ჯგუფი არ იშლებოდა და ზვიად გამსახურდიას განთავისუფლებას ითხოვდა.

იყო ხუთი საათი, ექვსის ნახევარი, როცა ბესიკის ქუჩაზე, მთაწმინდიდან ჯავშნოსანმა მანქანებმა და ჯარმა დაიწყო ჩამოსვლა. ჩუმად, ქურდულად ჩამოვიდნენ და ათარბეგოვის ქუჩაზე დადგნენ. ამის დანახვაზე ხალხის ნაწილი ისევ მთავრობის სასახლისაკენ გაეშურა, იქ ახალგაზრდები იყვნენ და მათ საფრთხე ემუქრებოდათ, მათი გაფრთხილება იყო საჭირო,

მაგრამ ჯარის ამბავი, ეტყობა, შევარდნაძემაც იცოდა. მან ახალგაზრდებს მიმართა: «შვილებო, ჩემო შვილებო, საქათრველოს მომავალს ახლა სჭირდება, რომ თქვენ სახლებში წახვიდეთ. გაუმარჯოს საქართველოს ახალ კონსტიტუციას, გაუმარჯოს ქართველ ახალგაზრდობას».

ამაზე ხალხი დაიშალა. იყო მოლოცვა და ხვევნა-კოცნა. ხალხმა საკუთარი გამარჯვება იხილა.

მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა რას უმზადებდა ჩასაფრებული მტერი, არ იცოდა, რომ სულ მალე, უფრო მნელი და რთული ბრძოლის დაწყება მოუწევდა იმ ძალებთან, რომელთაც ბრმა იარაღად გამოიყენეს აფხაზი სეპარატისტები და რომელთა პირითაც საქართველოსაგან გამოყოფა და აფხაზეთში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება მოითხოვეს. ყოველივე ეს აღარ ეხება კონსტიტუციას და ენას.

ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული დემონსტრაციები, და საკმაოდ მშფოთვარე, გაიმართა ბათუმშიც, მოთხოვნით ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაეწერათ ქართული ენა სახელმწიფოდ, რაც შესრულებულ იქნა.

სესიაზე შევარდნაძემ 75-ე მუხლი შემდეგი რედაქციით წაიკითხა:

«საკონსტიტუციო კომისიამ მიიჩნია, რომ 75-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: პირველ ყოვლისა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ცხადდება ქართული ენა.

შემდეგ ამისა, უნდა განვითარდეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, დებულებით იმის შესახებ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

და ბოლოს საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს, იგულისხმება, რომ რაიმე შეზღუდვა ამა თუ იმ ენის მიმართ არ დაიშვება».

ეს პროექტი ერთხმად იქნა მიღებული, მაგრამ, ეტყობა, მოსკოვმა მაინც ბოლომდე არ დათმო ყველაფერი და კონსტიტუციის ძირითად კანონში ბოლო ფრაზა ასე შეიცვალა: «რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება».

მაგრამ, როცა ერთი ენა სახელმწიფო ენად არის აღიარებული ეს თავისთავად უკვე პრივილეგიას ნიშნავს და ბოლო ფრაზა ჰაერში ჰკიდია _ წინააღმდეგობრივია.

ჩვენთვის ბოლომდე უცნობია ის საკულისო ბრძოლა, რაც მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარეობდა. მოსკოვმა ამჯერად დათმო, როგორც ამბობენ, სუსლოვის გეგმა ჩაიშალა. საქართველოს შემდეგ ენაზე ანალოგიური მუხლები ჩაიწერა სხვა რესპუბლიკის კონსტიტუციებშიც.

კონსტიტუციის მიღების მესამე დღეს ინაურის მოადგილე რუსეთიდან, ვისაც ნაციონალური საკითხები ეხებოდა, შეცვალეს, სხვა რუსი გამოგზავნეს. შეიქმნა კგბ-ში ახალი განყოფილება _ ნაციონალური. მოსკოვიდან ჩამოიყვანეს 22 რუსი ოფიცერი მასში სამუშაოდ.

ერთ კვირაში აღმოაჩინეს და დაიჭირეს ახალგაზრდა კინორეჟისორი ევმენიძე, რომელმაც მოსკოვში უცხოელ ჟურნალისტებს შეატყობინა დემონსტრაციის შესახებ.

გაზეთი «კომუნისტი» იმ დღეებში მოწინავეში წერდა: «15 აპრილი სამუდამოდ შევიდა საქართველოს მდიდარ ისტორიაში როგორც ნათელი ნიშანსვეტი» («კომუნისტი» 19 აპრილი). აქ ერთი შეცდომაა, 14 და არა 15 აპრილი შევიდა «სამუდამოდ საქართველოს მდიდარ ისტორიაში როგორც ნათელი ნიშანსვეტი» იმ ძნელ გზაზე, რომელიც ქართველმა ერმა უნდა გაიაროს თავისი სანუკვარი მიზნების მისაღწევად.

## კრება მწერალთა კავშირში

1978 წლის 12 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირში მოულოდნელად დღის ათ საათზე მოწვეულ იქნა კრება. კრების მოწვევა გადაწყდა წინა დღეს, როდესაც შევარდნაძესთან იყო მწერალთა კავშირის გამგეობა. გამგეობას არც უკითხია მწერალთა კავშირის წევრებისთვის, ისე შეიმუშავა კომპრომისული წინადადება («საქართველოს რესპუბლიკის ენა არის ქართული») და შესთავაზა იგი ცეკას. ფაქტიურად, ეტყობა ეს წინადადება თვით ცეკადან მოდიოდა, რადგანაც მისი ავტორი ცეკადან კავშირში სპეციალურად დანიშნული პარტიული მუშაკი გიორგი ჟორჟოლიანი იყო.

კრების შესახებ არ ყოფილა განცხადება გამოკრული, სახლშიც მხოლოდ მათ დაურეკეს, ვისაც ადვილად დაიყოლიებდნენ ყველაფერზე. თანაც კავშირის პარტკომი მორის ფოცხიშვილი, მდივანი ჯანსულ ჩარკვიანი ხმას ავრცელებდნენ, რომ კრება პარტიულია, თანაც დახურული. ამით სურდათ სწორედ უპარტიოებისათვის დაეხშოთ ტრიბუნაზე შედგომის გზა. ასეთმა ეშმაკობამ ნაწილობრივ გაუმართლათ მათ, კრება ისე დაიწყო, რომ მხოლოდ ორმოცი კაცი თუ იქნებოდა მხოლოდ დარბაზში, მაგრამ შემდეგ გაივსო დარბაზი და ხოლიც, სადაც უკვე არაწევრებიც იყვნენ. ბევრი იყო ახალგაზრდობაც.

კრებას თავმჯდოარეობდა ნოდარ დუმბაძე.

პირველი სიტყვით გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე. მან თქვა, რომ გამგეობამ ცეკაში შეიტანა წინადადება საკამათო პუნქტის შემდეგი ფორმულის მიღების თაობაზე: «საქართველოს ტერიტორიაზე კულტურულ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება იქნება რესპუბლიკის ენაზე _ ქართულ ენაზე».

2. <u>რეზო ჯაფარიძე</u> _ აღნიშნავს კონსტიტუციის განხილვების ნერვულ ხასიათს. მისი აზრით 114 მუხლი ეწინააღმდეგება სსრკ კონსტიტუციის 121 მუხლის 10 პუნქტს. უარყოფითად აფასებს პროექტის 75-ე მუხლს. იგი ეწინააღმდეგება როგორც საკავშირო, ისე საქართველოს კონსტიტუციას, ამიტომ ამოღებულ უნდა იქნას, ხოლო შეცვლილ იქნას «ენა, გერბი...» სათანადო ცვლილებებით ტექსტში.

3. <u>გიორგი ნატროშვილი</u> ამბობს უფერულ სიტყვას. მისი აზრით «რესპუბლიკის ენა», როგორც ტერმინი დაადასტურა საკავშირო კონსტიტუციამ, ამდენად ჩვენი მოთხოვნა სამართლიანიაო.

4. <u>ელგუჯა მაღრაძე</u> _ იშველიებს ლენინის სიტყვებს ეროვნულ განსხვავებებზე. შემდეგ გვთავაზობს 75 მუხლის თავის რედაქციას: «საქართველოს ენა ქართული ენაა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმართავენ საქმეებს ქართულ ენაზე». პლუს ამას ბოლო ორი აბზაცი, თუ არადა საერთოდ ამოღებულ იქნასო.

მოაქვს ციტატა პარტიის პროგრამიდან ენის თავისუფალი განვითარების შესახებ.

5. <u>ნოდარ წულეისკირი</u> ლაპარაკობს გიორგი ჟორჟოლიანის ფუნქციაზე მწერალთა კავშირში, მისი ინტერესების ოდიოზურობაზე მწერლობაში. მას, როგორც ხელმძღვანელს ყოველთვის ყველაფერზე აქვსო მზა პასუხი. ზვიადი რომ დავიცავი მაშინაც და ახლაც, კონსტიტუციის გამო რომ გამოვედი აქ, ამასწინათ. თქვენ, ბ-ნო გიორგი, გაქვთ ნახევრად ირონიული დამოკიდებულება მწერლებთან, რასაც საფუძვლად უდევს თქვენი დამოკიდებულება პატრიოტიზმთან. ეს თქვენ მითხარით აქ მოწყალედ: «ნუ გინდაო ილია ჭავჭავაძეობა». ვაი იმ მწერალის ბრალი ვისაც ჟორჟოლიანობა უნდა, თორემ ილია ჭავჭავაძეობა ყველა მწერალს უნდა. პლენუმს არ აურჩევია იგი მდივნად. იგი არც კავშირის წევრია. თქვენ არ ასრულებთ მწერალთა კავშირის წესდების არცერ მუხლს. რატომ ხართ მდივანი? თუმცა ერთი კი არა, ყველა მდივანი მწერალთა ზევიდან ინიშნება.

რა მწერლები და რა ხალხი ვართ ჩვენ, რომ კონსტიტუციის პროექტის ერთ სიტყვასაც ვერ ვუყევით ძვრა. იმიტომ რომ არაა ის აქ დაწერილი. ჩვენი კონსტიტუცია იწერება რუსულად, მერე ითარგმნება ქართულად. რატომ?

არაა ნახსენები კონსტიტუციაში ქართველი ერი. უნდა იყოს, უნდა ითქვას, ვისია ეს კონსტიტუცია. ამის ნაცვლად არის უსახო: «საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი». თითქოს საქართველოში ქართველები აღარ იყონ, გაითქვიფნენ სხვებში. უნდა იყოს: «ქართველი ხალხი, საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად». მოყავს მხარდამჭერი პარალელები სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებიდან _ გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის და ა.შ.

75-ე მუხლი თავზარდამცემია.

მოყას ისტორია საქართველოს მენშევიკური კონსტიტუციიდან («საქ. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული»), ანალოგიური ფორმულირება 1924 და 1936 წლების კონსტიტუციებიდან.

უსამართლობაა, უკანონობაა მთელ ერს წაართვა ენა.

აანალიზებს გულდაგულ 75-ე მუხლს.

კონსტიტუციურად გაფორმდა უკანონობა და უსამართლობა, რასაც წლების მანძილზე მისდევდა საქართველოს მთავრობა.

ამით კანონდება ორენოვნება. რატომ ივიწყებენ ლენინს: «რუსულის ძალით დამკვიდრება გაამწვავებს მტრობას».

ქართველს დღევანდელ საქართველოში ისეთივე უფლება მიეცა, როგორც ემიგრანტებს საფრანგეთში.

ქართულს საყუდარი არსად აქვს ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მიწაში საფლავი გაითხარონ.

ეს ცვლილებები კონსტიტუციაში წინასწარ დასახული პროგრამაა. ესაა ენების დაახლოვების შედეგად ფუძე ენის, რუსული ენის საფუძველზე ერთი ენის შექმნა.

ერები და ენები კაცობრიობის სიმდიდრეა.

პაპუასებსაც კი მისცეს დამოუკიდებლობა.

რამდენიმე წლის წინათ კამეჩს გამოვესარჩლე, იცავენ მარტორქებს, ცხოველებსა და მცენარეებს, ერების შერწყმასა და მოსპობაზე კი ლაპარაკობენ, აქეთვენ გადაიდგა გაუმართლებელი, მაგრამ ფრთხილი და მტკიცე ნაბიჯი.

ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს, ცალ ხელში ხმალი ეჭიროს ცალ ხელში კალამი. ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას.

არავის არ მოსწონს ეს მუხლი. გაზეთები და ტელევიზია არ გამოხატავენ ხალხის ნებას. ერთი მაგალითი. «ლიტ.საქართველოს» 28 მარტის ინფორმაცია მწერალთა კრებაზე, რომელთაც თითქოს ერთხმად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი. იქ მეც გამოვედი და არ მოვიწონე. არც სხვებმა მოიწონეს. ყოველშემთხვევაში ყველამ არა. ეს არასწორი ინფორმაციაა.

ისეთ ვითარებას გვიქმნიან, რომ ვიცრუოთ. ერთი კაცის სიცრუე კიდევ დასაშვებია, ტოტალური არა. მწერლობამ უნდა თქვას სიმართლე, გინდა ჯვარს აცვან.

რა ვქნათ? ამოვიღოთ 75-ე მუხლი! ერთადერთი სასურველი და შეუცვლელი ვარიანტია მოქმედი კონსტიტუციის 156, 157 და 158 მუხლები.

არ შეიძლებაო აღდგენა. გვაძალებენ, თავს გვახვევენ. რა შეგვიძლია?

არის კონსტიტუციაში მუხლი გასვლის შესახებ, არის სხვა მუხლების პიროვნების უფლებებისა.

უნდა დავძლიოთ შიში ჩვენი უფლებების გამოყენებისა, ლენინური პრინციპები დაგვეხმარება ამაში. კითხოს პარტიამ ხალხს, იქნებ მას აღარ შეფერის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები? იქნებ სოციალისტური დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლებებია მისთვის შესაფერისი? ეგებ სომხეთი, უკრაინა, საქართველო მომწიფდა დამოუკიდებელი არსებობისათვის?

შეიძლება სხვები გაითქვიფონ, მაგრამ სომხებსა და ქართველებს შინ მიეჭრა და ენა წაართვა, უნდა შემერწყა და შემერიოო დაუშვებლად მიმაჩნია.

დროთა განმავლობაში ალბათ უფრო მკვეთრად გამოვლინდება როგორც გასვლის, ისე შერწყმის ტენდენცია.

მე უნდა გადავარჩინო ჩემი სინდისი. სხვა არაფერი შემიძლია.

მთელი ჩემი ცხოვრება ქართული ენის განვითარებას შევალიე. თუკი ქართულ ენას დაეკარგება მისი უფლებები, მე პარტიაში ვერ ჩავდგები.

არასოდეს განზე არ გავმდგარვარ რესპუბლიკის ცხოვრებიდან _ ნარკვევები, რომანები, სცენარი დავწერე. არავის მოვრიდებივარ, მაგრამ უშედეგოდ. ანაკლიაზე ჩემი სიტყვები გამართლდა (თუმცა ყური არავინ მიგდო), ენგურჰესზე ხალხზე არავინ ზრუნავდა და კომკავშირის ბილეთებიც კი არ მიჰქონდათ რაიკომიდან ასევე პარტიიდან. აი, იქ დატოვებული ბილეთები.

მოყავს მაგალითი ენგურზე რუსების ჩამოყვანისა ნათესაობით და ქართველების დისკრიმინაციისა.

გამოვაქვეყნე ეს ყველაფერი. იმ რაიკომის მდივანი, სადაც ეს ყველაფერი მოხდა, რამინ გოლუა კი დღეს გალის რაიკომის მდივანია.

მე რომ სიმართლეს დავუწყე ძებნა, ჩემს წინ კედელი აღიმართა.

წავიდე უნდა პარტიიდან, მაგრამ ამის უფლებაც რომ არა მაქვს? არაა წესდებაში შესაბამისი მუხლი.

მე არავის ვეჯიბრები, მორწმუნე ვარ, რომელიც ძირს მიწას კოცნის, მაღლა ღმერთს ევედრება.

5. <u>თამაზ ჭილაძე</u> _ ვფიქრობ ისე, როგორც ყოველი თქვენგანი. იმოწმებს ბრეჟნევის სიტყვებს ეროვნულ კულტურაზე, ენაზე და ა.შ. ლაპარაკობს უკანონო დამოკიდებულებაზე განხილვებისადმი. ახსენებს გადაკეთებულ ოქმებს. საერთოდ _ ამბობს თ.ჭილაძე _ ეს მღელვარება ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია ახლოს მიგვაქვს გულთან.

აკრიტიკებს 75-ე მუხლის მეორე აბზაცს.

თუ ახალი რედაქციით არ შესწორდება ეს პუნქტი, ჯობია ამოღებულ იქნას.

43-ე მუხლი უნდა იყოს _ «სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა».

110 _ საქ. უმაღლესი საბჭოს დადგენილებები ქვეყნდება ქართულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე. აჭარაში ქართული ენაა სახელმწიფო, ეს უნდა ითქვას.

ჩემს ხმას ვუერთებ წინ გამოსული ამხანაგების ხმას.

6. ოთარ ნოდია _ ფაქტიურად არაფერს ამბობს. 75-ის მთლიანად ამოღება არაა მიზანშეწონილი. შეიძლება მისი ასეთი ვარიანტი _ «პარტიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სასწავლო, კულტურული და სხვა დაწესებულებები თავის საქმიანობას წარმართავენ რესპუბლიკის ენაზე _ ქართულ ენაზე.

სახელმწიფო ზრუნავს ქართულ ენაზე

შემდეგ როგორც ტექსტშია.

ბოლო აბზაცსაც გასწორება უნდა.

6. გიორგი ციციშვილი _ ბოლო დღეები ალბათ ყველა კონსტიტუციაზე ფიქრობს. არ შეიძლება ხალხმა მიამიტობა გამოიჩინოს, იგი რეალობიდან უნდა ამოვიდეს (აქებს პროექტის მესამე თავს, რომლის მსგავსი არსად არაა).

ფიქრობენ, რომ არის ორი კატეგორია გამომსვლელების _ ერთნი, ვისაც თანამდებობა აქვს, მეორენი _ ვინც თავისუფალია თანამდებობიდან და ამდენად მორალური პასუხისმგებლობიდანაც.

გუშინ ცეკაში რომ მივედით, მთელი პირდაპირობით იყო ლაპარაკი. პირველი დეკრეტი საბჭოთა იყოო სახელმწიფო ენის აკრძალვა. ამიტომ შეუძლებელია ამ პუნქტის («სახელმწიფო ენა») დაცვა. ამიტომ შევთავაზეთ პრეზიდიუმმა ცნება «რესპუბლიკის ენისა», რადგან საკავშირო კონსტიტუციაშია.

მოიხსნას 75-ე მუხლი.

8. ლადო სულაბერიძე _ პრეზიდიუმის წინადადებას ეთანხმება, თან დასძენს, ჩვენ თვითონ ვამახინჯებთ ჩვენს ენას. მაგალითად, «ბიჭო მოდი იქანე და დაკიდე აკოშკა».

რეზო მიშველაძე (ადგილიდან): «იქანე» უნდა ამოვარდეს.

ჯანსუღ ჩარკვიანი (ადგილიდან): ამნაირი რეცენზია კაცს დაეწეროს საკუთარ თავზე არ გამიგია.

9. თინა დონჭაშვილი _ 75-ით იწყებს. მისი აზრით, უნდა შეიცვალოს პირველი აბზაცი («რესპუბლიკის ენად»). კატეგორიულად წინააღმდეგია მე-2 და მე-3 აბზაცის. მესამე აბათილებს ყველაფერს. არ უნდა იყოს ბოლო ფრაზა. შეცდომაა, რომ არაა აღნიშნული: «კონსტიტუციას აცხადებს ქართველი ხალხი».

10. ჯანსუღ ჩარკვიანი _ ორი სიტყვა მინდა ვთქვა ნოდარ წულეისკირის სიტყვებზე. ისე ჩანდა, თითქოს ეს მისი საბოლოო სიტყვა იყოს. იგი კიდევ ბევრ სიტყვას იტყვის, ჩვენ ერთად ვიქნებით ამ პარტიაში, რომ დავიცვათ ქართული ენაც, პრინციპებიც. თუმცაღა, ბევრ რაღაცაში მე მას არ ვეთანხმები, მაგრამ ამაზე მერე. ნოდარ, ეს უდიდესი მონაპოვარია ჩვენი კონსტიტუციის შენ რომ დღეს თამამად და თავისუფლად გამოხვედი. არ იყო საჭირო ჟორჟოლიანზე ლაპარაკი. იგი დაუმალავად დანიშნული კაცია. არაა საჭირო მისი გულისტკენა.

ეხება ჯაფარიძის სიტვყას.

შევარდნაძე იბრძვის ქართული ენისათვის, როგორც ეს ნამდვილ მამულიშვილს შეფერის.

ჩარკვიანი თავაზობს კრებას თავის რედაქციებს: «სახელმწიფო უზრუნველყოფს მშობლიური ენის უფლებამოსილებას». ემხრობა ტერმინს «რესპუბლიკის ენა».

თუ ეს ასე არ იქნება ამოღებულ იქნას 75-ე მუხლი, რამეთუ ჩვენ ყველა ერთ ოჯახში ვცხოვრობთ და ერთ ბედქვეშა ვართ.

11. გურამ ფანჯიკიძე _ ჩვენმა აკადემიამ, მეცნიერებმა არ ილაპარაკეს გულწრფელად. მაგრამ რეალისტებიც უნდა ვიყოთ. ამასწინათ ვიყავი ფიჯის კუნძულებზე, სადაც ახლაც შენახულია 90 წლის წინათ შეჭმული გუბერნატორის ფეხსაცმლის ლანჩა. სულ გუშინწინ კანიბალები იყვნენ, თანაც ფიჯელები 9 პროცენტია. და მაინც სახელმწიფო ენა არის ფიჯის ენა. ასეა მალაიზიაშიც, ახალ ზელანდიაშიც.

ჩვენ მოვედით ურარტუდან. არავის დაჩაგვრას არ მოვითხოვთ, მაგრამ უნდა იცოდეს კაცმა ვისი რესპუბლიკაა და ვისი კონსტიტუცია.

და მაინც ვიყოთ რეალისტები. მოვითხოვოთ ის, რაც შეიძლება რომ შესრულდეს. პრეზიდიუმმა შეიტანა თავისი წინადადება («რესპუბლიკის ენა _ ქართული ენა»), შეგვპირდნენ, რომ მიიღებენ.

შემდეგ მოყავს მაგალითი რუსული შოვინიზმისა: როცა ერთ-ერთ საკავშირო თათბირზე ერთმა ვოლოგდელმა მწერალმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ რუსის ძვლები ორჯერ მეტს ფასობს ნებისმიერი სხვა კაცის ძვლებზე. მას დარბაზმა ტაში დაუკრა. იქ კავშირის მდივნებიც ესწრებოდნენ და არცერთს არ უთქვია არაფერი.

ჩვენ ვალდებული ვართ სხვას რომ პატივს ვცემთ ჩვენი პატივისცემაც მოვითხოვოთ.

არის სხვა პრობლემაც. მატულობს თუ არა ქართველი ერი? სულ ახლახან მატება მეხუთე შვილს ნიშნავდა. ახლა მეექვსე შვილია.

შემდეგ ლაპარაკობს ეკონომიკისა და დაგეგმარების ტენდენციებზე, იმაზე, რომ საკურორტო მშენებლობა ერის ოფიციანტად გადაქცევის, სხვა ხალხის ჩამოყვანის საშიშროებას ბადებს.

12. ვალერიან კანდელაკი _ უარს ამბობს გამოსვლაზე.

13. ნოდარ ჯალაღონია _ ლაპარაკობს ოქმის შეცვლაზე ტელესტუდიაში, სადაც თვითონ მუშაობს.

პროექტის პირველი თავის მეექვსე მუხლზე ამბობს, უნდა იყოსო «საქართველოს კომუნისტური პარტია»...

იხილავს 75-ე მუხლს. არ მოსწონს.

14. ნელი გაბრიჩიძე _ ლაპარაკობს განხილვების დარღვევებზე. შემდეგ ამბობს, რომ ეს კრებაც ფიქტიურია, რადგან პრეზიდიუმი კავშირისა წინადღეს უკვე იყო მწერალთა სახელით შევარდნაძესთან. რაღა ფასი აქვსო დღეს ჩვენს ლაპარაკს (ჯანსუღ ჩარკვიანი აქ თავს ვერ იკავებს, აწყვეტინებს და «ტუქსავს»).

მუხლები 43, 69, 75 ხომ არაა ვინმეს ძირგამომთხრელი მუშაობა?

იხსენებს რეზო ჯაფარიძის გამოსვლას ყრილობაზე ენის დასაცავად _ საშიშროება მართლა ყოფილა და ახლა მკვეთრად გამოჩნდაო.

ლაპარაკობს ზვიადზე _ იგი მწერალთა კავშირიდან გაირიცხა იმიტომ, რის გამოც დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ. «კომუნისტმა» მასზე სიცრუე გამოაქვეყნა. ზვიადი შესანიშნავი ლიტერატორია (ტაში). ახლა საბავშვო პოეტს გივი ჭიჭინაძეს კომკავშირის პრემია მისცეს და ოცი წლის მერე რომელი ბავშვი წაიკითხავს მას, ქართული ვიღას ეცოდინება.

75-ე მუხლს ქართველი ხალხი ვერასოდეს შეეგუება.

აკრიტიკებს ახალ დეტალებს გერბის აღწერილობაში.

15. მურმან ლებანიძე _ არის პროექტში დებულებანი, რომელთაც ახლავე ეჭვით მოეკიდა მოაზროვნე საქართველო. 75-ე მუხლზეა ლაპარაკი და ქართული ენის პრიორიტეტის გაუქმებაზე, რაც კაბალურ მდგომარეობაში აყენებს განვითარებულ, მრავალათასწლოვან ქართულ ენას. ლაპარაკობს საკავშირო კონსტიტუციის ნაკლზე, სადაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული რუსული ენის სარესპუბლიკათაშორისო ფუნქციის შესახებ. რესპუბლიკებს კი თავისი სახელმწიფო ენები უნდა ჰქონოდათ. ლაპარაკობენ « ??? «-ზე რომელიც უკვე კანონად იქცა. იხსენებს ფაქტს ლენინგრადის მატრიცების ქარხანასთან დაკავშირებით, როცა საკავშირო მინისტრმა უთხრა ქართველებს: დაანებეთ თავი ამ თქვენს დაღვარჭნილ შრიფტს.

ამას გული ლაპარაკობს, ჭკუა კი იმას, რაც გუშინ გავაცხადეთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ჩაქნეული ხელი საერთოდ ამ მუხლს ამოაგდებს.

16. ჯუმბერ თითბერია _ «ერის განსაკუთრებულობა» აკრძალულია. არ არის ეს სწორი, რადგან თავისთავად ერის ცნება განსაკუთრებულობას გულისხმობს.

ლაპარაკობს ქართული ენის ისტორიულ კომუნიკაციურ როლზე.

ამბობს აფხაზეთზე, რაც ხდება იქ. აქ ჩანსო, რას შეიძლება ჩვენთან მოველოდეთ მომავალში.

გადადის სოციალურ საკითხებზე. ნუ დავაჯერეთ ქვეყანა, რომ მექრთამეობა მხოლოდ საქართველოშია. საქართველო არაა იზოლირებული კუნძული. როცა მოსკოვში თათბირზე განაცხადეს, რომ მოსკოვის უმაღლესში ხუთასმა ქართველმა სტუდენტმა დაბალი მომზადება გამოავლინა და ისინი ალბათ ქრთამით მოხვდნენ უმაღლესშიო, მე ვუპასუხე, სამწუხაროა, რომ ხუთასი ქართველი ახალგაზრდა აქ გვარცხვენს, მაგრამ უფრო სამწუხარო ისაა, რომ ხუთას სტუდენტს 2500 ლექტორი ართმევს ქრთამს და გადაყავს კურსიდან კურსზე.

ბოლოს, კათედრიდან ჩამოსვლის დროს ხუმრობს: თქვენ იკითხეთ, თორემ მე მეგრული ვიცი და იმითაც იოლას გავალო.

17. იზა ორჯონიკიძე _ ჩვენი პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ აქ და არა სხვაგან და სხვისი იმედით. სირცხვილია, რომ ილიასა და აკაკის სურათების გვერდით გვიწევს ლაპარაკი ქართული ენის დაცვაზე.

160-ე მუხლი ართმევს საქართველოს რესპუბლიკას ბიუჯეტის დამოუკიდებელი შედგენის უფლებას.

მოქმედი კონსტიტუციიდან უნდა დარჩეს ტერმინი «დროშა» პროექტის «ალამის» ნაცვლად.

პროექტში კანონდება ის, რაც აქამდე არსებობდა. აქამდე ჩვენ მივიყვანეთ საქმე. ყოველივე ამით უცხოეთის მტრულ პროპაგანდას მიეცემა ცუდი, არცთუ საფუძველს მოკლებული მასალა და ეს ჩვენში ბევრი რამის გაყალბებას გამოიწვევს.

კიდევ, პარტიულობა კონსტიტუციაში არ უნდა იყოს პრივილეგიის წყარო.

18. აკაკი ბაქრაძე _ ჩემი დასკვნაა, თუ ეს პროექტი მიღებული იქნება, ამით კონსტიტუციური საფუძველი ჩაეყრება ქართველი ხალხის გარუსების საქმეს. კონსტიტუციაში შემთხვევით შეცდომებს არ უშვებენ, მისმა შემდგენლებმა შესანიშნავად იციან თავისი საქმე.

1. «საქართველოს მოსახლეობა» ნიშნავს, რომ გაუქმებულია ქართველი ერი, საქართველო დაყვანილია ადმინისტრაციულ ერთეულამდე.

2. საქ. მთავრობას აქვს უფლება ავტ. რესპუბლიკების შექმნისა და არა გაუქმებისა. ეს ნიშნავს უფრო დაქუცმაცებულობისაკენ ბიძგს.

3. 75-ე მუხლი.

არ არსებობს არავითარი სხვა ტერმინი, გარდა «სახელმწიფო ენისა», რომელიც განსაზღვრავს ენის ადგილს სახელმწიფოში, მის ფუნქციას. ებრძვიან არა ტერმინს, არამედ ერის არსებობას.

რუსული ენისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა სახელმწიფო, იგი მსოფლიო ენაა. ქართული ენის საქმე სხვაგვარადაა, მისი საარსებო ტერიტორია საქართველოა.

ენა უნდა იყოს ან სახელმწიფო, ან პატუა. ახალი კონსტიტუციის პროექტს ქართული ენა პატუა ენის დონემდე დაყავს.

ახალი კონსტიტუცია არაა მისაღები, ეს აშკარად და გულახდილად უნდა ითქვას. ქართველი ხალხი არ მოტყუვდება, არ მიიღებს მას მორალური თვალსაზრისით, თორემ სესიაზე კენჭისყრა რაც იქნება იცით.

სტილისტური ცვლილებანი, რედაქციები საქმეს ვერ უშველის, არსი იგივე რჩება. ამიტომ დღეს პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ და ყველამ გამოვავლინოთ ჩვენი დამოკიდებულება. ახალი სოციალური ერთობის ცნებას სად მივყავართ კარგად ვიცით. ჩვენ საფრთხის წინ რომ ვიმყოფებით, იქიდან ჩანს, რომ აქ გამოსულები ამტკიცებდნენ, ზოგი რა თქმა უნდა, რომ საფრთხე არ გვემუქრება.

ჩემი წინადადებაა კენჭი ეყაროს, თუმცა ამას მორალური მნიშვნელობა აქვს. აძლევს თუ არა ამ კონსტიტუციას ხმას ქართული მწერლობა (ტაში).

19. გურამ ასათიანი _ სანამ ლაპარაკს დაიწყებს, თავმჯდომარის მაგიდასთან მოდის ნუნუ კერესელიძე, სდებს მწერალთა კავშირის წიგნაკს და ამბობს, რომ ზვიად გამსახურდია მწერლებს არ გაურიცხიათ კავშირიდან და იქ, სადაც ზვიადს არ აჩერებენ, მას არ ედგომება.

ვანო ურჯუმელაშვილი ადგილიდან მოითხოვს, რომ თავმჯდომარემ (დუმბაძემ) კენჭი უყაროს აკაკის წინადადებას. მას ყურადღებას არავინ აქცევს, თუმცა, ხალხი უჭერს მხარს.

გურამ ასათიანი ერთხანს დაბნეული დგას, მერე იწყებს უნიათო ლაპარაკს: გთხოვთ სიჩუმეს. ჩვენ შევიკრიბეთ დაგვიანებით. დარჩა სამი დღე. ყოველ სიტყვას დიდი აწონვა უნდა. უნდა ვიფიქროთ აფხაზებზე, ოსებზე. ამიტომ კონსტიტუციაში უნდა ითქვას აფხაზური და ოსური ენების შესახებაც.

რაც შეეხება 75-ე მუხლს, აქამდე ვიცოდით, რომ მონახული იყო ფორმულა, რომელიც მოქმედებდა 42 წლის მანძილზე და უზრუნველჰყოფდა ქართული ენის არსებობას. ახლა ირკვევა, რომ ასე არაა.

ერთხანს ვიფიქრე იქნებ ასე გაფორმდეს: «საქ.სსრ უზრუნველჰყოფს ქართული ენის შეუზღუდველ უფლებამოსილებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე» და ა.შ. მაგრამ ახლა იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყველა ამ ფორმულას სჯობია ის ფორმულა, რომელიც არსებობდა.

20. გიორგი ჟორჟოლიანი _ ვილაპარაკებ მხოლოდ საქმეზე. არ შევეხები იმ შეურაცხყოფას, რომელიც აქ საკმაოდ მომაყენეს. სხვაგან და სხვა დროს გამოვარკვევთ ჩვენს ურთიერთობებს.

სიტყვა რესპუბლიკა ნიშნავს სახალხო სახელმწიფოს.

საკავშირო კონსტიტუციაში მოხსენიებულია და ხაზგასმული, რომ არსებობს მოკავშირე რესპუბლიკების ენა. გუშინ მივედით ცეკას მდივანთან გამზადებული წინადადებით: «საქ. სსრ-ში სახელმწიფო ორგანოები და სახელმწიფო ორგანიზაციები და სხვა დაწესებულებანი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ რესპუბლიკის ენაზე _ ქართულ ენაზე. სახელმწიფო ზრუნავს ქართული ენის განვითარებაზე» და ა.შ.

რატომ არ ღირს «სახელმწიფო ენაზე» ლაპარაკი?

(ხალხი უშლის ხელს, არ ალაპარაკებს)

თუ ყველას აქვს უფლება ლაპარაკისა, მეც მალაპარაკეთ (ხალხი ისევ ხმაურობს). ჩვენ გვაწყობს ჩვენი პრივილეგია (გულისხმობს ენას), სხვის პრივილეგიაზე კი უარს ვამბობთ (ხალხი ისევ უშლის ხელს).

სერგო კლდიაშვილი დგება და თავმჯდომარეს ანიშნებს, რომ სიტყვის თქმა სურს. ნოდარ დუმბაძე ეკითხება ცეკას განყოფილების გამგეს ალექსანდრე ალექსიძეს, მისცეს თუ არა სიტყვა კლდიაშვილს, უარს ღებულობს და თითქოს ვერ ამჩნევს ფეხზე ამდგარ სერგო კლდიაშვილს. დუმბაძეს უყვირიან რომ კლდიაშვილს სიტყვა სურს. იგი თავს იყრუებს.

ჟორჟოლიანი, ტრიბუნაზე შემდგარი, უკვე ყვირის ნერვებმოშლილი.

<u>დენიზა სუმბაძე</u> ისტერიული ხმით კივის, რომ არა გვაქვს არაფრის უფლება.

კრება აირია. თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას და არაწევრებს კავშირისა, სთხოვს დასტოვონ დარბაზი.

კერესელიძე ხმამაღლა ამბობს, რომ იგი აღარაა წევრი კავშირისა და სტოვებს დარბაზს.

შესვენების შემდეგ.

დარბაზში მხოლოდ კავშირის წევრებია.

<u>გრიგოლ აბაშიძე</u> _ აღნიშნავს, რომ საჭიროა შეტანილ იქნას პროექტში წულეისკირის შესწორება «ქართველი ხალხის» აღნიშვნის შესახებ. სთხოვს მწერლებს, რომ ტაშისთვის ნუ გავაკეთებთ იმას, რომ რესპუბლიკა დავაბეზღოთ. ნუ წავაქეზებთ ახალგაზრდებს, ყველას ბავშვები გვყავს. გავუფრთხილდეთ მათ. გაიხსენეთ 56 წელი. ნუ უყრით კენჭს ისეთ რამეს, რაც დაუშვებელია. ეგზალტაციაზე კაპიტალს ნუ გავაკეთებთ. გავიხედოთ ჩვენს ერს რა სჭირდება. რეზო ჯაფარიძე არავიზე ნაკლებად არ განიცდის და ისიც ჩვენთან იყო. შევარდნაძემ აღგვიქვა, რომ ყველა ღონეს იხმარდა ჩვენი წინადადების მისაღებად.

პროკოფი რატიანს ადგილიდან შემოაქვს წინადადება, რომ 75-ის ბოლო აბზაცი ასე გადაკეთდეს: «ნებისმიერი დისკრიმინაცია სხვა ენებისა დაუშვებელია».

გრიგოლი უჭერს მხარს.

სილოვან ნარიმანიძე (ადგილიდან) ჩაიწეროს _ «ქართველ ხალხს ეკუთვნის საკუთრება და არა მთელ საბჭოთა ხალხს.

იონა ვაკელი (ადგილიდან) _ წინააღმდეგია ოლქების შექმნის უფლებისა მათი გაუქმების გარეშე.

მუხრან მაჭავარიანი (ადგილიდან) _ მე სიტყვა არ მომითხოვია, მაგრამ მინდა ქართულმა მწერლობამ იცოდეს ჩემი პოზიცია. მე არ ვიზიარებ ბატონო გრიგოლ თქვენს აზრს და შემომაქვს წინადადება, აკაკი ბაქრაძემ რაც თქვა, ვუყაროთ კენჭი.

გრიგოლი _ ნუ აყვებით გულს ამხანაგებო.

ასათიანი _ მოვისმინოთ შენიშვნები, რომელიც დღეს გამოითქვა.

რეზო ჯაფარიძე _ უნდა ვუყაროთ კენჭი.

ნოდარ დუმბაძე _ ბატონმა გრიგოლმა გუშინ თქვა, რომ დღეს აქ დაიწერება ფურცელი საქართველოს მწერლობის ისტორიისა.

ნოდარ წულეისკირი _ უნდა კენჭი ვუყაროთ.

ნოდარ დუმბაძე _ არ გინდა ნოდარ კენჭისყრა.

თინა დონჟაშვილი _ ალბათ შევარდნაძემ მიიღო გუშინს აქეთ რაღაც ღონისძიება.

კობა იმედაშვილი _ ეყაროს კენჭი და ხაზგასმით ითქვას, რომ ჩვენ 75-ე მუხლის დატოვების შემთხვევაში არ ვუჭერთ მხარს ამ კონსტიტუციას.

ტაგუ მებურიშვილი (ადგილიდან) _ ავირჩიოთ ათი კაცი, რეზოლუციის ტექსტის შესადგენად.

სერგო კლდიაშვილი (ადგილიდან) _ ერთი შეკითხვა მაქვს. სუვერენულია ეს რესპუბლიკა და სუვერენულ რესპუბლიკას ენა არ უნდა ჰქონდეს?

ბაჩანა ბრეგვაძე (ადგილიდან) _ რა განსხვავებაა სახელმწიფო ენასა და რესპუბლიკის ენას შორის. რატომ არ შეიძლება პირველი და შეიძლება მეორე?

გრიგოლ აბაშიძე _ ამხანაგებო, ბავშვებს გავუფრთხილდეთ...

კობა იმედაშვილი (ადგილიდან) _ თუ არ იქნება გათვალისწინებული ჩვენი შენიშვნები მხარს არ ვუჭერთ...

მურმან ლებანიძე _ სწორია...

მუხრან მაჭავარიანი _ სწორია, არ ვუჭერთ...

გრიგოლ აბაშიძე _ კითხულობს შესწორებებს.

კობა იმედაშვილი (ადგილიდან) _ ბოლო ფრაზა ასე შეიცვალოს: «რაიმე შეზღუდვა ამა თუ იმ ენისა დაუშვებელია».

ხმა დარბაზიდან _ რა ფასი აქვს ჩვენს ლაპარაკს, გვიან არაა?

გრიგოლი _ სიტყვას გაძლევთ, რომ ახლავე გადავალ ცეკაში და შევარდნაძეს გავაცნობ ყველა თქვენს მოსაზრებას.

კრება დაიშალა ისე, რომ არც რეზოლუცია დაუწერიათ და არც კენჭი უყრიათ რაიმე წინადადებისათვის. თუმცაღა აშკარა იყო, ქართულმა მწერლობამ არ მიიღო კატეგორიულად კონსტიტუციის ესა თუ ის მუხლი. 75-ე კი ერთსულოვნად უარჰყო.

## საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს...[1]

დოკუმენტი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიხილავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახლავთ. იგი მომავალში, მრავალი წლის მანძილზე, განაპირობებს კონსტიტუციურად ქართველი ხალხის ბედს. ამიტომ ყველა მოქალაქის ვალია მკაფიოდ, გულწრფელად და აშკარად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი.

ყველა განხილვაზე ძირითადად ლაპარაკი მიმდინარეობს 75-ე მუხლის შესახებ. ეს ბუნებრივია, რადგან ეს მუხლი ქართულ ენას ეხება და ამას ყველა მტკივნეულად განიცდის. მაგრამ ახალი კონსტიტუციის ამ პროექტში, მარტო ეს პუნქტი არ არის საგანგაშო _ არის სხვაც. კერძოდ, კონსტიტუციის პროექტის პრეამბულაში წერია _ საქართველოს სსრ ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას... ერთი შეხედვით, აქ თითქოს არაფერია განსაკუთრებულად საშიში, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. ეს სიტყვები სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ქართველი ერი გაუქმებულია და საქართველო არის არა ეროვნულ-პოლიტიკური ცნება, არამედ გეოგრაფიული ადგილი.

საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს და ქართველი ხალხი უნდა აცხადებდეს ამ კონსტიტუციას. ყველა იმ უფლებას კი, რომელიც აღნიშნულია კონსტიტუციის პროექტში, ქართველი ხალხი ანიჭებს სხვა ხალხებს, რომელნიც დღეს საქართველოში ცხოვრობენ. კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ხალხის თანდაყოლილ ინტერნაციონალიზმს, ქართველი ხალხის ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა ხალხების მიმართ.

როცა ვამბობთ _ საქართველოს ხალხი _ მაშინ ქართველი ხალხი გათანაბრებულია ყველა იმ ხალხთან, რომელიც დღეს საქართველოში ცხოვრობს. მაგრამ ამ ხალხებს აქვთ თავიანთი სამშობლოც. იქ არიან ისინი ყველაფრის ბატონ-პატრონები. ქართველ ხალხს კი არა აქვს სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი. მაშასადამე, იგი საკუთარ მამულში გათანაბრებულია სხვასთან. ჩვენ ვუფრთხილდებით სხვათა უფლებებს, მაგრამ ამით ვამცირებთ ქართველი ხალხის უფლებებს. ყოველ ადამიანს აქვს ბინა. ამ ბინაში იგია სრულუფლებიანი პატრონი. მასზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს სტუმარს. ასეთი ბინაა ყოველი ერისთვის თავისი ქვეყანა. ამ ქვეყნის პატრონი თავად უნდა იყოს და მასზე უნდა იყოს დამოკიდებული მიიღებს თუ არა ხელგაშლილი სხვა ხალხებს. ქართველ ხალხს არასოდეს უკრავს ხელი მოსული ხალხისათვის და ხშირად უპატიებელი ინტერნაციონალიზმი გამოუმჟღავნებია. ამიტომ დღეს კონსტიტუციურად მტკიცედ და უცვალებლად უნდა იყოს განსაზღვრული _ საქართველო ქართველი ხალხის ქვეყანაა და კონსტიტუციასაც ქართველი ხალხი აცხადებს.

თუ პრეამბულის ფორმულა _ საქართველოს ხალხი _ არ შეიცვლება ქართველი ხალხით, მაშინ ეს კონსტიტუცია არ იცავს ქართველი ხალხის ინტერესს.

მეორე. ახალი კონსტიტუციის პროექტში წერია, რომ საქართველოს სსრ მთავრობას აქვს უფლება ახალი ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის. მაგრამ ამ მთავრობას არა აქვს

[1] სიტყვა თქმული მწერალთა კავშირის კრებაზე 1978 წლის 12 აპრილს.

უფლება ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების. აბსურდი გამოდის. ელემენტარული კანონიერება მოითხოვს, რომ იმას, ვისაც შექმნის უფლება აქვს, უნდა ჰქონდეს გაუქმების უფლებაც. სხვანაირად შექმნის უფლება უუფლებობაა, თან საშიში უუფლებობა. საქართველოში ბევრი სომეხი, ბევრი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ცხოვრობენ ისინი კომპაქტურად. ეს მათ სრულ ნებას აძლევს კონსტიტუციის თანახმად მოითხოვონ ავტონომია. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე ისედაც ბევრი ავტონომიაა. ამას ახალი ავტონომიები დაემატება და ისედაც ერთი ციცქნა ტერიტორია მთლად დაქუცმაცდება. გარდა ამისა, ჩამოსულ, ჩამოსახლებულ ხალხს მისცე ავტონომია ეს იმას ნიშნავს, რომ მას მისცე სხვისი მიწა-წყალი. არც სომხები, არც აზერბაიჯანელები, არც ოსები საქართველოს ტერიტორიის აბორიგენი მოსახლეობა არ არის. მათთვის ტერიტორიის გამოყოფა ნიშნავს ქართველ ხალხს ჩამოართვა ტერიტორია. ტერიტორიის ჩამორთმევა კი ეროვნული დისკრიმინაციაა. მაშასადამე, ქართველი ხალხის ეროვნული დისკვრიმინაციის საფუძველზე ეძლევა სხვა ხალხებს უფლება ავტონომიები შექმნან საქართველოში. ხომ ნათელია, რომ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მიმართულია ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

მესამე. უკვე ყბადაღებული 75-ე მუხლი, რომელმაც ამდენი მღელვარება გამოიწვია.

კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდისტებმა ქართული ენისათვის «სახელმწიფო ენის» სტატუსის ჩამორთმევა იმით გაამართლეს, რომ არც რუსული ენაა მოხსენიებული სახელმწიფო ენად რუსეთის კონსტიტუციაში. მაგრამ ამგვარი მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სრულიად სხვადასხვა მდგომარეობა აქვს რუსულსა და ქართულს. დღეს რუსული ენა მსოფლიო მნიშვნელობის ენაა. მის წინააღმდეგ ბრძოლა აღარ შეუძლიათ ისეთ დიდ ენებსაც კი როგორიც ფრანგული და ინგლისურია. მით უმეტეს, საბჭოთა კავშირში რუსულს არ ჰყავს მეტოქე, არც პოლიტიკური და არც კულტურული თვალსაზრისით. ქართული კი მცირერიცხოვანი ერის ენაა. ქართულად სხვაგან არსად ლაპარაკობენ. ქართულს არ გააჩნია მონათესავე ენაც კი. იგი ობოლი ენაა და თუ საქართველოშიც არ მიეცა მას სახელმწიფო უფლებამოსილება, ქართული დასაღუპავად განწირული ენა იქნება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ენას ორი ფუნქცია აქვს: იგი ან არის სახელმწიფო ენა, ან არის პატუა (შინაური, შინ სახმარი) ენა. ახალი კონსტიტუციის პროექტი ქართულ ენას უტოვებს პატუა ენის ფუნქციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? მე ვაკეთებ ერთადერთ დასკვნას _ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი კონსტიტუციურ საფუძველს უყრის ქართველი ხალხის გარუსების საქმეს.

აქ იყო ლაპარაკი, ბევრი ამბობდა, რომ ეს შემთხვევითია, აქ დაშვებულია შეცდომა, ეს გაუგებრობაა, სტილისტური შეცდომაა და ა.შ. ამდაგვარი დიპლომატობიას თამაში არავითარ შედეგს არ მოგვცემს. კონსტიტუციის პროექტს შემთხვევითი ადამიანები არ ადგენენ. ისინი ასე იოლად არ უშვებენ შეცდომებს, გაუგებრობებს, შემთხვევითობებს... მათ შესანიშნავად იციან, რას აკეთებენ, რატომ და რა მიზნით. ვერც ჩვენი «დიპლომატობიით» მოვატყუებთ მათ. ამიტომ სრულიად აშკარად და პირდაპირ უნდა ვუთხრათ _ ჩვენ წავიკითხეთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი და მივხვდით მის ნამდვილ აზრს და

რაკი მივხვდით, მაშასადამე, პასუხიც უნდა მივაგოთ ახალი კონსტიტუციის პროექტის შემდგენლებს.

ამიტომ სრული პირდაპირობით უნდა ითქვას _ აქვს თუ არა რომელიმე ქართველს უფლება, რა მდგომარეობის, რა განათლების, რა შეხედულებისაც უნდა იყოს იგი, მხარი დაუჭიროს ამ კონსტიტუციის პროექტს? მე გეუბნებით, არა რომელიმე პუნქტს, არამედ მთლიანად კონსტიტუციას? ამ კონსტიტუციის სტილისტური გასწორება-დაზუსტება საქმეს არ უშველის. მისი არსი მაინც ანტიქართული დარჩება, ამიტომ ქართველმა ხალხმა არ უნდა მიიღოს ეს კონსტიტუცია. არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს მორალური უფლება ხმა მისცეს ახალ კონსტიტუციას.

დღეს ჩვენ არა გვაქვს უფლება ამ დოკუმენტს ზერელედ მოვეკიდოთ. აქ კარგად თქვა მურმან ლებანიძემ, რომ ხშირად ვიხილავთ ამა თუ იმ დოკუმენტს, ზერელედ ვეკიდებით მათ, ფეხებზე გვკიდია რას ვიხილავთ და რატომ. ყველა შინ გაქცევაზე ფიქრობს და აი წინ დაგვხვდა ამ ზერელობის შედეგი. როცა გაუთავებელი ლაპარაკი იყო ხალხთა ურთიერთდაახლოებაზე, ერთიან საბჭოთა ხალხზე, საქმე აქეთკენ მიდიოდა. ჩვენ კი ამას პირდაღებული მივჩერებოდით.

დღეს კი დოყლაპიობის უფლება არა გვაქვს. ჩვენ კატასტროფის წინაშე ვიმყოფებით. ეს დაადასტურეს იმათაც, ვინც იცავდა კონსტიტუციის პროექტს. როცა რაიმეს ასეთი დასაბუთება, ახსნა-განმარტება, ფერ-უმარილის წასმა სჭირდება, ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ საქმე ცუდად არის. ასე რომ არ იყოს, ამდენი ხვეწნა-მუდარა ეს პროექტი მიიღეთო, არ დასჭირდებოდათ.

მაშასადამე, მდგომარეობა ნათელია. არავინ ტყუვდება. მე ისიც კარგად ვიცი, რომ არც ამ ჩვენს ლაპარაკს და კრებას აქვს რაიმე მნიშვნელობა. ახალი კონსტიტუციის პროექტს მიიღებენ სულ ტაშის გრიალით და ჩვენი კრებების ოქმებს ვატერკლოზეტის «არქივი» ელით. მაგრამ ჩვენ მაინც მოვალენი ვართ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ზნეობრივად უნდა ვიყოთ ჩვენ მართალნი შთამომავლობის წინაშე. ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა ძალა, სხვა უფლება. ერთადერთი, რასაც შევძლებთ, ეს არის ჩვენი გულწრფელობა. დღეს ქართულმა მწერლობამ საქვეყნოდ უნდა განაცხადოს _ ვის მხარეზეა იგი, ქართველი ხალხისა თუ ქართველი ხალხის მტრების. უკან დასახევი გზა მას არა აქვს. ამიტომ წინადადება შემომაქვს კენჭი ეყაროს _ აძლევენ თუ არა ხმას საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები.

1978 წ.

## ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სასამართლო

1978 წლის 15 მაისს დაიწყო ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სასამართლო. მასალა 55 ტომს შეადგენს.

მოსამართლეა _ ავთანდილ კობახიძე

მსაჯულები _ ევგენი ნარიმანიძე და ლამარა გრიგოლია

ადვოკატები _ მიხეილ ალხაზიშვილი (გამსახურდიასი) და ოთარ ნიკოლაიშვილი (კოსტავასი)

პროკურორი _ გრიგოლ უგულავა

გამოძიებამ ორივეს _ გამსახურდიასაც და კოსტავასაც _ ბრალი დასდო: საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული მრწამსის, მტრული დამოკიდებულების გამომჟღავნებაში, საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების მიზნით საქმიანობაში. ეს გამოიხატა მათ მიერ 1) ანტისაბჭოთა ლიტერატურის (სოლჟენიცინი, სახაროვი, ამარლიკი, შაფარევიჩი...) გავრცელებით, 2) არალეგალური ჟურნალების («ოქროს საწმისი», «საქართველოს მოამბის») დაარსებით, 3) ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის შექმნით. ამის გამო წაუყენა სასჯელი, გათვალისწინებული საქართველოს სამართლის კოდექსის 71 მუხლის პირველი ნაწილით.

შენიშვნა: საინტერესოა, რომ აქცენტი გადატანილია ბრალდებაში ლიტერატურის გავრცელებაზე და არა იმაზე, რაც ჟურნალებში იყო დაბეჭდილი. ბრალად არ ედებათ არც ეკლესიის შესახებ, არც ციხეებში შექმნილი მდგომარეობის გამო, არც მესხების გადასახლების შესახებ დაწერილი წერილები. საქმე ისეა წარმოდგენილი თითქოს ეს წერილები არც დაწერილა. არც სხვა ამგვარი სტატიები იხსენიება.

ჩვენებები გამსახურდიასა და კოსტავას საქმის გამო მიუციათ _ კენჭოშვილს, ქავთარაძეს, ზვეზდინას, ალავიძეს, ღოღობერიძეს, ჯამბურიას, ბალანჩივაძეს, კვაარცხელიას, მაღულარიას, ჯანელიძეს, ოგანეზოვას, ანდრიანოვს, მარანიძეს, სუკიასოვას, ნემსაძეს, მაჩაბელს, ასათიანს, ბედოშვილს, ციკოლიას...

გამოძიების მიერ წაყენებულ ბრალდებაში გამსახურდიამ თავი დამნაშავედ ცნო და განაცხადა, ჩემს დანაშაულს ვინანიებო.

გამსახურდიას ინაურის სახელზე დაუწერია მონანიების წერილი. ეს წერილი სასამართლოზე არ წაუკითხავთ.

კოსტავამ თავი დამნაშავედ არ ცნო. მან აღნიშნა, რომ გამოძიების მიერ დადგენილი ფაქტები სწორია, მაგრამ მათი ინტერპრეტაცია, როგორც ანტისაბჭოური საქმიანობისა, სწორად არ მიმაჩნია და ამას არ ვეთანხმებიო.

16 მაისს არ დავსწრებივარ.

17 მაისს სამი მოწმე დაკითხეს _ კენჭოშვილი (ირ.კენჭოშვილის ძმისწული), ნელი ამაშუკელი და რუსი ქალი, რომლის გვარი ვერ დავიმახსოვრე. კენჭოშვილის გარდა, ქალების ცნობებს, სასამართლოსათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. კენჭოშვილმა დაადასტურა, რომ გამსახურდიამ მოიყვანა ირ.კენჭოშვილთან ამარლიკი და მისი ცოლი. თქვა აგრეთვე, რომ ირ.კენჭოშვილის ბინაში ნახა და წაიკითხა «გულაგი», «ოქროს საწმისი», «საქართველოს მოამბე».

ამით მოწმეების დაკითხვა შეწყდა, რადგან მოსამართლემ გამოაცხადა, რომ ახალ ცნობებს დარჩენილი მოწმეები არ იძლევიან და მათი დაკითხვა საქმის არსს არ ცვლისო. ამ მოწმეების ჩვენებანი არის საქმეში და თუ საჭირო იქნება გამოვაქვეყნებთო. ზოგიერთი მოწმის ჩვენება გამოაქვეყნეს _ ირ.კენჭოშვილის, ვ.ფაილოძის, ღოღობერიძის...

შემდეგ მოსამართლემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო წარმოდგენილი ნივთმტკიცებანი. 55 ტომიდან 14-დან 44 ტომამდე იყო ის მასალა, რასაც ჩხრეკის დროს კონფისკაცია უყვეს.

შემდეგ გამსახურდიამ განმარტება მისცა ამერიკელი კორესპონდენტების თაობაზე, რომელთაც პროვოკატორები უწოდა.

18 მაისი.

მხარეთა კამათი. გამოვიდა პროკურორი, რომელმაც გამსახურდიას და კოსტავას ბრალი დასდო და დამნაშავედ სცნო ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებაში სსრკ დასუსტების მიზნით. საბუთებად მოიშველია ის მასალა, რაც გამოძიებას ჰქონდა მოპოვებული. პროკურორმა მოითხოვა სასჯელი, როგორც გამსახურდიას, ისე კოსტავას მიმართ, 4 წელი თავისუფლების აღკვეთა და 3 წელი გადასახლება.

შემდეგ ილაპარაკა გამსახურდიას ადვოკატმა მ.ალხაზიშვილმა, რომელმაც გამსახურდიას საქმიანობა ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულად ცნო, მაგრამ იმის გამო, რომ გამსახურდიამ მოინანია თავისი დანაშაული, შესაძლებლად მიიჩნია სასჯელის შემსუბუქება და პირობითი სასჯელით დაკმაყოფილება.

ასევე კოსტავას ადვოკატმა ო.ნიკოლაიშვილმა კოსტავას საქმიანობა მიიჩნია დანაშაულად, მაგრამ, რაკი კოსტავამ არ იცოდა რას აკეთებდა, ვერ გააცნობიერა მისი საქმიანობა (კოსტავამ არ მოინანია და ამიტომ ადვოკატმა აქცენტი საქციელის გაუცნობიერებლობაზე გადაიტანა), შეიძლება მას შეღავათი მივცეთ და მომავალში იგი დაფიქრდება, ყველაფერს მიხვდება და თავის საქმიანობას შეცვლის. მოითხოვა პირობითი სასჯელი.

(მ.ალხაზიშვილმა კარგად გამოიყენა ის ფაქტი, რომ იმ წიგნების ავტორები, რომელთაც გამსახურდიას ავრცელებდა არც დაპატიმრებულნი არიან და არც პასუხისგებაში მიუცია ვისმეს).

მხარეთა კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გამსახურდიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პატიმრობა მისთვის დიდი გაკვეთილი იყო. პატიმრობისას მან ბევრი რამ გადააფასა და ბევრ რამეზე შეიცვალა შეხედულება. იგი გმობს თავის ანტისაბჭოურ შეხედულებებს, შეცდომად მიაჩნია მისი საქმიანობა 1975-77 წლებში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა სახელწიფოს ძლიერების შესასუსტებლად, მაგრამ მაშინ იგი არ ფიქრობდა, რომ ეს სსრკ ძლიერებას ასუსტებდა. ამას იგი ეძახდა ლიბერალიზაციას. ციხეში ყველაფერი გასაგები გახდა მისთვის. ამიტომ ინანიებს თავის საქციელს. სასამართლოს თხოვს მხოლოდ იმას, რომ იყოს ობიექტური.

კოსტავა შეეცადა საბოლოო სიტყვაში ზოგიერთ საკითხზე ვრცლად ელაპარაკა, მაგრამ მოსამართლემ უთხრა _ ილაპარაკეთ მხოლოდ იმაზე, რაც ბრალად გედებათო. მაშინ კოსტავამ განაცხადა, რომ თავისი საქმიანობა არ მიაჩნია დანაშაულად, არ ინანიებს და სასამართლოსაგან მხოლოდ ობიექტურობას ითხოვს.

შემდეგ სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად.

19 მაისს გამოიტანეს განაჩენი და ორივეს, გამსახურდიას და კოსტავას ერთნაირად მიუსაჯეს _ 3 წელი ციხე და 2 წელი გადასახლება.

განაჩენში დანაშაული კვალიფიცირებული იყო _ ანტისაბჭოთა პროპაგანდა, რომელიც შეიცავდა ლოზუნგებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

იმ დღეებში, როცა სასამართლო მიმდინარეობდა, თბილისში გავრცელდა ლექსი:

აყვავებულ ატმის სუნთქვით
გერწეოდა აკვანი,
კონსტანტინეს სადღეგრძელოს
ვსვამდით ხელის კანკალით,
საქართველოს ყელზე უჭერს,
ბიჭო, შენი საკანი!

მაგრამ ხალხი და მისი მომხრეები მოატყუა გამსახურდიამ. თავისი საქმიანობა მოინანია, მთავრობას ერთგულება შეჰფიცა. თავს ლაფი გადაისხა და ქართული თავისუფალი აზროვნება შეარცხვინა როგორც რუსეთის, ისე მთელი მსოფლიოს წინაშე.

ქართულმა კგბ დიდი გამარჯვება მოიპოვა. ყველა გამყიდველი და ნაძირალა აჭყლოპინებულია სიხარულით.

იმავე საღამოს, 19 მაისს, საკავშირო ტელევიზიით, პროგრამა «ვრემიაში» გამსახურდია გამოიყვანეს საბოდიშო სიტყვით. მან აღიარა დანაშაული, მოინანია და დაგმო თავისი საქციელი. ერთგულება შეფიცა საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ გამოვლას ეტყობოდა კუპიურები და დამონტაჟება. ჯერ ერთი, ხშირად მისი გამოსვლა გადაკვეთილი იყო მაგნიტაფონით. მეორეც, თუ სინქრონულად ჩაწერეს, მაშინ რაღა საჭირო იყო მაგნიტაფონი? თუ ჩანაწერი ცალკე იყო გაკეთებული და გამოსახულება ცალკე გადაღებული? ლაპარაკის დროს გამსახურდიამ რამდენჯერმე ღრმად ამოიოხრა. რატომ? (უფრო სწორად, ამოიგმინა).

არცერთ კულტურულ ქვეყანაში სასამართლო ასეთ ჩანაწერს საბუთად არ იღებს, რადგან მისი ფალსიფიცირება შესაძლებელია. ამდენად დოკუმენტი არ არის.

შესაძლებელია თუ არა სამედიცინო საშუალებებით ადამიანზე ზემოქმედება ისე, რომ იგი იყოს მდგომარეობაში, როცა სულერთია რას ლაპარაკობს?

ტექსტი აშკარად სხვისი დაწერილი იყო (ტერმინოლოგია და გამოთქმები ადასტურებს ამას). გამსახურდია კითხულობდა მას.

ტექსტში იყო ერთი ასეთი თქმა: ანტისაბჭოური ლიტერატურის გავრცელებამ მე პოპულარული გამხადა და ეს კიდევ მეტ სტიმულს მაძლევდა მე ამ საქმიანობაშიო. ტექსტის ავტორი ეტყობა ბრიყვია. თუ ანტისაბჭოური ტექსტის გავრცელებამ პოპულარული გახადა, მაშასადამე, საბჭოთა ხალხს მოსწონს ეს ტექსტები და ეწაფება მას. მაშასადამე, გულში საბჭოთა ხალხი ოფიციალურ პოლიტიკას არ ეთანხმება.

ტექსტში ნათქვამი და სასამართლოზე განცხადებული ბელაუსოვიჩის შესახებ ერთმანეთს არ ეთანხმება.

სასამართლოზე თქვა: ბელაუსოვიჩი შემთხვევით გავიცანი. საუბრისას მან მკითხა, რა პროფესიის კაცი ხარო. მე ვუპასუხე _ ამერიკული ლიტერატურის სპეციალისტი. მაშინ ბელაუსოვიჩმა მითხრა _ მე მაქვს უკანასკნელ პერიოდში გამოცემული წიგნები ამერიკული ლიტერატურის შესახებ, რომელსაც შეუძლებელია იცნობდეთ თქვენ და გათხოვებთო. მან

მომიტანა ეს წიგნები, მაგრამ 5-10 წუთში, ბელაუსოვიჩის წასვლის შემდეგ, მილიციამ წამართვა მე ის წიგნები და ამდენად მე ისინი არა თუ არ წამიკითხავს, ხეირიანად არც დამითვალიერებია.

ტელეში კი თქვა, რომ იგი ბელაუსოვიჩისაგან რეგულარულად იღებდა წიგნებს ანტისაბჭოური შინაარსით და ავრცელებდა.

გამსახურდიას დაცემის შესახებ კარგად თქვა სახაროვმა _ ეს არის მისი შეცდომა, დანაშაული და ტრაგედიაო.

გამსახურდიას ამ მდგომარეობამდე მიყვანა არის კიდევ ერთი უტყუარი საბუთი საბჭოთა ხელისუფლების გახრწნილებისა და ზნედაცემულობის. კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფალნი არიან ნაძირალები, რომელთაც ფეხებზე ჰკიდია ქართველი ხალხის ღირსება და სახელი. ოღონდ სკამი შეინარჩუნონ და იკადრებენ ყველაფერს.

მათ საბჭოთა ხალხების წინაშე ქართველები გამოიყვანეს სპეკულიანტებად, ქურდებად, კომბინატორებად, გამფლანგველებად, მექრთამეებად და ახლა გამსახურდიას საკავშირო ტელევიზიით გამოყვანით საბჭოთა ხალხს უთხრეს _ ქართველები სულმდაბალი მოღალატეებიც არიანო. იმიტომ, რომ როცა გამსახურდია რუსულად საკავშირო ტელევიზიით ელაპარაკებოდა მთელ საბჭოთა ხალხს იგი უკვე არ იყო მხოლოდ ზვიად გამსახურდია. იგი იყო ქართველი კაცი, რომელმაც მძიმე და საპატიო მისია იკისრა, მაგრამ სისუსტის გამო ბოლომდე ვერ ზიდა, შეირცხვინა თავი და შეარცხვინა ქართველი ხალხი. ასე აღიქვამს ამ ფაქტს ყოველი რიგითი მოქალაქე, რომელიც 19 მაისს ტელევიზიას უსმენდა. ამ დანაშაულისაკენ მას უბიძგა დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებამ, რომელსაც შარვალი ჩასვრილი აქვს და ამგვარი საშუალებით ცდილობს კრემლის მოწყალება დაიმსახუროს და რამდენიმე დღით არსებობა გაიხანგრძლივოს.

გამსახურდია, რომელმაც თავისი მძიმე მისია ვერ ზიდა ტრაგიკული პიროვნებაა. ხელისუფლება, რომელმაც მისი დაცემა ქართველი ხალხის სახელის გასატეხად გამოიყენა, ნაძირალების ხელისუფლებაა.

## თეატრიდან წასვლა

ჩემმა წასვლამ თეატრიდან საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამიტომ საჭიროა ითქვას, რა მოხდა, თუმცა დღეს ეს აღარავის ახსოვს.

1. კომუნისტებს სძულთ ლიტერატურა და ხელოვნება. ისინი თვალთმაქცობენ, ვითომ ვზრუნავთო. მარტო ხრუშჩოვმა აღიარა _ როცა მწერლებს უთხრა, თქვენზე უფრო ჩემთან ახლოს ჟურნალისტები არიანო.

ლოზუნგები: პარტია და ხალხი ერთიანია; გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურყევ ერთიანობას; პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია.

ე.ი. ხალხი იგივე პარტიაა, პარტია იგივე ხალხია.

ხელოვნება და მწერლობა კი მუდამ ფიცს უნდა იძლეოდეს – მუდამ პარტიასთან და ხალხთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერლობა და ხელოვნება რაღაც სხვაა, რაც შეიძლება უცხო იყოს როგორც პარტიისათვის ისე ხალხისათვის. ამიტომ თუ ფიცი არ შეასრულა მას ხალხიც მოიკვეთს და პარტიაც.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მწერლობა და ხულოვნება თავს გრძნობს, როგორც გერი და სულ თვალებში შესციცინებს ხელისუფლებას შიშით დამუნჯებული.

რუსთაველის თეატრის წარმატებამ ხელისუფლებამ თავზარი დასცა. ამას ისიც დაერთო, რომ შიგნით ერთიანობა შეიქმნა და დროებით მაინც კონფლიქტი გამოირიცხა. ამ ერთიანობის აზრის გაფანტვას ემსახურებოდა _ ცკ-ს მიერ გავრცელებული ჭორი, თითქოს ჩემსა და თეატრის თანამშრომლებს შორის კონფლიქტი არსებობდა. არ არსებობდა, ოღონდ ცკ ცდილობდა მის ჩამოგდებას.

2. ბზარი გაჩნდა მაშინ, როცა ჩხეიძემ თეატრიდან წასვლა გადაწყვიტა. ამას ვეწინააღმდეგებოდი იმიტომ, რომ თეატრი ერთფეროვანი გახდებოდა. აქ თავი იჩინა შურმა, რომელიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყოველთვის არსებობს თეატრში. ჩხეიძის წასვლა ცკ-სთვის გადასარევი ფაქტი იყო: ტყდებოდა თეატრის ერთიანობა. მაგრამ მე, როცა პროტესტით მივმართე ცკ-ს ჩხეიძის წაყვანაზე მარჯანიშვილის თეტრში დროებით უარი თქვეს.

3. კონსტიტუციის შემდეგ აღარ ვიყავი სასურველი კაცი და აუცილებელი იყო ჩემი მოხსნა. ამიტომ, რასაც მოვისურვებდი, არაფერი კეთდებოდა: ამით თეატრის დაპირისპირებას ცდილობდნენ.

გეგმის შეუსრულებლობა. თუმცა თეატრი არასოდეს ასრულებდა გეგმას. ეს უნდა საბაბად გამოეყენებინათ. კოლეგიაზე ქარაგმებით ლაპარაკი _ ვისაც ხელმძღვანელობა არ შეუძლია უნდა წავიდეს _ ჯანბერიძე და გურაბანიძე.

4. თაქთაქიშვილის მიერ გამოძახება _ უნდა წახვიდეო. სტურუა და ჩხეიძე შევარდნაძესთან წავიდნენ. შევარდნაძემ გაიკვირვა _ არაფერი ვიციო, დარჩეს.

5. სტურუას დაჯილდოება. «ცარცის წრე». დაგვიანებით წარდგენა. სამინისტროს მუშაობის შესახებ თათბირი.

6. საგასტროლო ცხოვრება და შემოქმედებითი ცხოვრება. საგასტროლო ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა შემოქმედებითი ცხოვრება არ ფერხდება, თორემ საგასტროლო ხეტიალს თეატრის მოკვლა შეუძლია (ასეც მოხდა). მაგრამ ძნელია თეატრში ეს აზრი ვინმეს გააგებინო. დავსვი საკითხი დროებით საგასტროლო ცხოვრების შეჩერების. მხარი არ დამიჭირეს. მთავრობამ იმიტომ, რომ თეატრი კვდებოდა და მისი მიზანი ეს იყო, თეატრმა _ სიბრიყვის გამო.

7. განცხადების დაწერა. ჯერ უარი არ გაგიშვებთო და მერე სასწრაფო მოხსნა. საუბარი თაქთაქიშვილთან და ენუქიძესთან. ორივემ _ შევარდნაძემ გვიბრძანაო (შევარდნაძე _ ჰალუცინაციები: «რაიკომის მდივანი», «დასაწყისი», «ედვარდ, ედვარდ!»... («რიჩარდი»). ჩვეულებრივ არის ფორმულა _ არის აზრი მოიხსნას. თუმცა ყველამ იცის ვისია ეს აზრი, მაინც არ ასახელებენ მას. ახლა კი პირდაპირ დაასახელეს. ჩემთვის ცხადი იყო, რომ ამას თავის ნებით ვერც თაქთაქიშვილი გაბედავდა და ვერც ენუქიძე. მაშასადამე, შევარდნაძე

ავალებდა. ეს აზრი მით უფრო გამიმტკიცდა, როცა ენუქიძემ მითხრა _ რ.სტურუა შევარდნაძის მტერია და შენ მას უჭერ მხარსო. გასაგები გახდა, რომ შევარდნაძის დასახელება ნიშნავდა: უნდა მივსულიყავი მასთან, ბოდიში მომეხადა და ერთგულების ფიცი მიმეცა. დავალებად კი მივიღებდი თეატრიდან სტურუას გაგდებას. ეს შეუძლებელი იყო: თეატრი ურეჟისოროდ რჩებოდა (თუმცა ჩხეიძე იყო თეატრში). ერთი რეჟისორი მე არ მიმაჩნია საკმარისად თეატრისათვის.

ვამჯობინე ჩემი წასვლა.

ამ პროცესს თეატრი ვერ მიხვდა და თავი დაიღუპა.

**ბ-ნო ვანო!**

თქვენ გაინტერესებთ, რატომ წავედი მე თეატრიდან. გიპასუხებთ, მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ პასუხს გეტყოდეთ, უნდა ზოგიერთი რამ განვმარტო.

თეატრი, როგორც ხელოვნების დარგი, მე ყოველთვის ნაკლებ მაინტერესებდა. ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად არა, ვიდრე ჩვეულებრივ მაყურებელს. როცა კინოში ვმუშაობდა, მაშინ იმასაც კი ვფიქრობდი, რომ თეატრი დაბერდა, მოძველდა და აღარ უნდა არსებობდეს-მეთქი. შეიძლება ეს გაგიკვირდეთ და მკითხოთ, რატომღა დავთანხმდი მაშინ თეატრში მუშაობას?

თეატრთან ჩემი დაკავშირება მოხდა სერგო ზაქარიაძისა და აკაკი დვალიშვილის ინიციატივით. თქვენ გახსოვთ, რომ ს.ზაქარიაძემ შემომთავაზა თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგის ადგილი. როცა ეს წინადადება მივიღე, დავფიქრდი, შევძლებდი თუ არა ჩემი მიზნისა და ამოცანის ნაწილობრივ განხორციელებას. რატომღაც დავასკვენი, რომ მოვახერხებდი.

მაინც რა მიზანი და ამოცანა მქონდა დასახული?

მე, ყმაწვილობის ასაკშიაც კი, არ ვეკუთვნოდი იმ ადამიანთა რიგს, რომელნიც ფიქრობენ, რომ კომუნისტურმა მოძრაობამ კაცობრიობას ბედნიერება მოუტანა. ყოველთვის კარგად ვიცოდი, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ნაძირალებმა. ისიც მკაფიოდ მქონდა წარმოდგენილი, რომ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პატიოსანი ცხოვრება შეუძლებელია და ადამიანმა თავი მხოლოდ ორპირობით, ლაქიაობით და უფროსის უკანალის ლოკვით უნდა გაიტანო. რაკი ყველაფერი ეს ნათლად მქონდა წარმოდგენილი ბუნებრივად დადგა ჩემს წინაშე საკითხი _ როგორ მეცხოვრა?

არსებობდა უკვე გატკეპნილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი გზა _ შევრთებოდი ორპირებს, უნამუსოებს და სინდისგარეცხილთა არმიას. მეკეთებინა ყველაფერი ჩემი ნამუსის საწინააღმდეგოდ. ეს არ არის ძნელი საქმე, თუ პატიოსნებაზე აიღებ ხელს. მით უმეტეს, ამას იოლად აკეთებენ ლიტერატორები. სტუდენტობისა და დამოუკიდებელი საქმიანობის პირველ წელიწადს მე მოვსინჯე ეს გზა. უნდა გითხრათ, რომ კარგად გამომივიდა. მეტად ნიჭიერს მეძახდნენ და ოქროს მთებს მპირდებოდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისიც ცხადი იყო, რომ ხელი უნდა ამეღო ჩემს პიროვნებაზე და გავთქვეფილიყავი

სხვაში. ეს არ ვისურვე და გადავწყვიტე სხვა გზას დავდგომოდი. ჩემი მიზანი და ამოცანა ასე ჩამოვაყალიბე _ რაკი მე საბჭოთა სინამდვილეს თავს ვერ დავაღწევ, უნდა ყოველგვარ პირობებში მოვახერხო და ვილაპარაკო სიმართლე. ვამხილო საბჭოთა სიცრუე და ორპირობა. რაც ეს გადავწყვიტე, მერე უკან არ დამიხევია და თქვენ 1957 წლიდან ვერ ნახავთ ჩემს ვერცერთ სტრიქონს, სადაც მე ის მეთქვას, რასაც არ ვფიქრობდი. ვერ ნახავს სტრიქონს, დაწერილს ვინმეს საამებლად და სალაქიოდ. რა თქმა უნდა, როგორც ყველას, მეც ბევრი შეცდომა მომსვლია. მაგრამ ეს იყო ჩემი საკუთარი შეცდომა და არა სხვის დუდუკზე ხტომის შედეგი.

როცა რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგეობა შემომთავაზეს, როგორც გითხარით, ჩავთვალე, რომ მოვახერხებდი სცენიდან სიმართლის თქმას. მაგრამ ჩემი და ს.ზაქარიაძის ერთად მუშაობა აღარ მოესწრო. ს.ზაქარიაძე ჩვენი საუბრის შემდეგ მალე გარდაიცვალა. თეატრის დირექტორად დანიშნეს ოთარ ქინქლაძე. მე მაინც დავიწყე ლიტერატურული ნაწილის გამგედ მუშაობა, მაგრამ, როგორც იცით, ორიოდე თვეში ამ საქმეს თავი დავანებე. რატომ? იმიტომ, რომ ოთ.ქინქლაძეს თეატრი არ აინტერესებდა. იგი თეატრს უყურებდა, როგორც ტრამპლინს, ახალი, უფრო მაღალი თანამდეობების მისაღებად. ასეც მოხდა. მან მალე მიიღო უფრო მაღალი თანამდებობები. ცხადია, ამ მიზნით თეატრში მოსული კაცი ჩემს წინადადებებს არ დაეთანხმებოდა და ჩემს თეატრში მუშაობას აზრი არ ჰქონდა. მეც წავედი.

მერე, როცა ოთ.ქინქლაძე გადაიყვანეს და ახალი თანამდებობა ჩააბარეს, აკაკი დვალიშვილის წინადადებით, მე დამნიშნეს თეატრის დირექტორად. დავთანხმდი ამას იმიტომ, რომ მომეჩვენა, დირექტორობა კიდევ უფრო მეტად მომცემდა საშუალებას განმეხორციელებინა მიზანი. მაგრამ ნაწილობრივ მაინც მოვტყუვდი.

აღმოჩნდა, რომ მე თეატრს არ ვიცნობდი და, როგორც მაყურებელს, მასზე ზერელე წარმოდგენა მქონდა. მართალია, კინოში მუშაობის გამო, ბევრ გამოჩენილ მსახიობს პირადად ვიცნობდი და ზოგიერთთან ახლო მეგობრობაც მაკავშირებდა, მაგარმ ეს არ ყოფილა საკმარისი თეატრის არსის ამოსაცნობად. როცა მე ჩემი გეგმები გავაცანი თეატრის უკეთესს ნაწილს, სამწუხაროდ, ვერავინ ვერაფერი გაიგო. ჩემდა გასაოცრად დავინახე, რომ მათთვის სულერთია რას დადგამენ, ოღონდ თეატრში იყოს მაყურებელი და ის ტაშს უკრავდეს. თეატრის ერთადერთი ოცნება ეს ყოფილა. მას თურმე არ აინტერესებს, რას ამბობს, რატომ ამბობს, რა მიზნით, რა ამოცანით. ვის ემსახურება და რას ემსახურება. თუ ტაშს დაუკრავენ, მზად არის ყველას განურჩევლად ემსახუროს. ეს ჩემთვის მძიმე აღმოჩენა იყო, მაგრამ გული არ გამტეხია, რადგან მაინც ვფიქრობდი, რომ გამოსავალი მოიძებნებოდა.

ჩემთვის ნათელი იყო, რომ ძირითადად ორ კაცს _ თემურ ჩხეიძესა და რობერტ სტურუას უნდა დავყრდნობოდი. უბრალოდ იმიტომ, რომ უშუალოდ პროდუქციას (წარმოდგენას) ისინი ამზადებდნენ. სხვა რეჟისორები მე არ გამომადგებოდნენ და ჩემი ორიენტაციაც ამ ორ კაცზე იყო აღებული. თ.ჩხეიძესთან კონტაქტის დამყარება მე უფრო გამიჭირდა, ვიდრე რ.სტურუასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობა თეატრში პატარა კონფლიქტით დაიწყო. გახსოვთ ალბათ, რომ, როცა მე უარი ვუთხარი რ.სტურუას, რ.გაბრიაძის პიესას «ხანუმა პარიზში» არ დაგადგმევინებ-მეთქი, იგი თეატრიდან გაიქცა და

ორი თუ სამი თვე არ მოსულა. კომპოზიტორი გია ყანჩელი აქეზებდა, არ მიხვიდე, იძულებული გახდება შეგეხვეწოს და «ხანუმა პარიზში» დაგვადგმევინოსო. ნაირნაირი ხმებიც მოჰქონდათ ჩემთან _ სტურუა განცხადებას წერს და თეატრიდან მიდისო. მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან კარგად ვიცოდი, არც რეჟისორი და არც მსახიობი, როგორი შეურაცხყოფაც უნდა მიაყენო მას, თეატრიდან არსად წავა. მართლაც, სეზონის ბოლოს იგი თეატრში მობრუნდა და გვქონდა საქმიანი საუბარი. მაშინ შევთავაზე მე მას პ.კაკაბაძის «ყვარყვარე თუთაბერი». ჯერ თავი შეიკავა. თქვა, რომ ეს პიესა სუსტია და მისგან რა გამომივა, წარმოდგენილი არა მაქვსო. მე გავაცანი ჩემი გეგმა. ვუთხარი _ «ყვარყვარეს» მოტივები კაკაბაძეს სხვა პიესებშიც აქვს. მოდი, ყველას ერთად მოვუყაროთ თავი, გავაერთიანოთ და ამით შევავსოთ ის ხარვეზები, რომელიც «ყვარყვარე თუთაბერს» აქვს-მეთქი. ეს მოეწონა და რამდენიმე დღე ითხოვა მოსაფიქრებლად. არ დასჭირვებია ეს რამდენიმე დღე. მეორე დილითვე მოვიდა და მითხრა _ ვიცი, როგორ უნდა დავდგაო. მართლაც, მშვენიერი ფორმა მოძებნა: ბოროტი კეთილის უკანა მხარეა. ქრისტე და ანტიქრისტე.

ჩვენ ორიოდე კვირაში დავამუშავეთ ლიტერატურული ვარიანტი. მერე იგი დაიდგა. «ყვარყვარესთან» დაკავშირებით რაც მოხდა, ეს თქვენ კარგად იცით.

მერე კარგა ხანს ჩვენ თანხმობით ვმუშაობდით. უსიამოვნება არც წამოსვლის წინ მომსვლია, მაგრამ ჩემი დარჩენა თეატრში მაინც აღარ ღირდა.

თქვენ იცით, რომ 1978 წლის 14 აპრილსა და კონსტიტუციასთან დაკავირებული ამბების გამო ხელისუფლება ძალიან გადამეკიდა. ჩემი მოხსნის საკითხი რამდენჯერმე იდგა, მაგრამ ვერ გაბედეს. ერთხელ თაქთაქიშვილს დაუყვირა კიდეც შევარდნაძემ _ რა მინისტრი ხარ, ბაქრაძე ვერ მოგიხსნიაო. შეშინებული თაქთაქიშვილი სამინისტროში მოვარდა და მეხვეწებოდა, წადი თეატრიდან კულტურის სამინისტროში გადმოგიყვან, იქ იმუშავეო. მე ჯიბრის გამო უარი ვუთარი. ასეთი რამ ბევრჯერ მოხდა. ყველა რომ გიამბოთ, ძალიან გრძელი გამოვა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ორი წლის მანძილზე ხან მხსნიდნენ და ხან მტოვებდნენ. ელოდნენ ჩემს განცხადებას. მე არ ვწერდი მას. ერთხელ ტრისტან ყველაიძეს ვუთხარი კიდეც _ განცხადებას არავითარ შემთხვევაში არ დავწერ-მეთქი. თუ უნდათ ისე მომხსნან-მეთქი. მერე მაინც დავწერე განცხადება და აი, რატომ.

როცა ამგვარ სიტუაციაში ვიყავი, რ.სტურუა (და სხვები) სახელმწიფო პრემიაზე წარადგინეს «ცარცის წრის» გამო. ეს აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ სტურუას დაქირავებას აპირებდნენ და ჩემთან მის დაპირისპირებას. ეს რომ ასეა, ამას ის ადასტურებს, რომ «ცარცის წრე» დაგვიანებით და ინსტრუქციის დარღვევით წარადგინეს პრემიაზე. სამინისტრომ ყალბი დოკუმენტი შეადგინა, თითქოს «ცარცის წრის» განახლებულ, გადაკეთებულ ვარიანტს ადგენდნენ პრემიაზე.

«ცარცის წრით» დაგვიანებული დაინტერესება ნაკარნახევი იყო ანგარებით. თუ სტურუას დააჯილდოვებდნენ, ჩამოაცილებდნენ იმ გეზს, რომელსაც ერთად ვადექით. რა თქმა უნდა, სტურუას პრემიაზე უარის თქმა არ შეეძლო, მაგრამ, ჩემი აზრით, რაღაცით უნდა გამოეხატა პრემიისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ამიტომ მე ვუთხარი მას, არ წასულიოყ მოსკოვში პრემიის მისაღებად. ამით გასაგები გახდებოდა, რომ იგი მაინცა და

მაინც დიდად არაფრად აგდებდა პრემიას. ჯერ დამპირდა, არ წავალო, მაგრამ მერე, ეტყობა, სხვების შთაგონებით, მაინც წავიდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ იგი მაშინვე წამოეგება ანკესს, როგორც მას ხელისუფლება გადმოისვრის.

ჩემი ეს ვარაუდი უტყუარად დაადასტურა შევარდნაძემ ЛГ-ს კორესპონდენტთან საუბარში _ «...მოუთმენლად მოველით სპექტაკლს თანამედროვეობის მწვავე პრობლემებზე, რომელსაც რუსთაველის სახელობის თეატრში ამზადებს რობერტ სტურუა» (გაზ. «კომუნისტი», 1980 წ., 21 სექტემბრი). ცხადია გახდა, რომ სტურუა დაქირავებული რეჟისორი შეიქმნა. დაქირავებულთან კი მე არაფერი მესაქმებოდა. სხვა რეჟისორი კი თეატრში არ იყო. ხატისკაცი და გია ანთაძე ძალიან სუსტები იყვნენ, რომ მათგან რაიმეს იმედი ჰქონოდა კაცს. თემურ ჩხეიძეს კი არ უნდოდა თეატრში მუშაობა. იგი ძალდატანებით რჩებოდა თეატრში. ასეთ ატმოსფეროში მე აღარაფერი საქმე მრჩებოდა.

როცა ნიჭიერი თუ უნიჭო რეჟისორი თავის თავისუფლებას ცკ-ს დაქირავებაზე გაცვლის, იგი უკვე მკვდარია. მისგან ცოცხალი აღარაფერი გამოვა. ახლა სტურუა მხოლოდ იმ შეკვეთაზე უნდა ფიქრობდეს, რომელიც შევარდნაძისაგან მიიღო. ამგვარი წარმოდგენის დადგმა მას გაუჭირდება იმიტომაც, რომ იგი ცინიკოსია ბუნებით და პანეგირისტული წარმოდგენა ძნელად გამოუვა. ეს ობიექტურად. სუბიექტურად კი მას შევარდნაძე თხოვს _ დადგას წარმოდგენა, რომლის გმირი თავად შევარდნაძე იქნება. შევარდნაძეს ისევე უნდა უმღეროდნენ, როგორც სტალინს და ბერიას უმღეროდნენ, მაგრამ ამას აშკარად ვერ ბედავს, რამეთუ ჯერჯერობით მოსკოვის ცკ არ ითხოვს ამას. ამიტომ ალეგორიულად უნდა ილაპარაკონ ამაზე. ისე, როგორც რ.ჩხეიძე აკეთებს თავსი ფილმში. მაგრამ ჩხეიძე იძულებულია ეს გააკეთოს, რადგან ეშინია მისი შვილი თამრიგო არ დაიჭირონ, როგორც დისიდენტი. სტურუას რისი ეშინია? შინ კატაც კი კომუნისტი (ბოლშევიკი) ჰყავს! მაშასადამე, ლაქიობა მისი ბუნებაა, სტურუამ ეს არ იცის, მაგრამ, როცა მას პრემიით აჯილდოვებდნენ, მე ენუქიძე მელაპარაკა და მისაყვედურა _ რატომ უჭერ მხარს სტურუას. ხომ იცი, რომ ეგ შევარდნაძის მტრების ნათესავია (გულისხმობდა დ.სტურუას და ვ.სირაძეს) და მათი დავალებით მოქმედებს. ჩვენ კარგად ვიცითო, მითხრა, რომ თქვენ კარგა ხნის დადგმული გქონდათ «რიჩარდ მესამე», მაგრამ მის გამოშვებას განგებ აჭიანურებდით. როცა გაკვირვებულმა ვკითხე _ რატომ ვაჭიანურებდით განგებ-მეთქი? ენუქიძემ მიპასუხა _ შევარდნაძის მოხსნას ელოდით, რომ მერე ხალხი გაგეცინებინათ ხშირად გამეორებული «ედვარდ... ედვარდ»-ითო. მაგრამ შევარდნაძე აღარ მოხსნესო და იძულებული გახდით სპექტაკლი გაგეშვათო. როცა ეს სისულელე მოვისმინე, მაშინვე მივხვდი, რომ ეს შევარდნაძის ნათქვამი იყო, რადგან ენუქიძე ამგვარ აბდაუბდას ვერ მოიგონებდა.

ჩემი და ენუქიძის ლაპარაკი უსიამოვნოდ დამთავრდა. ეჭვით ავადმყოფს ქვეყნის მართვა არ უნდა ევალებოდეს-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი.

დააკვირდით სიტუაციას: სტურუას თან აჯილდოვებენ და თან მტერს ეძახიან. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენ წაგვკიდონ და ამით ისედაც ჩაშლილი საქმე თეატრში მთლად ჩაშალონ. სტურუას მეტი ვერავინ ვერაფერს დგამდა. თუ ის და მე წავიკინკლავებდით, ისიც ვერაფერს გააკეთებდა და საქმე სულ წახდებოდა.

ამას დაემატა ისიც, რომ ყველა ჩემს წინადადებაზე _ თეატრს ესა და ეს სჭირდება-მეთქი _ სამინისტროცა და ცკ-ც უარს მეუბნებოდა. ესეც გამიზნული იყო.

**ბატონო ვალენტინ!**

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომელიც ჟურნალ «მნათობის» რედაქციაში გადმომცეს.

გიგზავნით ჩემს წიგნს «ილია ჭავჭავაძე». ამასთან ერთად, ვკადნიერდები და ერთ რამეს გთხოვთ. ახლა, როგორც იქნა, ვაივაგლახით, მივაღწიეთ იმას, რომ შეგვიძლია გამოვცეთ უცხოეთში მცხოვრები ქართველი მწერლებისა და მეცნიერების წიგნები (მაგალითად, ახლა ვამზადებთ გრიგოლ რობაქიძის თხზულებათ კრებულს გამოსაცემად). სამწუხაროდ, აქ ხელთ არა გვაქვს ეს წიგნები. იქნებ თქვენ ან სხვამ ვინმემ როგორმე მოგვაწოდოთ ეს წიგნები. მართალია, ჩვენს პირობებში ეს არ არის იოლი თხოვნა, რიმ გამოც დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ თუ ეს მოხერხდება სამუდამოდ დავალებული დავრჩებით. ისიც უნდა გითხრათ, რომ ფოსტით წიგნების გამოგზავნა არ იქნება სასურველი, რადგან არსებობს დიდი საშიშროება მე არ გადმომცენ ისინი. უმჯობესი იქნება ჩვენში წამოსულმა ქართველმა წამოიღოს. თუ ეს რთულია და რაიმე უხერხულობასთან არის დაკავშირებული, მაშინ ისევ «მნათობის» რედაქციის სახელზე გამოგზავნა აჯობებს. იქნებ ოფიციალური ჟურნალის სახელზე გამოგზავნილი ბანდეროლი არ გახსნან და არ მიითვისონ შიგთავსი (ალბათ იცით, რომ ამგვარი მითვისება ჩვენში ჩვეულებრივი ამბავია).

კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით ამ კადნიერი თხოვნისათვის.
გისურვებთ ყოველივე კეთილს!

ღრმა პატივისცემით

აკაკი ბაქრაძე

1987. 18. VI.

ჩემი მისამართია _ თბილისის, ნუცუბიძის ქ.№74, ბინა 1.

## აკაკი ბაქრაძის საარჩევნო პროგრამა

ჩემი პროგრამა შემდეგი ხასიათის გახლავთ:

მართალია, სსრკ-ის კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოაო, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მოკავშირე რესპუბლიკები არ არიან სუვერენული სახელმწიფოები. არ შეიძლება სახელმწიფოს ეწოდოს სუვერენული, თუ მას

არ ჰყავს ეროვნული არმია,

არა აქვს ეროვნული ბანკი,

არა აქვს ეროვნლუი ფულის ერთეული,

არა აქს საგარეო საქმეთა საინისტრო ელჩებითა და წარმომადგენლებით უცხოეთში (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფუნქციას რომ ვერ ასრულებს, ეს უთუმცაო და უეჭველია),

არ ჰყავს მთავრობა, რომელიც არჩეულია მთელი ხალხის თავისუფალი ნებით.

ამის გამო მიმაჩნია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა (და, ცხადია, მათ შორის, საქართველოც) უნდა იბრძოდეს სრული, ჭეშმარიტი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად.

რაც ვთქვი, ის სულ მცირე ორ კითხვას მაინც გამოიწვეპვს.

პირველი: სრული სუვერენიტეტის მოთხოვნა ხომ არ არის ნაციონალიზმის გამოვლენა? (რა თქმა უნდა, ცნება «ნაციონალიზმი» ამ შემთხვევაში ნახმარია იმ გაგებით, რითაც მას საბჭოური იდეოლოგია იყენებს, თორემ ჩემთვის, პირადად, ნაციონალიზმი უკეთილშობილესი გრძნობის გამოვლენაა სამშობლოს მიმართ).

მეორე: რამდენად რეალურია დღეს სრული სუვერენიტეტის მოთხოვნა? ხომ არ არის ის ფუჭი ოცნება?

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სრული სახელმწიფოებრივ-ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნა არც ნაციონალიზმის გამოვლენაა და არც ფუჭი ოცნებაა. ეს მოთხოვნა უშუალოდ და პირდაპირ გამომდინარეობს «პერესტროიკა»-გარდაქმნის პროცესიდან.

შევხედოთ ამ მოთხოვნას ჯერ ეროვნული პრობლემის კუთხით.

იმ მოვლენებმა, რაც დღეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, იაკუტიაში, საქართველოში და სხვაგან ხდება, ცხადჰყვეს, რომ ეროვნული პრობლემები სსრკ-ში მოგვარებული არ არის. პოლიტიკური წყობის ფედერალური სისტემა, რომელიც ამჟამად სსრკ-ში არსებობს, მოძველდა და შესაცვლელია. იგი გავლილი ეტაპია და საჭიროა უფრო სრულყოფილი ახალი სისტემით შეიცვალოს. ამ ახალ სისტემად მიმაჩნია სრული ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე (ხოლო ნამდვილი სუვერენიტეტი რას ნიშნავს, ეს ზემოთ უკვე ვთქვი) ხალხების ნებაყოფლობითი თანამეგობრობა ანუ, სხვანაირად თუ ვიტყვით, სსრკ უნდა გახდეს ჭეშმარიტად სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი.

ძალიან საეჭვოა სხვაგვარად სსრკ-ში ეროვნული პრობლემა მოგვარდეს (შეიძლება მხოლოდ ძველებურად დროებით ეს საკითხი მივჩქმალოთ). ხოლო ეროვნული პრობლემის მოუგვარებლობა შეუძლებელს გახდის «პერესტროიკა»-გარდაქმნის პროცესის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოთხოვნა აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის თვალსაზრისითაც. დღეს არც ის ეეჭვება ვისმეს, რომ სსრკ უნდა გახდეს სამართლებრივი სახელმწიფო. მაგრამ როგორ ისარგებლებს რომელიმე პიროვნება სამართლებრივი სახელმწიფოს სიკეთით, თუ იგი არ იქნება ეროვნულად თავისუფალი? სამართლებრივი სახელმწიფოს ერთი უპირველესი ნიშანი ამ სახელმწიფოში

მოსახლე ერების სრული ეროვნული თავისუფლებაა. პიროვნების ყველა სხვა უფლება ეროვნული თავისუფლების უფლებიდან გამომდინარეობს.

ეკოლოგიურადაც კი აუცილებელია სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოთხოვნა. მოგეხსენებათ, მე-20 საუკუნის დასასრული პოსტინდუსტრიული ეპოქაა, რომელმაც ურთულესი და უდიდესი საერთაშორისო პრობლემა, ეკოლოგიური პრობლემა წარმოშვა. ბუნებრივია, ეკოლოგიამ არც საქართველოს აუარა გვერდი. როგორც ყველგან, ისე ჩვენში მოსაგვარებელია იგი. მაგრამ მოგვარება ძალიან გაძნელდება, თუ ყველა საკითხი მოსკოვში გახდა გადასაწყვეტი ან შესათანხმებელი. მაგალითად, ტრანსკავკასიის რკინიგზის საკითხი თბილისში გაცილებით მალე მოგვარდებოდა. ეს ისე არავინ გაიგოს, თითქოს მოსკოვში ვინმე ამას საგანგებოდ აჭიანურებდა. თავისთავად გამოვიდა ასე, რაკი უფრო რთული პრობლემებიც არსებობს. საკავშირო ან საერთაშორისო კუთხით არალის ზღვა ან ყარაყალპაკეთის პრობლემა, ცხადია, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტრანსკავკასიის რკინიგზა. უგუნური ქმედების გამო არალის ზღვას დაშრობა ემუქრება და უკვე რამდენიმე საქართველოს ოდენა ტერიტორია უდაბნოდ იქცა. ყარაყალპაკეთს, როგორც ქვეყანას, ემუქრება გაქრობა, რადგან მთელი რესპუბლიკის ტერიტორია ჭაობად გადაიქცა. ასეთი რამ მთელი დედამიწის ზურგზე არსად მომხდარა და, ცხადია, ამ მოვლენებით გამოწვეული შეძრწუნება უფრო დიდია, ვინემ ტრანსკავკასიის რკინიგზით. ამდენად ყურადღება სხვა მიმართულებით არის მიპყრობილი. მართალია, ჩვენ, ქართველებს, გაუბედურებული ყარაყალპაკები გვეცოდებიან, მაგრამ ჩემი არაგვის ხეობა უფრო მტკივა და მაღელვებს. ამიტომ უნდა მქონდეს სხვის უკითხავად უფლება ჩემი ქვეყნის პრობლემები თვითონვე მოვაგვარო. ყარაყალპაკებს სუვერენული უფლებანი რომ ჰქონოდათ, საკუთარ მიწა-წყალს დასაღუპავად არ გასწირავდნენ. მაგრამ, როცა ყარაყალპაკეთში რა უნდა გაეკეთებინათ, ამას ისინი გეგმავდნენ, ვისაც იქ ფეხი არ დაუდგამს, ცხადია, ის უბედურება დაიბადებოდა, რაც დღეს მსოფლიოს აძრწუნებს.

ასე რომ, ეკოლოგიაც სრულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს ითხოვს.

ეკონომიკა ხომ ითხოვს და ითხოვს.

მარქსიზმ-ლენინიზმს ეკონომიკა ბაზისად მიაჩნია, ხოლო პოლიტიკა _ ზედნაშენად. მაგრამ სსრკ-ში ეს თეორიული დებულება პრაქტიკულად შებრუნებული სახით იყო გამოყენებული: ეკონომიკა ემორჩილებოდა პოლიტიკურ მიზანს. იმისათვის, რომ სსრ კავშირის პოლიტიკური მთლიანობა შეენარჩუნებიათ, მოკავშირე რესპუბლიკები ეკონომიკურად გადააჯაჭვეს ერთმანეთს. მართალია, ეს ჯაჭვი ხშირად ეკონომიკურად წამგებიანი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლიტიკურ მთლიანობას უწყობდა ხელს. ამ მიზნით ააშენეს თავის დროზე რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ფოთის ელექტრომანქანების გამამლიერებელთა და სხვა ქარხნები, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ისინი ეკონომიკურად არარენტაბელური იქნებოდნენ.

ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს ინდუსტრიის წინააღმდეგ არავინ გამოდის, მაგრამ იგი (ინდუსტრია) მოცემული ქვეყნის შესაძლებლობას უნდა შეეფერებოდეს. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა უნდა დაიგეგმოს და აშენდეს იმის შესაბამისად, რის უფლებასა და საშუალებას იძლევა თავად რესპუბლიკის

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, წიაღისეული და მიწისზედა სიმდიდრე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობანი, ერის ეკონომიკური გამოცდილება. რად უნდა იმას მტკიცება, რომ საქართველოს სხვა შესაძლებლობა აქვს და უკრაინას სხვა, სომხეთს ის არ ძალუძს, რაც ყაზახეთს და ა.შ. ამ შესაძლებლობათა ერთმანეთში არევამ გამოიწვია სსრკ-ის ეკონომიკური ჩამორჩენილობა და შექმნა სახიფათო ვითარება. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მოკავშირე რესპუბლიკები თანაბრად იქნებიან ეკონომიკურად დამოუკიდებელი და პოლიტიკურად სუვერენული.

ყველა ზემოთქმულის გამო მიმაჩნია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მინიჭება უშუალოდ გამომდინარეობს «პერესტროიკა»-გარდაქმნის მიზნებიდან.

ყველასათვის ნათელია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. სსრკ-ში სოფლის მეურნეობა დაანგრია მიწის კოლექტიური საკუთრების პრინციპმა. აღმოჩნდა, რომ ის, რაც ყველასია, თურმე არავისი არ არის. მიწამ პატრონი მოითხოვა. ყველა დროში და ყველა ქვეყანაში მიწის პატრონი ყოველთვის გლეხი იყო. ჩვენ გლეხს წავართვით პატრონის უფლება და ისიც მიწას მტერივით მოეპყრო. ამან გამოიწვია ის, რაც დღეს ამდენი წუხილის საგანია _ სოფლის მეურნეობის სავალალო ჩამორჩენა სსრკ-ში. თუ გვინდა, ეს ჩამორჩენა როგორმე მოვსპოთ, მიწას პატრონი ისევ უნდა გავუჩინოთ. სსრკ-ში მიწის პატრონი ისევ გლეხი უნდა გახდეს. გლეხებს მიწა სამუდამო მფლობელობაში უნდა გადაეცეს. მხოლოდ ეს შეაძლებინებს სოფლის მეურნეობას ფეხზე წამოდგეს. იჯარა ან სხვა ამგვარი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობას ვერ უშველის.

როცა გლეხი მიწის პატრონი გახდება, ხოლო მუშა – ქარხნისა, თანდათანობით მოხდება ხალხის, როგორც სოციალური ძალის, აღორძინება. ამჟამად სსრკ-ში ხალხი აღარ არის სოციალური ძალა. იგი მხოლოდ სხვისი ნების მექანიკური აღმსრულებელია. ამან გამოიწვია შრომის, ყოფის, ურთიერთობის კულტურის დაქვეითება-დაცემა. ვინ და როგორ შეძლებს მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის აღორძინებას, როცა ყველაფერს ვუყურებთ მიმთვისებლის თვალით და არა მშრომელის? დაიკარგა თაობიდან თაობაში რუდუნებით გადაცემული ცოდნა, დამოკიდებულება ფასეულობისადმი, საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლისადმი და საერთოდ ყველაფრისადმი, რისგანაც ცხოვრება შედგება. ყველაფერ ამას აღდგენა სჭირდება, რაც თავისუფალ ადამიანს შეუძლია.

სსრკ-ში ჩამოყალიბდა წარმოდგენა ადამიანზე, როგორც სახელმწიფოს უბრალო, უსულო ჭანჭიკზე. ამ შეგნებამ ადამიანი დააკნინა-დაამცირა და შემოქმედებითი უნარი წაართვა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ ამ შეგნებისაგან. ამისათვის აუცილებელია ორი რამ: პირველი, სსრკ-ში საქმედ ვაქციოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ჰელსინკის შეთანხმების პრინციპები და, მეორე, დავუბრუნოთ ადამიანებს კერძო საკუთრება, როგორც პიროვნების თავისუფლების საფუძველი.

კერძო საკუთრებას მოაზროვნეთა ერთი ნაწილი ებრძოდა, როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის საშუალებას. ეს მართალია, არის იგი ამ ბოროტების იარაღი,

მაგრამ მას აქვს მეორე მხარეც: კერძო საკუთრება არის ადამიანის თავისუფლების პირობაც. ადამიანი, რომელსაც არა აქვს კერძო საკუთრება, შიშის ტყვეა, რაკი მას არ გააჩნია არსებობისათვის სხვა არაფერი, გარდა საკუთარი ფიზიკური ან გონებრივი ძალისა. იგი აქირავებს თავის ფიზიკურ და გონებრივ ძალას და ამაში აღებული ფულით ირჩენს თავს. საკმარისია დამქირავებელს (სულერთია სახელმწიფო იქნება იგი თუ კერძო მფლობელი) არ მოეწონოს ფიზიკური თუ გონებრივი ძალის გამქირავებელი ადამიანი და შეუწყვიტოს ქირის მიცემა, რომ დაქირავებული ღმრთის ანაბარად რჩება. ეს მდგომარეობა აიძულებს იმ ადამიანს, ვისაც არა აქვს კერძო საკუთრება, იყოს მორჩილი და უღირსებო ადამიანი. აიტანოს ყოველგვარი უსამართლობა და შეურაცხყოფა, ოღონდ არდაკარგოს ადგილი, რომელიც მას ლუკმა-პურის ფულს აძლევს. აქედან დაიბადა ტოტალური მორჩილება, რომელიც საფუძველი გახდა გაუგონარი დანაშაულისა. ეს დანაშაული დღეს გვაძრწუნებს. გვიკვირს ის მორჩილებაც და დუმილიც, რომელსაც ამ დანაშაულის მოწმე ადამიანები იჩენდნენ, მაგრამ იმას აღარ ვამბობთ, რომ ასე იქნება ყოველთვის, სანამ ადამიანს არ დაუბრუნდება მისი თავისუფლების საფუძველი კერძო საკუთრება.

ტექნიკურ ცივილიზაციას შეუძლია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობა, მაგრამ არ შეუძლია გახდეს ადამიანის თავისუფლების საძირკველი. ამიტომ არ უნდა შეგვაშინოს კერძო საკუთრების დაბრუნებამ. კერძო საკუთრება სსრკ-ში ადამიანს დაუბრუნებს შემოქმედებით უნარს. ნაკლის, ხარვეზების, ჩამორჩენის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ შემოქმედ ადამიანს და არა ჭანჭიკს, რომელიც მოვალეობას მექანიკურად ასრულებს.

თავისუფალი ადამიანი თავისუფალ საზოგადოებაში უნდა ცხოვრობდეს. თავისუფალი კი ის საზოგადოებაა, სადაც მმართველობის ფორმა დემოკრატიულია. მაგრამ მმართველობის ერთპარტიულმა სისტემამ მეტად საეჭვოა ჩამოაყალიბოს დემოკრატიული საზოგადოება. ერთპარტიული სისტემა მაინც დიქტატურაა, თუმცა შეიძლება ზოგჯერ ლმობიერი იყოს იგი და ზოგჯერ მკაცრი. ლმობიერება ან სიმკაცრე მმართველობას ხასიათს არ უცვლის. მმართველობის თვისება და ხასიათი შეიცვლება მაშინ, როცა მრავალპარტიული სისტემა მოგვცემს ნამდვილი დემოკრატიის დამყარების საშუალებას.

თუ გვინდა დემოკრატია, უნდა გვინდოდეს მრავალპარტიულობაც.

გრძელი ლაპარაკი იმიტომ გამომივიდა, რომ მინდოდა ზოგიერთი რამ განმემარტა, უფრო ნათლად გამომეთქვა, თორემ ჩემი პროგრამა შეიძლებოდა რამდენიმე წინადადებით გამომეხატა.

სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა ყოველ მოკავშირე რესპუბლიკისათვის, როგორც თავისუფალი სახელმწიფოს საფუძველი.

მმართველობის მრავალპარტიული სისტემა, როგორც დემოკრატიის აუცილებელი პირობა.

კერძო საკუთრება, როგორც პიროვნების თავისუფლების საძირკველი.

გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ჰელსინკის შეთანხმების დოკუმენტები, როგორც გარანტია პიროვნების ხელშეუხებლობისა.

თუ ამის განხორციელებას შევძლებთ, სხვა უფრო წვრილწვრილი პრობლემები თანდათანობით მოგვარდება.

## ღია წერილი

(გაზეთ «თბილისის» რედაქტორს)

აკაკი ბაქრაძე _ თქვენ მკითხეთ _ რატომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. ჩემი ეს წერილი ამ კითხვის პასუხი იქნება.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ მშობლები, რომელთაც მძიმედ დაავადებული ბავშვები ჰყავთ. ითხოვენ უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნას და, ცხადია, ამისათვის ვალუტას. რუსთაველის საზოგადოებას დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია: იგი ვერავის გაგზავნის უცხოეთში სამკურნალოდ და ვერც ვალუტით მოამარაგებს ვისმეს. დიდი-დიდი, რაც შეიძლება რუსთაველის საზოგადოებამ გააკეთის, ეს გახლავთ ის, რომ სხვადასხვა ინსტანციაში კარდაკარ იმათხოვროს და უამრავი მთხოვნელებიდან რომელიმე ერთს პაწია დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა. რა დააშავეს იმ სნეულმა ბავშვებმა, რომელთაც ვერ ვუშველეთ? რა დააშავეს იმ ბავშვების გამწარებულმა მშობლებმა?

პრობლემა მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა ქართველები თუ საქართველოს არაქართული მოსახლეობა უცხოეთში კი არ დაიწყებს შველის ძებნას, არამედ საქართველოში იქნება ისეთი სამედიცინო მომსახურეობა, რომ არავის არსად წასვლა არ დასჭირდება. პირიქით, აქეთ ჩამოვლენ უცხოელები.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ ის ყმაწვილები, რომელთაც უჭირთ საბჭოთა არმიაში სამსახური. საბჭოთა არმიაში სამსახური გადაიქცა კატორღად. ამ კატორღაში, მშვიდობიან დროს, იღუპებიან სულითა და ხორცით საღი ახალგაზრდები. მოაქვთ და მოაქვთ საქართველოში (სხვა რესპუბლიკებშიც) კუბოები. მართალი არიან ისინი, ვისაც არ სურთ საბჭოთა არმიაში სამსახური. ეს ყმაწვილები არ გაურბიან საერთოდ არმიაში სამსახურს, მაგრამ მათ სურთ იმსახურონ ქართულ ეროვნულ ჯარში. აქაც მართალნი არიან ისინი. საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი ეროვნული არმია. მაგრამ ვერც ამ ყმაწვილებს ეხმარება არსებითად რუსთაველის საზოგადოება. დიდი-დიდი რის გაკეთებაც აქ შეუძლია რუსთაველის საზოგადოებას, ეს გახლავთ ის, რომ მრავალთაგან რომელიმე ერთი დავიხსნათ საბჭოთა არმიაში სამსახურისგან. მაგრამ ეს არ არის პრობლემის მოგვარება: რა დააშავეს სხვებმა? რატომ უნდა გავაგზავნოთ ისინი კატორღაში?

პრობლემა მაშინ იქნება მოგვარებული, როცა შეიქმნება ქართული ეროვნული არმია. ქართველი ახალგაზრდები იმსახურებენ ამ არმიაში.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ ქართველ პატიმართა ჭირისუფლები. უთვალავი ადამიანი იხდის სასჯელს უდანაშაულოდ. ამას სამართლისდამცავი ორგანოებიც კი აღიარებენ. უდანაშაულონი ითხოვენ სამართალს, ვერც აქ გავაწყვეთ ვერაფერი. ჰა და ჰა, თუ შევძელით რომელიმე ერთი უდანაშაულოს გათავისუფლება. მაგრამ არც ეს არის

პრობლემის გადაწყვეტა. რა დააშავეს სხვა უდანაშაულოებმა, რომელთა დახსნა არ ხერხდება; პრობლემა მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა საქართველოში იარსებებს ისეთი სამართალი, რომელიც ციხეში არ ჩასვამს უდანაშაულოს.

რუსთაველის საზოგადოებას აკითხავენ უსახლკარონი და ითხოვენ ბინას. რუსთაველის საზოგადოებას არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება. დიდი-დიდი, რასაც რუსთაველის საზოგადოება მოახერხებს, ეს გახლავთ ის, რომ მუხლებში ჩაუვარდეს აღმასკომებს და როგორმე ერთი ბინა იშოვნოს. ერთ უსახლკაროს თავშესაფარი მისცეს (ზოგჯერ მომხდარა კიდეც ასეთი რამ), მაგრამ ეს არ არის პრობლემის მოგვარება. რა ვუყოთ უთვალავ უსახლკაროს? მათ ოჯახებს? პრობლემა მაშინ იქნება მოგვარებული, როცა ყოველ მოქალაქეს ექნება საშუალება ბინის ყიდვისა. როცა ისინი არ იწანწალებენ აღმასკომების კარდაკარ «უფასო» ბინის მისაღებად.

ასე უსასრულოდ შეიძლება პრობლემათა ჩამოთვლა. მაგრამ აზრის საილუსტრაციოდ რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. დასკვნა კი ის იქნება, რომ რუსთაველის საზოგადოებას არ ძალუძს იმ მტკივნეულ პრობლემათა მოგვარება, რომელიც ჩვენს ხალხს აწუხებს დღეს. ამ პრობლემათა ზღვაში რუსთაველის საზოგადოება თავად ფართხალებს უმწეოდ. არ მინდა ვიყო საფუძველი ცრუ იმედის შექმნისა. ამიტომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. თუ არ შემიძლია გაჭირვებულის შველა, ის ხომ შემიძლია ვუთხრა: უძლური ვარ და ნუ იქნები ჩემს იმედად.

ეს ურთულესი პრობლემები მაშინ მოგვარდება, თუ ძირფესვიანად შეიცვლება არსებული სინამდვილე, ანუ საქართველო გახდება დამოუკიდებელი, მაგრამ შექმნილია ურთულესი ვითარება. დიდი ხანია უკვე ხალხს არ სჯერა ოფიციალური ხელისუფლების. არავითარი იმედი იმისა, რომ ოფიციალური ხელისუფლება რაიმეს შეცვლის _ აღარ არსებობს. მაგრამ ხალხს უიმედოდ ცხოვრება არ შეუძლია. ხალხი ეძებს იმედს. ამ იმედად აკიაფდა ეროვნული მოძრაობა. 9 აპრილის სისხლიან დღემდე ეროვნულმა მოძრაობამ მედგრად იარა წინ. ამის შემდეგ  მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა. გამოყენებული იქნა მზაკვრული ხერხი: არ გაუწიონ არავითარი წინააღმდეგობა ეროვნულ მოძრაობას.

მიტინგის მოწყობა გნებავთ? მოაწყვეთ, სადაც გინდათ, როგორც გინდათ, რამდენ ხანსაც გინდათ.

გაზეთში დაბეჭდვა გსურთ? დაბეჭდეთ, რომელ გაზეთშიაც გნებავთ, რაც გნებავთ. თქვით ყველაფერი, რასაც ფიქრობთ. დასტამბვაში ხელს არავინ შეგიშლით.

საკუთარი გაზეთის გამოცემის სურვილი გაქვთ? გამოეცით რამდენი და როგორი გაზეთიც გსურთ.

ტელევიზიაში გამოსვლაზე ოცნებობთ? მიბრძანდით ტელევიზიაში, გამოდით, ილაპარაკეთ რაც გინდათ, რამდენ ხანსაც გინდათ. იდავეთ, იკამათეთ. ტელევიზიის კარი ღიაა თქვენთვის.

შიმშილობის გამოცხადებას აპირებთ? თქვენი ნებაა, იშიმშილეთ რამდენიც გსურთ. ვინ გაბედავს წინააღმდეგობას. პირიქით, ხელისუფლება ყველანაირად დაგეხმარებათ. ოღონდ თქვენ იშიმშილეთ და ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით.

ერთმანეთს გინდა ესროლოთ? ესროლეთ. სრული თავისუფლება მოგვინიჭებია, მილიცა ახლო-მახლო არ გაიჭაჭანებს. თქვენს საქმეში არ ჩაერევა. უბატონოდ ხმას არ გაგცემთ.

არჩევნების ჩატარება არ გინდათ? ვინ გაბედავს წინ აღუდგეს თქვენს ნებას. ახლავე დანიშნული არჩევნები გაუქმდება.

ამ ვერაგული გეგმის ავტორმა ჩინებლად იცის, რომ კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მანამ არაფერი საფრთხე ემუქრება, სანამ საბჭოთა არმია ერთგულია როგორც კომპარტიის, ისე საბჭოური ხელისუფლების, ჯერჯერობით არმია ერთგულია არსებული სინამდვილის. ამიტომ არ არის საშიში ეროვნული მოძრაობა. იგი შეიძლება თავისუფლად მოქმედებდეს. თუ ლაპარაკს რეალური შედეგი არ მოჰყვება, ხალხი დაიღლება, ცარიელი ლაპარაკის მოსმენა მოსწყინდება. გული გაუტყდება. იმედი დაეკარგება. ეროვნულ მოძრაობას ზურგს შეაქცევს. მაშინ ისევ გამოჩნდებიან ასპარეზზე კომუნისტები და იტყვიან: შეჩვეული ჭირი გერჩივნოთ შეუჩვეველ ლხინს.

დაბეჩავებულ და სასოწარკვეთილ ხალხს ისევ კომპარტია წაიყვანს საითაც უნდა.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სრული ინერტულობა ამ გეგმის შედეგია.

დააკვირდით: საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ აღიარა საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალში, მაგრამ შედეგად ამას არაფერი მოჰყოლია. ყველაფერი ისევ ისე ძველებურად არის.

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გააუქმა 1922 წლის შემდეგ დადებული ხელშეკრულებანი, მაგრამ ამას შედეგად არაფერი მოჰყოლია. ყველაფერი ისევ ისე ძველებურად არის.

უცნაური სიტუაციაა: თითქოს წინააღმდეგობას არავინ წევს, მაგრამ არც არაფერი იცვლება. ეროვნულმა მოძრაობამ წრეში დაიწყო ტრიალი. ჩიხში მოექცა. ასეთ ვითარებაში ჩნდება ყველაზე დიდი საშიშროება: ეროვნული მოძრაობის გათიშვა, შინაბრძოლა. მზაკვრული გეგმის ავტორი ამასაც ითვალისწინებდა.

სამწუხაროდ, ქართული ეროვნული მოძრაობის გათიშვა და შინაბრძოლა რეალურ საფრთხედ იქცა.

ამ დროს (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა) ადამიანი არცერთ ორგანიზაციას, არცერთ პარტიას, არცერთ დაჯგუფებას არ უნდა ეკუთვნოდეს. იგი თავისუფალი უნდა იყოს მიკერძოებულობისაგან. მისი ნათქვამი უნდა განიხილებოდეს როგორც სუბიექტური აზრი, რომელიც ყველას თანაბრად ეხება. იგი არ იქნება დაცვა ან მხარდაჭერა ამა თუ იმ ორგანიზაციის, პარტიის, დაჯგუფების. ამ მიზეზითაც ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. მინდა ვიყო თავისუფალი ყოველგვარი დაჯგუფებისაგან, პარტიულობისაგან, მიკერძოებულობისაგან. დღეს შველა სჭირდება არა რომელიმე პარტიას, რომელიმე დაჯგუფებას, არამედ საქართველოს, ქართველ ხალხს.

ცხადია, არავინ დამიჯერებს, თორემ ჩემი ფიქრით, უნდა დაიშალოს დღეს არსებული ყველა ორგანიზაცია, ყველა პარტია, ყველა დაჯგუფება და შეიქმნას ერთი ახალი, უპარტიო გაერთიანება _ ვთქვათ, საქართველოს აღორძინების მოძრაობა, სადაც უნდა მოიყაროს თავი

ყველამ, ვისაც საქართველოს ბედი აწუხებს, განურჩევლად პარტიულობისა, რელიგიისა, ეროვნებისა და ა.შ.

არც არავის შეშინება მინდა და არც წინასწარმეტყველის როლის თამაში, მაგრამ ის კი ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაითიშა, გაიყო, მას გამარჯვება არ უწერია. ეს საეჭვო არავისთვის არ უნდა იყოს. ქართულ ეროვნულ მოძრაობას გამარჯვება შეუძლია ერთადერთ შემთხვევაში: თუ იგი იქნება ერთიანი, მთლიანი და მონოლითური.

ქართველი ხალხი თავისი გრძელი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ დამარცხებულა, ბევრჯერ გასტეხია გული, მაგრამ ყოველთვის მოუკრებია ძალა, თანდათან წამომდგარა ფეხზე და იმედით ავსებულა. მაგრამ დღევანდელი დამარცხება ასეთი არ იქნება. მოდის ოცდამეერთე საუკუნე. ამ საუკუნეს ეროვნული პრობლემებისათვის აღარ ეცლება. ოცდამეერთე საუკუნე იქნება კაცობრიობის სხვა პლანეტებზე განსახლების საუკუნე. იგი იქნება ტოტალური ეკოლოგიური, დემოგრაფიული, გენეტიკური, ეკონომიკური და ა.შ. პრობლემების საუკუნე. აშშ-ის პრესა უკვე დღეს ბალტიისპირელებისა და ჩვენს მოთხოვნებს დაცინვით უწოდებს არა ეროვნულს, არამედ ტომობრივს. რაღა იქნება ოცდამეერთე საუკუნეში? ამიტომ ჩვენ ჩვენი ბედის გადასაწყვეტად მოზომილი გვაქვს ის ათწლეული, რაც მე-20 საუკუნის დასასრულამდე დარჩენილი. ამ პერიოდში უნდა შევძლოთ ყველაფრის მოგვარება, რაც ჩვენს ეროვნულ ბედთან არის დაკავშირებული. ამიტომ გვჭირდება ჩვენ ერთიანობა და მოქმედების ერთიანი გეგმა. ეს გეგმა უახლოეს ხანში უნდა შემუშავდეს მკაფიოდ და დეტალურად. ყოველი კაცი (ქართველი იქნება იგი, თუ არაქართველი), ვინც ამ გეგმას გაეცნობა, ნათლად უნდა შეეძლოს დაინახოს _ როგორ იქნება მოწყობილი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო. უნდა დაიწეროს ქართული ოცნების წიგნი. ეგებ იგი ეროვნული მოძრაობის ერთიანობის საფუძვლად გამოდგეს. და თუ მაინც, ჩვენი განხეთქილებისა და შეუთანხმებლობის გამო, ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, ამ წიგნის მიხედვით მომავალ თაობებს იმის თქმა მაინც უნდა შეეძლოს, რომ მე-20 საუკუნის დასასრულს საქართველოში იყვნენ ადამიანები, ვისაც კეთილი და დიდი ოცნება ამოძრავებდათ, მაგრამ, საუბედუროდ, ბედისწერამ წაართვა უნარი ერთმანეთისათვის თანხმობისა და თანამშრომლობის ხელი გაეწოდებინათ.

მე მინდა ამ წიგნის დაწერაში მონაწილეობა მივიღო. ამას დრო და თავისუფლება სჭირდება. კიდევ ამიტომ ვთქვი უარი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობაზე.

ღრმა პატივისცემით
აკაკი ბაქრაძე
გაზ. «თბილისი», 16 მაისი, 1990 წ.

## საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფცია

«საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფცია», გამოქვეყნებული გაზეთ «საქართველოში» (1997 წ., სექტემბერი, სპეციალური გამოშვება), ღრმა და გულმოდგინე

ნამუშევარია. იგი ბევრ საკითხს ეხება, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაპყრობ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა-მთლიანობის საკითხს.

პირველი, რაშიც არ ვეთანხმები ავტორს, გახლავთ ავტოხტონურობის საკითხი. ავტორს დასაშვებად და შესაძლებლად მიაჩნია, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი ავტოხტონური ხალხის არსებობა. იგი თვლის, რომ ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს ორი ავტოხტონური ხალხი _ ქართველები და აფსუაები. ჩემი აზრით კი, ეს შეუძლებელია. აფხაზეთის ტერიტორიის ავტოხტონური მოსახლეობა ან ქართველებია ან აფსუაები. ჩემი ღრმა რწმენით, და ამას ისტორიაც და აწმყოც უტყუარად და მტკიცედ ადასტურებს, აფხაზეთის ავტოხტონური მოსახლეობა ქართველები არიან. აფსუა კი მოსულია. არც ეთნონიმის აფხაზი და აფსუას არევა შეიძლება ერთმანეთში. აფხაზი ჩვეულებრივი ქართველი ტომია. აფხაზები არიან ისინი, ვინც ამჟამად გამოძევებული და დევნილია აფხაზეთიდან. აფსუა კი ჩრდილოეთიდან მოსული დამპყრობელია. აფსუას აქვს ქართული შესატყვისი _ აფსარი. რაკი აფსუა ქართული მიწა-წყლის დამპყრობელია, მას არც სეპარატისტი შეიძლება ეწოდოს. მისი სახელია დამპყრობელი, ოკუპანტი. ასევე არ შეიძლება შიდა ქართლში მოსახლე ოსებს ეწოდოთ სეპარატისტი. ისინიც დამპყრობელნი არიან. ამიტომ ყველა დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს დამპყრობელი, ოკუპანტი აფსუა და ოსი. ბუნებრივია, «საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფციაშიც» ასე უნდა იყოს.

დამპყრობელს საქართველოში არავითარი უფლება არ უნდა მიენიჭოს. დამპყრობელს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც გიორგი ბრწყინვალე მოექცა ოსებს. მაშინაც ისარგებლეს ოსებმა იმით, რომ საქართველო მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი, ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ და გორიც კი დაიჭირეს. ოკუპირებული ტერიტორიის მითვისებაც დააპირეს. ზუსტად იეთი ვითარება იყო, როგორიც დღეს არის. ოღონდ მაშინ მონღოლების მოკავშირენი იყვნენ და მათი იმედი ჰქონდათ. ახლა რუსეთს ეტმასნებიან, რუსეთის დახმარებით ცდილობენ ქართული მიწა-წყლის მითვისებას. გიორგი ბრწყინვალემ ჩაუშალა მადააშლილი გეგმები. ოსები პირწმინდად განდევნა საქათრველოდან და მათგან გაასუფთავა ქართული მიწა-წყალი. დღევანდელი საქართველოც ასე უნდა მოიქცეს. საქართველო უნდა გაიწმინდოს აფსუასა და ოსისაგან. მაგრამ ჯერ რუსეთს უნდა ამოუკვეთოს ფეხი საქათრველოდან და მერე კუდებიც _ აფსუაები და ოსებიც _ მიაყოლოს. დამპყრობელისადმი დამოკიდებულებაში მართალი გზა ეს არის. მაგრამ ქართველობა მაინც სულგრძელობას იჩენს და არსად გაძევება-განდევნას მათ არ უპირებს. პირიქით, ყველა არაქართველს, მათ შორის აფსუასაც და ოსსაც, საქართველოს მოქალაქის სახელს ანიჭებს. ყველა უფლებითა და მოვალეობით უთანაბრებს ქართველს. ამაზე მეტს უცხოს (მით უფრო დამპყრობელს) არცერთი ქვეყანა არ აძლევს.

აქედან გამომდინარე ჩემი პოზიცია ასეთია:

არავითარი ავტონომია (არც ტერიტორიული, არც ფუნქციური და არც რომელიმე სხვა) საქართველოში არ უნდა არსებობდეს. ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობს ( ან უნდა აქ ცხოვრობდეს) იღებს საქართველოს მოქალაქის სახელს. პოლიტიკურად ისინი ქართველები არიან. თუ სურთ თავიანთი ეროვნული წარმომავლობის შენარჩუნება შინ, შეინარჩუნონ.

ამისუფლებას არავინ ართმევს. თუ ეს არ მოსწონს, შეუძლია იქ დაბრუნდეს, საიდანაც მოვიდა.

ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, სწავლობს ქართულ სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, განათლებას ქართულად იღებს. იქ, სადაც არაქართველები ჯგუფურად, ერთად ცხოვრობენ, სკოლაში დასაშვებია მათი მშობლიური ენა (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფსუა-ენა და სხვა) როგორც ერთ-ერთი საგანი ისწავლებოდეს.

ქართველობა, თუ თავისი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა უნდა, სხვანაირ გზას ვერ დაადგება. ყველა სხვა გზა (კონფედერაცია, ფედერაცია და ა.შ.) საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე შექმნის რაღაც უსახო და უშინაარსო სახელმწიფოს, რომელშიც რაღაც კუთხეს, ალბათ, ქართველებსაც გამოუყოფენ. ამ სახელმწიფოს არც საქართველო ერქმევა და არც ქართული იქნება მისი სახელმწიფო ენა.

ეს ჩემი მტკიცე პოზიციაა და, ვერავითარი დიპლომატიური მოსაზრებით, მას ვერ შევიცვლი, თუნდაც დროებით.

1997 წ., 24 სექტემბერი

_ _ _ 0 0 0 _ _ _

თუ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ოკუპირებული ქართული ტერიტორიის დასაბრუნებლად ალტერანტიული ვარიანტები არ გვაქვს. საქართველო დამარცხებულია. აფსუა-ხალხი და ოსები გამარჯვებული. ისინი არცერთ წინადადებას დამარცხებული საქართველოდან წამოსულს არ მიიღებენ. პირიქით, როგორც გამარჯვებულნი შეეცდებიან თავს მოგვახვიონ ის, რასაც თავად ჩათვლიან თავისთავის სასარგებლოდ. მით უფრო, რომ მათ ფრიად ნათელი გეგმა აქვს თავიანთი მომავლისა. აფსუა ხალხს უნდა დამოუკიდებელი აფხაზეთი. ასე თუ ისე, დასაშვებად მიაჩნიათ რუსეთის პროტექტორატი.

ოსებს უნდათ გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთთან და «ერთიანი ალანია», ისევ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ჩვენ ამის საპირისპიროდ სურვილი გვაქვს აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამ სურვილის განსახორციელებლად დღეს რეალურად არ გაგვაჩნია არავითარი ძალა _ არც სამხედრო, არც ეკონომიკური, არც იდეოლოგიური, არც პოლიტიკური. მოლაპარაკებით ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. გამარჯვებული დამარცხებულის სასარგებლოდ არაფერს დათმობს.

მას მერე, რაც აფსუა-ხალხმა და ოსებმა დაგვამარცხეს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დაკავშირდა აჭარასთანაც და საქართველოში ერთად მოსახლე სომხებთან (ჯავახეთი) და აზერბაიჯანელებთან (მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის რაიონები). ესენიც ისევე დააპირებენ (და განახორციელებენ კიდეც) პოლიტიკური ერთეულნი გახდნენ, როგორც აფსუა-ხალხი და ოსები. საქართველოში გავრცელებული ცრუ აზრი აფსუა-ხალხს სხვა სამშობლო არა აქვთ და იმიტომ მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა გვქონდესო, მეტი რომ არა ვთქვა, სასაცილოა და სერიოზულ განსჯას არ იმსახურებს. რაკი ამგვარი ვითარება შეიქმნა აფსუა ხალხისა და ოსების

პრობლემა ცალკე ვეღარ განიხილება. იგი უნდა განვიხილოთ საერთოდ მთელი საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის კუთხით.

ამ მხრივ ორი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს.

პირველი: საქართველო ერთიანი უნიტარული სახელმწიფოა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დღევანდელ პირობებში ფუჭი ოცნებაა. მიუხედავად იმისა, რომ სულითა და გულით უნიტარული ქართული სახელმწიფო მინდა, რეალურად მისი განხორციელება დღეს შეუძლებელია. ამიტომ უმჯობესი იქნება ოცნებას თავი დავანებოთ და ვითარებას ფხიზლად შევხედოთ.

მეორე: საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნას შვეიცარიის ტიპის სახელმწიფო. მართალია, ამ ტიპის სახელმწიფო ქართველი ხალხის ისტორიულ და ეროვნულ ინტერესებს ძალიან დააზარალებს, მაგრამ დღეს შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის სხვა გზას ვერ ვხედავ.

თუ ჩვენი ჯგუფი გაიზიარებს აზრს, რომ საქართველო აშენდეს, როგორც შვეიცარიული ტიპის სახელმწიფო, მაშინ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ და მკაფიოდ და ნათლად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულება _ როგორ წარმოგვიდგენია ეს პრობლემა.

1997 წ.

## დავა რუსეთის საზოგადოებასა და ქონების მართვის სამინისტროს შორის

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ერთი მხრივ, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებებისა და, მეორე მხრივ, ქონების მართვის სამინისტროს შორის სასამართლო დავა მიმდინარეობს. დავა გამოიწვია იმან, რომ ქონების მართვის სამინისტრომ ყოვლად უსაფუძვლოდ და უკანონოდ ე.წ. «კადეტთა კორპუსი», ანუ რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა №27, აჩუქა გაკოტრებულ «ივერთბანკს» და შენობის გაყიდვის უფლება მისცა, ვითომდაც მეანაბრეთა ვალის გადასახდელად. გარდა ამ შენობის გაყიდვისა, საქართველოს ხელისუფლებამ სხვა გზა მეანაბრეთა ვალის გასასტუმრებლად ვერ გამოძებნა.

ამ შენობაში მუშაობდა ორივე საზოგადოება _ რუსთაველისაც და ილია ჭავჭავაძისაც. თუ შენობა გაიყიდება ორივე საზოგადოება რჩება უსახლკაროდ, ქუჩაში გამოყრილი.

გარდა იმისა, ორივე საზოგადოებას ქუჩაში რომ ერეკებიან, დასცინიან კიდეც: კომპენსაციად ბინას სთავაზობენ ან სრულიად დამწვარ-განადგურებულ კავშირგაბმულობის სახლში, ან სანახევროდ აშენებულ, ან ძველ, დახავსებულ, დანგრევის პირად მისულ სახლებში, რომელთა აშენება-რემონტს ათჯერ მეტი თანხა სჭირდება, ვიდრე მეანაბრეთა ვალის გადახდისი. საერთოდ გაუგებარია: თუკი იმდენი ფული აქვთ, რომ შეუძლიათ დამწვარ-განადგურებული კავშირგაბმულობის სახლის აშენება, ვაკეში სახლების მშენებლობის დასრულება, დახავსებულ-დამპალი სახლების გარემონტება, რატომ არ უხდიან ამ ფულით ვალს მეანაბრეებს?

არც კანონმა გაჭრა და არც ლოგიკამ. «კადეტთა კორპუსი» მაინც იყიდება. რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებები მაინც პანღურამოკრული ქუჩაში რჩება, რაც რეალურად ორივე საზოგადოების ლიკვიდაციას ნიშნავს.

რაკი უძლური ვარ და ბოროტების მორევა არ შემიძლია, იძულებული ვარ, პროტესტის ნიშნად, გადავდგე. ამით ბოროტების აღსრულებაში მონაწილეობას მაინც არ მივიღებ. ისე კი მეტად გამასხარავებულ-გაბითურებული აღმოვჩნდი: რუსთაველის საზოგადოებაში 1998 წლის ივლისში დავბრუნდი და ახლა სამიოდე თვის შემდეგ იძულებული ვარ საზოგადოებიდან წავიდე. რას ვიზამ, როგორც ჩანს, ასეთია ხვედრი: მუდამ დამარცხებული ვიყო.

1998 წ.

## რუსთაველის საზოგადოების გამგეობას

ამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე რუსთაველის საზოგადოების გარშემო ატეხილმა აურზაურმა, უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებებმა, ისეთი ვითარება შექმნეს, რომ რუსთაველის საზოგადოება იძულებულია გახდეს მოქალაქეთა კავშირის ფილიალი. რაკი არავითარი სურვილი არა მაქვს ვიყო მოქალაქეთა კავშირის ფილიალის წევრი, უარს ვამბობ რუსთაველის საზოგადოების წევრობაზე და გავდივარ საზოგადოებიდან.

1997 წ., 27 თებერვალი

## ჩანაწერები

პაწია არაკია ერთი. ძველად იგი დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოშიც იყო შეტანილი.

ხარი მიწას ხნავდა. რქაზე ბუზი აჯდა. ბუზი იგი ქვეყნის გასაგონად გაჰკიოდა – მე ვხნავო.

გასაგებია, რატომ გავიხსენე მკვეხარა ბუზის არაკი. საუბედუროდ და სავალალოდ, ხშირად ჩვენც ასე ვიქცევით. სხვის გაკეთებულ საქმეს მივიწერთ და თავის სამყაროს ცენტრად წარმოგვიდგენია. როცა სსრკ დაიშალა და დაირღვა, ერთმანეთს ყურები გამოვუჭედეთ კვეხნით: ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ სსრკ დაანგრიაო. თითქოს მთელი კაპიტალისტური მსოფლიო გულხელდაკრეფილი იდგა და ელოდა _ ქართველები თბილისში მიტინგებს როდის გამართავდნენ. თითქოს 1946 წლის 5 მარტს, ფულტონში (აშშ), უინსტონ ჩერჩილს სიტყვა არ წარმოუთქვამს და მიზანი, გეზი და მიმართულება არ დაუსახავს ე.წ. «ცივი ომისათვის». თითქოს მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე კაპიტალისტური მსოფლიოს აურაცხელი ფული, პოლიტიკური ნიჭი, დიპლომატიური გამჭრიახობა, ეკონომიკური ძალა არ დაუხარჯავს სსრკ დასანგრევად. თითქოს «ცივ ომში» სსრკ ეკონომიკურად არ გამოფიტულა, იდეოლოგიურად არ გაღატაკებულა, სამხედრო თვალსაზრისით არ დასუსტებულა.

სსრკ 50-წლიან «ცივ ომში» დამარცხდა, რადგან მას კაპიტალიზმის დასამარცხებლად არც ეკონომიკური ძლიერება აღმოაჩნდა, არც ფული, არც პოლიტიკური ნიჭი, არც დიპლომატიური გამჭრიახობა და არც სამხედრო ძალა. სსრკ ამ დამარცხებამ გახადა შესაძლებელი საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ეროვნული მოძრაობის აღორძინება. სწორი დასკვნის მაგიერ უკუღმა დასკვნა გავაკეთეთ და პირში ჩალაგამოვლებული დავრჩით.

განა დღესაც არ გავყვირივართ ყველა გზაჯვარედინზე _ ერთმა ქართველმა გერმანია დაანგრია და მეორე ქართველმა გააერთიანაო? თითქოსდა 1945 წლის შემდეგ. გერმანელები, დიდ ჩეროში, მხართეძოზე იწვნენ და მშვიდად უცდიდნენ, როდის გახდებოდა ედუარდ შევარდნაძე სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი. თითქოსდა გერმანელი ხალხი არაადამიანური შრომით, დისციპლინით და გონიერებით არ წამოდგა ფეხზე ნანგრევებიდან და მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი სახელმწიფო არ ააშენა. თითქოსდა გერმანიის გასაერთიანებლად არ იბრძოდა მთელი კაპიტალისტური მსოფლიო.

მოგეხსენებათ, როცა ნაცისტური გერმანია დამარცხდა, კაპიტულაციის აქტს ხელი ფელდმარშალმა კაიტელმა მოაწერა. რომელ გერმანელს, ან მსოფლიოს რომელი ქვეყნის მოქალაქესაც გნებავთ, მოუვა აზრად ამტკიცოს _ ფელდმარშალმა კაიტელმა ნაციზმი დაამარცხა და მეორე მსოფლიო ომი დაამთავრაო. ისე იცოცხლეთ, კაიტელი ქართველი რომ ყოფილიყო, მაშინვე დაიმსახურებდა ნაციზმის დამამარცხებლისა და მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებლის ტიტულს.

როგორც დამარცხებული ნაცისტური გერმანიის სახელით მოაწერა ხელი კაპიტულაციის აქტს ფელდმარშალმა კაიტელმა, ასევე მოაწერა ხელი ედუარდ შევარდნაძემ გერმანიის გაერთიანების დოკუმენტს «ცივ ომში» დამარცხებული სსრკ-ის სახელით. ედუარდ შევარდნაძის დამსახურება გერმანიის გაერთიანებაში ზუსტად იმდენივეა, რამდენიც ფელდმარშალ კაიტელისა ნაციზმის დამარცხებაში და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებაში _ ხელმოწერა. არც მეტი, არც ნაკლები.

## სად გაქრა აკ.ბაქრაძე

მართალი რომ გითხრათ, ხშირად რადიოსა და ტელევიზიაში არავინ მეპატიჟება, მობრძანდით, თქვენი გამოსვლით გაგვახარეთო. ისე, დრო და დრო, ათასში ერთხელ თუ გავახსენდები ვისმეს, მაგრამ იმ იშვიათ მიწვევაზეც ყოველთვის უარს ვამბობ. ვინც ჩემს საქციელს ზერელედ შეხედავს, შეიძლება გაიკვირვოს ეს. დღევანდელ საქართველოში ტელევიზიით გამოსვლა სამოთხეში მოხვედრის ბადალ ბედნიერებად მიაჩნია ხალხს. მაგრამ ჭკუადამჯდარ ადამიანს ჩემი უარი არ გააოცებს. საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას მაშინ აქვს ღირებულება, როცა კაცი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და ისე ამბობს, როგორც ფიქრობს. სხვანაირად ლაპარაკი ჰაერის უაზრო და უშინაარსო რხევაა. დღეს კი არსად მეგულება კაცი, რომელიც გულწრფელად ამბობდეს იმას, რასაც ფიქრობს. ყველამ ჩინებულად ისწავლა და აღარავის ეშლება საჯარო ლაპარაკის მაამებლური მოდელის გამოყენება. მე კი არავითარი სურვილი არ მაქვს მაამებელ მოჭიკჭიკეთა გუნდს შევუერთდე.

წამდაუწუმ გვესმის პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში _ გულახდილად ვისაუბროთო. მოგეხსენებათ, საუბარი დიალოგს გულისხმობს. დიალოგისათვის კი აუცილებელია ორი განსხვავებული აზრი არსებობდეს. თუ განსხვავებული აზრი არ არსებობს, ასი კაციც რომ ლაპარაკობდეს, მაინც მონოლოგი იქნება და არა დიალოგი. საბჭოთა საზოგადოება მონოლოგით მოლაპარაკე საზოგადოებაა და ამიტომ გულახდილი საუბარი არ გამოდის. ვინ დამისახელებს თუნდაც ერთ შემთხვევას განსხვავებული აზრის დაბეჭდვის, რადიოთი ან ტელევიზიით წარმოთქმის? ამის მაგალითს სანთლითაც რომ ეძებოთ,ვერსად იპოვნით. ქვეყანა სიტყვაჟღარუნებს უპყრიათ და უდარდელად მიერეკებიან თავიანთ ეტლს. საუბედუროდ, ის კი დავივიწყეთ, რომ თუ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, თუ თავისუფალი აზროვნება აკრძალულია, ლაპარაკი რაიმე წარმატებაზე მტკნარი სიცრუეა. თავისუფალი აზროვნება მარტო მეცნიერებასა და ხელოვნება-ლიტერატურას კი არ სჭირდება, არამედ მრეწველობასაც და სოფლის მეურნეობასაც. ვისაც თავისუფალი აზროვნება არ შეუძლია, ის, როგორც საჭიროა, ვერც ძროხას მოწველის და ვერც ვენახს მოაშენებს. ჩვენი ჩამორჩენილობის უმთავრესი და არსებითი საფუძველი აზროვნების თავისუფლების უქონლობაა.

როცა სიტყვის კორიანტელი დგას ეს უზუსტესი და უპირველესი საბუთია იმისა, რომ საქმე გაკეთებული არ არის. გაკეთებული საქმე თავისთავად ჩანს და სრულიად არ სჭირდება ბუკი და ნაღარა.

საქართველოს დიდი კატასტროფა ელის, თუ ლაპარაკის მაგიერ საქმის კეთება არ ვისწავლეთ. მაგრამ ამისათვის აუცილებელაი აზროვნების თავისუფლებას მივაღწიოთ. სწორედ ამას ვუსურვებ მე ახალ თაობას _ მუშა იქნება იგი, გლეხი თუ ინტელიგენტი. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩემმა თაობამ ეს ვერ მოახერხა და ისე ჩავა სამარეში, რომ ვერც გაიგებს თავისუფალი აზროვნების მადლსა და ხიბლს.

## საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს
## ბატონ თამაზ წივწივაძეს

1999 წლის «ლიტერატურული საქართველოს» მე-13 ნომერში წავიკითხე, რომ მწერალთა კავშირის ყველა წევრს დაენიშნა ლიტერატურული სტიპენდია 25 (ოცდახუთი) ლარი თვიურად.

შეიძლება ვცდები, მაგრამ ეს მოწყალება აღვიქვი, როგორც ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ ამიერიდან საქართველოში მწერალი ჩარიცხულია მათხოვართა კატეგორიაში.

რადგან ისე არ მიჭირს, რომ თავი მათხოვართა გილდიის წევრად ვცნო, უარს ვამბობ როგორც ოცდახუთლარიან სტიპენდიაზე, ისე მწერალთა კავშირის წევრობაზე.

პატივისცემით

1999 წ. 27 მარტი

(გაზ. «ლიტერატურული საქართველო» [1]15)

_____ _____ _____

კალმის კაცს ერთადერთი ჯილდო სჭირდება _ მკითხველის ყურადღება და ინტერესი. სხვა ჯილდო მას არ სჭირდება. თუ მაინც ეტრფიან ჯილდოებს ეს უბრალოდ ადამიანური ანგარების გამოვლენაა.

ჯილდო ვალია, რომელსაც გადახდა უნდა. ეს იცის იმან, ვინც გაჯილდოებს. ერთ მშვენიერ დღეს მოგაკითხავს და გეტყვის _ თქვენ ჩემი ვალი გმართებთ და ვალში ესა და ეს უნდა გააკეთოთო. იქნება ამის გაკეთება არ გინდათ, მაგრამ ვეღარაფერს იზამთ. ვალს გადახდა უნდა. ეს ზნეობის კანონია. ვალს გადაიხდით, მაგრამ შეიძლება ისეთი საქმე გაგაკეთებინონ, სამუდამოდ მოგეჭრას თავი...

ასე რომ, ჯილდო სახიფათოა. ხელოვანის, მწერლის მოკვლა ორგვარად შეიძლება: ხორციელად, ტყვიით. მაგრამ მაშინ მწერლის დიდი სახელი რჩება და სულიერად, ჯილდოთი, მაგრამ მაშინ მწერალი არარაობად არის გადაქცეული.

## ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტი[1]

### მე-4 კლასი

აქ ჩამოთვლილია ის მასალა, რაც, ჩემი აზრით, უნდა შევიდეს მე-4 კლასის სახელმძღვანელოში. როგორ დალაგდეს იგი მსჯელობის შედეგად უნდა გადაწყდეს.

1. მამია გურიელი _ «დადამიანი»
2. გიორგი ლეონიძე _ «დედაენა» (პირველი ნაწილი)
3. იაკობ გოგებაშვილი _ ა) «ფარნავაზი»
   ბ) «მირიანი»
   გ) «ვახტანგ გორგასალი»
4. პეტრე უმიკაშვილი _ «ხალხური სიტყვიერებიდან» (ტომი IV)
   ა) «ჩხუბი არაფერზე»
   ბ) «ტყუილი ტირილი»
   გ) «მოვალის ცოლის ხერხი»
5. თედო რაზიკაშვილი _ ა) «ხავსი»
   ბ) «როგორ გაჩნდნენ ხოხბები»
6. რევაზ მარგიანი _ «მთის კალთაზე სახლი მიდგას»
7. სერგო კლდიაშვილი _ «აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი»

[1] 70-იან წლებში როდესაც აკაკი ბაქრაძე გამომცემლობა «განათლების» მთავარი რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა, გამომცემლობის დირექტორმა ხუტა ბერულავამ სთხოვა შეედგინა სკოლებისათვის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო პროექტი. აკ.ბაქრაძემ შეიმუშავა იგი, მაგრამ არც იმხანად და არც შემდგომ (1996 წ. როცა გადაახალისა პროექტი), არავინ დაინტერესებულა ამით. (რედაქ.)

8. რევაზ ინანიშვილი _ «მირანდუხტ»
9. ალექსანდრე საჯაია _ «უთავო მეფე და დიდთავა მეფე» (ზღაპარი)
10. ნიკო კეცხოველი _ «არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია
(ორი ნაწყვეტი _ «ნადარბაზევო ქვიანო» და «მიდის და მიუხარია»
11. ვაჟა-ფშაველა _ ა) «შვლის ნუკრის ნაამბობი»
ბ) «ხმელი წიფელი»
12. არჩილ სულაკაური _ «მაისის წვიმა და ბავშვები»
13. ანა კალანდაძე _ «საქართველო ლამაზო»
14. ნოდარ წულეისკირი _ «აბრაგიას სიკვდილი»
15. ლადო ასათიანი _ «სოფლისაკენ»
16. მუხრან მაჭავარიანი _ «ქება კაცისა»
17. შიო მღვიმელი _ ა) «მოწყენილი ჩიტი»
ბ) «მელა»
გ) «გაზაფხული»
18. ხალხური: _ ა) «ვაზი»
«მიგრეხილო-მოგრეხილო, ზედ მიკრულო მაგრა ხეო,
ცოცხალი ვარ შენ მაცხოვრე, მოვკვდები, _ შენ დამმარხეო»
19. ხალხური: _ ა) «ხარი»
«ხარო, ხარი ვინ დაგარქვა, ხარო სახემშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო, ქედნაკურთხო ღონიერო!»
20. ხალხური: _ «ამოქროლდი, ზენა ქარო, უნდა ხვავი გავახარო»
21. ხალხური: _ «კამეჩი ღონიერია, უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება წაიღებს თავისისა და სხვისასა»
22. ხალხური: _ «საწყალი მელა ჩიოდა»
23. ხალხური: _ «მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იყო მზესავითა,
კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა»
24. ხალხური: _ «პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო,
არ ვიცი, ვისმე გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო»
25. ხალხური: _ «ახალი პატარძალი»
26. «ნაცარქექია» (ზღაპარი)

## გამოცანები

1. გარეთ ატლასი, წიგნით ათასი (ბროწეული)
2. გავიხედე მინდორში, სიო-ქარი ქრისო,
ყველა იმას ურტყამს, სისხლი არა სდისო (ბურთი)

3. ვთოკე, ვთოკე, ვერ ავთოკე (გზა)
4. ტყეში ხარი შემივარდა, გამო, გამო გიშერაო,
   ნაბდის ძველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო (წაბლი)
5. ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,
   ორჯერ სახელს მოგახსენებ, ვინძლო მითხრა რომელია (მელია)
6. მაღლა დავდექ ბაქანზე, წვენი დამდის კალთაზე (სანთელი)

## ენის გასატეხები

1. საყდარშია თეთრი მტრედი
   ფრთა თეთრი და ფრთა ფარფატი.
2. თუკი მე მეპრას-მებოლოკ-მეპიტნა-ტარხუნება,
   რატომ შენ არ გეპრას-გებოლოკ-შეპიტნა-ტარხუნება?
3. ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა,
   ბალი გააქვს და გამოაქვს.
4. თეთრი თხა გავათხათეთრე.

რუბრიკაში «ქართული ენის ხიბლი» შეიძლება ჩავდოთ ანატოლ ფრანსის «ლექსიკონი» (ნესტან იორდანიშვილის თარგმანი), რომელიც ლაპარაკობს სიტყვების სიყვარულზე («ლიტ.საქართველო», 1997 წ., 19-26 სექტემბერი, №38).

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა

კინო კეცხოველი _ არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია
რასპე _ ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი
არჩილ სულაკაური _ სალამურა
ჟიულ ვერნი _ საიდუმლო კუნძული
რედიარდ კიპლინგი _ მაუგლი

**შენიშვნა:**

1. სახელმძღვანელობის ისე დაბეჭდვა, როგორც ახლა ბეჭდავენ, ყოვლად დაუშვებელია. ეს ბავშვს წიგნს შეაძულებს. სახელმძღვანელო უნდა იყოს ილუსტრირებული, რომ მოწაფეს მისი ხელში აღება უხაროდეს.
2. სახელმძღვანელოში შესული ყოველი ავტორის გვარი და სახელი სრულად უნდა დაიწეროს. პატარა ცნობაც უნდა ახლდეს _ ვინ არის ეს კაცი. დაახლოებით ამგვარი:

   ალექსანდრე საჯაია _ დაიბადა 1916 წ. გარდაიცვალა 1944 წ. წერდა ლექსებს, საბავშვო მოთხრობებსა და ზღაპრებს. ყველაზე სრულად მის შემოქმედებას შეგიძლიათ გაეცნოთ წიგნში _ «ლექსები. ბალადები. პოემები. ზღაპრები», რომელიც 1978 წ. გამოიცა.

## მე-5 კლასი

1. იაკობ გოგებაშვილი _ ა) იავნანამ რა ჰქნა?!
   ბ) დავით აღმაშენებელი
   გ) თამარი
   დ) გიორგი ბრწყინვალე
2. ილია ჭავჭავაძე _ «ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი»
   «დამაკვირდიდან»:
   1. «წუთის-სოფელი ასეა...»
   2. «ვაჟკაცთ ცრემლს რად უძრახავენ...»
   3. «გებრალებოდეს ნუ ჰრისხავ...»
3. აკაკი წერეთელი _ ჩემი თავგადასავალი
4. ეკატერინე გაბაშვილი _ მაგდანას ლურჯა
5. გიორგი ლეონიძე _ «ქართლის ბაღი» (დამთავრდეს სტრიქონებით _ «მარჯანი და ზურმუხტ-ქარვა ნათელს სტყორცნის ყველა ხიდან...»
6. ვაჟა-ფშაველა _ ა) მზეწვია
   ბ) ამოდის, ნათდება
7. გიორგი ნატროშვილი _ კაფანდარა
8. ნოდარ დუმბაძე _ თემურლენგი
9. ანა კალანდაძე _ ყაყაჩოსა სიწითლითა

10. ქართული ენის ხიბლი:
სულხან-საბა ორბელიანი, გიორგი შატბერაშვილი, თედო სახოკია (ეს რუბრიკა ლ.ვაშაკიძის, ლ.თუშურისა და ლ.მანჯგალაძის სახელმძღვანელოდან ვისესხე. ეს კარგი სახელმძღვანელოა, ოღონდ, ჩემი აზრით, გადატვირთულია რელიგიური ტექსტებით).
11. სერგო კლდიაშვილი _ ა) სოფლის გზაზე საქართველოში
    ბ) როცა ზედაზნიდან გავცქერი
    გ) სოფლის ღამე
12. წიქარა (ზღაპარი)
13. იოსებ ნონეშვილი _ შემოდგომა თბილისში
14. ლადო ასათიანი _ ქართული ენა
15. აკაკი ბელიაშვილი _ ბედის უკუღმართობა
16. ალიო მირცხულავა _ გაზაფხული
17. ალექსანდრე აბაშელი _ მზე და ჰაერი
18. ზღაპარ იყო (ხალხური)
19. სანთლის გუთანს ავაშენებ (ხალხური)
20. საბრალო დედაბრისასა (ხალხური)
21. ოტია იოსელიანი _ კვიცი და მგელი

22. სიმონ ჩიქოვანი _ ვინა სთქვა
23. შოთა ნიშნიანიძე _ ტყიდან მოისმის რაკუნი
24. რეზო ჭეიშვილი _ მერცხლები
25. ირაკლი აბაშიძე – სამი ციხე

## აფორიზმები:

1. «ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად» («ვეფხისტყაოსანი»)
2. «ოდეს კაცსა დაეჭირვოს მაშინ უნდა ძმა და თვისი» («ვეფხისტყაოსანი»)
3. «სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი («ვეფხისტყაოსანი»)
4. «სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა» («ვეფხისტყაოსანი»)
5. «ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია» («ვეფხისტყაოსანი»)

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა

1. ჰანს ქრისტიან ანდერსენი _ ზღაპრები
2. ნიკა აგიაშვილი _ ჭაბუკები დარჩნენ მარად
3. რევაზ ინანიშვილი _ მთვარის ასული
4. ზურაბ ჭუმბურიძე _ ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ
5. მაყვალა მრევლიშვილი _ ლექსები

## მე-6 კლასი

1. აკაკი წერეთელი – თორნიკე ერისთავი
2. ალექსანდრე ყაზბეგი _ ელისო
3. გიორგი ჭალადიდელი _ მოგონება
4. გრიგოლ აბაშიძე _ ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიდია
5. არჩილ სულაკაური _ მხოლოდ ერთხელ
6. გიორგი ლეონიძე _ მაშ რა ვუყოთ, პოეტებო
7. ეგნატე ნინოშვილი _ პარტახი
8. დავით კლდიაშვილი _ სამანიშვილის დედინაცვალი
9. ანა კალანდაძე _ ჭექდა მაზურკა
10. ლევან გოთუა _ ყინწვისის ანგელოზი
11. პაოლო იაშვილი _ როგორც აფრის ტკაცუნი
12. ტიციან ტაბიძე _ მაშ გამარჯობა
13. ვალერიან გაფრინდაშვილი _ ისეთი ლექსი
14. ალექსანდრე აბაშელი _ აპრილი
15. მურმან ლებანიძე _ უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
16. კოტე მაყაშვილი _ მარადი ცეცხლი ვარ მე

17. ოთარ ჩხეიძე _ მიწა
18. იოსებ ნონეშვილი _ გამოთხოვება ძველ თბილისთან
19. ვეფხის და მოყმის ბალადა (ხალხური)
20. სიმონ ჩიქოვანი _ საახალწლო მიმართვა სამშობლოს
21. გურამ რჩეულიშვილი _ უსახელო უფლისწული
22. გურამ დოჩანაშვილი _ კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა

23. ქართული სიტყვის ხიბლი:
სულხან-საბა ორბელიანი, თედო სახოკია, გიორგი შატბერაშვილი

## ანდაზები:

1. ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო
2. ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში _ სირბილით
3. მამა დაივიწყა და მამინაცვალს ფიცულობსო
4. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო
5. ორი ყური და ერთი პირი იმისათვის არის, რომ ბევრი ისმინოს და ცოტა თქვასო
6. რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა
7. სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია

## აფორიზმები

1. «კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
   სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა რამე დარგოს»
   (ვახტანგ VI)
2. «სად მაღალი არცად იყოს,
   მუნ დაბალი გამაღლდების»
   (დავით გურამიშვილი)
3. «უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,
   ბაძით მორცხვიც გაურცხვდების»
   (დავით გურამიშვილი)

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. გიორგი ლეონიძე _ ნატვრის ხე
2. ლევან გოთუა _ უგზო ქარავანი
3. ვალტერ სკოტი _ აივენგო
4. მურმან ლებანიძე _ ანისი
5. გრიგოლ აბაშიძე _ გიორგი მეექვსე

6. ჩესტერფილდი _ წერილები ჩემს ვაჟს

## მე-7 კლასი

1. ილია ჭავჭავაძე _ კაცია-ადამიანი?!
2. «დამაკვირდიდან» _ ა) «ხმალი იმოდენს ვერას იქმს»...
   ბ) «კაცად მაშინ ხარ საქები»...
   გ) «არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა»...
3. ალექსანდრე ყაზბეგი _ მოძღვარი
4. ვასილ ბარნოვი _ არმაზის მსხვრევა
5. ანტონ ფურცელაძე _ ჩვენებური საქმის ბოლო
6. იოსებ გრიშაშვილი _ გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე
7. კოტე მაყაშვილი _ ჩემს მაროს
8. შემომეყარა ყივჩაღი (ხალხური)
9. შალვა დადიანი _ გუშინდელნი
10. ანა კალანდაძე _ ო, მე კი არა, გული ხარხარებს
11. ვაჟა-ფშაველა _ ბახტრიონი
12. ლადო ასათიანი _ სალაღობო

## აფორიზმები:

1. «ბრბო მაინც არ გათეთრდება,
   რაც უნდა ხეხო ქვიშითა,
   იმის სიყვარულს მოიხვეტ
   მხოლოდ ძალით და შიშითა»
   (ვაჟა-ფშაველა)
2. «ვისაც რომ ქვეყანა უყვარს
   სიცოცხლე მისთვის ომია»
   (ვაჟა-ფშაველა)
3. «საცა სიმართლე ჰღაღადებს,
   იქვეა აზრთა ცდომაცა»
   (ვაჟა-ფშაველა)
4. «თვით უპატრონეთ თავის თავს,
   ნუ იმედოვნებთ სხვებზედა»
   (ვაჟა-ფშაველა)
5. «ლამაზად შვილის აღმზრდელი
   დედა მიცვნია ღმერთადა»
   (ვაჟა-ფშაველა)
13. სიმონ ჩიქოვანი _ წუთისოფელი

14. ნიკოლო მიწიშვილი _ ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი
15. ბაჩანა _ მუხა
16. გიორგი შატბერაშვილი _ მკვდრის მზე
17. ირაკლი აბაშიძე _ ხმა კატამონთან
18. პაოლო იაშვილი _ არგვეთის ღამეები

19. ქართული სიტყვის ხიბლი:
სულხან-საბა ორბელიანი, თედო სახოკია, გიორგი შატბერაშვილი

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. იოსებ გრიშაშვილი _ ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა
2. გურამ ასათიანი _ სათავეებთან
3. ჟან დე ლა ბრუიერი _ ხასიათები
4. «ყაბუსნამე»
5. მიხეილ წერეთელი _ ენა და კაცობრიობა

## მე-8 კლასი

1. გრიგოლ რობაქიძე _ ენგადი
2. ნიკო ლორთქიფანიძე _ დანგრეული ბუდეები
3. მიხეილ ჯავახიშვილი _ ლამბალო და ყაშა
4. კონსტანტინე გამსახურდია _ ა) ხოგაის მინდია
   ბ) ზარები გრიგალში
5. ლეო ქიაჩელი _ ა) ჰაკი აძბა (პირველი ვარიანტი)
   ბ) თავადის ქალი მაია
6. დემნა შენგელაია _ გურამ ბარამანდია (ალმანახ «დარიალში» გამოქვეყნებული ვარიანტი)
7. გალაკტიონ ტაბიძე _ სად?
   მე და ღამე
   გურიის მთები
   მთაწმინდის მთვარე
   ლურჯა ცხენები
   თოვლი
   სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში
   მას გახელილი დარჩა თვალები
   ეფემერა
   ისევ ეფემერა
8. გიორგი ლეონიძე _ ნინოწმინდის ღამე

ყივჩაღური ღამე
ყივჩაღის პაემანი
9. კოლაუ ნადირაძე _ ღიმილი
მზეს
ზღვის პირას
შემოდგომის სტუმრობა
გზასთან
განთიადი ზღვაზე
შერიგება
მთვარის წყალობა
ოცნება საქართველოზე
10. ტიციან ტაბიძე _ ანანურთან
ლექსი მეწყერი
მე ყივჩაღებმა მომკლეს არაგვზე
11. ირაკლი აბაშიძე _ მამა
მე ველი სიზმარს
12. გერონტი ქიქოძე _ ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან
13. პოლიკარპე კაკაბაძე _ ყვარყვარე თუთაბერი

14. ქართული სიტყვის ხიბლი:
სულხან-საბა ორბელიანი, თედო სახოკია, გიორგი შატბერაშვილი

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. გრ.რობაქიძე _ ჩაკლული სული
2. მიხ.ჯავახიშვილი _ ჯაყოს ხიზნები
თეთრი საყელო
3. კონსტ.გამსახურდია _ მთვარის მოტაცება
4. დემნა შენგელაია _ სანავარდო
5. გ.ქიქოძე _ ეროვნული ენერგია
6. ჭ.ამირეჯიბი _ დათა თუთაშხია
7. ოთარ ჭილაძე _ რკინის თეატრი

## მე-9 კლასი

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე _ ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა
მუსტაზადი (ისმინეთ, მსმენნო...»)
_ ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა...
_ ეღების კარი გაზაფხულისა...

_ სახე შენი მემახევა, მებადა...
_ ვაჰ, დრონი, დრონი
_ ლოთური სიმღერა
_ სიყვარულო, ძალსა შენსა...

2. გრიგოლ ორბელიანი _მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს...
_ ჩემს დას ეფემიას
მუხამბაზი («სულით ერთნო, მოლხინენო...»)
_ საღამო გამოსალმებისა
_ მუხამბაზი («გინდ მეძინოს...»)
_ თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში
_ სადღეგრძელო

3. ნიკოლოზ ბარათაშვილი _ შემოღამება მთაწმინდაზე
_ ხმა იდუმალი
_ ფიქრნი მტკვრის პირზედ
_ ჩემს ვარსკვლავს
_ სული ობოლი
_ ჩემი ლოცვა
_ არ უყიჟინო, სატრფო...
_ ვპოვე ტაძარი
_ ცისა ფერს...
_ მერანი
_ «რად ჰყვედრი კაცსა...»
_ სულო ბოროტო
_ მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...

4. გიორგი ერისთავი _ გაყრა
5. ლავრენტი არდაზიანი _ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
6. ილია ჭავჭავაძე _ ოთარაანთ ქვრივი
_ სარჩობელაზედ
_ გუთნის დედა
_ ქართვლის დედას
_ მას აქეთ, რაკი შენდამი...
_ ჩემო კალამო
_ ბედნიერი ერი
_ ჩემო კარგო ქვეყანავ

ორატორული ხელოვნება: სიტყვა თქმული წინამძღვრიანთ კარის სკოლის გახნისას

7. აკაკი წერეთელი _ გამზრდელი
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!

მუხამბაზი («ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე»...)
აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა...
მუხამბაზი («რომ იცოდე ჩემი გულის დარდები»...)
იავ-ნანა
ავადმყოფი
გაზაფხული
პოეტი
განთიადი
ჭაღარა
ხატის წინ
სულიკო
სიზმარი
რაც არ იწვის, არ ანათებს...
ჩემი რწმენა
ტყვეს

ორატორული ხელოვნება: სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს

8. გიორგი წერეთელი _ ჩვენი ცხოვრების ყვავილი
9. ვაჟა-ფშაველა _ «სტუმარ-მასპინძელი»
გველის-მჭამელი
არაგვს
მე რომ ტირილი მეწადოს
მწამს, მარად მიწამებია
გლეხის სიმღერა
ჩივილი ხმლისა
დამსეტყვე, ცაო
ღამე მთაში
მთას ვიყავ
ჩემი ვედრება
ნუგეში მგოსნისა
უნუგეშო ყოფნა
სოფლისა წესი ასეა
იას უთხარით ტურფასა
კაი ყმა

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. ნიკო ნიკოლაძე _ («ქართული მწერლობის» სერიით გამოსული მე-14 ტომი)
2. არჩილ ჯორჯაძე _ თხზულებანი, 1989 წ.

3. ნოე ჟორდანია _ თხზულებანი
4. გაბრიელ ეპისკოპოსი _ ქადაგებანი

## მე-10 კლასი

1. ვისრამიანი (ნაწყვეტი)
2. ჩახრუხაძე _ თამარიანი (ნაწყვეტი)
3. რუსთაველი _ «ვეფხისტყაოსანი»
4. თეიმურაზ პირველი _ მაჯამა
   სოფლის სამდურავი
   გრემის სასახლეზე
   თამარის სახე დავით გარეჯას
   «ქება და მკობა ხელმწიფისა ალექსანდრესი
   და დედოფლის ნესტან დარეჯანისა»
5. საქართველოს ზნეობანი
6. ვახტანგ VI _ რანი და მოვაკანი და...
   ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა
   რა სჯობს მაისში თბილისსა
7. სულხან-საბა ორბელიანი _ სიბრძნე სიცრუისა
8. დავით გურამიშვილი _ ათი მცნება
   მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი...
   ქართლის ჭირი
   სახით სიტყვა მშვენიერო...
   მიდის-მოდის ეს სოფელი...
   ზუბოვკიდან მომავალმან
   სწავლა მოსწავლეთა
9. ორატორული ხელოვნება:
   სოლომონ ლიონიძე _ მოთქმის ტირილი საქართველოს
   მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა...

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი
2. ჟამთააღმწერელი
3. სულხან-საბა ორბელიანი _ მოგზაურობა ევროპაში
4. ბესიკი
5. ალექსანდრე ამილახვარი _ ბრძენი აღმოსავლეთისა

## მე-11 კლასი

1. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი
2. ნინოს ცხოვრება
3. იაკობ ხუცესი _ შუშანიკის წამება
4. აბოს წამება
5. სიბრძნე ბალაჰვარისი (ნაწყვეტი)
6. გიორგი მერჩულე _ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
7. მიქეილ მოდრეკილი _ გალობანი
8. გიორგი მთაწმინდელი _ იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება
9. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
10. დავით აღმაშენებელი _ გალობანი სინანულისანი
11. დემეტრე პირველი _ შენ ხარ ვენახი
12. ორატორული ხელოვნება:
    დემეტრე მეორის სიტყვა, წარმოთქმული სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე ურდოში გამგზავრების წინ
13. შავთელი _ აბდულმესიანი (ნაწყვეტი)
14. მოსე ხონელი _ ამირანდარეჯანიანი (ის ნაწყვეტი, რომელიც დაბეჭდილია «ძველ ქართულ მოთხრობაში»)
15. ქართული სიტყვის ხიბლი:
    სულხან-საბა ორბელიანი, გიორგი შატბერაშვილი, თედო სახოკია

## კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა:

1. კორნელი კეკელიძე _ ქართული ლიტერატურის ისტორია
2. ლეონტი მროველი _ ცხოვრება მეფეთა
3. ჯუანშერი _ ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა
4. დავით და კონსტანტინეს წამება

შენიშვნები

1. ხალისიანი საკითხავი რომ იყოს სახელმძღვანელო, უნდა შევიტანოთ ანეკდოტები, ნაკვესები და ა.შ.
2. ყოველ ნაწარმოებს უნდა ახლდეს განმარტება, ლექსიკონი, ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინების ახსნა.
3. სახელმძღვანელოში შეტანილი ყოველი თხზულება ისე უნდა დაიბეჭდოს, როგორც ავტორა დაწერა, მაგრამ აუცილებლად, შენიშვნის სახით, განმარტებული უნდა იქნეს, სადაც დარღვეულია თანამედროვე ლიტერატურული ქართულის ნორმები (სად არის დიალექტიზმი, რუსიციზმები და ა.შ.).

4. რაკი სკოლაში ვეღარ გამოიყენებენ ქართული საბჭოური ლიტერატურისმცოდნეობის ნაშრომებს, კომუნისტური იდეოლოგიისა და ტენდენციურობის გამო, აუცილებელი გახდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ახალი, დღევანდელი თვალსაზრისით გაკეთებული მოკლე მიმოხილვა ახლდეს.

## ცნობისათვის

მე მომხრე ვარ, რომ სკოლაში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია საერთოდ. მაგრამ არა ქრისტიანობის ისტორია გამოყოფით. რელიგიის ისტორიის სწავლება ჩემთვის ნიშნავს ყველა დიდი რელიგიის _ ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ბუდიზმის _ ძირეულ დებულებათა შედარებით შესწავლას. ამისათვის ცალკე სახელმძღვანელო უნდა არსებობდეს. მართალია, კაცობრიობა დაყოფილია რასებად, ერებადნ ენებად, რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, მაგრამ იგი მაინც ერთიანი და მთლიანია. ერთიანი და მთლიანი მისი ადამიანური არსია. თუ იგი დაყოფილია რასებად, ერებად, ენებად, რელიგიებად, ეს კაცობრიობის მრავალფეროვნებაა, ანუ მშვენიერება. «ჩვენ კაცთა მოგვცა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერითა».

ქართველობა ამ უთვალავი ფერის ნაწილია. ქართველ ბავშვს უნდა ჰქონდეს ღრმა შეგნება იმისა, რომ იგი ქართველია, მაგრამ ამასთანავე ისიც მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ კაცობრიობის ნაწილია. ქართველი ბავშვი უნდა გაიზარდოს სკოლაში სიამაყის გრძნობით თავისი ეროვნების მიმართ, მაგრამ ამავე დროს მასში ნამცეციც არ უნდა ერიოს რასობრივი, ეროვნული, ენობრივი და რელიგიური სიძულვილისა. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე გახლავთ ის და ეს არსებითია, რომ ქართული სკოლის სახელმძღვანელო ქართველმა მუსლიმმა ბავშვმა ხელში ისე უნდა აიღოს, რომ რაიმე განცდა რელიგიური დისკრიმინაციის არ გაუჩნდეს. თუ სახელმძღვანელო სავსე იქნება ქრისტიანული ლოცვებით, მაშინ იგი ამ სახელმძღვანელოს უნდობლად მოეკიდება. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ჩვენ სახელმძღვანელოების გაგზავნა უნდა შეგვეძლოს თურქეთშიაც იქაურ ქართველებისათვის, ირანშიაც ფერეიდანელებისათვისაც და აზერბაიჯანშიც ინგილოებისათვის. მესამეც, ზოგადსაგანმანათლებლო ქართული სკოლა არის საერო სკოლა. თუ მასში დიდი ოდენობით შევიტანთ ტექსტებს, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანულ მოძღვრებასთან, მაშინ მას იდეოლოგიურ ხასიათს მივცემთ. გვინდა თუ არა გვინდა, დავამსგავსებთ კომუნისტური რეჟიმის დროინდელ იდეოლოგიურ სკოლას. სკოლა რუსეთში ყოველთვის იდეოლოგიური იყო (ბუნებრივია, საქართველოშიც ასეთი სკოლა ინერგებოდა). ცარისტულ რუსეთში სკოლა ეყრდნობოდა სამ პრინციპს _ თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ხალხურობა. კომუნისტებმა ეს პრინციპი დატოვეს სკოლისათვის, ოღონდ თვითმპყრობელობა შეცვალეს პროლეტარიატსი დიქტატურით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა _ მარქსიზმ-ლენინიზმით, ხალხურობა კი უცვლელი დარჩა. დღევანდელი რუსული სკოლაც სამ პრინციპს ეყრდნობა _ მართლმადიდებლობა (ძველი აღადგინეს) _ დემოკრატია (რუსულად გაგებული) და ხალხურობა. ამდენად, ცარისტული სკოლაც იდეოლოგიური იყო და კომუნისტური სკოლაც, და დღევანდელიც. საქართველოში კი უნდა

შეიქმნას სკოლა, რომელიც ყმაწვილს მყარი ცოდნის საფუძველს მისცემს. გაზრდის თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს და არა ამა თუ იმ იდეოლოგიის მონას. ჩვენ არ შეიძლება იდეოლოგიური სკოლა 21-ე საუკუნეში. ეს იქნებოდა ყმაწვილის გონების დაჩლუნგება.

ვიმეორებ: რელიგიის ისტორია უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, მაგრამ ყველა დიდი რელიგიის, როგორც საკაცობრიო კულტურის ნაწილი. ჩვენ ისედაც ბევრი ლაპარაკი მოგვიწევს ქრისტიანობაზე სახელმძღვანელოებში, რაკი დღემდე მოღწეული ქართული მწერლობის ნიმუშები თავისი არსით ქრისტიანულია. სულერთია, ეს ძველი ქართული მწერლობა იქნება თუ ახალი. ამ ნიმუშების განმარტების დროს, ცხადია, ვერ აუვლით გვერდს ქრისტიანულ მოძღვრებას და ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ქართველ ბავშვს საკმარისი ცოდნა ჰქონდეს ქრისტიანობაზე, როგორც რელიგიაზე.

## ბიბლიოგრაფია


1952 წელი

1. შენიშვნები ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოზე // სახალხო განათლება. _ 11 ივნისი

1953

2. მაქსიმ გორკი (დაბადებიდან 85 წლისთავის გამო) // ახ.სტალინელი. _ 31 მარტი
3. ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნა // ახ.სტალინელი. _ 14 აპრილი
4. ანრი ბარბიუსი (დაბადების 80 წლისათვის გამო) // ახ.სტალინელი. _ 19 მაისი
5. ამბავი ერთი წიგნისა // ახ.სტალინელი. _ 31 მარტი
6. ილია ერენბურგი // ახ.სტალინელი. _ 17 ნოემბერი

1954

7. ლეონარდო და ვინჩი // გაზ. «კიროველი» _ 1 მაისი
8. პ.კურიე _ შემთხვევა კალაბრში (ნაწყვეტი წიგნიდან «წერილები» _ ფრანგულიდან თარგმენს ჯ.ბაჯელიძემ და ა.ბაქრაძემ // გაზ. «კიროველი» _ 11 იანვარი
9. ინდური ფილმების ფესტივალი // გაზ. «კიროველი» _ 7 ნოემბერი
10. ლესია უკრაინკა და საქართველო // გაზ. «კიროველი» _ 1 თებერვალი

1955

11. ვლადიმერ მაიაკოვსკი // გაზ. «კიროველი» _ 18 მაისი
12. პროგრამა და სინამდვილე // გაზ. «კიროველი» _ აგვისტო ?

1957

13. ოთარაანთ ქვრივის ეკრანიზაცია // ჟურნ. ცისკარი №5

1959

14. კარგი ტრადიცია გრძელდება // გაზ. თბილისი – 12 მაისი

15. მხატვრული ფილმი თუ ისტორიის სახელმძღვანელო // ჟურნ. მნათობი №8
16. დიდი მსახიობი (ჟერარ ფილიპი) // გაზ. ლენინელი _ 16 დეკემბერი

1960

17. მოვისაუბროთ კინოსცენარზე // გაზ. თბილისი _ 26 თებერვალი
18. Холодное солнце გაზ. «Вечерний Тбилиси» _ 9 ივლისი
19. ქართული ფილმის თაობაზე // გაზ. ახ. კომუნისტი – 16 ივლისი
20. ბალეტი და კინო (მხატვრული ფილმი "ოტელო") // გაზ. ახ. კომუნისტი _ 29 ოქტომბერი
21. "თქვენ მე გიყვარვართ?" (ფილმების დუბლირების შესახებ) // გაზ. ახ. კომუნისტი – 26 ნოემბერი
22. Восстание женщин (в театре им. Руставели) გაზ. «Молодой сталинец» - 29 დეკემბერი
23. Идет смотр художественной самодеятельности (Бакрадзе А., Кикнадзе А., // «Веч. Тбилиси» - 20 окт.
24. Акакий Церетели в кино // газ. Молодой сталинец – 4 дек.
25. უღიმღამო ფილმი ("სადაა შენი ბედნიერება მზია") // ჟურნ. ცისკარი №3

1961

26. Писатель, сценарист, режиссер // газ. «Мол. сталинец» - 14 янв.
27. Современность это люди - // газ. «Мол. Сталинец» – 8 Апр. 10, 06
28. Первая исполнительница партии Маро (в опере «Даиси» И.В.Мазовецкая-Ионнисиани) // газ. «Веч. Тбилиси» – 3 апр.
29. Огни новой жизни (Пьеса В.Канделаки «Огни Картли» // газ. «Веч. Тбилиси» – 12 мая
30. Понимать сердцем // газ. «Мол. сталинец» - 10 июня
31. Размышления в страшной хижине // газ. «Мол. сталинец» – 25 июня
32. Начало // газ. «Молодой сталинец» – 15 июля
33. Музыка цветов // газ. «Молодой сталинец» – 27 июня
34. Гитара Присыпкина (о недостатках фильмов «Добрые люди» и «На берегах Ингури») // газ. «Мол. сталинец» – 15 авг.
35. Современная трагедия // газ. «Молю сталинец» – 12 дек.
36. ქართული კინოს ახალგაზრდობა // ჟურნ. ცისკარი №5

1962

37. Большая сатира большого художника // газ. «Молодежь Грузии» – 18 янв.
38. Востание человека (о польском фильме «Мать Иоанна от ангелов») // газ. «Молодежь Грузии» – 17 фев.
39. Новая жизнь Медей // газ. «Молодежь Грузии» - 3 марта
40. როგორ მოკვდა სიყვარული // გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი – 15 მარტი
41. "როცა ხეები დიდი იყო" // გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი – 24 მარტი

42. ქართული კინოს ისტორიიდან // გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი - 15, 17, 29, 31 მაისი
43. В народном театре премьера // газ. «Веч. Тбилиси» – 10 мая
44. Два лица Винченцо де Преторе // газ. «Молодежь Грузии» – 23 июня
45. У нас в гостях «Современик» // газ. «Молодежь Грузии» - 3 июля
46. Поиск // газ. «Молодежь Грузии» – 11 авг.
47. თანამედროვე კინოხელოვნებისათვის // ჟურნ. ცისკარი №10
48. სიცრუე სიცრუისა (მხატვრული ფილმი "ზღვის ბილიკი") // ჟურნ. ცისკარი №11
49. Нужна кинематография интеллекта // жур. «Лит. Грузия» №6
50. მოგზაურის თვალით (ზ.ნიჟარაძე იტალიაში) // ჟურნ. ცისკარი №12

1963

51. «მე, ბებია, ილიკო და ილარიონი» // ჟურნ. ცისკარი №1
52. კინემატოგრაფიის დაბადება // ჟურნ. პიონერი №4
63. ვივიენ ლი // ჟურნ. საქართველოს ქალი №11
64. მივხედოთ ქართულ ესტრადას // ჟურნ. ცისკარი №11
65. Плоды невежества // газ. «Молод. Грузии» – 26 окт.
66. ლუბოვ ორლოვა // ჟურნ. საქ. ქალი №1
67. Размышления о пиреиконе // газ. «Молод. Грузии» – 25 января
68. Драматургия в шарах // газ. «Молод. Грузии» - 8 фев.
69. Вечер поэзии // газ. «Молодю Грузии» – 22 фев.
70. რამდენიმე სიტყვა «ყაბახის» გამო // ჟურნ. ცისკარი №9
71. «ჭინჭრაქას» ნახვის შემდეგ // ჟურნ. ცისკარი №11
72. მსახიობი უპირველეს ყოვლისა // ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება №12

1965

73. ინტელექტუალური ინფანტილიზმის წინააღმდეგ // ჟურნ. ცისკარი №1
74. პროზა თუ დრამატურგია? // ჟურნ. ცისკარი №2
75. ერთი რომანის ავ-კარგი (ა.გეწაძის ყარამან ყანთელაძე) // ჟურნ. ცისკარი №4
76. ისევ სასცენარო კრიზისის შესახებ // ჟურნ. ცისკარი №6
77. ტრაგიკულთან მიახლოვება (დ.ჯავახიშვილის მოთხრობა «ზღვა») // ჟურნ. ცისკარი №9
78. «ადამიანებს ზოგჯერ გრძნობა ატყუებს (ი.ჩადუნელის მოთხრობები) // ჟურნ. ცისკარი №11
79. Проза или драматургия? // журн. «Дружба народов» №11

1966

80. სქემების ტყვეობაში (თ.დონჟაშვილის «ალაზანზე») // ჟურნ. ცისკარი №2

81. ახალგაზრდობის მეგობარი (სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას) ა.ბაქრაძე, გ.გეგეჭკორი, გ.გვერდწითელი და სხვ. // ჟურნ. ცისკარი №5
82. «ეშმაკის მოსახვევი» (გ.გეგეშიძის მოთხრობის გამო) // ჟურნ. ცისკარი №11
83. თარგმანის მაღალი კულტურისათვის // ჟურნ. მნათობი №12
84. ვაჟა-ფშაველა კინოში. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, 1966
85. კრიტიკული წერილები (კრებული) // გამომც. «ნაკადული»
86. კინოკრიტიკული ეტიუდები (კრებული) // გამომც. «ლიტერატურა და ხელოვნება»

1967

87. ოქროს თევზი (ა.სულაკაური . «ოქროს თევზი», რომანი) // ჟურნ. ცისკარი №1
88. მარლენ დიტრიხი // ჟურნ. საქ. ქალი №3
89. «მთვარის მოტაცების» მედიტაცია // ჟურნ. მნათობი №10
90. მითი «მთვარის მოტაცებაში» // ჟურნ. მნათობი №12

1968

91. «სანავარდო» ანუ უნაყოფობის ტრაგედია (დ.შენგელაიას რომანის გამო) // ჟურნ. ცისკარი ¹3
92. «გველისმჭამელი» და ქართული მითი // ჟურნ. მნათობი №6
93. პოეტის ახალი წიგნი (ი.ნონეშვილი) // ჟურნ. მნათობი №7
94. არ სდებენ საძაბუნოთა... // გაზ. ლიტ. საქართველო _ 4 ოქტომბერი
95. დიონისეს თვითმკვლელობა // ჟურნ. მნათობი _ №12

1969

96. სიბრძნე სიცილისა (დ.შენგელაიას რომანი «ბათა ქექია») // ჟურნ. მნათობი №2
97. მითრიდატე (ლ.გოთუას რომანის გამო) // ჟურნ. ცისკარი №5
98. გმირობის აპოლოგია // ჟურნ. მნათობი №6
99. არც ისე წვიმს, როგორც ქუხს (ა.კუსრაშვილის «სადაც არ უნდა იქუხოს») // ჟურნ. ცისკარი №11
100. მითოლოგიური ენგადი (კრებული) // გამომც. «განათლება»

1970

101. «ბახტრიონის»მითოლოგიური სარჩული (ჰიპოთეზა) // ჟურნ. ცისკარი №3
102. ასე ამბობს მატიანე... // ჟურ. მნათობი №4
103. კრიტიკული შენიშვნები (რ.ჭეიშვილის რომანი «დალი») // ჟურნ. ცისკარი №1-6, «8
104. თვალდახუჭული სიკეთის დრამა (თ.ჭილაძის პიესა «სურათები საოჯახო ალბომიდან» რუსთაველის თეატრის სცენაზე) // თეატრალური მოამბე №4
105. ისე არაა თაყაო... // ჟურნ. მნათობი №12

106. დ.შენგელაია // ჟურნ. «ლიტ.გრუზია» №1

1971

107. რეპლიკა (ჟ.ხაჩატრიანის წერილის გამო) // გაზ. ლიტ. საქართველო – 2 ივნისი
108. აქა ამბავი მურადიანის მეცნიერებისა // გაზ. ლიტ. საქართველო _ 2 ივლისი
109. ისტორია და რომანი (წერილი პირველი «ლაშარელა» გ.აბაშიძის) // ჟურნ. მნათობი №6
110. ქებაი და დიდებაი... // ჟურნ. ცისკარი №6
111. «ცაში ასროლილი ქუდები» (ე.ყიფიანის რომანის გამო) // ჟურნ. ცისკარი №8
112. «დილა» (ჟურნალის მიმოხილვა) // ჟურნ. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე №5
113. ე.ყიფიანის რომანის «ცაში ასროლილი ქუდების» განხილვა მწერალთა კავშირში (მონაწ. გ.ციციშვილი, ე.მაღრაძე, გ.ასათიანი, აკ.ბაქრაძე და სხვ.) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _
114. ახალი ჰორიზონტი (ლ.ავალიანის რომანის გამო) // გაზ. ლიტ. საქართველო _ 10 დეკემბერი

1972

115. საქართველო «აღმოსავლურ ცივილიზაციაში» //გაზ. ლიტ. საქართველო _ 14 აპრილი
116. «გუშინდელნი» (შ.დადიანის პიესა, რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრის სცენაზე) //გაზ. ლიტ. საქართველო _ 19 მაისი
117. ილიას «განდეგილი» // ჟურნ. ცისკარი №12
118. განა დრამატურგია ლიტერატურის გერია? // ალმანახი «კრიტიკა» №1
119. ფიქრი და განსჯა (კრებული) // გამომც. «საბჭოთა საქართველო»
120. სჯანი (კრებული) // გამომც. «ხელოვნება»

1973

121. თეატრი და მაყურებელი // გაზ. თბილისი _ 2 სექტემბერი
122. მაცდუნებელი წინასიტყვაობა და... უსუსური რომანი // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 7 სექტემბერი
123. კრიტიკის ანკეტა (პასუხობს აკ.ბაქრაძე) // ჟურნ. «კრიტიკა» №3
124. თეატრი იწვევს მაყურებელს // გაზ. კომუნისტი _ 15 სექტემბერი
125. სეზონის გახსნამდე // გაზ. ლიტ. საქართველო _ 14 სექტემბერი
126. გაიხსნა თეატრალური სეზონი // გაზ. სამშობლო _ 1 ოქტომბერი
127. ზნეობრივი გმირისათვის // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 26 ოქტომბერი
128. ჟურნალ «ცისკრის» ინტერვიუ ა.ბაქრაძესთან, მ.მაჭავარიანთან და სხვ. (გალაკტიონის შემოქმედებაზე) // ჟურნ. ცისკარი №10
128. აქტუალურობაც არის და აქტუალურობაც // ჟურნ. საბჭ. ხელოვნება №11

129. Слово за зрителем // газ. «Веч. Тбилиси» - 22 сент.

1974

130. სიტყვა თეატრალურ კრიტიკაზე // გაზ. «ქართული თეატრის დღე» _ 14 იანვარი

131. ჩუმი ნეტარება (კოლაუ ნადირაძის შემოქმედება) // გაზ. ლიტერატურული საქართველო _ 22 თებერვალი

132. მთვარის დღის შვილი // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 5 აპრილი

133. თეატრი და მაყურებელი // ჟურნ. «საბჭ. ხელოვნება» _№2

134. ჯავახეთში // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 9 მაისი

135. რა არის თათქარიძეობა? // ჟურნ. ცისკარი _ №11

136. ახალი სეზონი: გეგმები, ამოცანები (ა.ბაქრაძე, რ.თვარაძე) // გაზ. კომუნისტი _ 14 სექტემბერი

137. გეგმა _ ვრცელი, პრობლემა _ აურაცხელი (ა.ბაქრაძე, რ.თვარაძე) // გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი _ 12 სექტემბერი

138. თეატრი და მწერლობა // გაზ,. «ლიტ. საქართველო» _ 13 სექტემბერი

139. წერილები თეატრი // ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება» №2-დან №12-მდე

140. როგორ დაიკარგა «აპრილი» // ჟურ. «საბჭ. ხელოვნება» - №9

1975

142. გადაუდებელი საქმე // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 14 თებერვალი

143. რაისა ბოროტთა მოვიკვეთთ? // ჟურნ. «განთიადი» №6

144. «ქართული ფილმი 1974 წელს» // ჟურ. «საბჭოთა ხელვონება» №10

145. ჩვენი მატიანე (ვ.ჭელიძე. ქართლის ცხოვრების ქრონიკა) // ჟურნ. «საყმაწვილო ლიტერატურა» №13

146. ოთხი როლით // გაზ. «გამარჯვების დროშა» (ლაგოდეხი) – 1 ივლისი

147. ნიჭიერება მაღალი შემოქმედების ფუნდამენტია (ინტერვიუ) // გაზ. «საბჭოთა აჭარა» _ 12 ივლისი

148. ახალი სეზონი, ახალი გეგმები // გაზ. «კომუნისტი» _ 12 სექტემბერი

149. წინ შემოქმედებითი წელიწადია (ა.ბაქრაძე, რ.თვარაძე) გაზ. «თბილისი» _ 11 სექტემბერი

150. სულის გზა (ო.ჭილაძის «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა») _ // გაზ. «ლიტ. საქართველო _ 26 სექტემბერი

151. ახალი თეატრალური სეზონი // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 19 სექტემბერი

152. ტარიგი ღმრთისაი (ჭ.ამირეჯიბის «დათა თუთაშხია») // ჟურნ. «განთიადი» №4

153. Зрителей ждут интересные встречи // газ. «Веч. Тбилиси» - 11 сент.

1976

154. ა.ბაქრაძე, შ.რუსთაველის თეატრის დირექტორი // გაზ. «თბილისი» _ 15 იანვარი

155. კიდევ ერთი სხდომა // ჟურნ. «ნიანგი» №9

156. მომავლისაკენ მიმავალი ცალხელა კაცი // ჟურნ. «კრიტიკა» №3

157. ლესინგი ჩვენი თანამედროვე («ნათან ბრძენი» საარბრიუკენის თეატრის სცენაზე) // გაზ. «კომუნისტი» _ 4 ივნისი

158. თავისუფალი ინტერპრეტაციისათვის // ქართული თეატრის დღე (საქ.თეატრალური საზოგადოების ერთდროული გაზეთი) – 14 იანვარი

159. თეატრი. პრობლემები (საუბრობენ ა.ბაქრაძე, დ.ალექსიძე, რ.სტურუა და სხვ.) // ჟურნ. «განთიადი» №1

160. ჩვენი ინტერვიუ (საუბარი ქართულ თეატრზე: ა.ბაქრაძე, რ.სტურუა, თ.ჩხეიძე) // ჟურნ. «ცისკარი» №2

161. დიდი მღელვარებით (შ.რუსთაველის სახ. თეატრის გასტროლები მოსკოვში; საუბრობენ ა.ბაქრაძე, რ.სტურუა, რ.ჩხიკვაძე) // გაზ. «კომუნისტი» - 16 მარტი

162. სჯობს გვიან... ანუ ღიმილნარევი ინტერვიუ (ა.ბაქრაძე, რ.სტურუა, თ.ჩხეიძე, რ.ჩხიკვაძე და სხვ.) // გაზ. «თბილისი» _ 15 აპრილი

163. მთავარი ადგილი ეროვნულ დრამატურგიას // გაზ. «კომუნისტი» _ 11 სექტ.

164. ახალი სეზონი (ა.ბაქრაძე, ვ.ჯახუტაშვილი) // გაზ. «ახ.კომუნისტი» _ 11 სექტემბერი

165. ფიქრი თეატრზე // გაზ. «ლიტ.საქართველო» _ 26 ნოემბერი

166. წინ შემოქმედებითი წელიწადია // გაზ. «თბილისი» _ 10 სექტემბერი

167. რუსთაველის თეატრის მომავალი გეგმები // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 26 ოქტომბერი

168. იძულებულს გყოფს გულგრილი არ დარჩე //გაზ. «ახალგაზრდა კომუნისტი» _ 29 ივნისი

169. დიალოგი თეატრზე // გაზ. «ახ.კომუნისტი» _ 30 ნოემბ. 2 დეკემბერი

170. Вечное чудо // газ. «Молодежь Грузии» – 27 марта

171. Отражая современность // газ. «Веч. Тбилиси» - 10 сент8

172. Заж глись огни рампы // газ. «Заря востока» – 19 сент.

173. რაც შეეხება ახალგაზრდობას... // გაზ. «ქართული თეატრის დღე» _ 14 იანვარი

174. რაც შეეხება «პასტორალს» // ალმანახი «კინო» №2

175. სეზონი ხვალ იხსნება // გაზ. «ლიტ. საქართველო» - 30 სექტემბერი

176. მთავარი თემა _ თანამედროვეობა (ავტ. ა.ბაქრაძე, გ.ლორთქიფანიძე) // გაზ. «კომუნისტი» _ 1 ოქტომბერი

177. Факель, который надо зажечь... (Беседа на тему: «О работе с творческой молодежью». Высказывания А.Бакрадзе, М.Туманишвили, А.Товстоногова и др.) // газ. «Молодежь Грузии» - 13 янв.

178. კრიტიკული გულანი (კრებული) //გამომც. «მერანი»

1978

179. და დამრჩა... სევდა... // ჟურნ. «კრიტიკა» №1

180. «პირველი მერცხლის» ალეგორია // ალმანახი «კინო» №2

181. პანეგირიკის სიცივე // ჟურნ. «ცისკარი» №5

182. დაუდევრობასაც საზღვარი აქვს // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 1 დეკ.
183. «მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა (ილია ჭავჭავაძე) _ გამომც. «მერანი»

1979

184. ენის პატრონი ხალხია // გაზ. «კომუნისტი» _ 13 აპრილი
185. ამ წიგნს ნუ ენდობით // ჟურნ. «თეატრალური მოამბე» №1
186. ცოცხალი წარსული // გაზ. «კომუნისტი» _ 8 ივლისი
187. ხვალის ამოცანა // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 1 ივნისი
188. თეატრი ლიტერატურით იწყება (საუბრობენ: ა.ბაქრაძე, თ.ჭილაძე, ნ.გურაბანიძე და სხვ.) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 14 სექტემბერი
189. კვლავ დიდი გამარჯვება // «ლიტ. საქართველო» _ 14 სექტემბერი
190. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი (თეატრალური კრიტიკის საკითხებზე საუბრობენ: ა.ბაქრაძე, მ.გეგია, მ.ფიჩხაძე და სხვ. _ გამოსვლების ფრაგმენტები) // «თეატრალური მოამბე» №3
191. საყურადღებო წიგნი (ილია ალხაზიშვილის «ჯავახური ლეგენდები») // ჟურნ. «მნათობი» №8

1980

192. მარტოობის ტკივილი // ჟურნ. «კრიტიკა» №2
193. «კრიტიკა _ 79» // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 1, 22, 29 თებერვალი და 7 მარტი
194. მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება // ჟურნ. «მნათობი» №4
195. დათვალიერება კმარა! // ჟურნ. «ნიანგი» №19
196. გახლეჩილი გული // ჟურნ. «ცისკარი» №8
197. მასალა და მოთხრობა // ჟურნ. «ცისკარი» №6
198. შემოდგომის დღე (ს.კლდიაშვილის «სურათები იმერეთის ცხოვრებიდან» ქუთაისის თეატრის სცენაზე) // «თეატრალური მოამბე» №2-3
199. «სურამის ციხის» გამო // «სკოლა და ცხოვრება» №9
200. რეპლიკა (შ.პაპუაშვილის თარგმანი კანტის «წმინდა გონების კრიტიკაში» მოხსენიებული სიტყვა das Gemüt-ის გამო) // «ლიტ. საქართველო» _ 18 იანვარი
201. ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი // «სკოლა და ცხოვრება» №10
202. ივირიონი (ათონის ივერიის მონასტერი) // ჟურნ. «ქართული ენა და ლიტ. სკოლაში» №2
203. სულიერი კულტურის თანაბრობისათვის // ჟურნ. «ნიანგი» №12

1981

204. სასულიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები («მარაგითზრახვა») _ წერილი პირველი) // ალმანახი «პოეზია უპირველეს ყოვლისა» №1
205. რინდები თუ ისიხასტები // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 17 აპრილი

206. მოლოდინის ტკივილი (სპექტაკლი «პროვინციული ამბავი» მარჯანიშვილის თეატრში) // «თეატრალური მოამბე» №2

207. ლექსი ილიასია («წუთისოფელი ასეა...») // «ლიტ. საქართველო» _ 1 მაისი

208. ხვალინდელი დღისათვის (რუსთაველის თეატრის დაარსების 100 წლისთავი) // ერთჯერადი გაზეთი «რუსთაველის თეატრი» _ 28 ოქტომბერი

209. განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილი // ჟურნ. მნათობი №10

210. სევდა ისტორიისა // ჟურნ. მნათობი №6

211. პილპილმოყრილი მადლი (კრებული) // გამომც. «მერანი»

1982

212. კანონზომიერება // ჟურნ. მნათობი №1

213. სასულიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები («მარაგითზრახვა») _ წერილი მეორე // ალმანახი «პოეზია უპირველეს ყოვლისა» №2

214. ვინ არის პასუხისმგებელი? // «ლიტ. საქართველო» _ 25 ივნისი

215. სოველი საიდუმლო // «ლიტ. საქართველო» _ 5 ნოემბერი

216. სიმშვიდით უხმო // ჟურნ. «ნიანგი» №22, ნოემბერი

1983

217. არსებობის შიში // ჟურნ. «ნიანგი» №2

218. სასულიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები // ალმანახი «პოეზია» _ მესამე წერილი _ №3

219. ისევ «ქებაÁს» გამო // ჟურნ. მნათობი №1

220. ლეგენდა // ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება» №1

221. მკვახე შეძახილი // ჟურნ. «კრიტიკა» №4

222. შეუძლებელი // ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება» №7

223. კასტელის ალბომის გარშემო საუბრობენ აკ.ბაქრაძე და გ.გაჩეჩილაძე // ჟურნ. «საბჭ. ხელოვნება» №8

224. შედარება (კ.გამსახურდიას მოთხრობა «ლილ» და გი დე მოპასანის «კარში» // «ლიტ. საქართველო» _ 22 ივლისი

225. ლიტერატურული პარალელები // ჟურნ. «სკოლა და ცხოვრება» №1

226. წარმავლობის მაარდჟამულად ქცევა (კ.გამსახურდიას შემოქმედება) // ჟურნ. «სკოლა და ცხოვრება» №3

227. ადამიანი და ორი სიმართლე (ვაჟა-ფშაველას «სტუმარ-მასპინძელის», «ალუდა ქეთელაურის» და «გველის-მჭამელის მიხედვით) // «სკოლა და ცხოვრება» №3

228. საფიხვნო (ჟურნალ «სკოლა და ცხოვრების» დამატების «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში» გეგმებზე საუბრობენ: აკ.ბაქრაძე, ვ.რამიშვილი, თ.კვაჭანტირაძე და სხვ.) // «სკოლა და ცხოვრება» №12

229. ჩვენი დღეების ქართული თეატრი (საუბრობენ: აკ.ბაქრაძე, რ.გორდეზიანი, ნ.ალანია და სხვ) //»თეატრალური მოამბე» №3

230. მერანი თუ სახედარი? // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 25 დეკემბერი

1984

231. წარსულით წინასწარმეტყველება // ჟურნ. «კრიტიკა» №3

232. რაინდი, მიამიტი და თავდადებული (დ.ყიფიანი) // ჟურნ. «რიწა» №2

233. დაფანტული სულები (რ.თაბუკაშვილის ფილმები) // «საბჭ.ხელოვნება» №6

234. გზათა უკან წანწალი... // ჟურნ. «ნიანგი» №15

235. რანაირია სამყარო? // ჟურნ. ქართული ენა და ლიტ. სკოლაში» №2

236. В знак вечной любви // газ. «Веч. Тбилиси» - 16 апр.

237. ილია ჭავჭავაძე (წიწამური) _ სერიიდან «გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება» გამომც. «ნაკადული»

1985

238. სულის ზრდა // ჟურნ. «კრიტიკა» №1

239. ცამეტი წელიწადი კინოში // ჟურნ. «კინო» №1

240. თეთრი ხომალდი (ვიქტორ გაბესკერია) //გაზ. «თბილისი» _ 23 ნოემბერი

241. უსინათლო მარათონელი (მიხ.ქვლივიძის პოეზია) // ჟურნ. «ცისკარი» №9

242. იწამე გადარჩენა // ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება» №12

243. გამრავლება _ მომავლის საფუძველი (საქ-ში დემოგრაფიული ვითარების შესახებ. მწერალთა კავშირში მონაწილეთა გამოსვლებიდან) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 7 ივნისი

1986

244. «XIX საუკუნემ უანდერძა აწ მომავალსა...» (ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავთან დაკავშირებით) // «ელმავალმშენებელი» _ 22 იანვარი

245. ერის ილიასეული განმარტება // გაზ. «ელმავალმშენებელი» _ 8 აპრილი

246. «შესდგა საზოგადოება»... (ნაწყვეტი მონოგრაფიიდან «ილია ჭავჭავაძე») _ 2 აპრილი

247. მეამბოხე (ნიკო ნიკოლაძე) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 14 ნოემბერი

249. უგზოობის გზა // ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება» №3

250. სულის ზრდა (წერილების კრებული) // გამომც. «საბჭოთა საქართველო»

1987

251. ივრის მირონი (რევაზ ინანიშვილი) // გაზ. «ლიტ.საქართველო» _ 1 იანვ.

252. რესტავრაცია თუ რეკონსტრუქცია? // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 23 იანვ.

253. ჩვენ? // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 20 მარტი

254. ერთიანი ძალით // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 17 აპრილი

255. პროლოგი, ეპილოგი (ნაშრომიდან «ილია ჭავჭავაძე») // «წიგნის სამყარო» №20

256. გზა ხსნისა (ილია ჭავჭავაძის «განდეგილის» გაგებისათვის) // ჟურნ. «ჯვარი ვაზისა» №1

257. აზროვნების სტანდარტიზაცია // გაზ. «სახალხო განათლება» _ 3 ივნისი
258. ბუმერანგი // გაზ. «სახალხო განათლება» _ 5 ნოემბერი
259. ყურადღება მივაქციოთ // გაზ. «თბილისი» - 21 დეკემბერი
260. რწმენა // ჟურნ. «კრიტიკა» №1
261. ცამეტი წელი კინოში // ჟურნ. «კინო» №2, №3
262. უღირსებო კაცი // ჟურნ. «მნათობი» №3
263. Вера // журн. «Лит. Грузия» №9

1988

264. ცამეტი წელი კინოში // ჟურნ. «კინო» №1, №2
265. ვაჟას მრწამსი // ჟურნ. «განთიადი»№1
266. განახლების მოლოდინში // ჟურნ. «კინო» №4
267. ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს // გაზ. «თბილისი» _ 22 მარტი
268. ნიჭი პატიოსანი უნდა იყოს // გაზ. «ახალგაზრდა ივერიელის» დამატება _ 25 აპრილი
269. ნიკო ნიკოლაძე // ჟურნ. «განთიადი» №2, №3, №4, №5, №6
270. დიალოგი (აკ. ბაქრაძე და გ.პეტრიაშვილი) // გაზ. «ქართული ფილმი» _ 22 ივნისი
271. ნატვრა // ჟურნ. «ნიანგი» №19-20 (ოქტომბერი)
272. ორი მიზეზი // ჟურნ. «საქართველოს ბუნება» №10
273. ჩვენ ყველანი ჩვენ ქვეყანას ვეკუთვნით // ჟურნ. «ცისკარი» №7
274. გვიანღა იქნება... // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 7 ოქტომბერი
275. ბუმერანგი // გაზ. «სახალხო განათლება» _ 5 ნოემბერი და «ივერია» (ილიას საზოგადოების მოამბე) №8
276. ვნახოთ, იქნებ რაიმე შეიცვალოს (მწერალთა კავშირში თავისუფალი არჩევნების დამკვიდრების შესახებ საუბრობენ: აკ.ბაქრაძე, გ.ალხაზიშვილი, ლევან ბრეგაძე და სხვ.) // გაზ. «თბილისი» _ 12 აგვისტო
277. ჩვენ გვიხმობს ზარი... (ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით) // გაზ. «ახ. კომუნისტი» _ 27 ოქტომბერი
278. დავიწყებული იდეა // «ქართული მწერლობა», ტომი მეხუთე (შესავალი)
279. «Наш суверенное право» // газ. «Молодежь Грузии» - 22 нояб8
280. Бумеранг (о пробл. двухязычия в ГССР) // газ. «Народ. образование» - 5 нояб.

1989

281. ა.ბაქრაძის სიტყვა მერაბ კოსტავას გარდაცვალების გამო // გაზ. «საქართველო» _ 22 ნოემბერი
282. წერილი რედაქციას (ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის გამო ზუგდიდში) // გაზ. «ახ კომუნისტი» _ 4 აპრილი
283. ჩემი დამოკიდებულება გაფიცვებისადმი // გაზ. «წინსვლა» (თერჯოლა) _ 27 ივლისი

284. მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი (საქ. სახალხო ფრონტის საქველმოქმედო ასოციაციისა «აღორძინება» (ხელმოწერა: აკ.ბაქრაძე, ნ.ნათაძე, ზ.გამსახურდია და სხვ.) // გაზ. «ახ. კომუნისტი» _ 4 ნოემბერი

285. რატომ? (ქართველ პატიმარ ქალთა მდგომარეობის გამო) // გაზ. «ქართული ფილმი» _ 22 თებერვალი

286. ჩვენ არ წავალთ მოსკოვში //გაზ. «მამული» _ მარტი (№6)

287. რას ვაპირებთ // გაზ. «მამული» №1 და ჟურნალი «ცისკარი»№9, გაზ. «ახ.კომუნტის» _ 27 მაისი

288. აკაკი ბაქრაძის საარჩევნო პროგრამა // გაზ. «თბილისი» _ 23 მარტი და ჟურნ. «კინო» 19

289. მე ვემსახურები ჩემ ხალხს // გაზ. «თბილისის უნივერსიტეტი» _ 3 მარტი

290. ცამეტი წელი კინოში // ჟურნ. «კინო» №1, №2

291. ერთხელ კიდევ მომისმინეთ! // გაზ, «მამული» №2 (ივლისი)

292. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს // გაზ. «მამული» №3 (აგვისტო”

293. უმეცრება თუ პროვოკაცია? // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 31 მარტი (მიწერილი აქვს 1978 წ.)

294. ღია წერილის პასუხად // გაზ. «მამული» №5 (ოქტომბერი)

295. მშვიდობიანად მივაღწიოთ აღთქმულ მიზანს // გაზ. «კომუნისტი» - 15 ნოემბერი

296. დეკემბრიდან დეკემბრამდე // გაზ. «მამული» №8 (დეკემბერი)

297. ვცვლით თუ ვარემონტებთ? // გაზ, «შანსი» _ 20 დეკემბერი

298. ინტერვიუ აქტუალურ თემაზე (რუსთაველის საზ. გეგმებზე) // გაზ. «Ленинский путь» (წალკა) _ 13 ივლისი

299. აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 28 აპრილი

300. განსჯაში მთელი ერი უნდა მონაწილეობდეს // გაზ. «ლენინის დროშა» (ოზურგეთი) _ 25 მაისი

301. მონანიების უფლება // გაზ. «აღმაშენებელი» _ 2 ივნისი

302. ირაკლი კოსტავას ლექსები («შესავალი») // გამოც. «მერანი»

303. კინო და თეატრი (კრებული) // გამომც. «ხელოვნება»

304. ნიკო ნიკოლაძე _ სერიიდან «გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება» // გამომც. «ნაკადული»

305. Церетели Г.Ф. «Только одна наука радует меня» (Письма Г.Церетели к И.Джавахишвили). Публикация и комментарий А.Бакрадзе // «Лит.Грузия» №8

1990

306. დეკემბრიდან _ დეკემბრამდე (გაგრძელება) // გაზ. «მამული» №1 იანვარი

307. ცნობიერების ლიბანიზაცია // გაზ. «მამული» №10 (მაისი)

304. მილოცვა // ჟურნ. «განთიადი» №1

305. სსრკ სახალხო დეპუტატის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრის აკაკი ბაქრაძის გამოსვლა სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე // გაზ. «კომუნისტი» _ 3 მარტი

306. აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს // გაზ. «ალაზნის განთიადი» (თელავი) _ 22 თებერვალი
307. ჩვენი «მწვავე» შეცდომები // გაზ. «თბილისი» _ 6 აპრილი
308. «... უძლური ვარ... ნუ იქნები ჩემს იმედად»... (ეროვნულ პრობლემებზე) _ გაზ. «ქვემო ქართლი» (მარნეული) _ 31 მაისი
309. ერთიანი გეგმით // გაზ. «მამული» №8 (აპრილი)
310. ღია წერილი (გაზ. «თბილისის» რედაქტორს) //გაზ. «თბილისი» - 26 მაისი
311. ჭკვიანი პოლიტიკოსები ტროას ცხენში სხდებიან // გაზ. «მამული» (წერილი პირველი) №14 (ივლისი)
312. მწერლობის მოთვინიერება // ჟურნ. «მნათობი» №№4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11
313. გარდაუვალი აუცილებლობა // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 27 ივლისი
314. გაერთიანება აუცილებელია // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 19 იანვარი
315. ადამიანის ბითუმად შეფასება არ შეიძლება // გაზ. «7 დღე» _ 7 ნოემბერი
316. ინტერვიუ თამრიკო მოლაშვილთან // გაზ. «დვრიტა» _ 7 ოქტომბერი
317. ჭკვიანი პოლიტიკოსები ტროას ცხენში სხდებიან // გაზ. «მამული» (მეორე წერილი) №15 (აგვისტო)
318. გაზ. «თბილისის» რედაქციას // გაზ. «თბილისი» _ 22 მარტი
319. განჯგონებულობა (ერთი თავი წიგნიდან «მწერლობის მოთვინიერება») // ჟურნ. «ქართული მწერლობა» №1
320. რაინდი მიამიტი და თავდადებული // დიმიტრი ყიფიანის «მემუარები» _ გამომც. «საქართველო» (შესავალი წერილი)
321. С декабря по декабрь // газ. «Самрекло» - №2, 3 янв.-фев.-март
322. Пост президента: позиция депутатоы из Грузии // газ. «Заря Востока» – 15 марта (авт. А.Бакрадзе, Э.Шенгелая, П.Маргвелашвили и др.)
323. Противопоставление источник – источник ошибки, а не путь к истине // газ. «Веч. Тбилиси» – 28 марта
324. К независимости // Вестник АНС (НФ Грузии) – 14 авг.
325. Попробуем найти общий язык // газ. «Заря Востока» – 2 сент.
326. Всегрузинское общество Руставели // газ. «Веч. Тбилиси» – 19 окт.
327. რწმენა (კრებული) // გამომც. “მერანი”
328. მწერლობის მოთვინიერება (კრებული) // გამომცემლობა “სარანგი”
329. ისტორიამ განმეორება იცის // გაზ. “მამული” _ №17 (სექტემბერი)
330. ნახვამდის (რეზო თაბუკაშვილის გარდაცვალების გამო) // გაზ. თბილისი _ 8 აგვისტო

1991

331. საქართველოს ეროვნული მაჯისცემა // გაზ. «შირაქი» _ 29 იანვარი
332. წამკიდებელო, წაჰკიდე, ორთავეს თავი წასწყვიტე! // გაზ. «მამული» №2
333. ბუმერანგი // გაზ. «შირაქი» _ 22 იანვარი

334. ისტორიის განაჩენი გარდაუვალია // გაზ. «დრო» _ 1-10 თებერვალი
335. საიდუმლო გამჟღავნებულია // გაზ. «ცხოვრება და კანონი» _ 6 თებერვალი
336. დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა // გაზ. «საქართველო» _ №17 სექტემბერი
337. აღდგომა და ხვალეო // გაზ. «მამული» №16 სექტემბერი
338. ურთიერთგაგებით (საქართველოს ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის) // გაზ. «ცხოვრება და კანონი» _ 8 მაისი
339. მიმართვა საქ. რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, დღეს საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას (ა.ბაქრაძე, თ.ბუაჩიძე, ჭ.ამირეჯიბი) // «საქ.რესპუბლიკა» _ 27 აპრილი
340. ხაფანგი (საქ.-ოს სამომავლო პოლიტიკაზე) // გაზ. «მამული»№22-23
341. Укрощение литературы // газ. «Лит. Грузия» - №2, №3

1992

342. ხელისუფლება კი არ არის საქართველოს პატრონი, არამედ ქართველი ხალხი // გაზ. «საქართველო» _ 21 თებერვალი
343. თანდათანობა // გაზ. «სიმართლე» №2 თებერვალი
344. ისტორია გვასწავლის // გაზ. «ახ.ივერიელი» _ 16 იანვარი
345. «ჩვენს სამშობლოს ჩვენვე უნდა ვუშველოთ» // «მაცნე» _ 12 მარტი
346. ინტერვიუ (კახეთის როლი საქ. ძლიერებაში) // გაზ. «კახეთი» _ 5 მაისი
347. საქართველო გახდა თავისუფალი _ პიროვნება კი მაინც არ არის თავისუფალი // გაზ. _ 9 მაისი
348. ყველაფერს ფული უნდა // გაზ. «საქ. რესპუბლიკა» _ 16 მაისი
349. როცა სიტყვა ტყვიასავით ბრმაა // გაზ. «შანსი» _ 13 მაისი
350. მალე დაცხრება ბოროტი ენერგიის პარპაში და შემოქმედებით შრომას შევუდგებით // გაზ. «საქართველო» _ 17-23 ივლისი
353. ორიენტაცია // გაზ. «ახალი საქართველო» _ 29 ივლისი
354. წერილი რედაქციას (წერილის _ «ჩვენ ყველამ ერთად» _ პასუხად) // გაზ. «დრონი» _ 14 აგვისტო
355. კონფლიქტი // გაზ. «7 დღე» _ 27 აგვისტო, 2 სექტემბერი
356. ხუთთავიანი ურჩხული // გაზ. «მამული» №18, სექტემბერი
357. ინტერვიუ (პრივატიზაციის მნიშვნელობაზე) // გაზ. «ხიდი» _ 19 სექტ.
358. ვისწავლოთ მოთმინება // ჟურნ. «ნაკადული» №7, 8
359. ავღანეთის მაგალითის განმეორებაც რომ დაგვჭირდეს, უნდა შევაჩეროთ რუსეთი // გაზ. «±უსასრულობა» №9, ოქტომბერი
360. ვიქტორ კუვალდინის სტატიას _ «კავკასიური გამოსავალი საქართველოსა და რუსეთისათვის» _ კომენტარს ურთავს აკაკი ბაქრაძე // გაზ. «მამული» №20, დეკემბერი
361. წაგება შეუძლებელი // გაზ. «თბილისი» _ 30 ოქტომბერი
362. მე-19 საუკუნე _ «ქართული მწერლობა» მე-9 ტომი (შესავალი წერილი)

363. აკაკი ბაქრაძის სატელევიზიო გამოსვლა (11 ოქტომბრის არჩევნების შესახებ) // გაზ. «საქართველო» №38

364. აკაკი წერეთელი // ჟურნ. «განთიადი» №11-12

365. «თუ ამ პროექტს მივიღებთ, საფუძველი ჩაეყრება ქართველების გარუსებას» // გაზ. «საქართველო» №15

366. «Я предпочитаю личную свободу» // газ. «50/50» - №15 ноябрь

367. ილია და აკაკი (მონოგრაფიები) // გამომც. «საქართველო»

1993

368. დაუყოვნებლივ // გაზ. «მამული» №3 იანვარი

369. კიდევ ერთი დაკვირვება // ჟურნ. «ღიმილი» №2

370. ნიღბების სამყაროში // ჟურნ. «თეატრი და ცხოვრება» №1-დან №6-მდე

371. ქართველისათვის არაფერი ადამიანური, არც კარგი და არც ავი უცხო არ არის // გაზ. «დედამიწა» _ 7 აპრილი

372. სამი შეკითხვა ბატონ აკაკი ბაქრაძეს // გაზ. «ფაქტი, აზრი კომენტარი» _ 11 თებერვალი

373. ის, რაც სამართლიანია, ჰარმონიული და მშვენიერია (ინტერვიუ) გაზ. «ალგეთი» №1-2

374. ეს რუსეთ-საქართველოს ომია // გაზ. «ივერია-ექსპრესი» _ 2 მარტი

375. უკან დასახევი გზები ჩახერგეთ! // გაზ. «უწყებანი» _ 13 მარტი

396. რამდენიმე ტკივილიანი შეკითხვა იმედიანი პასუხის მოლოდინში // გაზ. «საქართველოს სამრეკლო» _ 28 აპრილი

397. მხოლოდ გამარჯვება // გაზ. «მამული» №23 ივლისი

398. სიკეთის, სილამაზის, კეთილშობილების, გონიერების სახელით (ინტერვიუ) // გაზ. «ნერგი» _ 16 ივლისი

399. «სოჭის შეთანხმების» თაობაზე ბატონი აკაკი ბაქრაძე უპასუხებს სამ შეკითხვას // გაზ. «მამული» №27, აგვისტო

400. საუბრები რელიგიაზე // გაზ. «ოქროს არწივი» _ 15 სექტემბერი

401. პასუხისმგებელი ვართ // გაზ. «ეთერშია საქართველო» _ 1 ოქტომბერი

402. ყოველ გონიერ ერს დამარცხება დიდ გაკვეთილს აძლევს // გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი» _ 2 ოქტომბერი, გაზ. «ქართველი ერი» _ 3 ნოემბერი

403. აფხაზეთისათვის // გაზ. «მამული» _ 8 ოქტომბერი

404. ხვალ გვიან იქნება // გაზ. «ივერია-ექსპრესი» _ 31 ივლისი

405. ომის ვითარებაში არ შეიძლება თავის მართლება // გაზ. «ივერია-ექსპრესი» _ 9 ივლისი

406. რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი // გაზ. «ახ.ივერიელი» _ 2-8 ივნისი

407. ერთი კითხვა აკაკი ბაქრაძეს // გაზ. «დრონი» _ 8 მაისი

408. ისევ დადგება ჟამი სიყვარულისა // გაზ. «ეკრანი» №8, აპრილი

409. დაუდევრობა // ჟურნ. «ჯვარი» №1

410. ვენდოთ ერთმანეთს // გაზ. «მამული» №6 და _ 6 მარტი

411. საქ.რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონი // გაზ. «საქ.რესპუბლიკა» _ 24, 25 თებერვალი და გაზ. «საქართველო» №7

412. კრიზისული ადამიანი // გაზ. «რესპუბლიკა» _ 29 ოქტომბერი

413. ღია წერილის პასუხად // გაზ. «მამული» №29, სექტემბერი

414. საქართველოში კომუნისტური აზროვნება ისევ არსებობს // გაზ. «თემი» №2

415. მხოლოდ საკუთარი ძალების იმედით // გაზ. «საქართველოს კარიბჭე» №5

416. ბრძოლა ნიჰილისტებსა და ოპტიმისტებს შორის კარგა ხანს გასტანს _ გაზ. «ბიზნეს კურიერი» _ 6 აგვისტო

417. Доверимся друг другу // газ. «Веч. Тбилиси» – 6 марта

418. «Давайте перейдем мост» // газ. «веч. Тбилиси» – 17 июня

419. ინტერვიუ აკ.ბაქრაძესთან (ქეთინო სადღობელაშვილის) // გაზ. «კვირაძალი» _ 18 ნოემბერი

420. მასონობა ჩვეულებრივი ადამიანური ორგანიზაციაა // გაზ. «ოქროს არწივი» 30 ნოემბერი, 17 დეკემბერი

421. სიმართლეს ნუ ეძებ იქ, სადაც ყვირიან // გაზ. «რესპუბლიკა» _ 25 თებერვალი

422. ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში // გაზ. «თემი» №6

423. «არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ» // ჟურნ. «ივერია» ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ორგანო. თბილისი-ბრიუსელი №3

423[a]. Akaki Bakradze. Ilia Tshawtschawadse (1837-1907). Übersetzt von Lasha Bakradse, Irina Kocnejewa und Ruth Neukomm. Bern 1993

1994

424. ფრაგმენტი 1988 წლის სატელევიზიო გამოსვლიდან // გაზ. «ქართ. ფილმი» _ 1 მარტი

425. როგორ ვუშველოთ ქუთაისის თეატრს // გაზ. «ივერია-ექსპრესი» _ 12 მარტი

426. კონსტიტუციისათვის // გაზ. «ივერია-ექსპრესი» _ 18 მარტი

427. აუცილებელია, საქართველოს მომავლის რწმენა დაუბრუნდეს // გაზ. «ივერია» [1]36, მარტი

428. ამილახვრიანში გადასწვდება // გაზ. «საქართველო» _ 8-12 მარტი

429. ბრძოლა გრაალისათვის // გაზ. «კავკასიონი» _ 23 მარტი

430. ეროვნული მოძრაობის მარცხის მიზეზები (ქართული საქმე) // ჟურნ. «ბაგრატის ტაძარი» _ 19 აპრილი

431. ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება თანდათან ჩამოყალიბდება და საქათრველოც აწყობილ-ცივილიზებული ქვეყნების რიგს შეუერთდება // გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი» _ 11 მაისი

432. ჩვენ აფხაზეთის დაბრუნება არ გვინდა მხოლოდ... // გაზ. «დაბრუნება» _ 26 მაისი

433. დედამიწიონებისა და უცხოპლანეტიონების შეხვედრა გარდაუვალია! // გაზ. «ფენომენი» №2

434. არჩილ ჯორჯაძის ტრიადა // გაზ. «კავკასიონი» _ 19 მაისი
435. «თუ კარგ საქმეზე მიდახარ მეც წამიყვანეთ»... // გაზ. «სიტყვა ქართული» _ 9 სექტემბერი
436. დიდი გაკვეთილი // გაზ. «საქართველო» 17-24 სექტემბერი
437. ქართველს არ უყვარს როცა სიმართლეს ეუბნებიან // გაზ. «ბიზნეს-კურიერი» №3
438. ხსოვნა (მიქელ თამარაშვილი) // გაზ. «საქართველოს კათოლიკე» №6, სექტ.
439. უბრალოდ, ანალოგიების გვეშინია // გაზ. «თბილისი» _ 23 სექტემბერი
440. საუბრები აკ.ბაქრაძესთან (კახა ბროკიშვილი) // გაზ. «მსგეფსი» №11-დან №18-მდე
441. ვინც ფიქრობს სოციალიზმი აღორძინდება, მწარე შეცდომის მსხვერპლია // გაზ. «ბიზნესექო» №1, ოქტომბერი
442. ინტერვიუ ნატო გუბელაძესთან // გაზ. «ახალი ქუთაისი» _ 14 ნოემბერი
443. ხალხს აერთიანებს, ამთლიანებს მხოლოდ დიქტატურა // გაზ. «ალია საქართველოდან» _ 28 დეკემბერი
444. ქართული შეგნების შეცვლის მიმართულებით მუშაობა აუცილებელია // გაზ. «საბა» №8, დეკემბერი
445. რემონ დიუგე _ «მოსკოვი და წამებული საქართველო» (ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა) // გამომც. «ჯისიაი»

1995

446. წერილიდან «უმეცრება თუ პროვოკაცია» // ჟურნ. «ჯვარი ვაზისა» №1
447. მიუხედავად... // გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი» №1, იანვარი
448. ბიჭვინთის სახელით // ჟურნ. «ჯვარი ვაზისა» №2
449. გასული წლის შედეგები სავალალოა... // გაზ. «სამშობლო ფორტე» №1
450. დამჭლევებული ქართული // გაზ. «ახ. ივერიელი» №3, მარტი
451. მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! // გაზ. «კავკასიონი» _ 8 აპრილი
452. საქართველოს მესამედ ოკუპაცია // გაზ. «კავკასიონი» _ 19 აპრილი
453. წერილი საკონსტიტუციო კომისიას // გაზ. «კავკასიონი» _ 30 მაისი
454. აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 28 აპრილი
455. ინტერვიუ... ინტერვიუ... // გაზ. «პარადოქსი» №1, მაისი
456. შემოქმედი პოლიტიკას უბრუნდება // გაზ. «ჯორჯიან თაიმსი» _ 26 ივლისი
457. მიმართვა ქართველ ხალხს და საქართველოს მოქალაქეებს (ხელს აწერენ: აკ.ბაქრაძე, მ.მაჭავარიანი, ნ.ნათაძე და სხვ.) // გაზ. «ბედი ქართლისა» №2, 31 აგვისტო
458. აკაკი ბაქრაძე _ პრეზიდენტობის კანდიდატი // გაზ. «ახალი თაობა» 8 სექტემბერი
459. როდესაც ერთი ქურდი მეორეს იჭერს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი დამყარდა // გაზ. «შანსი», №27 სექტემბერი
460. ქართველი ხალხი იმისათვის არ იბრძოდა, რომ რუსეთის იმპერიის ერთი ფორმიდან მეორეში გადასულიყო // გაზ. «ფაქტი, აზრი, კომენტარი», №15 _ 29 სექტემბერი
461. სიამოვნებას მივანიჭებ ვისაც ვძულვარ // გაზ. «დრო» №2, ოქტომბერი

462. ქართველმა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს სრულფასოვანი ერის სახე // გაზ. «მსგეფსი» №5, ოქტომბერი

463. ჩვენი სულწასულობის გამო ნანგრევებში ამოვყავით თავი // გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა» _ 21 ოქტომბერი

464. კარაქის გამკეთებელი ბაყაყის როლში მინდა ვიყო! // გაზ. «P.S.» (ქუთაისი) №1, ოქტომბერ-ნოემბერი

465. Борьба без надежды бессмысленна // газ. «Своб. Грузия» – 23 сент.

466. Я – за полную независимость Грузии // газ. «Своб. Грузия» – 31 октября

467. დაწუნებული გზა (პუბლიცისტური წერილების კრებული) // გამომც. «სარანგი», შ.პ.ს. «კერა _ XXI»

1996

468. მამელუკური ცნობიერება // გაზ. «ივერია» №1, იანვარი

469. კომკავშირული ქრისტიანობა // გაზ. «ივერიელი» №3, თებერვალი

470. რუსული განათლების სისტემა ქართული განათლების სისტემით უნდა შეიცვალოს // გაზ. «მსგეფსი» _ 28 აპრილი, 1 მაისი

471. საბუთები გრიგოლ რობაქიძის შესახებ // გაზ. «კავკასიონი» _ 4 მაისი

472. წმინდა უმანკოება // გაზ. «დილის გაზეთი» _ 4 მაისი

473. მიამიტობა // გაზ. «დილის გაზეთი» _ 9 ივლისი

474. ფერი-დარეჯან // გაზ. «დილის გაზეთი» _ 12, 13, 114 ივნისი

475. საქართველოს ენა? // გაზ. «დილის გაზეთი» _ 8 მაისი

476. ზნეობრივად დავეცით, მატერიალურად გავღატაკდით! // გაზ. «სიონი» №1

477. საქართველოს ბიჭებო სწორდით! (თუნდაც ერთი მედალი) // გაზ. «დილის გაზეთი» 21-28 ივლისი

478. გვეყოფა თუ არა ჭკუა? // გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი» _ 8-14 აგვისტო

479. გამონაგონი, რომელიც კოშმარად იქცა // გაზ. «მენორა» №10

480. მცნებათა რღვევა // გაზ. «ახ.ივერიელი», ნოემბერი

481. არადიდაქტიკური შეგონებანი (წიგნიდან «დაწუნებული გზა») _ «ბაბაიას დიპლომატია» // გაზ. «მეოთხე» 18-25 ოქტომბერი

484. საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ // გაზ. «Kaukasische Zeitung» (გერმანულ ენაზე) // №16 სექტემბერი

485. Einfalt // გაზ. «Kaukasische Zeitung» №14, აგვისტო

486. Übertr Etang Der Gebote // გაზ. «Kaukasische Zeitung» №20, ნოემბ.

487. 13 წელი კინოში _ ნიღბების სამყარში _ (კრებული) // გამომც. «წიგნი» _ (რუსთაველის საზ. გამომცემლობა)

1997

488. სიმართლე უპირველეს ყოვლისა (1978 წ. 14 აპრილის შესახებ) // გაზ. «საქართველო» _ 13-16 იანვარი

489. ვასალური აზროვნება // გაზ. «საქართველო» // 4-5 მარტი და 6-8 მარტი
490. როცა ენას გვგლეჯდნენ... (1974 წლის 11 აპრილის გამოსვლა მწერალთა კავშირში. სტენოგრაფიული ჩანაწერი) // გაზ. «საქართველო» _ 8-10 მარტი
491. დიდი საფრთხე // გაზ. «საქართველო» _ 12-15 აპრილი
492. ისტორიის მოპარვა (მეფე ლეონ მეორის ორდენზე) // გაზ. «საქართველო» 19-22 აპრილი და ჟურნ. «ჯვარი ვაზისა» №1
493. თავად კორუმპირებულები გაჰკივიან _ არიქა დასცხეთო კორუპციას! // გაზ. «საქართველო» ¹15 და გაგრძელება №16 _ 20-24 თებერვალი
494. იუდას ქრისტე არ გაუცია // გაზ. «მენორა» №7 ივლისი
495. სად გაქრა აკაკი ბაქრაძე? // გაზ. «სტუდენტური» №1 _ 17 სექტემბერი
496. ფრთხილად! // გაზ. «საქართველო» №54 _ 12 ივლისი
497. ო, ენავ ჩემო // გაზ. «რესპუბლიკა» №1 ოქტომბერი
498. მანყული კულტურისათვის // გაზ. «ქართული კულტურა» №12 17-23 ოქტომბერი
499. მე პრინციპულად ვეწინააღმდეგები პრეზიდენტის კურსს // გაზ. «დილის გაზეთი» _ 21 ივლისი
500. ურჩი ქართველის «თეთრი კუნძული» // გაზ. «თბილისი» _ 13 დეკემბერი
501. Ein totes Iahr // გაზ. “Kaukasische Zeitung” №2/3 23 იანვარი
502. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი // გაზ. «საქართველო» №109-დან №119-მდე და გაზ. «ახალი საქართველო» (აგრძელებს 1998 წ.)

1998

503. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი // გაზ. «ახალი საქართველო» (გაგრძელება) №1-დან №11-მდე
504. მწარე სინამდვილე // გაზ. «მეოთხე» №25, 26 ივნისი _ 3 ივლისი
505. სად არის საშველი? // გაზ. «საქართველო» №58, 22-26 სექტემბერი
506. არტისტობა უნიღბოდ შეუძლებელია // გაზ. «საქართველო» _ 8-11 მაისი
507. ლექცია გრიგოლ რობაქიძეზე (მოკლე ჩანაწერი) // «ლიტ. საქართველო» 20-2 თებერვალი
508. ისტორიის მოპარვა // ჟურნ. «ბედია» №4-5
509. «სულიკო» (აკ.წერეთლის ლექსის განხილვა) // «ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულ სკოლებში» №1

1999

510. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ თამაზ წივწივაძეს (განცხადება მწერალთა კავშირიდან გასვლის შესახებ) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 9-16 აპრილი
511. დავაბრუნოგთ აფხაზები აფხაზეთში! _ გაზ. «დაბრუნება» №2 _ მაისი და «დილის გაზეთი» _ 2 ივლისი

512. დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ... // გაზ. «საქართველო» №24, 29 ივნისი _ 5 ივლისი

513. ორიენტაცია // გაზ. «ახალი საქართველო» 29 ივლისი _ 4 აგვისტო

514. განმარტება // გაზ. «დრონი» _ 4 სექტემბერი

515. მიამიტობა // გაზ. «დილის გაზეთი» _ 8 დეკემბერი

516. უკანასკნელი ინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან // «საქ. რესპუბლიკა» _ 10 დეკემბერი

517. URBT et ORBI (პუბლიცისტური წერილი საქ-ოს დღევანდელი ყოფის შესახებ) // «დილის გაზეთი» _ 8 დეკემბერი

518. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი (ბიოგრაფიული რომანი) // გამომც. «ლომისი» (განმეორდე წიგნის გამოცემა 2003 წელს)

2000

519. ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს // გაზ. «სრულიად არასაიდუმლოდ» ¹6 (იგივე ინტერვიუ სრული სახით, სათაურით «უკანასკნელი საუბარი ბატონ აკაკი ბაქრაძესთან» დაიბეჭდა გაზ. «საქართველო» 4-11 აპრილი)

520. არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ // ჟურნ. «ცისკარი» №7-8

521. სტალინიადა // ჟურნ. «არილი» №18, 21 დეკემბერი

522. ქუთაისში წაკითხული პირველი ლექცია (ქართული აზროვნების ისტორიიდან) // ჟურნ. «ომეგა» №1

523. სამი მწერალი (ინტერვიუ ლ.კიკილაშვილთან) // ჟურნ. «მნათობი» №3, 4

524. ქართული კინო _ ტენდენციები // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №1

525. აფსუებთან კუდის ქიცინი და ძმობაზე ფარისვლურად ლაპარაკი არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს (დავაბრუნოთ აფხაზები, აფხაზეთში!) // ჟურნ. «რიწა» №1, 2

526. რადიოინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან («გადარჩენა») ლ.კიკილაშვილი // გაზ. «ქომაგი» 18-31 ოქტომბერი

527. რადიოინტერვიუ აკ.ბაქრაძესთან _ ფრანგმენტები წიგნიდან «გადარჩენა» (ისტორიული რომანი) // გაზ. «ქომაგი» 15-28 თებერვალი

528. რადიოინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან _ ფრაგმენტები წიგნიდან «გადარჩენა» (ეროვნული ენერგია) // გაზ. «ქომაგი» _ 1-14 თებერვალი

529. «ჯაყოს ხიზნები» (ვიდეოფილმის განხილვის დროს წარმოთქმული სიტყვა) // გაზ, «ახალი კპოქის» ლიტ. ჩანართი «ჩვენი მწერლობა» 22-29 სექტ.

530. გაფრთხილებად და ანდერძად გაისმის (ლ.კიკილაშვილის რადიოინტერვიუ) // გაზ. «ლიტ. საქართველო» _ 28 ივნისი

531. ღმერთს ეწყინება // ჟურნ. «ომეგა» №11, ნოემბერი

532. საიდან მოდის ადამიანი // გაზ. «საქ. რესპუბლიკა» _ 5 დეკემბერი და (გაგრძელება) _ 6 დეკემბერი

533. «მათი განცალკევება და დაპირისპირება, ალბათ, იქნებოდა შეცდომა» (რადიოინტერვიუ) // გაზ. «ახალი საქართველო» 21-26 იანვარი

534. ტარიელ ჭანუტრიას პოეზია (სატელევიზიო გადაცემა 26.VIII.92) // გაზ. «საქ. რესპუბლიკა» _ 5 ნოემბერი

535. რეკომენდაციები «არტანუჯის» რედაქციას აფხაზეთის სპეცნომერთან დაკავშირებით // ჟურნ. «არტანუჯი» №10

536. აკაკი ბაქრაძე უნივერსიტეტსა და სტუდენტობის წლებზე (ფრაგმენტი 1992 წლის რადიოინტერვიუდან) // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» _ №1

537. წერილები ვაჟიშვილს (აკაკი ბაქრაძის პირადი მიმოწერიდან) // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №1

538. წინათქმა წიგნისა «გადარჩენა» // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №1

539. არშემდგარი დუელი (თერგდალეულთა შესახებ) // გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა» _ 14 იანვარი

540. რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №1

541. სამედიცინო ინსტიტუტში წაკითხული ლექციებიდან (ლექცია პირველი) // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №1

542. მითოლოგიური ენგადი (კრებული) მეორე გამოცემა // გამომც. «ნეკერი» (პირველად 1969 წელს გამოქვეყნდა ცალკე წიგნად. მეორე გამოცემაში შეივსო და დაემატა სხვა წერილებიც)

2001

543. სტალინიადა (გაგრძელება) // ჟურნ. «არილი» №1 _ 18 იანვარი

544. სიტყვამ ღირსება დაკარგა // გაზ. «დილის გაზეთი» _ 29 მარტი

545. რისთვის დამიტევებ? (პიესა) // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» №4

546. დაგონჯებული ქართული // გაზ. «რეზონანსი» _ 14 აპრილი

547. ღირსების გრძნობა (რადიოინტერვიუ) // გაზ. «ახალი ეპოქის» დამატება «ჩვენი მწერლობა» №13 28 მარტი _ 3 აპრილი

548. საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს // გაზ. «დილის გაზეთი» _ 14 აპრილი

549. ერთობა (თაობათა ურთიერთობის პრობლემებზე) დაწერილია 1992 წ.) // გაზ. «დილის გაზეთი» _ 25 მაისი

550. საქართველო და გარე სამყარო (სამი ლექცია) // გაზ. «მერიდიანი» №2 12-15 ოქტომბერი (პირველი ლექცია), №3 15-17 ოქტომბერი (მეორე ლექცია), №4 17-19 ოქტომბერი (მესამე ლექცია)

551. სიმშვიდით უხმო (ნ.ლორთქიფანიძე) _ გაზ. «ახალი განათლება» №10 29 მარტი _ 4 აპრილი

552. პავლე ინგოროყვა // გაზ. «ახალი განათლება» №11 5-11 აპრილი

553. დემნა შენგელაია // «ახ.განათლება» №14 3-9 მაისი

554. ზნეობრიობა და ქართული მწერლობა // «ახ.განათლება» №16 17-23 მაისი

555. იდუმალი ღიმილი (შალვა ნუცუბიძე) // «ახ. განათლება» №18 31 მაისი _ 6 ივნისი და წიგნი «ასე იგონებენ შალვა ნუცუბიძეს» (თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999 წ.) _ გვ. 131-138

556. სიმონ ყაუხჩიშვილი (კინოსცენარი) // «ახ.კომუნის განათლება» №21 21-27 ივნისი
557. მარტოობის ტკივილი (აკაკი გაწერელია) // «ახ. განათლება» №23 6-12 სექტემბერი
558. ავთანდილის სახე «ვეფხისტყაოსანში» (ტელეგადაცემიდან) // გაზ. «ახალი განათლება» №25 20-26 სექტემბერი
559. არსებობის შიში (დავით კლდიაშვილი) // გაზ. «ახ.განათლება» №27 4-10 ოქტომბერი და №29 18-24 ოქტომბერი (გაგრძელება)
560. დავითის ისტორიკოსი // «ახ.განათლება» №30-31 1-7 ნოემბერი
561. ზნეობრივი გმირისათვის // «ახ. განათლება» №34 22-28 ნოემბერი
562. დაბრუნება (მიხეილ წერეთელი) // «ახ. განათლება» №36-37, 13-19 დეკ.
563. ტრაგიკული ოპტიმიზმი (ლევან გოთუა) «ახ. განათლება» №39 28 დეკემბ.
564. ქართული კინო «გარღვეული შეგნების» ანარეკლი (ბროშურა) // უნივერსიტეტის კინოსა და სტრუქტურის სამეც.-კვლევ. ლაბორატორია

2002

565. გურიის სოფელი (ლექსი. დართული აქვს იური ცენტერაძის სტატიას «აკაკი სკოლიდანვე გამორჩეული ყიო») // გაზ. «კალმასობა» №9, ნოემბერი
566. «როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა»... (წერილი ეზება ქართული სკოლის პრობლემებს) // გაზ. «კალმასობა» №7
567. თერგდალეულები // «ახ.განათლება» №5 14-20 თებერვალი
568. საქ.ავტონომიის იდეა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა... // გაზ. «2X2» №5 _ 8 თებერვალი
569. ქებაჲ და დიდებაჲ // «ახ.განათლება» №3 31 იანვარი _ 6 თებერვალი
570. სევდა ისტორიისა // «ახ. განათლება» №8 7-13 მარტი (პირველი ნაწილი), №10 21-27 მარტი (გაგრძელება)
571. «სურამის ციხის» გამო // «ახ. განათლება» №15 25 აპრილი _ 1 მაისი (პირველი ნაწილი), №16 2-8 მაისი (გაგრძელება)
572. ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი // «ახ. განათლება» №18 16-22 მაისი (პირველი ნაწილი), №19 23-30 მაისი (გაგრძელება)
573. რანაირია სამყარო? // «ახ. განათლება» №23 – 20 ივნისი
574. სიყვარულს უშენებია (ილია ჭავჭავაძე) // «ახ. განათლება» №30 17-23 სექტემბერი
575. გზა ხსნისა (ილია ჭავჭავაძე) // «ახ.განათლება» №34 14-20 ნოემბერი (პირველი ნაწილი) _ №35-36, 21 ნოემბერი _ 4 დეკემბერი (გაგრძელება)
576. არაფრის უარყოფა («კაცია-ადამიანი?!») // «ახ. განათლება» №37 5-11 დეკ.
577. საქმით მეტყველი სული («ოთარაანთ ქვრივი») // «ახ.განათლება» №39 19-24 დეკემბერი
578. აფხაზეთისათვის (კრებული) //580, რისთვის დამიტევებ (პიესა) // გამომც. «უნივერსალი»
580. ჩანაწერები გალაკტიონზე // «გალაკტიონოლოგია» (ტომი პირველი, გვ.173-178) გამომცემლობა «გალაკტიონის კვლევის ცენტრი»

581. არიან შემოქმედები, რომელთაც პატიება არ სჭირდებათ (აკ.ბაქრაძის დღიურებიდან) // «დილის გაზეთი» _ 29 მარტი

582. «მშვენიერებას სიკვდილი არ უწერია (თ.აბულაძის კინოტრილოგიაზე) // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა» - ივნისი

583. პავლე ინგოროყვა // გაზ. «ახ. ეპოქა» ლიტ. ჩანართი «ჩვენი მწერლობა» №3 24-30 იანვარი

584. კვლავ სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ // გაზ. «ახალი ეპოქა» 10-16 იანვარი

585. ქვეყნის მისია და სახელმწიფო ატრიბუტიკა // გაზ. «24 საათი» 29 მარტი

586. «ტოტო (გაბრიელ დანუნციო. თარგმანი იტალიურიდან) // გაზ. «ახალი ეპოქის» ჩანართი _ «ქართული მწერლობა») №12, 28 მარტი _ 3 აპრილი

587. ვაჟა-ფშაველა და მითოსი («გველისმჭამელი») // «ახ. განათლება» №4 6-12 თებერვალი (დასაწყისი) _ №5, 13-19 თებერვალი (გაგრძელება)

588. ვაჟა-ფშაველა და მითოსი («ბახტრიონი» // «ახ. განათლება» №6, 20-26 თებერვალი

2004

589. ლეგენდა // ჟურნ. «ლიტერატურა და სხვა», ნოემბერი

590. აკაკი ბაქრაძე სკოლას (დამხმარე სახელმძღვანელო ქართ. ლიტ. საშუალო სკოლებისათვის) // გამომც. «უნივერსალი»

2005

591. ყველა თაობას თავის ბედი აქვს (ამონარიდი მწერლის დღიურიდან) // ჟურნ. «ჯვარი ვაზისა» №1

592. ნინო ჭავჭავაძის უკანასკნელი ღამე (მონოპიესა) // ჟურნ. «თეატრი და ცხოვრება» №2 (მარტი-აპრილი (პირველი ნაწილი) და №3-4 მაისი, აგვისტო (გაგრძელება)

593. ნიკო ნიკოლაძე (მონოგრაფია) // გამომც. «ნეკერი» (მეორე გამოცემა)